

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ოთარ ონიანი

**კულტურული გვირის
პრობლემა ქართულ
ფოლკლორში**

(სვანური მასალების მიხედვით)

წიგნი I



გამომცემლობა „ნიპონსალი“

თბილისი 2009

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორ-პროფესორი ზურაბ კიკნაძე

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
რუსუდან ჩოლოყაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ეკა ჩხეიძე

© ო. ონიანი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0128, ი. შავაშავის ბაზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-755-7

წინათქმა

კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში საგანგებოდ არავის გამოუკვლევია. მხოლოდ ცალკეული მოსაზრებებია გამოთქმული, რომ ამირანი კულტურული გმირის ტიპს განასახიერებს. მან ზეციური ყამარი მოიტაცა, „რომელიც ცეცხლის გაპიროვნებული გამოხატულება უნდა იყოს, ზეციური ცეცხლის“ (ჯავახიშვილი, 1979:201).

ქართველ და უცხოელ მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ძველ ბერძენ მწერალთა და მოაზროვნეთა ცნობებმა პრომეთეს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვის შესახებ და იმანაც, რომ კლდეზე მიჯაჭვული გმირის სიუჟეტი პრომეთეს მითის შექმნამდე არსებობდა საქართველოში. ამიტომ ადვილად დასაშვებია, ბერძნებს იგი კავკასიიდან, საქართველოდან, გაეტანათ. ეს საკითხი სერიოზული კვლევის საგანი გახდა თვით უცხოელ მკვლევართა შრომებშიც... ჩვენი ნაშომის ინტერესებიდან გამომდინარე (ამჯერად საკითხის კვლევის ისტორია არ გვიანტერესებს), მხოლოდ ნაწილობრივ, ცალკეულ ავტორებზე შევიჩინებთ. ასე, მაგალითად, ცნობილი რუსი ფოლკორისტი ვს. მილერი ნარომში: „კავკასიური თქმულებები მთებზე მიჯაჭვული ბუმბერაზების შესახებ“ (მილერ, 1883:100-116) და „კავკასიური პრომეთეს შესახებ“ (მილერ, 1881:29). იმ დასკვნამდე მიდის, რომ პრომეთეს მითის საფუძველი კავკასიური თქმულებები უნდა იყოს. ეს აზრი თავისებური არგუმენტებით აქვს გამოთქმული ალ. ვესელოვსკის (ვესელოვსკი, 1909) დასახელებულ მკვლევართა და სხვა მოსაზრებები სრულად და ამომწურავადაა წარმოჩენილი თ. ჯაგოდნიშვილის ნაშრომში „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია (ჯაგოდნიშვილი, 2004:52-55).

რასაკვირველია, ამირან-პრომეთეს ურთიერთობის პრობლემა აქტუალური იყო და არის ქართველი ფოლკლორისტიკის და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის. საკითხი ფართოდაა შესწავლილი და მოსაზრებებიც არაერთგვაროვანია.

წინამდებარე შრომის მიზანი კონკრეტულია. კერძოდ, ჩვენი კვლევა იფარგლება ამირანის შესახებ ახლად მოძიებული ვარიანტების ანალიზით. ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ იმგვარ სიუჟე-

ტებსა და მოტივებზე, რომლებიც ქართულ ფოლკლორისტიკაში ჯერ არავის გამოუყენებია. მთლიანად ვემყარებით არქივებში დაცულსა და სვანურ პროზაულ ტექსტებში გამოქვეყნებულ ვარიანტებს, კერძოდ:

1. ა. შანიძე, ვ. თოფურია, „სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალს ზემოური კილო, 1939 წ.
2. ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია, 1939წ.
3. ა. შანიძე, მ. ქალღანი, ზ. ჭუმბურიძე, სვანური ქრესტომათია. 1978წ.
4. აღ. დავითიანი, მ. ქალღანი, ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, ბალსქვემოური კილო 1957 წ..
5. არსენა ონიანი, მაქსიმე ქალღანი, ალექსანდრე ონიანი, სვანური პროზაული ტექსტები, IV ლაშხური კილო, 1973წ.
6. სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს ვ. თოფურიამ და მ. ქალღანმა 1967წ. და ნაწილობრივ ჩვენს მიერ მოძიებულ მასალებსაც...

ნაშრომის პირველ თავში - „კულტურული გმირის სათავეებთან“, - საუბარია კულტურული გმირის რაობასა და ნიშან-თვისებებზე, იმაზეც, რომ იგი ზეპირსიტყვიერების ყველაზე არქაული ფანრის, საგმირო ეპოსის, პერსონაჟია. ეს ფანრი წინაკლასობრივი საზოგადოებიდან იღებს სათავეს. კულტურული ქმედებები, დემიურგული ელემენტები, დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოსურ პერსონაჟებში, ღვთისშვილებში. მათ შეიძლება ვუწოდოთ ქრისტეს რაინდები მიწიერ საუფლოში, რომლებიც ბოროტი ძალების წინააღმდეგ იბრძვიან. ცალკეულ მათგანს (პირქუში) სამუშაო თუ საბრძოლო იარაღის კეთება მიეწერება, მაგრამ კულტურული გმირი არც ერთი მათგანი არაა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფოლკლორში კულტურული გმირი, როგორც ასეთი, მთელი თავისი ნიშან-თვისებებით მხოლოდ ამირანში განსახიერდა. ახლად მოძიებული სვანური ტექსტის ვარიანტების მიხედვით, მან ხტონურ ძალებს წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება...

საანალიზოდ წარმოდგენილი ვარიანტები საინტერესოა ამირანის სხვა პრობლემების გასარკვევადაც, ამიტომ ჩანაწერები

გარკვეული პრინციპითაა დალაგებული და განხილული. ვარიანტთა პირველ წრედ, ანუ ჯგუფად, წოდებულ ტექსტებში (ქალღანისეული, გურჩიანისეული და გულეღანისეული) აღწერილია, თუ როგორ წარსტატა ამირანმა ცეცხლი ბოროტ ძალებს. სამივე ვარიანტი, ტრადიციულისაგან განსხვავებით, იმ მხრივთა თავისებური, რომ ამირანი წმინდა ღვთიური ჩამომავლობისაა, ანგელოზის შვილია. ხარის ტყავში იმიტომთა გამოხვეული და მთის მწვერვალზე დასმული, რათა ადამიანად გარდაიქმნეს. მას ბადრის, ვისიბის და ჩალამ-კალამის მიერ ნატყორცილი ისრები ახლოსაც არ ეკარება, ნამტყერვეებს უბრუნებს უკან. ამიტომ მოუხელთებელია, მხოლოდ ივა ხელმწიფის (იგი ამირანის ახალი პერსონაჟია) რჩევა-დარიგებით მოხერხდა ხარის ტყავის ხელში ჩაგდება, როცა შინ ტყავი გახსნეს, იქიდან ლამპარივით მანათობელი ვაჟი გადმოხტა და ჭერისკენ დაიწყო ფრენა-საინტერესოა, რომ ხარის ტყავიდან ამირანს ყოვლის მძლვეი ვეფხვის კული გამოჰყვა. მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ, ტრადიციული ვარიანტებისაგან განსხვავებით, წარმოდგენილ ტექსტებში არაფერი ვიცით ბადრის, ვისიბისა და ჩალამ-კალამის ბავშვობაზე. მხოლოდ ისაა ნაუწყები, რომ ძმები სახელგანთქმული რაინდები და მონადირეები არიან, ქვეყანა მათ აქებს, ბოროტი ძალები სულ გაწყვიტესო. არაფერი ვიცით ამირანის ბავშვობაზე, აღზრდაზე, მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ოცი ღღისა ოცი წლის ვაჟკაცს ჰგავდა და სანადიროდ დაჰყვებოდა ძმებს. ამავე თავში საუბარია, რომ მხოლოდ ამირანული ძალისხმევა გახდა აუცილებელი ბოროტი ძალების მიერ მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად ადამიანთა საცხოვრისისათვის, ასევე უკან დასაბრუნებლად ივა მამის თვალისა, რომელიც ბაყბაყ დევმა წარსტატა. საუბარია იმაზეც, რომ ამირანის ყველა მკვლევარმა რატომღაც სვანური ვარიანტების სრულად განხილვა არ მოიწადინა, მხოლოდ ფრაგმენტებია დამოწმებული, უმთავრესი მნიშვნელობის მოტივები კი გამოტოვებულია (ჩიქოვანი, 1984:12-65).

ნაშრომის მეორე თავში - „ამირანის ჩამომავლობა“, - კრიტიკულადაა მიმოხილული ტრადიციული თვალსაზრისები, მითითებულია, რომ ამ მიმართულებით წინა მკვლევართა მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევა არაა ზუსტი. თვით გამოქვეყნებულ ვარიანტებზე დაკვირვებებიც ძალზე ზოგადია, არადაამაჯერებელი, უფრო

ზუსტად, კვლევა წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისებს უფრო ემყარება, ვიდრე ზუსტ ტექსტოლოგიურ დაკვირვებას. არაა სწორი, თითქოს ამირანი, ვარიანტთა დიდი რაოდენობის მიხედვით, დალისა და უცნობი (მოკვდავი) მონადირის შვილია. პირიქით კი არის: ვარიანტთა აბსოლუტური უმეტესობა საერთოდ არაფერს გვეუბნება ამირანის ჩამომავლობაზე, ხოლო ჩვენ ხელთ არსებული ჩანაწერების მცირე ნაწილი ბუნდოვანსა და ერთიმეორის საპირისპირო ცნობებს გვაწვდის. ჩვენ მიერ ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა კვლევამ სულ სხვა რამ გამოავლინა, სხვაგვარ დასკვნამდე მიგვიყვანა. კერძოდ, გამოკვეყნებული და ახლად მოძიებული სვანური ვარიანტების აბსოლუტური უმრავლესობით უცნობი, ანუ მოკვდავი მონადირე, ქალღმერთი დალის შვილის მხოლოდ გადამრჩენია და არა მამა. ნამდვილი მამა კი ნადირთ პატრონის მეწყვილე, მისივე საუფლოს ბინადარია და არა ადამიანთა საცხოვრისისა. ამ აზრით სვანურ ვარიანტებში სრული კანონზომიერებაა (ონიანი, 2003:118) გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მონადირესთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი დალი შვილს არ აჩენს. წინა მკვლევართა შრომებში ერთგვარი ბუნდოვანება და გაურკვევლობა შეინიშნება. საფუძველი კი ისაა, რომ სვანური ვარიანტების შესავალი ასე იწყება: „კვლიდან კივილი ისმის ისეთი ძლიერი, რომ ხმელს ანედლებს, ნედლს ახმობს“ ან ადამიანებს ცალი მხარე გამხმარი აქვთ ამის გამო. დალის გამოქვაბულამდე უმეტეს შემთხვევაში მჭედელი ადის და არა მონადირე. ისინი ჩასიყვარულებიან. სწორედ ეს აღმოჩნდა შეცდომის უმთავრესი მიზეზი, დამაბნეველი, ყურადღება არავენ მიაქცია დალის სიტყვებს, რომ მას „ჰყავდა ქმარი სანადიროდ წავიდა და აღარ დაბრუნებულა“. ნაშრომში საგანგებოდაა მითითებული, რომ დალის ქმრად მონადირე, რა სახელგანთქმულიც არ უნდა იყოს, წარმოუდგენელია. რასაკვირველია, ძალიან ბევრი მაგალითებია, რომ დალის რჩეული, სატრფო, მონადირეა (მოკვდავი), მაგრამ არა ქმარი. ასე რომ, დალის კივილის მიზეზი ქმრის დაკარგვა და ნაადრევი მშობიარობაა (ონიანი, 2003:335), მონადირე კი ქალღმერთი დალის შვილის გადამრჩენი. მის ამგვარ ქმედებაში დიდი საიდუმლოებაა ჩადებული...

თახი III. მთა და ბაგოძგაბული

ნაშრომში საგანგებოდაა აქცენტირებული, რომ ქართულ ფოლკლორისტიკაში მთის სფეროთა ფუნქციები ამირანის მიხედვით, ძალზე მკრთალი მინიშნებებითაა წარმოჩენილი. ტრადიციულ ჩანაწერებში მხოლოდ ოთხ-ხუთ ვარიანტშია აღწერილი, თუ როგორ შეხვდა მონადირე ტყეში ან კლდეში მცხოვრებ ქალს. ამის იქით კვლევა არ მიდის. ამირანის სვანური ვარიანტები ამ აზრითაც გამოჩნეულია. მათში მთას განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. იგი გმირთა მუდმივი სამოღვაწეო, საბრძოლო ასპარეზია. არსებითად აქ წყდება ადამიანთა საცხოვრისის ბედი და იღბალი. გმირები პირველ ყოვლისა, ბოროტი ძალებისაგან მთის არეალს ასუფთავებენ. ქართული მთა ზოგადად (ამირანის ვარიანტების მიხედვითაც), მსოფლიოს უძველესი კულტუროსანი ქვეყნების მითოლოგიების მსგავსად, წმიდათაწმიდა არეულია, როგორც ამბობენ, კოსმიური ალაგია. იგი რწმენა-წარმოდგენათა უზოგადეს რკალში ექცევა, მთა ღვთაებათა გამოცხადების ადგილია, ღვთისშვილთა აკვანიც აქ ირწევა. ამირანის სვანური ვარიანტების მიხედვით, მთას სამი სკნელი აქვს, იღუმალებით მოცული. საუბარია იმაზე, რომ ხარის ტყავში გახვეული ამირანი ღმერთების მიერ მთის მწვერვალზეა დასმული, რომ ადამიანად გარდაიქმნას. აქცენტირებულია ისიც, რომ ბადრის, ვისიბის და ჩალამ-კალამისათვის ეს საკვირველება ღვთიური გამოცხადების ტოლფასია. ყოვლის მძლევემა რაინდებმა ტყავი ვერაფრით დაიჭირეს, მათ მიერ ნატყორცილი ისრები ახლოსაც არ გაიკარა. საინტერესო ისაა, რომ ხარის ტყავში გახვეული ანგელოზის შვილი ადამიანად მთაშივე უნდა გარდაიქმნეს. ამავე თავშია მინიშნება, რომ მთის მწვერვალს დამოუკიდებელი, თავისთავადი სიწმინდე და ფუნქციური მრავალფეროვნება აქვს, გამოქვამულს - სხვა. ორივესგან განსხვავებულია მთისა და ქვესკნელური სამყარო. აქ ხთონური ძალები პატრონობენ მარადიულ ცეცხლს...

თახი IV. აშირანის შობა (იღუმალეგა)

ქართველ ფოლკლორისტთა შრომებში ამირანის შობის საიდუმლოება სათანადო სისრულითა და სიზუსტით არაა შესწავლილი. ჩატარებული ძიება ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიე-

რულ მოთხოვნებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მკვლევართა შრომები წინასწარ შემუშავებულ აზრებს უფრო ემყარება, ვიდრე საკითხის საგულდაგულოდ შესწავლის შედეგად მიღებულ დასკვნებს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ძიებები აშკარად არაზუსტია. ყოველგვარი სათანადო მაგალითების მოუშველიებლად ზოგადადა მითითებული, რომ ნაადრევად შობილი ამირანის უმეტეს შემთხვევაში საქონლის ფაშეში უნდა ჩასვან გამოსაშუშებლად ან ტყავში, თითქოს ამგვარი ქმედება კანონზომიერი იყოს ამირანის ვარიანტებისათვის. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ჩვილი ამირანის ფაშესა ან ტყავში ჩასმა კანონზომიერია მხოლოდ სვანური ვარიანტებისათვის და არა სხვა რომელიმე კუთხის ტექსტებისათვის. მიხ. ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებულ 69 ვარიანტიდან ერთადერთი, სადაც ნაადრევად შობილი ამირანის ფაშეში ჩასმაზეა ლაპარაკი, კახური ვარიანტია. სხვა ჩანაწერები კი დუბან, არაფერს გვეუბნებიან. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისათვის უნდა დავსძინოთ: ჩვენ მიერ მოძიებული სვანური ვარიანტებიდან თხუთმეტ ჩანაწერში კუროს ტყავში ჩასმაზეა საუბარი და კანონზომიერიც ესაა, ფაშეში ჩასმა კი ოთხ ვარიანტშია დადასტურებული. ჩანს, საქართველოში ოდითგანვე არსებობდა რწმენა, რომ ჩვილი ბავშვი ფაშეში ჩასმით ყოველგვარი ავადმყოფობისაგან იკურნებოდა. ეს რწმენა და ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი რაჭასა და სვანეთში. ხარი, ხარის ტყავი მზეს უკავშირდება. ამირანიც მზიური არსებაა. გავიხსენოთ ზემოთ დასახელებული ვარიანტებიდან ეპიზოდი, რომ ღმერთების მიერ ხარის ტყავში გახვეული ამირანი უღელტეხილზე, ზეკარზეა დასმული, ტყავი მხოლოდ იქაა დამშვიდებული, სადაც მზე ყველაზე მძლავრად ათბობს, ანათებს. კონკრეტულ შემთხვევაში ღრმა მითოსურ სიმბოლიკასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, მზე თავისი სხივებით ამირანს მიწიერ ყოფიერებასთან შეგუებაში უწყობს ხელს. გავიხსენოთ ის ეპიზოდიც, როცა ივა ხელმწიფემ ტყავი გახსნა, ლამპარივით მანათობელი ვაჟი გადმოსტა...

ამირანოლოგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისე უმთავრესი მნიშვნელობის მოტივებს, როგორიცაა: ნათლობა, ჭაბუკობა, მიჯაჭვა, თავი V. როგორც ზ. კიკნაძე შენიშნავს: „ნათლობის გარეშე სიმძაფრეს დაკარგავდა ის ტრაგიკული

კონფლიქტი, რომელიც ნათლიასთან შეჭიდებაში მდგომარეობს“ (კიკნაძე, 2001:18-19). დავძენთ, რომ მიხ. ჩიქოვანის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში „მიჯაჭვული ამირანი“, 1947 წ. 69 ვარიანტიდან ნათლობა მხოლოდ 14 ჩანაწერშია დადასტურებული, ნათლია უმეტესად ქრისტე ღმერთი არის, ანგელოზიც, ზოგჯერ წმ. გიორგი. განსახილველი სვანური ვარიანტები ამ აზრითაც გამორჩევიან, მათში ნათლიებად და ბედისმწერლებადაც გვევლინებიან მამალმერთი, იოანე ნათლისმცემელი, ნოე და ძილის ღვთაება, სვანურად „უჟ“. მათი ქმედებები, ფუნქციები საინტერესოა ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენების თვალსაზრისითაც. ტრადიციული ვარიანტებისაგან განსხვავებით, განსახილველ ჩანაწერებში ნაადრევად შობილ ამირანს კუროს ტყავში გაახვევენ, ულრან ტყეში დატოვებენ და არა იამანის წყაროზე.

ამირანის დღემდე ცნობილი ვარიანტებიდან კარგადაა ცნობილი ამირანისა და მისი ძმების ბობოქარი ბავშვობა. ვარიანტთა პირველ წრედ წოდებული ჩანაწერებიდან კი არაფერი ვიცით ბადრის, ვისიბის, ჩალამ-კალამის ბავშვობაზე. შესავლიდანვე ვეცნობით მათ, როგორც დავაჟკაცებულ რაინდებს, აღზევებულ მდგომარეობაში მყოფთ. მათ თითქმის მთლიანად მოსპეს ბოროტი ძალები. აქედან გამომდინარე, ძალზე საინტერესოა ეპიზოდი, კერძოდ, როცა მათ ხარის ტყავი დაიჭირეს, რომელშიც ანგელოზის შვილია გახვეული, ისეთი მძიმე იყო, რომ სამ გმირ ვაჟკაცს უჭირდა მისი ტარება. ე.ი. ამირანის სახით შეუდარებელი არსება შემოვიდა მიწიერ საუფლოში. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მისი მეტოქე აღარ დაიბადა ამქვეყნად. იგი ყოვლის მძლევი. დაიძებნება ისეთი ტექსტებიც, რომლებშიც ახლად შობილი ამირანი სახელსაც თავად ირქმევს და დაბადებისთანავე მადის გელათის მთაში აღსაზრდელად, ბოლოს კი ბადრისთან, ვისიბსა და შერაბთან (ახალი პერსონაჟია) ერთად იღვწის ადამიანთა სასიკეთოდ, სპობენ და ანადგურებენ ბოროტ ძალებს და ტერიტორიას უბრუნებენ ადამიანებს, დევურმა ძალებმა რომ წარსტაცეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამირანის ერთ-ერთ ურთულეს მოტივადაა მიჩნეული მიჯაჭვა. ცენტრალური გმირის პოპულარობაც მიჯაჭვასთანაა დაკავშირებული. მკვლევართა აღიარებით, ამირანი ისე გაამყვდა, გაზვიადდა, რომ თვით ქრისტე ღმერთი გამო-

იწვია საჭიდაოდ, საბრძოლველად, რაც მისი მიჯაჭვის მიზეზი გახდა. შრომის ამ ნაწილში საუბარია, რომ ეს აზრი ძალზე მყარი და გამძლე აღმოჩნდა და მას, რასაკვირველია, თავისი საფუძველი აქვს. სადავო არაფერია ამ თვალსაზრისში, მაგრამ არც საპირისპირო შინაარსის ვარიანტები უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, რომელთა რაოდენობა საკმარისად დიდია. მათი გამოკვლევა ტრადიციულ ვარიანტებსა და მოსაზრებებს არაფერს აკლებს, პირიქით, უმატებს და ამრავალფეროვნებს კიდევ. ასე, მაგალითად, ამირანის დასჯის უმთავრესი მიზეზია, სვანური ვარიანტებით, ქრისტეს თავდებობის სამჯერ დარღვევა. მას მიწა უსკდება ან ქაჯავეთში მოხვდება.

მკვლევართა შრომებში ერთხმადაა აღიარებული, რომ ამირანი მხოლოდ ძალისმიერი გმირია, რომ იგი ბოროტ ძალებს თავისი დიდი ფიზიკური ძალით ამარცხებს. ჩვენ მიერ მოძიებული სვანური ვარიანტების მიხედვით (ასეთი კი ათი ჩანაწერია), ამირანი გააზრებულად მოქმედებს, იგი ხერხით, ეშმაკობითა და მოტყუებით ამარცხებს მოწინააღმდეგეს. სიტუაციების შესაბამისად გმირის ქმედებაც სხვადასხვანაირია. სწორედ ამ შემთხვევებში გვევლინება ამირანი კულტურული გმირისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით. (ონიანი, 2003:105)

ამირანიანის სვანურ ვარიანტებში ნადირობას განსაკუთრებული ადგილი უკავია გმირთა ფათერაკებით აღსავსე გზაზე. ზემოთ განხილული ვარიანტებიდან ვიცით, რომ მოულოდნელი საკვირველებათა ხილვა ნადირობიდან იღებს სათავეს და გმირთა ცხოვრება-მოღვაწეობაშიც ახალი ეტაპი იწყება, სრულიად განსხვავებული, საკაცობრიო მნიშვნელობისა. ნადირობა ყოველგვარი სიახლის საფუძველია, ვინაიდან ჭეშმარიტი მონადირე ბევრი იღუმალების თანაზიარია. ნადირობაში სვე-ბუღის დამშვები ქალღმერთი დალია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართული (სვანური) სამონადირეო ტრადიციების სრული და ამომწურავი შესწავლა მხოლოდ დალის ციკლის მასალებითაა შესაძლებელი.

ნაშრომის მეექვსე თავში „დალი და მონადირე“ დღემდე უცნობი მითოსური გადმოცემებია გაანალიზებული. ქვემოთ ვნახავთ, რომ თითოეული დამოუკიდებელი თავისთავადობაა, სიახლეებითა და მითოსური სიმბოლიკით დატვირთული. მათგან ერთ-ერთი „ლითხვი-

არ“ – ნადირობა“ სამონადირეო ტრადიციების თვალსაზრისითაა საინტერესო. მას ამ ტრადიციების საწყის საფეხურამდე მივყავართ. მასში ნიუანსური სისრულითა და სიზუსტითაა აღწერილი, რომელ ნადირზე როდის, სად, რომელ ადგილას, მთვარის რომელ დღეს შეიძლება ნადირობა. გადმოცემიდან იმასაც ვიგებთ, რომ საქართველოში, კონკრეტულად კი სვანეთში, არსებობდა მონადირეთა საიდუმლო ენა. ქართულ ფოლკლორისტიკაში ეს საკითხი არაეის გამოუკვლევია. ირკვევა, რომ მონადირეები ნადირობისას ერთიმეორეს სახელით არასოდეს მიმართავდნენ, ეკრძალებოდათ. ასე, მაგალითად, ნადირზე სროლის შემდეგ გასძახებდნენ: „ნაპოლ“ – ე.ი. ჩიტო, მოიკარგე – მონადირე რამე? მონადირებულზე იტყოდნენ „გაბედნიერებულა“. ჯიხვებს „კლდისანებს“ უწოდებდნენ, არჩევს „ტყისანებს“, ორივეს კი „მადლიანებს“, სამონადირო ადგილს, სადაც ჯიხვები და არჩვები იკრიბებიან „ლალოკა“, – „სალოკავს“ უწოდებენ. ეს კლდის ერთ-ერთი მონაკვეთია თავისი გამონაჟონით, ნაწვეთით, მოყავისფრო-მომწვანო ფერის, აქვს მარილის გემო. ამიტომ ჯიხვები იქ მიდიან.ე.ი. მონადირეები ზედწოდებებით მიმართავდნენ ერთმანეთს...

გადმოცემა „ღვიდილანთ ბიბუ“ ღრმა მითოსური სიმბოლოებითაა დატვირთული. მასში პირდაპირი მნიშვნელობით არაფერია თქმული. თითოეულ ფრაზას, გამოთქმასა თუ სიტყვას თავისი ქვეტექსტი ახლავს, საკუთარი სახელწოდებითაც არაფერია მოხსენიებული. ტექსტი დალისა და მონადირის დიალოგზეა აგებული. თვით ნადირთ პატრონიც ზედწოდებით მოხსენიება, სვანურად „ქამ მერდე“ – „გარეთ მყოფი“. დალის ზედწოდებით მოხსენიება ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა. ეს კი მნიშვნელოვანი სიახლეა იმ აზრით, რომ შესაძლებლობა გვეძლევა სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ქალღმერთის ბუნების გენეზისურ საფუძვლებზე. დალის ზედწოდების „გარეთ მყოფი“ მნიშვნელობა მრავალნაირია. მისი გაგებისათვის სვანური ენის, რწმენა-წარმოდგენებისა და სამონადირო ტრადიციების ღრმა ცონაა საჭირო. ზედწოდებაში „გარეთ მყოფი“ იგულისხმება ჰორიზონტალურად აღამიანური საცხოვრისის იქითა, სხვა სივრცე და განზომილება. იქ აღამიანის არსებობა, როგორც ასეთი, წარმოდგენილია, იგი სულიერი საუფლოა. ამ ეტაპზე დალიც იმავე საუფლოს ბინადარია. მთიებად იგი მოგვიანო პერიოდში იქცა, მანამდე

კი ხანგრძლივი გზები და საფეხურებია გასათვალისწინებელი. წინამდებარე გადმოცემაში თხრობის სტილია საინტერესო. იგი დალისა და მონადირის დიალოგზეა აგებული. ამბის განვითარება ძალზე თანმიმდევრულია. „გარეთ მყოფი“, ანუ დალი, სულ სხვა რეგისტრში, სხვაგვარი ფუნქციებითაა წარმორჩენილი. მისი დამოკიდებულება მონადირისადმი, ტრადიციული მასალებისაგან განსხვავებით, სპეციფიკურია, კერძოდ, „გარეთ მყოფი“ დვიდილანთ ბიბუს მონადირედ აღმზრდელია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დალი დილით ადრე აღვიძებს, შეახსენებს, რომ სანადიროდ წავიდე, ასწავლის სად, რა ადგილას გროვდებიან ჯიხვები, რომ მისთვის „გორგოდა“ (ზედწოდებაა, იგულისხმება დიდი, რქებდაგრეხილი ჯიხვი, უშუალოდ დალის მიერ დასმული ნიშნით გამოჩეული) არის გამოგზავნილი მოსანადირებლად. ამასთანავე, იმასაც აუწყებს, რომ სწორედ ამ „გორგოდაის“, ე.ი. ჯიხვის, წიაღში, ნეკში დავანებულია ღვთიური ნაწილი „ლელოლ“, ძვალი გაასუფთავოს და შეინახოს ისე, რომ სიცოცხოლეში საიდუმლო არ გაამჟღავნოს. ეს კი არსებითი ხასიათის სიახლეა ზოგადად მითოლოგიაში (ონიანი, 2004:20). ბიბუმ, როგორც ჭეშმარიტმა მონადირემ, შეძლო საიდუმლოს შენახვა და ნადირობაში ბედი, იღბალი მემკვიდრეობითაც გაგრძელდა, ნაწილიანობის თვალსაზრისით საინტერესოა მონადირე წეკვას თავგადასავალი.

მთქმელის სიტყვით, „ბეჩერანთ წეკვას მსგავსი, დარი კაცი და მონადირე არ „შემოსულა არც ძველად და არც ახლა“. მონადირე ბიბუსაგან განსხვავებით, წეკვას ქმედებაში დამოუკიდებლობაა თვალში საცემი, რომ იგი ცნობიერი მონადირეა, საშიშ, გამოუცნობ სიტუაციაშიც არ კარგავს წონასწორობას. სანადიროდ წასულმა კლდის ტაფობთან მრთველი ქალები შენიშნა, გული გაიმაგრა და ღვთისადმი აღვლენილ ლოცვაში ასეთი სიტყვები თქვა: „მართალი კაცი ვარ, ცუდი არასოდეს ჩამიდენია“ და განაგრძო გზა. იგივე გამეორდა ვიღაც მაღალ კაცთან შეხვედრის დროსაც. ამჯერადაც იგივე სიტყვები გაიმეორა. მაღალმა კაცმა უთხრა: „ნუ ეშინიაო“. ცოტას გაივლის და არჩევს მოკლავს: „თირკმელში რაც ნახოს, გაუფრთხილდესო“. მართლაც მონადირა არჩვი და თირკმელში კვერცხივით მრგვალი ოქრო აღმოაჩინა, ღვთიური ნაწილი ააჩარიქა (ონიანი, 2004:151). ორივე შემთხვევაში იმაგინაციური და ინსპირაციული ხილვებია სა-

ინტერესო. მონადირე წეკვაც ამ გზით ეზიარა საიდუმლოს. საიდუმლო ცოდნასთან თანაზიარობის თვალსაზრისით, საინტერესო აღმოჩნდა ბაბუა ბევას თავგადასავალი. იგი რეალური პიროვნება ჩანს, გველისმჭამელი მინდიას ტიპის ბრძენკაცი, რომელსაც მთელი გარემო ესაუბრება. მას კავშირი აქვს ელემენტარულ სულებთან. გადმოცემის მიხედვით იგი ინიციაციის ურთულეს გზას გადის. მთქმელი იმასაც გვაუწყებს, რომ ბევასნაირი მდიდარი კაცი მთელ სვანეთში არ იყო. იგიც ღვთიური ნაწილის მფლობელია, ოღონდ არა გარეული ნადირის, ჯიხვისა და არჩვის წიაღში დავანებულის, არამედ შინაური საქონლის. ასეთებია: უშობელი, ცხვარი და თხა. საინტერესო ისაა, რომ შინაური საქონელი, თვითონ ლაპარაკობს, რომ მთელი ჯოგის იღბალი მის თირკმელებზე, პირდაპირი თარგმანით, ჭაჭვებზეა დაკიდებული. ბევას ესმის საქონლის ენაც. იგი მათი ხელში ჩაგდებათ და არა განივთებული ნაწილის, როგორც ეს ზემოთ განხილულ გადმოცემაში იყო, უზარმაზარი სიმდიდრის მფლობელი გახდა, ე.ი. ისე გაუმრავლდა საქონელი, რომ ტევა აღარ იყო. გადმოცემის მიხედვით, ბაბუა ბევა საუკეთესო მონადირეცაა. მას ესმის ჯიხვთა საიდუმლო ენა. ამავე თავშია საუბარი ოთხყურიან არჩვზე, რომელსაც თუალი, ანუ ნაწილი, გულ-ღვიძლში აქვს დავანებული ან მაჭიკში. ოთხყურა არჩვის ტყავისა და გულ-ღვიძლში დავანებული „თუალის“ მფლობელი მონადირე ყველაზე ბედნიერია და იღბლიანი. მას შეუძლია იბდენი ნადირი დახოცოს, რამდენსაც მოისურვებს. განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ ამგვარი ღვთიური ნაწილის მფლობელი მონადირის მფარველი ყერ-ანგელოზია, ბერშიშველიში და გოგბედნიერი.

საანალიზოდ წარმოდგენილი გადმოცემებიდან ურთულესი შინაარსის ძეგლია „ჯამახერსა“. მასში პერსონაჟის ხელდასხმის საფეხურებია საინტერესო, იმაგინაციური და ინსპირაციული ხილვები. ერთი შეხედვით, ჯამახერსა საზგადოებიდან განაპირებული ჩანს. მას სოფელთან არ აქვს კავშირი, ფაცხაში მცხოვრებია, მასზე სულიერი ძალები ინსპირირებენ. განსაკუთრებით საინტერესოა ქალი არსებები... საბოლოოდ ჯამახერსამ შეძლო სულიერი ზეალსვლა იმ დონემდე, რომ ყოველგვარი დამხმარე ძალების გარეშე აღწევს ბოროტ ძალებზე გამარჯვებას (ონიანი, 2005:220). გადმოცემაში საინტერესოა დალის მიერ ბოძებული ღვთიური ნაწილი „ჯუღვ“, რომლის

იღუმალემა უცნობმა ქალმა – არსებამ აუხსნა ჯამახერხას (ონიანი, 2003:150). ამავე თავშია განხილული მითოსური გადმოცემა „მონადირე და დალის ნახვა“. მასში მონადირე რავაზის სულიერი განვითარების გზები და საფეხურებია საყურადღებო. ესაა ინიციაციის გზა. სანადიროდ წასული რავაზი ხის ქვეშ დაიძინებს და ღვთაებათა საუფლოს პირველ მთაში გაიღვიძებს, ბევრ გამოცდას გაუძლებს, მაგრამ ადამიანთა საუფლოსათვის განკუთვნილ მეცხრე მთაზე ღალატობს ნების სიმტკიცე და დასაშვებზე მეტ ნადირს ხოცავს, რის გამოც იგი კარგავს ღვთით ბოძებულ სიბრძნეს და საწყის მდგომარეობას უბრუნდება. დალის სიწმინდე და შეუვალობა დაცულია თითქმის ზღაპრად ქცეულ ტექსტში „დალი და ვობურ დადა“. აქაც დალი ცნობიერად გამორჩეულ მონადირეს არაფერს ვნებს. ეს კი დალის ბუნებისა და ფუნქციების განვითარების სხვა საფეხურია, მნიშვნელოვნად თავისებურიც.

ტრადიციული და განხილული მასალები გვაძლევს უფლებას, რომ ახლებურად დაისვას დალისა და მონადირის ურთიერთობის რთული პრობლემა. ტექსტებში ბევრი რამ არის გასარკვევი და ამოსაცნობი. ჩვენი აზრით, დალისა და მონადირის შეხვედრით ადამიანში ახალი ათვლის წერტილი იწყება, სრულიად განსხვავებული, ზებუნებრიობასთან თანაზიარობის ეტაპი. ჭეშმარიტი მონადირე დიდი არჩევანისა და გამოცდის წინაშე დგას. რისთვისაა იგი მზად? საით რა გადასძალავს: ადამიანური თუ ღვთიური, წარმავალი თუ მარადიული? დალის ციკლის მასალებიდან აშკარაა, რომ მონადირეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ღალატობს ნების სიმტკიცე, ვერ იცავენ აკრძალვებს და ისჯებიან. დალი მიმტევებელი, როგორც ასეთი, არასოდეს არაა. სასჯელი კი დამოკიდებულია მონადირის მიერ ჩადენილ შეცდომებსა თუ შეცოდებებზე. ამ აზრითაა საინტერესო საფერხულო სიმღერა „ბეთქილი“. ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ ბეთქილი, როგორც მონადირე, ძლიერია, მუხლმაგარი, საზოგადოების თვალში პატივდებული, საიმელო, მაგრამ ვარიანტების საგულდაგულო ანალიზით დგინდება, უფრო ზუსტად, აშკარავდება, რომ ბეთქილი ვერ იცავს ან არ იცავს იმ აკრძალვებს, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი მონადირისათვის: სანადიროდაც უწმინდური მიდის, ღალატობს დალის პირობებს, მის მიერ ბოძებული ბეჭედი თავის რძალს აჩუქა, რაც მიუ-

ტევებელი შეცდომაა. იგი ვერც ეთიკის სფეროში იჩენს სათანადო სიმტკიცეს, შეიძლება ითქვას, მთლიანად მაცთუნებელი ძალების ტყვეობაშია მოქცეული. დალთან მისი დიალოგი „პასუხს შეიცავს თავისთავში. ბეთქილს მოეკითხება, რომ დალის ნაჩუქარ ბეჭედს მისი ცოლი საქვეყნოდ ატარებს. მან შეაბრუნა (გააუკუღმართა) სამკაულის დანიშნულება და ამიტომ დაისაჯა“... ბეთქილი „ანტიმონადირე-დაც“ მოიხსენიება. ასეთია გ. შარაშიძის აზრი. ჩვენ ვემყარებით გ. აბაკელიას ნაშრომს; „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში,“ 1997წ. (აბაკელია 1997:62) ბეთქილში ერთი მნიშვნელოვანი გარემოება იქცევა ყურადღებას, კერძოდ, აკრძალვებისა და პირობების დაუცველობისათვის ისჯება მხოლოდ მონადირე და არა ოჯახი. მოიძიება ისეთი ძეგლებიც, სადაც დალის რისხვა მონადირესთან ერთად მთელ სახლეულობაზე გადადის. ამ თვალთახედვით განსაკუთრებით საყურადღებოა მითოსური გადმოცემა „ლუნჩანთ უფროსი და დალი“. მასში მონადირისა და ნადირთ პატრონის ურთიერთობა იმ აზრითაა სპეციფიკური, რომ ქალღმერთი დალის ფუნქციები კიდევ უფრო გაზრდილი და მრავალფეროვანია, სულ სხვა რეგისტრშია აყვანილი. იგივე ითქმის საჩუქარზეც, რომელიც დალის ციკლის მასალებში პირველად მოიხსენიება „თუალი“-ს სახელწოდებით. სწორედ ამ „თუალის“ მოფრთხილებაზე, საიდუმლოების დაცვაზე დამოკიდებული მთელი ოჯახის ბედი და იღბალი. ასე რომ, მონადირესთან ერთად ოჯახის ყველა წევრიც ღიდი გამოცდის წინაშე დგას. ტექსტში აქცენტირებულია, რომ, სანამ მონადირე დალთან ურთიერთობის საიდუმლოს ინახავდა, ოჯახში სიმდიდრეს თავი და ბოლო არ უჩანდა, ადამიანებიც ყველა სფეროში ხელმომართული და ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ლუნჩანთ უფროსმა ვერ გამოიჩინა ნების სიმტკიცე, დაარღვია დალისათვის მიცემული პირობა და საიდუმლო გათქვა. უცებ იძრა მიწა და მთელი სახლი თან ჩაიტანა, სიმდიდრე კი სოფელმა გაინაწილა. დალი კონკრეტულ შემთხვევაშიც სასტიკი და შურისმაძიებელია. ბეთქილის სიმღერასა და დამოწმებულ ტექსტშიც დალის არსებაში მძლავრად შეჭრილი გრძნობიერება და შურისმაძიებლობაც. გადმოცემაში ისაა სიახლე, რომ „თუალი“ მანათობელია. მისი ფუნქციაც გაცდილებით მრავალფეროვანია, ვიდრე „მძივის“ ბეჭედის და სხვათა. მთქმელის სიტყვით: „სადაც თვალია დაბრძანებული,

იმ ოჯახში სიმდიდრე, სიუხვე, ადამიანების ბედნიერება, ყველა სფეროში ხელის მომართვა და ილბალია დაშვებული“.

ცალკეული გადმოცემები, მაგალითად, „გეგი მარგიანი და დალი“ იმ მხრივია საინტერესო, რომ დალს გეგი თავის კლდეში შეჰყავდა და იქ უდებდა პირობას. ფრაზა იმ მხრივია საყურადღებო, რომ დალის კლდე სოფლიდან ათვლით ცხრა მთას იქითაა, მეთუ, ანუ ღვთიურ საუფლოში. მას დალის თეთრ კლდესაც უწოდებენ, ე.ი. აქ, ამ ღვთიურ საუფლოში, შეჰყავდა გეგი დალს. ტექსტიდან ირკვევა, რომ გეგის საიდუმლოება კი არ გაუცია, არამედ სხვა ქალთან შემცდარა, სწორედ ეს არ აპატიო დალმა, ავადმყოფობა მოუვლინა, ოღონდ არ დალუპა. დაიძებნება ისეთი გადმოცემებიც, სადაც მონადირე სიცოცხლის ბოლომდე ინახავს საიდუმლოებას, იცავს დალის პირობებს, ქალღმერთიც მის გვერდით არის, ყოველ ღამე აკითხავს, გარდაცვალების შემდეგ მკვდარს აპატიოსნებს. ამ მხრივ საინტერესოა გადმოცემა „დალი“. მასში აღწერილია ბექა გულბანის სულიერი სიწმინდე, საგანგებოდაა მითითებული მის უდრეკ ნებელობაზე, რომ იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ქალღმერთ დალის ერთგული...

თხავი მუშვიდე დალი და დალთა ლაშქარი

დალისა და მონადირის ურთიერთობა განსაკუთრებული მრავალფერვნებითაა წარმოჩენილი „მონადირე ჩორთალაში“. იგი ურთულესი შინაარსის ძეგლია, მასში დრო და სივრცე დაძლეულია. გმირი ინიციაციის გზას გადის, აბარებს ღვთიურ გამოცდას, ღვთაებათა საუფლოში, მეთუ მთაში, თეთრ კლდეში, ანუ დალის კლდეში. ე.ი. ჩორლამ ადამიანურ ზღურბლს მიღმა გააბიჯა. მონადირის გავლილი გზა ძალზე მძაფრად და დამაბუღადაა აღწერილი, მოქმედება კლდოვან არეალში მიმდინარეობს. ვარიანტებიდან ირკვევა, რომ ჩორლა საბოლოოდ ქრისტიანულ ხელდასხმას აღწევს. დალების ტყვეობიდან განთავისუფლებულის ძალისა და ენერჯის მიმცემი მთის მწვერვალამდე ასვლაში წმ. გიორგია. მან დალებს ჩორლას კლდეზე გადმოკიდებისათვის წარლენა მოუვლინა, მეწყერმა და ნიაღვარმა წალეკა მათი სამყარო. ე.ი. მოხდა ქრისტიანობის სრული გამარჯვება წარმართობაზე. მწვერვალზე ასულ ჩორლას წმ. გიორგი მისთვის გაწეუ-

ლი სამსახურისთვის. სიცოცხლეში ბევრი ნადირის მოკვლით აუცილ-
დოებს, ხოლო სიკვდილის შემდეგ „იყავი ჩვენთან მყოფი“... მონა-
დირე ჩორლას მსგავს ეპიზოდებს ეხვდებათ ლექს-სიმღერაში „ქა-
ლა“. ამ ძეგლშიც ღრმა კავშირი იგრძნობა მთავარმოწამესა და და-
ლებს შორის. ჩორლას მსგავსად ქალასაც ბევრჯერ გამოუჩენია
თვითნებობა დალთა საუფლოში. დასაშვებზე მეტი მოუნადირებია.
ამ ძეგლში რელიგიური სინკრეტიზმის აშკარა ნიშნები იკვეთება. წმ.
გიორგის არანაირი წარღვნა არ მოუვლენია დალებსათვის, მათდამი
კეთილგანწყობითი ურთიერთობა ისევ გრძელდება. წინამდებარე თავ-
ში ვრცლადაა განხილული „მონადირე კაცი“ თავისი ვარიანტებით.

დალის ციკლის ლექს-სიმღერებიდან „თეთრი მანგური“ თვი-
სებრივად ახალი პერსონაჟია როგორც ქართულ სამონადირო ეპოს-
ში, ისე ზეპირსიტყვიერებაში ზოგადად. მსგავსი მრავალმხრიობა
არც ერთი ფოლკლორული გმირის ქმედებაში არ შეინიშნება, ნაწარ-
მოების მიხედვით, თეთრი მანგური ყველგან მყოფია და არსად კონ-
კრეტულად. მის სამყაროში საპირისპირო ძალები, როგორც ასეთი,
არც კი არსებობენ. აქ სრული ჰარმონიაა, არაფერ არავის მტრობს.
ამიტომაც თეთრი მანგური მთელი სვანეთის საქები. ამგვარი გამორჩე-
ულობის გამოა, რომ დალმა ყველა სხვა მონადირისაგან განსხვავე-
ბით მანგური სიტყვის ძალით დააჯილდოვა. ეს კი დალი – მონადი-
რის ურთიერთობის ახალი ელემენტია.

კულტურული გმირის სათავეებთან

კულტურული გმირის კვლევა ორგანულ კავშირშია საგმირო ეპოსის გენეზისის კვლევასთან და იგი ეპოსთმცოდნეობის ურთულეს პრობლემადაა მიჩნეული. მკვლევართა აღიარებით, საგმირო ეპოსი ყველაზე არქაული ფოლკლორული ჟანრია, რომელიც წინაკლასობრივი საზოგადოებიდან იღებს სათავეს. ცნობილი რუსი მკვლევრის, მელეტინსკის აზრით, მისი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ შემორჩენილი აქვს „Идеологическая и жанровая нерасчлененность первобытного фольклора. Речь идет прежде всего об идеологическом синкретизме, т.е. известной нерасчлененности в повествовательном фольклоре доклассового общества зачатков искусства, религии представлений о природе и обществе“ (მელეტინსკი, 1958:22). მისივე განმარტებით, იდეოლოგიურმა სინკრეტიზმმა თავისი სპეციფიკური გამოხატულება პირველყოფილ მითოლოგიაში პოვა, ხოლო ამ არქაული საზოგადოების დაშლის პროცესთან დაკავშირებით ხდებოდა მითოსური გადმოცემების გადამუშავება, რის გამოც ცალკეული ფოლკლორული ჟანრი, მითოლოგიასთან მჭიდრო კავშირში მყოფი, ქრებოდა ან სუსტდებოდა: „Вместе с тем оттеснение мифологических персонажей и непосредственно поэтической разработки образа человеческого героя, как главная действующего лица носителя эпического действия были существенным моментом формирования повествовательных жанров в древнейшем фольклоре“. (მელეტინსკი, 1958:27) ცხადია, ნებისმიერი საზოგადოების წარმოშობა-განვითარება ცვლად ისტორიულ პროცესებსაა დაქვემდებარებული. ასეთია წინაკლასობრივიც, რომლის წიაღიდანაც წარმოიშვა კულტურული გმირი, ზეპირსიტყვიერების ყველაზე არქაული პერსონაჟი. კონკრეტულ შემთხვევაში არაა ნავარაუდევია იმის წარმოდგენა-დახასიათება, თუ რა შეხედულებები იყო შემუშავებული ამ ეტაპზე ბუნებასა და საზოგადოებაზე, ტომთა წარმოშობაზე და სხვა. ცხადია, პირველ ყოვლისა, იმის გარკვევაა აუცილებელი, თუ რას ნიშნავს კულტურული გმირი? რა თავისებური ნიშან-თვისებებით წარმოგ-

ვიდგება იგი სხვა ფოლკლორული ჟანრის პერსონაჟთაგან განსხვავებით? როგორია მისი მიმართება გარემოსა და საზოგადოებისადმი და რა არის უმთავრესი, არსებითი მის ქმედებასა და მოღვაწეობაში? როგორც ამბობენ: „კულტურული გმირი წინაკლასობრივი საზოგადოების ფოლკლორის უმთავრესი ფიგურაა და სხვადასხვა სიუჟეტთა ციკლიზაციის ცენტრი, როგორც მითოლოგიურისა, ისე ზღაპრულისაც. მსგავსი ციკლების ძირითადი აზრი ესაა შეხედულებები დედამიწის წარმოშობასა და რელიეფზე, ციურ მნათობებსა და წლის დროებზე. О происхождении различных животных и растений, самого человека о созидании хлебных злаков, огня, орудий труда, о зарождении социальных институтов и магических обрядов. ასეთ მითებში კულტურული გმირი ცნობიერად თუ შემოთხვევით გვევლინება Творцом современного мироустройства и изображаются первопорядком – родоначальником людей– (მელეტინსკი, 1958:25).

ამ ვრცელი ამონაწერიდან აშკარაა, რომ კულტურული გმირის ქმედებები, მიზნები ფართოა და მრავლისმომცველი. იგი თითქმის ყველაფრის შემოქმედია: ადამიანებისათვის ცეცხლის მომტანი, სამუშაო იარაღის მკეთებელი თუ მომპოვებელი, სამკურნალო თუ საკვები მცენარეების მომყვანი; მასვე მიეწერება ქორწინების წესის დამკვიდრება, ახალი ტრადიციებისაც, ადამიანის შექმნაც, ბოროტი ძალების მოსპობა, მოხერხებული ქმედება, ეშმაკობა, ადამიანებისათვის ნადირობისა და წერა-კითხვის სწავლება, მიწის დამუშავება, სახლის აშენება, ნავის აგება და მრავალი სხვა. (მელეტინსკი, 1958:26)

ე. მელეტინსკი საგანგებოდ მიუთითებს, რომ: «Культурный герой большей частью добывает необходимые блага готовыми или отнимает их первоначального хранителя. Это похищение у первохранителей (тотемных животных, колдунов, духов-хозяев, а древнейших образах австралийского и меланезийского фольклора у мифической старухи)» (მელეტინსკი, 1958:26). მკვლევარი ძალზე საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს კულტურული გმირის ბუნებასა და გენეზისურ საფუძვლებზე. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვემოთ განსახილველი ქართული (სვანუ-

რი) მასალების გასაანალიზებლად, სადაც კულტურული ქმედებების უამრავი მაგალითია.

„Культурный герой – древнейший образ фольклора. Более архаичными можно считать лишь старуху-прародительницу, а также тотемных предков двойной, зверино-человеческой природы, особенно широко представленных в мифологии австралийцев “ – იქვე, 26. მითითებულია, რომ ...Тотемные предки, живущие в мифические времена «сновидений» группами и по одиночке бродили по определенной территории, охотились, ели, спали, убивали друг друга и снова оживали, камни, скалы, холмы, деревья, озера являются следами их деятельности» (მელეტინსკი, 1958:26).

ამერიკისა და აფრიკის ძირითად მოსახლე ტომებში კულტურული გმირი ხშირად ცხოველის სახეს ატარებდა.

კულტურული გმირის თაყვანისცემა, გაღმერთება იშვიათია, ტყუპიდან კულტურული გმირი შეიძლება იყოს ერთი ან ორივე, ერთიმეორეს დამხმარე ან მოწინააღმდეგე. ასეთებია: (Иоскега и Тавискарон у ирокезов, То Кабанина и То Карвуву у меланезийского племени гунантуна) (მელეტინსკი, 1958:27) ზოლოტარიევს ნაშრომში: (ზოლოტარევი, 1954:148) Родовой строй и религия ульчей [24–148] ს.პ. ტოლსტოვა (ტოლსტოვ, 1948:25), და შტერნბერგს (შტერნბერგ, 1890:73).

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ღვთაებაც კი მითებში კულტურულ გმირად წარმოვიდგება, ზოლო, როგორც არაერთგზისაა თქმული, კულტურული გმირი ადამიანი უნდა იყოს და არა ღმერთი. რასაკვირველია, არაა გამორიცხული და ამის მაგალითები არის, ზღება კულტურული გმირის საკრალიზაცია, გაღმერთება, მაგრამ იგი დამახასიათებელია რელიგიური მითებისათვის, როგორც მელეტინსკი მიუთითებს: Иногда трансформация культурного героя в боготворца и приписывание богом цивилизующих функций не дает нам права считать культурного героя образом религиозным, (Мелетинский, 1958:30).

ქვემოთ მოწოდებულ მოსაზრებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამირანის სვანური ვარიანტების გასააზრებლად. საუ-

ბარია, რომ პოლინეზიელთა მაღალი ღმერთი ტანგაროა ტიპურ კულტურულ გმირად გვევლინება: „В Полинезии Тангароа считается великим богом солнца, безоблачного неба и грома, но в мифах он выступает как типичнейший культурный герой и вместе с братом Ронго изображается человеческим первопредком“ ტანგაროამ ასწავლო ხალხს ნავებისა და სახლე-ბის მშენებლობა (მელეტინსკი, 1958:30).

პოლინეზიურ ფოლკლორში საკრალიზებულ კულტურულ გმირ ტანგაროასთან ერთად ცნობილია გაღმერთებული კულტურული გმირი მაუი. იგი პოლინეზიური ფოლკლორის საყვარელი გმირია: «Мауи – недоношенный подкидыш, брошенный в кустарнике или в море» ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ამირანის სვანური ვარიანტების ერთი ნაწილი, სადაც ახლად შობილ ამირანს იამანის წყაროსთან კი არ დასვავენ, არამედ უდაბური ტყის სიღრმეში, რაც შეეხება ძმებთან ურთიერთობას, ბევრი მსგავსება შეინიშნება. ორივე შემთხვევაში ზრდადასრულებული გმირები, ამირანი და მაუი, მოძებნიან მახლობლებს.

ცხადია, კულტურული გმირი, როგორც პერსონაჟი, დინამიურობაშია განსახილველი და წარმოსადგენი, მაგრამ მისი ევოლუციური განვითარების გზები და საფეხურები ისევე სიტყვიერ ხელოვნებაშია საძიებელი და არა რელიგიაში.

კულტურულ გმირებზე არსებულ მითოსურ გადმოცემებში იდეალიზებულია ადამიანის, გმირის შემოქმედებითი მოღვაწეობა, ხოლო მისი ფუნქციების განვითარების გზები და საფეხურები სხვადასხვანაირია. ერთია გაკულტება, გაღმერთება. იმავდროულად ხდება პირველყოფილი მითის ტრანსფორმირება, გარდაქმნა რელიგიურ მითად. კულტურული გმირის ევოლუციური განვითარების მეორე გზა, როგორც ითქვა, ხელოვნების სფეროშია: „Это подтверждает основная масса подобных мифов у коренных народов Океании и Америки. Как правило, туземцы-рассказчики не смешивают культурных героев ни с богами, ни с духом «хозяевами», ни с душами мертвых“ (მელეტინსკი, 1958:2-24). იგივე აზრია გატარებული სხვა ნაშრომშიც (მელეტინსკი, 1964:20).

ამირანიანის ქვემოთ განსახილველი სვანური ვარიანტები

დაგვარწმუნებს, რომ ამირანი კულტურული გმირის ყველა ნიშან-თვისებითაა წარმოჩენილი.

სვანურ ზეპირსიტყვიერებაში აღმოჩნდა ამირანის ახალი ვარიანტები და მოტივები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არავის გამოუყენებია. ისინი გამოირჩევიან თემატიკური სიახლითა და არქაულობით. მათზე დამყარებით შეიძლება ძველთან დაკავშირებული პრობლემების ახლებურად დასმა და გააზრება, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ამგვარ ტექსტებს კიდე მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ ტრადიციულ თვალსაზრისებში...

მასალის უშუალო წარმოდგენამდე საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი: ამირანზე დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა მოგვეპოვება, იგივე ითქმის ტექსტებზე, მისი მრავალრიცხოვანი ვარიანტები დასტურდება საქართველოს თითქმის ყველა ისტორიული მხარისა თუ კუთხის ზეპირსიტყვიერებაში, კერძოდ, ქართლსა და კახეთში, ფშავსა და ხევსურეთში, ხევსა და თუშეთში, მესხეთ-ჯავახეთში, რაჭასა და იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში. ამირანის ვარიანტებს ვხვდებით ოსეთსა და ჩრდილოკავკასიაშიც... თვით ტექსტების შეკრება—პუბლიკაციის მხრივაც დიდი და ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული ქართულ ფოლკლორისტიკაში, მდიდარ საარქივო მასალებთან ერთად სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისთვისაც კარგადაა ცნობილი პროფ. მიხ. ჩიქოვანის ნაშრომი „მიჯაჭვული ამირანი“, (ჩიქოვანი, 1947:272-330). მასში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ვარიანტებია წარმოდგენილი, სულ 69 ტექსტი. აქედან ნაწილი წმინდა პროზაულია, ნაწილი კი ლექსნარევი და გალექსილიც, რომლებიც ფრაგმენტული ხასიათისანი არიან, მათში „ამირანის“ ცალკეული ეპიზოდებია გალექსილი. მკვლევართათვის ჯერჯერობით ყველაზე ხელმისაწვდომი ეს ტექსტებია, შეიძლება ითქვას, სანდო წყაროც. უფრო სრული და მხატვრულად ღირებული ვარიანტები შემდგომშიც არ გამოქვეყნებულა. ამიტომ ამირანიანის სიუჟეტურ აღნაგობასა და საერთოდ პრობლემებზე წარმოდგენა ძირითადად მათზე დაყრდნობით შეიძლება ვიქონიოთ. ისიც უნდა ითქვას, რომ „ამირანიანის“ კვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში მასში წარმოდგენილი ვარიანტების მიხედვით წარიმართა და მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობაც შეიქმნა. მიუხე-

დავად ამისა, თუ ღრმად დავაკვირდებით გამოქვეყნებულ ჩანაწერებს, აღმოჩნდება, რომ ტექსტები გარკვეული პრინციპით, უფრო ზუსტად, წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისითაა შერჩეული. შესაბამისად „ამირანიანის“ კვლევა ცალმხრივად წარიმართა. შრომის ავტორისათვის ამირანში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მიჯაჭვა. მისი აზრით, „ქართული თქმულების უმთავრეს ეპიზოდს მიჯაჭვა წარმოადგენს. ის ვარიანტები, რომლებიც ამ ეპიზოდს არ შეიცავენ, დეგრადაციამქნილი ნაფლეთები არიან და ღიდად არ განსხვავდებიან ჯადოსნურ-სათავგადასავლო ზღაპრებისაგან“, რომ „მიჯაჭვა აქცევს ამირანს მარადიულ გმირად და მის გარეშე არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იგი“ (ჩიქოვანი, 1959:43) რასაკვირველია, ნაშრომში ვარიანტებიც ამ ნიშნითაა შერჩეული. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მიჯაჭვა მართლაც ერთ-ერთი ძირითადი და უმთავრესი მნიშვნელობის მოტივთაგანია, მის სწორად გააზრებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. კერძოდ, არის თუ არა ამირანი პრომეთეს ტიპის კულტურული გმირი და სხვა. მაგრამ საკითხავია, რა პოზიცია შეიძლება დავიკავოთ იმ საარქივო მასალის მიმართ, სადაც ამირანის ბუნება, ფუნქციები, ჩამომავლობა, დასჯა და სხვა განსხვავებულია, ვიდრე გამოქვეყნებულ ვარიანტებში; მათგან ძალიან ბევრს ვერ ვუწოდებთ დეგრადაციამქნილ ნაფლეთებს, პირიქით, ისინი სიუჟეტური მთლიანობითა და მხატვრული სრულყოფილებით ზოგჯერ კიდევ აღემატებიან გამოქვეყნებულ ვარიანტებს. ჩვენი აზრით, ყველა შემთხვევაში საჭიროა ცნობილ ვარიანტებთან ერთად საარქივო მასალის სრულად გათვალისწინება, განსხვავებული შინაარსის ტექსტების წარმოჩენა, რომ კვლევა ობიექტურად წარიმართოს. ვფიქრობთ, რომ უმთავრესი მნიშვნელობის ვარიანტები და მოტივები მხოლოდ ამ გზით შეიძლება გამოიკვეთოს. სწორედ ამ აზრითაა საინტერესო სვანურ ზეპირსიტყვიერებაში მოძიებული ტექსტები. მათში ამირანის წარმომავლობა, ბუნება, ფუნქციები, დასჯა და სხვა სულ სხვაგვარადაა, ვიდრე ტრადიციულ ტექსტებში. კერძოდ, ვარიანტთა უმეტეს ნაწილში ამირანი ქრისტე ღმერთისაგან ისჯება ფიცის გატეხისათვის, ქრისტეს თავდებობის დარღვევისათვის და არა საჭიდაოდ, საბრძოლველად გამოწვევისათვის. „ამირანიანის“ სვანური ვარიანტების ამ თავისებურებას პროფ. ზ. კიკნაძემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით: „ამირანი ისჯე-

ბა: 1. უფალთან გატოლების მცდელობისათვის, 2. ფიცის სამგზისი გატეხისათვის და არამც და არამც ცეცხლის (ან ყამარის) მოტაცებისათვის (კიკნაძე, 2001:40) ე.ი. სვანურის ვერსიაში ამირანის დასჯის უმთავრესი მიზეზი სამჯერ ფიცის გატეხაა იგივე აზრისაა რ. ჩხეიძე (ჩხეიძე, 1991:51). რასაკვირველია კვლევა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამ აზრითაა საინტერესო სვანური ვარიანტები. სამეცნიერო ლიტერატურაში კი პირიქით, აქცენტები მხოლოდ იმგვარ ტექსტებზეა გადატანილი, სადაც ამირანმა ქრისტე ღმერთი საჭიდაოდ, საბრძოლველად გამოიწვია. ეს აზრი დღემდე შეუცვლელი რჩება. პროფ. მიხ. ჩიქოვანი მის მიერ შერჩეული ვარიანტების მიხედვით დაასკვნის, რომ „ითქმის ყველა ვარიანტი, სადაც მიჯაჭვის ეპიზოდია დაცული, აღიარებს, რომ ამირანმა ქრისტე ღმერთი საჭიდაოდ, საბრძოლველად გამოიწვია (ჩიქოვანი, 159.7476). ცხადია, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებებს და თვით კვლევის გზებსა და მეთოდებს თავისი საფუძველი აქვს და აქ საკამათოც არაფერია, მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიციულ გამოკვლევებში საპირისპირო შინაარსის ტექსტები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ეს განსაკუთრებით ითქმის სვანურ ზეპირსიტყვიერებაში მოძიებულ ვარიანტებზე. აქ ამირანის დასჯის უმთავრესი მიზეზი, როგორც ითქვა, ქრისტეს თავდებობის სამჯერ დარღვევაა, მას მიწა უსკდება. დაიძებნება ისეთი ტექსტებიც, სადაც ამირანი ძალის გამოცდის მიზნით ეხვეწება მაცხოვარს, რომ დაეჭილოს, ვინაიდან მისი მეტოქე ამ ქვეყანაზე არავინ გამოჩნდა. ბრძოლის სურვილი ამგვარი შინაარსის ტექსტებში ნამდვილად არ ჩანს, (მაგრამ ძალის გამოცდა მაინც დიდი ცოლგვაა ღვთის წინაშე). ისინი სხვა აზრითაც ორიგინალური ვარიანტებია და უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია სხვა, უმთავრესი პრობლემების გასარკვევად. რასაკვირველია, კონკრეტულ შემთხვევაში ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ყოველი ვარიანტი დამოუკიდებელი თავისთავადობაა, მასში რაიმე ნიუანსი, თუკი იგი განსხვავებულია, გამოსაკვლევა, მას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს, მით უმეტეს ორიგინალურ ტექსტებს. სპეციალისტები კი რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს სვანურ ზეპირსიტყვიერებაში მოძიებული ვარიანტების თავისებურებებს. მიზეზი, ალბათ, ისევ წინასწარ შემუშავებული აზრე-

ბია, რის გამოც ძალზე საინტერესო ტექსტებმა ვერ იპოვეს კუთვნილი ადგილი ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, მასში მხოლოდ სამი სვანური ვარიანტია წარმოდგენილი, მკვლევრის ხელთ კი ათზე მეტი ჩანაწერი იყო, (ჩიქოვანი, 1947:15), ხოლო თორმეტი წლის შემდეგ გამოცემულ ნაშრომში („ქართული ეპოსი“), ნაწ. I, ნაუწყებია, რომ ამირანის სვანური ვარიანტების უკვე ოცამდე ჩანაწერია ცნობილი. სამწუხაროდ, ამ ჩანაწერების თემატიკურ სპეციფიკასა და სიუჟეტურ აღნაგობაზე, მათ მნიშვნელობაზე ძეგლის პრობლემურ საკითხთა გარკვევაში ძალიან ცოტა რამაა თქმული და, თუ არის, მხოლოდ მკრთალი მინიშნებებია. სპეციალურად ისინი არავის გამოუკვლევია. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ პროფ. მიხ. ჩიქოვანის ზემოთ დასახელებული ნაშრომი მართლაც რომ განსაკუთრებული ღირებულებისაა „ამირანიანის“ მეცნიერული კვლევის ისტორიისათვის და მას ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს მომავალშიც, მიგვაჩნია, რომ კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე ისევ პირველი რიგის ამოცანად რჩება როგორც მდიდარი საარქივო მასალის, ასევე არქივებს გარეთ ჯერ კიდევ არსებული ვარიანტების საგულდაგულოდ მოძიება, მათი ზუსტი მეცნიერული აღწერილობა, ტიპური ვარიანტების წარმოჩენა და ურთიერთშეჯერება, შესაბამისი მეცნიერული პრინციპებით დალაგება და შესწავლა. ამასთანავე (თუკი ეს აუცილებელია, როგორც ამას მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის), საგანგებოდ უნდა გამოვყოთ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოტივები. ჩვენი საბოლოო აზრი ამ საკითხზე ასეთია: „ამირანიანის“ პრობლემურ საკითხთა კვლევაში თითოეული მოტივი საინტერესო და მნიშვნელოვანია, თითოეულს თავისი ფუნქცია აკისრია, თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია სიუჟეტის განვითარებასა და შესწავლაში. რასაკვირველია, აქცენტები შეიძლება გაკეთდეს შედარებით აღმატებულ, უმთავრესი ღირებულების მოტივსა თუ მოტივებზე, მაგრამ არა იმ ყოვლისმომცველი მნიშვნელობითა და აზრით, როგორც ეს ცალკეულ მკვლევართა შრომებშია, რომ მხოლოდ ის ერთი, თუნდაც იგივე მიჯაჭვა, მივიჩნიოთ ერთადერთ გადამწყვეტი მნიშვნელობის მოტივად, ურომლისოდაც ხელს ავიღებდით სხვა სიუჟეტების შესწავლაზე და ეს მაშინ, როცა „ამირანიანის“ ჩვენთვის ცნობილი ვარიანტები წინასწარ შემუშავებული აზრებითაა გამოქვეყნებული და

შესწავლილი. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე და ზომიერებაა დასაცავი, რომ სახიფათო ცალმხრივობის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. ვიმეორებთ, მოტივთა მეტ-ნაკლებ ღირებულებაზე მსჯელობა აუცილებელიც კი არის, მაგრამ იგი არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ, ჩვენი აზრით, ან საერთოდ, რომელიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მოტივი (კონკრეტულ შემთხვევაში არც სუბიექტურობისაგან ვართ დაზღვეული, ვინაიდან ერთი მკვლევრისთვის ამირანიანში ერთი მოტივია უმთავრესი მნიშვნელობისა, მეორისათვის კი - სხვა) თუ სხვა ვარიანტებში არ დასტურდება იმგვარად, როგორც ეს ჩვენთვისაა მისაღები, აკრიტიკებთ სიუჟეტად ან დეგრადაციამქნილ ნაფლეთებად მივიჩნიოთ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საარქივო მასალები არ იძლევიან ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. ამ აზრით საინტერესოა სევანურ ზეპირსიტყვიერებაში მოძიებული ვარიანტები, რომლებიც, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული, გამოირჩევიან თემატიკური სიახლითა და რთული სიუჟეტური აღნაგობით. თუმცა ამ გამორჩეულობის ჩვენებისაგან ვერ კიდევ შორსა ვართ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყველა მკვლევრისათვის მისაღებ იმ ამოსავალ დებულებას, რომ ამირანი ქალღმერთი დალისა და უცნობი მონადირის შვილია, რამაც დასაბამი დაუდო ძეგლის მითოლოგიურობის თეორიას და თვით ცენტრალური გმირის ღვთიურ ჩამომავლობას დედის ხაზით, თუმცა ტექსტები არც ამ შემთხვევაშია ზუსტად დამოწმებული. დებულება კი ძალზე მყარი და საინტერესო აღმოჩნდა. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ სევანეთში მოძიებულ ვარიანტებს ამ საკითხშიც მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ. თქმულის ნათელსაყოფად ყველაზე საუკეთესო გზა მასალების წარმოდგენაა. გადმოვცემთ ერთ-ერთი ვარიანტის („ამირავ“) შინაარსს: „ივა ხელმწიფეს ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ერთს ერქვა ვისიბი, მეორეს ბადრი და მესამეს ჩალამ-კალამი. ძმები ძალზე სახელგანთქმულები იყვნენ ახალგაზრდობისას. დევები მთლიანად ამოხოცეს ძირიან-ფოთლიანად და მხოლოდ არჩვის ხორციით იკვებებოდნენ. ქვეყანა მათ აქებდა.

ერთ დღეს ესენი სანადიროდ წავიდნენ. უდელტეხილზე დანახეს დახვეული ხარის ტყავი, რომელიც ხან აღმოსავლეთისაკენ იხრება, ხან დასავლეთისაკენ, ხან ჩრდილოეთისაკენ, ხან სამხრეთისა-

კენ, თან ისე ტრიალებს, რომ თვალს ძლივსღა მოასწრებს კაცი. ძმებს ტყავის დაჭერა მოუნდათ ძალიან, მაგრამ მან ნიაგქარივით ტრიალი დაიწყო. ბადრიმ თქვა: მშვილდ-ისრები ვესროლოთო. ძმები, რაც შეუძლიათ, დაუზოგავად სტყორცნიან ისრებს, მაგრამ ტყავმა ახლოსაც არ გაიკარა და ნამტვრევებიღა დაუბრუნა უკან. ასე გააგრძელეს დილიდან საღამომდე. საღამოს კი ხელ-ფეხგალახული და ცარიელი დაბრუნდნენ შინ. არაფერი გაამხილეს და ხმაგაკმედილნი არიან. მეორე დღეს ისევ გაბრუნდნენ ტყავის საძებნელად. ტყავი დაყურებულად დევს ერთ მზიან ადგილას. მიეპარნენ, — დავიჭერთო, — ცოტაღა უკლიათ ტყავამდე, მაგრამ ისეთი ხტუნვა და ფრენა დაიწყო, რომ ახლოსაც არ გაიკარა. ასე ეპარებოდნენ სამი დღე უწყვეტად, მაგრამ, ჭირის მეტი, ვერაფერი ნახეს.

მესამე ღამეს გულგატეხილნი დაბრუნდნენ შინ და უბრად სხედან კერასთან. ივა მამამ გამოჰკითხა დარდის მიზეზი და შეილებმაც დაუფარავად უაბბეს ყველაფერი.

ივამ უთხრა: — ოო, იესო ანგელოზის შვილია და ქვეყანაზე იმიტომღა დასმული, რომ ადამიანად გარდაიქმნასო (გადაიქცეს). იმას ასე ადვილად ვერ დაიჭერთ, მე როგორც გეტყვით, ისე გააკეთეთ და ამას ჩვენ იღბლად ვაქცევთ. სადაც ეს ტყავი დევს, იმ მთის ძირას ერთი წყარო მოედინება. იმას ჰქვია იორდანეს წყალი. პირველად ამ წყაროსთან ჩადით, ხელში დაიკავეთ ეს აბრეშუმის ბადე და ჩადვით ნაპირთან. ეს ბადე ჩემმა ნათლია ქრისტე ღმერთმა მიბოძა და თავისი ძალაც ზედ დაანათლა. ბადის ჩადგმის შემდეგ ტყავს სამივე მხრიდან მოექცეით და როგორმე მოახერხეთ, რომ ბადისკენ გაგზავნოთ. ბადეში გაბმის შემდეგ, სანამ იორდანეს წყლით არ გაიჟღინთება, ხელი არ ახლოთ, თუ არა გამოხტება და დაგამარცხებთ. წყალი ასხით, ტყავი დამშვიდდება, ამოიღეთ და შინ წამოიღეთ, მაგრამ შინ მოსვლამდე არ გახსნათ, თუ არა ცუდად წაგვივა საქმე.

ძმებმა მართლაც ასე გააკეთეს, როგორც ივა მამამ დაარიგა, დაღამებამდე დაიჭირეს, იორდანეს წყალი გადაასხეს. დახვეული ტყავი დაყურდა და შინ წამოიღეს, მაგრამ ისე მძიმე იყო, რომ სამმა გმირმა ძლივს შემოიტანა შინ. ივა მამამ ღმერთს დიდება, ლოცვა აღუვლინა, კარ-ფანჯარა გადაკეტა, ტყავი გახსნა და იქიდან ლამპარივით მანათობელი ყრმა გადმოეშვა, — კარ-ფანჯრისკენ გაიწია, მაგ-

რამ დაკეტილი დახვდა, ჭერისკენ დაიწყო ფრენა და ასე უწყვეტად ერთი დღე და ღამე ფრენდა. მეორე დღეს ჩამოეშვა და კერიასთან დადგა. ივამ თავი დაუხარა, ღმერთს დიდება აღუეღინა და ამ დროს ქრისტე ღმერთი მობრძანდა, ბავშვი მონათლა, ამირანი უწოდა, სახლ-კარი დალოცა და წაბრძანდა. ივასა და მის შვილებს მოუნდათ ამირანთან მისვლა და მოფერება, მაგრამ ამირანმა შეაჩერა და უთხრა: იგიო ისევე ტყავში შემსვლელი არისო. სამი დღე და ღამე უნდა იყოს იმაშიო. კარგად დასვენების შემდეგ გამოვაო და მათთან მარტო იქნებაო.

ივა ხელმწიფემ და მისმა შვილებმა მართლაც ასე გააკეთეს. სამი დღე-ღამის შემდეგ ტყავიდან გამოვიდა და ისეთი შესახედვია, რომ შესახედადა ცოდვა. ივა ხელმწიფემ შვილობილად აიყვანა ამირანი და საკუთარ შვილებზე უფრო მეტად უყვარს. ერთ თვეში ამირანი ოცი წლის ვაჟკაცს დაემსგავსა, თავის ძმებს სანადიროდ დაჰყვება...

ერთ დღეს, ნადირობიდან დაბრუნებისას, დასასვენებლად ჩამოსხდნენ. ამირანმა ჰკითხა თავის ძმებს: — რა არის, რომ მათ მამას მარტო ცალი თვალი უდგას? რა მოუვიდაო მეორე თვალზე, რამ დასთხარა, რამ წარსტაცა... ნუ დაუმალავენო...

ბადრიმ უთხრა: — ერთხელ ჩალამ კალამმა ჰკითხაო ამაზე მათ ბაბუასო, მაგრამ ისეთი დღე დაუთევიაო, რომ შემდგომ ვერავის ვერ გაუბედავს ამაზე კითხვა.

— აბა, ამირანი ნუმც მრქმევია, თუ ეს საქმე ვერ გავიგო!

ამალამ ერთი მეორეს მოუსხდნენ და ათას რამეზე გააბეს საუბარი და ბოლოს ამირანი შეეხვეწა: — ბაბუა, მაღლი ქენი (გექნება) და, თუ შვილად მიგაჩნვიარ, ერთ საქმეს გეკითხები და არ წამეჩხუბოო.

— რატომ წაგეჩხუბები, ბაბუას დღე შენ შეგემატოს, კითხვისთვის მე არავის წაგეჩხუბებივარ და შენ რატომ წაგეჩხუბები, შვილებში ყველაზე საიმედოსა და სარწმუნოს?

— აბა, ბაბუა, აქამდეც მინდოდა ამის კითხვა, მაგრამ მერიდებოდა. რა მოგივიდა ცალ თვალზე?...

ეს რომ გაიგონა ივა ხელმწიფემ, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ თქმით არაფერი თქვა, მხოლოდ ზურგი შეაქცია შვილებს.

ამირანმა უთხრა: – დამნაშავე ვარ კითხვისათვის, მაგრამ, რა-
ხან შენი თვალის ამბავს არ გამოცხადებ, არ გდომებია ჩემი თავი შვი-
ლად და მე ხვალვე გაუუღებები ჩემს გზას, აქ მყოფი არა ვარ. მართა-
ლია, შენ გამზარდე, თქვენი განშორება ძალიან ძნელი იქნება ჩემ-
თვის, მაგრამ ესეც მართალია, – შენ ჩემი ნამდვილი მამა არა ხარ.

მაშინ შემობრუნდა ივა ხელმწიფე თავისი შვილებისკენ და
უთხრა:

– ამირან, შენი ფასი არავინ მყავს, ჩემს ნამდვილ შვილებს
მირჩეენიხარ, დასამალი რა მექნება, მაგრამ მედარდებით, რაიმე არ
დაგემართოთ ჩემი თვალის გამო... კარგი, ამდამ მაცალეთ, ხვალ კი
ერთ საქმეს დაგავალებ, და თუ შეასრულებთ, ეჰ, რაც საჭირო იქნე-
ბა, ყველაფერს გეტყვი.

მეორე დღეს ივა ხელმწიფემ თავისი შვილები სავაზიროდ
დაიბარა და უთხრა:

– რახან არ მომასვენეთ, გეტყვით: თორმეტი მთის იქით კა-
ლია ბინადრობს, შემდგომ სკა დგას. თუ მომიტანთ კალიას ხორცს და
სკის თაფლს აქ! ეჰ, გაგიმხელთ ჩემი თვალის ამბავს.

ძმები მეორე დღეს გაუღდნენ გზას და დიდი ვაი-ვაგლახით,
ერთი წლის შემდეგ ძლივს მიაღწიეს კალიას საბინადრო ქვეყანამდე,
მაგრამ კალია იყო ისეთი დიდი, უზარმაზარი, რომ საშველი არ ჰქონ-
და. დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი ძმები, ცალი ფრთა შეარხია და
ისეთი ქარბუქი ატეხა, რომ ბადრი, ვისიბი და ჩალამ კალამი ცხრა
მთას იქით გადასტყორცნა. ამირანმა წვივები მუხლებამდე ჩაფლო
მიწაში (იგულისხმება, რომ ამირანი თვითონ დააწვა მიწას), კალიამ
ფრთები დაკეცა, დამშვიდდა და სწორედ მაშინ მიეჭრა ამირანი, ქამ-
რიდან დააძრო დედის მუცლიდან გამოყოლილი ვეფხვის კუდი და,
სანამ ისევ შეარხევდა ფრთას და ქარბუქს ატეხდა, მანამდე ჯერ ერთი
ფრთა მოკვეთა, შემდეგ კი მეორე – ბოლოს ხმლით აქნა კალია. ამ
დროს მისმა ძმებმაც მოაღწიეს უკან ამირანთან და ერთად გაუღდნენ
გზას სკის სამებნელად. მიაღწენ ტრიალ მინდორს. შუაში დგას სახ-
ლისოდენა სკა, საიდანაც ადამიანის სიდიდის ფუტკარი გამოდიოდა.
მათი ზუზუნი ერთი დღის სავალი გზის სიშორეზე ისმოდა და ახლოს
მისვლამდე კაცს დააყრუებდა. ამირანმა თავისი ძმები მის მიერ მოკ-
ლულ კალიასკენ გაგზავნა, რომ ფრთებისთვის ჩამოეჭრათ ყურების

საცობად, რომ არ დაყრუბულიყვნენ. ძმებმა ხმლით, ამირანმა კი ვეფხვის კუდით დაამარცხეს ფუტკრები და სამი წლის შემდეგ დაბრუნდნენ შინ. ივამ შვილების მშვიდობიანად მოსვლითა და დავალების შესრულებით გაიხარა, ღვინო გამოართა. შემდეგ კი დაიბარა შვილები სავაზიროდ და უთხრა: ახლავ მოუყვება მისი თვალის საქმეს.

— ეს თაფლი და კალიას ხორცი ჩემი საჭმელი იყო, მაგრამ ბაყბაყ დევის ქალიშვილმა ჩემი საყვარლობა მოინდომა. მე ეს არ ვქენი. მან კი თავისი მამა გააღიზიანა, თითქოს მე მისთვის შეურაცხყოფა მომეყენებინოს. ბაყბაყ დევმა მტრობა დაიწყო. ჯერ თაფლი და კალია წამართვა, მერე კი ნადირობისას შემხვდა, მომერია და თვალი წარმტაცა, თავის ქალიშვილს წაუღო და მას ოქროს თეფშზე უდევს.

ბაყბაყ დევის მორევა ადვილი ნუ გვინათ. მის სახლსა და ციხეს ირგვლივ არტყია ჯერ გველესაპების, მერე რკინის ჯარისკაცების, შიგნით კი გაავებული ძაღლების ჯარი. ივამ ისიც აუწყა, თუ რანაირი ხერხებით უნდა დაამარცხონ ბაყბაყდევნი...

ამირანი და მისი ძმები გაემგზავრნენ ბაყბაყ დევის წინააღმდეგ საბრძოლველად, უდაბურ ტყეში მხარი აექცათ, საით წავიდნენ, აღარ იციან, მხოლოდ ცისკენაა ასახედავი. ამირანი ჩოქებზე დადგა და მის ნათლიას, ქრისტე ღმერთს, შეეხვეწა: მაღლი ექნებაო და შეიცოდოსო მისი ნათლული, არ გაიშეტოსო ტყეში დასაღუპავად.

ნათლიასგან მოესმა ხმა: ქრისტეს თავდებობას გაუფრთხილდესო, თუ არა სამჯერ გატეხის შემდეგ მასო (ნათლიას) არაფერი შეეძლება. ახლა ამას გამოჰყევითო, — და ნათლიამ მტრედი გამოგზავნა გზის საჩვენებლად. მტრედმა ამირანი და მისი ძმები ტრიალ მინდორზე გამოიყვანა და გაქრა. ამირანმა ძმებს უთხრა: გველესაპებს თქვენ შეებით, თუ გაგიჭირდებათ, მხარში ამოვიდგებით. სამი დღე და ღამე იომეს ძმებმა, გველესაპები გაწყვიტეს, მაგრამ ისე დაიღალნენ, რომ მიწაზე დაცვივდნენ უგონოდ. ამირანმა სამივე ძმა გამოაჯანსაღა, გაამთელა. თვითონ კი რკინის ჯარისკაცებს დაერია. ძალიან გაუჭირდა და ვეფხვის კუდი დაადრო ქაშირიდან. რკინის ჯარისკაცები მაშინვე გაქრნენ, აკრძალული ჰქონდათ მისი დანახვა. ასევე გაუჭირდა ამირანს დევის დასთან ბრძოლა, მაგრამ ვეფხვის კუდით ისიც დაამარცხა. დევის დამ კი ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა, რომ არ მოკლავდა. ამირანმა პირობა მისცა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოკლა. პირვე-

ლად აქ გაუტყდა ამირანს ქრისტეს თავდებობა, ფიცი. ივას თვალი შინ წამოიღეს.

ივა ხელმწიფემ ძალიან გაიხარა, მთელი სახელმწიფო დაჰპატიჟა, დიდი ღვინო გადაიხადა, მაგრამ ამირანს მოსწყინდა შინ ჯდომა და ისევ საჭაბუკოდ გაიჭრა ძმებთან ერთად.

ერთ დღეს ძმები სანადიროდ წავიდნენ, ვერაფერი მოინადირეს, შხის ჩასვლისას კი მთაზე ორთქლი დაინახეს. ამირანმა თქვა: ჩვენ ვიყოთ დაწყველილები, თუ ამ ორთქლის ამბავი ვერ გავიგოთო...

ძმები დილაადრიან გაუდგნენ გზას, შუადღისას მწვერვალს თავზე მოექცნენ. იქ ნახეს მიწას შეზრდილი ქვა, რომლის ხერელებიდან ცხელი ორთქლი ბოლქვებად მოედინებოდა. ახლოს მისვლა შეუძლებელი იყო. ბოლოს ძირი გამოუთხარეს, მაგრამ ისეთმა აღმა იფეთქა, რომ იქაურობა კინალამ გადაბუგა. ამირანმა ნაბადი წყალში გაჟღინთა, შემოიხვია და პირდაპირ ხერელში ჩაეშვა, ნაბადი მთლიანად დაეწვა, თვითონ კი უვნებელი დარჩა. შიგ ხელმწიფოს ქალიშვილები დახვდა, მოთქვამდნენ, ისინი ცხრათავეან დევს მოუტაცია. ამირანმა ხერელში ჩაიხვია და იქ, ცეცხლის პირას, წამოწოლილი დევი დაინახა. იქიდან ამოდირა ელიას ალი. ამირანი ჩაუხტა დევს და მთელი კვირა იომეს. ბოლოს დაამარცხა და თავების მოჭრა დაუწყო. როცა მერვე თავი მოჭრა, დევმა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა და უთხრა: ამ თავს ნუ მოჭრისო იგი და ცეცხლს მისცემს მარადუბულადო. ამ ცეცხლზე პურს გამოაცხოებენ და საჭმელს მოამზადებენო და ადამიანის საქმე ათასჯერ წინ წავაო. ცეცხლი ამ ჭურჭელში ჩაღვასო და აღარ ჩაუქრებაო.

ყოველივე ეს რომ გაუმჟღავნა დევმა ამირანს, დააძრო თავისი ხმალი და მეცხრე თავიც მოსჭრა. მეორედ აქ გაუტყდა ამირანს ქრისტეს თავდებობა. ამირანი ამოვიდა ქვედა სამყაროდან, დევის მიერ გატაცებული მეფის ქალიშვილებიც ამოიყვანა და ცოლად შერთო თავის ძმებს, თან უთხრა: ესენი ამა და ამ მეფის შვილები არიანო... გახარებულები მოდიან შინისკენ. ერთ ადგილას დაინახეს, რომ შავ დედაბერს ჩვილი ბავშვების თავებით მოუფენია კალო და ლეწავდა, თან მღეროდა. ამირანმა ხანჯალი დააბჯინა ყელზე და უთხრა: ახლავე გააგებინოსო, რა ამბავია, თუ არა დასდგომიანო ბოლო დღე! დიდაბერ-

მა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა, რომ არ მოკლავდა და ყველაფერს გაუცხადებდა. ამირანი დასთანხმდა.

დელაბერმა უთხრა: ამ ბავშვების თავებით ბაყბაყდვის ძმას, ქეშეკ ღვეს, გადმოუცია გასალეწად. მასო (ამირანს) ქეშეკ ღვეის ძმა მოუკლავს, ამას კი გულში ივას სახლ—კარისა და სახელმწიფოს სრული ამოწყვეტა და გაპარტახება გადაუწყვეტია. ერთი კალო გავლენით და ბზე ივა ხელმწიფეს შევაყარეთ და იგი ახლა ჭკუაზეა შემცდარი, რას აკეთებს, არ იცის. თუ ამ მეორე განალეწს მივაყრით, მაშინ თქვენ და თქვენ სახელმწიფოს ადამიანები ქვებად იქცევიანო. ახლა თქვენი ბაბუა გაგიუბუბული დაგხვდებათ, მაგრამ მას იორდანეს წყალი ასხურეთ და გამოკეთდებაო.

დელაბერმა დაამთავრა თუ არა ამის თქმა, ამირანმა მაშინვე მოსჭრა თავი. ახლა კი შესამედ გაუტყდა ქრისტეს თავდებობა.

ამირანი ძმებზე აღრე წამოვიდა შინ, იორდანეს წყალიც წამოიღო და მიასხურა ივა მამას და გამოკეთდა. ძმების ცოლები ორომ მეფის ასულები აღმოჩნდნენ. დიდი ქორწილი გადაიხადეს. მთქმელის შენიშვნით: ამირანი, მისი ძმები და რძლები მზესა და მთარესავით ანათებენ და პურმარილივით შეწყობილები არიან ერთიმეორესთან. ქორწილზე სხვადასხვა სახელმწიფოს გმირები ძალას ცდიდნენ ერთიმეორესთან, მაგრამ ამირანმა ყველას ქელი მოახრევინა. ბოლოს მესამე სახელმწიფოს შვილები და გმირები მოვიდნენ. მათგან ერთი იყო ისე ძლიერი, რომ მისი მეტოქე დელამიწაზე არ იყო დაბადებული. ამირანს ყველასთან არ უნდოდა ძალის გამოცდა და კინალამ უარი თქვა, მაგრამ მოწინააღმდეგე დადგა მინდორში და ამირანი გამოიწვია, თან ტრაბახით თქვა: ამირანს მე ვასწავლი ჭკუასო.

მაშინ გამოვიდა ამირანი და დადგა მინდორში. გამოექანა მოწინააღმდეგე მთელი ძალით და ისე მძლავრად დაეძგერა ამირანს, რომ ხალხმა იფიქრა, ალბათ, გაჭყლიტაო. მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ასე განმეორდა სამჯერ, მაშინ გაბრაზდა მოწინააღმდეგე და ხანჯლით დაუწყო ცემა. ამირანი მხოლოდ ახლა გაბრაზდა ადამიანზე, სწვდა მკლავში და ისეთი ძალით დასცა მიწაზე, რომ ნაფლეთები იქეთ—აქეთ გაცვივდა.

ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ამირანმა ცოლად შეირთო მზესავით მანათობელი ყამარი. მთელი სახლუეულობა კარგად ცხოვ-

რობს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოსწყინდება ამირანს ასე მშვიდი ცხოვრება და სახეტილოდ წავიდა. თუ სადმე სახელგანთქმული მოჭიდავე ან გმირი იყო, ყველას ეჭვიდავებოდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, ყველა ხელში აკვდებოდა. მისი მეტოქე აღარ დაიბადა.

ერთხელ მის წინ ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა, ნათლიამ, ამირანი წინ დაუხვდა და შეეხვეწა. მიწაზე მობინადრე კერაფერი მძლევსო და ერთი იგი (ნათლია) დაეჭიდოსო.

მაცხოვარმა უპასუხა: „აქაო სირცხვილია, ვერ დაეჭიდებაო“...

მიდიან და ერთი დიდი კლდის თავზე ავიდნენ. აქ კი ქრისტე ღმერთმა ამირანი მის მიერ კლდეში ჩასმულ ჯოხს მიაჯაჭვა, გვერდით ყურმა დაუყენა, ყურმა ამირანის ბორკილს, საკიდელს ლოკავს... დასასრული ამ ძეგლშიც ტრადიციულია“ (დავითიანი, 1957:256).

ასეთია ამ საინტერესო ტექსტის შინაარსი. ჩვენ მას ქალღანისეულ ვარიანტად მოვისხსენიებთ. დამოწმებული ვარიანტი ძალზე ორიგინალურია. მსგავსი შინაარსის ტექსტი საქართველოს არც ერთ ისტორიულ მხარეში არ დასტურდება, მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაში დაეძგნება ვარიანტები. ერთ-ერთი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივში, რომელიც ჩაწერილია ცნობილი ხალხური მთქმელის სერგო (სები) გულედანის მიერ მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში დალში მცხოვრები ზაქარია გურჩიანისაგან, 1944 წ. სექტემბერი (ხელნაწერი, 1949:2-6) მას გურჩიანისეულ ვარიანტად მოვისხსენიებთ. უნდა დავსძინოთ, რომ სებისეულ ჩანაწერს (სვანურ ტექსტს) ძალზე საინტერესო ისტორია აქვს. სვანურიდან იგი გადაუწერია და უთარგმნია ენათმეცნიერს, ალი დავითიანს. ტექსტი ინახება (სვანური და ქართული) შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილების არქივში (ხელნაწერი, 1958:5-8). მართალია, ვარიანტები იდენტურია, მაგრამ სვანური ტექსტის სებისეული თარგმანი საკმარისად ვრცელია (უნდა ვივარაუდოთ, რომ ალი დავითიანი არ შეამოკლებდა სვანურ ტექსტს). ცალკეული ეპიზოდები შეცვლილია, დასასრულის ნაწილი გამოტოვებულია. ამიტომ ქართულად თარგმნილ ტექსტს

თამამად შეიძლება ვუწოდოთ გულუდანიისეული ვარიანტი. სები ამ შემთხვევაში ავტორმთქმელია, ვიდრე მის მიერ ჩაწერილი სვანური ტექსტის ზუსტი მთარგმნელი (ზუსტი თარგმანი ალი დავითიანს ეკუთვნის). ამდენად, ჩვენ ხელთ სამი ვარიანტია: ქალღანიისეული, გურჩიანისეული და გულუდანიისეული. სამივე ქმნის ვარიანტთა ერთ წრეს, ანუ ჯგუფს, მნიშვნელოვნად თავისებურს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დასახელებული ვარიანტების ტექსტობრივი შედარება, მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენა, ოღონდ ყურადღება უნდა შეჩერდეს არა მხოლოდ მკვეთრად განმასხვავებელ ან ახალ ეპიზოდებზე, პერსონაჟების ქმედებათა თავისებურებებზე, რაც დამოუკიდებლად ძალზე მნიშვნელოვანია, არამედ ერთნაირად აღწერილ სიტუაციებში ცალკეულ სპეციფიკურ გამონათქვამებზე, სიტყვებზე, ზოგჯერ ნიუანსობრივად განსხვავებულზეც. სვანური ენის სპეციფიკა ამგვარი მოთხოვნის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. იგი საერთო ქართველური ძირებიდან ამოზრდილი ტომობრივი ენაა, გამოირჩევა სიტყვათა მრავალნაირი მნიშვნელობით. აქ ერთმა სპეციფიკურმა გამოთქმამ, სიტყვამაც, შეიძლება მთელი ტექსტის შინაარსი შეცვალოს. ასეთი სიტყვები და გამოთქმები ძალიან ბევრია სვანურ ფოლკლორულ ძეგლებში, კონკრეტულად კი „ამირანიანის“ ქვემოთ განსახილველ ვარიანტებში. ასე, მაგალითად, სამივე ჩანაწერში შესავალი თითქმის ერთნაირია, იდენტური. გადმოცემულია, რომ ივა ხელმწიფეს სამი ვაჟიშვილი ყავს: ვისიბი, ბადრი, ჩალამ კალამი. ისინი სახელგანთქმული მონადირეები არიან, დევების წინააღმდეგ მებრძოლნი. დამოწმებული (ქალღანიისეული) ვარიანტი კიდევ უფრო აზუსტებს, აკონკრეტებს მათ ქმედებას და გვაუწყებს, რომ „დევები ძირიან, ფოთლიანად ამოწყვიტეს და მარტო ჯიხვისა და არჩვის ზორცით იკვებებიან, მთელი ქვეყანა მათ აქებს“. ეს ორი ფრაზა ძალზე მნიშვნელოვანია. მცირედი სხვაობა შეინიშნება მთის მწვერვალზე დასმული დახვეული ხარის ტყავის იღუმალებათა ამოცნობაშიც: ტყავი ნიაგქარივით ტრიალებს, ძმებმა იგი ვერაფრით დაიჭირეს, მათი ნატყორცი ისრები ახლოსაც არ გაიკარა, უფრო ზუსტად, უკან დაუბრუნა. განსახილველ ქალღანიისეულ ვარიანტში ივა მამა, ხელმწიფე, შვილებს ჯერ იმაზე მიანიშნებს, რომ „ისო (იგულისხმება ტყავში მყოფი) ანგელოზის შვილია, ქვეყანაზე იმიტომამა დასმული,

რომ ადამიანად იქცეს“. ამის შემდეგ კი ურჩევს, რომ წაიღონ ეს აბრეშუმის ბადე, რომელიც მისმა ნათლია ქრისტე ღმერთმა აჩუქა და თავისი ძალაც ზედ დაანათლა“ (დავითიანი, 1957-256). სწორედ ეს ფრაზა არ დასტურდება გურჩიანისეულსა და გულედანისეულ ვარიანტებში. ფრაზის მნიშვნელობა განსაკუთრებულია, მთქმელი გვაგრძნობინებს, რომ სწორედ ამ არაჩვეულებრივ, ქრისტეს ძალადანთლულ აბრეშუმის ბადეს ძალეუმი ანგელოზის შვილის დაკავება იორდანეს წყალში. სწორედ ამ წყლით უნდა გაიჟინთოს ტყავი, მას გმირებმა წყალი უნდა დაასხან, რათა მასში მყოფი არსება დაფუძნდეს, დამშვიდდეს, რომ მისი ადამიანთა საცხოვრისში შემოსვლა მოხერხდეს. ამასთანავე, გმირებმა ტყავი შინ მოსვლამდე არ უნდა გახსნან, თუ არა ანგელოზის შვილი გაფრინდება: გურჩიანისეული ვარიანტით, გულედანისეულით კი დაგამარცხებთ, ზოლო ქალდანიისეული ვარიანტითაც ასეა და იმაზეცაა მინიშნება, რომ შინ მოსვლამდეც არ გახსნან, თორემ „ცუდად წაგვივა საქმეო“.

სხვაობა შეინიშნება ივა მეფის პირველი დავალების აღსრულების ეპიზოდშიც. როდესაც ძმებმა უზარმაზარი კალია დაამარცხეს, თაფლის მოსაპოვებლად წავიდნენ. ერთ ადგილას დაინახეს სახლისოდენა სკა, საიდანაც მსხვილფეხა საქონლის სიდიდის ფუტკარი გამოდიოდა. ძმებმა ისინი ვეფხვის კუდით დაამარცხეს“. ქალდანიისეული ვარიანტით თაფლი ფრთებშეჭრილ ფუტკარს აკიდეს. გულედანისეული ვარიანტი კი ფუტკარზე გამარჯვების შემდეგ თაფლი ერთ კოჭლ ფუტკარს (დედანში წერია ბუზს) აჰკიდეს...

მნიშვნელოვანი სხვაობითაა აღწერილი ივა მამის უმთავრესი დავალების აღსრულება, კერძოდ, ძმებს უნდა დაემარცხებინათ ურად დევი, შემდეგ მისი ასული და წარეტაცათ ივა ხელმწიფის თვალი. ივა მამამ დაწვრილებით აუხსნა შვილებს, თუ რა სირთულეები ელით ურად დევთან ბროლაში - „მასო ელიას ალი აქვს, რომელსაც ყელიდან უშვებს“ ამიტომ გამარჯვებისათვის აუცილებლად საჭიროა იშოვონ ბალხეთში მობინადრე ვირის შარდი. სუბი გულედანისეული ვარიანტით, ძმებმა მიაღწიეს იმ მთამდე (იგულისხმება ბალხეთის მთა. სხვა ქართული და ნაწილობრივ სევანური ვარიანტების მიხედვით, ყველგან ბალხეთის მინდორზეა საუბარი), სადაც ვირი ბალახობდა. ძმების მიახლოებისთანავე ვირმა ისეთი ყროყინი ატეხა, რომ

ციდან ვარსკვლავებმა დაიწყო ცვენა. მაშინ ამირანმა გამოიღო ვეფხვის კული, აჩვენა, ვირი ისე შეშინდა, რომ შარდვა დაიწყო. ვისიბმა კი გულა მიუშვირა ვირს შარდვის დროს და გაავსო შარდით. ვირი კი ცხრა მთას იქით გადაიკარგა“ (მთქმელის მეტყველების სტილი და-ცულია ყველგან). ქალდანისეულ ვარიანტში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ვირის შარდი უნდა წაიღონ, მაგრამ სად ბინადრობს ვირი, არაფერია ნათქვამი. ეს ეპიზოდი ძალზე განსხვავებულადაა აღწერილი გურჩიანისეულ ვარიანტში. მას ჩვენ სრულად დავიმოწმებთ. მთქმელის მეტყველება აქაც ზუსტად იქნება დაცული. „ძმებმა როცა მიაღწიეს ბალხეთის მთამდე, აქ ვირი ბალახობდა, მაგრამ იმოდენა დიდი იყო, რომ ნახევარი მთა ეკავა. ექვსი ფეხი ჰქონდა, ოთხი ყური და სამი თავი. კისერი იმხელა გრძელი ჰქონდა, რომ სამი მარხილის სიგრძის თოკი ვერ გასწვდებოდა, სამი მარხილი თივა ერთ ლუკმად ვერ ჰყოფნიდა, კულზე ეფვანი ეკიდა და მისი ხმა სამი დღის საგალზე გაისმოდა. ეს ვირი ყოფილა ურად ღვეის. თავისი პატრონის ცუდ რამეს გაიგებდა თუ არა, მაშინვე კულს გაიქნევდა. ამ კულის გაქანებისას ეფვანი ხმას იღებდა, თურმე, და ამით ურად ღვეი იგებდა მტრის მოსვლას სამი დღის წინ. ამ ვირმა ამირანისა და მისი ძმების მოსვლა გაიგო და უნდოდა ეფვანის დაკვრა, მაგრამ ქრისტეს შეებრალა თავისი ნათლული ამირანი და ვირს გაგება წაართვა. ამირანი და მისი ძმები მიეპარნენ ვირს, ამირანი წინ მოექცა და ვეფხვის კული აჩვენა, ვირს ისე შეეშინდა ამ კულის, რომ შარდვა დაიწყო, ვისიბმა გულა მიუშვირა და შარდით გაავსო. ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ვირმა ყროყინი დაიწყო და, თუ რამე თავისი ნათესავი და მსგავსი ვირი არსებობდა იმ არემარეზედ, ყველა იქ გაჩნდა. ამათაც ისეთი ყროყინი გააბეს, რომ ამირანი და მისი ძმები კინალამ გამოაყრუეს. მაშინ ღიდმა ვირმა უთხრა ამათ - გაჩუმდითო. ჩვენი სიმარჯვე (გამარჯვება) არაა ღღეს. აქ მყოფი კაცები ამირანი და მისი ძმებია და ურად ღვეის საღალატოდ მოდიანო. ღღემდე ჩვენს პატრონს, ურად ღვეს, თავის საყარაულოდ ვყავდით და ჩვენთვის, შრომის გარდა, არაფერი ემეტებოდა. ახლა ცუდი დრო მოუვიდა ამ ჩვენ პატრონს და, ეგების, რამე უღელი გადმოგველოს, ამისათვისო თქვენ და მე დავლოცოთ ესენი. ღირსნი არიან და მე ჩემი მხრით ასე დავლოცავ; „რა საქმეზეც თქვენ მიდიხართ, იქიდან კარგ გუნებაზედ დაბრუნებულიყოთ - და დაბრუნდებით კი-

დეც, მაგრამ, ამირანო, შენი მოძრევი არაფერი გამოჩენილ იყოს, სანამ ქრისტის თავდებობა სამჯერ არ გატეხო. ახალა, ამირანო, მადლი გექნება და ეუვანი გამოხსენი კუდსო, რომ ამისგან ცოტა მყუდროება მექნება. ამირანმა ეუვანი გამოხსენა და გადაავლო. ვირი ფეხებით და- ადგა ეუვანს და ნამტრევეებად აქცია. ამირანმა და მისმა ძმებმა კი გა- ნაგრძეს გზა ურად დევისკენ (დავითიანი, 1957:258). გზად მიმა- ვალთ, გურჩიანისეული და გულედანისეული ვარიანტებით, გზა აებ- ნათ, ამირანმა დაიროქა და შევევდრა ნათლიას, ქრისტე ღმერთს, რომ არ გაეწირა მისი ნათლული. ქრისტე ღმერთმა ციდან თეთრი მტრედი გამოუშვა გზის გამკვალავად. ძმებიც მის კვალს გაჰყვნენ. ქალდანი- სეული ვარიანტითაც ამირანი და მისი ძმები უდაბურ ტყეში მოხვდე- ბიან, გზას ვერ აგნებენ, მაშინ ამირანმა დაიროქა და შევევდრა ნათლი- ას, რომ უშველოს. ამ ვარიანტში ციდან ქრისტე ღმერთი დაეხშიანა და უთხრა: „ქრისტეს თავდებობას გაუფრთხილდი გასატენავად, თუ არა, სამჯერ დარღვევის შემდეგ არც მას შეეძლება რამე. ახლა კი ამას გამოყვეო და მტრედი გამოგზავნა გზის მაჩვენებლად. ე.ი. სხვა-ობა საგრძნობია და ძალიან საინტერესოც.

გურჩიანისეულ ვარიანტში ურად დევს იმდენი წითელი თვა-ლი აქვს, რომ ადამიანს შიშს აგრძნობინებს, ხოლო ქალდანიისეულსა და გულედანისეულ ვარიანტებში დევი ცხრათავიანია. სამივე ჩანა-წერში ამირანისა და დევის ბრძოლას დიალოგი და მუქარები უძღვის წინ. ქალდანიისეულსა და გურჩიანისეულ ვარიანტებში ამირანი დევის ქალიშვილს ყოვლის მძლევი ვეფხვის კუდით ამარცხებს. გულედანი-სეულ ვარიანტში დევის ქალიშვილთან ბრძოლა განსხვავებულიადაა აღწერილი. ამირანს ძალიან გაუჭირდა მასთან ბრძოლა. დევის ქა-ლიშვილს ჟღარუნა ლახტი ჰქონდა ისეთი, რომ „მთელ შენობას აზანზარებდა. უნდოდა დაერტყა ამირანისათვის და კიდევაც მოკლავ-და მას, მაგრამ მანამდე ამირანმა დევის თავი გამოსდო ცალ ფეხში, გამოსწია და დევის ქალი წააქცია, თასი ხელიდან გაუვარდა და ძალა დაჰკარგა. ე.ი. დევის ქალიშვილის ძალის დაკარგვა თასის ხელიდან დავარდნასთანაც არის დაკავშირებული. ეს კი ახალი ელემენტია და ძალზე ორიგინალურიც...

ამირანი და მისი ძმები ისევ საჭაბუკოდ მიდიან. გზაზე თუ რამ ხვდებათ - ადამიანისთვის მანე ძალები, დეეები, ვეშაპები და სხვა,

ხოცავენ. ქალდანიისეული და გურჩიანისეული ვარიანტებით ნადირობისას ძმებმა ერთ დღეს მთაზე დაინახეს მიწას შეზრდილი ქვა, მისი ზვრელებიდან ცხელი ორთქლი მოედინებოდა ბოლქვებად. გულუდანისეულ ვარიანტში კი ოღნავ სხვაგვარადაა გადმოცემული: „ამირანი და მისი ძმები ერთ წყაროსთან მივიდნენ, წყაროს ისეთი ოხშივარი ასლიოდა, რომ შორიდან უზარმაზარი საკირის კვამლი გეგონებოდა და იქიდან ტირილის ხმა ისმოდა. შიგ შესვლა გაჭირდა. გულიდანისეული ვარიანტი: „ბოლოს ამირანი მუხლებზე დაჩოქილი შეევედრა თავის ნათლიას, რომ ეშველა მისთვის. მართალია, ქრისტე ნაწყენი იყო მის ნათლულზე, რადგან ერთხელ გატეხა მისი თავდებობა, მაგრამ ამჟამად აპატია და ციდან გადმოუგლო სველი ნაბადი. ამირანი გაეხვია ამ ნაბადში და შეძვრა ზვრელში, შესვლით შევიდა, მაგრამ სიცხემ ნაბადი დაუწვა. შიგ შესვლის შემდეგ აღარ ცხელოდა ერთ კუთხეში სამი ქალიშვილი იჯდა, რომლებიც ტიროდნენ. ისინი ორომ მეფის შვილები იყვნენ. ორივე ჩანაწერის მიხედვით ამირანმა დევს რვა თავი მოსჭრა. ეს ეპიზოდი მცირე ნიუანსობრივი სხვაობითაა აღწერილი ქალდანიისეულ ვარიანტში. დევი ეუბნება ამირანს. მეცხრე თავს ნუ მომჭრი და ამ ცეცხლს მოგცემ მარადუამულადო. ამ ცეცხლით პურს და სხვა საჭმელს მოამზადებენო და ადამიანის საქმე ათასჯერ წინ წავაო. ცეცხლი კი ამ ჭურჭელში ჩადევი და არ ჩაქრებაო. გულუდანისეულ ვარიანტში დევთან ბრძოლა საგრძნობლად ვრცლად და განსხვავებულადაა გადმოცემული. ორთაბრძოლას აქაც მუქარა უძღვის წინ. როცა ამირანი საკიდელს ჩაჰყვა და მძინარე დევთან ჩავიდა: „ხმლის წვერი უჩხვლიტა ქეშეკ დევს და გამოაღვიძა. წამოხტა დევი და იყვირა: „შენ, ალბათ, ჩემი ძმის მკვლელი ამირანი ხარ, თორემ სხვა ვერავინ შეძლებდა ჩემთან ჩამოსვლას, მე შენ გაგიშვებ, როგორც გეკადრება“. „-ჰაიტ, შე პილწო დეეო, რაც შენ ძმას ვუქენი, შენ უარესს დაგმართებ, ბევრი ადამიანის ცოდვა გადევს კისერზე და ყველაფერს გაზღვევინებ, შე მყარალო“. ისე მძლავრად დაეტაკნენ ერთმანეთს, რომ ქვაბის კუთხეში დანთებულმა ცეცხლმა ცეკვა დაიწყო, სამი დღე და ღამე იბრძოდნენ. ბოლოს ამირანს ვეფხვის კული გაახსენდა, გამოიღო ის და ცალი ხელით შემოჰკრა დევს ფეხებში და დაუყუა, დევმა სიმწრისაგან იყვირა. ამირანმა იბრო დაშნა და რვა თავი მოსწყვიტა დევს და ამ დროს ცეცხლმა დაიძახა:

„ქეშეკ-ღევო, სთხოვე ამირანს სიცოცხლე და ჩემს თავს შეჰპირდი“. ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა. ამირანი გააკვირვა ცეცხლის ლაპარაკმა. ქეშეკ ღევმა უთხრა: „ამირან, თუ სიცოცხლეს მარუქებ და ქრისტეს თავდებობის ხელს მომცემ, ამ ცეცხლის ამბავს გეტყვი“. „კიო, — უპასუხა ამირმა. „აბა, მომეცი, ხელიო“. ამირმა მისცა ხელი, „რადგან ქრისტე დაიყენე თავდებად, მჯერა შენი. თქვენში რომ ცეცხლია, იმით პური ვერ ცხვება და იძულებული ხართ ხარშოთ. აი, აგერ, ცეცხლი რომ ანთია, იმის ნაკვერჩხალს რომ წაიღებ და ცეცხლს დაანთებ, ყველგან გატკრივალდება და პურის ცხობასაც შეერყევა ხალხი. მე შენს მეტს არავის გავატან ამას და დავრჩები მის ყარულად საბუღამოდ“ (ხელნაწერი, 1941:7).

ქეშეკ ღვეის მიერ დატყვევებული სამი და ორომ მეფის ქალიშვილები აღმოჩნდნენ. სამივე ვარიანტის მიხედვით ისინი ამირანის ძმებმა შეირთეს ცოლებად. ამ ვარიანტში, ე.ი. გულედანისეულში, არის კიდევ ერთი განმასხვავებელი ეპიზოდი: როდესაც ამირანმა ღევი მოკლა, დატყვევებული ქალიშვილები გაათავისუფლა და ძმებმა ისინი ცოლად შეირთეს, გზას გამოუდგნენ შინისაკენ. ჩალამ-კალამმა ამოიღო ბეჭედი, დახედა და გაწითლებული იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ივა მამას რაღაცა დაემართაო. სხვა ვარიანტებში იგი არ დასტურდება. ამირანმა უთხრა თავის ძმებს: „თქვენ ცოლებთან ერთად ხართ, ამიტომ არ იჩქაროთ, ქალები არ შეაწუხოთ, ნელა იარეთ, მშვიდად, მე კი წინ წავალთ, მარტო, ჩქარა, ცეცხლსაც წავიღებ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ“. ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ამირანმა იარა და საღამო ხანს ნახა, რომ ერთ მინდორში კალოა გაკეთებული, კალო ბავშვების თავებითაა სავსე. ერთ შავ ღელაბერს კვერში ღევეები, შეუბამს და ლეწავს ამ თავებს. ამირანს გაუკვირდა ეს ამბავი და კიდევ შეეზიზლა, სასწრაფოდ მიეჭრა ღელაბერს, სტაცა თმებში ხელი და შებორკა. შემდეგ ღევეები გამოუშვა კალოდან, სტაცა თავებში ხელი, მიარტყა ერთმანეთზე და გაუჭეჭყა. მივიდა ღელაბერთან და შეჰყვირა: „შე კუდიანო, ბოროტო, რა ამბავია, რომ ამდენი ბავშვის თავები მოგიგროვებია და ჭირნახულივით ლეწავ“? ღელაბერმა უპასუხა: „თუ ქრისტეს თავდებობის ხელს მომცემ, რომ არ მომკლავ, გეტყვი, თუ არა და, რადგან მაინც მომკლავ, რაზე გითხრა“. ამირანმა მისცა ქრისტეს თავდებობის ხელი და ღელაბერმა უთხრა: „ეს ბავშვები შარ-

შან ურად ღვემა მოაგროვა ჩვენ სახელმწიფოში და დაგვახოცვინა. მას სადღაც გაეგონა, რომ დაიბადა ამირანი და მოჰკლავს მას. იმის იმედით, რომ ამ ბავშვებში ამირანი გაერეოდა და მოკვდებოდა და მე, როგორც ამ საქმის მოხელეს, დამავალა, რომ ბავშვების თავები გამეღლევა კალოზე, შემდეგ ამათი ბზე მიმეტანა ივა მეფის სახლის ეზოში ჩუმად და იქ დამებნია. ნაწილი ამ ბზისა უკვე გავატანე ჩემ თანაშემწეთ, ათ კუდიან ღელაბერს და ღააბნიეს ეზოში ასეთი ბზე, ნაწილი კი, რომელსაც ამ თავებიდან მივიღებდი, კვლავ უნდა მიგვეტანა იქ და მაშინ ივა მეფე თავისი ძირითა და ფესვით ამოწყდებოდა. ამჟამად ივა მეფე შეშლილია და ყველაფერს ამტკრევს სახლში. ბოლოს ღელაბერმა ისიც უთხრა ამირანს, რომ ივა მეფეს უნდა იორდანეს წყალი დაასხან და განიკურნება. ამირანმა კუდიან ღელაბერს კისერი მოუგრიხა, მიახრჩო იქვე და დააგლო ღვებთან. ძალზე საინტერესოა და მთქმელიც შენიშნავს, რომ „მკედარი ღვეის თავმა ამოაყრანტალა“. „სამჯერ ქრისტეს თავდებობის გამტეხი ამ ღელაბერთან ერთად მოხვდება ქვაბშიო“. ამირანი მიხვდა, რომ სამჯერ გატეხა ფიცი, რომელიც არ უნდა ჩაედინა, მაგრამ რასა იხამდა... ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ მიატოვა ამირანმა იქაურობა და გაემართა იორდანეს წყაროსთან, რომელიც მან იცოდა. აავსო ჭურჭელი ამ წყაროს წყლით, მოვიდა შინ, გადაასხა ივა მამას და მოარჩინა. კიდევ ერთი ეპიზოდია საინტერესო, რომელიც სხვა ვარიანტებში არ გვხვდება, კერძოდ, შინ დაბრუნებულმა ამირანმა ნაკვერჩხალიც მოიტანა: „ღაუდახა მოსამსახურებს, დააფქვევინა ხორბალი და გამოაცხობინა პური, თვითონ კი მოტანილი ნაკვერჩხალისაგან ცეცხლი დაანთო და ამნაირად პური გამოცხვა“ (ხელნაწერი, 1944:10).

დამოწმებული ეპიზოდი საგრძნობლად განსხვავებულია გურჩიანისეულ ვარიანტში. ამირანისა და ქეშეკ ღვეის ორთაბრძოლა აქაც ერთიმეორის მუქარით იწყება. გასაჭირის ჟამს ამირანმა ამოიღო ვეფხვის კუდი და დაამარცხა ღვეი. წააქცია და რვა თავი მოჭრა, მაშინ ღვემა უთხრა: „ამირანო, ქრისტის თავდებობა (მარჯვენა ხელი) მომეცი, რომ არ მომკლავ და ამ ერთ თავს შემარჩენ, მაშინ მე ამ ცეცხლის საქმეს (შესახებ) გეტყვი“. ამირანმა მისცა თავსდებობა. ღვემა უთხრა: „თქვენი ცეცხლი არ ვარგა პურის საცხობად. აიტანე ეს ცეცხლი. ამის ანთება დაასწავლე ხალხს და ამის შემდეგ ყველას ეცოდინ-

ნება პურის ცხობა, ამის წასალებ სახოცს მე მოვცემ და მაშინ ვზაზე არ გაგიქრება. მე დავრჩები აქ სამუდამოდ, აქაურ მცველად“. ამირანმა მეცხრე თავიც მოჭრა: „ცეცხლი ხელში დაიკავა და ამოვიდა გოგობთან ერთად მოდიან და ერთ ადგილას ნახეს, რომ ერთ შავ დედაბერს კალო ბავშვების თავებით სავესე ჰქონდა, კვერზე უბია ხარები და ლეწავს. ამირანი მიეჭრა დედაბერს და სიკვდილის მუქარით აიძულა სიმართლე ეთქვა. კუდიანმა დედაბერმა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა, რომ არ მოკლავდა. ამირანი დასთანხმდა. დედაბერმა უთხრა: „ბავშვების თავები ურად დევის ძმამ ქემეკ—დევმა ჩამაბარა გასაღეწავად. შენ რომ ურად დევი მოკალი, იმისთვის უნდოდა, რომ თქვენ და თქვენი გვარი მთლიანად ამოეხოცა, ერთი კალო გაღეწილი გვაქვს და იმისი ბზე თქვენ მამას მივაყარეთ—და ის ახლა გასულელებულია, რას სჩადის, არ იცის. ამ ბავშვების ბზეს რომ მეორევერ მივაყრით, მაშინ თქვენ და თქვენი სახელმწიფო ყველა ქვად გადაიქცეოდით. ახლა ივა ხელმწიფეს იორდანეს წყალი დაასხით და მორჩებაო“ (ხელნაწერი, 1941).

საანალიზოდ წარმოდგენილი ქალღანისეული ვარიანტი უფრო მეტ სიახლოვეს გულღანისეულ ვარიანტთან ავლენს, თუმცა დევთან ბრძოლა ნიუანსობრივი სხვაობითაა აღწერილი. მთქმელის შენიშვნით, ბრძოლა ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. გაჭირვების ჟამს ამირანმა ქამრიდან ვეფხვის კული დააძრო და დევის ფეხები გადაუმტვრია. აქაც დევი სთხოვს ამირანს, რომ მეცხრე თავი არ მოჭრას და ცეცხლს მისცემს მარადფაშულადო და ადამიანის საქმე ათასჯერ წავა წინო, პურის ცხობას ისწავლიანო. როგორცა ვხედავთ, ქალღანისეულ ვარიანტში მნიშვნელოვნად განსხვავებული რამ არის თქმული (ამაზე ქვემოთ).

ამირანმა დევის მიერ დატყვევებული ქალიშვილები თავის ძმებს შერთო ცოლებად. ამის შემდეგ აღწერილია შავ დედაბერთან შეხვედრა, რომელსაც ბავშვების თავებით კალო აქვს მოფენილი. კვერში უღელი ხარი ჰყავს შებმული, თვითონაც კვერზე ზის და სიმღერ—სიმღერით ლეწავს. სამივე ვარიანტში ერთნაირადაა აღწერილი და გადმოცემული, რომ შავმა დედაბერმა ამირანს ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა, რომ არ მოკლავდა და ამირანიც დათანხმდა...

დედაბერმა უთხრა: ამ ბავშვების თავები ბაყბაყდევეს მიუტყია გასალეწავად. მასო მისთვის ძმა მოუკლავს. ქეშეკ დევსო მისი ბაბუა ივას სახელმწიფო დაულეწია, მასო ბაყბაყდევის სახლ-კარი ამოწყვეტია, ამიტომ ქეშეკ დევს მისი ბაბუა ივას ამოწყვეტა ჩაულდვია გულში. ერთი კალო გალენილი აქვსო. იმის ბზე მისი ბაბუა ივასთვის შეუყრიათო და ის ახლა გაგიუბულია, რას აკეთებს, არ იცის. ამ ბავშვების განალეწ ბზეს თუ შეეყრით, თქვენ და თქვენ სახელმწიფოში მაცხოვრებელი ადამიანი ყველა ქვად გადაიქცევაო. ივა ბაბუა გაგიუბული დაგხვდებათ, მაგრამ თუ იორდანეს წყალს მისახურებთ, უცებ მორჩებაო. ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ ამირან წინ წამოვიდა, ივა მამა მოარჩინა და სანაქებო ლხინიც გადაიხადეს. დასახელებულ ვარიანტში იმაზეცაა მინიშნებული, რომ ამირანი, მისი ძმები და რძლები მზესა და მთვარესავით ანათებენ, პურმარილივით არიან ერთიმეორესთან შეწყობილი, ლხინზე ორომ მეფეც დაპატიყეს, მერე კი ორომმა გადაიპატიჟა თავის სახელმწიფოში. გადმოცემულია, რომ მოჭიდავეთაგან ერთი ისეთი ღონიერი კაცი გამოდგა, რომლის მეტოქე, მომრევი ჯერ არ დაბადებულა. ამირანს არ უნდოდა დაჭიდება, ერიდებოდა, ამიტომ უარი თქვა, მაგრამ ეს გმირი გამოვიდა და თქვა: ამირანს მაგარი ვაჟკაცი ჯერ არ შეხვედრია, მე მას ასე და ასე ეუზამო.

ამირანმა ისეთი ძალით დასცა მიწაზე, რომ ნაფლეთები იქით-აქეთ გაცვივდა.

დასასრულს ამ ვარიანტში იმაზეცაა მითითებული, რომ ამირანმა ყამარი შეირთო ცოლად, მაგრამ მოსწყინდა ერთ ადგილას ცხოვრება და ხეტიალი დაიწყო. თუ სადმე სახელგანთქმული მოჭიდავე იყო, ყველას ეჭიდებოდა, უნდოდა თუ არ უნდოდა; ყველა მოწინააღმდეგე ხელში აკვებოდა. მისი მეტოქე, მომრევი აღარ დაიბადა. ბოლოს კი გადმოცემულია, რომ „ერთ დღეს მათ წინ ჩამოიარა მისმა ნათლია ქრისტე ღმერთმა. ამირანი წინ დაუხვდა და შეეხვეწა: – მიწაზე მყოფი ვერაფერი მერევა და ერთი იგი დაეჭიდოსო. ქრისტე ღმერთმა უპასუხა: „აქ სირცხვილია ჭიდაობაო და მთაზე აიყვანა და მიაჯაჭვა. ეს ამბავი აქაც ტარდიციულია: ქრისტემ ამირანი მის მიერ მიწაში ჩასმულ ჯოხზე მიაჯაჭვა.

გურჩინანისეულ ვარიანტში დასასრული საკმარისად მოკლეა და განსხვავებულიც. მასში მხოლოდ ისაა გადმოცემული, რომ ამირანი და მისი ძმები გამარჯვებულები დაბრუნდნენ შინ, ივა მამა მორჩინეს იორდანეს წყლის მისხურებით, კარგ გუნებაზე არიან, მაგრამო, შენიშნავს მთქმელი; ამირანს ქრისტეს თავდებობა გატეხილი აქვს და არ ეცხოვრება (არ უნდა იცხოვროს). ერთ დღეს მინდორში იყო და ისე ერვენა უბრალო კაცის მაგივრად ნათლია ქრისტე ღმერთი და შეუბერა ამირანს და შეაგლო დიდი მალალი კლდის გამოქვაბულში. ამირანი იმაში დარჩა და დალოცვილიმც ვიყოთ.

დასასრული გაცილებით ვრცელი და კიდევ უფრო განსხვავებულია გულედანისეულ ვარიანტში. გამარჯვებით შინ დაბრუნებულმა ძმებმა ქორწილი გადაიხადეს, ორომ მეფესაც შეატყობინეს შვილების გადარჩენა, ისიც მოვიდა და კვლავ ღზინი გადაიხადეს...

გავიდა რამდენიმე ხანი. ამირანს მოსწყინდა ერთ ადგილას ყოფნა და ისევე საჭაბუკოდ წავიდა. აქაც მთქმელი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ამირანს „უნდოდა სიკეთე მოუტანა ადამიანებისათვის, ბევრი დევი და ვეშაპი მოკლა, ბევრი ადამიანი გადაარჩინა ღვეებისაგან ტანჯვა-წვალებას და კაცმა ისწავლა პურის ცხობა და ცეცხლის ხმარება. ქრისტეს ებრალებოდა თავისი ნათლული და ხელს უწყობდა, თუმცა სწყინდა კი, რომ სამჯერ გატეხა მისი სახელი... საბოლოოდ სამჯერ თავდებობის გატეხამ, დარღვევამ მასაც უწია. ის ნამეტანი გაამაყდა და მოინდომა თვით მის ნათლია ქრისტე-ღმერთსაც გასჯიბრებოდა ღონეში. ეს რომ ქრისტემ შეიტყო, ერთ დღეს, როდესაც ამირანი მინდორში ხის ქვეშ ისვენებდა, გამოეცხადა მას მოხუცი კაცის სახით და სალაში მისცა. ამირანმა უპასუხა: „გამეცალე აქედან, ხომ ხედავ, ვისვენებ, მე შენთვის არ ცალა“. „-შე კაცო, მე ხომ ცუდი არაფერი მიკადრებია შენთვის სალამის მეტი და რაზე გაგაჯავრა ამან?“ „-ოქეთ გამეცალე ჩქარა, თორემ აგერ ჩვენ ზემოთ გამოქვაბულს ხომ ხედავ, შეგებერავ ერთს და იმ გამოქვაბულში შეგიძახებ, რომ იქ შიმშილით მოკვდე“ (ხელნაწერი, 1941).

- აბა, თუ ასეა, ვნახოთო, უთხრა ქრისტემ, - მოჰკიდა ხელი ამირანს, ბავშვივით აიყვანა და შეაგლო კლდის გამოქვაბულში, გადასახა ჯვარი და ისეთი ნაპრაღი გაჩნდა ამ გამოქვაბულის ქვევით, რომ

ადამიანი კი არა, ფრინველიც ვერ მიაღწევდა იქამდე და დატოვა გამოკვებულში.

ამირანს ამ გამოკვებულში დახვდა თორმეტი კუდიანი დედაბერი, რომლებიც ერთი მხრით იყვნენ მიბმულნი რკინის ჯაჭვით. მას შემდეგ ეს კუდიანები და ამირანი, თუკი ფრჩხილებს მიაწვდნენ ერთმანეთს, ჰკორტნიან გულმკერდზე. ხან კუდიანებს ეზრდებათ ფრჩხილები, ხან - ამირანს.

როდესაც ქალები ხუთშაბათობით და შაბათობით იჭრიან ფრჩხილებს, ის კუდიანებს ემატებათ და მაშინ უფრო ძლიერად კორტნიან ამირანს, ხოლო, როდესაც მამაკაცები ორშაბათობით და კვირაობით მოიჭრიან ფრჩხილებს, ის ამირანს ემატება, ის ჰკორტნის კუდიანებს“.

ასეთია ამ საინტერესო ვარიანტთა ურთიერთმიმართება, მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები. ერთი შეხედვით, შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ამგვარი დეტალური ტექსტობრივი შედარებები, მაგრამ იგი აუცილებელია უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სვანური ენა ღრმად რელიგიურია და ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ცალკეულ ფრაზებსა და გამოთქმებს განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ. შედარებამ დაგვანახვა ისიც, რომ თითოეული ჩანაწერის სიუჟეტური აღნაგობა, სტრუქტურა, ამბის განვითარების თანმიმდევრულობა (ნაკლები ფრაგმენტულობა) და მხატვრული სრულყოფილება ერთნაირად სრულფასოვანია. უმთავრესი მნიშვნელობის მოტივები და ეპიზოდები ერთიმეორის მსგავსია, ერთიმეორეს ავსებენ. გაირკვა, თუ რა სხვაობებია ცალკეულ სტრუქტურულ კომპონენტთა შინაარსებში და ისიც, რომ ახალ ეპიზოდთა რაოდენობა არც ისე დიდია. ამდენად, ისევ შეიძლება გავიმეოროთ ზემოთ ნათქვამი, რომ საძივე ჩანაწერი ქმნის ერთ მთლიან იდენტურ ვარიანტთა წრეს, რაც ესოდენ იშვიათია ამირანის კვლევის ისტორიისათვის. პროფ. ზ. კიკნაძე მიუთითებს, რომ „ეპოსმა (იგულისხმება „ამირანიანი“) ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია... „რომ ვერ დავადასტურებთ ერთი და იმავე ეპიზოდის ორ იდენტურ ჩანაწერს“-ო. როგორც ვხედავთ, განსახილველი სვანური ვარიანტები ამ კუთხითაც საინტერესოა. ისინი ბევრ სიახლეებს გვთავაზობენ...

ამ სიახლეთა ჩვენებამდე აუცილებელია ზემოთქმული სიტყვების გახსენება, რომ ამირანის ვარიანტები წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისებითაა გამოქვეყნებული, შესაბამისად კვლევაც ცალმხრივად წარმართა, რომ ამირანის მრავალრიცხოვანი სვანური ვარიანტებიდან სამად-სამი ჩანაწერია გამოქვეყნებული, ნაწილი ჩანაწერებისა გამოქვეყნდა სვანურ პროზაულ ტექსტებში, ნაწილი კი ინახება შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილებასთან არსებულ არქივში. რასაკვირველია, ბატონ მიხეილი, მისი კოლეგები, ამირანის მკვლევრები, იცნობდნენ ამ მასალას. მათ ხელი მიუწვდებოდათ რესპუბლიკის მასშტაბით არსებულ ყველა არქივზე, სად რა ხასიათის ვარიანტები ინახებოდა და სხვა. ელ. ვირსალაძე გურჩიანისეულ ვარიანტსაც ასახელებს, მაგრამ კვლევა ამის იქით არ მიდის. ჩვენ ამჯერად მხოლოდ სვანური ვარიანტების გამოძიებასა და გამოყენებაზე ვსაუბრობთ. რატომღაც ქართველ ფოლკლორისტთა შრომებში სვანური ჩანაწერები მხოლოდ ფრაგმენტულადაა დამოწმებული. ამირანის ყველა მკვლევარმა არ მოიწადინა სვანური ვარიანტების სრული განხილვა. ეს ტრადიცია დიდხანს გაგრძელდა და გრძელდება დღესაც. დუმილი ერთგვარად დაირღვა 1984 წ. პროფ. მიხ. ჩიქოვანისავე ნაშრომში „საერთო სტრუქტურული კომპონენტები“, „ახლა კი ჩემ განკარგულებაში სვანური ჩანაწერების სრული კორპუსია და საილუსტრაციო მასალაც იქიდან შევარჩიეთ (ჩიქოვანი 1984:107) ისიც უნდა ითქვას, რომ პროფ. მიხ. ჩიქოვანს ხელთ ამ ეტაპზე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამირანის სამასამდე ვარიანტი ჰქონდა. ამ ჩანაწერების გამოქვეყნება ქართველი ფოლკლორისტების საპატიო ამოცანაა. იბადება კითხვა, რას წარმოადგენს პროფ. მიხ. ჩიქოვანს დასახელებული ნაშრომი, რა მეცნიერული ღირებულებისაა იგი და რა ადგილი შეიძლება მიეჩინოს მას, პირველ ყოვლისა, თვით ავტორის მრავალრიცხოვან გამოკვლევას შორის ამირანზე? არის თუ არა მკვლევრის თვალსაზრისებში რაიმე სხვაობა – ცვლილება და როგორია ამ ნაშრომის მიხედვით პროფ. მიხ. ჩიქოვანის საბოლოო პოზიცია ამირანზე? მოკლედ რა სიახლეებს გვთავაზობს აზრის თვალსაზრისით შრომის ავტორი? პასუხისათვის კი წინასწარ იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ნაშრომი აღწერითი ხასიათისაა ამ სიტყვის საუ-

კეთესო გაგებით, აქცენტი უმეტესწილად სტრუქტურულ კომპონენტთა შინაარსობრივ მხარეზეა გადატანილი, შრომის ავტორს არ დაუსახავს მიზანდ მასალის სრული ანალიზი. პროფ. მიხ. ჩიქოვანი თავიდანვე განმარტავს კვლევის მიზანს და გვაუწყებს, რომ „ჩვენ ვიწყებთ იმ კომპონენტების კონსტატაციით, რომლებიც საერთოა ამირანის თქმულებასა და სხვა ეპიკურ ძეგლებს შორის“, (ჩიქოვანი, 1984:108). რასაკვირველია, ბატონი მიხეილის უმთავრესი მიზანი მის ხელთ არსებული ამირანის სამასი ვარიანტის გამოცემა და ანალიზი იყო და არა მხოლოდ ცალკეული სტრუქტურული კომპონენტებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. ჩვენ კი ძალიან დიდი კრძალვა და პატივისცემა გემართებს მისი მეცნიერული მემკვიდრეობისადმი, კონკრეტულად კი განსახილველი წერილისადმი, მაგრამ ობიექტურობა ყველა შემთხვევაში დასაცავია. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ პროფ. მიხ. ჩიქოვანი ამირანის სვანურ ვარიანტებს გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იცნობდა. თუ როგორ წარმოჩინდა ეს ვარიანტები მისი და მისი კოლეგების ნაშრომებში, უკვე გვქონდა საუბარი. წინამდებარე წერილში კი მასალა, სტრუქტურული კომპონენტების სახით, უფრო სრულადაა ილუსტრირებული. ამჯერად ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანი სხვადასხვა სიუჟეტიდან მოწოდებული სტრუქტურულ კომპონენტებთან ერთად საანალიზოდ წარმოდგენილი ქალღანისეული ჩანაწერია. მას ძალიან მნიშვნელოვანი სპეციფიკურობის გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაკვირდებოდით. შესაბამის ვარიანტებსაც ვეძებდით არქივებში და, როგორც ითქვა, გამოიკვეთა ვარიანტთა ძალზე საინტერესო წრე; ქალღანისეული, გურჩიანისეული და გულედანისეული. ჯერ კიდევ 1974 წელს ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულ ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს სამეცნიერო კონფერენციაზე, თეზისები XIII, 1974 წ. წაკითხულ მოხსენებაში (ონიანი, 1974:12) „ამირანის ახალი სვანური ვარიანტები, შეძლებისდაგვარად ვცადეთ ქალღანისეული ჩანაწერის გაანალიზება. ტრადიციული ვერსიებისაგან განსხვავებით მასში ამირანი ღვთიური ჩამომავლობისაა, ანგელოზის შვილია, დალი პერსონაჟადაც არ დასტურდება. სწორედ ამან გვაფიქრებინა მაშინ, „დალის პერსონიფიკაცია ამირანი-

ანში მომდევნო პერიოდის ჩანართად უნდა ჩაითვალოს, რაც, რასაკვირველია, არაა სწორი. ამ თეზისებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ამირანმა ცეცხლის გამოყენება ასწავლა კაცობრიობას“, რომ იგი (ამირანი) „ღმერთების მიერაა მოვლენილი დედამიწაზე ადამიანთა მოდემის მფარველად და დამხმარედ, რომ ამირანი შხიური არსებაა. იქვეა საუბარი, თუ რა გახდა ამირანის მიჯაჭვის უმთავრესი მიზეზი და სხვა. იგივე აზრია გატარებული 1978 წელს წაკითხულ მოხსენებაში; „დალის სახე ამირანიანში ახალი სვანური ვარიანტების მიხედვით (ონიანი, 1978:5). პრობლემა ძალზე რთული აღმოჩნდა, ცალკე უნდა გარკვეულიყო, თუ როგორაა წარმოჩენილი ქალღმერთი დამოუკიდებლად თვით დალის ციკლის მასალებში და ამირანიანში ცალკე. სხვაობა საგრძნობი აღმოჩნდა. სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი 1982 წელს წაკითხულ მოხსენებაშიც (ონიანი, 1982:9), დალის ციკლის მასალა ამირანის სვანურ ვარიანტებში“. მოხსენებაში საგანგებოდ იყო მითითებული, რომ მონადირესთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი დალი შვილს არ აჩენს, რომ ამ შემთხვევაში სრულიად სხვა სირთულეები გვაქვს. 1984 წ. წაკითხულ მოხსენებაში, ქრისტიანული პერსონაჟები და მოტივები ამირანიანის სვანურ ვარიანტებში (ონიანი 1984:18) კიდევ უფრო გაფართოვდა ამირანიანის საკითხთა წრე. ახლად მოძიებულ მასალებში მთავარი პერსონაჟებია: მამალმერთი, სვანურად ფუსნაბუასდია – მეუფე სამყაროისი, „ხოშა ღერბეთ“ – იგივე უფროსი ღმერთი, მაცხოვარი, მიქ. მთავარანგელოზი, წმ. გიორგი და ძილის ღვთაება, სვანურად „უჟ“. ცალკე იყო საუბარი მათ ფუნქციებზე, რომ თითოეული მათგანი ამირანის ნათლიებად არიან დასახელებული, ზოგჯერ კი ბედისმწერლებად. 1986 წელს კი მამალმერთზე სპეციალურად იქნა წაკითხული მოხსენება სათაურით „ფუსნაბუასდია (მამალმერთი) სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. (ონიანი, 1986:6)წინამდებარე ნაშრომი სხვადასხვა წლებში წაკითხული მოხსენებათა თეზისების გაშლა და განზოგადებაა. პროფესორი მიხ. ჩიქოვანი და სხვები, ჩვენ მიერ წაკითხულ მოხსენებებს იცნობდნენ. პროფ. მ. ჩიქოვანი თავად წარმართავდა სამეცნიერო კონფერენციის სხდომებს. ამირანის ყველა მკვლევარი (ფოლკლორისტები) იმ აზრს იცავდა, რომ ამირანი დალისა და უცნობი მონადირის შვილია და ჩვენ მიერ წაკითხული მოხსენება მათთვის მოუ-

ლოდნელი სიახლე აღმოჩნდა, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, პოზიცია მაინც არავის შეუცვლია. ეს მცირე გადახვევა იმიტომ გაკეთდა, რომ პროფ. მიხ. ჩიქოვანს მასალა დასახელებულ ნაშრომში სტრუქტურული კომპონენტები ჩვენ მიერ განხილული ვარიანტებიდან მოაქვს. ცნობით ამ ჩანაწერს, ვარიანტს იცნობდნენ სხვა ქართველი ფოლკლორისტებიც, მაგრამ სიუჟეტები არავის გამოუკვლევია. ეს ტრადიცია ბოლომდე იქნა დაცული. აქცენტები მ. ჩიქოვანის დასახელებულ ნაშრომშიც კომპონენტებზეა გადატანილი, მათ შინაარსობლივ მხარეზე, მაგიურ საგნებზე. ავტორი თავიდანვე გვაუწყებს, რომ კომპონენტებზე საუბრისას გარკვეულ უნდა იქნეს: „რა ადგილი უჭირავს მას სტრუქტურაში და თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ფორმალურ საშენ მასალას წარმოადგენს მთქმელის ხელში და კიდევ: ... ამგვარი გაგებითა და განწყობით ვუდგებით ამირანის თქმულების განხილვას, რომელიც სამასამდე ჩანაწერის სახით არის ჩემს განკარგულებაში და ამათგან ისეთი კომპონენტები უნდა იქნეს შერჩეული, რომლებსაც ორგანული კავშირი აქვს ეროვნულ ეპოსთან და მარადიულ დასჯად გმირთან. (ჩიქოვანი, 1984:169).

ამათგან ერთ-ერთია I. იორდანის წყარო, რომლის ხსენება ჯერჯერობით ერთ ჩანაწერში გვაქვს მიკვლეული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სხვაგან არ გამოჩნდება. „სვანური პროზაული ტექსტების“ მეორე წიგნში დაბეჭდილია ვიჩი ჭკადუას ნაამბობი თქმულება № 177, რომელშიც იკითხება:

ა) „სადაც ფაშვი ზის, იმ მთის ძირში გამოდის წყარო. ჰქვია მას იორდანის წყარო (13. გვ. 53).

ბ) იორდანეს წყაროდან ამოიღეს და დახვეული ფაშვილდი სახლში მოიტანეს (იქვე, გვ. 53).

გ) მამაშენი სწორედ ამიტომ არის გაგიჟებული. თუ მას იორდანეს წყაროს დაასხურებთ, გამოჯანმრთელდება“ (ჩიქოვანი, 1984:169).

დ) მიეპარა ამირანი, მიასხურა იურდანეს წყალი და მამამის-მაც თვალები მოიფშენიბა: „უჰ, რამდენი მძინებიაო!“.

„ოთხივე შემთხვევაში იურდანეს წყალი სასწაულებრივი ძალის მქონეა. პირველ შემთხვევაში ხარის ფაშვში მყოფი ამირანის გამოშუშებას უწყობს ხელს, ხოლო შემდეგ სულით ავაღმყოფის მორ-

ჩენის საშუალებად გვევლინება, ერთი სიტყვით, იურდანის წყალი სამკურნალო წყაროა“. (ჩიქოვანი, 1984:109). მართალია, ამონაწერი ვრცელია, მაგრამ მისი ამგვარად დამოწმება აუცილებელია, ვინაიდან მასში მცირე ტექნიკური და აზრობრივი უზუსტობები გვაქვს. ჯერ ერთი, წყარო არაა სწორად მითითებული. სვანური პროზაული ტექსტების მეორე წიგნის მითითებულ გვერდზე ჯადოსნური ზღაპარი, „ოქროს შვილი და შამშიათილი“ – დაბეჭდილი და არა ამირანის ვარიანტი, ვიჩი ჭკადუას მიერ ნაამბობი თქმულება, რომელიც აკაკი გელოვანის მიერაა ჩაწერილი 1948 წელს, 327-ე გვერდზეა და სულ სხვა შინაარსის ვარიანტია, ხოლო ჩვენ მიერ დამოწმებული ქალდანისეული ვარიანტი, რომელსაც პროფ. მიხ. ჩიქოვანიც იმეორებს, 256-ე გვერდზეა. მეორე ციტირებაც არაა ზუსტი, ასე, მაგალითად, პროფ. მიხ. ჩიქოვანის დამოწმებით, ა) სადაც ფაშვი ზის, იმ მთის ძირში გამოდის წყარო, ჰქვია მას იურდანეს წყარო“. უნდა იყოს: სადაც დახვეული ხარის ტყავი დევს, იმ მთის ძირას ერთი წყარო მოედინება“. სხვაობა საკმარისად პრინციპულია და იგი უნდა გასწორდეს, ვინაიდან ფაშვთან სულ სხვა მითოსური წარმოდგენებია დაკავშირებული, ტყავთან კი - სხვა (ამგვარად მხოლოდ ტექსტობრივი შენიშვნებით დაკმაყოფილებით, მათ მეცნიერულ მნიშვნელობაზე ტექსტების ანალიზის დროს გვექნება საუბარი).

ჩვენთვის საინტერესო ქალდანისეულ ჩანაწერთან დაკავშირებით კიდევ ერთი სტრუქტურული კომპონენტია საყურადღებო.

XX. ორომ მეფის ქალიშვილები. გვერდები და მთქმელები ამ შემთხვევაშიც არაა სწორად მითითებული. მკვლევარი ამბობს, რომ ქალიშვილების ეს ჯგუფი ქველა ქვეყანასთან არის დაკავშირებული. მათი მამა ორომი, თავისი იშვიათი სახელითურთ, ქვესკნელში ცხოვრობს“ (ჩიქოვანი, 1984:127). პირიქით კი არის, როდესაც ამირანმა დევის ტყვეობიდან გაათავისუფლა ორომ მეფის ქალიშვილები, ცოლებად შერთო თავის ძმებს, შინ დაბრუნებულებმა დიდი ქორწილი გადაიხადეს, ქვეყანა დაპატიყესო, - ამბობს მთქმელი და იქვე პირდაპირაა მითითებული, რომ ორომ მეფეც მოიწვიეს, რომელსაც ძალიან გაუხარდა შვილების გაათავისუფლება, შემდგომ კი ორომმაც დიდი ღზინი გადაიხადა. ასე რომ, ორომ მეფე ადამიანთა საცხოვრისშია ხელმწიფე და არა ქვესკნელში. კონკრეტულ ეპიზოდს პრინციპული

მნიშვნელობა აქვს ძეგლის შინაარსის სწორად გაგებისათვის. თარგმანთან დაკავშირებით სხვა შენიშვნებიც გვაქვს. საანალიზოდ წარმოდგენილ ქალღანისეულ ვარიანტში გადმოცემულია, რომ ამირანი და მისი ძმები ერთხელ ჯიხვზე სანადიროდ წავიდნენ. საღამოს, მზის ჩასვლისას შენიშნეს, რომ მთაზე (იგულისხმება მწვერვალი) ერთქლი ამოდიოდა, თუ რა მოიმოქმედეს ძმებმა, ამაზე გეჭონდა საუბარი. პროფ. მიხ. ჩიქოვანს ამირანის ქვესკნელში ჩასვლა ასე აქვს აღწერილი: „ამირანმა ტყავები ჩაიცვა და ორმოში ჩახტა“. ჯერ ერთი ტექსტში საუბარია, რომ ამირანმა სველი ნაბადი მოიხურა, ხოლო სხვა ვარიანტით (გულეღანისეული) ღმერთს შეეხვეწა, რომ დახმარებოდა, ქრისტე ღმერთმა ისმინა ნათლულის თხოვნა და ციდან სველი ნაბადი გადმოუგდო“. ამირანმა მოიცვა და ქვესკნელში ჩაეშვა, ტყავების ჩაცმა არც ერთი ვარიანტით არ დასტურდება: არაა სწორად გადმოცემული ქვესკნელში ღვეთან საუბარი. ასე, მაგალითად, როდესაც ამირანმა ვეფხის კუდით შეძლო ღვეის დამარცხება, დაუწყო თავების ჭრა. პროფ. ჩიქოვანს ეს ეპიზოდი ასე აქვს გადმოცემული: „მეცხრე თავის მოჭრამდე ღვემა ქრისტე დაუყენა თავდებად და სთხოვა: ეს თავი არ მომჭრა და ამ ცეცხლს მოგცემო. ამ ცეცხლზე ისეთ პურსა და საჭმელებს მოამზადებთ, რომ ვაჟკაცების საქმე ყოველთვის წინ წავაო. (ჩიქოვანი, 1984:135). ჯერ ერთი, რას ნიშნავს „ვაჟკაცების საქმე ყოველთვის წინ წავაო“. მარტო ვაჟკაცების? ამასთან დაკავშირებით დედანში ძალიან საინტერესო რამ არის თქმული, კერძოდ; „ამ ცეცხლით პურს და სხვა საჭმელებს მოამზადებთო და ადამიანის საქმე ათასჯერ წინ წავაო“... ნათქვამში ფართო მნიშვნელობის აზრია ჩადებული, ასე რომ, სხვაობა ძალიან საგრძნობია. გურჩიანისეულსა და გულეღანისეულ ვარიანტებში რამდენადმე განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით.

დასახელებულ ნაშრომში ავტორის ინტერესის საგანია ერთ-ერთი კომპონენტი.

XXII მოჭრილი თავების კალო. აქ კვითხულობთ: ძმები „მიდიან გახარებულები, მიდიან და ერთგან ვიღაც შავ დედაბერს კალო აქვს ჩადგმული ბავშვების მოჭრილი თავებისაგან. კევრში ხარები უბია, თვითონ კევრზე ზის და სიმღერ-სიმღერით ლეწავს“. (ჩიქოვანი, 1984:137) მთქმელის ვინაობა და გვერდები აქაც არაა სწორად

მითითებული. ქვემოთ კი განაგრძობს, რომ ამის მნახველი ხელმწიფე (იგულისხმება ივა ხელმწიფე) ჭკუზე შეიშალა და ახლა მისი მორჩენა მხოლოდ იურდანის წყაროს დახმარებით არის შესაძლებელი“. მთარგმნელს კონკრეტულ შემთხვევაში შეცდომა მოსვლია (სამწუხაროდ ბატონმა მიხეილმა სევანური ენა არ იცოდა). მართალია, ეს ეპიზოდი ვრცლადაა წარმოდგენილი ზემოთ დამოწმებულ ტექსტსა და მის პარალელურ ვარიანტებშიც, მაგრამ მეტი სიცხადისა და გარკვეულობისათვის მოკლედ აქაც დავიმოწმებთ, როცა ამირანმა ქვესკნელში დევი დაამარცხა, ცეცხლი წარსტაცა და მოკლა, სამი ქალიშვილი ტყვეობიდან გაათავისუფლა (ისინი ორობ მეფის ასულები იყვნენ) და თავის ძმებს შერთო ცოლებად, ქალდანიეული ვარიანტით, ერთად წამოვიდნენ შინ, ხოლო გურჩიანისეული და გულედანისეული ჩანაწერებით ამირანმა ძმებს უთხრა, რომ მე წინ წავალ მახარობლადო და ნახა, ან ნახეს, რომ: „შავ დედაბერს ჩვილი ბავშვების თავებით მოუფენია კალო და ლეწავს. ამირანი მიეჭრა, თმებით მოზიდა და ხანჯალი დააბჯინა. ახლავე მითხარი, რა ამბავია, თუ არა მოსვლია უკანასკნელი დღე. დედაბერმა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა“. (ჩიქოვანი, 1984:137)

დედაბერმა უთხრა: ამ ბავშვების თავებით ბაყბაყდევის ძმას, ქეშეკ დევს, მიუციაო გასალეწავად. მასო (ამირანს) მისთვის ძმა მოუკლავს, მაგრამ ქეშეკს მისი ბაბუა ივას (საინტერესოა, რომ ივა ხელმწიფეა, იგი ტექსტებში ზოგჯერ ივა მამად არის ნახსენები, ზოგჯერ კი ბაბუად). სახელმწიფო, სიტყვა-სიტყვით რომ ეთქვათ, განალეწად, უქცევია, ან დაუღწავს. მასო (ამირანს) ბაყბაყდევის სამყოფსადგომი (სახლ-კარი) გაუნადგურებია, ამიტომ ქეშეკ დევსო მისი ბაბუა ივას ამოწვევტა ჩაუღვია გულში. (მივაქციოთ ყურადღება) ერთი კალო გაღწეილი გვაქვს. იმისი ბზე მისი ბაბუისათვის შეუყრიათო. ვარიანტებში წერია ეზოში დაუყრიათო და სწორიც ესაა, და იგი (ივა) ახლა გაგიჟებულია, რას შერება, არ იცისო. ამ ბავშვების განალეწ ბზეს თუ მეორედ მივაყრით, მაშინ თქვენ სახელმწიფოში მყოფი ყველა ადამიანი ქვად იქცევაო“. ე.ი. როგორც ვნახეთ, დედანში ყველაფერი გასაგებად წერია. ყოვლად შეუძლებელია, რომ ზემოთ აღწერილი სურათის მნახველი ყოფილიყო ივა ხელმწიფე, ამ ზილულს წინ უძღვის შემდეგი: როცა ამირანმა და მისმა ძმებმა შეასრულეს ივა

ხელმწიფის ყველა დავალება, დევს თვალი წარსტაცეს და ისევ ივას დაუბრუნეს და ჩაუსვეს. ივამ ღზინი გადაიხალა და ქვეყანა დაპატიჟა, მაგრამ ამირანს დიდხანს არ შეეძლო ერთ ადგილას გაჩერება და ისევ საჭაბუკოდ წავიდა ძმებთან ერთად. ამის შემდეგ ხდება ის, რაც ზემოთა აღწერილი, საერთოდ, ივა ხელმწიფეს, უძლიერეს რაინდს, წინასწარმეტყველს, ქრისტეს ნათლულს, თუნდაც ეხილა ის, რაც აღწერილია, მისი სულით დაავადმყოფება არაა სწორი. ივა გამორჩეული რაინდია. კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად სხვა სირთულეებთან, ჯერჯერობით აუხსნელთან, გვაქვს საქმე. კერძოდ, ჩანს, რომ ჩვილ ბავშვთა თავების განალეწი ისეთი იდუმალი ძალის ყოფილა, რომ მისი მეორედ დაყრა ივას ეზოში მთელი სახელმწიფოს ქვად ქცევას იწვევს.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძმების გამოცდას. როცა ამირანმა შეძლო გაეგო ივა მამის თვალის დაკარგვის საიდუმლო, ძმები საბრძოლველად გაემზადნენ. ივა ხელმწიფემ უთხრა: თორმეტი მთის იქეთ კალია ბინადრობს, იმის იქით სკაა. თუ მომიტანთ კალიას ხორცსა და თაფლს, ივარგებთ ბაყბაყლევის წინააღმდეგ მებრძოლებად. პროფ. მიხ. ჩიქოვანი კალიასთან ბრძოლის ეპიზოდს ასე აღწერს – „დიდი ხნის ძებნის შემდეგ (ტექსტში კი წერია ერთი წლის შემდგომ) აღმოაჩინეს ძმებმა ჭრიჭინა. იგი უზარმაზარი იყო. სამს ფრთა ამოჰკრა და ცხრა მთას იქეთ გადაკარგა“. უნდა იყოს: კალიამ ფრთა ოდნავ შეარხია და ისეთი ქარბუქი ატეხა, რომ ბადრი, ვისიბი და ჩალამ—კალამი ცხრა მთას იქით გადატყორცნა. ამის შემდეგ ვკითხულობთ, რომ „მხოლოდ ამირანი შეუძერა ილლიაში, როცა ჭრიჭინა დაწყნარდა, ამირანი გამოძერა და გაჭირვების დროს მოსახმარი ვეფხის კუდი გამოიყენა“ (ჩიქოვანი, 1984:139). თარგმანი უზუსტოა. როცა კალიამ ფრთა შეარხია და ძლიერი ქარბუქი ატეხა, ამირანი ილლიაში კი არ შეუძერა, არამედ, მთქმელის სიტყვით, ისე დააწვა მიწას, რომ მუხლებამდე ჩაეფლო და ამით გადარჩა ცხრა მთას იქით გადაკარგვას. როცა კალიამ ფრთები დაკეცა, დააწყნარა, მაშინ მიეჭრა ამირანი და ვეფხის კუდით ფრთები შეაჭრა, შემდეგ კი დაშნით აქნა. ასე რომ, ამირანი ჭრიჭინას ილლიაში არც შემძერალა და არც გამომძერალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სკა იმ ქვეყანაში არ აღმოაჩინეს, სადაც კალია ბინადრობდა, არამედ ტექსტში პირდაპირ-

რამ მითითებული, რომ კალიას დამარცხების შემდეგ მიდიან, მიდიან და რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ აღმოაჩინეს სკა“. ე.ი. კალიას საბინადრო ქვეყანა სხვაა, სხვა სივრცე, ხოლო ფუტკრისა კი - სხვა. ვიმეორებთ, წყაროთა მითითება და გვერდები აქაც არაა ზუსტი... პროფ. მიხ. ჩიქოვანი დაინტერესებულა ძნელად შესასრულებელ დავალებათა სირთულით, კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ „ბაყბაყდევის სამყოფი ციხე-კოშკი ფეოდალურ ციხე-სიმაგრეს გკავონებს ყველა მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტით. სვანურ ტექსტში ნათქვამია: „სახლსა და კოშკს გარშემო ჯერ გველუშაპის, შემდეგ რკინის სალდათების და ყველაზე ახლოს ცოფიანი ძაღლების ჯარი არტყია“. მათ გარდა, დევს ყელიდან ცეცხლის აღი ამოსდის და წინ ღოლაბი ქვა უდევს. მთელი ეს „ჯადოსნური ხლართები ჯადოსნური წესით უნდა იქნეს დაძლეული და რომ „სათანადო რეცეპტსაც“ თხზულებაში ვპოულობთ დარიგების სახით“. ეს რეცეპტი ასეთია: „უნდა წაიღოთ თითო ხურჯინი ბაბბა, თითო დაკლული ცხვარი“, ამის გარდა, „დაგჭირდებათ ერთი გუდა ნეხვი“. ქვემოთ კი ვკითხულობთ: „იცოდეთ, დევს წინ აღმური მოუძღვება, თქვენ ვირის განავალს მოუკიდებთ და იმას მიუკმევთ მას“. (ჩიქოვანი, 1984:139) წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ საკითხზე საუბარი არაეისტეორია, მაგრამ ჭეშმარიტებისათვის, ალბათ, კომპრომისია საჭირო. საქმე ისაა, რომ გურჩიანი-სეულსა და გულედანისეულ ვარიანტებში დევს ელიას აღი ამოსდის ყელიდან და არა აღმური, - თქვენ ერთი გუდა ვირის შარდი (სვანურად ნასენ) დაიკავეთ და შეასხით, აღი ჩაქრებაო. სვანური პროზაული ტექსტების მეორე ტომში, რომელსაც პროფ. მიხ. ჩიქოვანი მიუთითებს, დაბეჭდილ ქალღანისეულ ვარიანტში ჩანს, რომ მთქმელი და ჩამწერიც მოერიდა „ნასენის“, ანუ „შარდის“, თქმასა და ჩაწერას, ამიტომ ნ... დაწერა, ამ ასოთი იწყება მეორე სახელწოდებაც, მთარგმნელმა რატომღაც მაინცდამაინც იგი თარგმნა, რასაკვირველია, ვირის ნეხვზე წაკიდებული ცეცხლის კმევით ელიას აღის ჩაქრობა შეუძლებელია, თანაც, ამირანის არც ერთ ვარიანტით არ დასტურდება, რომ გმირები დევის ყელიდან ამოსულ ელიას აღს ცეცხლით აქრობდნენ. მით უმეტეს ტექსტში წერია „ლახბილდ“ - მიახსნითო. კონკრეტულ შემთხვევაში იმის გახსენებაცაა საჭირო, რომ, როდესაც ამირანმა და მისმა ძმებმა დევის მცველი გველუშაპთა ლაშქარი, რკინის

კაცები და ძაღლები დაამარცხეს, ღვევი კინალამ გაგიჟდაო, - ამბობს მთქმელი, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ღვეს ყელიდან ელი-ას ალი ამოსდიოდა. ეს კი მრავალმხრივია დამაფიქრებელი. ამირანი მხოლოდ ორთაბრძოლაში იმარჯვებს.

XXVI თანდაყოლილი საგნები. პროფ. მიხ. ჩიქოვანის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ვეფხვის კუდმა, რომელიც, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ამირანს ღედის მუცლიდან გამოყვა. მკვლევრის სიტყვით: „ახლა ისეთ რამეზე გვექნება საუბარი, რომლის ხსენება იშვიათზე იშვიათია. საკითხი ვეფხვის კუდს, როგორც მაგიურ საგანს, შეეხება. ამირანის ეპოსის სამასამდე ჩანაწერში იგი მხოლოდ სამჯერ შეგვხვდა და ისიც მხოლოდ სვანურ ტექსტებში“. ამის შემდეგ აღწერილია სამი შემთხვევა. გავეცნოთ თითოეულ მათგანს:

ა) ამ დროს გაახსენდა (ამირანს) მისი ვეფხვის კუდი, ამოიძრო, დაინახეს თუ არა რკინის კაცებმა, სულ ამოწყდნენ, თურმე, აკრძალული ჰქონიათ ვეფხვის კუდის დანახვა.

ბ) მაგრამ ამირანს ამ გაჭირვების ჟამს გაახსენდა ვეფხვის კუდი, იძრო საქამრიდან, მარტყა ფეხებზე და კოჭები დაუმტვრია.

გ) გაჭირვების დროს ამირანმა წამოიძრო საქამრედან ვეფხვის კუდი, დაარტყა შუა წელზე ღვეს და გვერდები დაუნაყა“.

წყარო არც კონკრეტულ შემთხვევაშია სწორად მითითებული. სვანური პროზაური ტექსტების მეორე წიგნში „ბალსქვემოური კილო“ 55-ე გვერდზე დაბეჭდილია ჯადოსნური ზღაპარი „ბერჯაშტურა“ და არა ამირანის თქმულება. მართალია, ცალკეული ფრაზები არაა ზუსტად თარგმნილი, მაგრამ სხვა სტრუქტურულ კომპონენტებთან შედარებით აქ უკეთესი მდგომარეობაა. შრომის ავტორი მოტანილი სტრუქტურული კომპონენტის კომენტარებსაც გვთავაზობს, მიანიშნებს, რომ ვეფხვის კუდის შეხებით მოწინააღმდეგე მარცხდება, დანახვით კი ქრება, ნაუწყებია, რომ იგი დაბადებიდანვე თან დაჰყვა ამირანს და ამდენად ღედის მემკვიდრეობაა და სხვა. ყველაფერი ეს დაწვრილებითაა გადმოცემული ტექსტში. რასაკვირველია, დამოწმებული ქალღანისეული ვარიანტიდან კიდევ შეიძლებოდა სხვა სტრუქტურული კომპონენტების მოტანა და იგი უფრო წარმოაჩენდა ძეგლის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნებოდა

შრომის ავტორის აზრი მთლიან სიუჟეტზე, თუ რითაა იგი საყურადღებო და რა ახალი საკითხები შეიძლება დაისვას მასზე დაყრდნობით, მაგრამ მკვლევარი რატომღაც დუმს, მხოლოდ ცალკეული კომპონენტების მოხმობით კმაყოფილდება. მოკლედ, ტექსტის ზოგად მნიშვნელობაზე არაფერია ნათქვამი. იგივე მდგომარეობაა სხვა სიუჟეტებიდან მოტანილ კომპონენტებთან დაკავშირებითაც. ერთ-ერთი ასეთია საკმაოდ სპეციფიკური ტექსტი „დალი და დარჯელანი“, დაბეჭდილი სვანური პროზაული ტექსტების პირველ წიგნში „ბალსაზემოური კილო“. (შანიძე, 1939:65) პროფ. მიხ. ჩიქოვანი ვრცლად იხილავს ამირანის ნათლობას (XXVII მონათვლა), თუ ადრეო, „მონათვლის მოტივი ზოგადი თვალსაზრისით განიხილებოდა მხოლოდ, ახლა, ვფიქრობ, შინაგან მხარეს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება და ნათლიებად დასახელებულია წმ. გიორგი, ანგელოზი, ქრისტე ცალკე და იშვიათ შემთხვევაში ორ-ორიც ერთად“ (ჩიქოვანი, 1984:141). შრომის ავტორი მიუთითებს ზემოთ დასახელებულ ტექსტზე, რომლის მიხედვითაც მამაუფალი, წმ. გიორგი და მაცხოვარი ერთად მოგზაურობდნენ. გზაზე მტირალი ბავშვი ნახეს. წმ. გიორგიმ და მაცხოვარმა მონათლეს: ყველას მომრევეი ყოფილიყოს (ვიდრე შუა ხანობამდე მოვიდოდის) და მაშინ კლდის წერა გამხდარიყოს. ციტირება არაა სრული და ზუსტი. როცა დასახელებული არსებები მოგზაურობდნენ, ტექსტში ნათქვამია, „წმ. გიორგიმ თქვა: „ბავშვის ტირილი მესმისო. მაცხოვარი ეუბნება: „მეც მესმის, მაგრამ ჩვენ ბატონთან ვერ გავამხელთო“. აქვეა ნაუწყები, რომ „ფუსნა ბუასდიშ“ – მეუფე სამყაროსი, მამალმერთი, არ დაეთანხმა წმ. გიორგისა და მაცხოვარს და ბავშვს, ამირანს, დაანათლა: „ყველას მომრევეი ყოფილიყოს, სანამ ქრისტეს თავდებობა სამჯერ არ გატეხოს... მაშინ ქაჯავეთში შემსვლელი ყოფილიყოს“ (შანიძე, 1939:88) როგორც ვხედავთ, ტექსტის შინაარსი არაა სწორად გადმოცემული. კონკრეტულ შემთხვევაში ამირანის ბელის მწერლებად, ნათლიებად სამივე არსებაა და არა მხოლოდ წმ. გიორგი და მაცხოვარი. თანაც ტექსტისათვის უმთავრესი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც მამალმერთს ეკუთვნის, გამოტოვებულია. ამ საკითხზე ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი. ასე რომ, ამირანის სვანური ვარიანტებისადმი ცალმხრივი მიდგომა ბოლომდე გაგრძელდა: მკითხველს არც კონკრეტულ შემთხვევაში

აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სრული წარმოდგენა იქონიოს დასახელებულ ვარიანტებზე, მათ მიზანდასახულებასა და მეცნიერულ მნიშვნელობაზე.

იბადება კითხვა: რით არის საინტერესო საანალიზოდ წარმოდგენილი ქალღანისეული ჩანაწერი და რა ადგილი შეიძლება მიეჩინოს მას თავისი ვარიანტებითურთ, ამირანიანის კვლევის ისტორიაში? პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მისი გაცნობის შედეგად რჩება, ესაა ძეგლის არქაულობით შეპირობებული ორიგინალობა. იგი მთლიანად დატვირთულია ძირძველი მითოსური სახეებითა და სიმბოლოებით. ცალკეულ მოტივებს პარალელები ეძებნება, როგორც სვანურ, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ ვარიანტებთან. ამასთანავე, წინამდებარე ტექსტი ტრადიციული ვერსიებისაგან განსხვავებით, უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის ამირანიანის ჩამომავლობასა და ბუნებაზე, კულტურულ გმირობაზე, ფუნქციებსა და თავგადასავალზე, ასევე ჟანრულ თავისებურებებზე. იმასაც დაეძინებ, რომ განსახილველი ნაწარმოები თავისი თემატიკური მრავალფეროვნებით ურთულესთაგანია „ამირანიანის“ დღემდე ცნობილ ვარიანტთა შორის, ყველაზე ვრცელიც. იგი უფრო გვაახლოვებს ამირანიანის, ალბათ, თეორიულად წარმოსადგენ სიუჟეტურ აღნაგობასთან. აქ, მართლაც, უმთავრესი ტექსტის სისრულე და ამბის განვითარების თანმიმდევრობაა თვალში საცემი. მასში შესავალიდან, რომელიც ძალზე ორიგინალურია, დასასრულამდე მთელი რიგი სიახლეებია წარმოჩენილი, რასაკვირველია, თქმულის ნათელსაყოფად ზუსტი ტექსტობრივი კვლევა აუცილებელი, კერძოდ, ძეგლის განსხვავებული მოტივებისა და ეპიზოდების, ასევე ცალკეული ფრაზებისა და გამოთქმების აღნუსხვა, მათი შეჯერება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ვარიანტებთან. ასე, მაგალითად, როგორც ვნახეთ დამოწმებულ ტექსტში შესავალი ასე იწყება: „იყო ერთი ხელმწიფე, ამ ხელმწიფეს ერქვა ივა, ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: ერთს ერქვა ბადრი, მეორეს ვისიბი, მესამეს ჩალამ-კალამა. ეს ძმები ძალიან სახელგანთქმულები ყოფილან ახალგაზრდობაში. დევები ძირიან-ფოთლიანად ამოწყვიტეს და მარტო ნადირის ხორციით იკვებებიან (აქ ნანადირეში იგულისხმება მხოლოდ ჯიხვი და არჩვი). შეიძლება ცალკე განხილვის საგანი იყოს „ივა და მისი ოჯახი“. შესავალი ნაწილი განსაკუთ-

რებული ღირებულების მქონედ მიგვაჩნია. ცხადია, იგულისხმება დასახელებული ვარიანტებიც, მათ წმინდა მეცნიერულ მნიშვნელობაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი... შედარებამ გამოავლინა, რომ სვანურ ტექსტს ერთგვარი ფრაგმენტული მსგავსება აქვს ერთ-ერთ ქართლურ და კახურ ვარიანტთან. კონკრეტულ შემთხვევაში ვემყარებით პროფ. მიხ. ჩიქოვანის ზემოთ დასახელებულ ნაშრომს „მიჯაჭვული ამირანი“. აქ ქართლურის ერთ-ერთ ვარიანტში, შესავალი ასე იწყება „სამნი ძმანი იყვნენ: ერთ მათგანს ერქვა სულ კალმახი, მეორეს ბადრი და მესამეს უსუპი, გვარად დარუჯანაშვილები. უსიპს ერთი რკინის ქუდი ჰქონდა, დაიხურავდა ამ ქუდს, ავიდოდა ალვის ხეზედ, რომელიც იქვე კარზედ იდგა და ერთს ისე საშინლად დაიყვირებდა, რომ ღვეებს შიშით ძღვენი მოჰქონდათ“. (ჩიქოვანი, 1947:220) ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ ერთხელ ვისიბი სანადიროდ წავიდა, მთიან ადგილას კოშკში მზეთუნახავ ქალს შეხვდა, რომელთანაც სამი ღამე დაჰყო... სამი ღღის შემდეგ უსუპი კვდება. დამოწმებულ ეპიზოდებს შორის ისაა მსგავსი, რომ თითოეულში სამივე ძმა ზრდასრული რაინდია. ქართლურში ყველაზე ძლიერი უსუპია. მას ღვეები დამორჩილებული ჰყავს, ძღვენს უზიდავენ. სწორედ ამ ფრაზით აქვს მას ძალზე გარეგნული მსგავსება სვანურ ტექსტთან, რაც შეეხება კახურის ერთერთ ვარიანტს „სოლომონი და მისი შვილი“, უფრო ქართლურთან ავლენს მეტ სიახლოვეს, ვიდრე განსახილველ ქალღანი-სეულ ვარიანტთან. ამ ტექსტში ამირანის მამა სოლომონია, ბიძები კი ბადრი და უსუპი. ბადრისა და უსუპის ამირანის ბიძებად მოხსენიება იშვიათია. ისინი უმეტეს შემთხვევაში ამირანის ძმებად იწოდებიან. ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ „სოლომონი კარგი მონადირეა. იმ ქვეყანაში მარტო ისინი ყოფილად აღამიანები, სხვები კი ღვეები ყოფილან. სოლომონს ერთი ხე ბმია კარებზე მაღლა, ამ ხეზე ცხრა თვეში ერთხელ აღიოდა და დაიყვირებდა. მის ყვირილზე ყველა მღვეს მუცელი დააწყდებოდა“. როგორცა ვხედავთ, გმირთა დამოუკიდებელი ქმედება ორივე ვარიანტში თითქმის ერთნაირია, ღვეებს ებრძვიან. სწორედ ამ ნიშნით ემსგავსებიან ქალღანი-სეულ ვარიანტს, სადაც ახალი პერსონაჟია ივა ხელმწიფე. თვით გმირთა ქმედებაშიც სულ სხვა სიღრმისეული იდუმალებაა საფარველდებული. არსებითი ხასიათის სხვაობაა მომდევნო ეპიზოდებშიც. საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტი-

დან ვიგებთ, რომ ამირანი ანგელოზის შვილია, ხარის ტყავში გახვეული და ღმერთების მიერ მთის მწვერვალზე დასმული, რომ ადამიანად გარდაიქმნეს. მსგავსი ეპიზოდი „ამირანიანის არც ერთ ტრადიციულ ვარიანტში არ დასტურდება. კონკრეტულ შემთხვევაში ბუნებრივია კითხვა:

როგორია მთის სფეროთა ფუნქციები დამოწმებული ძეგლის მიხედვით და რა მითოსური რწმენა—წარმოდგენებია დაკავშირებული მთასთან ზოგადად? ასევე საყურადღებოა, თუ რატომ არ ეკარება დახვეულ ხარის ტყავს, რომელშიც ანგელოზის შვილია ჩასმული, ადამიანის საბრძოლო იარაღები? რას უნდა ნიშნავდეს ხარის ტყავის მოძრაობა სამყაროს ოთხივე მიმართულებით და რა მითოსური წარმოდგენები შეიძლება იყოს დაკავშირებული ხარის ტყავთან დამოუკიდებლად, ასევე ფაშვთან, რა სხვაობაა მათ შორის? რატომაა ტყავი დაყურებული და დამშვიდებული იმ ადგილას, სადაც ყველაზე მძლავრად აცხუნებს მზე და რა სიმბოლური დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მზეს, მზის სხივებს? განსახილველად წარმოდგენილ ქალღანი-სეულ ტექსტსა და მის ვარიანტებში რატომ არ დასტურდება დალის ციკლის მასალა და საერთოდ დალი, როგორც პერსონაჟი, ამირანის დედა, მშობელი? კონკრეტულ შემთხვევაში ეს ტექსტის ხარვეზია, თუ არქაული მომენტი, ან ხომ არაა ამ ეპიზოდში რაღაც უფრო ღრმა კანონზომიერება, რომელსაც ამირანის ღვთიურ ჩამომავლობამდე მივყავართ? დღემდე ცნობილი ტრადიციული ვარიანტების ერთი ნაწილი გვეუბნება, რომ ამირანს დედის მუცლიდან აღმასის დანა გამოჰყვა, რომელიც ცალკეული ვარიანტების მიხედვით გმირის ზრდასთან ერთად იზრდება. წინამდებარე ძეგლი ამ მხრივაც თავისებურია. ამირანს ხარის ტყავიდან ყოვლის მძლვევი ვეფხვის კუდი გამოჰყვა. მასთან დაკავშირებული წარმოდგენები ადგილობრივი წარმოშობისაა თუ სხვა ქვეყნებიდანაა შემოსული? წარმოდგენილ ნაწარმოებში რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს იორდანეს წყალს, ასევე ბადეს, რომელიც ქრისტე ღმერთმა მის ნათლულს, ივა ხელმწიფეს, აჩუქა და თავისი ძალმოსილებაც ზედ დაანათლა. რა დონეზე შეიძლება ვისაუბროთ, კონკრეტულ შემთხვევაში, ქრისტიანობის კერძოდ კი ახალი აღთქმის გავლენაზე? წარმოდგენილი ძეგლის მიხედვით შეიძლება თუ არა დაისვას საკითხი ამირანის ღვთიურ ჩამომავლობაზე,

ვინაიდან ტექსტში პირდაპირაა მითითებული, რომ ხარის ტყავში ან-გელოზის შვილია ჩასმული. ამასთანავე, ჩანაწერი იმასაც გვაუწყებს, რომ ამირანმა ცეცხლი წარსტაცა ქვესკნელურ ძალას, დევს, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება. ეს ეპიზოდი დასტურდება ზემოთ დასახელებულ სამივე ვარიანტში, ქალდანიისეულ, გურჩიანისეულსა და გულედანისეულში და სხვა. ყველა ამ კითხვას „ამირანიანის“ ზემოთ მოტანილი ტექსტისა და მისი ვარიანტების ფრთხილმა ანალიზმა უნდა უპასუხოს, ოღონდ აქ საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ, საანალიზო ჩანაწერი თავისი ვარიანტებითურთ ორიგინალურია. ამიტომ სირთულეებიც განსაკუთრებულია. პირველ ყოვლისა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ამირანიანის“ ვარიანტები გვიანდელია. ისინი არ სცილდებიან მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებს. ამის გამოა სიუჟეტები მნიშვნელოვნად შეცვლილი და გამკრთალებული. ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ ფრაგმენტებიღა არის შემორჩენილი. ღიღია „ამირანიანის“ სიუჟეტებზე ჯადოსნური ზღაპრის გავლენაც. ასე რომ, არაფერი ვიცით, თუ რა აღნაგობისა იყო ძველი თავდაპირველად და როგორია მისი ტრანსფორმაცია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდები შეეძლება გამოითქვას. ამიტომ ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ არა მარტო ახალ ვარიანტებსა და მოტივებს, არამედ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებსა და სახელწოდებებს, განსაკუთრებით კი საკულტო ტერმინებს. ამირანიანის კვლევა უეჭველი დასტურია იმისა, რომ ზოგჯერ სიტყვასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძველის ცალკეული ეპიზოდის თუ რომელიმე საკითხის სწორად გააზრებისათვის. ასე, მაგალითად, ღღემდე ცნობილი ტექსტებიდან ჯვარი ერთადერთ ფრაგმენტშია ნახსენები.

მთას ირემი წამოგვიხტა, ცასა სწვდება რქანი მისი,
ამირანმა რო ესროლა, მოსლო მარჯვენა მხარსაო,
მივიდა ბევრი იტირა, რო ჯვარი ნახა რქასაო.

პროფ. ზ. კიკნაძე ამ ფრაგმენტს ვრცელი ბალადისებური [40–21] ტექსტის ნაწილად მიიჩნევს, „რომელიც ამგვარად იწყება: „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი“... ამ ბალადის არც ერთ ვარიანტში ჯვარი არ გვხვდება, არც ის ჩანს, რომ ოქროს რქიანი ირემი რაიმეთი ნიშნულია. „ამირანმა ბოძალი ჰკრა, წითლად დას-

ჭრა მხარი მისი“ – და ამ მოქმედებას არ მოჰყვება ტრაგიკული შედეგი, მაგრამ, რაკი მას, თუნდაც ერთ, უნიკალურ ვარიანტში მიეწერება ჯვრიანი ირმის მოკვლა, იგი არ უნდა უგულვებელვყოთ, უნდა ჩავთვალოთ ამირანის განწირულობის მომასწავებლად ამ ძველთუძველესი მითოლოგიების საშუალებით. ეს ეპიზოდი ძალზე მოხდენილად შედარებული სხვა ძველი კულტურისანი ქვეყნების მითოლოგიებთან. პროფ. ზ. კიკნაძე განაგრძობს, რომ: „ჯერ კიდევ აგამემნონია გახვეული ამ მითოლოგიებაში. თქმულებით, მას მოუკლავს არტემისის წმინდა შველი, რაც მისი ტრაგიკული დაღუპვის მიზეზი გამხდარა. მოგვიანებით იგივე მიზეზი მოუსწრაფებს სიცოცხლეს ბიზანტიური ხანის ბერძენ გმირს დიგენის („ორგზის შობილი“) აკრიტასს. მისი მოკლული ირმის რქებს შორის ჯვარი და ბეჭებს შორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი აღმოჩნდა და მანაც, როგორც ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ამირანმა, გამოიგლოვა თავი: სამასი დათვი მოვკალი და სამოცდაორი ლომი და, აჰა, ბედისწერამ წმინდა ირემს შემახვედრა, რომელსაც რქებში ჯვარი ჰქონდა, თავზე ვარსკვლავი და ბეჭებზე ღვთისმშობელი, ცოდვაში ჩავეარდი და უნდა მოკვდე“ დიგენისი იღუპება, როგორც ტიპური მონადირე, რომელსაც ნადირობისას შემოაკვდება ნადირთ პატრონის რჩეული პირუტყვი. ამასთანავე, შესაძლოა, დამატებით მისი ცოდვა დანოცილი ნადირის გადამეტებულ რიცხვშიც (სამასი დათვი და სამოცდაორი ლომი) გამოიხატა“. (კიკნაძე, 2001:39).

რასაკვირველია, ასეთივე მიდგომა გვმართებს ნებისმიერი ახალი გამოთქმის, სახელწოდების, სიტყვის თუ ვარიანტისადმი, კონკრეტულ შემთხვევაში საანალიზოდ წარმოდგენილი ძეგლისადმი, რომელიც ბევრ სიახლეს გვთავაზობს.

მიყვებით ტექსტს თანმიმდევრულად. აღინიშნა, რომ შესავალი ნაწილის პირველი აბზაცი ძალზე ორიგინალურია. მას ზუსტი ანალოგი არ დაეძებნება ტრადიციულ ვარიანტებთან. ისე როგორც ყოველი ვარიანტი, ისაც დამოუკიდებელი თავისთავადობაა. თუ ღრმად დავაკვირდებით დამოწმებულ ეპიზოდს, ერთ საინტერესო აზრამდე მივალთ, კერძოდ, დღემდე ცნობილი ვარიანტებისაგან განსხვავებით, ივა ხელმწიფის შვილების თავგადასავალი ბოლოდან იწყება. ისინი აღზევებულ მდგომარეობაში არიან, ბევრი საგმირო საქმე აქვთ ჩადე-

ნილი ქვეყნიერების სასიკეთოდ, დევები მთლიანად ამოწყვიტეს, სახელგანთქმული მონადირეებიც არიან. ამიტომ, რომ ქვეყანა მათ აქებს. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ბადრიმ, ვისებმა და ჩალამ—კალამმა თითქოს აღასრულეს თავიანთი მისია კაცობრიობის წინაშე. თვით ხალხური მთქმელი არაფერს გვეუბნება გმირთა ქმედებაზე, საერთოდ გაურბის დეტალიზაციას, სულ ორიოდ ფრაზით ვგებულობთ, რომ ივა ხელმწიფის შვილები გამოკვეთილად გამორჩეული რაინდები არიან, სანაქებო, ყოველნაირად პატივდებული. აქ მკითხველისათვის პერსონაჟთა ქმედების მხოლოდ შედეგებია ცნობილი, რომ ბოროტი ძალები გაანადგურეს, მაგრამ როგორი იყო მათი ბავშვობა (ბობოქარი ბავშვობა), ჭაბუკობა, როგორ მოაღწიეს ამ აღზევებულ მღვდმარეობამდე, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდათ ადრეულ ასაკში, ყოველივე ამაზე მთქმელი დუმს, არაფერს გვეუბნება, თავად მკითხველმა უნდა იფიქროს გმირთა წარსულზე, ბავშვობასა, თუ ჭაბუკობისდროინდელ პერიოდზე და სხვა. როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ეპიზოდსა და საერთოდ ტექსტში გმირთა დახასიათება სულ სხვაგვარია, ვიდრე ტრადიციულ ჩანაწერებში. ამ თავისებურებათა ჩვენებისათვის, პირველ ყოვლისა, სვანური სამონადირეო ტრადიციათა გათვალისწინებაა აუცილებელი და, თუ როგორია სამონადირეო ტრადიცია სვანთა ყოფიერებაში და რა ადგილი უკავია მას კუთხის ზნე-ჩვეულებებსა და ფოლკლორულ ძეგლებში, ამაზე მომდევნო თავებში, კერძოდ, დალის ციკლის მასალების განხილვისას ვისაუბრებთ. ამჯერად კი ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის და შესავლის იდუმალების ამოსაცნობად მხოლოდ ზოგადი მინიშნებებით დაკმაყოფილდებით. სვანეთში მკვეთრადაა გამოიჯნული ერთიმეორისაგან პროფესიული და არაპროფესიული მონადირე, პროფესიული მონადირის ვალი მხოლოდ ნადირობაა. იგი სხვა სამეურნეო სამუშაოებიდან თავისუფალია. რასაკვირველია, მონადირეს, პირველ ყოვლისა, ევალება ოჯახის მომარაგება გარეული ნადირის ხორცით, მაგრამ თვით პროფესიულ მონადირეებშიც არიან (მართალია, ერთეულები) გამოკვეთილად გამორჩეულები, როგორც სამონადირეო ხელოვნებით, ასევე მაღალი სულიერებით, არაჩვეულებრივი უნარებით, ხილვებით. ამგვარი მონადირის ვალი გაცილებით მეტია, ვიდრე ოჯახის მომარაგება ნადირის ხორცით. სწორედ ამ ტიპის მონადირეა

გარკვეულწილად პასუხისმგებელი გარემომცველ ბუნებაზე, კერძოდ, ნადირზე, მის გამრავლებაზე. ამიტომაცაა, რომ ამგვარად გამოცდილი მონადირე, გარდა ყველა აკრძალვის დაცვისა, დასაშვებზე მეტ ნადირს არასოდეს მოკლავს, რომ ნადირთ პატრონი დალი არ გაურისხდეს. ხალხის რწმენითაც, ასეთ მონადირეს ხელი არ მოეცრება. იგი ძალიან ბევრ იღუმალებებსაა ნაზიარევი, ყველაზე კარგი მცოდნეა ბუნებისა და ცხოველთა სამყაროსიც, გამოირჩევა თავისი წმინდა ცხოვრების წესითაც, სოფელში მის ნათქვამს კანონის ძალა აქვს. იგი სიტყვაძვირი და თავშეკავებულია, ძლიერი ნების მქონე. ამგვარად მარხულსა და შინაგანად განწმენდილ მონადირეს აქვს უფლება მთის წმინდა ადგილებში მისვლისა. ხალხის რწმენით, მასზე ღვთიური მადლია გადმოსული, ამიტომ მას სხვანაირად „დოვლათიანს“, იმავე დავლათიანს და მადლიანსაც უწოდებენ. ვიმეორებთ, ასეთ მონადირეს ქალღმერთი დალი სწყალობს, აძლევს სვებედს, აკვლევინებს ნადირს და შინ მშვიდობიანად დააბრუნებს, სახლეულობაც კარგად ხვდება. ასე რომ, ნადირთღვთაების წყალობა მონადირის ჯალაბზეც დაშვებულია. უნდა დავსძინოთ, რომ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილები მრავალმხრივ გამოცდილებაგამოვლილი რაინდები არიან. მათ ადამიანური არსებობის ურთულესი გზა აქვთ გამოვლილი, ოღონდ მთქმელი ამ სირთულეებზე არაფერს გვეუბნება. გმირთა დახასიათებისას მისი მეტყველების სტილი ძალზე ლაკონურია, ფრაზა-ტევადი, მასში ცალკეულ გამოთქმებსა და თვით სიტყვებს მიღმა ბევრი რამ ივარაუდება და იგულისხმება, ოღონდ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დედანი გაცილებით მეტს გვეუბნება, ვიდრე იგი თარგმანშია გამჟღავნებული...

საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტი და მისი ვარიანტობი ტრადიციული ჩანაწერებისაგან გამოირჩევა გმირთა დახასიათების თვალსაზრისითაც. გმირი აქ თავისი რაინდული ქმედებითაა მომხიბვლელი და არა გარეგანი სამკაულებით, ნიშნებით, როგორც ეს საქართველოს სხვა კუთხის მასალებშია, განსაკუთრებით კი ფშავ-ხევსურულ პოეზიასა და პროზაში. ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, „გმირი თავისებურად არის ლამაზი; „სვილის-ფერა“, შავგვრემანი, „ქალისპირა ვაჟკაცი გმირად არ გამოდგება. ფშაველის აზრით, იგი მხდალია.

„დათვო, სთქვი შენსა რჯულზედა,
ვინ უფრო გეომებოდა?
ვაჟაი სვილის ფერაი
ტოტ და ტოტ მეომებოდა,
ვაჟაი ქალისპირაი
გორისპირთ ეფარებოდა.“ (5 ან 6)

(ვაჟა-ფშაველა, 1937:45)

ჩვენ ამჟერად თავს ვიკავებთ გმირთა დიფერენცირებაზე (ტომობრივი, ეროვნული და სხვ.), ვინაიდან ამ აზრით ამირანის სახით სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე საერთოდ და განსაკუთრებით კი სვანური ვარიანტების მიხედვით, სადაც ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნევა გმირის გარეგნული ნიშნებით დახასიათებისა, როგორც ეს საქართველოს დანარჩენი კუთხეების, მთისა და ბარის ვარიანტებშია. ასე, მაგალითად, ბადრი ქალივით ლამაზია, უსუპი თავბოლო გამაგრებულ ბროლის ციხეს ჰგავს, ამირანი კი შავი ღრუბლის მსგავსია, საცერისოდენა თვალები აქვს და სხვა. ერთ-ერთი ფშაური ვარიანტი გვეუბნება, რომ; „გავიდა ხანი, გაიზარდა ამირანიც; ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება. უსუპი და ბადრი მშვენიერები იყვნენ.

„ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:

სადილად ბულა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმაროდ გამზადებულსა,

უსუპი - ბროლის ციხესა, თავბოლო გამაგრებულსა,

ამირან შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“.

(ჩიქოვანი, 1947:313-314)

იმავე ვარიანტით, თვით „ქრისტე ღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებული წყლის სიჩქარე, გაქანებულის ზეგვის სიმარდე, თორმეტულელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი“.

მესხურ-ჯავახურ ვარიანტში უსუპი პირქუშ ვაჟკაცადაა წოდებული. როდესაც დევი და ამირანი შეიბნენ, დევმა აჯობა, მოკლა ამირანი. წამარმა იმგვარი ბალახით გააცოცხლა ამირანი, როგორითაც თავგმა - თავისი შვილი, მერე კი ბადრი მოძებნეს და გააცოცხლეს, ვისიბის საძებნელად ამირანი წავიდა, იარა და ერთ ადგილას

მიწას ხნავდნენ, იმათ უთხრა: „ძმობას! აქეთ კაცი ზომ არ გინახამთ ჩამოვლილი? ერთმა მათგანმა უთხრა: (ჩიქოვანი, 1947:330)

„ერთმა პირქუშმა ვაჟკაცმა მხარმარჯვნივ ჩამოგვიარა, გუთნეულს ხელი გაგვიკრა, წყალგალმით გაგვისრიალა“.

რასაკვირველია, მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიციულ ტექსტებში გმირთა ფიზიკური ძლიერებაა წინა პლანზე წამოწეული, შესაბამისად, ამირანიც მხოლოდ ძალისმიერ გმირადაა წოდებული სამეცნიერო ლიტერატურაში. რასაკვირველია, ძალისმიერობა ამირანის სვანურ ვარიანტებშიც წამყვანია, მაგრამ იგი სხვანაირადაა მოწოდებული. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ამირანისათვის მოხერხებული ქმედება არაა უცხო. დამოწმებული ტექსტიდან იმასაც ვიგებთ, რომ ძმები: ბადრი, ვისიბი და ჩალამ კალამიც უძლეველი რაინდები არიან. მათ ბოროტი ძალები მთლიანად მოსპეს და გაანადგურეს. ე.ი. ისინი ქმედებით არიან საინტერესო, მაგრამ ამ ქმედებათა და თვით პერსონაჟთა დახასიათებაზე მთქმელი თავს იკავებს, არაფერს გვეუბნება. ცხადია, აქ ისევ მთქმელის მეტყველებაა საინტერესო და იგი განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. სიტყვებში, რომ ივა ხელმწიფე და მისი ოჯახი მხოლოდ ჯიხვისა და არჩვის ხორციით იკვებება, ფარულად ის აზრია გაცხადებული, რომ ძმები უდარებელი მონადირეები და რაინდები არიან. მთქმელის სიტყვებში ისიც იგულისხმება, რომ მათ ყველა ის რთული გზები და საფეხურები აქვთ გავლილი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რაც ესოდენ დეტალურადაა აღწერილი ტრადიციულ ვარიანტებში, კერძოდ, გმირთა ბავშვობა, ჭაბუკობა და სხვა. დავუმატებთ, სვანური სამონადირეო ტრადიციაში, რომ მონადირე სანადიროდ წასვლის წინა დღეებში სრულ მღუმარებაში უნდა იყოს, ბევრი რამ ივარაუდება. პირველ ყოვლისა, ის, რომ მონადირე უნდა იცავდეს მარხვას არა მხოლოდ ფიზიკურ პლანში, რომ არ ჭამოს ცხიმინი საჭმელი, არ გაეკაროს არამცთუ უცხო ქალს, არამედ საკუთარ ცოლსაც და სხვა, არამედ, და ესაა ყველაზე უმთავრესი და რთული, უნდა შეძლოს ფიქრებში განწმენდა, რაიმე უკეთური აზრი არ უნდა გაიკაროს. თვითგანწმენდის ეს გზა ყველაზე რთულია, მაგრამ ჭეშმარიტმა მონადირემ უნდა შეძლოს იგი. სწორედ ასეთ მონადირეს სწყალობს ქალღმერთი დალი, როგორც პროფ. ზ. კიკნაძე შენიშნავს: „ამგვარად

მარხული და გაწმენდილი მონადირე თითქმის ჯვარის მკადრის მოწმიდარულ მდგომარეობაში იმყოფება. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ წმინდა მთებში შესული მონადირე იგივე მკადრეა, რომელსაც უფლება აქვს, დალაზოს კერივი ადგილები და ჯვარ-ხატთა ცოცხალი სიმბოლოს – მტრედის გამოცხადების მხილველი გახდეს. ზოგჯერ ასეთ მონადირეზე ძალიან დიდი მაღლიც შეიძლება გადმოვიდეს, მოძებნოს „გაქცეული ჯვარი“ და უკან დააბრუნოს თავის საბრძანისში. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი ანდრეზი ხევის სპარსანგელოზზე გვეუბნება, რომ „რალაც მიზეზის გამო ანგელოზის ხატი, თურმე, თავის საბრძანებელში არ ჩერდებოდა (გავიხსენოთ ხევის სიონის ღვთაების „მფრინავი ჯვარი“) და ერთხელ, თურმე, ყუროს მთისკენ გაფრენილა, ვერავის მოუხერხებია მისი პოვნა, გარდა მონადირისა, რომელსაც მიუხილავს ჯვარი და კვლავ მის საბრძანებელში მოუყვანია“. მაგალითის მოყვანა კიდევ შეიძლება: ასე, მაგალითად, „მონადირესვე მიეწერება ჩოხის წმ. გიორგის დაარსება გუდამაყრულ ანდრეზში. აქ მონადირე იტაცებს ჯვარს, რადგან იგი ღვეის ტყვეობაშია“ (კიკნაძე, 1985:84-85).

როგორც ითქვა, ამგვარ თვისობრიობათა გამოა, რომ, ხალხური რწმენით, გამოცდილსა და შინაგანად განწმენდილ მონადირეს, რომელიც უკვე სულ სხვა არსობრიობაშია გადასული, ნადირთ ღვთაება მფარველობს, მისი უშუალო მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშა და ყოველნაირ საწადელს უსრულებს, ოჯახშიც სრული სიმშვიდეა, თითოეული წევრი ცხოვრების ყველა სფეროში ხელმომართული და ბედნიერია, სიმდიდრეს არ უჩანს ბოლო. თავად ამ ტიპის მონადირე სულიერი ზეადსვლის ამ მაღალ საფეხურზე ხდება ნათელმხილველი, მას კავშირი აქვს ზებუნებრივ ძალებთან. უკვე იგი არაჩვეულებრივობაა მთელი თავისი არსებით, ქმედებით, გარემოსთან დამოკიდებულებითაც. ამგვარად გაბრძენებული მონადირე დამოუკიდებელი თავისთავადობაა, სრულიად განსხვავებული თავისი ცხოვრების წესითა და ქცევით. სოციალურში მისი ურთიერთობები, შეხედულებები და სხვა, უმეტეს შემთხვევაში გაუგებარიც კი არის ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, მისი თვალსაწიერი იმდენად ფართოა და მრავლისმომცველი, რომ იგი სცილდება ვიწროდ გაგებულ ლოკალურ ფარგლებს და იძენს უფრო მაღალ, ზოგადადამიანურსა და ზო-

გადკაცობრიულ იმპულსებს. სწორედ ამ აზრითაა საინტერესო და გამორჩეული განსახილველი ეპიზოდი და შესავალი ნაწილი საერთოდ. თუ ღრმად დავაკვირდებით მის შინაარსს, თითოეულ ფრაზას და ცალკეულ სიტყვებსაც, აღმოჩნდება, რომ ივა ხელმწიფის შვილების ინტერესები ძალიან ფართოა და მრავლისმომცველი. ამასთანავე, თითოეული დასრულებული, ჩამოყალიბებული პერსონაჟია. მათი სახით საქმე გვაქვს დიდ გამოცდილებამოვლილ რაინდებთან. ისინი ბევრი რამით სხვაობენ ტრადიციული ვარიანტების პერსონაჟებისაგან, განსახილველ ტექსტში ამკარადაა გამოკვეთილი, რომ ბადრი, ვისიბი და ჩალამ-კალამი ადამიანებისათვის სარგო საქმიანობას ეწევიან. მთქმელის სიტყვები, რომ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილებმა დევები და სხვა მავნე სულები ამოწყვიტეს, ის აზრია გაცხადებული, რომ გმირთა მისია ზოგადკაცობრიულია და არა პიროვნული. სწორედ ესაა დასანახავი მათ მოღვაწეობაში. ამასთანავე, ისინი ჭეშმარიტად მაღალი სულის რაინდები არიან. მართალია, გარეგნულად არ ჩანს, მაგრამ მათ ქმედებაში უდრეკი ნება, სიახლის შეცნობის დაუოკებელი სწრაფვა და უნარია ამოსაცნობი. ქვემოთ მაგალითებით დავრწმუნდებით, რომ ისინი მაძიებელი სულის რაინდებიც არიან, ოღონდ ხალხური მთქმელი კი არ აღწერს, კი არ ახასიათებს მათ ამგვარ თვისებებსა და განცდებს, დეტალიზაციის გზას კი არ მისდევს არამედ გვაგრძობინებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ამ განცდათა შინაარსი, ამაზე მკითხველმაც უნდა იფიქროს. როგორც ცნობილია, ხალხური შემოქმედებისათვის „განცდების ენა არაა წამყვანი და არც შეიძლება იყოს (კიკნაძე, 1975:30). დავსძენთ, რომ ხალხურს ადამიანის ფსიქოლოგია არ აინტერესებს, არც პერსონაჟის განცდებზე ახდენს აქცენტირებას. ეს განსაკუთრებით ითქმის ამირანზე საერთოდ, (რა თქმა უნდა, გამონაკლის ფრაგმენტებსა და ეპიზოდებს არ ვგულისხმობთ, სადაც ავტორმთქმელის როლი ძალიან დიდია) უფრო მეტად დამოწმებულ ვარიანტებზე. აქ გმირთა განცდების თუ ქმედებების აღწერა—დახასიათების ცდაც კი არ შეიმჩნევა, მაგრამ სიუჟეტი შესავლიდანვე იმზაირად ვითარდება, რომ გმირები თავიანთი ქმედებით გველაპარაკებიან საკუთარ თავზე. მკითხველმა კი თავად უნდა გაიკვალოს გზა, თავად უნდა იფიქროს, თუ რა განცდები შეიძლება ჰქონდეთ გმირებს ფათურაკებით აღსავსე ცხოვრების გზაზე, კერძოდ ბოროტი ძალების

წინააღმდეგ ბრძოლაში. ესაა და ეს, მთქმელის მეტყველება კონკრეტულ შემთხვევაში ამის იქით არ მიდის. რას ფიქრობენ, რას განიცდიან ძმები? არაფერი ვიცით. მხოლოდ შედეგებია ჩვენთვის ნათელი კერძოდ, სასწაულებრივი ტყავი ვერ დაიჭირეს. ვგრძნობთ, რომ გაწბილებულ გმირთა ზმაგაკმედილობას, ღუმილს ძალზე სერიოზული საფუძველი აქვს. მკითხველიც თითქოს თანამონაწილეა და თანაზიარი ამ უკიდურესად დაძაბული სიტუაციისა. ერთი სიტყვით, გმირთა განცდები ზედაპირულად არ ჩანს, არამედ შიგნითაა ღრმად საფარველდებული. ასე რომ, მთქმელმა სულ ორიოდ ფრაზით არსებითად ყველაფერი გვითხრა ძმების უმძიმეს მდგომარეობაზე, მათ ამაო გარჯაზე. ამ შემთხვევაში ნაწარმოების ენა, მეტყველების სტილი და თხრობა ძალზე სხარტი და ლაკონურია, ფრაზა ტევადი, თანაც ისეთი სიტყვები და გამოთქმებია შერჩეული და იმნაირად, რომ ხალხური მთქმელი ყოველგვარი მხატვრული ხერხების გამოუყენებლად აღწევს გმირთა დამაჯერებელ, ყოველმხრივ ამომწურავ დახასიათებას. მოკლედ, საანალიზოდ წარმოდგენილ ქალღანისეულ ჩანაწერსა და მის პარალელურ ვარიანტებში ამბავი, გმირთა თავგადასავალი ძალზე ორიგინალურად იშლება და ვითარდება. ამ ჩანაწერებისათვის უცხოა გმირთა ბავშვობა, როგორც ეს ტრადიციულ ტექსტებშია, სადაც ცალკეული ვერსიებით ამირანი და მისი ძმები ძალზე მოუსვენარი, ბობოქარი ბავშვები არიან, უხემებიც. წყლის წასალებად მოსულ ქალებს კოკებს უმტვრევენ, ერთ-ერთი მათგანი დაწყევლის და ამის შემდეგ იწყება ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლები. ჩვენ მიერ მოძიებულ ვარიანტებში კი ბადრი, ვისიბი და ჩალამ-კალამი ჭაბუკობაგამოვლილი რაინდები არიან. ისინიო, ახალგაზრდობის დროსაც სახელგანთქმულები იყვნენ. გვაუწყებს მთქმელი. ყურადღება მივაქციოთ გამოთქმას „ყვნენ“, წარსულზეა მინიშნება, ოღონდ, რას აკეთებდნენ იმ დროს, როგორი იყო მათი დამოკიდებულება გარემოს, ადამიანის, საზოგადოებისადმი და, საერთოდ, რანაირი ურთიერთობა ჰქონდათ ძმებს ხალხთან, არაფერი ვიცით, ხოლო ის, რაც ვიცით მათზე, ერთი რამით არის განსაკუთრებით საინტერესო; ძეგლის დასაწყისიდანვე, ისეთი შთაბეჭდილებაა კი იქმნება და ეს მართლაც ასეა, რომ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილები განაპირებულებიც კი არიან საზოგადოებისაგან, ყოველ შემთხვევაში, როგორც ითქვა, ძმების ურ-

თიერთობაზე არაფერი ვიცით. ფიქრით კი ის შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ურთიერთობა ძალიან კარგი იქნებოდა, ვინაიდან ქვეყანა მათ აქებს, – თუმცა ისიც უნდა დავსძინოთ, რომ „ამირანიანში“ ხალხი, საზოგადოება არ ასრულებს რაიმე მნიშვნელოვან როლს, მაგრამ როგორ, რანაირად შეძლეს ხალხის ასეთი ნდობისა და სიყვარულის მოპოვება? მთქმელი დუმს (ρაკონკრეტუტს), თუ დეტალიზაციას არ მიმართავს, მკითხველი კი ნაირნაირი ფიქრებითა და წარმოდგენებით ივსება. ეს კი ნაწარმოების დიდი ღირსებაა. განსახილველი ტექსტიდან და მისი ვარიანტებიდანაც მხოლოდ ისაა აშკარა, რომ ივა ხელმწიფისა და მისი ვაჟიშვილების მუდმივი საზრუნავი ადამიანთა საცხოვრისის გაწმენდაა ავი სულებსაგან. ამ გზით კი ხდება მიწიერი საუფლოს მოშხადება ახალი და მაღალი არსებობისათვის, სწორედ ესაა ბადრის, ვისიბისა და ჩალამ კალამის წმიდათაწმიდა მისია. მათ ჩვენ ვეცნობით, როგორც სახელგანთქმულ რაინდებს, ასეთსავე მონადირეებს, წარსულზე კი არაფერი ვიცით. ამიტომაცაა, რომ მოქმედება იწყება პირდაპირ, ყოველგვარი შესავალის გარეშე, ფაქტიურად იგი გმირთა ქებაა, რომ მათ თავიანთი განსაკუთრებული ფიზიკური ძალის წყალობით მიწიერ საუფლოში ყველაფერს მიაღწიეს, აღზევებულ მდგომარეობაში არიან. ასე რომ, ძმები ფიზიკური ძლიერებისა და სულიერი ზეალსვლის მწვერვალზე დგანან. მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ, ტყავი ვერ დაიჭირეს. ასეთია ქვეყნის საქები რაინდების მდგომარეობა. ცხადია, მკითხველიც რაღაც განსაკუთრებულია და გამორჩეულის მოლოდინშია. ამ დიდი იღუმალების განხნა, ამოცნობა ივა ხელმწიფის პიროვნებასთანაა დაკავშირებული, იგი „ამირანიანის“ ახალი პერსონაჟია, სრულიად უცნობი, იღუმალებით მოცული. მასზე ქვემოთაც გვექნება საუბარი. ამჯერად კი მხოლოდ ზოგადად მივუთითებთ: ხალხური მთქმელი ივაზე ბევრს არაფერს გვეუბნება. თვით ნაწარმოებიდანაც ირკვევა, რომ ივა ხელმწიფე არაა აქტიური პერსონაჟი. არაფერი ვიცით მის წარსულსა და ქმედებებზე. ძეგლის შესავალში მხოლოდ ისაა ნაუწყები, რომ იგი სახელგანთქმული ხელმწიფეა, ჰყავს სამი ვაჟიშვილი, მათ ქვეყანა აქებს. ივა ხელმწიფე, როგორც პერსონაჟი, ნაწარმოების ორ–სამ ეპიზოდშია მხოლოდ, მაგრამ საანალიზოდ წარმოდგენილ ძეგლში საგანგებოდაა აქცენტირებული, რომ იგი სახელგანთქმული ხელმწიფეა და ივარაუ-

დება, რომ მას ძალიან ბევრი საქვეყნო მნიშვნელობის კეთილი საქმე აქვს გაკეთებული. იგი ტექსტის ძალზე მნიშვნელოვანი, თითქმის შუა ნაწილიდან, კერძოდ, როდესაც შეილება სამივე დავალება შეუსრულებს, საერთოდ ქრება ასპარეზიდან. მიუხედავად ამისა, თუ ღრმად დავაკვირდებით ძეგლის შინაარსს, ივა ხელმწიფის როლი და ფუნქციები განსაკუთრებულია სიუჟეტის განვითარებაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიც. ივა მამის პიროვნებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას. შეილებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკუთარ მამაზე, უფრო ზუსტად, მათ არაფერი იციან მის სატკივარსა და თავგადასავალზე. ე.ი. მამაშვილური ურთიერთობები ძალზე ორიგინალურია... ამ აზრით საინტერესოა ისიც, რომ ბადრი, ვისიბი და ჩალამ—კალამი დამოუკიდებლად ირჯებიან ადამიანთა სასიკეთოდ. ფათერაკებიან გზაზე მათი დამხმარე არ ჩანს. თითოეული დამოუკიდებელი თავისთავადობაა, როგორ აღიზარდნენ ასეთებად, არაფერი ვიცით. ფაქტია, რომ ისინი ყველაზე უმძიმეს, გამოუვალ მდგომარეობაშიც კი დამოუკიდებელ პიროვნებად რჩებიან. ამჟამად, რომ ძმებს ინდივიდუალური განვითარების გზა აქვთ გავლილი. როგორია ამ შემთხვევაში ივა ხელმწიფის პოზიცია? ტექსტის მიხედვით, არ ჩანს, რომ ივა მამა აქტიურად ჩარეულიყო შეილთა ქმედებაში, გარეგნულად მართლაც ასეა, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით ნაწარმოების შინაარსს, ცალკეულ ფრაზებსა და გამოთქმებს, აღმოჩნდება, რომ ივა მამა არამცთუ ინდიფერენტულია, არამედ ფარულად შეილთა ყოველი ქმედების, ნაბიჯის მეთვალყურეა, მაგრამ იგი ზედაპირზე არ დევს, მხოლოდ იგრძნობა, კერძოდ, ჩვენთვის შედეგებია თვალში საცემი და არა ივა მამისა და შეილთა ურთიერთობის პროცესი. საანალიზო ტექსტი ამ აზრითაც გამოირჩეულია. სიუჟეტი იმნაირად ვითარდება, რომ თანდათანობით იკვეთება ივა მამის ინდივიდუალობა, თანდათანობით ცხადდება შეილებთან მისი დამოკიდებულების რაგვარობაც, რომ იგი შეილთა ქმედების ფარული, განუწყვეტელი მეთვალყურეა. ნაწარმოებში კიდევ ერთი გარემოება იქცევა განსაკუთრებულ ყურადღებას, კერძოდ, შეილებს: ბადრის, ვისიბსა და ჩალამ—კალამს ძალიან დიდი კრძალვა აქვთ მამისადმი. როგორც ითქვა, მათთვის არაა გაცხადებული ივა ხელმწიფის ინდივიდუალობა, მისი ცხოვრება — მოღვაწეობა, თუმცა არც მთქმელი

გვაუწყებს რაიმე მნიშვნელოვანს, არსად არც ერთ ეპიზოდში არ იძლევა ივა მამის დახასიათებას, არამედ იმგვარ სიტუაციაში წარმოგვიდგენს და იმნაირად, რომ მკითხველიც წინასწარ გრძნობს მის არაჩვეულებრიობას, რომ იგი სრულიად სხვაგვარი და გამონაკლისი მოვლენაა ადამიანთა საცხოვრისში, საიდუმლო ძალით აღჭურვილი, ბრძენი პიროვნება, ნათელმხილველი, წინასწარმეტყველური უნარით დაჯილდოებული, მას კავშირი აქვს ზებუნებრივ ძალებთან, ღმერთებთან, არის ქრისტეს ნათლული, რაც შვილებისათვის არაა ცნობილი. ამკარაა, რომ ივა ხელმწიფეს კარგად აქვს გაცნობიერებული შეილთა ღვაწლი, რომ ისინი იბრძვიან ადამიანთა სასიკეთოდ. მათ ბოროტი ძალები მთლიანად ამოწყვეტეს, რომ მიწიერ საუფლოში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ უნდა მოხდეს. და, რაც მთავარია, ეს სიახლე ისევ ძმების რაინდულ ქმედებებთანაა დაკავშირებული. მთელი მათი საქმიანობა ამ მიზანს ემსახურება, რომ მიწიერ საუფლოში უმთავრესი მნიშვნელობის სიახლის განხორციელება მოხერხდეს. ეს კი ამირანის ფიზიკურ სამყაროში შემოსვლასთანაა დაკავშირებული, რაც ივა მამის ბრძნული რჩევა-დარიგებით გახდა შესაძლებელი. ამაზე გვქონდა საუბარი და ციტირებისაგან თავს ვიკავებთ. დავსძენთ, რომ შესავალი ნაწარმოების ერთ-ერთი ურთულესი და უმთავრესი ნაწილია. არსებითად შესავალშია სრული სახით წარმოჩენილი ამირანის ღვთიური ჩამომავლობა, ივა ხელმწიფის სიბრძნე და ღვთიურ იდუმალებებთან წილნაყარობაა, ბადრის, ვისიბისა და ჩალამ-კალამის რაინდული ყოვლისმძლეობა, მათი მაღალი მისია, ბოროტი ძალების სრული მოსპობა და სხვა. ტექსტში თითოეულ გამოთქმას თავისი ქვეტექსტი ახლავს. მიწიერ საუფლოში დიდი გარდაქმნა უნდა მოხდეს. ზემოთ დამოწმებული ეპიზოდს მრავალნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება ჰქონდეს. მასში მთელი სისრულით ცნაურდება პერსონაჟთა ბუნება და ფუნქციები, შესაძლებლობები და მისიაც. ასე, მაგალითად, ივა ხელმწიფის შეილებს ჩვენ ვეცნობით, როგორც უძლეველ რაინდებს. მათი მოღვაწეობა ფიზიკურ სამყაროში განსაკუთრებულია, ისინი ღმერთგული იმპულსებით დატვირთული არიან. რასაკვირველია, ბოროტი ძალების განადგურებით ისინი ახალ წესრიგს ამყარებენ მიწიერ საუფლოში. ასე უნდა გავიგოთ ზე-

მოთქმული სიტყვები, რომ მათ: „ავი სულები ძირიან—ფესვიანად ამოწყვეტეს“.

მთქმელი სათქმელს აქაც ძალზე ლაკონურად, შეკუმშულად გადმოგვცემს. ასე, მაგალითად, ბადრის, ვისიბის და ჩალამ—კალამის ღვაწლს ადამიანთა სასიკეთოდ სამად სამი სიტყვით გვაუწყებს, რომ მათ „მთელი ქვეყანა აქებს“. დავსძენთ, რომ გმირთა ამგვარი დახასიათება ძალიან იშვიათია. ჩვენ ქვემოთ დალის ციკლის მასალების განხილვისას კიდევ ერთჯერ, მხოლოდ ერთჯერ შეგვხვდება ქვეყნის საქები გმირი. „ამირანიანიში“ ასეთი მხოლოდ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილები არიან. სხვა ვარიანტებში მსგავსი რამ არ დასტურდება. მთქმელმა ამ ტევადი ფრაზით შეძლო ივას შვილთა სრული დახასიათება. რასაკვირველია, ქვეყანაში აქ იგულისხმება არა რომელიმე დასახლება, სახელმწიფო, თავისი საზღვრებით, არამედ მიწიერი საუფლო, ადამიანთა საცხოვრისი ზოგადად. ასეთი მაღალი მისიით არიან წარმოდგენილი ბადრი, ვისიბი და ჩალამ—კალამი. ცხადია, ამ აზრითაა საინტერესო ივა ხელმწიფის ოჯახი. სიუჟეტი იმზაირად ვითარდება, რომ გმირთა ქმედებაში ნიშანწყალიც არ შეიმჩნევა რაიმე პიროვნული ინტერესებისა. გავიხსენოთ ივას სიტყვები: „ტყავს ასე იოლად ვერ დაიჭერთ, მე როგორც გეტყვი, ისე გააკეთეთ და მას ჩვენ იღბლად ვაქცევთ“. ბრძენი ივას ეს სიტყვები სამომავლოა. ბოლო სამ სიტყვაში „ჩვენ იღბლად ვაქცევთ“, იგულისხმება არა ოჯახი, როგორც ასეთი, არამედ ადამიანები ზოგადად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეპოქალური მნიშვნელობის სიახლეც ძმების ქმედებასთანაა დაკავშირებული. გარკვეული აზრით ისინი, როგორც ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლები, ახალი ადამიანებიც არიან. საინტერესოა, რომ სამივე ძმას ჩვენ ვეცნობით, როგორც მისიაშესრულებულ რაინდებს. ამიტომ არიან ქვეყნის საქებიც. ესაა მათი მოღვაწეობის ძალზე მნიშვნელოვანი მხარე, ერთი ასპექტი. ე.ი. ადამიანთა წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ განსახილველი ქალღანისეული ჩანაწერი თავისი ვარიანტებით იმიტომაა განსაკუთრებულად გამორჩეული, რომ ყველაზე უმთავრესი გმირთა ცხოვრებაში სწორედ ამ მიზანმიღწეულ მდგომარეობიდან იწყება, კერძოდ, ისინი ძალიან რთული, ამოუცნობი საკვირველების წინაშე ღებანან, უფრო ზუსტად, მოუშადაბელი აღმოჩნდნენ ახალი და მაღალი გამოცდის წინაშე. გმირთა სრულყოფი-

ლება მიწიერ სფეროში, რომ „მათ ქვეყანა აქებს“, არ აღმოჩნდა საკმარისი. ყოვლის მძლეველმა რაინდებმა ნიავეკარავით მბრუნავი ტყავი ვერაფრით დაიჭირეს, ვერც ხერხითა და ვერც ძალით. ივა ხელმწიფის ვაჟიშვილებმა პირველად აქ იგრძნეს საკუთარი უმწეობა და მხოლოდ ხმაგაკმედილები სხედან შინ, კერასთან. ისევ გავიხსენოთ ტექსტიდან სიტყვები, რომ ხარის ტყავი, რომელშიც ანგელოზის შვილია ჩასმული, „ღმერთების მიერ არის მწვერვალზე დასმული. ე.ი. მიწიერ საუფლოში ღვთიური ქმედება განხორციელდა, რომლის ახსნა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, თვით ყოვლის მძლეველი რაინდებისათვისაც, შეუძლებელი აღმოჩნდა. მთქმელის მეტყველება კონკრეტულ შემთხვევაშიც ლაკონურია, გმირთა სადარდებელი, შინაგანი დაძაბულობა ღრმა ღუმილითაა გამოხატული. მკითხველი თავად უნდა გაერკვეს მთქმელის ჩანაფიქრის სიღრმეებში, პერსონაჟთა განცდების სიმძაფრესა და მომავალში სავალი გზების იღუმალებაში.

თუ ჩაუკვირდებით ტექსტის შინაარსს, ძნელი არ იქნება იმის დანახვაც, რომ ივა ხელმწიფის შვილებმა არსებითად მთლიანად ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები. მათ ზეადსვლას არსებობის ფიზიკურ ნაწილში წერტილი დაესვა, თითქოს დაიმრიტა კიდეც. საინტერესოა, რომ ეს ხდება დიდების მწვერვალზე, როცა „ქვეყანა მათ აქებს“. საკითხი ასე დგას: შეძლებენ თუ ვერა გმირები ამგვარი მღვთმარეობის შენარჩუნებას ან ხომ არაა მოსალოდნელი მათი დაცემა, როგორც ეს ძალიან ბევრი პერსონაჟის შემთხვევაში გვაქვს. აქ შეიძლება იგივე ამირანის ტრაგედია გავიხსენოთ, მისი გაამაყება, გაზვიადება. ტექსტი ამ აზრითაც საინტერესოა. ძმებმა უხეში ფიზიკური ძალები, ღეგები და სხვა ავი სულები ფიზიკური ძალითვე მოსპეს და გაანადგურეს. ცხადია, ისინი მოხერხებითაც მოქმედებენ, მაგრამ სრულიად ახალმა და მოულოდნელმა შემთხვევამ, საკვირველი ტყავის ხილვამ, გმირთა ყოვლისმძლეობა არსებობის ფიზიკურ ნაწილში არარაობად აქცია. ამ იღუმალებათა ამოსაცნობად განსხვავებული სიბრძნე, უნარია საჭირო. ამგვარი სიბრძნით კი, მხოლოდ ივა ხელმწიფეა დაჯილდოებული. ამიტომაც ტექსტის მიხედვით, მისი ოჯახის მისია ახალი წესრიგის დამყარებაა მიწიერ საუფლოში. რასაკვირველია, აქ შვილთა როლი განსაკუთრებულია, მაგრამ ისინი საბოლოოდ მაინც აღმსრულებლები არიან, ივა მამა კი დამკვალთანე-

ბელი. ამიტომ თამამად შეიძლება ივა ხელმწიფის ოჯახს მომავლის სამყარო ვუწოდოთ.

საანალიზო ძეგლიდან აშკარა ხდება, რომ, თუ აქამდე ივას შეილები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ხოლო ივა მამა კი მათი მუდმივი და ფარული მეთვალყურე იყო, ამიერიდან შვილთა ყოველმძღობა და ახალგაზრდული ენერჯია ივა მამის სიბრძნესთან თანხმეობით უნდა იქნეს გამოყენებული. როგორც ითქვა, ივა ხელმწიფის პიროვნება ნაწარმოების დასაწყისში იდუმალების ბურუსითაა მოსილი. დამოწმებული ეპიზოდი კი იმ მხრივია განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომ პირველად აქ ხდება ბრძენი ივა მამის პიროვნების სრული გამჟღავნება, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ყველასაგან განსხვავებულ, კოსმიური სიბრძნით დატვირთულ ბრძენკაცთან, სამყაროს უნივერსალურ მოვლენასთან. იმის თქმაცაა აუცილებელი, რომ ივა მამის შვილთა დამოუკიდებელ მოქმედებას თავისი გამართლება აქვს. იგი რალაცის წინაპირობაა, რალაც სიახლის სათავეა, ალბათ შესასრულებლის. მას თავისი საიდუმლოებები ახლავს. მართალია ეპოსში ძალისმიერობაა უმთავრესი და წამყვანი, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ბადრი, ვისიბი და ჩალამ-კალამი მხოლოდ ასეთები არიან. ფიზიკური ძლიერება აქ რალაც ამალღებულის წვდომის საშუალებაა და არა ძალის დამოუკიდებლად დემონსტრირება. განსახილველი ტექსტი ამ აზრითაც თავისებურია. მართალია, ბადრის, ვისიბისა და ჩალამ-კალამის მოხერხებულ, გააზრებულ ქმედებაზე ტექსტში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ აქ ისევ მთქმელის მეტყველების სტილია გასათვალისწინებელი. იგი ყოველგვარი აღწერა-დახასიათების გარეშე გვაგრძნობინებს, საგანგებო ფიქრისა და განსჯის საგნად აქცევს, თუ როგორი შეიძლება იყოს გმირთა მოღვაწეობა ადამიანთა საცხოვრისში. ცხადია, ივარაუდება, რომ ქვეყნის საქები რაინდები ჰარმონიულები არიან და არა რაიმე კონკრეტული ნიშან-თვისებით გამორჩეულები, როგორც ეს სხვა ფოლკლორული გმირების შემთხვევაში გვაქვს, რომლებიც მკვეთრად შემოსაზღვრულ არეალებში არიან სახელგანთქმულები. ტექსტზე დაკვირვება იმასაც ააშკარავებს, რომ ივა ხელმწიფის შვილთა მისია არაა მხოლოდ მიწიერი საუფლოს გაწმენდა ავი სულებისაგან. ესაა მხოლოდ ერთი მხრიე. ძმათა მოღვაწეობაში განვითარების ახალი გზები და სა-

ფეხურები იკვეთება და, რაც მთავარია, ისინი ყოველ საფეხურზე დიდ შემოქმედებით უნარს ავლენენ, რაღაც ამაღლებულს სწვდებიან, მუდამ არჩევანის წინაშე დგანან. ამკარაა, რომ მათი ხვედრიც ასეთია - იღუპა სიბრძნესთან თანაზიარობა, მუდმივი განახლება. რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო და ასეთი გარდამტეხი ჟამიც დადგა მათ მოღვაწეობაში. ძმებმა უნდა შეასრულონ ბრძენი ივა მამის პირველი და ურთულესი დავალება, შეიძლება ითქვას, რჩევა-დარიგება, ოღონდ ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარი ქმედებაა საჭირო, რომელიც არ იქნება დამყარებული მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე. მათ უნდა შეძლონ დახვეული ხარის ტყავის დაჭრა, რომელშიც ანგელოზის შვილია ადამიანად გარდასაქმნელი და მისი ფიზიკურ სამყაროში შემოყვანა. ამგვარი მისიის წარმატებით შესრულებას მრავალნაირი მნიშვნელობა აქვს. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ივა ხელმწიფის ზემოთ თქმული სიტყვები: ადამიანთა ბედი. ასე რომ, მიწიერ სფეროში ყოვლისმძლველი რაინდები, რომლებმაც ბოროტი ძალები მოსპეს, ახალი და ყველაზე ურთულესი გამოცდის წინაშე დგანან, უფრო ზუსტად სულიერი გამოცდის წინაშე. არიან თუ არა მზად ძმები ამ გამოცდისათვის? სწორედ ამ კონკრეტულ შემთხვევაშია ივა მამა შვილთა ნამდვილი დამკვალნიანებელი, მრჩეველი. იგი პირველად აქ ჩაერია შვილთა ქმედებასა და მოღვაწეობაში. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, ვინაიდან შვილთა გამოცდის ამ მძიმე ჟამს გარანტიის მიმცემი ძალა მხოლოდ ივა ხელმწიფის მაღალი სულიერება, ღვთიურთან წილნაყარობა აღმოჩნდა. იგი ხომ ქრისტეს ნათლულია...

განსახილველი ვარიანტების მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება, ფართოვდება და მრავალმხრივი ხდება. საინტერესოა, რომ მათში პერსონაჟთა მუდმივ განახლებასთან, ფერისცვალებასთან გვაქვს საქმე, დიდ საიდუმლოებებთან თანაზიარობასთან. რასაკვირველია, ყოველთვის ამას ვერ ვიტყვით მკითხველისათვის კარგად ცნობილი „ამირანიანის“ ტრადიციული ვარიანტების ბადრიზე, ვისიბზე, სულკალმახზე, იამანზე და სხვებზე.

იმასაც დავსძენთ, რომ წარმოდგენილი ვარიანტები, სხვა ჩანაწერებთან შედარებით, უფრო საინტერესოა ქართული ხალხის რწმენა-წარმოდგენების თვალსაზრისითაც. წინააღმდეგობაში რომ არ ჩავვარდეთ, აქვე უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ზემოთ ვთქვით,

რომ არაფერი ვიცით ბადრის, ვისიბის და ჩალამ-კალამის წარსულზე, ბავშვობასა და ჭაბუკობისდროინდელ პერიოდზე, ხალხთან ურთიერთობაზე, საერთოდ გარემოსადმი დამოკიდებულებაზე, რომ ნაწარმოებში ისინი ყოვლისმძლევი რაინდები არიან, აღზევებულ მდგომარეობაში მყოფნი, ამიტომაც, რომ ქვეყანა მათ აქებს. ამჯერად კი ივა ხელმწიფის რჩევა დარიგებებიდან, თუ როგორ უნდა დაიჭირონ საკვირველი ხარის ტყავი, შვილთა ცხოვრებაში განვითარების ახალი გარდამტეხი მნიშვნელობის ეტაპი იწყება. სიუჟეტიც ორიგინალურად ვითარდება. ჩვენთვის უკვე საინტერესოა პერსონაჟთა ქმედების რაგვარობაც. ივა ხელმწიფის რჩევა-დარიგების აღსრულება შემდეგნაირად წარიმართა: (მთქმელის მეტყველების სტილი, წინადადებებში სიტყვათა თანმიმდევრობა ამჯერადაც ზუსტად იქნება დაცული):

„ძმები მართლაც ისე მოიქცნენ, როგორც ივა მამამ დაარიგა, ტყავი დაიჭირეს, იორდანეს წყალი დაასხეს და დაეურდა. ხარის ტყავი ისე მძიმე იყო, რომ სამმა გმირმა ძლივს მოიტანა შინ. ივა მამამ ღმერთს დიდება უთხრა, კარი და ფანჯრები გადაკეტა, ტყავი გახსნა და იქიდან ლამპარივით მანათობელი ვაჟი გადმოუშვა, კარ-ფანჯრისკენ გაიწია, მაგრამ გადარაზული დახვდა. ჭერისკენ დაიწყო ფრენა და ასე უწყვეტლივ მთელი ღღე და ღამე ფრენდა, მეორე ღღეს ჩამოეშვა და კერასთან დადგა. ივამ თავი დაუხარა, ღმერთს დიდება უთხრა და ასე ქრისტე ღმერთი მობრძანდა, ბავშვი მონათლა, ამირანი უწოდა, მერე სახლი დალოცა და წაბრძანდა“ (თ. დავითიანი, 1957:258). ამონაწერი მრავალმხრივია საინტერესო. ცხადია, დამოწმებული ეპიზოდით იორდანეს წყალში ხარის ტყავის დაეურება ანგელოზის შვილის მიწიერ საუფლოსთან მოახლოებას, ადამიანურ ყოფიერებასთან შეგუებას, გარდაქმნას გულისხმობს და კიდევ, ჩანასახ მდგომარეობაში, ანუ ხარის ტყავში მყოფი ზეციური ყრმა ისე მძიმეა, რომ სამ გმირ ვაჟკაცს უმძიმს მისი ტარება. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რანაირ არაჩვეულებრიობასთან გვაქვს საქმე. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამირანი ფიზიკურ სამყაროში უძლეველია, მას არასოდეს დასჭირვებია ფიზიკური ძალის მომატება. უფრო ზუსტად, მთქმელის შენიშვნით, მისი მეტოქე აღარ დაიბადა დედამიწაზე.

ბოლო დამოწმებული ეპიზოდებიდან და, საერთოდ, სამივე ვარიანტიდან დავრწმუნდით, რომ ხარის ტყაეში გახვეული არსება ანგელოზის შვილია, (ამირანად ნათლობის შემდეგაა წოდებული). ის ადამიანად უნდა გარდაიქმნეს, ახლადშობილი ყრმა ლამპარივით მანათობელია და სხვა. რა ვითარებაა აღნიშნული საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში?

ამირანის ჩამოგავლობა

დამოწმებულ სამ ვარიანტში ამირანი ღვთიური ჩამომავლობისაა. დალი პერსონაჟადაც არ დასტურდება. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ერთხმადაა აღიარებული, რომ ამირანი დალისა და უცნობი მონადირის შვილია. ძეგლის მითოლოგიურობის თეორიაც აქედან იღებს სათავეს. ეს თვალსაზრისი ძალზე მტკიცე და გამძლე აღმოჩნდა. ელ. ვირსალაძე სრული კატეგორიულობით აცხადებს, რომ „ამირანის“ თქმულების სვანური ვერსიის ყველა ცნობილი ვარიანტის მიხედვით, ამირანის დედა ნადირთ პატრონი დალია, რომელსაც უკვე ქალღმერთის ნიშნები აქვს. მან ამირანი მოკვდავი მონადირისაგან შობა. მონადირის ცოლმა ამ სიყვარულის ამბავი შეიტყო და დალს თმა შეჭრა. ამის შემდეგ დალი კვდება, ხოლო მონადირემ უღლეური ამირანი დედის საშოდან ამოიყვანა და დალის სურვილის თანახმად აღსაზრდელად იამანს მიჰგვარა (ვირსალაძე, 1964:75) თუ რამდენად სწორია და ზუსტი მკვლევრის აზრი სვანური ვარიანტების მიმართ, ამას ტექსტობრივი კვლევა დაგვანახვებს. ფაქტი ისაა, რომ პროფ. ელ. ვირსალაძე დაბეჯითებით მიიჩნევს, რომ, სვანური ვარიანტების მიხედვით, ამირანი დალისა და მოკვდავი მონადირის შვილია. ცოტა ქვემოთ კი ერთობ განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს, უფრო ზუსტად, ვარაუდს.

„მაგრამ იქნებ სვანურმა ვერსიამ შემთხვევით დაუკავშირა ამირანის დაბადება ქალღმერთი დალის სახელს? ხომ არ აქვს აქ ადგილი ეპიკური ძეგლებისათვის ჩვეულ კონტამინაციას, რომელსაც იქნებ წმინდა სვანური, ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. რამდენად ორგანულია ქართული ეპოსისათვის ამირანის დაკავშირება მონადირეობის ქალღმერთის სახელთან? ამაზე პასუხი შეიძლება მოგვცეს ამირანის სხვა ვარიანტებმა, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში სხვადასხვა დროსაა ჩაწერილი. გვაქვს თუ არა ამ ვარიანტებში შემორჩენილი კვალი ამირანის დაბადების სვანურისმაგვარი ვერსიისა?“ (ვირსალაძე, 1964:75). მკვლევარი იმასაც გვაუწყებს, რომ ნადირთ პატრონი ქალის, ამირანის დედის, სახე კიდევ უფრო გაფერმ-

კრთალბულია საქართველოს ისეთ ცენტრალურ და მწიგნობრულ რაიონებში, როგორცაა ქართლი, კახეთი, იმერეთი და გურია. ამიტომ მკვლევრის დასკვნით, „საქართველოს ბარში ჩაწერილი ამირანის თქმულების ვარიანტები უმეტესად საერთოდ სდუმან ამირანის დაბადების, მისი წარმოშობის შესახებ, ხოლო მის უჩვეულო ძაღლონეს მისი „ნათლის“, ქრისტიანული ღმერთის წყალობას მიაწერენ“ (ვირსალაძე, 1964:76).

პროფ. ელ. ვირსალაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართლში სხვადასხვა დროს ჩაწერილი და მიხ. ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებული ვარიანტებიდან 9 ვარიანტი არაფერს გვეუბნება ამირანის დაბადების შესახებ, ხოლო 11 კახური ვარიანტიდან 8 აგრეთვე დუმილით უვლის გვერდს ამირანის დაბადების ამბავს. მკვლევარს აინტერესებს ამირანის წარმოშობის უძველესი კვალი, რომელსაც ნადირთ ღვთაებასთან მივყავართ (ვირსალაძე, 1964:76). ამგვარი კვალი დაძებნილია საქართველოს თითოეული კუთხის ვარიანტებში და აქვეა მინიშნება, რომ ზოგიერთ კუთხეში ამირანის დაბადება გაფერმკრთალბულია.

როგორც ვხედავთ, პროფ. ელ. ვირსალაძეს ტექსტებზე დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული. ნაშრომში გათვალისწინებულია არა მარტო მიხ. ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებული 69 ვარიანტი, არამედ საარქივო მასალებიც. კვლევის ამ ნაწილში (ტექსტობრივი) ელ. ვირსალაძის მოსაზრებები მთლიანად გასაზიარებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველ მეცნიერთა ტრადიციული აზრის ინერციის ძალა, რომ ამირანი ქალღმერთ დალისა და უცნობი მონადირის შვილია, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მკვლევარი სრულიად მოულოდნელ დასკვნას გვთავაზობს: „ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თქმულების უძველესი საფუძველი, კლდეში ან მღვიმეში, ან ტყეში მცხოვრები ნადირთ პატრონი ქალისაგან ამირანის დაბადება შენარჩუნებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი თქმულებების ვარიანტთა დიდი რაოდენობით“ (ვირსალაძე, 1964:77).

რასაკვირველია, პროფ. ელ. ვირსალაძე გრძნობს, რომ ამგვარ მოსაზრებას მხარს ვერ დაუჭერს სხვა ვარიანტები, რომელთა რაოდენობა მხოლოდ თექვსმეტია, აბსოლუტური უმრავლესობა კი არაფერს გვეუბნება ამირანის ჩამომავლობაზე. ალბათ, ესეცაა იმის

ერთ-ერთი მიზეზი, რომ მასალები შერჩევითაა დამოწმებული. ასეთი კი მხოლოდ ექესი ვარიანტია. სწორედ მათზე დაყრდნობითაა გამოთქმული, ჩვენი აზრით, საეჭვო მოსაზრება, რომ ამირანი დალის და უცნობი მონადირის შვილია და იგი ამირანის თქმულების უძველეს ბირთვში შემავალი ეპიზოდია (ვირსალაძე, 1964:78).

პროფ. ელ. ვირსალაძის განსაკუთრებული ინტერესის საკითხია, თუ ვინ არის ის მონადირე, ამირანის მამის ფუნქციებს რომ ასრულებს, და ასე სწრაფად, თითქმის უკვალოდ, ქრება ეპოსის სიუჟეტიდან? მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს დალის ციკლის ლექს-სიმღერებს, კერძოდ „დალი კოჯას ხელღვაუაღე“ – „დალი კლდეზე მშობიარობს“ და დაასკვნის, რომ „სვანური სიმღერა მშობიარე დალის შესახებ გვაძლევს სრულ უფლებას ვიფიქროთ, რომ უძველესი ვარიანტით ამირანის მამა ცნობილი არ იყო. მართლაც და, თუ ამირანი იმ მონადირის შვილია, რატომ ასე დაჟინებით სთხოვს მას დალი ბავშვი წაიყვანოს და სხვას მისცეს აღსაზრდელად? რატომ არ მიჰყავს მონადირეს თავისი ვაჟი ან რატომ ქრება იგი ამის შემდეგ უკვალოდ თქმულების სიუჟეტის განვითარებიდან?

გვიანდელ თაობათა ფანტაზიამ დალის ვაჟის მამობა მის გადამრჩენ მონადირეს იმისათვის მიაწერა, რომ აეხსნა ბავშვის უმამოდ დაბადება“. „ამიტომ მოკვდავი მონადირე, რომელიც გადაარჩენს დალის შვილს და ამის შემდეგ ეზიარება დალის სიყვარულს, შემდგომ თაობებში გააზრებულია უკვე ხალხის მიერ, როგორც ვაჟის მამა. ამ მონადირის სახელი სვანეთში ბეთქილის, თეთრი მანგურის და ქალას სახელებით შემორჩა სამონადირო რიტუალურ სიმღერებს“ (ვირსალაძე, 1964:79).

მოსაზრება ძალზე საინტერესოა, მაგრამ ამჯერად ჩვენ ტექსტობრივი მხარე გვინტერესებს, სად, რომელ ვარიანტში რანაირად არის წარმოდგენილი ამირანის ჩამომავლობა. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ბეთქილის ტიპის მონადირის მიჩნევა ამირანის მამად, ძალზე საეჭვოა. ამ საკითხზე ვრცლად დალის ციკლის მასალების განხილვისას გვექნება საუბარი. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ელ. ვირსალაძის დაეჭვება და მოსაზრებები საფუძვლიანია. მართალია, ჩვენ მიერ განსახილველად წარმოდგენილ ქალღანისეულ, გურჩიანისეულსა და გულეღანისეულ ვარიანტებში დალი

საერთოდ არაა ნახსენები მაგრამ, როგორც ქვემოთ ამირანის სვანურ ვარიანტებზე მსჯელობისას ვნახავთ, აქ მნიშვნელოვან კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. ამირანის ჩამომავლობა დედის ხაზით, რომ იგი დალის შვილია, არაა საკამათო. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ საკამათოდ რჩება მამის ხაზით ჩამომავლობა. მკვლევართა საბოლოო აზრით, მამა უცნობი მონადირეა, მოკვდავი, ადამიანთა საცხოვრისიდან. აქ კი ჩვენი პოზიცია მკვეთრად განსხვავებულია, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ელ. ვირსალაძემ ამირანის ჩამომავლობის გარკვევაში მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა, თუმცა საბოლოოდ მისი აზრიც ისაა, რომ ამირანი მოკვდავი მონადირისა და დალის შვილია. მართალია, მცირეოდენი წინააღმდეგობები შეინიშნება მის თვალსაზრისში, მაგრამ ფაქტია, რომ წინარე მკვლევართაგან ამირანის ჩამომავლობა ყველაზე ღრმად მან გაიაზრა.

ამირანის ჩამომავლობასთან დაკავშირებით საინტერესო ტექსტობრივი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. მიხ. ჩიქოვანს. მისი აზრით; „ვარიანტების დიდი უმრავლესობა ერთხმად ადასტურებს, რომ ამირანის მამა მონადირე იყო. სვანური თქმულების მიხედვით, ჩვენ ბუმბერაზი ნადირობის ქაღალმერთ დალისა და უცნობი მონადირის ჰეტერული სიყვარულის ნაყოფია. ფშაური გადმოცემის მიხედვით, მამას სახელად „სულ-კალმახი ერქვა“. გურული ჩანაწერის მიხედვით, უშვილო ცოლ-ქმარს ღრმა მოხუცებულობაში ეყოლათ ერთი ვაჟი, რომელსაც სახელად ამირანი უწოდეს F 185-ის ცნობით, ამირანის მამა გლეხი იყო. სვანური ტრადიციით, ამირანის მამა დარჯელანი, იგივე დარჯენია. ეს სახელი, მკვლევრის აზრით, ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით გაჩნდა (იგი მეოსე ხონელის თხზულების დარჯენია). მაშასადამე, ვარიანტთა მიხედვით, ამირანის მამად დასახელებულია: 1. უცნობი მონადირე, 2. სულ-კალმახი, 3. ზეციური ძალა, უმანკოდ ჩამსახველი და 4. უსახელო გლეხი. როგორც ვხედავთ, აქ ამირანის მამად უცნობ მონადირესთან ერთად სხვა სახელებიცაა. მკვლევარი დეტალურად მიმოიხილავს ამ საკითხს და ასეთ კითხვას გვთავაზობს: „რომელი მათგანი უნდა იქნეს მიჩნეული ამირანის მამად? გლეხის ხსენება ეპოსში გვიანდელი მოვლენაა, უეჭველია. ამ სოციალური ტერმინის შექმნამდე ჩვენში არსებობდა ამირანის წრის გადმოცემა (ჩიქოვანი, 1959:151). პროფ. მიხ. ჩიქოვანის

აზრით, ქართულმა ეპოსმა არ იცის უკვდავი გმირის მამის სახელი, ეს გასაგებიცაა. ვინაიდან, იმ დროში შთამომავლობა დედის ხაზით მიემართებოდა, რომ ამირანის მამა მოსაქმეობით მონადირე იყო. (ჩიქოვანი, 1959:152) მკვლევარი კიდევ უფრო აზუსტებს საკუთარ აზრს და ასკვნის, რომ ამირანის ეპოსი მონადირეთა წრეში ჩაისახა, მისი მთავარი გმირიც მონადირეა, რომ ამირანი არაა უმანკოდ ჩასახვის ნაყოფი.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ მიმოიხილავს ამირანის ჩამომავლობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „მხოლოდ ფშურ თქმულებას ახსოვს ამირანის მამის სახელი, მაგრამ არც აქ არის ნათქვამი, ვინ და რა ხელობის იყო ის. თვით სახელის „სულა—კალმახის შესახებ ჯერჯერობით ბევრი არაფრის თქმა შეიძლება, იგი რთული სიტყვაა და პირველი ნაწილი „სულა სხვა სიტყვებთან შეერთებულიც არის ხოლმე, მაგ., „სულა—კურდღელი“. აქვეა ნაუწყები, რომ რახან „ფშაველებს გმირთა შორის სულა—კურდღელ“—იც მიაჩნიათ ხატად, იქნებ, წინათ „სულ—კალმახი“—ც ამგვარ გმირთა გუნდს ეკუთვნოდა (ჯავახიშვილი, 1973:190)

მკვლევართა მიერ ჩატარებული კვლევა ზუსტია, დასკვნები მოულოდნელი. სამეცნიერო ლიტერატურაში კი უფრო მეტად ის აზრია მიღებული, რომ ამირანი დალისა და უცნობი მონადირის შვილია. მიუხედავად ამისა, ცენტრალური გმირის ჩამომავლობა მამის ხაზით ბუნდოვანებითაა მოსილი. ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ამირანის მამად უცნობი მონადირე, რა სახელგანთქმულიც უნდა იყოს იგი, თუნდაც დალის რჩეული, გამორიცხულია. ჩვენ ქვემოთ სვანური ვარიანტების და საერთოდ ტექსტოლოგიური ძიება დაგვარწმუნებს, რომ პრობლემა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ამირანის ჩამომავლობის გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ძეგლთან დაკავშირებული საკითხების სწორად დასმისა და გააზრებისათვის. იბადება კითხვა: ამირანი წმინდა ღვთიური ჩამომავლობისაა, დალისა და უცნობი მონადირის შვილია, ღარიბი ცოლქმრის, თუ ესაა ლიტერატურული წარმოსობის გმირი? პასუხისათვის ყველაზე საუკეთესო გზა ისევ ტექსტების ყურადღებით გამოძიებაა.

საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში არ მოიპოვება თუნდაც ერთი ვარიანტი, რომელშიც ამირანის ჩამომავლობა სვანური ვერსიების მაგვარი იყოს. ასე, მაგალითად, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ლეჩხუმურ ზეპირსიტყვიერებაში (დღევანდელი ცაგერი) ამირანის ვარიანტები საერთოდ არ დასტურდება. ეს მაშინ, როცა იგი სვანეთის მეზობელი სოფლებიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული და ადამიანებს განუწყვეტელი, ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ასეთივე მოსაზრდვრეა რაჭა. აქ ამირანის ვარიანტები ძალზე მცირე რაოდენობითაა. დღეისათვის მხოლოდ ერთადერთი ტექსტია ფიქსირებული, სადაც ნაუწყებია: „ეს ამირანი იყო საწყალი გლეხის შვილი... მეტი სიღარიბით საწყალს შვილი არავინ მოუნათლა. ადგა და წავიდა, მაშინ იესო ქრისტემ მოუნათლა“. ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ამირანი (ჩიქოვანი, 1947:353) 16 წლისა იყო და ძალიან სუსტი, ამიტომ არ ჭიდაობდა ტოლებში. ნათლიამ მას ძალ-ღონე შემატა... მეორე კი მცირე ფრაგმენტიღაა შემორჩენილი, უფრო ზუსტად ნაწყვეტი, გალექსილი, სათაურით „ამირანი და ძმანი მისნი“. ფრაგმენტული ხასიათისაა იმერული ვარიანტებიც. აქ ამირანის დაბადებასა და ჩამომავლობაზე არაფერია თქმული.

გურულ ზეპირსიტყვიერებაში უშვილო ცოლ-ქმარს ღრმა მოხუცებულობაში შეეძინათ შვილი – „ქრისტემ მონათლა ბავშვი და დაარქვა ამირანი: ნათლული აიყვანა ქრისტემ ხელში და დაარიგა: „ყოველი ადამიანი გიყვარდეს, იყავი გულკეთილი, გაძლევ ძალას, მაგრამ, თუ უსამართლოდ მოიქეცი, დაისჯები“ (ჩიქოვანი, 1981:348).

მეორე ვარიანტით (№ 48) მონადირეს ერთ საღამოს „დიესიზმა, ვითამ ყავს კაი ბიჭი ხელში და ათამაშებს... სიზმარი გაუმჟღავნა თავის ცოლს და უთხრა, მე მოკვდებიო და შესაფერისად დამსაფლავეო. „გათავდა იმ ღამიდან ცხრაი თუეი და ქალი მორჩა, შეეძინა ვაჟიშვილი. ქალმა დიდი ამბით მონათლა და დაათქვა ამირანი (ჩიქოვანი, 1947:350).

მეგრული ვარიანტის (№ 20) მიხედვით, ამირანი გლეხი კაცის შვილია... (ჩიქოვანი, 1947:223).

საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში: თუშეთში, ხევსა და მთიულეთში ამირანის წარმომავლობაზე არაფერია ცნობილი. აქ მოძიებული ვარიანტები ძალზე ფრაგმენტული ხასიათისაა, მათში ამირანიანის მხოლოდ ცალკეული ეპიზოდია გადმოცემული...

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქართლ-კახეთსა და ფშავე-ხევსურეთში, ასევე მესხეთ-ჯავახეთის ვარიანტებში...

ქართლურის 11 ვარიანტიდან მხოლოდ ოთხი გვაწვდის მეტნაკლებად სარწმუნო ცნობებს ამირანის ჩამომავლობაზე. ერთ-ერთი (№ 2) ვარიანტით ვგებულობთ, რომ სამი ძმა: სულკალმახი, ბადრი და ვისიბი, გვარად დარუჯანაშვილი (სხვათა შორის, ტექსტის სათაურიც „ამირან დარუჯანაშვილია“). ძმათა შორის ვისიბი ყველაზე ძლიერია, მასო, შენიშნავს მთქმელი, ერთი რკინის ქუდი ჰქონდა. „დაიხურავდა ამ რკინის ქუდს, ავიდოდა ალვის ხეზე და ერთს ისეთს საშინლად დაიყვირებდა, რომ ღვეებს შიშით ძღვენები მოჰქონდათ... ნადირობის დროს ერთხელ ვისიბმა მთიან ადგილას კოშკი ნახა, შიგ მზეთუნახავი ზის, ვისიბმა მასთან სამი დღე და ღამე დაჰყო. ვისიბი სამ დღეში კვდება. მზეუნახავს ვაჟი შეეძინა, იგი უფალმა მონათლა და სახელად ამირანი უწოდა... № 5 ვარიანტით, ამირანი სულთანისა და უალაგო ალაგას მცხოვრები გულთმისანი ქალის შვილია. № 10, ვარიანტში „ამირანის ზღაპარი“, გადმოცემულია, რომ „მაშინდელ დღეში ღვეები ძალიან ბევრნი იყვნენ. მთლად მუსრს ავლებდნენ საქრისტიანო ხალხს... ღმერთმა თქვა: „თუ ამ ღვეებს არ მოუხერხე რა, ჩემი სახის ხალხს სულ გამიწყვეტენო. ხორემან ხელმწიფის ცოლს უნდა ჩაუუსახო შვილი, რომელიც გაჩნდება და დაარქმევენ ამირანს“, № 11 ვარიანტით, ამირანი მალინდარა მონადირისა და მივარდნილ კლდეში მცხოვრები მზეთუნახავის შვილია (ჩიქოვანი, 1947:373).

როგორც ვხედავთ, დამოწმებული ვარიანტებიდან არც ერთში არ დასტურდება ამირანის დაბადება სვანური ვერსიების მაგვარად. ამ მხრივ შეიძლება ოდნავი, ძალზე შორეული მსგავსება დაგვენახა მეთერთმეტე ნომრით ფიქსირებულ ტექსტთან, რომ ამირანი მალინდარა მონადირისა და მივარდნილ კლდეში მცხოვრები მზეთუნახავის შვილია, მაგრამ ესაა მხოლოდ ნაწილობრივი, ძალზე სქემატური მსგავსება. თუ ღრმად დავაკვირდებით ცალკეულ გამონათქვამს,

მაგალითად, ასეთია მივარდნილი კლდე, სადაც მზეთუნახავი ცხოვრობს, ძნელი არაა იმის ამოცნობა, რომ დალის საბრძანისზე მსგავსი რამის თქმა წარმოუდგენელია. სვანურ ზეპირსიტყვიერებაში დალთა საბინადრო კლდე ღვთიური საუფლოა, წმიდათა-წმიდა არეალი და არა მივარდნილი კლდე. დალის ციკლის ლექს-სიმღერებში გასულიერებულცი კი არის, იგი წმინდა ნადირთა; ჯიზეთა და არჩეთა საბინადროა, დალი კი მათი პატრონია. მოკვდავთაგან იქ შეღწევა რჩეულთა ხვედრია. შეიძლება გვეფიქრა, რომ დამოწმებული ქართლური ვარიანტის ეპიზოდით ამირანის ჩამომავლობა შესუსტებულადაა წარმოდგენილი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ სვანურ სამონადირეო ტრადიციებს, და არა მხოლოდ სვანურს, აღმოჩნდება, რომ ქართლური ტექსტი დამოუკიდებელი წარმოშობისა ჩანს. რაც მთავარია, თვით სვანური ვერსიების მიხედვით, ამირანი არაა უცნობი, ანუ მოკვდავი მონადირის შვილი, მამის ხაზით – და კიდევ, დალის ციკლის მასალების განხილვისას დავრწმუნდებით, რომ მონადირესთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი დალი შვილს არ აჩენს. ამიტომ ვამბობთ, რომ მოტანილ ეპიზოდს რაღაც გარეგნული, მხოლოდ გარეგნული მსგავსება შეიძლება ჰქონდეს ამირანის სვანურ ვარიანტებთან, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მკრთალადაა წარმოჩენილი.

საინტერესოა, რომ კახეთში მოძიებული თერთმეტი ვარიანტიდან მხოლოდ ოთხი ჩანაწერი გვაწვდის სხვადასხვანაირ ცნობას ამირანის ჩამომავლობაზე. № 13 ვარიანტში „ამირანი“, ნაუწყებია, რომ ერთ-ერთ მცირე შეძლების გლეხს მხოლოდ სიბერის ჟამს ეყოლა ვაჟი. იგი ქრისტე ღმერთმა მონათლა და ამირანი უწოდა; № 18 ვარიანტით კი ვილაც ჟადალს, მთქმელის შენიშვნით, ქვეყანაზე უძლიერეს კაცს, შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად ამირანი უწოდეს, ხოლო № 20 ვარიანტით, ამირანის მამა უცნობია, მხოლოდ ისაა გადმოცემული, რომ მონადირე სულკალმახს ნადირობისას: „შემოალამდა ერთ უდაბურ კლდეში, ღამე იქ გაათია და ზევიდან, კლდიდან, ხმაური მოესმა: სულკალმახმა შეძლო გამოქვაბულამდე ასვლა: „შაიხედა და ნახა მან რა, იწვა შიგ ქალი“. ქალმა უთხრა: „მე უბედური ძილი ვიცი და ამ ძილის დროს მე ვილაცა მომეპარაო და ჩემთან ბავშვი შეუქნიაო“. ამ ვარიანტის მიხედვით, სულკალმახი და მისი

ცოლი ამირანის გამზრდელები არიან. 21-ე ვარიანტით, ამირანის მამა სოლომონი იყო, ბიძები კი ბადრი და უსუბი. მთქმელის შენიშვნით, სოლომონი კარგი მონადირე ყოფილა.

„ერთ დღეს სოლომონი წავიდა სანადიროდ, ერთ უალაგო ალაგას სახლი ნახა და დაუყარაულდა. სახლიდან გამოვიდა ერთი ქალი. ეს ქალი სოლომონმა ძალით დაიჭირა... ბოლოს სოლომონმა უთხრა: „შენ გაგიჩნდება ბიჭი, მე ვიცი, რომ მოგკვდები. ამ ვარიანტით ამირანი ქრისტეს ნათლულია, (ჩიქოვანი, 1947:294).

ფშაური ვარიანტი მოგვითხრობს, რომ სულკალმახს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, უფროსი ბადრი, შუათანა უსიპი, უმცროსი ამირანი. ამირანი ქრისტეს ნათლული იყო. ტექსტიდან იმასაც ვიგებთ, რომ სულკალმახის ცოლს, დარეჯანს, ამირანი სიბერეში ეყოლა. დარეჯანს ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი ამირანი, ამიტომ შენიშნავს მთქმელი, „ამირანს დარეჯანის საკუთარ ძეს ეძახდნენო“. (ჩიქოვანი, 1947:212).

ხევსურული ვარიანტის მიხედვით, ამირანი მონადირე დარეჯანისა და ტყეში მცხოვრები ქალის შვილია. (ჩიქოვანი, 1947:345)

რა შეიძლება ითქვას კახურ და ფშაურ-ხევსურულ ჩანაწერებზე? მიგვაჩნია, რომ აქ დამოწმებული ვარიანტები სიუჟეტურად ძალზე საინტერესოა, რაც შეეხება ამირანის ჩამომავლობას, ამ კუთხეებში ფიქსირებულ ვარიანტებშიც სრული ბუნდოვანებაა. მართალია, ამ აზრით ფშაური ჩანაწერი გამოირჩევა, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა თავის დროზე, ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით სულკალმახზე. ქვემოთ, სვანური ვარიანტების განხილვისას, ვნახავთ, რომ დასმულ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი სარწმუნო წყაროები მოგვეპოვება, უფრო ზუსტად, სვანურ ვარიანტებს მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ ცენტრალური გმირის ჩამომავლობის საკითხში.

ძალზე საინტერესოა მესხურ-ჯავახური ვარიანტები, ერთ-ერთში („ამირანი“) აღწერილია, რომ „ამირანის მამას ერქვა ცულკალმახი. ეს მონადირე იყო. წავიდა ტყეში სანადიროდ, ნადირობის დროს მას ერთ მაღაროში შეხვდა ერთი დედაკაცი“. ცულკალმახს ამ დედაკაცთან შეეძინა ვაჟი. „იგი ერთმა კაცმა მონათლა და ამირანი დაარქვა“. (ჩიქოვანი, 1947:339)

ჩვენი აზრით, მესხურ-ჯავახური ვარიანტებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „გმირი ამირანი“. მისი დასაწყისი ტიპური ჯადოსნური ზღაპრისეულია: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. ერთხელ ეს მონადირე წავიდა ტყეში, როდესაც ნადირობა დაიწყო, ნახა ერთ კლდის ძირში, რომ ბავშვი გდია. მოვიდა და ასწია, წამოიყვანა სახლში, მიუყვანა თავის ცოლს და უთხრა: „ვიცი, მე რამოდენიმე დღის შემდეგ მოკვდები, გაზარდე ეს ბავშვი და დაარქვი ამირანი“... როგორც ვხედავთ, ამ ვარიანტით ამირანი არავის შვილი არ არის. ეს ცნობა ძალზე მნიშვნელოვანია.

ასეთია ამირანის დაბადება—წარმომავლობა, საქართველოს სხვადასხვა მხარესა თუ კუთხეში გავრცელებული ვარიანტების მიხედვით. ტექსტობრივმა კვლევამ ცხადყო, რომ ვარიანტთა აბსოლუტური უმრავლესობა ღუმს, არაფერს გვეუბნება ამირანის ჩამომავლობაზე, ხოლო ის მცირე ნაწილი, და არა დიდი რაოდენობა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ძალზე ძუნწ, ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. იმასაც დავსძენთ, რომ ამირანის გამოქვეყნებულ ვარიანტების თხრობის სტილზე საგრძნობია ჯადოსნური ზღაპრის გავლენა. ესაცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ცალკეული ვარიანტები თითქმის გაზღაპრებულია. ამ მხრივ საქართველოს არც ერთი კუთხის ჩანაწერები არაა დაზღვეული. ამ საკითხზე პროფ. მიხ. ჩიქოვანი საგანგებოდ მიუთითებს. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანადაა შესასწავლი საარქივო მასალები, სიუჟეტები შესაჯერებელია. ეს კი ... გასაკეთებელი საქმეა..

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი, რომ ამირანი ქალღმერთ დალისა და უცნობი მონადირის შვილია, სვანური ვარიანტებიდან იღებს სათავეს. ამიტომ, პირველ ყოვლისა, სვანური ჩანაწერებია საფუძვლიანად შესასწავლი. როგორც ზემოთ ითქვა, მიხ. ჩიქოვანის ნაშრომში სვანურიდან მხოლოდ სამი ვარიანტია წარმოდგენილი. მათგან ყველაზე არქაულადაა მიჩნეული თავისუფალი სვანის მიერ ჩაწერილი ვარიანტი „ამირანი“. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. იგი, მართლაც, ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტთაგანია (ვგულისხმობთ გამოქვეყნებულ ტექსტებს), მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით „თავისუფალი სვანის“ მოწოდებული ვარიანტის შინაარსს, თხრობის სტილს, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ ეპიზო-

დებს, აშკარად თავისუფალი თარგმანის იერი დაჰკრავს. ამგვარ შთაბეჭდილებას, წარმოდგენას, გვიქმნის ტექსტის შესავალი ნაწილი, რომელიც ასე იწყება: „ერთ უდაბურ ტყეში, რომლის ხის წვერები ცასა სწვდებოდნენ, აღმართული იყო წვრილი, მაგრამ ძლიერ მაღალი კლდე“. სიცხადისათვის, ალბათ, საჭირო იქნება მცირედი განმარტება. ტექსტი ჩაწერილია სევანეთში და, ცხადია, იქაური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობაა გასათვალისწინებელი და არა მართო იქაური. საერთოდაც მიწიერი საუფლო სამ სხვადასხვა არეალად იყოფა: ადამიანთა საცხოვრისი, ტყის მასივი და ალპური არეალი. თითოეულს; ტყეს და ალპურს თავისი გამგებელი ჰყავს. ამ საკითხზე ნაშრომის მომდევნო თავებში გვექნება საუბარი. რასაკვირველია, როცა ვამბობთ ალპურს, თავისთავად იგულისხმება, რომ იქ ტყე არაა, მით უფრო ეს ითქმის კლდოვან-ყინულოვან არეალზე, რომელიც მიწიერი სამყაროს ყველაზე ამაღლებული საუფლოა. ქალღმერთი დალის საბრძანისია, ლეთიურ ნადირთა: ჯიხვთა და არჩვთა საბინადრო, ანუ საჯიხვეთი, მის ირგვლივ ალპური მწვერვალებია და არა უდაბური ტყე. საერთოდაც უდაბურ ტყეში კლდე წარმოუდგენელია, ისიც ისეთ სურათ-ხატებით, როგორც ეს ციტირებულ ტექსტშია წარმოჩენილი.

დამოწმებულ ნაწარმოებში ძალზე საინტერესოა დალისა და მონადირის შეხვედრა, ურთიერთობა, ამირანის შობის საიდუმლო და მონადირის ცოლის ქმედება. ტექსტიდან ვგებულობთ, რომ სანადიროდ წასული ქმარი უკვე მესამე დღეა, შინ არ დაბრუნებულა. მონადირის ცოლი შეფიქრიანდა, ორი ღამეც მოიცადა და მესამე, ანუ მეექვსე დღეს ისიც დალის გამოქვაბულამდე აღწევს და ქალღმერთს თმები შეაჭრა.. სასიკვდილოდ განწირული დალი მონადირეს ეუბნება: „მე უკვე ვკვდები, შენგან ვარ ფეხმძიმედ, გამჭერი მუცელზე და ბავშვი ამომარიდე, მას ამირანი უწოდე“. რასაკვირველია, ძნელი არაა აქ იმის დანახვა, რომ ნაწარმოების ეს ეპიზოდი მნიშვნელოვნად გაუგებარია, მას აშკარად აკლია სიცხადე და გარკვეულობა, დალის ფეხმძიმობის დრო ძალზე ბუნდოვანი და დაუჯერებელია. ალბათ, თვით მთქმელის ცნობიერებაშიც კი გაჭირდებოდა, უფრო ზუსტად დაუშვებელი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ხუთი-ექვსი დღის ინტიმური ურთიერთობის შემდეგ ბავშვის ამორიდებაზე იყოს საუბარი. აშკარაა,

რომ კონკრეტულ შემთხვევაში ტექსტის ხარვეზთან გვაქვს საქმე. „ამირანიანის“ გამოქვეყნებულ და ქვემოთ განსახილველი ახალი ვარიანტების მიხედვით დავრწმუნდებით, რომ მომაკედავი დალი მონადირეს ეუბნება, ამ ეპიზოდშიც ასეა, რომ „ჩემ შვილს რომ ზრდა დედის მუცელში დასცლოდა, მისი მომრევი ქვეყანაზე არავინ იქნებოდაო“. ზოგჯერ დროცაა დასახელებული, რომ ბავშვი ექვსი თვისაა, ზოგჯერ სამი თვის და იქვეა დარიგება, თუ რა უნდა გააკეთოს მონადირემ, როგორ უნდა გამოშუშდეს ყმაწვილი. (ფაშვში, ტყავში და სხვა). თანაც ძალზე საინტერესოა თვით დალის სიტყვები მონადირისადმი: „ჩემი ცოდვა გქონდეს, ხომ გითხარი, რომ შენი ცოლი ამას გვიზამდა. ეხლა ჩემი სიცოცხლე არა ღირს, აიღე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე, რადგან მე შენ ხელში დავორსულდი და გამოიღე შვილი. ჩემი შვილი ვაჟი თუ აღმოჩნდეს, სახელად ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა, ის დაარქვი. ჩემი შვილი „ჭაბუკი“ გმირი გამოვა. მას რომ ჩემს მუცელში დასცლოდა დრომდის, ისეთი იქნებოდა, რომ თვით ღმერთსაც შეებოდა, ეხლა კი ნაკლები იქნება: შენ მაინც დასრულე, რაც მე დაგიბარო. როცა ჩემს მუცლიდან გამოიღო შვილი, სამი თვე დეკულის ფაშვში შეინახე. შემდეგ სამი თვე - კუროს ფაშვში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს“ და კიდევ, რაც განსაკუთრებით საინტერესოა: „შემდეგ აკვანში ჩააწვინე, აკვნიანად წაიღე და იამანის (კაცის სახელია) წყალზე დადგი, იქ გამოვილის მისი მომნათლავი და მონათლავს (თავისუფალი სვანი, 1887:20). როგორც ვხედავთ, ამონაწერში ყველაფერი გასაგებია, მაგრამ დამოწმებულ ეპიზოდთან მიმართებით აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. აქ კი დალის სიტყვებით ბავშვი სამი თვისაა. ისევ რომ გავიხსენოთ პროფ. ელ ვირსალაძის ძალიან შორს გახედული აზრი, თუ მართლაც შვილის მამაა მონადირე, რატომ მიჰყავს სხვაგან გასაზრდელად? ასეთი წინააღმდეგობები იჩენს თავს დამოწმებულ ჩანაწერში. ტექსტი თარგმნილია „თავისუფალი სვანის“ მიერ (ბ. ნიჟარაძე) გამართული სტილით. ეჭვიც კი ჩნდება, ხომ არაა თავისუფალი სვანის მიერ ცალკეული ეპიზოდები თავისუფლად თარგმნილი? მხედლველობაში გვაქვს მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები. სიუჟეტი კი მართლაც ერთ-ერთ საინტერესო და არქაულ სიუჟეტად რჩება დღემდე ცნობილ ჩანაწერთა შორის.

ილუსტრირებული ტექსტის წინააღმდეგობები შეიძლება გა-
ირკვეს „ამირანიანის სხვა სვანური ვარიანტების მიხედვით. ასე, მა-
გალითად, მიხ. ჩიქოვანის დასახელებულ ნაშრომში ამირანიანის კიდევ
ერთი საინტერესო ვარიანტია გამოქვეყნებული. იგი ჩაწერილია ლენ-
ტეხის რაიონის სოფ. სასაშში, მთქმელი ომარ ონიანი, ჩამწერი კოს-
ტანტინე ბერიძე. დასახელებული ვარიანტი ბევრი საიდუმლოის გახ-
სნაში გვეხმარება. დამოწმებულ ჩანაწერს ლაშხურ ვარიანტად მო-
ვიხსენიებთ. მასში დალთან ინტიმურ ურთიერთობაში მჭედელია.
განსახილველი ტექსტი ყველაზე სარწმუნო ცნობებს გვაწვდის ამი-
რანიანის ჩამომავლობაზე. ამიტომ ცალკეულ ეპიზოდებზე და შესავალ
ნაწილზეც ვრცლად შევჩერდებით. შესავალში გადმოცემულია, რომ
ცხოვრობდა ვიღაც ერთი მჭედელი. ერთხელ მას კლდიდან ისეთი კი-
ვილი მოესმა, რომ „ქვეყანას თხრიდა, ნელს ახმოზდა, ხმელს ნელ-
ლად აქცევდა. ამ კაცმა გადაწყვიტა გაეგო, თუ ვის შეეძლო ასე ძლი-
ერი კივილი“... გადმოცემულია, რომ რკინის პირთხელების მიჭედე-
ბით მჭედელი ფრიალო კლდეზე აცოცდა. როცა კლდეს აპყვა, რკინის
სატეხებიც გამოეღია. მიადგა კარს და შეალო და შიგ შევიდა. მჭე-
დელმა დაინახა ერთი მშვენიერი ქალი, რომელიც უმაღ შეუყვარდა
და თვით ქალიც სიყვარულის გრძნობით აივსო მჭედლისადმი“. ქალ-
მა უამბო თავისი გასაჭირი, თუ რაზე კიოდა იგი. „უთხრა, რომ „მე
მყავდა ქმარი, რომელსაც ამირანი ერქვა, რომელიც ერთხელ სანადი-
როდ წავიდა და იქიდან კი აღარ დაბრუნებულა ეს ამირანი ისეთი ვაჟ-
კაცი იყო, რომ მისი მძლეველი არავინ ეგულებოდა დედამიწის ზურ-
გზე, როცა მისი სიყვარული გაახსენდებოდა, მაშინ დაიწყებდა ასე
ძლიერ კივილს. „მჭედელი და ამირანი ერთმანეთის შეყვარებულები
რამოდენიმე ხანს იყვნენ“ (ჩიქოვანი, 1947:276), გაგრძელება ტრა-
დიციულია. მჭედლის ცოლი გაყვა ქმრის ნაკვალევს და მძინარე
დალს თმები შეაჭრა. დალის დაუინებელი თხოვნით მჭედელმა მუ-
ცელი გაუჭრა, ბავშვი ამოარიდა, კუროს ტყავში შეახვია და იამანის
წყაროსთან დასვა. როგორც ვხედავთ, თავისუფალი სვანის მიერ ჩა-
წერილ ვარიანტსა და ლაშხურ ტექსტს შორის მნიშვნელოვანი
მსგავსებებია, ოღონდ ლაშხურ ჩანაწერში დალის კივილის ეპიზოდი
გაძლიერებულადაა წარმოდგენილი: „მჭედელს კლდიდან ისეთი კი-
ვილი მოესმა, რომ ნელს ახმოზდა და ხმელს ანელლებდა“. ორივე ვა-

რიანტში გამწარებული, ქმარდაკარგული დალი კივის. ნიჟარაძისეული ვარიანტის ბუნდოვანება ლაშხური ვარიანტით იხსნება. ორივე შემთხვევაში მჭედელი, მონადირე დალის შვილის მხოლოდ გადამრჩენია და არა მამა. შეიძლება ითქვას, რომ არც მხოლოდ ამგვარი ახსნაა ბოლომდე სრული. ჩვენი აზრით, გასარკვევი უფრო მნიშვნელოვანი რამ არის, კერძოდ, როცა დალი მჭედელს ეუბნება, რომ: „მე მყავდა ქმარი, რომელიც სანადიროდ წავიდა და აღარ დაბრუნებულა“. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ეპიზოდზე მხოლოდ ისაა თქმული, რომ ამირანის მამა ამირანია. ამის იქით კვლევა არ მიდის. ჩვენთვის კი მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი ყველაზე დამჯერებელ პასუხს გვაძლევს ამირანის ჩამომავლობაზე. იბადება კითხვა, როცა დალი ამბობს: „მე მყავდა ქმარი, სანადიროდ წავიდა და აღარ დაბრუნებულა“, რას ნიშნავს ეს? ვინ შეიძლება იყოს დალის ქმარი? პასუხისათვის აუცილებელია დალის ციკლის ჩანაწერებიდან ცალკეული ეპიზოდების მოტანა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი მითოსური გადმოცემა „დვიდილანთ ბიბუს გარეთ მყოფი“, სვანურად „ქამ მერდე“ ჰყოლია მოკეთედ. მომდევნო სტრიქონებიდან ცხადდება, რომ ეს „გარეთ მყოფი“ დალია. ძალზე საინტერესოა, რომ ქართულ სამონადირო ეპოსში იგი პირველადაა მოხსენიებული ზედწოდებით. მისი გააზრებისათვის „საინტერესოა ქართულში „შინა“ და „გარე“—ს დაპირისპირება. „გარეშე“ თანამედროვე ქართულში უცხო, გარედან მოსულს აღნიშნავს. ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ამ ტერმინს ძველად რთული კოსმოგონიური და რელიგიური შინაარსი ჰქონია. შინა სივრცის იმ სეგმენტს გულისხმობს, რომელზედაც განფენილა: 1. სოციალური ჯგუფი, 2. ოჯახი, აქედან გავრცელებული ცნება შინაური (სურგულაძე, 1993:50). მაგრამ, როცა სვანი ამბობს: „ქამ მერდე“ — „გარეთ მყოფი“ უცნობს ან სხვა სოციუმის წევრს არ გულისხმობს. საამისოდ მას სხვა სახელწოდება აქვს, „ნაქამ მარე“ — „გარეშე კაცი“, რომელიც იმავდროულად შინ მყოფიც არის, ისიც სოციუმის წევრია, ოჯახის, მაგრამ უცნობისათვის „გარეშე“, ოღონდ ადამიანურ საცხოვრისში მყოფი, ხოლო „ქამ მერდე“, „გარეთ მყოფი“ კი ადამიანური საცხოვრისის იქითა (ჰორიზონტალურ სივრცე) საპირისპირო, უცხო სივრცეს, გარემოსა და სრულიად სხვაგვარ მყოფობას ნიშნავს. აქ ადამიანის არსებობა წარმოუდგენე-

ლია. იგი მიღმურეთია, პორიზონტალურ სიბრტყეზე, ეგრეთ წოდებული გარესკნელი, ოღონდ იქაც ადამიანურ ყოფით რეალიებთან მიმსგავსებული არსებობაა, გარემოც, ასეთებია: ტყის, ალპური და კლდოვან-ყინულოვანი არეალები, რომლებსაც თავთავისი გამგებლები ჰყავთ: ტყეს, ტყის ანგელოზი, სვანურად „ცხეკიშ ანგლოზ“, განაგებს, ალპურსა და კლდოვან-ყინულოვანს დალი, რომელიც წმინდანადირის, ჯიხვისა და არჩვის პატრონია, ამ არეალში სხვა არსებათა დასახელებაც შეიძლება. ასე რომ, გარეთ მყოფი კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კლდოვან-ყინულოვანი საუფლოს წარმომადგენელზე ითქმის. ასეთი კი დალია, ცხადია, მისი თანამეცხედრე, ანუ ქმარი, ამ საუფლოს ბინადარია და არა ადამიანთა საცხოვრისის. მოტანილი ეპიზოდის სხვაგვარად გააზრება გაჭირდებოდა.

ძალზე საინტერესო ეპიზოდია ერთ-ერთ მითოსურ გადმოცემაში „მონადირე რავაზი“, მასში ვკითხულობთ, რომ რავაზი სანადიროდ წავიდა, დაუღამდა და ერთი „წიფლის ხის ქვეშ დაანთო ცეცხლი და დაიძინა. შუალამე იქნებოდა, როცა მთიდან ხმა მოესმა: შენც წამოდი და შენი სტუმარიც წამოიყვანე. გაიხსნა წიფლის ხე და იქიდან დალი გადმოეშვა, მონადირე რავაზს უთხრა: უნდა წავიდეთ, ქორწილში ვართ დაპატიჟებული, ოღონდ გზაზე ჩემი ფეხის დანადგამზე დადგამ ფეხს და ისე წამოხვალ ქორწილში. იქ როგორც მე ვიდღეგრძელებ, შენ ისე გაიმეორებ“ (შანიძე, 1939:377-378). ამ ძეგლზე საგანგებოდ გვექნება მსჯელობა. ამჯერად მხოლოდ იმაზე მივუთითებ, რომ დალთა საუფლოში ამკარად ღვთიურ ქორწინებასთან გვაქვს საქმე. იმასაც დავსძენთ, რომ დალები ბევრია, მთელი ლაშქარი. ალბათ, იმის ფიქრიც კი წარმოუდგენელია, რომ თითქოს დალები მოკვდავ ადამიანებთან ინტიმური ურთიერთობით მრავლდებოდნენ. როგორც ითქვა, საქმე გვაქვს ღვთიურ ქორწინებასთან. ამდენად, განსახილველ ლაშხურ ვარიანტში როცა დალი ამბობს: „მე მყავდა ქმარი“, მართლაც ღვთიური საუფლოს ბინადარზეა საუბარი, მხოლოდ ღვთიური საუფლოსი. ასე რომ, ლაშხურ ვარიანტშიც ამირანის ღვთიური ჩამომავლობა მამის ზაზით ექვს არ უნდა იწვევდეს. იგი ამ აზრით მხარს უჭერს (მართალია, განსხვავებული ფორმით) ქალდანისეულს, გურჩიანისეულსა და გულედანისეულ ვარიანტებს, სადაც ამირანი წმინდა ღვთიური ჩამომავლობისაა, ანგელოზის შვი-

ლია. აქ იმის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ ოთხივე ვარიანტში მოქმედება მთაში, ღვთაებათა საუფლოში, მიმდინარეობს. ვიშეორებთ, აქ მონადირე, რა სახელგანთქმულიც უნდა იყოს, თუნდაც დალის სატრფო, ამ საუფლოში მაცხოვრებელი ვერ იქნება. ჩვენ სამონადირეო ტრადიციებიდან ვიცით, რომ მონადირისათვის მთის წმინდა ადგილებში მისვლის უფლება მოსაპოვებელია. ყველა მონადირეს არ ძალუძს ასეთი ადგილების დალახვა, იგი მხოლოდ მარხულ და შინაგანად განწმენდილთა ხვედრია. მართალია, ეს ადგილები ადამიანთათვისაა განკუთვნილი, მაგრამ მკაცრადაა შემოსაზღვრული. ზღურბლს კი ვერც ერთი მონადირე ვერ გადააბიჯებს, რომლის იქით სულ სხვაგვარი არსობრიობაა, სხვაგვარი მყოფობა. ვიცით, რომ წმინდა ადგილებშიც მონადირეს დალი უშუალოდ მეთვალყურეობს, რაიმე არასწორი ქმედება და მონადირის დასჯა ერთია, შეიძლება დაიღუპოს კიდევ. საგანგებოდ უნდა დავსძინოთ, რომ დალთან მონადირის ინტიმური ურთიერთობა და წმინდა ადგილებში მისვლა ღრობითია, მონადირე ყოველთვის ადამიანთა საცხოვრისს უბრუნდება და ეს ურთიერთობა, როგორც ამას თავის ღროზე ვნახავთ, იდუმალებითაა მოსილი, სულ სხვაგვარ სირთულეებთან გვაქვს საქმე. ის კი ცხადზე ცხადია, რომ მოკვდავი ვერასოდეს იქნება უკვდავთა საუფლოს მცხოვრები. ასე რომ, დალი თავის საბრძანისში დაკარგული ქმრის გამო კივის, მისგანაა ფენხმძიმედ და არა მოკვდავისაგან. ტექსტიდან აშკარაა, რომ ამირანი ამირანის შვილია. გასახსენებელია დალის სიტყვები: „ეს ამირანი (მისი ქმარი) ისეთი ვაჟკაცი იყო, რომ მძლევი არ ეგულებოდა დედამიწის ზურგზე, მოულოდნელობა ისაა, რომ ასეთი გმირი ვერ დაბრუნდა შინ. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, მისი დამტყვევებელი მწყემსი ქალი აღმოჩნდა: დალის სიტყვები ძალზე დამაფიქრებელია. კონკრეტულ შემთხვევაში ისევ მთა, მის სფეროთა ფუნქციებია განსაკუთრებული ინტერესის საგანი. იგი დამოუკიდებელი პრობლემაა და ცალკე იქნება განხილული. ამჯერად იმაზე მივუთითებთ, რომ მთა მითოლოგიაში მოიაზრება როგორც ცისა და დედამიწის დამაკავშირებელი ცენტრი. „ამირანიანში“ მთა გმირთა სამოქმედო ასპარეზია. აქ სულიერ არსთა ყოფიერება ძალზე ახლოა ადამიანურთან. ამ მხრივ იგი მნიშვნელოვან სიახლოვეს ავლენს ბერძნულ მითოლოგიასთან, სადაც ადამიანები და ღმერთები

თითქმის ერთად მოქმედებენ, რაც შეეხება „ამირანიანის“ მთას, აქ ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ასე, მაგალითად, როგორც განსახილველი ლაშხური ჩანაწერიდან ვიგებთ, ამირანს ერთი მეცხვარე შეხვდა, „როცა მწყემსმა ამირანი შეამჩნია, დაუძახა: „ცხვარი გამომირეკე აქეთაო. ამირანმა ბევრი უყვირა და უბიძგა ცხვრებს, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დაძრა, მაშინ მწყემსმა თვითონ გასძახა ცხვრის ჯოგს: „გრეტ-გრუტ“ და ეს მთელი ჯოგიც გამოექანა, თვით ამირანიც შუაში მოიჭინა და კლდის გამოქვაბულში შეიყვანა. გამოქვაბულში რკინის კილობანი იდგა, საიდანაც ადამიანის კენესა ისმოდა. იგი ამირანის მამა აღმოჩნდა. შეიღმა შეძლო მამა ამირანის განთავისუფლება და ორივემ მწყემსი ქალი დაამარცხეს (საინტერესოა, რომ მწყემსი ქალი ამირანზე ძლიერია) (ჩიქოვანი, 1947:383).

როგორც ვხედავთ, ლაშხური ვარიანტიც ამირანის ღვთიური ჩამომავლობა აშკარაა. მისი მამა კლდოვან-ყინულოვანი არეალის ბინადარია.

ძალზე საყურადღებო აღმოჩნდა ლაშხურიდან კიდევ ერთი ვარიანტი „ამირანი“. იგი ჩაწერილია ლენტეხის რაიონის სოფ. სასაშში, მთქმელი სტეფანე ონიანი, ჩამწერნი: პროფ. ქს. სიხარულიძე, მ. ბეჟიტაძე, მ. ბაკურიძე 1970 წ. მასში მოთხრობილია, რომ იყო ერთი მშვენიერი დარეჯანიანი, მონადირე, მისი სახლის ახლოს კლდეა და იქიდან ისმის კივილი. „კლდის ახლოს რაც რამ მაკვა, იმას უშლის მუცელს, ძროხა იქნება თუ ადამიანი“. მჭედელი დარეჯანიანი დაინტერესდა, „ვინ შეიძლება კიოდეს ასე საშინელი ხმით“. ამის შემდეგ გადმოცემულია რომ მჭედელმა გააკეთა სატეხები და ავიდა კლდეზე. „ქარები დაინახა და სახლიდან ქალი გამოეგება, „გაუხარდა ქალს, პირველად ეგონა მისი ქმარი, მაგრამ, როცა ახლოს მივიდა, ხედავს, რომ ეს არაა ქმარი. დარჯელანმა კითხა: – რა ამბავია, რომ კივიო.

– ქმარი დამეკარგა, ვეძებ და ვერ ვიპოვეო. ჩასიყვარულდნენ... დარჯელანის ცოლი გაყვა ქმრის ნაკვალევს და დაღს თმები შეაჭრა. მომაკვდავმა დაღმა უთხრა მჭედელ დარჯელანს, რომ „ახლა მუცელში მყავს ამირანი, ოთხი თვე აკლია მოშუშებას, (მთქმელი სტეფანე ონიანი) დაკალი კურო-კამბეჩი და იმის ფაშეში შეახვიე და

მოაშუშეო, თან დაარიგა, რომ ბავშვი იამანის წყაროსთან დასვას. (თსუფა №8049-19).

დამოწმებული ტექსტი ყველაზე ზუსტ და ამომწურავ ცნობებს გვაწვდის ამირანის ჩამომავლობაზე. ჯერ ერთი, აქაც დალის სატრფო მჭედელია და არა მონადირე. სვანურ ვარიანტებში ამ მხრივ სრული კანონზომიერებაა დაცული. ამირანის მკვლევარები რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს ამ მნიშვნელოვან ფაქტს. უფრო მეტად ყურადღება მონადირეზეა შეჩერებული. ტექსტიდან ცხადია, რომ დალი ქმრის დაკარგვის გამო კივის, „ქმარი დამეკარგა, ვეძებ და ვერ ვიპოვეო“. იმასაც ვიგებთ, რომ დალი ექვსი თვის ფეხმძიმეა და ბავშვის სახელიც შობამდეა ცნობილი. ისევ რომ გავიმეოროთ დალის სიტყვები: ახლა მუცელში მყავს ამირანი, ოთხი თვე აკლია მოაშუშებას“. საეჭვო ამ სიტყვებში არაფერია, მჭედელი დარეჯანიანი დალის შვილის გადამრჩენია და არა მამა. დავსძენთ, რომ დალი ამ სიტყვებს ინტიმური ურთიერთობის შემდეგ ეუბნება. საანალიზო ტექსტში დრო ძალზე შეკუმშულია. ცოლი დარეჯელანის ნაკვალევს მაშინვე გაყვა. მჭედლის დალთან ურთიერთობა ერთ დღე-ღამეში სრულდება. ასეთი სიმკვეთრე და სიცხადე ამირანის ჩამომავლობაზე იშვიათია. მთქმელის მეტყველება იმდენად ზუსტი და ლაკონურია, რომ რაიმე გაუგებრობისა თუ დაეჭვებისათვის საფუძველი არ არსებობს. დამოწმებულ ტექსტში მნიშვნელოვანია ისიც, რომ დარეჯანიანი პროფესიით მჭედელია და არა მჭედელი და მონადირეც.

საანალიზოდ წარმოდგენილ ჩანაწერში ამირანის მამასთან შეხვედრა ისევეა აღწერილი, როგორც ზემოთ განხილულ ლაშხურ ვარიანტში (ამირანის მამა ამირანია). აქაც იმგვარადვეა გადმოცემული, რომ დევმა (იგულისხმება კაცი და არა ქალი, როგორც პირველ ვარიანტში) შეუძახა ცხვარს და ამირანი გამოქვაბულში გამოამწყვდია. ტექსტიდან ირკვევა, რომ მამა შვილზე გაცილებით ძლიერია. განთავისუფლებული მამა ეუბნება ამირანს: აი, ამ ხმლით მოჭერი თავი დევსო. ამირანმა ხმალი ვერ დაძრა, მაშინ მამამ აიღო ხმალი, მძინარე დევს კისერზე დაადო და მოკლა. შეიძლება ითქვას, რომ ლაშხურის ორივე ვარიანტი ერთიმეორეს ავსებს, ჩანს, რომ ამირანის ლაშხურ ვარიანტებში გმირის თავგადასავალთან დაკავშირებით სრული კანონზომიერებაა დაცული. ასე, მაგალითად, სვანური პროზაული

ტექსტების მეოთხე ტომში „ლაშხური კილო“, დაბეჭდილია ძალზე საინტერესო ვარიანტი „ამირანი“. იგი ასე იწყება: „არის ამირანი, რომელიც ყველაზე ძლიერია, დაღის და უნდა, რომ ვინმე მაგარ კაცს, მის მეტოქეს, შეხვდეს. უფრო ხშირად დევებს ეძებს ზოცავს. ნაძვები რომ არის, ისენიც დევებს ჰგვანან და მათაც ძირიანად თხრის“ (ონიანი, 1979:123). ასე ძლიერი კაცი ისე დაიკარგა, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. ამასო, შენიშნავს მთქმელი „ცოლი ღარჩა ფეხბმძიდ დიდ კლდეში“. ჩანაწერის გაგრძელება ტრადიციულია. კლდიდან ისეთი კივილი ისმის, რომ ხმელს ანედლებს და ნედლს ახმობს. სოფელი შეწუხებულია, ერთმა მჭვდელმა გულში ჩაიდვაო ამის გაგება“. თვითონვე გამოჭედა სოლები და დაიწყო კლდეზე ასვლა, მთქმელის შენიშვნით, შუაღამე იქნებოდა, რომ კლდის შუა ნაწილამდე ავიდა. „უნდა რომ სოლი მაგრად მიაჭელოს კლდეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მაშინ შიგნით მიაწვა და კარები გაიღო, კარის გაღება და მიდამოს განათება ერთი იყო. შიგნით ყველაფერი ოქროსი იყო. ოქროს საწოლზე ქალი იწვა, ოქროსთმინანი. დიდხანს ისაუბრეს“. სწორედ ეს ეპიზოდია ძალზე ორიგინალური. ზემოთ მოტანილ ყველა ტექსტში დაღის გამოქვაბულში შესული მჭვდელი თუ მონადირე ინტიმურ ურთიერთობაშია დაღთან. ამ ვარიანტის გარდა, გამონაკლისი არ არსებობს და ეს განსაკუთრებით საინტერესოა, მჭვდელი და დაღი დიდხანს საუბრობენ. ამ ეპიზოდში კრძალვაა და არა სხვა რაიმე განცდა. რაც ყველაზე საყურადღებოა, ამგვარი ურთიერთობები გრძელდება დიდხანს. მთქმელის შენიშვნით, მჭვდელი ძალიან ხშირად სტუმრობს დაღს. კონკრეტულ შემთხვევაში მეგობრული ურთიერთობაა თვალში საცემი, ინტიმურობაზე მინიშნებაც კი არაა, როცა მჭვდელი შინ ბრუნდებოდა ქალმა გააფრთხილა (რასაკვირველია, ეს ქალი იგივე დაღია, მაგრამ მთქმელი ამაზე არაფერს გვეუბნება), რომ ჩასვლისას არ ღარჩენოდა თუნდაც ერთი სოლი, კლდეზე მიჭედებული, რომ მისი ცოლი არ ამოსულიყო და თმები არ შეეჭრა. „მჭვდელი ძალიან ხშირად დადიოდა ამასთან. ერთხელ დაავიწყდა სოლის გამოღება, ცოლმა კი მოახერხა გამოქვაბულამდე ასვლა და ქალს თმები შეაჭრა. ამ ეპიზოდში საინტერესოა ქალის და მჭვდლის საუბარი. „ქალმა ამოიღო ოქროს ჯაყვა, და უთხრა მჭვდელს; გამჭვრიო, მე ბუცელში ვაყი მყავს, კამბეჩის ტყავში შეახვიე, ოქროს აკვანში ჩააწვინე და იამანის

წყაროზე დადგი“ (ონიანი, 1979:123) სიუჟეტი ძალიან საინტერესოდ ვითარდება. ერთხელ იამანი მივიდა წყაროზე და ბავშვის ტირილი მოესმა. „იამანმა გახსნა აკვანი და ნახა, რომ ბავშვი წევს. წელს ზევით ოქროსია, წელს ქვევით კი ვერცხლის“. ამ ვარიანტში ვაჟის ნათლია „ჯგერაგია“ – წმ. გიორგი. უნდა დავსძინოთ, რომ ლაშხურის ჩანაწერებში იმ მხრივაცაა კანონზომიერება, რომ დავაჟკაცებულ აშირანი ხვდება მამას, აშირანს, რომელიც ღვე-ღვედაბერს ჰყავს გამომწყვდეული გამოქვაბულში. ერთხელ აშირანი დიდ მინდორში მოხვდა, სადაც ცხერის ფარა ძოვდა. „მთის წვერზე კი ღვე-ღვედაბერი იჯდა და ცხვარს მეთვალყურეობდა, აშირანი ცხვრებს თავებს ჭრიდა, მაგრამ ისევე უმთელდებოდათ. ღვემა შეუძახა ცხვარს და აშირანიც გამოქვაბულში შეიყვანეს. გამოქვაბულში აშირანს კენესა მოესმა“. აქ საინტერესო ისაა, რომ აშირანის მამა აშირანი ორმოშია მხრებამდე ჩასმული და ხელები ჯაჭვებით აქვს შეკრული. ჩანაწერის მიხედვით, მამა აშირანი გაცილებით ძლიერია შვილზე. ორივენი კი ამარცხებენ ღვეს. ამ ჩანაწერში კიდევ ერთი ეპიზოდია საინტერესო. აშირანი ეუბნება მამას: „ხმალი გამიცვალეო. – ვერ გაგიცვლი, შვილო, ცუდი გულის ყოფილხარ და მე რომ ამიმიზეზდე, ჩემი ხმლით ცოტა სისხლი გამომედინოს, მოგკედები, ამის გარდა, არაფერი მკლავს, ასე მაქვს დაბეღებული ღვთისგან“. დამოწმებული ფრაზა ძალზე რთული გასააზრებელია. აშკარაა, რომ მამა აშირანი უძლევეია, უკვდავი. მასზე არანაირი სამყაროული იარაღი არ მოქმედებს, ვერაფერს აკლებს. ცხადია, მისი ხმალი ღვთიური მადლია, ჯილდო. ეს მადლი უნდა განვასხვაოთ ჩვეულებრივ ადამიანზე გადმოსული მადლისაგან, ვინაიდან თავად აშირანის მამა ღვთიური საბრძნისის, დალის საუფლოს ბინადარი, ქალღმერთის ქმარია და არა რომელიმე მოკვდავი გმირი. გავიხსენოთ მთქმელის სიტყვები, რომ აშირანი ისე დაიკარგა, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მასო, „ერთ დიდ კლდეში დარჩა ცოლი ფეხმძიმედო“. ჩვენ ხშირად გვიხდება იმის გამოტოვება, რომ დალი მოკვდავთან შვილს არ აჩენს. დამოწმებული ფრაზა ერთხელ კიდევ იმას გვახსენებს, რომ მამა აშირანი არაა და არც შეიძლება იყოს ადამიანთა საცხოვრისის მუდმივი ბინადარი. ის, რომ იგი მიწიერ საუფლოში სპობს და ანადგურებს ღვეებს, ბოროტ ძალებს, მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ დალის თანამეცხედრე,

ანუ ქმარი, ამირანი, ორივე საუფლოში, ღვთიურსა და ადამიანურში, ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლია, რომ ორივე საუფლოში ასეთი ბრძოლაა გაჩაღებული. ტექსტიდან ირკვევა, რომ ამირანის მისიაც ფიზიკური სამყაროს გაწმენდაა ავი სულებისაგან. ამ აზრით, იგი ბევრ რამეში გვაგონებს ბერძნულ ოლიმპოს ბინადართ, სადაც უკვდავნი მოკვდავებთან ურთიერთმოქმედებენ და ბევრ შემთხვევაში ერთიმეორეს ავსებენ კიდევ. ამირანის უკვდავებაზე ტექსტში სხვა მინიშნებაც არის, კერძოდ, ღვეის გამოქვაბულში „ამირანს კენესა მოესმა, მივიდა იქითკენ და იკითხა: ვინ არისო

– თვითონ ვინ არისო,

– მეო ამირანი ვარ,

– მეც ამირანი ვარ.

გასინჯა ამირანმა და ნახა, რომ მამა ამირანი ილღიებს ქვემოთ მიწაშია ჩაფლული და რკინის ჯაჭვითაა დაბმული და, რაც ყველაზე საინტერესოა, „სიკვდილითო ვერ მოუკლავს ღვეს. წინასწარ გაუთხრია ორმო და ჭიდაობის დროსო ამირანს ორმოში ჩაუცლა ფეხი“ (ონიანი, 1979:123). თუ ღრმად დავაკვირდებით დამოწმებულ ეპიზოდს, ძნელი არაა იმის დანახვა, რომ მამა ამირანი უკვდავია. ღვემაო სიკვდილით ვერ მოკლა. ე.ი. ამირანს, ღვთით ბოძებული ხმლის გარდა, ვერანაირი იარაღი ვერ კლავს თვით მისსავე საუფლოშიც, კლდოვანში, ანუ ღვთაებათა საბრძანისში. როცა ასე საგანგებოდ ვამბობთ კლდოვანს, ვგულისხმობთ, რომ იგი თვით ალპურთან შედარებითაც უფრო ალმატებული საუფლოა.

საინტერესო ვარიანტია დაბეჭდილი სვანური ენის ქრესტომათიაში. საყურადღებოა, რომ ამირანის სვანურ ვარიანტებში ძალზე იშვიათია მონადირე სულ-კალმახის ხსენება. ამ ჩანაწერში დარეჯანის მეუღლეა, მონადირე, რომელმაც ნადირობისას ღამე კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში გაათია, ზედა გამოქვაბულიდან კი რაღაც კივილი მოესმა. სულ-კალმახმა მიაღწია გამოქვაბულამდე. „აქ ერთი დალი მშობიარობს. დალმა სულ-კალმახს უთხრა: „გაჭრასო მუცელზე, და ჩვილი ამოიყვანოსო.თუ ვაჟი იყოს, ამირანი დაარქვასო!“

„სულ-კალმახმა დალს მუცელი გაუჭრა, ბავშვი ამოარიდა, სახელად ამირანი უწოდა, ბავშვი შინ მოიყვანა და ქრისტე ღმერთს მონათვლინა“ (შანიძე, 1978:213).

ჩანაწერიდან არ ჩანს, თუ ვინ არის დალის ქმარი, მხოლოდ იმაზეა მინიშნება, რომ დალი მშობიარობს. ტექსტიდან აშკარაა, რომ სულ-კალმახი დალის შვილის გადამრჩენია. ამ ვარიანტშიც ამირანი იზრდება სულ-კალმახის ოჯახში და არა იამანის. ეს კი იშვითი შემთხვევაა.

განხილული ლაშხურის ვარიანტების ტიპის ჩანაწერები დასტურდება როგორც ზემო და ქვემო სვანეთის რეგიონებში, ისევე დალ-სვანეთის მხარეშიც. ერთ-ერთი ასეთთაგანია „ამირუ, მთქმელი აკაკი გულბანი, სოფ. ომარაშალა. მასში აღწერილია, რომ ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს ცალთვალა მჭედელი მონადირე ჯამანი, ჰყავს ორი ვაჟიშვილი, ბადრი და უსუბი. ერთ დღეს, ნადირობიდან დაბრუნებულმა ჯამანმა ნახა, რომ მთელი სოფელი იყო შეყრილი და თავიანთ გასაჭირზე საუბრობდნენ, ჩაიოდნენ: „წელიწადი ერთია და ჩვენი უბედურება კი უამრავი, რომ მთელი წლის განმავლობაში ვერ იგებს ვერც ღორი, ვერც თხა და ვერც ქალები აჩენენ შვილებს“. მთელმა სოფელმა საშველად მჭედელ დარჯელანს უხმო. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა ის, რომ სოფელმა საშველად უხმო არა მონადირე მჭედელ ჯამანს (რომელიც მჭედელიცაა და მონადირეც), არამედ მჭედელ დარჯელანს, რომელიც მხოლოდ მჭედელია. ვიშორებთ, ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამირანის წარმომავლობის სწორად გააზრებისათვის. გადმოცემულია, რომ მჭედელმა დარჯელანმა შეძლო კლდეზე ასვლა და გამოქვაბულს მიაღწა. მთქმელის შენიშნით: „აქ, დიდება მის სახელს, დაბრძანებულია დალი“. შეხვედრა ძალიან საინტერესოა, დალი აქეთ ეკითხება დარჯელანს: „რატომ მოხვედი, რა გაგჭირვებია? რა და უნდა გავიგო სოფლის გასაჭირის მიზეზი. დალმა უთხრა: „ჩემთან მოდის დევი, „ჩამიწვინეო“, მამალებს, მე ამას არ ვკადრულობ, დევი მაინც დაჟინებით მთხოვს, მე სამჯერ ზედიზედ ვკივი და დევს უფსკრულში ვავდებ. სწორედ ჩემი კივილის გამოა თქვენი გასაჭირი“. გაგრძელება აქაც ტრადიციულია. დალი და მჭედელი დარჯელანი ერთად დაწვნენ. გათენებადღე ცოლმა, ეშმაკმა, სვანურად „გუეუფ“, დალს თმები შეაჭრა. მომაკვდავმა დალმა უთხრა დარჯელანს: „გამჭერი მე ცოცხლად შუაზე – მეყოლება ვაჟი, რომელიც მხოლოდ ექვსი თვისაა. ჩემ შვილს, რომ ჩემსავე მუცელში გასრულებოდა ცხრა თვე, ქვეყნის მოძრევი იქნებოდა,

ბავშვი მოზვერის ტყავში გაახვიე და დადევნი მონადირე ჯამანის წყაროზე“. ღიღი ყოყმანის შემდეგ დარჯულანმა დაღს მუცელი გაუჭრა და „ამოიღო ანგელოზის სახის ყმაწვილი“.

დამოწმებული ვარიანტის სიუჟეტურ აღნაგობა და მხატვრულ სახეთა სისტემა ცალკეა გამოსაკვლევი. ამჯერად მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ჩანაწერი ერთ-ერთი ურთულესთაგანია ამ ტიპის ვარიანტთა შორის. მასში ბევრი ეპიზოდია საინტერესო, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ცხადი ისაა, რომ დაღის კვილის მიზეზი ქმრის დაკარგვაა, მაგრამ სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით არაფერია ნათქვამი დაკარგულ ქმარზე, ვინ იყო, სად წავიდა, რა დაემართა? მთქმელი არაფერს გვეუბნება. მხოლოდ ის ვიცით, რომ დაღი დაკარგული ქმრისგანაა ფეხმძიმედ, ექვსი თვის ფეხმძიმე. რასაკვირველია, მჭედელი თუ ჩვეულებრივი მონადირე დაღის შვილის მამად გამორიცხულია. შესავალი ნაწილი იმ მხრივაც განსაკუთრებით საინტერესო, რომ დაღი მჭედელი დარჯულანისათვის განსაკუთრებულად საკრძალავია. გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა მიაღწია გამოქვაბულამდე: „აქ, დიდება მის სახლს, დაბრძანებულია დაღი“. ცხადია, ამგვარი სიტყვები მხოლოდ ღვთიურ არსებაზე ითქმის და კიდევ, რაც მკვეთრად განახავს ამირანის ღვთიურ ჩამომავლობას, დარჯულანმა დაღის მუცლიდან „ამოიღო ანგელოზის სახის ყმაწვილი“...

როგორც ვხედავთ, განხილულ ვარიანტშიც მჭედელი დარჯულანი დაღის შვილის მხოლოდ გადამრჩენია. ე.ი. ფაქტები იზრდება.

დამოწმებული ვარიანტების ტიპისაა მესტიის რაიონის სოფ. ლენჯერში ჩაწერილი ტექსტი „ამირან“. მთქმელი სადიმან ფუთას ასული გურჩიან-ფალიანი. შესავალი ნაწილი აქაც ტრადიციულია, ოღონდ მჭედლის თუ მონადირის მაგიერ ვიღაც სამილანია. მთქმელი არაფერს გვეუბნება მასზე, ვინაა, რას წარმოადგენს, რა საქმიანობას ეწევა, ესეც ბუნდოვანებითაა მოსილი. მხოლოდ ისაა ნაუწყები, რომ არის ვიღაც სამილანი, რომელიც ერთ დღეს წავიდა რომელიღაც სოფელში, და ნახა, რომ ცალი მხარე ყველას გაქვავებული აქვს. როცა მიზეზი იკითხა, სოფლის მცხოვრებლებმა უპასუხეს, რომ „ჩვენს ზემოთ კლდეში ისე კივის რაღაც, რომ ამ სოფელში ყველას ასე გვემართება“. სამილანმა სოფელს მოსთხოვა საჭირო „ნივთები, იარაღები

და მე გავიგებ ყველაფერსო“. ხალხმაო, შენიშნავს მთქმელი: „ყველა-
ფერი საჭირო ნივთები გაუმზადა“, „სამილანი მიადგა კლდეს და ერ-
თი ლურსმანი კლდის ძირში ჩაარჭო, მეორე შუაში, ხოლო მესამე
კლდის წვერზე“. სამილანის ასეთი ქმედება მნიშვნელოვნად თავისე-
ბურია. ჩვენ განხილული ვარიანტებიდან ვიცით, რომ გმირი, მჭედე-
ლი იქნება თუ მონადირე, საგანგებოდ ემზადება, სატეხები მიაქვს
უამრავი და ნელ—ნელა, საფეხურობით, ადის კლდეზე, მკითხველი-
სათვის სირთულეები გასაგებია. კონკრეტულ შემთხვევაში კი დაუ-
ჯერებელსა და არაჩვეულებრივთან გვაქვს საქმე. სამილანი სამი
ლურსმნის მიჭედებით ადის კლდეზე და შედის გამოქვაბულში. ჩანა-
წერის ამ ეპიზოდში ზღაპრული მოტივია ჩართული. აღწერილია, თუ
როგორ აიძულა სამილანმა დალი, რომ ცოლქმრულ კავშირზე და-
თანხმებულიყო. სიუჟეტი ძალზე საინტერესოდ ვითარდება. სამილა-
ნი იმ საღამოს დალთან დარჩა გამოქვაბულში. მეორე დღიას, როცა
სოფელში ბრუნდებოდა, დალმა დაარიგა, რომ: „შენ მიერ მიჭედებუ-
ლი ლურსმნები გამოაძრე, რადგან ჩემი და „მესტავი“ (კუდიანის
მნიშვნელობითაა იგი ტექსტში) რომელიც ზღვაში ცხოვრობს, ამოვა
ჩემთან და ნაწნავებს შემაჭრის, მით უმეტეს, რომ გაიგებს, მე შენთან
ვიცხოვრე“. სამილანს ლურსმნების გამოძრობა დაავიწყდა. „დალის
დამ ნაწნავები მოჭრა და წაიღო“, მთქმელის შენიშვნით, „დალს მოს-
წყინდა ასეთი სიცოცხლე და თავს იკლავს“. ფრაზა ძალზე საინტე-
რესოა. ჩვენ დალის ციკლის მასალებიდან ვიცით, რომ მონადირის
ცოლი, რომელიც დალს თმას მოსჭრის, იმას ნიშნავს, რომ დალი უნ-
და მოკვდეს. აქ არანაირი გამონაკლისი არ არსებობს. კონკრეტულ
შემთხვევაში დალი კი არ კვდება, უბრალოდ მას მოსწყინდა ამნაირი
სიცოცხლე. ასე რომ, სიუჟეტი საკმარისად ორიგინალურია. ფაქტია,
რომ სამილანი მხოლოდ ერთი ღამე იყო დალთან. იგი ძალიან მალე
უბრუნდება სოფელს. აქ ბევრი რამ არის სავარუდო. ოღონდ ეჭვს არ
იწვევს, რომ დალი დაკარგული ქმრის გამო კივის. მართალია, დია-
ლოგში ეს პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება, რომ იგი განხი-
ლული ვარიანტების ტიპის ჩანაწერია. წარმოდგენილი სიუჟეტი
ძალზე რთულია. დამოწმებულ ეპიზოდში განსაკუთრებით ისაა საინ-
ტერესო, რომ კლდის ბინადარი დალის და ზღვაში მაცხოვრებელია,
მას ჰქვია „მესტავი“ — „ბოროტი ძალა, რომელიც წინასწარ

გრძნობს კლდეში მცხოვრები დალის ყველა მოქმედებას. ვიცით, რომ დალი ბევრია, მაგრამ ყველა კლდის ბინადარია, კონკრეტულ შემთხვევაში კი დალის „მესტავი“ და იშვიათი გამონაკლისია, უფრო ზუსტად მოულოდნელობა. დავსძენთ, რომ მესტავის ეპიზოდი სიუჟეტში იმდენად გაუგებარია და ალოგიკური, რომ თვით ვარაუდის დონეზეც გაჭირდებოდა რაიმეს თქმა (ჩვენ ვიცით, რომ დალს თმებს, ჭრის მონადირის ან მჭედლის ცოლი და არა სხვა ვინმე) ფაქტი ერთია, რომ იგი ზღვის ბინადარია, ამკარად ნეგატიური ძალა. მოულოდნელობაა დალის თვითმკვლელობაც. ესეც ახალი ელემენტი ამირანის დღემდე ცნობილ ვარიანტებში და საერთოდ დალის ციკლის მასალებში. ასე რომ, დამოწმებული სიუჟეტი ბევრ ახალ საკითხს აღძრავს (თსუფ. 8300-1972).

ირკვევა, რომ დამოწმებული ვარიანტის ტიპის სიუჟეტები ფართოდაა გავრცელებული სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ერთი რეგიონი არ წარმოადგენს. ამ აზრით საყურადღებოა ერთერთი ჩანაწერი ალი დავითიანის კოლექციიდან, „ამირანი“ იგი ჩაწერილია მესტიის რაიონის სოფ. კიჩხულდაში. მასში მოთხრობილია, რომ ამქვეყნად არის ღმერთების მჭედელი დალ—დარეჯან იგი „მისულა ერთ სოფელში და ყველაფერი შავი ყოფილა, მიწა—ხე“, როცა უკითხავს, რა ამბავია, „რატომ ხართ ასეთი ფერისო, „იმათ უპასუხიათ“, აქ არ გაჩერდე, თორემ შენც ასე მოგივაო“. ღმერთების მჭედელი მაინც დარჩა სოფელში და შუალამისას ძლიერი კივილი მოისმა კლდიდან. დალ—დარეჯანმა გამოჭედა ურო და სოლები. „შეუბერა ამათ და ცამდე ააგდო მაღლა და ჩამობრუნებულს შუბლი შეუშვირა, პირი დაეჩლუნვათ ამაზე“. ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ „ნემსები გამოჭედა, ამათაც შეუბერა და ისევ ცამდე ააგდო, ჩამობრუნებისას ისევ შუბლი შეუშვირა და დაერჭვნენ ზედ“. ამონაწერი ვრცელია, მაგრამ მისი ამგვარად დამოწმებაც აუცილებელია. ჯერ ერთი, საკმარისად უჩვეულო ტექსტია. ამირანის ვარიანტთა შორის პირველი შემთხვევაა, რომ დალ—დარეჯანი, რომელიც ხშირად გვხვდება ჩანაწერებში, ღვთაებრივ მჭედლად არის წოდებული. მისი ქმედებებიც მნიშვნელოვანი სიახლეა. შებერვით ცამდე აგდებულ რკინის სოლებს და ნემსებს შუბლს უშვერს. მივაქციოთ ყურადღება, რომ სოლები მის შუბლზე დაბლაგვდნენ. ცხადია ამგვარ ღვთიურ

მჭედელს ვერ განვიხილავთ ამირანიანის ტრადიციული მჭედლების დარად. თანაც ეპიზოდი იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ დალის საბრძანისამდე ასვლის სირთულეები. ისევ მივაქციოთ ყურადღება ფრაზას: „ახლა დაიწყო თხრა ამ კლდეზე, თხრის და აღის ზევით და ზევით“. ვგრძნობთ, რომ თვით ღვთაებრივი მჭედლისთვისაც რაოდენ მძიმეა დალის გამოქვაბულამდე ასვლა. როცა მთქმელი ამბობს ღვთაებრივ მჭედელსა და დალს შეუყვარდათ ერთმანეთი, დაცოლქმარდნენ, რასაკვირველია, აქ იგულისხმება ცოლქმრული კავშირი და არა ის, რომ თვით ღვთაებრივი მჭედელი წარმოვიდგინოთ დალის ქმრად. როგორც ძეგლის შინაარსიდან ვიგებთ, დალის ნამდვილი ქმარი გელათის ეკლესიაში ასვენია და დევი აბინძურებს. ასე რომ, ღვთაებრივი მჭედლის კავშირი დალთან დროებითია, ისე როგორც სხვა ჩანაწერების შემთხვევაში. შესავალ ნაწილში დალის კივილის უმთავრესი მიზეზი ქმრის დაკარგვაა, მეორე ის, რომ მას მამის სული, ორეული, მტრობს, რომელმაც დალ-დარჯელანის გაუფრთხილებლობის გამო შეძლო, შვილისთვის თმა ამოეძრო, რის გამოც დალი კვდება.

თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველგან, სადაც კი დალის კივილით ხალხია შეწუხებული, საქმე გვაქვს ქმარდაკარგულ დალთან. ამ შემთხვევაში დაზუსტებაა საჭირო. ცალკეულ ტექსტებში ეს ეპიზოდი შესუსტებულია, იგი უშუალოდ დალის მიერ კი არაა გაცხადებული, მაგრამ იგულისხმება. ქმარი ან დაკარგულია, ან დაღუპული, ყველა შემთხვევაში მონადირე დალის შვილის გადამრჩენია და არა მამა. მამა კი დალთა სულიერი საუფლოს წარმომადგენელია. ამირანის კიდევ ერთი ჩანაწერია საინტერესო; „ამირანის ზღაპარი“, ამ ვარიანტში მჭედელია ბაბა ბერჯანი. „წავიდა ერთ სოფელში და ცალი თვალი გაფუჭებული აქვს ყველას“... მეორე სოფელში „ერთი მხარე ყველას გამხმარი აქვს“... მესამე სოფელში კი „თითო თვალიც გაფუჭებული აქვთ და ერთი მხარე გამხმარი. მიზეზი სამივე შემთხვევაში დალის კივილია. ბაბა ბერჯანმა სამივე სოფლიდან თორმეტი ურები რკინა მოაგროვა. მიუხედავად ამისა, კლდეზე ასვლისას მჭედელს „ზედა თავში სამი ლურსმანი დააკლდა ჩამოვიდა და აიტანა. შევიდა გამოქვაბულში. დალს გაუკვირდა ბერჯანის მისვლა. — შე მოვედი საკითხავად, სამი სოფლის გამოგზავნილი, და უამბო, რა

სჭირთ მათ“. ქალიშვილი ეუბნება ბაბა ბერჯანს. „მე კარგი ქმარი მყავდა და იმას ეტანება დევიო. როცა დევი იმის ამოთხრას შეუდგება, მაშინ მე კივილს ვიწყებ და დევი თავს ანებებს და სოფელს კი ასე ემართება“. ბაბა ბერჯანი კლავს დევს. ბერჯანი და დალი ერთად დაწვნენ. მჭედლის ცოლმა დაღს თმები შეაჭრა. დილით მომაკვდავმა დაღმა უთხრა ბერჯანს, გამჭერი მუცელზე და ბავშვი ამომარიდე. ბერჯანმა უარი უთხრა. დაღმა თვითონ გაიჭრა მუცელი... დავაჟაკცებულმა ამირანმა მოძებნა მამამისი, რომელიც გელათის ეკლესიაში დევს ჰყავდა დაბმული. ცხადია, ტექსტში წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. როცა დალი ამბობს, რომ დევი ეტანება ქმრის საფლავს, უნდა რომ ამოთხაროს, ხოლო ჭაბუკი ამირანი როცა პირს იბანდა, „კურდღელმა გაურბინა ბარკლებსშუა. ამირანი დაედევნა, „კურდღელი სარკმელში გაიქცა, ვაი ჩემი ცოდვა, შენ საფეთქლებს ხელი რომ ვერ მოკვიდეო... – იმის ნაცვლად შენი მამა სამსლანი გელათის ეკლესიაში ბოძზე დევს უბია, იმას დაეძიეო, კარგი ამირანი თუ ხარ“. შეიძლება ეს წინააღმდეგობა იმით აიხსნეს, რომ დამოწმებულ ტექსტს სხვალსზეა მთქმელი ჰყავს გამგრძელებლად, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ დალი ქმარდაკარგულია და ამიტომ კივის, ხოლო ბაბა ბერჯანი კი დაღის შვილის გადამრჩენია და არა მამა. როგორც ვხედავთ, ფაქტები კიდევ და კიდევ იზრდება. ცხადი ხდება, რომ ამირანი არაა მოკვდავი მონადირის შვილი. მისი მამაც ღვთიური საუფლოს წარმომადგენელია.

ამირანის ჩამომავლობაზე კიდევ ერთი ვარიანტია განსაკუთრებით საინტერესო. „ამირან“. იგი დღემდე ცნობილ ჩანაწერთა შორის ყველაზე ორიგინალურია, ამიტომ პრობლემის სიცხადისა და სიმკვეთრისათვის შესავალ ნაწილზე ვრცლად შევჩერდებით. მასში აღწერილია, რომ „დალი დარეჯანის ეზოში სინაფი ვაშლი დგას. ამ ვაშლზე ავიდა გველი, მოკრიფა და ჭამა. მოახლე გოგო უწყრება! არ მოკრიფო, თუ არა დიდ ღმერთს სწყინსო. გველმა ვაშლი გოგოსაც ჩამოუგდო: „ჭამე, როგორი გემოსი იყოსო“. ორი სინაფი ჩამოუგდო. ამ გოგომ ვაშლები დაღ—დარეჯანს აჭამა. ამ დროს მოვიდა დიდი ღმერთი. დიდება მიუვიდა და გველი რომ ხეზეა ასული, იმას შეხედა, ჩამოდიო, ვინ მოგცა ამაზე ასულის უფლება, არა და როგორი გემოს

გერვენა სინაფი, ან კიდევ შენს გარდა ჭამა ვინმემო? გოგოს ჩამოვუგდე მე!

„ახლა გოგოს შეეკითხა დიდი ღმერთი. ვინ შეჭამა სინაფი? დალ-დარეჯანს მივუტანე და იმან შეჭამაო. მე ვუწყებოდი გველს, მაგრამ და ზედ ავიდა... მუცლით ნახეხს მიწაზე ტოვებდე და მუცლითლა დახობავდეო“, მიაწყველა დიდმა ღმერთმა.

წავიდა დიდი ღმერთი, დიდება მიუვიდა და ესენი დატოვა აქ. გველს იმის შემდეგ ფეხები მოაკლდა და მუცლითლა ხობვა შერჩა. დალ-დარეჯანმა იშობიარა და ვაჟი შეეძინა. დაბადებიდანვე ეწერა ქრისტეს ნათლული იამანის გასაზრდელი დასარქმევი ამირანი. (ალი დავითიანის კოლექცია)

ძალზე საინტერესოა, რომ ამ ვარიანტში მეორდება ადამის ცოდვით დაცემა. დალ-დარეჯანმა აკრძალული ნაყოფი შეჭამა. მაცთუნებელი კი გველია. დღემდე ცნობილი ვარიანტებიდან იგი ერთადერთი ჩანაწერია, სადაც ამირანი ცთუნებულის შვილია...

უნდა დავსძინოთ, რომ ალი დავითიანის მიერ ჩაწერილი და თარგმნილი ვარიანტები ძალზე ორიგინალურია. თითოეული ჩანაწერი დამოუკიდებელი თავისთავადობაა. ასეთია განსახილველი ვარიანტი „ამირანი“. მასში მოთხრობილია, რომ ერთი სოფელი „ყოველ კვირაში სხვადასხვა ფერისაა: შავი, წითელი, და ყვითელი“. ამ სოფელში გამოჩნდა მჭედელი და იკითხა: „რატომ ხართ ასე სხვა ფერის“.

„რატომო და ჩვენს ზემოთ კლდეში რაღაცა კივის, ის როცა კივის, სოფელიც ფერს იცვლისო“. ამ ტექსტით კიდევ უფრო გართულებულადაა წარმოჩენილი, თუ რაოდენ ძნელია დალის სამყოფ-სადგომამდე ასვლა. მთქმელი შენიშნავს, რომ მჭედელმა ვეება ლურსმანი გამოჭედა“, ე.ი. წარმოუდგენლად ბევრი. „ადიოდა კლდეზე, ააღწია ათი წლის შემდეგ“. გადმოცემულია, რომ დალს კლდეში ეძინა და მჭედელი მიუწვა. ქალღმერთმა გამოიღვიძა და გაუკვირდა. შენ რა გინდა ჩემთან? ცოტა ხნის შემდეგ დანა მისცა: „შე ქაჯო, გამჭერი და მუცლიდან გამოიყვანო ვაჟს. ამ ვაჟს თხის ტყავი გამოახვიეო. სამ გზასაყარში დადევო, სახელად ამირანი დაარქეო. მომრევი მისი ნურავინ იყოსო და მომნათველელი ნოე იყოსო“ (დავითიანის კოლექცია). საყურადღებოა, რომ ამ ჩანაწერში მამაღმერთის, ქრისტეს და

სხვათა, მაგიერ ნათლია ნოეა. ეს კი ახალი პერსონაჟია ამირანის დღემდე ცნობილ ვარიანტებში.

როგორც ვხედავთ, დამოწმებული ეპიზოდი მნიშვნელოვნად თავისებურია. ტრადიციული ვერსიების მიხედვით, დედის საშოდან ამორიდებულ ამირანს კუროს ტყავში, ფაშეში და სხვა ჩასვავენ, ამ ჩანაწერით კი თხის ტყავშია გამოხვეული. ესეც ერთგვარი სიახლეა. ასეთივეა სოფლის ფერისცვალება დალის კივილის გამო. ტექსტში ვკითხულობთ, რომ, როცა მჭედელმა ათი წლის შემდეგ მიაღწია დალის გამოქვაბულამდე, დალს ეძინა და მჭედელი მიუწვა. ოღონდ აქ ინტიმური ურთიერთობა უნდა გამოვრიცხოთ, დალმა უცებ გამოიღვიძა. გაუკვირდა მჭედლის იქ ყოფნა და ყოველგვარი დიალოგის, ინტიმურ ურთიერთობაზე საუბრისა თუ რაიმე პირობების გარეშე, როგორც ეს ტრადიციულ ვარიანტებში გვაქვს, პირდაპირ ეუბნება მჭედელს: გამჭერიო მუცელზე, „გამოიყვანო ვაჟს“. ამ ეპიზოდში საინტერესო ისაა, რომ დალმა თითქოს წინასწარ დააბუღა თავად თავის შვილს, რომ „მომრევი მისი ნურავინ იყოს“, მომნათელელი კი ნოე. სხვა ვარიანტებში მომაკვდავი დალი იმას ამბობს, რომ „ჩემ შვილს, რომ ზრდა ჩემ მუცელში დასცლოდა, მისი მომრევი არავინ იქნებოდა ქვეყანაზე, ახლა კი ცოტა ნაკლები იქნება“. კონკრეტულ შემთხვევაში აქცენტი მომავალზეა გაკეთებული: „მომრევი არავინ იყოს“. ნაწარმოებიდან არ ჩანს უშუალო მიზეზი, თუ რატომ ეუბნება დალი მჭედელს „გამჭერი მუცელზე“. აქ თვითმკვლელობასთან გვაქვს საქმე. ჩანაწერი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ დალისთვის თმები არავის შეუჭრია. საერთოდ კი, ცოლი გაყვება ქმრის კვალს და მძინარე დალს თმებს შეაჭრის. დილით გამოღვიძებული დალი კვდება. კონკრეტულ შემთხვევაში მჭედლის ცოლის, თუნდაც გრძნეულის, ასვლა დალის გამოქვაბულში გამორიცხულია. მჭედელი ათი წელიწადი აღიოდა კლდეზე, თუმცა ისიც საინტერესოა, რომ წინამდებარე ტექსტიდან არაფერი ვიცით მჭედლის ცოლზე. ამ მხრივაც სხვაობს იგი ტრადიციულ ვარიანტებისაგან. დამაფიქრებელია, რომ დალი არაფერს გვეუბნება დაკარგულ ქმარზე, მაგრამ იგულისხმება, რომ იგიც მისივე საუფლოს წარმომადგენელია, იმ საუფლოსი, სანამდეც მოკვდავი მხოლოდლ ათი წლის შემდეგ აღწევს. ეს კიდევ იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ დალი მოკვდავთან შვილს არ აჩენს. მნიშ-

ენელოგან საიდუმლოებად რჩება დალის თვითმკვლევლობის მიზეზიც. საერთოდ, წარმოდგენილი ვარიანტი ზემოთ მოტანილი ჩანაწერების ტიპისაა...

ალი დავითიანის ჩაწერილი ვარიანტებიდან ბოლო მეხუთე ტექსტი მხოლოდ იმ მხრივაა საინტერესო, რომ ამირანი არავის შვილი არ არის. შესავლიდან ვიგებთ, რომ ერთ „ცოლ-ქმარს ჰყოლია ვიბრი და ბადრი, მათი შვილები (მთქმელის მეტყველება აქაც დაცულია ზუსტად) ახლა გზაზე მიდიან ესენი, ცოლ-ქმარი და სამგასაყარ გზაზე ბავშვი იპოვეს. ახლა შემოიყვანეს სახლში და მტკაველს დღისით იზრდება და წყრთას ღამით“ (ალი დავითიანის კოლექციიდან). ამირანის ნათლია ამ ტექსტში ქრისტე ღმერთია. ტექსტი ფრაგმენტული ხასიათისაა, კერძოდ, ამირანის თავგადასავალი ძალიან სქემატურადაა გადმოცემული...

ძალზე საინტერესო ვარიანტი აღმოჩნდა მესტიის რაიონის სოფ. ცხუმარში, მთქმელი მარიამ ქალდანი, ჩამწერი სოფიო ფალიანი, შესავალი ამირანის ჩამომავლობის გადმოცემით იწყება: „ამირანი დალისა და ღვთის შვილი ყოფილა“. იგიო, შენიშნავს მთქმელი, „ღიღი ფიზიკური ძალის ღმერთკაცი იყო“. ტექსტში საუბარია, თუ როგორ ექომაგება ამირანი ხალხს. შინაარსზე დაკვირვება ააშკარავებს, რომ საქმე გვაქვს მთქმელის ინდივიდუალურ ინციატივასთან. ამირანმა „მამას ცეცხლი მოპარა, რათა ხალხისათვის ცხოვრება გაეადვილებინა“ (ხელნაწერი, 1999). მიგვაჩნია, რომ ამ ეპიზოდში მთქმელის დამოუკიდებელ ფანტაზიასთან გვაქვს საქმე. ამირანს რომ ცეცხლი მოეპაროს მამისთვის, დღემდე ცნობილ ვარიანტებში არ დასტურდება (ვგულისხმობთ სვანურს). ასე რომ, დამოწმებული ფრაზა, ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ სიუჟეტის ორგანული ნაწილი იყოს. ტექსტი დამოუკიდებლად საინტერესოა, ძალზე ორიგინალურიც, რაც მთავარია, მასშიც მამაღმერთი უმთავრესი პერსონაჟია.

ამირანის ჩამომავლობის გასარკვევად საყურადღებოა სვანური პროზაული ტექსტების პირველ ტომში დაბეჭდილი ვარიანტები. ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში არავის განუხილავს. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია „დალ დარჯელანი“ (შანიძე, 1939:88). მართალია, ამ ჩანაწერის მიხედვით, ამირანი დარჯელანის შვილადაა წოდებული, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით შესავალ ნაწილს, აღმოჩნდება,

რომ აქაც იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც თავისუფალი სვანის მიერ ჩაწერილ ვარიანტში იყო. ერთი რამ არის განსაკუთრებით საყურადღებო: ზემოთ განხილულ ყველა სვანურის ვარიანტში დალის კვილის მიზეზი ქმრის დაკარგვაა, დალის სიტყვებია, რომ ქმარი სანადიროდ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ვიმეორებთ, ჩანაწერთა აბსოლუტურად უმეტეს ნაწილში ეს დალის პირითაა გაცხადებული. ე.ი. ქალღმერთი ქმარდაკარგულია და ფეხმძიმედაც მისგან არის. ჩანაწერთა ერთ ნაწილში ეს ეპიზოდი შესუსტებულია, ოდნავ ბუნდოვანიც, მხოლოდ ოდნავ, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ ამირანის მამა დალის საუფლოს წარმომადგენელია, ვარიანტთა უმეტეს ნაწილში დასახელებულია, რომ ამირანის მამა ამირანია, ნაწილში კი მხოლოდ ქმრის დაკარგვაზეა საუბარი, მაგრამ ეფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევაში მამის სახელს კი არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ ამირანის მამა ღვთიური საბრძანისის ბინადარია და არა მოკვდავის შვილი. ესაა უმთავრესი დასანახავი წარმოდგენილ ვარიანტებში. ამ მხრივ კი სრულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. ასე რომ, მჭედელიც და მონადირეც დალის შვილის გადამრჩენია. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქალღმერთმა დალმა წინასწარ იცის, თუ როგორი იქნება მისი ვაჟი. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეპყრათ ისეთ ვარიანტებს, სადაც ცალკეულ მთქმელთა რეპერტუარში ვაჟის მამობა ბავშვის გადამრჩენ მონადირეს ან მჭედელს მიეწერება, ვინაიდან ყველა ვარიანტში, მცირედი გამონაკლისის გარდა, დალთან მოხვედრილი მჭედელი ინტიმურ ურთიერთობაში შედის ქალღმერთთან. სწორედ ეს აქტი აღმოჩნდა დამაბნეველი, გაუგებრობის მიზეზი, საბოლოოდ, ყველა ერთ აზრამდე მიდის, რომ შვილის მამა მონადირეა. აშკარაა, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული ტექსტობრივი კვლევა წინასწარ შემუშავებული აზრებით წარიმართა და ისედაც რთული საკითხი კიდევ უფრო დაიხლართა და ბუნდოვანი გახდა. ფაქტების საგულდაგულოდ შემოწმება სულ სხვა რამეს გვეუბნება... ამაზე ნაწილობრივ გვქონდა საუბარი, მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ დამოუკიდებლად დალის ციკლის მასალებში მოკვდავთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი კლდის ღედოფალი შვილს არ აჩენს. ის შეხვედრა, როგორც ამას სათანადო მასალების განხილვისას ვნახავთ, სულ სხვაგვარია. და-

ლისათვის მოკვდავი ყოველთვის სატრფოა და არა ქმარი. ეს ურთი-
 ერთობა შეიძლება ხანგრძლივიც იყოს, ცალკეულ შემთხვევაში მონა-
 დირის სიკვდილამდეც გაგრძელდეს, მხოლოდ ურთიერთობა, მეტი
 არაფერი, მაგრამ, როცა დალი კივის, აუცილებლად მიზეზია საპოვ-
 ნელი. მისი გამწარებული კივილი ქმრის დაკარგვაა და არა სატრფო.
 სულ სხვა, ალბათ, დიდი იღუმალებათ, ამ დროს მის საბრძანისში
 მოხვედრილ მოკვდავთან დამოკიდებულება. ეს ძალზე რთული პრობ-
 ლემაა, ფაქტია, რომ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ დალს ადამიანი
 უწევს დახმარებას. კონკრეტულ შემთხვევაში მონადირის თუ მჭედ-
 ლის ურთიერთობა დალთან ახლებურად უნდა დაისვას. იგი ჯერჯე-
 რობით არაა გაცნობიერებული. შეიძლება ითქვას, გაუხსნელი საი-
 დუმლოებაა. რასაკვირველია, მასზე პასუხი დალის ციკლის მასა-
 ლებმა უნდა მოგვცეს. იქ მეტი მრავალფეროვნებაა, ზოლო, რაც შეე-
 ხება უშუალო დახმარებას ადამიანისაგან, ასეთ პოეტურ ტექსტებში
 მხოლოდ ერთია, „დალი კოჯას ხელღვაჟაღე“ – „დალი კლდეზე
 მშობიარობს. ასე რომ, როცა დალი კივის, მიზეზი ქმრის დაკარგვას-
 თან ერთად ნაადრევი მშობიარობაც არის. აღარ გავიძეორებთ დალის
 სიტყვებს მონადირისა თუ მჭედლისადმი. სწორედ აქ იჩენს თავს
 ქალღმერთისადმი მოკვდავის დახმარება, ესაა უმთავრესი ზემოთ მო-
 ტანილ ეპიზოდებში. ამდენად, ყოველად გამორიცხულია მონადირე თუ
 მჭედელი იყოს დალის შვილის მამა და, თუ არის, აშკარად მთქმელის
 დანაშაუტია და იგი არაა ძნელი დასანახავი. ზუსტად ასეთ მდგომარეო-
 ბასთან გვაქვს საქმე ზემოთ დასახელებულ ვარიანტშიც „დალი დარ-
 ჯელანი“. შესავალი აქაც ტრადიციულია, დალ დარჯელანს კლდი-
 დან ისეთი კივილი ესმის, რომ ქალი შვილს ვერ ბადებს, მუცელი
 სწყდება, ასე ემართება საქონელს: თხას, ცხვარს. გადმოცემულია,
 რომ მჭედელმა მიაღწია დალის გამოქვაბულამდე, ჩასიყვარულდნენ.
 ყურადღება მივაქციოთ დალის სიტყვებს: „–ეი, მჭედელო, ისე არ
 დაგვემართოს, რომ შენი ცოლი აქ ამოვიდესო და ნაწნავი შემაჭრას“.
 რასაკვირველია, დალი ამ სიტყვებს ეუბნება იმავე საღამოს, რაკილა
 გრძნობს საშიშროებას. საერთოდ დრო ამირანიანში ძალზე შეკუმშუ-
 ლია, კონკრეტულ შემთხვევაში მთქმელის სიტყვა „დააორსულა“ აშ-
 კარა დანაშაუტია, ვინაიდან იქვეა ტექსტში ასეთი გაგრძელება, პირდა-
 პირ თქმული, რომ „ეს ამოვიდა, ამის ცოლი, მოკვეთა ნაწნავები და

ადგა დილით“ (საუბარია დალის ადგომაზე), დაინახა, რომ თმა შეჭრილი აქვს. „მჭედელო დარჯელანო, ხომ გეუბნებოდი, რომ შენი ცოლი ამოვა, ნაწნავი მოუკვეთია ჩემთვის“. როგორც ვხედავთ, აბბავი დატრიალდა გათენებისას. ე.ი. მოქმედება ერთ დღე-ღამეში ხდება. ალბათ, წარმოუდგენელია, რომ დალი დარჯელანისაგან იყოს ფეხმბიძე. მოქმელის მონათხრობში საქმე გვაქვს აშკარა წინააღმდეგობასთან, შინაგან წინააღმდეგობასთან. ერთი ღამის ინტიმური ურთიერთობის შემდეგ შეუძლებელია დავიჯეროთ, თუნდაც დალის სიტყვები, გამჭერი, მუცელში ვაჟი მყავს, შენი შვილი. ტექსტში არცთუ ისე მცირედი შეუსაბამობაა, ძირითადად იგი მიჰყვება სვანურის ტრადიციულ ჩანაწერებს, რომ დალის კივილის უმთავრესი მიზეზი ქმრის დაკარგვა და ნაადრევი მშობიარობაა. ამიტომ ბუნებრივია მონადირისადმი მისი სიტყვები, რომ ჩვილი ჩასვან კუროს ან სხვათა, ფაშვში ან ტყავში ამდენი და ამდენი თვე. ასე რომ, ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობა ადვილად ასახსნელია თვით ჩანაწერის შინაარსიდან. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეხერხებოდეთ დალის სიტყვებს. მან წინასწარ იცის, თუ როგორი შვილი უნდა შვას, რომ იგი არ იქნება ჩვეულებრივი. სვანურ ჩანაწერებში, მართლაც ამირანი ღვთის შვილია და არა მოკვდავის. ეს რომ ასეა, აი, რას ვკითხულობთ ცოტა ქვემოთ: „დალ—დარეჯანმა დალს მუცელი გაუჭრა, ბავშვი ამოარიდა „და კუროს ტყავში შეახვია, სამგასაყარ გზაზე დასვა, აქეთკენ მოდიან: „ფუნაბუასლიშ“ — მეუფე სამყაროსი იგივე მამალმერთი „ჯგერაგი“ — წმ. გიორგი და მაცხოვარი „ჯგერაგი“ — წმ. გიორგი ეუბნება: „ბავშვის მოთქმა—კვნესა მესმის“, მაცხოვარი ეუბნება: „მეც მესმის, მაგრამ ჩვენ უფროსთან ვერ ვიტყვი“. ჩამოვიდნენ ესენი, წააწყდნენ ამას, დაინახეს, გასინჯეს ის და თქვეს: „ეს რაღაც ჩვენი განაყოფია, ჩვენიანი, ჩვენი მოდგმის“. (შანიძე, 1939:98) დავაკვირდეთ ბოლო ფრაზას; ვინ შეიძლება იყოს მამალმერთის, წმ. გიორგის, მაცხოვრის განაყოფი, მათი მოდგმის. აქ, ალბათ, ორნაირი აზრის დაშვება აღარ შეიძლება, დასახელებული არსებების მოდგმის, განაყოფი მხოლოდ ღვთის შვილია, კერძოდ დალისა და მისი საუფლოს წარმომადგენლის შვილი, ამირანი. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექსტებში, სადაც ქმარდაკარგული დალის კივილია, ყოველთვის

მოკვდავი მონადირე თუ მჭედელი შვილის მხოლოდ გადამრჩენია და არა მამა.

დამოწმებული ძეგლის ბ) ვარიანტიც ამ აზრითაა საინტერესო. აქაც მთელი სოფელია შეწუხებული დალის კივილის გამო. მთქმელის შენიშვნით, „თუ რამ მაკეა ცხენი, ფური და სხვა, მუცელი სწყდება. აქაც მჭედელი დარჯელანი დაინტერესდება ამბის გაგებითო, მოამზადებს სათანადო იარაღებს და აღწევს დალის გამოქვაბულამდე, ჩასიყვარულდნენო. ამ ვარიანტში დარჯელანისა და დალის ურთიერთობა ხანგრძლივია. შეეჭვიანებული ცოლი გაპყვა ქმრის ნაკვალევს და დალს თმები შეაჭრა. მრავალმხრივ საინტერესოა, რომ ყველა შემთხვევაში დალის შობიარობა ნაადრევია. ამ ვარიანტითაც ცხადი ხდება, რომ დალი დაკარგული ქმრის გამო კივის და ფეხმძიმედაც მისგან არის – საყურადღებოა ისიც, რომ მონადირე ან ნადირობა, ამ გზით დალთან შეხვედრა დასახელებულ ვარიანტებში არ დასტურდება (ამაზე ქვემოთ).

ძალზე საინტერესოა „ამირანიანის“ კიდევ ერთი გაზღაპრებული ვარიანტი „სამჯერ ცხრა ძმა“, სადაც ცხრა ძმა მღვდელია, ცხრა ძმა დიაკვანი, ცხრა ძმა ოსტატი, მათ ერთი და ჰყავთ.

ერთხელ შვილების დედა წყლის მოსატანად წავიდა, ღარიდან ვაშლი გადმოვარდა. ქალმა შეჭამა და დაორსულდა. ვაჟს ამირანი დაარქვა. დავაჟკაცებული ამირანი ძმებს ათავისუფლებს, ისინი კი ღალატობენ, მოახერხეს, რომ ამირანი ორმოში ჩაეგდოთ. იქიდან კი ღვთაებრივი ძალის ყურშა და რაში ათავისუფლებენ, თავად კი იღუპებიან. ამირანი შურს იძიებს ძმებზე... ერთ-ერთ ხე-მცენარეს ეკითხება: ჩაპობიანი თუ იციო, არაო, მეორე ხე-მცენარემ უთხრა: ვიციო, მაშინ ჩახკაფიანი, ანუ წაქცევიანი, თუ იციო. – ვიციო, ადგომიანი თუ იციო, ვიციო, ამირანმა უთხრა: აბა წაიქეცი და გაიპეო, ხე-მცენარე წაიქცა და თავისით გაიპო. ამირანმა ძმების თავები, ნაწილის კი ენა დაატანა გაპობილში და თქვა: ღმერთმა, ვისაც ჩემი ღალატი არ უნდოდა, ხვალ ცოცხალი დამახვედროს. მეორე დღეს კი მხოლოდ უფროსი და უმცროსი ძმა დახვდა ცოცხალი. დასასრული ამ ჩანაწერში ზღაპრისეულია. ამირანი და მისი ორი ძმა კარგად ცხოვრობდნენ (ონიანი, 1979:98-99).

მართალია, ვარიანტი თითქმის გაზღაპრებულია, მაგრამ ამირანის ღვთაებრიობა აქაც აშკარაა. მას მთელი გარემო ესაუბრება. ყურშა, რაში და ხე-მცენარეები ეხმარებიან გასაჭირიდან გამოსვლაში, თავსაც სწირავენ და სხვა.

მასალების გაზრდა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად მოტანილით დავეკმაყოფილდეთ. ისინი ერთხმად ადასტურებენ, რომ ამირანი მამას ზაზითაც ღვთიური ჩამომავლობისაა. ქალდანიისეულ, გურჩიანისეულსა და გულედანისეულ ვარიანტებში იგი ანგელოზის შვილადაა წოდებული. სხვა, ზემოთ განხილულ ჩანაწერებში კი, რომლებსაც ჩვენ ვარიანტთა მეორე წრეს უწოდებთ, ამირანი კლდეში შობილია. მათი თავისებურება, ტრადიციული ვარიანტებისაგან განსხვავებით, ისაა, რომ ამირანის მამა დალის ქმარია, მისივე საუფლოს მკვიდრი, ბინადარი და არა უცნობი მონადირე ადამიანთა საცხოვრისიდან, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული. ამასთანავე, ქმარდაკარგულ დალის დამხმარე ნაადრევ შშობიარობისას, არის არა მონადირე, არამედ მჭედელი, პროფესიით მჭედელი და არა მჭედელი და მონადირეც (ვიცი, რომ მჭედელი იმავდროულად შეიძლება მონადირეც იყოს, ოღონდ იგი სანადიროდ, როგორც წესი, გამოცდილ მონადირეს დაყვება). ეს კი ერთგვარად განსხვავებული ელემენტია ამირანის კვლევის ისტორიაში. ყველა შემთხვევაში მჭედელი, ძალზე იშვიათად მონადირეც, დალის შვილის გადამრჩენია და არა მამა. ე.ი. ვარიანტთა მეორე წრე გვიდასტურებს, რომ ამირანის შობის ადგილი კლდეა, გამოქვაბული, დალის საბრძანისი, რაც შეეხება მისი აღზრდის გარემოს, ადგილს, ოჯახს - ასეთი ადამიანთა საცხოვრისია.

მთა და ბამოქვასული ამირანში

საანალიზოდ წარმოდგენილ ვარიანტებში ძალზე საინტერესოა მთის სფეროთა ფუნქციები. იგი საგანგებოდ არავის გამოუკვლევია. ალბათ, იმ უმთავრესი მიზეზების გამო, რომ გამოქვეყნებულ ვარიანტებში მთა ძალზე მკრთალი მინიშნებებითაა წარმორჩენილი. ტექსტების კვლევა—ძიებამ დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ ოთხ-ხუთ ჩანაწერშია აღწერილი მონადირის შეხვედრა კლდეში ან ტყეში მცხოვრებ ქალთან, სხვა ვერსიები არაფერს გვეუბნებიან. საანალიზოდ წარმოდგენილი სვანური ვარიანტები ამ აზრითაც გამოირჩევიან. მათში ამირანის პერსონაჟთა მუდმივი სამოქმედო—სამოღვაწეო ასპარეზი მთაა, სწორედ აქაა ბრძოლა კეთილ და ბოროტ ძალებს შორის. ეს ბრძოლა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სამივე სკენელში მიმდინარეობს. თითოეულ სკენელს თავისი იდუმალება ახლავს. ქალღანისეულ, გურჩიანისეულსა და გულღანისეულ ვარიანტებში განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ ღმერთების მიერ ხარის ტყავში გამოხვეული ანგელოზის შვილი მთის მწვერვალზე უნდა იქცეს ადამიანად და არა სხვაგან. ეს ფრაზა ძნელი გასააზრებელია. უნდა შევნიშნოთ, რომ ამირანის ადამიანად გარდაქმნას სახელგანთქმული მონადირეები აჩქარებენ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ მათ ნაადრევად შემოჰყავთ იგი ადამიანთა საუფლოში. ის, რაც უნდა აღესრულოს მთაში (ასეთია ღმერთების ნებაც), ხორციელდება ადამიანთა საცხოვრისში. იგივეა ვარიანტთა მეორე წრეშიც. ნაადრევად მშობიარე დალი ამბობს: „ჩემ შვილს რომ მუცელში დაცლოდა სისრულე, მისი მოძრევი არავინ იქნებოდა“. აქაც ამირანი კლდოვან—ყინულოვან საუფლოში უნდა შობილიყო და გაზრდილიყო, მაგრამ როგორც ჩანაწერებიდან ვიგებთ, ხდება ისე, რომ ამირანი ადამიანთა საცხოვრისში იზრდება. ესეც მნიშვნელოვანი საიდუმლოებაა, მაგრამ, ფაქტია, რომ ღმერთების ნებით ამირანის შობის, ადამიანად გარდაქმნისა და აღზრდის საუფლო მთაა, ღვთაებათა საბრძანისი. ამდენად, მთას ამირანთანში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ცხადია, მთა ფიზიკური სამყაროს ყველაზე წმიდათაწმიდა ადგილია, სულიერი ზეალსვლისა და განწმენდის წერტილი. იგი ყველაზე უფრო გვაახლოებს ზენასამყაროულ ძალებთან, ღმერთებთან, ვინაიდან თავად მთაა შემაერთებე-

ლი რგოლი ღვთისა და ადამიანის ურთიერთობისა. იგი ღვთის გამოცხადების არეალია, განსაწმენდელი... მთის ეს აღმატებული ფუნქციები კარგადაა ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიებში, სადაც „მთა ხშირად აღიქმება, როგორც სამყაროული ხატება, ქვეყნიერების მოდელი, რომელშიც არეკლილია კოსმიური წყობის რთული ელემენტები და პარამეტრები, რომ მთა იმყოფება სამყაროს ცენტრში იქ, სადაც გაღის მისი ღერძის გაგრძელება ზემოთ ვერტიკალურად (მთის მწვერვალის ავლით) იგი მიუთითებს პოლარულ ვარსკვლავთა მდგომარეობას, ხოლო მის ქვემოთ გაგრძელება მიუთითებს ადგილს, სადაც არის ქვედა სამყაროში (ჯოჯოხეთში) შესასვლელი, მთის საყრდენი ხვდება დედამიწის ჭიბზე, იმასაც მიუთითებენ, რომ მსოფლიო მთა სამწვერიანია. მწვერვალზე კი ბინადრობენ ღმერთები, მთის ქვეშ (ქვესკნელში) სიკვდილის ძალებს მიკუთვნებული ბოროტი ძალებია. მიწაზე (შუაში) ადამიანური მოდგმა (მითები... 1987:310-311).

ინდურ მითოლოგიაში სამყაროული, ანუ მსოფლიო, მთის კლასიკური ტიპია უდიდესი მთა მერუ, იგი დედამიწის ცენტრში იმყოფება, პოლარული ვარსკვლავების ქვემოთ (ან ქვეშ) და გარშემორტყმულია მსოფლიო (ან სამყაროსეული) ოკეანით: მის სამ მწვერვალზე. ოქროსი, ვერცხლისა და რკინისაზე – ცხოვრობენ ბრახმა, ვიშნუ და შივა – ან (სხვა ვარიანტით 33 ღმერთის პანთეონის შემადგენლობა (მითები... 1987:312) აქვეა მითითებული, რომ წმინდა მთა მერუ ღვთაებათა საბრძანისა. ასე, მაგალითად, წმ. ღვთაება რავინა მერუს მწვერვალზე ათევს ღამეს. მერუს ხატება შეიძლება მივიჩნიოთ ცენტრალური აზიის ხალხთა მითოსური წარმოდგენების წყაროდ „ალტაის რიგ ხალხებში (სუმურ, სუმერ, სუმბურ და ა.შ.) არაიშვითად წარმოგვიდგება, როგორც რკინის ბოძი (ზოგჯერ რკინის მთა), რომელიც იმყოფება დედამიწის შუაგულში და აერთებს ცასა და დედამიწას. თავის წვერით ეხება პოლარულ ვარსკვლავებს: ზოგჯერ მთა (სუმურ) დგას ჭიბზე, ღმერთების მიერ გადმობრუნებულ კუთა (ან კიბორჩხალას) ჭიბზე, რომლის თითოეულ თათზე განისვენებს განსაკუთრებული მატერიკი“, რომ მთის მწვერვალზე ღვთაებათა სასახლეებია აშენებული. „ყალბუხთა წარმოდგენებით, ვარსკვლავები ბრუნავენ სუმბურის ირგვლივ... ლამაისტების მითოლოგიაში მთა (სუმურუ) გარშემორტყმულია მთათა შვიდი ჯაჭვით, რომელთა შო-

რისაც ზღვებია განლაგებული... მითითებულია, რომ თითოეულ მხარეს თავისი ფერი აქვს. ასე, მაგალითად, „სამხრეთს – ცისფერი, დასავლეთს წითელი, ჩრდილოეთს ყვითელი, აღმოსავლეთს – თეთრი. „ერთტიპიური შესატყვისობანი ცნობილია ინდოეთში, ტიბეტში, ჩინეთსა და ამერიკის ინდიელთა ტომების ცალკეულ ტრადიციებშიც. ინდიელების რწმენით, „შავი (ანუ ჩრდილოეთს) მთელ დედამიწას ფარავს სიბნელით, ცისფერს (ანუ სამხრეთს) მოჰქონდა სინათლე, თეთრს (ანუ აღმოსავლეთს) ბრწყინვალე მზიური სინათლე. ალტაის ხალხებში, მიუხედავად სახელწოდების უქონლობისა, არაიშვიათია მთის აღწერილობა, იმეორებენ (სუმურის) დახასიათებას... ზოგჯერ მთა იმყოფება ცაზე; დედამიწაზე მთა ეშვება მთიდან (მითები... 1987:312).

მსოფლიო მთის სისტემა, რასაკვირველია, არ შეესატყვისება ჩვეულებრივ რეალურ მთას. მიუხედავად იმისა, რომ, „მაგალითად, ალტაიელებთან მითოლოგიზებულია სხვადასხვა რეალური მთები და თვით ალტაი წოდებულია „ბატონად (ხანად). რეალურ გეოგრაფიული ობიექტებით არა მარტო პატივის სცემდნენ, არამედ აღმერთებდნენ, ღვთაებასთანაც ათანაბრებდნენ და მიიჩნევდნენ ზესულიერ მფარველად... ჩინეთში არსებობდა ხუთი წმინდა მთის კულტი.

ზეშთან შანსი (ჩრდილოეთის მთა)

ხუაშან ხ შანსი (დასავლეთის მთა)

ხინშან ხ ხუნანი (სამხრეთის სიმბოლო)

ტაიშან ხ შენდუენე (აღმოსავლეთის სიმბოლო)

სუნშან ხ ხანანი (ცენტრის სიმბოლო).

ამ ხუთ მთას შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ტაიშანი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, რომელთანაც მიჰქონდათ სამსხვერპლო ცისთვის, მიაჩნდათ, რომ მიღმურ სამყაროსკენ გადამსვლელი არის ტაინშანთან. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ტაიშანი სავსე იყო ტაძრებით, მონასტრებით, კერპებით. აქ ღვთაება მბრძანებლობდა, შესავლის, მიღმური სამყაროს გამკვითხველისადმი მიძღვნილი იყო ტაძრები მთელ ქვეყნიერებაზე“.(მითები... 1987:314)

თავი რომ მოუყაროთ ზემოთ თქმულს, ასეთ ვითარებასთან გვექნება საქმე: მთა, მთის მწვერვალი წმინდა კოსმიური მოვლენაა, სამყაროს ცენტრი, იგი ღვთაებათა საბარძანისია; მთა, მთის წვერი

ვარსკვლავებითაა გარშემორტყმული და მისი ირგვლივ მოძრაობენ. მთა ეკლესიებით, მონასტრებითა და კერპებითაა შემკული და ღამ-შენებული, მთას თაყვანს სცემენ, მსხვერპლს სწირავენ, მთა ყოველგვარი საიდუმლოების მომცველია. ამ საიდუმლოების შეცნობაზეა დამოკიდებული სამყაროს მომავალი ბედი და იღბალი. მთას აქვს მიღმური სამყაროსკენ გასასვლელი. თვით კაცობრიობის დასაბამი, საწყისი მთის იდუმალბეებიდან იღებს სათავეს.

ქართულ მითოსურ გადმოცემებში, კონკრეტულ შემთხვევაში, ამირანიანის ზემოთ განხილულ სვანურ ვარიანტებში წარმოდგენილი მთა თითქმის მთლიანად მოიცავს ყველა იმ წარმოდგენას, რაც დამახასიათებელია მსოფლიოს სხვადასხვა კულტუროსანი ქვეყნის მითოლოგიებისათვის. საქართველოში ძალზე ბევრია წმინდა მთები, რომელთაგან ზოგიერთი მაცხოვრის სახელობისაა, ზოგი წმ. გიორგის, ზოგი წმ. ბარბალეს, ნაწილი კი წარმართული ღვთაებებისაც. ჯავახეთში არის ამირანის გორა, თუშეთში კი ამირანის მთა. ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (რწმენა-წარმოდგენებში, საქართველოშიც მთები ღვთაებათა გამოცხადების ადგილია). ამირანის სვანურ ვარიანტებშიც ნამდვილ, ჭეშმარიტ მონადირეს, რომელიც ყოველნაირ აკრძალვებს იცავს, შეიძლება გამოეცხადოს დალი. ეს ითქმის ქვემოთ განსახილველ დალის ციკლის მასალებზე. მთას აქვს თავის წმინდა ადგილები, განსაკუთრებით საფრთხილო. იქ ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ შეაბიჯებს: ასეთი ადგილები არ უნდა დაილაზოს ცოდვილიანი ადამიანის ფეხით. ამირანისა და დალის ციკლის მასალებიდან ვრწმუნდებით, რომ წმინდა მთებში შესულ მონადირეს ძალიან დიდი სიფრთხილე მართებას. აქ იგი დიდი სულიერი გამოცდის წინაშე დგას. მუდამ არჩევანის წინაშეა. წმინდა ადგილებში მხოლოდ წმინდა ადამიანმა შეიძლება შეაღწიოს, მარხულმა მონადირემ, ფიქრებში განწმენდილმა. როგორც პროფ. ზ. კიკნაძე მიუთითებს: „სინას მთაზე ასულ მოსეს, რომელიც მისდაუნებურად კვრივებში მოხვდება, მოისმა უფლის გაფრთხილება: „ნუ მოიაზლება აქა! წარიხადე პამლი ფერხთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანა წმინდა არს. ე.ი. მოსე აღმოჩნდა წმინდა ქვეყანაზე, ანუ ახალ ქართულად „წმინდა მთაზე“... ხოლო ლომის მთა და ხადას ბევრთ საღვთო მთიულებისა, და ხადას საყმოებისათვის იგივე სინას

მთაა, სადაც უფალი ეცხადებათ მათ, ამიტომ უნდა განიწმინდონ იქ ამაველნი, როგორც ის მღვდელნი, რომლებიც სინას მთის კვრივებში დაპირებენ ასვლას უფლის სახილველად მოსესთან ერთად. კვრივში მხოლოდ „კვრივმა“ ადამიანმა უნდა შეაღწიოს დაუსჯევლად. (კიკნა-ძე, 1985:30-31).

როდესაც უფალი გამოეცხადა მოსეს, აუწყა: რომ წადი ხალხში და განწმინდე ისინი დღეს და ხვალ; სამოსელი გაირეცხონ, განემზადონ ზეგისათვის, რადგან ზეგ ჩამოვა უფალი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე. ირგვლივ საზღვარი შემოუწერე ხალხს, უთხარი: მოერიდეთ მთაზე ასვლას და ნუ მიეკარებით მის კალთებს. ვინც კი მთას მიეკარება, ვერ გადაურჩება სიკვდილს. ხელი არავინ მიაკაროს, რადგან ჩაიქოლება იგი ან შუბით განიგმირება; გინა პირუტყვი იყოს, გინა კაცი. არავინ გადარჩება ცოცხალი. როცა ბუკის ხმა მოესმებათ, მხოლოდ მაშინ შეეძლებათ მთაზე ასვლა. ჩამოვიდა მოსე მთიდან და განწმინდა ხალხი, გაირეცხეს მათ სამოსელი. უთხრა ხალხს. „ზეგისათვის გაემზადეთ, დედაკაცს არ მიეკაროთ. მესამე დღეს გაათენებისას შეიქმნა გრგვინვა და მეხის ტეხა, ჩამოწვა მთაზე ზრქელი ღრუბელი და გაისმა საყვირის ხმა. ძალზე ძლიერი, შეძრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი. გამოიყვანა ბანაკიდან ხალხი მოსემ ღეთის შესახვედრად და დადგნენ მთის ძირას. ბოლავდა მთელი სინას მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში: როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა. ჩამოვიდა უფალი სინას მთაზე, მთის წვერზე და მოუხმო უფალმა მოსეს მთის წვერისკენ, და ავიდა მოსე უთხრა უფალმა მოსეს, ჩადი, დააფიცე ხალხი, არ მიეჭრას უფლის სახილველად, თორემ დაეცემა ბევრი მათგანი მღვდელთმთავარნიც, რომელნიც მოეახლებიან უფალს, უნდა განიწმინდონ, რომ არ გაწყვიტოს ის უფალმა (გამოსვლა X-11, 12, 13, 14).

საქართველოს მთიანეთის მითოსურ გადმოცემებში ჯვარჩენა დაკავშირებულია წმინდა მთებთან, განსაკუთრებით კი მაღალ მწვერვალებთან. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ზემოთ დამოწმებული პირველი წრის ვარიანტებიდან ეპიზოდი, როცა ივა ხელმწიფის შვილებმა: ბადრიმ, ვისი ბმა და ჩალამ-კალამმა დაინახეს უღელტეხილზე, ანუ ზეკარზე, დასმული ხარის ტყავი, რომელშიც ანგელოზის შვილია ჩასმული, რათა ადამიანად გარდაიქმნეს. შეიძლება ითქვას,

რომ ივას ვაჟიშვილებისათვის ეს სასწაულებრივი გამოცხადებაცაა, რამაც სრულიად შეცვალა მათი დამოკიდებულება გარემოსადმი. არსებითად ამ ყოვლისმძლეველ გმირებში სრული ფერისცვალება მოხდა. ამ ხილვით ისინი ახალი სინამდვილის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს ხდება შიშველი მთის, ანუ ალპურ, არეალში. დავსძენთ, რომ ამირანიანზე დაკვირვება კიდევ უფრო ააშკარავებს მთის საუფლოთა თავისებურებას. ასე, მაგალითად, როგორც პროფ. მიხ. ჩიქოვანი გვაუწყებს: „ნადირობის ჩვეულება ყველაზე სრულად დღემდე სევანეთშია დაცული“ და რომ „სევანეთის სამონადირეო ფაუნა მდიდარია, იგი რამოდენიმე ჯგუფადაა დაყოფილი. თითოეულ ჯგუფს კი თავისი გამგებელი ჰყავს.

1. შიშველი მთის ნადირს (ირემი, შვილი, ჯიხვი, არჩვი ქალღმერთი დალი მფარველობს;
2. ტყის მხეცებს (დათვი, მელა, კვერნა, მარვი) – ტყის ანგელოზი (ცხეკიშ ანგლოზ);
3. ტყიური მტაცებლებიდან მგელი ცალკეა გამოყოფილი და მის საქმეს ჯგრაგი განაგებს;
4. ფრინველისა და კალმახის მეთვალყურეობა კაცლვთაება აფსათს აქვს დაკისრებული.

ამათ გარდა, არსებობს დარგობრივ ღვთაებათა უფროსის მეუფე „ბერ შიშველიშ“ –ად წოდებული. (შიშველი მთის ბერი, უფალი). (ჩიქოვანი, 1959:112). ე.ი. ამონაწერიდანაც ცხადია, რომ ალპურ არეალს თავისი მფარველი, გამგებელი ჰყავს. ამ არეალის მწვერვალზეა დასმული ხარის ტყავიც, რომელშიც ანგელოზის შვილია. იგი აქ, ამ სულიერ საუფლოში, უნდა გარდაიქმნეს ადამიანად. ქვემოთ, პერსონაჟების დახასიათებისას, დავრწმუნდებით, რომ ამირანისა და მისი ძმების მუდმივი სამოქმედო არეალი სწორედ რომ ალპური ზონაა, მისი სამივე სფერო. აქ ეწვეიან ისინი ადამიანისათვის სარგო საქმიანობას. მოქმედება ამ არეალის სამივე სკენელში იშლება.

მთის მწვერვალთა კოსმიური სიწმინდე, ღვთაებრიობა კიდევ უფრო გამკვეთრებულადაა წარმოჩენილი და დადასტურებული დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, სევანეთის მთათა წმინდა ადგილებში განლაგებული ქრისტიანული სალოცავების ფონზე. ჩვენ ამ მთაგრეხილთა განლაგებას თავისი წმინდა ადგილებით, ჭუთხაროს

კლდის ჩათვლით, პირობითად ამირანის ნაკვალევს ვუწოდებთ. მთქმელთა გადმოცემით, ბალხეთის მინდორი ჭუთხაროს მთის შიგნით, შუა გულშია (ამაზე ქვემოთ). აქ განლაგებული ეკლესიების და თვით მიდამოც ღმერთების, ანგელოზების და წმინდათანთა გამოცხადების ადგილებია. ასე, მაგალითად, ლენტეხის რაიონის სოფ. სასაშიდან იწყება ლაშხეთის თემი. ამ თემში შედის 12 სოფელი, თითოეულს თავისი დამოუკიდებელი სალოცავი აქვს, მაგრამ არის ამ სოფლების გამაერთიანებელი დღესასწაულები, სალოცავები, ასეთია მთავარანგელოზობა და სულიწმინდობა. მიქ. მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია აღმართულია სოფ. სასაშის შესასვლელის ხელმარჯვნივ, კლდოვან მწვერვალზე. მას ხალხი უწოდებს „ქვიშს“ (აღბათ, ქვის, ვინაიდან ეკლესია ქვითაა აშენებული. ამაზე არსებობს ლეგენდაც). ტრადიციის მიხედვით, სოფელში ორი მთავარანგელოზობა იცაან: დიდი და მცირე. მცირე მთავარანგელოზობაში მხოლოდ სოფელ სასაშის მოსახლეობა მონაწილეობს, თითოეული ოჯახის დიასახლისი მიდის სალოცავში, იქ აცხობს ტაბლებს, ანუ წმინდა პურებს, ყველიანს, ჯერის გამოსახულებიანს და შესთხოვს მთავარანგელოზს ოჯახის ბედნიერებას, სიკეთეს, ჯანმრთელობას, გამრავლებას და სხვა, ასევე საქონლის სიმრავლეს. დიდი მთავარანგელოზობა აუცილებლად კვირა დღეს მოდის. ელენე კვირიას ასული ჭელიძე ონიანისა გვიამბობს, რომ, როდესაც სულიწმინდობა იყო (სულიწმინდის ეკლესია აღმართულია ლაშხეთის თემის ბოლო სოფლის, მახაშის, ერთ-ერთ მთაზე; მამაჩემი (კვირიას) შუალამისას (მასკაშ), როცა მთელი სოფელი ღრმა ძილშია, თანაც უკიდურესი სიშშივდე და სირუმა, წამოგვაყენებდა და ცისკენ მიგვითითებდა; აი, ხომ ხედავთ, ხვალ სულიწმინდობაა (სვანურად ულშობ), გადმოპატიჟებული ჰყავს მთავარანგელოზი, დააკვირდით, როგორ წამობრძანდება თავისი საბრძანისიდან და ჩვენ ვხედავდით ოქროსფერად მოელვარეს, რომელიც ჩვენ სოფელთან მოახლოებისას უფრო ნელა მოძრაობდა და გრძლად ჩაეშვებოდა სულიწმინდის ეკლესიაში. იგივე მეორდებოდა მთავარანგელოზობის დროსაც — მამა გვეუბნებოდა, რომ ისინი ერთიმეორეს ეპატიჟებენო“ (მთქმელი ელენე კვირიას ასული ჭელიძე, მცხ. ლენტეხის რაიონი სოფ. სასაშში, ჩამწერი ო. ონიანი, 1978წ. ხელნაწერი). მოტანილი გადმოცემა მრავალმხრივია საინტერესო და იგი

მნიშვნელოვნად გვეხმარება „ამირანიანში“ წარმოჩენილ მთის ფუნქციათა სწორად გააზრებაში. ამასთანავე, უნდა დავსძინოთ, რომ მთის მწვერვალთა ეს წმინდა ადგილები, სადაც ქრისტიანული სალოცავენია აღმართული, არიან ღვთიური ძალის არა მარტო ფრაგმენტული, დროებითი გამოცხადების ადგილები, არამედ, ხალხის რწმენით, ღმერთის, ანგელოზის თუ წმინდანის მუდმივი საბრძანისიცი, საიდანაც აღამიანთა საცხოვრისზე ღვთიური მადლი გადმოდის როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთ წმინდა ადგილებში წყდება კაცობრიობის ბედი, მომავალი. სოფლიდან წასული მონადირის თუ საერთოდ მოკვდავის მფარველი და შემწე „ამგვარი ადგილებია“. ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა გადმოცემა „სტარნიშზე“, ანუ ჯვრის მთაზე. იგი მდებარეობს ლენტეხის რაიონის სოფ. სასამის ერთ-ერთ უღელტეხილზე. აქ დაცულია ნიში, პატარა კვირი ნაგებობაც, რომელზეც დადგმულია კირქვიდან გამოთლილი ჯვარი. მართალია, მთას „სტარნიშ“—ი ჰქვია, მაგრამ კონკრეტულ ადგილს „უთინი“ ეწოდება. აქ ნაეკლესიარია. იგი წმ. გიორგის სახელობისაა, ქვითკირის სქელი კედლით ნაგები. ნანგრევები ააშკარავენს, რომ მას სათავსოებიც ჰქონია. იქვე, გვერდით, ასასვლელთან, წყარო მოედინება, სალოცავიდან ოდნავ ქვემოთ, ათი—თორმეტი მეტრის დაშორებით, დაცემული მინდორია, საკმარისად ვრცელი და ლამაზი. მლოცველებიც ამ მინდორში იყრიდნენ თავს. ოჯახის წევრებიდან ვინც ყველზე მარხული იყო, ფეხზე იხდიდა, ქამარსაც იხსნიდა და ისე ადიოდა სალოცავად. აჰყავდა საკლავი, შესაწირავი ან წმინდა ჯვარგამოსახული ყველიანი ტაბლები (ხაჭაპურები) აჰქონდა. ლოცვა—ვედრების აღსრულების შემდეგ მინდორში დიდი პურობა იმართებოდა, სვანურად „სკარობ“. ეს ადგილი ამჯერადაც წმინდა ადგილადაა მიჩნეული. ძველად მთელი ლაშხეთის თემის სოფლები „სტარნიშით უკავშირდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. (მთქმელი შალვა სტეფანეს ძე ონიანი, მცხ. ლენტეხის რაიონი, სოფ. სასამში, 70 წლის, ჩამწერი ო. ონიანი, 1975წ.).

ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაეხვას ხაზი. კერძოდ „სტარნიშის გეოგრაფიულ მდებარეობას. მისი მთა—გრეხილების გაგრძელება აღმოსავლეთით წმინდა ადგილებადაა მიჩნეული. [სტარნიშ]—იდან ორასი—სამასი მეტრის დაშორებით, უღელტეხილ-

ზე, არის ტბა, რომელსაც ხალხი ანგელოზების ტბას უწოდებს. წმინდა წყალია, მასში მხოლოდ ანგელოზები ბანაობენ. მოკვდავს რა განწმენდილიც უნდა იყოს, მასში თითის ჩაყოფაც ეკრძალება. რწმენის თანახმად, თუ ადამიანმა გაბედა ტბაში შესვლა, უეჭველად დაიღუპება. ხალხს სჯერა, რომ ანგელოზების ტბა უძიროა. გვალვის შემთხვევაში, როცა ადამიანებს შიმშილი ემუქრება, მაშინ შეიძლება ვინმე მოკვდავთაგანმა, უმეტეს შემთხვევაში ქალმა, ხელი ჩაყოს ტბაში და წყალი ააბღვრიოს, როგორც გადმოგვცემენ, ყოვლად შეუძლებელია, რომ იმავდროულად ცა არ მოიღრუბლოს და წვიმა არ წამოვიდეს. ეს რწმენა დღემდე ურყევად ცოცხლობს. რაც უნდა მწყურვალი იყოს ადამიანი, ანგელოზების ტბის წყალი არ უნდა დალიოს. ანგელოზების ტბის მიდამო ძალზე ლამაზია. მნახველს ეგონება, რომ უზარმაზარ თასში ასხია წყალიო. მასთან მისვლა დიდ შინაგან სიწმინდეს მოითხოვს. არავის ახსოვს, რომ ანგელოზების ტბის მიდამოებში ვინმეს ნადირი მოიკლას. ყველა მონადირე კრძალვით უვლის გვერდს მის შემოგარენს“ (მთქმელი ალისა სტეფანეს ასული ონიანი, მცხ. ლენტეხის რაიონის სოფ. სასაშში 55 წლის. ჩამწერი ო.ონიანი, 1970წ.)

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოსური წარმოდგენები წმინდა მთებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მითოსურ რწმენა-წარმოდგენათა რკალში ექცევა. კონკრეტულ შემთხვევაში „სტარნიშ“—ი და ანგელოზების ტბის შემოგარენი ინდური მითოლოგიის მერუს მთის მსგავსად, რომელიც გარშემორტყმულია მსოფლიო ოკეანით, არის ღვთაებათა საბრძანისი, სამყაროულ იდუმალებათა ცენტრი, ხოლო ანგელოზების ტბა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღვთიურ არსთა განახლების, კოსმიური მადლის ღეღამიწაზე მოყენისა და განხორციელების მიდამო. ანგელოზებისათვის ფიზიკურ სამყაროსთან დასაკავშირებლად აუცილებელია განახლება, რაც წმინდა წყალში განბანვითაა შესაძლებელი. ასეთი კი ანგელოზების ტბაა, უკვდავთა განმაახლებელი და მოკვდავთა განსაწმენდელი...

„ამირანიანის“ ზემოთ დამოწმებულ სვანურ ვარიანტებში მოქმედება ასეთ წმიდათაწმიდა მთების საუფლოებში მიმდინარეობს. აქ წყდება ადამიანთა საცხოვრისის ბედი, აქ მიმდინარეობს ბოროტი

ძაღების წინააღმდეგ ბრძოლა. ქალღანისეული, გურჩიანისეული და გულღანისეული ვარიანტებიდან ვგებულობთ, რომ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილებმა; ბადრიმ, ვისიბმა და ჩალამ-კალამმა საპირისპირო ძალები მოსპეს და გაანადგურეს. ისევ უნდა გავიხსენოთ, რომ მოქმედება ხდება მთაში. ჩანაწერთა შინაარსიდანაც კარგად ჩანს, რომ ივას შვილთა რაინდული ქმედებით მთა გაწმენდილია ბოროტი ძალებისაგან, მაგრამ უღელტეხილზე, ანუ ზეკარზე, საკვირველი ხარის ტყავის ხილვით სრულიად განსხვავებული ეტაპი იწყება გმირთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მათ ახალი და გამოუცნობი სინამდვილე გადაეშალათ თვალწინ და ახალი სადარდებელი გაუჩნდათ. ივა მამის რჩევით, მათ შეძლეს ამირანის აღამიანთა საცხოვრისში შემოყვანა. სწორედ ეს ეპიზოდია განსაკუთრებით საინტერესო. ჩვენ ვიცით, რომ, დღემდე ცნობილი ვარიანტების მიხედვით, ჩვილი ამირანი ბადრის, ვისიბის და ჩალამ-კალამის გვერდით იზრდება. ქალღანისეულ, გურჩიანისეულ და გულღანისეულ ვარიანტებში კი საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე. მათში ამირანის აღმზრდელები „ივა ხელმწიფესთან ერთად მისი შვილებიც არიან, ზრდასრული რაინდები. ტექსტიდან ისიც ვიცით, რომ ამ ყოვლისმძლეველ რაინდებს უმძიმთ ხარის ტყავში გახვეული ანგელოზის შვილის ტარება. აქიდან გამომდინარე, იოლი წარმოსადგენია, თუ როგორი შეიძლება იყოს მომავალი გმირი. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ დავაჟკაცებული ამირანი ერთადერთია, რომლის მეტოქე ფიზიკურ სამყაროში არავინაა, მთქმელის შენიშვნით, აღარ დაიბადა. საბოლოოდ სწორედ ეს ერთადერთობა აღმოჩნდა იმის მიზეზი, რომ ამირანს ღმერთთან ფიზიკური ძალის გამოცდის სურვილი გაუჩნდება.

საანალიზოდ წარმოდგენილი ვარიანტებიდან ვიცით: ამირანი ივა ხელმწიფის ოჯახში იზრდება. ტექსტიდან აშკარაა, რომ დავაჟკაცებული ამირანი მთის სამივე სკნელში იბრძვის ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ისევ გავიხსენოთ ტექსტიდან ეპიზოდი, როცა ამირანი და მისი ძმები ჯიხვზე სანადიროდ იყვნენ წასული, მაგრამ რატომღაც ხელი მოეცარათ. საღამო ჟამსო, შენიშნავს მთქმელი, ერთერთ უღელტეხილზე ორთქლი ამოდიოდა (ივარაუდება, რომ ძმები კლდოვანიდან აღბურამდე არიან დაშვებული. ტექსტში მითითებულია,

რომ, ეს მოხდა მზის ჩასვლისას, ე.ი. შინ დაბრუნებისას). ამირანმა თქვა: ეს აუცილებლად უნდა გავიგოთო...

„მიდიან, მიდიან და მეორე დღეს, შუადღისას, მიაღწიეს უღელტეხილამდე“. შინაარსიდან ვიცით, რომ გმირებმა აქ მიწას შეზრდილი ქვა ნახეს, რომლის ძირებიდან ორთქლი ბოლქვებად მოედინებოდა. ამირანს ციდან ღმერთმა ნაბადი გადმოუგდო, მოიხვია და ჩაეშვა შიგ. იქ დევის მიერ გატაცებული ორომ მეფის სამი ქალიშვილი ნახა, ქვემოთ კი დევს ეძინა. მთას, აქ ალპური არიალი იგულისხმება, აქვს სამი სქნელი. ქვესქნელი კი ბოროტი ძალის, დევის, საბინადროა. ამირანი ამარცხებს დევს. (გენონი, 1968:60)

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით საინტერესოა რენე გენონის ნაშრომი (საკრალური მეცნიერების ფუძემდებლური სიმბოლოები „გალმირ“, ავტორს ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მთისა და გამოქვაბულის ურთიერთმიმართებაზე. წერილი სათაურით „მთა და გამოქვაბული“ თარგმნა პროფ. ზ. კიკნაძემ. „ლიტ. საქართველო, 1987 წ., 25 სექტ. შრომის ავტორის აზრით, „არსებობს მჭიდრო ურთიერთობა მთასა და გამოქვაბულს შორის. რამდენად ერთიცა და მეორეც წარმოადგენს სულიერი შუაგულის სიმბოლოებს, როგორცაა, სხვათა შორის ყველათა, ღერძული“ სიმბოლო“, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი გამოხატულება სწორედ მთა არის. ამ თვალსაზრისით უნდა გავიხსენოთ, რომ გამოქვაბული იგულისხმება მთის ქვეშ ამ მის შიგნით, ისე, რომ ღერძში თავსდებადეს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ორ სიმბოლოს შორის კავშირს, რომლებიც ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს“. მათი ურთიერთმიმართების დასადასტურებლად ავტორი შენიშნავს, რომ მთას „პირველადი“ ხასიათი აქვს, გამოქვაბულს კი, მეორადი. ეს იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ მთა ხილულია გარედან, რომ ის თავისთავად ისეთი რამ არის, რომელიც ყოველი მხრიდან იხილვება მაშინ, როცა გამოქვაბული, პირიქით, თავისი არსით დაფარული და ჩაკეტილი ადგილია. აქედან ადვილი დასასკვნელია, რომ სულიერი ცენტრი მთის სახით შეესაბამება კაცობრიობის საწყის პერიოდს, რომლის დროსაც ჭეშმარიტება ყველასათვის მთლიანად მისაწვდომი იყო“ (საიდანაც მოდის საწყისი პერიოდის სახელწოდება სატმა-ფუგა „ჭეშმარიტი ხანა“ და მთის მწვერვალის სახელი სატმა-ლოვა „ჭეშმარიტი ადგილი“), მაგ-

რამ, ციკლის დაღმავალი სვლის შედეგად ჭეშმარიტება მხოლოდ მეტნაკლებად შეზღუდული „ელიტისათვის“ დარჩა მისაწვდომი და ადამიანთა უმრავლესობისათვის დაფარული იქნა“. (კიკნაძე, 1987:5) მართალია, ამონაწერი ვრცელია, მაგრამ იგი მთლიანად გვიხსნის გზას ამირანიანში მათა მწვერვალების, გამოქვაბულისა და საერთოდ სამივე სკნელის იღუმალებათა გასარკვევად. მთა და მწვერვალი ორივე სულიერი შუაგულის სიმბოლოებადაა მიჩნეული, რომ მთა გარედან ხილულია, ყოველი მხრიდან იხილვება, გამოქვაბული კი ჩაკეტილი და დაფარულია.

ამირანის ქალღანისეული ვარიანტებიდან ვიცით, რომ მიწიერი საუფლოსათვის გამოუცნობი საიდუმლოება დახვეული ხარის ტყავის სახით, რომელშიც ანგელოზის შვილია დავანებული მთის მწვერვალზე, ხილული აღმოჩნდა მხოლოდ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილებისათვის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათთვის ეს საიდუმლოება მხოლოდ ფიზიკურადაა ასეთი, სხვა ვერაფერი გაიგეს. ნამდვილი იღუმალება კი იღუმალებად დარჩა. შრომის ავტორის შენიშვნით, ამგვარი ხილვა პირველადი ხასიათისაა. იგი კაცობრიობის პირველ საწყისს შეესაბამება, „რომლის დროსაც ჭეშმარიტება ყველასათვის მისაწვდომი იყო“. რასაკვირველია, რენე გენონთან თეორიული დავისაგან თავს ვიკავებთ, მაგრამ ჩვენ მიერ მოტანილი მასალებიდან უდავოა, რომ ისე დიდი საიდუმლოება, რომელიც ღმერთების მიერ მთის წვერზე დასმულ ხარის ტყავთანაა დაკავშირებული, ძალიან საეჭვოა მისი ხილვა ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო. ქალღანისეულ და მის ვარიანტებზე დაკვირვება გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მისი ხილვა, მართალია, ფიზიკური, მაგრამ მაინც მხოლოდ ქვეყნის საქები რაინდების ხვედრია და არა ყველასი. ცხადია, კონკრეტულ შემთხვევაში მასალის სპეციფიკაც ასრულებს გადამწყვეტ როლს. რაც შეეხება საიდუმლოების სრულ ამოცნობას, იგი ბრძენი ივა მამის ხვედრია. საილუსტრაციო მასალა ზემოთ დავიმოწმეთ, ამიტომ ციტირებისაგან თავს ვიკავებთ.

მთისა და გამოქვაბულის ურთიერთობის გასარკვევად საინტერესოა როგორც ამირანიანის, ასევე დამოუკიდებლად დალის ცეკლის მასალები. ორივე შემთხვევაში ქალღმერთი დალია უმთავრესი, რომლის სამყოფ-სადგომი კლდეცაა და კლდის გამოქვაბულიც. ასეა

ადიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორ ხდება ამგვარი მონაცვლეობა? თავდაპირველი საუფლო დალისათვის, რასაკვირველია, კლდოვან-ყინულოვანია. გამოქვაბულის ბინადარი მოგვიანებით ხდება. ისიც სრულიად გარკვეული მიზეზების გამო. ამ საკითხზე ვრცლად მონადირე ჩორლას განხილვისას ვიმსჯელებთ. რენე გენონის სტატიას თან ერთვის პროფ. ზ.კიკნაძის ძალიან საინტერესო წერილი: „მთარგმნელისაგან“. მასში ორიგინალურადაა გააზრებული მთისა და გამოქვაბულის ურთიერთმიმართება, მონაცვლეობა და იდუმალებები, თუმცა უნდა დავსძინოთ, რომ დასმულ საკითხზე პროფ. ზ.კიკნაძე ჯერ კიდევ 1985 წ. გამოცემულ წიგნში, „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა“ მსჯელობდა. დასახელებულ წერილში კი ავტორის აზრით, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი უხვ მასალას იძლევა რენე გენონის სტატიაში განხილული ტრადიციული (ანუ ეზოტერული) სიმბოლიზმის საილუსტრაციოდ. ორივე ადგილი, ორი სამყოფელი ჭეშმარიტებისა – მთა და მღვიმე დადასტურებულია ამ მასალაში, რომლის შესწავლის საფუძველზე ნათქვამია. „ამრიგად, ჯვარის განძი დამარხულია დედამიწის ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო სფეროში – მიწის სიღრმეში და მთის მწვერვალზე ე.ი. ავტორს რ.გენონისაგან დამოუკიდებლად აქვს გამოკვლეული მთისა და გამოქვაბულის ურთიერთმიმართება, საიდუმლოება... ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „საკრალურ თქმულებათა თანახმად, კულტის გენეზისის პირველი პეროფანიები (ჯვარჩენები) მაღალ მთებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი მათგანი გვამცნობს, რომ მორიგე ღმერთმა გერგეტის მთაზე ჩამოუშვა ღვთისშვილნი და იქ დაასახლა თავთავიანთ წილხვედრილ საყმობათა სალოცავებში დამკვიდრებამდე, მაგრამ გერგეტზე არის გამოქვაბულიც, რომელიც ასევე მათი სამყოფელია, რომლის წიაღში შეღწევა მხოლოდ და მხოლოდ რჩეულთა, ჯვრის მკადრეთა, ხვედრია: და ამიტომ ყოველი საიდუმლო, რაც ჯვარს შეეხება და რასაც გამოქვაბული იმარხავს, მკადრეთა გამოცდილების შინაარსს შეადგენს და მათი პირით არის გამოცხადებული. ერთ-ერთმა ასეთმა ხვესურმა, გახუა მეგრელაურმა, გუდანის ჯვრის მკადრემ, გერგეტის „ბეთლემის სახლში“ იხილა ოქროს აკვანი ყრმითურთ, რომელსაც მტრედები არწევდნენ და იფქლის მარცვლით კვებავდნენ. აქვე იხილა მან ფუტკრებივით (აქ არ გაყვე-

ბით ამ სიმბოლიკას) მორიალე უამრავი ჯვარ-ხატი, რომელთაგან ერთი გუდანამდე წამოჰყვა მას, რათა გუდანის ბელელში დაედო ბინა და გარეშე თვალისათვის დაფარული ყოფილიყო“ ლიტერატურული საქართველო დასახლებული ნომერი. ე.ი. ღვთისშვილთა სამყოფელი გერგეტის მთასთან ერთად გამოქვაბულიცაა. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამირანიანისა და დამოუკიდებლად დალის ციკლის მასალების სწორად გააზრებისათვის. აქაც ხდება მთისა და გამოქვაბულის მონაცვლეობა. სირთულესაც, ალბათ, უფრო მეტი (ამაზე ქვემოთ) მკვლევრის აზრით, ბეთლემის ანდრეზული საიდუმლოებასპირველად ვახუშტის მიერაა იგი ფიქსირებული „აღწერაში სამეფოსა საქართველოსა“, რომ „მყინვარის კლდესა შინა არიან ქალაქნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემს“... იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსიტყვოდ, უსაბლოდ და სხუათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ“. ბოლო ორ სიტყვას „მე ვდუმებ“ ავტორი მკადრეს სიტყვებს უწოდებს და მიუთითებს, რომ ეს ის პერიოდია, როცა ჯვრის ჭეშმარიტება „ჩამოსვლის“ საყვლელთაოდ სახილველი მთიდან და შეფარებული გამოქვაბულის სიღრმეს... მკადრეს არა აქვს გასაიდუმლოებული ჭეშმარიტების გათქმის უფლება, მისი პროფანაციის საფრთხის მიზეზით... ქვემოთ კი ვკითხულობთ. ესაა „ის ეპოქა, ანუ, თუ ინდური ტერმინით გამოეთქვამთ, სატა-ა-უმა, როდესაც ღვთისმეტყველნი გერგეტის მთაზე იყვნენ, შეცვალა ეპოქამ, როდესაც მათმა სიმბოლოებმა მთის გამოქვაბულში გადაინაცვლა და, ამრიგად, ჯვარის ჭეშმარიტებას საიდუმლო სახე მიიღო“. (კიკნაძე, 1985:201).

დამოწმებულ წერილში კარგადაა წარმოჩენილი, თუ როგორ ხდება „თოვლიან ზამთარში, ახალი წლის წინა ღამის გასათევად ასული საყმო სასწაულის მოწმე, საკლავის ხორცი თოვლზე უცეცხლოდ იხარშებოდა, სანთელი მისი პატრონის სიწმინდის გამო თავისთავად ენთებოდა. რაკი სიწმინდე საყოველთაო იყო და არა რჩეულთა განსაკუთრებული თვისება. როცა ცროლის წვერზე საყმოს თვალწინ ღვთისშვილი გამოჩნდებოდა, გვამცნობს თქმულება, იქაურობას ნათელი ეფინებოდა“. ე.ი. კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს კოლექტიურ ხილვასთან. დამოწმებულ სტატიაში კარგადაა გამოკვეთილი, რომ ცალკეული გადმოცემები „ასახავს ჭეშმარიტე-

ბის მდგომარეობას იმ ხანაში, როცა ის მთის სიღრმეს შეფარებული და გასაიდუმლოებული მხოლოდღა რჩეულთა ხილვებშია მისაწვდომი. თქმულების თანახმად, ასეთი რჩეულია მონადირე, მას კლდის ეხში მოუხდა ღამის გათევა. დილით კი აღარ ჩანდა, რომ ეხი უბრალო გამოქვაბული კი არ ყოფილა, არამედ საფარველდადებული დარბაზი ჯვარისა. ე.ი. იმას, რასაც მონადირე, როგორც წვერი დაცემული საყმოსი, მთის წვერზე ველარ ხედავდა, ხედავს გამოქვაბულში. ე.ი.). სვანური სამონადირო ლექს-სიმღერებიდან ვიცით, რომ დალთა ლაშქრიდან მოკვეთილი ერთ-ერთი დალის საბინადრო გამოქვაბულია. ნადირთ პატრონი უკვე ორივე იმპულსის მატარებელია, ღვთიურისაც და ადამიანურისაც. მონადირეები მათთვის მახლობელ, გამოქვაბულის დაღს, შესთხოვენ შემწეობას ნადირობაში და არა დალთა ლაშქარს. დავსძენთ, რომ მხოლოდ გამოქვაბულის დალია, რომელიც ინტიმურ ურთიერთობას ამყარებს მონადირესთან. არაა გამორიცხული, და ასეცაა, რომ მოკვეთილი დალი კლდოვან, ყინულოვანი არეალის მკვიდრიც არის... ამ აზრით საინტერესოა ლექს-სიმღერა „დალი კოჯას ხელღვაშალე“. მკვლევართა შრომებში, ამ სიმღერას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი სხვადასხვანაირადაა თარგმნილი, უმეტესად კი ასე: „დალი კლდეში მშობიარობს“, ანუ გამოქვაბულში, რაც არაა სწორი. თუ დალი კლდეში, ანუ გამოქვაბულში მშობიარობს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ბავშვი ძირს დავარდნოდა. პროფ. ელ.ვირსალაძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ვკითხულობთ: „დალი კლდეზე მშობიარობს“. ჩვენი აზრით, ყველაზე მისაღები ვარიანტია, მაგრამ „დალი კოჯას ხელღვაშალე“-ს ზუსტი თარგმანი ასეთი იქნება: დალი კლდეებს ემშობიარება, იგი უფრო შეესატყვისება სიმღერის შინაარსს, საქმე იმაშია, რომ ტექსტში კლდეები გასულიერებულადაა წარმოდგენილი, დალიზე უფრო კლდეები მოთქვამენო. რასაკვირველია, კლდე ყველასათვის ხილვადია, მაგრამ, როცა საუბარია დალის მშობიარობაზე, მოთქმა-გოდებაზე, შვილის გადარჩენაზე, მის ხილვაზე და სხვა, იგი მხოლოდ და მხოლოდ მონადირის ხვედრი აღმოჩნდა, მას უნდა გადაერჩინა დალის ბავშვი. აქ სირთულეები საკმარისად ბევრია. ისევე რომ გავიმეოროთ, დალთა ლაშქრიდან მოკვეთილი დალის საბინადრო გამოქვაბულია.

კლდისადმი, როგორც სულიერი საუფლოსადმი თავყვანისცემა ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიო სხვადასხვა ქვეყანასა და ცხადია საქართველოშიც. ვახუშტის ცნობით, თუშებსო აქვთ ღიღი, მაღალი კლდე და განაგრძობს: „მოვლენ და შესწირავენ მას კლდისა ცხვარსა და ძროხასა და თაყუანს სცემენ კლდესა მას“ (ბატონიშვილი, 1941:105) კლდესთან და კლდეში გამოკვეთილ ნიშაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გ.მელიქიშვილს „ურარტუ“. (მელიქიშვილი, 1951:120-121) ს.მაკალათიას ცნობით „გამოქვაბულს თაყვანს სცემდნენ მითრელებიც. ამგვარი თაყვანისცემა წმ. გიორგისთანაცაა დაკავშირებული“ (მაკალათია 1938:25). კლდიდანაა შობილი ნართი სოსლანიც. (ნართები, 1947:246). ზემოთ თქმული, რომ ღალის მშობიარობას კლდეები განიცდიან და მოთქვამენო, კარგადაა გააზრებული და მასალით ილუსტრირებული რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ვახტანგ ონიანის წიგნში „გივარგილ“ (ონიანი, 1969:12) რასაკვირველია მასალების დამოწმება შეიძლება ქართული ჯადოსნური ზღაპრებიდანაც. მზეთუნახავის მაძებარი გმირი მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ შეძლებს აღმასის კლდის გაღებას, გამოიყვანს ქალს და ცოლად ირთავს (ხალხური, 1963:354). ჩვენ ზემოთ განხილული ვარიანტებიდან დავრწმუნდით, რომ ამირანის მამა ამირანი, დედა – დევეს ჰყავს გამოწყვედელი კლდის გამოქვაბულში. ასეთია ერთერთ ქართულ ვარიანტში (თსუფა, 1985:16) მასალების გაზრდა კიდევ შეიძლება ქართული შელოცვებიდან (გაგულაშვილი, 1986:77). საინტერესოა გავიხსენოთ ზევსის დაბადება. ვიცით, რომ, როცა რეა „აპირებდა თავისი უმცროსი შვილის, ზევსის, შობას, რჩევისათვის თავის მშობლებლებს, გეას და ურანოს, მიმართა: „როგორ მოვიქცე, რომ გადავმალო ჩემი ვაჟი და გამოვზარდო იგი კრონოსისაგან ფარულად?“. მშობლებმა კუნძულ კრეტას წასვლა ურჩიეს... „როგორც კი მოვიდა მშობიარობის დრო, დედ-მამამ იგი გაავზავნა კუნძულ კრეტაზე. შვილიშვილი, ღიღი ზევსი, იქ თავად ფართომკერდიანმა გეამ მიიღო, რათა გამოეკვება და აღეზარდა. „ზოგიერთები მოგვითხრობენ, რომ ბავშვი გამოქვაბულში შობა რეამ ან იდას, ან დიქტეს მთაზე“. (გორდეზიანი, 2005:24) ასევე „არკადიაში, კილენის მთის გამოქვაბულში დაიბადა

ზევისა და მაიას ვაჟი ღმერთი ჰერმესი, ღმერთების შიკრიკი“ (კუნი, 1960:47).

რასაკვირველია, მთაზე – მის სიწმინდეზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. როდესაც მცხოვარი მიმოდიოდა გალილეაში, ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ხალხს კურნავდა ყოველნაირი ავადმყოფობისაგან. მას დიდძალი ხალხი მოსდევდა. ამის შემდეგ ვკითხულობთ. 1. და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ და მოუხდეს მას მოწაფენი მისნი. 2. და აღიღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და იტყოდა: 3. ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. 4. ნეტარ იყვენენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ ივინი ნუგეშისცემულ იქმნენ. (მათე V, 1–2,3,4)

ამ არასრული მიმოხილვიდანაც ცხადია, რომ კლდოვან–ყინულოვანი საუფლო, შეიძლება ითქვას დამოუკიდებელი იდუმალებაა თავისი წმინდა ადგილებითა და გამოქვაბულებით. დავსძენს, რომ გამოქვაბული ალპური არეალშიც შეიძლება იყოს, მაგრამ ისეთ მიდამოში, სადაც კლდოვანი მიკროობიექტია, ოღონდ აქ ჯიხვი არ ბინადრობს. ამიტომ უწოდებენ ჯიხვებს სვანი მონადირეები „კოჯაშაროს“ – „კლდისანებს“, როგორც ითქვა, საჯიხვეთი მხოლოდ კლდოვან–ყინულოვან არეალშია...

ზემთ დასახელებული არსებების მსგავსად ამირანიც კლდეში შობილია. მისი მშობლებიც ამ საუფლოს მკვიდრნი არიან, ოღონდ გამოქვაბულისა. მკვეთრად უნდა გაემიჯნოთ ერთმანეთისაგან დალთა ლაშქარი, რომელიც მხოლოდ კლდოვან–ყინულოვანის ბინადარია, გამოქვაბულის დალისაგან. თუმცა მასალათა სიჭრელეც საგრძნობია. ამირანიანის სვანურ ვარიანტებში შეინიშნება მხოლოდ გამოქვაბულის დალი. დამოწმებული ჩანაწერებიდან ვიცით, გამოქვაბული ჩაკეტილია, დაფარულია. იგი მაინც ერთეულთათვის, კერძოდ, მონადირისა და მჭედლისათვისაა მისაღწევი, იქ მათ მიესვლებათ, მაგრამ კლდეს, გარდა გარედან შესასვლელი გამოქვაბულისა, აქვს კიდე უფრო ღრმა საიდუმლოება. ასე, მაგალითად, მთქმელი ელენე კვირიას ასული ჭელიძე, მცხ. ლენტეხის რაიონის სოფ. სასაში მოგვითხრობს, რომ „ჭუთხაროს კლდის შიგნით, შუა გულში, ბალხეთის მინდორია, იქ მუდამ ზაფხულია. ბალახი ისე მაღალია, რომ ადამიანს წელამდე სწვდება. შიგ ჯიხვთა ურიცხვი ჯოგი ძოვს, მინდორი თვა-

ლუწვდენელია. ერთ-ერთ მონადირეს ჯიხვებზე ნადირობისას გაეხსნა ბალხეთის მინდორში შესასვლელი კარები. მონადირემ შეიხედა და დაინახა, რომ ჯიხვთა მთელი ჯოგი ძოვდა ბალახს. კარების გახსნა და ჯიხვთა ერთდროული წამოსვლა კარებისაკენ ერთი იყო, უნდოდათო, - შენიშნავს მთქმელი, - რომ მონადირე კლდეზე გადაეგდოთ, მაგრამ კარები უმაღვე დაიკეტა. იმავე მთქმელის სიტყვით, ამირანი ბალხეთის მინდორში გაიზარდა. ის იყო მისი სანავარდო ბავშვობის დროსო. როგორც ვხედავთ, ჭუთხაროს მთასთან ღრმა საიდუმლოებია დაკავშირებული. მის შუაგულში ბალხეთის მინდორია, სადაც მარადიული ზაფხულია. აქ ღვთიური ცხოველები, ჯიხვები ძოვენ. იგი გამოქვაბულთან შედარებით გაცილებით ღრმა და ილუმინალი სივრცეა, შეუვალი. მასში მოკვდავთაგან, თუნდაც სახელგანთქმული მონადირე, წმინდა და მარხულიც, ვერ შეაღწევს. ადამიანის ფეხით იგი არ დაილახება, ზღურბლის გადაბიჯება შეუძლებელია. ბედნიერმა მონადირემ მხოლოდ წამიერად იხილა დიდი საიდუმლო, ალბათ სამოთხე თუ სამოთხისდარი სივრცე. რასაკვირველია, ეს იყო დიდი ღვთიური ჯილდო, მართალია, ზღურბლი ვერ გადალახა, მაგრამ რაღაც ამაღლებულს ეზიარა, სიტყვით უთქმელს. დავსძენთ, რომ ამირანიანის ცალკეულ ჩანაწერში, კერძოდ, გულუდანიისეულში, ბალხეთი უზარმაზარ მთად არის წოდებული. აქ ურად დევის ერთგული ვირი ბინადრობს, რომელიც იმხელაა, რომ ნახევარი მთა უკავია. კულზე ეყვანი აქვს მობმული. მისი ხმა სამი დღის სავალ გზაზე ისმის. როგორც ტექსტოლოგიურმა კვლევამ დაგვარწმუნა, ამ ჩანაწერში სხვა სიტუაციას ვაწყდებით. რასაკვირველია, კლდოვან-ყინულოვან არეალში საპირისპირო ძალებიც ბინადრობენ. ამირანის ღამოწმებული ვარიანტებიდან ვიცით, რომ ამირანის მამა ამირანი დევ-დედას გამოქვაბულში ყავს გამოძწყვდელი. სვანი მონადირეები ამჯერადაც მიუთითებენ მღვიმეზე, რომელშიც, რწმენის თანახმად, დევი ბინადრობს. ერთი სიტყვით, კლდოვან-ყინულოვან საუფლოს აქვს მთელი რიგი თავისებურებები“, ზოგადად კი ორივე საუფლო (ალპური, კლდოვანი) ერთიმეორეს ავსებს, ორივე ღვთის გამოცხადების არეალია. კლდოვანი მხოლოდ მონადირეთა დასალახავია, ალპურს კი პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. იგი სათიბადაა გამოყენებული. ამირანიანში მოქმედება ორივე საუფლოში მიმდინარეობს. როგორც

ითქვა, თითოეულს თავის სკენლები აქვს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა შევნიშნოთ, უფრო ზუსტად, დავემატოთ, რომ ჭკუთხაროს მთის შუაგულში ბალხეთის საიდუმლოებაა დაფარული. მრავლისმეტყველია მთქმელთა სიტყვები, რომ ბალხეთში თოვლი არ მოდის, მარადიული ზაფხულია. განსაკუთრებით კი ისაა საინტერესო, რომ ჭკუთხაროს შუაგულში, ანუ ბალხეთის მინდორში, ჯიხვთა უთვალავი ჯოგია. ჩვენ კი სხვა გადმოცემებიდან და სამონადირო ტრადიციებიდან ვიცით, რომ ჯიხვთა მუღმივი საბინადრო, როგორც წესი, მხოლოდ კლდოვან-ყინულოვანი საუფლოა. ამიტომ უწოდებენ მათ სვანი მონადირეები „კოჯაშარს“ (კლდისანებს). მართალია, ჭეშმარიტ მონადირეს ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც ძალუძს მისი დალაზვა, საბოლოოდ იგი ეზიარება კლდოვანის თითქმის ყველა საიდუმლოს, მაგრამ ბალხეთი, გადმოცემის მიხედვით, სულ სხვა განზომილებაა, სხვა სივრცე, ღრმად ჩაკეტილი და დაფარული. მთქმელთა სიტყვებით, იგი უსაზღვროა, თვალუწვდენელი და, როგორც ასეთი, ხომ არაა იგი მერუს მთის გვირაბის მსგავსად მიღმური სამყაროსკენ გამავალი სივრცე – ოღონდ ღრმად გასაიდუმლოებული? ბედნიერი მონადირე, ალბათ, ყოველნაირად მარხული და განწმენდილი, მისდაუნებურად აღმოჩნდა სამოთხის კართან. რასაკვირველია, აქ შემთხვევითობა უნდა გამოვრიცხოთ. ჩანს, რომ მართლაც ამ ბედნიერ მონადირეზე ძალიან დიდი ღვთიური მადლი გადმოვიდა. მას წამით გაეხსნა საიდუმლო კარები და შიგ შეიხედა. საინტერესოა, რომ ჯიხვთა მთელი ჯოგი სტვენით გამოემართა მონადირის კლდეზე გადასაგდებად, მაგრამ კარები სწრაფად დაიკეტა. როგორც ტექსტიდან ირკვევა, მონადირე მხოლოდ ნაწილობრივ, ალბათ, ფიზიკური თვალით დასანახავ ღონეზე გახდა საიდუმლოს მხილველი, ხოლო ჭეშმარიტი ეზოთერული იდუმალება კი ზღურბლის მიღმაა და იგი მონადირისათვის დაფარული დარჩა. უნდა დავასკვნათ, რომ კლდის სული მისსავე შუაგულშია და იგი მოკვდავისათვის შეუღწევადია. ამით სხვაობას იგი კლდისა და გამოქვაბულის ყველა საიდუმლოებისაგან. ბალხეთი, ცალკეული ვარიანტების მიხედვით ამირანის აღზრდისა და დავაჟკაცების საუფლოა. ე.ი. ამირანი კლდის სულიერ იდუმალელებსაა ნაზიარევი...

როგორც ითქვა, მთა თავისი შემოგარენით, გამოქვაბულებითა და სკენლებით გმირთა სამოქმედო, საბრძოლო ასპარეზია. აქედან

მთის მწვერვალი განსაკუთრებული ფუნქციებითაა წარმორჩენილი, იგი ინსპირაციის წერტილია. მოსეს აქ დაეხმინა ღმერთი, ასწავლა, როგორ უნდა მოქცეულიყო, უნდა განეწმინდა ხალხი... მთაზე ხდება მაცხოვრის ფერისცვალება, მზესავით გაბრწყინდა მისი სახე, ხოლო „სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, მსგავსი სითეთრი დედამიწაზე წარმოდგენელია, მასთან მოსე და ელია საუბრობდნენ. 3... ისინი გამოჩნდნენ ღიღებით და ლაპარაკობდნენ მის წასვლაზე, რომელიც იერუსალიმში უნდა აღესრულებინა (მარკოზ, V, IX, 3, 4).

საანალიზოდ წარმოდგენილ ჩანაწერებშიც მთაში მიმდინარე პროცესებია აღწერილი, გურჩიანისეულ ვარიანტში ამირანმა და მისმა ძმებმა მთის მწვერვალზე მიწას შეზრდილი ქვა ნახეს, რომელსაც ხერელებიდან ცხელი ორთქლი ბოლქვებად ამოსდიოდა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქალღანისეულ ვარიანტში? არაფერი ვიცით ბალხეთის მთაში ბინადარი ზღაპრულ ვირზე. ამიტომ გასაგებია, რომ ივას ოჯახიდან წასულ ძმებს ტყის არეალი უნდა გაეელოთ. აი, სწორედ ესაა სხვაობა. სამივე ვარიანტში უმთავრესია გზის აბნევა, ძმები სად უნდა წავიდნენ, არ იციან, მაშინ, ვკითხულობთ ქალღანისეულ ვარიანტში „ამირანმა დაიჩოქა თავისი ნათლია ქრისტე ღმერთის შესახვეწრად: – მაღლი ექნებაო, შეიცოდოსო მისი ნათლული, ნუ გაიძებებს ტყეში ასე უბრალოდ დასაღუპავად“.

ტყიდან გამოსვლის შემდეგ გამოჩნდა ბაყბაყ დვევის სახლ-კარი“. ტყესთან დაკავშირებული იღუმალეები, ფუნქციები და სხვა ვრცლადაა გამოკვლეული პროპის ნაშრომში და ციტირებისგან თავს ვიკავებთ (Пронин, 2000: 36-89) ასევე ზელენინის (ზელენინი, 1982:32-34). მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ტყეს თავისი გამგებელი ჰყავს, სვანურად „ცხეკიშ ანგლოზ“ – ტყის ანგელოზი. ამ არეალში კლდოვან-ყინულოვან და ალპური საუფლოსაგან განსხვავებით სხვაგვარ სიტუაცია და სირთულეებია.

თავი IV. ამირანის შობა.

ამირანის სვანური ვარიანტებიდან ვიცით, რომ დალი ნა-
ადრევ მშობიარობას ეწირება. შვილის გადამრჩენ მჭედელს
(ზოგჯერ მონადირეს), ეუბნება, რომ ბავშვი კუროს ტყავში შე-
ახვიოს, კუროს გული საწოვრად ჩაუდვას პირში და სამგასაყარ
გზაზე, უდაბურ ტყეში ან იამანის წყაროზე დატოვოს, დასვას.
ჩენ კონკრეტული საკითხი გვანტერებს, კერძოდ, რა მითოსუ-
რი წარმოდგენებია დაკავშირებული ტყავთან და ფაშეთან, რა
განსხვავებებია მათ შორის? პრობლემა ძალიან რთულია. ცალკე-
ულ ეპიზოდებს დავიმოწმებთ ძალიან მოკლედ.

წინასწარ იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ამირანის ჩასმა
ხარის ტყავსა ან ფაშეში დღემდე ცნობილ ვარიანტებში იშვიათია.
შეიძლება ითქვას გამონაკლისიც. ამ საკითხს პირველად რ. ჩხეიძემ
მიაქცია ყურადღება. მკვლევარი იმოწმებს ერთ-ერთ სვანურ ვერსიას,
სადაც „ქალღმერთი სთხოვს მონადირეს, მუცელი გამიჭერი, შვილი
ამოიყვანე ... სამი თვე დეკეულის ფაშეში შეინახე. სამი თვე კუროს
ფაშეშიო (აქვე შევნიშნავ, რომ, გარდა სვანური ვერსიებისა, ფაშეში
ჩასმა არ დასტურდება (ჩხეიძე, 1991:97). ამირანის სხვა მკვლე-
ვართა ნაშრომებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ამირანის
ტყავსა ან ფაშეში ჩასმა კანონზომიერი მოვლენა იყოს. სინამდვილეში
კი პირიქითაა. ჩვენ მიერ მოძიებული სვანური ვარიანტები ამ აზრი-
თაც გამოირჩევიან, მხოლოდ აქაა სრული სახით შემორჩენილი ახ-
ლად შობილი ამირანის ტყავსა ან ფაშეში ჩასმა, ე.ი. რაც დაკარგუ-
ლია სხვა კუთხის ვარიანტებში, შემონახულია სვანურ ჩანაწერებში.
გავეცნოთ რამდენიმეს, პირველ ყოვლისა, ქალღანისეულ, გურჩიანი-
სეულსა და გულღანისეულ ვარიანტებს. მათ ჩვენ მკვეთრად გამორ-
ჩეული სპეციფიკურობის გამო ვარიანტთა პირველი წრე ვუწოდეთ.
სამივე ჩანაწერში ანგელოზის შვილი ღმერთების მიერ ხარის ტყავ-
შია გამოხვეული და უღელტეხილზეა (ზეკარზე) დასმული, რომ ადა-
მიანად გარდაიქმნას. სხვა ჩანაწერებიდან მხოლოდ ეპიზოდებს და-
ვიმოწმებთ (განმეორებით).

პროფ. მიხ.ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებული სამი სვანური ვა-
რიანტიდან ერთ-ერთია № 56. „ამირანი“. მომაკვდავი დალი ეუბნება
მონადირეს: აიღე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე და ამოიყვანე ბავ-

ში. სამი თვე ღეკეულის ფაშვში შეინახე. შემდეგ სამი თვე კუროს ფაშვში, მეორე № 57 ვარიანტით, მომაკვდავმა ყარანმა უთხრა ქმარს: მუცელი გამიპე და ბავშვი გამომიღე, შემდეგ ჩვილი ბავშვი გაახვიე [უხედნი] ბუღას ტყავში, ბუღას გული საწოვრად ჩაუდე პირში“ მე-სამე № 58 ვარიანტით - „ამირანი ზღაპარი“. მომაკვდავი დალი ეუბნება მონადირეს: „გასაჭირი ჩემი მუცელი და გამოიყვანე ბავშვი. თუ ბიჭი დაბადოს, ამირანი დაარქვი...“

შეახვიე ბავშვი მოზვრის ტყავში და იამანის წყაროზე დასვი“.

სვანური პროზაული ტექსტების პირველ ტომში ამირანის ძალზე საინტერესო ვარიანტებია დაბეჭდილი. ერთ-ერთი ჩანაწერით („მჭედელი დარჯელანი“¹). მომაკვდავი დალი ეუბნება დარჯელანს: გამჭერი, ვაჟი მყავს.

„ახლა გაჭრა ამან და კუროს ტყავში შეახვია, და დასვა სამ-გასაყარ გზაზე“. (შანიძე, 1939:86-91).

საინტერესო აღმოჩნდა ალი დავითიანის ჩანაწერები. მათ ჩვენ დავითიანის კოლექციით მოვიხსენიებთ. ერთ-ერთი ვერსიით - „ამირან“, მომაკვდავი დალი ეუბნება დარჯელანს: „მუცელი გამიჭერი, შიგნით ჭაბუკი მიწევესო, შუბლზე მზე და მთვარე უნათებსო. ის გამომიღე და დაუკოდავ ბუღას ტყავში გაახვიე, და ბუღას გული საწოვრად ჩაუდევი პირშიო“ ჩანაწერში „ამირანის ზღაპარი“. მომაკვდავმა დალმა თვითონ დაწერა წერილი, რომ „ჭაბუკი - მოსანათლავი ქრისტესი, მისი გამზრდელი - ამანი, სახელი ამირანი. მოზვრის ტყავში შეახვიე ჭაბუკი, ეს წერილი ჩაატანე და უღრან ტყეში შეაგდეო“. (დავითიანის კოლექცია, 1958:3). ვარიანტით. „ამირანი“, როგორც ითქვა, ძალზე ორიგინალურია. „როცა შშობიარობის დრო მოვიდაო, დალ-დარეჯანმა დაწერა თავისი ხელით წერილი და მოახლე გოგო დაარიგა, რომ მოვიშშობიარო, იმ დროს ჩემი შვილი დაუკოდავ ბუღას ტყავში შეახვიე და შეაგდე დიდ უტებ ტყეშიო“. (მეოთხე). ჩანაწერში ასეთი ეპიზოდია: გამოქვაბულში მისულ მჭედელს დალი გაკვირვებით იტყვის: „შენ რა ვინდაო ჩემთან. ცოტა ხნის შემდეგ დანა მისცა, შე ქაჯო, გამჭერი“ და მოცლიდან გამოიყვანს ვაჟს. ამ ვაჟს თხის ტყავი შემოახვიე, სამ გზასაყარში დადევი. სახელად ამირანი დაარქვიო. (დავითიანის კოლექცია, 1978:).

ერთ-ერთ ლაშხურ ვარიანტში „მომაკვდავმა დაღმა უთხრა მჭედელ დარეჯანს, რომ ახლა მუცელში მყავს ამირანი, ოთხი თვე აკლავა მოშუშებას, დაკალი კურო-კამბეჩი და იმის ფაშეში შეახვიეო, კიდევ ერთი ლაშხური ვარიანტია საყურადღებო. - „ამირანი“. აქაც მსგავსი ეპიზოდია, თმაშეჭრილმა „დაღმა ამოიღო ოქროს ჯაყვა და უთხრა მჭედელს: გამჭერიო, მე მუცელში ვაჟი მყავს, კამბეჩის ტყავში შეახვიე, ოქროს აკვანში ჩააწვინე და იამანის წყაროზე დაღვი (ონიანი, 1979:123) ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე დალ-სვანეთის მხარეში ჩაწერილ ვარიანტში „ამირანი“ „ამირუ“ მომაკვდავმა დაღმა უთხრა დარეჯანს: „გამჭერი ცოცხლად შუაზე, მეყოლება ვაჟი, რომელიც მხოლოდ ექვსი თვისაა. ბავშვი მოზვერის ტყავში გაახვიე და დაღვი მონადირე ჯამანის (იგივე იამანი) წყაროზე (ხელნაწერი, 1989). ასევე მთქმელი ელენე კვირიას ასული ჭელიძე-ონიანისა რეპერტუარში (ამირანიანიდან მხოლოდ ფრაგმენტები ახსოვს) ამნაირი ეპიზოდია. გამოქვაბულში მისულ მონადირეს მკივანი დალი დახვდება და ეტყვის: „ჩემს შვილს, ამირანს, სამი წელი რომ ჩემ მუცელში დასცლოდა, მისი მოძრევი ქვეყანაზე არავინ იქნებოდა, ახლა მხოლოდ ერთი წლისაა და, რაც დედის მუცელში დააკლდა გამოშუშება, უნდა გამოშუშდეს კუროს ფაშეში.

რასაკვირველია, მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად მოხმობილით დაკმაყოფილდეთ. სრული სახით ნაადრევად შობილი ამირანის კუროს ტყავში ჩასმა ცამეტი ვარიანტშია დაცული, ფაშეში ჩასმა კი - ოთხ ჩანაწერში. სამეცნიერო ლიტერატურაში კი, პირიქით, უფრო მეტად ფაშეში ჩასმაზეა საუბარი და მათ შორის ფაშესა და ტყავს შორის რაიმე ფუნქციურ სხვაობაზე მინიშნებაც კი არაა.

ჩვენთვის ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ქართულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებზე დაკვირვება ააშკარავებს, რომ ჩვილი ბავშვის ფაშეში ჩასმის ტრადიციას საქართველოში ძალზე შორეული ფესვები აქვს. იგივე ითქმის ადამიანის ხარის ტყავში გახვევაზეც. დავსძენთ, რომ ხარის ტყავთან სულ სხვა მითოსური წარმოდგენებია დაკავშირებული და ფაშეთან სხვა. მათ კვლევას ხარის კულტამდე მიგყვართ და იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რწმენა-წარმოდგენებსა და ზეპირსიტყვიერ ძეგლებშია გავ-

რცელებული. ასე, მაგალითად, ასირიელთა რწმენით, ხარი მზისგანაა შობილი, ადრე კი მთვარესაც ასახიერებდა, მზესაც, მესოპოტომიაში მთვარის ღმერთის შვილი ხშირად ხარის იერსახეს ღებულობდა. ხარი სიმბოლურად მიწასაც განასახიერებდა, ხარი გარდამავალ არედაც მოიაზრება ცეცხლსა და წყლის სტიქიას შორის. იგი ცისა და მიწის კავშირის სიმბოლოა (კერლოტი, 1994:103). საინტერესოა, რომ ქალღანისეულ, გურჩიანისეულსა და გულღანისეულ ვარიანტებში ანგელოზის შვილი ღმერთების მიერ ხარის ტყავში იმიტომაც გახვეული და მთის მწვერვალზე დასმული, რომ ადამიანად გარდაქმნეს. (მთის ფუნქციებზე წინა თავებში გვქონდა საუბარი. აქ კი მხოლოდ იმას დავემატებთ, რომ რუსულში „Значение «гора» соотносится с значением «огонь», горем» (гора, как совместилище души: понятие же души соотносится с понятием огня)“ (მაკოვსკი, 1996:126). ამ აზრის დამადასტურებელი მაგალითები, შრომის ავტორ მაკოვსკის მოტანილი აქვს ინდოევროპული ენებიდან. მართალია, მთა ქართულში პირდაპირი მნიშვნელობით ცეცხლს, ალს, წვას არ ნიშნავს, მაგრამ ქალღანისეულ ჩანაწერსა და მის ვარიანტებში ძალიან საინტერესო ეპიზოდთან გვაქვს საქმე, კერძოდ, მთქმელის შენიშვნით, ტყავით, რომელშიც ანგელოზის შვილია გახვეული და მთაზე დასმული, ყველაზე დაყურებულა მზიან ადგილას, ე.ი. სადაც მზის მხურვალეაა ძლიერი, ხარი მზის განსახიერებაა, ცხადია, ხარის ტყავი, კონკრეტულ შემთხვევაში მზიური ნიშანთვისებებით წარმოგვიდგება, მასში გახვეული ყრმაც მზის შვილია გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა ივა მამამ ხარის ტყავი გახსნა, ლამპარით მანათობელი ვაჟი გადმოხტა, გადმოეშვა და ფრენა დაიწყო, ე.ი. ტყავი მშობელი საშოა, საიდანაც ადამიანად გარდაქმნილი ყრმა იშვა. ასე რომ, არაა შემთხვევითი, ღმერთების მიერ ხარის ტყავში გამოხვეული ანგელოზის შვილის მთაზე დასმა, ვინაიდან თავად მთაა ცეცხლის ენერჯის მატარებელი, მასში მარადჟამული ცეცხლია. ქალღანისეული და მისი ვარიანტების შესავალიდან ვიცით, რომ ამირანმა და მისმა ძმებმა მთაზე მიწას შეზრდილი ქვა ნახეს, რომლის ხვრელებიდან ცხელი ორთქლი ამოდიოდა ბოლქვებად. როცა მას საფუძველი მოუჩხრიკეს, ცხელმა ალმა იფეთქა, შენიშნავს მთქმელი. ამირანი ღმერთს შეეხვეწა, დახმარებოდა. ქრისტე ღმერთმა ციდან სველი ნა-

ბადი გადმოუვდო, ამირანი ჩაეშვა მთქმელის შენიშვნით, ნაბადი დაიწვა და ამირანი კი გადარჩა. ეს ეპიზოდი ცალკე იქნება განხილულ... ამჯერად მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ მთას გარეგნულადაც და შიგნითაც მრავალნაირი იღუმალება ახლავს, ერთ-ერთი ისაა, რომ მასში მარადიული ცეცხლია. მას ხარის ტყავიდან შობილი ყრმა, ამირანი, ეუფლება.

ირაკვევა, რომ ქართველი ხალხის უძველეს რელიგიურ რწმენა – წარმოდგენებში განსაკუთრებული ადგილი ცისა და მიწისადმი თაყვანისცემას ეკავა. ასე, მაგალითად; აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ვკითხულობთ, რომ „კოლხებს წესად არ ჰქონოდათ მამაკაცთა გვამის დაწვა ან დამარხვა. მამაკაცთა გვამებს გამოუქნელ ხარის ტყავში ახვევდნენ და [ხეებზე] ჩამოჰკიდებდნენ. დედაკაცთა გვამებს კი მიწას აბარებდნენ“.

როდესაც არგონავტებმა მოაღწიეს კოლხეთს, კერძოდ, აიეტ მეფის საბრძენისს, თათბირი გამართეს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

„აქ, კირკონად წოდებულ ველზე, შეჩერდნენ. ერთ გორაკის თავზე

უხვად იხილეს ძეწნა ტირიფი – გაშლილ ველზე და მდინარის

პირას.

მალლა ტოტებზე თოკით მიკრული იყო გვამები მიცვალებულთა.

კოლხებს დღესაც კი თავზარსა სცემთ და ცოდვად მიუჩნა

გვამების დაწვა,

არც შავ მიწაში მარხავს კაცსა, რომელზეც ყორღანს აღმართავენ

მერე, – ჯერ გაახვევენ ახლად დაკლულ ხარის მოუქნელ

ტყავში გვამს და

მერე ჰკიდებენ მალლა ხეებზე, მყუდრო ჭალებში, ქალაქგარეთა.

მაგრამ ჰაერის კიდევან მიწაც იღებს თანაბრად იქ თავის წილსა,

რადგან ქალებს, რომ მოკვდებიან, მიწის წიაღში აძლევენ ბინას,

ასეთი არის ამ ქვეყანაში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი“.

(აპოლონიოს როდოსელი, 1975:122)

რასაკვირველია, არაა სადავო, რომ ძველ კოლხთა რწმენა-წარმოდგენებს, ზნე-ჩვეულებებს: მიცვალებულ მამაკაცთა გამოუქ-

ნელ ხარის ტყავში გახვევას და ხეებზე ჩამოკიდებას ცისადმი თაყვანისცემა უდევს საფუძველად, კონკრეტულ შემთხვევაში კი ისაა საინტერესო, რომ ეს ხდება ქალაქგარეთ, მყუდრო ჭალებში, იმავე წმინდა ადგილებში, სადაც ადამიანის ცოდვილიანი საწუთროს ნალახი ფეხი არ დაიდგმის. ამ ჭალებში წმინდა ხეებია. აქ მიცვალებულ მამაკაცთა გამოუქნელ ხარის ტყავში გახვევა და ხეებზე ჩამოკიდება სიმბოლურად უნდა ნიშნავდეს მამაკაცთა სულების ცისკენ ზეალსვლას. ე.ი. ცა თავის წილს ღებულობს, მიწა კი თავისას და ამიტომ ქალებს მიწაში მარხავდნენ. აქედან გამომდინარე, ძალზე საინტერესოა თვით სახელწოდება დედამიწა - დედათა მიწა.

როგორც აღინიშნა, „ამირანიანის“ ვარიანტთა უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით კი სვანურ ჩანაწერებში, ახლად შობილი ამირანი კუროს, მოზვერი, ბუღას (ასეთი სახელწოდებებია ტექსტებში) ტყავშია გახვეული და ბუღას გული საწოვრად აქვს პირში ჩადებული. ცხადია, როცა მთქმელი ასე დაკონკრეტებით მიუთითებს ბუღაზე, მოზვერზე, იგულისხმება არა მარტო ცხოველის სიწმინდე და სიძლიერე, არამედ ღვთიურობაც. ამირანიც ადამიანთა საცხოვრისში ამგვარი სიწმინდით“ ხელმეორედაა შობილი. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ კურო ღვთიურ ცხოველად იყო მიჩნეული, მას ხალხი განსაკუთრებული პატივითა და კრძალვით ეპყრობოდა. ასე, მაგალითად, „კოპალას ჰყავდა ბლომად კურეტები, ხალხი ცოცხლად სწირავდა ერთი წლისას და მეტისასაც. შეწირული კურეტები გაეროდნენ ძველ კურეტებში. ზაფხულობით მიუდიოდათ მთაში... კურეტები ინახებოდა სიბერემდინ, მათი დაკოღვა არ შეიძლებოდა (ხესურეთში, ლიქოკში კი კოღავდნენ და ისე ინახავდნენ) აქაური კურეტები ისე ავდებოდნენ, რომ გარეული ცხოველივით დადიოდნენ სოფელ-სოფელ და საძოვარ მთებში დაეძებდენ ნახირს... კურეტს ვერ დაკლავდნენ, თუ კოპალას ბრძანება არ იქნებოდა. ხევისბერს ხატი გააგებინებდა, რომელი კურეტი უნდა დაკლულიყო და ის გამოუცხადებდა ყმათ. კურეტს დაკლავდნენ წმინდა დღეებში, შობას, სხვა დღეებში არ კლავდნენ. ზოგი კურეტი ხუთმეტ-თექვსმეტ წლამდინ რჩებოდა დაუკლავი და სწორედ ისინი დადიოდნენ გააგებულები. კოპალას კურეტს ადვილად ვერც ნადირი ეცემოდა თავს: შენ განა კოპალაის კურეტი ხარ, რომ ვერე დადიხარ თავისუფლად“ (ოჩიაური, 1991:125).

ამონაწერი მრავალმხრივია საინტერესო. ირკვევა, რომ კურეტი ღვთიურ გამგებლობაშია. მისი მომვლელი, ანუ მწყემსი, მეკურეტი, ღვთის მსახური, ხოლო ხევისბერი ღვთის ნების აღმსრულებელია, მას ხატი, იგივე ღმერთი, გააგებინებდა, რომელი კურეტის დაკვლა, შეწირვა უნდა აღსრულებულიყო მხოლოდ შობას, ე.ი. ყველაზე წმინდა დღეს იკვლებოდა ყველაზე წმინდა ცხოველი, კურეტი იყო შემთხვევები, რომ ხევისბერები და დასტურები გადაწყვეტდნენ ხნიერი კურეტის დაკვლას. ამ შემთხვევაში დაკვლა ხდებოდა გიორგობა დღეს ე.ი. მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა წმინდა დღესასწაულებში, განწმენდილ, ხელმზარგანათლულ ადამიანებისგან, ცხადია, ხატის უშუალო ბრძანებით. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ამირანიანის ვარიანტებშიც ჩვილი ამირანი ასეთი წმინდა ღვთიური ცხოველის ტყავში ღებულობს ფიზიკური სისრულესა და უძლეველობას, შეუპოვრობას. რასაკვირველია ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფოლკლორულ—ეთნოგრაფიული ძეგლები არ წარმოადგენენ გამონაკლისს. ასე, მაგალითად, სვანეთში შეწირული საქონელი სქესის მიხედვით ატარებდა ღვთაების ან წმიდანის სახელწოდებას. ხარს „ფუსნაის“ უწოდებდნენ. იგი შეწირული იყო სამყაროს შემქმნელი და ბატონ—პატრონი დიდი ღმერთის, სვანურად „ხომა ღერბეთ“, „ფუსნბუასდიშ“ — მეუფე სამყაროს, იმავე მამაღმერთის სახელზე. „გერგაი“ — წმინდა გიორგისადმი შეწირული მოზვერია. „ლაპრია“, - წმინდა მარიამისადმი შეწირული, ასევე „ბარბლაი“ - წმინდა ბარბალეს ცხოველი და სხვა. შეწირულის დაკვლა არ შეიძლებოდა, მას ადამიანები დიდი კრძალვით ეპყრობოდნენ. „ფუსნაი“ და „გერგაი“ კუროებად იყვნენ გაშვებული. მათი დაკოდვა არ შეიძლებოდა, ცხადია, როგორც ღვთიურ ცხოველებს, მათ უღელსაც არავინ ადგამდა. როგორც მოქმელები მიუთითებენ, მათ ჯოხსაც ვერავინ მოუღერებდა. „ამგვარი ცხოველის არსებობას განაგებდა უზენაესი ღმერთი, მის მშობელ ძროხას მუსხუი ეწოდებოდა“, რასაკვირველია, ისიც წმინდა ცხოველად იყო მიჩნეული. ხალხური გადმოცემით, „ფუსნაბუასდიას სურვილზე იყო უშუალოდ დამოკიდებული „მუსხუის დამაკება“, ე.ი. ღვთიურ ცხოველთა დაბადებასა და გამრავლებას განაგებდა უზენაესი ღმერთი. ამგვარად შობილ ცხოველებს „უსხებს“ უწოდებდნენ და ისინი ღვთიურებად იყვნენ მიჩნეული. მათზე

ადამიანს არანაირი უფლება არ ჰქონდა. ისინი ღვთის ნებას იყვნენ დამორჩილებულები. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ სვანეთში „ღლეობა – ახალწელიწადს მეკვლეობის რიტუალში ხარი მონაწილეობდა, როგორც დიდი ღმერთის ცხოველი, ახალწელიწადის გარეშეც სვანების ძველ ყოფაში ხარი „ფუსნაჲ ღმერთის ცხოველის სახელწოდებით იყო ცნობილი – დიდი ღმერთის რჩეულ და საყვარელ ცხოველად ითვლებოდა“ (ბარდაველიძე, 1953:118-125)

„ამავე დროს, გაველურებული და დიდი ნაყოფიერების ძალით დაჯილდოებული ხარების და ძროხების, ანუ „უსხებისა“ (სვანურად „უსხუარ“) და მუსხვების (მუსხუიარ) თაყვანისცემა არსებობდა. ამ უკანასკნელს ჩვენ ვამოწმებთ გვიან დრომდე გადმონაშთის სახით შემონახულ ორ დღესასწაულში. აქ მთავარი ადგილი შეწირულ ხარებს ეჭირა და მათი დღეობის უმრავლესობა პირდაპირ ხარის სახელს ატარებდა. ასეთი დღესასწაულები იყო. „წანობ“, ხარობა, ხარის დღეობა – უფლის ხარის დაბადების დღეობა, „წანრი ლესკრობ ხარიბის ლესკრობა, „ფუსლა წანი ლითუალ“, უფლის ხარის (უნდა იყოს უზენაესის, დიდი ღმერთის) დაბადების დღეობა, „ლუნობ“, ანუ „ლილნუარი“, ხობა, ხოს დღეობა, „ფუსნა ლიტბლიერ, შეწირული ხარის (ფუსნა) ტაბლობა, ვუისხობ“, ანუ „ლუისხუ“, ანუ – უსხობა. უსხის დღეობა, უისხო თმობის დღე და მისთ. ხარის კულტში განსაკუთრებით დიდ როლს „უსხუი“ თამაშობდა. დამოწმებულა, რომ ახლო წარსულშიც კი თითოეულ თემს, თითოეულ სოფელს და ე.წ. ლასკარს თავისი „უსხი“ ჰყავდა. ხარების დღეობაში „უსხები“ გაჰყავდათ თემის ან სოფლის მოედანზე და იქ დიდი ზემოთ მათი ბულრაობა იმართებოდა. (ბარდაველიძე, 1953:119).

ამ რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა სვანური „ლილე“, აქ დასახელებულია უზენაესი, ანუ დიდი ღმერთი, და მისი წმინდა ოქროს რქიანი ხარები, მის სახელზე შეწირულები. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ვკითხულობთ:

„ოო, დიდება, დიდება უზენაეს ღმერთს,
ზღუდე გარტყია ოქროსი.
ოქროს სამკალით სავსია
შენი შეწირული ხარები,
რქები ედგათ ოქროსი,

მოედანი გადატყაული ექნებათ...
დიდება მოსვლოდეს შენ ძალას!
შენს დიდებას არაფერი გვირჩევნია“.

ერთ-ერთ ვარიანტში უსხებიცაა ნახსენები, ასე, მაგალითად.
შეწირული შენი ხარები,
მანხფერს ქედზე ბულრაობენ,
მოედანი გადატყაული აქვთ
ნაბურავები ხარებისა... და ბოლოს.
მოედანი გადატყაული აქვს
უსხების დაკვლით.“
(ქართული, 1972:286)

როგორ აღინიშნა, უსხები ორგვარი იყო, შეწირული და უსხად დაბადებული. „საუკეთესო ხარს დიდი ღმერთის სახელზე შესწირავდნენ. შეწირვის მომენტიდან უღელს არ დაადგამდნენ, არ ამუშავებდნენ, განსაკუთრებით უვლიდნენ, თითქმის ყოველდღე ბანდნენ და ასუფთავებდნენ, განსაკუთრებით კვებადნენ და ავი თვალისაგან იცავდნენ. მაგალითად, წყლის დასალევეინებლად საღამოს, ბინდის ხანს, გაიყვანდნენ, – ავი თვალი ვერ შეხედავს და ვერაფერს ავნებსო. თუ ოჯახს ასეთი შეწირული „უსხი“ ჰყავდა, მაშინ ახალ წელიწადს მეკვლეს ეს „უსხი“ უნდა ჰყოლოდა. სხვა შემთხვევაში მეკვლედ გამოდიოდა საუკეთესო ხარი, რომელიც ოჯახს გააჩნდა“. (ბარდაველიძე, 1953:119)

დამოწმებული ციტატა მცირე კომენტარს საჭიროებს: როდესაც საუბარია „უსხის“ ან საუკეთესო ხარის მეკვლეობაზე ახალ წელიწადს, ასეთი რამ იგულისხმება: ოჯახის მეკვლე ახალი წლის დილას, გამთენიისას, ზორავით დატვირთული გამოემართებოდა სახლისკენ, იგულისხმება სვანური მაჩუბი“, კარებთან დადგებოდა და დაიძახებდა.

„კარი გამიღე, ბედნიერო!“ სახლიდან გამოეპასუხებოდნენ:

რა მოგაქვს, ბედნიერო?

მთავარი ღმერთის მადლი და წყალობა,

მატება და ზრდა, ბედი და ბარაქა“.

(მთქმელი შალვა სტეფანეს ძე ონიანი, 1972)

ამის შემდგომ გააღებდა კარებს და პირველად „უსხს“, ანუ საუკეთესო ხარს, შეუშვებდა. მეკვლე კი უკან მიჰყვებოდა. საახალწლო მილოცვის ეს ტრადიცია ძალზე საინტერესოა. ცხადია, კანონზომიერია კითხვა: რატომ უნდა შესულიყო პირველად „უსხი“ „მარუბში“?, რა შეიძლება იყოს ამგვარი ზნე-ჩვეულების საფუძველი? ჩვენ ვიცით, რომ „ფუსნაი“ და უსხები წმინდა ლეთიური ცხოველები არიან. ადამიანს არანაირი უფლება არ აქვს მათზე. ისინი მხოლოდ დიდი ღმერთის ნებასურვილს ემორჩილებიან. მათი გამრავლებაც უზენაესის სურვილზეა დამოკიდებული. ასე რომ, ისინი არ არიან ჩვეულებრივი ცხოველები, ამიტომაც, რომ ხალხი მათ დიდი კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობა. მეკვლის მიერ საახალწლო მილოცვის სიტყვები უფრო მეტ დაკვირვებას საჭიროებს, მისი იღუმალება ისაა, რომ სვანთა რწმენით, ოჯახში პირველად ღმერთი შედის, მეკვლე კი ამ ძალას მიჰყვება ე.ი. ღმერთს...

სვანების რწმენით, მეორეგვარი „უსხი“ წმინდა ძროხისაგან, ე.წ. „მუსხუი“—საგან იბადება. როგორც ჩანს, იგი ოდესღაც წარმოდგენილი იყო როგორც წარმომშობი ძალის მქონე ღვთაებრივი ცხოველი. სვანების ძველი რწმენით, „მუსხუის“ დამაკება უსხებით დიდი ღმერთის სურვილით ხდებოდა. ის მუსხუებს მაშინ ამაკებდა, როცა უსხების ყოლა მოესურვებოდა. დაბადების მომენტიდან ეს ცხოველი თავისი მშობლის მსგავსად „წმინდა იყო, მას არც დაკოდავდნენ, მის წინაშე დიდ მოკრძალებას იჩენდნენ, განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ცუდი სიტყვით უსხის მოხსენიება, მით უფრო მისთვის ჯოჯის მოღერება, მისი გაგდება ყანიდან, ყოვლად დაუშვებელი იყო და დიდ ცოდვად ითლებოდა. ის სრულიად თავისუფლად იყო გაშვებული და თავისი სურვილით, სადაც უნდოდა, იქ წავიდოდა. მას შეეძლო ყანაში შესულიყო, ყანა გაეთელა და სრულიად ამოეგდო — ვერც ყანის პატრონი, ვერც სხვა ვინმე ამის გამო ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა. ამგვარად, უსხი ველურდებოდა. ხშირად გახელებული, გაგარეულებული უსხი დარბოდა სოფელში და მოსახლეობას შიშის ზარსა სცემდა. ყველანი ცდილობდნენ, მას მორიდებოდნენ, გასცლოდნენ, დამალულიყვნენ სადმე, ვინაიდან ეს მძლავრი ცხოველი ადამიანებს ერჩოდა, მძიმე ჭრილობებს აყენებდა და ფეხით სთელავდა. ამავე დროს, სვანს დიდ ბედნიერებად მიაჩნდა, როცა უსხი მის საჭონელში გაერე-

ოდა. საქონელში უსხის გარევა, სვანის რწმენით, ნახირს ავი სულები-საგან იცავდა და, ამასთანავე, საქონლის გამრავლებასა და მისი პატრონის ოჯახში დოვლათისა და ბარაქის გაღიდებას იწვევდა. უსხს სვანები სიბერემდე არ დაკლავდნენ, ხოლო მისი დაკვლა ისე, როგორც ყოველი ხარ-ძროხისა. მხოლოდ კვირა ღლეშ შეიძლებოდა“. (ბარდაველიძე, 1953:120)

სვანური გრაფიკული ხელოვნების ნიმუშებიდან და ზემოთ აღწერილი საახალწლო ზნე-ჩვეულებებიდან „ირაკვევა, რომ ცხოველთა კულტი, რომელსაც ეს მასალა ასახავს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემასთან. ამაზე მიუთითებს სვანების რწმენა, რომ ხარი „ფუსნაჟ დიდი ღმერთის რჩეულსა და საყვარელ ცხოველს წარმოადგენდა. ამგვარ კავშირზე ლაპარაკობს ისიც, რომ ეს ხარი, ერთი რიგის უსხეები და ძროხა „მუსხაუი“ ფუსნაბუასდღას სახელზე შეწირული ცხოველები იყვნენ, ხოლო მეორე რიგის უსხეები „მუსხუი“-საგან იბადებოდნენ“ (ბარდაველიძე, 1953:124).

რასაკვირველია, დამოწმებული მასალებით სვანური რწმენა-წარმოდგენები, ზნე-ჩვეულებები გამონაკლისს არ წარმოადგენს. იგი დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასე, მაგალითად, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხარის ღვთაება კვირიასა და ღმერთის სახელზე, სამეგრელოში ძროხის ღვთაება სამგარიას სახელზე და ასე სხვა, თიანეთის რაიონში, სოფელ ჟებოტაში საგანგებო ხატიც კი არსებობდა, რომელსაც ფურების ხატი ეწოდებოდა“. (ბარდაველიძე, 1953:124).

„შეწირულ ცხოველებთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მკვეთრად გამოიყოფოდა ერთმანეთისაგან შეწირული ცხოველები; სამსხვერპლო ცხოველები, თუმცა შეიძლება ერთი და იგივე ცხოველი, მაგალითად ხარი, ძროხა, ქათამი, ზოგან შეწირული ყოფილიყო, ზოგან - მსხვერპლად მიტანილი, ამ შემთხვევაში სამსხვერპლო ცხოველს გარკვეული რიტუალის შემდეგ დაკლავდნენ. ამგვარი რიტუალი შემდეგნაირად სრულდებოდა: სამსხვერპლო ცხოველს სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიის ირგვლივ. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი „მახვში“, რომელიც საგანგებოდ უნდა ყოფილიყო მარხული და გან-

წმინდილი ამ დღესასწაულისათვის, შეაჩერებდა სამსხვერპლოს, პირს აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნებდა და ღვთისადმი სავედრებელ სიტყვებს წარმოთქვამდა. ღმერთს შესთხოვდა ოჯახის ბედნიერებას, სიმრავლეს, ჯანმრთელობას, ბედს, ბარაქას, საქონლის სიმრავლეს და სხვა. ლოცვის აღსრულების შემდეგ სამსხვერპლო იკვლებოდა. შეწირული ცხოველს კი (ან მამალს) ხატში გაუშვებდნენ, რის შემდეგაც იგი წმინდა ცხოველად ითვლებოდა. რწმენის თანახმად, მას ვერც ნადირი წაახდენდა“ (თოფურიძე, 1946:18).

როგორც ვხედავთ, ძალზე საინტერესო რწმენა-წარმოდგენებთან გვაქვს საქმე. იგი კიდევ უფრო სიღრმისეულად წარმოგვიჩენს ამირანის ტყავში ჩასმის საიდუმლოებებს. მართალია, დღემდე ცნობილი ვარიანტიებიდან მხოლოდ კახურშია ცნობილი ფაშვში ჩასმა, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალა კი საგრძნობლად მრავალფეროვანია და იგი მნიშვნელოვნად გვეხმარება პრობლემის სწორად გააზრებაში. მათ დამოწმებას საქმეში მეტი სიცხადე შეაქვს და საკვლევი საკითხიც მეტ გარკვეულობას იძენს. მოტანილი მასალით ვრწმუნდებით, რომ შეწირული ცხოველს იცავს იმ სალოცავის ღვთიური ძალე და ძალა, რომლის სახელსაც ცხოველი ატარებს, მაგ., ფუსნაი, ბარბლაი, მათი სახელობის სალოცავი, მიდამოც ღვთაებათა საბრძანისია, იქ შესვლა ყველას არ შეუძლია. ადამიანიც წმინდა უნდა იყოს და ცხოველიც, ხოლო თვით ბინადარი ამ მიდამოსი ღმერთთანაა წილნაყარი, მას ეკუთვნის და მისივე ნებასაა დაქვემდებარებული. შეწირულ ცხოველს ხომ სალოცავის მიდამოში გაუშვებენ, იგი უკვე აღრაა ადამიანის კუთვნილება. მას უშუალოდ ღმერთი მფარველობს. სწორედ ასეთ წმინდა ცხოველს სცემს ხალხი თაყვანს და მას არავინ უყურებს, როგორც ცხოველს. ადამიანები მასში ხედვენ ღვთიური ძალის უშუალო გამოვლინებას. ამიტომაც, რომ, თუკი ასეთი ცხოველი სალოცავის ტერიტორიიდან გასული დაინახეს, თავს ვალდებულად მიიჩნევენ, ისევ სალოცავი ეკლესიის მიდამოში შეიყვანონ, რათა რაიმე საფრთხე არ დაემუქროს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რწმენა: თუ ასეთი შეწირული ცხოველი ბალახს ძოვს ჩვეულებრივ საქონელთან, ამ საქონლის პატრონი თავს ბედნიერად მიიჩნევს. ასეთ იშვიათ შემთხვევას იგი ღვთის წყალობად შერაცხავს, როგორც საქონლის გამრავლებისა და მფარველობის, ისე ოჯახის წევრთა ჯანმრთელობისა

და ბედნიერებისთვისაც: „ოჯახს ღვთის თვალი ადგასო“. სვანთა რწმენით, ასეთ ცხოველში ღვთაებაა განსახიერებული. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ახალ წელიწადს ოჯახის მეკვლე შინ წმინდა ხარს შეუშვებს, თავად კი უკან მიჰყვება. ამას უნდა ნიშნავდეს ოჯახის მეკვლის სიტყვები კითხვაზე:

„რა მოგაქვს, ბედნიერო,
მთავარი (ღიღი) ღმერთის წყალობა“... (ბარ-
დაველიძე, 1953:103)

ე.ი. ფუსნაბუასლიას, სამყაროს მეუფის – მამაღმერთის წყალობა და მადლი. ასეთია ფუსნაი-ხარი.

როგორც ითქვა, საქონლის შეწირვა წრიული მოძრაობით ხდებოდა, სალოცავ ეკლესიას ირგვლივ შემოუვლიდნენ. ასეთივე წრიული მოძრაობა სრულდებოდა ადამიანისადმი ცხოველის შეწირვის დროსაც (უმეტესად ბავშვზე). სვანეთში ასეთი იყო ხბო, რომელსაც ბავშვს თავზე სამჯერ წრიულად შემოატარებდნენ. ამგვარად შეწირულ ცხოველს არქმევდნენ ღვთაებათა სახელებს. ცხადია, ისიც წმინდა ცხოველად იწოდებოდა. სვანთა რწმენით, ასეთი ცხოველი შეიძლება დაღუპულიყო, კლდეზე გადავარდნილიყო ან ნადირს დაეგლიჯა. ამ შემთხვევაში ოჯახი დარწმუნებული იყო, რომ შეწირული ცხოველი ადამიანის მაგივრად დაღუპული და მის ნაცვლად მეორეს შეუთქვამდნენ. როცა ამგვარ ზნე-ჩვეულებებს ვეცნობით, ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ამგვარად შეწირულსა და ღვთაებისადმი შეწირულს შორის საგრძნობი განსხვავებაა. შეიძლება გვეფიქრა: ან ხომ არაა ვარაუდის დონეზე დასაშვები, რომ სხვაობა მივიჩნიოთ გარდამავალ საფეხურად ღვთაების სახელზე შეწირულსა და სამსხვერპლო ცხოველს შორის. დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანისადმი შეწირული ცხოველი არ გამოირჩევა დანარჩენისაგან. იგი კონკრეტული ოჯახისთვისაა წმინდა ცხოველი. მას სოფელი არანაირ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს. დავსძენთ, რომ თითოეულ ოჯახს ასეთი შეწირული ცხოველი ჰყავს ერთი, ორი ან მეტიც. ეს დამოკიდებულია ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. ძალზე იშვიათი შემთხვევა იყო ადამიანისათვის შეწირული ცხოველის დაკვლა. დასტურდება შემთხვევებიც, რომ ოჯახი შეწირულის ხორცს არ ეკარებოდა, განსაკუთრებით ის, ვისადმიც იყო შეწირული (ამის მოწმე

თვით ამ სტრიქონების ავტორიც არის). უმეტეს შემთხვევაში შეწირული ცხოველი სიბერემდე ვერ აღწევდა. თუ ძალზე დაბარდებოდა, ჭეშმარიტად მორწმუნე ტრადიციული ოჯახის სასოებით უვლიდა, მკურნალობდა, მანამ, სანამ ბუნებრივი სიკვდილით არ მოკვდებოდა. ასეთი შემთხვევა კი ოჯახის ბედნიერების ნიშანი იყო. რწმენის თანახმად, ვისზეც იყო ცხოველი შეწირული, მას ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერი ცხოვრება ელოდა. ხალხს მიაჩნდა, რომ ეს ადამიანი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, რასთან შეწირული ცხოველი ღრმა სიბერემდე აღწევს და კვდება ბუნებრივი სიკვდილით. ეს იმას ნიშნავს, რომ ვისზეცაა შეწირული, მას არ მოეღის ავადმყოფობა თუ ფათერაკები. ეს კი პირველი ღვთიური ნიშანია ოჯახის ბედნიერი მომავლისა. ცხოველის შეწირვას წრიული მოძრაობით ეკლესიის ირგვლივ და ასევე ადამიანის თავზე შემოვლებით საგანგებოდ განიხილავს ვერა ბარდაველიძე და ძალზე საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს. „წრიული მოძრაობით შეწირვის წესის დანიშნულება ღვთაების ბუნების, მისი ძალის გაზიარება იყო. ამას ისიც ამტკიცებს, რომ შეწირვის მომენტიდან ცხოველს სახელი ეწოდებოდა“. ცოტა ქვემოთ ავტორი დასძენს, რომ „ეს ფაქტი იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ, ქართველების ოდინდელი რწმენით, შეწირულ ცხოველებში შესაფერისი ანთროპომორფული ღმერთები სახიერდებოდნენ ანდა შეწირული ცხოველები სათანადო ღვთაებების ბუნების, მათი თვისებებისა და ძალის თანაზიარანი ხდებოდნენ. მათი კულტის განვითარება ამ ნიადაგზე ხდებოდა, წინააღმდეგ თავდაპირველად არსებული ვითარებისა, როდესაც ცხოველთა სამყაროში რაიმე ნიშნით (მაგალითად, სიდიდით, ნაყოფიერებისა და გამრავლების დიდი უნარით) გამორჩეულ ზომომორფულ სახეს, როგორც ასეთს, ღვთაებად სახავდნენ და თაყვანს სცემდნენ“ (ვ.ბარდაველიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 226). თქმულიდან გამომდინარე, ცხოველს თაყვანს სცემდნენ, არა როგორც ცხოველს, არამედ როგორც ღვთაების განმსახიერებელს.

მკვლევარი დასკვნის სახით დასძენს: „სვანების ძველი რწმენა, რომ მუსხუის მაშინ დამაკდებოდა, როცა უსხების ყოლა მოესურვებოდა და ამგვარ რწმენასთან ერთად სვანეთში უფლის ხარის საგანგებო დღესასწაულის (ფუსნაჲ ჴანი ლითუალ) არსებობა აშკარად

მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი რჩეული ხარი ჩვენი ხალხის ასტრალური წარმოდგენით, დიდი ღმერთის, ანუ სამყაროს პატრონისაგან წარმოშობილ ცხოვლად იყო მიჩნეული“ (ბარდაველიძე, 1953:118).

ამ ვრცელი ამონაწერიდან აშკარაა: ღვთისადმი შეწირული ცხოველის, კონკრეტულ შემთხვევაში ხარისადმი თაყვანისცემა ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ყველა მხარესა თუ კუთხეში, მთასა და ბარში, მაგრამ იგი უფრო არქაული ფორმით შემორჩენილია საქართველოს მთიანეთში.

პრობლემა ძალზე ფართოა. ამიტომ ვიფარგლებით ქართული მასალებით, რომლებსაც, რასაკვირველია, ეძებნება პარალელები სხვა ხალხების ფოლკლორსა თუ ეთნოგრაფიულ ძეგლებში. პროფ. ზ. კიკნაძე ვრცლად მიმოიხილავს კვრივის აღმოჩენის შემთხვევებს და მიუთითებს, რომ კვრივი ადგილების აღმოჩენა არაა დამოკიდებული ადამიანის ნებაზე, უფრო მეტიც, იგი ადამიანისათვის გაუგებარია, მოულოდნელიც. „თუ ცხადია, ის ადამიანი თავად არ არის დაჭერილი ჯვარის მიერ და არ მოქმედებს ჯვარის ნებით... კვრივი ადგილის მიგნება მინებებულაა უგნური არსების გუნებაზე, რადგან გუმანია ერთადერთი შეუცდომელი. ცხოველის ალლო, გუმანი, რომელიც ცხადდება მის ქცევაში, მოძრაობაში, სვლაში – არის ის არხი, რომელშიც უნდა იდინოს ღვთიურმა ნებამ (ქართულ მითოლოგიაში ასეთებია: ხარი, ყორანი, მტრელი. (კიკნაძე, 1985:35).

საქართველოში უამრავი გადმოცემაა, თუ როგორ აგნებს ან ჩერდება თავის ნებაზე გაშვებული უღელი ხარი იმ ადგილას, სადაც უნდა აშენდეს ეკლესია. ამგვარად იქნა „აღმოჩენილი“ ლენტეხის რაიონში ერთერთი ადგილი, სადაც აშენებულა ისკალის ეკლესია და „კალის“ ზემოთ ლაგურკას ადგილი“. პირუტყვის გაუაზრებელი ქმედება, სვლა გადაწყვეტს ხალხის საგონებელს, რადგან პირუტყვის სვლასა და შეჩერებაში იგი ხედავს წმინდანის ნების გამოვლინებას... აქვეა დამოწმებული ანდრეზი აჭარული ფოლკლორიდან. „ჯანსაღი ხარი ვერ აღწევს იმ ადგილამდე, სადამდისაც ხალხი საქონელს დენის და სადღაც – შუა ადგილას ეცემა. დაცემის ადგილი საყურბანე (მსხვერპლის შესაწირავ) ადგილად შეირაცხება. ასევე კვრივი და გამორჩეულია ის შუალედები გზაში, სადაც ყოვნდება, ისვენებს ხარი. ამ მოტივზეა აგებული ლომისის, ხევის სპარსანგელოზის, ძარწმის

წმ.გიორგის და სხვა მოტაცებული ხატების უკანდაბრუნების ანდრე-
ზები; მოტაცებულმა ხატმა გზა უნდა გაიკვლიოს უცხო ქვეყნიდან,
უნდა მოძებნოს, ხელახლა აღმოაჩინოს თავისი საარსებო ადგილი,
კვრივი. იმ შვიდი ათასი კაციდან, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო
ტყვეობიდან, არავინ აღმოჩნდა, რომ წარუძღვეს ხატს და ხალხს და
შეუცდომელი გზით მიიყვანოს თავის ადრინდელ საარსომდე. ან-
დრეზში ხატის ტრანსპორტად გვევლინება ხარი, რომლის რქებზე
უნდა იყოს დასვენებული ხატი. აქედან უნდა ჩანდეს, რომ, ანდრეზის
შემოქმედის თვალსაზრისით, ხარი გზას იკვლევს არა საკუთარი ნე-
ბით, არამედ ხატის ნებით. ხატს მიჰყავს უკან ხარი და შვიდი ათასი
ქართველი. ხარი თითქოს გაივლის თავის საკრალურ გზას და შეყოფ-
ნებით მონიშნავს კვრივებს, სადაც მოგზაური ხალხი მგზავრი ხატის
ნიშებს აგებს... გამაუძღვებ ის ხარი, სადაც დაწვებოდის და დაისვენ-
ნებდის, ყველგან ნიში ააშენეს ფასანაურის აქეთაცაა ნიში, მემრე რო
მოვიდა, აქაც (მლეთას), აქაც ნიში დადგეს, წვერზე რო მოვიდა იქ გა-
ნისვენა სული, გასკდა“ (კიკნაძე, 1985:37)

„ანალოგიურია ძარწემის წმ.გიორგის ხატის დაბრუნების ან-
დრეზიც. ხატი ლეკეთშია დატყვევებული და აზარალებს ხალხს. მო-
ლას ეცხადება ხატი, მოზვერის რქაზე მიმაკარი და ნებაზე გამიშვიო.
მიაკრეს ხატი მოზვერის რქაზე გაუშვეს მოზვერი. მიდის მოზვერი,
ხატი გზას უჩვენებს. მივიდა ძარწემაში, თავის ძველ ადგილზე და იქ
ასკილის ძირზე დაისვენა. ძარწემის მღვდელს ესიზმრა ხატი და უთ-
ხრა: მომძებნეთ და სადაც მნახავთ, იქ ამიშენეთ ეკლესია. მღვდელმა
გაგზავნა ხალხი. ნახეს რქაზე ხატმიკრული მოზვერი. მოხსნეს თუ
არა ხატი მოზვერს, იმწამსვე მოკვდა, გასკდა. იმ ადგილას ააშენეს
ეკლესია და დაასვენეს წმინდა გიორგის ხატი ცხოველი. არის შემ-
თხვევა, რომ ხარი არ კვდება. მაშინ მას მსხვერპლად სწირავენ, თუ
ურემია, შეშად ხმარობენ საკლავის მოსახარშავად“ (კიკნა-
ძე, 1985:38).

დამოწმებულ გადმოცემაში გამოსაყოფია რქაზე ხატმიკრუ-
ლი მოზვერის გამომგზავრება სამშობლოსაკენ, გზადაგზა შერეობა და
კვრივი ადგილების შენება. ამ გზით კი ღვთიური აურას შექმნა ფიზი-
კური სამყაროს ვრცელ ტერიტორიაზე, ე.ი. მიწიერი საუფლოს გარ-
კვეული ნაწილი მთლიანად განწმენდილია, ნათლითაა მოსილი, ხო-

ლო ღვთიური ძალებისა და ძალის საბოლოო დამკვიდრებად უნდა მივიჩნიოთ ახლად აგებული ეკლესიაში წმინდა გიორგის ხატის დასვენება. რასაკვირველია, ამგვარი ღიდი კოსმიური მნიშვნელობის აქტი მსხვერპლსაც გულისხმობს. ღვთიურმა მოწვევრმა თავისი მისია შეასრულა, ხოლო თვით ფაქტი, კერძოდ, ხატის, ანუ ღვთიური ძალისა და ენერჯის მატარებელი მოზერის, ფიზიკური სიკვდილი ღვთაებისადმი მსხვერპლშეწირვაა, რაღაც იღუმალის მისიის აღსრულებაა. მსხვერპლშეწირვის ადგილზე კი მარადიული სიწმინდე და ძალმოსილება, ეკლესია აშენდება. ე.ი. კვდება ფიზიკური და რჩება ღვთიური. ეს აქტი უნდა მივიჩნიოთ როგორც სულიერი ცენტრის დაარსება ფიზიკურ სამყაროში, როგორც დასაბამი ახალი არსობისა, რომელიც ღიდი მსხვერპლის ფასად მკვიდრდება ფიზიკურ საუფლოში.

საანალიზოდ წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ მასალებს მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ ამირანში ხარის ტყავთან დაკავშირებული იღუმალებების ამოსაცნობად. როგორც ვხედავთ, ხალხურ სიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ ძეგლებში ხარი ძველი კულტუროსანი ქვეყნების მითოლოგიებისა და რწმენა-წარმოდგენების მსგავსად ღვთიური ცხოველია. მასში ღვთაებაა განსახიერებული. გვინდა დავიმოწმოთ ერთი სევანური მითოსური გადმოცემა: „ღმერთმა შექმნა სამყარო და ყოველ სულდგმულს თავისი ბედი და არსებობის წყარო გაუჩინა. ძალზე გაჭირდა ადამიანის მარჩენალი ძალის გამოხატვა. ამ დროსო, - შენიშნავს მთქმელი, - ცხოველებიც ლაპარაკობდნენ, ისინიც ღმერთთან იყვნენ, ღიდი ბჭობის შემდეგ წამოდგა ხარი და თქვა: ჩემს კისერზე იყოს ადამიანის რჩენა, ოღონდ, ვინც ცუდად მომექცევს, მცემდეს, მისი სული სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მოახვედრეო, მიმართა ღმერთს. ღმერთი დასთანახმდა, მართლაც, სევანთა რწმენით, ვინც ხარსა სცემს, ავად ეპყრობა, სიკვდილის შემდეგ სატანჯველში მოხვდებაო. ამიტომ ხარისადმი სათუთი მოპყრობაა საჭირო, მოფერება, კარგად გაზრდა, გაწვრთნა. (69 – მთქმელი ელენე კვირიას ასული ჭელიძე, ანალოგიური შინაარსისა ერთ-ერთი ხალხური ლექსი „ორშაბათობით აშენდა“:

„ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოივლო გალავნით,

ცა დაიხურა თავზედა,
სასახლე, სადარბაზეი
დგას ოქროს ბოძობაზედა,
ადამიანის შენახვა
არავინ იღვა თავზედა.
ხენა—თესვა, ფარცხვა და ზიდვა
გაჭირდა ქვეყანაზედა.
ხარმა თქვა პირნათლიერმა,
მე დამაწერეთ რქაზედა.
მისცვივდნენ ანგელოზები,
დაკოცნეს ორთავ რქაზედა,
შვიდიც უბოძეს სარტყელი,
გაგზავნეს ქვეყანაზედა,
წადი, ხარო, იმუშავე

ერთგულად მთა და ბარზედა.“ (კოტეტიშვილი, 1961:15)

მოხმობილს შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ „უძველესი კულტუროსანი ქვეყნების მითოლოგიებში, კერძოდ, ეგვიპტეში, არსებობდა ადგილობრივი კულტები: მთვარის ღვთაება ხარის სახით იყო წარმოდგენილი, ასევე შუამდინარეთში. ინდური ტრადიციებით, ხარი, უპირველეს ყოვლისა, არის მთვარის განსახიერება. იგი მიჩნეულია ღვთაების მიწიერ განხორციელებად ან მისი ატრიბუტად“.

ხარის კულტთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის მითოლოგიებსა და რწმენა—წარმოდგენებში მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები მოგვეპოვება, მართალია მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ფრაგმენტული. ქართულ ფოლკლორულსა და ეთნოგრაფიულ ძეგლებში კი უფრო მრავალმხრივად, სინთეტურადაა წარმოჩენილი. ამიტომ დახვეული ხარის ტყავის საიდუმლოება ყველაზე ამომწურავად ისევ ქართულ ნიადაგზე შეიძლება აიხსნეს. განმეორებით რომ ვთქვათ ბადრიმ ვისიბმა და ჩალამკალამმა მთაზე დასმული დახვეული ხარის ტყავი, რომელშიც ანგელოზის შვილია ჩასმული, ვერაფრით მოიხელთეს. მთქმელის შენიშვნით, ახლოსაც ვერ მიეკარნენ. ეს ეპიზოდი გართულებულადაა აღწერილი: ძმები თითქოს მიუპარნენ ტყავს, მაგრამ მან ნიაე—ქარივით დაიწყო ტრიალი: ისრები სტყორცნეს და ნამტვრევები უკან დაუბრუნა. რასაკვირველია, ამ ღვთიურ ტყავში ზე-

ციური ყრმაა, შემდგომში ამირანად წოდებული, დაუბადებელი, ადამიანად გარდასაქმნელი. ტყავი კი მხოლოდ ყველაზე მზიან ადგილისაა დაწყნარებული, იბადება კითხვა, რატომ უჭირთ ტყავთან მიახლოება მიწიერ საუფლოში ყოვლისმძლველ რაინდებს? პასუხისათვის ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მთას აქვს თავისი წმინდა, ღვთით ხელდებული ადგილები, რომლის დალაზვა ყოველნაირად განწმენდილ მონადირეს ხელეწიფება. კონკრეტულ შემთხვევაში ძალზე საინტერესო მიგვაჩნია პროფ. ზ. კიკნაძის მოსაზრებები ჯვარჩინის ადგილებთან დაკავშირებით. „მას (ე.ი. კვრივს) აღმოაჩინეს იგივე ძალა, რომელმაც ტერიტორია მისცა საყმოს. ეს ძალა არის კვრივი. კვრივი შეიძლება განიმარტოს როგორც მონაკვეთი მიწისა, რომელზედაც დადებულია ჯვრის ხელი. კვრივის გამოჩენა ამიტომაც არის ირაციონალური, ადამიანისათვის გაუგებარი, ის მოულოდნელია, თითქოს გაუმართლებელი, რადგან ქარიზმატულია თავისი ბუნებით, ტერიტორიის სრულიად უმნიშვნელო, ფიზიკური თვალისათვის სრულიად განურჩეველ მონაკვეთზე გადმოდის ქარიზმა და გამოარჩევს მას სხვა ადგილებისაგან, როგორც ჯვარი გამოარჩევს მას საყმოსაგან თავის რჩეულს“. (კიკნაძე, 1985:35)

დამოწმებული თვალსაზრისი მნიშვნელოვნად გვეხმარება „ამირანანის“ ზემოთ მოტანილი ეპიზოდის გარკვევა-გააზრებაში. მართლაც, მთა, მთის მწვერვალი და მზის მცხუნვარების ადგილი, სადაც ხარის ტყავია დაწყნარებული, ჯვრის ხელდებული ადგილია. მასზე ღვთიური სიწმინდე და მადლია გადმოსული. იგი ფიზიკური თვალისათვის უმნიშვნელო მონაკვეთია, განურჩეველი, მაგრამ, როგორც დამოწმებული ეპიზოდიდან დავრწმუნდით, ამჯერად ადგილთან მისვლა არ შეუძლიათ ისეთ გმირებსაც კი, როგორებიც იყვნენ: ბადრი, ვისიბი და ჩალაპკალაში. კონკრეტულ შემთხვევაში ძმები გარდაუვალი მარცხის წინაშე აღმოჩნდნენ. ვეღარ შედიან ღვთით განწმენდილ სივრცეში. აშკარაა, რომ მათთვის ჯერ კიდევ მისაღწევია მაღალი სულიერი საფეხური, რათა დალაზონ მზის მცხუნვარებით გამოჩნეული ადგილი, სადაც ხარის ტყავი ყველაზე უფროა დაწყნარებული. ცხადია, საინტერესო იქნებოდა თუნდაც ძალზე სქემატური მიმოხილვა, თუ რა ადგილი უკავია მზეს მსოფლიო მითოლოგიასა და ფილოსოფიურ მოძღვრებებში, მაგრამ იგი ძალიან შორს წაგვიყვანდა თვით ქართული მასალების მიხედვითაც, სა-

დაც მას გამოკვეთილად გამოჩნეული ადგილი უკავია. უძველესი წყაროებიდან საკმარისია გავიხსენოთ კოლხთა მეფე აიეტი, მზის შვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მითოსური პერსონაჟები, ღვთის შვილები და სხვა. როგორც ზემოთ ითქვა, ხარი მზისგან შობილია. „ფუნსაი“ - მიწაზე ღვთის განსახიერება, ამიტომ ზემოთ წარმოდგენილ ეპიზოდში, რომ ხარის ტყავი ყველაზე დაშვნიდებულია მზიან ადგილას, ის იღუმალება გაცხადებული, რომ ტყავში მყოფი არსება თავადაც მზის სულისა და ენერჯის მატარებელია. საკმარისია მზის თვალი, ანუ ნათელი, მოშორდეს ტყავს, რომ იგი ოთხივე კუთხით მოძრაობს, ზოგჯერ კი ნიაქარით ტრიალებს ისე, რომ კაცი თვალსაც ვერ შეასწრებს. აშკარაა, რომ მზე ღმერთი, თავის შვილს, ხარის ტყავში გამოხვეულს, მეთვალყურეობს. ამიტომაც, რომ მას ადამიანის საბრძოლო იარაღი არ ეკარება. აქ კი შეიძლება ფილოსოფოსი პლატონის დამოწმება, რომელსაც „სწამდა მნათობთა ღვთიურობა, მათ მიერ სულის ქონება. პლატონის თხზულებაში (პოლიტიკა, წიგნი 6) საუბარია ნათლისა და ხედვა – მზერის შესახებ“. დიალოგში ნათელი მესამე ბუნებადაა აღიარებული. ეს ნათელი აერთებს ხედვასა და ხილვას... ვისია ეს ნათელი, რომელიც თვალს საშუალებას აძლევს ცხადად იხილოს, იმზიროს და ხილული გამოჩნდეს? ამ ქვეყანაში, ხილულ მხარეში, ხედვა ხდება ნათლის, მზის მეოხებით. აგრეთვე თვალი არის მზიური, ოღონდ მზე არამც თუ მარტო ხედვის, მზერის აუცილებელი პირობაა, არამედ იგი არის აგრეთვე მაცოცხლებელი: ყველაფერი ცოცხალი თავის ყოფნას არსებობას მზისგან ღებულობს და მით ცოცხლობს: ცოტა ქვემოთ პირდაპირაა მითითებული. „მზესა და ვარსკვლავთ აქვს სული, და ეს სული მზისა, რომელიც უკეთესია, ვიდრე თვით მზე, იწოდება თუ არა ღმერთად? ოღონდ ყველა გონიერი ამას იტყვის: – ყველა ხედავს მზის გვაშს, მაგრამ ვერაინ ვერა ხედავს მზის სულს და ვერც სულს სხვა რომელიმე, ან მკვდარი გვამის სულს ხედვენ. მაგრამ მისი გაგება შეიძლება გონებით. სული არის მზეში, ვარსკვლავებში და ყველაფერში და იგი არის ღვთიური“ (ნოზაძე, 1956:50).

რასაკვირველია, ფილოსოფოსი პლატონი უღრმესი სულიერი საუფლოსაკენ გვახედებს, რომლის აღქმა გონებით ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუძლებელია. ამონაწერი მხოლოდ ერთი ასპექტით გვანტერესებს. კერძოდ, პლატონის მოძღვრებით, არსებობს ფიზი-

კური მზე, ანუ „მზის გვამი“, რომელსაც ადამიანები ჩვეულებრივი ხედვით აღიქვამენ. იგი ხილულია, მეორეა უხილავი, ანუ სულიერი მზე, რომლის დანახვა ფიზიკური თვალთ შუქმღებელია, გაიგება გონებით. ცხადია, კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება ხილულის მიღმა მხედველი. ადამიანთა მომავალიც უხილავის შემცნებაა და იგი ღვთით დაშვებული მადლია. ქართული მითოსური პერსონაჟები ამგვარი უნარით არიან აღჭურვილი. „ამირანიანის“ დამოწმებულ ეპიზოდში მზის სწორედ სულიერი ასპექტია საინტერესო, კერძოდ, დახვეულ ხარის ტყავში ჩასმულ ზეციურ ყრმას (მიწაზე ჩამოშვებულს) სულიერი მზე მეთვალყურეობს.

როგორც ზემოთ მოტანილი წერილობითი წყაროებითა და ქართული ტრადიციებით, რწმენა—წარმოდგენებით დავრწმუნდით, ხარი და ტყავი ცასთან, კოსმოსთანაა დაკავშირებული, ფაშვი კი, პირიქით, ფიზიკურ სამყაროსთან, მიწასთან, ამ უკანასკნელის იდუმალებებთან. ორივე „ამირანიანის“ უბეღელესი მოტივია. ამ აზრით, როგორც ითქვა, სვანური ვარიანტებია გამორჩეული. ცამეტ ჩანაწერში ჩვილი ამირანი კუროს ტყავშია გახვეული, ოთხი ვარიანტით კი - ფაშვში. როგორც ვხედავთ, ფაშვში ჩასმის შემთხვევები საგრძნობლად ნაკლებია. სამეცნიერო ლიტერატურაში კი რატომღაც ფაშვში ჩასმაზეა აქცენტი გაკეთებული. დავსძენთ, რომ ჩვილი ბავშვის ფაშვში ჩასმას მრავალნაირი გაგება ახლავს. ერთ-ერთია ადამიანის ჯანმრთელობა. იგი დღემდეა შემორჩენილი საქართველოს მთიანეთში, კერძოდ კი რაჭასა და სვანეთში. ასე, მაგალითად, 1983 წელს გაგრის რაიონის სოფ. განთიადში მარიამ სვანიძისაგან ჩავიწერეთ ძალზე საინტერესო გადმოცემა ბავშვის ფაშვში ჩასმის ტრადიციასთან დაკავშირებით „ჩემი შვილისშვილი ძალიან ავადმყოფობდა, მიმითითა სამი წლის ბავშვზე, გვარად ონიანზე, მეჩვენებოდა, რომ იერსახეც არ ჰქონდა სიმეტრიული. ბებიამჩემისაგან მქონდა გაგებული, რომ, თუ ბავშვი ხშირად ავადმყოფობს, ახლად დაკლული საქონლის ფაშვში უნდა ჩასვა ისე, რომ ყელამდე დაიფაროს. ფაშვში ნახევარი საათი უნდა დაჰყოსო. ეს უნდა გაკეთდეს სამჯერ. ბებია მარწმუნებდა, რომ, თუ ასე გაკეთდა, ბავშვი ფიზიკურად ძალიან ჯანსაღი გამოვაო, არასოდეს იავადმყოფებო. ეს ბავშვი ჩავსვი ფაშვში, მაგრამ ოც წუთზე მეტ ხანს ვერ გაძლო. ისე საშინლად ტიროდა, რომ ამოსაყვანი გამიხ-

და (სვანი არ არის? იხუმრა). კითხვაზე, რატომ მაინდამაინც ფაშეში ჩასვი? ასეთი პასუხი გამცა. საქონელი ხომ მთელი დღის განმავლობაში ნაირნაირ ბალახს ძოვს, ის ბალახი სამკურნალოა. მონელების დროს მასში ისეთი რამ გამოიყოფა, რომელიც ყოველნაირი ავადმყოფობისაგან კურნავს ადამიანს. აი, ხომ ხედავ, რა ჯანსაღად გამოიყურება. ფაშეში ჩასმის მერე (ასე დასძინა) ეს ბიჭი ავად არ გამხდარა. ერთჯერ მარტო ჩავსვიო“ (ჩვენ კი ვუპასუხეთ, რომ ბავშვი ისე ძლიერად გამოიყურება, რომ არ მჯერა იგი ოდესმე სუსტი აღნაგობისა ყოფილიყო) (მთქმელი მარიამ სვანიძე, მცხ. გავრა-განთიადი, ჩამწერი ო.ონიანი, 1985წ.)

წარმოდგენილი გადმოცემა მრავალმხრივია საინტერესო. თუ ღრმად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ფაშეთან მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობა არაა დაკავშირებული. განმეორებით მივაპყრათ ყურადღება მთქმელის სიტყვებს: „საქონელი მთელი დღის განმავლობაში ნაირ-ნაირ ბალახს ძოვს. ეს ბალახი სამკურნალოა, მონელების დროს კი ისეთი რამ გამოიყოფა, რომელიც ყოველნაირ ავადმყოფობას კურნავს, თანაც ბავშვი უნდა ჩაისვას ახლად დაკლული საქონლის ფაშეში“. მართალია, მთქმელის განმარტება კონკრეტულია, რომ იგი სამკურნალო თვისებებს გულისხმობს. მაგრამ ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ფრიდელ ლენცის მოსაზრებები მცენარეულ სამყაროზე. მისი განმარტებით, „ბალახი ვეგეტატიურ ძალთა განსაკუთრებული გამოხატულებაა. მოთიბული ბალახი კი, ანუ „თივა სიმშრალის სახეა“. ცოტა ქვემოთ ასეთ რამეს გვთავაზობს. „ბალახი, რომელიც ცოცხალ ხალიჩასავითაა გადაკრული, გადაფარებული ჩვენ დედამიწას, არის მიწის, ვეგეტატურ და ელემენტარულ ძალთა სასიცოცხლო განსახიერება. ეს ელემენტარული სულები კი ბატონობენ, ანუ მუუფეობენ, დედამიწის ქვებსა და მეტალებში, მცენარეთა ფესვებში, რომლებიც დედამიწის ნივთიერებათა ცვლასთან არიან დაკავშირებული. ისე, როგორც ადამიანი სხეულის წყალობით მიწიერი საუფლოს ნაწილია. ამდენად, (ელემენტარულ სულები) ადამიანებთან კონტაქტში შემოდიან“ (ლენცი, 1995:203). ამირანი ფაშეში ჩასმით მიწიერ სიბრძნეს, ელემენტარულ სულთა იდუმალებებს სწვდება, ითვისებს. ამასთანავე, ფაშესა და ტყავში ჩასმა ამირანის მეორედ დაბადებად უნდა მივიჩნიოთ. საქმე გვაქვს მის

სრულ განახლებასთან, ფერისცვალებასთან. ამდენად, მომავალი გმირი ერთნაირადაა თანაზიარი ცისა და მიწიერი საუფლოების იდუმალელებისა, ხარის ტყავით - კოსმიურისა, ხოლო ფაშვით კი ფიზიკურ სამყაროსთან.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ტყავი ალპურ არეალშია დასმული და არა კლდეზე. ყველა სხვა ჩანაწერების მიხედვით, ამირანი კლდეში შობილია და იგი მამის ხაზითაც ამ საუფლოს მკვიდრის შვილია. ამგვარ ვარიანტებში ადამიანი (მჭედელი, თუ მონადირე) აქტიური პერსონაჟია, დალის შვილის გადამრჩენია; ე.ი. რჩეულ მჭედელს, თუ მონადირეს შეუძლია დალახოს კლდოვან-ყინულოვანი საუფლო ადგილები. ამგვარი შინაარსი ტექსტები ახლოსაა ადამიანურ ყოფით რეალებთან და აქ სირთულეებიც ღიძია. ზემოთ დამოწმებული ეპიზოდით, ხარის ტყავი ქვეყნის საქები რაინდებისთვისაც გამოუცნობი საკვირველაა. გასაგებია ივა მამის რჩევა - დარიგებაც. მიზანს მიაღწიეს, მაგრამ ტყავიდან მანათობელი ვაჟის გადმოსვლა ძალზე უჩვეულოა. იგი ამირანის მზიურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ჩვენ ძველი ქვეყნების მითოლოლოგიურ პერსონაჟებზე ვიცით, ვინ ვისი შვილია (მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა), ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში კი სრული ბუნდოვანებაა, რომელი ანგელოზის შვილია ამირანი? ტექსტი არაფერს გვეუბნება, სრული სიცხადე და გარკვეულობა არც ივა მამის სიტყვებშია. ამირანის შობის საიდუმლოებაც ეს არის. ცისიერთა ნება კი ისაა, რომ ღვთიური არსება, რომელიც შემდგომში ამირანადაა წოდებული, ხარის ტყავიდან უნდა იშვას ადამიანად გარდაქმნილი და, რაც მთავარია, ისევ ტყავში შედის გამოსაუშებლად.

სირთულე ამგვარი პროცესის გააზრება და ამოცნობაა. სხვა ქვეყნის მითოლოგიებში არ დასტურდება გმირის ამგვარი შობა. იქ მეტი სიცხადე და გარკვეულობაა მითოსურ პერსონაჟთა დაბადებასა და გაზრდაზე. თანაც ღვთაებათა ნება, რომ ამირანი მთაში შობილიყო პირველ ყოვლისა, ადამიანთა საცხოვრისის გაწმენდას ისახავდა მიზნად. ამ აზრით მნიშვნელოვან ფუნქციურ მსგავსებას ვხედავთ დამოწმებულ ლაშხურ ვარიანტთან - „ამირან“, ჩანაწერის მიხედვით ამირანი სპობს და ანადგურებს დევებს. ადამიანების ქომავი ამირანი ერთ დღეს ისე დაიკარგა, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. „მასო ცოლი

ფუნქციონირებს დარჩა კლდეშიო“. ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ერთმა მჭედელმა მიაღწია დალის გამოქვაბულამდე. დალს კივილის მიზეზი ჰქვია. დალი და მჭედელი დიდხანს საუბრობდნენ. მჭედელი ხშირად აკითხავდა დალს, მაგრამ, ყველა ვარიანტისაგან განსხვავებით, მათ შორის ინტიმური ურთიერთობა არ ყოფილა. აქაც მჭედელი დალის შვილის გადამრჩენია. ამ ჩანაწერში საინტერესო ისაა, რომ ხალხის ქომაგი გმირი ამირანი კლდის ბინადარი ჩანს. ამ საუფლოს ბინადართა მისიაა ადამიანთა საცხოვრისის გაკეთილშობილება. აქედან გამომდინარე, გასაგებია ღმერთების ნება ამირანის მთაში შობაზე. ეს აზრია ჩადებული ქალღმერთებს და მის ვარიანტებშიც. ჩანაწერების მიხედვით ივა მამის რჩევა-დარიგებებიც ამ აზრითაა საინტერესო. იგი ერთადერთია, რომელიც ყოველნაირ საიდუმლოებებსაა ნაზიარევი. უნდა დავსძინოთ, რომ ამირანის ნაადრევად შემოსვლა ადამიანთა საცხოვრისში ძნელი ასახსნეელია: იგი ამირანის ბედისწერაა თუ ღმერთების ნება, ჩანაწერები ზუსტ პასუხს ვერ იძლევიან. დამოწმებული ვარიანტებიდან აშკარაა, რომ ამირანი ადამიანთა საცხოვრისში ივა ხელმწიფის ოჯახმა ნაადრევად შემოიყვანა. დაახლოებით ასეა სხვა ვარიანტებშიც. დალიც ნაადრევ მშობიარობას ეწირება. ვიცით, მომაკვდავი დალის სიტყვები, რომ ბავშვი ჩასვან კუროს ტყავსა ან ფაშეში...“ ძალზე საინტერესოა ზ.კიკნაძის აზრი ამირანის ნაადრევ დაბადებაზე: „იგი კუროს ფაშეში შუშდება მას შემდეგ, რაც ნაადრევად ამოიყვანენ დედის მუცლიდან, – ეს კი მოასწავებს მისი მითოსური არსის დიდ სიძველეს, ორივენი, – მარდუქიცა და ამირანიც კუროს მითოსური ეპოქის ნაშეიერი არიან. ..ეს ეპოქა მოიცავდა პერიოდს დაახ. XXX ს–დან VIII ს–მდე“ (კიკნაძე, 1979:103) მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს ამირანის შობის იდუმალბუნებს და ასეთ საინტერესო მოსაზრებებს გვაწვდის. „ამირანის სამეურად დაბადება, – დედის მუცლიდან, ხარის ფაშეიდან და ზღვიდან (დავამატებთ, რომ ტყავიდანაც), რაც ერთდროულად არის წარმოდგენილი მის შესახებ არსებულ თქმულებებში, – როგორც ერთი დაბადების ვარიანტები, შეიძლება განხილული იქნეს ამ გმირის ანთროპომორფულ, ზოომორფულ და კოსმიურ ინტერპრეტაციებად ან შესაძლებელია, – მისი განვითარების სხვადასხვა სტადიებად, რადგან საუკუნეების მანძილზე ამირანი გზადაგზა კარგავდა კოსმიური ღვთაების თეი-

სებებს და იძენდა სხვას, კერძოდ, ადამიანურს. ეპიკური გმირისათვის დამახასიათებელს“. თუმცა მას მაინც საკმარისად შერჩება ძველი ნიშან-თვისებები). როგორც თავისი შობით, ისე შემდგომი თავგადასავლით“ (კიკნაძე, 1979:103).

ნაშრომში დამოწმებულია თავისუფალი სვანის მიერ ჩაწერილი და თარგმნილი ერთერთი თქმულება, სადაც გადმოცემულია, რომ მონადირემ „ხელების კანკალით (!) გაუჭრა დაღს მუცელი, რომლიდგანაც გამოვიდა მზის მსგავსი ვაჟი“. ქვემოთ კი მითითებულია, რომ „ფაშვი მისი მშობელი საშოც არის“, შრომის ავტორის აზრით, „ამირანი მზიური არსებაა, – რაჭული ვერსიით „შუბლმზიანი“. აღი დავითანის ჩანაწერებიდან ვიცით, რომ მომაკვდავი დალი ეუბნება დარჯელანს: „მუცელი გამიჭერი, შიგნით ჭაბუკი მიწვესო, შუბლზე მზე და მთვარე უნათებსო“ და კიდევ, ერთ-ერთი ლაშხური ჩანაწერით „ამირან“ (მთქმელი ლენტეხის რაიონის სოფ. მებეცი, ბარამონიანი, 1960 წ., ჩამწერი ალექსანდრე ონიანი. ამ ტექსტზე ჩვენ გვეყონდა საუბარი). გვემცნევა ეპიზოდი, როცა მჭედელს კლდიდან სოლის გამოღება დააიწიწყდა. ცოლმა ეს გაიგო და ავიდა კლდეზე, დაღს თმები შეაჭრა. მასთან მისულ მჭედელს უთხრა: „ახალი დაკლული კამერის ტყავი იშოვეო... მჭედელმა იშოვა და დაღმა უთხრა, გამჭერი მუცელზე და გაუწოდა ოქროს ჯაყვა. მჭედელმა გაჭრა და ბავშვი ამოარიდა, შეახვია კამერის ტყავში და ოქროს აკვანში ჩააწვიინა, აკვანს ამირანის (მამის) ხმალი ჩამოჰკიდა და იამანის წყაროზე დასვა.

იამანი მივიდა წყაროსთან და ნახა აკვანი, გაუკვირდა, გასინჯა, ბავშვი წევს, რომელიც წელს ზევით ოქროა, წელს ქვევთ კი ვერცხლი. გმირის ამგვარ შობას ეხმიანება ოსური ვერსია, სადაც „ანთროპომორფული და ზომომორფული მომენტების გვერდით განსაკუთრებით გაძლიერებულია კოსმიური შობის მომენტი, როგორც შემჩნეულია სპეციალურ ლიტერატურაში. აქ სვანური იამანის წყაროს შავი ზღვა ცვლის, ხოლო ამღზრდელად იამანს – ზღვის ღვთაება ღონბერთი, ხოლო ქალი, რომლის მუცლიდანაც გამოიყვანენ ამირანს, ღონბერთების და არის. ე.ი. თავადაც ზღვის ქალღმერთია. „შემთხვევით“ ხმელეთზე მოხვედრილი, ღონბერთები ზღვაში შეიყვანენ ბავშვს, მისი კოსმიური ჩანასახის საშოში. შემდეგ ირკვევა, რომ

ამ დონბერთინის იმაგინაციური ხატი სხვა არაფერია, თუ არა ზღვის ძროხა და ზღვის ხარი, „მზიური ბავშვის“ ზომორფული მშობლები. „ამ დროს შუა ზღვიდან ამოხტა ბიჭი, ამბობს თქმულეა, წელს ზევით ოქროსი იყო, წელს ქვევით ვერცხლის (როგორც ის დამოწმებულ ლაშხურ ტექსტშია). ერთ მხარეზე მზის სურათი ჰქონდა, მეორე მხარეზე მთვარის“... ასევეა ალი დავითიანის ჩანაწერშიც: „დალის სიტყვები, მუცელი გამიჭერი, შიგნით ჭაბუკი მიწვესო, შუბლაძე მზე და მთვარე უნათებსო“ და საერთოდ ზემოთ დამოწმებული მრავალი ვარიანტები მხარს უჭერს აზრს, რომ ამირანი „მზიური არსებაა“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სხეულის გარეპირის, ტყავის, შესახებ წარმოდგენები ჯერ კიდევ პალეოლითში არის დამოწმებული. საფიქრელია, რომ ეს წარმოდგენა დაფუძნებული იყო გარეგნულ მსგავსებაზე, რასაც ადამიანი ამჩნევდა ტყავისა და მიწის უბრალო მექანიკური შედარების შედეგად. ცხოველის სხეული ტყავის საშუალებით პერიოდულად ასევე აღიღგენს ბეწვს, როგორც მიწა მცენარეულს, რაც საკმარისი გამოდგა მათი მითოსურ-რელიგიური და სარიტუალო გააზრებისათვის“ (წერს ი.სურგულაძე, ზემოთ დასახელებულ ნაშრომში) (სურგულაძე, 1993:130) კონკრეტულ შემთხვევაში საინეტერესოა ტყავის ბეწვის მცენარეულ საფართან მსგავსება და იგი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში თვალსაზრისების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ცხადია ერთი: ამირანის ჩასმა ხარის ტყავსა თუ ფაშვში ცისა და მიწის იდუმალებებთან თანაზიარობას გულისხმობს.

ამდენად, ხარის ტყავში გამოხვეული ანგელოზის შვილის უღელტენილზე (ზეკარზე) დასმა ღრმა იდუმალებებთანაა დაკავშირებული. როგორც ითქვა, ამ საუფლოს თავისი გამგებლები ჰყავს: დალი, ბერშიშვლიმ, აფსათი, გოგბედნიერი. ცხადია, სულიერი არსებები, მაგრამ არც ერთი არაა ცისიერი. აქედან დალი მოგვიანო პერიოდში იქცა მთიებად. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ როგორ მონადირეებს მიესვლებათ მთის წმინდა ადგილებში, იმაზეც, რომ მთა ცასთან დამაკავშირებელი შუალედია, შუასკნელი. საინტერესოა, რომ ეგვიპტურ მითოლოგიაში „შუ და ტეფნუტი - ეს ღვთაებრივი წყვილი იმ სივრცის განსახიერებაა, რომელიც არსებობს მიწასა და ცას შორის... იგი თავისი ხელით ცასა და ღუდამიწას მიჯ-

ნავს“. [101–18] და კიდევ Его руки должны быть под звездами и его имя должно быть помещено (т.е. начертано) посреди них, а именно: «сам Шу» (უილს ბაჯი, 1997:18).

საანალიზოდ წარმოდგენილ ვარიანტებში ძალზე საინტერესოა დალ–ამირანის საბრძანისი მთა (ამგვარი სახელწოდების მინიჭებით უფლებას გვაძლევს დამოწმებული ვარიანტები, სადაც ჩანაწერთა უმეტესი ნაწილის მიხედვით, ამირანის მამა ამირანია, დალის ქმარი, მისივე საბრძანისის მკვიდრი, მთელი თავისი სიწმინდეებითა და სულიერი არსებებით. ეს საუფლო ცისიერთა მუდმივი საურთიერთო არეალია. ადამიანთა საცხოვრისის ბედიც აქ წყდება. ამიტომ გასაგებია, რომ ტყავი, რომელიც ამირანის საშოა, მწვერვალზეა დასული. ამ ეპიზოდს დალ ამირანის საბრძანისთან მიმართებით ახლებური გააზრება ეძებნება. ივა ხელმწიფე წინასწარ გრძნობს მზიური არსების ფიზიკურად განსხეულების აუცილებლობას. ასეთია ღმერთების ნებაც. მართალია, იგი ადამიანთა სასიკეთოდაა დაშვებული, მაგრამ საიდუმლოება მაინც ამგვარი გარდაქმნის აუცილებლობაა. იგი უნდა მივიღოთ, როგორც ცით დაშვებული მადლი, ღვთიური საჩუქარი, მოვლენილი ადამიანთა სასიკეთოდ, ასე რომ, ვერ დავსვამთ კითხვას, - რატომაა ასეთი ღმერთების ნება. ქალღანისეულ ჩანაწერებსა და მის ვარიანტებში მკვეთრადაა წარმოჩენილი ამირანის ადამიანად გარდაქმნის პროცესი. ამ აზრით საინტერესოა დამოწმებული ეპიზოდის ბოლო ნაწილი, როცა ტყავიდან, ლამპარივით მანათობელი ვაჟი გადმოეშვა, უკვე ადამიანად გარდაქმნილი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შემოსული ფიზიკურ სხეულში. დაახლოებით ასეთივეა ეპიზოდი, როცა ბადრი, ვისიბი და ჩალამ-კალამი მთაში დასმულ ხარის ტყავთან ახლოსაც ვერ მიდიან. როგორც ვხედავთ, იგივე მეორდება ივა ხელმწიფის ოჯახშიც... რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები, რომ ისევ ტყავში უნდა შევიდო, სამი დღე და ღამე დავყოფ და მერე თქვენთან ვიქნებიო. საშოში დაბრუნება კი „ეგზობრივად ქცევას“, რომ კვლავ იშვას, ანუ ხელახლა დაიბადოს, ამასთანავე, იგი იმავდროულად ნიშნავს, რომ სამი დღე-ღამის განმავლობაში ტყავში, ფაშვში მყოფი ყრმა ბოლომდე ეზიარება მიწიერი ყოფიერების საიდუმლოებას და ასე განახლებულად შემოსული უნდა გაიზარდოს ბრძენი ივა ხელმწიფის ოჯახში. აქ ჩვენ ვეცნობით ანგელოზის შეილის ადამია-

ნად გარდაქმნის პროცესის გზებს და საფეხურებს. ადამიანის ჩარევა ამირანის ბედისწერაში აშკარაა. ტყავის დაჭერა ქრისტეს ნაჩუქარი ბაღით გახდა შესაძლებელი, იორდანის წყლის დასხმით ტყავი და-
ყუნდა, დაწვანარდა, ხოლო ივა ხელმწიფის ოჯახში მასში ჩასმული არსება მთლიანად შემოდის ადამიანის ფიზიკურ სხეულში. ალბათ ესეც ამირანის ბედისწერაა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ზემოთ დამოწმებულ ამირანის სხვა ვარიანტებში? სიცხადისათვის იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ამირანის ბუნება და ფუნქციები, როგორც ითქვა, კარგადაა გამოკვლეული სამეცნიერო ლიტერატურაში, ერთხმადაა აღიარებული, რომ ამირანი ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი გმირია. მოქმედება უმთავრესად კლდოვან-ყინულოვან საუფლოში მიმდინარეობს. აქ განსაკუთრებული რამ ხდება. დალის ქმარი, რომელსაც, მრავალი ვარიანტის მიხედვით ამირანი ეწოდება, იკარგება. ქმარდაკარგული დალის კივილითა და მოთქმა-გოდებით ადამიანთა საცხოვრისია შეწუხებული, დალის დამხმარე გასაჭირში, კერძოდ, ნაადრევ მშობიარობაში და შვილის გადამრჩენიც უმეტესად მჭედელია, ზოგჯერ მონადირეც. ყველა ტიპის ვარიანტის მიხედვით, ამირანი ადამიანთა საცხოვრისში იხრდება. აქ მას არც ღედა ჰყავს, არც მამა.

„ამირანიანის დამოწმებული ვარიანტების მიხედვით ირკვევა, რომ მთის საუფლო თავისი არსებით ადამიანთა საცხოვრისის მფარველია, მრავალთაგან საილუსტრაციოდ ისევე ერთ-ერთ ლაშხურ ვარიანტს დავიმოწმებთ. „ამირან“. აქ აღწერილია ადამიანთა ქომაგი გმირის თავგადასავალი, რომელიც სპობდა და ანადგურებდა ღვეებს. ერთხელ ეს გმირი ისე დაიკარგა, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მასო კლდეში დარჩა ცოლი ფეხმძიმედო. როგორც შინაარსიდან ირკვევა, ეს გმირი ამირანის მამა ამირანია. კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ხალხის ქომაგი დალის თანამეცხედრეა, მისივე საბრძანისის ბინადარი. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება დალის ანდერძიც, რომელიც დაუინებით მოითხოვს, რომ მისი შვილი ბულას ტყავსა თუ ფაშეში ჩასვან და იამანის წყაროზე დადგან. ე.ი. ქალღმერთი დალის ქმარიცა და შვილიც, ხალხის ქომაგები არიან. ასეთია ნადირთ ღვთაება დალიც, რომელიც ნამღვილ, ჭეშმარიტ მონადირეს, მის რჩეულს, აძლევს სვე-ბელს ნა-

ღირობაში და ეხმარება ყოველგვარი საწადელის აღსრულებაში. დაღზე ვრცლად მომდევნო თავებში გვექნება მსჯელობა) ასე რომ, ამირანის ახლად მოძიებული ვარიანტები ბევრი ბუნდოვანი პრობლემის ახსნაში გვეხმარება.

ამირანის ნათლობა, ჭაბუკოვაჩიჯაჭვა

ნათლობას ამირანიანში უმთავრესი ადგილი უკავია. როგორც ამბობენ, „მის გარეშე სიმძაფრეს დაკარგავდა ის ტრაგიკული კონფლიქტი, რომელიც ნათლიასთან შეჭიდებაში მდგომარეობს“ (კიკნაძე, 2001:79). დავსძენთ, რომ მ.ჩიქოვანის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში „მიჯაჭვეული ამირანი“, 1947 წ. 69 ვარიანტიდან ნათლობა მხოლოდ 14 ჩანაწერშია დადასტურებული. ამირანის ნათლია უმეტესად ქრისტე ღმერთია, ანგელოზიც, ზოგჯერ წმ.გიორგი განსახილველი სვანური ვარიანტები ამ მხრივაც სპეციფიკური არიან. მათში ნათლიებად და ბედის მწერლებად არიან. მამალმერთი, სვანურად „ხაშა ღერბეთ“, – „უფროსი ღმერთი“, მიქაელ მთავარანგელოზი, იოანე ნათლისმცემელი, ნოე და ძილის ღვთაება, სვანურად „უჟ“: ისინი ამირანის ახალი პერსონაჟებია. გავეცნოთ რამდენიმეს: „მჭედელი დარჯელანი“. ამ ჩანაწერზე გვქონდა საუბარი. დარჯელანის ცოლმა მიანღწია გამოქვაბულამდე და დაღს თმები შეაჭრა. მომაკვდავი დაღის ანდრძით/ბავშვი „დაუკოდავი მოზვერის ტყავში შეახვია და სამგასაყარ გზაზე დასვა. აქეთკენ მოდიან მამალმერთი, წმ.გიორგი და მაცხოვარი. ბავშვი მონათლეს, სახელად ამირანი უწოდეს: მამალმერთმა თქვა: „ყველას მომრევი ყოფლიყოს, სანამ ქრისტეს თავდებობა არ გატეხოს. მაშინ ქაჯავეთის კარებში შემსველელი ყოფილიყოს.“ როგორც ვხედავთ, ამირანის ბედი წინასწარაა გადაწყვეტილი დამოწმებულ ვარიანტში.

უმთავრესი სიახლე ისაა, რომ წმ.გიორგისა და მთავარანგელოზთან ბედის მწერალი და ნათლია ძილის ღვთაება, სვანურად „უჟ“, არის. ამ მხრივ დამოწმებული ვარიანტი ერთადერთია ჯერჯერობით. მამალმერთი კი ამირანის სვანური ვარიანტების, ასევე ჯადოსნური ზღაპრებისაც, აქტიური პერსონაჟია და ეს არაა შემთხვევითი, ვინაიდან მისი კულტი ძალზე ძლიერია სვანთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და ზეპირსიტყვიერებაში. დავსძენთ, რომ სუფრის სადღეგრძელოებიც პირველად მამალმერთის ხსენებითა და დიდებით იწყება. მსგავსი ტრადიცია საქართველოს სხვა კუთხეთა

ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში შესუსტებულია ან არ დასტურდება...

ამირანის ნათლობასთან დაკავშირებით ჩვენ სხვაობები გვიანტერესებს. ამ აზრით საყურადღებოა ალი დავითიანის ჩანაწერები. როგორც ითქვა, დალის ანდერძით, ნაადრევად შობილ ამირანს კუროს ტყავს ან ფაშეში შეახვევენ და იამანის წყაროზე დასვავენ, ზოგჯერ ვილაციის ქოხთანაც ან სამ გასაყარ გზაზე, ნათლობაც ოჯახში სრულდება, ხოლო ზემოთ დამოწმებულ ჩანაწერში (ალი დავითიანის კოლექციიდან): „ნაადრევად შობილი ამირანი, რომელსაც შუბლზე მზე და მთვარე უნათებს, დალის დაჟინებული თხოვნით დაუკოდავი ბუღას ტყავში შეახვიეს და უღრან ტყეში შეაგდეს. სრული ციტირებისგან თავს ვიკავებთ, კერძოდ, როგორ მოიტკა ყვავი ან ყორანი... სიმართლე მტრედმა აუწყა: მხოლოდ დავაკვირდეთ გამოთქმას „შენ შეილადაც ცოდვას, ისეთი ბავშვი წევს ტყეში“. უფალმა უთხრა: მომიყვანე ბავშვი. მოუყვანეს, ვინ რას არქმევს და ვინ რას“ (ეს ეპიზოდი ძალიან გვაგონებს ზემოთ დამოწმებულ ვარიანტებს). კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო რამ ხდება: „ჩვილმა უთხრა: „თქვენი დარქმეული მე რათ მინდა. მე ჩემ თავს ამირანს ვარქმევ. დარქმევს და გაუშვეს. გაუშვეს და გელათის მთაზე წავიდა. მსგავსი რამ არც ერთ ვარიანტში არ დასტურდება. საინტერესო ისაა, რომ ნადირობისას, შენიშნავს მთქმელი, მამა იამანის შვილები ამ მთაზე წააწყდნენ ამირანს. საბოლოოდ კი დაიძმობილებენ... ჩანაწერის მიხედვით, ბაბა იამანი გულთმისანია. მართალია, ტექსტში გაზღაპრებული ეპიზოდებია, მაგრამ ამირანის უმთავრესი მოტივები სრული სახითაა შემორჩენილი. ასე რომ, იგი ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტთაგანია. სხვა მოტივებზე ამჯერად არაფერს ვამბობთ, ხოლო ერთ-ერთ ჩანაწერში „ამირანის ზღაპარი“ ზემოთ დამოწმებული ვარიანტის მსგავსი ეპიზოდია. ბავშვის ტირილზე სიმართლეს ქრისტე ღმერთს მტრედი ეტყვის... ქრისტემ მონათლა ბავშვი და თავადვე ჩააბარა იამანს აღსაზრდელად. ეს კი მნიშვნელოვანი სიახლეა. მსგავსი ქმედება ქრისტე ღმერთისაგან სხვა ვარიანტებში არ დასტურდება...

ალი დავითიანის კოლექციიდან კიდევ ერთი ჩანაწერია საინტერესო - „ამირან“. ამ ტექსტში მთავარი მოქმედი პერსონაჟი მამალმერთია. მასზე ნაწილობრივ გვქონდა საუბარი და ითქვა, რომ ამირანი

ცთუნებულის შვილია. მაცთუნებელი კი გველია. ამ ვარიანტში, დამოწმებული ორი ჩანაწერის მსგავსად, დალ-დარეჯანის ანდერძით, მოსამსახურე გოგომ ჩვილი ბავშვი ბუღას ტყავში შეახვია და უღრან ტყეში შეაგდო. გზაზე ქრისტე მოდის თავისი მოწმებებით: ყვავი, ყორანი, მტრელი. ამ შემთხვევაშიც ბავშვის ტირილზე სიმართლეს მტრელი იტყვის. ქრისტე ღმერთმა მონათლა ამირანი და აღსაზრდელად იამანთან წაიყვანა.

ბოლო, მეოთხე, ჩანაწერში (ალი დაივითიანის კოლექცია :1957) ამირანის ნათლია ნოეა, ამხანაგები კი - ყვავი ყორანი და მტრელი. აქაც ბავშვის ტირილზე სიმართლის მთქმელი მტრელია. ნოემაც მასვე უთხრა, რომ ბავშვი ამომიყვანეო ტყიდან. ნოემ სახელიც თვითონ უწოდა და თავადვე გაზრდა. (ე.ი. გამზრდელიც თვითონაა და ნათლიაც). არის მცირე ნიუანსობრივი სხვაობაც. ყველა ჩანაწერისაგან განსხვავებით, ამ ვარიანტში ჩვილი ამირანი თხის ტყავშია გახვეული.

ზემოთ დამოწმებულ ქალღანისეულ, გურჩიანისეულსა და გულღანისეულ ვარიანტებში ქრისტე ღმერთი თავად გამოცხადდება ივა ხელმწიფის ოჯახში. მან ვაჟი მონათლა. სხვა ვარიანტები არ იძლევიან რაიმე ხელშესახებ სხვაობებს (ვეულისხმობთ ნათლობას).

როგორც ითქვა, დღემდე ცნობილი ჩანაწერებიდან კარგადაა ცნობილი ამირანისა და მისი ძმების ბობოქარი ბავშვობა. დამოწმებული ვარიანტებიდან კი არაფერი ვიცით, მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ ხარის ტყავში გამოხვეული ამირანი ისეა განათლული და განახლებული და დაყურებული იორდანეს წყალში, რომ ივას ვაჟიშვილებმა შეძლეს მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ ტყავი ისე მძიმე აღმოჩნდა, რომ ძლივს მოიტანეს შინ. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამირანის სახით მიწიერ საუფლოში შეუდარებელი არსება შემოდის, მისი მეტოქე არავინ იქნება ადამიანთა საცხოვრისში და კიდევ, სიუჟეტი იმნაირად ვითარდება, რომ მხოლოდ ამირანს ძალუძს გაიგოს ივა ხელმწიფის თვალის დაკარგვის მიზეზი, საიდუმლო. ამ საიდუმლოებასთან კი ბევრი რამ არის დაკავშირებული, შეიძლება ითქვას, ქვეყნის ბედიც. არაა ძნელი იმის ამოცნობა, რომ თვალის დაკარგვის მიზეზი იმიტომდა დაფარული და გასაიდუმლოებული, რომ მისი დაბრუნება შეილებს არ ძალუძთ. თვალის დაბრუნება, როგორც ამას ქვემოთ ვნა-

ხვთ, იმავდროულად სასიცოცხლო სივრცის, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ნიშნავს. (რასაკვირველია, თვალის დაკარგვას: სხვა სიმბოლური დატვირთვაც ახლავს). ქვეტექსტი ივას თვალის დაკარგვის იდუმალებისა ისაა, რომ ადამიანთა საცხოვრისს უნდა დაუბრუნდეს კუთვნილი ტერიტორია, რომელიც ბოროტი ძალების ხელშია, რაც ივას ვაჟიშვილებისათვის მიუწვდომელია, შეუძლებელია. ამისათვის, ე.ი. მიზნის მისაღწევად, მხოლოდ ამირანული ძალმოსილებაა საჭირო. ეს ეპიზოდიც ამ აზრითაა განსაკუთრებული მნიშვნელობის. მასში აშკარად ცნაურდება ამირანის მისია და ვინაობაც.

ამ ეპიზოდიდან სრულიად ახალი ეტაპი იწყება როგორც ამირანის, ისე ივას და მისი შვილების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

ივარაუდება, რომ ამირანი ივას ოჯახში ბევრ მიწიერ საიდუმლოებას ეზიარა, ვინაიდან თავად ივა მნიშვნელოვნად გამონაკლისი მოვლენა ჩანს მიწიერ საუფლოში. იგი ამირანის წინამორბედ გმირადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ის არის ბრძენი კაცი, რომელიც დიდ საიდუმლოებებს ფლობს... მის სატკივარსა და სადარდებელზე, წარსულზეც შვილებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ძეგლის შინაარსიდან, აშკარაა, რომ ივა ხელმწიფე ამირანამდე პირველი კაცთაგანია, რომელიც ქრისტეს ნათლულია. ტექსტიდან ისიც ცხადია, რომ მასზე ღვთიური სიბრძნეა გადმოსული. ამ სიბრძნის გამჟღავნება კი დროის საქმეა. ალბათ, ამოსაცნობი საიდუმლოებაა, რომ ქრისტე ღმერთმა ივა ხელმწიფეს ბაღე აჩუქა და თავისი ძალმოსილებაც ზედ დაანათლა. ეს საიდუმლოება შვილებმა გვიან გაიგეს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამირანის საგმირო ქმედებათა გზაზე ივა მამა გადმწყვეტ როლს ასრულებს. რასაკვირველია, კონკრეტულ შემთხვევაში ფარულად ის აზრია ჩადებული, რომ მიწიერს თავისი ძნელად ამოსაცნობი სირთულეები ახლავს, რაც ყველაზე სიღრმისეულად ივა მამას აქვს გაცნობიერებული. საანალიზო ვარიანტებზე დაკვირვება ააშკარავებს, რომ ამირანმა ივასდროინდელი ტერიტორიები დაუბრუნა ადამიანთა საცხოვრისს, ე.ი. თავის ძველი ძლევაძალმოსილება, დიდება აღუდგინა ივა მამას, მაგრამ შვილებმა, კერძოდ ამირანმა, კიდევ მეტი, ახალი რამ უნდა გააკეთოს ადამიანებისათვის... თავად ივა გამო-

საცნობი ინდივიდუალობაა, მან კარგად იცოდა, თუ როდის შეიძლებოდა საიდუმლოს გამჟღავნება. ასეთი ჟამიც დადგა.

მეორე დღეს, ივა ხელმწიფემ აუწყა შეილებს: დევმაო ჯერ კალია და სკა წამართვა, აქ იგულისხმება სასიცოცხლო სივრცე, ტერიტორია და არა კალია და თაფლი, როგორც ასეთი. დავაკვირდეთ ტექსტის შინაარსს. როცა ამირანმა და მისმა ძმებმა ფუტკრებიც დაამარცხეს, მთქმელის შენიშვნით, სამი წლის შემდეგ დაბრუნდნენ შინ. ცხადია, აქ იგულისხმება, რომ ამდენ წლის სავალი ტერიტორია წარსტაცა დევმა ივა ხელმწიფეს. ამირანმა კი დაუბრუნა ადამიანთა საცხოვრისს. (ამის შემდეგ ძმები ამარცხებენ ურად დევს. დამოწმებული ეპიზოდში ურთულესი შინაარსის სიტყვებია. ჩანს, ამ დავალების შესასრულებლად თვით ამირანული ძალაც არაა საკმარისი, ამიტომამა ამ გამოუვალ სიტუაციაში ქრისტე ღმერთის მხარდაჭერა საჭირო, რომელიც განუწყვეტლივ მეთვალყურეობს ამირანს, თვალს ადევნებს მის ყოველ მოქმედებას.

ტექსტიდან ისიც უდავოა, რომ ნამდვილ საჭაბუკოდ ამირანი მეორედ გადის სახლიდან (პირველად, როცა კალია და ფუტკარი დაამარცხეს). იგი იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ ნათლიას დახმარება გახდა საჭირო. ალბათ, აქ იმის თქმაცაა აუცილებელი, რომ ამირანი და მისი ძმები ყოველგვარი წინასწარი გამოცდის გარეშე მიდიან საჭაბუკოდ. ესეც ამ ვარიანტების სპეციფიკაა. ტრადიციული ვარიანტებიდან და, საერთოდ, უმეტესი ჩანაწერებიდან ვიცით, როგორ ცდის შვილებს იამანი. თუ დოლაბ ქვას ციხეზე გადაადგმობს და მეორე მხარეს კვლავ დაიჭერთ, ივარგებთ დევის წინააღმდეგ მებრძოლებადო“. შეიძლება გვეფიქრა, რომ ივა მამის მიერ შვილების გაგზავნა კალიას ხორცისა და თაფლის მოსატანად არის გამოცდა, მაგრამ არიან თუ არა ისინი მზად ამგვარი ურთულესი გამოცდისა თუ დავალების აღსასრულებლად, არაფერი ვიცით. ძალის სფეროში მათ არანაირი გამოცდა არ გაუვლიათ. სხვა ვარიანტებიდან, იამანის გამოცდის შემდეგ მკითხველი იმედინანადაა განწყობილი, რომ გმირები გაიმარჯვებენ. აქ კი მხოლოდ რჩევა—დარიგებებია ბრძენი ივა მამის, რომელიც, როგორც ითქვა, მიწიერი ყოფიერების ღრმა მცოდნეა, ქრისტეს ნათლული და სხვა, მაგრამ მას, როგორც ასეთს, მხოლოდ რჩევა—დარიგების მიცემა ძალუძს, თუ როდის, როგორ უნდა მოიქცნენ შვილები.

ივას, როგორც სახელგანთქმულ ხელმწიფეს, გავლილი აქვს თავისი რაინდული გზა, მიუხედავად ესოდენ დიდი სიბრძნისა და პოპულარობისა, იგი მანაც წარსულია, ყოველნაირად ვალმოხდილი, შვილების მისია გაცილებით მეტია, კერძოდ, ადამიანთა საცხოვრისის გარდაქმნა, განახლება, ახალი წესრიგის დამყარება და არა მხოლოდ კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნება. ისევ რომ გავიმეოროთ, შვილები-სათვის მისი რჩევა-დარიგებები გზის გამკვალავია“, სამომავლო მნიშვნელობისაც, მაგრამ ცხადია, შვილები ვერ იქნებიან მამის გამეორება, მათ საკუთარი დამოუკიდებელი მისია აკისრიათ. ამიტომაცაა, რომ გარკვეული ეტაპის შემდეგ ივა მამა აღარ იძლევა რჩევა-დარიგებებს. იგი, როგორც პერსონაჟი, ქრება ასპარეზიდან. შვილები დამოუკიდებლად მოქმედებენ:

„როცა ამირანმა ურად დევი დაიმორჩილა, ხანჯალი მიაბჯინა ყელზე, უთხრასო, სად დევს მისი ბაბუას თვალი, თუ არა მოსვლიათ უკანასკნელი დღე. დევმა ასწავლა მისი ბაბუას თვალი: ისო, მის ქალიშვილს უდევსო თეფშზე, მაგრამ მისი ქალიშვილის მორევა გაუჭირდებათო. თუკი წარსტაცებთ, ეჰე, იმის სახვევი, საწმენდიც წაიღეთ, თუ არა, უიმიოდ არანაირი სარგებელი არ იქნება თქვენთვის. სახვევ-სახოცი თეფშს ქვევიდან გამოუსვით და თვალი თეფშს მოსცილდება, შემდეგ ჩაუდგით თქვენ ბაბუას და გარედან ისევ სახოცი მოუსვით და თვალიც ძველებურად დაუბრუნდება“. ამირანის სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით, დამოწმებულ ეპიზოდში სახოცის მაგიურობაა საინტერესო. როცა დევმა ივას თვალი გამოუღო და თავის ქალიშვილს ოქროს თეფშზე დაუდო, ჩანს, ამ სახოცით გახდა შესაძლებელი თვალის თეფშზე იმ ძალით მიკვრა, რომ მისი მოცილება შეუძლებელი იყო ადამიანური საშუალებებით. როგორც ჩანაწერიდან ვიკვებთ, თეფშიდან თვალის მოცილება ისევ დევური, ანუ ეშმაური, იდუმალებით გახდა შესაძლებელი. ამირანმა სწორედ ეს საიდუმლო ათქმევინა დევს. ბოროტება გაანადგურეს, როგორც ასეთი, და დიდი საიდუმლოებაც წამოიღეს.

დამოწმებული ეპიზოდის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. შინაარსიდან ვიცით, რომ თეფშზე დასმული ივა ხელმწიფის თვალი მზესავით ანათებს. თვალი, მითოსური სიმბოლიკით, „მზისა და

მთვარის განსახიერებაა. სინათლე, ცეცხლი (ღვთიური) ძალა, ნაყოფიერება და ცოდნაა“ (მაკოვსკი, 1996:180).

სიმბოლური აზრით, როგორც პლატონი ამბობს: „თვალი ვერ შეხედავდა მზეს, თუ რაღაც აზრით თავად არ იყოს მზე. იქიდან გამომდინარე, რომ მზე სინათლის წყაროა, სულისა და გონის სიმბოლოდ გვევლინება“.

– აი, ეს წარსტაცა დევმა ივას ტერიტორიასთან ერთად .

ურად დევის დამარცხების შემდეგ განსხვავებული ეტაპი იწყება გმირთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ამიერიდან ისინი დამოუკიდებლად, ყოველგვარი რჩევა-დარიგებების გარეშე მოქმედებენ და ეწვეიან ქვეყნისათვის სარგო საქმიანობას, ხოლო უშუალოდ ბადრის, ვისიბისა და ჩალამ-კალამის მოღვაწეობაში ესაა მესამე საფეხური, ეტაპი (პირველი, რომ ისინი სახელგანთქმული რაინდები არიან, ბოროტი ძალების ამომწყვეტი, ამირანთან ერთად კი მათ დამარცხეს კალია, ფუტკარი, დევი და ივა მამას თვალთან ერთად ტერიტორიაც დაუბრუნეს). დავსძენთ, რომ ივა ხელმწიფის ვაჟიშვილთა ცხოვრება, მოღვაწეობა და საქმიანობა მუდმივ განახლებასა და ფერისცვალებაშია, მუდამ ახალი არჩევანის წინაშე დგანან. ისინი ამითაც სხვაობენ ტრადიციული ვარიანტებისაგან. ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაც დამოწმებული ვარიანტებისა: კერძოდ, ბადრი, ვისიბი და ჩალამ-კალამი ბოლომდე ამირანის გვერდით დგანან, იგი საჭაბუკოდ მარტო არასოდეს გაუშვიათ, ამირანის ყველა საგმირო საქმეების აქტიური თანამონაწილეები არიან. მათი ურთიერთობა ბოლომდე სანაქებოა, გაუგებრობა თუ კონფლიქტი მათ შორის არასოდეს წარმოშობილა. ალბათ, აქ ძალიან დიდი კანონზომიერებაა. ბადრი, ვისიბი და ჩალამ-კალამი, ცხადია, ივა ხელმწიფის მეშვეობით, გრძნობდნენ და გრძნობენ, რომ ამირანის სახით ადამიანთა საცხოვრისში განსაკუთრებული ძალმოსილებაა შემოსული. ისინი, მიუხედავად ყოველის მძლევი რაინდობისა, საბოლოოდ მაინც ამირანის დამხმარე ძალები არიან.

ამირანის ჭაბუკობის ამსახველი ვარიანტიდან საინტერესოა ერთ-ერთი ჩანაწერი - „ამირანი“: ტექსტი ჩაწერილია 1970 წ. მესტიის რაიონის სოფ. ლენჯერში, მთქმელი რადიმა ფუთის ასული გურჩიანი, ჩამწერი მ.ბეჟიტაძე (თსუფა, 1970:31).

„ერთხელ ამირანი სოფელში გავიდა, სახალხო ყრილობა იყო და ხალხი კამათობდა. ამირანი თუ მოერეოდა მათ ფალავანს, მერაბს. მერაბიო დიდი ღმერთის (მამა ღმერთი) ნათლულია, ამირანი კი მართო ქრისტე ღმერთის... ამირანი დაღონებული დაბრუნდა შინ და უამბო თავის გამზრდელს. ამანმა უთხრა: აბა, შენ როგორ მოერევი დიდი ღმერთის ნათლულს მერაბს. ამირანი დაღონდა, მაშინ ამანმა უთხრა, თუ ასე გინდა, მე გასწავლიო, როგორ უნდა მოიქცე. ახალი მთვარის კვირას ის ყოველთვის წვეს და არ მუშაობს. შინ როდესაც მიხვალ, ის დაწოლილი იქნება და შენ გარედან დაუძახე.

— მერაბ, გამოდი, მეჭიდავე. ის არ გამოვა. შენ უთხარი; ქალის ლეჩაქი თუ არ გზურავს, გამოდი და მეჭიდავე.

ამ დროს მერაბი ადგება და თავის ლოგინთან ჩამოკიდებულ ხმალს აიღებს, ასალესად ბარძაყზე მოისვამს... ბარძაყი გაეჭრება და შენგან დამარცხებული იქნება.

ამირანიც ასე მოიქცა და მერაბი კვდება. ჩანაწერი ძალზე ორიგინალურია, დამოწმებული ეპიზოდი იმ მხრივია საინტერესო, რომ ამირანი ორთაბრძოლაში კი არ ამარცხებს მერაბს, არამედ ხერხის ძალით და ისიც იამანის დარიგებით. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა, მაგრამ მაინც გარეგნული, რაც შინაარსიდანაც კარგად ჩანს. მთავარია იამანის სიტყვების აზრი, მისი იდუმალების წვდომა. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, მერაბი ახალი მთვარის კვირა დღეს ყოველთვის შინ არის, წვეს, გარეთ არ გამოდის, არანაირ სამუშაოს არ ასრულებს. ე.ი. მისთვის ეს დღე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, წმინდა დღეა. ივარაუდება, რომ მერაბს აკრძალვები აქვს დასაცავი, რაც, ცხადია, ზედაპირზე არ დევს. ეს გმირის შინაგანი საიდუმლოებაა, მხოლოდ მისეული. გმირის ამგვარ ქმედებაში სულიერი განწმენდა დასანახავი. ეს დღე მისთვის არის ჩაკეტილი, საიდუმლო დღე. ტექსტის მიხედვით, იგი მთვარის ძალების დღეა. ცხადია, ამ დღეს სიწმინდეების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მერაბის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ, თუ ეს სიწმინდეები იქნება დაცული, ხმალიც მაშინ აიღესება საკუთარ ბარძაყზე. რასაკვირველია, ამ დღეს არანაირი საბრძოლო შერკინება, თუნდაც შეჭიდება ძალის გამოცდის მიზნით არ შეიძლება. ეს იცის მხოლოდ იამანმა. იგი სევანური ვარიანტებით, გულთმისანია. სწორედ მან შეურ-

ჩია ეს წმინდა დღე ამირანს მერაბთან საჭიდაოდ, უფრო ზუსტად, საბრძოლველად. როგორც იამანის სიტყვებიდან ვიცით, მერაბი გაცილებით ძლიერია ამირანზე, მის დასამარცხებლად მოხერხებული ქმედებაა საჭირო. დავსძენთ, რომ სვანურ ვარიანტებში ამირანი ხშირად მიმართავს ზერხიანობას. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ იამანმა ზედმიწევნით კარგად იცის მერაბის საიდუმლოებები, სუსტი და ძლიერი მხარეები. მართალია, მერაბი ახალი მთვარის პირველ კვირა დღეს გარეთაც არ გამოდის, არც რაიმე სამუშაოს ასრულებს, მაგრამ გულთმისანმა იამანმა ძალიან კარგად იცის ისიც, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ამირანმა ამ შემთხვევაში. უთხარიო, რომ „ქალის ლეჩაქი თუ არ გზურავს, გამოდი და მეჭიდავეო. როგორც ვხედავთ, ამირანმა ყველაზე დამამცირებელი სიტყვები აკადრა მერაბს. აქ ისევ იამანის შეგონებებია საინტერესო: „ამ დროს მერაბი აღგება და თავის ლოგინთან ჩამოკიდებულ ხმალს აიღებს, ასალესავად ბარძაყზე მოისვაძს, მაგრამ ამ დროს ბარძაყი გაეჭრება და შენგან დამარცხებული იქნება“. მოტანილ სიტყვებში ყველაზე საყურადღებოა, რომ გმირი საკუთარ ბარძაყზე ლესავს ხმალს, და მერე ებმება ბრძოლაში. ეს კი გამონაკლისი შემთხვევაა და იგი ამირანის არც ერთ ვარიანტში არ დასტურდება და კიდევ, ხმალი იმ შემთხვევაში ილესება ბარძაყზე, თუ ახალი მთვარის კვირა დღეს სიწმინდეები ბოლომდე იქნება დაცული, არ იმუშავებს, გარეთ არ გამოვა და სხვა. ე.ი. ეს დღე მერაბისათვის სულიერი განწმენდისა და ძალთა განახლების დღეა. რასაკვირველია, წმინდა დღეს არც შრომა შეიძლება და არც ბრძოლა. როგორც შინაარსიდან ირკვევა, მერაბმა ვერ გაუძლო, ვერ აიტანა დამამცირებელი სიტყვები და საბრძოლველად გამოვიდა, ხმალი ასალესავად ბარძაყზე მოისვა და ბარძაყი გაეჭრა. როგორც ვხედავთ, ყველაფერი იამანის წინასწარგანჭვრეტით აღსრულდა. ამირანს მერაბთან ორთაბრძოლაში არ გაუმარჯვია. მერაბი ყოველგვარი რაინდული შერკინების გარეშე კვდება მისივე ხმლით. გმირის დაღუპვის მიზეზი მხოლოდ გულთმისანი იამანის ზერხიანობაა და არა ამირანის ძალმოსილება. ტექსტიდან ვიცით, რომ მერაბი მასზე, როგორც რაინდი, შეუდარებლად ძლიერია, იგი დიდი ღმერთის ნათლულია. ცხადია, მერაბის ყველაზე დიდი შეცდომაა, რომ წმინდა დღეს საბრძოლველად გამოვიდა, რაც მისი ტრაგედიის მიზეზი გახდა. აქ უმთავრესი მანაც ტაბუს დარღვე-

ვა. ტაბუ, აკრძალვები ბოლომდე უნდა იქნეს დაცული ვიცით, რომ ტაბუს დაუცველობაა მონადირის დალუპვის მიზეზი სამონადირეო ციკლის მასალებში. ე.ი. საფუძველი რელიგიურია, იგივე შეიძლება ითქვას დამოწმებული ვარიანტის ეპიზოდზეც, კერძოდ, მერაბის ტრაგედიაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამირანის დახასიათებისას აქცენტები უმეტესად ფიზიკურ ძლიერებაზეა გადატანილი, რომ იგი ტიტანური ძალისაა და ყველა მორწინააღმდეგეს ამარცხებს, მითითებულია, რომ ამირანი მოულოდნელი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ამბრი არაბთან შეხვედრის გამო „ამბრი თითქოს სხვა სივრცეში არსებობდა და სიკვდილის შემდეგ შემოიჭრა ამირანის ცხოვრებაში, როგორც ცოცხალი დადასტურება ხალხური თქმისა: „მჯობნის მჯობნი არ დაილევა“ (კიკნაძე, 2001:23). მკვდარი ამბრის ფეხს, რომელიც ურმიდან გადმოუარდნილიყო და მიწაზე ნაღარს ტოვებდა, ამირანმა ძვრაც ვერ უყო. ამის გამო სასოწარკვეთას მიეცა, ხოლო ნათლიისაგან ძალამომატებული ყოვლისმძლევია და მიწიერ საუფლოში ყველა მოწინააღმდეგეს ამარცხებს.

სვანურ ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ბარის ცალკეულ რაიონებშიც, აღმოჩნდა ახალი ვარიანტები, სადაც ამირანი არაა მოკლებული მოხერხებულ ქმედებას. ამ საკითხს ელ.ვირსალაძემ მიაქცია ყურადღება და მიუთითა, რომ „ამირანი შეებრძოლება დევის დედას და მოტყუებით, მოხერხებით სჯობნის“ (ვირსალაძე, 1964:157).

ჩენი აზრით, ამირანის ფათურაკებით აღსავსე გზაზე ფიზიკურ ძლიერებასთან ერთად მოხერხებული ქმედებაცაა დასანახავი. ამ აზრით საინტერესოა სვანური პროზაული ტექსტების პირველ ტომში – ბალსზემოური კილო“ დაბეჭდილი ვარიანტები. ერთ-ერთში, რომელიც „მჭედელი დარჯელანის“ ბ) ვარიანტია, აღწერილია, რომ ამირანი დაემშვიდობა ძმებს და მარტო გაუდგა გზას. ერთ-ერთ ტრიალ მინდორში ჯარი შენიშნა. ამ ჯარში ერთი ვინმე ისე მალაღია, რომ სხვები მხრებაძღვეც კი ძლივს სწვდებიან. ამირანმა იკითხა ამ კაცზე და უთხრეს, რომ იგი ანდრერობის შვილი ჯინჯიქია. ამირანი მივიდა ამ კაცთან: ჯინჯიქმა ჰკითხა: სად ყოფილხარ?

– სად და ამირანთან, - უთხრა ამირანმა.

– რა სჩვევია მერე ამირანს?

– რა და მშვილდ-ისარს მომართავს, ისრებს პირში ისვრის და ნამტვრევებს უკან აბრუნებს. მანაც მომართა ამირანის მშვილდ-ისარი. ისროლა პირში და ნამტვრევები ისევ უკან ამოყარა – ყელიდან.

– კიდევ რას შერებაო?

– კიდევ იმას, რომ, რაც აქ კაცია, თუ ყველა ერთი თვე ზიდავს ქვას და მას თეძოებზე ზედ დააყრის, ყველაფერს განზე გადაყრისო.

მართლაც მთელი ჯარი ერთი თვე ეზიდებოდა ქვას და აყრიდნენ ჯინჯიქს. სანამ მათ გადაყრიდა, ამირანმა უთხრა: დაიცადე, და უზარმაზარი ლოდი დაუმატა თეძოზე, ვერ გაუძლო და უთხრა: – ამოიღოსო, თუ არა სული ძერებაო.

– ოო, ზომ მოუტყუებიანო, ამირანი თვითონააო“.

ჯინჯიქმა უთხრა: მე მომატყუე, მაგრამ მაამჩემს, ანდრერობს, ვერ მოატყუებო..

ამის შემდეგ ამირანი ხედება ანდრერობს, ოღონდ მას ასაფლავენ, მომკვდავია, ცალი ფეხი ძირს აქვს გადმოვარდნილი და მიწაზე ნაღარს ტოვებს. ამირანმა ფეხი ისევ მარხილზე დაუდგა.; ადრერობმა უთხრა: მომეცი ღვთის თავდებობა, რომ ჩემ შვილს გაზრდი. ამირანი დათანხმდა და წაიყვანა გასაზრდელად. ერთერთ ბორცვზე ამირანს დაეძინა. ამ დროს საში გველეშაპი გამოჩნდა, ვაჟმა თავები მიახლევიანა და ხეზე ჩამოჰკიდა. გამოძღვიებულმა ამირანმა გაიხადა და იცნო ვეშაპი, რომელმაც იგი ერთხელ გადაყლაპა. გასაზრდელმა ჭაბუკმა კი იოლაღ მოკლა. შეეშინდა, რომ გაიზრდება, მეც მომერევაო და მოკლა ჭაბუკი“ (შანიძე, 1939:91).

როგორც ვხედავთ, დამოწმებული ვარიანტის ეპიზოდში ამირანი სულ სხვაგვარ გმირად გვევლინება, ვიდრე ტრადიციულ ჩანაწერებშია. ჯინჯიქსა და ანდრერობთან შეხვედრისას რწმუნდება, რომ ფიზიკური ძლიერებით იგი აშკარად ჩამორჩება მათ, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთამდე კი არ მიდის, არამედ გააზრებით, მონერხებულად მოქმედებს...

დამოწმებული ტექტის ა) ვარიანტში ასეთი ეპიზოდი დასტურდება. ერთ ადგილას ამირანმა დაინახა: „თორმეტ უღელ კამენს ურმით მოჰყავთ ერთი გმირი, რომელსაც ცალი ფეხი გარეთ აქვს გამოვარდნილი და მიწაზე თორმეტი საჟენი სიღრმის ნაღარს ტოვებს.

ამირანის ჩამოსტა რაშიდან და ფეხი ისევ ურეშზე დაუდგა. გმირი უცებ მიხვდა, რომ ეს ამირანის ხელი იყო, ხელი მომეციო, უთხრა. ამირანმა ხელი ჩამოართვა. გმირმა უთხრა, ქრისტეს თავდებობა უკვე გატეხილი გაქვს, ახლა უნდა შემომფიცო, რომ ჩემი ღივო და გუა (ორივე გმირის თავთან იდგა იქით-აქეთ) უნდა გამიზარდო. ამირანი დათანხმდა. წამოიყვანა და არიან სალამოს ერთად.

ამირანი დაფიქრდა „რად ჭირდება ამათი ხელი?“ გადაწყვიტა მათი მოკვლა, თავები ერთიმეორეზე მიახლევინა და დატოვა ასე“. ცხადია, ამ ეპიზოდში ამირანის ქმედება სხვაგვარად შეიძლება შეფასდეს. მის ამგვარ ქმედებას აქვს თუ არა გამართლება და სხვა, თანაც მესამედ გატეხა ქრისტეს თავდებობა და დაისაჯა კიდეც, მაგრამ მთავარი მაინც განსჯაა და საკუთარ მომავალზე ფიქრი. რად უნდა დამჭირდეს ამათი ხელი?“ ეს მრავალმხრივია საინტერესო.. (მთქმელი შალვა სტეფანეს ძე ონიანი, მცხ. ლენტეხის რაიონი სოფ. საშაშში, 1985წ. ჩამწერი ო. ონიანი).

ჩვენ მიერ ჩაწერილ ვარიანტში კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს ამირანის ხერხიანობა, ერთ-ერთი ტექსტში ასეთი ეპიზოდია: „ამირანის მომრევი, მოწინააღმდეგე არაფერ იყო ქვეყანაზე. ეს გაუგია ერთ ქალს და ვირთან დაუჭერია ურთიერთობა, რომ ამირანის მძლვეი შეიღლი ჰყოლოდა. მართლაც ეყოლა ვაჟი, რომელსაც ასლანი უწოდეს. ისიც ეძებდა ამირანს, რომ შებრძოლებოდა. ამირანი შეხვდა, დაინახა თუ არა, მიხვდა, რომ ასლან გმირთან ვერაფერს გახდებოდა და თავი ამირანის მოჯამაგირედ გააცნო. ასლანმა ჰკითხა, რა ჩვევა აქვსო ამირანს. ამირანმა უთხრა. მე რომ ხეებს მოვჭრიდი, მორებს დავაგორებდი. ამირანი ძირს გულმკერდს შეუშვერდა და ნამტვრევებს ზევით მომყარდა. ასლან გმირმა თქვა. მეც შემიძლიაო ეს. მართლაც, ასლან გმირმა მორების ნამტვრევები ზევით შეაყარა ამირანს. კიდევ რა იცოდა? – წყალში დაწვებოდა, მე მორებსა და ქვა-ღორღს ზედ დავაყრიდი, წყალს გავყინავდი. მეორე დღეს ყინულს და ქვა-ღორღს აქეთ-იქეთ ყრიდაო, ასლანმა ესეც შეასრულა, კიდევ რა იცოდა? კიდევ არაფერი ისეთი, ამას მეც ვაკეთებო, ამოიღო აღმასის დანა ამირანმა და გვერდზე მოისვა მთელი ძალით. ცალი გვერდი კი შეუვალი, სვანურად „ბითუმ“ – ბითაო ჰქონდა და აღმასის დანამ ჭრიალი გაადინა. ამას მეც ვიზამო, გამოართვა დანა და მთელი ძალით მოისვა გვერდზე

და დანა გულ-ღვიძელში გაიყარა. ასლანი სიკვდილის პირისაა მისუ-
ლი და ამირანმა უთხრა, რომ თავად არის ამირანი. ასლან გმირს გაე-
ცინა: – „შენ ჩემს მოწინააღმდეგედ არ ივარგებდი“ (მთქმელი ელენე
კვირიას ასული ჭელიძე, მცხ. ლენტეხის რაიონი სოფ. საშაშში,
1972წ. ჩამწერი ო. ონიანი). ამირანი აქაც ფიცის გამტეხია და ის-
ჯება კიდევ, მაგრამ მოხერხებული ქმედებაც აშკარაა, გამოუვალ
მღვთმარეობაში იგი გააზრებულად მომეღებს და გამარჯვებასაც აღ-
წევს. ასე რომ, მხოლოდ ფიზიკური ძლიერება არ არის მისი ერთა-
დერთი საშუალება მიზნის მისაღწევად...

ზემოთ დამოწმებულ ვარიანტში „თსუფა“ 8300–8301–09,
როცა იამანმა დაარიგა ამირანი, როგორც უნდა მოქცეულიყო, რომ
დიდი ღმერთის ნათლული მერაბი დაემარცხა. სოუჟეტი ტრადიციუ-
ლი ჩანაწერების მსგავსად ვითარდება: „როდესაც მერაბს მიასვენე-
ბენ, მარტო ცალი მხარი ჩაუდეს კუბოში და მეორეს ველარ მოერივნ-
ენ, მაშინ მერაბმა უთხრა – ამირანს უთხარით და ჩამდებს კუბოში.
მოვიდა ამირანი და ჩადვა მერაბი კუბოში. მერაბმა ხელი ჩამოართვა
და უთხრა: ჩემი ორი შვილი შენ გამიზარდე... ამირანი დათანხმდა და
წაიყვანა მერაბის შვილები.

„ერთხელ ამირანმა მინდორში გაიყოლია ბავშვები და თვი-
თონ წამოწვა, ბავშვები კი სასეირნოდ გაუშვა. მათ დაინახეს ორი ღე-
ვი, რომლებიც მინდორს ჩამომსხდარიყვნენ და ტანსაცმელს ფერ-
თხავდნენ. ბავშვები მიეპარნენ დევებს. ერთი ერთ მხარეს ამოუდგა და
მეორე მეორე მხარეს და დევების თავები ერთიმეორეს შეახეთქეს...
ბავშვები ისევ მოვიდნენ ამირანთან და ჩაცუცქდნენ. ამირანს ებინა.
სიზმარს ხედავდა, ვითომ ერთი ქალი ეუბნებოდა: „ამ ბავშვებმა ორი
ღევი მოკლეს და, შენ, შე უბედურო, შენ რა გეშველუბაო... ამირანმა
გამოიღვიძა... აიღო ხმალი, შეუბერა ამ მერაბის ბავშვებს და ღრუ-
ბელსა და ღრუბელს შუა ჩააგდო, როდესაც ამირანმა ჩაისუნთქა, ბავ-
შეები მის წინ დაბრუნდნენ. ამირანმა ორივე დახოცა“.

ამონაწერი ძალიან ვრცელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამგვა-
რი სისრულით დამოწმებაც აუცილებელია, ვინაიდან ამირანი არაა
მხოლოდ ძალისმიერი გმირი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურა-
რაშია აღიარებული...

საანალიზოდ წარმოდგენილ ტექსტში საინტერესოა ამირანის სიზმრისეული ხილვა. იგი შეიძლება ღვთიურ გამოცხადებადაც მივიჩნიოთ, რითაც ამირანს მოსალოდნელი საფრთხე ეუწყა. ეს ეპიზოდიც ახალი ელემენტია ამირანის ფათურა კებით აღსავსე გზაზე.

გმირთა გააზრებულ, მოხერხებულ ქმედებასთან გვაქვს საქმე ქალღანისეულ, გურჩიანისეულ და გულღანისეულ ვარიანტებშიც. დავსძენთ, რომ ამგვარ ვარიანტთა რიცხვი ათამდეა და იგი კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამდენად, ამირანის ბუნება და საგმირო ქმედებებიც სხვაგვარად წარმოგვიდგება. დამოწმებულ ტექსტებში მერაბი ახალი პერსონაჟია, – იგი სხვა ვარიანტებშიც შეგვხვდება.

ტრადიციული ჩანაწერებით, ამირანი იამანის ოჯახში იზრდება. აქ, ალბათ, მეტი სიზუსტეა საჭირო. ზემოთ განხილული ვარიანტით, ამირანის აღმზრდელი მისივე ნათლიაა, ნოე. ალი დავითიანის ჩანაწერებში კვითხულობთ (ამ ტექსტზე გვქონდა საუბარი): „როცა მტრედმა და მისმა ამხანაგებმა (ყვავი და ყორანი) ჩვილი ბავშვი ქრისტე ღმერთს მოუყვანეს, ვინ რას არქმევდა და ვინ რასო. ამ დროს ჩვილმა უთხრა: – თქვენი დარქმეული მე რად მინდა, მე ჩემ თავს ამირანს ვარქმევ და არქვეს და გელათის მთაზე წავიდა: ეპიზოდული ძალზე ორიგინალურია. ქრისტე ღმერთისაგან თითქოს არ ჩანს განსაკუთრებული დაინტერესება ბავშვის აღზრდასა და მომავალზე, სად ან ვისთან მიდის ახლად შობილი ამირანი, ვინ უნდა გაზარდოს, მთქმელი დუმს, არაფერს გვეუბნება, ეს მაშინ, როცა ცალკეული ჩანაწერებით ქრისტე ღმერთს თავადვე მიჰყავს ჩვილი ამირანი იამანთან აღსაზრდელად. სასწაულებრივად შობილი ამირანი სასწაულებრივ მთას ირჩევს, გელათის მთას. ზომ არ გვაგონებს იგი სინათლის ღვთაება აპოლონის ბავშვობას (რასაკვირველია, გაგრძელება არ გვაქვს მხედველობაში, რომ მან საზარელი ურჩხული, პითონი დაამარცხა). სადაც კონკრეტულ შემთხვევაში I აპოლონის გამგზავრება და არა სხვა რამ ახლად შობილი ბავშვის ქმედება ბუნებრივადაც კი ჩანს, რომ მან გელათის მთა აირჩია მუდმივ საცხოვრისად. თუ წმინდა ადამიანური პოზიციებიდან განვსჯით, არ იქნებოდა მოულოდნელი კითხვა: ვინ უნდა აღზარდოს ამირანი გელათის მთაში! რატომ გაუშვა ქრისტე ღმერთმა ჩვილი ამირანი გელათის მთაზე? ან საიდან გაჩნდა

ეს მთა ამირანიანში? ფაქტი ერთია, რომ ჩვილი დამოუკიდებლად ირჩევს თავის გზას, ვინმეს ჩარევის გარეშე. ჩანს, რომ მან დაბადებიდანვე იცის თავისი სავალი გზა. ასეთი დამოუკიდებელია იგი ნათლობის დროსაც. „თქვენი დარქმეული სახელი მე რად მინდა, მე ჩემს თავს ამირანს ვარქმევ“. ე.ი. მან თავისი სახელიც შობიდანვე იცის, როგორც ამბობს, გზაც და კვალიც. საკუთარი თავის აღმზრდელიცა და პატრონიც თავადაა. აქ ყოველგვარი ადამიანური განსჯა, ლოგიკა კარგავს თავის ძალას. ყველაფერი ზეადამიანურ პლანშია წარმოდგენილი. ასეთი კითხვაც შეიძლება დაიბადოს, ხომ არ ნიშნავს ჩვილი ამირანის უეცარი წასვლა გელათის მთაზე ისევ ღვთიურ საუფლოსთან მიბრუნებას? იგი ხომ კლდის დედოფლის, დალის, შეილია, ნაადრევად კლდეში შობილი და უღრან ტყეში „შეგდებული“. ჩვილმა წინასწარ იცის მისი სახელი. ცხადზე ცხადია, რომ იგი მთაში იზრდება, ღვთიურ საუფლოში, მაგრამ კუროს ტყავში გამოხვეული და უღრან ტყეში გადაგდებული, ივარაუდება, რომ ბევრ მიწიერ იღუმალებასაა ნაზიარები. ამიტომ ადამიანთა საცხოვრისთან მას ღრმა კავშირი აქვს.

სიუჟეტი ასე ვითარდება (მთქმელის მეტყველების სტილი ყველგან ზუსტადაა დაცული): „აქ ნადირობის დროს“ წააწყდნენ ბაბა იამანის შვილები (იგულისხმება ამირანი, მაგრამ ამაზე ჯერჯერობით არაფერი იციან) და დიდიდან საღამომდე მისდევენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს“. ცხადია, ეს ეპიზოდი ძალიან ჰგავს ზემოთ დამოწმებულ ქალღანისეულ ჩანაწერს და მისი ვარიანტების ეპიზოდს, როცა ბადრიმ, ვისიბმა და ჩალამ-კალამმა ღმერთების მიერ უღელტეხილზე დასმული დახვეული ხარის ტყავი, რომელიც ზოგჯერ ნიაკვარივით ტრიალებს, ვერაფრით დაიჭირეს. ორივე შემთხვევაში ნადირობიდან ხელმოცარულები ბრუნდებიან, თუმცა წინამდებარე ტექსტში ნათქვამია, რომ მარტო კურდღელი მოინადირესო. გულთმისანმა იამანმა, როგორც ივა მამამ, ჰკითხა თავის შვილებს: „აქამდე კლდეს ნადირს არ არჩენდით, ახლა მარტო კურდღელი რატომ მოგაქვთ?! პასუხი თითქმის აქაც ისეთივეა: იმისთანას შევხვდით გელათის მთაზე. შუბლზე მზე და მთვარე უნათებსო. მის ღვენის გამო სანადიროდ ვერ მოვიცალეთ. ე.ი. სახელგანთქმულმა მონადირეებმა, რომლებიც კლდეს ნადირს არ არჩენენ, მათთვის ჯერჯერობით მოულოდნელ საკვირველებას, ისე როგორც ივას შვილებმა დახვეულ ხარის ტყავს, ვერაფე-

რი მოუხერხეს. როგორც ივა ხელმწიფემ დაარიგა თავისი შვილები, თუ როგორ უნდა დაეჭირათ ხარის ტყავი, ასეთსავე რჩევას აძლევს გულთმისანი იამანიც. სწორედ ამ ვარიანტიდან ვიგებთ, რომ იამანი გულთმისანია, ასეთივეა ბადრიც. იამანმა ურჩია, რომ ხელი აეღოთ განზრახვაზე, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს უთხრა: უამრავი საგზალი წაეღოთ, ბევრი კაცი გაიყოლიეთ, სათამაშო ყველაფერი გამართეთ, სადაც დაინახოთ, თუ არ შემოვიდეს, საპარსავი გამართეთ. შვილებიც ასე მოიქცნენ. გამართეს ყველა სახის თამაში, სიმღერა, ცეკვა, მაგრამ არ შემოვიდა, ბოლოს საპარსი გამართეს და შემოხტა შინ“. როგორც ითქვა, დამოწმებული ვარიანტი ძალზე ორიგინალურია, მოტანილი ეპიზოდი კი სრული სიახლეა ამირანის კვლევის ისტორიაში. როგორც ვხედავთ, გულთმისანი იამანი ივა ხელმწიფის ტიპის პერსონაჟია, როგორც ივა მამამ იცის წინასწარ, რომ ხარის ტყავში ანგელოზის შვილია გახვეული და ზეკარზე დასმული, რომ ადამიანად გარდაიქმნეს, ასევე ზედმიწევნით კარგად იცის გულთმისანმა იამანმა, თუ როგორ, რა საშუალებებით უნდა დაეჭირონ ამირანდი მისმა შვილებმა და კიდევ, როგორ უნდა გაიმარჯვოს ამირანმა მერაბზე. ასე რომ, შვილთა მიზანმიღწეული მდგომარეობა, მათ შორის ამირანისაც, მნიშვნელოვანწილად გულთმისანი იამანის დამსახურებაა, მისი ბრძნული რჩევა-დარიგებების, ხერხიანობის შედეგია.

მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია, რომ მუსიკის, სიმღერის, ცეკვისა და საპარსავი საშუალებებით გახდა შესაძლებელი ამირანის ადამიანთა საცხოვრისში შემოყვანა. როგორც ამბობენ, „მუსიკა სიმბოლურად მაორგანიზებელი მოდელია, როგორც ეს ითვლება ანტიკურ მეგალითურ და ასტრობიოლოგიურ კულტურაში“. „იგი გამოხატავდა ღვთიურ ქმედებათა ჰარმონიას, ღვთიურ წესრიგს. მელოდიური მოძრაობა, როგორც მთლიანობა, გამოხატავს განსაზღვრულ ემოციურ თანახმიერებას. იქვეა საუბარი ხმის მნიშვნელობაზე... (მაკოვსკი, 1996:223).

საანალიზოდ წარმოდგენილი ჩანაწერის სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება კერძოდ, გელათის მთაში გაზრდილი ამირანის ადამიანთა საცხოვრისში შემოსვლით ახალი ეტაპი იწყება გულთმისანი იამანისა და მისი შვილების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ამგვარი ეპიზოდი ძალზე უჩვეულოა ამირანის კვლევის ისტორიისათვის. ჩვენ

ვიცი, რომ ჩვილი ამირანი ყოველთვის ბადრის, ვისიბის და სხვათა, გვერდით იზრდება. მართალია, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ქალღანის ვარიანტები, სადაც აქცენტირებულადაა თქმული, რომ ერთი თვის ამირანი ოცი წლის ვაჟკაცს ჰგავდა და სანადიროდ დაჰყვებოდა თავის ძმებს. ე.ი. ფაქტია, რომ ამირანის შობიდანვე ივა ხელმწიფის ოჯახში იზრდება, წინამდებარე ტექსტში კი სულ სხვაგვარ, დღემდე უცნობი შინაარსის ეპიზოდთან გვაქვს საქმე. ამირანის ბავშვობაზე საერთოდ არაფერი ვიცი, არც აღზრდასა, თუ მოღვაწეობაზე. ამირანი უკვე სხვა სივრციდანაა შემოსული იამანის ოჯახში, გელათის მთიდან, ღვთიურ საუფლოდან. ტექსტის შინაარსიდან ვიცი, რომ იამანის ვაჟიშვილებისათვის იგი გამოუცნობი საკვირველებაა, შუბლზე მზე და მთვარე უნათებს. ფიზიკური ძლიერება, მიწიერი გამოცდილებები და ის, რომ ისინი სახელგანთქმული მონადირეები არიან არ აღმოჩნდა საკმარისი ამირანის დასაჭერად. ე.ი. აქაც, ისე როგორც დასახელებულ ვარიანტებში, რაღაც განსხვავებული სიბრძნე და უნარია საჭირო. ასეთი სიბრძნე, ივა ხელმწიფის მსგავსად, გულთმისან იამანს აღმოაჩნდა. მხოლოდ მისი რჩევა—დარიგებით მოხერხდა ამირანის შემოყვანა, შემოტყუება ადამიანთა საუფლოში. იგი სანადიროდ დაჰყვება თავის ძმებს. ზემოთ ითქვა „ერთხელ ნადირობისას ამირანს კურდღელმა ბარკლებშუა გაურბინა და გელათის ეკლესიის სარკმელში შევიდა. „ვაი ჩემი ცოდვა, შენ საფეთქლებს ხელი რომ ვერ მოვკიდეო — ჩემი საფეთქლები შენ რად გინდა და რას უზამ. მის მაგიერ შენი მამა სამილანი, დევს რომ უბია ბაგაზე გელათის ეკლესიაში, იმას დაეძიე, კარგი ამირანი თუ ხარ“. ამირანი იპოვის მამას. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო კურდღლის გარბენაა ბარკლებს შუა. იგი სიახლის, სიკეთის მაუწყებელი აღმოჩნდა. მკვლევარი ვასილევინი ვრცლად მიმოიხილავეს ტუნგუსების სამონადირო წეს-ჩვეულებებს და მიუთითებს, რომ ყოველ ზაფხულს საგანგებოდ გაკეთებული ადამიანის ფიტულის ლაჯებშუა მონადირე თავისი იარაღით გაივლის. ეს კი მონადირისა და მისი იარაღის განწმენდას ნიშნავს: მონადირე ბეთქილსაც თეთრი არჩვი გაუხტა ლაჯებშუა ფერხულის დროს და იგი საბედისწერო — აღმოჩნდა. ე.ი. მისი დანიშნულება სხვადასხვანაირია. (ვასილევინი, 1959:51)

ალი დავითიანის ჩანაწერებიდან „ამირანის ზღაპარში“ ასეთი ეპიზოდია: ამირანმა დევი დაამარცხა და რვა თავი მოსჭრა. დემა უთხრა: ერთი თავი შემარჩინე და, რა წყალობასაც მოისურვებ, იმას გიზამო“. მართალია, მთქმელი არ აზუსტებს, თუ რა მოისურვა ამირანმა, მაგრამ ტექსტში ძალიან საინტერესო რამ არის თქმული: „ამირანმა დევს ძალა გამორთვა“ და ამის შემდეგ მეცხრე თავიც მოსჭრა. სხვა ვარიანტებიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ დევი ამირანს უმჯლავნებს, თუ სად ინახება იამანის თვალი. ძალის გამორთვევა, როგორც ასეთი, ტრადიციულ ვარიანტებში არ დასტურდება.

ამირანის ყველა ჩანაწერი, სადაც დევთან ბრძოლაა გადმოცემული, ერთხმად გვიდასტურებს, რომ დევს ყელიდან ელიას ალი ამოსდის, რითაც იგი ყველაფერს წვავს. ერთ-ერთ სევანურ ვარიანტში „ამირან“ ნაუწყებია, რომ ნათლობის შემდეგ ამირანი იამანის ოჯახში იზრდება. იამანს ოთხი ვაჟი ჰყავს, მეხუთე, მერაბი, დაკარგულია. ერთ დღეს ამირანი და მისი ძმები სათიბზე წავიდნენ: „დილიდან საღამომდე იმის დევნას მოუნდნენ (მთქმელი არ აკონკრეტებს, არ ამბობს მერაბის სახელს). ასე განმეორდა ორჯერ. იამანმა უთხრა: ეს თქვენი ძმა მერაბია, დევს რომ უბია სადღაც. იმას ვერ დაუკავშირდებით. დაანებეთ თავი. ამ ჩანაწერშიც ზემოთ განხილული ტექსტის მსგავსი ეპიზოდია. იქ ამირანს დასდევენ გელათის მთაზე, დასაჭერად, აქ მერაბს, როგორც ამირანის შემთხვევაში, ძმები მერაბს ხან ერთ მთაზე დაინახავენ, ხან - მეორე მთაზე, ე.ი. მოძრაობა იმდენად ზეადამიანურია ორივე შემთხვევაში, რომ ძმებისთვის მოუხელთებელია – როგორც ამირანი, ისე მერაბიც. იამანის რჩევით, შეილება გამართეს ცეკვა–თამაში, მღეროდნენ, ჭიანურსა და ფანდურზე უკრავდნენ, ჭიდაობდნენ და მერაბიც შემოხტა, მთქმელის სიტყვით, „ბათქანი გაადინა“... ე.ი. ამირანი და მერაბიც სხეულს ისე ფლობენ, რომ მათთვის სივრცეს, მანძილს არ აქვს რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა. მათი შემოტყუება, შემოყვანა ადამიანთა საცხოვრისში მუსიკით, ცეკვა–თამაშით, სიმღერით, ჭიდაობითა და საპარსავი საშუალებებით არის შესაძლებელი. აქ შეიძლება გაგვეხსენა ზევსის მიერ აპოლონის თესალიაში გაგზავნა აღმეტოსთან საქონლის მწყემსად. „გაიყვანდა თუ არა ნახირს საძოვარზე, უმაღვე კითარაზე ან ლერწმის სალაპური დაკვრას იწყებდა. გარეული ნადირი ტყიდან ისწრაფოდა ღვთაებ-

რივი ჰანგების მოსასმენად. კითარის სიმთა ჟღერით მონუსხული ავაზები და ლომები აღარ ერჩოდნენ უმწეო ირმებსა და არჩევებს, ზარობდა ყველა მშვიდობა. სუფევდა ყველგან“ (ბერძნული...1999:59) კონკრეტულ შემთხვევაში. მუსიკის მომნუსხველი ძალაა საინტერესო. იგი იზიდავს ამირანს და მერაბს ადამიანთა საცხოვრისისაკენ.

ერთი კვირის შემდეგ მერაბი ისევ იკარგება. იამანმა უთხრა: „მანდამანც თუ არ დგებით წაუსვლელად, მაშინ სამი გუდა სახედრის შარდი წაიღეთო. დევს რომ ტახი ჰყავს, სამჯერ მოიღენს ელიას აღს შუბლზე. სამჯერ შეასხით ვირის შარდი. აქ მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია ტახის შუბლზე სამჯერ ელიას აღის მოღენა. ტრადიციულ ვარიანტებში მსგავსი რამ არ დასტურდება.

ამირანის ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლებიდან უმთავრესთაგანია ქვესკნელში ჩასვლა. მას სევანურ ვარიანტებში მთელი რიგი სიახლეები ახლავს. ერთ-ერთი ვერსიით ქვესკნელში მყოფი ამირანი დედაბერს ესტუმრა შინ. დედაბერმა რამდენჯერაც დაუდგასკამი დასაჯდომად, იმდენჯერ დაემტვრა, ვერ გაუძლო. ბოლოს ამირანი იატაკზე დაჯდა და თავი მოჯამაგირედ გაასაღაო. დედაბერმა უთხრა: არა, შენ მოჯამაგირის შუბლი არ გაქვსო (მთქმელის შენიშვნით, ამირანს შუბლი მზესავით უნათებდა) ამირანმა გაიგო სოფლის სატკივარი, რომ წყალს ვეშაპი ჰპატრონობდა და მოკლა, ფარშმაგსკი ბარტყები გადაურჩინა. სამაგიეროდ ფარშმაგი ამირანს ზესკნელში, ანუ ადამიანთა საცხოვრისში, აყვანას დაჰპირდა, ოღონდ ამისთვის საჭირო იყო იმდენი საქონლის დაკვლა, რომ ყოველ მოსახვევში თითო ნაჭერი ჩამოეგდო საჭმელად. ამირანიც ასე მოიქცა, ათი მოსახვევი აიარეს და ამირანს გამოელა ხორცი. ფარშმაგმა უთხრა: არიქა, რამე მაჭამე, თუ არა ისევ ძირს ვვარდებითო, ქვესკნელში. ამირანმა ბარძაყი მოიჭრა შიგნიდან. იგივე განმეორდა ბოლო, მეთორმეტე მოსახვევშიც და ავიღნენ დედამიწაზე. ამირანი ვეღარ დგება ფეხზე. ფარშმაგმა მიზეზი იკითხა და ამირანმაც უთხრა. – ოო, ისე მეტკბილა ბოლო ორი ნაჭერი, რომ შეგჭამდი, შვილების გადამრჩენი რომ არ იყო. ამირანს ფრთა მოუსვა ჭრილობაზე და ფეხზე დააყენა: მთქმელის შენიშვნით, ამირანამდე ქალსა და კაცს ერთნაირი ფორმის მოყვანილობის ბარძაყები ჰქონდათ, ერთმანეთს რომ მიატყუებდნენ, წყალი შუაში არ ჩადიოდა. ქალები ასეთად დარჩნენ, ხოლო მას შემ-

დევ, რაც ამირანმა ბარძაყები შიგნიდან მოიჭრა, სხვანაირი მამაკაცები იბადებიან, თუ ერთმანეთზე მიატყუპებს კაცი ბარძაყებს, წყალი შუაში ჩადის. ე.ი. ამირანული მოდგმის მამაკაცები იბადებიან.“(მთქმელი ელენე კვირიას ასული ჭელიძე, მცხ. ლენტეხის რაიონი სოფ. სასაშში, ჩამწერი ო. ონიანი 1972წ.). ესაა უმთავრესი და განსაკუთრებული მნიშვნელობის სიახლე, რომ მამაკაცთა დღევანდელი მოდგმა ამირანულია.

ამირანის ქვესკნელში ჩასვლასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოვყოთ ქალდანიისეული, გურჩიანისეული და გულედანისეული ვარიანტები. მათზე ტექსტობრივი შედარებისას გეკონდა საუბარი, მაგრამ განსაკუთრებული სპეციფიკურობების გამო. ამჯერად უფრო სრულად დავიმოწმებთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდს.

ქვესკნელში ჩასული ამირანი საკიდელს ჩაჰყვია, გააღვიძა დევი, სტაცეს ხელი ერთიმეორეს და ერთი კვირა იბრძოდნენ. გაჭირვების დროს ამირანმა დაადრო ვეფხვის კუდი და დევს ფეხები დაუყუყა. დაუწყო თავების ჭრა. სანამ მეცხრე თავს მოსჭრიდა, დევმა უთხრა: „ქრისტეს თავდებობა მომეცი, რომ არ მომკლავ და იგი ამ ცეცხლს მისცემს მარადჟამულად. ამ ცეცხლზე პურს და სხვა საჭმელებს მოამზადებთ და ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს ა ქ მ ე ა თ ა ს ჯ ე რ წ ი ნ წ ა ვ ა ო. ცეცხლი ამ ჭურჭელში ჩადევი და არ ჩაგიქრებაო. ამირანმა დევი მოკლა და ცეცხლი წამოიღო, ქალიშვილები გაათავისუფლა და თავის ძმებს შერთო ცოლებად“ (დავითიანი, 1957:256).

დევთან შებრძოლება ნიუანსობრივი სხვაობითაა აღწერილი გურჩიანისეულ ვარიანტში: როცა ამირანმა დევი დაამარცხა და თავებს სჭრიდა, დევმა უთხრა: „ამირანის, ქრისტეს თავდებობა (მარჯვენა ხელი) მომეცი, რომ არ მომკლავ და ამ ერთ თავს შემარჩენ. მაშინ მე ამ ცეცხლის საქმეს (შესახებ) გეტყვი. ამირანმა მისცა თავდებობა. დევმა უთხრა: „თქვენი ცეცხლი არ ვარგა პურის საცხობად, აიტანე ეს ცეცხლი. ამის ანთება დაასწავლე ხალხს და იმის შემდეგ ყველას ეცოდინება პურის ცხობა. ამის წასაღებად სახოცს მოგცემ და გზაზე არ ჩაგიქრება, მე სამუდამოდ დავრჩები აქ, აქაურ მცველად: ესაა ყველაფერი და სახოცი მისცა“ ე.ი. ამ ვარიანტში ცეცხლის საქმე მნიშვნელოვანი საიდუმლოებაა. იგი მხოლოდ ქვესკნელურმა ძალებმა იციან და ისიც, თუ როგორ მოიხმარონ ადამიანებმა, რომელთა

ცეცხლი „პურს ვერ აცხობს“, თანაც ამ სხვანაირი ცეცხლის ატანა ადამიანთა საცხოვრისში ჩვეულებრივი საშუალებებით შეუძლებელია, საჭიროა ისეთი სახოცი, როგორც მხოლოდ დევს აქვს, ბოროტ ძალას... ამირანმა ცეცხლთან ერთად ეს საიდუმლოებაც ამოიტანა ადამიანთა საცხოვრისში (დაწვრილებით ქვემოთ).

დამოწმებული ეპიზოდი, კერძოდ, დევთან ბრძოლა, მნიშვნელოვანი თავისებურებებითაა აღწერილი გულედანისეულ ვარიანტში. როცა ამირანი საკიმდელს ჩაჰყვა, დევს ხანჯალი უჩხელიტა და გააღვიძა. ამირანი და დევი დიდხანს იბრძვიან. „დანთებულმა ცეცხლმა ცეკვა დაიწყო. ბოლოს ამირანმა ვეფხვის კული შემოჰკრა დევს ფეხებში და დაუჟეჟა: „ამ დროს ცეცხლმა დაიძახა: „ქეშეკ დეეო, სთხოვე ამირანს სიცოცხლე და ჩემი თავი შეპირდი“. ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა (ცეცხლმა) ამირანი გააკვირვა ცეცხლის ლაპარაკმა. ქეშეკ დევმა უთხრა: ამირავ, თუ სიცოცხლეს მარუქებ და ქრისტეს თავდებობის ხელს მომცემ, ამ ცეცხლის ამბავს გეტყვი. ამირანმა მისცა პირობა. „თქვენში რომ ცეცხლია, იმით პური ვერ ცხვება და იძულებული ხართ, ხარშოთ – აი, აგერ რომ ცეცხლია, ამის ნაკვერჩხალს რომ წაიღებ და ცეცხლს დაანთებ, ყველგან გატკრციალდება და პურის ცხობასაც შეეჩვევა ხალხი. მე შენს მეტს არავის გავატან და აქ დავრჩები „ყარაულად, სამუდამოდ...“ ე.ი. სამივე ვარიანტში ამირანის ქვესკნელში ჩასვლა და დევთან ბრძოლა მნიშვნელოვანი სხვაობებითაა აღწერილი, საერთო კი ისაა, რომ ამირანმა ცეცხლი ხორნურ ძალას წარსტაცა და ადამიანებს მისი გამოყენება ასწავლა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამირანი პრომეთეს ტიპის გმირადაა წოდებული, რომელმაც ცეცხლი ოლიმპიიდან მოიპარა. ამირანის დღემდე ცნობილი ვერსიებიდან „არც ერთი ვარიანტი არ ლაპარაკობს ცეცხლის მოტაცებაზე, მის მიწაზე ჩამოტანაზე ამირანისა და მის ძმათა ხელით. თუ ცეცხლზეა სადმე ლაპარაკი, ეს ეხება ცეცხლის მოძებნას, არა მოტაცებას. არ არის დამაჯერებელი ყამარისა და ცეცხლის იგივეობის არგუმენტები. მოტაცებულ მზეთუნახავს ამირანი ცოლად არ ირთავს, რომც ირთავდეს და იგი ცეცხლის გამოხატულება იყოს, ეს აქტი მაინც არ ჩაითვლება პრომეთესეულ კულტურულ ქმედებად. ყამარი, როგორც ცეცხლი, მიტაცების შემდეგ აღარსად ჩანს. თუკი მოიტაცეს, ხალხისათვის უნდა ყოფილიყო მო-

ტაცებული“ (კიკნაძე, 2001:40). თუ ღრმად დავაკვირდებით ამ ეპიზოდს, ე.ი. ყაძარის მოტაცებას, ყაძარის მამასა და მის ლაშქართან ბრძოლას, ძნელი არ იქნება იმის დანახვა, რომ საქმე გვაქვს ყველაზე დიდ გმირობასთან. აქ, პირველ ყოვლისა, რაინდობა, ფიზიკური ძლიერებაა თვალში საცემი (ციტირებისაგან თავს ვიკავებთ) და არა პრომეთესეული კულტურული ქმედება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყაძარი მოტაცების შემდეგ საერთოდ არ ჩანს, ქრება ასპარეზიდან. ეს კი ცალკე კვლევის საგანია. თუ ამ საკითხს რეალისტურად მივუდგებით, ცოლის შერთვა, მოყვანა ცეცხლის მოტანას არ ნიშნავს. ასე რომ, დასახელებული ეპიზოდი გმირთა რაინდული ქმედების რკალში ექცევა და არა კულტურული საშიში. მიუხედავად ამისა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებში აქცენტი ამირან-პრომეთეს ურთიერთმსგავსებაზეა გადატანილი, რომ ამირანი კავკასიური პრომეთეა და კლდეზე მიჯაჭვული გმირის სიუჟეტი საქართველოდანაა გატანილი და სხვა. ა. გრენი, ვს. მილერის მსგავსად, მიიჩნევენ, რომ ამირანი კავკასიური პრომეთეა და ოსეთში ამირანის თქმულება საქართველოდან შევიდა (გრენი, 1895:52) ნ. მარიც პრომეთეს მითის კავკასიური წარმოშობის თეორიას უჭერს მხარს და მას მჭედლობის კულტს უკავშირებს (მარი, 1938:73-75) მ. ჩიქოვანის აზრით, პრომეთე ამირანის ორეულს წარმოადგენს (ჩიქოვანი, 1971:64).

საყურადღებოა დ. ყიფიანის თვალსაზრისი ბერძნულ-ქართულ მითოლოგიების ურთიერთმსგავსება - განსხვავებაზე. იგი საგანგებოდ ჩერდება კლდეზე მიჯაჭვულ გმირზე და მიუთითებს, რომ „ამირანის“ მითოსი პრომეთეს ამბის ანარეკლია. (ყიფიანი, 1854:40). მწერალი დემნა შენგელაია თვლის, რომ „პრომეთე ამირანისაგან არის დამოკიდებული“.(შენგელაია,, 1972:288). თ. ქურდოვანიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ „ამირანის სწრაფვა ქვეყანაზე დააფუძნოს ზალხისათვის სასარგებლო ფასეულობები, მას მარადიულ გმირთა შორის აყენებს“...(ქურდოვანიძე, 2007:232) ჩიქოვანი ამირან-პრომეთეს ურთიერთობაზე მსჯელობისას ტიტანის დასჯის მეორე მიზეზზე, რომლის მიხედვითაც პრომეთეს დასჯის მიზეზი ათენასთან სატრფიალო ურთიერთობის გამჟღავნებაა... „ხოლო ამირანი ყაძარ ქეთუს მოტაცებით წყვილთა ოჯახს უყრის საფუძ-

ველს“ (ჩიქოვანი, 1971:94) მ. ჩიქოვანის მოსაზრება ძალზე საინტერესოა. ქორწინების წესის, ოჯახის შექმნის ტრადიციის დამყარება კულტურული გმირის ერთ-ერთი ნიშანთვისებათაგანია. როგორც ითქვა, ამირან-პრომეთეს ურთიერთობის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. მათი სრული სახით წარმოჩენა (მიმოხილვა) ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ამირანის კულტურული გმირობა არ უნდა იწვევდეს ეჭვს. მელეტინსკი ზემოთ დამოწმებულ ნაშრომებში ამირანის ტიპის გმირებს პრომეთეს წინაპრებად მიიჩნევს. გურჩიანისეული და გულედანისეული ვარიანტების მიხედვით, ამირანმა ქვესკნელურ ძალებს წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანებს გამოყენება. „მხოლოდ ამის შემდეგ, შენიშნავს მთქმელი, გატკრციალდა ცეცხლი, ადამიანებმა ისწავლეს პურის ცხობა. მათი საქმე შეუდარებლად წინ წავიდაო“. დამოწმებული ეპიზოდი შეიძლება შევადაროთ ამირანის მესხეთ-ჯავახეთისეულ ვარიანტს, უფრო ზუსტად ფრაგმენტს: „ამირანი და მეცხვარე“. მასში აღწერილია, თუ როგორ მოხვდა მეცხვარე ამირანის მთასთან. „მთის კარი გაღებულა“. შიგ ამირანი ყოფილა დაბმული. მეცხვარე შეშინებულა, მაგრამ ამირანს გაუმხინევა: „ნუ გეშინია, მოდიო, მეცხვარეც მისულა. „ამირანს უთქვამს: „თქვენი პური ენახოთ, როგორი გაქეთ. ამირანს მოუჭერია ხელი და სისხლი დაქცეულა პურიდან. მერე უთქვამს: „თქვენ სისხლიან პურს ჭამთ“, კიდევ უთქვამს: მომიტა, აი იქ ჩემი პურიაო. თავისი პურისთვის ხელი რომ მოუჭერია, რძე გასვლია. რძიანი პურით ვცხოვრობ მეო“ (ჩიქოვანი, 1947:335). მსგავსი ფრაგმენტი ასეთივე სიტყვებით დასტურდება სვანურ ზეპირსიტყვიერებაშიც. მესხეთ-ჯავახეთის ვარიანტის მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ამირანის პურს, რითაც თვითონ ცხოვრობს, ხელის მოჭერით რძე გასდის, ხოლო ადამიანის პურს კი - სისხლი. თუ ღრმად დავაკვირდებით დამოწმებულ ფრაზებს, აღმოჩნდება, რომ პურის მოპოვება და მისი გამოყენება საკვებად ამირანთანაა დაკავშირებული, რომ იმ დროს ხალხის ცხოვრება შეუდარებლად უკეთესი იყო, შემდეგ კი ადამიანები ცოლდელიანები გახდნენ და შესაბამისად სისხლმდენი პურით იკვებებიან. მესხეთ-ჯავახეთის ვარიანტით, ამირანი პურის მარცვლის მოპოვებელია. ესკი კულტურული გმირის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთვისებათაგანია.

სევანური ვარიანტის მიხედვით, მონადირეს გაეხსნა კლდის კარები. შიგ ამირანი ნახა დაბმული. აქაც ისეთივე დიალოგთან გვაქვს საქმე, როგორც მესხეთ-ჯავახეთის ვარიანტში: ამირანის პურს რძე მოედინება, მონადირისას კი - სისხლი, მაგრამ აქ ერთი ფრაზა იქცევეს განსაკუთრებულ ყურადღებას, კერძოდ, ამირანი ეკითხება მონადირეს:

„სახლის პირველი სართულიდან თუ ისმის ქალის ხმა მეორე სართულზე. მონადირემ უპასუხა: როგორ არა, ქალები არიან ყველაფრის ბატონ-პატრონი. ამირანმა თქვა: დალუქულა ხალხის საქმე“. ცხადია, ძნელი არაა აქ იმის დანახვა, რომ ამირანის დროს, მის მიერ ქვეყანაზე სრული წესრიგი იყო დამყარებული, ქალს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და კაცს თავის საზოგადოებაში. ახალი ცხოვრების წესის, ტრადიციების დამყარება კულტურული გმირის ერთ-ერთი ნიშან-თვისებათაგანია. (დავითიანის კოლექცია 1978).

ცალკე უნდა განვიხილოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოსური გადმოცემები ღვთისშვილებზე. კერძოდ ბრძოლები დევ-კერპთა წინააღმდეგ და ქაჯავეთში ლაშქრობა. პრობლემა მრავალმხრივაა შესწავლილი (ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, რელიგიური და სხვა კუთხით). ჩვენ აღარ შევჩერდებით იმის მიმოხილვაზე, თუ ვინ იყვნენ დევკერპები. პრობლემა გვიანტერესებს წმინდა ფოლკლორული თვალსაზრისით. ზოგადად კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ დევებს თავიანთი სოფლები ჰქონდათ, მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისდევდნენ, განთქმულნი იყვნენ რკინის წრთობით, სამუშაო იარაღების კეთებით. ფიზიკურად ძალზე ძლიერნი, ავიწროებდნენ ადამიანებს.

თ. ოჩიაურის აზრით, „დევთა განდევნასთან დაკავშირებული ბრძოლების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გარკვეული ნაწილის ტერიტორიიდან მტრულად განწყობილი მოსახლეობის განდევნის პროცესს, ხოლო ჩამოთვლილი პუნქტების დასახელება გვეხმარება დევთა საცხოვრისი ტერიტორიის განსაზღვრაში“ (ოჩიაური, 1994:45). დაკონკრეტებით კი, ხვესურული მასალების მიხედვით, დევები პირაქეთ ხვესურეთში ს. როშკის გორაზე და ლიქოკში - ციხეგორს ცხოვრობენ. გარდა ამისა, მათ ნამოსახლარებზე მიუთითე-

ბენ გუდამაყრისა და ზევსურეთის სოფ. უკანახოს საზღვარზე, ე.წ. ნახიზნარებში – დინიფხოს“.

„არაგვის ფშავის ტერიტორიაზე ღვეების საცხოვრისად მიჩნეულია: ს. შუაფხოში – გამხვეურთას გორი, მალაროსკარს ზემოთკართანა, უკანა ფშავისა ს. ახადის მიდამოები“.

„ივრის ხეობაზე ღვე-კერპთა სოფლები ყოფილა: ბაჩალში, ხაშარში, ქუშხევში, კორსავეში ბელელთანას, იხინჯაში.

გუდამაყარში ღვეების ნამოსახლარებს ასახელებენ ბაკურხევში, ს. საკერპოს და მთხრობელები მიუთითებენ ფუძის ანგელოზშიც“.

„ამრიგად, ღვეების საცხოვრისად მიჩნეულია ზევსურეთის მოსაზღვრე ფშავისა და გუდამაყრის მოსაზღვრე ზოლი, რომკის ხეობა, ფშავის არაგვის სათავეები, შუაფხოს მალაროს კარი და ივრის მთიანი ზოლის ჩრდილოეთი ნაწილი“ (ოჩიაური, 1994:27-29). „ღვეები მრავალრიცხოვან მოსახლეობას შეიცავდა“.

ღვე-კერპები ავიწროებდნენ, შეურაცხყოფდნენ ფშავ-ზევსურეთის მოსახლეობას, სალოცავენს, ქალ-რძალს, ზოცავდნენ ხალხს და სხვა. მორიგე ღმერთმა ისმინა ხალხის ვედრება და ღვე-კერპთა ამოწყვეტა კოპალასა და იახსარს დაავალა. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა საინტერესო, კერძოდ, როგორ ემზადებიან კოპალა და იახსარი ღვეების წინააღმდეგ საბრძოლველად... თავდაპირველად ირემთ-კალაზე უნდა გამართულიყო ძალის გამოცდა ქვის სროლაში (ქვები ციხე-გორისკენ უნდა ესროლათ).

შეჯიბრებაზე იახსარი არ გამოცხადდა. „მას და კოპალას გადაწყვეტილი ჰქონდათ ბრძოლა ამ მომენტიდან დაეწყოთ, იახსარს გზა უნდა შეეკრა ივრის ხეობიდან მომავალ ღვეთა ფალავან მუზასათვის, რის გამოც იგი შეჯიბრებას ვერ დასწრებია“.

ჯერ კი ელოდნენ მუზისა და იახსარის მოსვლას და მერე კვირას მეთვალყურეობით დაიწყეს ქვის სროლა... ღვეების ფალავანმა გაისროლა ქვა და ციხეთგორის იქით (ახლა ხატის მამულებია) დასცა. ახლა კოპალამ გაისროლა ქვა. კარგა დიდი ძალით გაისროლა, მაგრამ კვირიამ იმ ქვას მათრახის წვერი წამოჰკრა, კიდევ გაამალა და იგი ღვეების გასროლილ ქვას შორს გადასცილდა“.

თ. ოჩიაური ძალზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „ბრძოლის ცალკეულ მომენტებზე დაკვირვება ამჟღავნებს იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომ სამხედრო ხელოვნებას, საბრძოლო ტაქტიკას. როდესაც მორიგე ღმერთმა იახსარსა და კოპალას დევ-კერპთა ამოწვევების თაოსნობა დააკისრა, მათ თავიანთი მოქმედება საკმაოდ მოხერხებულად დაიწვეს. ბრძოლის წინ იახსარი და კოპალა თათბირობენ; ვინაიდან დევები საკმაოდ ძლიერნი და ამდენად ძნელად დასამარცხებელნი არიან, საჭირო აღმოჩნდა მათი ძალების შესუსტება. შეჯიბრზე არ უნდა იქნას დაშვებული დევთა ფალავანი მუხა. ეს საქმე იახსარმა ითავა და საშიშარ მოწინააღმდეგეს საპარავის ყელში გზა შეუკრა. საყურე გაიკეთა, საიდანაც ლახტით მოკლა შეჯიბრზე მომავალი ფალავანი“ (ოჩიაური, 1994:45-46).

თ. ოჩიაურის თვალსაზრისით, დევ-კერპების სახელს ამოფარებულ ხალხს ფშავ-ხევსურთა წინაპრები ნამდვილად ებრძოდნენ“.

დამოწმებული მასალა და თვალსაზრისები მრავალმხრივად საინტერესო, კონკრეტულად კი იმით, რომ კოპალა და იახსარი დიდ ფიზიკურ ძალასთან ერთად, მოხერხებულად, გააზრებულად მოქმედებენ, როგორც ეს ამირანის შემთხვევაში გვაქვს. ამასთანავე, ღვთისშვილები ხალხს კუთვნილ ტერიტორიას უბრუნებენ და წესრიგს ამყარებენ ადამიანთა საცხოვრისში. როგორც ითქვა, ისინი ქრისტეს რაინდები არიან მიწიერ საუფლოში. არაა შემთხვევითი, რომ მელეტინსკი ერთიმეორის მომიჯნავედ მოიხსენიებს დემიურგი – კულტურული გმირი. მართალია მათ შორის სხვაობაა, მაგრამ ქმედება ორივე შემთხვევაში კულტურულია...

ღვთისშვილთა ქაჯავეთში ლაშქრობაზე საინტერესოა ზ. კიკნაძის აზრი: „ფშავ-ხევსურთა ანდრეზებშიც ლაპარაკია ქაჯავეთის გატეხვაზე – „ქაჯავეთი რო გაუტეხავთ ღვთისშვილზე...“ რომ ძალით წამოიღონ იქიდან, რაც წამოსაღებია, ხოლო ის, რაც მოაქვთ, აუცილებელია საყმოსათვის, მისი არსებობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იქნებოდა ის თავგანწირვა, რაზეც მიდიან ღვთისშვილნი და მათთან ერთად წასული ერთი მოკვდავი“. (კიკნაძე, 1985:105) მიზანი, როგორც ამას მკვლევარი მიუთითებს, ქაჯავეთური საიდუმლოების ახსნაა, უფრო ზუსტად წამოღება ადამიანთა საცხოვრისში. ფაქტიურად ღვთისშვილებმა განივთებული სა-

ხით წამოიღეს ქაჯავეთური კულტურა. მართალია, იქიდან წამოღებული საგნებიდან ნაწილი წმინდა საკრალურია, მაგრამ ადამიანები ღროთა განმავლობაში უნდა დაეუფლონ ამ საიდუმლოებებს, რომ თავადვე წასწიო წინ თავიანთი ცხოვრება, კულტურა. ზ. კიკნაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ ღვთისშვილებს „ქაჯეთის სამჭკელლოში გამოჭედული საკიდელი მოაქვთ, როგორც ნადავლი და გამარჯვების ნიშანი, ან თუნდაც როგორც ნიმუში მომავალში გამოსატყედი საკიდლებისა, რომლებიც უნდა ეკიდოს სახლებში ჯვარის დარბაზებში, მაგრამ ის მაინც ციური წარმომავლობისა არის (კიკნაძე, 1985:125). კონკრეტულ შემთხვევაში იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ე. მელეტინსკიც იმავე აზრისაა, რომ დემიურგ-კულტურული გმირის მოპოვებული და დამკვიდრებული ფასეულობები როგორც სულიერი, ისე ნივთიერი (სამუშაო თუ საბრძოლო იარაღები და სხვა) ადამიანებმა თავად უნდა აითვისონ, შექმნან, გააკეთონ, დაამკვიდრონ ახალი ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და კულტურა და სხვა... ამდენად, ზემოთ განხილული მასალებიდან ირკვევა, რომ კულტურული გმირის არსებობას საქართველოში მტკიცე საფუძვლები აქვს. იგი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, კერძოდ, მელეტინსკის აზრით: „Первый героем в фольклоре общества был так называемый культурный герой-перворедок генетически связанный с этниологическим“ (მელეტინსკი, 10).

ქართულ ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, „ამირანიანის უმთავრესი და ურთულესი მოტივია მიჯაჭვა, როგორც ითქვას, მიჯაჭვის მოტივის გარეშე ძველი დაკარგავდა პოპულარობას. ვარიანტთა უმრავლესობით ამირანი თავისი დიდი ფიზიკური ძალის გამო ისე გაამაყდა, გაზვიადდა, რომ ქრისტე ღმერთი გამოიწვია საჭიდაოდ, საბრძოლველად. ეს კი მისი მიჯაჭვის მიზეზი გახდა. ღვთის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი ე. მელეტინსკის ერთერთ არქაულ მოტივად მიაჩნია. ისევ რომ გავიმეოროთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ აღიარებულ მოსაზრებას თავისი საფუძველი აქვს და აქ საკამათოც არაფერია. რასაკვირველია, ძალის მომცემ ღმერთთან ძალის გამოცდა თავის თავში იმთავითვე სასჯელს გულისხმობს. გავიხსენოთ თებეს მეფის ამფიონის მეუღლე ნიობე, რომელსაც შურმა დაუბნელა თვალები. მას შვიდი ქალიშვილი და შვიდი ვა-

ჟიშვილი ჰყავდა. „ისე გაკადნიერდა, რომ აუგად მოიხსენია ორი შვი-
 ლისმშობელი ლეტო“. მან არაფრად ჩააგდო მისან მანტოს რჩევა თე-
 ბელი ქალებისადმი, რომ „თმებში ჩაეწნათ დაფნის ფოთლები და საკ-
 მბეველი ეკმიათ ლეტოსათვის“. ტექსტიდან ვიცით, რომ ლეტომ იხმო
 შვილები და გულისტკივილი გაუძნია. აპოლონმა და არტემისმა
 მშვილდ-ისრებით ამოწყვიტეს ნიობეს შვიდი ვაჟი და შვიდი ქალიშ-
 ვილი... მოკვდავმა ვერ უნდა გაბედოს უკვდავთან მეტოქეობა. იგი ყო-
 ველთვის ტრაგედით მთავრდება, მეორე მითში „არაქნეს დასჯა“
 გადმოცემულია, რომ არაქნე „დიდი ოსტატობით ნისლივით ფაფუკ
 ძაფებს რთავდა და ჰაერივით ქსოვილებს ქსოვდა, რომ „ლიბიის ქა-
 ლაქებში დიდი სახელი დაიმკვიდრა“ – მხოლოდ „ათენა პალასს შე-
 ეძლო ესწავლებინა მისთვის ეს ღიდებუი ხელოვნება, მაგრამ არაქ-
 ნე უარყოფდა მის შეგირდობას. „შემეჯიბროსო“, – ასე ამბობდა, –
 არა მგონია დამამარცხოს დიდმა ღვთაებამაო. ვიცით, თუ რითი ღამ-
 თავრდა ეს შეჯიბრება... არაქნემ თავი ჩამოიხრჩო. „მანც შეიბრაღა
 იგი ღვთაებამ, თოკიდან ჩამოხსნა და ასე მიმართა: „იცოცხლე, ქე-
 დუხრელო, მაგრამ იცოდე, მუდამ იქნები დაკიდებული“. (ბერძნული
 სამყაროს მითების სამყარო, 1994:52) „ეს მშვენიერი ქალიშვილი
 თანდათან გარდაისახა ობობად“, რასაკვირველია, მაგალითების მოყ-
 ვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად მოხმობილით დავკმაყოფილ-
 დეთ. ამდენად, ტრადიციული თვალსაზრისები ყოველნაირად მისაღე-
 ბია, მაგრამ განსხვავებული მოტივებიც არ უნდა დავტოვოთ ყურად-
 ღების მიღმა. ისინი კი ცვლიან, ამდიდრებენ და ამრავალფეროვნებენ
 ამირანიანის საკითხთა წრეს. მხოლოდ ამ აზრით გვიანტერესებს სვა-
 ნური ვარიანტები. მათში ამირანის დასჯის მიზეზი ქრისტეს თავდე-
 ბობის სამჯერ დარღვევაა. ამირანს ამის გამო მიწა უსკდება ან ქაჯა-
 ვეთში მოხვდება. ამ მხრივ სვანურ ჩანაწერებში სრული კანონზომი-
 ერებაა. ალბათ, აქ კუთხის რწმენა—წარმოდგენათა სპეციფიკურობაა
 გასათვალისწინებელი. კერძოდ, ფიცის გატეხა, ღალატი მიუტევებე-
 ლი დანაშაულია, ცოდვად ითვლება. ვფიქრობთ, რომ ამ აზრით ამი-
 რანის სვანური ვარიანტების გათვალისწინება აუცილებელია – მათ
 კიდევ მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ ტრადიციულ თვალ-
 საზრისებში. დავსძენთ, რომ სვანურ ზეპირსიტყვიერებაში, ამირანის
 მრავალ სიუჟეტში მიჯაჭვა ტრადიციული ჩანაწერების მაგვარია.

ასე, მაგალითად, იმავე ქალღანისეულ ვარიანტებში კვითხულობთ, რომ ამირანის მეტოქე აღარ დაიბადა. ერთხელ ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა და ამირანი შეეხვეწა: დამეჭიდეთ. ნათლიამ უთხრა, რომ აქ სირცხვილია, ვერ შეეჭიდება, მთაზე აიყვანა და უთხრა: ამ ჯოხს დავასობ, თუ ამოაძრობ, დაგეჭიდებიო. კარგო, უთხრა ამირანმა. უფალმა ჩაასო ჯოხი და ამირანმა იოლად ამოაძრო, იგივე განმეორდა მეორედაც. ამირანმა უთხრა: რას მათამაშებ, თუ მეჭიდავები, დამეჭიდე, თუ არა, თავი დამანებე. როგორც ვხედავთ, პასუხი ძალზე კადნიერია და უხეშიც. დასასრული ტრადიციულია, ქრისტე ღმერთმა ამირანი მიაჯაჭვა. ვიმეორებთ, ამ ტიპის ვარიანტები საკმარისად ბევრია. ასე რომ, ნაშრომში დამოწმებული მასალები კი არ უარყოფენ ტრადიციული ჩანაწერების მეცნიერულ მნიშვნელობას, პირიქით, ხელს უწყობენ, რომ ამირანიანის პრობლემა უფრო მრავალნაირად წარმოჩინდეს.

განხილული ვარიანტების მიხედვით ამირანის კულტურული ქმედებებიდან უმთავრესია: ადამიანებისათვის ცეცხლის მოტანა, პურის მარცვლის მოპოვება, ბოროტი ძალების მიერ წართმეული ტერიტორიების დაბრუნება ადამიანთა საცხოვრისისათვის, ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრება (ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების), მამაკაცთა ახალი, ამირანული მოდგმის წარმოშობა, მიწიერი საუფლოს გაწმენდა ბოროტი ძალებისაგან. ტრადიციული ვარიანტებისაგან განსხვავებით, სვანურ ჩანაწერებში ამირანი დიდ ფიზიკურ ძალასთან ერთად მოწინააღმდეგეს ხერხიანობით, ეშმაკობით, მოტყუებითაც ამარცხებს და სხვა. ამ აზრით სვანური ვარიანტები მნიშვნელოვანი სიახლეა ამირანის კვლევის ისტორიისათვის.

დალი და მონადირა

ამირანის ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟი ქალღმერთი დალია. მასზე დიდძალი ლექს-სიმღერები და გადმოცემებია შექმნილი. იგივე ითქმის მეცნიერულ ლიტერატურაზეც. მიუხედავად ამისა, პრობლემა სათანადო სიღრმითა და მრავალმხრივობით არაა შესწავლილი. უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საკითხის კვლევა თავიდანვე ცალმხრივად, ტენდენციურად მიმდინარეობდა. მკვლევართა შრომებში აქცენტი უმეტესწილად დალისა და მონადირის ინტიმური ურთიერთობის აღწერა-დახასიათებაზეა გადატანილი. კერძოდ, დალის პირობების აღსრულების აუცილებლობაზე, მონადირის ვალდებულებებზე, ტაბუზე, სანადიროდ წასვლის წინა დღეებში მთელი რიგი აკრძალვების დაცვაზე და სხვ. ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა გაწეული და მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით დალის ციკლის მასალებს (ტრადიციულსა და ახლად მოძიებულს), აღმოჩნდება, რომ ხსენებული დალი ერთ-ერთია დალთა ლაშქრიდან და არა ერთადერთი. მკვლევართა შრომებში კი, ცალკეული მითითებებისა თუ მინიშნებების გარდა, რომლებსაც მომეტებულად აღწერითი ხასიათი აქვთ, არაფერია ნათქვამი დალის ლაშქარზე, მის ბუნებასა და სამყაროზე, ფუნქციებზე, ადამიანებთან ურთიერთობაზე, სიწმინდესა და მთელ რიგ იდუმალებით მოცულ ქმედებებზე. ასე, მაგალითად, მიხ. ჩიქოვანი მიუთითებს, რომ „დალი ერთი არაა: ისინი ბევრნი არიან. სვანური თქმულებებისა და ბალადების მიხედვით დალები ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ და ადვილად არ ეჩვენებიან ადამიანს“. ელ. ვირსალაძე მონადირე ჩორლაზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ სანადიროდ წასული ჩორლა „ერთის მაგიერ სამ საუკეთესო ჯიხვს კლავს, მეოთხესაც დაუმიზნებს, მაგრამ ნადირთ პატრონი დალები მას შებორკავენ (ვირსალაძე, 1964:118) რასაკვირველია, დასახელებულ ნაშრომებში ხშირადაა ნახსენები დალთა ლაშქარი, საუბარია მათ მიერ მონადირის დასჯაზეც, მაგრამ კვლევა ამის იქით არ მიდის, ე.ი. მხოლოდ ფაქტზეა მინიშნება და ეს მაშინ, როდესაც ისინი უფრო მეტად არიან ნადირთ პატრონები, ვიდრე მონადირესთან ინტიმურ ურთიერ-

თობაში მყოფი გამოქვაბულის დალი. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არც ეს ურთიერთობაა სწორად გააზრებული. მონადირესთან უკმაყოფილობის მიზეზი დალი არასოდეს არ არის. ქვემოთ განსახილველი გადმოცემებით, მაგალითად, „დვიდილანთ ბიბუ“, დალი ბიბუს ნადირობას ასწავლის, აკვლევინებს, არიგებს, როგორ მოიქცეს, იმასაც მიუთითებს, რომელ ადგილას მივიდეს, რა ნიშნით გამორჩეულ ჯიხვს ესროლოს და სხვა. ამ ეტაპზე დალისა და მონადირის ურთიერთობაში ინტიმურობაზე ფიქრიც უზერხულია. ამ ტიპის მასალები არაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ გამონათქვამებს დალის ბუნების გენეზისურ სიწმინდესა და კდემამოსილებაზე. მკვლევართა შრომებში უფრო მეტად ქალღმერთის სიმკაცრე და შურისმაძიებლობაა წინა პლანზე წამოწეული, ხოლო ამგვარ ქმედებათა საფუძვლების ჩვენებისა თუ ახსნისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ...

მართალია, დალის ციკლის მასალები ფართოდაა მიმოხილული როგორც ადგილობრივ, ასევე კავკასიისა და მსოფლიოს ეპიკურ ძეგლებთან მიმართებით, მაგრამ რას წარმოადგენს დალი (გამოქვაბულისა) დამოუკიდებლად, რა ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე მისი და ცალკე დალთა ლაშქრის სახით, ჯერჯერობით არაა ბოლომდე გარკვეული. იმასაც დავსძენთ, რომ თვით გამოქვეყნებული მასალების მიხედვითაც დალისა და მონადირის ურთიერთობა არაა სრულად შესწავლილი. მიგვაჩნია, რომ გამოქვაბულის დალთან ერთად აუცილებლად ცალკე უნდა გამოვიკვლიოთ დალთა სამყარო (ლაშქარი) თავისი ზოგადი და კერძო გამოვლინებებით, ხოლო, პრობლემის არსს რომ სიღრმისეულად ჩავსწვდეთ, პირველ ყოვლისა, იმის გარკვევაა აუცილებელი, თუ როგორ არის დალი წარმოდგენილი სვანთა ცოცხალ ყოფიერებაში, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და ზეპირსიტყვიერ ძეგლებში, რა განსაკუთრებულ თვისებებს მიაწერენ მას მონადირეები და, საერთოდ, რა ადგილი უჭირავს ადგილობრივ მკვიდრთა ყოფასა და ცნობიერებაში, რა არის მისი ესოდენ გამორჩეულობისა და პოპულარობის უმთავრესი მიზეზი და სხვა...

დალი, სვანთა წარმოდგენით, უღამაზესია, აქვს კოჭებამდე მწვდომი ოქროს ნაწნავები. მისი საბრძანისი მთათა მწვერვალებია, უმეტესად კი კლდოვან-ყინულოვანი არეალი. იგი იმდენად მომზიბ-

ვლელია, რომ იოლად ეუფლება ადამიანის ცნობიერებას. მას შეუძლია მიკრობიექტებზე კლიმატის შეცვლა, ზვავებისა და ქარიშხლების გამოწვევა, გაქრობა და ისევ ფიზიკურ სხეულში შესვლა. ამიტომ მოუხელთებელიცაა. დაღები ბევრია, ჰყავთ თავიანთი გამგებელი, „დალთდელოფალი“. ისინი ჯგუფ-ჯგუფადაც ცნობრობენ, აქვთ დამოუკიდებელი სამყარო. იგი შეუვალა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, დაღები გაურბიან ადამიანებთან ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, ხდება ისე, რომ ერთ-ერთი დაღი შესცოლავს მონადირესთან. ამის გამო დაღთა საუფლო დამძიმებულია. დალთდელოფალი სამჯერ გაიმეორებს: „ვინ შესცოლა“, მაგრამ თავს არავინ ამჟღავნებს. ამიტომ გაჰყავს დაღები კლდის ქიმზე და უბრძანებს: „გადაფრინდით“. უცოდველნი გადაფრინდებიან, ცოდვილი კი ადგილზე რჩება, მას შერისხავენ, მოიკეთენ თავიანთი რიგებიდან“ (მთქმელი გოჩა მიხეილის ძე ონიანი, მცხ. ლენტეხის რაიონი სოფ. სასაშში, 1990წ. ჩანაწერი ო. ონიანი) ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე მონადირე ჩორლას თავგადასავალში. აქაც ერთ-ერთი დაღი მეძაობის გამო გამოგდებული დაღთა ლაშქრიდან. მას ჩორლას საყვარლობას სდებენ ბრაღად, მარტო დგას და ცრემლებს ღვრის. სწორედ ეს მოკვეთილი, ანუ დაცემული, დაღია, რომელიც ეცხადება მონადირეს და მასთან ინტიმურ ურთიერთობას ამყარებს. ტაბუს დაუცველობის შემთხვევაში მონადირე ისჯება. დაღი მას ღუპავს ან ავადმყოფობას მოუვლენს. სასჯელი დამოკიდებულია დანაშაულის რაგვარობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთი დაღი მონადირესთან ინტიმური ურთიერთობის გამო მოიკვეთა დაღთა ლაშქრიდან. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაღთა გენეზისური ბუნება წმინდაა. მოკვეთილი დაღი კი დაცემულია, მაგრამ იგი უკვე ახალ არსობრიობაშია გადასული, კერძოდ, ღვთიური იმპულსის მატარებელიც არის და ადამიანურისაც, ანუ მოკვდავისა და უკვდავისაც, ე.ი. ერთი რეალობიდან მეორე რეალობაშია გადასული. ამ ეტაპზე იგი კლდოვან-ყინულოვანი არეალის ბინადარია. გავიხსენოთ სვანური ლექს-სიმღერა „დაღი კოჯას ხელღვაულე, ანუ, დაღი კლდეზე მშობიარობს“ და არა კლდეში, როგორც ეს თარგმანშია. სათაურის მიხედვით ირკვევა, რომ დაღს ბინა არა აქვს, მისი საცხოვრისი კლდოვანი არეალია. გამოქვაბულის ბინადარი შემდგომში ხდება, რაც ნადირთ პატრონის ბუნებისა

და ფუნქციების განვითარების მეორე, შეიძლება ითქვას, ეს ბოლო საფეხურიც იყო. ამიერიდან კონკრეტული დალი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება, ვიდრე დალთა ლაშქარში ყოფნის დროს იყო. მონადირეებს უმეტესად, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ამ კონკრეტულ დალთან აქვთ ურთიერთობა. იგი კლდოვან არეალში მარტო მყოფობიდან გამოქცეაბულის ბინადარი ხდება და უკვე ადამიანურ ყოფიერებასთანაა მოახლოებული. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ მონადირეები მათთვის მახლობელ, ადამიანურობასთან წილნაყარ დალს შესთხოვენ ნადირობაში ხელის მომართვას, შინ მშვიდობით დაბრუნებას, სახლეულობის კარგად დახვედრას და არა დალთა ლაშქარს, რომელსაც სრულიად სხვა სამყარო აქვს და საერთოდ გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას.

ასლად მოძიებული და ტრადიციული მასალებითაც დალის ბუნებაში განვითარების საფეხურები იკვეთება. მათ გარკვეულ კანონზომიერებამდე მივყავართ, ოღონდ თავად დალისა და მონადირის ურთიერთობის რთული პრობლემა ისევ გასარკვევი რჩება. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი უმეტესად პიროვნული პრაქტიკული ინტერესების დონეზეა დაყვანილი. ასე, მაგალითად, თუ მონადირე დაიცავს დალის პირობებს, რომელიც ძალზე მკაცრია, მას ყველაფერში ხელი მოემართება, შინ ნადირობიდან ხელმოცარული არასოდეს დაბრუნდება. ამაზე მთქმელებიც ამომწურავ ცნობებს გვაწვდიან. საინტერესო კი დალისა და მონადირის შეხვედრა—ურთიერთობის მიზანი, საიდუმლოებაა გასარკვევი. ალბათ, ძნელი დასაჯერებელ იქნება, რომ იგი მხოლოდ პრაქტიკულ მიზანს ისახავდეს, კერძოდ, მონადირე თუ საიდუმლოს არ გაამჟღავნებს, დალი ჯიხვს ან არჩვს მოაკვლევინებს. ეს იქნებოდა ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფით ურთიერთობამდე დასული გარიგება.

გავიხსენოთ გადმოცემა „მონადირე და დალი“, სადაც მოთხრობილია. მონადირე აღმასვილის თავგადასავალი. მან ვერ შეძლო დალის ბოძებული საჩუქრის საიდუმლოების შენახვა და იღუპება. იგი ზვაემა დაიტანა. მიცვალებული აღმასვილი დალებმა გააპატიოსნეს, ხოლო, მთქმელის შენიშვნით, „გააპატიოსნებულ ცხედარში ცვლილება“, მიდამოც სხვაგვარად გამოიყურება. „შევიდა ხალხი და ხედავს, რომ ცვლილებაა ამ მკვდარში და სხვანაირი სინათლეა მის

გარშემო“. ცხადია აქ მიდამოს და მონადირის ლეთიურ ნათლითმოსი-
ლებაზეა მინიშნება. ამიტომაც აქცენტირებული განსხვავებული სი-
ნათლე და ცხედარში ცვლილება. დალებმა აღმასვილის სული მათ-
თან მყოფად აქციეს. ვფიქრობთ, რომ დამოწმებულ გადმოცემას გარ-
კვეული კავშირი აქვს მონადირე ჩორლას თავგადასავალთაი. როცა
წმ. გიორგიმ წარლენა მოუვლინა დალთა ლაშქარს, ჩორლამ ერთ-
ერთი დალის გადარჩენა სთხოვა.

„უფალო წმ. გიორგი, მაპატივე,
ამას ჩემთვის სიკეთე უქნია
ბევრი გაციებული გაუთბია,
ბევრი შშიერი გაუძლია,
გევედრები, ჩემო უფალო
ეს დალი არ დავაზრჩოთ“. (შანიძე,

1939:295)

დასახელებულ ძეგლში ჩორლა დალთა ლაშქრისათვის კარ-
გად ცნობილი მონადირეა. იგი დალებისაგან სისხლისმსმელადაა წო-
დებული, რომელმაც უამრავი ჯიხვი და არჩვი დაუხოცა დალთა ლაშ-
ქარს. ამიტომ გადმოჰკიდეს იგი კლდეზე. ამ ძეგლში ძალზე საინტე-
რესოა ეპიზდი, რომ დალებს ყველაზე მეტად აშინებთ მეძავი ქალის
ფეხის ნადგამზე ფეხის დამდგმელი მამაკაცის მოყვანა. ეს საიდუმლო
წმ. გიორგის გაანდო მოკვეთილმა დალმა. მთავარმოწამე ასეთი მამა-
კაცის მოყვანით დაეუქრა დალთა ლაშქარს. დალები იძულებული
გახდნენ, ჩორლა გაეთავისუფლებინათ. ე.ი. ამ ეპიზოდშიც აშკარად
ჩანს დალთა ლაშქრის სიწმინდე...

დამოწმებული ძეგლიდან ვიგებთ, რომ წმ. გიორგიმ ჩორლას
თხოვნა შეასრულა და ერთ-ერთი დალი გადაარჩინა დახრჩობას:
„ჩორლა ჩემო, არ დავაზრჩობ, სადაც მოჰკვდე, იქ მოკვდეს“ [გვ.,
295] ე.ი. მონადირე ჩორლა დალთან ერთად უნდა მოკვდეს. ეს ის
ჩორლაა, რომელსაც ბ) ვარიანტით წმ. გიორგი დამშვიდობებისას
ეტყვის:

„ახლა ნატვრას მოგცემ:
დღეში (თითო) ჯიხვი გქონდეს,
წვრილი არჩვი უარუთქმელად გქონდეს...
როცა სიკვდილი გერჩოს,

1939:295)

ე.ი. ორივე ძეგლში დალთა ლაშქარია უმთავრესი და არა გამოქვაბულის დალი. აქ ბევრი რამ არის მკვეთრად გასამიჯნავი, პირველ ყოვლისა ის, რომ დალთა ლაშქარში მიუტკეველ ცოდვად რჩება მონადირესთან ინტიმური ურთიერთობა.

დალის პრობლემასთან დაკავშირებით სხვა დაბრკოლებებიც არსებობს; ცალკეულ მთქმელთა რეპერტუარში შეინიშნება დალისა და ტყის ბინადარი ავი სულის, დევის, ფუნქციების აღრევა. თითქმის ყველა ის თვისობრიობანი, რაც დალისთან დაკავშირებით ითქვა: მაქციობა, ცალკეულ შემთხვევაში პირობებიც ადამიანებთან შეხვედრასა და ურთიერთობაშიც, დასტურდება ტყის კაცშიც. ხალხის რწმენით, დევი უზარმაზარი ძალისა და აღნაგობისაა. იგი ბნელი ხეების, ჯურღმულებისა და ნაძრახი ადგილების ბინადარია, საშინელი იერსახის, ბანჯგვლით დაფარული. თავისი ადგილსამყოფიდან უმეტესად ბნელი, უკუნი ღამით გამოდის (ზოგჯერ დღისითაც). მის მნახველს არაადამიანური შიში ეუფლება, წონასწორობის შესანარჩუნებლად დიდი ვაჟკაცობაა საჭირო. ხალხის რწმენით, დევი მაგიური ძალისაა, გულთმისანიც, ყველას არ ეცხადება. ინტელექტუალურ ადამიანზე, ძლიერი ნების პიროვნებაზე გავლენას ვერ მოახდენს. დევიც ფლობს ფიზიკურ სხეულს. მასაც შეუძლია გაქრობა და ისევ სხეულში შესვლა. იგი მახლობლის, მეზობლის ან მეგობრის იერსახით ეცხადება ადამიანს. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია ტყის ქალი. იგი მამაკაცს მისთვის სასურველ ქალად ერგვება და ამ გზით იოლად ამყარებს მასთან ინტიმურ ურთიერთობას. როცა ყველაფერი გაირკვევა, დევი მხოლოდ ერთ თხოვნას უსრულებს. ამიტომ სიფრთხილე და ვაჟკაცობაა საჭირო. დევი ათ თითს უჩვენებს ადამიანს იმის ნიშნად, რომ ურთიერთობა ათ წელს გაგრძელდეს. დევი დროდადრო ხრის თითებს, მაგრამ სანამ ერთ, საჩვენებელ თითამდე, არ დავა, ადამიანი არ უნდა დასთანხმდეს, ე.ი. როგორმე ერთი წლის ურთიერთობა უნდა გამოსტყუოს. საბოლოოდ დევი სთანხმდება, მაგრამ მისი პირობები აუტანელია, ძნელად დასაცავი. მამაკაცს ეკრძალება არამცთუ სხვა ქალთან, ცოლთან ურთიერთობაც. პირობის დარღვევის შემთხვევაში დევი სასტიკად სჯის ადამიანს, სცემს, აწვალებს, სიკვდილის პირამ-

დე მიჰყავს, შეიძლება დაღუპოს, ცნობიერებადაკარგული კლდეზე გადავარდება ან ფათერაკს გადაეყრება და სხვა. ასე რომ, არც დევი არ აპატიებს ვისმე ღალატს. მას კარგის გაკეთებაც ძალუძს. სევანთში ხშირად გავიგონებთ: „დავა ნამზერ“, „დავს ზოჩა ნამზერ ხარ“. „დევის დანალოცი“, „დევს კარგი დანალოცი აქვს“ და სხვა. როცა ხალხს ასეთი რწმენა აქვს, აქცენტის სიტყვის ძალაზეა გადატანილი. სევანთა რწმენით, იგი სრულდება, მაგრამ პიროვნებამ, ასევე მთელმა ოჯახმა, არ უნდა გაამხილოს არსად, თუ რის გამო მოემართა ხელი. ასევე ითქმის დევის წყევლაზეც, რომელიც მთელ ოჯახს ბოროტად გარდახდება.

პრობლემის სირთულის საჩვენებლად, დავიმოწმებთ ერთ-ერთ ფშაურ გადმოცემას „ბლოელი მწყემსი ქალი, დევის შვილი და იახსარი“.

ერთ-ერთ ფშაურ გადმოცემაში „ბლოელი მწყემსი ქალი, დევის შვილი და იახსარი“ აღწერილია, რომ ბლოელ ქალს ქალკვის-თავსაკე ძროხები დაუდიოდა საძოვარზე. მასთან ერთმა კარგი სახის ახალგაზრდამ იწყო სიარული. ქალმა არ იცოდა, ვინ იყო, საიდან მოდიოდა ან როდის გაჩნდებოდა. ერთხელ მკლავზე მოხვეული, მიძივანი „ხელსახვიელა“ შეამჩნია. ქალმა მკლავი დაუჭირა და სახელო „შეუხვასტა“, ნახა, რომ ადამიანის მკლავს არ ჰგავდა. მკლავი ბარდლიანი (ბაღნიანი) იყო. ქალი შეკრთა, გაიხედა კარატის წვერისკენ, სადაც კოპალას და იახსარის ნიშები და თქვა: „იახსარო და კოპალავ, დამეხმარეთ. ამ დროს კარატის წვერიდან სალუდე ქვებისოდენა ღრუბელი წამოვიდა, რომელიც ცეცხლად იქცა და დაეცა ზედ ქალის გვერდზე მყოფ ახალგაზრდას და (დაკვლად) ფერფლად აქცია“. (ოჩიაური, 1971:42).

მსგავსი შინაარსის ტექსტები იშვიათია. გმირის უშიშარი და მოხერხებული ქმედება ყოველი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში დასტურდება, მაგრამ ამგვარი ცნობიერი ქმედება დეკური ძალის წინააღმდეგ არცთუ ისე ხშირია. ალბათ ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ბლოელი მწყემსი ქალი, როგორც ამას ნაწარმოებიდან ვგებულობთ, ყისმათიანი ყოფილა...

დამოწმებულ გადმოცემაშიც უმთავრესია მაქციობა. დევის შვილი მოხდენილი ახალგაზრდა ვაჟის სახით ეცხადებოდა ბლოელ

ქალს, ისე, რომ ვერც კი გეპულობდა, როგორ ჩნდებოდა, საიდან მოი-
ოდა ან როდის მიდიოდა. როგორცა ვხედავთ, აქაც დევის შვილის
მხრივ სხეულში შესვლასა და გაქრობასთან გვაქვს საქმე. კონკრე-
ტულ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ბლოელი ქალი ძალზე ძლიერი
ნების, სულის აღმოჩნდა. იგი არ იბნეოდა, არც შიშის განცდა დაუფ-
ლებია ახალგაზრდა ვაჟის უცნაური ქცევის გამო, მოულოდნელი გაქ-
რობისა თუ გამოჩენის გამო. კითხვები: „ვინ ხარ, საიდან მოდიხარ?“
იმაზე მიგვანიშნებს, რომ მწყემსი ქალი ცნობიერი პიროვნებაა. იგი
ახალგაზრდა ვაჟთან კიდევაც თამაშობს, არც მაშინ დაბნეულა, როცა
მკლავზე „ხელსახვიელა“ შეამჩნია, სახელო „შეუხვასტა“ და ბალნი-
ანი მკლავი დაუნახა, რომელიც „ადამიანისას არ ჰგავდა“. მართალია,
ქალი შეკრთა, მაგრამ იმდენად ცნობიერ ინივიდუალობად წარმოგ-
ვიდგება, რომ შეძლო შიშზე ამაღლება, არ დაიბნა, მასში აღმოჩნდა
იმდენი შინაგანი ძალა, სულიერი სიმტკიცე და კეთილი ძალებისადმი
რწმენა, რომ ყველაზე უკიდურესი გასაჭირის ჟამს საშველად კოპა-
ლასა და იახსარს უხმო: „იახსარო და კოპალავ, თქვენ დამწერეთ
ჯვარი, ამას რა რიგ მკლავი ჰქონიაო?“ ტექსტიდან ვიცით, რომ სა-
ვედრებელი სიტყვების თქმა და დევიური, ანუ ნეგატიური, ძალის
სრული ქრობა ერთი იყო. „რაზე დამღუპე, ეს რა სთქვიო?“ იახსარმა
ფერფელად აქცია ბოროტი ძალა, დევისშვილი. ეს ერთგვარი გადახ-
ვევაც იმისთვის დაგვიჩინდა, რომ ბევრია ისეთი თვისებები და ქმედ-
ებები, რომლებიც ცალკეულ მთქმელთა რეპერტუარში დალსაც მიე-
წერება, სინამდვილეში კი ტყის ბოროტი ძალის, დევის, ფუნქციები-
დან არის გადასული. ასე, მაგალითად, სვანთა რწმენით, ღვეი მის მი-
ერ დაღუპულ ადამიანს საფლავზე დასტირის. სირთულე ისაა, რომ
ანალოგიურ შემთხვევაში დალიც კლდეზე მოთქვამს, ზოგჯერ საფ-
ლავზეც. ჩვენი აზრით, ესეც და საფლავზე მისვლაც მომდევნო პერი-
ოდის ჩანართად უნდა ჩაითვალოს დალის ციკლის მასალებში, როცა
დალი სხვადასხვა მთქმელთა რეპერტუარში ძალზე დამძიმებულია
ადამიანური თვისებებით. რაც შეეხება მაქციობას, აქაც მნიშვნელოვანი
სირთულე შეინიშნება. იგი ძნელი გასარკვევია, გადაჭრით შეიძლე-
ბა ითქვას, რომ ტყის ბინადარი დევისაგან განსხვავებით, დალს არა-
ნაირი ლამაზი ქალის იერსახით გამოცხადება არ სჭირდება. იგი თა-
ვადაა ულამაზესი. მის მნახველს არ ეუფლება შიშის განცდა, რო-

გორც ეს ზოგიერთ მკვლევარს წარმოუდგენია. პირიქით კი არის: დალის სილამაზით მოხიბლულ მონადირეს ცნობიერება ებინდება, გული მისდის. დალის მაქციობიდან ერთადერთი შემთხვევეაა თეთრ ტანსაცმელში ლამაზი ქალწულის სახით გამოცხადება. არც ისაა სწორი, რომ თითქოს დალი ათივე თითს უჩვენებდეს მონადირეს ურთიერთობის ათი წლით განხანგრძლივების ნიშნად. როგორც ითქვა, იგი წმინდა ბოროტი ძალის, ღვეის თვისებაა და არა დალის. ასე რომ, დალთან ურთიერთობაში მყოფი მონადირე სულიერი ზეალსვლის გზაზე დგას. ყველა აკრძალვის დაცვა მხოლოდ ჭეშმარიტ მონადირეს ძალუძს. იმასაც დავსძენთ, რომ სხვადასხვა თაობის მთქმელთა რეპერტუარში ბევრი რამ აღრეულია, ღვეის თვისებები დალს მიეწერება. კონკრეტულ შემთხვევაში ისევ მთქმელის პრობლემა დგება. არაა გამორიცხული და ამის მაგალითებიც არის, რომ ცალკეული მთქმელი ცვლის და ასხვაფერებს ტრადიციული ტექსტების შინაარსს სრულიად განსხვავებული, არაღამაზნისათებელი ეპიზოდებით, სადაც ამჟამად იგრძნობა უპასუხისმგებლო, ზოგჯერ კი ცინიკური დამოკიდებულება ტრადიციული რწმენა—წარმოდგენებისადმი. ეს ითქმის როგორც დალის ციკლის მასალებზე, ასევე ქრისტიანული შინაარსის ძეგლებზე. ასე, მაგალითად, აპ. ცანავას წიგნში „ქართული მითოლოგია, (ცანავა, 1992:39) დაბეჭდილია ერთ—ერთი გადმოცემა „ლამარიას ვერძი და წმ. გიორგი“. აქ მიუტყვებელ ჩანაცვლებას ვაწყდებით. უხერხულობის გამო ციტირებისაგან თავს ვიკავებთ. ის, რაც წმ. გიორგის მიეწერება, სინამდვილეში დევზეა ნათქვამი, ისიც მინიშნებით... ამიტომ ტექსტების ჩაწერისა და განსაკუთრებით გამოქვეყნებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ყურადღება ტიპურ ძეგლებზე უნდა შევაჩეროთ, კუთხის ტრადიციული რწმენა—წარმოდგენების შესატყვის ტექსტებზე და არა შემთხვევით, ქრისტიანული მორალის შეურაცხმყოფელ ძეგლებზე, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვს კუთხის რწმენებთან და ტრადიციებთან. საერთოდ ვარიანტებში ძალიან ხშირია მოულოდნელობები, ფოლკლორული ანაქრონიზმები. მათ თავიანთი ადგილი უნდა მიეჩინოს.

ქალღმერთ დალის პრობლემის კვლევისას სხვა სირთულეებიცაა. მათ შორის ისიც, რომ, როგორც მთქმელები გადმოგვცემენ⁷

ნადირობა ძველად სხვანაირი იყო, ვიდრე დღეს არის. ამ აზრით ძალზე საინტერესოა გადმოცემა:

1. „ლითხვიარ“ – ნადირობა

„ნადირობას ძველად მეტი სახელი და დიდება ჰქონდა, ვიდრე ახლა. ნადირობა ახალგაზრდა ვაჟების საქმეა. შინ მუშაობა ცოლებსა და ხანში შესული მამაკაცებისა.

მონადირე კაცი სანადიროდ უბრად მიდის. ქალს საგზალს მოამზადებინებს, მაგრამ რისთვის უნდა ეს საგზალი, იმას ვერც ქალი გაუბედავს, რომ ჰკითხოს და არც კაცთაგანი გაუტყდება. ასე უბრად გაუვლის ამხანაგს და გამთენიისათვის სოფლიდან გასულები უნდა იყვნენ. სოფლის მცხოვრებელთაგან არავენ წინ არ უნდა შეხვდეს.

ყოველ სულდგმულზე ნადირობა თავის დროზეა საჭირო. არჩევები და ჯიხვები მარიაშობის თვეში არიან ყველაზე მეტად მსუქნები. მონადირეებიც ამ დროს დადიან მათზე სანადიროდ. დათვის შემოდგომით, ახალ თოვლობაზე, დასდევენ. შურთხზე კვირიკობის თვეში ნადირობენ. გარეულ ქათამს დასდევენ თოვლის დადნობიდან კაი ხნის შემდეგ. კვერნას და მელაზე ზამთრობით მიდიან.

ჯიხვები საჯიხვეში, ანუ კლდოვან არეალში, ბინადრობენ. ზამთარში კლდისანებს (ე.ი. ჯიხვებს) ქუჩის მეტი არაფერი აქვთ საკვებად. მათი სამყოფ—სადგომი კლდის გამოქვაბულებია. ასევე არჩევებისაც. კლდისანები ისე არიან შეჩვეული კლდეებს, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე ფრინველივით გადაფრინდებიან. გადახტომისას რქებს იყენებენ. კლდისანები განმარტობულად იშვიათად დადიან. ისინი ერთიმეორესთან შეტყუებულად გამოდიან საძოვრად, სველ „ლალოკაზე“ (კლდეზე ნაწვეთი მოყვითალო ფერის, მარილის გემოს მქონე) დასასვენებლად.

„კლდისანებს“ დიდი სიფრთხილე სჩვევიათ. დასვენებისა თუ ბალახის ძოვის დროს ერთი მცველად უდგათ. მცველი კარგ დასაზვერ ადგილს პოულობს და ყველა მხარეს სინჯავს, აკვირდება, გარდა შემოსი. კლდისანებს ჰგონიათ, რომ მათ ზემოთ არაფერია მავნე და მარტო ქვემოთ და აქეთ—იქით იხედებიან. მცველი მავნეს მარტო თვალით კი არ აკვირდება, არამედ ყნოსვითაც ყნოსავს. თუ რაიმე საზიანოს დაინახავს, ხტუნვას იწყებს და სხვებთან ერთად გარბის ფათე-

რაკის თავიდან ასარიდებლად. გაფრთხილებული კლდისანები ჯერ ქვევით ან გვერდზე გადახტებიან, შემდეგ ზევით არბიან და, სანამ მწვერვალამდე არ მიაღწევენ, მანამდე არსად ჩერდებიან.

სადაც „კლდისანები“ არიან, იქ შურთხებიც შეინიშნება, ისინი მონადირეებს დიდ ზიანს აყენებენ. შურთხები, როგორც კი მონადირეს დაინახავენ, ხტუნაობენ. ეს კი „კლდისანებისათვის“ იმის ნიშანია, რომ საფრთხე ელით და ისინიც უცბად თავშესაფრისაკენ გარბიან. ამის გამოა შურთხი „კლდისანების“ ერთგული ფრინველი.

კლდისანებს მონადირეები შორიდან უთვალთვალბენ. თუ დაინახავენ „მადლიანებს მონადირეები“ (ასეთი სახელწოდება აქვთ შერქმეული მონადირეებს ჯიხვებისა და არჩვებისათვის), შორიდან უვლიან, უღელტეხილების სხვადასხვა მხრიდან. აფსაადს ეხვეწებიან, რომ ყველაზე საუკეთესო დაანებოს (ე.ი. უბოძოს) და შინ ხელმოცარული არ გაუშვას. ეპარებიან ქარის საპირისპირო მხრიდან, რომ სუნი არ იკრან „მადლიანებმა“. სროლის შემდეგ ერთმანეთს გასძახებენ: რას ატყობ „ნაპოლ“, მოიკარგე რამე? (ნაპოლ პირდაპირი თარგმანით ჩიტია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში უკეთესია სახელწოდება მფრინავო. ეს არის მონადირის ზედწოდება, გამოცდილი, მუხლმაგარი მონადირისა).

თუ „მოიკარგა“ (ე.ი. მოინადირა) რამე, ასე უპასუხებს: ერთიო აქაა „დაბრძანებული“...

გასაჭირში „კლდისანებს“ ერთიმეორის მხარდაჭერა სჩვევიათ. თუ მათი ამხანაგი დაიჭრა, დიდი ჯიხვები გარსშემოერტყმიან და ზოგი რქით, ზოგი თავით ეხმარება დაჭრილს, რომ სიარული შეუმსუბუქონ და როგორმე სამშვიდობომდე მიიყვანონ.

მონადირეთათვის ტყისანები ძნელი მოსახელთებელია, მაგრამ ცალკეულმა მონადირემ იცის „ტყისანების“ ადგილსამყოფელი. ასეთია „ლალოკა“—სალოკი—ადგილი, სადაც კლდის ერთ-ერთ მონაკვეთთან სისველეა, ნაწვეთი, რომელსაც მარილის გემო აქვს. მონადირეები წინასწარ ირჩევენ სადარაჯო ადგილს, არჩვები, ანუ „ტყისანები“, უთენია მოდიან „ლალოკაზე“.

„კლდისანებისა“ და „ტყისანების“ თავს ვინც ხელში ჩაიგდებს, ყველა შუბლში კოცნის. მის გამომგზავნს ლოცავენ.

უფრო ღვაშს „ნეჭმდს“ უწოდებენ, ორწლიანს „მულუშირს“, იმაზე უმცროსს „ფეთს“, ხოლო დედაჯიხვს „კვიცრა“ (ჯიხვებზე სანადირო ადგილსაც, კლდოვანს, „ლაკვიცრა“ ეწოდება).

ამის შემდეგ აღწერილია დათვსა და კვერნაზე ნადირობა. დათვი ყველაზე მოუხელთებელია და დანარჩენ ნადირთაგან გამოირჩევა დიდი სიფრთხილით, გამოუცდელ მონადირეს იოლად უბნევს გზა-კვალს.

კვერნაზე ნადირობა დიდ გარჯას მოითხოვს. თვით დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისითაც. იგი ძნელი მოსანადირებელია. მასზე ზამთარში ნადირობენ, ყველაზე დიდი ყინვების დროს. მონადირეს თვე-ნახევარი მაინც უწევს გარეთ ყოფნა. საგზალი დროდადრო მიაქვს სახლიდან... მითითებულია, რომ კვერნას და მელას ტყავს ყველაზე დიდი ფასი აქვს; ბარში ჩაჰქონდათ გასაყიდად და ოჯახის წევრებისათვის ტანსაცმელს ყიდულობდნენ“.(დავითიანი, 1957:234)

ამ ვრცელი ამონაწერიდან, რომელიც ნარკვევის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ფოლკლორული ნაწარმოებისა, ბევრ საინტერესოსა და ახალს ვგებულობთ სამონადირო ტრადიციებზე. იგი ამ ტრადიციების წინარე წარსულში გვახედებს. მასში თითქმის ნიუანსური სიზუსტითა და სისრულითაა წარმოჩენილი მონადირის მოვალეობა და დამოკიდებულება გარემოსა და ცხოველთა სამყაროსადმი. კარგადაა დახასიათებული ცალკეული ჯიშის ნადირთა ბუნება და თვისებები, ზუსტად არის განსაზღვრული, რომელ ნადირზე როდის, რომელ თვესა თუ დღეს შეიძლება ნადირობა. ასე, მაგალითად, ჯიხვებსა და არჩვებზე ნადირობისათვის ყველაზე საუკეთესო დრო მარამობის თვეა. მონადირეს სხვა ნადირზე თვალი არ უნდა გაქციოდა, უფრო ზუსტად, ეკრძალებოდა. ჭეშმარიტი მონადირისათვის ამ წესის დაცვა წმიდათაწმიდა რამ იყო. სწორედ ასეთი მონადირის ქმედებებია განსაკუთრებით საინტერესო. ამგვარი ტრადიციის არსებობა იმ მხრივ იყო მნიშვნელოვანი, რომ გარეულ ცხოველთა ბუნებრივ გამრავლებას საფრთხე არ ემუქრებოდა, ძველად ადამიანები ერთობ დიდი კრძალვითა და ზრუნვით ეპყრობოდნენ ბუნებას, ყველაფერს სამომავლო თვალთ აკვირდებოდნენ, თუ ტყე შეთხელდებოდა ან რომელიმე სახეობის ხე-მცენარეს გაქრობის საფრთხე დაემუქრებოდა, ორი ან მეტი ათეული წლით მთელ მასივს ნაკრძალად გამოაცხა-

დებდნენ, სანამ ტყის მასივი თავის ბუნებრივ იერ-სახეს არ დაუბრუნდებოდა, — იქ ხეს ვერავენ მოჭრიდა. ამგვარი ქმედებით ბუნება თავის იერსახეს ინარჩუნებდა. ეს კეთდებოდა ყოველგვარი შეგონებისა და ზეწოლის გარეშე. ადამიანები ბუნებრივად იხდიდნენ ვალს გარემოს წინაშე. რასაკვირველია, იგივე ითქმის ცხოველთა სამყაროზეც. ტრადიციულად დამკვიდრებული ჩვეულებაა, რომ მონადირემ არ უნდა გამოიჩინოს სიხარბე. იგი ერთი ნადირის მოკვლას უნდა დასჯერდეს, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება სამიც. მეტი კი ცოლვად ითვლება. ამგვარი ტრადიციის დაცვა ხელს უწყობდა ნადირის გამრავლებას. თუკი ჯიხვთა ან არჩვთა ჯოგი შეთხელდებოდა ან რომელიმე მათგანს გადაშენების საშიშროება დაემუქრებოდა, მაშინ საერთოდ იკრძალებოდა ნადირობა რამოდენიმე წლით. ცალკეულ ჯიშზე ხუთი წელი იყო განსაზღვრული (ხუთი წლის ნადირი ფიზიკურად სისრულეში შედის). ამავე მიზანს ისახავდა წლის დროთა მიხედვით ნადირობა. ასე რომ, ძველი დროის ადამიანებს ნამდვილი ღვთისმოსავი ძალები ამოძრავებდათ. „სოფლი გიგინს“ ყველა ერიდებოდა. „გიგინ“ ღვთის რისხვის ფარდი სიტყვაა და, რასაკვირველია, მას ყველა უფრთხოდა.

დამოწმებული ძეგლი მრავალმხრივ საინტერესო საკითხებს აღძრავს. როგორც „ისტორიული მასალა გვიჩვენებს, I საუკუნეში, ძველი წელთაღრიცხვით, საქართველოს მთიან ზოლში ბინადრობდა მთელი რიგი ტომები, რომელთა არსებობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს გარეული ნადირი და გარეული ხილეული — მცენარეულობა წარმოადგენდა. და რომ, მიუხედავად მონადირეობის მიერ ეკონომიკურად წამყვანი მნიშვნელობის დაკარგვისა, იგი თავისი საუკეთესო ტრადიციებით მაინც არსებობდა ქართველურ ტომთა სინამდვილეში“ (რობაქიძე, 1941:120).

ირკვევა, რომ სვანეთში ნადირობას კოლექტიური, ფართო გაგებით კი საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა. ისტორიული წყაროებიდან ვგებულობთ, რომ ირანსა და ბიზანტიას შორის არსებული ომის დროს, რომელიც 562 წელს დროებით შეწყდა, სვანებსა და გუბაზ მეფეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილა და გუბაზმა სვანებს სურსათი არ მიაწოდა, თურმე. მენანდრე პროტიქტორის სიტყვებით, მას შემდეგ, რაც ლაზთა მეფესა და იმ დროს იქ მოსარ-

დღე რომაელ მარტინეს შორის რაღაც მტრობა ჩამოვარდნილა, ამის გამო კოლხმა არ გაუგზავნა სვანებს სურსათი. ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. სვანები ამის გამო ძალიან გაჯავრებულები იყვნენ, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება“. იქვე მითითებულია, რომ „სვანეთი ლაზთა მეფეებს გადასახადის სახით ყოველწლიურად აძლევდა თაფლს, ნადირის ტყავს და სხვა“ (მაკალათია, 1949:22)..

საანალიზოდ წარმოდგენილი გადმოცემიდან ვიცით, რომ მონადირეს რაც შეიძლება მეტი კვერნა და მელა უნდა დაეჭირა, რომ ბარში ჩაეტანა, გაეყიდა და სანაცვლოდ ოჯახისათვის ტანსაცმელი და სურსათი წამოეღო. ეს უკვე ნადირობის ინდივიდუალური ფორმაა, ხოლო ისტორიული წყაროების მიხედვით, პირდაპირაა მითითებული, რომ სვანეთი, რომელსაც თავისი მთავრები ჰყავდა, კოლხთა მეფეს ბეწვეულს, თაფლს უგზავნიდა, სამაგიეროდ კი პური და სხვა სურსათი მოჰქონდა (ადგილზე მოწეული პური არასოდეს ჰყოფნიდა სვანეთს). აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ ეპყრობოდნენ კრძალვით ძველი დროის მონადირეები და საერთოდ ხალხი ბუნებას და ცხოველთა სამყაროს, რომლებიც მათი არსებობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. თვით ტექსტშიც აქცენტირებულია, რომ კვერნასა და მელაზე ნადირობა ყველაზე ძნელი იყო. როგორც ითქვა, მონადირეები თვე-ნახევარზე მეტი საშინელ ყინვაში გარეთ იყვნენ. ამ გადმოცემის მნიშვნელობა ისაა, რომ შეგვიძლია, თვალი გავადევნოთ მონადირული ტრადიციების განვითარების გზებსა და საფესურებს.

განსახილველად წარმოდგენილ ძეგლში განსხვავებულადაა აღწერილი და დახასიათებული ტყის ბინადარ ცხოველებზე ნადირობა, ვიდრე ჯიხვებსა და არჩვებსზე. დალის უფლებამოსილება აქ არ ვრცელდება. ტყეს თავისი გამგებელი ჰყავს „ცხეკიშ ანგლოზ“—ტყის ანგელოზი. მონადირეები მას შესთხოვენ შემწეობასა და მფარველობას. სანადიროდ წასვლის წინ ყველა რიტუალი და წესია დაცული, წელიწადის დრო, თვე, მთვარის წმინდა დღეები და სხვა. ასე, მაგალითად, დათვზე ნადირობისათვის ყველაზე საუკეთესო დროა შემოდგომა, თოვლობის დაწყების დღეები. ჭეშმარიტმა მონადირემ ზედმიწევნით უნდა იცოდეს მისი საბინადრო ადგილები, სამიმოსვლო ბილიკები, ერკვეოდეს ადგილმდებარეობის სირთულეებსა და თავისე-

ბურებაში. მელა და კვერნა წელიწადის ყველა დროსა და თვეს მუდმივ მოქმედებენ. მათ აქვთ თავიანთი საწვრთნელი ადგილები, საიდუმლო ბილიკები, წყალზე გადასახტომი და გადასასვლელები, თავშესაფარი. ასე რომ, გამოუცდელ მონადირეს ხელიდან ადვილად უსხლტებიან და იოლად უბნევენ გზა-კვალს. ნადირთა ამგვარი თვისებების აღწერა და დახასიათება აუცილებლად მიგვაჩნია თუნდაც იმიტომ, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მონადირული ყოფიერების სირთულესა და მრავალმხრიობაზე. ამასთანავე, სამონადირო ციკლის ძეგლებში დალს მკვეთრად განსაზღვრული ადგილი უნდა მიეჩინოს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მონადირე ყველაზე მძიმე შრომასა და გარჯაში იყო. მას წელიწადის არც ერთ დროს მოსვენება არ ჰქონდა. ზამთარსა თუ ზაფხულში, ქარსა, თუ წვიმაში, თოვლსა და ყინვაში იგი მუდამ გარეთ იყო გასული. ბუნებასთან ამგვარ მკაცრსა და მრავალნაირ ურთიერთობაში იწრთობოდა მისი ნების სიმტკიცე, წინააღმდეგობათა გადალახვის უნარი. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა იგი თანასოფლელებისაგან. მასში ჩვეულებრივზე მეტს ხედავდნენ, რაღაც გამოუცნობსა და ბუნდოვანს გრძნობდნენ მის ქმედებაში. ზოგჯერ ისე განსაკუთრებულსა და ამაღლებულს მიაწერდნენ, რომელიც ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარს სცილდებოდა, ეს კი პიროვნების გამითიურებას იწვევდა, ბეთქილი, ჩორლა, ქალა და სხვანი, რეალურად არსებული ინდივიდები არიან, დროთა მსვლელობაში გამითიურებული. (სიხარულიძე, 1949:82) ამიტომაც იყო ნამდვილი მონადირე ყველაზე პატივდებული საზოგადოების თვალში. ცხადია, მონადირული ცხოვრებაც იძლეოდა ამის საფუძველს. სვანთა წარმოდგენით, იგი კაი ყმის ყველა თვისებას განასახიერებდა. ჭეშმარიტი მონადირე სიტყვაძვიერი იყო და ძალზე თავშეკავებულიც, ამასთანავე, წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა. ამიტომ მას იოლად ვერც რამეს ჰკითხავდნენ და ვერც განიკითხავდნენ, ყველა კრძალვით ეპყრობოდა, გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერითა და ამტანობით. მის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა სოფელში. ჭეშმარიტი მონადირეები ნათელმხილველები იყვნენ. მათი გაკულტების მიზეზიც ამგვარი გამორჩეულობა იყო. მონადირეთა ანალოგიური თვისობრიობა კარგადაა წარმოდგენილი დამოწმებულ ტექსტში. ყურადღება მივაქციოთ შესავალი ნაწილის მეორე აბზაცს: „მონადირე კაცი

სანადიროდ უბრად მიდის. ქალს საგზალს მოამზადებინებს, მაგრამ თუ რისთვის სჭირდება საგზალი, ვერც ქალი შეეკითხება და არც კაცთაგანს გაუტყდება“. რასაკვირველია, სანადიროდ წასვლა ერთ დღეში არ წყდება, სურვილის მიხედვით, მას სათანადო მომზადება სჭირდებოდა: მარხვა, შინაგანი განწმენდა და სხვა მრავალი აკრძალვის დაცვა, ამიტომ ამონაწერი ისე უნდა გავიგოთ, რომ მონადირე მხოლოდ წასვლის წინ კი არა, არამედ სანადიროდ წასვლის გადაწყვეტილების მიღებამდე, რამოდენიმე დღით ადრე საერთოდ უფროთხის ლაპარაკს. იგი ჩუმად უნდა ყოფილიყო. ცხადია, მისი ამგვარი ღუმილი შეუმჩნეველი არ რჩება სახლეულობას, მაგრამ კითხვის მიცემას ვერვინ უბედავს. ეს არაა შემთხვევითი, ვინაიდან ღუმილში ყოფნა და საერთოდ ღუმილი სვანთა რწმენით, განწმენდისა და იღუმალ სიბრძნესთან თანაზიარობის უპირველესი ნიშანია, ამგვარ პიროვნებას საზოგადოება კრძალვითა და სიფრთხილით ეპყრობა. მისგან არაჩვეულებრივსა და განსხვავებულს მოელოან. ამიტომ ზედმეტ-სიტყვაობითა თუ საუბრით ადარ აწუხებენ. ასე რომ, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იქმნება მშვიდი გარემო. მონადირის სანადიროდ წასვლამდე ღუმილს ღრმა სულიერი დატვირთვა აქვს. იგი თვითგანწმენდის ურთულეს გზას გადის, რათა მთის წმინდა ადგილებში მისვლის უფლება მოიპოვოს და ნადირობაში ხელი მოემართოს, არაფერს ვამბობთ მარხვაზე. ეს კი, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის ფლობასა და დიდ შინაგან ძალისხმევას მოითხოვდა. ამიტომ უფროთხის ჭეშმარიტი მონადირე ხმის ამოღებას, ლაპარაკს. მან იცის და ადგილობრივ მკვიდრთა რწმენაც ასეთია, რომ მღუმარებაში მყოფი ადამიანის ფიქრები, თუკი სიტყვებითა და ქმედებებით გამჟღავნდა, ძალა ეკარგება. ამიტომ ღვთიურ მადლს, რომელიც ოჯახის ერთ-ერთ წევრზეა გადმოსული, ოღონდ არა მხოლოდ ნადირობისას, მთელი სახლეულობა უნდა გაუფრთხილდეს. ყოველნაირი არასწორი ნაბიჯი თუ ქმედება, თვით ფიქრებიც კი, ტრაგედიით მთავრდება: ისჯება არა მარტო მონადირე, არამედ მთელი ოჯახი (ამგვარ ძეგლებზე ცალკე გვექნება მსჯელობა). სამონადირო ტრადიციებში ღუმილის ხვედრითი წონა მართლაც განსაკუთრებულია. მღუმარებაში მყოფის ზრახვები გაუმჟღავნებელი უნდა დარჩეს, ვინაიდან თავად ღუმილია წმიდათაწმიდა. სვანეთში მღუმარე, ძალზე სიტყვაძვირ ადამიანზე იტყვი-

ან: „ლჯგერაკელი“ – დაგიორგებულა. ასეთი ადამიანი ყოველთვის საკრძალავია... (ამჯერად თავს ვიკავებთ ლიტერატურული წყაროებიდან მასალის მოხმობაზე). აქ იმის აღნიშვნაცაა აუცილებელი, რომ მონადირე ამხანაგები საიღუმლოდ ხელებიან ერთმანეთს და ათანხმებენ, თუ რომელი სანადირო ადგილები შეიძლება იყოს იღბლიანი დათქმული დღისათვის. ოჯახმა არაფერი იცის ამის შესახებ. მონადირე უხმოდ დაავლებდა ხელს თოფ-იარაღს, საგზალს და ფარულად გადიოდა სახლიდან, რათა გამთენიისას სანადირო ადგილებში ყოფილიყო. სწორედ ამ დროს გამოდის ნადირი საძოვარზე...

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა მითითებული, რომ ნადირობა წმინდა საქმეა, რომ სანადიროდ წასვლის წინ გარკვეული აკრძალვებია დასაცავი: მარხვა, სისუფთავის დაცვა როგორც შინ, ისე მიდამოში; იკრძალება უხეში სიტყვების თქმა, არც სტუმრიანობაა მიზანშეწონილი, წმინდად ითვლება ნადირი, და სანადირო ადგილები... ასე რომ, ისეთი სიახლე, რომელიც მთლიანად შეცვლიდა ჩვენს წარმოდგენებს ნადირობის ტრადიციებზე, არაა მოსალოდნელი და არც არის, მაგრამ მიგვაჩნია, რომ, დამოწმებულ ტექსტს თუ ღრმად ჩაუვკვირდებით, ადამიანის გარემოსა და ცხოველთა სამყაროსთან ურთიერთობას იმ თავდაპირველ საფეხურებამდე მივყავართ, საიდანაც მონადირული ტრადიციებია ამოზრდილი. დამოწმებული ძეგლი ამ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი.

ორიოდე სიტყვა ისევ მდუმარებაზე. მონადირემ იცის, რომ წმინდა აზრები სიტყვებით არ უნდა გამჟღავნდეს. ეს ნადირობაში ხელმოცარვის ტოლფასია. ამგვარ ქმედებაში ისიცაა ამოსაკითხავი, რომ ოჯახი, სადაც მონადირეა, მზად უნდა იყოს ღვთით გაღებული მადლის მისაღებად. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სახეულობა პასუხისმგებელიცაა მონადირის ყოველნაირ ქმედებაზე. დალის რისხვა მათზეც გადადის. ამდენად, მონადირის სანადიროდ სათანადოდ მომზადება მთელი ჯალაბის სულიერი გამოცდაც არის. ამიტომ მდუმარებას მთელი ოჯახი სრული გაგებით ეკიდება. ეს ცნობიერება მტკიცედაა გამჯდარი თითოეულ წევრში. ამგვარი შთაგონებითა და წმინდა ფიქრებით უნდა გავიდეს მონადირე სახლიდან ისე, რომ თანასოფელელთაგან გზად არავინ შემოხვდეს.

მიყვავთ ტექსტის თანმიმდევრობას. შემდგომი აბზაციდან ირკვევა, რომ ყოველ ნადირს დამოუკიდებელი არსებობის წესი აქვს. ასე, მაგალითად, ჯიხვები ჯოგურ ცხოვრებას ეწევიან. იგივე ითქმის არჩვებზეც. ჯიხვთა მულმივი საბინადრო კლდოვან-ყინულოვანი არეალია. ისინი ერთიმეორეს ეხმარებიან გასაჭირში, ცდილობენ, რომ დაჭრილი როგორმე სამშვიდობომდე გაიყვანონ. ტექსტიდან იმასაც ვიგებთ, რომ ჯიხვებს თავიანთი მცველი ჰყავთ, მორიგეობით: დედალი ან მამალი ჯიხვი. როგორც ითქვა, მონადირეებისათვის ჯიხვები და ჯიხვთა სამყარო წმინდად არის მიჩნეული, იმდენად, რომ მათ ზედწოდებებით მოიხსენიებენ.

დალიც თავისი სახელწოდებით არასოდეს მოიხსენიებდა. ეს უნდა მივიჩნიოთ მონადირული ყოფიერებისა და არსებობის ყველაზე არქაულ და, ამასთანავე, წმინდა პერიოდად. მსგავსი რამ დღემდე ცნობილი მასალების მიხედვით, არ დასტურდება. ესაა მოხმობილი ტექსტის და კიდევ დასამოწმებელი მასალების მნიშვნელობა. ჩვენ ქვემოთ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ კლდისანებთან, „ტყისანებსა“ და „მადლიანებთან“ ძალზე დიდი ღვთიური იღუმალბეებიცაა დაკავშირებული.

ერთი საინტერესო დეტალიც დამოწმებული ტექსტიდან: როდესაც მონადირეები მონადირებენ, უკეთ რომ ვთქვათ, დააბრძანებენ, მაშინ, მთქმელის შენიშვნით, „კლდისანების და ტყისანების თავს ვინც ხელში დაიკავებს, ყველა შუბლზე ჰკოცნის. მის გამომგზავნს ლოცვას აღუვლენს: — ბეწვის სიმრავლე გყოლოდეს“. დამოწმებულ ორ სტრიქონსა და სიტყვებში ღრმა აზრია ჩადებული. გამომგზავნს ლოცვას აღუვლენენ. სვანურად „მეზი“ — გამომგზავნი, იგულისხმება დალი — სახელით არ იხსენიება. ვინ არის ან არიან გამომგზავნი? სამეცნიერო ლიტერატურისათვის კარგად ცნობილია კონკრეტული დალი. თუ დალთა ლაშქარი, რომელსაც მეუფეობს დალთ დედოფალი. როგორც ზემოთ ითქვა, მონადირესთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი დალი მოკვეთილია და მონადირეები მას შესთხოვენ ნადირობაში ხელისმომართვას. მაგრამ ცალკეულ მონადირეთა თავგადასავლებზე მსჯელობისას დავრწმუნდებით, რომ ჯიხვთა და არჩვთა სამყაროს გამგებელი დალთა ლაშქარი და მისი უშუალო მეუფე დალთ დედოფალია, რომელიც ადამიანებისათვის განკუთვნილ სოფლიდან,

ათვლით ცხრა მთის იქიდან დალთა ლაშქრისათვის სამეუფეო ცხრა მთიდან იგზავნება, აქ კი, ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილ არეალში, უკვე მიწიერთან წილნაყარი დალი გამგებლობს და იგი დაუშვებს მაღლს ცალკეულ მონადირეზე: მოაკვლევინებს, ჯიხვს ან არჩვს.

ჯიხვებსა და არჩვებზე ნადირობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ განსაკუთრებით საინტერესოა. კერძოდ, ხალხის რწმენით, ისინი „ღერთა ცხოველარ ლიხ“, ე.ი. ღვთაებათა ცხოველები არიან და გარეულ ნადირთა შორის ყოველად უცოდველნი. ისინი არანაირ ზიანს არ აყენებენ ადამიანებს, არც ბუნებას, არც ცხოველთა სამყაროს. მხოლოდ ბალახს ძოვენ და არიან თავისთვის. თუ მონადირემ რომელიმე მათგანი მოიკარგა, ეს მხოლოდ ღვთის წყალობაა. ღვთის წყალობა კი მოსაფრთხილებელია. იგი ადამიანმა უნდა დაიმსახუროს და შეირგოს – თავისი წმინდა ცხოვრებით, მონადირული ყოფიერების ყველა წესის დაცვით. ჭეშმარიტი მონადირე ვალდებულია პატივისცემით მოეპყრას დაჭრილ ნადირს. მას ბოლომდე უნდა სდიოს. რწმენის თანახმად, დაჭრილი ნადირი უპატრონოდ არ უნდა მიატოვოს მონადირემ. ასეთი ქმედება ბუნების წინაშე ცოდვად ითვლება. თუ დაჭრილი ნადირი უპატრონოდ მოკვდებოდა და გაიხრწნებოდა ან რომელიმე მტაცებელი ნადირი დაეუფლებოდა, ღვთისა და ბუნების წინაშე ყველაზე დიდ ცოდვად ითვლებოდა. არსებობს ასეთი გადმოცემა „მუშიოზე“: „ერთმა გამოცდილმა მონადირემ ჯიხვი დაჭრა და დაედევნა. ხანგრძლივი დევნის შემდეგ ჯიხვი ერთ მაღალ კლდოვან ადგილას გაჩერდა, საიდანაც რაღაც შავი სითხე მოჟონავდა. ჯიხვმა მას ლოკვა დაუწყო. მონადირე შეჩერდა, მაგრამ ჭრილობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ეტყობა ჯიხვი სისხლისგან დაიცალა და წამოიჩოქა, მხოლოდ მაშინ ესროლა და მოკლა. ამის შემდეგ აღმოჩნდა მუშიო, რომელიც სვანთა რწმენით, ყოველნაირი ავადმყოფობის მკურნალია, როგორც უკვდავების წამალი, მაგრამ მისი პოვნა უკიდურესად ძნელია. ხალხში ასეთი გამოთქმაა: „მუშიაჲ დ მიჯემ“ – მუშიოდ მიღირს. იგი ყველაზე იშვიათს, ფასდაუდებელს ნიშნავს. არაა გამორიცხული, რომ, რომელიმე გამოცდილ მონადირეზე გადმოვიდეს მაღლი, მიაგნოს მას. ცხადია, ამისათვის ყველა აკრძალვები და სიწმინდე დასაცავი. მონადირემ დაჭრილი ჯიხვი არ უნდა მიატოვოს. ბოლომდე უნ-

და სდიოს და შეიძლება მომომღე მივიდეს, ხელში ჩაიგდოს უკვდავე-
ბის წამალი, ანუ იღუმალ სიბრძნეს ეზიაროს. მაშ, ადამიანი მადლია-
ნობას აღწევს. ჭეშმარიტი მონადირეები ყველა ამ წესის დაცვით ბუ-
ნების წინაშეც წმინდად იხდიდნენ ვალს. მათთვის ეს იყო ღვთიური
გამოცდა. ასეთი მონადირეები არასოდეს ბრუნდებოდნენ შინ ხელმო-
ცარული. რასაკვირველია, ამგვარი რწმენა—წარმოდგენები და მათი
დაცვა—განხორციელება არაა შემთხვევითი. როგორც ვიცით, ჯიხვი
და არჩვი ღვთაებათა საბრძანისის ცხოველები არიან. მონადირემ უნ-
და მოიპოვოს ამ საბრძანისში შესვლის უფლება. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში მარცხი გარდუვალია. სიწმინდეებს ადამიანმა წმინდა ქმე-
დებით უნდა უპასუხოს. ჭეშმარიტი მონადირე კლდოვან—ყინულო-
ვანსა და ალპურ არეალში შეიძლება დიდ საიდუმლოებას, სიბრძნეს
ეზიაროს. ასეთი სიწმინდის სფეროა ჯიხვთა სამყარო, ანუ საჯიხვე-
თი.

აღინიშნა, რომ ნადირობა იმდენად ყოვლისმომცველია, რომ
აქ გარემოს, ბუნების ყოველ წარმონაქმნს თუ არეალს თავისი დამოუ-
კიდებელი, თავისთავადი ღირებულება აქვს. ასე, მაგალითად, ტყე
სულ სხვა თავისებურებებით წარმოგვიდგება, ვიდრე კლდოვან—ყინუ-
ლოვანი და ალპური არეალი. აქ წმინდა ცხოველებია, უცოდველნი
იმ აზრით, რომ მხოლოდ ბალახის მძოველნი არიან, რასაც ვერ ვიტ-
ყვით ტყის ბინადრებზე: დათვი, მგელი, რამდენადმე მელაც. ისინი
მტაცებლები არიან. ეს დაყოფა ძალზე პირობითია, ჩვენ ვიცით, რომ
მტაცებელი ცხოველები ღვთიურად არიან წარმოდგენილია (ეს სა-
კითხი რთულია, ვრცელი და მასზე აღარ ვჩერდებით)... რაც შეეხება
კვერნას, იგი ადამიანს არანაირ ვნებას არ აყენებს, მხოლოდ ტყის ბი-
ნადრით იკვებება, შეიძლება ითქვას, მისი მარჩენალი ტყეა.

მელასთან ყველაზე დიდი ხერხიანობა არის დაკავშირებული.
სვანეთში მნიშვნელოვნად ორიგინალური რწმენა—წარმოდგენებია
შემუშავებული შავ მელაზე. ადგილობრივ მკვიდრთა რწმენით და არა
მხოლოდ მონადირეების, შავი მელა ყველაზე მადლიანი ცხოველია
ტყის ბინადართა შორის — და საერთოდ ცხოველთა სამყაროდან...
სვანთა რწმენით, თუ ადამიანი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმე-
ზე მიდის და მას შავი მელა შეხვდა, ის დღე და საქმე ყველაზე ბედნი-
ერია. საქმიანობაში ხელმომართულ კაცზე ხშირად მოვისმენთ, შავი

მელა შეზღდაო. თუ ვინმე ბედნიერი მოკლავს შავ მელას, ტყავს სასო-
ებით ინახავენ განსაკუთრებულ ადგილას, რათა უცხო თვალმა არ
იხილოს. ყოველთვის არც ოჯახის წევრებს აქვთ მისი ხილვის უფ-
ლება, თუ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეზე არ მიდის. ასეთ
შემთხვევაში კი სახლიდან გასვლისას ორივე ხელს სამჯერ ჩამოუს-
ვამს ტყავს, დაილოცება და გაშორდება. ის დღე უეჭველი გამარჯვე-
ბის დღეა. (მასალა მომწოდა გიორგი მიხეილის ძე ონიანმა, 35 წ.
მცხ. ლენტ. რ. სოფ. სასაშში, მონადირე). მთქმელისავე შენიშვნით,
თუ უცხო თვალმა იხილა ტყავი, შეიძლება ძალა დაკარგოს. ისიც
დასძინა, რომ შავი მელა საერთოდ იშვიათობაა.

2.2. „ღვიდშერე ბიბუ“, ანუ „ღვიდილანთ ბიბუ“

„ღვიდილანთ ბიბუს გარეთ მყოფი ჰყოლია მოკეთედ. გადიო-
და სანადიროდ და სადგომში დალი ესტუმრებოდა. გამობრუნებისას
კი არიგებდა: – ნაპოლ, აბა დილით ადრე ადგესო. ლალოკაზე (სა-
ლოკზე) მოდიანო და იქ წავიდესო.

შენთან არ იკადრება და შესალოცავი ჰქონია და ყველი ბლო-
მად. გარეთ მყოფს უთქვამს: – ცოტა მოუჭრასო, მისი და მშობიარობ-
სო. ყველი მოუტანია და შესალოციც: მოდიოდა, მაშინ ისევ დაური-
გებია: ხვალ ადრე ადგესო და დიდი „გორგოლაი“ (დიდი რქებდაგრე-
ხილი და, ამასთანავე, დალის მიერვე დადებული რაღაც ნიშნით გა-
მორჩეული ჯიხვი) მისთვის დაულოცნიაო.

მას დასძინებია და მეორე დღეს დააგვიანდა. ახლა დალი მი-
სულა და:

– ბიბუ, რას აკეთებს, ჯოგი არის „ლალოკაზე“.

ბიბუ ამდგარა, გაუხედავს და ჯოგი ყოფილა „ლალოკაზე“.
უსვრია და ერთი დიდი „გორგოლაი“ „ქახაკრქა“ – „მოუკარგავს“.
ჯოგი ზევით გაემართა, მაშინ ერთი კიდევ დაადევნა და კიდევაც მო-
უკლავს. დალი ისევ შებრუნებულა შიგ და: როგორი მგზავრობა ჰქო-
ნიაო?

– იგი ჰყავდეს მშვიდობიანად, მისი წყალობა არისო ეს!

ბიბუ ბარკალს უჭრიდა და: – მასო ამდენი არ უნდა, ცოტა უბოძოსო.

ბიბუც ასე მოიქცა. დაღს უთქვამს: დიდი ჯიხვის გვერდს „ლეულდოლ“, ანუ მაღლი ადგასო, აქვს. ჩადგამდღე გაასუფთაოს და ძვალი დაიკავოსო, შეინახაო, (მას ჰქოლდესო) გვერდის ძვლებს, ნეკნს ადგას მაღლი, ქვაბში ჩადგამდღე გამოარჩიოსო.

იმ დაღს უამრავი არჩვი უბოძებია. ბიბუ ამას არ ამხელდა ოჯახში. ეს მაღლი დვიდიშერების ვაჟებს დარჩათ და ყველა კარგი მონადირე ყოფილა (დავითიანი, 1957:22).

ასეთია ამ საინტერესო გადმოცემის შინაარსი. იგი წმინდა ნაწარმოებია მონადირული ცხოვრებისათვის, მისი გაგება სვანური ენის, ზნე-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ღრმა ცოდნას საჭიროებს. თარგმანი ზუსტია, წინადადებაში სიტყვათა დედნისეული თანმიმდევრობა დაცულია. გადაადგილება თუნდაც ფრაზის გამართულობის თვალსაზრისით არა მომხდარა. გადმოცემა მრავალმხრივია საინტერესო. მასში დაღის ბუნებისა და ფუნქციების საწყისი საფეხურებია წარმოდგენილი. მონადირე თავისი ბუნებით, ქმედებით, ახალი პერსონაჟია, სრულიად განსხვავებული დაღთან ურთიერთობაში მყოფი მონადირეებისაგან. ნაწარმოების ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ ბიბუ მონადირეთაგან პირველია, რომლისგანაც დაღთან ურთიერთობის საწყისი ეტაპი იწყება. იგი ყველა მონადირისაგან განსხვავებულია. ეს ის საფეხურია, როცა დაღი თავად განაგებს, ასწავლის და ზრდის ბიბუს მონადირედ. იგი ბიბუს ნამდვილი აღმზრდელი და დამკვალთანებელია. ბიბუ, როგორც მონადირე, ჩამოყალიბების პროცესშია. იგი იმ სათავედაც შეიძლება მივიჩნიოთ, საიდანაც დროთა განმავლობაში ნადირობის ტრადიცია უნდა ჩამოყალიბდეს (ამაზე ქვემოთ).

საანალიზოდ წარმოდგენილ ძეგლში თხრობის სტილია განსაკუთრებით საინტერესო. იგი მთლიანად დიალოგებზეა აგებული. მთქმელის მეტყველება ძალზე ლაკონურია, ფრაზა-ტევალი. აქ თითოეულ გამოთქმას, ზოგჯერ სიტყვასაც კი, დიდი აზრობრივი და რელიგიური დატვირთვა აქვს. სიუჟეტის განვითარებაც თანმიმდევრულია. რაიმე ფრაგმენტულობა არ შეიმჩნევა. ამბავი ძალზე შეკუმშულადაა გადმოცემული, იმდენად, რომ ფრაზებს შუა ღრმა აზრებია ამოსაკით-

ხავი. ტექსტში სიტყვათა და გამოთქმათა მრავალმნიშვნელობა თვალში საცემი. ნაწარმოები მთლიანად თავისუფალია დეტალიზაციისა თუ ახსნა-განმარტებისაგან. ასე რომ, ხელთა გვაქვს სიუჟეტურად მტკიცედ შეკრული ძეგლი. როგორც ითქვა, დიდი მასში დიალოგების ხვედრითი წონა. არსებითად გადმოცემის შინაარსი დალისა და მონადირის დიალოგზეა აგებული. აქ პირდაპირი მნიშვნელობით არაფერია ნათქვამი. თხრობა მთლიანად ქვეტექსტებითა და სიმბოლოებითაა წარმართული. საინტერესოა, რომ დიალოგი სხვათა სიტყვით მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე გადმოცემა ამ მხრივ გამონაკლისი როდია. იგი სვანური პროზაული ტექსტებისათვის ტიპური და დამახასიათებელია. დალი აქ თითქოს სხვის ნათქვამს, თუ დანაბარებს იმეორებს. ასე, მაგალითად; „ნაპოლ“ დილით ადრე ადგესო. „ლალოკაზე“ მოდიან და იქ წავიდესო. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამი. ჩვენ არ ვიცით, ვინ არის „ნაპოლი“, რა ადგილია „ლალოკა“ — სალოკი, ვისი ან რის მოსვლაზეა საუბარი და სხვა. ხელთა გვაქვს ღრმა მითოსური სიმბოლიკა, რომლის გაგება კუთხის რწმენა-წარმოდგენებისა და ენის საფუძვლიან ცოდნას საჭიროებს. პირველ ყოვლისა, აქ იმის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ მოქმედება მთაშია გადატანილი, სანადირო ადგილებში, ალპურსა, თუ კლდოვან-ყინულოვან მიდამოში, სადაც სახელით რაიმეს ხსენებას ტაბუ აქვს დადებული, არ შეიძლება. ნადირობა და სანადირო ადგილები ისე წმინდა რამ არის, რომ იქ მისული ადამიანი ბევრ რამეს დამოუკიდებლად უნდა მიხვდეს, როგორც ეკლესიაში კულტმსახურების დროს. სიტყვებიც შესარჩევია. კონკრეტულ შემთხვევაში არა მარტო დამოწმებულ სტრიქონებში, მთლიანად გადმოცემაშიც თითქმის ყველაფერი სიმბოლოურია და ამოსაცნობი. დავაკვირდეთ თუნდაც პირველ ფრაზას: მონადირე ბიბუს გარეთ მყოფი ჰყოლია მოკეთედ“. ვინ შეიძლება იყოს „გარეთ მყოფი?“ მართალია, მომდევნო სტრიქონებში ეს საიდუმლოება ცხადდება, რომ იგი დალია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართულ სამონადირო ეპოსში, კონკრეტულად კი დალის ციკლის მასალებში, ჯერჯერობით იგი პირველადაა მოხსენიებული ზედწოდებით. ეს კი მნიშვნელოვანი სიახლეა. ირკვევა, რომ ძველ დროში მონადირეები და მთქმელებიც დალის პირდაპირი სახელით ხსენებას ერიდებოდნენ.

ვიცი, რომ ხალხის ცნობიერებაში მხოლოდ უკიდურესად საკრძა-
ლავ არსებაზე შეიძლება ყოფილიყო და არის კიდევაც მსგავსი ზედ-
წოდება. ასე, მაგალითად, „ხომა ღერბეთ“ – უფროსი ღმერთი, იგივე
მამადღმერთი, დამბადებელი, მორიგე, მაცხოვარი იესო ქრისტე
„ჯგრაგ“ – წმ. გიორგი და სხვა. კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარ
ზედწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დალის ბუნების
კეთილი საწყისების წარმოსადგენად. თანაც გადმოცემაში პირდაპირ
არის ნათქვამი, რომ „გარეთ მყოფი“ ბიბუს მოკეთეა. ცხადია, საინტე-
რესო იქნება იმის გარკვევა, თუ რატომ არის დალი ამგვარი სახელ-
წოდებით მოხსენიებული? ჩვენ ვიცი, რომ სამეცნიერო ლიტერატუ-
რაში დალი ქალღმერთადაა მიჩნეული. რასაკვირველია, საწინააღ-
მდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ძალზე საეჭვოა, თუ უხერხული არა,
ღმერთზე ითქვას „გარეთ მყოფი“. ღმერთები ცაში არიან და არა გა-
რეთ, ჰორიზონტალურ სივრცეზე... იბადება კითხვა: თუ ღმერთი
არაა, მაშინ რანაირ არსებაზეა საუბარი? საკითხი რთული ასახსნე-
ლია, დავსძენთ, რომ დალის ამგვარი ზედწოდების სწორად გააზრე-
ბაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ვფიქრობთ, პრობლემის გარ-
კვევაში მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს ტერმინი „მოკეთე“,
„მონადირე ბიბუს გარეთ მყოფი ჰყოლია მოკეთედ“. ცხადია, ტექ-
სტის მიხედვით, მას რელიგიური დატვირთვა აქვს და მწყალობლის,
მფარველის გაგება ახლავს, მაგრამ თვით ტერმინი უფრო ადამიანთა
კეთილგანწყობითი ურთიერთობის გამომხატველია, ვიდრე ღვთიუ-
რის. განსახილველ ძეგლში მას სპეციფიკური ადგილი უკავია და
ზედმიწვევით შეესატყვისება ტექსტის შინაარსსა და მიზანდასახუ-
ლებას. მოკეთე შეიძლება ეწოდოს სამძოს, ოჯახის გარეშე პიროვნე-
ბას, არა სისხლით ნათესავს, რომელთანაც კეთილი, მეგობრული ურ-
თიერთობა მყარდება. იგი მართლაც მოკეთეა, მონადირისათვის ასეთი
შეიძლება იყოს „გარეთ მყოფი“, ფიზიკური სამყაროს ბინადარი და
არა უშუალოდ ადამიანთა საცხოვრისისა. იგი მონადირეთა ყველაზე
მახლობელი სულიერი არსებაა, სიკეთისა და წყალობის დამშვე-
ბი. ძეგლის მიხედვით ვრწმუნდებით, რომ „გარეთ მყოფი“ ბიბუს უშუ-
ალო მეთვალყურეა. შეიძლება ითქვას, ბიბუს დალის გამოზრდილი
მონადირეა, ამდენად, მოკეთეც.

დალის ზედწოდების „გარეთ მყოფი“ გააზრებისათვის საინტერესოა ქართულში „შინას“ და „გარეს“ დაპირისპირება. ეს საკითხი საგანგებოდაა განხილული ი. სურგულაძის ნაშრომში „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“. „თუ სამყაროს ვერტიკალურ ღერძზე განლაგებულ სექტორთა შესახებ არსებობს მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მათი სიმბოლიკის გამოვლენის შესახებ სქემით, ფერით და ა.შ. მსგავს წარმოდგენებს უფრო ნაკლებად ვხვდებით მისი ჰორიზონტალური ჭრილის აღწერისას. სადაც სივრცე დიფერენცირებულადაა გააზრებული და თითოეული სეგმენტი საკუთარ რელიგიურ და კოსმოგონიურ დატვირთვას ატარებს. ერთერთი ასეთი მომენტია ქართულში „შინას“ და „გარეს“ დაპირისპირება... „შინა სივრცის იმ სეგმენტს გულისხმობს, რომელზედაც განფენილია: 1. სოციალური ჯგუფი, 2. ოჯახი, აქედან განვითარებულია ცნება „შინაური“. თავის მხრივ, „გარე“—დ სივრცის ის ნაწილი ითვლება, რომლითაც მოცულია „შინა“. იგი სოციუმის მიერ აუთვისებელი სივრცეა... „შინას“ ბინადარია ნათესავი (თავისი) ოჯახის წევრი (ასევე პირუტყვი), ხოლო „გარესი“ - უცხო, არანათესავი, სხვა სოციალური ჯგუფი და მისი წარმომადგენელი...

ანალოგიური წარმოდგენები თავს იყრიან ტერმინში „გარეშე“, რომელიც თანამედროვე ქართულში უცხოს, გარედან მოსულს აღნიშნავს... ამ ტერმინს ძველად რთული კოსმოგონიური და რელიგიური შინაარსი ჰქონია“.

„გარეშეს რელიგიური მნიშვნელობის ახსნისათვის შესანიშნავი მასალა არის ფიქსირებული სამეგრელოში. „გალენიში ორთა“, ანუ გარეშე, სალოცავი. სამეგრელოში დიდად სწამდათ და საგანგებო რიტუალებს ასრულებდნენ მის სახელზე. იგი მიაჩნდათ საქონლის ნადირისაგან და ავადმყოფობისაგან მფარველად...“ მას ავედრებდნენ ავადმყოფ ან ახლად შობილ ბავშვებს, მელოგინე ქალებს“.

დასკვნა ასეთია: „რომ „გარეშე“ ისევე, როგორც „ზედაშე“, ე.ი. გარესა და ზედას მხარეები, სამყაროს ნაწილია და კონკრეტული მითოლოგიური და რელიგიური დატვირთვა გააჩნდა. ამ მხარეებისადმი კულტმსახურების გადმონაშთები თითქმის უკანასკნელ ხანებამდე შემონახა ხალხურმა ყოფამ“. (სურგულაძე, 1993:203).

მოტანილი თვალსაზრისების ფონზე შეიძლება მეტი სიცხადე და გარკვეულობა შევიტანოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ში სვანურ ყოფიერებაში „გარე“ ან „გარეშე“, „შინა“ და „შინაური“, „ზემო“ და „ქვემო“, ასევე ფიზიკური სამყაროს ოთხივე მხარის დასახელება შინშენელოვანი თავისებურებებით არის წარმოდგენილი. სვანურად „ნაქამ“ — „გარეს“, „გარეშეს“ ნიშნავს, უცნობს. „ნაქამ“ ან ად იარიღენა“, იგულისხმება, რომ ვიღაცა უცნობი მოვიდა, გარეშე. ცხადია, იგი „შინა“, „შინაურის“ საპირისპიროა, მაგრამ, როცა სვანი ამბობს: „ქამ მერღე“, უცნობს, სხვა სოციუმის თუ ოჯახის წევრს არ გულისხმობს. სვანური ენა მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან „ნაქამ მარე“ — გარეშე კაცს“, „ქამ მერღესაგან“, ე.ი. „გარეთ მყოფისაგან“. პირველი, ანუ „ნაქამ“, გარეთ ნამყოფს გულისხმობს, რომელიც იმავდროულად შინ მყოფიც არის, ისიც სოციუმის წევრია, ოჯახის, მაგრამ უცნობისათვის „გარეშე“. „გარეთ მყოფი“ კი სრულიად საპირისპირო სიერცეს, გარემოსა და სხვაგვარ მყოფობას ნიშნავს — „გარეთ მყოფი“ ადამიანური საცხოვრისის იქითა სიერცეა, საპირისპირო, სხვა განზომილება, იქ ადამიანი არ შეიძლება არსებობდეს. ასეთია ტყის, ალპური და კლდოვანი არეალები, რომლებსაც თავთავისი გამგებელი ჰყავთ. ასე რომ, „გარეთ მყოფი“ მხოლოდ სულიერი საუფლოს წარმომადგენელზე ითქმის. ასეთი კი დალია. საცოდნელია, რომ ხალხური მთქმელი ყოველგვარი გართულებებისა და ბუნდოვანებების გარეშე მარტივად გვაძლევს ამომწურავ პასუხს „გარეთ მყოფზე, რომ იგი ნადირთპატრონია და არა ღმერთი, ცისიერი არსება, რომელზეც „ზემო“ და მისი საპირისპირო „ქვემო“ ითქმის და არა „შინა“, „გარე“, ან „გარეშე“. ცხადია, ადამიანები ზემოთ, ცისკენ, ადევლენენ ლოცვას და ღმერთს შემწეობას სთხოვენ. დამოწმებულ გადმოცემაში კი მოქმედება ჰორიზონტალურ სიბრტყეზეა გაშლილი. დალი „გარეთ მყოფია“. ერთ-ერთ მითოსურ გადმოცემაში „ბეთქილი და დალი“ ნათქვამია, რომ „თეთრი ჯიხვი კლდის დედოფალ დალად იქცა“. ელ. ვირსალაძის მიერ ფიქსირებული მასალებიდან, „გეგი მარგიანი და დალი“ ვკითხულობთ: „მონადირე ნადირს რომ მოკლავდა, დალს გულ-ღვიძლს შესწირავდა და ჩამოთვლიდნენ იმ სანადირო ადგილებს, სადაც ნადირობა სწარმოებდა სვანეთში და გულ-ღვიძლს შესწირავდა — ადგილის დედას — კოჯა დალს... ახსენებდნენ

გარეულის მწყემს დაღს (ვირსალაძე, 1964:130). მაგალითების მოტანა შეიძლება პოეტური ტექსტებიდანაც, სადაც დალი კლდეში მშობიარობს, კლდის დალია. ასე რომ, მთქმელები მას კლდის დედოფლად, ნადირთპატრონად, ნადირი მწყემსად, მფარველად მოიხსენებიან და არა ღმერთად. იგივე ითქმის მონადირის მიერ აღვლენილ ლოცვასა და რიტუალებზე. ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ თავისუფალი სვანის მიერ შეკრებილ მასალებს, სადაც მონადირე ლოცვის დროს ჩამოთვლის ქრისტიანულ არსებებს, წმინდანებს, ახსენებს მაცხოვარს, მამაღმერთს და დასძენს: „დაღს კლდისას დიდება, აფსადს“ კლდისას დიდება! დალი კლდის პატრონადაც არის წოდებული, მაგრამ არსად მთქმელთა რეპერტუარში ღმერთად არ იხსენიება, გარდა მკვლევართა შრომებისა... ასე, მაგალითად, ვერა ბარდაველიძის აზრით, „ქართველი ტომების წარმართული რელიგიის ისტორიის მანძილზე დალი დაახლოებული ჩანს ღვთაება ჯგრაგთან. ჯგრაგისა და დალის კულტების განვითარების ძირითადი საფეხურები ეთნოგრაფიული მასალის ნიადაგზე შემდეგნაირად გვესახება. თავდაპირველად ჯგრაგი და დალი „ტყის არსებანი“ უნდა ყოფილიყვნენ. დალი ცხოველებისა და ფრინველებისა და ჯგრაგი მცენარეების სულთა განსახიერებანი“. ამის შემდეგ საუბარია, თუ როგორ წარმოისახნენ ისინი მამრობით და მდედრობით სქესის ნადირთ პატრონებად; „ხოლო უკანასკნელად, როდესაც ჩვენში ასტრალური რელიგია განვითარდა, ნადირის პატრონები ცაზე ყოფილან აყვანილი და იქ ისინი, როგორც ირკვევა, ღამის დიდ მნათობს მთიებს დაუკავშირდნენ, პირველს ჯგრაგი და მეორეს დალი“. ვ. ბარდაველიძე კიდევ უფრო აღრმავებს თავის მოსაზრებას და მიუთითებს, რომ: „შესაძლებელია დალის, როგორც ცისკრის ვარსკვლავი, შემონახულია ქართულ ხალხურ მისამღერებში: „ო, დელია, ო, დელია რანუნი, ო, დელია, ო, დელია რანუნი... ვარდო დელა, ნანა დელა, ჰაერო დელა – სადაც დელი, დელა, დილია, დილი და დილა მთიების, სახელის სხვადასხვა ფორმა უნდა იყოს.

დალთან კავშირშია განხილული თუშეთში მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული „დალაი“, ვენიანხური ღვთაება დელა და წოვა-თუშური დალი, ჩეჩნებსა და ინგუშებში დალ, დელი, არის ცდა, დალის დაკავშირებისა სუმერულ და ძვ. აღმოსავლურ ღვთაებასთან

დილბად, დილბატთან. ამ აზრით ძალზე საინტერესოა გ. ჩიტაიას ნაშრომი „აჭარული დათვა-ბოყვა“. ნაშრომში საუბარია ზემო აჭარის სოფ. ღორჯომში მცხოვრები ხურიელ ანდრიაძის სასიძინდე (ნალიის) კარების საკეტზე. მას სიმონიძეების უბანში დათვა – ბოყვას უწოდებენ, გურიაში კი დათვეს, სამეგრელოში „ბორჯომს“. ამ ტიპის საკეტები აღმოჩნდა რუსეთში, ისლამის აღმოსავლეთში, აფრიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში, ალპებში, ლიტვაში, ევროპაში იგი წისქვილის კარებზე იხმარება, ასევე ეგვიპტეში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, იგი ცნობილია ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე, 2000 წლისა, ადრინდელიც. მკვლევარის აზრით, უეჭველია, რომ იგი კავკასიური ტომებიდან, კერძოდ, საქართველოდან არის გადასული. „ზემოხსენებული ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრების მოცემული გამოსახულებანი წარმოადგენენ მნათობ-ღვთაების ამსახველ სიუჟეტს... კერძოდ მთის ორ მწვერვალს შორის გაღებულ კარებთან დგას მნათობი ღვთაება, რომელსაც მარჯვენა ხელში გასაღები უჭირავს... აქ მნათობ-ღვთაების მთის იქით განხმულ კარებში. „გამობრძანების, ამოსვლის მომენტია მოცემული, „ცისკრის განხმის“, მზის ამოსვლის სურათია წარმოდგენილი... მნათობ ღვთაებას ხელთ უპყრია გასაღები, რომლის მეშვეობით ის დაკეტილ კარებს აღებს ხოლმე, ვიდრე ცის კაბადონზე გამოვიდეს... ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახული გასაღები „დათვა-ბოყვას ანალოგიურია... ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრზე გამოსახული კარები მზის ღვთაების სახლის სიმბოლოურ გამოსახულებას წარმოადგენს (ჩიტაია, 1940:132) აღსანიშნავია, რომ ქართული ცისკარი საბას განმარტებით „განთიადის მოწვევას ნიშნავს. ცისკარი, განთიადი, რიჟრაჟი, (ორბელიანი, 1928:121) ამასთანავე, ცისკარი, მთიები, რიჟრაჟი ცისკრის ვარსკვლავითურთ მზის ამოსვლის კომპლექსს ეკუთვნიან, რომელშიც ვენერა-აფროდიტე იგულისხმება... მათ ძვ. აღმოსავლური ღვთაება დილბად, დილბატ შეესატყვისება“. რა შეიძლება ითქვას დამოწმებულ თვალსაზრისებზე? რასაკვირველია, დამოუკიდებლად თითოეული ნაშრომი ძალზე საინტერესოა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩამოთვლილი მისამღერები: ო, დელია, დელია, ნანა დელი... და თუშური „დალაჲ“, რომელიც მიცვალებულის კულტანაა დაკავშირებული, სვანური ნადირთ პატრონ დალთან მიმართებით ვერ განიხილება,

ისევე როგორც წოვა—თუშური დალ „ჩეჩნურ—ინგუშური დალ, დელე. აქ სახელთა შემთხვევითი დამთხვევა, თუ ბგერითი მსგავსება უნდა იყოს, ვინაიდან ჩეჩნურად დელე ღმერთია და არა ნადირთ პატრონი. ერთ-ერთი ჩეჩნური გადმოცემით „ნადირთ მფარველები“ – ვგებულობთ, რომ: „უწინ, თურმე, დედის მუცლიდან იტაცებდნენ ბავშვს... ამგვარი მიტაცებული ბავშვისაგან ნადირთ—მფარველები ჩნდებოდაო... მათ ფოლადის მკერდი აქვთ და ძალიან ღონიერი, ვეება ტანის, გოლიათი ადამიანები არიან“. ასე რომ, ზოგადად ღმერთის ნადირთ პატრონთან დაკავშირება ან გაიგივება ძალიან გაჭირდებოდა... კონკრეტულ შემთხვევაში საქმე დარგობრივ არსებასთან გვაქვს და არა ღმერთთან, როგორც ასეთთან...(ბარდაველიძე, 1996:20)

ჩვენი აზრით, „გარეთ მყოფი“ ყველაზე ზუსტი, ადეკვატური ზედწოდებაა ნადირთ პატრონი დალისა და, თუ ასტრალიზაციის პრინციპებზე დავდგებით, რასაც იზიარებს ელ. ვირსალაძეც, „ნადირთ პატრონი, ნადირთ მწყემსი – დალი – საქართველოში უკვე ღვთაების ნიშნების მატარებელი ხდება. ამას მოწმობს მისი ასტრალიზაცია, ამას მოწმობს მისი სახელწოდება „დიოფალი დალი“ (ვირსალაძე, 1964-151). ახლა კი მივყვით ტექსტის თანმიმდევრობას. პირველი სტრიქონის მომდევნო ორ ფრაზაში მოხსენიებული იყო „ნაპოლ“, იგი მონადირის ზედწოდებაა და ნიშნავს ჩიტს, ე.ი. „მონადირე ადრე უნდა ადგეს და „ლალოკაზე“ წავიდეს, იქ მოდიანო. ეს სიტყვები ეკუთვნის „გარეთ მყოფს“ (დალს). მის ამგვარ მიმართვაში ფარულად ის აზრია გაცხადებული, რომ მონადირე ბიბუს სახით საქმე გვაქვს მაღალი სამონადირეო ხელოვნებით აღჭურვილ პიროვნებასთან, რომელსაც შეუძლია ჯიხვთა სავალი ბილიკების დალახვა, რომ იგი კლდის ფრინველივით მარდი ვაჟკაცია. საანალიზო ძეგლიდან ვიცით, რომ „ლალოკა“ – სალოკი კლდის ერთ-ერთი მონაკვეთია, სადაც კლდე წვეთავს, გამონაჟონი აქვს, ადგილი მოყვითალო ან ყვითელის და მწვანე ფერის ნაზავსა ჰგავს, აქვს მარილის გემო. ამიტომ ჯიხვები იქ მოდიან. მონადირეებმა ეს იციან, მაგრამ ძნელი მისაგნებია იგი. თუ ღრმად დავაკვირდებით „გარეთ მყოფის“ სიტყვებს, მთავარი ისაა, რომ თავად დალი ასწავლის მონადირეს, თუ სად, რომელ ადგილას იკრიბებიან ჯიხვები დილით. ე.ი. მიდამოს საიდუმლოებას თავად დალი უცხადებს, უფრო ზუსტად, უმჟღავნებს და რომ

მონადირე ადრე უნდა ადგეს, იქ წავიდეს, მოდიანო. ამგვარ მიმართვაში „მოდიანო“, რომელიც მკითხველისათვის გაუგებარია, თუ ვის ან რის მოსვლაზეა საუბარი, მხოლოდ ჯიხვები იგულისხმება, მაგრამ იგი არაა დაკონკრეტებული. სწორედ ასეთი მეტყველებაა ტიპური ამ ნაწარმოებისათვის. როგორც ვხედავთ, აქ უშუალოდ დალი ასწავლის ბიბუსს, თუ სად, რომელ ადგილებში შეიძლება ნადირობა, რა უნდა გააკეთოს საამისოდ და სხვა. „გარეთ მყოფისა და მონადირის ამგვარი ურთიერთობა სიახლეა დალის ციკლის მასალებში, ფართო გაგებით კი მონადირულ ყოფიერებაში. მას პირობითად ტრადიციამდელი პერიოდი შეიძლება ვუწოდოთ. სამონადირო ტრადიციები კი შემდგომში, უფრო ზუსტად მომავალში, უნდა ჩამოყალიბდეს. აქ ადამიანი და სულიერი არსება დგანან პირისპირ და ერთად მოქმედებენ. პიროვნების მხრივ რაიმე დამოუკიდებელი ქმედება თუ მიმართება ბუნებისადმი არც კი შეინიშნება, მონადირე ბიბუ მიმღებია და არა შემოქმედი, თავისთავადი. მან ბევრი უნდა ისწავლოს, გაიწერტენეს, მონადირედ გაიზარდოს და ჩამოყალიბდეს, გარემო აითვისოს. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ განსახილველ ტექსტში ამგვარი განვითარების მხოლოდ პროცესზეა მინიშნება. მონადირე ბიბუსს გზის გამკვალავი „გარეთ მყოფია“. ასე რომ, ზემოთ მოტანილი გამოთქმებისა და თვით გადმოცემის შინაარსის წვლომისათვის მონადირეთა საიდუმლო ენის, მეტყველების შემეცნების უნარია საჭირო და არა მხოლოდ სამონადირო ტრადიციების გარეგნული აღწერა. დალისა და მონადირის ურთიერთობა, საუბარი, საკრალური მეტყველების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. მთავარი და, ამასთანავე, განსაკუთრებით საინტერესო აქ ის არის, რომ იგი სათავეს „გარეთ მყოფიდან იღებს, ასევე სამონადირო ტრადიციებიც. ამ აზრით ორივე ძეგლი; „ლითხვიარ“ – ნადირობა და „ღვიდიშერე ბიბუ“ – ღვიდილანთ ბიბუ“. თანაბრად საინტერესოა, ორივე წმინდა ძეგლია. მონადირული ყოფიერების ჩანასახებიც მათშია საფარველდებული. „ლითხვიარ“-ში – ნადირობა, მონადირე ასე გასძახებს თავის ამხანაგს: „ნაპოლ“ „მოიკარგე რამე?“ წინამდებარე გადმოცემაში კი, როგორც ითქვა, „გარეთ მყოფი“ თავად მიმართავს მონადირე ბიბუსს ზედწოდებით („ნაპოლ“) ვიმეორებ, იგი განსაკუთრებული სიახლეა ნადირობის ისტორიისათვის, რამეთუ სათავეს სულიერი საუფლოებიდან იღებს.

საინტერესოა, რომ ქართველურ ტომთა ყოფიერებაში, განსაკუთრებით კი მეგრელთა რწმენა—წარმოდგენებში, ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება ეშმაკი, საპირისპირო ძალა. ამიტომ მისთვის გზა—კვალის ასახვევად ჩვილ ბავშვს მეორე სახელს არქმევენ. მიგვაჩინია, რომ იგევე დანიშნულება უნდა ჰქონდეს მონადირის ზედწოდებასაც „ნაპოლ“ და კითხვას; „მოიკარგე? მონადირე იმას კი არ უპასუხებს, რამდენი ჯიხვი და არჩვი მოკლა, არამედ გასძახებს: „ორი დაბრძანებულა, ან გაბედნიერებულა“. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მონადირეთა ამგვარი კითხვა—პასუხი საკრალური მეტყველების კლასიკური ნიმუშია. როგორც ვხედავთ, განსახილველ ძეგლში არაფერი, არც მონადირე, არც სანადირო ადგილები და თვით დალიც კი თავისი სახელით არ მოიხსენიება. ყველაფერი ამოსაცნობი და ამოსაკითხავია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „გარეთ მყოფი მონადირეს არანაირ პირობებს არ სთავაზობს, არც აფრთხილებს. რასაკვირველია, დალის სიმკაცრეს, თუ სხვა რამ საეჭვო ქმედებებსა და ურთიერთობებს, რაზედაც ასე ჭარბადაა ყურადღება შეჩერებული მკვლევართა შრომებში, და ტრადიციულ ძეგლებშიც, ადგილი არ აქვს. როგორც აღინიშნა, განსახილველ ძეგლში თხრობის ბუნებრიობაა თვალში საცემი. იგი ყოველგვარი გართულებებისა, თუ მოულოდნელობების გარეშე მიმდინარეობს. ალბათ, სირთულეებსაც თხრობის ამგვარი სტილი ქმნის.

ძალზე საინტერესოა „გარეთ მყოფისა“ და ბიბუს დიალოგი.

ბიბუს შესალოცავი აქვს ყველი. „გარეთ მყოფს“ უთქვამს: — ცოტა მოუჭრასო, მისი და მშობიარობსო“. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა „გარეთ მყოფის“ დის მშობიარობის ხსენება. მართალია, განსახილველ ძეგლში ბევრი რამ ადამიანის ყოფით რეალიებთან არის მიმსგავსებული, ალბათ, სხვანაირად არც შეიძლება, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაუშვათ იმის წარმოდგენაც კი, რომ გარეთ მყოფის დის მშობიარობა მოკვდავთან ინტიმურ ურთიერთობასთან იყოს დაკავშირებული. ჩვენ ზემოთაც ვთქვით და განსახილველი მასალებითაც დავრწმუნდებით, რომ არსებობს დალთა ლაშქარი, ისინი ჯგუფ—ჯგუფადაც ცხოვრობენ და ადამიანებთან კონტაქტს გაურბიან. მოკვეთილ დალზეც ვილაპარაკეთ. აქედან გამომდინარე, ყოველად წარმოდგენელია, რომ დალთა ლაშქარი მრავლდებოდეს ადა-

მიანებთან ინტიმური ურთიერთობით. ამ აზრის დაშვება შეუძლებელია. სულიერ არსებათა ყოფიერებაზე, თუნდაც ადამიანურთან ძალზე მიმსგავსებულიც რომ იყოს, სრულ წარმოდგენას ვერ შევიქმნით იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ იგი ადამიანური არსობრიობის მიღმაა. ამ აზრით საინტერესოა ქვემოთ განსახილველი გადმოცემა „მონადირე და დალის ნახვა“. აქ ასეთი ეპიზოდი დასტურდება: „წიფლის ხე გაიხსნა და იქიდან დალი გადმოეშვა, რავაზს უთხრა: ქორწილში ვართ დაპატიუებული (დალთა ქორწილში). ღვთიური ქორწინება „ამირანიანის“ სვანურ ვარიანტებშიც დასტურდება. მაგრამ იგი მხოლოდ ღვთიურია. მართალია, კაცობრიულთან მიმსგავსებულია, მაგრამ იგი ადამიანურ ქორწინებასა და გამრავლებაზე ვერ დაიყვანება. ასე, რომ, გარეთ მყოფისა და ბიბუს სიახლოვე, შინაურული საუბრები გამონაკლის და უნიკალურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს დალისა და მონადირის ურთიერთობის ისტორიაში. მსგავსი სიახლოვე, რომელიც ბოლომდე ინარჩუნებდეს დიდ სიწმინდეებს, არ დასტურდება დალის ციკლის დღემდე ცნობილ მასალებში. ამდენად, წინამდებარე გადმოცემა მთლიანად ცვლის და ახალი შინაარსით ავსებს ჩვენს წარმოდგენებს დალისა და მონადირის ურთიერთობაზე, თვით დალის ბუნების კეთილ საწყისებზე.

საანალიზოდ წარმოდგენილ გადმოცემაში საინტერესოა დალის დარიგება შინ მიმავალი მონადირე ბიბუსადმი: „ხვალ ადრე ადგესო და დიდი „გორგოდაი“ (იგულისხმება დიდი რქებდაგრეხილი ჯიხვი) მისთვის დაულოცნიაო“. დამოწმებულ ფრაზაში ღრმა აზრია ჩადებული. იგი იმაზე მეტსა და მნიშვნელოვანს გვეუბნება, ვიდრე ის ჩვეულებრივ ფრაზის შინაარსიდან ჩანს. მას მონადირული ცხოვრებისა და ტრადიციების არქაულ საფეხურებამდე მივყავართ. მასში ბევრი რამ არის ნავარაუდევი. პირველ ყოვლისა, ის, რომ ბიბუს, როგორც ჭეშმარიტ მონადირეს, თავისი წმინდა ცხოვრებით დამსახურებული აქვს ამგვარი წყალობა - „გორგოდაი - ს“ მოკარგვა. ტექსტიდან აშკარაა, რომ ბიბუ დალის ნების აღმსრულებელია. საინტერესოა, რომ დალი წინასწარ ატყობინებს მონადირე ბიბუს, თუ რომელი ჯიხვია მის მოსანადირებლად გამოშვებული დალთა სამყაროდან. ეს ხდება რაიმე სამაგიეროს გადახდის გარეშე. ჩვენ ვიცით, რომ საფერხულო სიმღერაში „დალი კლდეზე მშობიარობს“ ქალღმერთი შვი-

ლის გადამრჩენ მონადირეს პირობებს სთავაზობს, არჩევანის წინაშე აყენებს. მოტანილ გადმოცემაში კი სრულიად საპირისპირო ვითარება გვაქვს. დალი უანგაროდ, საკუთარი ინიციატივით ზრუნავს მონადირეზე. გადმოცემიდან ისიც ვიცით, რომ მონადირე ბიბუს სვებედი სანადიროდ წასვლამდეა გადაწყვეტილი. სწორედ ამ ნიშნებით განსხვავდება იგი დალის ციკლის ტრადიციული ძეგლებისაგან. ამ გადმოცემაში ერთი ფარული ხაზია წარმოსაჩენი, კერძოდ, მასში არ არის აქცენტირებული, თუ რა აკრძალვები და სიწმინდეებია დასაცავი, ნადირობის დროს ან სანადიროდ წასვლამდე, არც დალის შეგონებებია, არც გაფრთხილებები, არამედ უშუალოდ დალია მონადირე ბიბუს მეთვალყურე და გზის მასწავლებელი. ბიბუს ბუნებრივადაა აკრძალვებისა და სიწმინდეების დაცვის ცნობიერება, რაც ესოდენ რთული განსახორციელებელია საერთოდ მონადირეებისათვის. ამ გადმოცემის სხვა ეპიზოდების ანალიზისას დაერწმუნდებით, რომ ბიბუ თავის თავში ბუნებრივად აერთიანებს მონადირული ყოფიერების ყველა ნიშან-თვისებას. აქ არაა საუბარი იმაზე, თუ რამდენად დამოუკიდებელი თავისთავადობაა იგი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი არც არის, ბიბუ არაა დამოუკიდებლად მოქმედი ინდივიდი. ამ საკითხს ხშირად მივუბრუნდებით ცალკეულ პერსონაჟებზე მსჯელობისას. ზოგადად უნდა შევნიშნოთ, რომ მონადირეებს მართლაც ძალიან დიდი სიფრთხილე და სიწმინდეების დაცვა მართებთ სანადიროდ წასვლის წინა დღეებში, რომ დალთა სამყარომ, და არა მხოლოდ კონკრეტულმა დალმა, მაღლი დაუშვას მონადირეზე. წინამდებარე გადმოცემაში კი განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მასში დალისა და მონადირის ურთიერთობა თვისებრივად ახალსა და მაღალ რეგისტრშია წარმოჩენილი.

გადმოცემის შინაარსი საინტერესოდ ვითარდება. ვიცით, რომ მონადირე რაც უნდა ძლიერი და ამტანი იყოს, არაა დაზღვეული ადამიანური სისუსტეებისაგან. დალილილ—დაქანცულ ბიბუს დაეძინა. ჩანს, აგვიანებდა სანადიროდ წასვლას, (ეს კი დაუშვებელია მონადირისათვის). „გარეთ მყოფი“ ისევ მოეკვლინება და მოუწოდებს: „ბიბუ, რას აკეთებ, ვიხვი არის „ლალოკაზე“ — სალოკზე. აშკარაა, რომ დალი განუწყვეტლივ მეთვალყურეობს ბიბუს: სანადიროდ წასვლასაც ახსენებს, აუწყებს, თუ რა ელის მეორე დღისათვის, როგორ მოიქცეს

და სხვა... მრავალმხრივ დამაფიქრებელია დალის კითხვა: „როგორი მგზავრობა ჰქონდაო“, მონადირე უპასუხებს: „ყველაფერი მისი წყალობააო“. ეს ეპიზოდი (კითხვა—პასუხი) ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესია განსახილველ ძეგლში. პასუხმა უნდა გადაწყვიტოს არა მარტო მონადირის, არამედ მისი შთამომავლობის ბედი ნადირობისას. საქმე ისაა, რომ ნამდვილ, ჭეშმარიტ მონადირეს ისეთივე სიწმინდე, სათნოება, თავმდაბლობა და მიუკერძოებლობა მოეთხოვება ნადირობაში, როგორც კულტმსახურს ეკლესიაში. როგორც ეკლესიაა სულიერი ცენტრი, სალოცავი კულტმსახურისათვის, ასეთივე საკრძალავია მონადირისათვის მთის წმინდა ადგილები, ვინაიდან თავად ნაღირობა არის წმიდა საქმე. ამიტომ მისთვის მიკერძოება ან ტყუილის თქმა სიწმინდის შეურაცხყოფაა. ასე, მაგალითად, მონადირემ არ უნდა მიიწეროს ნადირობაში ის, რაც მას არ ეკუთვნის. ხშირია შემთხვევა, რომ მონადირეები ერთდროულად ესვრიან ნადირს. ცხადია, გამოცდილ მონადირეებს არ მოუვათ დავა, მაგრამ გაუგებრობაც ხდება. ზოგჯერ მონადირე ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მისმა ნასროლმა ტყვიამ მოკლა ნადირი. ნადირობაში მსგავსი რამ ყოვლად უკადრი ქმედებაა. ასეთ მონადირეს, როგორც წესი, ხელი მოეცრება ნადირობაში. მას საამხანაგოდ ყველა გაურბის. იგი სოფლის თვალშიც კარგავს ნდობას. მიმთვისებლობა ან სიამპარტაენე დაუშვებელია. ამდენად, დალის კითხვა დიდი სულიერი გამოცდა იყო ბიბუსთვის. მონადირემ ღირსეულად გაუძლო ამ გამოცდას. მისი პასუხი წმინდა ადამიანის პასუხია. ამიტომ გახდა იგი რჩეული მონადირე. ამის გამო დაიშასხურა მან დალის მუდმივი ზრუნვა და მეთვალყურეობა...

სვანური სამონადირეო ძეგლები რთული გასაანზრებელია. ამჯერად არაფერს ვამბობთ ენობრივ ჯებირზე, ცალკეულ სიტყვათა და გამოთქმათა მრავალმნიშვნელობაზე და მათ ადგილზე ფრაზასა თუ მთლიანად სიუჟეტში. ამაზე ვრცლად ვისაუბრებთ ტრადიციული ძეგლების განხილვის დროს. აქ კი მივუთითებთ, რომ დამოწმებულ ძეგლში თითოეული ეპიზოდი იმდენ ნიუანსს მოიცავს, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ტექსტის, სიუჟეტის მთლიანობის, ისე მონადირეული ყოფიერების იდუმალებათა ამოსაცნობად. მაგალითისათვის ისევ დავასახელებთ დალისა და მონადირის იმავე კითხვა—პასუხს, რომელიც, ერთი შეხედვით, მარტივია, თითქოს არა-

ფერს განსაკუთრებულს არ გვეუბნება, ჩვეულებრივი ფრაზებია, მაგრამ, თუ ღრმად ჩაუკვირდებით მონადირული ტრადიციების სულიერ საფუძვლებს, აღმოჩნდება, რომ მას სამომავლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო პიროვნებისა და ოჯახის, არამედ საზოგადოების სულიერი სიჯანსაღისათვის. მონადირე ბიბუმ დალის კითხვას ისეთი წრფელი პასუხი შეაგება, რომ იგი გარანტიის მქონე ძალა აღმოჩნდა შთამომავლობის ბედისა და იღბლისათვის არა მხოლოდ ნადირობაში. რომ მონადირე ბიბუ „გარეთ მყოფის“ კითხვაზე პასუხის შემდეგ ეზი-არა ღვთიურ საიდუმლოებებს. სიბრძნის მიღებადღე კი ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი. მან უნდა შეძლოს დალის ყველა რჩევა-დარიგების აღსრულება. განსახილველი ძეგლიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „გარეთ მყოფის“ სახით საქმე გვაქვს მონადირის აღმზრდელ არსებასთან. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არსებითად დალი ასწავლის ბიბუს ნადირობას. მონადირის მხრივ არანაირ დამოუკიდებელ ქმედებასთან საქმე არ გვაქვს. ბიბუს ყოველ ნაბიჯს დალი მეთვალყურეობს. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რა დონის მონადირე შეიძლება დამდგარიყო ბიბუ... ამასთან დაკავშირებით გადმოცემაში კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდია გასახსენებელი. ბიბუს თავისი სადგომი აქვს. დალიც იქ ესტუმრება. თვით ქალღმერთის საცხოვრისსა თუ სამყაროზე არაფერია ნათქვამი. მთელი მოქმედება და ურთიერთობები მიმდინარეობს ადამიანური ყოფიერების სფეროში. თვითონ დალია შესული ამ ყოფიერებაში. მას მონადირე არ შეუყვანია თავის საუფლოში. ესეც მნიშვნელოვანი სიახლეა დალისა და მონადირის ურთიერთობაში. სწორედ ეს პროცესია საინტერესო ამ ეტაპზე. დალი როგორც ჭკუის დამრიგებელი, მასწავლებელი – ამ სიტყვის ყოვლისმომცველი მნიშვნელობით. ეს ის დროა, როდესაც ადამიანი ბუნებასა და სულიერ ძალებთან ერთიანობაში მყოფ არსებადაა წარმოდგენილი. მას დამოუკიდებლად ჯერ კიდევ ვერ აუმოქმედებია საკუთარი შესაძლებლობები. ადამიანთა ქმედებებს, ყოფიერებას უშუალოდ სულიერი ძალები განაგებდნენ, მოკლედ რომ ვთქვათ, ღმერთები დაატარებდნენ, როგორც კონკრეტული ადამიანების, ასევე, ალბათ, კაცობრიობის ბედისწერასაც.

ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალური ქმედებები, მეობა, ჩანასახ მდგომარეობასაც კი არაა აცილებული, თუკი ისეც დავაკვირდე-

ბით ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებს, გამოთქმებსა და სიტყვებს, აღმოჩნდება, რომ თვით მონადირის ცნობიერებაში ბუნებრივადაა დამკვიდრებული ის აზრი, რომ დამოუკიდებელი მოქმედებით ვერაფერს მიაღწევს. ყოველ მის ქმედებას, ნაბიჯს გარეთ მყოფის დარიგებები უძღვის წინ. ყველგან და ყველაფერში მისი მაღლიანი ხელი ჩანს. ამიტომ ბუნებრივია დალის კითხვაზე მონადირე ბიბუს პასუხი, „ყველაფერი მისი წყალობაა“.

ზემოთ განხილული ტექსტიდან „ლითხვიარ“ – ნადირობა, ვიცით, რომ ჯიხვები და არჩვები ზედწოდებებით მოიხსენიებიან. აქედან ჯიხვი არის „გორგოლაჲ დ“ წოდებული – „კლდისანი“, არჩვი „ტყისანი“, ორივენი „მაღლიანები“ არიან. მონადირეებულზე იტყვიან: დაბრძანებული, მოკარგული, ან მოიკარგა. ისიც აღინიშნა, რომ ჯიხვები და არჩვები, ხალხის რწმენით, ღვთიური ნადირებია, ყველაზე უცოდველი, რომ კლდისანში ღვთიური იღუმალეა საფარველდადებული. ამ იღუმალეების მცოდნე მხოლოდ გარეთ მყოფია. ამ აზრით ძალზე საინტერესოა ეპიზოდი, როცა ბიბუმ დალის დახმარებით „გორგოლაჲ – ღიდი ჯიხვი - მოიკარგა, გარეთ მყოფს მთლიან ბარკალს უჭირდა. დაღმა უთხრა: ძალიან ცოტა უბოძოსო და ისიც ასწავლა, რომ „გორგოლაჲ ს“ გვერდს, „ლელოლ“ ადგას. ოლ სუფიქსი კინობითობის აღმნიშვნელია, ამიტომ უფრო ზუსტია სახელწოდება „ლეღ“ – ჯიხვის ნეკნში, ძვალში ჩასმული ან შენივთებული ღვთიური ნაწილი. მონადირემ ის ადგილი უნდა გაასუფთავოს ხორცის ჩადგამდე და შეინახოს. სწორედ ეს ეპიზოდი, ანუ „ლეღით“, იმავე ღვთიური ნაწილით, მონადირის დაჯილდოება არის დალისა და მონადირის ურთიერთობის, დავსძენთ, წმინდა ურთიერთობის, ერთგვარი შეჯამება, მწვეკრვალი. ბიბუმ ასეთი ღვთიური მადლი, როგორც დალის გაზრდილმა მონადირემ, დაიმსახურა. გადმოცემის ეს ეპიზოდი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად მიგვაჩნია – ჩვენ ვიცით, რომ ქართულ მითოლოგიაში და არა მარტო ქართულში, თეთრი ჯიხვი ან ოქროს რქებიანი ჯიხვი, იგივე დალია. მას მონადირემ თოფი არ უნდა ესროლოს. რასაკვირველია, ცხოველის გარეგნულ პლანში დასანახავი ნაწილიანობა ზოგადმითოლოგიურია, ამ მხრივ ქართული მითოლოგიური სამყარო ახალსა და განსხვავებულს არაფერს გვეუბნება. ასე, მაგალითად, ეთნოგრაფი ი. სურგულაძე ნაშრომში „ქართუ-

ლი ორნამენტის სიმბოლიკა“ ვრცლად მიმოიხილავს ცხოველთა ნაწილიანობის პრობლემას სხვადასხვა ქვეყნის ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ თუ მითოლოგიურ მასალების და თვალსაზრისების ქართული ორნამენტული სიმბოლოებთან მიმართებით და მიუთითებს, რომ „ჯიხვებს უძველესი ხანიდან უხატავდნენ დაკორძილ მძიმე რქებს, რომელთა რკალში ჩასმულია ვარსკვლავებური ნიშნები, ჯვარი, მზე, სოლიარული, მცენარეული, ისინი ღვთაებრივი სიმბოლოებია“, (სურგულაძე, 1993:127). შუა აზიის და ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ადრე სამიწათმოქმედო ტომებს ჯიხვი, ირემი წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც ნაყოფიერების, კერძოდ, მიწის დედა—ღვთაების იპოსტასი, რომლის სხეული სიმბოლოურად განიხილებოდა მიწის ტოლფასოვან საგნად. ბეწვი, კუდი, რქა შეესაბამებოდა მცენარეულ საფარველს. მოგვიანებით ეს ღვთაება და მისი იპოსტასები (ჯიხვი, მცენარე, თავთავი) რელიგიურ წარმოდგენათა ასტრალიზაციის პროცესში უკავშირდებიან ცისკრის ვარსკვლავს. პლანეტა ვენერას. (სურგულაძე, 1993:135) ელ. ვირსალაძეც ქალღმერთ დალის ცისკრის ვარსკვლავს უკავშირებს. ი. სურგულაძის ნაშრომში საკითხი სრულად არის გააზრებული. მონობილია დიდძალი საილუსტრაციო მასალა ამა თუ იმ ცხოველის, კერძოდ, ჯიხვის, ირმის კავშირზე ქალღვთაებასთან, მიწასთან, სამეურნეო—სარიტუალო პროცესებთან და სხვა.მათი დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანდა. დასკვნა კი ასეთია, რომ ქართული რწმენა—წარმოდგენები მთლიანად შეესატყვისება და ერწყმის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის და სხვათა, რწმენა—წარმოდგენებს და მის უზოგადეს რკალშია მოქცეული. ეს კი თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ასე რომ, დღემდე ცნობილი მასალები, აქედან გამომდინარე თვალსაზრისები, რაიმე ახალს, ისეთს, რომელიც ცვლიდეს რწმენა—წარმოდგენათა უზოგადეს პრინციპებს, არაფერს გვეუბნება. რასაკვირველია, ნათქვამი იმას კი არ გულისხმობს, რომ გამოირიცხოს უშუალოდ ქართული ყოფიერებისათვის დამახასიათებელი სახეცვლილი დეტალები და მოტივები, ცალკეული ნიუანსები. ამგვარი სხვაობები სხვა ხალხთა ფოლკლორულ—ეთნოგრაფიულ ძეგლებშიც დაიძებნება. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, რწმენა—წარმოდგენათა ამ უნივერსალურ ზოგადობაში ქართული (სვანური) მითოსური ძეგ-

ლები კიდევ უფრო ამდიდრებენ, აფართოებენ და ახალი შინაარსით ავსებენ ზოგადმითოლოგიურ საკითხთა წრეს და მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ პრობლემის დასმისა თუ გადაწყვეტის საქმეში. ჯერჯერობით ასეთ სიახლედ მიგვაჩნია „გორგოლამ“, იგივე კლდისანის (ჯიხვის) წიაღში, ანუ ფიზიკური თვალისათვის უხილავში, ღვთიური ნაწილის „ლედ-ის“ არსებობა. ძველი კულტუროსანი ქვეყნების მითოლოგიებში მსგავსი რამ ჯერჯერობით არაა გამოვლენილი. ერთადერთი, რაზედაც შეიძლება ყურადღება შევამჩიროთ, ეს არის ძველი ბერძნული ტრადიციული ჩვეულება, რომელმაც ფილოსოფოს ჰეგელის ყურადღება მიიპყრო. „გონის ფილოსოფიაში“ საგანგებოდ არის განხილული მეტეოროლოგიურ ცვლილებათა გავლენა, რომელიც მცენარებსა და ცხოველებში თვალსაჩინოდ ვლინდება ამ მოვლენის თანამეგრძობა. ისინი გრძნობენ ატმოსფეროს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენთვის ჯერ არ გამოვლენილა, ასე გრძნობენ ჭრილობიანებიც ამინდის ცვლილებას. იმას, რაც ორგანიზმისათვის ესოდენ განმსაზღვრელია, მნიშვნელობა აქვს სუსტი გონებიანისათვის და განიცდება, როგორც ზემოქმედება. უფრო მეტიც, მთელი ხალხები, როგორებიც იყვნენ ბერძნები და რომაელები თავიანთ გადაწყვეტილებებს დამოკიდებულს ხდიდნენ ბუნების ისეთ მოვლენებზე, რომლებიც, მათი აზრით, მეტეოროლოგიურ პირობებს უკავშირდებოდა. როგორც ცნობილია, ისინი მხოლოდ ქურუმებს კი არ სთხოვდნენ რჩევას სახელმწიფო საქმეთა თაობაზე, არამედ ცხოველის ნაწლავებსაც და იმასაც, თუ როგორ მიიღებდნენ ეს უკანასკნელნი საკვებს, მაგალითად, პლატიას ბრძოლის დღეს, როცა საბერძნეთის და, იქნებ, მთელი ევროპის თავისუფლების ბედი წყდებოდა, როცა აღმოსავლური დესპოტიზმის მოგერიების ამოცანა იდგა, პესანის მთელი დღის განმავლობაში სამსხვერპლო ცხოველთაგან მიღებული ნიშნების დარდი აწვალებდა. ეს თითქოს სრულ წინააღმდეგობაშია გონის იმ სიუხვესთან, რომელიც ბერძნებს ახასიათებდა და რომელიც მათ ხელოვნებაში, რელიგიაში, მეცნიერებაში გამოვლინდა; მაგრამ ეს კარგად შეიძლება აიხსნეს ბერძნული გონის თვალსაზრისიდან გამომდინარე. ახალთათვის დამახასიათებელია, რომ ყველა საქმეში, რასაც ჭკუა ამა თუ იმ გარემოებებში მიზანშეწონილად დაუსახავთ, გადაწყვეტილება თავისით მიიღონ. ჩვენში მიღებუ-

ღია, რომ სუბიექტური ნება თავისით მოიკეთოს ზოლმე რჩევა—ყოყმანის ყოველგვარ საფუძველს და საკუთარ თავს სამოქმედოდ თვითონვე განაწყობს. ძველები, პირიქით, თავიანთ საქმეებში საკუთარი მოქმედების განმსაზღვრელად იხდიდნენ ზოლმე ორაკულებს და სხვა გარეგან მოვლენებს. ამის შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ძველი დროის ადამიანთა ცხოვრება „ბუნებასთან უფრო მჭიდრო ერთიანობაში მიმდინარეობდა. ბრძოლის ბედის გადაწყვეტაში ყველაზე უფრო დიდი წვლილის შემომტანი იყო ცალკეულ ადამიანთა სიმამაცე. მათი გამბედაობა, რომელსაც ყოველთვის რაღაც ფიზიკური აქვს თავის წყაროდ. გამბედაობის განწყობილება კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვა ფიზიკურ პირობებთან, როგორიცაა, მაგალითად, არემარის, ატმოსფეროს, წლის დროის, კლიმატის პირობები, ერთად აღებული, მაგრამ სულისჩამდგმელი სიცოცხლის სიმპათიკური გუნება—განწყობილებანი უფრო თვალსაჩინოდ მჟღავნდებიან ცხოველებში, ვიდრე ადამიანებში, ვინაიდან ცხოველები უფრო ღრმად არიან ბუნებასთან, ვიდრე ჩვენა ვართ. აქედან გამომდინარე, ბერძნებში მხედართმთავარი მხოლოდ მაშინ მართავდა ბრძოლას, როცა ეგონა, რომ ცხოველებში ჯანსაღ დისპოზიციას ხედავს, რაც, თითქოს, უფლებას იძლეოდა დასკვნისათვის ადამიანთა ასეთივე კარგი დისპოზიციის შესახებ. ასე, მაგალითად, ქსენოფანტე, რომელიც ასე ჭკვიანად იქცეოდა თავისი განთქმული უკანდახვეისას, ყოველდღე მსხვერპლს სწირავდა ღმერთებს და ამ შეწირვის შედეგებისდა მიხედვით განსაზღვრავდა თავის სამხედრო ღონისძიებებს, მაგრამ ძველები გადადიოდნენ ზოლმე ზღვარს ბუნებისეულისა და გონისეულის კავშირის ძებნაში. მათი ცრუმორწმუნეობა ცხოველთა ნაწლავებში მეტს ხედავდა, ვიდრე მართლაც შეიძლება დავინახოთ. ამგვარად, მე ხელს იღებდა თავის დამოუკიდებლობაზე, იგი გარეგან გარემოებებსა და გარეგანის მიერ განსაზღვრას ექვემდებარებოდა, მას გონის განმსაზღვრელად ხდიდა“ (ჰეგელი, 1984:58-59). ციტატა ძალზე ვრცელია. თუკი მოხერხდება მისი სწორად გაგება, მაშინ გზა გაგვეხსნება, ყველა იმ სირთულეების დასაძლევად, რაც ესოდენ სიმბოლურადაა წარმოდგენილი განსახილველ გადმოცემაში... ვთქვით, რომ ჯიხვის წიაღში ღვთიური ნაწილის არსებობა „ლედ“—ის სახით ერთგვარი სიახლეა, რომ მას ზუსტი ანალოგი არსებულ მასალებში არ დაეძებნება. ჰეგელის ნაზ-

რევიდან კი ვგებულობთ, რომ ისეთი კულტუროსანი ქვეყნის მმართველ წრეებშიც კი, როგორებიც იყვნენ ძველი ბერძნები, სახელმწიფო საქმეების თაობაზე ქურუმებთან ერთად რჩევას სთხოვდნენ ცხოველის ნაწლავებსაც. მათ ისიც აინტერესებდათ, თუ რა საკვებს ღებულობდნენ ეს ცხოველები. განსენებულა პლატეას ბრძოლაც, რომ პავსანიას მთელი დილის განმავლობაში სამსხვერპლო ცხოველთაგან მიღებული ნიშნების დარდი აწვალედა. რასაკვირველია, ჩვენ უძღურნი ვართ ავხსნათ, თუ რა იღუმალეები იყო ჩადებული ძველ ბერძენთა ამგვარ წარმოდგენებში. ბოლომდე მას არც ჰეგელი შიფრაგს, მხოლოდ მიუთითებს, რომ „ეს თითქოს სრულ წინააღმდეგობაშია გონის იმ სიუხვესთან, რომელიც ბერძნებს ახასიათებდა და რომელიც მათ ხელოვნებაში, რელიგიაში, მეცნიერებაში გამოვლინდა, მაგრამ ეს კარგად შეიძლება აიხსნას ბერძნული გონის თვალსაზრისიდან გამომდინარე“. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვალიაროთ, რომ საქმე გვაქვს გადულახავ სირთულეებთან, ჩვენთვის მიუწვდომელთან. ცხადია, სამსხვერპლო ცხოველების საგანგებო მოვლასა და მეთვალყურეობას, საკვების შერჩევას, გასაჭირისა თუ სხვა რამ შემთხვევაში დაკვლას, ნაწლავებზე დაკვირვებას მეცნიერულ დონეზე აყვანილი რელიგიური საიდუმლოება უდევს საფუძვლად, რომლის ახსნა ისევ და ისევ ძველ ბერძენთა ხვედრია... დავსძენთ, რომ ამ მხრივ ბერძნული სამყარო არ წარმოადგენს გამონაკლისს. ზუსტი ანალოგიურობით არა, მაგრამ მსგავსი რწმენა—წარმოდგენებია შემუშავებული ჩვენშიც. ასეთია შინაურ ცხოველზე, მაგალითად, ბეჭზე დაკვირვება, რაღაცის წინასწარმეტყველება, მოსალოდნელი საფრთხისა თუ სიხარულისა დადასტურება. ქვემოთ ძალზე საინტერესო მასალებს განვიხილავთ შინაურ ცხოველებზე, სხვათა შორის, არანაკლები მნიშვნელობისას, მაგრამ იგი მაინც შინაურ ცხოველებზე იქნება, რომელსაც განსხვავებული „შინა“ ადამიანური დაკვირვებები და რწმენები უდევს საფუძვლად, რაც შეეხება გარეულ ნადირს, ჯიხვს, მის წიაღში ღვთიური ნაწილის „ლედ“—ის არსებობას, ისევ საეციფიკურ ნიშნად რჩება. მოკვდავისათვის მხოლოდ ხილული ნაწილია მისაწვდომი. ოქროსრქიან და თეთრ ჯიხვს გამოცდილი მონადირე თოფს არ ესვრის. იგი, თუ შეიძლება ითქვას, შედარებით იოლი გამოცდის წინაშე დგას, თუმცა ცთუნების შემთხვევებიც არის. რაც შეეხება გარეული

ნადირის წიაღში დავანებულ ღვთიურ ნაწილს, მისი ხილვა მონადირეს, რა გამოცდილიც უნდა იყოს, არ ძალუძს, ალბათ, შეუძლებელიცაა. ეს საიდუმლოება მხოლოდ დაღმა იცის. „გარეთ მყოფმა სწორედ ეს იღუპალება გაუმჟღავნა მონადირე ბიბუს. ეს კი განსაკუთრებული რიგის მოვლენაა დაღის ციკლის მასალებში.

ფილოსოფოსი ჰეგელი კიდევ ერთ საინტერესო მომენტს გამოყოფს დამოწმებულ ციტატაში - ესაა სუბიექტურობა, რომ ახალთათვის დამახასიათებელია საკუთარი ჭკუა-გონებით გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად. „ჩვენში მიღებულია, რომ სუბიექტური ნება თავისით მოიკვეთს ხოლმე რჩევა-ყოყმანის ყოველივე საფუძველს და თავისთავს სამოქმედოდ თვითონვე განსაზღვრავს“... და კიდევ. მათი ცრუმორწმუნეობა ნაწლავებში მეტს ხელავდა, ვიდრე შიგ მართლა შეიძლება დავინახოთ. ამგვარად მე ხელს იღებდა თავის დამოუკიდებლობაზე, იგი გარეგან გარემოებებს და გარეგანის მიერ განსაზღვრას ექვემდებარებოდა, მას გონის განმსაზღვრელად ხდიდა“; დამოწმებული თვალსაზრისიდან გამომდინარე, მთლიანად იხსნება მონადირე ბიბუს შინაგანი ბუნება, გარემოსა და სულიერ ძალებთან მისი ურთიერთობის რაობა. თუ ტექსტს ღრმად დაეაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ბიბუ მართლაც ბუნებასთან უშუალო კავშირში მყოფია, ბუნებიდანვე ამოზრდილი და ბუნებისავე გავლენებსა და კანონებსაა დაქვემდებარებული. იგი იმდენად ბუნებისეული არსებაა, რომ გარემო პირობებისაგან არამცთუ განთავისუფლებულია, არამედ მთლიანად ბუნებისავე მოვლენებით არის მართული. მასში დამოუკიდებელი ქმედების ცდაც კი არ შეინიშნება. ამიტომ ბუნებრივად უღერს „გარეთ მყოფის“ კითხვაზე ბიბუს პასუხი, რომ „ყველაფერი მისი წყალობააო“. ალბათ, მისი ასეთი ბუნებრივი მორჩილება იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მონადირე ბიბუს დაღთან ურთიერთობაში სირთულეები არ აქვს. ალბათ, არც შეიძლება ჰქონდეს. გავვლავთ და ვიტყვი, რომ „გარეთ მყოფისა“ და მონადირე ბიბუს ურთიერთობა იმგვარი ბუნებრიობის დონეზეა ასული და იმგვარად ვითარდება, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით, რომ იგი შეიძლება მონათლოს ღვთიურ ძალასთან ადამიანის, ამ შემთხვევაში მონადირის, პირველ შეხვედრად და, ალბათ, პირველ ფერისცვალებად მონადირის სულიერ

რი ცხოვრებისა, ამიტომ, რომ ამ ფერისცვალებას ბუნებრივ დასასრულს აქვს...

აღინიშნა, რომ საანალიზოდ წარმოდგენილ ნაწარმოებში ღრმა მითოსურ სიმბოლიკას ვაწყდებით. აქ ყოველი ფრაზა, გამოთქმა თუ სიტყვა გასაშიფრავი და ამოსაცნობია. ისიც შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს საიდუმლო, საკრალურ მეტყველებასთან. ამიტომ, რომ მასში ჩვეულებრივ ადამიანურ დონემდე ასული შეგონებები და რჩევები ზედმეტად გაიჟღერებდა. სწორედ ესაა დასანახავი გარეთ მყოფისა და მონადირის ურთიერთობაში. დალი იმას კი არ ეუბნება მონადირეს, რომ „ლედი“ მოსაფრთხილებელია, საიდუმლოა, არავის გაუმჟღავნოს, თუ არა დაისჯება, არამედ მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყვის; შეინახე, იგი განმარტებას არ საჭიროებს, მასში ყველაფერი მოიაზრება. გადმოცემაში ეს ეპიზოდია განსაკუთრებით საინტერესო. იგი ლოგიკური გაგრძელება ჩანს იმგვარი ურთიერთობისა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო დასაბამიერში ადამიანის ღვთიურთან მიმართების საწყის ეტაპზე, როცა მოკვდავი (მონადირე) პირველად წარდგა უკვდავის წინაშე და ყველაფერი მზა სახით მიიღო. ასეთად არის წარმდგარი მონადირე ბიბუ გარეთმყოფის წინაშე. იგი მიძღვება და არა დამოუკიდებელი აქტიურად მოქმედი ინდივიდუალობა; აქედან გამომდინარე, ძალზე ძლიერიც, ვინაიდან იგი დალის ყველა რჩევა-დარიგების უსიტყვოდ აღმსრულებელია. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ მან ყველა საიდუმლოება ღირსეულად დაიცვას. ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ნაწარმოებში, რომელიც დალისა და მონადირის სრულ თანხმიერებასა და დიალოგებზეა აგებული, არ შეინიშნება არანაირი დაძაბულობა და გაუგებრობა. ყოველ ეპიზოდში ჩანს ბიბუს განსაკუთრებული კრძალვა და მაღლიერება გარეთ მყოფის მიმართ, რომლის ყოველ სიტყვას თუ რჩევას კანონის ძალა აქვს მონადირისათვის. ასეთი თანხმიერი დამოკიდებულება დალისა და მონადირისა არც ერთ საფერხულო სიმღერასა თუ გადმოცემაში არ დასტურდება. კონკრეტულ შემთხვევაში აღარ მართლდება ის აზრი, რომ დალისა და მონადირის ურთიერთობა ყოველთვის ტრაგედით მთავრდება, რომ ადამიანი ან იღუპება, ან ავადმყოფობა დასწმდება. ისიც საეჭვო ჩანს, რომ თითქოს პიროვნება თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმს აღწევდეს და ბოლოს ზდება მისი დაცემა. რასაკვირველია,

მსგავსი მაგალითი ბევრია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ბელნიერი გამონაკლისი გვაქვს. ბიბუმ სიცოცხლის ბოლომდე დაიცვა საიდუმლოება, რაც გარანტიის მიძცემა ძალა აღმოჩნდა შემკვიდრეთა ბედისა და ილბლისათვის ნადირობაში, ალბათ, არც მხოლოდ ნადირობაში. ქვემოთ განსახილველი მასალებით დავრწმუნდებით, რომ მონადირის დასაჩუქრებას დალის მიერ რჩევა—დარიგება, გაფრთხილება, ზოგჯერ მუქარაც უძღვის წინ. ზღება იმის ახსნაც, თუ რა მოჰყვება საიდუმლოს გამჟღავნებას, ვნახავთ, რომ საჩუქართან ზოგჯერ მთელი ოჯახის ბედისწერაა დაკავშირებული, ისიც ვიცით, რომ მონადირის ტრაგედიის მიზეზი ტაბუს დაუცველობაა და სხვა. სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე წინამდებარე გადმოცემის სახით. გარეთ მყოფის მიერ მონადირისადმი მაღლის დაშვება და მისი განითვებული სახით ბოძება მოკვდავისა და უკვდავის ურთიერთობის კლასიკური ნიმუშია, რომელიც ბოლომდე ინარჩუნებს დიდ სიწმინდეს. გადმოცემაში, თუ შეიძლება ითქვას, ადამიანის სულიერ ძალებთან მისაღწევი ურთიერთობის ფარული, სამომავლო გზებია მონიშნული. ისიც აშკარაა, რომ მონადირეში ბუნებრივადაა იმის ცნობიერება, რომ სიცოცხლეში საიდუმლოება არავის გაუმჟღავნოს, იგრძნობა, რომ საიდუმლოს დაცვასთან მთელი სახლეულობის მომავალია დაკავშირებული. ასეთი გაფართოებული ფუნქცია დალის მიერ გამჟღავნებული საიდუმლოებისა და მისი ბოლომდე დაცვა მონადირისაგან ერთადერთი და, ამასთანავე, პირველი შემთხვევაა და იგი დალის პრობლემას სხვაგვარად დაგვანახვებს, სხვაგვარად დაგვაფიქრებს...

საგანგებოდ უნდა გაეხვას ხაზი შემდეგ გარემოებას, კერძოდ, განხილული ძეგლის მიხედვით დავრწმუნდით, რომ ამ ეტაპზე „გარეთ მყოფისა“ და მონადირე ბიბუმს ურთიერთობაში რაიმე ინტიმურობაზე ფიქრიც კი უზერხული იქნებოდა. ასეთი სიწმინდის გამოა, რომ, როგორც ამას მთქმელი შენიშნავს, დვიდიშეერებში შემკვიდრეობით ყველა კარგი, ილბლიანი მონადირე იყო...

წინამდებარე გადმოცემა იმის კლასიკური ნიმუშია, რომ ერთობ წმინდა სულით მოფენილი გზა მოუძღვის დღეს არსებულ მონადირულ ყოფიერებასა და ტრადიციებს. იგი, როგორც აღინიშნა, შეიძლება ამ ტრადიციების დასაბამიერ საფეხურადაც მივიჩნიოთ...

3 მონადირე წიკვა

განვიხილოთ მითოლოგიური გადმოცემა მონადირე წიკვა, იგი ავტობიოგრაფიული ხასიათის რეალისტური გადმოცემაა. ჩვენი აზრით, მთქმელი ნამდვილ ამბავს მოგვითხრობს, კერძოდ, აღწერილია, რომ ცნობილ სვან თავადს, ბექარბი დადეშქელიანს, ერთ დღეს დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. სტუმართა შორის იყო სახელგანთქმული მონადირე წიკვა. „ბეჩერანთ წიკვა მონადირე კაცი იყო. ისეთი კაცი არ შემოსულა (ან მოსულა) არც ძველად და არც ამჟამად (ახლა).“

ოთარაანთ ბექარბის მონადირეები ყველა ერთიბეორესთან მიუყვანია, (შეუგროვბია), ბალსზემოური და ბალსქვემოური მონადირეები ერთად დაუსხამს. ბექარბის უთქვამს: არც ერთს არჩვის თავი არ მოუტანია (ნათხვარაშ — ნანადირევს ნიშნავს და არა მაინცდამაინც არჩვის თავს, აქ, რასაკვირველია, იგულისხმება ჯიხვის თავიც) და არა სცხვენიათო? ხმა არავის დაუძრავს, მაშინ წიკვას უთქვამს: „აბაო, ცოტა საგზალი მოუშხადონო, ცოტა არაყი და ხვალო აქ მოგართმევო (ან მოგისწრებო). მაშინ ბექარბის უთქვამს: „აბაო, წიკვა, თუ ამას იხამო, ჰე, ცამეტ ძროხაში ორს ამოგარჩევინებ, თუ არა, ნაცემს გაგიშვებო“. რა გაუჭირდებოდათ, საგზალი და თოფი-იარაღი მიუციათ, წასულა ცხუმარის ტყისკენ. მეორე დღეს ბექარბი ამდგარა, ხელ-პირს იბანდა, უცებ ორი ჯიხვის თავი მიურთმევია კარებში. ეს ძალიან გახარებია ბექარბის და დიდი პატივი უცია წიკვასათვის. საღამოს მართლაც აარჩევიან ძროხა და გაატანა შინ.

ერთხელ წიკვა სანადიროდ ყოფილა წასული ტყეში. მიადგა კლდეს. ერთ გადმოწეულ ადგილზე სამი ქალი მჯდარა. ფიქრი შეექმნა, შეშინებულა, რა უნდა იყოს ამ ტყეში. რთავენო სამივენი, ყველა. ახლა კი ულოცია. უშველოსო ღმერთმა, იგიო არავის მავნე არ ყოფილა და არც იქნებო და გვერდი აუარა. გასულა და მაღალი კაცი შეხვედრია აქ. ისევ ულოცია, უშველოსო ღმერთმა. ამას უთქვამს: „ნუ ეშინია ცოტა იქით არჩვს მოკლავსო და, მარჯვენა თირკმელში რაც ნახოსო კარგად შეინახოსო და მშვიდად იყოსო. აქედან გასულა და მართლაც არჩვი უნახავს, დაუმიზნებია თოფი და მოუკლავს. უცებ, ძებნა დაუწყია და თირკმელში კვერცხივით მრგვალი ოქრო უპოვია, იგი მხოლოდ მას ჰქონია, სხვას არავის უნახავს, დაბერებულა, ხელ-

მოცარული არასოდეს დაბრუნებულა სანადიროდან. მისი გარდაცვალების შემდეგ თაისავს, მის შვილს, ჰქონია, მაგრამ დაშავებულა, დაღუპულა ან გაფუჭებულა (ე.ი. მთქმელი გულისხმობს, რომ მოპოვებული საიდუმლოს ვერ გაუფრთხილდა თაისავი), ვილაცას უნახავს, ძალა დაუკარგავს“ (შანიძე, 1978:207).

მონადირე წიკვას თავგადასავალი (ასე შეიძლება ვუწოდოთ მას) მრავალმხრივაა საინტერესო. თხრობა იმგვარადაა წარმართული, რომ მთქმელი თითქოს სხვისგან გაგონილს იმეორებდეს, ისე, რომ მის რეალობაში ეჭვი არ ეპარება. ტექსტი მთლიანად თავისუფალია მონადირის დახასიათებისა თუ სხვა რამ ახსნა – განმარტებებისაგან. აქცენტი გადატანილია პერსონაჟის ქმედებაზე, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ და გადმოცემაშიც ესაა უმთავრესი, მთქმელი სულ ერთი ფრაზით ახერხებს, რომ მონადირე წიკვაზე ყოველმხრივ სრული და ამომწურავი წარმოდგენა შეგვექმნეს. „იმნაირი კაცი არავინ შემოსულა (ან მოსულა) არც ძველად და არც ახლა (ამჟამად)“. დაეაკვირდეთ, მთქმელი დაბადებულას კი არ ამბობს, არამედ „შემოსულა“. ეს სიტყვა ძალზე ტევადია, მასში ბევრი რამ მოიაზრება. იგი მიგვანიშნებს წიკვას არა მარტო შეუდარებელ მონადირულ ხელოვნებაზე, არამედ მაღალ ადამიანურ ღირსებებსა და სიკეთეზე. საინტერესოა სიტყვის რელიგიური შინაარსი, მნიშვნელობა, მასში სულიერი სამყაროდან შემოსვლა იგულისხმება, იმნაირის, რომელიც გამორჩეულია ადამიანთა შორის. სწორედ წიკვასნაირი მორწმუნე, წმინდა ადამიანების ხვედრია შიშის დაძლევის უნარი. მონადირისათვის მოულოდნელი იყო კლდის ტაფოზე სამი მრთველი ქალის ხილვა, შეშინდა კიდევაც, მაგრამ დარწმუნებულმა, რომ იგი უცოდველია, მავნე არ ყოფილა არასოდეს და არც იქნება, შეძლო წონასწორობის შენარჩუნება, ღმერთს დახმარება სთხოვა და განაგრძო გზა. ეჭვი არაა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმაგინაციურ ხილვასთან. მონადირე წიკვა ასე მოიქცა მაღალ კაცთან შეხვედრის დროსაც, რომელმაც რჩევა-დარიგება მისცა, რომ „ნუ ეშინიაო, ცოტა იქით არჩვს მოკლავსო და მარჯვენა თირკმელში რაც ნახოს, კარგად შეინახოსო და მშვიდად იყოსო“. ცხადია, ეს უკვე ხილვის უფრო მაღალი დონეა, ინსპირაციული. აშკარაა, რომ წიკვა საიდუმლო სიბრძნემდე მიიყვანა არა მარტო მისმა მაღალმა სამონადირო ხელოვნებამ, გულადობამ და

უშიშარმა ბუნებამ, არამედ, პირველ ყოვლისა, დიდმა სულიერმა სიწმინდემ. თუ ღრმად ჩავუკვირდებით წეკვას ბუნებას, ქმედებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი უკვე ინდივიდუალური განვითარებისკენ არის მიდრეკილი. მისი მიმართება სულიერი ძალებისადმი ერთობ თავისებურია. მონადირე საკუთარი გამოცდილებითა და აზრით მიდის იმ დამოუკიდებელ დასკვნამდე, რომ მას ცოდვა არ ჩაუდენია, ამიტომ ყოველ უძძიმეს სიტუაციაში, მოულოდნელი სულიერი გამოცდის წინაშეც კი, ინარჩუნებს წონასწორობას და გამოსავალსაც იპოვის. ღვთიური ჯილდოც ამიტომ დაიმსახურა. იგი მის მიერ მოპოვებული სიბრძნეა, შინაგან რწმენასა და აქტიურობაზე დაფუძნებული. პერსონაჟის ამგვარ მიმართებაზე გარემოსა და სულიერი ძალებისადმი ყურადღების შეჩერება აუცილებლად მიგვაჩნია სამონადირეო ისტორიისა და, რაც მთავარია, დალისა და მონადირის ურთიერთობის რთული პრობლემის დინამიურობაში წარმოდგენისა და განვითარების საფეხურების წარმოსაჩენად. ამ აზრით საინტერესოდ მიგვაჩნია წეკვას თავგადასავლის შედარება „ღვიდილანთ ბიბუსთან“. ვიცით, რომ ბიბუს გარეთ მყოფი მფარველობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დამოუკიდებლადაც კარგი მონადირე და მაღალი სულის პიროვნებაა. ამიტომ აირჩია იგი გარეთ მყოფმა დასახმარებლად. ბიბუ ბუნებრივადაც ძლიერი ნების ინდივიდუალობაა. მან ღვთითბოძებული საიდუმლო, ჯილდო „ლედ“, არავის ახილვინა. ამის გამო გადავიდა მაღლი მის ჩამომავლობაზე, რომლებიც კარგი მონადირეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, აქ გადამწყვეტი როლი გარეთ მყოფს ეკუთვნის. მან ბიბუს ყველაფერი ასწავლა, ყველაფერში გამოცადა, მათი ურთიერთობაც ახალი და მაღალი საფეხურია მონადირული ცხოვრების ისტორიაში, სანიმუშოდ ჩასათვლელი. იგი სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი, რაც შეეხება მონადირე წეკვას, იგი ბიბუსთან შედარებით ცნობიერი პიროვნება ჩანს. წეკვა არა მარტო შეუდარებელი მონადირეა და ყველაზე საუკეთესო მცოდნე ბუნებისა და ცხოველთა სამყაროსი, არამედ ყოფიერების ყველა სფეროშიც სხვაზე აღმატებულია, მასში დამოუკიდებლობა, ღრმა ინდივიდუალური თავისთავადობაა ამოსაცნობი. ამიტომაც იგი უდარებელი. მთქმელის სიტყვები რომ ვთქვათ: „მისი მსგავსი არ შემოსულა არც ძველად, არც ახლად“. მონადირე წეკვას განვითარების გზა, ბიბუსთან შედარე-

ბით, ინდივიდუალურია. ორივეს გამაერთიანებელი კი მაღალი სულიერებაა, საიდუმლოს შენახვის აუცილებლობის ცნობიერება. მართალია, ბიბუს გარეთ მყოფი დაპყვება ყველგან, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე წვრთნის, ასწავლის, როდის რა გააკეთოს, გამოცდის კიდევაც, ამოწმებს ბიბუს ბუნებას, ხასიათს: „როგორი მეზავრობა პქონიაო“. როგორც ითქვა, დაღმა დიდი გამოცდის წინაშე დააყენა ბიბუ, რომელიც წმინდაა და გულწრფელი. მასში ღრმადაა გამჯდარი იმის ცნობიერება, რომ ყველაფერში, რასაც ის აღწევს, დალის ღვთიური ხელი ურევია. სწორედ ამგვარი თვისობრიობის გამოა, რომ „გარეთ მყოფი“ განუწყვეტილად ზრუნავს და მეთვალყურეობს მონადირეზე. ასე რომ, ბიბუ ღვთით ხელდებული მონადირეა. მან დალის ყველა გამოცდას გაუძლო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩანს, რომ იგი არ საჭიროებს არანაირ გაფრთხილებას, რომ დაიცვას „ლედთან“ დაკავშირებული იდუმალება. რასაკვირველია „გარეთ მყოფი დარწმუნებულია ბიბუს ნების სიმტკიცესა და სიწმინდეში. ამიტომ მხოლოდ იმას ეუბნება, რომ შეინახოსო. ალბათ, ამგვარი რწმენის გამოა, რომ ტექსტი განტვირთულია ყოველგვარი კომენტარისა და ახსნა-განმარტებისაგან. აქ სიტყვა და საქმე ერთია.

ასეთსავე სიტუაციასთან გვაქვს საქმე მონადირე წეკვას თავგადასავალშიც. სანადიროდ წასულმა ორ დიდ სულიერ გამოცდას გაუძლო. მეორე ხილვამ, რომელსაც ჩვენ ინსპირაციული ვუწოდეთ, მონადირე წეკვა საიდუმლო სიბრძნემდე მიიყვანა. როცა მან არჩვი მოიკარგა, უცებ გაუჭრა თირკმელი და კვერცხივით მრგვალი ოქრო ამოიღო. ისედაც გამოცდილ მონადირეს განსაკუთრებით ამის შემდეგ მოემართა ხელი. იგი ღვთიური ნაწილის მფლობელი გახდა და სულ სხვაგვარ არსობრიობაში გადავიდა. მონადირე ბიბუს თავგადასავალში ასეთი ნაწილიანი ჯიხვია. ნაწილი ორივეს წიაღშია დავანებული, ფიზიკური თვალისათვის შეუღწევადში, მისი ხილვა და საიდუმლოდ შენახვა გაცილებით მეტი ღვთიური ჯილდოა, ვიდრე ფიზიკური თვალისათვის გარეგნულად დასანახავი ოქროსრქიანი ან თეთრი თუ ჭრელი ნადირი (ჯიხვი, არჩვი). ამიტომ მიგვაჩნია, რომ მონადირეები: ბიბუ და წეკვა ნადირობის ისტორიაში ყველაზე ღრმა იდუმალეობასთან არიან ნაზიარები, მათ ეს დაიმსახურეს თავიანთი წმინდა ცხოვრების წესით. ორივე მონადირემ საიდუმლოება სიცოცხლეში

არავის გაანდო. მთქმელი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ბიბუს ჩამომავლები, დვიდიშეერები, კარგი მონადირეები იყვნენ. ე.ი. მათმა მემკვიდრეებმაც დაიცვეს საიდუმლოება და ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი ნადირობაში, ხელიც ამიტომ მოემართათ. მონადირე წეკვას ჩამომავლებზეც ასეთივე მაღლი იყო გადმოსული, მაგრამ მისმა შვილმა, თაისაემმა, ეტყობა, ვერ გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და გარეშე თვალმა დაინახა თუ შემთხვევით მოჰკრა თვალი და ნაწილმა დაკარგა თავისი ძალა. ორივე გადმოცემის მნიშვნელობა, წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ისაა, რომ ისინი სულ სხვაგვარად დაგვანახებენ დალის ციკლის ტრადიციულ მასალებს, თითოეულს თავისი ადგილი მიეჩინება დალის პრობლემის კვლევის ისტორიაში.

4 „მეფლელი“ ბევა – ფალეღელი ბევა

ზემოგანხილული გადმოცემების მიხედვით, განსხვავებულად წარმოგვიდგა კლდისანებისა და ტყისანების ღვთიურთან წილნაყარობა. მსგავსი რამ, მცირეოდენი სახეცვლილი ფორმით, დასტურდება შინაურ ცხოველებშიც. ამ აზრით საინტერესოა „ბაბუა ბევას“ საიდუმლო სიბრძნესთან ზიარების ამბავი. იგი გველის მჭამელი მინდიას ტიპის ბრძენკაცია, შეიძლება ითქვას, უფრო რთული და ორიგინალურიც. წინასწარ იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ბაბუა ბევა რეალურად არსებული პიროვნებაა, გვარად ჩხვიმიანი. ჩხვიმიანები სოფელ ჭუბერში ცხოვრობენ. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ბევა ლახაშულადაა. იგი ყველაზე სახელიანი კაცია მთელ სვანეთში. მისი სიბრძნე ყველგანაა ცნობილი. (მართალია, ჩვენ ცხოველთა ნაწილიანობა გვიანტერესებს, მაგრამ საკითხის სრულად წარმოჩენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ „ბაბა ბევას“ გაბრძენების მოკლე ამბავი).

„ბევეარელებს ძველად ჰყოლიათ ბაბუა ბევა.

ერთხელ თიბვის დროს ბევას ცელს გველი მოედო და ენა გარეთ დაურჩა. ბევამ სატკაცუნებელი მოჭრა. სტეირის ერთი მხარე ბევას ჰქონდა ყურთან მობჯენილი, მეორე კი გველის ენასთან. გველმა მისი, ე.ი. გველის, გამამთელებელი ბალახი ასწავლა ბევას და გველი განიკურნა. ამის შემდეგ დაებედა, დაენათლა ბევას, რომ ყოველივეს ლაპარაკი ესმოდა.

მეორე ვარიანტის შინაარსი ასეთია: „ბაბუა ბევა ზორგეთის მინდორში თიბავდა. გუგულს უთქვამს, არაყი დაძალევეინეო... ბევამ დაძალევეინა... ამის შემდეგ მოთხრობილია ბევას მონაწილეობაზე ლაშქრობაში ურჯულოთა წინააღმდეგ. ამ ომში მარტო ბევა გადარჩა და დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ერთხელ გუგული შემოსულა მასთან და უთქვამს – რომელ ხესთანაც მივალ, იქით მომყვებოდე უკანო.

დაღამდა, ხის ქვეშ ბევამ დაიძინა, ხეზე - გუგულმა. მეორე დღეს ბევამ გაიღვიძა ზორგეთში, სადაც გუგულს არაყი დაძალევეინა“.
(შანიძე, 1958:76).

ორივე ვარიანტი რთული შინაარსისაა. პირველში ბევას გაბრძენებაა აღწერილი, დაჭრილ გველს აღმოუჩინა დახმარება და ამ გზით თავადაც „ყოველივეს ენას ხვდებოდა“. ბოლო სამი სიტყვა თავისი შინაარსით ყოვლისმომცველია. ბევას სამივე სამყაროს: მინერალურის, მცენარეულის, ცხოველთა და ფრინველთა, იგულისხმება, ყოველი სულდგმულის, ენა ესმოდა. მეორე ვარიანტში კი ძალზე უცნაურად ჟღერს გუგულის დასაუბრება ბევასთან, არაყის დაღვევა. მრავლისმთქმელია, რომ ურჯულოთა წინააღმდეგ ომში მხოლოდ ბევა გადარჩა. ე.ი. მან გაიარა ბრძოლის საშინელი გზა, შემდეგ კი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. მას ისევე გუგული მოეველინება მსხნელად. აქ კი განსაკუთრებით საინტერესოა ბევას ვითომ ფიზიკურ პლანში გავლილი გზა. გუგული ეუბნება: მე მომყევი უკან, რომელ ხესთანაც გავჩერდე, შენც იქ იყავი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ დიდი გზა გაიარეს და ხეზე გუგულმა, ხისქვეშ კი ბევამ დაიძინეს. დავაკვირდეთ, მოქმედება ხდება უდაბურ ტყეში, შემთხვევითი არაა გუგულის გაფრთხილება, მე მომყვებოდეთ. ე.ი. გუგულის სახით მასზე მფარველი, სულიერ პლანში გზის გამკვალავი ძალა ზრუნავს (როგორც ეს ამირანიანშია) და მეთვალყურეობს. მეორე დღეს კი ზორგეთის მინდორში აღმოჩნდა მსხლის ქვეშ, სადაც პირველად შეხვდა გუგულს. ბევას არაფერი გაუგია ამაზე. რასაკვირველია მოთხრობილი ამბავი ფიზიკურ-სამყაროული პრინციპებითა და ლოგიკით დაუჯერებელია, მაგრამ მას სულიერ პლანში აქვს თავის ლოგიკა, ამგვარი მოულოდნელობა არ არის შემთხვევითი. ეჭვი არაა, რომ ბაბუა ბევამ ინიციატივის რთული გზა განვლო. ჩვენი აზრით, ბევრი რამ გადმოცემაში სიმბოლურია. ომში მხოლოდ ბევას გადარჩენა, უკიდურესი გა-

საჭირი, უდაბური ტყის გავლა და ბოლოს ზორგეთის მინდორში მსხლის ქვეშ ყოფნა არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. იგი სულიერი განვითარების რთული გზაა, რომელსაც ბაბუა ბევა თავის თავში გაივლის... ამ გადმოცემას პარალელი დაეძებნება, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მესამე ვარიანტში საქორწინოდ წასულ ბევას ჩიტები აგებინებენ სახლის დაწვის ამბავს. შინ მისული იკითხავს: პატარა მაგიდა თუ გადარჩა (დღესასწაულებზე მასზე აწყობენ რიტუალურ კვერებს მიცვალებულთა პატივსაცემად), ის სუფრა გადარჩაო. მასზე რამდენსაც დაალაგებდნენ ზორცს, არაფერი აკლდებოდა, მუდამ იმდენი იყო. ეს მაგიდა საზორცე მაგიდად იწოდებოდა...

ბაბუა ბევაზე ძალზე საინტერესო ვარიანტებია ჩაწერილი ალი დავითიანის მიერ ლახაშულაში 1953 წელს. ესაა „ლახაშულელი ბევა“. გადმოცემის მიხედვით, ბევა ღელისერთაა. როცა წამოიზარდა და შეძლო ცელის გამართვა და თიბვა, ღელამ საგზალი გამოუწყო და გაგზავნა სამუშაოდ. ხილამდე რომ მივიდა, წყლიდან ხმა მოესმა: „ბევა შშია და საჭმელი მაჭამე“. ბევამ თავის საგზალი ჩაუგდო და თვითონ მთელი ღლე შშიერი დარჩა. იგივე განმეორდა მეორე ღლესაც. მესამედაც ჩაუგდო პური და წყლიდან ხმა მოესმა: რახან ჩემი თხოვნა შესარული, მთხოვე რაც გინდა, და მეც შეგისრულებო. ბევამ ყოველი სრულადგმულის ენის ცოდნა მოისურვა. უხილავი არსება დასთანხმდა, ოღონდ, თუ სადმე გაამჟღავნებდა მის ნათქვამად, მოკვდებოდა. ასე გახდა ბევა ყოველი სულდგმულის ენის მცოდნე.

მეორე ვარიანტი პირველის გაგრძელება ჩანს. იგი ასე იწყება: „ბევამ სახელი გაითქვა მთელ სოფელში კაი კაცობით. დიდი და პატარა - ყველა მლოცველი ჰყავდა, უფროსებს შვილივით უყვარდათ, თანატოლებს - ძმასავით, თავადაც ყველასთვის კარგის მსურველი, მკეთებელი იყო...“

ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ ბევა ნადირობიდან დაბრუნდა და მთელი სოფელი საომრად წასული დახვდა. მათ დაიბარეს, რომ ბევა არ წამოვიდეს, მას ისედაც ვუწილადებთ ყველაფერსო. ბევა მაინც წავიდა. ღელამ სამი ხაჭაპური უსაგზლა. ხვამლამდე მიღწეულს გველი დაუხვდა პირდაღებულნი, საჭმელი სთხოვა. ბევამ ერთი ხაჭაპური დაუდვა, თავრარზე მეორე გველი დაუხვდა, გზაზე გადაწოლი-

ლი, საჭმელი სთხოვა: ერთი ხაჭაპური ამას დაუდვა; ლაშხრაში მოვიდა, მურჭის გადასახვევთან, და აქ მესამე გველმა მოსთხოვა საჭმელი, ბევამ ამასაც დაუდვა ხაჭაპური.

გზად მიმავალმა ბევამ წიფლის ხის ქვეშ დაისვენა. ხეზე ჩხიკვი შემოჯდა და მეორე ჩხიკვს გასძახა: ლახამულელების ლაშქარი მოდის, იმოდენა ნახირი მოუდით, რომ მიწა იბერის, მაგრამ ერთი კოჭლი, დავარდნილი დაუტოვებიათ დერაზე (იგულისხმება მთებიდან ჩამოწოლილი თოვლის ზევი თავისი ნაშალით, მიწითა და ქვით). მაგისი ფასი მთელი ჯოგი არაა. მასო „ლედ“ უდევს მუცელში. ბევამ არანაირი წილი არ მიიღო, მხოლოდ იგი წამოიყვანა შინ. ბევა ძალიან გამდიდრებულა. მთელ სოფელს უხაროდა მისი დაოჯახება, კარგი ცხოვრება. ქალი ფეხშიძედ ჰყავდა.

როგორც ვხედავთ, „ლედ“, ე. ი. ღვთიური მადლი და ბარაქა, შინაურ ცხოველებშიც ვლინდება. სვანთა რწმენით, ისინიც ისევე უცოდველნი არიან, როგორც კლდისანები და ტყისანები (ჯიხვები და არჩვები). ორივეს მიმართ აღამიანს დიდი მოვალეობა აკისრია. როგორც გარეულ ნადირზეა, რომ დაჭრილი არ უნდა მიატოვოს მონადირემ, ბოლომდე უნდა სდიოს, ცოდვაა და შეიძლება თვითონაც ეზიაროს დიდ სიბრძნეს, იგევე ითქმის შინაურ საქონელზე: დაჭრილი, კოჭლი თუ დაღლილ-დავარდნილი არ უნდა მიატოვოს; ესეც გამოცდაა. შინაური საქონლისადმი დამოკიდებულების ხარისხი არ უნდა იქნეს განსხვავებული გარეგნული ნიშნების მიხედვით, ვინაიდან არაა გამორიცხული და ეს კონკრეტული მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ კოჭლი, დაჩაჩანაკებული შეიძლება ატარებდეს დიდ საიდუმლობას, მადლს. ორივე შემთხვევაში უცოდველობაა მთავარი.

ძალზე საინტერესოა გადმოცემა „ბევა ჩხვიმიანი“. იგი ჩაწერილია მესტიაში. ამ გადმოცემის მიხედვით, ბევა ჩხვიმიანი სოფ. ფალედიდან ყოფილა. მან ფრინველთა ენა იცოდა. ერთხელ ფალედელები წასულან აფხაზეთის მთაში საქონლის წასართმევად. ღამე ტყეში გაუთევეათ. იქვე შუაზე გაპობილი წიფლის ხე მდგარა, მასზე ჩიტები მსხდარან. ერთს უთქვამს: „ნეტავი იმას, ვინც ამ წიფლისგან მაგიდას და სკამს გააკეთებს. ბევამ ყველაფერი მოისმინა, გათალა წიფლის ნაპობი და გააკეთა მაგიდა და სკამი.

სვანთა ლაშქარმა აფხაზებს დიდძალი საქონელი წაართვა: ცხენები, ძროხები, თხები და ცხვრები. ცხენების რემას ერთი კოჭლი კვიცი ახლდა და დაიღალა. დედამისმა მიაძახა: გამოდგი ფეხი, რას რჩები უკან“. კვიციმა უპასუხა: ამ ჯოგის ბედი, მადლი და ბარაქა მე მაწევს ტვირთად ჭაჭვებსა და თირკმელებზე და დავიღალე“. მათ კი რა უჭირთო, რა დაღლით, ჭაჭვებზე არაფერი აქვთ ტვირთად, ლაღად არიანო.

ფურის ჯოგს, თურმე, კოჭლი ხბო მოსდევს, თხისა და ცხვრის ფარას კოჭლი ბატკანი და ესენიც დაიღალნენ. დედებმა მიაძახეს: „რა დამართნიათო მათ მარტო, გადმოაბიჯეთ და ჩვენთან იარეთო, თუ არა, დარჩებით და ნადირი დაგვლეჯთო, — მათო მთელი ამ ჯოგის ბედ—იღ—ბალი ჭაჭვებზე(თირკმელებზე) აწევთ ტვირთად და დაღლილანო. მათ რა უჭირთ, ნეტავი, ლაღად მოდიანო და რატომ დაიღლებითო.

ამათი და კვიცის საუბარი მოისმინა ბევამ, თვალი მიადევნა კვიცს, ხბოსა და ბატკანს. ოთარაანთნი (იგულისხმება ოთარ დადემქელიანი, „ხოჩა ოთარად“, ანუ კარგ ოთარად, წოდებული, ამიტომ მისი სახელი მემკვიდრეობით გადადიოდა, ოთარს არქმევდნენ) გადმოდგნენ და ჯოგი ბევას გააყოფინეს. ბევამ კი მიუგო: „იგი გაყოფსო ჯოგს, მაგრამ საკუთრივ მისთვის არაფერს გამოიყოფს, ვინაიდან ძალიან ბევრი კარგი ახსოვს ოთარშეერებისაგან, ბევრი სიკეთე გაუკეთებიათ და ბევრი დახმარება გაუწევიათ მისთვის და წილს არ აიღებსო. თუ მათი ნება იქნება, კოჭლ კვიცს, კოჭლ ხბოსა და კოჭლ ბატკანს დასჯერდებაო.

მარტო ამას არ დასჯერდნენ ოთარშეერები და კიდევ აძლევენ საქონელს, მაგრამ ის ბევამ არ ინება. ჯოგი გაუყო ყველას ისე, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, თვითონ კვიცი, ხბო და ბატკანი ერგო. ესენი, პატარა მრგვალი მაგიდა და სკამი წამოიღო შინ. გავიდა ხანი და ეს კვიცი, ხბო და ბატკანი ისე გამრავლდა, რომ ტვეა არ აქვს, ისე გამდიდრდა, ისე, რომ სვანეთში მისი ბადალი მოსახლე, ასე სიმდიდრით სავსე, არ ყოფილა“. სიმდიდრე ღუღდა და გადაღუღდა. მისთვის და სტუმრისათვის ყოველ დამე საკლავს კლავდა. ერთხელ ბევა, თურმე, მესტიიაში მოვიდა სტუმრად თავის მოძმე ხერგიანებთან. ესენიც მდიდრები ყოფილან, მაგრამ ბევას რას შეედრებოდნენ. ხერგიანები კარგად დაუხვდნენ, მაგარი პატივი სცეს. მეორე

დღეს ბევრს, თურმე, გარეთაა და ხელ-პირს იბანს. თურმე, ჩიტმა და-
იწყო ლაპარაკი... ბევრს უთხრა თავის მოძმე ხერგიანებს: „წუხელი
მის სახლს ცეცხლი წაჰკიდებია და დამწვარა. ეს უთვქამს მისთვის
ახლაო ჩიტს. უკვე მაცნეც მოვიდა და უთხრეს სახლის დაწვის ამბა-
ვი. ბევრს ჰკითხა: ჰატარა მრგვალი მაგიდა და სკამი დაიწვა თუ
არა?... ისინი არაო“. აბაო, დიდება მისელოდეს ღმერთს, ამის გამო
არაფერი მიჭირსო. მართლაც, ამის შემდეგ კიდევ უფრო კარგი
ცხოვრება ჰქონდა ბევრს, ვიდრე ადრე“.

მართალია, ჩვენ შინაურ ცხოველთა ნაწილიანობა გვიანტე-
რესებს და ამ ფონზე არაა გამორიცხული, რომ გადაჭარბებულად
მოგვეჩვენოს ბაბუა ბევრს ბიოგრაფიისა და საიდუმლო სიბრძნესთან
თანაზიარობის ამბის ასე ვრცლად გადამოცემა, მაგრამ აქ ერთი სირ-
თულე იჩენს თავს, რომელსაც ისევ ბაბუა ბევრს ყველასაგან გამორჩე-
ულ პიროვნებასთან მიყვავართ და მისი ახსნა მნიშვნელოვნად დაგ-
ვეხმარება სამონადირეო პრობლემატიკის უკეთ გარკვევასა და და-
ზუსტებაში. ვიცით, რომ ღვთიური ნაწილი ჯიხვთა და არჩეთა, ასევე
შინაურ ცხოველთა წიაღშია დავანებული, ფიზიკური თვალისათვის
უხილავში. იგი მხოლოდ ღვთიურ არსთა საიდუმლოებაა და გამჟღავ-
ნებაც მათსავე ნება—სურვილზეა დამოკიდებული. მოკვდავთაგან, ვი-
საც დალთან ურთიერთობა არა აქვს, მხოლოდ ბევრს ტიპის ბრძენ-
კაცთათვის არის შესაძლებელი ამგვარ იდუმალებებთან თანაზიარო-
ბა, რომელსაც, როგორც ეს ტექსტიდან ვიცით, მთელი გარესინამ-
დვილე ესაუბრება. ოღონდ აქ მეტი სიცხადეა საჭირო. კერძოდ, ვი-
ცით, რომ ბევრს საუკეთესო მონადირეცაა, მაგრამ არა ისეთი პროფე-
სიონალი, როგორც ბიბუა, რომელიც არსებითად დალის მიერაა აღ-
ზრდილი და მანვე აზიარა უხილავ სიბრძნეს. არც წეკვას ტიპის მონადირეა.
მართალია, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, სანადიროდ
წასულ ბევრს ესმის ჯიხვთა საუბარი. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი
გარეულ ნადირთა ყველა თვისებაში ღრმადაა გარკვეული, ალბათ,
მაგრამ მთქმელი არაფერს გვეუბნება, ჯიხვთა და არჩეთა წიაღში ნა-
წილის არსებობა იცის თუ არა ბევრს. ყურადღება შეჩერებულია შინა-
ურ ცხოველთა წიაღში ნაწილის არსებობაზე, რომელიც მხოლოდ
ბევრსთვის არის გაცხადებული. უნდა დავსძინოთ, რომ ბევრს ცხოვ-
რების გზა და სიბრძნემდე მისვლა განსხვავდება ბიბუსა და წეკვას

გზისგან. ბაბუა ბევა უნივერსალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა საცხოვრისში. იგი ძალზე გაწონასწორებული, წმინდა ადამიანია. ვარიანტებიდან ვიგებთ, რომ ბევა ბავშვობიდანვე თავისებური ყოფილა. დედისერთაც ყოფილა, მთქმელი საგანგებოდ გახაზავს ამას. ამასთანავე, ყველასათვის ის საყვარელი ყოფილა, რომ უფროსებს შვილად მიაჩნდათ, თანატოლებს - ძმად, თავადაც ყველასათვის კარგის მკეთებელი და მსურველი იყო... ბევას სულიერი განვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა გავიხსენოთ მისი პირველი გასვლა სახლიდან სამუშაოდ, სათიბავად. სვანთა ტრადიციის მიხედვით, იგი მახლობელთა წრეში უნდა მოხდეს, დედამ კი მარტო გაუშვა. პირველი მოულოდნელობაც სწორედ ამ დღეს შეემთხვა, რომელმაც განსაზღვრა ბევას მთელი მომავალი. ხიდზე გასვლისას წყლიდან რაღაცა დაეხმინა: „მშიაო“. საინტერესო ისაა, რომ ბევა არ შეშინებულა, არც დაბნეულა, იგი ბრძენკაცით მოიქცა, თავისი საგზალი ჩაუგდო და თვითონ მთელი დღე მშვიდი თიბავდა. რაც ამ დღეს გადახდა, საიდუმლოდ შეინახა, არავის გაანდო. სამჯერ გაუძლო ბევამ უჩინარი სულის ამგვარ გამოცდასა და გაფრთხილებას. დავსძენთ, რომ ეს ხდება დაახლოებით თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ასაკში და ჩვენ ვიცით, თუ როგორ უჭირთ საიდუმლოების დაცვა თვით გამოცდილ მონადირეებსაც, რა ტრაგედიით მთავრდება მათი ცხოვრება. ბევას კი, სრულიად ახალგაზრდას, მართლაც ბრძენკაცით ძალუძს საიდუმლოს დაცვა. თუ ისევ დავაკვირდებით ამ ეპიზოდს, აღმოჩნდება, რომ ბევამ განსხვავებით მისი წინამორბედი მონადირეებისაგან (ბიბუ - წიკვა) სულ სხვა, ელემენტარული საუფლოს გზით შეძლო დიდ სიბრძნემდე მისვლა, მისთვის უხილავიც ხილულად გაცხადდა, იგი უკვე თავადაა დიდი საიდუმლოს მატარებელი. მას, როგორც ბრძენკაცს, მთელი სოფელი უფრთხილდება, გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა ნადირობიდან დაბრუნებულ ბევას მთელი სოფელი სალაშქროდ წასული დახვდება. მათ დაიბარეს, რომ ბევა ნუ წამოვა, მას ისედაც თანაბრად ვუწილადებთ ყველაფერსო... ბაბუა ბევას ბიოგრაფია არის კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე, სიფხიზლე, ჭირთა თმენა და ნების სიმტკიცე, დიდი სიწმინდე და ცთუნებებზე მაღლა დგომაა საჭირო უკვდავებისაკენ მიმავალი ბილიკების საპოვნელად.

ბაბუა ბევას ციკლის გადმოცემების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ღვთიური მალღლი და ბარაქა გადმოსულია შინაურ საქონელზე (ცხენი, ფური, ხბო, ბატკანი). არის კიდევ ერთი სვანური ზნე-ჩვეულება: „ფური და მისი მოვლა“. აქ ასეთი ეპიზოდი დასტურდება: „ზოგი ფური ან ხარი ისეთი გამოდის, რომ დღე და ღამე ყოველთვის ზმუილი სჩვევია. ასეთი ფური ან ხარი ბედნიერი ჰგონიათ და უხარი-ათ, რომ ასეთი საქონელი ჰყავთ. ამას ბედნიერი მყოფობა აქვს სახლში და მას არ გაყიდნიან, არც ღრმა სიბერემდე დაკლავენ. მოზმუილე ფურს თვალი უღვეს მუცელში და ამიტომ ზმუისო და სახლში ყველაფერი კარგია მოსალოდნელი. თვალისანი ფურის სამყოფ-სადგომ სახლში არა მარტო მისი, არამედ სხვა ძროხების მონაწველიც ბარაქიანი არისო და ასევე საქონლის გამრავლების მხრივაც კარგია. მუცელში თვალი ზმუისო. თვალისანი საქონელს უხარია, რომ თვალი უღვეს მუცელში“.(შანიძე, 1958:266-267).

დამოწმებული ეპიზოდი მრავალმხრივ საინტერესოა. საქმე ისაა, რომ თვალის მატარებელ ფურთან ან ხართან დაკავშირებულაა არა მარტო საქონლის სიმრავლე და ბარაქა, არამედ მთელი სახლეულობის ბედი და იღბალი. ასეთ ოჯახზე იტყვიან: ღვთის თვალი ადგას მფარველადო. ზმუილი არაა თვითონ საქონლის ნება. დავაკვირდეთ გამოთქმას... ფური კი არა, თვალი ზმუის, რომელიც მუცელშია დავანებული. იგი საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს ხმას, ე.ი. ღვთიური ნაწილია, ბაგასთან ზმუილი იმას ნიშნავს, რომ ბოროტი ძალა, ზრახვა ან თვალი იღვენება, ე.ი. იწმინდება მთელი მიდამო. თვალისანი საქონლის ოჯახში ზამთრობით საკვების ყუათიანობაც მეტია. რწმენის თანახმად, სადაც თვალისანი საქონელი ზმუილით გაივლის ან ძოვს, გზიდან თუ მიდამოდან ყოველგვარი მავნე სული იღვენება, შინაურ საქონელს საშიში ნადირი ახლოსაც ვერ იკარება; ვინაიდან, რწმენის თანახმად, თვალი იცავს ყველასა და ყველაფერს. მტკმელის განმარტებით; ოჯახში, სადაც თვალის მატარებელი ფურია, წველა-დობაც ბარაქიანი და ხარისხიანია. რასაკვირველია, იქ, სადაც ასეთი მადლია დაშვებული, მთელი სახლეულობაა ბედნიერი, თითოეულ წევრს ყველაფერში ხელი ემართება. ამიტომაც, რომ თვალის მატარებელ საქონელს ყველანი კრძალვითა და პატივისცემით ეკიდება. ამის გამოა, რომ ავისიტყვაობასა და წყევლასაც ერიდებიან.

ერთ-ერთ სვანურ ჯგუფს სვანურ ზღაპარში „მზეთუნახავი“. ფურთან დაკავშირებით საინტერესო ეპიზოდი დადასტურდა. მასში აღწერილია სამი ძმის დაოჯახება. მათ ბედის საძიებლად ისრები ისროლეს. უფროსი ძმების ისრები კეისრის სახალის სახურავზე დაეცა, უმცროსისა კი ჭაობში, იქიდან ბაყაყი ამოჰყვა, რომელიც მზეთუნახავია. მეფის ვაჟს შეშურდება და წართმევას მოუნდომებს. ვაჟი გაუძალიანდება, მაშინ კეისრის ვაჟმა დაავალა თორმეტ დღის სახნავი მიწის ერთ დღეში დახვნა დათესვა, მოფარცხვა და მოსავლის ასე აღება, რომ ჰურის მარცვალიც არ დაკარგულიყო, – ბელელში შეეცანა. გლეხის ვაჟმა ყველაფერი გააკეთა. მკის ღროს მზეთუნახავმა ასწავლა; ჩასძახე ჩემ დედ-მამას და ფურს გამოგიგზავნიანო, ისიც ასე მოიქცა. ფურს გვერდი დაგმანული ჰქონდა. გადმოუღო იგი და იმდენი ჭიანჭველა გადმოვიდა, რომ მთელი ყანა დაფარა. მოკრიფეს მარცვალი და ბელელში შეყარეს (ონიანი, 1979:103). მართალია, ამ ეპიზოდში ნაწილზე არაა საუბარი, მაგრამ ფურის მუცელში, რომელიც გვერდიდან არის დაგმანული, ღრმა საიდუმლოებაა საფარველდადებული.

სვანთა რწმენით, თუალის მატარებელი შეიძლება იყოს ქალიცა და კაციც. ქალს მარცხენა ძუძუს თავზე აქვს მანათობელი ვარსკვლავი. თუალის მატარებელ ვაჟზე იტყვიან, რომ კილომეტრშია საგრძობი მისი აღმატებული მომხიბვლელობა. კონკრეტულ შემთხვევაში თუალი მანათობლის, იმავე ლეთიური ნაწილის, ფარდი სიტყვაა. აქ შიგნიდან ნათება იგულისხმება... ქვემოთ განსახილველ ერთ-ერთ გადმოცემაში ვნახავთ, რომ თუალის მატარებელი დალია...

5 ნადირობა.

გარეულ ნადირობა, კერძოდ, არჩვის, ნაწილიანობაზე საინტერესო გადმოცემა არსებობს: „ზოგიერთ არჩვს ოთხი ყური აქვს, ოთხყურიან არჩვს თუალი აქვს. თუალი ან გულღვიძლში უდევს, ან მაჭიკშიო. ვინც არჩვის თვალს იპოვის, იხვედრებს, სადაც არ უნდა წავიდეს სანადიროდ, არჩვებს გამოუღველად მოიკარგებსო. ოთხყურიანი არჩვის ტყავი ვისაც ექნება, მას არჩვები არ გაურბიანო.

ლაშხეთში ყოფილა ერთი მონადირე და მას ჰქონია ოთხყურიანი არჩვის ტყავი. რომელ მხარესაც არ უნდა წასულიყო, არჩვები

ნაბიჯს არ გადადგამდნენ, უჩერდებოდნენ და ბევრსაც ხოცავდა. რომელი მონადირეც იქნება ბედნიერი, სწორედ ის იხვედრებს ოთხყურა და თუალის მატარებელ არჩევს მოსაკლავად. იმის დამხმარე არის ყურ-ანგელოზ ბერ შიშვლიშ და გოგბედნიერი.

ლაშხეთის ზემო მიდამოს უწოდებენ გედუს. იქ არის ისეთი წიფლის ხე, რომ იმხელა წიფელი ცის ქვეშ არსადაა და მას უწოდებენ მონადირთა წიფლის ბერს. ვინც იმ მხარეს მიდის სანადიროდ, ყოველთვის ევედრებიან ნადირობის შემწე იმ წიფელს, წიფლის ბერს და მასზე ტოვებენ რიტუალურ ტაბლებს, კლდის მარილის ნატეხს ან სანთელს და მარილის ნატეხს უკმევენ წიფლის ხის ქვეშ ნადირობის შემწე ანგელოზს...

გარდაცვლილი მონადირის სული ყოველთვის სანადირო ადგილებში ტრიალებს და კარგი მონადირე, როდესაც მოინადირებს, შიგნეულს უტოვებს წიორს, ამის შემდეგ მისთვის შეწვავს გულ-ღვიძლის მწვადს და ცოტა ხნით მწვადს გვერდზე გადადებს მონადირეთა სულის სახსენებლად (ონიანი, 1979:18).

ამ გადმოცემაში ბევრია ახალი სამონადირეო ცხოვრებისა და ისტორიისათვის. პირველი და უმთავრესი ისაა, რომ „თუალი“, ანუ ღვთიური ნაწილი, არჩვის გულ-ღვიძლშია, ე.ი. ცენტრალურ ორგანოში, სხვა შემთხვევაში თირკმელშია ან ნეკნში. თითოეულ ორგანოსთან ღრმა საკრალურობაა დაკავშირებული. როგორც გადმოცემიდან ირკვევა, ოთხყურა არჩვის ტყავსაც განსაკუთრებული იდუმალეობა ახლავს. ვისაც ის აქვს, არჩვები არ გაურბიან. ე.ი. ორივეს თუალსაც და ტყავსაც ღვთიური ძალის გამოვლინება აქვს. შინაური ცხოველებიდან ოთხყურა ცხვარიც ღვთიური ძალის მფლობელადაა მიჩნეული. დევებთან მებრძოლი იახსარი ამბობს, რომ ერთ-ერთი „ძალიანი“ დევი გამომივარდა, „საგმირო გამავიძალდეო“, დევი კლდეს მოფარვოდა:

„კლდე ოთხად დავანაფოტე, დევს გამავსთხარე თვალიო,
კარგად სცოდნიყვეს ოხერსა აბუდელაურ ტბანიო,
დევი ჩაკიდა მორევში, მე ჩავყვე იახსარიო,
ჩავედა-დ ვეღარ ამოვედ, სისხლზედ ჩამებნის მხარნიო.
აიყვანეს და დამიკლეს: იახსარ, ახსენ მხარნიო,

შამაგვედ ბროლის ქვაზედა, შამაგიჭუჭკენ თბენიო“.(ჩიქოვა-
ნი, 1972:320)

როგორც ვხედავთ, ოთხყურა არჩვისა და ოთხყურა ცხვართან
ზეზუნებრიობაა დაკავშირებული. იახსარი ღვთის შვილია და, უნდა
ვივარაუდოთ, რომ აბუდელაურის ტბაში ჩასული ბოროტ ძალას ებ-
რძვის და ამარცხებს კიდევ, მაგრამ ღვევის სისხლმა ამოსასვლელი
გზა გადაუკეტა. რამდენიმე წლის შემდეგ (ვარიანტებში სხვადასხვა
წლებია დასახლებული, ექვსი, ცხრა, ოთხი და სხვა) მხოლოდ ოთ-
ხყურა ცხერის სისხლმა შეძლო ტბის გაწმენდა და იახსარიც ამოდის
სამზეოზე... კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა რიც-
ხვი ოთხი, ფიზიკური სამყაროს ოთხივე კუთხის ერთიანობის სიმბო-
ლო. ამ აზრით საყურადღებოა „ამირანიანის“ ერთ-ერთი სვანური ვა-
რიანტი, სადაც „ხარის ტყავში ჩასმული ამირანი მოძრაობს: აღმო-
საველეთით (სვანურად ლეჟა), დასაველეთისკენ (ლექვა), ჩრდილოე-
თისკენ (ჟიბო), სამხრეთისკენ (ჩუბო). აქაც სიმბოლურად ოთხივე
კუთხის ერთიანობაა მოაზრებული. გადმოცემაში რიცხვ ოთხთან ერ-
თად საინტერესოა არჩვის ტყავი და თუალი. აქედან აქცენტები გადატა-
ნილია ტყავის ღვთიურ თვისებრიობაზე. ვისაც ის აქვს, არჩვები არ
გაურბიან, მაგრამ ამგვარი ოთხყურა და თუალის მატარებელი არჩვის
მოკარგვა ყველას როდი შეუძლია. იგი მხოლოდ ბედნიერი მონადი-
რის ხვედრია. ასეთი კი ლაშხეთის თემში მხოლოდ ერთი ყოფილა,
სწორედ მას არ გაურბოდნენ არჩვები. ამიტომ ბევრსაც კლავდა ოთ-
ხყურა არჩვის ტყავის მფლობელი მონადირე, მთქმელის სიტყვებით:
ბევრს ზოცავდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ არა განსაზღვრულ-
ზე მეტს... ძალზე საინტერესოა, რომ, ზემოთ განხილული ნაწარმოე-
ბების მიხედვით, ის მონადირეა ილბლიანი ნადირობაში, ვინც ჯიხვისა
და არჩვის წიაღში დავანებული ღვთიური ნაწილის მფლობელია. გან-
სახილველ გადმოცემაში კი მნიშვნელოვან თავისებურებასთან გვაქვს
საქმე, ვინც „მოიკარგავს“ ოთხყურა, თვალის მატარებელ არჩვს (თუ-
ალი გულღვიძლშია დავანებული), ისაა ბედნიერი. ე.ი. მთავარი არაა
მარტო არჩვის გულ-ღვიძლში დავანებული თუალი, არამედ ტყავიც.
ორივესთან სვებედია დაკავშირებული. ესეც განსხვავებული ელემ-
ენტია სამონადირეო ტრადიციებისათვის. კონკრეტულ შემთხვევაში
ტყავთან წმინდა კოსმიური იდუმალებაცაა დაკავშირებული. ასე, მა-

გალითად: ჩვენ ვიცით, თუ როგორ გადაუმალა რეამ კრონოსს ახლადშობილი ზევსი „ეგეოსის ერთ ტყიან მთაში მღებარე ღრმა გამოქვაბულში. მას თავს დასტრიალებდნენ ნიმფები, ასმევდნენ თხის, ამაღლეთას, რძეს. ზევსს ძალზე უყვარდა ეს თხა. თავად ამაღლთა კი ზევსის ნებით ცად ამაღლდა და იქ მარად მოკიაფე ვარსკვლავად გადაიქცა. იმასაც გადმოგვცემენ, თითქოს მისი ტყავისაგან ზევსმა დაამზადა ფარი—ეგისი და ამიტომ უწოდებენ მას ეგიოქოსს, ანუ ეგისის-მპყრობელს.“ ე.ი. ზევსის ფარზე ამაღლეთას ტყავია გადაკრული, რასაკვირველია, უძლეველობის სიმბოლო... შეიძლება ითქვას, რომ არანაკლებ სირთულესთან გვაქვს საქმე წინამდებარე გადმოცემაში ოთხყურა არჩვის ტყავის სახით. ჩვენ ვისაუბრეთ გარეგნულ პლანში ხილვად ნაწილიან ცხოველებზე, რომ ოქროს რქიანი ჯიხვი იგივე დალია. მას მონადირემ არ უნდა ესროლოს, ხოლო საფერხულო ლექსში „დალი კოჯას ხელღვაჟაღე“, მონადირემ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ჩვენი აზრით, გამოუცდელმა, ესროლა, ტყვია უკან მოუბრუნდა, შუბლში მოხვდა და მკვდარი დაეცა. ჩვენს მიერ დამოწმებულ გადმოცემაში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულია. მთქმელის განმარტებით, ოთხყურა არჩვს თუალი გულღვიძლში უღვეს. აქ ხილვადია მხოლოდ ოთხყურიანობა, იხადება კითხვა. ამ ოთხყურიანი არჩვის ტყავის დანახვაზე რატომ ჩერდებიან არჩვები? ეს მაშინ, როცა მონადირე რამდენიმეს ხოცავს. ამასთანავე, მას, როგორც ნაწილის მფლობელს, ყოველთვის ხელი მოემართება ნადირობაში. ისიც ცხადია, რომ თვალის მატარებელი ოთხყურა არჩვის „მომკარგავი“ თავადაც ღვთის მიერაა ხელღებული. თუმცა ნაწარმოებში ამაზე არაფერია ნათქვამი, მისი ვინაობა იღუმალების ბურუსითაა მოსილი. მთქმელის სიტყვებით: — ლაშხეთში ყოფილა ასეთი არჩვის „მომკარგავი“ მონადირე. სირთულე ისაა, რომ არც მონადირესა და არც მის მფარველ ძალებზე მთქმელი გარკვევით არაფერს გვეუბნება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ლეგენდად დარჩენილ მონადირეზე, რასაკვირველია, ღვთიური ძალები დაუშვებდნენ მადლს თვალის მატარებელ ოთხყურა არჩვის მოსანადირებლად. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ X მონადირეს თავისი საიდუმლო მფარველი ეყოლებოდა. ამ აზრით ორი ფრაზაა განსაკუთრებით საინტერესო: „რომელი მონადირეც იქნება ბედნიერი, სწორედ ის იხვედრებს თვა-

ლის მატარებელ ოთხყურა არჩევს მოსაკლავად. იმის დამხმარე არისო ყერ—ანგელოზი, ბერშიშველიშ და გოგბედნიერი“. როგორც ვხედავთ, მონადირის მფარველი და დამხმარე კონკრეტულ შემთხვევაში არის არა ღალი, არამედ სამი არსება, რაც მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩინა ქართული სამონადირეო ტრადიციებისათვის. აქედან საინტერესოა ყერ—ანგელოზი. ყერ დამოუკიდებელი არსებაცაა. სვანეთში ხშირად იტყვიან გამორჩეულად ლამაზ ქალსა ან ვაჟზე: „ყერს ხაჯეშ“ ყერს ჰგავსო, ამასთანავე, ყერ ძალასაც ნიშნავს - „ლოშჩა ყერ“, ორშაბათის ძალა, მადლი, „ღერთა ყერ“, ღვთის ძალა, მადლი და სხვა. კონკრეტულ შემთხვევაში ყერ—ანგელოზ ნიშნავს ანგელოზის ძალას, რომელიც ეხმარება ისეთ ბედნიერ მონადირეს, რომელიც ლაშხეთში ყოფილა რომელიღაც დროს. ბერშიშველიშ—ს პირველად მიხეილ ჩიქოვანმა მიაქცია ყურადღება და სამართლიანად მიიჩნია მთის შიშველი არეალის, ანუ ალპურის, ბატონ—პატრონად. გოგბედნიერი ახალი პერსონაჟია, მონადირეთა მფარველი. სამივე არსება, მთქმელის შენიშვნით, ეხმარება ბედნიერ მონადირეს თვალის მატარებელ ოთხყურა არჩვის მონადირებაში...

დამოწმებულ ტექსტში ძალზე საინტერესოა წიფლის ხესთან დაკავშირებული მითოსური წარმოდგენები. მთქმელის განმარტებით, იმ სიდიდის წიფლის ხე, რომელიც გედუში დგას, ცისქვეშეთში არსადაა. შეიძლება ამიტომაც უწოდებდნენ მას მონადირეები ბერს წიფლისას. მის ქვეშ სრულდებოდა სამონადირეო რიტუალები, სათელს ანთებდნენ, საკმეველს უკმევედნენ, მონადირეთა შემწე ანგელოზს კი ლოცვას აღუვლენდნენ, ნადირობაში დახმარებას სთხოვდნენ, წასვლისას კი წმინდა კვერებს ტოვებდნან მასზე. უნდა შევნიშნოთ, რომ „ბერ წიფიშ“ და მიდამოს, სადაც ის იდგა, როგორც წმინდა ადგილს, ყველა კრძალვით უვლიდა გვერდს. მასთან მხოლოდ მონადირეები მიდიოდნენ სალოცავად. მიგვაჩნია, რომ ამ მითიურ „ბერ წიფში“ ღვთაებაა განსახიერებული, მისი სამყოფ—სადგომია, როგორც ამას ერთ—ერთ ქვემოთ განსახილველ გადმოცემაში ვნახავთ.

პირველი შემთხვევაა სამონადირეო ყოფიერებასა და ტრადიციებში გარდაცვლილ მონადირეთა პატივსაცემად ჯიხვისა ან არჩვის გულღვიძლის შეწვა და სულის მოხსენიება. იგი ლამაზ ტრადიციად მოჩანს. მართლაც, გარდაცვლილ მონადირეთა სულის მთის წმინდა

ადგილებში მოხსენიება, რწმენის თანახმად, დიდი მადლია. ასეთი რწმენაცაა, გარდაცვლილი მონადირის სული არჩევების ქვეყანაში მიდისო... ამგვარი მოტივები და ეპიზოდები კიდევ უფრო ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენებს სამონადირეო ყოფიერებაზე.

სამონადირეო ტრადიციების სწორად წარმოდგენისათვის საინტერესოა იმის გათვალისწინებაც, რომ მონადირეები მთვარის წმინდა დღეებსაც არჩევენ. ყოველთვის, შენიშნავს მთქმელი, არ შეიძლება სანადიროდ წასვლა. „ბედნიერ დღეებად ცნობენ: ორშაბათს, სამშაბათსა და ხუთშაბათს. ოთხშაბათი და პარასკევი კვიმატანნი დღეებიაო. ამ დღეებში რაიმე საქმეზე წასვლას ან შორეულ მგზავრობას ერიდებიან, ხის მოჭრაც არ შეიძლება, მალე ლპებაო. განსაკუთრებით გამოყოფენ „ცინცხალის“, ანუ მთვარის, მონაცვლე დღეებს. სანამ რვა-ცხრა დღის არ იქნება მთვარე, მანამდე „ცინცხალს“ ეუწოდებთ და ამ დროს არანაირი საქმე არ ვარგა, იგი უქმე დღეებია. როცა სისავსეში შედის მთვარე, მაშინააო ბედნიერი ყოველგვარი ნაქნარ-ნათქვამი. განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და წმიდათაწმიდა დღეებია: ორშაბათი და ხუთშაბათი. ამ დღეებში, როგორც წესი, ცეცხლსაც კი არ გასცემს მოსახლე (იგივე ითქმის შაბათზეც, მაგრამ ამ დღეს სანადიროდ იმიტომ არ მიდის მონადირე, რომ კვირა უქმეა)... ეს კი ძალზე საინტერესოა, ვინაიდან, სვანთა რწმენით, ცეცხლი ადამიანის არსებობის წყაროა, ყოველდღიურობაა და ყოველწუთიერობაც, ურომლისობა არსებობის შეწყვეტასთან ასოცირდება, მისი გაუცემლობა წარმოდგენელია, იგი ადამიანის არსებობის უგულვებელო ყოფა და გაწირვაც. ამიტომაც, რომ, სვანთა რწმენით, ცეცხლი არავის დაემადლება. აი, სწორედ ასეთი რამის გაცემა არ შეიძლება დასახლებულ წმინდა დღეებში: „ხელი მიჰყვებაო, ე.ი. მადლი მიჰყვება. ამ დღეებში ხალხი სტუმრიანობასაც ერიდება...

6 ჯამახარსა

განვიხილოთ მითოსური გადმოცემა „ჯამახარსა“, საინტერესოა რომ ტექსტში არაფერია ნათქვამი ჯამახარსას, ბავშვობაზე,

მშობლებზე, მხოლოდ ისაა ნაუწყები, რომ ერთი ობოლი ბავშვია, მონათლეს და ჯამახერსა უწოდეს. მთქმელის შენიშვნით: (ერთმა) დედამ (ბებია) აიღო თავისი ქმრის სანადირო იარაღები და გადასცა ამ ბაღს (და უთხრა): — ჯერ მარტო ცამეტი წლისაა იგი. სანამ თერამეტ წლამდე მიაღწიოს, მანამდე მხოლოდ ამათ ჰკიდოს თვალი და შემდეგ მას იღბალი ექნებაო. სიარულიო (=ნადირობა) დაიწყევო. ორჯერო გაბრუნდები, კარგი მგზავრობა ექნებაო. მესამედო, რაც არ უნდა ნახოს, არ გაიკვიროსო.

გაიზარდა და ორჯერ გავიდა სანადიროდ და კარგი მგზავრობა ჰქონდა. მესამედ გავიდა და ორი არჩვი მოიკარგა. დაბრუნდა შინ და დაღამებულია. მიაღგა საკუთარ ბინას და შიგნიდან ლაპარაკი ესმის და ასე შევიდა ფაცხაში და არავინ დახვდა შინ.

ჯამახერსას საპირისწამლეში კვარი ჰქონდა ჩაჩრილი, ანთო და ამდამ აქ არის. მეორე დღეს ადგა გათენებისას. გადაწყვიტა სანადიროდ წასვლა. ამ დროს კარებში კაცი შეხვდა. ამან „დილა მშვიდბისა“ უთხრა — სამი დღე იაროსო სანადიროდ და, თუ რამე გაიგონოსო, არ გაუკვირდესო.

ორი დღე გავიდა, მესამედ კლდეში დაულამდა და დაეძინა. გამოიღვიძა და იქ კი არ იყო, სადაც იწვა, არამედ კარგ ბინაში გამოიღვიძა. გაიხვდა და საწოლზე წავს გასათხოვარი ქალიშვილი და ეს ელაპარაკება. მის ბედზე იგი ორჯერ არის გამოღვიძებული, ახლა სანადიროდ გავიდესო, თუ შესაბრალო (საცოდავი) ხმა შემოგესმას, იქითკენ გავიდესო.

მეორე დღეს გავიდა სანადიროდ და არჩვი მოიკარგა. მოკლული ეგონა და მაინც მიდის ეს სულდგმული. მისდევს და კლდის ნაპრალისკენ ჩასასვლელს მიადგა. აქ არჩვს თვალი მოჰკრა, გაბედნიერებულია. ხელის მოკიდება დააპირა, ამ დროს (ასე) კლდიდან მოთქმა (ჩივილი) მოესმა. არჩვს თავი დაანება, თოფი მოიმარჯვა და ხმისკენ გაემართა. შევიდა შიგ და კლდეში დალი მშობიარობს, გადმოსულია საწოლიდან და კლდეს არის მოჭიდებული, მშველელი არავინა ჰყავს. ეს რომ დაინახა, შეშინდა და უკან დაბრუნდა, წამოვიდა, ამან კი აქედან მიაწვდინა. — აჰა, — კარგო ჭაბუკო, რატომ ტოვებსო? მასო უპატრონობის (უსაშველობის) გამო აქვსო ასე. კვდებაო და უკან დაბრუნდეს, სირცხვილი არ აქვსო?

ახლა გაახსენდა დანაბარები, შებრუნდა და საწოლზე დააწვინა დალი. დალმა უთხრა; ერთი მაგრად დაიყვირე. კაცის ხმა კარგია, შეება არისო.

ახლა ჯამახერსა მიდის და დალმა უთხრა: რაც არ უნდა იყოს, მისი ტანსაცმლიდან რაღაცა დაუტოვოსო.

ვაჟმა პერანგი გაიძრო, თვითონაც უყურებდა, რომ ეს პერანგი დალმა ჩააცვა თავის შვილს.

უყურებს დალი ამის მშვილდ-ისარს და: — ესო მის დედას ნახული აქვსო. იგიო მოშორებით გავიდექს და მშვილდ-ისარი მას დაუტოვოსო აქ.

ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და ისევ შემობრუნდა, ჯიხვის ძვალი (სვანურად „ჯუღღ“) წამოცმული დაუხვდა მშვილდ-ისარზე.

არჩვი გაატყავა და შინ დაბრუნდა, არავინ დახვედრია. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ერთი მონადირე და საუბრობენ. ჯამახერსა შეეკითხა: — რა ჰქვიაო მას?

— მასო ნაჰაჯი ჰქვია.

ჯამახერსამ უთხრა და: — მასო ამხანაგები ახლავს იმდენი, რომ ამალამ მათ ვიწროდ ყოფნა ელითო.

ნაჰაჯმა გაიკვირა, შეიცხადა და წავიდა.

ცოტა ხანი მარტოა გასული და ამასთან მოვიდა ერთი ქალი. ამან მოუშადა ბარგი და „ჯუღღი“ დაუნახა, მაშინ კი გასაცინარი გაუსკდა და უთხრა: — მასო ამის და ამის საჩუქარი აქვსო და სანამდე იქნება, მანამდე ექნება ნადირობაში იღბალიო. ახლა მას ესტუმრებაო, იმას დაეხმაროსო.

ახლა ამასთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ვაჟი. გამართეს საუბარი და სტუმარმა უამბო და: მისთვისო ერთ ბებერ ქალს უსაყვედურია, რომ მისი ორი ძმა დევს დაულუპია, და იქ ივარგოსო.

ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ დაეხმარა ჯამახერსა ახალგაზრდა ვაჟს ძმების მოძებნასა და განთავისუფლებაში “სვანური პროზაული ტექსტები, ბალსქვემოური კილო (დავითიანი, 1957:12) .

ასეთია ამ საინტერესო გადმოცემის შინაარსი. მართალია, ამონაწერი ვრცელია, მაგრამ გმირის სულიერი განვითარების გზები და საფეხურები ისე თანმიმდევრულადაა დალაგებული და გადასული

ერთიმეორეში აბზაცებით, რომ მათი არამცთუ გამოტოვება, შემოკლებაც შეუძლებელია. დავსძენთ, რომ თითოეულ აბზაცს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს. შესავალი ნაწილი საკმარისად უჩვეულოა და ბუნდოვანი. არაფერი ვიცით ჯამახერსას ჩამომავლობაზე, ბავშვობასა და აღზრდაზე, ასევე ნათლიებზე. მხოლოდ იმაზეა მინიშნება და ისიც ვაკვრით, რომ „სადღაც არის ობოლი ბაღლი“. შესავლიდან ვიგებთ, რომ ჯამახერსას ნათესავთაგან ცოცხალი არავინ ჰყავს, იგი ეულადაა დარჩენილი. ჩანს, საძმოში დიდი ტრაგედია დატრიალებულა, რომლის ბოლო იმედი, მემკვიდრე, ჯამახერსა არის... გადარჩენილია მხოლოდ მოხუცი დადა (ბებია), მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ იგი ჯამახერსას ბებიაა, ვინაიდან ნაწარმოებში მხოლოდ იმაზეა მინიშნება, რომ ეს ობოლი ბავშვი მონათლეს, და ჯამახერსა უწოდეს. ვინ მონათლა ან მოანათვლინა, არაა ცნობილი. მხოლოდ მესამე ფრაზიდან ვიგებთ, რომ „(ერთმა) დადამ აიღო თავისი ქმრის სანადირო იარაღები და გადასცა ამ ბავშვს (და უთხრა): ჯერო ცამეტი წლისლა არისო იგი. სანამ თვრამეტისა გახდებოდე, მარტო ამათზე გეჭიროს თვალი და მას იღბალი ელისო. სიარულსო (=ნადირობსო) რომ დაიწყებ“. როგორც ვხედავთ, კონკრეტულ შემთხვევაში და საერთოდაც, როცა იტყვიან ახალგაზრდაზე „ლიზელალ ენბინე“ სიარული დაიწყოს, იგულისხმება არა ფიზიკური გადაადგილების უნარი, არამედ ნადირობის დაწყება, ასე ამბობენ ოჯახის წევრები, სანამ ნამდვილი მონადირე დადგება. შემდეგ კი ერთგვარი სიამაყითაც იტყვიან, ითხვიარ=ნადირობსო). ორჯერ გაბრუნდება და კარგი მგზავრობა ექნებაო. მესამედ კი არ გაიკვიროს, რაც არ უნდა ნახოსო – ამდენად, მოხუცი დადა, სევანურად „ხოშა დადა“, უფროსი დადა, მას შეიძლება დიდი დედაც ეწოდოს, ჯამახერსას ცხოვრების გზაზე, ბედისმწერალივითაა წარმოდგენილი, საინტერესო ისაა, რომ დამოწმებულ ფრაზებში, ანუ დადას სიტყვებში, არაფერია დაკონკრეტებული, თუ რა წინააღმდეგობები შეხვდება ჯამახერსას ან როგორ მოიქცეს, ე.ი. ახსნა—განმარტებებისაგან თავისუფალია. შესავალი რთული გასაზრებელია. აქ თითოეულ სიტყვასა, თუ გამოთქმას თავისი ქვეტექსტი ახლავს. ბოლომდე არაფერია გახსნილი. მეტყველება საკრალურია. მკითხველიც არაჩვეულებრივის მოლოდინშია. გადმოცემა სამონადირო ტრადიციებისათვისაა საინტერესო იგი დალის პრობ-

ლემასაც განსხვავებულად დაგვანახვებს. მარტო იმის გახსენებაც საკმარისია, რომ „ლიზელალე ლიბნე“, სიარულის, ანუ ნადირობის, დაწყება, რამდენად საკრძალავია მისი თქმა. იგი ზედწოდებაა. ეს კი ახალი ელემენტია ნადირობის ისტორიისათვის. ჯამახერსას, როგორც ფოლკლორულ გმირს, ვერ შევადარებთ სამონადირეო ციკლის ვერც ერთ პერსონაჟთან. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი საქმიანობა, პრაქტიკული ქმედებები მთლიანად ნადირობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი პროფესიონალი მონადირეა, რომელმაც უნდა დაიცვას აკრძალვები, ტაბუ. საერთოდ მსგავსი წესების დაცვაზე მინიშნებაც კი არ არის. ჩვენი აზრით, მოქმედება მთლიანად დალთა სამყაროშია გადატანილი, ოღონდ ჯამახერსას რომელიმე კონკრეტულ დალთან კი არ აქვს საქმე, ურთიერთობა, არამედ ამ სამყაროს წარმომადგენლებთან, რომლებიც სხვადასხვაგვარად ეცხადებიან და აძლევენ რჩევა-დარიგებას. როგორც ნაწარმოებიდან ვგებულობთ, პერსონაჟთა მხატვრული სახეები სრული ბუნდოვანებით არის მოცული. ასეთივეა ჯამახერსას გარემოც, მას უცნობი არსებები ეცხადებიან. მისი უშუალო დამხმარე არც ადამიანთა საცხოვრისშია და არც სულიერ სამყაროში. იგი დამოუკიდებელი განვითარების გზას გადის. ნაწარმოებში თვით დადას რჩევა-დარიგებაც ზოგადი მინიშნებებით ამოიწურება, მაგრამ ის კი ივარაუდება, რომ მან ქმრის სანადირო იარაღის გადაცემით თითქმის არსებობაშეწყვეტილი საძმოს ერთადერთ მემკვიდრეს რაღაც დიდი საიდუმლოება გაუმჟღავნა, რომელიც თავად უნდა გახდეს ახალი არსობრიობის დამფუძნებელი. ამიტომაცაა, რომ საგვარეულო იარაღი კარგმა ყმა უნდა აიღოს ხელში. ტრადიციის მიხედვით, ასეთი იარაღი წმინდა რამ არის. მისი ხელის შეხება მხოლოდ რჩეულს შეეძლო. საძმოს ისტორიაში არცთუ იშვიათი იყო ეგრეთ წოდებული „შეჩერებული ღრო“, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოერეოდა გადაშენების საფრთხისა თუ სუსტი მემკვიდრეთა ყოფიერების პერიოდი. ამ შემთხვევაში იარაღი უქმად იღო. იგი ღირსეულის მოსვლას ელოდა. ასეთი ტრადიცია არსებობდა ოჯახებშიც, ამასთანავე, იყო სანათესაო იარაღიც, რომლითაც ყველაზე ღირსეული აღიკაზმებოდა. შურისძიებაც ამ იარაღით ხდებოდა. მისი მატარებელი კაი ყმის ფუნქციები უფრო ფართო იყო, ვიდრე საძმოს იარაღის მატარებლისა. თუ ასეთი

ყმის სახლშიც არ აღმოჩნდებოდა მემკვიდრე, მაშინ იარაღი უბრუნდებოდა იმ პირველს, საიდანაც გაიცა. მასზე იყო დამოკიდებული, თუ ვის შეარჩევდა იარაღის მატარებელ კარგ ყმად. ეს ტრადიცია ამჟერადაც არსებობს. აღწერილი ტრადიცია არის გაცოცხლებული განსახილველ ძეგლში. კონკრეტულ შემთხვევაში დადას მიერ იარაღის გადაცემა სამონადირეო ტრადიციის მემკვიდრეობითობას გულისხმობს, ასევე სხვასაც... მოხუცმა დადამ სწორედ ნადირობაში იღბალი უწინასწარმეტყველა ჯამახერსას... ჩანს, დადა მეთვალყურეობდა მის ბავშვობას და იგრძნო, რომ სწორედ ჯამახერსაზე იყო გადმოსული მადლი ერთ დროს ტაბუდადებული სანადირო იარაღის ტარებისა და საჭიროდ ჩათვალა ცამეტი წლის ჭაბუკისათვის მნიშვნელოვანი საიღუმლო გაემჟღავნებინა, თვრამეტ წლამდე თვალი ეჭიროს იარაღებზე. ასევე რაღაცა არის გაცხადებული სიტყვებში: სანადიროდ გასვლისას ორჯერ კარგი მგზავრობა გექნება, მესამედ არ გაიკვირვოს, რაც არ უნდა ნახოსო“. დამოწმებულ ფრაზაში ყველაზე მეტი დატვირთულობა მოდის სიტყვაზე „ნახოსო“. ტექსტის ანალიზი დაგვარწმუნებს მის მნიშვნელობაში... ქვემოთ კი სმენაზე იქნება ყურადღება შეჩერებული... იგივე ითქმის იარაღის გადაცემის ტრადიციაზე. რასაკვირველია, სიღრმისეულად აქ ტრადიციაზე მეტი რაღაცაა ნაგულისხმევი. კერძოდ, ჯამახერსა თავად უნდა მოგვევლინოს ახალი და მალალი ტრადიციულობის დამფუძნებლად, დამარსებლად. მოხუცი დადას არჩევანი და წინასწარმეტყველება ზუსტი აღმოჩნდა და იგი კეთილდაც აღსრულდა... ამის შემდეგ მოხუცი დადა ქრება მოქმედების არედან და სიუჟეტის განვითარებაში სრულიად ახალი, უცნობი პერსონაჟები, უფრო ზუსტად, არსებები შემოდიან და ისინიც გარკვეული მისიის შესრულების შემდეგ თანდათანობით ქრებიან მოქმედების ასპარეზიდან...

საანალიზოდ წარმოდგენილ ნაწარმოებში საინტერესოა ჯამახერსას მიერ ნადირობის დაწყება. პირველი ორი გასვლა კარგი პქონდა. მესამედ ორი არჩვი მოკლა. გვიან ღამით დაბრუნებულს ბინიდან ლაპარაკი ესმის. შინ შესულს კი არავინ დახვდა. ამ ფრაზაში მთავარი დატვირთვა აქვს სიტყვას „ესმის“, ზემოთ დამოწმებულ ფრაზაში კი „ნახოსო“. ორივე შემთხვევაში ჯამახერსას იმაგინაციური და ინსპირაციული ხილვებია საინტერესო. მთავარი ისაა, რომ მო-

ნადირე სულიერად მომზადებული ჩანს. იგი მოულოდნელობის გამო არ შეშინებულა. ეს ეპიზოდი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ჯამახერსა ფაცხაში მაცხოვრებელია, იგულისხმება სოფლიდან გარეთ (მას სოფელში სახლი არ აქვს). თუ ღრმად ჩაუვკვირდებით ნაწარმოების შინაარსს, აღმოჩნდება, რომ გმირი ადამიანთა საცხოვრისიდან განაპირებულია, მას არც სოფელში ჰყავს ვინმე, თვით სულიერ სფეროშიც მას სხვა მონადირეების მსგავსად არაეინ ჰყავს ჭკუის დამრიგებელი და დამხმარე. იგი ყველგან მარტომყოფია, ამდენად, ის ახალი პერსონაჟია დალის ციკლის მასალებში. მის ბიოგრაფიას ნიუანსობრივადაც კი არ დაეძებნება მსგავსება დალთან ურთიერთობაში მყოფ მონადირეთა თავგადასავლებთან. მასზე სხვადასხვა არსებები ინსპირირებენ და არა რომელიმე კონკრეტული, მაგრამ გმირი (ზე მათი ზრუნვა მოსალოდნელი შემთხვევებისა თუ ფათერაკებთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი მითითებებითა და მინიშნებებით ამოიწურება და არა ახსნა—განმარტებებით, რა უნდა გააკეთოს ან მოიმოქმედოს. გმირი ყოველთვის დამოუკიდებლად დგას არჩევანის წინაშე. იგი თავად უნდა გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში და თავადვე მიიღოს გადაწყვეტილება. ამგვარი დამოუკიდებელი მიმართება გარემოსა და სულიერი ძალებისადმი ერთადერთი და, ამასთანავე, უნიკალური შემთხვევაა სამონადირეო ციკლის ძეგლებში. ამიტომაცაა, რომ ჯამახერსას ვერ დავახასიათებთ სხვა მონადირეთა მსგავსად. იგი მართლაც ორიგინალური მოვლენაა.

ნაწარმოების შემდგომი ეპიზოდიდან ვგებულობთ, რომ დილაადრიან ჯამახერსამ სანადიროდ წასვლა დააპირა და კარებთან უცნობი მამაკაცი შეხვდა, მიესალმა და უთხრა: „სამი დღე იარე სანადიროდ, მესამედ თუ რამე გაიგონო, არ გაიკვიროვ“. ვინაა ეს მამაკაცი, მთქმელი არაფერს გვეუბნება, არაფერი ვიცით გმირის შინაგან განცდებზე, მაგრამ ჯამახერსას ქმედებიდან ირკვევა, რომ იგი ჯერონად ინარჩუნებს სიმშვიდესა და წონასწორობას. ჯამახერსამ უკვე ორ გამოცდას გაუძლო. მესამე გამოცდა უმთავრესია. სანადიროდ წასულმა კლდის ეზში დაიძინა, გამოღვიძებული კი ძალიან კარგ სადგომ—სამყოფში აღმოჩნდა, კარგ სიტუაციაში. საწოლზე ლამაზი, გასათხოვარი ქალი იწვა, სვანურად „სიმაქ“. ამ ქალის ვინაობაც ბუნდოვანია. ეს მესამე გამოცდა ისეთივეა, როგორიც ქვემოთ განსახილ-

ველ ძველშია „მონადირე და დალის ნახვა“, სადაც წიფლის ხის ქვეშ დაძინებულმა მონადირემ ღვთაებათა საუფლოში გაიღვიძა, ასევე ბაბუა ბევას თავგადასავალიდან, რომელმაც ტყეში ხის ქვეშ დაძინებულმა ერთ-ერთ სათიბ მინდორში მღვარი მსხლის ქვეშ გაიღვიძა. გმირები იქაც და კონკრეტულ შემთხვევაშიც ინიციაციის ურთულეს გზას გადიან. თანამიმდევრულად გაყვვეთ ტექსტს. საწოლზე მწოლიარე ლამაზი ქალი ეუბნება ჯამახერსას: „მის ბედზე იგიო ორჯერ არის გამოღვიძებული და დაარიაგა: სანადიროდ რომ გახვალ, თუ შესაწყალებელი, შესაცოდი ხმა გაიგონო (ან მოგესმას), იქ მიდიო“. ვის მიერ შეიძლება იყოს გასათხოვარი ქალი ორჯერ გამოღვიძებული? ვიმეორებთ, კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანთა სამყაროზე საუბარი გამორიცხულია. ჩანს, რომ ამ ლამაზი ქალის სახით უხილავი ძალთა ნება ეცხადება ჯამახერსას. ამიტომაც იგი ორჯერ გამოღვიძებული. თვით გმირის ქმედებასაც უხილავი არსებები წარმართავენ და მეთვალყურეობენ. ჯამახერსა კი სულ სხვა რეგისტრშია წარმოდგენილი. მისი გზა უკვე სულიერ საუფლოებშია გასასვლელი. როგორც აღინიშნა, გმირის თავგადასავალი იმდენად ორიგინალურია, რომ მას ვერ შევადარებთ სამონადირეო ციკლის ვერც ერთ პერსონაჟთან. იგი მთლიანად დამოუკიდებელ თავისთავადობად წარმოგვიდგება. ასეთივეა მისი მიმართება სულიერი სამყაროსადმი. ამიტომაც, რომ იგი განვითარების სხვადასხვა საფეხურს გადის. ერთი შეხედვით, იგი ადამიანური ყოფითი რეალობებიდან შორს დგას, თითქოს მიწიერ საცხოვრისთან უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ სიუჟეტის განვითარება იმგვარია, რომ საბოლოოდ განახლებული ძალით უბრუნდება მონადირე ადამიანურ ყოფიერებას და ყოველგვარი დამხმარე ძალების გარეშე, დამოუკიდებლად ახერხებს ბოროტ ძალებზე გამარჯვებას. გასახსენებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - სანადიროდ გასულმა არჩვი მოიკარგა. მოკლული ეგონა, მაგრამ დაჭრილი წამოდგა და მიდიოდა. ჯამახერსამ სდია და „კლდის ნაპრალოთან გაბედნიერებული, ე.ი. მოკლული, სვანურად „ლებნერი“ დახვდა. ზემოგანხილული მასალებიდან ვიცით, რომ მონადირეები მოკლულ ჯიხვზე ან არჩვზე იტყოდნენ: მოკარგული, დაბრძანებული. განსახილველი ტექსტის მიხედვით იგი გაბედნიერებულად არის წოდებული. როგორც ნაწარმოებიდან ვიცით, კლდის ნაპრალიდან ჯამახერსას გან-

წირულის ხმა მოესმა, თოფმომარჯვებული იქითკენ გაემართა და მოულოდნელად მშობიარე დალის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც სიმწრისაგან კლდის ლოდს იყო მოჭიდებული. ჯამახერსა შეშინდა და უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ გაახსენდა ლამაზი ქალის დარიგება – დალის თხოვნა, დარჩენილიყო, ჯამახერსამ მშობიარე დალი საწოლზე დააწვინა. ეს ეპიზოდი ძალზე საინტერესოა. გავიხსენოთ ტრადიცია, რომ ჭეშმარიტმა მონადირემ დაჭრილ ნადირს ბოლომდე უნდა სდიოს და შეიძლება დიდ საიდუმლოებამდე მივიდეს. ზემოთ ვნახეთ, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ამ გზით მონადირემ უკვდავების წამალი „მუმიო“. ჯამახერსაც ასეთსავე ბედს ეწევა დალთან შეხვედრითა და მისადმი დახმარებით. იგი ნადირობაში სვებედის მატარებელი საჩუქრის მფლობელი გახდება. ამ შეხვედრაში ბევრი რამ არის საინტერესო: პირველ ყოვლისა, დალის სიტყვები: „რაც არ უნდა იყოს, ტანისამოსიდან რაღაცა დამიტოვეო. ჯამახერსამ პერანგი გაიძრო. დალმა მაშინვე ჩააცვა თავის შვილს“, ე.ი. ახლადშობილი თვრამეტი წლის ვაჟაკის, ან მეტისაც ალბათ, პერანგის ჩამცმელია. აქ შეიძლება გვესაუბრა მხატვრულ პირობითობაზე, ფანტაზიურობაზე, მაგრამ მოქმედება ღვთიურ სამყაროშია გადატანილი, სადაც სულ სხვა რამ მოიაზრება. ამიტომ იგი უკომენტაროდ უნდა დავტოვოთ. ფაქტი კი საინტერესოა, რომ უკვდავი მოკვდავის ტანსაცმლით იმოსება, ე.ი. აქ ადამიანურთან მოახლოებაა. ამგვარ გაშინაურებულ ურთიერთობას კარგი გაგრძელება აქვს: ამ დროს დალმა თვალი ჰკიდა ჯამახერსას მშვილდ-ისარს და თქვა: „ესო დედამისს უნახავსო“, ამდენად, მასაც. საინტერესოა ისიც, რომ მშობიარე დალი ერთ-ერთია დალთა სამყაროდან, რომელსაც დედა ჰყავს. ეს შეხვედრა სხვა მხრივაც საყურადღებოა. ირკვევა, რომ ჯამახერსას წინაპრები სახელგანთქმული მონადირეები იყვნენ, იმ დონისა, რომ მათ მიერ მემკვიდრეობით ნაანდერბევი მშვილდ-ისარი, რომლის მპყრობელიც ამჯერად თავად არის, კარგადაა ცნობილი დალთა სამყაროსათვის. აქედან გამომდინარე, საინტერესო რამ იკვეთება, რომელიც ისევ იარაღის გადაცემის ტრადიციას უკავშირდება. კერძოდ, საგვარეულო და საოჯახო იარაღის მემკვიდრეობითობა, რომელიც კაი ყმის ხელში გადადის, აშკარაა, მართალია, მაგრამ იგი იმავდროულად კარგ მონადირეობასაც გულისხმობს. მსგავსი მაგალითები საკმარისადაა სვანურ ზეპირ-

სიტყვიერებასა და ზნე-ჩვეულებებში. მაგრამ მაინც მკვეთრად გასამიჯნავია. პირველ შემთხვევაში კი ყმის უმთავრესი და უპირველესი საზრუნავი საძმოს, ფართო გაგებით საზოგადოების, ინტერესების დაცვაა, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაა, მაგრამ, ცხადია, რომ იგი არაა პროფესიული მონადირე. შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტ მონადირედ აღამიანი იბადება ისევე, როგორც მთამსვლელად. რასაკვირველია, იგივე ითქმის კაი ყმაზე. მხოლოდ წვრთნითა და ჩვეულებრივი ნადირობით, რომელსაც უკვე გართობითი ხასიათიც აქვს, პროფესიულ მონადირედ ვერ ჩამოყალიბდება აღამიანი. პროფესიული მონადირის ბუნება, თვისება გარემოსა და ცხოველთა სამყაროს იღუმალებთა ღრმა და ფაქიზ შეგრძნებასზეა დაფუძნებული. როგორც ითქვა, ჭეშმარიტი მონადირე ორივე სამყაროს საიდუმლოებათა ყველაზე ღიღი და საფუძვლიანი მცოდნეა. იგი სულ სხვაგვარ სულიერ მემკვიდრეობაზეა დაქვემდებარებული, კაი ყმისა კი სხვაზე... მათ ბევრი რამ აერთიანებს, მაგრამ განსხვავებაც პრინციპულია. პროფესიული მონადირე აღამიანთა ზოცვას კი არა, წყენასაც ერიდება. ორივესათვის საერთოა იარაღის ღირსეულისათვის გადაცემა. ჩვენი აზრით, სამონადირეო იარაღის მემკვიდრეობით გადაცემა ძირითადად ნადირობისათვის გამოყენებას გულისხმობდა და კარგი პატრონის გარდაცვალების შემდეგ, თუ მონადირეთა წრეში გამოჩნდებოდა ღირსეული, იარაღიც მის ხელში აღმოჩნდებოდა. რასაკვირველია, თემის, ხალხის ინტერესების დაცვა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლა თავისთავად იგულისხმება...

დალთან შეხვედრაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჯამახერსას ცხოვრებაში, „ქალღმერთი ეტყვის: მშვილდ-ნისარი დატოვოს, თავად მოშორებით გავიდესო. ორი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული და უკანმობრუნებულმა დაინახა, რომ „ღვამამ უღღ“ ჯიხვის ძვალი მშვილდ-ნისარზე იყო წამოცმული, მობმული. სწორედ ეს „უღღ“ არის ღვთიური ნაწილი ჯიხვისა. მისი მფლობელი ნადირობიდან ხელმოკარული არასოდეს ბრუნდება. ამდენად, ჯამახერსაშიც მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება, იგი უკვე „უღღის“ მატარებელია, მფლობელი, ასეთი სახელწოდებაც ახალია მონადირული ყოფიერებისათვის. იგი დალის მიერ ბოძებული საჩუქარია, როგორც მძივი, თვალი და სხვა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დალს არ გაუფ-

როზნილებია ჯამახერსა საიდუმლოს შენახვაზე, ალბათ, არც იყო საჭირო, ვინაიდან გმირი შესამედ გადის ინიციაციის რთულსა და გადამწყვეტ საფეხურს. ამიტომ აღარ იყო საჭირო ჯამახერსასათვის იმის თქმა, თუ როგორ შეენახა „ჯუღვი“. ამ აზრითაც იგი გამოირჩევა დალის ციკლის და საერთოდ სამონადირეო ეპოსის პერსონაჟებისაგან. ამის შემდეგ მოთხრობილია ჯამახერსას შინ დაბრუნება, ვიღაც უცნობი მონადირის სტუმრობა, რომელსაც ნაჰაჯი ჰქვია. როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა, მათი შეხვედრა უცნაურად მთავრდება... ნაჰაჯმა რაღაც გაკვირვება გამოხატა, ასევე გაკვირვებით შესძახა და წავიდა. რას უნდა ნიშნავდეს ასეთი გამოუცნობი შეხვედრა, რა მიზანს ისახავს ან რა ადგილი შეიძლება დაიკავოს მან სიუჟეტის განვითარებაში და ასევე ზოგადად დალის ციკლის მასალებში, გაურკვეველი რჩება.

საანალიზოდ წარმოდგენილ ძეგლში ჯამახერსას თავგადასავლების გზაზე განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ქალი-არსებები. უკვე შესამედ ჩნდება ქალი-არსება – ნაჰაჯის წასვლის შემდეგ. მან ჯამახერსას იარაღი გაუმზადა, როცა „ჯუღვი“ ნახა „ლაცვ ოთხბარ“, სიცილის ორგანო გაუსკდა (იგულისხმა თავშეუკავებელი სიცილი) და უთხრა: „მასო ესა და ეს საჩუქარი აქესო—და სანამდეც იცოცხლებს, მანამდე ექნება იღბალი ნადირობაშიო. ახლა შენ გესტუმრება, – იმას დაეხმარეო“. როგორც ყოველ სხვა პერსონაჟზე, მთქმელი ამ ქალზეც არაფერს გვეუბნება. ცხადი ისაა, რომ იგი არ არის ადამიანთა საცხოვრისიდან. მან დაინახა თუ არა „ჯუღვი“, გაიცინა და აუხსნა ჯამახერსას მისი ძალა და მნიშვნელობა. ე.ი. მან ზედმიწევნით კარგად იცის მონადირული ყოფიერება და, ამასთანავე დალის საჩუქრის საიდუმლოც. ამდენად, სავარაუდოა, რომ იგი დალთა საუფლოდან იყოს მოსული ჯამახერსას შემწედ, გზის გამკვალავად, ჩანს, რომ X ქალი არსება ყველაზე ღიდი მისიითაა მოვლენილი, ვინაიდან მისი რჩევა—დარიგება ბოლოა. ამის შემდეგ ჯამახერსას დამხმარე ძალებიდან არავინ გამოცხადდება. ამიტომ ამ მეოთხე გამოცდას შეიძლება დასასრული ვუწოდოთ იმ აზრით, რომ გმირის ცხოვრებაში უკვე სრული გარდატეხა ხდება. ამიერიდან იგი მთლიანად დამოუკიდებლად მოქმედებს, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე ინდივიდუალურობა მკვეთრი და საგრძნობია, მე-

ტი ცნობიერება და მიზანსწრაფულობა თვალში საცემი. ასე, მაგალითად, როდესაც მას ესტუმრა ახალგაზრდა ვაჟი და ძმების უგზო-უკვლოდ დაკარგვა შესჩივლა, ჯამახერსა დაეხმარება. ე.ი. თუ აქამდე თავად საჭიროებდა დახმარებას საკუთარი ცხოვრებისა და ფათერაკიანი თავგადასავლების გზაზე, ვიცით, თუ როგორ აღწევდა მიზანს, ამჯერად თავისთავში ატარებს იმდენ სიბრძნეს, რომ ცნობიერად, ხერხის გამოყენებით იმოქმედოს. ნაწარმოებიდან ვიცით, თუ როგორ გამოიცნო მან დევის ბოროტი ზრახვები და როგორ დაამარცხა იგი. აქ ამირანული ეპიზოდის მსგავსება იჩენს თავს. სიკვდილის პირას მისული დევი ეტყვის ჯამახერსას: „ილლიიდან ჩელტის კარი გააღე და ამაში არიან მისი ძმებიო“. იგულისხმება ის დაღუპული ძმები, რომლებზეც ახალგაზრდა ვაჟმა შესჩივლა. ილლიიდან კი თორმეტი კაცი გამოვიდა, დევის მიერ გადაყლაპული. კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო რამ ცხადდება. ნაწარმოებიდან ვიცით, რომ ჯამახერსა ობოლია: „სადღაც არის ერთი ობოლი ბალლი, მას ნათლავენ და ჯამახერსა უწოდეს“. ამის შემდეგ იწყება გმირის ხილვებითა და ფათერაკებით აღსავსე გზა. მას ირეალური ძალები ეხმარებიან და მეთვალყურეობენ. დევის სიტყვებით კი, ახალგაზრდა ვაჟი და მისი ორი დაღუპული ძმა, რომლებიც დევს გადაუყლაპავს, ჯამახერსას ძმები ყოფილან. გმირმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ნაწარმოების მიხედვით, ვერანაირ წარმოგენას ვერ ვიქმნით ლამაზ, გასათხოვარ ქალწულზე, რომლის სამყაროშიც ჯამახერსა აღმოჩნდა. კლდეში დაძინებულმა მშვენიერების საუფლოში გამოიღვიძა. ვთქვით, რომ გმირმა ინიციაციის რთული გზა გაიარა, მაგრამ ეს გასათხოვარი ქალწული, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ორჯერ არის გამოღვიძებული ჯამახერსას გამო და წინასწარვე აუწყა, თუ რა შემთხვევა სანადიროდ გასულს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საკითხავია, ვის მიერ შეიძლება იყოს იგი გამოღვიძებული? თუ ღრმად დავაკვირდებით ამ ეპიზოდს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ლამაზი იდუმალებით მოსილი ქალწული, რომელზეც ტექსტი არაფერს გვეუბნება, თითქოს რაღაცით მზეთუნახავსაც გვაგონებს, თუმცა იგი განსხვავებულ სულიერ არსობრიობას განეკუთვნება. ირკვევა, რომ ჯამახერსაზე უხილავი არსებები ზრუნავენ, რომლებმაც ორჯერ გამოაღვიძეს გასათხოვარი ქალი, რათა გმირისათვის ეუწყებინა, თუ

რა შემთხვევად სანადიროდ გასულს და არა ის, თუ როგორ მოქცეულიყო (განმარტებითი საუბარი ამ ძეგლშიც არ დასტურდება)...

განსახილველი ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში წამყვანი ქალი არსებები არიან. ისინი ჩვენ დალთა სამყაროს მივაკუთვნეთ. მათ პარალელურად გარკვეული ადგილი უკავიათ კაც-არსებებსაც. იბადება კითხვა, განეკუთვნებიან თუ არა ისინი დალთა სამყაროს, როგორც არსებები? საკითხი რთულია. სამეცნიერო ლიტერატურაში ნადირთპატრონად დალია ცნობილი. მას წმინდა გიორგი შეენაცვლაო. ნახსენებია აფსათიცი, ბერშიშვლიშ და ზოგჯერ ქრისტიანული წმინდანები და ანგელოზიც, მიქაელი. აქ აღარ გამოვუდგებით ჩანაცვლების თეორიებით საუბარს, არც ღელათმთავრული, თუ მათმთავრული საზოგადოებების დახასიათებას. თავად ტექსტიც არ იძლევა ამგვარად მსჯელობის საფუძველს, ვინაიდან სრული გარკვეულობით აქ მხოლოდ მშობიარე დალია წარმოდგენილი, დანარჩენი იდუმალების ბურუსშია გახველი, თვით ადამიანთა საცხოვრისშიც. კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ფრთხილი ვარაუდი გამოითქვას. კერძოდ, ვიცით, რომ დალი ბევრია, ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ (ამაზე გვქონდა საუბარი), ადამიანებს გაურბიან. ცხადია, მათი გამრავლება ადამიანთა საცხოვრისთან კავშირით გამორიცხულია, ვინაიდან ქვემოთ განსახილველ ტექსტში „მონადირე და დალის ნახვა“, რომელიც უკვე მერამდენედ ვახსენეთ, დავრწმუნდებით, რომ დალთა სამყაროში ღვთიურ ქორწინებასთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, კაც-არსებათა მკრთალი, მაგრამ მაინც არსებობა, არ უნდა იყოს შემთხვევითი. თვით „ამირანის“ ერთ-ერთ სვანურ ვარიანტში მონადირე დალთან მოხვდება, მისი ცოლი მძინარე დალს თმებს შეაჭრის, ქალღმერთს სიცოცხლის ნიშანი ერთმევა, კვდება და მონადირეს ეტყვის: მეო, მუცელში ამირანის შვილი მყავს, მას რომ ჩემს მუცელში სამი წელი დასცლოდლა, მისი მომრევი არავინ იჩნებოდაო. მამამისი, ამირანი, სანადიროდ წავიდა და აღარ დაბრუნებულაო“. ამის შემდეგ დალი ეტყვის მონადირეს, რომ ბავშვი ამომარიდლო... ამ ვარიანტის მიხედვით, ამირანის მამა ამირანია, არა ადამიანთა სამყაროს წარმომადგენელი, არამედ სულიერისა. ხომ არაა სავარაუდო, რომ ქალ-არსებათა გვერდით არსებობდნენ კაც-არსებებიც. ყოველშემთხვევაში მათი თანახმიური დამოკიდებულებები, ერთნაირი ზრუნ-

ვა ჯამახერსაზე ამგვარი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა. განსახილველი გადმოცემა, თვისიძეგლიც სინთეზური ფოლკლორული ნაწარმოებია, სადაც მხოლოდ ერთი წყვილის, მონადირისა და დალის, ურთიერთობა კი არაა წარმოდგენილი, არამედ საქმე გვაქვს არსებასთან, რომელთაგან ნაწილი ფარულად, ნაწილი კი გაცხადებულად მოქმედებენ, ზრუნავენ ჯამახერსას სულიერ ზეაღსვლაზე, ოღონდ არამცთუ უხილავ არსებაზე, არამედ ხილულზეც სრული გარკვეულობით არაფერი ვიცით...

ორიოდე სიტყვა „ჯუღზე“, რომელიც დაღმა ჯამახერსას მშვილდ-ისარზე წამოაცვა და აჩუქა. ჯუღვის მფლობელი, როგორც ითქვა, ყოველთვის ხელდამშვენებული ბრუნდება ნადირობიდან. იცოდა თუ არა ჯამახერსამ ჯუღვის ძალა? დაღს არაფერი უთქვამს საჩუქრის მნიშვნელობაზე. ისევ გაეხსენოთ მასთან შეხვედრის ეპიზოდი: დაღმა უთხრა ჯამახერსას: გვერდზე გადიო. აქ საინტერესოა თვით დეტალი, რომ, სანამ ორ ნაბიჯს გადადგამდა, „ჯუღვი ისარზე იყო წამოცმული. ე.ი. გაიფიქრა თუ არა დაღმა, რომ ჯამახერსა დაეჯილდოვებინა სვე-ბედით ნადირობაში, ჯიხვის „ჯუღვი“ მაშინვე ისარზე წამოგებული, მობმული აღმოჩნდა. ე.ი. გაფიქრება და აღსრულება ერთდროულია. ამგვარი შეხვედრისა და დასაჩუქრების ეპიზოდი აღრმავეს და კიდევ უფრო მეტი სიცხადითა და სიმკვეთრით წარმოგვიჩინს დაღის ფუნქციათა მრავალმხრიობას...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტი თითქმის ერთადერთია დაღის ციკლის განხილული და განსახილველი მასალებიდან, სადაც მოქმედება მთლიანად მითოსურ საბურველშია გახვეული. არც ერთი პერსონაჟი, თვით ჯამახერსაც, ამქვეყნიური ცხოვრების წესით არ ცხოვრობს. მათ ქმედებას მხოლოდდამხოლოდ ზებუნებრივი ძალები და არსებები წარმართავენ. სიუჟეტის განვითარების შინაგანი ლოგიკა, გზა, არაჩვეულებრივსა და მოულოდნელ სიტუაციებსა და ქვემდებარებული. თითოეული სტრუქტურული კომპონენტი დამოუკიდებელ თავისთავადობას წარმოადგენს, მნიშვნელოვან საფეხურს გმირის სულიერ-ფიზიკური განვითარების გზაზე, ამასთანავე, თითოეული სტრუქტურული კომპონენტი იმგვარი უხილავი ძაფებითაა ერთიმეორეზე გადახლართული, რომ სიუჟეტის განვითარებაში თითოეული მთლიანიცაა და ნაწი-

ლიც, როგორც ამბობენ, თითოეულს კონკრეტული მნიშვნელობაც აქვს და ზოგადიც. ყოველ საფეხურზე გმირი რაღაც ახალსა და განსხვავებულ იდუმალებას ეზიარება...

ქალღმერთი დალი, მთქმელთა რწმენა—წარმოდგენებით, შეიძლება გამოეცხადოს არა მარტო მისთვის რჩეულ მონადირეს, არამედ რამდენიმე ადამიანს ერთდროულად. როცა ვამბობთ გამოცხადებაზე, მხედველობაში გვაქვს შემდეგი: მხოლოდ ის მონადირე, რომელიც დალთან ინტიმურ ურთიერთობაშია, ხედავს მას. ამიტომ ამგვარი ხილვის არსებობა ძნელი დასაჯერებელია. ყოფილა შემთხვევა, რომ სამუშაოდ წასულ პიროვნებათა მთელი ჯგუფიდან მხოლოდ ერთს, მისთვის სასურველს, ეცხადება დალი, სხვების ფიზიკური თვალი დახშულია ამგვარი ხილვისათვის. ცხადია, აქ არაფერია გასაკვირი. ჩვენ ვიცით ლიტერატურული წყაროებიდან, კერძოდ, ჰომეროსის „ილიადადან და ოდისეადან“, რომ აგამემონონზე განრისხებული აქელევსი იმის ფიქრში იყო, რომ:

„ან უნდა ეძრო ორლესული, წელზე ასხმული,
დამხდურს დასხმოდა, დაცაეკლა აგამემონონი...

ამ დროს ოლიმპოდან ჩამოეშვა ათენა, ქალღმერთ ჰერას ნებით და:

„ღმერთქალი გმირის ქერა კულულს ხელით შეეხო,
მისთვის საჩინო, სხვათათვის კი უჩინო ქმნილი“... (138–68).

(ჰომეროსი, 1958:62)

ე.ი. აქაველთა ლაშქრიდან მხოლოდ აქილევსისათვის იყო ათენა ხილული. ცხადია, ქალღმერთის სიტყვებს მხოლოდ აქილევსი ისმენდა. დანარჩენის ხედვა და სმენა ამგვარი გამოცხადებისათვის დახშული იყო. რასაკვირველია, ჰომეროსთან ხილვის იმაგინაციურსა და ინსპირაციულ ფორმასთან გვაქვს საქმე. აქილევსის შემთხვევაში ეს გასაგებია, ვინაიდან იგი თავად იყო ნახევრადღმერთი. მართალია, მსგავსი ხილვები აქაველთა სხვა რჩეულ გმირებსაც ჰქონდათ, მაგრამ იმ უმწვეველ სიტუაციაში მხოლოდ აქილევსზე გადმოვიდა მაღლი, ე.ი. ხილვა ინდივიდუალურია, მაგრამ არის შემთხვევა, რომ მსგავსი ხილვა, ჩვენება მთელ კოლექტივზეა დაშვებული. აქაც დიფერენცირებაა საჭირო. როცა საუბარია ტროას ომის გმირებზე, რასაკვირველია, მათ ჩვეულებრივ მონადირეს ვერ შევადარებთ, ვინაიდან ძველ ბერძნულ სამყაროში ღმერთები და ადამიანები უწყვეტ კავშირში იყ-

ვნენ ერთიმეორესთან. გმირები აქ ღვთიური ინსპირაციით მოქმედებენ და, ცხადია, ყველაფერი ღვთის გამგებლობას არის დაქვემდებარებული, ღმერთების უშუალო დარიგებითა და მხარდაჭერით აღწევენ საწადელს. თითოეულ გმირს თავისი მისია აკისრია, სხვებისაგან განსხვავებული, ამიტომაც, რომ ღვთიურთან მიმართებაც მკვეთრად ჩამოყალიბებული ორიგინალური თავისებურებებით არის წარმოდგენილი. ასეთები არიან: აქილევსი, ჰექტორი, ოდისევსი, აგამემნონი, აინტი და სხვა. ე.ი. ვიმეორებთ, პიროვნულ-ინდივიდუალური, სხვებისაგან დაფარული გამოცხადებები. სვანურ მითოლოგიაში გასათვალისწინებელია როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური. კერძოდ, ყოფილა შემთხვევა, რომ ახალგაზრდა მომღერალთა წრეს გზაზე შუალამით წინ ცეკვითა და სიმღერით ჩაუქროლებია თეთრ ტანისამოსში მორთულ ულამაზეს ქალწულს, შემდეგ კი სწრაფი ნაბიჯებით ასულა კლდეზე. სწორედ ამგვარ ხილვას ვუწოდებთ კოლექტიურს, ოღონდ არაცნობიერს. სვანეთში დაღზე ამ ტიპის მასალებიც დაიძებნება. რასაკვირველია, მათში მძლავრად არის შეჭრილი მოკვდავისათვის დამახასიათებელი თვისებები, ხოლო ცალკეულ ძეგლებში შეიმჩნევა დალის დაცემის ნიშნებიც.

7. მონადირე და დალის ნახვა

განსახილველი ძეგლი რთული შინაარსისაა: „ყოფილა ერთი მონადირე, სახელად ჰქვია რავაზი. წასულა სანადიროდ. ცხრა მთას გადასულა და იქ დაღამებია. რაზან დაუღამდა, წიფლის ხის ქვეშ ცეცხლი დაუნთია. იმ საღამოს იქ ყოფილა, მთიდან ხმა მოესმა, რომ „მისი სტუმარი გამოიყოლოს და თვითონაც გამოვიდესო“. გაიხსნა წიფელი და იქიდან დალი გადმოეშვა, უთხრა რავაზს: რომ „ე, რავაზ, წავიდეთ“. რავაზმა უთხრა დაღს: „სად გვაქვს წასასვლელიო“ – მის ამხანაგებს დაუძახიათ და წასასვლელი აქვთ იქით, – ქორწილში. ჩემი ფეხის დანადგამზე ფეხს დგამდე: იქ პირველი კათხით მეფესა და დედოფალს დავლოცავ. შემდეგ მეორე კათხით იქ მყოფთ დავლოცავ, მესამე კათხით ყველას (ან ყველაფრის) დასალოცვად დავლევ. შენც ჩემნაირად დაილოცე, შემდეგ ავღებები და წავალთ ჩვენ ნავალზე ნაკვა(ლევზე)“.

ესენი გავიდნენ ქორწილში და შემდეგ შემობრუნდნენ. რავაზი დაწვა და დალი წიფლის ხეში შევიდა. მეორე დღეს მთა არჩევებით იყო სავსე. მაშინ რავაზი სახლისკენ მოდის უკან. ცხრა მთა უკან გამოსასვლელი აქვს, რვა მთა გადმოიარა და არჩევებს თოფი არ ესროლა. მეცხრე მთამდე რომ მივიდა, მახლოდ მაშინ გამოიღო თოფი ბუდიდან და სროლა დაიწყო, ცხრა ჯიხვი მოკლა. ცხრავეს მარჯვენა ყურები დააჭრა, ყაბალახში შეახვია და შინ წამოვიდა, ცოლთან, მოიტანა ყურები, ცოლმა უთხრა: „ისო ცუდი კაცი, ხორცი დაუტოვებია და ყურები მოუტანია!“ გაალო მისმა ცოლმა სკივრი, ამოიღო მათრახი, გადაჰკრა ქმარს, რავაზს, და „ვირად ქცეულხარო!“ - ეს უთხრა. მაშინ ის ვირად იქცა... მთელი სოფელი მას დაატარებდა სამუშაოდ, ყვიროდა, გაგება ადამიანისა ჰქონდა. ცოლმა კიდევ გადაჰკრა მათრახი და იხვად აქცია. რავაზის ცოლის და მენცარი იყო. მან ხელთ იგდო მათრახი, გადაჰკრა იხვს და რავაზად აქცია, ამანაც შური იძია მოლაღატე ცოლსა და ძმაზე“ (დავითიანი, 1957:105).

საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტი მნიშვნელოვნად აფართოებს ჩვენს წარმოდგენებს როგორც კონკრეტულ დაღზე, ასევე დაღთა სამყაროზე. ვიცით, რომ დალი კლდოვან-ყინულოვანი არეალის ბინადარია, გამოქვაბულში მცხოვრები და ზოგჯერ ალპური არეალისაც. ისიც ვიცით, რომ მონადირეთათვის განკუთვნილია სოფლიდან ათვლით ცხრა მთა. იქით კი ღვთაებათა საუფლოა. წინამდებარე ტექსტი კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ რავაზი არ არის სხვათა მსგავსი მონადირე. როგორც შესავლიდან ვიგებთ, სანადიროდ წასული მეათე მთაში გადადის, ე.ი. კაცობრიულ ზღურბლს გადააბიჯა, იქ დაულამდა და წიფლის ხის ქვეშ ცეცხლი დაანთო. გავიხსენოთ, რომ ხალხურში ცხრა მთას იქით გადასული გადაკარგულად ითვლება (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). აქ კი იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ დალის ციკლის მასალებში მეათე მთაში დალის ყანაც არის, სადაც უთვალავი ნადირი ძოვს. მეათე მთა თეთრ მთადაც არის წოდებული. კონკრეტულ შემთხვევაში კი ამ არეალში ტყვა. ე.ი. ადამიანის ყოფით რეალიებთან მიმსგავსებული გარემოა. აქ გაღწევა მოკვდავთაგან მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ასეთი კი რავაზია... ჩვენ ვთქვით, რომ ადამიანთათვის განკუთვნილი ტყის მასივი კეთილ და ბოროტ ძალთა საუფლოა, რომ ტყეს თავისი მფარველი ანგელოზი

პყავს, სვანურად „ცხეკი ანგელოზ“, ტყის ანგელოზი. ითქვა, რომ ამ არეალში დალის უფლებამოსილება არ ვრცელდება, მაგრამ არც ტყის ანგელოზს აქვს დალივით ჩამოყალიბებული ბუნება და ფუნქციები. ამიტომაც არის, რომ მასზე არანაირი ლექს-სიმღერები და გადმოცემები არ მოგვეპოვება — ტყე გმირთა გამოსაცდელია. აქ რომელიმე ძალის სრული ბატონობა შეუძლებელია, ვინაიდან იგი თავადაა კეთილ და ბოროტ ძალთა ბრძოლის ასპარეზი. ერთ-ერთი სვანური ვარიანტის მიხედვით, უდაბურ ტყეში გზააბნეული ამირანი მალლა ღმერთს შესთხოვს დახმარებას და არა ტყის ანგელოზს. ერთობ განსხვავებული სიტუაციაა კონკრეტულ შემთხვევაში. მართალია, მეათე მთაში ტყეა, მაგრამ იგი მთლიანად ღვთიური საუფლოა, ამიტომ ბუნებრივია, რომ აქ მიმდინარე პროცესები არაა ანალოგიური ფიზიკური სამყაროსი, ყველაფერი სულ სხვაგვარ კანონზომიერებებზეა დაქვემდებარებული. ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილ არეალებში თუ მსგავსი რამ შეემთხვეოდა მონადირეს, მაშინ იგი დალის საბინადრო ადგილებს ლოცვითა და კრძალვით აუვლიდა გვერდს და, თუ მაინც მოხვდებოდა, ისიც დალთა ნებართვით... ამდენად, განსახილველი ეპიზოდის სახით, ანუ იმავე შესავალის მიხედვით, საქმე გვაქვს მნიშვნელოვან სპეციფიკურ მოვლენასთან. რასაკვირველია, მონადირე რავაზმა ინიციაციის რთული გზა გაიარა. ასეთი რამ ხშირია ჩვენ მიერ მოტანილ მასალებში. მოქმედება მიმდინარეობს მეათე მთაში. რავაზს დალთა ლაშქარიდან ხმა ესმის: „შენც წამოდი და შენი სტუმარიც წამოიყვანე: როგორც შინაარსიდან ვიცით, წიფლის ხე გაიხსნება, იქიდან დალი გადმოუშვა და რავაზს აუწყებს ქორწილში წასვლას. მოხმობილ ფრაგმენტში დალისა და მონადირის ურთიერთობა სრულიად სხვანაირია, ვიდრე ტრადიციულ ძეგლებში... აქ განსაკუთრებით ის არის ნიშანდობლივი, რომ რავაზს, რომელიც არ არის სხვათა მსგავსი მონადირე, უმაღლეს სიწმინდეებთან, საუფლოებთან მიესვლება, კერძოდ, დალთა ქორწილში. ისიც ცხადია, რომ რავაზის მიერ წიფლის ხის ქვეშ ღამის გათევა წინასწარვეა ცნობილი დალთა ლაშქრისათვის. დალები ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად, ზოგჯერ კი ცალკე, თითოეულად, სხვადასხვა საუფლო ადგილას არიან განლაგებული. მათ ერთმანეთის ყველაფერი იციან. ასე რომ, ფიზიკური სამყაროს მსგავს მოულოდნელობასა თუ შემთხვევითობასთან

არ გვაქვს საქმე. თვით მეთათე მთაში ბინადარი დალიც განსხვავებული თვისობრიობაა, ვიდრე ფიზიკურ სამყაროში, კერძოდ, კლდოვან-ყინულოვან არეალში მობინადრე დალთან შედარებით, რომელთანაც მონადირე ზოგჯერ ინტიმურ ურთიერთობას ამყარებს... კონკრეტულ შემთხვევაში დალი, როგორც წმინდა არსება, წმინდა ხე-მცენარეში, წიფელში, ბინადრობს. თვით აქ მოხსენიებული ხე-მცენარე არ არის იდენტური ფიზიკური სამყაროს მცენარისა, ისიც ღვთიური სულიერებაა, რომელშიც ქალღმერთი დალის სულიერი არსებობა არის შესაძლებელი, ცხადია, უსხეულოსი, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია ფიზიკურ სხეულში შესვლა და ადამიანისათვის დახმარების აღმოჩენა. რასაკვირველია, წიფლის ხის ქვეშ მონადირის მიერ ცეცხლის დანთება და ღამის გათევა არაა მოულოდნელი არც რავაზისა და არც დალთა ლაშქრისათვის. ასე, მაგალითად, როდესაც დალი გადმოვიდა წიფლის ხიდან, რავაზს ეტყვის, რომ დაღების ქორწილში არიან დაპატიჟებული. საინტერესოა, რომ დალის სიტყვებს მონადირე მშვიდ პასუხს აძლევს: „საითკენ გვაქვს წასასვლელი“. როგორც ვხედავთ, პასუხი ისეთი შინაურული ტონითაა ნათქვამი, რომ მონადირისა და დალის შეხვედრა არ უნდა იყოს პირველი. ამ აზრს მხარს უჭერს ის, რომ მონადირე მეთათე მთაშია, ანუ ღვთიურ საუფლოში, სადაც სხვაგვარი სიწმინდეებია, ვიდრე ადამიანებისთვის განკუთვნილ ცხრა მთაში. ასევე სხვაგვარია ამ საუფლოს დალთან ურთიერთობა. რავაზის მოწოდებაა რაღაც ზეამაღლებულთან თანაზიარობა. ამიტომ ძალზე თავისებურად ჟღერს დალის სიტყვები: „ჩემი ფეხის დანადგამზე დადგი ფეხი. იქ პირველი კათხით დავლოცავ მეფე-დედოფალს, მეორე კათხით დავლოცავ იქ მყოფთ, მესამე კათხით კი ყველას საღვთვრებლოს დავლევ. შენც ჩემნაირად დაილოცე. შემდეგ ავდგები და მოვდივართ ჩვენ ნავალზე (ნაკვალევზე)“. დამოწმებული ფრაგმენტის შინაარსის შეცნობა-ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. აქ თითოეულ გამოთქმას და თვით სიტყვასაც კი ღრმა რელიგიური დატვირთვა აქვს. ვიმეორებთ, მოქმედება ღვთიურ საუფლოშია. დალის სიტყვები, რომ რავაზმა მისი ფეხის დანადგამზე დადგას ფეხი და ისე წაჰყვეს ქორწილში, სიმბოლურად იმაზე მიგვანიშნებს, რომ რავაზი გზაშივე უნდა გაიწმინდოს იმ დონეზე, რომ უკვდავთა ქორწილში მისვლის უფლება მოიპოვოს.

როგორც მომდევნო სტრიქონებიდან ვგებულობთ, მან დალის რჩევა-
დარიგება უნაკლოდ შეასრულა და ქორწილში ღვთისდარად მოიქცა.
გაბრძენებული რაეაზი უკან ბრუნდება დალთან ერთად და წამოწვება
იმავე წიფლის ხის ქვეშ, რომელშიც დალი შევიდა. ეჭვი არ არის,
რომ ამჯერად მონადირე ცნობიერად მოქმედებდა. კერძოდ, მან იცის,
რომ დალის სამყოფ-სადგომი ხე-მცენარე და მიდამოც მისი მფარვე-
ლია. ჩანს, რომ მან აქ ყოფნა თავისი წმინდა ცხოვრების წესითა და
ქცევით დაიმსახურა. საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ
მთელი ეს პროცესი ღამით ხდება. აქ დროსაც თავისი მნიშვნელობა
ენიჭება... საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტი ღრმა მისტიკური
შინაარსისაა. როგორც ითქვა, გმირი თავისთავში ინიციაციის ურთუ-
ლეს გზას გადის. მონადირე რაეაზში სრული ფერისცვალება მოხდა.
მან, ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარს მიღმა გადასულმა, ღვთი-
ურთან თანაზიარობა შეძლო, მაგრამ იგი უკვე კიდევ უფრო რთული
ამოცანის წინაშე დგას, კერძოდ, უნდა შეძლოს მოპოვებული სიბ-
რძნის ბოლომდე შენარჩუნება და პრაქტიკულად გამოყენება. მომდევ-
ნო სტრიქონების მიხედვით საქმე გვაქვს გარდამტეხ მოულოდნელო-
ბასთან. მეორე დღეს რაეაზი აღმოჩნდა სოფლიდან ათვლით ადამიან-
თა სამყაროსათვის განკუთვნილი ცხრა მთას იქით არსებულ ღვთიუ-
რი საუფლოს ცხრა მთის არეალის პირველ მთაში. ეს კი იშვიათი
შემთხვევაა დალის ციკლის მასალებში და არა მარტო დალის ციკ-
ლისა, სწორედ ეს გახლავთ განსაკუთრებით საინტერესო, მხოლოდ
„ამირანიანის“ ცალკეულ ვარიანტებში, გალექსილსა თუ ლექს-ნა-
რეეში, გმირები მეათე, მეთერთმეტე, ზოგჯერ მეცამეტე მთამდე აღ-
წევენ. კახურის ერთ-ერთ ვარიანტში ნათქვამია:

„სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,

ათი მთა გადმოიარეს, მეთერთმეტე აღგეთისნი“.

ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ამ – მეთერთმეტე მთაში
ღვთიური ბროლის კოშკია, რომელსაც კარი არ აქვს. კარის მიმანიშ-
ნებელი კი მზის სხივია. სადაც მზემ სხივი დაჰკრა, იქ შეაღო ამირან-
მა კოშკის კარები. ცხადია, აქ არაფერია გასაკვირი. იგი ამირანისა
და მისი ძმების გამორჩეულობაზე მიგვანიშნებს. „ამირანიანში“ ერთი
დეტალია საინტერესო – გმირებს ცხრა მთას იქით გადასვლა და უკან
დაბრუნებაც ძალუძთ. საერთოდ, ხალხურშიც ცხრა მთას იქით გა-

დასული თუკი დაბრუნდა, გაბრძენებულია... დამოწმებული ფრაგმენტის მიხედვით, მონადირე რავაზი კიდევ უფრო შორს, ღმერთებისათვის განკუთვნილი არეალის პირველ მთაშია, რომელიც არჩევებითა სავსე. ე.ი. მონადირემ ღვთაებათა უშუალო საბრძანისიდან აქეთ, ადამიანთა საცხოვრისისაკენ, უნდა გამოიაროს ცხრა მთა. ტექსტში ვკითხულობთ: „რავაზი უკან მოდის სახლისკენ. ცხრა მთა უკან გამოსასვლელი აქვს“. თარგმანი სიტყვა-სიტყვითია. (აქ სიტყვა „უკან“, სვანურად „ლომდ“, რომელიც ქართულ თარგმანში ტავტოლოგიას ქმნის და უხერხულადაც ჟღერს, სვანურად ძალზე კეთილზმონიანი სიტყვაა... რვა მთა ისე გამოიარა, რომ არჩევებისათვის თოფი არ უსვრია. როგორც ვხედავთ, გაბრძენებულმა რავაზმა ღვთიურ საუფლოში გამოცდას გაუძლო. იგი არაფერს დახარბდა და ადამიანთა სამყაროში ისე შემოაბიჯა, რომ ფიქრადაც არ გაუვლია თოფის გასროლა, მაგრამ რაღაც გამოუცნობი და მოულოდნელი ხდება დაბრძენებული მონადირის ქმედებაში თვით ადამიანთა სამყაროში შემოსვლის დროს. მეცხრე მთამდე მოსულმა გადმოიღო თოფი და სროლა დაიწყო. ცხრა ჯიხვი მონადირია, ცხრავეს ყურები დააჭრა, ყაბალახში შეახვია და წამოიღო სოფელში თავის ცოლსა და ძმასთან. ე.ი. რავაზმა ყველაზე რთული გზა გამოიარა, ყოველგვარ ცთუნებას გაუძლო, შესაშური ნების სიმტკიცე გამოამჟღავნა ღვთიურ საუფლოში, არაფერს დახარბდა, თვალის კი არ გაქცევია არჩევებისაკენ. შეიძლება ითქვას, ყოველნაირ ცთუნებაზე მაღლა დადგა და მხოლოდ ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილ არეალში ვერ შეძლო თავის შეკაება, უმტყუნა ნების სიმტკიცემ. დამოწმებული ეპიზოდი რთული გასააზრებელია. თუ ღრმად ჩაუვკვირდებით მონადირე რავაზის მთელ თავგადასავალს, ამოვიცნობთ აზრს: რომ მას ხელი უნდა აეღო ნადირის კვლახზე. როგორც ინიციატია გავლილს, უნდა მიეღწია ამ საფეხურამდე, მაგრამ ძნელად ამოსაცნობი რამ ხდება. მონადირე რავაზმა სწორედ ფიზიკურ სამყაროში დაუშვა საბედისწერო შეცდომა. იმიტომ ხომ არა, რომ თავად ფიზიკური ყოფიერებაა ცთუნებებით აღსავსე? ჩანს, რომ რავაზი ბოლომდე ვერ გათავისუფლდა ადამიანური სისუსტეებისაგან, რომლებიც გადაულახავ ჯებირად აღიმართა სულიერი ამბლლების გზაზე. მოსალოდნელი იყო, რომ რავაზს მოპოვებული სიბრძნის შენარჩუნებაზე ეზრუნა, მაგრამ ეტყობა, მასში იღუ-

მაღად ჩადებულმა შინაგანმა სიამაყემ, რომ იგი სოფელში ყველაზე რჩეული მონადირეა, თავისი გაიტანა. წამიერმა სძლია მარადიულს. სწორედ ესაა ამოსაკითხავი მის ქმედებაში. რასაკვირველია, რავაზმა იცის, რომ ტაბუ დაარღვია, ცხრა ჯიხვი მოკლა, მაგრამ ჩანს, ესეც შეგნებულად მოიმოქმედა. ეს იყო მისი უკანასკნელი ნადირობა. ამიტომაც: ცარიელი კი არ ბრუნდება შინ, არამედ მოკლული ცხრა ჯიხვის ყურები მიაქვს ცოლსა და ძმასთან, ალბათ, იმის ნიშნად, რომ იგი პირველი მონადირეა, ამკარაა, რავაზმა მძიმე შეცდომა დაუშვა და სასჯელიც ამიტომ დაიმსახურა, ისიც ადამიანური ურთიერთობისას, ოჯახში. გაავებულმა ცოლმა ჯადოსნური მათრახით ვირად აქცია. აქ დალის უშუალო რისხვა არ ჩანს მონადირეზე. შეიძლება ითქვას, რავაზმა თავისი თავი თვითონ დასაჯა. იგი არ იღუპება, რიგით ადამიანად რჩება.

ეს გადმოცემა მრავალმხრივ გამორჩეულის დალის ციკლის მასალებში. პირველ ყოვლისა იმით, რომ მონადირისა და დალის შეხვედრა ღვთიურ საუფლოში შედგა, მეთავე მთაში. ფიზიკურ სამყაროში შეხვედრისაგან იმითაც განსხვავდება, რომ დალს რავაზისათვის არ წაუყენებია რაიმე წინაპირობა, არ გაუფრთხილებია, არც საჩუქარი უბოძებია. ალბათ, იგი არც იყო საჭირო. ისევ რომ გავიხსენოთ წიფლის ხიდან გამოსული დალის სიტყვები მონადირისადმი, რომ მისი ფეხის დანადგამზე დაედგა ფეხი და ქორწილში ისე მოქცეულიყო, როგორც თვითონ მოიქცეოდა, ესეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დალი კონკრეტულ შემთხვევაში მონადირის მფარველი ძალაა, გზის გამკვალავია. მართალია, მოქმედი ამბის თხრობის დროს არ მიმართავს დეტალიზაციას, არაფერს გვიხსნის, მაგრამ ივარაუდება, რომ მონადირე რავაზი დალის უშუალო ზრუნვითა და რჩევა-დარიგებებით გაბრძენდა და განიწმინდა. ასე რომ, დალმა მას მაღალი საიდუმლოებებისაკენ გაუხსნა გზა, იმ ღონეზე, რომ ცნობიერად, დამოუკიდებლად დარჩა თავისი თავისა და არჩევანის წინაშე. უკვე რავაზი თავადაა საკუთარი ბედის მჭედელი. როგორც შინაარსიდან ვიცით, გამოღვიძებული რავაზი მეორე დღეს ღვთაებათა საბრძანისის პირველ მთაშია. ეს დღე და არეალი არის მისი სულიერი ზეალსვლის მწვერვალი, განსაკუთრებული დღე. შეძლებს თუ ვერა მონადირე ბოძებული სიბრძნის ბოლომდე შენარჩუნებას, კერძოდ, ადამიანთა საცხოვ-

რისში შემოტანასა და განხორციელებას? ამისათვის საჭიროა ღვთიური საუფლოს ცხრავე მთის წმინდად და უცთომლად გადმოლახვა. ივარაუდება, რომ ღვთიური საუფლოსათვის განკუთვნილ ცხრავე მთაში მონადირის სულიერ ქმედებებს ისევ ღვთიური ძალები განაგებენ. ამიტომ შეძლო რავაზმა ადამიანთა სამყაროში წმინდად შემოსვლა. აქ მას დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა, შეენარჩუნებინა სიბრძნე. მაგრამ მასში ცნობიერ ღონეზე ფერისცვალება ვერ განხორციელდა. იგი ღვთიური სიბრძნისგან დაცლილ ადამიანად დარჩა. ტაბუ დაარღვია. მისი დაცემა გარდაუვალი აღმოჩნდა. იგი საწყის მდგომარეობამდე დაეშვა.

8 დალი და ვობურ დადა

ეს არის მითოსური სახეებით დატვირთული ჯადოსნური ზღაპარი. იგი საერთაშორისოდ გავრცელებულ სიუჟეტთა რიცხვს ეკუთვნის. (დაბეჭდილია სვანური პროზაული ტექსტების პირველ ტომში ბალსზომიერი კილო, 1939წ. გვ.391) დასაწყისი რეალისტურია: „სამი ძმაა, ჰყავთ ძალიან მდიდარი, შეძლებული დედ-მამა. შვილების აღზრდისათვისა არაფერს ზოგავენ. სიკვდილის წინ შვილებს დაუძახეს, რომ, თუ ჩვენი ამაგი გეხსომებათ, რაც მიცვალებულისათვის წესი და რიგია აგვისრულეთ: „ტეტ“ ნაცარია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება მიცვალებულთათვის განკუთვნილი რიტუალური პური, რომელსაც „ტეტა დიარ“—ს უწოდებენ—და „კათტაბა“. „კათ“ კრებულის აღმნიშვნელია, „კათტაბა“ კი ჭირის ღღეზე დასაპატიჟებელი ხალხი. ეს საქმე იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ შვილებს აღარაფერი დარჩათ. დაღარიბდნენ, იქაურობას მოშორდნენ და ერთ მოხუც ბაბუას შეეკედლნენ. ძმები საუკეთესო მონადირეები არიან. უფროსი და საშუალო ძმა დაღმა იმსხვერპლა. ბოლოს უმცროსი წავიდა სანადიროდ იმ კლდისკენ, სადაც მისი უფროსი ძმები წავდნენ. ჯიხვი გამოუჩნდა, რამდენიც ესროლა, იმდენივე ააცლინა. ჯიხვს კლდის კარი გაეხსნა და შიგ შევიდა. დაღს კლდეში ჰყავდა ჯიხვები. მონადირე დაინტერესდა, დაედევნა ნადირს. ეს დაღმა გაიგო და კივილი მორთო. მონადირე კლდის კარს აეტუზა. ზევიდან დაღმა გადმოხედა, ვერავინ დაინახა და თქვა: უნდა ვნახო ჩემი ჯიხვების ჯოგო. დაღმა გააღო თუ არა კარი, მონადირემ მაშინვე

ნაწინავებს უტაცა ხელი, მოზიდა და აკოცა, შემდეგ კი უთხრა: ჩემი ძმები შენი დალუპულია და გთხოვ, დამიბრუნო. დალმა უპასუხა: ჩემთვის ეს არავის გაუბედავს, ბევრი ადამიანი დამილუპავს. შენ ყოფილხარ ყველაზე ძლიერი და მოხერხებული მონადირე. ამიტომ ქმრად მინდისხარ. ბოლოს უთხრა: მხრებს შუა მჯიღი დამარტყი მაგრად, მე დავიკვივლებ და შენი ძმები ცოცხლები დაგიდგებიან წინ. მონადირეც ასე მოიქცა და დარჩა დალთან. ძმები წამოვიდნენ შინ. ამის შემდეგ აღწერილია, რომ დალს მონადირის მუხლებში დაეძინა. (შანიძე, 1939:391) კაცმა თმებში გასაღები უპოვა. გააღო აკრძალული კარი. იქიდან ჩიტი გამოფრინდა, ნისკარტით ქალის საცვალი წაიღო“. ძნელი არაა, რომ ამ მონათხრობში დაეინახოთ ჯადოსნური ზღაპრის ცნობილი პერსონაჟი მზეთუნახავი, რომელსაც დედაბერი გაიტაცებს. საბოლოოდ კი გმირი დაიბრუნებს თავის მეუღლეს. აქაც ასე ხდება. აშკარაა, რომ დამოწმებულ ტექსტში დალის ფუნქციები საგრძობლად დაქვეითებულია. მისი ბუნებაც შეცვლილია, მას ბევრი ადამიანი ჰყავს დალუპული, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივია, ახლა მზეთუნახავის რანგშია, ფუნქციაშეცვლილი, გადასხვაფერებული. საყურადღებო ის არის, რომ სამივე მონადირეს ჯიხვი გამოუხტება, სროლას აუტეხენ, მაგრამ ტყვიას ვერავენ ახვედრებს, ჯიხვი უსხლტებათ, კლდის კარები მისით იღება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნადირის ასე უეცარი გამოჩენა ერთგვარი გამოცდა არის მონადირეებისა, რომელთა უმრავლესობას არა აქვთ იმის ცნობიერება, რომ ხერხის ძალით თავი გადაირჩინოს. ამიტომაც ილუპებიან. ცხადია, ამგვარ გამოცდას დალი უწყობს. სასწაულებრივი ჯიხვიც თვითონ არის. ამიტომ ტყვია არ ეკარება. მხოლოდ უმცროსმა ძმამ შეძლო ტრაგიკულ სიტუაციაში გარკვევა, ამ გზით თავის გადარჩენაც და ძმების შინ ცოცხლად დაბრუნება. სწორედ ამგვარი ცნობიერი ქმედება და ვაჟაკობა მოეწონა დალს და ცოლქმრობა შესთავაზა მონადირეს. დასასრული კეთილია. დალი და მონადირე კარგად ცხოვრობდნენ. როგორც ვხედავთ, დალი უკვე მთლიანად ადამიანური თვისებებითაა დაძმობიებული. იგი ზღაპრის პერსონაჟია. ალბათ გაჭირდება ამ ტექსტის მიხედვით რაიმე ზოგადი დასკვნის გაკეთება... ერთი ცხადია: დალი მონადირეების მიმართ არ არის ისე კეთილგანწყობილი, როგორც ეს განხილულ ტექსტებშია. იგი დაცემის გზაზეა დამდგარი.

მასში შურისმაძიებლური ელემენტიც მძლავრობს. მსგავსს და და-
ლის კიდევ უფრო ნეგატიურად დამახასიათებელ ძეგლებს შემდგომში
განვიღნილავთ. საინტერესოა, რომ თვით ზღაპარში დალი ცნობიერ-
ად გამორჩეულ მონადირეს არ ვნებს.

მონადირეთა წრეში ასეთი რწმენა—წარმოდგენებიც არის,
რომ დალი ფიზიკურად შეიძლება არასოდეს გამოეცხადოს მონადი-
რეს, მაგრამ ფარულად ზრუნავდეს მასზე, ხელს უმართავდეს ნადი-
რობაში. ამგვარი რწმენა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ დალი
მთლიანად სულიერ, მართლაც ღვთიურ რანგშია წარმოდგენილი და
იგი კიდევ უფრო აძლიერებს და ახალი ნიშნით წარმოაჩენს მის სიწ-
მინდეს, სიკეთესა და კდემამოსილებას, ჭკმმარიტ მონადირეებზე
ზრუნვას. აქ დალისა და მონადირის ურთიერთობა წმინდა სულიერ
პლანშია გადატანილი.

თავი რომ მოვუყაროთ ზემოთქმულს: დალი ბევრია, მთელი
ლაშქარი. ისინი ჯგუფ—ჯგუფად და ცალკე, დამოუკიდებლადაც არ-
სებობენ მთის წმინდა ადგილებში. მათი უშუალო საბრძანისია სოფ-
ლიდან ათვლით ცხრა მთას იქით არსებული ცხრა მთა, ანუ ღვთაება-
თა საუფლო. მოკვდავთაგან იქ გაღწევა მხოლოდ რჩეულთა ზედ-
რია... მოკვეთილი დალის საბინადროა ადამიანთა საცხოვრისისათვის
განკუთვნილი ცხრა მთა. ირკვევა, რომ დალის ბუნება გენეზისურად
წმინდა და შეუვალია. დალთა ლაშქარს დამოუკიდებელი სამყარო
აქვს... დამოწმებული მასალების მიხედვით გაირკვა, რომ დალი ცალ-
კეულ შემთხვევაში მონადირის უშუალო აღმზრდელია (დვიდიშერე
ბიბუ), მზრუნველი და მფარველი. დალი იმდენად საკრძალავ არსებად
იყო მიჩნეული, რომ მონადირეები მას ზედწოდებით მოიხსენიებდნენ:
„გარეთ მყოფი“. ასევე ზედწოდებით მოიხსენიებენ მონადირესაც:
„ნაპოლ“, ჩიტი, მფრინავი, გარეულ ნადირსაც: ჯიხვები „კოჯამარ“
— კლდისანები, არჩვები, „ცხეკიშარ“ „ტყისანები“, ორივენი კი მად-
ლიანები არიან. იგვევ ითქმის მოკლულ ცხოველზეც — „დაბრძანებუ-
ლი“, „გაბედნიერებული“, „მოკარგული“. სიახლეა ისიც, რომ ჯიხვე-
ბისა და არჩვების წიაღში ღვთიური ნაწილია დავანებული. ნექში
მბივის სახით, თირკმელში კი კვერცხივით მრგვალი ოქრო, გულ-
ღვიძლში თუალი ასეთივეა ჯიხვის ბეჭის ძვალი „ჯულვ“. მათი
მგლობელი მონადირე და მთელი ოჯახი იღბლიანი და ბედნიერია.

ილბალი შემკვიდრებზეც გადადის... იგივე ითქმის შავი მელას ტყავზე. მისი პატრონიც ყველა საქმეში ხელმომართულია. მოხმობილი მასალები იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ახალი სამონადირეო ტრადიციების არსებობაც გამოვლინდა. კერძოდ, მონადირეები მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს შეწვავენ და პირველად გარდაცვლილ მონადირეთა სულებს მოიხსენიებდნენ. იმასაც ვგებულობთ, რომ, თუ მონადირემ დაჭრილ ნადირს ბოლომდე სდია და უპატრონოდ არ მიატოვა, შეიძლება უკვდავების წამალი „მუმო“ ჩაიგდოს ხელში ან ღიდ სიბრძნეს ეზიაროს. ძალზე საინტერესოა, რომ ღვთიური ნაწილი, მაღლი და ბარაქა შინაურ ცხოველებშიც (კვიცი, თხა, ცხვარი, ფური, უშობელი) შეიძლება იყოს დავანებული.

ზემოთ წარმოდგენილი მასალების მიხედვით შეიძლება განსხვავებულად დაისვას დალისა და მონადირის ურთიერთობის რთული პრობლემა. იგივეა ტრადიციული მასალებითაც, სადაც, მკვლევართა განმარტებით, ტაბუს დაცვა თუ დაუცველობა მონადირის აღზევებისა თუ დაცემის უმთავრესი მიზეზია. მიუხედავად ამისა, ამ ურთიერთობაში იმაზე მეტია ამოსაცნობი, ვიდრე ეს გარეგნულადაა გაცხადებული. ჩვენი აზრით, მოცემულ ფაქტს მიღმა რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლოებაა დასანახავი, რომელიც, ცხადია, ვერ დაიყვანება ნადირობისას მონადირის მხოლოდ წარმატებასა და წარუმატებლობამდე.

მიგვაჩნია, რომ დალისა და მონადირის პირველი შეხვედრა კაცობრიული მნიშვნელობის იდუმალებაა, ღვთიური აქტია. ადამიანის არსებაში სრულიად ახალი და მაღალი ეტაპი იწყება - ზებუნებრივთან თანაზიარობის ეტაპი. ამისთვის ადამიანთა გარკვეული ნაწილი წინასწარ უნდა იყოს მომზადებული, ასეთი კი მხოლოდ ჭეშმარიტი მონადირეა. ქალღმერთ დალთან ურთიერთობაში იგი ღვთიური გამოცდის გზაზე ღვება. ეს კი გულისხმობს ჩვეულებრივ ადამიანურ ცთუნებებზე ამაღლებას, მათ ცნობიერ დაძლევას. ჭეშმარიტმა მონადირემ მოკვდავთაგან არავის უნდა გაუმჟღავნოს დალთან ინტიმური ურთიერთობის საიდუმლო, მტკიცედ უნდა დაიცვას ქალღმერთისადმი მიცემული ყველა პირობა, გაუფრთხილდეს და არავის ანახვოს დალის მიერ ბოძებული საჩუქარი (თუალი, მძივი და სხვა), არ დაიჭიროს სხვა ქალთან არანაირი ურთიერთობა, თვით ცოლთანაც კი. უნ-

და იცხოვროს ძალიან სუფთად და წმინდად. თუ ეს პირობები დაცულია, მაშინ მონადირის ყველაფერში ხელი მოეართება, ოჯახიც მდიდრდება, მრავლდება, ყველგან სიუხვე და ბარაქიანობაა, თითოეული წვერი იღბლიანი და ბედნიერი ხდება. ყველგან და ყველაფერში დალის ღვთიური ხელი ურევია. იგი წინასწარ გრძნობს ოჯახის საჭიროებებს, თითოეული წვერის სატკივარს, საფიქრალს და ხელს უმართავს, უსრულებს საწადელს, იფარავს ავადმყოფობისაგან და სხვა. ერთი სიტყვით, მონადირე და მთელი სახლეულობაც ძლიერებისა და ბედნიერების მწვერვალზე აღის. თუ ღრმად ჩაუვკვირდებით სამონადირეო ციკლის ლექს—სიმღერებსა და გადმოცემებს, თითოეული მონადირის თავგადასავალს, აღმოჩნდება, რომ სწორედ ეს ზღვარი ანუ მწვერვალი არის საბედისწერო. დგება გადამწყვეტი ფაზა: საით რა გადასძალავს - ადამიანური თუ ღვთიური, წარმავალი თუ წარუვალი. ამ არჩევანის წინაშე დგას მონადირე. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს პიროვნების სრული ფერისცვალება, რამდენადაა იგი ამისათვის მზად, გაუძლო თუ ვერა ღვთიურ გამოცდას? ამ აზრით თუ გადახედავთ დალის ციკლის ჩვენს ხელთ არსებულ ტრადიციულ ძეგლებს, სადაც მონადირისა და ქალღმერთის ინტიმურ ურთიერთობაზეა საუბარი, აღმოჩნდება: ადამიანები ვერ ამყარებენ ცნობიერ მიმართებას ღვთიურ სინამდვილესთან, ღალატობთ ნების სიმტკიცე, ტაბუს არღვევენ, ვერ იცავენ აკრძალვებს, ცალკეულ შემთხვევაში საიდუმლოსაც გათქვამენ. ამ შემთხვევაში დალი შეუბრალებელია, იგი სასტიკად სჯის მონადირეს, ზოგჯერ მის ოჯახსაც ღუპავს. განვიხილოთ დალისა და მონადირის კონფლიქტის ამსახველი საფერხულო სიმღერა.

9. საფერხულო სიმღერა „ბეთქილი“

„ბეთქილი“ ძალზე პოპულარულია სამეცნიერო ლიტერატურაში. გალექსილ ვარიანტებთან ერთად გვაქვს პროზაული გადმოცემებიც. ერთ-ერთი ვარიანტი მოთქმით იწყება:

„ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდაო“.

მულახ-მუქალის თემის ხალხს ფერხული გაუმართავს. ამ ფერხულში ბეთქილიც ღებულობს მონაწილეობას. ოთხი სტროფის ფარგლებში თითოეულ სტრიქონს მოსდევს რეფრენი: ბაილ იღბა,

ილბა ბაილ! აქვე ვგებულობთ, რომ ფერხულის დროს თეთრი შუნი ბეთქილის ლაჯებშუა გახტა. ბეთქილი სანადიროდ აღიკაზმა და დაედევნა ჯიხვს. წინ გაკვალული გზა მიუძღვის, უკან ნაგალიც არა ჩანს. ბეთქელი გრძნობს, ეს ავის მომასწავებელია. იგი მას კარგს არაფერს უქადის.

„ეს ბეთქის წერა იქნება“

მიაღგებიან შავ კლდეს. კონკრეტულ შემთხვევაში „შავი“ მარტო ფიზიკურ ფერს არ ნიშნავს. აქ ჯიხვი განრისხებულ დალად იქცა, მკაცრად მიმართა ბეთქილს: რა უყავი ჩემს ნაჩუქარ მძივს? სასთუმალქვეშ დამრჩა, - უპასუხა მონადირემ. რა სიმართლევ თქვი, დაბრუნებაც ისეთი გექნებოდა ქალღმერთი გაქრა. ბეთქილი კი ცალი ხელითა და ცალი ფეხით კლდეზე გადმოკიდებული დარჩა. ბოლოს იღუპება. ჩვენ ვისაუბრეთ დალის ზეწოდებაზე - „გარეთ მყოფი“. დამოწმებულ ლექს-სიმღერაში კი ღმერთადაა წოდებული. ეს გასაგებიცაა. დალი ამ ეტაპზე უკვე თავისი ძლევამოსილების მწვერვალზეა. თარგმანი თითქოს საეჭვო ჩანს, მაგრამ მთარგმნელთა მიერ ძალიან კარგად არის ნაგრძნობი, რომ „ფუსდ“-ში ღმერთია ნაგულისხმევი. მასში ჩვეულებრივ მამალღმერთი, სვანურად ფუსნა „ბუასდია, ანუ იგივე „ფუსდი“, „ხოშა ღერბეთ“ იგულისხმება და არა სხვა ვინმე ე.ი. დამბადებელი კონკრეტულ შემთხვევაში ფუსდ“-ში, ღმერთი იგულისხმება. მოგვაქვს სვანური ტექსტი:

„სგავ მერღელი მეშხამ კოჯთე,
დალი ფუსდა ლარდათესგა“.

თარგმნილია: (შანიძე, 1939:280)

„შესულა შავ კლდეში,
ღიოფალ დალის სამყოფში“.

ღიოფალი კლდის დედოფალს, ქალღმერთს ნიშნავს. იგი ღმერთის ფარდი წოდებაა. აქ საინტერესო ისაა, რომ „ფუსდი“ - არცერთ ქრისტიანულ არსებაზე არ ითქმის, გარდა მამალღმერთისა, არც წარმართულის რომელიმე სხვა არსებაზე. მთარგმნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საანალიზო ძეგლის ეს ეპიზოდი ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოცემული.

რასაკვირველია, დამოწმებულ ძეგლში უმთავრესი ტაბუს დაცვაა. ბეთქილმა, როგორც გამოცდილმა მონადირემ, ძალიან კარ-

გად იცის; თუ დალისათვის მიცემული პირობა დაარღვია, საშინელი სასჯელი მოეღოს. ცხადია, ამ შემთხვევაში მთავარია კონფლიქტის სწორად გააზრება, რომ დალის სიმკაცრესა და შეუბრალებლობას თავისი ადგილი მიეჩინოს, მონადირის შეცდომასა თუ შეცოდებას - თავისი. ამიტომ აუცილებელია მკვეთრად გავმიჯნოთ დალთან, ანუ ქალღმერთთან, ურთიერთობა ადამიანური ურთიერთობებისაგან. რასაკვირველია, პირველში სულიერებაა ამოსავალი: სიწმინდე, სიმტკიცე, ნებელობა, მეორეში კი თვალთ დასანახი ქმედებებია წამყვანი, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ცთუნებებამდე მივყავართ. ცხადია, სულიერი ფასეულობები არც აქაა უარყოფილი. ბეთქილი ამ ორი პრინციპის ურთიერთმიმართებისა და რაობის კლასიკური მაგალითია. თუ ღრმად დავაკვირდებით ბეთქილის ქმედებებს, დალთან ურთიერთობას, აღმოჩნდება, რომ იგი ცალმხრივად განვითარებული პიროვნებაა. ბეთქილი სულიერ პლანში სრულებითაც არაა სათანადოდ ძლიერი. მას არ შეუძლია საკუთარ ქმედებათა კონტროლი იმ დონეზე, რომ დალთან ურთიერთობაში საბედისწერო შეცდომები არ დაუშვას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის უმთავრესი მიზეზი ბეთქილია. მან დალისადმი მიცემულ ყველა სიტყვას უღალატა, ფიცი გატეხა, საიდუმლო გათქვა, არანაირ აკრძალვებს არ იცავს. ერთ-ერთი ვარიანტით, დალის ნაჩუქარი მძივი თავის რძალს, თამარს, აჩუქა, ქალღმერთს კი სიმართლე დაუმალა, იცრუა, სასთუმალქვეშ დამრჩაო. დალის სამყოფში შესული მონადირე ბეთქილი ასე მიმართავს ქალღმერთს:

„გამარჯვება (კაი დღე) დიოფალ დალს! (ქალღმერთს)

- რა კაი დღეც გექნება,

იმას მე გასწავლი!

რად უღალატე ჩემს პირობას?

ჩემი მონაცემი მძივი რა უყავი?

— ის საწოლის სასთუმალში დამრჩა.

— რა სასთუმლის საწოლში (ც) დაგრჩა,

ისე კარგად მე დაგაბრუნებ:

დიოფალი (ქალღმერთი) დალი გამქრალა.

ბეთქილი კლდეს შერჩა“. (შანიძე, 1939:281).

ერთ-ერთი გადმოცემით კი დალმა უთხრა:

- ჩემი დარიგება რატომ არ შეისმინე, ჩემს ბეჭედს რა უყავი?
- მაქვს ბეჭედიო.
- შენ კი არ გაქვს, შენ რძალს, თამარს ჰქონდა ფერხალში რომ იყო ჩაბმული, ხელზე ჰქონდა გაკეთებული ბეჭედი.

ამის შემდეგ საუბარია დალის საჩუქრის მაგიურ ძალასა და იმაზე, რომ საიდუმლოს გამჟღავნება საბედისწეროა მონადირისათვის. მაინც რანაირი საიდუმლოება გაამჟღავნა მონადირემ ისეთი, რომ სიკვდილით დაისაჯა. საჩუქრის გადაცემის გამო კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი მკაცრი სასჯელი ამთავითვე უნდა გამოვიციხოთ. დალი ინტიმურ სფეროშია შეურაცხყოფილი, ბეთქილმა უღალატა, მოკვდავში გაცვალა. ეს იდუმალეებაა გამჟღავნებული. სწორედ ამას არ აპატიებს დალი და ღუპავს. სხვა შემთხვევაში, რაზეც ქვემოთაც გვექნება საუბარი, თუნდაც ღალატის შემთხვევაში (მონადირეს ხომ ეკრძალება სხვა ქალთან, მათ შორის ცოლთან ურთიერთობა), თუმცა საჩუქრის გაუფრთხილებლობაც ზოგჯერ ტრაგედით მთავრდება, თუ დალთან ინტიმური ურთიერთობა არ გამჟღავნდა, ავაღმყოფობას მოუკლენს. თუ ისევ გადავხედავთ დალის ციკლის მასალებს და ზოგადად ვიანზრებთ ქალღმერთის მონადირეებთან ურთიერთობას, აღმოჩნდება, რომ ბეთქილის ქმედებას წმინდა ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისითაც არა აქვს გამართლება. ბეთქილის რეალურ ბუნებას მთლიანად ეხდება საბურველი ქალღმერთთან ბოლო შეხვედრაში. ბეთქილი თავის პასუხით, რომ მძივი სასთუმალქვეშ დამრჩა, ხოლო პროზაული ვარიანტით „მაქვს ბეჭედიო“, კიდევ უფრო ამძივებს ისედაც მიუტყვებელ შეცდომას. ასე რომ, იგი არამცთუ ღეთიურს, ადამიანურ გამოცდასაც ვერ უძლებს. ბეთქილი ისე ძლიერად და ღრმადაა მიჯაჭვული ფიზიკური სამყაროს ძალებზე და ისეა მართული ამ ძალებისაგან, რომ მისი ქმედება მხოლოდ წარმავლის პოზიციებიდან შეიძლება იქნეს შეფასებული. ისიც უნდა ითქვას, რომ მისი შინაგანი ბუნება, სწრაფვები, მთლიანად გრძნობადისკენ მიმართული აზრებითაა ნასაზრდოები. ამიტომაც, რომ ბეთქილის ინტერესები უფრო მეტად სხეულებრივი არსებობისაკენ არის მიპყრობილი. ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მან ვერ შეძლო სულიერ ძალებთან თანაზიარობა, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთელი თავისი არსე-

ბით წუთიერს ჩაჭიდებული და მარადისს განრიდებულ ადამიანად დარჩა. მასში მხოლოდ ამქვეყნიური მძლავრობს. ბეთქილის შინაგანი ბუნება ბოლომდე არაა გამჟღავნებული. ამიტომ, რომ საზოგადოებას მისი სჯერა. იგი ფიზიკური ძლიერებით თემში გამორჩეული ვაჟკაცია, სახელგანთქმული მონადირე, სოფელიც დიდ პატივს სცემს. გავიხსენოთ თეთრი შუნის გამოჩენა. მოფერხულები, მულახ-მუჟაღლის საზოგადოებაც, გრძნობენ, რომ მას, ბეთქილის გარდა, ვერავინ დაედევნება. მართალია, მთქმელი სიტყვიერად არაფერს გვეუბნება ბეთქილის შინაგან გაცდებზე, რაც, რასაკვირველია, არცაა მოსალოდნელი საფერხულო სიმღერაში, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით ტექსტის შინაარსს, აღმოვაჩინოთ, რომ ერთგვარ მინიშნებასავით მაინც, შეგრძნების დონეზე, შესამჩნევია, რომ ბეთქილმა, როგორც გამოცდილმა მონადირემ, იგრძნო აღსასრულის მოახლოება, მიხვდა, რომ საბედისწერო გზაზეა დამდგარი.

„წინ ნავალი გაკვალული იქნება,
უკან მოხედა მის ნავალს,
მისი ნავალი აღარ ჩანს,
ეს ბეთქილის წერა იქნება“.

(შანიძე, 1939:281).

რასაკვირველია ბეთქილმა ისიც იცის, რომ თეთრი შუნი, რომელიც ლაჯებში გაუხტა, მისი ბედისწერაა, მისი მისანია, მაგრამ მაინც მისდევს. მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ წინაშე დგას იმედგადაწურული მონადირე, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბეთქილი არ არის ცნობიერი პიროვნება. ამიტომ მისი ტრაგედია გარდაუვალია. მან თავისი თავი თვითონვე დააყენა სასიკვდილო გზაზე. ვარიანტების საგულდაგულო ანალიზით ირკვევა, რომ თვით მონადირე ბეთქილსაც კარგად აქვს შეგრძნებული საკუთარი ქმედების უარყოფითი მხარეები. მან იცის, რომ სანადიროდ უწმინდური წასვლა არ შეიძლება, მაგრამ მაინც არღვევს წმიდათაწმიდა წესს. ე.ი. საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედობას. კლდეზე გადმოკიდებული მონადირე ნანობს და წყევლას უთვლის თავის რძალს, თამარს, რომ უწმინდური გაუშვა სანადიროდ. ჩვენ ზემოთ აღვწერეთ მონადირის ვალდებულებები სანადიროდ წასვლის წინ სათანადო მასალის „ლითხვიარ“-ნადირობა, მიხედვით მივეუთითეთ, თუ როგორ იწმინდება მონადირე

სანადიროდ წასვლის წინა დღეებში, რომ მისი ღუმილის დარღვევას მთელი ოჯახი ერიდება, თვით ცოლიც ვერ ეკითხება ღუმილის მიზეზს და სხვა. დამოწმებულ ეპიზოდში კი ბეთქილი რძალს წყველის, რომელმაც უწმინდური გაგზავნა სანადიროდ:

„მისი ცოდვა ნუმც დალევია

თამარს, მის რძალს:

უწმინდური გამგზავნა სანადიროდ“.

(შანიძე, 1939:283:284).

რას ნიშნავს რძლის მიერ უწმინდურად სანადიროდ გაგზავნა? რატომ არ ჩანს ცოლის როლი ან რატომ არაა მოხსენიებული? რატომ აჩუქა ბეთქილმა რძალს დალის მიერ ბოძებული მძივი, ბეჭედი? რასაკვირველია, კონკრეტულ შემთხვევაში არაფერია გასაშიფრავი და ამოსაცნობი. ფაქტია, რომ ბეთქილს თვით ეთიკურ სფეროში, კერძოდ, ოჯახურ ურთიერთობებშიც ღალატობს ნების სიმტკიცე. დალისაგან სასიკვდილოდ განწირული ბეთქილის სიტყვებში წრფელი სინანულია გამოხატული. იგი მონადირეს სთხოვს, რომ მისი განწირული მღვთმარეობა უამბოს მშობლებს, ძმებს, დებს, ტოლებს, რომ არ დაივიწყონ, წესი აუსრულონ, რომ მამამ რანგი და ღვინო ბლომად დადგას მის საკურთხად:

„დედაჩემს გადაეცი,

ზაჭაპური და ჯიშღუარი ბლომად .

დადოს ჩემს, საკურთხად.

ჩემს ძმებს გადაეცი,

დიდი წვერი მოუშვან,

ჩემს დებს გადაეცი,

თმები მოიკვეცონ,

ჩემს ცოლს გადაეცი,

ობლები კარგად გამიზარდოს,

უამბე ჩემს საყვარლებს,

(შანიძე, 1939:287).

ჩემმა საყვარლებმა ჩუმ-ჩუმად დამიტირონ“

მართალია, თარგმანი ზუსტია, მაგრამ იქ, სადაც ჩამოთვლილია ბეთქილის თხოვნა მშობლებისა და დედამამიშვილებისადმი, ნათ-

ქვაშია „გადაეცი.“ უნდა იყოს უამბე, სვანური სიტყვაა „ქოვ ხონუბაე“ ნიშნავს მხოლოდ „უამბოს“.

ბეთქილის ამგვარ გოდებაში, რომელიც ერთგვარ აღსარებასავით ჟღერს, მთლიანად იხსნება მისი შინაგანი ბუნება, რომ გრძობების სფეროში იგი ძალზე სუსტია, მაცთუნებელი ძალების ტყვეობაშია მოქცეული. დალთან ურთიერთობისას მან ვერ შეძლო საკუთარი თავის გარდაქმნა. იგი დარჩა ჩვეულებრივ მოკვდავ, ცოდვილიან ადამიანად. ცხადია, ამგვარი თვისებები ყველაზე დიდი დაბრკოლებაა სულიერი ამაღლების გზაზე. თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გაჭირდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების გაზიარება, რომ „დალი და ბეთქილი არის ღვთიური წყვილი, დაკავშირებული ბუნების განახლების, გაზაფხულის დღესასწაულთან, მსგავსად შუმერულ—ბაბილონური იშტარისა და თამუზისა, ფრიგიის კიბელასი და ატიისისა, ბერძნული აფროდიტესა და ადონისისა, არტემიდესი და აქტეონისა, ფინიკიელთა ასტარტასა და ეშმუნისა, კართაგენის ტანიტიისა და მელკარტესი“ (ვირსალაძე, 1964:91). მკვლევარი თავის მოსაზრებას იმით ამაგრებს, რომ მონადირის ტრაგიკული სიკვდილი, ნადირთპატრონის მიერ დაჯილდოება, შემდეგ კლდეზე მომწყვდევა, ბოლოს კი შურისძიება სხვა სიმღერებშიც დასტურდება. „ამასვე მოწყობს ბეთქილის დატირების შესრულება ფერხულში გაზაფხულისა და ნაყოფიერების დღესასწაულზე იმ ციკლში, სადაც სრულდებოდა მელია—ტულეფია. ცნობილი რიტუალი შედიოდა ე.წ. „ჭიშხაში“, ფერხულში, რომელიც ბეთქილის სახელს უკავშირდებოდა“... ამის შემდეგ საუბარია იმაზე, რომ „სამთი ჭიშხაში, ანუ წმინდა ფერხული... უძველესი სამონადირეო რიტუალის ნაშთი უნდა იყოს“... დამოწმებულია ვასილიევიჩის ნაშრომი, სადაც აღწერილია ტუნგუსების სამონადირეო წეს—ჩვეულება, „რომ ყოველწლიურად გაზაფხულზე კეთდება ადამიანის მსგავსი ფიტულა, რომელიც განასახიერებს ნადირთპატრონს. ნადირობის სეზონის დაწყების წინ გამართულ დღესასწაულზე ამ ფიტულის ლაჯებს შუა გაივლის ყველა მონადირე და თან თავის იარაღს გაატარებს. ეს არის მონადირისა და მისი იარაღის განწმენდის რიტუალი“. „სამთი ჭიშხაშიც“ ასეთი რიტუალის ნაშთს წარმოადგენსო და იგი შემორჩენილია ბეთქილის სიმღერაში, ხოლო ბეთქილი ქართული წარმართული „პანთეონის

გმირია“. როგორც ვხედავთ, ტუნგუსების წეს-ჩვეულების მიხედვით, მონადირეები იწმინდებიან. ბეთქილის სიმღერაში კი პირიქითაა, თვით ბეთქილს გაუხტება ლაჯებს შუა თეთრი შუნი, რომელიც მისი ბედისწერაა, მისანია, ავისმომასწავებელი. ამას გრძნობს ბეთქილი. მან იცის, რომ მიუტყევებელი შეცდომები აქვს ჩადენილი როგორც დაღთან, ასევე ადამიანებთან ურთიერთობაშიც. იგი ვერ იცავს სამონადირეო ცხოვრების წმიდათაწმიდა წესებს. ასე რომ, განწმენდაზე საუბარი უხერხული იქნებოდა. ამიტომ, რომ ბეთქილი იღუპება. ამდენად, ტუნგუსების სამონადირეო ზნე-ჩვეულებებთან ანალოგიებისა და პარალელების ძიება კონკრეტულ შემთხვევაში არასწორია. დავსძენთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ღვთაებრივი წყვილებიდან ქალღვთაებები ძალზე პოპულარული არიან დასახელებულ ქვეყნებსა და მათ ფარგლებს გარეთაც, რასაც ვერ ვიტყვით ქალღმერთ დაღზე. იგი ამ სახელწოდებით მხოლოდ სვანეთშია გავრცელებული. სხვაგან საქართველოს არამცთუ ბარის, თვით სვანეთიდან ტერიტორიულად ისეთ მომიჯნავე კუთხეებშიც კი, როგორც რაჭა და ლეჩხუმი, არ გვხვდება. ეს მაშინ, როცა ბეთქილის სიმღერის თითქმის სრული სიუჟეტი დასტურდება რაჭაში, მაგრამ დალი ნახსენებიც არაა. მიუხედავად ამისა, დალის მსგავსებაზე საუბარი დასახელებულ ღვთაებებთან ფრაგმენტულად მაინც შესაძლებელია, განსხვავებები კი ძალზე დიდია. რასაკვირველია, ბეთქილზე ამასაც ვერ ვიტყვით. პრობლემას რეალისტურად უნდა მივუდგეთ. უნდა შევძლოთ განსახილველ ძეგლთან პირისპირ დგომა, პირველ ყოვლისა, შინაარსში წვდომა. რისი თქმის შესაძლებლობას იძლევა იგი? რომ განვაგრძოთ დაღზე საუბარი ბეთქილის სიმღერის მიხედვით და საერთოდაც, ერთი რამის თქმა შეიძლება. იგი მხოლოდ ნადირთპატრონია – და, როგორც ქალღმერთს, შეუძლია კონკრეტულ მონადირეს და მისი ოჯახის წევრებსაც გაუწიოს დახმარება. ვიცით, რომ ტაბუს დამცველი მონადირე, და სახლუელობა მდიდრდება ხელი ემართება ყველას ყველა სფეროში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დალის ფუნქციების ჩამოთვლისას იგი მივიჩნიოთ ნაყოფიერების, ომის, მშობიარობის და სხვათა, გამგებლად ან ღვთაებად – ისე, როგორც ეს არტემიდეშია გაერთიანებული: „ვეგეტატიური ღვთაება, ნადირთპატრონი და ადგილის, კლდისა და წყლის მფარველი, დედა – იგი დაკავშირებულია მდინა-

რეების კულტურაზე მიგვაჩნია, რომ დალი დამოუკიდებელი თავის- თავადობაა. როგორც ზემოთაც ითქვა, იგი ტომობრივ დონეზე განსა- ხილველი ქალღმერთია. ალბათ, ოდესღაც ზოგადქართული, რომლის ბუნება და ფუნქციები სრული სახით სვანურ ზეპირსიტყვიერება- ში შემონახული. საქართველოს სხვა კუთხეთა სამონადირეო ძეგ- ლებში მხოლოდ ფრაგმენტული მსგავსება შეინიშნება. ჩვენი აზრით, დალი და ბეთქილი ვერ აღიქმებიან ღვთაებრივ წყვილად, რომ მათი ურთიერთობის საფუძველი, ზემოდასახელებული ღვთიურ წყვილთა მსგავსად იყოს. მარტივად რომ ვთქვათ, ბეთქილის სიმღერაში მონა- დირის ტრაგედიის მიზეზი ტაბუს დაუცველობაა, სუსტი ნებელობაა, განსაკუთრებით გრძნობების სფეროში: (ამაზე გვექონდა საუბარი) მას ვერანაირად ვერ შევადარებთ ვერც ერთ დასახელებულ ღვთიურ თა- ნამეწყვილებთან. ბეთქელი გამითიურებული ტრაგიკული გმირია, დაცემული. რასაკვირველია, საინტერესოდ რჩება ბეთქელზე სიმღე- რის დაკავშირება მელია-ტულეფიას-რიტუალთან, რომელიც სვანუ- რი „მურყვამობის“ რვა ჩვეულებიდან ერთადერთია. იგი, არსენ ონი- ნის სიტყვით, ყველიერის შემდგომ მეორე დღეს უწევს შავი ორმა- ბათი ჰქვია. ამ დიდმარხვის პირველ დღეს ლაშხეთში¹ დიდი დღესასწა- ული იცინა, რომოელსაც სვანურად „ლიმურყვამალ“. „მურყვამობა“, „კოშკობა ჰქვია“ (ჯავახიშვილი, 1979:103). ჯავახიშვილის აზრით, „მურყვამობა“ მთლიანად კვირიასადმია მიძღვნილი, როგორც მთავა- რი ღვთაებისადმი... „ღროთა ვითარების დამამახინჯებელი გავლენი- საგან არც სვანური „საქმისაჲ“ და „მურყვამობა ყოფილა თავისუფა- ლი“, და, რაც მთავარია, „სქესობრიობისა და შველიერების ძალის მფარველი ღვთაების თაყვანისცემის პირვანდელი სახე ხელუხლებ- ლად არსად არ არის დაცული“. (ჯავახიშვილი, 1979:109). მელია- ტულეფიას რიტუალის აღწერისაგან თავს ვიკავებთ, მაგრამ იგი მთლიანად სქესობრიობისა და შველიერების ძალის მფარველ ღვთაე- ბასთან, კვირიასთან, არის დაკავშირებული. ამიტომაც, რომ ხალხი მას შესთხოვდა ნაყოფიერებასა და შვილიერებას. დღესასწაულის უმთავრესი დანიშნულებაც ესაა. მასში მოპირისპირე მხარეთა შორის კოშკი გამარჯვებულისკენ წაიქცეოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მო- საველიანობა იმ მხარისკენ იქნებოდა უფრო მეტი. მოფერხულეთა სიმ- ღერებში ბეთქილის სიმღერაც შედიოდა, როგორც ამას ელ. ვირსა-

ლაძე აღწერს. რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით რიტუალის პროცესზე. იგი სულ სხვაგვარად სრულდებოდა, მაგრამ რიტუალის პროცესთან დაკავშირებით თვით სიმღერის არსებობა და მისი დაკავშირება „ბუნების განახლების, გაზაფხულის დღესასწაულთან“, (ვირსალაძე, 1964:93), და ამ ფონზე ბეთქილის იმგვარი ღვთიური თანამეწყვილეობის რანგში აყვანა, როგორიც შუამდინარული ღვთაება თამუზია და სხვა, ხელოვნურად გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში მეტი დამაჯერებელი საბუთია საჭირო. ალლისა და მონადირის ურთიერთობაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი. ამჯერად კი ისევ დალის საჩუქარზე შევჩერდებით. ეს საკითხი ვრცლად აქვს განხილული პროფ. ელ. ვირსალაძეს: („ქართული სამონადირო ეპოსი“, თავი III, „დალის საჩუქარი“). ნაშრომში კარგადაა მითითებული, რომ დალის საჩუქარს მაგიური ძალა აქვს. იგი ნადირობაში ხელს უწყობს მონადირეს. მონადირე „იღბლიანი“ ხდება, გვ. 50. ამასთანავე მონადირემ უნდა დაიცვას ტაბუს რთული წესები, საიდუმლო არ უნდა გაამჟღავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისჯება, კარგავს „ბედს“, „იღბალს“ ნადირობაში, შემდეგ კი იღუპება, ან ავად ხდება და კანკალი დასჩემდება და სხვა. ე.ი. ისჯება მხოლოდ მონადირე, მაგრამ არის ტექსტები, სადაც დალის მრისხანების გამო იღუპება მონადირის მთელი სახლეულობა. ამგვარ მასალებს განსხვავებული მიდგომა და გააზრება სჭირდება.

გადმოვცემთ ერთ-ერთი ძეგლის შინაარსს:

10. ღუნჩანთ უფროსი და დალი.

„შესავალში მოთხრობილია, რომ ღუნჩანები ხეშვილში ცხოვრობდნენ. მათსავით მდიდარი და ძლიერი ოჯახი არსად იყო. სალოცავ-სადიდებელიც კი საკუთარი ედგათ. ადრე ძალზე ღარიბები ყოფილან. გამდიდრება ასე მოხდა: ღუნჩანთ მონადირეს დალი შეხვედრია და სიყვარული შეუთავაზებია, თან გაუფრთხილებია, რომ ეს საიდუმლო არსად გაემხილა, თუ არა საქმე ძალიან ცუდად წავაო. თუ რამე დაგემართება, შენს თავს დააბრალე, მე არაო, მონადირემ უთხრა: მასო ცოლი ჰყავს და რა უნდა ქნასო. დალმა უთხრა: ცოლთან არაფერი წამოცდესო. იგიო თუალს მისცემს და სახლეულობას კი უთხრას: ეს თუალი წმ. გიორგის მიუციო, ყოველნაირად კარგად იქ-

ნებაო, მაგრამ ცოლთან წოლა აუკრძალავსო, ჯალაბი დაუჯერებს ამასო.

ეს კაცი დასთანხმდა და ჩასიყვარულდნენ. მონადირემ დალის გამოქვაბულში სამი დღე და ღამე დაჰყო. მეოთხე დღეს შინ წავიდა და სახლში დიდი ღვინო გადაუხადეს. როდესაც სტუმრები წავიდნენ, მაშინ ამ კაცმა უთხრა თავის სახლეულობას: მეო წმინდა გიორგიმ ეს თუალი მომცა, ამოიღო და მთელი სახლი გაანათა, მაგრამ ერთი საქმე კი მითხრა: ამის შემდეგ ცოლთან დაწოლა გეკრძალებაო, ბერივით უნდა ვიცხოვრო, სანამ წმინდა გიორგი არ მომცემს უფლებასო.

ეს თვალი თავის ცოლს გადასცა და ამანაც სკივრში შეინახა. მონადირემ დაარიგა სახლეულობა, რომ ეს საიდუმლო არსად წამოსცდებოდა — თუ არა, მთლიანად ამოვწყდებითო. კაცმა კი მარტო დაიწყო ცხოვრება, ცალკე. ამ თვალის მოტანის შემდეგ ისე აღზევდა მოსახლე, რომ სიმდიდრეს თავი და ბოლო არ უჩანს... ამის შემდეგ აღწერილია, რომ ბოლოსდაბოლოს ქალს ქმარი მოუნდა. აიყოლია ოჯახის წევრებიც და შეუჩნდნენ მონადირეს: სად დადიხარ, რატომ იღებ კისერზე ამ ქალის ცოდვასო და სხვა.

იმდენი უჩინეს და ისეთნაირად შეუჩნდნენ, რომ ათქმევინეს, რა ურთიერთობა ჰქონდა დალთან. თუმცა ვერ მოასწრო ბოლომდე თქმა, რომ გასკდა სახლი და ყველაფერი ერთიმეორეში აირია. თურმე, თვალი გამომხტარა სკივრიდან და დალისთან შესულა. ეს სახლი დაინგრა, ადამიანები მთლიანად ამოწყდნენ, ხოლო სიმდიდრე კი მთელმა სოფელმა დაინაწილა“. (შანიძე, 1978:78).

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ტექსტსა და ბეთქილის სიმღერაში დალი ერთნაირად სასტიკი და შურისმაძიებელია. ორივე ძეგლის მიხედვით, მის არსებაში მძლავრადაა შეჭრილი გრძნობიერება. ბეთქილზე შექმნილ ლექს-სიმღერებში ფიცის გატეხისა და საიდუმლოს გაცემისათვის ისჯება მხოლოდ მონადირე, პროზაულ ტექსტში კი — მთელი სახლეულობა. მნიშვნელოვანი სიახლეა დალის საჩუქარშიც. ქალღმერთმა ბეთქილს მძივი აჩუქა, ხოლო ღუნჩაანთ მონადირეს კი — თუალი“. იგი მანათობელია. მთქმელის შენიშვნით, თუალი რომელ სახლშიცაა დაბრძანებული, ის მოსახლე ყველაფერში გამარჯვებულია. მძივს ბეთქილისათვის ნადირობაში ბედი და იღბალი მოაქვს. ამიტომ უნდა გაუფრთხილდეს მას და არავის ანახვოს. რაც

შეეხება თუალს, მისი ფუნქციები გაცილებით მრავალმხრივია და აღმატებული. იგი სასწაულებრივი თვისებისაა. დამოწმებული ტექსტის მიხედვით, თუალი ოჯახის ბედნიერების, ჯანმრთელობის, გამრავლების, დოვლათიანობისა და ყოველგვარი სიკეთის მომტანია. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, ლუნჩანთ ოჯახს ყოველი სულდგმულის (იგულისხმება შინაური საქონლის ჯიშები) ჯოგები ჰყავდა. ამიტომაც, რომ თუალს უნდა გაუფრთხილდეს არა მარტო მონადირე, არამედ მთელი სახლეულობა, რომლის ბედისწერაც ქალღმერთის ამ საჩუქართან არის დაკავშირებული. ასე რომ, თუალის იღუმალების დაცვა და მისი მოვლა—პატრონობა ოჯახის წევრთა სულიერი გამოცდაა და იგი არსებითად ადამიანთა მთელ ჯგუფს უზარმაზარი არჩევანის წინაშე აყენებს, კერძოდ, რანაირი სული ტრიალებს მათ შორის, რა ღონეზე შეუძლიათ მათ ღვთიურთან თანაზიარობა? მთელი სახლეულობა, და მონადირე უკვე გზასაყარზე დგანან, მატერიალურად უზრუნველყოფილი არიან, ყველა სფეროში ხელი აქვთ მომართული. ეს აღზევებული მდგომარეობა, დიდების მწვერვალი, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება ბედნიერების დასაწყისიც აღმოჩნდეს და დასასრულიც. ადამიანის ძალა და უნარი ან იშრიტება, ეცემა, ან ახალსა და მაღალ საიდუმლოებას უნდა მისწვდეს. ზემოთ განხილულ მასალებში ჩვენ ვნახეთ, რომ მონადირეთა ერთი ნაწილი ბოლომდე იჩენს ნების სიმტკიცეს და ღვთიური მაღლი მათზე მემკვიდრეობითაც გადადის. ვიცით, რომ ბოლო გადამწყვეტ გამოცდისას პიროვნება უკვე თავადაა საკუთარი ბედის მჭედელი. შუალედი აღარ არსებობს. ხდება პიროვნების ან დაცემა, ან ამაღლება, აღზევებული მდგომარეობის გაგრძელება. შეიძლება ღვთიურ საუფლოებში შეღწევა. ამის მაგალითებიც არის და ამ გზით ხდება ზენასამყაროულ იღუმალებათა შეცნობა, მოკლედ, ხელახლა დაბადება. ეს პრობლემა აქტუალურია ინდივიდუალური მწერლობისთვისაც, ხოლო ზეპირსიტყვიერ ხელოვნებაში სხვაგვარადაა გაშლილი და მოტივირებული. მოხმობილ მასალებში კი ეს პროცესი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროზაულ ტექსტს, სადაც ასე თუ ისე მონადირის სულიერი განცდება აღწერილი და დახასიათებულიც, რაც თავის მხრივ ავტორმთქმელის ინდივიდუალური ინციატივა უნდა იყოს, ძალზე საინტერესოაა წარმოდგენილი. ორივე ტექსტში ხალხური მთქმელი მიგვანიშნებს

პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობაზე, წარმოდგენას გვიქმნის მათ მეობასა და ნების სიმტკიცეზე, თუ რა პოზიციებიდან უნდა შეფასდეს მათი ქმედება და როგორ? ასე რომ, მკითხველი თავად უნდა გაერკვეს ტრაგედიის მიზეზებსა და სიტუაციებში. გავიმეორებთ, სამეცნიერო ლიტერატურაში მონადირის ტრაგედიის უმთავრეს მიზეზად ტაბუს დარღვევაა მიჩნეული. ეს მართლაც ასეა, მაგრამ, თუ ახსნით თვალსაზრისზე დავდგებით, აღმოჩნდება, რომ თვით ტაბუს დარღვევას, ფიცის გატეხას აქვს მრავალნაირი განშტოება, რომელიც სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს, მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესი მანკ იგია. ტაბუ და ფიცი შეიძლება დაირღვეს, გატყდეს, როდესაც საქმე გვაქვს ჩვეულებრივი, მარტივი გონების ადამიანთან, რომელიც ბუნებასთან გამოყენებით, ეგოისტურ დამოკიდებულებას ამყარებს. ნაწილობრივ ამაზეც გვქონდა საუბარი. დაახლოებით ამგვარი რამ ემართება გამოუცდელ მონადირესაც. ამ შემთხვევაში დალის ქმედება და სისასტიკე სხვაგვარად უნდა შეფასდეს და მის ბუნებასა და ფუნქციებს განსხვავებული კვალიფიკაცია მიეცეს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დალისა და მონადირის ურთიერთობაში მთავარი და გადამწყვეტი ადამიანის ქმედებაა, ყველაფერი, რაც მას გარდახდება და ემართება, მისივე ცხოვრების წესიდან მომდინარეობს. რასაკვირველია, მონადირეს რთული გზა აქვს გასავლელი. მან ბევრი რამ უნდა დაძლიოს და დათმოს. მონადირული ყოფიერება მისთვის საფრთხედ კი არ უნდა იქცეს, პირიქით, მან უნდა შეძლოს თავისთავში ცვლილებების შეტანა, რომ მასში ახალმა ადამიანმა გაიღვიძოს. სამონადირეო ციკლის მასალებიდან ვიცით, რომ მონადირეს ქალღმერთთან ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს. ამდენად, მას აქვს ყველა წინაპირობა (თუმცა ეს პირობები მკაცრია, მაგრამ მათი დაცვა შეიძლება), რომ სულიერი ზეაღსვლისაკენ მიმავალი ბილიკი იპოვოს, ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს, ქმედებას. დალი ყოველთვის მის გვერდითაა. ზემოთ ვნახეთ, რომ იგი მონადირე ბიბუს აღმზრდელი არსებობს. დალი ყველაფერში ეხმარება მის რჩეულს. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ დალი არასოდეს არის კონფლიქტის მიზეზი. იგი არც არასოდეს დალატობს მონადირეს. პირიქით, რასაც ჰპირდება, ყველაფერს უსრულებს. საერთოდ, დალი ძალიან მრისხანე და მკაცრია. ქალღმერთისაგან პატიება, როგორც ასეთი, გამორიცხულია იმ შემთხვევაშიც კი,

როდესაც მონადირე მისი გადამრჩენია. პროფ. ელ. ვირსალაძეს 1951 წ. მესტიაში ეფრემ გულელანისაგან ჩაუწერია გადმოცემა „დალი და დევი“. ლატალში, ლაჭილის ხეობაში, ერთ-ერთი მონადირე დაკარგულ ხარებს ეძებდა. უცებ მოესმა დალის კივილი. მას დევი მოსდევდა. მონადირემ გადაარჩინა. დევი ღრიალით გაიქცა... მადლიერმა ქალღმერთმა მონადირეს მაკრატელი აჩუქა, თან დაარიგა, რომ კარგად შეენახა. სანადიროდ რომ წახვალ, ცარიელი არასოდეს დაბრუნდებო. ოღონდ არავის გაანდო საიდუმლო, მაგრამ ცოლმა გაიგო და მონადირეს ეს იღბალიც ხელიდან წაუვიდა“.

როგორც დამოწმებული ტექსტის შინაარსიდან ვგებულობთ, დალი მონადირეს არ ღუპავს, არც ავადმყოფობა მოუკლენია მისთვის, მხოლოდ იღბალს ართმევს. აქაც, ამ ეპიზოდში, მნიშვნელოვანი საიდუმლოება იხსნება ქალღმერთის ბუნებისა. ტექსტიდან ამკარაა, რომ მონადირე არც მოღალატეა და არც საიდუმლოს გამცემი. უბრალოდ მან სათანადო სიფრთხილე და სიფხიზლე ვერ გამოიჩინა, ცოლმა შეძლო საიდუმლოს გაგება. მონადირე კი იმით ისჯება, რომ მადლი დაკარგა, იღბალი წაერთვა. ალბათ, ზედმეტი იქნება იმის გამარტება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დალის მხრიდან არანაირი სისასტიკე არა ჩანს.

11. გეგი მარგიანი და დალი

„გეგი მარგიანი ცნობილი მონადირე იყო. მას დალი ჰყვარობდა. გეგი ტაბუს იცავდა.

შეჰყავდა დალს თავის კლდეში და იქ უდებდა პირობას, რომ არ გაემხილა გეგის მასთან ურთიერთობა. იმ ნადირს, რომელიც გეგის არ უნდა მოეკლა, ჰქონდა გარკვეული ნიშანი. ეს დალის ეული ნიშანი იყო და გეგის ყოველთვის უნდა დაეცვა პირობა: ნადირს რომ მოკლავდა, შესწირავდა დალს მის გულ-ღვიძლს...

გეგის, როგორც ეტყობა, თავი ვერ შეუკავებია და უღალატია დალისათვის. ერთ დღეს დალი შეხვდა და უთხრა: „შენ ჩემთან დადებული პირობა არ შეასრულე და შენი სიკეთე დღეის იქით აღარ იქნე-

ბა... მოუვლინა ავადმყოფობა, უცნაური – კანკალი და ნადირობა აუკრძალა“... (ვირსალაძე, 1964:216).

დამოწმებული ტექსტი მრავალმხრივ საინტერესოა. ირკვევა, რომ გეგი საკმარისად მტკიცე ნების მონადირეა, ჩანს, იგი დიდხანს იცავდა დალისათვის მიცემულ პირობას. ქალღმერთიც უხვად სწყალობდა. მონადირის სიტყვებით: – თავს არ ვაკადრებდი, თორემ, რამდენსაც ვთხოვდი, იმდენ ნადირს მამღევდა ისო“. ეს სიტყვები ერთგვარი თვითდაზნაობაა, სადაც დილისადმი დიდი კრძალვა და პატივისცემაა გამოხატული. საანალიზოდ წარმოდგენილ ძეგლში საინტერესოა ის ეპიზოდი, სადაც ნახსენებია, რომ დალს მონადირე თავის კლდეში შეჰყავდა, იქ უდებდა პირობას, რომ არ გაემხილა მასთან ურთიერთობა. ცხადია, დალი უკვე გამოქვაბულის ბინადრია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „თავისი კლდე“? ჩვენ სხვა მასალებიდან ვიცით, რომ დალს კლდეში ჯიხვების ჯოგი ჰყავს. თავადაც კლდოვანი არეალის ბინადარია. ჩვენი აზრით, „თავისი კლდე“ კონკრეტულ შემთხვევაში მთლიანი კლდოვანი მასივის რაღაც განცალკევებული მონაკვეთი უნდა იყოს, შეუვალი, ქალღმერთის სამყოფი. ყოველ შემთხვევაში, ეს სახელწოდება რაღაც განსხვავებულზე მაინც მიგვანიშნებს. ვიცით, რომ მონადირემ არ უნდა ესროლოს ოქროსრქიან ჯიხვს ან თეთრს, ჭრელსა და სხვა. ცხადია, ეს ნიშნები ყველასათვის თვალში საცემია, მაგრამ, თუ გულდასმით დავაკვირდებით განსახილველ ძეგლს, შევამჩნევთ, რომ მასში მკვეთრად განმასხვავებელ ნიშნებზე არ უნდა იყოს საუბარი. როცა ვკითხულობთ: „იმ ნადირს, რომელიც გეგის არ უნდა მოეკლა, ჰქონდა გარკვეული ნიშანი დალის და გეგის უნდა დაეცვა ყოველთვის“. რასაკვირველია, როცა საუბარია დალის დასმულ ნიშანზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ოქროსრქიანი, ან თეთრი კი არაა, არამედ მხოლოდ დალისაგან გამჟღავნებულ ნიშნითაა გამოსაცნობი, რაც სხვისი ფიზიკური თვალისათვის შეუმჩნეველია, ეს მხოლოდ გეგიმ იცოდა, ისიც დალის წყალობით. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ზემოთ განხილული ტექსტი „დვიდილანთ ბიბუ“. დალი ეტყვის, რომ „გორგოდა“ მისთვის ჰყავს გამოშვებული – ე.ი. საიდუმლო ნიშანზეა საუბარი, რომელიც მხოლოდ დალის რჩეულმა იცის. გადმოცემიდან ირკვევა, რომ გეგის ეს საიდუმლო არ გაუმჟღავნებია, ასევე არ გაუმჟღავნებია ინტიმური ურთიერთობის ამ-

ბავიცი. ჩვენთვის სწორედ ეს არის საინტერესო. იბადება კითხვა: როგორ შეიძლება შეფასდეს დალის ქმედება? მართალია, იგი მკაცრია, მაგრამ არა შეუბრალებელი, სასტიკი. ისევე გავიხსენოთ მონადირე გეგისადმი მისი სიტყვები: „შენ ჩემთან დადებული პირობა არ შეასრულე და შენი სიკეთე დღეის იქეთ აღარ იქნება“. ამის შემდეგ მოუვლინა ავადმყოფობა და ნადირობაც აუკრძალა. მთქმელი არაფერს აკონკრეტებს, მხოლოდ მიანიშნებს, რომ: „გეგის, როგორც ეტყობა, თავი ვერ შეუკავებია და უღალატია დალისათვის“. ამ სიტყვებში ფარულად ის აზრია გამჟღავნებული, რომ გეგის საიდუმლოებები კი არ გაუცია, არამედ დალი სხვა ქალში გაუცვლია, რასაც დალი ყოველთვის იგებს, სწორედ ეს არ აპატია გეგის. როგორც ვხედავთ, მონადირე გრძნობების სფეროში სისუსტის გამო დაისაჯა და არა დალთან ინტიმური ურთიერთობის გამჟღავნებისათვის, რასაც მონადირის უეჭველი დაღუპვა მოჰყვებოდა. ყურადღებაამისაქცევია ისიც, რომ მონადირე გეგი, ბეთქილისაგან განსხვავებით, არ ცრუობს, არც თავის მართლებებს ცდა შეიმჩნევა. დალის საყვედურზე იგი დუმს, არაფერს უპასუხებს. მონადირის ამგვარი ქმედება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას კარგად აქვს შეგნებული ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე. მართალია, ტექსტის ეს ეპიზოდიც თავისუფალია ახსნა-განმარტებებისაგან, მაგრამ აშკარაა, რომ დალმა გეგი თავისი გულწრფელობის გამოც დაინდო და ავადმყოფობა მოუვლინა, ნადირობა აუკრძალა. დალის ამგვარი ქმედება საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს. აქ ორი მხარეა მკვეთრად გასამიჯნავი, როცა დალის სისასტიკეზე ვსაუბრობთ (ცხადია, ვგულისხმობთ არა მხოლოდ მონადირე გეგის თავგადასავალს, არამედ დალის ციკლის მასალებს მთლიანად): წმინდა ადამიანური და წმინდა ღვთიური, რომ თითოეულს როგორმე თავისი ადგილი მიუჩინოთ. ცხადია, ამგვარი კვლევა მთლიანად ახალი არ არის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში უმეტესწილად დალისა და მონადირის ინტიმური ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებზე და, აქედან გამომდინარე, კონფლიქტურ სიტუაციებზეა შეჩერებული ყურადღება. ამ ფონზე განხილული დალის სისასტიკე, მონადირის ტრაგედია ტაბუს დაუცველობის გამო და სხვა. ასე რომ, პერსონაჟთა ქმედებები არაა ბოლომდე დახასიათებული და წარმოჩენილი. არაფერს ვამბობთ ამჯერად მათ მორა-

ლურ დამოკიდებულებაზე გარემომცველი სინამდვილის, ცხოველთა სამყაროს, ბუნებისადმი, რაზედაც საერთოდ არაფერია თქმული. ამაზე ქვემოთ... იმასაც დავსძენთ, რომ მასალა მრავალფეროვანია და ზოგჯერ ერთიმეორის საპირისპიროც. ამიტომ დიდი სიფრთხილე, წინდახედულობა და ტექსტების მიმართ კრიტიკული მიდგომაა საჭირო, რათა თავიდან ავიცილოთ მთქმელის მონათხრობის დონეზე დარჩენის საშიშროება. ჩვენი აზრით, პირველი რიგის ამოცანაა დალის ციკლის მასალების ზუსტი მეცნიერული აღწერა და სისტემაში მოყვანა, კვლევის იმგვარი მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება, რომელიც კანონზომიერებისაკენ მიმავალ გზაზე დაგვაყენებდა. ამისათვის კი აუცილებელია დალისა და მონადირის ურთიერთობებში მკვეთრად გავმიჯნოთ ერთიმეორისაგან კონფლიქტური სიტუაციების ამსახველი ძეგლები არაკონფლიქტურისაგან. ზემოთ განხილული მასალებით დავრწმუნდით და შემდგომშიც დავინახავთ, რომ დალი იმდენად მზრუნველი, მეთვალყურეა მონადირისა, რომ თვითონ მიდის მის სამყოფ-სადგომში, აღვიძებს, სანადიროდ წასვლას შეახსენებს, არიგებს, რომ მისთვის „ლალაკაზე“ ასეთი და ასეთი ნიშნის „გორგოდა“ (დიდი რქებდაგრეხილი ჯიხვი) ჰყავს გამოშვებული მოსაკარგავად (მოსანადირებლად), ბოლოს კი ნადირობაში მადლით აჯილდოებს, რაც მემკვიდრეობითაც გადადის (დვიდალანთ ბიბუ). ითქვამს, რომ ამ ტიპის ძეგლებში დალის რაიმე ინტიმურობასა და სისასტიკეზე ფიქრიც კი უხერხული იქნებოდა. სრულიად საპირისპირო ვითარებას ვაწყდებით კონფლიქტური სიტუაციების ამსახველ ძეგლებში. აქ დალისა და მონადირის ურთიერთობა იმდენად რთულია, იმდენად მრავლისმომცველია და ისე უხილავი ძაფებითაა გადასული და გადახლართული ერთიმეორესთან, რომ ჭირს მათი ინტიმური გზის პოვნა. ამ ურთიერთობაში ადამიანი არსებითად მთელი თავისი იდუმალი თვისობებითაა გაცხადებული და ამდენად, ძნელია ყველა ნიუანსის გათვალისწინება. მართალია, ჭეშმარიტი მონადირე სოფელში ყველაზე პატივდებულია, ჭკუის საკითხავი, საიმედო, ტაბუს დამცველია, მაგრამ იგი შეიძლება არ იყოს დალის რჩეული. ამდენად, დალთან ურთიერთობა მართლაც მისტიკურ საიდუმლოებად რჩება. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ დალის რჩეული გარეგნული ქმედებების მიხედვით დიდად როდი გამოირჩევა სოფ-

ლის თვალში. ბევრი მისი ქმედება შეიძლება შეუმჩნეველი ან გაუგებარი დარჩეს. ასე რომ, იგი ყოველთვის როდი გამოდის სხვაზე აღმატებული. ამასთანავე, კონფლიქტური სიტუაციების ამსახველი ძეგლებით აშკარავდება, რომ მონადირებს ძალიან უჭირთ სულიერ, ზნეობრივ სფეროში სიმტკიცის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, დალის მრისხანების მიზეზიც მრავალნაირია, ხშირად იდუმალებით მოცული. ჩვენ მხოლოდ აღწერილი ფაქტებით ვმსჯელობთ, მაგრამ როგორია ან რა არის მომხდარს მიღმა ღვთიური წყრომის მიზეზი? ისევ ღვთიური საიდუმლოება. ამიტომ ზუსტად უნდა აღვწეროთ და დავაკვირდეთ კონფლიქტური სიტუაციების გამომწვევ მიზეზებსა და ქმედებებს, რომ შევძლოთ ამ ქმედებათა მწყობრი თანმიმდევრობით დალაგება და გააზრება, ხოლო ამ გზით გარკვეულ კანონზომიერებასთან მისვლა. ასე, მაგალითად, ბეთქილი იმიტომ იღუპება, რომ ინტიმური ურთიერთობის საიდუმლო აქვს გამჟღავნებული, ქალღმერთის მიერ ბოძებული მძივი თავის რძალს, თამარს, აჩუქა, რომელმაც ბეთქილი უწმინდური გაუშვა სანადიროდ. მონადირე არანაირ პირობებს არ იცავს, საყვარლებიც ჰყავს და სხვა. დაახლოებით ასეთსავე სიტუაციასთან გვაქვს საქმე ღუნჩაანთ მონადირის თავგადასავალში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლში დალის ფუნქციები, დამოკიდებულება ადამიანებისადმი საგრძობლად გაზრდილია და საიდუმლოს დამცველი უკვე არა მარტო მონადირეა, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფი, ოჯახი. „ვიცი, რომ ძე. სვანეთში ოჯახი ი მრავალრიცხოვანი იყო, (ერისთავი, 1986:172). 50 სული, ზოგჯერ მეტიც. ვიცი, რომ დაღმა მონადირეს თუალი აჩუქა, თანაც გააფრთხილა, რომ თუალის საიდუმლო არ გაამჟღავნოს არც მან და არც მისმა ოჯახმა, თუ არა, რაც მოგივა, თავს დააბრალეო. მონადირემ იცოდა, რომ, თუ თუალისა და დაღთან ურთიერთობის საიდუმლოს გააცხადებდა, მთელი ოჯახი ამოწყდებოდა. აქაც კანონზომიერებაა დაცული: საიდუმლოს გათქმა და ოჯახის ამოწყვეტა ერთი იყო. მართლაც, მიწა იძრა და სახლი დაიტანა...

ზემოთ განხილული ორი ძეგლისაგან ერთობ განსხვავებული ვითარებაა გადმოცემაში „გეგი მარგიანი და დალი“. გეგი უფრო ძალიან სულის ინდივიდუალობაა, ვიდრე ბეთქილი და ღუნჩაანთ მონადირე. შინაარსიდან ვიცი, რომ გეგი წმინდად იცავდა დაღთან ურთი-

ერთობის ყველა საიდუმლოსა და პირობებს. მრავლისმთქმელია მისი სიტყვები, რომ „თავს არ ვაკადრებდი, თორემ დალს, რამდენსაც მოვთხოვდი, იმდენ ნადირს მომაკვლევენებდაო. ამ სიტყვებიდან ჩანს მისი, როგორც მონადირის, ჭეშმარიტი ბუნება, მისი კეთილსინდისიერება, განსაზღვრულზე მეტი არ დახოცოს. გადმოცემიდან იგრძნობა, რომ დალი მას ენდობოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა გავიგოთ დამოწმებული ფრაზის ბოლო სიტყვები: „რამდენსაც მოვთხოვდი, იმდენ ნადირს მაძლევდა ისო“. ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ გეგი ამ ნდობას კეთილად იყენებდა. იგი ტაბუს არასოდეს არღვევდა. მთქმელი მრავლისმეტყველად, ერთგვარი რიდით შენიშნავს: „გეგის, როგორც ეტყობა, თავი ვერ შეუკავებია და უღალატია დალისათვის“, დამაფიქრებელი ფრაზაა. მთქმელი კი არ აზუსტებს და აკონკრეტებს, რომ ესა და ეს ჩაიდინა მონადირემ, მხოლოდ მიანიშნებს „როგორც ეტყობა“. ცხადია, ამ ირიბულად ნათქვამში მხოლოდ ის იგულისხმება, რომ გეგიმ კი არ გაამჟღავნა დალთან ინტიმური ურთიერთობის საიდუმლო, არამედ სხვა ქალში გაცვალა. როგორც ითქვა, დალი მიმტევებელი არასოდეს არის. სწორედ ეს ერთი შეცდომა არ აპატიო თავის რჩეულს, ავად გახადა, გაწირვით კი არ გაუწირავს.

12. განვიხილოთ გადმოცემა „დალი“.

გადმოცემა ზემოთ დამოწმებული ძეგლის უფრო მაღალ რეგისტრში გაგრძელებას წარმოადგენს:

მასში მოთხრობილია მონადირე ბექა გულბანის თავგადასავალი. მთქმელი პირველი სტრიქონიდან გვაუწყებს, რომ ბექაი წმინდა კაცი ყოფილა ზეგანიდან (იფარის მიდამოებიდან). როდესაც სანადიროდ მიდიოდა, 2-3 ნანადირევით მოდიოდა ყოველთვის. თურმე, ყოველ დამე დალი მობრძანდებოდა მის ოთახში და მასთან იყო. ყველა ნათესავი აძალებდა ცოლის შერთვას, მაგრამ ცოლი არ ითხოვა, რადგან, სანამ იგი დალს შეიყვარებდა, მანამდე უნდა ეთქვა, რომ ცოლი მინდაო, რაკი მანამდე არ უთხრა, აღარ ჰქონდა ნება არც ცოლის შერთვისა და არც სხვა ქალთან ცხოვრებისა. წინასწარ რასაც აუწყებდა დალს და სთხოვდა, ნებას რთავდა, მაგრამ მერე არც ცოლის თხოვნის ნება მისცა და არც სხვა ქალის შეყვარებისა. ღრმად მოხუც-

და ბექაი. როცა კვდებოდა, ჭირისუფალთ დაეთხოვა და უთხრა: მართო დამტოვეთო. როდესაც გარდაიცვალა, მოვიდა მისი შეყვარებული დალი – ცხედარი გაბანა, შემოსა, საში დიდი სანთელი აუნთო თავთან და ფეხებთან, დაიტირა და დატოვა ისე“ (ჩაწ. ელ. ვირსალაძის მიერ II.VIII 1951 წ. ს. ჰადიშისი (ზემო სვანეთი საქ. აბესალომ (ათსულ) მურზაბეგბის ძე ავალიანი, 20 წ. იხ. ფ. არქივი 34382. შ. რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტიტუტი.

მოტანილი სიუჟეტი არაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში, მხოლოდ დამოწმებულია, როგორც ერთ-ერთი გადმოცემა, მასალა. ერთი შეხედვით, ეს თორმეტსტრიქონიანი გადმოცემა მართლაც არ ტოვებს რაიმე განსაკუთრებულის შთაბეჭდილებას, თითქოსდა აქ არაფერია ისეთი, რომელიც მას თვალში საცემი ნიშნით გამოარჩევდა, მეტიც, მთქმელი ძალზე ძუნწ ცნობებს გვაწვდის ბექას პიროვნებაზე, მის ქმედებასა და გარემოსთან ურთიერთობაზე. მხოლოდ გაკვრითაა მინიშნებული, რომ იგი წმინდა კაცი იყო და მოკრძალებულად ცხოვრებდა. ისე განვლო წუთისოფელი, რომ არავინ შეუწუხებია. ასეთად დარჩა იგი აღსასრულის ჟამსაც. მთქმელი იმასაც შეგვახსენებს, რომ ბექა საუკეთესო მონადირე იყო. მიუხედავად თხრობის ამგვარი მარტივი სტილისა, წინამდებარე გადმოცემას თუ ღრმად ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ საქმე გვაქვს ურთულესი შინაარსის მითოსურ ძეგლთან. იგი ბევრი იღუმალების განხნისაკენ გვიკვალავს გზას. ისევე, როგორც ზემოთ განხილული ცალკეული ძეგლების შემთხვევაში, აქაც თითოეულ ფრაზას, გამოთქმას, ზოგჯერ სიტყვასაც კი ღრმა აზრობრივი და რელიგიური დატვირთვა აქვს. ასე, მაგალითად, პირველსავე სტრიქონში მითითებულია, რომ „ბექა გულბანი წმიდა კაცი იყო“. მთქმელმა ამ ერთი სიტყვით – „წმიდა“ – ყველაფერი გვითხრა. შეიძლებოდა აქ დაგვესვა წერტილი, ვინაიდან დალისა და მონადირის ინტიმური ურთიერთობის ამსახველ პროზაულ თუ პოეტურ ძეგლებში არსად, არც ერთი მონადირე არ იხსენიება ამ სახელწოდებით. პრობლემის გასაღებიც სწორედ ეს ერთი სიტყვაა „წმიდა“. ასეთი კი მხოლოდ ბექა გულბანია, გამოცდილი და მტკიცე ნების მქონე მონადირე, იღბლიანი. იგი ყოველთვის 2–3 ნანადირევით ბრუნდებოდა შინ. ბექა გულბანი ღრმა ინდივიდუალობაა. ტექსტიდან ვგებულობთ, რომ წმინდა პრაქტიკულ ცხოვრებაში

ნაკლებ აქტიურია. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებიდან განაპირებულიც კი არის. ასეთია იგი ოჯახში, მახლობელთა შორისაც. მას დამოუკიდებელი სამყარო აქვს და ბევრ იდუმალებას ატარებს. იგი თავის ცხოვრების წესით განსაკუთრებული ინდივიდუალობაა, მეს მჭონე. ასე, მაგალითად, ნათესავებისა და მახლობლების დაჟინებულ თხოვნას, თუ რჩევას, ცოლი ეთხოვა, ღუმილით უპასუხებდა. მას წინასწარ არ გამოუთხოვებია დალისათვის ამის უფლება. ქვეტექსტი ამგვარი ქმედებისა ის არის, რომ ბექასათვის ფიცისა და პირობების დაცვა წმიდათაძეგლია მოვალეობაა და ამ გზიდან მას არასოდეს გადაუხვევია. ისე მიაღწია ღრმა სიბერემდე, რომ დალთან ურთიერთობის საიდუმლო არ გაუმჟღავნებია, არ უღალატია ქალღმერთისათვის. იგი ბოლომდე დარჩა ფიცის ერთგული და საიდუმლოს დამცველი. ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ბექაი დალის ჭეშმარიტი თანამეწყვილეა. მას არაფერი აქვს ბეთქილივით საგოდებელი და სანანებელი. იგი ბოლომდე მართალია თავისთავსა და ღმერთთანაც, მახლობლებსა და, საერთოდ, ადამიანებთან, გარემოსთანაც. ბევრი რამის მთქმელია სიტყვები: „თურმე, ყოველ ღამე დალი მობრძანდებოდა მის ოთახში და მასთან იყო“. საინტერესო ფრაზაა. ჩვენ ვიცით, რომ „მონადირე ბიბუსთან, მის სამყოფ—სადგომში, თავად დალი მიდიოდა, ზრუნავდა, რჩევას აძლევდა და სხვა, მაგრამ ის, რომ ყოველ ღამე ადამიანთა საცხოვრისში, სახლში, დალი მონადირესთან დადიოდა, ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა. აქ, ალბათ, ისევ ბექაის მაღალი სიწმინდეა ამოსავალი. რაც მთავარია, კონკრეტულ შემთხვევაში, დალის ბუნების იდუმალებას მთლიანად ეხსნება საბურველი, იგი სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგება. აქ ინტიმურობა აღარაა უმთავრესი და წამყვანი. ვინაიდან ბექაი ღრმა სიბერემდეა მისული (თუმცა ახალგაზრდობის ურთიერთობაზეც იგივე შეიძლება ითქვას), ხოლო ქალღმერთს იგი არასოდეს მიუტოვებია, ყოველღამე მიდიოდა მის ოთახში, მზრუნველობა არ დაუკლია, ყველაფერში ხელს უმართავდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე მათი ურთიერთობა წმინდა სულიერ პლანშია გადატანილი. მონადირეთაგან, ალბათ, ბექაი ერთ-ერთი გამონაკლისთაგანია, რომელმაც ბოლომდე გაუძლო ღვთიურ გამოცდას (ცნობიერად). ამის გამოა, რომ დალი მუდამ სწყალობს მას. ამ აზრით, ძალზე საინტერესოა მისი წუთისოფლიდან წასვლის

ჟამი. ფიზიკურად დაუძლურებულმა ბექაიმ იგრძნო რა აღსასრულის მოახლოება, ჭირისუფალი დაითხოვა და საკუთარ თავთან მარტო დარჩა. როგორც ჩანს, იცოდა, რომ ქალღმერთი მას უპატრონებდა. მართლაც, გარდაიცვალა თუ არა, მობრძანდა დალი, „ცხედარი გაბანა, შემოსა, სამი დიდი სანთელი აუნთო თავთან და ფეხებთან, დაიტირა და დატოვა ისე“. მიცვალებული მონადირის ამგვარი გაპატიოსნება დალების მიერ სხვა ძეგლებშიც დასტურდება. ერთ-ერთ გადმოცემამი.

13. „მონადირე და დალი“

მოთხრობილია ბეროელი აღმასვილ მონადირის თავგადასავალი, რომელსაც დალის მიერ ნაჩუქარი „ბერდენკას ვაზნები“ და თავსაფარი ჰქონდა ხურჯინში შენახული. ამ საიდუმლოს გებულობს დედამისი. სანადიროდ წასული აღმასვილი და მისი ამხანაგი სხვადასხვა სანადირო ადგილებისკენ წავიდნენ, დათქვეს, რომ ერთურთს ამა და ამ ადგილას შეხვედროდნენ. აღმასვილი, თურმე, ზეავს დაუტანია. ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ გააპატიოსნეს მიცვალებულის ცხედარი. მონადირის ამხანაგმა ხალხი გარეთ გაიყვანა, როგორც ეს ტრადიციადაა დამკვიდრებული, დედა კი შინ დაიშალა. „ამ დროს შემოვიდნენ დალები სამი ფანჯრიდან. მიცვალებული მარტოა სახლში. დაღმა ქეც იტირა, ქეც გახდა ტანისამოსი და თავისი ჩააცვა ყველაფერი. მხოლოდ უკანასკნელად ერთ წულას რომ აცმევდა, ერთი ქუსლი ჰქონდა ამოწეული. იმ დროისათვის დედამ გამოაჩინა თავი დ გაქრნენ დალები. ეს წულა ქუსლამოწეული დარჩა“.

(ვირსალაძე, 1964:215).

ორივე ძეგლში საინტერესოა დალებისაგან მიცვალებულის გაპატიოსნება, განბანა, შემოსვა. პირველში ბექას ცხედართან სამი სანთლის ანთება, თავთან, ფეხებთან, დატირება და სხვა. დავსძენთ, რომ დამოწმებული ეპიზოდი რთული გასააზრებელია. აქ, პირველ ყოვლისა იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ დალების მიერ მიცვალებულის გაპატიოსნება სხვაა და ადამიანების მიერ გაპატიოსნებული კი სხვა. ისინი მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ერთიმეორისაგან. ამის

აუცილებლობაა თუნდაც იმიტომ, რომ გაპატიოსნებულ ცხედარში ცვლილებაა, მიდამოც სხვაგვარად გამოიყურება: „შევიდა ხალხი და ხედავს, რომ ცვლილებაა ამ მკვდარში და სხვანაირი სინათლეა მის გარშემო. ის წულა კაცმა ვერ ჩააცვა. ამხანაგმა კი უთხრა: ამის ცოდვა სიცოცხლეში ნუ გამოელევა იმას, ვისი ბრალიც არისო და დარჩა ასე სამარადისოდ“. როცა მთქმელი სხვაგვარ სინათლეზე საუბრობს, ცხადია, იგი გამორიცხავს სინათლის ფიზიკურ გაგებას. აქ მიდამოსა და მონადირის ლეთიურ ნათლითმოსილებაზეა მინიშნება. ამიტომაც აქცენტირებული განსხვავებული სინათლე და „მკვდარში“ მომხდარი ცვლილება. დალებმა აღმასვლის სული მათთან მყოფად აქციეს. ვფიქრობთ, რომ მათ ამგვარ ქმედებას რალაცნაირად კავშირი აქვს მონადირე „ჩორლას“ ერთ-ერთი ვარიანტის იმ ეპიზოდთან, როდესაც წმ. გიორგიმ წარლენა მოუვლინა დალთა ლაშქარს, ჩორლამ კი ერთ-ერთი დალის გადარჩენა სთხოვა, რომელსაც:

„ბევრი გაციებული გაუთბია,
ბევრი მშიერი გაუძლია“. გვ. 295.

წმ. გიორგიმ თხოვნა შეუსრულა და უთრა:

„ჩორლა ჩემო, არ დავახრჩობ,
სადაც მოჰკვდე, იქ მოკვდეს“.

(შანიძე, 1939:295)

ე.ი. დალთან ერთად მოკვდეს. დამოწმებულ ეპიზოდზე და თვით ჩორლას ლექს-სიმღერაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი დავამატებთ, რომ ეს ის ჩორლაა, რომელსაც ბ. ვარიანტით წმ. გიორგი დამშვიდობებისას ეტყვის:

„ახლა ნატვრას მოგცემ:
დღეში (თითო) ჯიხვი გქონდეს,
წვრილი არჩვი უარუთქმელად გქონდეს...
როცა შენ სიკვდილი გერჩიოს...
„მაშინ (იყავ ჩვენთან მყოფი)“.

(შანიძე, 1939:303).

თუ გავითვალისწინებთ ერთ-ერთ გადმოცემას, რომ დალი წმ. გიორგის მწყემსია, მას აბარებს ანგარიშს ჯიხვებისა, თუ რამდენი არიან ისინი, გასაგები უნდა იყოს, რომ დალების მიერ მიცვალებულის გაპა-

ტიოსნება გარდაცვლილი მონადირისათვის ღვთის წინაშე სასუფეველის დამკვიდრებას უნდა ნიშნავდეს.

როგორც ირკვევა, ბექაის, აღმასვილსა და ჩორლას შორის არის მნიშვნელოვანი მსგავსება. ეს განსაკუთრებით ითქმის პირველ ორზე. მიუხედავად ამისა, ბექაის თავგადასავალი უფრო ამაღლებულადაა წარმოდგენილი, ის ყველა მონადირეზე სრულყოფილია. იგი იმდენად დამოუკიდებელი თავისთავადობაა, რომ დალთან ურთიერთობაში არანაირი სისუსტე არ გამოუვლენია. ბექაი მუდამ ფზიხელი და ერთგული რჩება თავისი მრწამსისა. ამიტომაც წმინდა. გადმოცემის დასასრულიც განსხვავებული და საკმაოდ თავისებურია იმ აზრით, რომ დალისა და მონადირის ინტიმური ურთიერთობის ამსახველ ტრადიციულ მასალებში ძალზე დაძაბული და კონფლიქტური სიტუაციებია, უმეტეს შემთხვევაში ტრაგიკული: მონადირე ან იღუპება, ან ავადმყოფობა დასჩემდება. მიზეზი ყოველთვის ადამიანის ნების სისუსტე ან გამოუცდელობაა. მოტანილ გადმოცემაში კი დასასრული კეთილია. ბექაი მარადიულობაში გადადის. ეს ღვთიური ჯილდო მან, როგორც წმიდა ადამიანმა, სიცოცხლეშივე დაიმსახურა. მონადირეთაგან ის ერთადერთია, დალთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი, რომელმაც შეძლო წარმატებულ საწუთროში მარადიულის პოვნა და მასთან თანაზიარობა.

საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტი ღრმა მითოსური სიმბოლიკითაა დატვირთული. მასში ფარულად ადამიანის სიწმინდისა და ნების სიმტკიცის ქადაგებაა, იმის მინიშნებაცაა, თუ როგორ შეიძლება მოკვდავმა უკვდავებისაკენ გაიკაფოს გზა. აქ მთავარია ადამიანის სულიერი ზეალსვლა. მკვლევართა ყურადღებაც აქეთ, მასალის მნიშვნელობის ჩვენების და პერსონაჟთა ქმედებების მიზეზებისა და მიზნის ახსნისკენ უნდა იქნეს მიპყრობილი. მაშინ ბევრ პრობლემას სხვაგვარი ახსნა და გააზრება მოეძებნება, მათ შორის დალისა და მონადირის ინტიმურ ურთიერთობასაც. სწორედ ინტიმურ ურთიერთობაშია ჩადებული სამყაროული მნიშვნელობის იდუმალება, ვინაიდან გრძნობიერების სფეროა პიროვნების ნებელობისა და, საერთოდ, რაობის გამოაშკარავების საზომი, სასინჯი ქვა. მისი ცნობიერი დაძაბვა მოკვდავთაგან მხოლოდ გამონაკლისებს ძალუძთ. დალის ჭეშმარიტი ბუნება, მისი ღვთიური ძალმოსილება, სიკეთე სწორედ ამ-

გვარ გამონაკლისებთან ურთიერთობაშია სრული სახით წარმოჩენილი. ცხადია, ამ ფონზე არ იქნებოდა მართებული იმის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება, რომ დალი მონადირეს მხოლოდ ინტიმური ურთიერთობის საიდუმლოს დაცვის გამო უგზავნიდეს ჯიხვებსა და არჩვებს დასახოცავად. ეს იქნებოდა პრობლემისადმი ზედაპირული მიდგომა. ვიმეორებთ, აქ ღრმა მისტიკური საიდუმლოებაა საფარველდადებული. მიწიერ ყოფიერებაში ხდება უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ღვთიური არსებისა და ადამიანის შეხვედრა, რითაც დასაბამი ეძლევა ადამიანთა სულიერების ახლებურ განვითარებას. ასეთი მისია აკისრიათ ღვთით რჩეულ ინდივიდებს, რომლებიც უზარმაზარი ამოცანის წინაშე დგანან, მათ ბევრი უნდა დათმონ, დაძლიონ, რათა ბოლომდე გაუძღონ ღვთიურ გამოცდას. დალთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი მონადირეებიდან ამ მხრივ ერთადერთი და უნიკალური ბეჭა გულბანია, რომელმაც, როგორც წმინდა ადამიანმა, შეძლო საწუთროს წარმავლობაზე მაღლა დგომა და სიცოცხლეშივე უკვდავების თანაზიარი გახდა...

გამოქვაბულის დალი და დალთა ლაშქარი

14. „მონადირე ჩორლა“

მიხეილ ჩიქოვანის აზრით, მონადირე ჩორლა „ნამდვილი პოემაა. მასში დაცულია ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი წესწვეულებრიობა, საგმირო—სათავგადასავლო ეპიკური სტილი და მიმზიდველი ენა, სიუჟეტის განვითარების დაძაბულობა, სიმძაფრე. თავისი მაღალმხატვრულობითა და შინაარსით ეს ნაწარმოები ადგილს იჭერს ქართულ ეპოსში ამირანის და ეთერის თქმულებების გვერდით“. კარგადაა შენიშნული ისიც, რომ მასში „სხვადასხვა ეპოქების შენაკადებია შესული... მკითხველი თავიდანვე გრძნობს მოსალოდნელ უბედურებას: ჩორლამ ფეხით მოიარა სოფლები და თანამგზავრები ვერავინ იშოვა. მხოლოდ ერთგული ძაღლის თანხლებით მიდის ცხრა მთას იქით“ (ქართული ხალხური პოეზია, მითოლოგიური ლექსები).

(ქართული... 1972:227:228).

მონადირე ჩორლა მართლაც ურთულესი შინაარსის ფოლკლორული ძეგლია. შესავალი საგმირო ეპოსისათვის დამახასიათებელი სტილით იწყება. გმირი უჩვეულო და ძნელად ამოსაცნობ მდგომარეობაში აღმოჩნდება. იმგვარი წინაპირობებია შექმნილი, რომ მას რაღაც განსაკუთრებული უნდა შეემთხვას, რაღაც ახალი, გარდამტეხი მნიშვნელობის, რომელიც გმირს ძალზე საბედისწერო, სიკვდილ—სიცოცხლის ზღურბლზე დააყენებს. ჩორლა მართლაც რთულსა და მოულოდნელ სიტუაციაშია. მან ისე შემოიარა მულახ-მუჟალის სოფლები, რომ ამხანაგი ვერ იშოვა. დავაკვირდეთ ამ ფრაზას, ეპიზოდს. რატომ ხდება ასე? ვიცით, რომ კარგი მონადირე სოფელში ყველაზე პატივდებული ადამიანია. მას კრძალვით ეპყრობიან და მასთან სანადიროდ წასვლას ყველა ცდილობს. ამ ფონზე მართლაც უცნაურად ჩანს, რომ სახელგანთქმულმა მონადირემ სოფლები შემოიარა და ამხანაგი ვერ იშოვა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედ-

ვითაა მოულოდნელი, ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არანაირ უცნაურობასთან არ გვაქვს საქმე, მით უმეტეს „უბედურებასთან!“ თანამიმდევრულად მივყვეთ ნაწარმოებს. ჩორლამ რახან ადამიანთა შორის ამხანაგი ვერ იმოვა, — ვკითხულობთ ტექსტში, — მხოლოდ თავის ერთგული „ღვთაებრივი ძალი გაიყოლა (ვარიანტებში მისი სახელებია: საყლა, ლომლა, ანუ ყორანა, და ყურმა). ამ სახელგანთქმულმა მონადირემ ისე გაიარა ცხრა კლდე, რომ ნადირის კვალსაც კი ვერ მოჰკრა თვალი (როგორც ვხედავთ ტექსტში აქცენტირებულია მხოლოდ კლდე და არა ალპური არეალის მთები. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, ვინაიდან დალის მუღმივი საბრძანისიც კლდოვან-ყინულოვანი არეალია. აქ კი საჯიხვეთია, რომელიც დალთა მთლიან ლაშქარს ეკუთვნის და არა რომელიმე კონკრეტულ დალს).

ჭეშმარიტი მონადირისათვის ასეთი შემთხვევა მართლაც მოულოდნელობაა. იგი არ ექვემდებარება სამონადირო ყოფიერების ლოგიკას, ვინაიდან ვიცით, რომ თითოეულ კლდეს, მთას აქვს თავისი წმინდა ადგილები, სადაც წმინდა ნადირი სძოვს. მონადირეთაგან იქ შესვლა მხოლოდ მარხულსა და შინაგანად განწმენდილს შეუძლია. დალიც ამნაირ მონადირეს წყალობს. ჩორლა ასეთია, მაგრამ ვერაფერი მონადირაა. დავაკვირდეთ, ეს ხდება პირველი ცხრა კლდის მიდამოებში, რომელიც ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილი სანადირო არეალია. როგორც ზემოთაც ითქვა, იქით მეორე ცხრა მთა იწყება, სრულიად სხვა სამყარო, ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუღწეველი. ამ ორ სამყაროს შორის ზღვარი სოფლიდან ათვლით მეცხრე კლდეა, ანუ მთა. ამ ზღურბლს ჩვეულებრივი მონადირე ვერ გააღწევს. იგი ბოლო წერტილია. მეათე მთიდან იწყება ღვთიური საუფლო (იქიდან ათვლით მერვე მთა). ასეთი დაყოფა ჩვენეულია. მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ღვთიურ საუფლოში შეღწევა ისევ ღვთიურთან წილნაყარ პიროვნებებს ძალუბთ. ასეთი კი მხოლოდ მონადირე ჩორლაა. მან, როგორც გამორჩეულმა მონადირემ, შეძლო ფიზიკური სამყაროს ზღურბლს მიღმა გაღწევა. ჩვენ სხვა მასალების მოხმობითაც დავრწმუნდებით, რომ აქ ნადირთა ურიცხვი ჯოგია. მთელი მიდამო სავსეა ჯიხვებითა და არჩვებით. მთქმელი გადმოგვცემს:

„სანამ გზას გაუდგებოდი,

ცხრა კლდეს გადასულხნარ,
არაფრის კვალი („ფეხის დანადგამი“) არ გინახავს,
მეათე კლდემდე გასულხნარ,
ჩაგიხედავს შიდა ხევში:
ჯიხვითა და არჩვით საესეა,
შენი კუთხეა, მხარზე გადმოგიღია,
სანამ სროლას შეუდგებოდი,
ას ოცი მოგიკლავს“.

(შანიძე, 1939:299)

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ეპიზოდში უჩვეულო გამოთქმებია, ბევრი გაუგებარიც. ე.ი. გმირი სანამ გზას გაუდგებოდა, ცხრა კლდე აქვს გაველილი, სანამ სროლას დაიწყებდა, ას ოცი ნადირი ჰყავს მოკლული. რასაკვირველია, ჩვეულებრივი მკითხველისათვის დამაფიქრებელი იქნება, თუ როგორ გაიარა მონადირემ ცხრა კლდე, სანამ გზას გაუდგებოდა ან სროლის დაწყებამდე ას ოცი ნადირი რანაირად მოკლა? ცხადია, აქაც ყოველგვარი რაციონალური ახსნის ცდა უძღურია. იგი არ ექვემდებარება ადამიანურ განსჯასა და ლოგიკას. საკითხავია, რა უდევს საფუძვლად ამგვარ მეტყველებას, რომელიც ესოდენ ტიპიურია მთლიანად ნაწარმოებისათვის? ჩვენი აზრით, აქ არაა ლაპარაკი ფიზიკურად გაველილ გზასა და სირთულეებზე. ესაა ღრმა იდუმალება. გმირი თავის თავში გადის ინიციაციის ურთულესსა და უმძიმეს გზას, ზენასამყაროული შემეცნებისაკენ მიმავალს, რომელიც საშინელ ფათერაკებთან არის დაკავშირებული. ადამიანი შეიძლება დაიღუპოს ამ გზაზე, თუ სათანადოდ არ არის მომზადებული. ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ ჩორლას, როგორც ჭეშმარიტ მონადირეს, შეუძლია ისეთი გზის გავლა, რომელიც მთის მწვერვალებისაკენ არის მიმავალი. ინიციაციის ამგვარი გზა შეიძლება მნიშვნელოვან ორიგინალურ თავისებურებადაც მივიჩნიოთ. ასეა, მაგალითად, ბერძნულ მითოლოგიაში. გმირმა აუცილებლად უნდა გაიაროს აიდი, (ე.ი. ქვესკნელურ იდუმალებას უნდა ეზიაროს და გაბრძენებული ისევ ადამიანთა საცხოვრისს დაუბრუნდეს. ეს გმირები ნახევრად ღმერთები არიან. იგივე შეიძლება ითქვას ფშავ-ხევსურეთის მითოსურ პერსონაჟებზე, რომლებიც ღვთის შვილებად იწოდებიან. ჩორლა კი სოფელში, მულახ-მუჟალის საზოგადოებაში, ცნობი-

ლია, როგორც საუკეთესო მონადირე. მართალია, სხვებზე აღმატებულია, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ადამიანია და არა ღვთის შვილი. სხვა ქვეყნების მითოსურ პერსონაჟებთან შედარებით, ჩორლას მიერ გავლილი გზა განსხვავებულია და საპირისპიროც. იქ ქვესკნელია გასავლელი, აქ კი მონადირის გასავლელი გზა აღმავალი ხაზით მიემართება ღვთიური საუფლოებისაკენ, ოღონდ განმარტება მაინც საჭიროა, აქ იგულისხმება არა მარტო ადამიანთათვის განკუთვნილი პირველი ცხრა კლდის მიდამოები, არამედ ამ არეალის გავლით უშუალოდ მეორე ცხრა მთა, რომელიც სხვაგვარი განზომილებაა, სხვა სივრცეა. მართალია, სახელწოდებები ამქვეყნიურთანაა მიმსგავსებული, მაგრამ იგი მხოლოდ ღვთაებათა საუფლოა, თუმცა, ვიშორებთ, ჩვეულებრივი გაგებით, მწვერვალებიც ღვთიურ საუფლოდაა მიჩნეული, მაგრამ ამ ფიზიკურს იქით რაღაც სხვაგვარობაა გაცხადებული. ჩორლაც იქითკენ მიმავალ გზაზე მიდის, უმაღლესი იერარქიული საიდუმლოებებისაკენ. ამდენად, ის მოულოდნელობები, რომლებსაც ჩორლა გადააწყდება სანადიროდ წასვლის წინ და შემდგომ, უბედურების მომასწავებელი კი არაა, როგორც ამას ბატონი მიხეილ ჩიქოვანი ფიქრობს, არამედ ღვთიურთან თანაზიარობისაკენ მიმავალი გზა. ასე რთულ და ორიგინალური ნიშნით აღბეჭდილ მითოსურ პერსონაჟთან ვვაქვს საქმე ჩორლას სახით. მივყვით ნაწარმოების შინაარსს: ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილი ცხრა კლდის (მთის) არეალში ხელმოცარულსა და მეთუე კლდემდე გაღწეულ ჩორლას დიდი გამოცდა ელის. სამონადირეო ცხოვრებიდან კარგად არის ცნობილი, რომ მონადირეს სამზე მეტი ცხოველის მოკვლის უფლება არ აქვს, თუნდაც მთელი ჯოგი გაუჩერდეს. მან არ უნდა გამოიჩინოს სიზარბე, ჯოგში რაიმე ნიშნით გამორჩეულსაც არ უნდა ესროლოს და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონადირე ისჯება. განსაკუთრებით არ ეპატიება შეცდომა გამოცდილ მონადირეს. საანალიზოდ წარმოდგენილი ძველი რთული აღნაგობისაა, მრავლის მომცველიც. მასში ყველაფერი მოიაზრება და იგულისხმება, რაც კი ნადირობასთან არის დაკავშირებული. მართალია, ნაწარმოების წაკითხვისას მკითხველს ხიბლავს ამბის განვითარების სიმძაფრე და დაძაბული სიტუაციები, მაგრამ წამყვანი მაინც გმირის მძიმე სულიერი მდგომარეობაა. მიზანი ისაა, რომ რაღაცნაირად მოხერხდეს ამ მდგომარეობის გამოშვება

იღუმალ წყაროებთან მისვლა, მათი განცდა და გათავისება. ეს კი გულსხმობს სიტუაციების არა მხოლოდ აღწერასა და დახასიათებას, არამედ თვით ქმედებებისა და სიტუაციების შინაგანი არსიდან ამოსვლით მსჯელობას. კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ურთულეს სულიერ მდგომარეობაში მყოფ ხელმოცარულ მონადირესთან. ცხადია, მისთვის, როგორც სახელგანთქმული მონადირისათვის, არა მარტო მოულოდნელობაა, რომ ცხრა მთის მიდამოებში ვერაფერი მონადირა, არამედ დიდი სულიერი დარტყმაც. ამგვარ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფი ჩორლა შედის მეათე მთაში, სადაც მთელი ხევი ჯიხვებითა და არჩევებითა სავსე. აქ კი ჩორლასათვის ყველაზე კრიტიკული, შეიძლება ითქვას საბედისწერო, ჟამი დადგა, ღვთიურ საუფლოში გამოცდის ჟამი. საკითხი ასე დგას: საით რა გადასძალავს, რისთვის ან რა ღონეზეა მონადირე მზად? ტექსტიდან უეჭველია, რომ ჩორლა ბოლომდე ვერაა განთავისუფლებული ცდუნებებისაგან მან გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, დახარბდა და ას ოცი ნადირი მოკლა, რითაც საკუთარ თავს მძიმე სატანჯველი განუმზადა. განრისხებულმა დალებმა იგი შებორკეს და ოქროს საკიდით კლდეზე გადმოჰკიდეს:

„იქ ჩორლას მოთქმა
 მყარ ქვას ცრემლს დაადენდა,
 იქ საყლას წკბუილი
 ტყის ფოთოლსა(ც კი) არხევდა“.

(შანიძე, 1939:291)

სიკვდილ—სიცოცხლის ზღურბლზე მდგარ ჩორლას გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაეწურა და თავის ერთგულ ძაღლს მიმართავს:

„აბა, ჩემო საყლაკ,
 წადი შენ ჩემ ძმებთან,
 თოფი და იარაღი არ დატოვონ,
 ჩემი ძვალი შინ წაიღონ“ —

(შანიძე, 1939:291)

ჩორლას ამგვარ მიმართვაში ძლიერი ინდივიდუალობა იგრძნობა. უტეხი ნების, ტანჯვაზე ამალლებულ, მაგრამ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მონადირეს საბედისწერო ჟამი დაუდგა. მისი ერთა-

დერთი და ბოლო იმედი ღვთაებრივი ძალლია, რომელსაც საკუთარ ძმებთან გზავნის, რომ თოფ-იარაღი და ძვლები შინ წაიღონ. გმირი ინიციაციის გზას გადის არა ფიზიკურ სამყაროში, არამედ სულიერ-ში, ღვთაებათა საუფლოში. ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ საყლა:

„სანამ გზას გაუდგებოდა (ძალლი)
ცხრა კლდეს გადასულა“...

(შანიძე, 1939:231).

რასაკვირველია, დამოწმებულ სტრიქონებში გადმოცემული ამბავი დაუჯერებელია, ალოგიკური, მაგრამ, როგორც ითქვა, პოეტური მეტყველების ამგვარი სტილი ნიშანდობლივია ნაწარმოები-სათვის. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული ალოგიკურობის ლოგიკა. აქ დრო და სივრცე დაძლეულია. ისინი რაღაცნაირ ერთიანობაშია წარმოდგენილი ისე, რომ სრულიად ახალი სამყაროული სინამდვილეა წარმოსახული. სამეცნიერო ლიტერატურაში მას იმაგინაციურს უწოდებენ. „მითოლოგიური სიუჟეტში, დამოუკიდებლად იმისა, გვაქვს თუ არა ჩვენ საქმე ეპიკურ ან დრამატულ ტრადიციებთან, არის წარმოსახული იმაგინაციური სინამდვილე... მაგრამ იმაგინაციური სინამდვილის კავშირურთიერთობის სისტემა წარმოსახულთან სხვანაირია, ვიდრე სინამდვილეში, რომელსაც ჩვენი ჯანსაღი აზრი ემყარება. ჯანსაღი აზროვნების ლოგიკა ინახავს თავის ხილვადობას, მაგრამ არ პასუხობს იმაგინაციური სამყაროს ლოგიკას. განმარტებულია, რომ „მითოლოგიის იმაგინაციურ სამყაროს აქვს თავისი ყოფიერება. ეს ეგრეთ წოდებული „ვითომც ყოფიერება“ საკუთარი ლოგიკის თავისებური მფლობელია, რომელიც ჩვეულებრივი ყოფიერი სინამდვილისათვის იქნება ალოგიკური. ამიტომ „ვითომც ყოფიერს“ სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ „ალოგიკურობის ლოგიკა“ ან უკეთ, ლოგიკა ალოგიზმისა“. (გოლოსოგვერი, 1987:18).

მიუხედავად ამისა, მითოსში საერთოდ და კონკრეტულად კი დამოწმებულ ტექსტში პერსონაჟთა ქმედებები და სიტუაციები იმდენად მახლობელი და მიმსგავსებულია ადამიანურის ყოფით რეალობას, ცალკეულ მოვლენებსა და გარემოსთან, ანუ მიკროობიექტებთან, რომ ისინი დაუჯერებლად არ აღიქმებიან, თანაც ამბის განვითარება და პოეტური მეტყველება ისეთი ხელოვნებითაა დაქვემდებარებული აზროვნების მითოლოგიურ წყობას, რომ აღწერილი ამბავი, რომელიც

ესოდენ ფანტასტიკური და არანამდვილი ჩანს, დასაშვებ სინამდვილედ წარმოგვიდგება: „როცა ნამბობი უეჭველობის განცდას ეფუძნება, როცა დაუჯერებელი დამაჯერებლობის პრეტენზიით გამოდის, როცა გამონაგონი და ერთობ ფანტასტიკური ხელშესახებ სინამდვილედ წარმოისახება, როდესაც მხატვრულ ხატს ობიექტურობა, ნამდვილი არსებობა მიეწერება, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ დინებასთან, რომელიც ფანტასტიკურ პერსონაჟებს, მოვლენებსა და ამბებს რეალურ სიბრტყეზე მოათავსებს, ანუ აზროვნების მითოლოგიურ წყობას განასახიერებს. აზროვნების ასეთი წყობის პირობებში შეიძლება შეთხზვა იმ რიგის დიდებული ისტორიებისა და ცალკეული ეპიზოდებისა, როგორც ჩვენ ოლიმპოს ბინადართა შესახებ ძველმა ბერძნულმა სამყარომ დაგვიტოვა. აზროვნების მითოლოგიური წყობითვე იყო შეპირობებული ის, რომ ადამიანები ოლიმპოს კვიედრთ მიიჩნეოდნენ თავიანთი ყოფის უშუალო მონაწილედ და მომწესრიგებლად“ (კიკნაძე, 1978:101).

დამოწმებულ თვალსაზრისებს წანამძღვრის მნძიშვნელობა აქვთ ნაწარმოების იდუმალებათა შესაცნობად, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი საკვლევი მასალის სპეციფიკას. როგორც ითქვა, სხვა ქვეყნების მითოლოგიების მსგავსად მონადირე ჩორლა ქვესკნელურ სამყაროს კი არ გაივლის, არამედ ზესკნელისაკენ მიმავალ გზას მიუყვება. ასეთად მიგვაჩნია არა მარტო ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილი ცხრა მთის არეალები, რომლებიც ღმერთების საუფლოდაა მიჩნეული, მაგრამ იგი კაცობრიულთან ძალზე მოახლოებულია, არამედ ამ საუფლოს მიღმური არეალი, რომელსაც პირობითად წმინდა კოსმიური სივრცე შეიძლება ეწოდოს. აქ მხოლოდ ღმერთების საბრძანისია და იგი სულ სხვა განზომილებად უნდა წარმოვიდგინოთ. მოკვდავთაგან ამ სივრცეში შესვლა მხოლოდ იშვიათ გამონაკლისთა ხვედრია. ასეთი კი მონადირე ჩორლაა, რომელიც წუთისოფლის ამაოებაზე ამალღებული ინდივიდუალობაა. იგი სულ სხვა არსობრიობაში გადასასვლელ გზას უნდა დაადგეს, ამიტომ საესებით გასაგებია, რომ მან სანადიროდ წასვლისას მულახ-მუჟალის სოფლებში ამხანაგი ვერ იპოვა. ე.ი. ადამიანთა შორის მისი თანამოაზრე და გზაზე გამყოლი აღარავინაა. ასეთი გამორჩეულია ჩორლა. სანადიროდ მას მხოლოდ ღვთაებრივი ძალღ

მიჰყვება. მასთან ერთად გადის მიღმურში. აქედან გამოძინარე, დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თანდათანობით ხომ არ იკვეთება ადამიანურისა და ღვთიურის და მაკავშირებელი შუალედი, თუ ძალები, სადაც ამ ორი არსებისა და სამყაროს თანახმიერება და არსებითი კავშირებია შესაძლებელი. ამგვარი ურთიერთობა ყველაზე მკვეთრად ძველ ბერძნულ მითოლოგიაშია. აქ მოკვდავსა და უკვდავს შორის ისეთი კავშირურთიერთობაა დამყარებული, რომ ადამიანური და ღვთიური თითქმის ერთიმეორეშია გადასული. მართალია, მსგავსების დანახვა შეიძლება, ანალოგიები დაეძებნება ბერძნულ-მითოსურ სამყაროსთან, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებაც საგრძნობია. ეგ განსხვავება არის, იმგვარი, რომელიც მას დამოუკიდებელ თავისთავადობად წარმოგვიდგენს და საერთოდ დალის ციკლის მასალის გათვალისწინება კიდევ უფრო ამდიდრებს და ახალი თვისებრივი ნიშნებით წარმოაჩენს ზოგადად მითოლოგიურ პრობლემატიკას.

ნაწარმოების მიხედვით, ჩორლას სულიერი განვითარების გზა იმდენად რთული და წინააღმდეგობრივია, რომ დაღუპვა თითქოს გარდაუვალია, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მოქმედების მთელი სიმბაფრე და დრამატულობა რაიმე გარეგანი ძალის ზეწოლა-ზემოქმედებასთან კი არაა დაკავშირებული, არამედ იმ მაცთუნებელ ძალებთან, რომლებიც მონადირის შინაგან სამყაროში, მისსავე ბუნებაშია ჩადებული და რომლებმაც ჩორლა სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე დააყენეს. სულიერი თვალსაზრისით გმირი საკუთარ თავთან, საკუთარ ორეულთან ბრძოლაშია ჩაბმული. ამ ბრძოლით უნდა მიღწიოს მონადირემ ჭეშმარიტ განწმენდას, გარდატეხას, რომ მასში ღვთიურმა ძალამ საყრდენი იპოვოს. ნაწარმოებიდან აშკარაა, რომ ჩორლამ ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც შეძლო ზებუნებრივთან თანაზიარობა. აქ თავად პროცესია საინტერესო. ნაწარმოებში იგი უკიდურესი სიმბაფრითა და წინააღმდეგობრივი სახითაა აღწერილი. როგორც ითქვა, ჩორლას ბოლო იმედი მისი ერთგული, ღვთაებრივი ძალლია, რომელსაც ძმებთან გზავნის შინ. სოფელში მისვლამდე წმ. გიორგი შეხვდა და პატრონის ამბავი გამოჰკითხა: ერთგულმა საყლამ აუწყა, რომ ჩორლა სასიკვდილოდ არის განწირული. მთავარმოწამებ დაამშვიდა, უთხრა: „დალები ჩემი ხელქვეითნი არიან“. გაუღვინე

გზას და მიაღწიეს დალის კლდემდე. ყურადღება მივაქციოთ მთქმელის თხრობას, რომ იგი აქცენტირებას ახდენს დალის კლდეზე, ანუ სოფლიდან ათვლით მეათე მთაზე, ღმერთების საუფლოზე. დალის კლდე ზოგჯერ თეთრ კლდედაც არის წოდებული. სწორედ აქ უნდა გადაწყდეს ჩორლას ბედი. როგორც ვხედავთ, მიდამო მთლიანად ღვთაებრივია: მეათე მთა, იგივე თეთრი კლდე, დალთა ლაშქარი, წმ. გიორგი, ღვთაებრივი ძაღლი, არაჩვეულებრივი ინდივიდი ჩორლა, რომელმაც ადამიანთა საცხოვრისს მიღმა გააღწია და ღმერთების სამსჯავროშია. იგი, შეიძლება ითქვას, კლდეზე გადმოკიდებული, სასიკვდილოდ განწირული, ჯვარცმული ადამიანია, რომელიც ყოველგვარ ფიზიკურ ტკივილზე მაღლა უნდა დადგეს, რომ მასში ახალმა ადამიანმა გაიღვიძოს და გაბრძნებული ისევ ადამიანურ ყოფიერებას დაუბრუნდეს, მაგრამ ამ სირთულეების დაძლევა აღემატება წმინდა ადამიანურ შესაძლებლობებს. ამიტომ ისევ ღვთიური ძალისხმევით აუცილებელი. ეს პროცესი შემდეგნაირადაა გაშლილი ნაწარმოების მომდევნო სტროფებში:

„ერთი დალი ცალკე არის,
მეძაობას აბრალებენ,
ჩორლას სიყვარულს,
შესულან ამაში.

დალი ცხარე (მაგარ) ცრემლებს აფრქვევს,
წმ. გიორგი შეეკითხა:

- დალებს ყველაზე მეტად რა აშინებს?
- რა აშინებს და მეძავე ფეხის ნადგამზე
მამაკაცის აქ მოყვანა, თუ ამას იტყვი,
ჩორლას აქ მოიყვანენ.“

(შანიბე, 1939:293).

დიდია დამოწმებული ტექსტის მნიშვნელობა. ამ ურთულესი სიტუაციიდან გამოსვლა თვით ღვთიური ძალისხმევითაც ძნელია. როგორც ვხედავთ, მთავარმოწამეც გამოსავალ გზებს ეძებს. ამასთანავე, ძეგლის ამ ეპიზოდში იკვეთება ორი დიდი რელიგიური მიმდინარეობის: წარმართობისა და ქრისტიანობის ურთიერთობის რთული პრობლემა. დალის ციკლის მასალების მიხედვით, ეს საკითხი ვრცლადაა განხილული პროფ. ელ. ვირსალაძის „სამონადირო ეპო-

სში“. ჩვენ მასზე მხოლოდ ნაწილობრივ გვექნება საუბარი. წინამდებარე ძეგლი იმ მხრითაა საინტერესო, რომ ქრისტიანული წმინდანის ახალი პერსონაჟია. იგი ჩორლას უშუალო მფარველია და ეს არაა შემთხვევითი. გარდა იმისა, რომ ჩორლა სახელგანთქმული მონადირეა და გამორჩეული ვაჟკაცი, იგი ჭეშმარიტი ქრისტიანია. ეს დალებთან ურთიერთობაშიც ჩანს. წმ. გიორგი ასე მიმართავს:

„ჩორლა, ჩემთვის ბევრი გიმსახურია;
თორმეტი ცხენის საპალნე
მარტო სანთელ—საკმეველი დაგიხარჯავს“.

(შანიძე, 1939:301)

ამჯერად გვიანტერესებს დალთა მთლიანი სამყარო, ლაშქარი, მისი ბუნება, ყოფიერება. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, მოქმედებაც ამ სამყაროშია გადატანილი. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დალთა ლაშქარზე გვრჩება, ისაა, რომ აქაც წამყვანი და უმთავრესი მორალური სიწმინდეა, იმ დონეზე, რომ ერთ-ერთი დალი მეძავობის გამოა მოკვეთილი. მას ჩორლას საყვარლობას სწამებენ. ის ცხარე ცრემლებს ღვრის. წმ. გიორგი მისგან გებულობს დალთა საიდუმლოს, რომ მათ ყველაზე მეტად აფრთხობთ მეძავი ქალის ფეხის დანადგამზე ფეხის დამდგმელი მამაკაცის ხილვა. ალბათ, სჯობს, რომ კომენტარისაგან თავი შევიკავოთ. მოკვეთილი დალის სიტყვებს ახსნა—განმარტება აღარ სჭირდება. მხოლოდ დავასკვნით, რომ დალთა სამყარო გენეზისურად წმინდათაწმიდა საუფლოა. მართალია, აქაც ადამიანის ყოფით რეალობასთან მიმსგავსებულ სიტუაციებსა და ქმედებებს ვხვდებით, მაგრამ ფაქტია, რომ იგი სხვა არსობრიობაა, სხვა სინამდვილე, რომელიც საპირისპირო, სრულიად განსხვავებულ კანონზომიერებასაა დაქვემდებარებული. შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიულთან ზედმიწევნით მსგავსი ქმედებებიც კი არ დაიყვანება რაიმე იგივეობამდე. ასე რომ, ამ სხვაგვარ სინამდვილეზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენების შექმნა თუ შეგვიძლია. ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს, როცა დალიზე ვამბობთ: სასტიკია, შეუბრალებელია, შურისმაძიებელია, ბოროტია და სხვა. ამგვარი დასკვნებისათვის დეტალური, ტექსტობრივი ძიებაა საჭირო და მხოლოდ მაშინ დავრწმუნდებით, რომ ამ თვისებებს მიღმა ჯულ სხვა საიდუმლოებაა საფარველდადებული. იგი სხვა მიზნებს ისახავს, რომლის ახსნა ხშირ შემ-

თხვევაში არ ექვემდებარება რაციონალურ განსჯას. ამიტომ არ უნდა გამოვირიცხოთ, რომ სულიერი ძალებისაგან მოვლენილი სასჯელი, ზოგჯერ რისხვაც, დასაშვებია და კანონზომიერიც ცხოვრებისეული სფეროებში განუწყვეტელი გამოცდისა და საერთოდ ცთუნების ძალების წინაშე მდგომი ადამიანისათვის, შეიძლება ითქვას, სასჯელი ზოგჯერ პიროვნების გამოცდაა. ადამიანი სხვაგვარად უნდა დაფიქრდეს. დალის ციკლის ლექს—სიმღერები და გადმოცემები ამ აზრითაც საყურადღებოა. ოღონდ უნდა მოხერხდეს ტრადიციული მეთოდოლოგიური პრინციპების ერთგვარი განახლება, გაღრმავება, კერძოდ, საანალიზოდ წარმოდგენილი ტექსტები სულიერი თვალთახედვითაც უნდა იქნეს განხილული. ეს უფრო სრულად წარმოაჩენს საკვლევი მასალის სიცოცხლისუნარიანობასა და მნიშვნელობას ცოცხალ ყოფიერებაში. კიდევ უფრო მეტი სიცხადისათვის განვმარტავთ, რომ არაა საკმარისი დალის ზემოჩამოთვლილ თვისებათა აღწერა—დახასიათება და მიზეზებზე მითითება, რაც პრობლემის გარეგნული მხარეა, ხოლო უმთავრესი კი იმ იღუმალებით მოსილი შინაგანი მექანიზმის პოვნაა, რომელიც თვით მიზეზების ახსნას შეგვაძლებინებს. კვლევის ამგვარმა გზამ შეიძლება იქამდე მიგიყვანოს, რომ მეტი სერიოზულობით ვიფიქროთ: ხომ არ აქვს გამართლება დალის ზემოდასახელებულ თვისებებს და, თუ აქვს, რა მნიშვნელობისაა ისინი ადამიანისათვის, ფართო გაგებით კი საზოგადოებისათვის? დალისა და მონადირე ჩორლას ურთიერთობაც ამგვარ სირთულეთა ფონზე უნდა იქნეს განხილული დალთა ლაშქართან მიმართებით, ვინაიდან აქ ვნება, როგორც დავრწმუნდით, მთლიანად დაძლეულია. მათ მეძავი ქალის ფეხის დანადგამზე ფეხის დამდგმელი მამაკაცის ხილვაც კი აფრთხობთ. სწორედ ეს საიდუმლო გასცა მოკვეთილმა დალმა. ნაწარმოების ეს ეპიზოდი ძალზე რთულია. იგი იმაზე მეტს გვეუბნება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მართალია, ვამბობთ, რომ დალთა ლაშქარი წმინდაა, შეუვალია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, და ესაა ყველაზე მეტად საინტერესო, რომ ცთუნებულნიც მათი რიგებიდანაა. ცხადია, ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქაც რაღაცა იღუმალება ჩადებული: უწმინდურებამ ფეხი არ უნდა მოიკიდოს დალთა ლაშქარში. აქ კომპრომისი გამოვირიცხვლია, ამიტომაც ერთ-ერთი დალი გამოგდებული. ჩვენ აქ ძნელად აღსაქმელ იღუმალებას ვხედავთ, ალბათ, სამყა-

როული მნიშვნელობის, რომლის აზრებად ჩამოყალიბება და ლოგიკური განსჯით შემეცნება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან საქმე ღვთიურ საუფლოში მიმდინარე ქმედებებს ეხება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დალის ცოდვად დაცემით ადამიანთა საცხოვრისში ახალი იმპულსი, ახალი მამოძრავებელი ძალა შემოდის. საიდუმლოებაც აქ ღვეს, იგი დალთა ლაშქარში დამოუკიდებელ, ფარულ ჩანასახადაც შეიძლება იყოს ჩადებული, რომელმაც თავისი პრაქტიკული გამოვლინება ერთ-ერთი დალის ქმედებაში პოვა. რასაკვირველია იგი ფიზიკურ პლანშიც განხორციელებადია, სადაც ყველაზე დიდი სირთულეებია დასაძლევნი. დალთა სამყაროს სრულად დახასიათება ძალზე ძნელია. წინამდებარე ძეგლში იგი რამდენადმე დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი. ახლა კი განვიხილოთ ნაწარმოების მომდევნო სტროფები, როდესაც ერთადერთმა დაცემულმა დალმა გაამჟღავნა დალთა საიდუმლო:

„წმ. გიორგი თვითონ დალებთან წავა,
შეერია დალთა ლაშქარს:
თქვე დალებო, რას უშვრებით
ღვთისმოყვარე ჩორლას?
თუ გერჩიოთ, გამოგიშვიათ,
თუ არა და არჩევანს მოგცემთ:
მეძვე ქალის ფეხის ნადგამზე
ფეხის დამდგმელს აქ მოგიყვანთ,
თუ არა და ჩორლა გამოუშვით“.

(შანიძე, 1939:293)

როგორც ვხედავთ, ქრისტიანული წმინდანი მბრძანებლური, შეიძლება ითქვას, მუქარის ტონით მიმართავს დალთა ლაშქარს და არჩევანის წინაშე აყენებს. ამ მიმართვაში აშკარად ჩანს ქრისტიანობის აღმატებული უფლებრივი მდგომარეობა და ძლიერება წარმართულ პერსონაჟებთან შედარებით, რაც კიდევ უფრო იკვეთება დალუბის პასუხში:

„უფალო ჩვენო, რას გვაქნევინებ?
ერთი კოჭლი თხა დაგვიტოვა
იმ მონადირე ჩორლამ!
შენს ნაბრძანებს ჩვენ ვერ წაუვალთ,

დაგვიბრუნებია ჩორლა შენთვის“.

(შანიძე, 1939:293).

ეს ეპიზოდი, კერძოდ, დალების მიერ ჩორლას შეპყრობა და კლდეზე გადმოკიდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით არის წარმოდგენილი (ბ) ვარიანტში: როდესაც ჩორლამ თავისი ერთგული ღეთაებრივი ძალის ძმებთან გაგზავნა, მას წმ. გიორგი შეხვდა და ისევ თავის პატრონთან გააბრუნა, თან დააბარა:

„ჩემ მოსვლამდე გამაგრდეს!

ხე-ხეე ამოვალ,

დალებთან მოლაპარაკებას გამართავ (მოციქულობას)“.

თუ ა) ვარიანტში წმ. გიორგი ამბობს, რომ დალები ჩემი ხელქვეითნი არიანო, ამასთანავე, მათ საიდუმლოსაც გებულობს, აქ პირიქითაა, დალთა ლაშქარი მძლავრად გამოიყურება. მას თავისი დამოუკიდებელი საუფლო აქვს. იგი შეუვალია. თუ ა) ვარიანტის მიხედვით, წმ. გიორგი მუქარით შეერია დალთა ლაშქარს, აქ, პირიქით, შემრიგებლური პოზიცია უკავია, ქვემოთ იცდის, კლდის ძირში, და მოლაპარაკებით ცდილობს ჩორლას განთავისუფლებას;

„დალებთან მოლაპარაკება გამართა,

მოციქულობა დაუწყო,

ჩორლა გამოუშვით გამოუშვან),

ეს დალებმა გაიკვირვეს“.

(შანიძე, 1939:299).

როგორც ვხედავთ, დალები არამცთუ მორჩილებენ წმ. გიორგის, არამედ უკვირთ კიდევაც ჩორლას განთავისუფლების მოთხოვნა. ტექსტის ამ მონაკვეთში მოლაპარაკება უფლებრივად თითქმის თანასწორ დონეზეა. დალებს მტკიცე პოზიცია უკავიათ. წმ. გიორგიმ სხვა საშუალებას მიმართა, კვლავ მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა:

„ერჩიოთ, გამოუშვან,

თუ არა და ჩორლასო

სამი ათასი ჯიხვი მოუკლავს,

წვრილი არჩვი უთვალავია,

ის დღესვე სულ ფეხზე დაგიყენონ,

რომელიც ერჩიოთ, ის მიქნან“.

(შანიძე, 1939:301)

დამოწმებული ეპიზოდი მრავალმხრივია საინტერესო. იკვეთება, რომ მთავარმოწამემ დალებზე ზემოქმედების საიმედო გზა გამონახა, მაგრამ ერთი რამ აუხსნელი რჩება, კერძოდ, დასაშვებზე მეტი ნადირის დახოცვა თვით ქრისტიანული რწმენითაც ცოდვად ითვლება. წმ. გიორგი კი დალებს უთვლის, რომ ჩორლას სამი ათასი ჯიხვი მოუკლავს, არჩვი კი უთვალავია, ის დღესვე ფეხზე დამიყენონო. როგორ გავიგოთ ეს? რა იგულისხმება ამგვარ მიმართვაში ან რატომაა იგი დალებზე ზემოქმედების საშუალება? ეს მაშინ, როდესაც თვით წმ. გიორგი არაა მპატიებელი მონადირის მხრივ განსაზღვრულზე მეტი ნადირის დახოცვისა. დალები გამოუვალ მღვდმარეობაში აღმოჩნდნენ და მორჩილად უპასუხეს:

„ჩვენ ამდენს საიდან მოგიყვანთ?

ჩორლამ სამი თხალა დაგვიტოვა“.

(შანიძე, 1939:301).

წმ. გიორგის მოთხოვნა და დალების პასუხი დიდ საფიქრალს გვიტოვებს. ტექსტში რალაცნაირი ბუნდოვანება და გაურკვევლობაა. ვიცით, რომ დალებმა ჩორლა მანამდე გადმოკიდეს კლდეზე, სანამ ჯიხვთა ჯოგიდან მეოთხეს მოკლავდა, ე.ი. დასაშვებზე მეტს. აქ ტაბუს დარღვევის მცდელობაა და მონადირე ისჯება. ამდენად გაუგებარი არაფერია, მაგრამ ამოსაცნობი რჩება წმ. გიორგის მოთხოვნა, რომ ან ჩორლა გაათავისუფლონ, ან მის მიერ მოკლული სამი ათასი ჯიხვი, უამრავი არჩვი დღესვე ფეხზე დამიყენონო. რა შეიძლება იგულისხმებოდეს? ჩორლას მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოკლული ნადირთა რაოდენობა თუ სხვა რამე, გაურკვეველია. ამასთანავე, შესავალ ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ ჩორლას სანადირო ადგილია თეთრი კლდე, ანუ მეათე მთა, მაგრამ აქ ვერაფერი მოინადირა, ამიტომ:

გაბრუნებულა დალის ყანისკენ,

მოჰპარვია ჯიხვების ფარას“ ბ) ვარიანტი

სროლა აუტეხა,

ერთი რჩეული ჯიხვი მოგიკლავს,

მეორე უცბად შეუნაცვლა,

მეორეც მოგიკლავს კიდევ,

მესამე კვლავ შეუნაცვლა,

მესამეც კიდევ მოგიკლავს.
სანამ მეოთხეს გაიმეორებდა,
მანამდე დალებმა შებორკეს“

(შანიძე, 1939:297).

დამოწმებულ ეპიზოდში მოქმედება მეათე მთაზე გადატანილი, სადაც ა) ვარიანტით, ჩორლამ ას ოცი ჯიხვი და არჩვი მოინადირა. ბ) ვარიანტით კი, მეათე მთა თეთრ მთად არის წოდებული. იგი ჩორლას სანადიროა. ამ ერთ სტრიქონში, რომ „სანადიროდ თეთრი კლდე სჩვევია“, ბევრი რამ არის თქმული. საქმე გვაქვს ღრმა მითოსურ სიმბოლიკასთან. ჯერ ერთი, მეათე, ანუ თეთრი მთა, თავადაა წმიდათაწმიდა არეალი, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუღწეველი. იგი ჯიხვებითა და არჩვებითაა სავსე. ამ არეალში ნადირობის უფლება ღვთით ხელდებულთა ხვედრია. ჩორლა თავისი წმინდა ცხოვრების წესით იმსახურებს ამგვარ უფლებამოსილებას, მან თორმეტი საპალნე სანთელ-საკმეველი დახარჯა წმ. გიორგის სადიდებლად. იგი მისი უნჯი ყმაა, თეთრ მთაში, ანუ ნათელშია, გაღწეული. თეთრს კონკრეტულ შემთხვევაში ფიზიკური ფერის გაგება კი არ აქვს, არამედ იგი ღვთით განათლებულს ნიშნავს. ასეთია მეათე მთა. დალები ჩორლას აქ ანადირებენ, აქ უგზავნიან ჯიხვებსა და არჩვებს დასახოცავად. როგორც ნაწარმოებიდან ვიგებთ, სწორედ აქ მოეცარა ჩორლას ხელი, ამიტომ გაბრუნდა დალის ყანისაკენ. რას უნდა ნიშნავდეს ასეთი სახელწოდება. მიგვაჩნია, რომ დალის ყანა თეთრი მთის კიდევ უფრო შეუვალი, საკრძალავი არეალია, უშუალოდ დალის საბინადრო, სადაც მისივე საპატრონო ღვთიური ნადირი, ჯიხვთა ჯოგი ძოვს. მათი მონადირება არ შეიძლება. ისინი დალის ყანის ჯიხვებია, აბდენად, რჩეული. მათ მონადირემ თოფი არც უნდა დაუმიზნოს. კონკრეტულ შემთხვევაში განმარტებაა საჭირო. ტექსტში ნახსენები რჩეული არ უნდა გავიგოთ, როგორც ოქროსრქიანი, თეთრი ან ჭრელი, ვინაიდან ამ ნიშნიანი ჯიხვი იგივე დალია. რჩეული აქ უშუალოდ დალის ყანის ბინადარს, დალის მიერ გამორჩეულს, ალბათ, მისივე ნიშნით ნიშნავს, რომელიც მხოლოდ მან იცის. აქვე შეიძლება გავიხსენოთ მონადირე გეგის ურთიერთობა დალთან. დალს გეგი თავის კლდეში შეჰყავდა, რომელი ჯიხვიც არ უნდა მოეკლა, იმას ჰქონდა გარკვეული ნიშანი, გეგიც პირობას იცავდა. ჩორლას კი მის ტრადი-

ციულ სანადირო თეთრ მთაზე, ანუ მეათე მთაზე, ხელი მოეცარა და დალის ყანისკენ გაბრუნდა. აქ ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და ამოსაცნობი, პირველ ყოვლისა, ის, რომ საქმე გვაქვს მთის ყველა არეალში ხელმოცარულ მონადირესთან, რომელსაც არ ეყო ნების სიმტკიცე, ვერ შეძლო საკუთარ ქმედებათა ცნობიერი მართვა და საბედისწერო შეცდომა დაუშვა დალის ყანაში, წმიდათაწმიდა არეალში. ჩორლა ამ არეალში ნადირობის გამო ისჯება და არა ტაბუს დარღვევისათვის. მან მხოლოდ სამი ჯიხვი მოკლა, მეოთხე მცდელობის გამო შებორკეს დალებმა, მაგრამ დარჩა მთელი ჯოგი. ამ ფონზე დამაფიქრებელი ჩანს დალების პასუხი, რომ ჩორლას მათთვის მხოლოდ სამი თხა დაეტოვებინოს. წმ. გიორგი კი სამი ათასი ჯიხვისა და არჩვის გაცოცხლებას მოითხოვს, — „დღესვე ფეხზე დამიყენონო.“ შესავალში კი სამი ჯიხვის მონადირებაზეა საუბარი. ამდენად, ერთგვარ უზუსტობასა და ფრაგმენტულობასთან გვაქვს საქმე. მართალია, მსგავსი რამ შეიძლება არ იყოს გამორიცხული წარმოსახული სინამდვილის შემთხვევაში, მეტიც, ფოლკლორული ძეგლებისათვის, კერძოდ, ზღაპრებისა და მით უმეტეს იმგვარი ტექსტებისათვის, რომლებიც აზროვნების მითოსურ წყობას არიან დაქვემდებარებული, ფრაგმენტულობა დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული. დამოწმებულ ფრაგმენტში ლოგიკური თანმიმდევრობა ამბის განვითარებაში დარღვეულია, სიტუაცია კი — ბუნდოვანი...

წინამდებარე ძეგლში მეათე მთასთან მრავალნაირი მითოსური წარმოდგენაა დაკავშირებული: ა) ვარიანტით, იგი ჯიხვებითა და არჩვებითაა სავსე. ბ) ვარიანტით, ღვთით განათლებულია, თეთრი ცალკე, დამოუკიდებელ არეალადაა გამოსაყოფი დალთა უშუალო საბრძანისი, დალის ყანა, სადაც ღვთიური ნადირი, ჯიხვთა ჯოგი, ძოვს. აქ ნადირობა აკრძალულია.

საანალიზოდ წარმოდგენილ ბ) ვარიანტში ძალზე საინტერესოა იმის გარკვევა, თუ ვინ შეიძლება იყოს მოციქულად ქრისტეიან და წარმართ არსებათა შორის? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი ან თუნდაც გამოცდილი მონადირე გამორიცხულია. შუამავალი უდავოდ ღვთიური არსება უნდა იყოს, მაგრამ მაინც რომელი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი, გაბუნდოვანებულია. ეს საიდუმლოებაა, ვინაიდან მოციქული ორივე მხა-

რის ინტერესების დამცველი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკება ვერ წარიმართება. მართალია, მოციქულობა სულიერ ძალებს შორისაა, მაგრამ უეჭველია, რომ მთქმელის ცნობიერებაში კუთხის ტრადიციის ძალაც დიდ როლს ასრულებს, რაც დამოუკიდებელი კვლევის საკითხია. ზოგადად მივუთითებთ, რომ სვანეთში რაიმე გართულებული ურთიერთობების მოგვარებაში კარგი მოციქულის როლი განსაკუთრებულია. იგი ყოველმხრივ სანდო, გამოცდილი და ავტორიტეტული პიროვნება უნდა იყოს. ასეთი ინდივიდი ძნელად თუ დასთანხმდება მოციქულობას, ვინაიდან უკიდურესად მწვავე სიტუაციის შემთხვევაში საქმე ხატზე დაფიცებამდე მიდის. ამას კი ყველა ერიდება, ვინაიდან იგი დანაშაულის ტოლფასია. რწმენის თანახმად, მლოცველი საერთოდ, განსაკუთრებით კი ხატის წინაშე მდგომი, ღმერთის წინაშე დგას და მას შენდობა თუ შემწეობა უნდა გამოსთხოვოს. აქ ადამიანური კონფლიქტები არ უნდა ირჩეოდეს. ხალხის რწმენით, ხატის შეწუხება ცოდვად ითვლება და იგი შთამომავლობით გადადისო.

ცხადია, საანალიზოდ წარმოდგენილი ძეგლის მიხედვით, საქმე გვაქვს ადამიანურს აღმატებულ, ღვთიურ საუფლოში მიმდინარე პროცესებთან, რომელიც კაცობრიულ ყოფით რეალობთან მიმსგავსებულად არის წარმოდგენილი. საინტერესო ისაა, რომ ადამიანის ბედისწერაში ორი რელიგიური მიმდინარეობის (წარმართობისა და ქრისტიანობის) ღვთიური ძალებია ჩარეული. მონადირე ჩორლას ბედი წმ. გიორგიმ და დალებმა უნდა გადაწყვიტონ. აქ განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ მათ შორის მოლაპარაკება შესაძლებელია. აქ მნიშვნელოვანი რამ იკვეთება: ბ) ვარიანტიდან ვიგებთ, რომ წმ. გიორგი მშვიდობიანი გზით, მოციქულის მეშვეობით, ცდილობს ჩორლას განთავისუფლებას. მთავარმოწამეს აქვს ამის იმედი. ამიტომ ყორანა დაამშვიდა, ჩორლასთან დააბრუნა, შეუთვალა, რომ მის მოსვლამდე გამაგრდეს. ხევ-ხევ ამოვალ და დალებთან მოლაპარაკებას გაემართავო. რასაკვირველია, მოციქული სულიერი არსებაა და მისი მისია, თუ ისევ ღრმად დავაკვირდებით ნაწარმოების შინაარსს, განსაკუთრებულია. მან ორ რელიგიურ მიმდინარეობას შორის უნდა შექმნას გაწონასწორებული, ორივესათვის მისაღები ატმოსფერო, რომ ურთიერთობის დამამყარებელი ხიდი გაიღოს. ასე უნდა აღვიქ-

ვით ამ რთული ეპიზოდის მიზანი. აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება დაუშვათ ვარაუდი, საკითხის დასმის წესით, რომ ესაა რელიგიური სინკრეტიზმის ჩანასახი? ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა გავივით შერიგებისაკენ სწრაფვა, თვით წმ. გიორგის სიტყვები: „დალებთან მოლაპარაკებას გაემართავ“. ჩვენ ხელთ არსებული დალის ციკლის მასალა, სვანური სამონადირეო ტრადიციები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რიტუალები, ცალკეული ზეპირსიტყვიერი ძეგლები საკითხის ამგვარად დასმის შესაძლებლობას იძლევა. ასე, მაგალითად, ბესარიონ ნიჟარაძეს (თავისუფალი სვანი) მრავალმხრივ საინტერესო წერილში „ოთხი დღე მდინარე ენგურის, ცხენის წყლის და რიონის სათავეებში“ გვაწვდის ძალზე საყურადღებო ცნობებს სვანეთში სამონადირეო წეს-ჩვეულებებიდან, რიტუალებიდან, ასევე მონადირეთა მფარველ ღვთიურ ძალებზე, იმასაც მიუთითებს, რომ, როდესაც სვანი ნანადირევს შინ მოიტანს, „მოხარშულს ნანადირევს ტაბაკზე ამოიღებენ, რომელშლიაც თავი უთუოდ უნდა ერიოს. დაანთებენ წმინდა სანთელს და ერთს წმინდა პურსაც დასდებენ ზედ. მონადირე ამ ტაბაკს ორივე ხელით აიღებს და დაჩოქილი მოჰყვება შემდეგს ლოცვას: დიდება ღმერთს, მაღლი ღმერთს, დაძალებლო, ბატონო ქვეყნისაო (ფუსნა ფუასდიშ), ნანადირევი და მონადირე — ყველა შენი გაჩენილია და, რა დროსაც კი მოგმართო, ყველა დროს შენ კარგი ჯვარი დამწერე (პირდაპირ დამადგი), მაღლი და სახელი იქნება შენი. ქრისტე მაცხოვარო, დიდება შენდა; ჩემს მაწყვარს შენი მახათი ჩაურჭვე (გულში), ჩემ თოფს და ავეჯს და მე კარგი ჯვარი დავწერე. მწყალობელო ცხოველო, წმ. გიორგი! დიდება შენდა, ადამიანის მწყალობელი შენ ბრძანდები, დღე და ღამე მარჯვნივ მოგვყევი, ქაჯ—ემმაკი მომაშორე, ჩემს მწყალობელ ღმერთს დიდება! როდესაც შეგეხვეწო, ყოველთვის შემობრალე. „დალს კლდისას დიდება! „აფსადს კლდისას დიდება! გარეულის (ცხოველის) (სვანურად — გარავლი) თავმდგომი შენა ხარ, როს მოვიდე შენს ადგილში (ტყვეუ), მშვიდობიანად გამომიშვი; გარეულის ცხოველის წილი მომეცი. უფროსი ნუ გედიდება, უმცროსი ნუ გეპატარაება: შემოდგომაზე (როდესაც ნადირობა თავდება) მშვიდობით დაგვებრუნე სახლში მე და ჩემი ამხანაგი კაცები. თუ რამე იკადრებოდეს მიილოცე, თუ არა და იმისთვისაც ნუ მეძღური, შენი საბრალი და საწყალი ვარ, კარგი

სვე (სვაე) მომეცი, წყალობა წყალობაზე მომიმატე, გარეთ და შინ, ყველგან მიიღე ჩემი ვედრება, ნუ დამიკარგავ შენს წყალობას – და ნუ შემიძულე, ასემც მაღლი გექნება. ქრისტეს ლასდილისას იღება: მთავარანგელოზს ყორულდისას დიდება. მიჩუფა? (მაცხოვარი?) ვეშგმარისას დიდება; წმინდ ბარბალე ლექვეერარეშისას დიდება; მთავარანგელოზს სულიერისას დიდება, ლემთქაშის სალოცავს ანგელოზისას დიდება; შუამან ჯოროხის ანგელოზებს დიდება; ლემჩხვაფრის წმინდანებს დიდება; ნეშკირა და ლაწრექელის წმინდანებს დიდება; ელცხოველს დიდება; შენი დანიშნული ჯიხვი მომეცი. როცა შეგებვეწო, დარი და ავდარი ჩემის ნებისად მიწყალობე. ჯიხვის მწყემსს დიდება: არჩვის მწყემსს დიდება?!“ (ნიჟარაძე, 1964:37)

თავისუფალი სვანი იმასაც შენიშნავს, რომ ეს არის საზგადო ლოცვა სვანი მონადირეებისა. რა საზოგადოების მონადირეც იქნება, იმ საზოგადოების წმინდა ადგილებს მოიხსენიებს, ასევე არსებებს, ანგელოზებს, წმინდანებს, ღმერთებს და სხვა. ამონაწერი მრავალმხრივია საინტერესო. მასში წარმართული და ქრისტიანული არსებები ერთად არიან მოხსენიებული და თითოეული არსება თავისი ფუნქციების მიხედვითაა დახასიათებული და ლოცვაც ამ ნიშნით არის აღვლენილი. ასე, მაგალითად, პირველად ფუსნბუასდიმ არის მოხსენიებული, იგივე მამაღმერთი, ქვეყნიერების გამჩენი, ასევე ადამიანისა და ყოველგვარი სულდგმულისა. ძალზე საინტერესოა, რომ ქრისტელმერთთან, ანგელოზებსა თუ წმინდანებთან ერთად იხსენიებიან ღალი, აფსადი, სვიმბერმოძღვარი და ელი. მიუხედავად იმისა, რომ აფსადზე საკმაოდ ვრცელი ლოცვაა აღვლენილი, იგი მაინც არაა ღლისა თუ ქრისტიანულ არსებათა ღონის ნადირთპატრონი. ბ. ნიჟარაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ: „აფსადიც“ კლდის მცხოვრებია. ამას ღალზე ნაკლები უფლებები აქვს ჯიხვ-არჩვებზე, ხოლო ფრინველების მფარველად და პატრონად მარტო აფსადი ითვლება. რაც შეეხება „სვიმ-ბერმოძღვარს“ და „ელს“, მათ მაინცდამაინც ბევრი არაფერი უფლება აქვთ მინიჭებული (ნიჟარაძე, 1964:36).

მართალია, თავისუფალი სვანი სვიმ-ბერ მოძღვარს და ელს ფუნქციაშეკვეცილად წარმოგვიდგენს, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც განსაკუთრებულია. ვინაიდან ისინი ახალი პერსონაჟები არიან. სვიმ-მჟავე წყალს ნიშნავს, ბერი იგივე ბერია, ასევე მოძღვარი. სვა-

ნეთში ყველა ადგილი, სადაც მინერალური წყალია, წმინდა ადგილად ითვლება. ხშირია იქ გარეული ნადირის გამოჩენაც. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ სვიმ-ბერმოძღვარი, ფართო გაგებით, ნიშნავს მკავე წყლის მიდამოს, მთლიანი არეალის პატრონს, გამგებელს. ამდენად ნაწილობრივ გარეულ ნადირზე უფლებამოსილსაც...

დამოწმებული ლოცვის ბოლო ნაწილში ვკითხულობთ: „ელ ცხოველს დიდება: შენი დანიშნული ჯიხვი მომეცი“. ე.ი. ელცხოველის უფლებამოსილება იმდენად დიდია, რომ მას საკუთრივ ნიშანდასმული ჯიხვი ჰყავს. ეს უკვე სიახლეა სვანური სამონადირეო ყოფიერებისათვის. სამწუხაროდ, სხვა დამატებითი ცნობები ელცხოველზე არაფერი გვაქვს. მაგრამ ჩანს, რომ უშუალოდ მის მიერ ნიშნული, უფრო ზუსტად, ნიშანდასმული ჯიხვი რალაციით განსხვავებულია, ამიტომაც ელ ცხოველისა.

ვიცით, რომ ჯიხვისა და არჩვის მწყემსად, გამგებლად, დალია მიჩნეული. ლოცვაში კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ: „ჯიხვის მწყემსს დიდება, არჩვის მწყემსს დიდება, მაგრამ ვინ შეიძლება იყოს ჯიხვის ან არჩვის მწყემსი, გაურკვეველია. რასაკვირველია, თვით ფაქტა, რომ თითოეულს თავისი მწყემსი ჰყავს, მრავალმხრივია საინტერესო და იგი მნიშვნელოვნად ამდიდრებს და ახალი შინაარსით ავსებს ჩვენს რწმენა – წარმოდგენებს მონადირულ ყოფიერებაზე, ტრადიციებზე...

ძალზე საინტერესოა, რომ სვანი მონადირის მიერ აღვლენილ ლოცვაში ქრისტიანული და წარმართული არსებები ერთად და ერთნაირი კრძალვითა და პატივისცემით არიან მოხსენიებული, რომ მონადირის ცნობიერებაში ამ ორი რელიგიური მოძღვრების წარმომადგენლებისადმი თავყვანისცემა რაიმე სხვაობის ნიშნით არც კი წარმოიდგინება. ჩვენი აზრით, ეს უკვე რელიგიური სინკრეტიზმია. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს თავისუფალი სვანის მიერ მოტანილი ცნობა, რომ „სვანების აზრით, ნადირობა მემკვიდრეობითი გარდმოცემაა. ნადირობის მფარველნი, ბატონნი არიან თავი – და – თავი, გარდა მამალმერთისა, წმ. გიორგი, შემდეგ „დალი“, „აბსად“-ი, სვიმ-ბერმოძვარი“ და „ელ“ (ჩვენ სხვა მასალებიდანაც ვიცით, რომ გარეული ნადირის მფარველი მიქ-მთავარანგელოზიცაა, მაგრამ ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით). წმ. გიორგის თუ უნდა, მისცემს ჯიხვს –

არჩეს მონადირეს, თუ არა და არა მის მახლობელ თანაშემწედ ითვლება „კლდის დაღ“—ი (კოჯა დაღ). დალი დედათა სქესის არსებაა, ბუღამ კლდეებში მცხოვრები. იგი ბედნიერ მონადირეს კიდევაც დაუნახებდა და მაშინ მონადირის საქმე გაკეთებულია; მხოლოდ დალის მნახველმა მონადირემ არ უნდა გაამჟღავნოს ეს, თორემ დალს ეწყინება და უთუოდ კლდეზე გადაადგებს. დალს წმინდა გიორგისაგან ჩაბარებული ჰყავს ჯიხვები და არჩვები და მათი რიცხვი, როგორც ცოცხალის, ისე მოკლულისა, ყოველთვის უნდა იცოდეს, რაც დალს ჯიხვი და არჩვი უყვარს იმათ მონადირეს არ მოაკვლევინებს“ (ნიუარაბე, 1964:35).

დამოწმებული ტექსტი ღრმა დაკვირვებას საჭიროებს. მასში ძალიან ბევრი სიახლეა. ასე, მაგალითად, ნადირობის მფარველ არსებათა შორის პირველი ადგილი მამალმერთს უკავია, რაც სამონადირეო ციკლის ძეგლებისათვის უჩვეულო ჩანს. ცხადია, კონკრეტულ შემთხვევაში ქრისტიანობის მძლავრი გავლენაა დასანახავი (აღვლენილ ლოცვაში სხვა არსებებიცაა ნახსენები). ალბათ, აქ არაფერია გასაკვირი, ვინაიდან ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები, ტრადიციები და რწმენა-წარმოდგენები ღინამიურობაშია წარმოსადგენი და განსახილველი. აქ ყოფიერების ცვლადი ისტორიული პროცესებია გასათვალისწინებელი. ვიცით, რომ ბევრ წარმართულს ქრისტიანული შეენაცვლა. ეს ცვლილებები საგრძნობია სვანურ მასალებში, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვან სპეციფიკურობასთან გვაქვს საქმე. ესაა ორი რელიგიის არსებათა ერთიანობა და სრული თანახმიერება. ამის მკაფიო მაგალითია დამოწმებული ძეგლიდან ის ეპიზოდი, რომ წმ. გიორგის ყველაზე მახლობელი და საიმედო თანაშემწე და სანდო არსება არის დალი, რომელსაც მთავარმოწამისაგან სამწყემსოდ ჩაბარებული ჰყავს ჯიხვი და არჩვი. ამასთანავე, დალმა დროდადრო უნდა ჩააბაროს ანგარიში ნადირის რაოდენობაზე, როგორც ცოცხლების, ისე მოკლულების. ეს უკვე რელიგიური სინკრეტიზმია. რელიგიური სინკრეტიზმის ნიშნები სხვა ფოლკლორულ ძეგლებშიც დასტურდება, კერძოდ, „ამირანიანში“ წარმართული და ქრისტიანული არსებები ერთად მოქმედებენ. ამგვარი მასალების მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენების, კერძოდ კი ქრისტიანული და წარმართული რელიგიური

ურთიერთობების რთული თეორიული საკითხების სწორად დასმისა თუ გააზრებისათვის.

მონადირის აღვლენილ ლოცვაში საინტერესოაა წარმოჩენილი დალის ბუნების სიწმინდე, კდემამოსილება და სიკეთე. შეიძლება ითქვას, რომ განხილული მასალიდან დალი ყველაზე ამაღლებულად აქაა წარმოდგენილი, „იგიო ბედნიერ მონადირეს კიდევაც შეიძლება დაენახვოს და ეს იმის ნიშანია, რომ არა მარტო ნადირობაში არამედ არსებობის ყველა სფეროში ხელი ექნება მომართული“, მაგრამ ტაბუს დაცვა აუცილებელია. კონკრეტულ შემთხვევაში ძალზე საინტერესო რამ იკვეთება, კერძოდ, დალი ჯერ კიდევ არაა შესული მონადირესთან ურთიერთობაში. იგი მიუკარებელია, თავისი სამყარო აქვს. აქ ბევრი რამ იგულისხმება, რაზედაც ლოცვაში არაფერია ნათქვამი დაკონკრეტებით. ამიტომ საინტერესოა თავისუფალი სვანის განმარტება: „მხოლოდ ბედნიერ მონადირეს შეიძლება დაენახაო დალი“, მაგრამ მონადირემ თავისი სიწმინდით უნდა მიაღწიოს ამ ზღვარს, რომ მიეცეს დილის ფიზიკური ხილვის მაღლი. ეს ჟამი კი გარდამტეხია მონადირის არსებაში.

თავისუფალი სვანის მიერ წარმოდგენილი დაკვირვებებისა და მასალის მნიშვნელობა თქმულით არ ამოიწურება. მათ სხვადასხვა რელიგიურ რწმენა—წარმოდგენათა საერთო საფუძვლებამდე მივყავართ. განსაკუთრებით ეს ითქმის წმ. გიორგისა და დალის ურთიერთობაზე. როგორც ითქვა, დალი მთავარმოწამისათვის ჯიხვებისა და არჩვების მწყეშია. მათ შორის სრული თანახმობა, უფრო მეტიც, დალი წმ. გიორგისათვის ყველაზე მახლობელი და საიმელო არსებაა. დამოწმებული მასალის მნიშვნელობა იმდენად განსაკუთრებულია, რომ იგი საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს. მის იღუმალებაში წვდომა, ახსნა და აზრებად ჩამოყალიბება გადაუღალაზე დაბრკოლებად რჩება, ვინაიდან ამგვარი შინაარსის ტექსტების შექმნას მისტერიათა სიბრძნე უდევს საფუძვლად, რაც, თავის მხრივ, ერის კულტურული აღმავლობის მაღალ საფეხურზეა შესაძლებელი. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მათში რელიგიურ რწმენათა განვითარების საბოლოო გზებიცაა მონიშნული და მისი აღქმა მხოლოდ სულიერი ზეაღსვლის უმაღლეს საფეხურზეა მისაღწევი, ვინაიდან საქმე გვაქვს ღვთიურ საუფლოებში მიმდინარე პროცესებთან, სადაც ლოგიკური

განსჯა და რაციონალური ამოხსნის ყოველგვარი ცდები უძღურია. მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი პროცესები ადამიანურ ყოფით რეალობებთანაა მიახლოებული და მიმსგავსებული, მაგრამ, ვიმეორებთ: მათი აზრებად ჩამოყალიბება ან ცნების სახით გადმოცემა ჯერჯერობით შეუძლებელია ჩვენთვის. ამიტომ უნდა მოხერხდეს ტექსტის სწორად წაკითხვა. ეს კი გულისხმობს ცალკეული გამოთქმებისა და სიმბოლოების, ზოგჯერ სიტყვების, ღრმად გააზრებას, ვინაიდან ხალხური რელიგიური შინაარსის ტექსტებში სულიერ სამყაროზე სრულიად სხვაგვარ წარმოდგენებსა და შეხედულებებს ვაწყდებით. აქ მსოფლმხედველობრივად ჩამოყალიბებული ისეთი სისტემა, რომ ყველგან თანახმიერება გვქონდეს, როგორც ეს კანონიკურ ძეგლებსა თუ ქურუმთა დაფარულ სიბრძნეშია დაუჩვენებელი, არა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ საფუძველთა საფუძველი მისტერიათა ერთიანი სიბრძნეა. მაგრამ ხალხურში იგი ზოგჯერ აღრეულია, ფრაგმენტულია და ჭირს მისი მთლიან სისტემად წარმოდგენა. ამგვარი წინააღმდეგობები შეიმჩნევა განსახილველ ტექსტებშიც. ამიტომ თითოეულ ეპიზოდსა და ფრაგმენტს თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს, რათა შევძლოთ წინააღმდეგობათა არსში წვდომა და მისი რალაცნაირი ახსნა. ასე, მაგალითად, საანალიზოდ წარმოდგენილ ლექს-სიმღერაში წმ. გიორგისა და დალთა ლაშქარს შორის დაძაბულობას თავისი საფუძველი აქვს. ძვ. წარმართული არსებები მონადირე ჩორლას არ აპატიებენ ურიცხვი ნადირის დახოცვას, სჯიან, წმ. გიორგი კი მიმტყეპელია, ჩორლას დამცველი. და ეს მაშინ, როცა თვით ქრისტიანული რელიგიითაც მიღებულია, რომ მონადირემ არ უნდა გამოიჩინოს სიხარბე, დასაშვებზე მეტი ნადირი არ დახოცოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისჯება. აქ ძალიან ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. ვიცით, რომ წმ. გიორგისა და დალს შორის, ბ. ნიჟარაძის მიერ ფიქსირებული მასალების მიხედვით, სრული თანხმობაა. იგულისხმება, რომ ასეთსავე ურთიერთობაშია მთავარმოწამე დალთა ლაშქართან. ეს აშკარადაა გამოვლენილი წმ. გიორგისა და ყორანას დიალოგიდან, რომ დალები მისი ხელქვეითნი არან, მათთან მოლაპარაკებას გაემართავო. გაეიხსენოთ ტექსტიდან ის ეპიზოდი, სადაც დალები წმ. გიორგისადმი დიდ კრძალვასა და მორიდებას იჩენენ. ისინი მას, უფალოთი „მოიხსენიებენ, რომ ისინი მას როგორ გააწბილებენ.

როგორც ვხედავთ, აქ დიალოგი ისეთი ტონითაა წარმართული, რომ მასში რაიმე მტრული ურთიერთობის დანახვა გაჭირდებოდა, თუმცა ერთი რამ უეჭველია: დალების პოზიცია ჩორლას მიმართ უცვლელია; მონადირე ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაისაჯოს, მხარი უნდა მოსტეხონ. აქ დალები თავიანთ ძლიერებასა და უფლებამოსილებას საკმარისად ინარჩუნებენ. დაძაბულობის ფარული აზრი ისაა, რომ წმ. გიორგი პირდაპირ, უპირობოდ მოითხოვს მონადირე ჩორლას განთავისუფლებას. ამგვარ მოთხოვნასა და ტონს თავისი იდუმალეობა ახლავს. ჯერ ერთი, ადამიანთა საუფლოში ჩორლა მთავარმოწამის რაინდია, მის ნების აღმსრულებელი. მოკვდავთა შორის იგია ის ინდივიდი, რომელსაც ღვთიურ სფეროებში შეღწევის უფლება აქვს მოპოვებული. ასეთია კლდოვან-ყინულოვანი არეალი, სადაც სამყაროული მნიშვნელობის პრობლემები წყდება. საინტერესო ისაა, რომ, ტექსტის მიხედვით, ეს საუფლო საერთოა წარმართული და ქრისტიანული არსებების, წმ. გიორგისა და დალებისათვის. როგორც ითქვა, წმ. გიორგიმ დალებს, მის ხელქვეით არსებებს, მკაცრი ტონით მოსთხოვა ჩორლას განთავისუფლება. თუ ღრმად ჩაუვკვირდებით ძეგლს, დავინახავთ, რომ არსებითად ამ საერთო საუფლოში წყდება საბოლოო ბედი არა მარტო ჩორლასი, რომელიც უკვე მთლიანად ქრისტიანული იმპულსებითაა გამსჭვალული, არამედ დალთა სამყაროსიც. პაექრობაც ამ ნიშნითაა წარმართული ბ) ვარიანტის მიხედვით, საქმე მოციქულის დონეზე წყდება. დალებმა თავიანთი გადაწყვეტილება შეასრულეს. მხარმოტეხილი ჩორლა ძლივს მივიდა მთავარმოწამესთან და შესჩივლა. ვინ იფიქრებდა, რომ მე ცოცხალი დავრჩებოდი. წარმართული და ქრისტიანული არსებები ერთ საუფლოშია. როგორც ითქვა, ახალ რელიგიას თავის გავლენაში მოუქცევია წარმართული არსებები. ჩორლა ყველასათვის კარგად ცნობილი ინდივიდუალობაა, წმინდა ქრისტიანი. დალებისათვის განკუთვნილ საუფლოში თვითნებობა გამოიჩინა ურიცხვი ნადირის მოკვლით. რასაკვირველია, ერთი შეხედვით, წმინდა ადამიანური განსჯით, ლოგიკით მართლაც ასე ჩანს. სინამდვილეში კი იგი ფიზიკურ პლანში კი არაა განხორციელებული, თვალთ დასანახავი აქ არაფერი ხდება, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიჩნეული, თითქოს ჩორლა მართლაც ფიზიკურად იყოს გადმოკიდებული კლდეზე, რომლის ტი-

რილი, მოთქმა ხის ფოთლებს, ქვებს აატირებდა, არამედ, როგორც ამაზე ზემოთაც ითქვა, საქმე გვაქვს პიროვნების შინაგან სამყაროში მიმდინარე ურთულესსა და ძნელად გადასატან პროცესებთან, რომ მონადირე ჩორლა მხოლოდ თავისთავში გაივლის სულიერი განვითარების უკიდურესი წინააღმდეგობებით აღსავსე ინციაციის გზას, რათა მასში ახალმა ადამიანმა გაიღვიძოს. ტექსტზე დაკვირვება ააშკარავებს, რომ ეს გზა ქრისტიანულია. მისი მუდმივი მეთვალყურე წმ. გიორგია. მან მხარმოტეხილი ჩორლა გაამხნევა და უთხრა:

„—ჩორლა ჩემო, როგორა ხარ?

„როგორ ვიქნები ბეჩავი?

მარჯვენა მხარი მომტეხეს,

— ჩამოღი ჩემთან!

სამ ჯიხვს ერთმანეთზე მიგიბამ,

თუ ამას მხარზე მოიგდებ,

მაშინ ნადირობაში ხელი არ შეგეშლება“.

(შანიძე, 1939:301)

რასაკვირველია, დამოწმებულ ეპიზოდში დაუჯერებელი ამბავია აღწერილი. ეს განსაკუთრებით ითქმის ბოლო სამ სტრიქონზე, რომ მხარმოტეხილმა მონადირემ სამი ჯიხვი აიკიდოს და ქედზე ავიღეს და არა — შინ, ჯალაბთან. ეს ეპიზოდი რთული გასააზრებელია. აქ ყოველგვარი რაციონალური ახსნის ცდა ძალას კარგავს, ვინაიდან იგი არ შეესატყვისება ადამიანური ყოფიერების რეალობას. ცხადია, მოსალოდნელი იყო, რომ ჩორლას ნანადირევი შინ წამოეღო, მაგრამ ხდება პირიქით. წმ. გიორგი ეუბნება, რომ სამ ჯიხვს ერთმანეთზე მიგიბამ და, თუ მას ქედამდე, ანუ მწვერვალამდე, აიტან, ნადირობაში ხელი არასოდეს შეგეშლებაო. ე.ი. საქმე გვაქვს სულიერ ძალთა ქმედებასთან, რომელსაც ადამიანური ყოფიერების ლოგიკით ვერ ავხსნით და ვერც განვსჯით. როგორც ითქვა, იგი ახალი სინამდვილეა. სხვაგვარი რეალობაა. სიცხადისათვის, პირველ ყოვლისა, აქ იმის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ ღვთიური არსება ზრუნავს მის რჩეულ ყმაზე, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისაგან უკვე განსხვავებული თავისთავადობაა, სულიერი ზეაღსვლის გზაზე დამდგარი. ვიცით, რომ მხარმოტეხილი ჩორლა წმ. გიორგიმ მოარჩინა, ძალღონე შემატა და შინ კი არ გაუშვა, რაც სავსებით ბუნებრივი იქნებოდა

წმინდა ადამიანური გაგებით, არამედ მწვერვალზე, ანუ ზეკარზე, აიყვანა, სადაც ღვთაებათა საბრძანისია, ღვთისშვილთა აკვანი ირწყევა.

სწორედ აქ უნდა მოხდეს ჩორლას სრული ფერისცვალება. ამ სულიერი ზეალსვლის გზაზე მიმავალმა ჩორლას სამშენიველმა დიდი ტვირთი, სიმძიმე უნდა ატაროს. სამი ჯიხვი, რომელიც მონადირემ მხრებზე აიკიდა წმ. გიორგის შთაგონებით, სიმბოლური განსახიერებაა ცხოვრებისეული ტვირთსა და იგი მწვერვალზე, ღვთიურ საუფლოში, უნდა მოიხსნას გმირმა, განთავისუფლდეს ფიზიკური ბორკილებისაგან. მწვერვალამდე ასვლის გზაზე მისი სულიერი წინამძღოლი და ძალის მიმცემი წმ. გიორგია.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ არ გაუშვა მთავარმოწამემ ჩორლა შინ, საკუთარ ჯალაბთან, და მწვერვალზე აპყავს, ღვთიურ საუფლოში, რომ გაბრძენებული ისევ ადამიათა საცხოვრისს დაუბრუნდეს. ამგვარ გზაზე დამდგარი მონადირისათვის იმედი და ძალა წმ. გიორგის გამამხნეველებელი სიტყვებია:

„ჩორლა, ჩემთვის ბევრი გიმსახურია,
თორმეტი ცხენის საპალნე
მარტო სანთელ—საკმეველი დაგინარჯავს,
იმ ნამსახურს არ დაგიკარგავ“.

(შანიძე, 1939:301)

წმიდანის ამ სიტყვებში სრულადაა გაცხადებული მონადირე ჩორლას ინდივიდუალობა, რომ იგი ჭეშმარიტი ქრისტიანია, რომელმაც რაინდულად გაუძლო ყოველნაირ სირთულეებს, როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს. ამიტომ უნდა განემზადოს არსებობის კიდევ უფრო მაღალი საფეხურისათვის. ტვირთდამძიმებული ჩორლასათვის მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი რამ ხდება — ქედზე ასვლამდე ცოტა უკლიათ და მთავარმოწამე ეუბნება:

„ჩორლა ჩემო, უკუ მოიხედე,
ერთ სეირს ახლავე გაჩვენებ!“
ჩორლამ უკან გაიხედა,
ხეე—ხეე სეტყვა მოდის, თურმე,
მეწყერსა და ნიაღვარს ყველაფერი მიჰქონდა,
შენი მხარის მოტეხისათვის
ეს დალებს ჰქონდეთ“.

დამოწმებული ეპიზოდებიდან განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ტაეპი; „ჩორლა ჩემო, უკან მოიხედე“ ე.ი. მთავარმოწამემ და მონადირე ჩორლამ დალთა სამყარო უკან, ქვემოთ მოიტოვეს, თავად კი ქედამდე ცოტა უკლიათ. დალები მეწვერსა და ნიაღვარს გაურია. სიმბოლურად იგი ძველი ყოფიერების, კერძოდ, წარმართული სამყაროს მთლიანად მოცილებას ნიშნავს. წმ. გიორგიმ არ აპატია დალებს ჩორლასთვის მხარის მოტეხა. აქ აშკარად ჩანს ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება. განსაკუთრებით კი ისაა საინტერესო, რომ მონადირე ჩორლა უკვე მთლიანად ახალი ადამიანია, თავისუფალი ყოველგვარი წარმართული ნაშთებისაგან. ადრე მას, ასეა თუ ისე, კავშირი ჰქონდა დალთა სამყაროსთან, ამჯერად კი მხოლოდ ქრისტიანია. მისი ინიციაციის გზაც ასეთია. მოტანილი ვარიანტის დასასრული ძალიან კარგია, მონადირე ჩორლა ჯილდოდება ყოველივე იმით, რასაც აირჩევს და ინატრებს. მთავარმოწამე ლოცავს ჩორლას მისთვის გაწვეული სამსახურისათვის და ეუბნება, უფრო ზუსტად დააბედა:

„ახლა ნატვრას მოგცემ:
 დღეში ჯიხვი გქონდეს,
 წვრილი არჩვი უარუთქმელად გქონდეს?
 სანამ გინდოდეს, ასე იყავ,
 როცა ის ირჩიო,
 მაშინ იყავ ჩვენთან მყოფი,
 ეს ნატვრა შენთვის მომეცეს“.

ვიმეორებთ; რომ სვანური პოეტური ტექსტები მაღალ პროფესიულ დონეზეა თარგმნილი. მაგრამ განსაკუთრებულ სირთულეებს ვაწყდებით სვანური სარწმუნოებრივი ძეგლების თარგმნისას. აქ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, პირველ ყოვლისა, კუთხის ზნე-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენათა თავისებურებები, სარწმუნოებრივ ძეგლთა მეტყველების სტილის სპეციფიკურობა, საკრალური გამოთქმები, სიმბოლოები, ქვეტექსტებითა და მინიშნებებით მეტყველება, ფრაზის ტონალობა, ხანგრძლივი პაუზები, რომელთა ხვედრითი წონა და ფუნქციები განსახილველ ძეგლებში ძალზე დი-

ღია და მრავალმხრივიც. ცალკეულ შემთხვევაში დედანი გაცილებით მეტს გვეუბნება, ვიდრე მისი ზუსტი თარგმანი და სხვა დამოწმებულ ტექსტშიც ეს სირთულეები საგრძნობია. ასე, მაგალითად; ზევთან მეოთხე ტაეპი დედანში ასე იკითხება: „ვოდ ჯეკეეს, ლო ამჟი მერდე“, თარგმნილია: „სანამ გინდოდეს, ასე იყავ“. პირველ ორ სიტყვასთან არაფერი გვაქვს სადავო, ზუსტადაა თარგმნილი. მომდევნო სიტყვათა ბუნდოვანება მთარგმნელების მიერ გასწორებულია, ჩვენი აზრით, შეცვლილი, ალბათ, აზრობრივი მისაწვდომობის მიზნით. საქმე ისაა, რომ: სიტყვა „ლო“, ნიშნავს მერე–ს, „ამჟი“ – ასე, „მერდე“ – მყოფი, მცხოვრები. ე.ი. „სანამ გინდოდეს, მერე ასე მყოფი“. როგორც ვხედავთ, ჩვენეული თარგმანი ზუსტია, მაგრამ იგი მკითხველისათვის გაურკვეველი და ბუნდოვანია, ვიდრე ტრადიციული თარგმანი (ამაზე ქვემოთ). მეექვსე ტაეპი: „ერქად ეჯა ვადშე ჯულვენდიდს“, თარგმნილია: „მანამდე ეს ნატვრა გქონდეს“, უნდა იყოს: „მანამდე ის ნატვრით გქონდეს“. ბოლო ტაეპი: „ერქა მერდე ნიშგვე ცახან“ თარგმნილია: „მაშინ (იყავ) ჩვენთან მყოფი“. სიტყვათა თანმიმდევრობას არ გამოვედევნებით, ოღონდ დავსძენთ, რომ სვანურში მთელი ტაეპი ძალიან კარგად უღერს, მაგრამ ჩვენ მაინც მთარგმნელთა პოზიციაზე ვრჩებით; „ჩვენთან მყოფი“ – ქართულად მართლაც ასე სჯობს და არა „მყოფი ჩვენთან“, რაც სვანურისათვის გაცილებით ლამაზად უღერადია... რაც შეეხება „იყავ“ ზმნას, მთარგმნელების მიერაა ჩამატებული“. ჩვენ კი უცვლელად ვტოვებთ დედნისეულ თანმიმდევრობას. „მაშინ მყოფი ჩვენთან“. ცხადია, იგი გაუგებარი და გაუმართავია, მაგრამ ჩვენთვის ამოსავალია დედნისეული ტექსტი და არა თარგმანი, თუ როგორაა თარგმანი შესრულებული. მიზანი კი ტექსტის შინაარსში წვდომაა. ჩვენეულ თარგმანში დედნისეული ბუნდოვანება სრულადაა გადმოტანილი, რომ მკითხველმა იგრძნოს, რა სირთულე გვაქვს, როგორ შეიძლება იგი ამოვიკითხოთ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვიმეორებთ, ვეყრდნობით დედანს და არა მის აღეკვატურ თარგმანს, რომელიც უფრო გვაახლოებს სვანურ ტექსტთან, ვიდრე მისი ტრადიციული თარგმანი. იგი უფრო წარმოაჩენს დედნისეულ ეგრეთ წოდებულ ბუნდოვანებას. პირველ ყოვლისა, იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ აქ არაა საუბარი ჩვეულებრივი ადამიანის თავგადასავალზე, რომელსაც ლოგიკური თანმიმდევრობით დავალა-

გებდით, განვსჯიდით, შევაფასებდით, რა არის მოსაწონი ან, პირიქით, და რაღაც დასკვნამდე მივიდოდით. კონკრეტულ შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა. მოქმედება ღვთიურ საუფლოშია გადატანილი. განწმენდილი ჩორლა და წმ. გიორგი ერთად დგანან მწვერვალზე. აქ მიდამოც განახლებულია, ვინაიდან დალთა სამყარო, ანუ წარმართული სამყარო, მოშლილია, აღარაა. ირგვლივ ახალი, ქრისტიანული ატმოსფეროა, მონადირე ჩორლა უკვე ღმერთებთან მყოფი ინდივიდია. სწორედ ეს არის გასათვალისწინებელი დამოწმებული ტექსტის გასაგებად, სადაც სიტყვათა შორისაც ღრმა აზრებია ამოსაკითხავი. საქმე ღვთიურ მეტყველებასთან გვაქვს და არა ჩვეულებრივ ახსნა—განმარტებით საუბართან, რომ ყველაფერი გასაგები იყოს. მთავარმოწამის მიერ წმინდა აზრები და სიტყვებია თქმული, რომლის შემეცნება ჩორლასებურ ბრძენკაცს ძალუძს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მეტყველება ძალზე სიმბოლურია, აქ პირდაპირი მნიშვნელობით არაფერია ნათქვამი. ასე, მაგალითად, როცა დედანში ვკითხულობთ „ვოდ ჯეკეეს“. „სანამ გინდოდეს“ ხანგრძლივი პაუზაა და მთელი დატვირთვა მასზეა გადატანილი. აქ პაუზის დანიშნულება განსაკუთრებულია, მასში ბევრი რამ მოიაზრება, ბევრი რამ იგულისხმება, თვით შემდგომი სიტყვების შინაარსიც, რომელიც ესოდენ ბუნდოვანი ჩანს, ამ პაუზით შეიძლება გაიხსნას. პაუზაშივეა ნავარაუდები და ფარულად გაცხადებული ჩორლას გარდაქმნილი ინდივიდუალობა ამ სიტყვის ყოვლისმომცველი მნიშვნელობით. ამგვარ მიმართვაში ტონალობაც არის გასათვალისწინებელი. მისი გაგება სევანური სარწმუნოებრივი ძეგლის მეტყველების სტილის ღრმა შეგრძნებას გულისხმობს და არა მხოლოდ ენის ცოდნას. თავად მკითხველმა უნდა შეძლოს პაუზის იდუმალების ამოცნობა. იგი იმაზეც მიგვანიშნებს, მთავარმოწამემ რაც დააბედა: დღეში თითო ჯიხვი, ხოლო არჩვი უარუთქმელად, „სანამ გინდოდეს“ ასეთად მყოფს, როგორი გაბრძენებული და განწმენდილიც ჩორლაა, რომლისთვის გარდაცვალება ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლაა, წმ. გიორგიმ ეს იცის და ამიტომ „მერე ასე მყოფი“, სანამ სიკვდილს ისურვებ, მანამდეო „ეჯა“—ის გქონდეს ნატვრით, რაც დააბედა და არა „ეს ნატვრა“ „როგორც ტრადიციულ თარგმანშია, ხოლო გარდაცვალების არჩევის შემდეგ „ეჩქას მერღე ნიშგვეცანან“. მთელი ტაეპის კეთილხმოვა-

ნება ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი, რომლის პირდაპირი თარგმანი ასე უხეშად უღერს: „მაშინ მყოფი ჩვენთან“. ტრადიციული თარგმანი „იყავ“—ის ჩართვით უკეთესად იკითხება „მაშინ (იყავ) ჩვენთან მყოფი“. მართალია, მკითხველისათვის ძნელი გასაგებია დღენისეული სიმბოლური მეტყველება, რომელშიც ღრმა რელიგიურობაა საფარველდადებული, მისი აღქმა თუნდაც ადეკვატური თარგმანით ძალიან ძნელია ან თითქმის შეუძლებელი. დედანში გაცილებით მეტი რამ იგრძნობა, ვიდრე აზრობრივად გამართულ თარგმანში.

დამოწმებული ეპიზოდის მნიშვნელობა თქმულით არ ამოიწურება. მთავარმოწამისა და ჩორლას ურთიერთობა მნიშვნელოვანი თავისებურებებით წარმოგვიდგება. ნაწარმოების დასასრულს წმ. გიორგიმ ჩორლას მისთვის გაწეული სამსახურისათვის ყოველნაირი სიკეთე და ბედნიერება აღუთქვა და სასურველი არჩევანის წინაშე დააყენა ისე, რომ მონადირე არანაირი რთული გადაწყვეტილების წინაშე არ აღმოჩენილა. წმ. გიორგიმ ჩორლას სრული თავისუფლება მიანიჭა. დაბედებულიდან ჩანს, რომ მას ადამიანთა საცხოვრისში ბედნიერი ცხოვრება გარანტირებული აქვს და, თუ გარდაცვალებას ისურვებს, ღვთის საუფლოში დაემკვიდრება.

ერთობ გართულებულად არის წარმოდგენილი გმირის თავგადასავალი ა) ვარიანტში. მიუხედავად იმისა, რომ წმ. გიორგი ბრძანებითა და მუქარით შეერია დალთა ლაშქარს, მონადირე ჩორლას მაინც მოსტეხეს მხარი და ისე ჩაიყვანეს დაბლა წმ. გიორგისთან. მთავარმოწამემ მონადირეს მოტეხილი მხარი გაუმთელა და კიდევ უფრო მოაძლიერა. ამის შემდეგ საინტერესო რამ ხდება:

„ვოდ ჯიბინაზ ლიზ—ლიჩედი,
თვეთვნა კოჯას ქამეჩღეხიშდ,
ვოდ მეპდელი უჩხა—სკარხალ“
„სანამ დაგიწყიათ სვლა—წასვლა,
თეთრ კლდეზე გადასულხართ,
სანამ მოვიდოდა წვიმა—სეტყვა.

(შანიძე, 1939:288,289).

როგორც ვხედავთ, თარგმანში რამდენიმე უზუსტობაა. განსაკუთრებით ეს ითქმის მესამე ტაეპზე: „მოსულა წვიმა, სეტყვა“ კი არა, არამედ: „სანამ მოვიდოდა წვიმა—სეტყვა“. ამ ფრაზის შემდეგ

უფრო გასაგებია მომდევნო სტროფების შინაარსი. ამაზე ქვემოთ, მეტყველების ამგვარ ფორმაზე გვქონდა საუბარი და იგი გრძელდება ნაწარმოების დასასრულამდე. აქაც დრო და სივრცე დაძლეულია. აქცენტი მთლიანად გმირის მხოლოდ შინაგან სულიერ მდგომარეობაზეა გადატანილი. აქ არანაირ ფიზიკურ ქმედებასა თუ სივრცობრივ გადაადგილებასთან საქმე არ გვაქვს, არც წინააღმდეგობების დაძლევისთან. ცხადია, მოქმედება აქაც ღვთიურ საუფლოშია გადატანილი. მონადირე ჩორლას მიერ წმ. გიორგისთან ერთად კლდეზე გადასვლა, წარღვნა და სხვა ფიზიკური სურათ-ხატებებია, იმაგინაციური ხილვაა. მას ჩვეულებრივი ადამიანის თავგადასავალთან ან წინააღმდეგობების დაძლევისთან ვერ გავიგივებთ. კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი რამ ხდება, როგორც ეს ბერძნულ მითოლოგიაშია.

ვიცი, რომ ჰერაკლე, თეზევსი, ორფევსი და ოდისევსი ცნობიერებაში გადიან აიღს და არა ფიზიკურად და ყველა ის სირთულე, რაც ქვესენელურ სამყაროში ჩასვლას ახლავს მხოლოდ ინიციაციის გზაა, იგივე შეიძლება ითქვას ჩვენ მიერ მოტანილ მასალაზე, ოღონდ მნიშვნელოვანი სახეცვლილებებით. ბერძნულში ან სხვა ქვეყნის, განსაკუთრებით შუამდინარეთის მითოლოგიებში გმირები აიღის გავლის შემდეგ, რაც აუცილებლად გასაველელია, გაბრძენებული, განახლებული ისევე ადამიანთა საცხოვრისს უბრუნდებიან. მონადირე ჩორლას შემთხვევაში შეინიშნება ერთგვარი სპეციფიკურობა. უფრო ზუსტად, აქ პირიქითაა. აიღისმაგვარი სირთულეები მიწიერ განფენილობაშია დასაძლევნი, კონკრეტულად კი ადამიანისათვის დაუძლეველი ან ადვილად დასაძლევნი კლდოვან-ყინულოვანი არეალები. თანაც საინტერესო ისაა, რომ, „სანამ სვლა-წასვლას დაიწყებდნენ, თეთრ კლდეს გადასულან“. თეთრი კლდე წმინდა ღვთაებათა საცხოვრისია. მას თავისი წმინდა, შეუვალი ადგილები აქვს. ამ საუფლოში, სადაც ღმერთები დადიან, ჩორლამაც მოიპოვა სიარულის უფლება. ეს კი მონადირის მაღალ ინდივიდუალობაზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, თუ თვალს გავადევნებთ მონადირე ჩორლას მთელ თავგადასავალს, შევამჩნევთ, რომ მისი როგორც პიროვნების, განვითარების მუდმივი მეთვალყურე წმ. გიორგია, რომლის სამსახურისათვის ჩორლას თორმეტი ცხენის საპალნე მარტო სანთელ-საკმეველი დაუხარჯავს, გასაგები იქნება, რომ მისი სახით საქმე გვაქვს ჭეშმარიტ

ქრისტიან ინდივიდთან, ინციაციაგავლილ მონადირესთან. ამდენად, წარმოდგენილი სტრიქონები მრავალმხრივია საინტერესო. საყურადღებოა, რომ მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც ჩორლას განწმენდის გზა შეიძლება ეწოდოს, წმ. გიორგი მონადირეს შეახსენებს:

„ჩორლა ჩემო, უკან მოიხედე!
ჩორლამ უკან მოიხედა“

(შანიძე, 1939:301).

უნდა იყოს: „ჩორლა ჩემო, უკან რატომ არ იხედები?“

ვიმეორებთ, აღწერილი სირთულეების დაძლევა ხდება ყოველგვარ მოძრაობის გარეშე, სანამ გზას გაუდგებოდნენ, თეთრი ღვთიური კლდე გაიარეს. „სანამ დაიწყებოდა წვიმა, სეტყვა“, უკვე დიდი ნიაღვრებია მომდგარი:

„ო, საბრალო დალთ ლაშქარო,
მეწყერსა და ნიაღვარს მიჰქონდეთ, თურმე!
ერთი დალი წინ მიფრინავს,
ერთ ნაბიჯზე სახლის სიმაღლეს ხტება,
ცოტა ხანში დაეწევა,
— უფალო წმ. გიორგი, მაპატიე,
ამას ჩემთვის სიკეთე უქნია,
ბევრი გაციებული გაუთბია,
ბევრი მშვიერი გაუძლია,
გევედრები, ჩემო უფალო,
ეს დალი არ დავახრჩოთ!
ჩორლა ჩემო, არ დავახრჩობთ,
სადაც მოკვდე, იქ მოკვდეს,
თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს!“

(შანიძე, 1939:295).

ამ ვრცელი ამონაწერიდან ბევრი რამ ირკვევა, ბევრიც იღუმალებითაა მოსილი. მასში კიდევ უფრო მკვეთრად და აშკარად არის გაცხადებული დალთა ლაშქრის ბუნება და ფუნქციური მრავალფეროვნება. ნაწარმოებიდან ვიცით, რომ ერთ-ერთი დალი, რომელსაც ჩორლას საყვარლობას სწამებენ, მოკვეთილია მათი რიგებიდან. ეს ის დალია, რომელმაც გაათქვა დალთა ლაშქრის საიდუმლოება. სწორედ

ამით დააშინა წმ. გიორგიმ დაღლები. საიდუმლოს გამჟღავნებამ, ასევე ჩორლას მხარის მოტეხამ, რაც წმ. გიორგიმ არ აპატია, სულ მთლიანად მოშალა და გაანადგურა დაღთა სამყარო, მეწყერმა და ნიაღვარმა წაღეკა მათი საცხოვრისი. ამონაწერიდან ისიც ირკვევა, რომ დაღთა ლაშქრის ნაწილს მეგობრული, ალბათ, ძალზე შინაურული ურთიერთობა აქვს ნამდვილ, ჭეშმარიტ მონადირესთან. ვიცით, რომ ჩორლამ მუდარით მიმართა წმ. გიორგის ერთ-ერთ დაღზე, რომელიც მეწყერსა და ნიაღვარს უნდა დაეხრჩო, რომ მას ბევრი მონადირე შეუფარებია, პატივი უცია, გათოშილი გაუთბია, მშიერი გაუძლია და სხვა. როგორც ვხედავთ, სირთულე ძალზე ბევრია. პრობლემა მრავალმხრივაა გამოსაკვლევი. თუ ღრმად გავიაზრებთ დამოწმებული ეპიზოდის შინაარსსა და მთლიანი ტექსტის დედაარსს, შეიძლება სულ სხვაგვარად დაისვას ქრისტიან და წარმართ არსებათა ურთიერთობის პრობლემა. არაა გამორიცხული, რომ მასში უნივერსალური რელიგიისკენ სწრაფვის ნიშნებიც დავინახოთ. ამჯერად არაფერს ვამბობთ პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებაზე. ასე რომ, მხოლოდ დაღლისა და მონადირის ინტიმურ ურთიერთობათა აღწერა-დახასიათება, რა ამომწურავიც არ უნდა იყოს იგი, არ არის საკმარისი. საჭიროა დაღთა მთლიანი სამყაროს საიდუმლოებით მოსილი ბუნების შინაგან არსში წვდომა, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარება და მეტ სიცხადესა და გარკვეულობას შეიტანს თვით კონკრეტული დაღისა და მონადირის ურთიერთობის სწორად გაგებასა და გააზრებაში. ამიტომ პრობლემა მრავალმხრივაა გამოსაკვლევი და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით. რაც მთავარია, თვით დამოწმებული მასალები საჭიროებდა კომპლექსურ კვლევას... ავიღოთ თუნდაც ზემოთწარმოდგენილი ბოლო სტრიქონები. მათი ამოცნობა ძალზე ძნელია, ბევრი მოულოდნელობების გამო, ჯერჯერობით არაფერს ვამბობთ მათ ბუნდოვანებაზე. ვიცით, რომ წმ. გიორგიმ ჩორლას თხოვნით ერთ-ერთი დაღი დახრჩობას გადაარჩინა, ორივე დაღოცა, ერთად ყოფნა და ერთად სიკვდილი დააბედა: „თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს“.

ძალზე საინტერესო ფრაზაა. იბადება კითხვა! რანაირი ყოფაა დაღთა ლაშქარში, რომ იქ ასე შინაურულად მასპინძლობენ მოკვდავ ადამიანებს, მონადირეებს, ხელს უმართავენ მათ. ამასთანავე ვამბობთ და ვიმეორებთ კიდევაც, რომ ჩორლა უკვე ჭეშმარიტი ქრისტიანია,

ყოველგვარი წარმართული ნაშთებისაგან თავისუფალი, მაგრამ იგი მაინც მოკვდავია, დალი კი, მასალათა აბსოლუტური უმრავლესობის მიხედვით — უკვდავი. ყოველ შემთხვევაში, სამონადირეო ციკლის მასალების მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეა. გამონაკლისს „ამირანის“ ვარიანტები წარმოადგენენ, მაგრამ მათში დალის ბუნება და ფუნქციები აშკარად დაქვეითებულია, დეგრადირებული. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ დალი უკვდავი სულის არსებაა. ძალზე საინტერესოა, რომ ჩორლას ამ ეპიზოდში წმ. გიორგი პირდაპირ ლოცავს მონადირეს, არ აწბილებს, გადავარჩინთ ამ დალსო და ეუბნება: ე. ი. დალების დასჯილ მონადირეს წმ. გიორგი ეხმარება.

„ჩორლა ჩემო, არ დაგახრჩობთ,

სადაც მოკვდე, იქ მოკვდეს,

თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს“.

(შანიძე, 1939:295).

შეიძლება ითქვას, რომ მოულოდნელობაა. ჯერ ერთი, ჩორლას ოჯახი ჰყავს. მთავარმოწამემ კი დალსა და ჩორლას ცოლქმრობა დააბედა. სხვანაირად გაუგებარი რჩება სიტყვები: „თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს“. ჩვენთვის ეს ეპიზოდი ამოუცნობია. თანაც ვიცით, რომ ჩორლა ყოველივე ზემოთ აღწერილს თავისთავში განიცდის, ინიციაციის გზას გადის. ე.ი. მონადირის სულიერი ზეალსულის რაღაც გამოუცნობი საფეხურია, რაღაც სიახლეა ისეთი, რომელიც განსხვავებულად და ახლებურად დაგვაფიქრებს დალთა ლაშქარზე, მათ არსობრიობას სულ სხვაგვარად დაგვანახებს. მართალია, იგი ბოლომდე ვერ ცვლის ჩვენს წარმოდგენებს დალზე, მაგრამ, ცხადია, რომ ახალი ელემენტი შეაქვს პრობლემის კვლევაში. ირკვევა, რომ დალთა ლაშქრის ყოფიერება თავის თავში ბევრ საიდუმლოებას ატარებს, მათი არსებობა არაა ერთგვაროვანი. ყოველ შემთხვევაში, გადარჩენილი დალი ძალზე მოახლოებულია ადამიანური არსებობის რეალიებთან. მართალია, იგი რჩეულ მონადირეებს მასპინძლობს, ეხმარება, მაგრამ თავისი ქმედებით არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი მოკვდავისაგან. ჩორლა ჭეშმარიტი ქრისტიანია, დალთა სამყარო წარმართულია, რომელიც უკვე აღარ არსებობს. იგი წმ. გიორგიმ გაანადგურა, გადარჩა ერთი დალი. რამდენად დასაშვებია საპირისპირო ძალთა წარმომადგენლების შეუღლება. ჩორლა ქრის-

ტიანია, გადარჩენილი დალი — წარმართი, რომლის წარმომადგენლებიც მთავარმოწამემ ნიაღვარს გაურია, მოსპო. შეიძლება გვეფიქრა, ხომ არაა კონკრეტულ შემთხვევაში შორეული მსგავსება ბერძნულ მითოსურ სამყაროსთან, სადაც მამაკაცი ღვთაებები მოკვდავ ქალებთან შეიღებს აჩენენ, ნახევრად ღმერთებს. მაგალითების მოტანისაგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ მივუთითებთ, რომ შეხვედრა დროებითია, შეუღლებით არასოდეს მთავრდება. იგივე ითქმის ქალღვთაებებზეც. გავიხსენოთ სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე, რომელიც „ამაყობდა იმით, რომ მიწიერის სარეცელი არასოდეს გაუზიარებია. მისი ასეთი მზვარობობა არ მოსწონდა ზევსს“... „მან აფროდიტეს შთააგონა სიყვარული მოკვდავი ანექსიზისადმი, რომელიც ღმერთების მსგავსი იყო თავისი მშვენიერებით“. აფროდიტე მართლაც წარდგა მის წინაშე. მისი მხილველი ანექსიზი გაოგნებული დარჩა, მაგრამ ვერ იცნო ქალღმერთი. ასე რომ, ღვთის განგებით შეუღლა უკვდავს მოკვდავი, ოღონდ მან ჯერ ეს არ იცოდა. შემდეგ აფროდიტემ „მიამბინა მისი რჩეული“. თავად კი ისევ შეიმოსა ღვთიური მშვენიერებით და გაქრა. ამ შეუღლებით ტროას მომავალი მეფე ენეასი მოეკვლინა სამყაროს, ნახევრად ღმერთი (ბერძნული მითოსის სამყარო, გვ. 28–29). საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე შუამდინარულ მითოლოგიაში. იშთარს ბევრ მოკვდავთან აქვს სატრფიალო კავშირი, მაგრამ შეიღს არ აჩენს. იგივე შეიძლება ითქვას დალზეც. მასაც აქვს მონადირეებთან ინტიმური ურთიერთობა, ზოგჯერ ხანგრძლივიც (ბექა გულბანი), მაგრამ შეიღს არ აჩენს. როგორც ითქვა, გამონაკლისია „ამირანიანის“ ვარიანტები. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ, დღემდე ცნობილი მასალების მიხედვით, დალის შეუღლება მოკვდავთან არ დასტურდება. ამ ფონზე ამოუხსნელ საიდუმლოებად რჩება წმ. გიორგის დალოცვა, უფრო ზუსტად დაბეჭდება, მონადირე ჩორლასადმი, რომ მისი და დალის შთამომავლობა მილიონი იყოსო. თუ მთლიანობაში გავაადვენებთ თვალს სვანურ ზნეჩვეულებებს და რწმენა—წარმოდგენებს დალზე, მსგავსი რამ ძნელად წარმოსადგენია. ასე რომ, განსახილველი ტექსტი ერთადერთია, სადაც დასაშვები შესაძლებლობაა დალისა და მონადირის შეუღლება. ვიძიო-რებთ, მსგავსი მასალა არც ეთნოგრაფიულ, არც ფოლკლორულ ძეგლებში არ მოიძებნება. ჩვენი აზრით, არცაა მოსალოდნელი. არის ერ-

თადერთი ძეგლი „დალი და ვობურ დადა“, სადაც ქალღმერთი მზეთუნახავის როლშია გამოყვანილი და უყვარდება ადამიანს, მაგრამ აქ უკვე დალის დაცემასთან გვაქვს საქმე, ამდენად, ხომ არ შეიძლება, რომ იგი გამონაკლისად მივიჩნიოთ? ან რამდენად ორგანულია ნაწარმოებისათვის, ან შემთხვევითობასთან ხომ არ გვაქვს საქმე, ან არის კი იგი ფოლკლორული ნაწარმოები? ჩვენი აზრით, მონადირე ჩორლა წმინდა მისტიკური შინაარსის ძეგლია და არა ფოლკლორული. მისი სათავეც მისტიკურიათა სიბრძნე უფროა, ვიდრე ზეპირსიტყვიერი ტრადიცია. ეს განსაკუთრებით ითქმის ა) ვარიანტზე. აქ მოთხრობილ ამბავს, როგორც ითქვა, ლოგიკური მსჯელობებითა და დასკვნებით ვერ ავხსნით, ვინაიდან საქმე არაჩვეულებრიობასთან გვაქვს – და არაჩვეულებრივი ადამიანური ყოფიერებით შეპირობებული გრძნობად აღქმებთან, განცდებსა თუ მოვლენებთან და გარდახდილ თავგადასავლებთან. ჩვენი აზრით, პირველი და უმთავრესი ნიშანი ამ ნაწარმოებისა ისაა, რომ მასში პიროვნების ინდივიდუალური განვითარების ახალი გზებია ნაპოვნი, სადაც ყოველგვარი რელიგიური ნიშნით დაპირისპირებები მთლიანად მოხსნილია, ეს კი მომავლის გზაა, ყველასათვის თანაბარი უფლებით სავალი... ამ მცირედი ექსკურსის შემდეგ ისევ რომ დავუბრუნდეთ კითხვას, ^{ჩვენ} უნდა იყოს შემთხვევითი ქრისტიანი არსებათა ასეთი მაქსიმალური სიახლოვე წარმართულ სამყაროსთან, დალთან, დალთა ლაშქართან. მართალია, დასმულ კითხვაზე ზუსტი პასუხი ძალიან ძნელია, მაგრამ ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: რამდენადაც ზემოდამოწმებულ მასალაში, კერძოდ, მონადირის მიერ აღვლენილ ლოცვაში ერთად არიან მოხსენიებული ქრისტიანი და წარმართი ღვთაებები და არსებები, ამასთანავე, წმ. გიორგის მიერ დაღს ჩაბარებული ჰყავს ჯიხვებისა და არჩეების ჯოგი, რომელთა რაოდენობა მუდამ უნდა იცოდეს, როგორც ცოცხლებისა, ისე დახოცილის, ასევე მთავარმოწამესა და დალთა ლაშქარს შორის მოციქულის დონეზე შეიძლება თანახმიერების მიღწევა და რაც მთავარია, გადარჩენილი დალი იმდენად მზრუნველი და, საიმედო ძალაა გასაჭირში ჩავარდნილი მონადირეებისათვის, რომ იგი მთელი თავისი ქმედებით არაფრით ან თითქმის არაფრით განსხვავდება მოკვდავისაგან. ამიტომ ჩორლასათვის, როგორც ინიციატიაგავლილი ბრძენკაცისათვის, რასაკვირველია, იმაზე მეტი

რამ არის დასაშვები და შესაძლებელიც, ვიდრე ჩვეულებრივი, დაკანონებული წესებისა და რწმენა – წარმოდგენების მიმდევარი ადამიანისათვის. ამნაირად უნდა განესაჯოთ შეუღლების შესაძლებლობაც. ამდენად, წინამდებარე ტექსტში ალოგიკური ან შემთხვევითი არაფერია. საბოლოოდ კი ისევ რელიგიურ სინკრეტიზმთან მივდივართ.

საანალიზოდ წარმოდგენილი ძეგლის შემდგომი ტაქები დედანში ასე იკითხება:

„ვოდ ჯიბინახ ლიზ-ლიჩედი,
ქორაშ ფიდიდუვდ მეჩდელხიმდ“.

თარგმნილია: „გასდგომიხართ გზას,
სახლის ახლოს მისულხართ“.

უნდა იყოს: „სანამ დაგიწყიათ – სვლა წასვლა,
სახლის ახლოს მოსულხართ“.

(შანიძე, 1939:294:255).

რასაკვირველია, მკითხველისათვის ტრადიციული თარგმანი უკეთესია, არაფერია გაუგებარი, პირიქით, სრული გარკვეულობა, ვიდრე ჩვენეულ თარგმანში, სადაც დაუჯერებელი რამ არის ნათქვამი, ასეთივეა სიტუაციაც. მოქმედება მთის მწვერვალზეა გადატანილი. ჩორლა წმ. გიორგისთანაა და, სანამ გზას გაუდგებოდნენ, რასაკვირველია, ჩვეულებრივი განსჯითა და ლოგიკით შეუძლებელია, რომ სახლის ახლოს აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ მთარგმნელებსაც უნდა გავუგოთ. სიცხადისათვის ტექსტი ჩასწორებულია და გამართულადაც იკითხება. მართალია, მიზანი კეთილშობილურია, მაგრამ იგი მთლიანად ცვლის ძეგლის დედაარსს, მიზანდასახულებას, დედნისეული მეტყველების სტილის თავისებურებებს, სიმბოლიკას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამგვარი ჩასწორებებით ველარ ვისაუბრებთ გმირის ინიციაციასზე, ღრმა რელიგიურ იდუმალებებსა და სიმბოლოებსზე, რითაც აღსავსეა საანალიზოდ წარმოდგენილი ძეგლი. ამიტომ წმინდა რელიგიური შინაარსის ტექსტების ჩასწორება (რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ძალზე იშვიათად აქვს ადგილი) დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. ჩვენეული თარგმანის მიხედვით, მომდევნო სტროფებისა და ტაქების შინაარსი უფრო გასაგებია, თვით სიტუაციაც, რომ გაბრძენებული ჩორლა მთავარმოწამესთან ერთად უმაღლესსა და უწმინდეს წერტილზეა, მწვერვალზე, აქ მისი სულის სრუ-

ლი ზეობაა, უკვე მარადიულობაშია გადასული. იგი ყველგან მყოფი-
ცაა და ყოვლისმხილველიც. მას ყველაფერი თავისთავში აქვს გან-
ცდილიც და გარდაქმნილიც. ის ახალი ადამიანია. მთავარმოწამე
ეუბნება ჩორლას, რომ მას უკვე აღარ სცალია, ვინაიდან: „ჩვაბეში
ქვეყანაში“ თარგმნილია: „ქვედა ქვეყანაში“. ალბათ, სხვაგვარი თარ-
გმნა გაჭირდებოდა, მაგრამ აქ პირველი სიტყვა „ჩვაბეში“ ქვედას არ
ნიშნავს, ზევიდან ქვემოთ—ის გაგებით. „ჩვაბ“ — „ლექვა“ — დასავლე-
თია, „უაბ“ — „ლეჟა“ — აღმოსავლეთი, „ჟიბოვ“ — ზევით, „ჩუბოვ—ქვე-
ვით. ამგვარი სიზუსტის დაცვა აუცილებელია, ვინაიდან განსახილ-
ველ ძეგლში მოქმედება პორიზონტალურ სიბრტყეზეა გაშლილი და
არა ვერტიკალურზე. „ჩუაბი“ რომ ქვედა ქვეყანა იყოს, მაშინ სულ
სხვა გააზრებები იქნებოდა საჭირო. ქვედა მანც ქვედა სამყაროს გუ-
ლისხმობს. იგი ღმერთებისათვის მართლაც ასეა, ვინაიდან ისინი,
მთელი რიგი ფოლკლორული ძეგლების მიხედვით, ციდან დედამიწა-
ზე დაეშვებიან და ადამიანთა სასიკეთოდ იღვწიან. სხვათა შორის, ამ
ერთ სიტყვას ღრმა დატვირთვა აქვს. ვიცით, რომ წმ. გიორგის უშუა-
ლო საზრუნავე და სამოღვაწეო საუფლო ადამიანთა საცხოვრისია.
იგი ადამიანთა დამხმარე და მფარველი ძალაა. ზეციურმა ძალებმა,
მისივე თხოვნით, ასეთი მისია დააკისრეს, ამიტომ ხალხურში კარგა-
დაა იგი გააზრებული, მთავარმოწამე სივრცობრივად პორიზონტა-
ლურ სიბრტყეზე მოქმედებს და არა ციდან. ცისიერებს კი იგი მად-
ლსა და ძალას გამოსთხოვს ადამიანთა სასიკეთოდ. ამიტომ აქვს გან-
საკუთრებული მნიშვნელობა „ჩვაბ“ სიტყვის სწორად გაგებას სიტ-
ყვათწარმოებაში. იქო თეთრი ყვავილი მობრძანებულა და ერთ ქალს,
რომელსაც ჩორლასავით ბევრი სანთელ—საკმეველი უკმეგია მთავარ-
მოწამის სადიდებლად, ერთადერთი ვაჟი ჰყავს და ქაჯები უკვე წასუ-
ლები არიან სულის ამოსართმევად და თავიანთ უფალთან წასაყვანად.

„ღლეს მტრული მომადგა კარს,

ცრემლებს ყრიდა ცხელ—ცხელად:

უფალო წმ. გიორგი, ქვევიდან მოვდივარ:

ქაჯები ბიჭს სულს ართმევენ!

მტრული იმწამსვე მე უკან დამიბრუნებია:

„ქალს უთხარი ჩემგან იმედი:

შენს ვაჟს გაგიცოცხლებ!“

ქაჯებს რკინის მათრახს დაკვრავ,
ახლა, ჩორლა, იქ ვიჩქარი“.

(შანიძე, 1939:295).

საინტერესოა, რომ წმ. გიორგის, ადამიანის გასაჭირს ცისი-ერთა მაცნე, მტრედი, აუწყებს. უკვე დიალოგები და სიტუაციები წმინდა ქრისტიანულია. გაბრძენებული ჩორლა ადამიანთა საცხოვრისს უნდა დაუბრუნდეს. წმ. გიორგი მას არჩევანის წინაშე აყენებს:

„შენ რა გინდა, ჩემო ჩორლა;
კვირაში წვრილი არჩვი
უხვად და უნანებლად,
თუ დღეში ჯიხვის თავი?
უფალო ჩემო, ნუ გამიწყრები,
დღეში – ჯიხვის თავი.
აქ ესენი ერთმანეთს შორდებიან:
წმ. გიორგი ქვემოთ, ქვემო ხევში,
ჩორლა – თავის სახლში“.

(შანიძე, 1935:297).

ამ ეპიზოდზე გვქონდა საუბარი, რომ წმ. გიორგიმ ჩორლას ყოველგვარი სიკეთე დააბედა, მათ შორის დღეში ერთი ჯიხვი, არჩვი კი უარუთქმელად. ა) ვარიანტით კი, მონადირემ უნდა აირჩიოს დღეში ჯიხვი ან „კვირაში წვრილი არჩვი უხვად და უნანებლად“. მონადირე ამგვარი არჩევანის დროს სხვა ძეგლებშიც, როგორც წესი, ჯიხვს ამჯობინებს. ალბათ, იმის გამო, რომ ჯიხვი ყველაზე მაღალი არეალის, კლდოვან-ყინულოვანის, ბინადარია, წმიდა ღვთიური ცხოველი. ამის შემდეგ მთავარმოწამე და ჩორლა ერთმანეთს დაშორდნენ. წმ. გიორგი ქვედა ქვეყნისაკენ წავიდა, ხოლო ჩორლა სახლისაკენ. ნაწარმოების დასასრული ძალზე ბუნდოვანია, მოულოდნელიც, ყოველნაირი სიკეთითა და ღვთიური მადლით მოსილი მონადირე ჩორლა გადარჩენილ დალთან ერთად მოდის შინ, მაგრამ იქ ძალზე უცნაური რამ ხვდება სახლთან მოსულს:

„აქ ჩორლას ქალი დაუხვდა,
ქალი დაუხვდა ძლიერ მეძავი,
წინ შეხვდა კლდის დალს,
კლდის დალს სული ამოხდომია.

„შე მეძავსო ჩემო ცოლო,
(რად) არ გერჩია ცოცხლად ყოფნა!“

(შანიძე, 1939:297).

როგორც ვხედავთ, დასასრული ძნელი გასააზრებელია. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, ოღონდ გავიხსენებთ, რომ ერთ-ერთი დალი, ჩორლას თხოვნით, წმ. გიორგიმ გადაარჩინა:

„ჩორლა ჩემო, არ დაეაზრჩობთ,
სადაც მოკვდეს, იქ მოკვდეს,
თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს“.

(შანიძე, 1939:235).

განმეორებული ეპიზოდებიდან ირკვევა, რომ მონადირე ჩორლას წინასწარვე ჰქონდა დაბეჭდული მთავარმოწამისაგან დალთან სიკვდილი, ასევე შთამომავლობის სიმრავლეც. ამდენად, მოულოდნელი ჩანს გადარჩენილი დალის აღსასრული. ასევე საკითხავია, რატომ მხოლოდ ნაწილობრივ აღსრულდა მთავარმოწამის დანაბეჭდი მონადირე ჩორლაზე: „სადაც მოკვდეს, იქ მოკვდეს“... ისიც საინტერესოა, მეძავი ქალის, ანუ ჩორლას ცოლის, დანახვაზე რატომ გარდაიქვალა დალი, შემდეგ კი — ჩორლაც? მართალია, იმავე ტექსტიდან ვიცით, რომ დალებს ყველაზე მეტად მეძავი ქალის ფხის დანადგამზე ფეხის დამდგმელი მამაკაცის ხილვაც კი აფრთხობთ. ეს კი მათ ღიღ სიწმინდეზე მიგვანიშნებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ასეთივე არის ერთ-ერთი დალი მათი რიგებიდან, რომელიც დალების კრებულიდან სწორედ მეძაობის გამოა გამოგდებული. მას ჩორლას საყვარლობას სწამებენ. ნაწარმოების დასასრულს კი გადარჩენილი დალი ჩვეულებრივ ადამიანს, ჩორლას ცოლს, ხვდება, მეძავს. თვითონაც კვდება და ჩორლაც. საკითხავია, რა არის მიზეზი? მოკვდავის მეძაობაა? ასეთი ხომ დალთა ლაშქარიც არის? ამასთანავე, ძალზე დამაფიქრებელია, რომ მთავარმოწამის დანაბეჭდი ჩორლაზე მთლიანად აღარ შესრულდა. თანაც ჩორლა სულიერი ზეადსვლის ბოლო წერტილზე დგას. ამგვარად განახლებული და გარდაქმნილი ისევე ადამიანთა საცხოვრისს უნდა დაუბრუნდეს და, რასაკვირველია, ადამიანთა სასიკეთოდ უნდა იღვაწოს. ალბათ, სხვანაირად ვერ გავიაზრებთ წმ. გიორგის დანაბედს, რომელმაც მონადირე ჩორლას ყველაფერი აუსრულა, დალოცა კიდევაც, რომ მისი და დალის შთამომავლობა მილი-

ონი იყოს. ე.ი. ადამიანთა საცხოვრისში ახალი და მაღალი არსობრიობა უნდა დამკვიდრდეს ჩორლასა და დალის ჩამომავლობის სახით, აღმატებული ინდივიდები. ზემოთ განხილული მასალებიდან, ჩვენ ვიცით, რომ დალის უშუალო ზედამხედველობაში მყოფი მონადირე ბიბუ გარეთ მყოფის ყველა რჩევა-დარიგებების აღმსრულებელია, ამასთანავე, იგი საიდუმლოების ბოლომდე დამცველიც არის, ბრძენკაცია, ამის გამოა, რომ მისი შთამომავლებიც ბედნიერი მონადირეები იყვნენ. როგორც ვხედავთ, გმირის აღზევებას ყოველთვის დაცემა როდი მოსდევს, პირიქით კი არის, მაღლი მემკვიდრეობითაც გადადის. მით უმეტეს ეს ითქმის მონადირე ჩორლაზე, რომელიც სიწმინდეების ბოლომდე დამცველია, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე წმ. გიორგის მადიდებელი, მისი რაინდი ადამიანთა საცხოვრისში, ამიტომაცაა, რომ მთავარმოწამე ყოველგვარ საწადელს უსრულებს. ერთი სიტყვით, შექმნილია ყოველნაირი წინაპირობა, რომ ჩორლას ბედნიერი ცხოვრება და აღსასრული ჰქონდეს. ეს იქნებოდა სრულიად კანონზომიერი და ლოგიკურიც, მაგრამ ხდება პირიქით. პრობლემა რთულია და იგი მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. ჩვენთვის საინტერესოა ჩორლას სიტყვები საკუთარი ცოლისადმი, რომლის ხილვის გამოც დალი მოკვდა: „შე მეძავო, ცოლო ჩემო, (რად) არ გერჩია ცოცხლად ყოფნა“. ე.ი. ჩორლამ იცის თავისი ცოლის მეძაობა, ისიც, რომ უნდა მოკვდეს. სხვანაირად ვერ გავიგებთ ბოლო ფრაზას. მონადირე ჩორლას სიტყვებში ღრმა საიდუმლოებაა ჩადებული. ეჭვი არაა, რომ ჩორლას ცოლზე, მეძაობის გარდა, სხვა დიდი ცოდვებიც ღვეს, რაზედაც ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი. ისევ გავიმეორებთ, მეძავი დალთა ლაშქარშიც არის, მაგრამ არავინ კვდება, მხოლოდ გარეთაა გამოვლენილი. რატომ მაინცადამაინც მოკვდავი მეძავის ხილვით იხოცება ყველა: დალი, ჩორლა და ჩორლას ცოლი. პასუხი ნაწარმოებებიდან არ ჩანს, ბუნდოვანებით არის მოსილი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ თვით მონადირე ჩორლას სიტყვებში რაღაც გაუხსნელი საიდუმლოებაა... ნაწარმოები იმით მთავრდება, რომ „ჩორლას აქ სული ამოხდომა“. გადაჭრით რაიმეს თქმა გაჭირდებოდა. შედეგი ყველა შემთხვევაში ძალზე დამაფიქრებელია, მოულოდნელიც. მით უფრო, რომ ჩორლა გაბრძენებულია, ღვთიურ იდუმალბეჭებთან თანაზიარია, ამდენად, გაცილებით ძლიერი, ვიდრე ოდესმე, მიუხედავად ამისა, დასას-

რული მანც ტრაგიკულია. ბ) ვარიანტის მიხედვით, პირიქითაა, ჩორლა ფიზიკური არსებობის ნაწილშიც უბედნიერესია და გარდაცვალების შემდეგაც, თუკი ამას ოდესმე მოისურვებს, ღმერთთან მყოფი იქნება. კეთილი დასასრულია სხვა ვარიანტებშიც... ჩვენი აზრით, თუ მთლიანად გადავხედავთ ჩორლას თავგადასავალს, ძეგლის მიზანდასახულებას, ა) ვარიანტი ყველაზე რთული და ძნელად გასააზრებელია, მასში გმირის ინიციაციის გზა, სულიერი ზეალსკლის საფეხურები ყველაზე სრულად და მკაფიოდ არის წარმოჩენილი. მიგვაჩნია, რომ ნაწარმოების დასასრულს რაღაცა აკლია. შეიძლება ისიც გვეფიქრა, რომ მთქმელის ინდივიდუალური ინიციატივის გამო, რასაც ხშირად აქვს ადგილი ზეპირსიტყვიერებაში დასასრული გაბუნდოვანებულია ან რაღაც დაიკარგა...

15. ქალა

ზემოთ განხილული ლექს-სიმღერებიდან ქალა გამორჩეულად ორიგინალური ძეგლია. იგი კიდევ უფრო აფართოებს და ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს დალისა და მონადირის ურთიერთობის რთულ თეორიულ საკითხებზე. სანადიროდ წასულმა ქალამ, შენიშნავს მთქმელი, ერთ გასროლაზეო, ხუთი ჯიხვი მოკლა. განრისხებულმა დალებმა მონადირეს მარჯვენა ბარძაყი მოსტეხეს, მარცხენა ფეხი გადაუცდინეს და ოქროს საკიღზე გადაკიდეს ბანდულის წვერით. ამ ვარიანტის მიხედვით, მონადირე ყურმას გზავნის დელამისთან, წინ შეხვდება წმ. გიორგი, უკან დააბრუნა და თქვა:

„ჩემ ქალას რა გადმოაგდებდა,

თუ დალები არ უღალატებდნენ“. (შანიძე, 1939:82,

305).

ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მონადირე ჩორლას ზემოთ განხილულ ორ ვარიანტში და წინამდებარე ძეგლშიც რაღაც ღრმა კავშირი იგრძნობა მთავარმოწამესა და დალებს შორის. ამაზე გვქონდა საუბარი, რომ დალები წმ. გიორგის მწყემსებია. მისგან ჰყავთ ჩაბარებული ნადირი. რასაკვირველია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი არ არიან უბრალო მწყემსები, რომ მონურად მორჩილებდნენ მთავარმოწამეს. ტაბუს

დარღვევისათვის მონადირე უნდა დაისაჯოს, პატიება აღარ შეიძლება, მაგრამ, თუ წმინდანი მაინც მფარველობს, ეს იმიტომ, რომ რჩეული მონადირე მისი ყმაა, ყველაზე მახლობელი ადამიანთა საცხოვრისში. ცხადია, ეს იციან დალებმა და ამიტომ კრძალვით მიმართავენ მთავარმოწამეს ურჩ მონადირეზე:

„რა უნდა გვექნა, უფალო გიორგი,
ყოველ ახალ კვირის თავზე
თოფის კვამლში გაგვხვევდა ხოლმე“.
(შანიძე, 1939:305).

ე.ი. ქალას ბევრჯერ გამოუჩენია თვითნებობა, რაც, იგულისხმება, რომ დალებსაც უპატიებიათ. აქ დალები ერთგვარ ანგარიშსაც აბარებენ თავიანთ უფალს. აუწყებენ, რომ ქალას სხვაგვარად ვერ მოექცეოდნენ, რომ მათი ქმედება იძულებითია. რა უნდა გვექნაო, ქალა ყოველ კვირის თავზე თოფის კვამლში გაგვხვევდაო. თუ ყურადღებით ჩავაკვირდებით განსახილველ ძეგლს, განსაკუთრებით კი დამოწმებულ ციტატებს, შევნიშნავთ, რომ რაღაც ღრმა კავშირურთიერთობაა დამყარებული დალთა სამყაროს, წმ. გიორგისა და ქალას შორის, იმდენად, რომ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ მის არსში წვდომას. წარმართ და ქრისტიან არსებათა შორის რაღაცნაირი გარდამტეხი მნიშვნელობის რწმენა—წარმოდგენები იკვეთება, ამაღლებულისკენ მიმავალი. განხილული ვარიანტებისაგან განსხვავებით, საანალიზო ნაწარმოებში მნიშვნელოვანი თავისებურებები იკვეთება. ერთ-ერთი ისაა, რომ კლდეზე გადმოკიდებულ ქალას მთავარმოწამე ათავისუფლებს და არა დალები,

„მიდის, მიდის, წმ. გიორგი მიდის,
სადაც ქალა უკულმა ჰკიღია,
უკულმა ჰკიღია ოქროს საკიდზე.
წმ. გიორგიმ სახოცი მოუსვა,
ქალა უფრო მშვენიერი გახდა (გამოიბრუნა)“.
(შანიძე, 1939:305).

რასაკვირველია ძეგლის მეტყველება ახსნა—განმარტებებისაგან შორს დგას, მაგრამ, რამდენადაც დალები კლდოვან—ყინულოვანი არეალის ბინადარნი არიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალა კლდეზეა ოქროს საკიდით გადმოკიდებული. საკიდელი ახალი ელემენტია და-

ლის ციკლის მასალებში, ყოველ შემთხვევაში, ოქროს საკიდი განხილულ ვარიანტებში პირველად გვხვდება. ჩვენ ვიცით, რომ საკიდელი ქაჯავეთის განძია, რომელიც გაურკვეველ განფენილობაშია, მაგრამ არ გვაქვს იმის მინიშნება, რომ საკიდელი ოქროსი იყოს. იგი „განასახიერებს სახლის სიწმინდეს და შუაგულს კერძასთან ერთად, მისი ჩამოხსნა და წამოღება მტრის სახლიდან გამარჯვების ნიშანი უნდა იყოს... „მაგრამ ის მაინც ციური წარმომავლობის არის“... ამასთანავე, საკიდელი ჯაჭვის ერთ-ერთ სახეობადაა მიჩნეული, „რაც ანდრეზში ჯაჭვს ეხება, საკიდელსაც უნდა შეეხებოდეს“, კერძოდ ლაპარაკია „ჯაჭვის და შიბის“, თუმცა ის ოქროსია, ზეციურ წარმოშობაზე, რასაც ვადასტურებთ კარატისწვერის ანდრეზებში“... „ასევე და პირველ რიგში ზეციური წარმოშობის არის ის ოქროს შიბი, რომლითაც ლაშარის წმინდა გიორგი ცას იყო გამობმული“.

(კიკნაძე, 1985:124).

„ბრძანებდა ლაშარის ჯვარი, ცას ვლბივარ ოქროს შიბითა, ხმელ გორში ბერი მუნა მიდგ, ზედ ვლბივარ ოქროს შიბითა“
(ქართული... 372:279).

ე.ი. ანდრეზებში რაც ჯაჭვს ეხება, საკიდელსაც უნდა შეეხებოდეს, ხოლო ჯაჭვი და ოქროს შიბი ზეციური წარმოშობისაა. იგივე შეიძლება ითქვას განსახილველ ნაწარმოებში ოქროს საკიდზე, რომელზედაც ქალა ახლად გაკეთებული ბანდულის წვერით არის დაკიდებული. ასე რომ, კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ უფრო გაბედულად შეიძლება ვისაუბროთ ოქროს საკიდის წმინდა ზეციურ წარმომავლობაზე. იგი არაა ჩვეულებრივი საკიდელი, თანაც მოქმედება მთაზეა გადატანილი, წმინდა ღვთიურ საუფლოში.

რასაკვირველია, ნაწარმოებში აშკარადაა წარმოჩენილი მთავარმოწამის ღვთიური ძალმოსილება. საინტერესო ისაა, რომ, სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით, წმ. გიორგის ყოველგვარი მუქარისა და მოციქულის გარეშე დამოუკიდებლად მოქმედებს. დაღები გვიან გებულობენ ქალას განთავისუფლებას. ტექსტიდან ვიცით, რომ „ქალა უფრო მშვენიერი გახდა, გამოიბრუნა“... კონკრეტულ შემთხვევაში, გარდა ქრისტიანობის აღმატებული უფლებამოსილებიდან, განსაკუთრებული დაკვირვების საგანია. წმ. გიორგის დამოკიდებულება

მონადირე ქალასთან, განთავისუფლების შემდეგ ასეთი რამ ხდება:
„წინ წმ. გიორგი, უკან ქალა,

დარბოდნენ ჭიუხის წვერზე
წააწყდნენ ოქროს კარავს“.

(შანიძე, 1939:305).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი მახლობელი, მართლაც გაშინაურებული ურთიერთობა ღვთიურ არსებასა და მოკვდავს შორის ბერძნული მითოსური სამყაროს შემდეგ იშვიათია საერთოდ და განსაკუთრებით კი ქრისტიანულ მითოლოგიაში. დამოწმებულ სტრიქონებში არსებითად ის აზრია გატარებული, რომ წმ. გიორგი და მისი რჩეული რაინდი, მონადირე ქალა, ერთად მხიარულობენ, დანავარდობენ ფიზიკური სამყაროს ყველაზე წმინდა წერტილებზე, მთის წვერზე, სწორედ აქ წააწყდნენ ოქროს კარავს:

წმ. გიორგის აქვს ოქროს კომბალი,
დაურახუნა ოქროს კარავს,
გამოიხედა სამმა დაღმა,
– საბრალო დაღებო, რა ჩაგიდენიათ?
ჩემი ქალა რად გადმოაგდეთ?
სამყოფ–სადგომს დაგიღვეთ,
თქვენს ჭიუხს ტრამალად ვაქცევთ“.

(შანიძე, 1935:305).

დამოწმებული ტექსტი ძალზე საინტერესოა. ჩვენ ვიცით, რომ დალი შიშველი კლდის, ან ყინულოვანი არეალის ბინადარია, შემდეგ კი გამოქვაბულის, იშვიათად ალპურის, გამონაკლისი მხოლოდ ეს ნაწარმოებია, რომლის მიხედვითაც დაღები ოქროს კარავში ცხოვრობენ. საინტერესოა, რომ კარავი მწვერვალზეა დაშენებული და არა კლდის ან მთის რომელიმე სხვა მონაკვეთზე – უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალა უფრო ქვემოთაა ოქროს საკიდით კლდეზე გადმოკიდებული. ასევე პირველი შემთხვევაა, რომ წმ. გიორგის ოქროს კომბალი უჭირავს ხელში. როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებში ოქროს სიმბოლური დანიშნულება მრავალნაირია. ოქროს საკიდი, ოქროს კარავი, ოქროს კომბალი... საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, დამოწმებული ეპიზოდის მიხედვით, მთავარმოწამის დამოკიდებულება დაღებისადმი მნიშვნელოვნად თავისებურია, კერძოდ, თუ ა) ვარი-

ანტიის მიხედვით, წმ. გიორგი მოღალატე დალის მეშვეობით იგებს დალთა ლაშქრის საიდუმლოს, თუ რა აფრთხობს მათ და ამიტომ მუქარით მიმართავს, ხოლო ბ) ვარიანტის მიხედვით, მოციქულის გზით ცდილობს მონადირე ჩორლას განთავისუფლებას და შემდგომში შურსაც იძიებს. აქ, პირიქით, პირდაპირ მიმართავს დალებს, რომ სამყოფ-სადგომს დაგილევთო, ქალაც თვითონ გაათავისუფლა დალთა უკითხავად. აქედან შეიძლება დავასკვნათ: ქრისტიანობა უკვე სრულ გაბატონებულსა და აღზევებულ მდგომარეობაშია. დალებმა კი ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე მუდარით სთხოვეს:

„შენს მადლს, უფალო გიორგი,

სამყოფ-სადგომს ნუ დაგვილევ!“

„სამყოფ-სადგომს თუ არ დაგვილევ,

შენს ქალას საჩუქარს მივცემთ“.

(ყოველ სექტემბრის დამდეგს მსხვილ ჯიხვებს,

წვრილი არჩვი უთვალავად ჰქონდეს

მისი გვარის ყველა მონადირეს“. 82, 305

(შანიძე, 1939:305).

განხილული ვარიანტებისაგან განსხვავებით, აქ დასასრული მნიშვნელოვნად ორიგინალურია, კერძოდ, მონადირისა და მისი გვარის ყველა ჩამომავლობაზე სვე-ბედის დამნათლებელი დალები არიან და არა წმ. გიორგი. ამასთანავე, თუ ღრმად დავაკვირდებით დამოწმებულ ეპიზოდს, იმასაც შევამჩნევთ, რომ მთავარმოწამესა და დალებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაზრდილი და გაღრმავებულია, იმდენად, რომ მათ შორის ფუნქციები გადანაწილებული არის. მართალია, ტექსტის მიხედვით, დალებს მოკრძალებული პოზიცია უკავიათ, მაგრამ უფლებამოსილებას მაინც ინარჩუნებენ. ასე, მაგალითად, ისინი მთავარმოწამეს უფალოთი მიმართავენ და თუო სამყოფ-სადგომს არ მოგვიშლი, მაშინ ქალას სექტემბრის თვეში ჯიხვებითა და არჩვებით დავასაჩუქრებთო. ისიც საინტერესოა, რომ დალთა დანაბელი ჩამომავლობით გადადის ქალას გვარის ყველა მონადირეზე. აქ იგულისხმება მთელი სამმო ფართო გაგებით და არა მხოლოდ ოჯახი. ეს კი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი მნიშვნელოვანი სიახლეა დალისა და მონადირის ურთიერთობის ისტორიისათვის. მისი გაგება სვანთა ყოფიერების თავისებურებათა გათვალისწინებითაა

შესაძლებელი, კერძოდ, ვიცით, რომ სვანეთში დიდი ოჯახის გადმონაშთები გასული საუკუნის ორმოციან წლებამდე იყო შემორჩენილი, არაფერს ვამბობთ მეცხრამეტე და იქითა საუკუნეებზე, როცა თითოეულ ოჯახში ორმოცდაათამდე სული ცხოვრობდა, ზოგჯერ მეტიც. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლექტიურ ნადირობას და განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნების ჩამომავლობაზე მაღლის გადმოსვლას ნადირობაში, რაც, თავის მხრივ, დალთა ფუნქციების ფართო და მრავლისმომცველ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. სიცხადისათვის ვაკონკრეტებთ: სამეცნიერო ლიტერატურაში ასეა ცნობილი. მონადირეს დალი სვებედს აძლევს ნადირობაში, პიროვნულად. მასალებზე დაკვირვებამ გამოააშკარავა, რომ დალის დანაბედი ჩამომავლობა რეკრუცელდება, ოჯახის ყველა მონადირეზე. აქ იგულისხმება მთელი გვარი, საძმო ფართო გაგებით, შეიძლება ითქვას საზოგადოებაც. დამოწმებულ ეპიზოდში ასე ფართო მასშტაბებისა არის დალთა ფუნქციები და არა რომელიმე დალის, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიჩნეული. ალბათ, უმჯობესი იქნება ისევ ტექსტის დამოწმება. ყურადღება მივაქციოთ დალებს მიმართვას წმ. გიორგისადმი: „შენს ქალას საჩუქარს მივეცემთ“. ზმნა მრავლობითშია. ე.ი. მაღლის მიმნიჭებელი დალები არიან. ეს მაშინ, როცა ქრისტიანული წმიდანი ყოველნაირად მეუფეობს დალებზე, გავიხსენოთ მისი მუქარა: „სამყოფსადგომს ტრამალად გადაგიცევთ“. ამასთანავე, მთავარმოწამე ქალას უშუალო მფარველი, მზრუნველი და გადამრჩენელია. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ თავადვე დაესაჩუქრებინა და დაელოცა მონადირე, როგორც ეს სხვა ვარიანტებში გვაქვს, მაგრამ ხდება პირქით და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქ იმაზე მეტია სავარაუდო, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანს, კერძოდ, ქრისტიან და წარმართ არსებათა შორის ღრმა კავშირია დასანახვი, რომელმაც შეიძლება უნივერსალურ, ყველასათვის მისაღებ რელიგიამდე მიგვიყვანოს. ამ საკითხზე გვქონდა საუბარი ნაწილობრივ, როცა მთავარმოწამე ერთ-ერთი დალისაგან, რომელიც დალთა ლაშქარიდან არის გამოგდებული, გებულობს დალთა საიდუმლოს, თუ რა აფრთხობთ მათ. ე.ი. თვით დალთა ლაშქარში ჩანასახის სახით ჩადებულია ღრმა საიდუმლოება, რომლის ფრაგმენტული გამოვლინება კონკრეტულ დალშია გამჟღავნებული. სწორედ დალთა ლაშქა-

რი თავის საუფლოდან გზავნის ჯიხვებსა და არჩევებს ადამიანთა საცხოვრისისათვის განკუთვნილ ცხრა მთის არეალებში, სადაც ცალკეული დალი, ზოგჯერ კი დალთა ჯგუფი, გამგებლობს, მაგრამ სვებედის გამრიგე დალთა ლაშქარია, რომელსაც დალთ დედოფალი მეუფეობს. რასაკვირველია, ჯგუფ-ჯგუფად მცხოვრები დალებიც მას ემორჩილებიან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ წინამდებარე ვარიანტი ყველაზე მეტ საფუძველს იძლევა ქრისტიან და წარმართ არსებათა თანაარსებობის შესაძლებლობისა, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მთავარმოწამეს დალებიანთათვის არანაირი წარღვნა არ მოუვლენია, პირიქით, აპატია მონადირე ქალას კლდეზე გადმოკიდება. აქ ისევ რელიგიური სინკრეტიზმია ამოსაცნობი, ვინაიდან ქრისტიან და წარმართ არსებათა შორის ურთიერთობა გრძელდება...

რელიგიური სინკრეტიზმის კვალი ფშავ-ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაშიც შეიძლება დავინახოთ, კერძოდ, „ხახმატის წმ. გიორგის ქაჯეთიდან სამი ქალი მოუყვანია. აშე, სიმენ და სამძიმარი. სხვა ვარიანტების მიხედვით: „გიორგის ოთხი დობილი ჰყავდაო: სამძიმარი (უფროსი), მზე ქალი, აშე ქალი და სიმენ ქალი (ყველაზე უმცროსი). აქედან სამძიმარი, როგორც ქალღვთაება, ყველაზე პოპულარულია, მასზე დიდძალი გადმოცემები და ლექსებია გაერცელებული. სამძიმარს აქვს მაქციობის უნარი – ამასთანავე, ინტიმურ ურთიერთობაშია სოფლის რჩეულ ვაჟკაცებთან. იგი და სხვა ქაჯი ქალები სამზეოზე წმ. გიორგიმ ამოიყვანა, რომელიც ხშირად ლაშქარავდა ქაჯავეთს:

„ქაჯავეთს რას იარები,
გიორგი მგლისა ფერაო?“

(ქართული, 1972:276)

აქვეა აღწერილი, თუ როგორ ანადგურებს მთავარმოწამე სამჭედლოს, ქაჯთა ცენტრს:

„მათრახის წვერი მაუკარ,
ცხენი შავადი ზენაო!“

– გიორგივ, ნუ გაიქცევი,
სამძივარ მოგდევს კელაო.

– გიორგი არ გაიტყვევა,
ტანს კაბა აქვის ჭრელაო“.

მეორე ლექსში „ხანმატის გიორგი“ აღწერილია ისევ ქაჯა-
ვეთში ლაშქრობა და იქ სამი ქაჯი ქალის დაჭერა:

„ქალაქ ვერ ჩადის გიორგი,
ფინთი ამოდის ალიო,
გატეხეს ქაჯთა ქალაქი,
დაასხეს ნავთის წყალიო.
იქ დაიჭირა გიორგიმ
სამი ქაჯების ქალიო,
დანათლნა თავის რჯულზედა,
გვერდით დაისხნა დანო“.

ტექსტი დაბეჭდილია ქართული ხალხური პოეზიის პირ-
ველ ტომში, მითოლოგიური ლექსები. შემდგენლები ჩიქოვანი მ.
ნ. შანიძე 1972. (ქართული... 1972:276).

ამჯერად თავს ვიკავებთ სამძივარის სრული დახასიათებისა
თუ მასზე არსებული მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვისგა-
ნაც. მხოლოდ ის გვანტერესებს, რომ წმ. გიორგის ქაჯავეთიდან
ოთხი ქაჯის ქალი მოუყვანია, მოუქრისტიანებია და მისი დობილები
გამხდარან. აქედან სამძივარის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებუ-
ლი ხანმატის წმ. გიორგის ჯვართან. მასზე სალოცავიც არის და
იმასაც მიუთითებენ, რომ იგი „ნაყოფიერების ღვთაებას განასახიე-
რებდეს“ (თ. ორიაური, ქართ. უძველესი სარწმუნოების ისტორიი-
დან). სამძივრის პრობლემა ვრცლად არის განხილული. სამეცნიერო
ლიტერატურაში ჩვენთვის აქ სამი უმთავრესი საკითხია საინტერე-
სო: პირველია სამძივრის სიტყვები: „ქაჯავეთს ვიარებოდის“, მაგრამ
არსებული მასალების მიხედვით „არ ჩანს, რომ ქაჯის ქალი იქიდან
მოღენიდეს ნახირს, რომლის მწყემსად თქმულებაში დასახელებულია
კარატის ჯვარი კოპალა და არა სამძივარი. შეიძლება მისი ეს სიტ-
ყვები (ქაჯავეთ ვიარებოდო“) მისი ბიოგრაფიის რომელიღაც ეპი-
ზოდს გულისხმობდეს, რომელსაც მოუსწრია დავიწყება“ (კიკნაძე,
1985:146). მეორეა სამძივარის წარმომავლობა: „ერთი ტრადიციის
თანახმად, ქაჯის ქალები: სამძივარი, მზექალი და აშექალი ძალით
არიან მოტაცებულნი... შესამეა სხვა ტრადიცია, რომ ტყვეობიდან

არიან გამოხსნილნი. მაგრამ როგორ მოხვდნენ ტყვეობაში ეს ქალები, ანდრეზი ამის თაობაზე არაფერს მოგვითხრობს“ (გვ. 146–147). რამდენადაც არც ერთ მითოსურ გადმოცემაში კვალიც კი არ შეიმჩნევა სამძიმრის ქაჯავეთში ტყვედ მოხვედრაზე ხომ არაა საყარაულო და დასაშვები, რომ ტყვედმყოფობის ტრადიცია შემდგომ პერიოდში იყოს ჩამოყალიბებული, კერძოდ კი მას შემდეგ, როცა სამძიმარი წმინდა გიორგის ღობილი გახდა, ღვთისშვილის რანგში აღზევდა და მასზე სალოცავიც დაარსდა. ამ შემთხვევაში არაფერია გასაკვირი, რომ ხალხის ფანტაზიას, (ცალკეულ მთქმელთა რეპერტუარში), მისთვის სათაყვანებელ არსებას ნამდვილი ქაჯის ქალობა რომ ჩამოშორებოდა, ტყვედყოფილად დაესახა და წმ. გიორგისთან ერთად ქაჯავეთის დამლაშქრავად, იქედან ნახირის მომდენად წარმოგვიდგინა. ასევე სამძიმარის მოქრისტიანების შემდეგ მთავარმოწამის ცნობილი სასწაულის გავლენითაც უნდა იყოს შექმნილი გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს: „ის სამძიმარ ქაჯის ქალ ყოფილა, იქ გველეშაპ ყოფილ – სამძიმარ დაუსომ, მოსულ გიორგი, უთქომ, რომ გამათავისუფლებ მენავ. მამას უთხარი, რომ წაგიყვანავ, ცხრაჯერ წყალში გაიბანევ, სამივ საკლავ დაკალივ... ეს ეპიზოდი შევსებულია სხვა ჩანაწერების მიხედვით... მაშინ ჩვენს გიორგის დაურტყავს ვეშაპისათვის შუბი და გამოუყვანია სამძიმარი. მოიყვანა თავის ჯვარში, მოუნათლია სამძიმარი თავის რჯულზე. დასდვა საფარველი და ველარ ნახა სამძიმარი ხალხმა“. ზ. კიკნაძის შენიშვნით: – არ არის ძნელი ამ მონათხრობში წმ. გიორგის უმთავრესი სასწაული დაინახოთ. ეჭვი არ არის, რომ სამძიმრის ეპიზოდი ქაჯავეთის თქმულებაში წმ. გიორგის კლასიკური გმირობის ხევსურული ვარიანტია“. (კიკნაძე, 1985:148). იგი წმ. გიორგის კანონიკური „ცხოვრებიდან მოდის, წმიდა მხედარი დაიხსნის წარმართი მეფის ასულს გველეშაპისაგან... და ამ სასწაულის ძალით ქრისტეს რჯულზე მოაქცევს ქალწულს, მეფეს და მთელ ქალაქ (ლასიას).

დამოწმებული თვალსაზრისებიდან და ასევე მასალებიდან ჩვენთვის საინტერესოა კიდევ ერთი მოსაზრება: „ზღაპრებში და საგმირო ეპოსში გამოხსნილი, თუ განთავისუფლებული ქალი, მზეთუნახავი, როგორც წესი, გამომხსნელი გმირის საცოლუა. ჩვენი ანდრეზი საკრალური თქმულებაა, რადგან ის ეხება კულტის დაფუძნებას. ამი-

ტომ გამომხსნილი ქალი, თუნდაც მზეთუნახავი იყოს, (ასეთადაც არის მიჩნეული ქაჯის ქალი), ვერ იქნება საცოლვე მისი გამომხსნელი გმირისა, რადგან ეს გმირი არის ანგელოზი, ღვთის შვილი.“

(კიკნაძე, 1985:147).

ქაჯავეთისა და წარმართული ქალაქის (ლასია) ურთიერთობის საკითხის გარკვევა, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. მასზე ცალსახა პასუხი გაჭირდება. საკითხი კომპლექსურად არის შესასწავლი და განსახილველი. იგი მხოლოდ სარწმუნოებრივი ინტერესებით ვერ შემოიფარგლება. აქ ბევრი სირთულეა გასათვალისწინებელი. დასახელებული ნაშრომი ამ აზრითაც საყურადღებოა. ასე, მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ: „ქაჯავეთისა და წარმართული ქალაქის (ლასია) იგივეობა უფრო თვალსაჩინოა ქაჯავეთქისტეთის იგივეობის ფონზე, რადგან ქისტეთს და, საზოგადოდ, ჩრდილო-კავკასიის მეზობელ მაკმადიან ტომებს ქართველ მთიელთა საყმოები უპირატესად სარწმუნოებრივი ნიშნით უპირისპირდებიან, როგორც ურჯულოებს – რჯულიანები“ (კიკნაძე, 1985:148) – რასაკვირველია, კომენტარი არაა საჭირო. კონკრეტულ შემთხვევაში უმთავრესია რწმენა. ამ აზრით იგივეობა სავსებით გასაგებია. წმ. გიორგის ერთ-ერთი სასწაულის შემდეგ ქალაქი ლასია გაქრისტიანდა. ასეთივე მდგომარეობაა ქაჯავეთურ თქმულებაშიც. ღვთისშვილთა ლაშქრობის შემდეგ სამძიმარი გაქრისტიანდა და წმ. გიორგის ღობილი გახდა. როგორც ვხედავთ, ქმედება და, ალბათ, სტრუქტურაც ერთნაირია, მაგრამ პრობლემა განსხვავების თვალსაზრისითაა საინტერესო. ეს განსხვავება სულ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი ამ ორი ანდრეზისა. ასე, მაგალითად, წარმართული ქალაქი ლასია ადამიანთა საცხოვრისია, ქაჯავეთი კი ირეალურ განზომილებაში მყოფი. იგი ბოროტ ძალთა საუფლოა და, ამასთანავე, უხილავი, დიდი იღუმალის სიბრძნის მფლობელი და ხორციელთათვის შეუღწევადი, მოკვდავთაგან მხოლოდ გახუა მეგრელაურს და მინდიას ძალუბთ იქ შესვლა, ისიც ღვთისშვილთა შეწევნით. დაახლოებით ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე განხილულ ძეგლებშიც. აქაც წმ. გიორგის ძალისხმევითა და შეწევნით ჩორლა და ქალა წმინდა ღვთიური საუფლოს ბინადართა სფეროებამდე აღწევენ. სწორედ აქ ხდება მათი სრული გარდაქმნა, ფერისცვალება. გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა მთავარ-

მოწამე წარღვნას მოუვლენს დალთა ლაშქარს, ჩორლას ეტყვის: უკან მოიხედო. ჩორლას თხოვნით ერთი დალი გადაარჩინა წმ. გიორგიმ, ალბათ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩორლაც სულიერ პლანში წმ. გიორგის თანამდგომი და მისი ნების აღმსრულებელია. წმ. გიორგიმ ქაჯავეთი და დალთა სამყარო ერთგვარად გარდაქმნა. თუმცა სვანურ ტექსტებში მეტი თანახმიერება შეინიშნება წარმართულ არსებებთან. ქაჯავეთის დალაშქერაში გახუა მეგრელაურის განსაკუთრებულ წვლილზეც არაფერია თქმული. იგი მხოლოდ თანამგზავრია. ორივე შემთხვევაში გმირის სულიერი განვითარების საფეხურებია უმთავრესი. მართალია, იდენტურობასთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ რაღაც მსგავსებები შეინიშნება. ქართულ ქაჯავეთში კოსმიური მნიშვნელობის სიბრძნეა საფარველდებული. ამ საფარველის ახსნა ისევ კეთილ ძალთა ზვედრია. ასეთი კი ღეთისშვილები არიან. რომელთა წინამძღოლი, ანუ სარდალი, წმ. გიორგია. ასეთივე მისია აკისრია მთავარმოწამეს განხილულ მასალებშიც, მართალია, სამძიმარი მისი ღობილი გახდა, მასზე სალოცავიცაა, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით სვანეთში მოძიებულ მასალებსაც, კერძოდ კი იმას, რომ დალებს მთავარმოწამისაგან ჩაბარებული ჰყავთ ჯიხვები და არჩევები სამწყემსავად, ნათელი გახდება, რომ მისია ერთი და იგივეა, საპირისპირო ძალთა გარდაქმნა ან თანხმობითი ურთიერთობა, რაც სახეცვლილი ფორმებითაა გამოვლენილი. ასე რომ, მიზანი ორივე შემთხვევაში ერთია. ქაჯავეთში წმ. გიორგის ლაშქრობა უნდა აღვიქვათ სიკეთის ბრძოლად ბოროტების წინააღმდეგ. იგი უხილავ ძალთა ბრძოლაა (ამით სხვაობს იგი წარმართული ქალაქისაგან (ლასია). ეს ბრძოლა კეთილ ძალთა გამარჯვებით დამთავრდა. წმ. გიორგის სარდლობით მთლიანად მოიშალა ქაჯავეთური ცენტრი, მაგრამ ბოროტება ბოლომდე არ ისპობა. ამიტომ მიზანი მისი გარდაქმნაა. ერთ საინტერესო დეტალს დავაკვირდეთ: ქაჯავეთის მთელი საიდუმლოება, განივთებული განძის სახით, სამზეოზე იქნა ამოტანილი. ნაწილი ამგვარი ნივთებისა დაბრძანებულია ქრისტიანულ სალოცავებში. ერთ-ერთი ასეთთაგანია ქაჯავეთიდან მოტანილი ღროშა, რომელიც „ახლა ჯვარის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია და განსაკუთრებულ როლს ასრულებს საყმოს ცხოვრებაში“. ე.ი. საპირისპირო ძალთა საიდუმლოება საყმოს რელიგიურ ცხოვრებასა და ცნობიერებაში კეთილად

არის გარდაქმნილი. იგევე ითქმის ტყვე ქალებზე, რომლებიც წმ. გიორგის ღობილები გახდნენ. მათგან სამძიმარი ღვთისშვილის რანგში აღზევდა. თუ მთლიანობაში გადავხედავთ, დაახლოებით მგჯე ითქმის ჩვენ მიერ მოტანილ მასალებზეც. წმ. გიორგიმ წარღვნის მოვლინებით მთლიანად მოშალა დაღთა სამყარო, გადარჩენილ დაღებს კი მთავარმოწამისაგან ჩაბარებული ჰყავთ ჯიხვები და არჩევები სამწყემსავად. ამგვარი მასალების ფონზე კიდევ უფრო სრულად და მრავალმხრივად არის წარმოჩენილი თვით ქრისტიანული წმინდანის მისია, ბუნება და ფუნქციები სვანური მითოსური გადმოცემის მიხედვით: უზენაესმა (მამალმერთმა), მაცხოვარმა და მიქ. მთავარანგელოზმა წმ. გიორგის, მისივე თხოვნით, დააბედეს ქრისტიან ადამიანთა მფარველობა და შემწეობა: „თუ ქრისტიანი ადამიანი გულით შემეხვეწება და დახმარებას მთხოვს, მომეცით იმის ძალა, რომ შემწეობა აღმოუჩინო. რაზედაც დასთანხმდნენ. მოტანილი მასალებიდან გაირკვა, რომ წმ. გიორგი ქრისტიანული იმპულსის პრაქტიკული განმანზოციელებელია არა მარტო ადამიანთა საცხოვრისში, არამედ ქაჯავეთურსა თუ დაღთა სამყაროში. ე.ი. მისი ძლევამოსილება ძალზე ფართო და მრავალმხრივია. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქრისტიან ადამიანთა მფარველობითა და შემწეობით.

საანალიზოდ წარმოდგენილ მასალებში ძალზე საინტერესოა წმ. გიორგის და სამძიმარის მოდე მოძმედ ყოფნა და სალოცავში ერთად მოხსენიება. ასევეა სხვა ლექსებსა და თქმულებებში, რომლებიც გვაძლევენ იმის უფლებას, რომ მათში რელიგიური სინკრეტიზმის ნიშნები დავინახოთ, რაც ესოდენ აშკარად არის გამოკვეთილი განხილულ სვანურ მითოსურ გადმოცემებსა და სამონადირეო რიტუალებში, ასევე სარწმუნოებრივ ტექსტებში, სიმღერებში, „ამირანიანში“ და სხვაგან.

ახლა კი განვიხილოთ სხვა ლექს-სიმღერები იმავე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც დაბეჭდილია „ხალხურ პოეზიას I ტომში. შემდგენილია მიხეილ ჩიქოვანისა და ნოდარ შამანაძის მიერ 1972 წ. როცა ვიტყვით, ხალხურ პოეზიას, სწორედ ეს ტომი გვექნება მხედველობაში: როცა მივუთითებ, „სვანურ პოეზიას“, იგულისხმება ა. შანიძის, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანის მიერ შედგენილი და გამოცემული.

„მონადირე კაცი“. სვანურში იგი ასე იწყება: „ვო, ბედნიერ მეთხვიარ მარე“. ხალხურ პოეზიაში ასეა თარგმნილი: „ნეტავი, შენ, მონადირევ“. სვანურ პოეზიაში კი ასე: „ო, ბედნიერო მონადირე“. უნდა იყოს: „ვო, ბედნიერო მონადირე კაცი“. საერთოდ თარგმანებში ფრაზის შინაგანი მეტყველება კარგადაა ნაგრძნობი, მაგრამ რატომღაც გამოტოვებულია მიმართვის ფორმიდან „კაცი“: მაგრამ მთარგმნელების მაღალი გემოვნებით აქვთ სვანურიდან გადმოთარგმნილი თითოეული სიტყვა, გამოთქმა. ამიტომ მათი პოზიცია აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მართალია, სიტყვასიტყვით თარგმანში „ვო“, ანუ ნეტავის, შემდეგ იგულისხმება „შენ“, მაგრამ დედანში იგი არ გვხვდება. თუ მისი ჩამატება აუცილებელია, მაშინ სადავო ტაეპი ასე გაიმართება: „ნეტავი შენ, მონადირე კაცი“ და არა „ნეტავ, შენ, მონადირევ, ან შეიძლება სჯობდეს სიტყვასიტყვითი თარგმანი.

ორივე კრებულში საანალიზოდ წარმოდგენილი ნაწარმოებიდან მე- ტაეპი: „თხერილ, ჩინჩვილდს მი დო მაჰლი“, ასეა თარგმნილი: „მგელო, ჩვილი მე მომეცი“. ჩვენი აზრით, ფრაზა გასამართავია. უმჯობესია მისი სიტყვასიტყვით თარგმანა, ყოველგვარი შემოკლები-სა თუ გადასხვაფერების გარეშე: „მგელუკავ, ჩვილს რატომ მე არ მაძლევ?“ რა უპირატესობა აქვს ამგვარ თარგმანს? ჯერ ერთი, იგი ზუსტია, მეორე, დედანში „თხერილ“ – ილ სუფიქსი კნინობითობის აღმნიშვნელია და მას მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთულობა აქვს როგორც მთლიანი ტექსტის შინაარსის გასაგებად, ასევე ფრაზის შინაგანი მეტყველების თავისებურებათა წარმოსაჩენად. ამასთანავე, ამგვარი მიმართვის ფორმა გვაძლევს გასაღებს პერსონაჟის შინაგან ბუნებაზე, შეუპოვრობაზე, დიდ გამბედაობასა და სიძლიერეზე, ვინაიდან სახალხო მგოსნის სახოტბო პიროვნება სახელგანთქმული მონადირეა, უშიშარი. იგი იმიტომაც ბედნიერია, რომ ძალუძს ბნელი ხეების დალაზვა, ალპური არეალის წმინდა ადგილებში მისვლა. არაა შემთხვევითი, რომ ჩვენ ასე საგანგებო, განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩინებთ ცალკეული სიტყვებისა თუ გამოთქმების მიმართ. ზოგჯერ მათში ცნაურდება ნაწარმოების მთელი საიდუმლოება და მიზან-

დასახულება. ასე, მაგალითად, „ვო“-ს მაგიერ უნდა იყოს: უო, ვინაი-
დან სვანი გამოკვეთილად, ვ-ს არ ამბობს. ეს კარგად აქვთ შენიშნუ-
ლი გრამატიკოსებს. ამიტომ ზემოთ დამოწმებული ფრაზაც ჩვენ ასე
ვთარგმნეთ: „უო, ბედნიერო მონადირე კაცო“; ასეთი მიმართვა არაა
ჩვეულებრივი. მასში მოიაზრება ჭეშმარიტი მონადირის ყველა ნი-
შან-თვისება, ყოველგვარი დახასიათების გარეშე. იგი ისეთ სიმაღ-
ლებებსა მიღწეული, რომლის იქით სულიერი საუფლოა. მას ყველა-
ფერი აქვს დაძლეული და ყველგან მიესვლება. იგი წმინდა ადგილე-
ბის ბინადარიცაა (ცხადია ღროებითი). ამიტომ უწოდებს მას მთქმე-
ლი ბედნიერს.

ნაწარმოების მეორე ტაეპი მრავლისმეტყველია. მონადირემ
ბნელი ხევი უნდა დალაზოს, რომელიც ბოროტ ძალთა საბუდარია. აქ
მას „განგაფ თხერე“ – „გარეწარი მგელი“ შეხვდება, რომელსაც პირ-
ში ჩვილი ბავშვი უჭირავს. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟე-
ტის განვითარებაში ძალზე დიდია დიალოგების ზვედრითი წონა.
სწორედ დიალოგებშია მაღალმხატვრული ოსტატობით გამოვლენი-
ლი ჩვენთვის უცნობი მონადირის ძლიერი დამოკიდებულება გარემო-
საღმი. ამიტომ მკითხველისათვის ბუნებრივად ჟღერს მის მიერ ესო-
დენ მბრძანებლური ტონით ნათქვამი სიტყვები:

- „მგელუკავ, ჩვილს რატომ მე არ მომცემ?!
- უსიკვდილოდ არავის მივცემ!
- შენი სიკვდილი ადვილი საქმეა“.

თუ ღრმად დავაკვირდებით ამგვარი დიალოგის შინაგან არსს,
ვიგრძნობთ, რომ თქმა უეჭველ აღსრულებას გულისხმობს. ამის გა-
მოა, რომ მეტყველება უკიდურესად ლაკონური და ზუსტია. თვით
ტაეპებს შუაც ბევრი რამ მოიაზრება, რომელთა იდუმალებაში თავად
მკითხველმა უნდა გაიკაფოს გზა – დავსძენთ, რომ დედანში შეუღა-
რებლად მაღალი მხატვრული ღონეა, სადაც თითოეული სიტყვა თუ
გამოთქმა მრავლისმეტყველია. ეს სავესებით კანონზომიერიცაა, ვინაი-
დან სვანური პოეზია საერთოდ და განსაკუთრებით კი დალის ციკლის
ლექს-სიმღერები სინკრეტული ხასიათისაა. აქ განსხვავებაა ფშავ-
ხევსურული პოეზიისაგან. იგი ადრე გამოიყო სინკრეტიზმს და ჩამო-
ყალიბდა დამოუკიდებელ კლასიკურ მხატვრულ პოეზიად, სადაც აქ-
ცენტის შინაარსზე, სიტყვის მხატვრულ ოსტატობაზეა გადატანილი.

სვანურ პოეტურ ტექსტებში წამყვანი, ანუ უმთავრესი, მუსიკაა. ამიტომ საჭიროა მუსიკის, ცეკვის, სიმღერის, მოძრაობის, რეჟერენის და სხვა კომპონენტების, ამოძახილის და რწმენა-წარმოდგენების ერთ მთლიანობად გათვალისწინება, რომ შესაძლებელი გახდეს სვანური ლექს-სიმღერების იდუმალებებში წვდომა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სიცოცხლისუნარიანი გავხადოთ ჩვენს ხელთ არსებული მკვდარი საარქივო მასალა. ესაა ცალკეული გამოთქმის ძალაც.

ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტი სრულ წარმოდგენას გვიქმნის აღსაწერ სიტუაციაზე, ვგრძნობთ მონადირის შინაგან ძალთა რწმენას, რომ ბნელი ხეების დამლახავი, მიდამოს სრული ბატონ-პატრონია. სწორედ ამ აზრით არის საინტერესო მიმართვის ტონი: „მგელუკავ, ჩვილს რატომ მე არ მომცემ?!“ ტექსტში ყველაზე მეტი დატვირთულობა და სიმძაფრე ამ ტაქსს აქვს, განსაკუთრებით კი ამგვარ დამამცირებელ მიმართვაზე: „მგელუკავ“, რომლის მოკვლა მონადირისათვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, და რაც „ადვილი საქმეა“. დანარჩენი სტრიქონები დადასტურებაა ბედნიერი მონადირის არაჩვეულებრივი ძალმოსილებისა, ხოლო გამოქვეყნებულ კრებულებში ნათარგმნი: „მგელო, ჩვილი მე მომეცი“ – ჯერ ერთი, არაზუსტია და, მეორეც, იგი თხოვნასთან მომიჯნავე მიმართვის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ბრძანებისა, ამასთანავე, მას არც რაიმე შინაგანი სიმძაფრე ახლავს, რაც ესოდენ მაღალი მხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი დედანში, ვფიქრობთ, რამდენადმე ჩვენეულ თარგმანშიც...

საანალიზოდ წარმოდგენილი ნაწარმოებს, რომელიც მთლიანად დიალოგის ფორმით არის წარმართული, სიუჟეტური განვითარების საფეხურები აქვს. ბედნიერმა მონადირემ შეძლო ბნელი ხევის დალახვა, „განგაფ“, ანუ „გარეწარი“, მგლის მოკვლა, ჩვილი ბავშვის გადარჩენა, რომელიც კალთაში გაიხვია და: „ლექვე ესაგან, მინდორ ლექვა“. სვანურ პოეზიაში იგი ასეა თარგმნილი: „თავქვე გაუდგა მინდორს“, ხალხურ პოეზიაში კი: „დაუყვა თავდალმართს“. ორივე თარგმანი სადავოა, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ამ სტრიქონის ზუსტად თარგმნა შეუძლებელია. ამიტომ კომენტარით უნდა დაკმაყოფილდეთ: როგორც ზემოთაც ითქვა, სვანურად „ლექვა“ მხოლოდ დასაქლეთს ნიშნავს და არა თავქვეს ან თავდალმართს. იგი აზრობრი-

ვდაც არაა სწორი — დალი კლდეზე მოთქვამს. კლდოვან-ყინულოვანი არეალი კი აღპური ზონიდან ამოზრდილი და ამალღებული სფეროა, დაბლა კი მინდორია. თუ მონადირე მინდორს თავქვე, თავდაღმა დაუყვებოდა, რასაკვირველია, კლდესთან ვერ მივიდოდა, ვინაიდან თვით კლდის ნაშალი აღპური არეალის ყველაზე ამალღებულ ნაწილზეა განფენილი. კონკრეტულ შემთხვევაში ნავარაუდები და ნაგულისხმევია პორიზონტალურ სიბრტყეზე მოძრაობა. „ლექვა“, ანუ დასავლეთის მიმართულებით, რომ კლდის ძირს მიადგეს და არა თავდაღმა. მიგვაჩნია, რომ შინაარსის სწორად გაგებისათვის ამგვარი კომენტარი აუცილებელია.

ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ დალის შვილის გადამჩრენი მონადირე კლდესთან მივიდა და დალს დაეხმინა: „მა როქ ტყარ ბედნიერ სგეჯი?“ სვანურ პოეზიაში იგი ასეა თარგმნილი: „ტყის რომელი ბედნიერი ბრძანდები?“ ხოლო ხალხური პოეზიის პირველ ტომში: „ტყის რომელი ბედნიერი ბრძანდები?“ რასაკვირველია, დალი ტყის ბინადარი არ არის. ტექსტზე დაკვირვება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ასეთი აზრი არც მონადირის ცნობიერებაშია. ტყე დედანში არცაა ნახსენები და, რაც მთავარია, დალი კლდეზე მოთქვამს, იმასაც ამბობს, რომ იგი კლდის დალია. ამიტომ მონადირე ვერ შეეკითხებოდა, ტყის რომელი ბინადარი ბრძანდებითო. მოქმედებაც აღპურ-კლდოვან არეალშია გადატანილი. სვანური პოეზიაში თარგმანი თითქოს უახლოვდება სინამდვილეს, ვინაიდან „ტყარ“, „გარეული, ტყიური. ძალზე საინტერესო რამ იკვეთება: დალი კლდეზე მოთქვამს, ეს ესმის მონადირეს. ცხადია, დალი ბედნიერ მონადირეს აღამიანური ხმით დაელაპარაკა. რანაირად შეიძლება ეკითხა, რომელი გარეული ან ტყიური ბედნიერი ბრძანდებით? გარეულსა და ტყიურში ნადირი ან ტყის კაციც შეიძლება ვივარაუდოთ, თუმცა მასზე გარკვევით ამბობენ, ტყისკაცი. ასე რომ, დალზე არ შეიძლება ითქვას გარეული ან ტყიური. აქ სირთულეებია. როცა სვანი ამბობს: „ტყარ ხაშუ გუეში ლასუ ცხეკ“ - „გარეული ღორებით სავსე იყო ტყე“, გასაგებია „ტყარის“ მნიშვნელობა, მაგრამ, როცა მონადირეს დალის მოთქმა ესმის და მას დაეხმინება, აქ „ტყარ“-ს გარეული ან ტყიურის მნიშვნელობით ვერ გავიგებთ. უნდა ვივარაუდოთ და ამას აქვს აზრობრივი გამართლება, რომ „ტყარ-ს“ კონკრეტულ შემთხვევაში „გარეუმი“-ს

მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს „ღვიდიდანთ ბიბუს“ შემთხვევაშია, რომ მას: „გარეთ მყოფი ჰყოლია მოკეთედ“: რასაკვირველია, „გარეთ მყოფი-გარეულის ან ტყიურის მნიშვნელობით არ მოიაზრება. აქ, ალბათ, დიდი სიფრთხილეა საჭირო, როცა ვამბობთ: „შინაური“, რომელსაც „შინა“-ს მნიშვნელობა აქვს, იგულისხმება სისხლით ნათესავი; ოჯახი, საძმო. „შინაურად“ ვთვლით ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებსაც. შინაურია (საქონელიც, ცხოველები), ხოლო უცხო ადამიანებს, უცნობს „გარეშე“ ან „გარე-ს“ ვუწოდებთ, მაგრამ არაერთარ შემთხვევაში „გარეულს“, რომელშიც ცხოველი, ნადირი მოიაზრება. ცხადია, მეტყველებაში, ყოველგვარი გართულებების გარეშე, ყველაფერი თავის ადგილზეა დასმული, მაგრამ მაინც, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სასურველი იქნება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება: ი. სურგულაძის ნაშრომში „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ განხილულია: „ვერტიკალურ ღერძზე განლაგებულ სექტორთა შესახებ არსებული მასალა“... იქვე ჰორიზონტალური ჭრილის დახასიათებისათვის მასალის განხილვა ემყარება ენობრივ მონაცემებს: „სადაც სივრცე დიფერენცირებულადაა გააზრებული და თითოეული სეგმენტი რელიგიურ და კოსმოგონიურ დატვირთვას ატარებს. ერთ-ერთი ასეთი მომენტია ქართულში „შინასა“ და „გარეს“ დაპირისპირება, რომელიც სივრცის ორი მონაკვეთის დიამეტრულად განსხვავებულ დახასიათებას ემყარება.

აქ აღარ გამოვედევნებით სადავო ან დასაზუსტებელ მოსაზრებებს, უფრო ზუსტად ცალკეულ გამონათქვამებს, თუ რამდენადაა გარესინამდვილე მოუწესრიგებელი, ქაოტური, საშიში და სხვა... დამოწმებული მოსაზრების მიხედვით, ცხადი ისაა, რომ „გარე“ ან „გარეშე“ იგულისხმებიან როგორც ნადირთმფარველები, ასევე დემონური ძალები. ამდენად, „ტყარ ბედნიერი“ გარე ან გარეშე სულიერი არსება მოიაზრება, კერძოდ, დალი და არა გარეული, ან ტყის რომელიმე ბედნიერი. ვიმეორებთ, დალი ადამიანური ხმით მოთქვამს. რასაკვირველია, მონადირის ცნობიერებაში იგი გარე ან გარეშე, გარეთ მყოფი ბედნიერი არსებაა. ამიტომ დაეხმიანა მას თავადაც ბედნიერი მონადირე. არაა გამორიცხული, რომ „ტყარ“ საკულტო მნიშვნელობის, მქონე ზედწოდებაც იყოს. სიცხადეა შესატანი დალის პასუხის თარ-

გმანებშიც. „—ჯა ღალ ლოქ ლი კოჯაშ დაღელდ“. ქართული ხალხური პოეზიის პირველ ტომში ასეა თარგმნილი: „—მე კლდის დალი ვარ“, ხოლო სევანურ პოეზიაში — „მე ვარ კლდის დალი“. მართალია, შეცდომა, არც ერთ თარგმანში არაა დაშვებული, მაგრამ ქართულად იმდენად მშრალია დალის პასუხი, რომ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის შეილდაკარგული დალის უმძიმესსა და გამწარებულ მდგომარეობაზე. ამის აღნიშვნა აუცილებელია, ვინაიდან, სხვა ვარიანტების მიხედვით, დალის მოთქმას გარემოც თითქოსდა შინაგანი განცდით უერთდება: „უფრო მეტად კლდეები მოთქვამენო“. ამ შემთხვევაში მონადირის კითხვას: ვინ ბრძანდები, რა დაგმართნია და ვის დასტირი, დალი მწუხარებითა და სასოწარკვეთით უპასუხებს: „იგი, საბრალოო, არის კლდის დალი“. დედანში „დაღელდ“ კინობითი ფორმითაა ნათქვამი, იგი საალერსოცაა და მიუთითებს დალის უმწეო, შესაბრალის მდგომარეობაზე, უნუგეშობასა და იმედგადაწურულ განწყობაზე. ასეთი რამ, ტრადიციულ თარგმანებში, „მე კლდის დალი ვარ“, ან „მე ვარ კლდის დალი“, არ იგრძნობა. საერთოდ თარგმანებში ცალკეულ შემთხვევებში ვერ ეთმობა ყურადღება სხვათა სიტყვით საუბრის ზუსტ გადმოტანას. ეს კი აფერხებს ნაწარმოებთა როგორც შინაარსის, ასევე სტილურ თავისებურებათა წარმოჩენას...

დედანში 21-ე სტრიქონი ასე იკითხება: — „ეჲ თხერილ როქ ხოწვაშუ? ორივე კრებულში ასეა თარგმნილი: ის მგელი ხომ არ გინახავს?“ უნდა იყოს: „ის მგელუკა ხომ არ უნახავსო“. 22-ე სტრიქონი „—ეჲ, თხერილ როქ მიჩ ოთდაგრა“ — თარგმნილია: „—ის მგელი მე მოუკალი“. უნდა იყოს: „—ის მგელუკა მას მოუკლავსო“. ვფიქრობ, რომ სამონადირეო ლექს-სიმღერების თარგმნისას, ამგვარი სიზუსტეების დაცვა აუცილებელია.

ბედნიერ მონადირეს დალი მადლით სახსეს უწოდებს და, როცა გაიგო, რომ მისი შეილის მომპარავი მგელი მოუკლავს, სიცილის ხმა დასცა. კლდის დალმა თავისი შეილი და მონადირე აიყვანა საკუთარ სადგომში. ჩვენი აზრით, ამ ეპიზოდით განახლების პერიოდი იწყება მონადირის ცხოვრებაში. ესაა დალთან ურთიერთობის ეტაპი, საფეხური. იგი ბედნიერი მონადირისათვის ფერისცვალებად შეიძლება მოინათლოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მონადირე კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად ახალი სამყაროს, ახალი სულიერი სიმაღლეების

თანაზიარი ხდება. დალმა ჯიხვთა ბეწვს შეურია მონადირე. უნდა ვი-
ვარაუდოთ, რომ იგი ბეწვად აქცია. მართალია, განსახილველ ძეგ-
ლში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ იგი მაინც დასაშვები შე-
საძლებლობაა, ვინაიდან, ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, დალმა
სული შეუბერა და ჯიხვის ბეწვად აქცია, მერე კი ისევ ადამიანად...

„სალამოს აფსათი მობრძანდება;

„დედავ, ადამიანის სუნი დისო“.

დალმა აფსათს უამბო:

წუხელ სამრევლოში ვიყავი (ყოფილად)

მგელმა ჩვილი მომპარა (მოუპარავსო)

ის მონადირეს მოუკლავსო. (შანიძე, 1939:275).

ჩვილი მე დამიბრუნაო (ჩვილი მისთვის დაუბრუნებიაო).

განსახილველად წარმოდგენილი ა) ვარიანტი იმ მხრივსა სა-
ყურადღებო, რომ დალი გამოქვაბულის ბინადარია, აფსათი კი მისი შვი-
ლია, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, ჩვენი აზრით, იგი მონა-
დირისადმი ბედის, იღბლის მომნიჭებელია ნადირობაში. კონკრეტულ
შემთხვევაში აფსათი დალზე გაცილებით აღმატებული უფლებამოსი-
ლებითაა წარმოდგენილი. დავსძენთ, რომ დალი ამ ნაწარმოებში საკ-
მარისად მიახლოვებულია წმინდა ადამიანურ ყოფიერებასთან, ფუნ-
ქციებიც შესუსტებული აქვს, აღარაა მონადირისათვის სვე-ბედის ან
საჩუქრის მბოძებელი. გამოქვაბული, სამრევლოა მისი საბინადრო.
ვფიქრობთ, რომ ნაწარმოებს რაღაც სისრულე აკლია და ალბათ, გარ-
კვეულობაც. ასე, მაგალითად, დამაეჭვებელი ჩანს ეპიზოდი, რომ წუ-
ხელ სამრევლოში ვიყავიო და მგელმა ჩვილი მომპარაო. მიმართვა
აფსათისადმი. ჯერ ერთი, დალი კლდოვან-ყინულოვანი არეალის
ბინადარია. ცხადია, გამოქვაბულიც ასეთსავე სიმაღლეზეა, მგელს
რანაირად უნდა წარეტაცა შვილი, რომელიც ტყისა და სოფლის მახ-
ლობელი არეალების, კერძოდ, სათიბ-საძოვრების ბინადარია და ადა-
მიანებისათვის ზიანის მომტანი. იგი იშვიათად თუ გამოჩნდება ალ-
პურ არეალში. ამდენად, სულ სხვა საკითხია, რომ, ერთ-ერთი ვარი-
ანტის მიხედვით, დალი კლდეზე მშობიარობს, მგელი დაბლა დარა-
ჯობს, ახალშობილი გადმოუვარდება და ნადირი წარსტაცებს. აქ
კი რაღაც გაურკვეველია. მთლიანად სიუჟეტი გამართულია და რაიმე
ფრაგმენტულობა არ შეიმჩნევა. ნაწარმოების მნიშვნელობა მრავალ-

ნაირია, რაც კარგად არის ნაგრძნობი სამეცნიერო ლიტერატურაში. ცალკე შეიძლება ვისაუბროთ მონადირეზე, მის მაღალმონადირულ თვისებაზე. მიხ.ჩიქოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ; „აქ მონადირის ხელობა, გამბედაობა და მთამსვლელობა აღფრთოვანებული ქების საგანს წარმოადგენს. მგოსანი აქ პირდაპირ იწყებს მგლისაგან გატაცებული ჩვილი ყრმის თავგადასავლის გადმოშლას“. გვ. 196. (ჩიქოვანი, 1972:196).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ვარიანტის დასასრული მშვიდობიანია, ბედნიერი. დალის ბავშვის გადარჩენისათვის მონადირე დიდ წყალობას ღებულობს, არანაირ გამოცდას არ გადის, ალბათ, იმიტომ, რომ იგი ბედნიერია. დალმა „მონადირე აფსაათთან მიიყვანა,

- ყოველგვარ წყალობას რა გირჩევნია?
 - ყველაფერს ჯიხვის ბეჭი მირჩევნია,
 - რაკი ასე გივაჟკაცნია,
- ვალად მეღვას სექტემბრის ჯიხვები“.

(შანიძე, 1939:277).

17. „დალილ კოჯას ხელღვაჟალი“ – დალი კლდეში მშობიარობს

ყველა მკვლევარი, ვინც კი დალის პრობლემათ დაინტერესებულია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლექს-სიმღერას „დალილ კოჯას ხელღვაჟალი“. ამ ძეგლს მრავალრიცხოვანი ვარიანტები მოეპოვება. პროფ. ელ. ვირსალაძის ნაშრომში „ქართული სამონადირო ეპოსი“ თერთმეტი ვარიანტია გათვალისწინებული, ხოლო მიხ. ჩიქოვანისა და ნოდარ შამანაძის მიერ შედგენილი ხალხური პოეზიის პირველ ტომში რვა ვარიანტია თარგმნილი. აქედან სამი ვარიანტი აკ. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის მიერ შეკრებილ და გამოცემულ „სევანური პოეზიიდან“ არის შეტანილი. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კრებულში თარგმანი ზუსტია, მაგრამ აქა-იქ, ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც არის ცალკეული ტაეპები და სიტყვები, რომლებიც უფრო მეტ სიცხადესა და გარკვეულობას სა-

ჭიროებენ. თუნდაც სათაური: „დალილ კოჯას ხელღვაჟალე“. სვანურ პოეზიაში ასეა თარგმნილი. „დალი კლდეში მშობიარობს“. „დალილ“ აქ – ილ სუფიქსი კნინობითის ფორმაა და იგი (დალილ) ასეთივე სახელწოდებით უნდა იყოს გადატანილი თარგმანშიც. „კოჯას“ ნიშნავს კლდეებს, ან კლდეს და არა კლდეში. „ხელღვაჟალე“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ემშობიარება.

ამდენად, სათაური ასე უნდა იყოს თარგმნილი: „დალი კლდეებს ემშობიარება“. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოა მთარგმნელობით ხელოვნებაში ამგვარი სიზუსტეებისადმი გადმოღვევნება, დაცვა, ასეც შეიძლება იფიქროს რიგითმა მკითხველმა, მაგრამ წმინდა მითოსური თვალსაზრისით მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. პირველ ყოვლისა, აქ იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ჩვენეული თარგმანის მიხედვით, დალი კლდოვან-ყინულოვანი არეალის გარეთ მყოფი არსებაა, შიშველი კლდისა და არა გამოქვაბულის ბინადარი. დალის გამოქვაბულში შესვლა მოგვიანო პერიოდის მოვლენაა და მას სხვა იდუმალება და სხვაგვარი მითოსური გააზრება აქვს. ამასთანავე, თუ დალი კლდეში, ანუ გამოქვაბულში, მშობიარობს, მას შვილი ძირს არ ჩამოუვარდებოდა. იგივე ითქმის მეორე ტაეპზეც: „ხელღვაჟალე თვეთანამ კოჯას“. სვანურ პოეზიაში ასეა თარგმნილი: „მშობიარობს თეთრ კლდეში“. ჩვენთვის უფრო მისაღებია ამ ორი ტაეპის წერედიანისეული თარგმანი:

„დალი კლდეზე მშობიარობს,
მშობიარობს თეთრ კლდეზე“.

(ქართული... 1972:200).

კონკრეტულ შემთხვევაში აღარაა საჭირო იმგვარ სიზუსტეებზე აქცენტირება, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. დალი აქ შიშველი კლდის ბინადარია და არა გამოქვაბულის. ამდენად, იგი ნაკლებ საკმათია. მიუხედავად ამისა, ჩვენეულ ჩასწორებით თარგმანში, რომელიც ასე პოეტურად არ უღერს, მეტი მითოსური სიღრმეება გაცხადებული. ამიტომ ამ ორ ტაეპს ამნაირად ვტოვებთ:

„დალილ კლდეებს ემშობიარება,
ემშობიარება თეთრ კლდეებს“.

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მეორე ტაეპია საინტერესო: „ემშობიარება თეთრ კლდეს“. ჩვენი აზრით, თეთრ კლდესთან

ღრმა საიდუმლოებაა დაკავშირებული. იგი, სოფლიდან ათვლით, აღმინათა საცხოვრისისათვის განკუთვნილ ცხრა მთის არეალს კი არ განეკუთვნება, არამედ ამ არეალის მიღმა წმინდა ღვთიურ საუფლოს, იგი თავადაა ღვთიური. თეთრს აქ ფიზიკური ფერის გაგება კი არ აქვს, არამედ მასთან ნათლით მოსილება, ღვთიური სულიერებაა დაკავშირებული. ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებშიც თეთრი ქვა თავადაა განივთებული ღვთიური საიდუმლოება. იგი ღვთიურ არსთა საბინადროა. ამ აზრით ძალზე საინტერესოა ერთ-ერთი ეპიზოდი სვანური ჯადოსნური ზღაპრიდან „ხელმწიფე“. „ზღვას გაღმა ვაჟი უპატრონოდ არის დარჩენილი. არაფერი აბადია, არც საჭმელი აქვს, არც სასმელი, მოთქვამს, წასვლაც არსად შეუძლია, არის ასე გაჭირვებულად. მის ზემოთ არყის ხეა, მასზე ჩხიკვს ბუდე აქვს გაკეთებული. ბარტყეებს შეეცოდათ მტირალი ჭაბუკი და თქვეს: ჰე, ამის ცოდვით ჩვენ არც საჭმელი შეგვერგება და არც სასმელი. დედას ეცოდინება რაღე ამის გამყვანი ზღვაზე და ვუთხრათ.

სალამოს მოვიდა ბარტყების დედა, საჭმელიც მოუტანა, მაგრამ ამათ არ ინებეს, არ გამოართვეს.

– რა არის, რა გჭირთ?

– მაღლი იქნება და ჩვენს ქვემოთო საცოდავი კაცია მოკუზული, რაღე ასწავლოს ზღვაზე გამსვლელიო.

– ამ ზღვაზე გამსვლელი არც ვინმე კაცთაგანი მინახავს და არც ჩიტი გაფრენილა. ზვალ არის გიორგობა და ზევით თეთრი ქვაა, ისო სკდება და იქიდან რაში ამოფრინდება. ზღვას იქით ასევე სკდება თეთრი ქვა და იქიდანაც თეთრი რაში ამოხტება და ისინი გადიან და გამოდიან (იგულისხმება ფრინავენო) ზღვაზე მაღლა, გარდა ამისა, ჰაერით ზღვაზე გამსვლელი არაფერი იცისო. იმაზე თუ მოასწრო შეგდომა, თუ ზევით ავა, ე.ი. ვაჟი შედგება დიდ, თეთრ ქვაზე და რაშს ამოსვლისას ზურგზე უნდა მოხვდეს, გაიყვანს იქით. იქით გამსკლარ თეთრ ქვაში ჩადის რაში, მაშინ თუ ვაჟი ზევით დარჩება, კარგია, თუ ჩაყვება, დაიღუპება!“ (შანიძე, 1939:282).

ამჯერად შორს წაგვიყვანდა თეთრ ქვასთან დაკავშირებულ სიმბოლოებზე საუბარი. მოტანილი ეპიზოდიდან აშკარაა, რომ მასთან ღვთიური სულიერებაა დაკავშირებული და არის ღვთიურ არსთა საბინადრო. იქიდან ამოსული თეთრი რაშიც ღვთიურია. სვანთა რწმე-

ნით, თეთრი ცხენი „თეთროსანი“ წმ. გიორგის განსახიერებაა. ლენტეხის რაიონის სოფ. შკედში არის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც „თეთროსანს“ უწოდებენ. ასეთია ადგილობრივ მკვიდრთა რწმენა. თეთრი ქვის კოსმიურ წარმომავლობაზე სხვა ზღაპრებიდანაც შეგვეძლო მასალის დამოწმება, მაგრამ სათქმელს ისევ შევამოკლებთ და დავსძენთ, რომ საანალიზოდ წარმოდგენილ ლექს–სიმღერაში თეთრი კლდე, რომელიც ღვთაებათა უშუალო საბრძანისადაა მიჩნეული, თავადაა ღვთიური, რომ დალის მოთქმა–გოდებას თეთრი კლდეებიც განიცდიან:

„დალი კლდეში მოთქვამს,
უფრო კი კლდეები მოთქვამენ.“

(შანიძე, 1939:269).

დალი თეთრ კლდეს, წმინდა ღვთიურ წარმონაქმნს, თავადაც ღვთიურს, ემშობიარება, ანუ ღმერთებს. აქ მიდამო გასულიერებულად არის წარმოდგენილი. ცხადია, მხატვრული მხარე არაა ჩამოსაცილებელი, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მას წმ. რელიგიური შინაარსი აქვს. თეთრ კლდესთან უფრო მეტადაა წმინდა ღვთიური სულიერება დაკავშირებული, ვიდრე საერთოდ მთასთან.

წარმოდგენილი ძეგლის სიუჟეტი ყველაზე სრულყოფილად არის მიჩნეული. მშობიარე დალს ჩვილი კლდიდან ჩამოუვარდება, მას ძეგლი წარსტაცებს. ქედიდან მომავალმა „მეთხვიარ მეფსაიმა“, ანუ „მონადირე მეფსაიმა“ და არა მეფისამ, როგორც ეს თარგმანშია, თვალი მოჰკრა. ჩვენი აზრით, „მეფსა, ჩორლა, ქალა“ და სხვა ზედწოდებები ჩანს. მათი საფუძველი მათივე მონადირული ცხოვრების თავისებურებებიდან, სამონადირო ხელოვნებიდან, ასევე სოციალური ურთიერთობებიდან იღებს სათავეს. ისინი მონადირის გამორჩეულობის გამომხატველი, შეიძლება ითქვას, ზედწოდებებია, რომელიც გმირთა აღმატებულ ბუნებას შეესატყვისება. მათ საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მონადირეებს ხალხი რაღაცნაირი თვისობრივი ნიშნებით ამკობს, რომელიც მათივე მაღალი მონადირული ხელოვნების თავისებურებებიდან იღებს სათავეს. ასე, მაგალითად, ნაწილი მონადირეებისა ნადირთან ახლოს შეუმჩნევლად მისვლისა, თუ მიპარვის მაღალ ოსტატობას ფლობს, ამგვარ მონადირეს შეიძლება ეწოდოს „ქალაჯ– მიმპარავი. იგივე შეიძლება ითქვას

„მეფსაჲ“–ზე , რომელსაც ზუსტი, შესაბამისი ტერმინი ქართულად თითქმის არ მოეპოვება. გამომრჩევი, მცირედიდანაც რომ მნიშვნელოვანს გამოაჩენს, გამოავლენს, ბარაქიანი კაციო და სხვა ამგვარი. გადაჭრით ის შეიძლება ითქვას, რომ დალის ციკლის ლექს–სიმღერებსა თუ გადმოცემებში, როგორც ითქვა, მეფე არაა ნახსენები არსად, შეიძლება ითქვას, რომ არცაა მოსალოდნელი. მეტიც, თვით სვანურ პროზაულ ტესტებშიც, მხედველობაში გვაქვს ჯადოსნური ზღაპრები, რომლებშიც როგორც ქრისტიანული, ასევე თანადროული მოტივებიცა და პერსონაჟებიც რომ იყოს ჩართული, მეფე, როგორც სახელწოდება, არ დასტურდება, მისი შესატყვისია „კესარ“– და, თუ სადმე შემთხვევით არის მეფე დასახელებული, აშკარაა, რომ იგი მომდევნო პერიოდის ჩანართია, ყოველ შემთხვევაში, არაა ტრადიციული. ამდენად, შეიძლება ისევე გავიმეოროთ, რომ „მონადირე მეფსაჲ“ არ ნიშნავს მეფის მონადირეს. დასახელებული მონადირეები გაბითიურებული პერსონაჟები არიან. აი, სწორედ ეს „მონადირე მეფსაჲ“–ა, რომელმაც თვალი მოჰკრა მინდორზე მომავალ მგელს:

„ჩაუსაფრდა მონადირე მეფსაჲ
მონადირე მეფსაჲ ვიწრო გასასვლელში.

თოფი მორატყა შუბლში,

დალის შვილი დაატოვებინა,

დალის შვილი ხელში აიყვანა,

მგლის ტყავი ქამარში გაიარჭო“ . (ხალხური პოეზია, გვ. 200)

მეორე ტაეპის თარგმანი სვანურ პოეზიაში შეიძლება უფრო ზუსტი იყოს: „მეთხვარ მეფსად ჰალაგ აგის“ – „მონადირე მეფსაჲ მა საალაგე ადგილზე“. საქმე ისაა, რომ მგელი მინდორზე მოდის, მინდორს, ალბათ, შეიძლება აქვს ვიწრო ადგილი, მაგრამ არა გასასვლელი. ასე მიგვაჩნია, ამ მინდორს აქვს ხელსაყრელი ადგილი საალაგე, რომ მონადირე ნადირს ჩაუსაფრდეს...

ძალზე საინტერესოა, რომ პირველი ხუთი სტროფის შემდეგ, როცა მონადირე მგელს კლავს, ხოლო ტყავს ქამარში გაიჩრის, მხოლოდ ამის შემდეგ გებულობს დალის მოთქმას:

„დალი კლდეზე მოთქვამს,

უფრო კლდეები მოთქვამენ“.

(შანიძე, 1939:219).

დამოწმებულ ეპიზოდში „იკფიელ“, რომელიც თარგმნილია როგორც „მოთქვამს“, ვერ გამოხატავს იმ დიდ შინაგან წუხილს, უკიდურესად გამწარებულსა და განწირულ მდგომარეობას, რაც ესოდენ სიღრმისეულად არის გამოვლენილი თუ გამოხატული დედანში, მაგრამ მისი ადეკვატური სიტყვა ქართულად აღარ დაიძებნება. ამიტომ მხოლოდ ამგვარი კომენტარებით უნდა დავეკმაყოფილდეთ. ნაწარმოების შინაარსის თანმიმდევრობა ასეთია: კლდეზე მოთქმით მტირალ ღალთან „მონადირე მეფესაჲ“ ჩვილით ხელში კლდის ძირას გამოჩნდება. საინტერესოა, რომ ახლადშობილი მეტყველების უნართა დაჯილდოებული. მან დედამისს შესძახა:

„—დედაჩემო, ნაწნავი ჩამოუშვი,
ისე შენ შეგეწიოს დედის მაღლი,
როგორც მე არავინ მყავს, დედა რომ დამიძახოს,
დედის დამძახებელი ნადირმა წამართვა.
— მე ვარ შენი შვილი“ (შანიძე, 1939:269).

როგორც ვხედავთ, მეტყველება ძალზე ლაკონურია. მცირედი გასაუბრების შემდეგ დალი დარწმუნდა შვილის გადარჩენაში და იკითხავს:

„—შენი მშველელი ვინაა? („ვინ იქნება“)
— ჩემი მშველელი მონადირე მეფისა (უნდა იყოს „მეფესაჲ“ (შანიძე, 1939:269).

რამდენადაც საანალიზოდ წარმოდგენილი ნაწარმოები ყველაზე სრულსიუჟეტოან ძეგლად არის აღიარებული, ამდენად მასზე დაყრდნობით უფრო ღრმად შეიძლება ჩავწვდეთ დალისა და მონადირის ურთიერთობის რთულ პრობლემას. აქ ერთი პრინციპული მნიშვნელობის ნიუანსია საინტერესო, კერძოდ ის, რომ მონადირე მეფესაჲ შინაგანად წმინდა ინდივიდია და, როგორც მონადირეგამოცდილიც, იგი კარგად ფლობს სამონადირეო ხელოვნებას. ასე, მაგალითად, ქედ—ქედ მომავალმა თვალი ჰკიდა მგელს, რომელსაც ჩვილი პირში ეჭირა და მინდვრით მოდიოდა. მონადირე მეფესაჲ ხელსაყრელ ალაგას ჩაუსაფრდა და ერთი გასროლით მგელი მოკლა. შინაარსიდან ისიც ირკვევა, რომ მონადირე მეფესაჲ სამონადირო არეალების კარგი მცოდნეა. ირკვევა, რომ იგი წმინდა მონადირული ცხოვრებით ცხოვრობს, მას კარგად აქვს შეგრძნებული ამ ყოფიერების სიწმინდე, სი-
რთულეებიც აქედან იწყება. მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო ლიტერატუ-

რამში არაა კარგად დანახული და გააზრებული მონადირის ქმედება (ამ საკითხზე საგანგებოდ გვექნება მსჯელობა). ამჯერად კი იმას აღვნიშნავთ, რომ მონადირე მეფსაჲ – დალთან დაკავშირებული არასოდეს ყოფილა. მან არ იცის, როგორ მოიქცეს მასთან ურთიერთობისას და რა გააკეთოს. ამ აზრით იგი გამოუცდელია. ჩვენ გვექონდა საუბარი, რომ მკვეთრად უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისაგან დალთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი მონადირე ჩვეულებრივი მონადირისაგან, რომლისთვისაც დალი სულ სხვაგვარად საკრძალავი არსებაა, წმინდა. სწორედ ეს არის დასანახავი წინამდებარე ნაწარმოებში. მონადირე მეფსაჲ–ს ამგვარი რწმენა და თაყვანისცემა დალისადმი ყველაზე სრულად და გარკვევით ქვემოთ დამოწმებულ ეპიზოდშია წარმოჩენილი, როცა დალი თავის შვილს ეკითხება: „ვინაა შენი მშველელი“. როგორც ვხედავთ, საუბარი დალსა და ჩვილ ბავშვს შორის მიმდინარეობს. მონადირე მეფსაჲ მხოლოდ მსმენელია. იგი საუბარში არ ჩარეულა. როცა დედასა და შვილს შორის ყველაფერი გაირკვა, დალი უპასუხებს, რომ მის გადამრჩენ მონადირეს:

„ერჩიოს ყოველდღე

შუნს მივცემთ;

თუ არა და სექტემბერში

ცხრა ცალ ჯიხვს მივცემთ;

ის თუ არა და ჩემთან წოლა.“ (შანიძე, 1939:271).

ამ საუბრიდან ირკვევა, რომ მონადირე სამი არჩევანის წინაშე დგას. მონადირე მეფსაჲ მხოლოდ დალისა და მისი შვილის საუბრის შემდეგ ალაპარაკდა:

„შენთან წოლას მე ვერ გაკადრებ,

ცხრა ცალი ჯიხვი მომეცი!“ (შანიძე, 1939:271).

ასეთი წრფელი პასუხის შემდეგ დალის ქმედება ძალზე დამაფიქრებელია, შეიძლება ითქვას, მოულოდნელიც. მან შვილის გადამრჩენ მონადირეს:

„გამოუყვანა ცხრა ცალი ჯიხვი,

ერთი ოქროს რქიანი გაურია,

მონადირემ ოქროს რქიანს დაუმიზნა,

იმან ტყვია არ მიიკარა,

მონადირეს შეუბრუნა შუბლში,

მონადირე მეფესაჲ ააგორა“:

უნდა იყოს „გააგორა“. (შანიძე, 1939:271).

რასაკვირველია, დალის ამგვარი ქმედება კიდევ უფრო ართულებს ნაწარმოების შინაარსის სწორად გაგებას. ყოველ შემთხვევაში იგი ბუნდოვანი ხდება. ცხადია, ოქროსრქიანი ჯიხვი დალია, რომელმაც არ გაიკარა ტყვია და შუბლში შეუბრუნა შვილის გადამრჩენ მონადირეს და მიწაზე გააგორა.

როგორც ვხედავთ, აქ დასასრული, ყველა ვარიანტისაგან განსხვავებით, ტრაგიკულია. ამ მართლაც ორიგინალურ ვარიანტთან დაკავშირებით საინტერესო იქნება იმ ეპიზოდის გახსენება, როდესაც დალი მოთქვამს, მას მონადირე დაეხმარება. დალი ჰკითხავს:

„მადლიჯ. სავსევ, კარგო მონადირევ,
ის მგელი ხომ არ გინახავსო?“

(შანიძე, 1935:275).

არაა შემთხვევითი, რომ დალი მონადირეს მადლიანს უწოდებს. მან იცის მის სამფლობელოში როგორი მონადირეა მოსული. ამიტომაც, რომ მათ შორის დიალოგი პირდაპირ იწყება. ნაწარმოებიდან ვიცით, თუ როგორ დააჯილდოვა აფსაათმა მონადირე გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის. მან დალს შვილი გადაურჩინა. სრულიად საპირისპირო ვითარებასთან ვვაქვს საქმე ბ) ვარიანტში და მკვლევართა განსაკუთრებული დაინტერესებაც ამან გამოიწვია. პროფ. ელ. ვირსალაძე საგანგებოდ აანალიზებს ნაწარმოების ამგვარ დასასრულს და მიუთითებს: „რატომ, რით განარისხა დალი მონადირემ? მან, თურმე, ტყვია ესროლა ოქროსრქიან ჯიხვს? რომელიც, როგორც „ამირანიანიდან“ ვიცით, რჩეულია, ღვთაებრივია და თვით დალის სახეცვლილებას წარმოადგენს. ჩვენ ვიცით მრავალი თქმულებიდან, რომლის მიხედვით მონადირემ არ უნდა ესროლოს თეთრ ან ოქროსრქიან ცხოველს. წინააღმდეგ შემთხვევაში მონადირე იღუპება. მონადირემ ბოროტად გამოიყენა დალის საჩუქარი და იქვე შუბლგანგმირული დაეცა. ამ უნიკალურ ტექსტში გადარჩენილია ამ სიუჟეტის ყველაზე სრული ვარიანტი. თუ გავიხსენებთ მონადირე ბეთქილის დატირებას, დავინახავთ, რომ მასში ბეთქილის ტრაგიკული დაღუპვის ეპიზოდი ვრცლად არის გაშლილი. იგი ფაქტად, როგორც მშობიარე დალის

სიმღერა, ერთი დიდი მისტერიის ნაწყვეტს წარმოადგენს“ (ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, გვ. 62–63).

თუ რამდენად არის ზემოთ განხილული ბეთქილის დატირებისა და კლდეზე მშობიარე დალის სიმღერა ერთი დიდი მისტერიის ნაწყვეტი, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი ძალზე საყურადღებოა ელ. ვირსალაძის დაინტერესება დალის საჩუქართან დაკავშირებით. განსახილველ ძეგლში, ასევე სხვა ვარიანტებში ლაპარაკია დალის მიერ გაღებულ საჩუქარზე. ეს პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ელ. ვირსალაძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში სპეციალური თავი ეძღვნება სახელწოდებით „დალის საჩუქარი“, ისევ დამოუკიდებელი კვლევის საგნად შეიძლება დარჩეს. მოკლედ, დალის საჩუქარი შეიძლება იყოს განივთებული და ასევე სულიერად დაშვებული მადლი. ე.ი. ხილულიც შეიძლება იყოს და უხილავიც. კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია ცხრა ჯიხვზე სექტემბრის თვეში, რომელიც მონადირე მეფსაქსთვის არის განკუთვნილი. ამგვარი საჩუქრის არსობრიობაზე ვრცლად არის საუბარი დასახელებულ ნაშრომში. იგი განხილულია და შედარებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ძეგლებთან. მითითებულია, რომ: „ამ მისტერიის სახეცვლილება, მისი შემდგომი საფეხური არის მონადირის ან მინდის ამბავი, დაცული საქართველოს მრავალ კუთხეში. ტყის სულები: ქაჯნი, დევეები მონადირეს ბუნების ენის ცოდნით ასაჩუქრებენ. ეს საჩუქარიც, რომელსაც მოყვა ბედი, იღბალი, საიდუმლოდ უნდა იქნას შენახული. მინდიას საიდუმლო ცოლმა დააცდინა. მას შემდეგ დაკარგა ეს უნარი და დაიღუპა კიდევ“. (ვირსალაძე, 1964:63).

ნაშრომში დამოწმებულია თქმულება თორღვას ჯაჭვის შესახებ. „გმირი თორღვა შემთხვევით ჩავარდა მყინვარის ნაპრალში. აქ, თურმე, ბუდობს ვეშაპი, რომელსაც ბარტყები ჰყავს. მეორე ვეშაპს ამ ბარტყების შეჭმა უნდა. თორღვას შიშით ეს ვეშაპი ბარტყებს ვეღარ გაეკარება და უკან გაბრუნდება. დედა ვეშაპი თორღვას დასაჩუქრებას მოინდომებს. ენას დაადებინებს თორღვას ენაზე, რის შემდეგაც თორღვას მისი საუბარი ესმის. გარდა ამ წყალობისა, ვეშაპმა თორღვას სასწაულებრივი ჯაჭვი აჩუქა, რომელიც თორღვას სიკვდილისაგან იფარავდა. ერთხელ თორღვას დაავიწყდა მცურავი ჯაჭვის დაბმა,

ჯაჭვი გაიპარა და თორღვა მალე მოკლეს, დასახ. (ვირსალაძე, 1964:63).

„აჭარული ვარიანტით, მონადირის მიერ განსაცდელიდან გადარჩენილი გველთა მეფე ბეჭედს აჩუქებს მონადირეს. ამის შემდეგ მონადირეს ბუნების ყოველი ენა ესმის და მდიდრდება. გველთა მეფის მიერ მონადირე გაფრთხილებულია, რომ მათი ურთიერთობის საიდუმლო არავინ გაიგოს. მონადირეს ცოლი ჩააცივდა, სთხოვს მას საიდუმლოს გამჟღავნებას. მონადირე ცოლს მოკლავს და გველთა მეფის ასულს ცოლად შეირთავს (ვირსალაძე, 1964:63).

რასაკვირველია, მაგალითების მოტანა შეიძლება ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებიდანაც, კერძოდ კი ჯადოსნური ზღაპრებიდან.

დამოწმებული თქმულებების მიხედვით. აშკარაა, რომ გმირს სხვადასხვა ძალა აჯილდოებს საიდუმლო ცოდნის უნარით. მაგალითებიდან ვგებულობთ, რომ ადამიანები ვერ იჩენენ სათანადო სიფრთხილეს თუ სიფხიზლეს, ნების სიმტკიცეს, რაღაცა დალატობთ და ველარ ინარჩუნებენ ბოძებულ ცოდნას ბოლომდე და იღუპებიან. მიგვაჩნია, რომ ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრიდან მოტანილი მაგალითების სრული მნიშვნელობით შედარება და პარალელების გავლება დალის ციკლის მასალებთან, კერძოდ კი საანალიზოდ წარმოდგენილ ლექს-სიმღერებთან, არაა ბოლომდე გამართლებული. კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. მართალია, დალი ტაბუს დარღვევას არავის აპატიებს, მაგრამ დასჯის ფორმა სხვადასხვანაირია. ასე, მაგალითად, თუკი მონადირემ გაამზილა დალთან ინტიმური ურთიერთობის საიდუმლო, მისი დაღუპვა უმეტეს შემთხვევაში გარდუვალია. ისიც ვიცით, თუ დალი საჩუქარს გაიღებს (მძივი, თუალი, მაკრატელი, ყუთი, თავსაფარი, ბეჭედი და სხვა), ლაპარაკია განივთებულ საჩუქრებზე, კიდევ აფრთხილებს მონადირეს, რომ საიდუმლო არ გაამჟღავნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება. საჩუქართან კი ნადირობაში იღბლიანობა არის დაკავშირებული, ზოგჯერ ოჯახის ბედისწერაც და სხვა.

რა მდგომარეობა გვაქვს საანალიზოდ წარმოდგენილი ნაწარმოებში? ქალღმერთს არანაირი განივთებული საჩუქარი არ მიუცია მონადირე მეფსამსათვის, არც ბუნების ენის ცოდნით დაუჯილდოებია, არც გაუფრთხილებია საიდუმლოს დაცვაზე. ნაწარმოებიდან ვი-

ციტ, რომ დალი მონადირეს არც კი დალაპარაკებია. მეფსაღ მხოლოდ დალისა და გადარჩენილი შვილის საუბრიდან გებულობს მისთვის შეთავაზებულ სამ არჩევანს. მონადირემაც ცხრა ჯიხვის დაბედებაზე შეაჩერა არჩევანი. ესაა და ეს. ჩვენ სხვა ვარიანტებიდანაც ვიცით, რომ მონადირე პირდაპირ უარყოფს დალის მიერ შეთავაზებულ სიყვარულს და ირჩევს ცხრა ჯიხვს, გ) ვარიანტში მშობიარე დალს:

„შვილი გადმოვარდნია კლდიდან,
ქვევით მგელი დახვედრია,
გაუთრევია მინდვრამდე“.

(ქართული, 1972:202).

უღელტეხილიდან მომავალი მონადირე მგელს კლავს.

- „- გოგონავ ვისი შვილი ხარ?
- მე ვარ დალის შვილი.
- დედაშენი სად ბრძანდება?
- დედაჩემი კლდეზე ბრძანდება.

(ქართული... 1972:202).

ჩვილი ბავშვი მეტყველების უნარიტაა დაჯილდოებული. ალბათ, იმიტომ, რომ იგი დალის შვილია და არა მოკვდავი ადამიანის, თუნდაც მონადირის. კონკრეტულ შემთხვევაში ღეთიური ქორწინებაა დასანახავი, სავარაუდო.

- „ახლა დალი მონადირეს ეუბნება,
- თუ გირჩევნია ჩემთან დაგიწვენ,
- თუ გირჩევნია არჩვის ჯოგს მოგცემ,
- თუ გირჩევნია ჯიხვის ჯოგს მოგცემ.
- შენთან წოლა მე არ მინდა,
- მე მინდა ჯიხვის ჯოგი,
- მაშინ დალოცა და ჩამოუშვა მონადირე ძირს.“

(ქართული... 1972:202).

მონადირე უარყოფს დალის სიყვარულს, შეიძლება ითქვას, მოურიღებლადაც: „შენთან წოლა მე არ მინდა“, მიუხედავად ამისა, დალს ამის გამო არანაირი წყენა თუ მრისხანება არ გამოუხატავს. იგი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პირობის აღმსრულებლად რჩება. დასაჩუქრებული მონადირე ძირს ჩამოუშვა. სხვა ვარიანტებზე

ცალკე გვექნება საუბარი. იმას კი დავსძენთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არჩევანს საშიშროების წინაშე არ დაუყენებია შვილის გადამრჩენი მონადირე. მივყვით საანალიზო ძეგლის შინაარსს თანმიმდევრულად. სიმღერიდან ირკვევა, რომ მეფესაჲ სოფელში გამორჩეული მონადირეა, მაგრამ გამოუცდელია დალთან ურთიერთობაში. რასაკვირველია, ეს იცის დალმა. იგი წინასწარი მცოდნეა, გრძნობს, თუ როგორი მონადირეა მოსული მის საუფლოში. ნაწარმოებზე დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ დალმა შეგნებულად დააყენა შვილის გადამრჩენი მონადირე საბედისწერო არჩევანის წინაშე. აქ ერთი ნიუანსია საინტერესო, კერძოდ, მონადირე მეფესაჲ დარწმუნებულია, რომ იგი ღვთიური ძალის წინაშე დგას, დარწმუნებულია დალის სიკეთესა და კდემამოსილებაში. ამიტომაც, რომ იგი კრძალვითა და გაკვირვებით უპასუხებს: „შენთან წოლას როგორ გაკადრებ?“ და ირჩევს სექტემბრის თვეში ცხრა ჯიხვს. სამეცნიერო ლიტერატურა იმასაც გვეუბნება და ეს ასეც არის, რომ დალი და საერთოდ გარე ბოროტი ძალაც კი (ღვეი) ერთი არჩევანის უფლებას აძლევს ადამიანს, კონკრეტულ შემთხვევაში მონადირეს და კიდევაც უსრულებს. რასაკვირველია, შეუსრულებლობის შემთხვევაში რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს არჩევანს? აქ მნიშვნელოვან, პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე.

ვიცი, რომ პირობის შესრულება წმიდათაწმიდა რამ არის. ისიც ვიცი, რომ დალი სიკეთეს ყოველთვის სიკეთით უპასუხებს, უმიზეზოდაც არავის სჯის. საანალიზოდ წარმოდგენილი ნაწარმოების ვარიანტებში დასასრული მშვიდობიანია. დალიც უხვად აჯილდოებს მონადირეს. ზემოთ ისეთი ძეგლიც განვიხილეთ — „დვიდილანთ ბიბუ“, სადაც დალი განუწყვეტლივ ზრუნავს მონადირეზე, ასწავლის, როგორ მოიქცეს, დილითაც ადრე აღვიძებს, იმასაც ეუბნება, რომ ასეთი და ასეთი ჯიხვი, „გორგოლაჲ“, მისთვის ჰყავს გამოშვებული მოსაკარგავად და სხვა. ბუნებრივია, რომ კონკრეტულ შემთხვევაშიც მკითხველი დალის მხრივ წყალობას, მაღლის დაშვებას მოელის შვილის გადამრჩენ მონადირეზე და არა საბედისწერო გამოცდას, რომელიც ტრაგედიით მთავრდება. აქ იმის აღნიშვნაა უცილებელი, რომ მონადირე მეფესამაჲ, სრულიად უნუგემო მდგომარეობაში მყოფ დალს, რომლის უმწეო მოთქმას თვით თეთრი კლდეებიც

თანაუგრძნობენ, ყველაზე დიდი სამსახური გაუწია, შვილი გადაურჩინა. როგორ რეაგირებს დალი ამგვარ კეთილშობილურ ქმედებაზე? რატომ გაურია ჯიხვთა ფარას ოქროსრქიანი ჯიხვი, იგივე თავისი თავი? რა არის ამგვარი გამოცდის მიზანი? საკითხავია, რამდენად აუცილებელი იყო შვილის გადამრჩენი მონადირისათვის ამგვარი გამოცდის მოწყობა? ეს მაშინ, როცა მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მის წინაშე უკიდურესად წრფელი, წმინდა ბუნების ადამიანია, რომელიც მთლიანად მის ღვთიურობასა და კლემამოსილებას არის მინდობილი. ცხადია, დალმა ყველაფერი იცოდა, ისიც, თუ რა ტრაგედით დამთავრდებოდა მონადირისათვის ასეთი გამოცდა. აქედან გამომდინარე, საეჭვო ჩანს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „მონადირე ბოროტად გამოიყენა დალის საჩუქარი (ვირსალაძე, 1964:62). ჯერ ერთი, საჩუქარი იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საჩუქრად, როდესაც მას თან ახლავს დალის მხრივ გაფრთხილება, რჩევა—დარიგება, ან მონადირეა დალთან ურთიერთობით იმ დონეზე ამაღლებული, რომ გაფრთხილება, უფრო ზუსტად, განმარტება აღარაა საჭირო. საამისო ტექსტები ძალიან ბევრია. მათ შორის ზემოგანხილულიც. მეორე, ჩვენ განსხვავებას ვხედავთ დალის მიერ გაფრთხილებით გაცემულ საჩუქარსა და არჩევანს შორის, რომელსაც დალი თავის შვილს ეუბნება, რომ ისინი ერთად აუსრულებენ მონადირე მეფსაჲს გულის წაფილს, არჩევანს. ეს ორი მხარე უნდა განვასხვავოთ ერთიმეორისაგან. ამასთანავე, მონადირის მიერ დაშვებული შეცდომა, რომ მან ოქროსრქიან ჯიხვს დაუმიზნა თოფი, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ბოროტებად? ისიც საკითხავია, რატომ უნდა ჩაედინა მონადირეს ბოროტება. მას მისივე არჩევანით უნდა მიეღო დალისაგან სექტემბრის თვეში ცხრა ცალი ჯიხვი. იგი დარწმუნებული იყო, რომ არჩევანს დალი შეუსრულებდა. მართალია, აქ კითხვად რჩება, რატომ ესროლა ოქროსრქიანს, იმავე დალს. არც ასეთი კითხვა იქნება გამართლებული. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯოგში ოქროსრქიანი ჯიხვის გარევით მონადირე გაბოროტდა, დალზე შურისძიება გადაწყვიტა და მისთვის, დალისთვის, ესროლა.

რასაკვირველია, მონადირე მეფსაჲში, რომელიც მთლიანად მინდობილია მისთვის საკრძალავ არსებას, დალს, ღრმად არის გამჯდარი პირობის აღსრულების აუცილებლობის გრძნობა. იგი მის-

თვის წმიდათაწმიდაა. ამიტომ დარწმუნებულმა, რომ დალის მიერ გამოყვანილი ცხრა ჯიხვი, რომელშიც ოქროსრქიანი ერია, უკვე მისი საკუთრებაა და მათი დათოფვა დაიწყო. ცხადია, მეფესას რომ სცოდნოდა ოქროსრქიანი ჯიხვის სახით ვის ესროლა, ამგვარ ქმედებას არ ჩაიდენდა, ეს ზომ თვითმკვლელობა იქნებოდა. ამიტომ აქ შეიძლება ვიფიქროთ მონადირის მიერ დაშვებულ მხოლოდ შეცდომაზე და არა გააზრებულ ქმედებაზე, მით უმეტეს, საჩუქრის ბოროტად გამოყენებაზე, რასაც არანაირი საფუძველი არ აქვს. ჩვენი აზრით, აქ უმთავრესი მანინც დალის ქმედებაა. მან გაწირა შვილის გადამრჩენი მონადირე. თუ ზოგადად გადავხედავთ და მთლიანობაში მოვიაზრებთ ძეგლის ვარიანტებს და საერთოდ დალისა და მონადირის ურთიერთობებს, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დალის წყალობა თუ საჩუქარი, რომ მონადირეს სექტემბრის თვეში ცხრა ცალი ჯიხვი მიეღო, უნდა აღსრულებულიყო ყოველგვარი გამოცდის გარეშე ისე, როგორც ეს სხვა ვარიანტებში გვაქვს. სწორედ ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა იგი ნამდვილ საჩუქრად. ცხადია, ტრაგედიის მომტანი გამოცდა არც საჩუქარია და არც წყალობა შვილის გადამრჩენი მონადირისათვის.

დამოწმებული ფრაგმენტი შეიძლება შევადაროთ „გილგამეშიანის“ ერთ-ერთ ეპიზოდს, სადაც ქალღმერთი იშთარი სიყვარულს სთავაზობს გილგამეშს. ელ. ვირსალაძე მიუთითებს, რომ „ნადირთატრონი იშთარი მრავალი სატროფოს დაღუპვის მიზეზი გახდა, ეპოსის მთავარი მოქმედი გმირის, გილგამეშის, სიტყვით, მან ერთ-ერთ თავის სატროფოს, ჩიტს, ფრთა მოტეხა, მეორე სატროფო, ლომი, მონადირეებს ჩაუგდო ხელში, ხაროში მოამწყვდია, რაში მისი მიზეზით საშინელი გვემის მსხვერპლი გახდა, ადამიანი, სატროფო, მწყემსი მან მგლად აქცია და მის საკუთარ ძაღლებს დააგლეჯინა. თამუზს, მოსიყვარულეს, ზომ ყოველწლიურად დასტირის ქვეყანა.“

(ვირსალაძე, 1964:100).

გილგამეშის ღონითა და ახოვანებით აღფრთოვანებული იშთარი მას, ნახევრად მოკვდავ გმირს, თავის სიყვარულს შესთავაზებს. საგულისხმოა, რომ იშთარის სიყვარულსაც იღბლიანობისა და დოვლათიანობის მიცემა მოსდევს თან:

„მეფენი მიწას განერთხმიან შენ წინაშე,

ბღვნად მოგართმევენ მათათა და ბარიდან, რასაც კი შენი გული მოისურვებს,

ყოველივეს...

ტყუპსა და სამ—სამს მოიგებენ შენი თხები და ცხვარი.

შენი სახედრები წონით ჯორთა ოდენი იქნებიან,

შენი ხარების სწორი არავის ეყოლება უღელში შებმული“.

(ვირსალამე, 1964:100).

მაგრამ გილგამეში გადაწყვეტით უარს ეუბნება სიყვარულზე ქალღმერთს, იგი ჩამოთვლის მის მიერ დაღუპულ სატრფოთა ბედს და უარყოფს იშვიარის წინადადებას. გაწბილებული ქალღმერთი უზენაეს, ცის ღვთაებას, ანუს, გამოსთხოვს ღვთიურ ხარს, რომელიც გილგამეშს შეებრძოლება.

ამ შედარებიდან ფრაგმენტული მსგავსება მართლაც აშკარაა, ორივე შემთხვევაში არჩევანია უმთავრესი, ასევე დაპირებებიც, დოვლათიანობა და ილბლიანობა, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება არის პასუხებში. სვანურ პოეტურ ტექსტში მონადირე დიდი კრძალვითა და მოწიწებით უპასუხებს დალს, რომ იგი სიყვარულს ვერ შეჰკადრებს. ამიტომ ცხრა ცალ ჯიხვზე შეაჩერა არჩევანი. გილგამეში კი კატეგორიულად უარყოფს იშვიარის ყველა პირობასა და წინადადებას. მის პასუხში, სიძვის ღიაცადაა“ გამოყვანილი ქალღმერთი, ცოდვილიანად, რომოელმაც ბევრი სატრფო იმსხვერპლა. მიუხედავად ამისა, მას ცისიერი ძალები შეიწყალებენ. მისი თხოვნა შეისმინა ანუმ და გილგამეშის წინააღმდეგ მებრძოლი ხარი ჩამოგზავნა, მაგრამ გილგამეში ამარცხებს მას. რასაკვირველია, უკვდავთა ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე ადამიანური კატეგორიებით ვერ ვიმსჯელებთ. ისე კი ძალიან საინტერესოა, რომ გილგამეშისგან შეურაცხყოფილი იშვიარი, მრავალი სატრფოს დამღუპველი, მეძავი ქალღმერთი (ცხადია, კაცობრიული გაგებით) ღმერთებმა შეიწყალებს და გილგამეშის წინააღმდეგ მებრძოლი ხარი ჩამოგზავნეს. კონკრეტულ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია. იშვიარის კეთილ ბუნებაზე საუბარი, ალბათ, გაჭირდებოდა. იგი გააყვებული, შურისმაძიებელი ქალღმერთი არის, რომელმაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. სვანურ ლექს—სიმღერაში „დალი კოჯას ხელღვაჟაღლე“ თითქოს არ ჩანს დალის მხრივ იშვიარისებური გააყვება და განრისხება, ალბათ, არც შეიძლე-

ბა, რომ იყოს, ვინაიდან მას მონადირემ შვილი გადაურჩინა. მიუხედავად ამისა, შურისძიების შინაგანმა ძალამ და იმპულსებმა მაინც თავისი გაიტანა, როცა მან ჯიხვებში ოქროსრქიანი ჯიხვი გაურია, ანუ საკუთარი თავი. ჩანს, დაღმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როცა მონადირემ მასთან წოლას სექტემბრის თვეში ცხრა ჯიხვი არჩია. მიგვაჩნია, რომ მონადირე მეფსაჲ მისმა არჩევანმა დაღუპა, დაღმა არჩევანის გამო გაწირა. ეს გაწირვა შეგნებულა. მან წინასწარვე იცოდა, რომ მის წინ გამოუცდელი მონადირეა, რომ იგი ოქროსრქიანს, ანუ მას, ესროდა. ასე რომ, დაღი ამ შემთხვევაში იშთარავით დაუნდობელი და შურისმაძიებელი აღმოჩნდა.

მიხ. ჩიქოვანის შენიშვნით, მონადირის მიერ გადარჩენილი ყრმა სასწაულებრივი ყრმაა. მან მხსნელის ვინაობაც იცისო. ვარიანტი, რომელიც ქვემო სვანეთშია ჩაწერილი, იმ მხრივაც საინტერესო, რომ აქ დაღის შვილი ქალია. როცა მონადირე კლავს მგელს, ჩვილ ბავშვს დაეკითხება: – სი, დინოლ, ე ეშა გეზალ ხი? – თარგმნილია: „გოგონავ, ვისი შვილი ხარ?“ გამოტოვებულია „სი“, ნაცვალსახელი, უნდა იყოს: „–შენ, გოგონავ, ვისი შვილი ხარ?“ მართალია, დანარჩენი ვარიანტები არსებით სიახლეებს არ გვთავაზობენ, მაგრამ თითოეულს აქვს რაღაც თავისებურება, ცალკეული გამოთქმა, დიალოგები თუ ტაეპები. მათი გათვალისწინება აუცილებელია. ასე, მაგალითად, დ) ვარიანტში შვილდაკარგული დაღი მონადირე მეფსას შესთხოვს, მგელს შვილი დაატოვებინოს. მონადირემ მგელი მოკლა და ბავშვი კლდის ძირთან მიიყვანა:

„დაღმა ოქროს ნაწნავი ჩამოუშვა,
ორივე ზემოთ აიყვანა.
– აბა, მეფსაჲ, რა წყალობა გინდა:
თუ გირჩევნია, ჩემთან დაგაწვენი,
თუ ამას არ იკადრებ,
სხვა წყალობას მოგცემ,
სექტემბრის თვეში ცხრა ჯიხვს
ყოველწლიურად მოგცემ.
ნანადირევი არ დაგიძვირდება,
დასათოფად შენთან გამოვგზავნი ხოლმე.“
(ქართული... 1972:204).

დასასრული საკმაოდ ორიგინალურია. იგი ადასტურებს ზემოთთქმულ მოსაზრებას, რომ „მეფსაჲ ზედწოდებაა, როგორც ჩორლაჲ, ქალაჲ და არა მეფის მონადირე. საინტერესოა, რომ დალი ერთგვარი კრძალვით მიმართავს მონადირეს:

თუ გირჩევნია ჩემთან დაგაწვენ,
თუ ამას არ იკადრებ“.

(ქართული... 1972:204).

ამის შემდეგ სხვა არჩევანს სთავაზობს. მცირეოდენი განმარტება საჭირო ბოლო ტაქთან მიმართებით. იგი სვანურად ასე იკითხება: „ლეთოფდ ისგვათე ხოთრუნი“. თარგმნილია დასათოფად შენტან გამოვგზავნი ხოლმე“. აქ მესამე სიტყვა „ხოთრუნი“ მომდინარეობს საწყისიდან „ლითური“ – სწავლა „ხოთრუნი“ ნიშნავს მოვასწავლი, ე.ი. სათოფედ, ან დასათოფავად შენკენ ან შენტან მოვასწავლი. მოტანილი ბოლო ტაქტი ძალიან საინტერესოა. ნადირს მონადირეებზე უშუალოდ დალი ანაწილებს საერთოდ და არა მხოლოდ „მეფსაჲზე. კონკრეტულ დალს კი დალთა ლაშქარი უგზავნის ნადირს მისთვის განკუთვნილ საბრძანისისაკენ, ანუ სოფლიდან ათვლით ადამიანთათვის განკუთვნილი ცხრა მთისკენ, რომელსაც დალი გამგებლობს...

განხილული ძეგლებიდან ე) ვარიანტში მონადირე მეფსაჲ დალოცვილად არის წოდებული დალის მიერ. მან დალის შვილი ძეგლს დააგდებინა და დედამისთან მიიყვანა. დალმა ნაწნავი ჩამოუშვა და კლდეზე აიყვანა. ჩვილმა უთხრა, რომ იგი მონადირის გადარჩენილია. კლდის დალმა მეორედ მონადირე მეფსაჲ აიყვანა და არჩევანი მისცა: მასთან წოლა, სექტემბრის თვეში თორმეტი ჯიხვი. დავსძენთ, რომ რიცხვი თორმეტი პირველად არის ნახსენები განხილულ ძეგლებში წვრილ-წვრილი არჩვი კი – ულევად. საინტერესოა, რომ მონადირე, სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით, არ აკონკრეტებს არჩევანს:

„ჩემთან წოლას ვერ შეგკადრებ,
მაგრამ შემოთავაზებაც წყალობაა“.

(ქართული... 1972:206).

ზემოთ მოტანილი ნაწარმოებებიდან ვ) ვარიანტი იმ მხრივ არის გამონაკლისი, რომ დალი მონადირეს ცოლობას სთავაზობს, როცა დალმა მონადირე მეფსაჲს, სამი არჩევანი შესთავაზა:

„—სამ რასმე შემოვთავაზებ,
თუ გირჩევნია, ჩემ ცოლობას.
არადა — სექტემბერში ას არჩვს.
არადა — კვირაში ერთ ჯიხვს.
— ცოლობას ვერ შემოგკადრებ,
კვირაში ერთი ჯიხვი მომეცი“ .

(ქართული... 1971:208).

უნდა დავეთანხმოთ ბატონ მიხეილს, რომ: „მონადირეებთან დალის ჰეტერული სიყვარული ფართოდ გავრცელებული სიუჟეტია, მაგრამ მას არასოდეს ცოლობის შეთავაზების ფორმა არ აქვს, თუ სხვაგან მორიდებით საუბარია სარეცლის გაყოფაზე, ერთად წოლაზე, აქ კი ღმერთქალი პირდაპირ ცოლობას სთავაზობს შვილის გადამრჩენ მონადირეს, ცხადია, ახალი საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ანარეკლია და არა თავდაპირველი მოტივი“.

(ქართული... 1972:208).

როგორცა ვხედავთ, დალისა და მონადირის ურთიერთობის ამსახველი პოეტური ძეგლებიდან ერთადერთია „დალი კოჯას ხელღვაჟალე“ — „დალი კლდეზე მშობიარობს“, სადაც დასასრული ტრაგიკულია. როგორც ითქვა, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე სრულ ვარიანტადაა მიჩნეული და, ამასთანავე: „ბეთქილთან ერთად ერთი დიდი მისტერიის ნაწყვეტია“.

მართალია, თითოეულ ვარიანტს დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რაიმე ნიშნით გამორჩეულსა თუ გამონაკლის ვარიანტზე მსჯელობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა უკიდურესობის საშიშროების წინაშე არ აღმოვჩნდეთ. ასე, მაგალითად, წინამდებარე ძეგლის ტრაგიკული დასასრულის გამო, მისტერიის რანგში აყვანა ბეთქილთან ერთად, რასაც თავისი ახსნა მოეძებნება, ძალზე საეჭვო ჩანს. ჩვენი აზრით, იგი ჩვეულებრივი ვარიანტია, რამდენადმე განსხვავებული. ეს განსაკუთრებით ითქმის დასასრულზე, მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით დალის საუბარს გადარჩენილ შვილთან, მონადირე მეფსაჲის არჩევანს, აქედან გამომდი-

ნარე დალის რეაგირებას, არაა ძნელი იმის დანახვა, რომ მასში უკვე აღმნიშნული გრძობიერებაა წამყვანი. მეფსაჲის არჩევანით უკმაყოფილო დალმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და შვილის გადამრჩენი მონადირე გაწირა. ცხადია, იმის მტკიცებას, რომ მონადირემ საჩუქარი ბოროტად გამოიყენა, ხოლო დალმა საჩუქრის გაღებითა და საბედისწერო გამოცდით წყალობა დაუშვა მონადირეზე და სიკეთე ჩაიდინა, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებულა.

18. თეთრი მანგური

დალის ციკლის ლექს-სიმღერებიდან „თეთრი მანგური“ ურთულესი შინაარსის ძეგლია. იგი მნიშვნელოვნად ამღიდრებს და აფართოებს ჩვენს წარმოდგენებს როგორც ქართულ სამონადირო ტრადიციებზე, ისე დალის ბუნებასა და ფუნქციებზეც. პროფ. მიხ. ჩიქოვანის აზრით, „ამ სიუჟეტში შეიძლება მამაკაცის სამეურნეო ძლიერების ანარეკლიც დავინახოთ... რომ „მოკვდავი მანგურისა და ქაღალმერთი დალის სამიჯნურო ურთიერთობა ანტიკური ხანის ბერძნულ მითოლოგიას გვაგონებს: ამავე დროს, მსგავსება მას ინდურ მითოლოგიასთანაც აქვს“.

(ქართული... 1972:209)

რასაკვირველია, „თეთრი მანგური“ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია და მასში, ალბათ, შეიძლება მამაკაცის სამეურნეო ძლიერების ანარეკლიც დავინახოთ. ჩვენი აზრით კი, „თეთრი მანგური“ თვისებრივად ახალი პერსონაჟია ქართული სამონადირო ეპოსისა. მსგავსი მრავალმხრივობა სამონადირო ციკლის მასალებიდან არც ერთი პერსონაჟის მოქმედებაში არ შეინიშნება. ამ აზრით განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოების შესავალი.

„სვანეთის საქებო თეთრო მანგური,
ყოფა-ცხოვრება კარგი გქონია,
სანიავებელი წვირძიში გქონია,
სრავალი /პურის საშრობი/ იფარში გაქვს
კალო კალაში გქონია,
სახნავი ღახამულაში გაქვს თურმე,

სათიბი შხარაში გაქვს:
საფოცხრად, თურმე, ღვეები გეწვევიან,
მოსამკალად, თურმე, დალები გეზმარებიან;
კილობანებად ვებერთელა ქვაბები გიღვას,
მარანი ქვევრებით სავსე გაქვს,
ქვევრებში ღვინო იმერეთის მიღვას
პური გაქვს, ო, ყირიმისა“. (82–277)
(შანიძე, 1939:277).

ციტირებული ეპიზოდი ძალზე ორიგინალური შინაარსისაა. ის ძნელად გასააზრებელია. შეიძლება ითქვას, დალის ციკლის ლექს – სიმღერებსა და გადმოცემებში გმირის ამგვარი დახასიათება არ დასტურდება. ტექსტი, გარდა სამონადირო ტრადიციებისა, რწმენა–წარმოდგენების თვალსაზრისითაცაა საინტერესო. მასში დასახელებული სოფლები, მხარეები თუ ტოპონიმები, ძალზე პირობითია. იგი სცილდება ლოკალურ ფარგლებს და ზოგად შინაარსს ითავსებს. „თეთრი მანგური“ ამ აზრითაც გამორჩეული ძეგლია. იგი დასაწყისიდანვე იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას: „სვანეთის საქებო თეთრო მანგურო“. არც ერთ მონადირეზე ასეთი რამ არ ითქმის. რაც ითქმის. ეს, პირველ ყოვლისა, მის მაღალ მონადირულ ხელოვნებაზე მიგვანიშნებს, თუმცა თუ სოფელში გამორჩეულობაზე, ფიზიკურ ძლიერებაზე, ამტანობაზე, მუხლმაგრობაზე და სხვა. ასეთი მონადირეები ბევრია, მაგრამ არც ერთზე არ ითქმის სვანეთის საქებიანო. მთქმელი საერთოდ არაფერს გვეუბნება მანგურის კაი ყმობაზე, ჩადენილ გმირობაზე, მის ურთიერთობასა თუ წარსულზე. ე.ი. გმირი არაა დახასიათებული კონკრეტული ნიშან–თვისებებით. ივარაუდება, რომ ამ ტიპის პიროვნებას, როგორც მანგურია, რომელსაც მთელი სვანეთი აქებს, გავლილი აქვს ყველა ის რთული გზა და საფეხური, რასაც ჭეშმარიტი მონადირე გაღის მთელი თავისი მონადირული ცხოვრების გზაზე. დავსძენთ, რომ მთქმელის მეტყველება ლაკონურია. აქ თითოეულ გამოთქმას, ზოგჯერ სიტყვასაც, ღრმა რელიგიური დატვირთვა აქვს. აქცენტი გმირის ქმედებათა შედეგებზეა გადატანილი და არა დახასიათებაზე. მეტყველების ამგვარი სტილი საერთოდ არის დამახასიათებელი სვანური ფოლკლორული მასალებისათვის. თეთრი მანგურის სახით ჩვენ ვეცნობით ყოველნაირი ღირსებებით შემკულსა

და არსებობის ყველა სფეროში მიზანმიღწეულ პიროვნებას. თუ ღრმად დავაკვირდებით დამოწმებულ ტექსტს, აღმოჩნდება, რომ მანგური გამონაკლისთა შორის გამონაკლისია. იგი ყველგან მყოფია და არსად კონკრეტულად. მისი სამოქმედო არეალიც მთელი სამყაროა და არა მხოლოდ კონკრეტულად დასახელებული ადგილები, მას ყველგან მიესვლება. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, მანგურს სანიაკვბელი წვირში აქვს, ხოლო პურის საშრობი იფარში, კალო – კალაში, სახნავი კი – ლახამულაში, სათიბი – შარაში, მარანში ქვევრები იმერეთის ღვინითაა სავსე, ვეებერთელა ქვაბები, რომლებიც კიდობნებად უდგას, ყირიმის ფქვილით აქვს გაძებვილი. რაც მთავარია, მანგურის დამზადება ყოველნაირ ძალა: ყანის მოფოცვაში დევები ეხმარებიან, სამკალში კი – დალები. ცხადია, აქ განსაკუთრებით საყურადღებოა დალებისა და დევების თანხმეირი ქმედება და გარჯა. დევი წმინდა ნეგატიური არსებაა. იგი მტრობს როგორც დალს, ისე ადამიანსაც. სვანთა რწმენით, დევი უზარმაზარი აღნაგობისა და ფიზიკური ძალისაა, საშინელი იერსახის, ბანჯგვლით დაფარული. იგი ჭაობიანი, ნაძრახი ადგილის ბინადარია. როგორც ითქვა, გარეთ უმეტეს შემთხვევაში, უკუნი ღამით გამოდის, აქვს მაქციობის უნარი. იგი ადამიანებს ეცხადება მისთვის სასურველი ქალის ან კაცის, ან მეზობლის თუ მეგობრის იერსახით. ხალხის რწმენით, დევის დალოცვა ადამიანს სასიკეთოდ აღესრულება. მასთან ურთიერთობა ძალზე ძნელია. უმეტეს შემთხვევაში იგი ადამიანებს ღუპავს, მიზეზი კი მრავალნაირია. მათ შორის უმთავრესი პირობის დარღვევაა. დევი დალსაც მტრობს. ერთ-ერთ მითოსურ გადმოცემაში „დალი და დევი“ ვკითხულობთ: „მონადირეს მოესმა დალის კივილი. მას უკან დევი მოსდევდა. დალი მონადირის ფეხების წინ დაეცა და შეეხვეწა: „მიშველე, დევი მომდევსო! მონადირემ თოფი მოიმარჯვა, ორჯერ გაფრთხილების შემდეგ უნდა ესროლა. დევმა ღრიალი დაიწყო და უკან დაბრუნდა. დალმა მონადირეს მადლობის ნიშნად მაკრატელი აჩუქა და თან გააფრთხილა. მაკრატელი შეინახე კარგად. სანადიროდ რომ წახვალ, ცარიელი არ დაბრუნდებიო, მხოლოდ არავის უთხრა ეს საიდუმლო (ვირსალაძე, 1964-218) ზემოთ დამოწმებულ ტექსტში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. თეთრი მანგურის სამყაროში საპირისპირო ძალები, როგორც ასეთი, არც კი არსებო-

ბენ. აქ სრული ჰარმონიაა, დევები და დალები ერთად შრომობენ. შეიძლება ითქვას, რომ თეთრმა მანგურმა სამოთხისდარი სამყარო შექმნა მიწიერ საუფლოში, სადაც არავინ არავის მტრობს. მას პირობითად შეიძლება მანგურის სამყარო ვუწოდოთ. მიგვაჩნია, რომ თეთრი მანგური, გარკვეული აზრით, ახალი ფოლკლორული გმირია. მისი დარი პერსონაჟი არ დაიძებნება სამონადირეო ციკლის მასალებში, არც სხვა ფოლკლორულ ძეგლებში. სვანეთის, ანუ ქვეყნის, საქები, მხოლოდ მანგურია. როგორც ითქვა, ამგვარად ვერ დავახასიათებთ დალის ციკლის ისე პოპულარულ პერსონაჟებს, როგორებიც არიან ჩორლა, ბეთქილი, მონადირე წეკვა. მთქმელის სიტყვით, წეკვას მსგავსი, ანუ დარი, მონადირე – არ შემოსულა არც ძველად და არც ახლა. იგი ყველა დროის მონადირეთა შორის ყველაზე დიდი მონადირეა, უპოპულარესი, მაგრამ მხოლოდ მონადირე. იგი და სხვა მონადირეები გარკვეულ არეალში არიან სახელგანთქმულები, ჭკუის საკითხავიც, კაი ყმები, გამითიურებულებიც, მაგრამ არა სვანეთისათვის საქები. ასეთი კი მხოლოდ მანგურია, რომლის სამყაროში ბოროტება გარდაქმნილია, სიკეთის სამსახურშია ჩამდგარი. ამიტომაც თეთრი მანგურის სამყარო სამოთხისდარი. ასე რომ, თეთრ მანგურს ვერ განვიხილავთ სხვა პერსონაჟების მსგავსად, საძმოს, სოფლის ან კუთხის ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენების. თუ რომელიმე მკაცრად დაკანონებული ზნე-ჩვეულებების გათვალისწინებით. ეს შეუძლებელიცაა. მანგური წუთისოფლის ამოებაზე ამალღებული პიროვნებაა, ზოგადადამიანური ფოლკლორული გმირი, სხვათა შორის, ფრაგმენტული მსგავსება შეიძლება დაგვენახა თეთრ მანგურსა და ფშავ-ხევსურულ კაი ყმას შორის. აქაც კაი ყმა სანაქებოა, თემის საიმედო ძალა, მტრის რისხვა, გარეგნულადაც გამორჩეული; მისი უპირველესი ვალია მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ომი. ვაჟა-ფშაველას სიტყვებით, გმირი თავისებურად არის ლამაზი: „სვილის-ფერა“, „შავკერემანი“, ზოლო „ქალისპირა“ მამაკაცი გმირად არ გამოდგება. ფშაველის აზრით, იგი მხდალია:

- დათვო, სთქვი შენსა რჯულზედა,
ვინ უფრო გეომებოდა?
- ვაჟაი სველის-ფერაი
ტოტ-და ტოტ მეომებოდა,

ვაჟაი ქალისპირაი
გორის პირთ ეფარებოდა“

(ვაჟ-ფშაველა, 1937:66)

როგორც ვხედავთ, მსგავსება აშკარაა, მაგრამ სხვაობაც საგრძნობია, ვინაიდან მანგური არაა მხოლოდ კაი ყმა, რაიმე კონკრეტული ნიშან – თვისებებით გამოირჩეული, თუნდაც მონადირული ხელოვნებით. თეთრი მანგური ყოვლისმომცველი, უნივერსალური გმირია, ცხოვრების ყველა სფეროში შეუღარებელი.

ძალზე საინტერესოა სახელწოდება „თეთრი მანგური“. რა უნდა იგულისხმებოდეს ამ სახელწოდებაში? გმირის ასე მოხსენიება გამონაკლისი ჩანს. ალბათ, მას ანალოგი არ დაეძებნება. ჩვენი აზრით, იგი წმინდა რელიგიური თვალსაზრისითაა საინტერესო. როგორც ითქვა, თეთრს კონკრეტულ შემთხვევაშიც ფიზიკური ფერის გაგება კი არ ახლავს, არამედ იგი ღვთით განათლულს, ნათლით მოსილს გულისხმობს. ამგვარი სახელწოდება კი ზედმიწევნით შეესატყვისება გმირის უნივერსალურობას, ყოველნაირად გამორჩეულობას. მიეყვით ტექსტის თანმიმდევრობას: ერთ დღეს მანგური ჯიხვზე სანადიროდ წავიდა. საინტერესოა, რომ მთქმელი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ მონადირა მანგურმა ჯიხვი, არამედ გვაგრძნობინებს, რომ ხელმოცარული არ დაბრუნდებოდა, ამასთანავე, თითქოს სხვისგან გაგონილს, მონათხრობს ეუბნება მანგურს:

„ასე გასდგომიხარ გზას,
წასულხარ ჯიხვზე სანადიროდ,
დაგლამებია, თურმე, გამოქვაბულში,
დაგინთია დიდი ცეცხლი,
ჯიხვის მწვადი შეგიწვავს,
ამ დროს დალი გსტუმრებია“.

(შანიძე, 1939:277).

როგორც ვხედავთ, დალისა და მანგურის შეხვედრა ძალზე უჩვეულოა. მას არ უძღვის წინ რაიმე პირობები დალის მხრიდან, როგორც ეს ჩვეულებრივ გვაქვს მონადირესთან შეხვედრის შემთხვევაში, კერძოდ, ესაა საჩუქრის ბოძება, გაფრთხილება, მუქარა და სხვა. ამ შეხვედრის თავისებურებათა ჩვენებამდე კი იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ თეთრი მანგური ცნობიერი პიროვნებაა, მისი ყოველი

ქმედება, ნაბიჯი წინასწარაა გააზრებული. ასეთივეა კონკრეტულ შემთხვევაშიც. ნადირობიდან შინ მომავალს დაულამდა და ღამის გასათევად დალის გამოქცაბულში შევიდა. ეს კი ძალზე უჩვეულო ქმედებაა, ფიქრითაც წარმოუდგენელი. თუკი რომელიმე მონადირემ იცის დალის სამყოფ-სადგომი, გამოქცაბული, ვალდებულია, საიდუმლოდ შეინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დალის რისხვა გარდაუვალია, მონადირეს დალუპვა ელის. ამიტომ, რომ ყოველი მონადირე, რა სახელგანთქმულიც არ უნდა იყოს, თუნდაც დალის რჩეული, კრძალვითა და ლოცვით უელის გვერდს იმ მიდამოს, რათა ქალღმერთი დალის წყალობა მიიღოს: ნადირი მოაკვლევინოს, შინ მშვიდობიანად დააბრუნოს, სახლეულობა კარგად დაახვედროს და სხვა მთქმელის გადმოცემით: „დალის სამყოფი გამოქცაბული ოქროსია, ისე ანათებს, როგორც მზე, მზეზე მეტადაც. აქ მოსული კაცი თუ დალს არ მოეწონება, ილუპება, დალი ღუპავს მას, რომ არავინ გაიგოს მისი სამყოფი ადგილი. ვინც მოეწონება, მასთან ინტიმურ კავშირს ამყარებს და აფრთხილებს, პირობას ადებინებს, რომ არსად გაამხილოს დალის სამყოფი ადგილი და მასთან კავშირის ამბავი. დალი უკვდავია. იგი პატრონობს ჯიხვებს. აქვეა მითითებული, რომ დალებს განაწილებული ჰყავთ ჯიხვები. გამოქცაბულში ერთი დალი ცხოვრობს.“

(ცანვა, 1992:37).

ამონაწერის დასაწყისი: — „აქ მოსული კაცი, თუ დალს არ მოეწონება, ილუპება“ — არ უნდა გავიგოთ ისე, რომ დალის გამოქცაბულში შესვლა ყველას შეუძლია. ჯერ ერთი, დალებმა ძალიან კარგად იციან, როგორი მონადირე მოდის მათ საბრძანისში. რასაკვირველია, დალის ნებართვის მიუღებლად მის გამოქცაბულში ვერც ერთი მონადირე ვერ შევა. ნადირთ პატრონი გულთმისანია. მან მონადირისა ყველაფერი იცის. ასე რომ, ქალღმერთთან ურთიერთობაში მყოფი მონადირე ძალიან დიდი გამოცდის წინაშე ღვას. რაიმე არასწორი ქმედება, თუნდაც მცირედი, საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე და ნების სიმტკიცეა საჭირო. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დალის სამყოფ-სადგომს მოკვდავთაგან ვერავინ გაეკარება. სწორედ ამ ფონზეა საინტერესო დალისა და თეთრი მანგურის შეხვედრა. ამ შეხვედრას არანაირი სიმძაფრე არ ახლავს. ეს არაა შემთხვევითი. დავსძენთ, რომ მანგური არაა დალის

საყვარელი, მაგრამ, როგორც ითქვა, ქალღმერთი დალი გულთმისა-
ნია. მან იცის, თუ რა ტიპის ინდივიდია მანგური, რას წარმოადგენს
იგი. ამიტომაც, რომ მას სხვა მონადირეთა მსგავსად აღარ ეპყრობა.
მსგავს ქმედებას დალი არც ერთ მონადირეს არ აპატიებდა, მაგრამ
თეთრი მანგური დალისთვისაც გამორჩეულია, ამიტომაცაა, რომ მას-
თან დიალოგი სულ სხვაგვარად წარიმართა. ტექსტიდან ვიგებთ, რომ
ქალღმერთის გამოქვაბულში შესულმა მანგურმა მწვალი შეწვა. უნდა
ვივარაუდოთ, იგი გარკვეულ რიტუალსაც შეასრულებდა. სწორედ ამ
დროს შევიდა დალი გამოქვაბულში:

„— თეთრომანგურ, მშვიდობით მომიხვე!

რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?

— დამიღამდა, აბა რა მექნა?“ (შანიძე, 1939:277)

დავაკვირდეთ მანგურის პასუხს: „დამიღამდა, აბა რა მექნა?“
ე.ი. მანგური თავს კი არ იმართლებს, არამედ უკვირს კიდევაც, აბა რა
უნდა ექნა? ე.ი. მან იცოდა, რომ დალის გამოქვაბულში შევიდა ღამის
გასათევად. ეს კი გააზრებული, გაბედულზე გაბედული ქმედებაა. რაც
სხვა მონადირისაგან დაუშვებელია, მანგურისათვის ბუნებრივი ჩანს.
აქ ჩვენ სულ სხვა სულიერი სიმაღლის მქონე პიროვნებასთან გვაქვს
საქმე. თეთრი მანგური ყველგან და ყველა სფეროში ორიგინალურია.
ასეთია იგი კონკრეტულ შემთხვევაშიც. დალთან მისი ურთიერთობა
თითქმის თანაბარი უფლებით წარიმართა. აქ ერთი საინტერესო ეპი-
ზოდია. მანგურს, პასუხის გაცემის შემდეგ, დალი ეუბნება:

„— წასვლა დაბრუნებას ცულს გიზამდი,

მაგრამ ამისთანა ადამიანი მენანები“. 82, 277.

(შანიძე, 1939:277)

ე.ი. დალიც თეთრი მანგურის ღირსებებზე მიგვანიშნებს, რომ იგი
არაა სხვათა მსგავსი.

ნაწარმოების მომდევნო სტრიქონები მოგვითხრობენ დალის
მიერ სიყვარულის შეთავაზებაზე, იმაზე, რომ მანგურმა მასთან ინტი-
მური ურთიერთობა არსად გაამჟღავნოს და აღუთქვა:

„როცა დიდი გაჭირვება დაგადგეს /„მოგივიდეს“/,
მაშინ ჩემი სახელი ახსენე,

გვერდში მდგომად გამოგადგები,

ჯიხვსა და არჩვს არ დაგიძვირებ“. 92, 279

(შანიძე, 1939:279).

დამოწმებულ ეპიზოდს საგანგებო მნიშვნელობა აქვს. დალი თეთრ მანგურს ფიზიკურ საჩუქარს კი არ სთავაზობს, რომელიც მისივე არსების განივთებული ნაწილია, არამედ მხოლოდ სახელის ხსენებას. ე.ი. დალმა სიტყვის ძალით დააჯილდოვა მანგური და არა მძივით, მაკრატლით ანდა სხვა რაიმეთი. ეს კი ყველაზე მაღალი ჯილდოა და, ამასთანავე, ერთადერთი დალის ციკლის მასალებში. იგი მხოლოდ და მხოლოდ თეთრ მანგურზეა დაშვებული. დალისა და მანგურის შეხვედრა სიყვარულით, ინტიმური ურთიერთობით ქთავჩქეჩს

„ამალამ ერთად წვებიან,
ლხინი და სიამოვნება ბლომად ექნებათ;
მეორე დღეს ღვებიან,
მანგური შინ მოდის.“

(შანიძე, 1939:279).

შინისაკენ მომავალ მანგურს სავეები დაესხმიან თავს, რეა-
ცხრა კაცს კლავს, მაგრამ მასაც დაჰკრეს, სიკვდილ-სიცოცხლის
ზღურბლზე მდგარმა მუხლი მოიყარა და დალს შესთხოვა:

„აბა, დალო, სადა მყავხარ?
მე სავეები მკლავენ!“
გამომხტარა ჭიუხიდან
დალი, მანგურის საყვარელი,
იფნის შტო ხელთ ჰქონია,
დარეგია სავეებს,
მოამბედ ერთიც არ დაუტოვებია.
მანგურს ერთი ფრთა მოუსვა,
ჭრილობები მოურჩენია,
ჯანსაღი / „გამრთელელებული“ / შინ გაუშვა.“

(შანიძე, 1939:279).

როგორც ითქვა: დალი მონადირისადმი მიცემული საჩუქა-
რით გებულობს როგორც მისი რჩეულის, ისე მთელი ოჯახის საჭი-
როებებს და ეხმარება კიდევ, სიმდიდრის არ უჩანს თავი და ბოლო,
თითოეული წვერი ცხოვრების ყველა სფეროში ხელმომართულია.
ასე რომ, ქალღმერთს მონადირის თხოვნა არ სჭირდება. კონკრეტულ
შემთხვევაში სულ სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. სიტყვის

თქმა /დალის სახელის ხსენება/ და აღსრულება ერთდროულად ხდება. ეს კი უმთავრესი სიახლეა დალისა და მონადირის ურთიერთობაში.

„ამირანიანის“ სვანური ვარიანტების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ქალღმერთ დალთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი მონადირე თუ მჭკდელი დალის შვილის მხოლოდ გადამრჩენია. ამირანის მამა დალის მეწყვილეა, მისივე საუფლოს ბინადარია და არა მოკვდავი. ეს აზრი კიდევ უფრო მტკიცდება დალის ციკლის ლექს-სიმღერებითა და გადმოცემებით. მათში არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა, თუნდაც გამონაკლისი, რომ დალი მოკვდავისაგან აჩენდეს შვილს. ამასთანავე, დამოწმებული მასალების მიხედვით, დალის ბუნებისა და ფუნქციების განვითარების გზები და საფეხურები იკვეთება, სამონადირეო ტრადიციებისა, მონადირეთა საიდუმლო ენის არსებობაც და სხვ. ქალღმერთს შეიძლება კულტურული გვირის მშობელი დედა ვუწოდოთ.

წინამდებარე ნაშრომს ერთვის საილუსტრაციო მასალა (ამირანის ვარიანტები) გადმოცემები და ლექს-სიმღერები ქალღმერთ დალზე. სვანური ენის ოთხივე დიალექტიდან (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური კილოები). ცალკე უნდა გამოვეყნოთ ალი დავითიანის თარგმანები. ისინი ძალზე ზუსტია, სიტყვასიტყვითი. ალბათ, ამიტომაც, რომ ცალკეული ეპიზოდები, თუ ვარიანტები ძნელად იკითხება. ცხადია, ისინი ხელუხლებლად დავტოვეთ. ჩვენეულ თარგმანებშიც დედნის მეტყველების სტილი, წინადადებებში სიტყვათა თანმიმდევრობა დაცულია ზუსტად. ამირანის წარმოდგენილი ვარიანტებიდან (17) თოთხმეტი, ხოლო ქალღმერთ დალიზე არსებული გადმოცემებიდან თერთმეტი პირველად ქვეყნდება.

**დანერსი
ტიქსტივი**

1. ამირანის ზღაპარი

აბა, დალოცვილი ვიყოთ და იყო ერთი ხელმწიფე. ამას ერქვა ივა და ჰყავდა სამი ვაჟიშვილი – ვაჟკაცები. ამათ ერქვათ: ვისიპ, ბადრი და ჩალამ – კალამ. ეს სამი ძმა ძალზე გმირები იყვნენ და ბევრ უწმაწურ დევებს ჰკლავდნენ. სხვასაც ღიღი გმირობას ჩადიოდნენ და ყველა ამათ აქებდა. ერთ დღეს ეს სამი გმირი წავიდნენ სანადიროდ და აქ ერთ გორაზედ დაინახეს, რომ მოგრაგნილა ხარის ტყავი და ისე დაგორავდა ხან ზევით, ხან ქვევით, ხან ზემოთ და ხან ქვემოთ, რომ ადამიანი თვალის მოკვრას ვერ ასწრებს.

ძმებს ძალიან გაუკვირდათ ეს და ახლოს მივიდნენ. უნდოდათ ამ ტყავის დაჭერა, მაგრამ ამ ტყავმა ქარსავით დაიწყო ხეტიალი. მაშინ ბადრიმ სთქვა: „აბა, ძმებო, ასე ვერ დავიჭერთ და მშვილდ – ისარი ვესროლოთ და იქნებ გვეშოვოს როგორმე ან ისრები (ტყვიები) დააკრავენ ამ ტყავს, თუ არა და თუ სულდგმული რაიმე იქნება, მაშინ ეგების მოვკლათ“, რაც რამა არის, და ძმებმა დაუწყეს ამ ტყავს მშვილდ-ისრების სროლა, მაგრამ ისრები როცა მოხვდებოდნენ ამ ტყავს, ეს ტყავი უკან სტყორცნიდა და არფერი ემართებოდა. ღიღიდან სადამომდე დასდევდნენ ამ ტყავს, მაგრამ ვერაფერი ვერ უქნეს და საღამოს ცულ გუნებაზე წავიდნენ სახლში. ამალამ სახლში არაფერი გაამზილეს და მეორე დღეს ისევ წავიდნენ ამ ტყავის საძებრად. ერთ დღეს დაინახეს, რომ ეს ტყავი დაგორებულა ადგილზე. მიეპარნენ ამას და უნდოდათ დაჭერა. მაგრამ ახლოს მივიდნენ, მაშინ ისევ დაიწყო ამ ტყავმა ხეტიალი და ისევ ვერაფერი უქნეს. სამ დღეს დასდევდნენ და, რომ ვერ დაიჭირეს, მაშინ სახლში დაბრუნდნენ ცულ გუნებაზე. ამალამ ჰკითხა მამამან მათმა: „რა იყო, ჩემო შვილებო, რაზე ხართ ასეთ გუნებაზე ან რატომ არაფერი მოგიტანიათო ამ კვირაში ნანადირევი?“. შვილებმა ყველაფერი უამბეს, როგორ დაინახეს ტყავი, როგორ დასდევდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ივამ სიცილი დაიწყო და უთხრა თავის შვილებს: „ჩემო შვილებო, მე ღვთის მონათლული ვარ და ვიცი, რაც არის ეს ტყავი. ამ ტყავში ანგელოზის შვილი ახვევია და ისაა დადუ-

ბული, რომ ქვეყანაზე ადამიანად იქცეს. იმას ასე ალაღად (ადვილად) ვერ დაიჭერთ. მე გეტყვით, ისე ჰქენით და ეგების ჩვენი იღბალი მოვიდეს და როგორმე დაიჭიროთ. რომელ მთაზე ეს ტყავი დაგორაობს, იმის ბოლოს მოღის წყარო. იმას ჰქვია იორდანის წყალი. ჯერ იმ წყაროსთან ჩადით. ხელთ იქონიეთ ეს აბრეშუმის ბადე. ეს ბადე ჩემმა ნათლიამ ქრისტე ღმერთმა მაჩუქა და დაუდგით წყაროს პირას. იმის შემდეგ თქვენ სამი მხრიდან შემოერთყვით და როგორმე წაუშმღვართ ბადისაკენ. ბადეს რომ გაეხმება, მაშინ ხელი ნურსად მიაკაროთ, სანამ იორდანის წყალი არ გადაასხათ, თორემ მაშინ გამოხტება იქიდან და თქვენც დაგამარცხებთ. წყალს გადაასხამთ, მაშინ დამყუდროვდება ტყავი, და თქვენ სახლში მოიტანეთ. სახლში მოსვლამდე არსად გახსნათ, თორემ მაშინ ცუდად მოგივათ საქმე.“ ეს ძმები ცხადლივ ასე მოიქცნენ, როგორც მათმა მამამ დაარიგა, და საღამოს დაიჭირეს ეს ტყავი, იორდანის წყალი გადაასხეს და შემდეგ სახლში მოიტანეს. მაგრამ ისეთი მძიმე იყო ეს ტყავი, რომ სამმა გმირმა ვაჟკაცმა ძლივსლა მოიტანეს შინ საღამოს და ასე დადევს მიწაზე. ეს ტყავი შემოიტანეს, მაშინ თავიანთმა მამამ ღმერთს ღიღება უთხრა, გამოკეტა და გამოწევა ძალზედ კარფანჯარა. ამის შემდეგ გახსნა ტყავი და იქიდან ბავშვი გამოხტა. ზევით აფრინდა მაშინვე და კარ – ფანჯარას ებგერა, მაგრამ ესენი რადგან ყველანი გამოკეტილნი დახდნენ, მაშინ ჭერზე დაიწყო ფრენა და საღამოდან დილაამდის დაფრინავდა. დილას გაჩერდა მიწაზე და თავი დაღუნა. ივამ დალოცა ღმერთი, ასე ზევიდან მობრძანდა ქრისტეღმერთი, მონათლა ეს ბავშვი და დაარქვა ამირანი. იმის შემდეგ დალოცა ეს სახლი და წავიდა. ივა ხელმწიფემ და მისმა შვილებმა დიდება უთხრეს ღმერთს და მივიდნენ ბავშვთან, რომ კოცნა და თამაშობა (გართობა) დაეწყოთ. ბავშვმა უთხრა: „ჯერ ნუ შემეხებით, ისევ შემახვიეთ ტყავში, იმაში სამ დღე-ღამეს უნდა ვიყო, გამოვიშუშები და იმის შემდეგ ყოველთვის თქვენთან ვიქნები. ივა და მისი შვილები ცხადლივ ისე მოიქცნენ. სამ დღე – ღამეს გააჩერეს ბავშვი ტყავში. სამი დღის შემდეგ ისეთი ვაჟკაცი გამოვიდა ამ ტყავიდან, რომ შეხედვა მაღლია, და გადაეხვია მათ საკოცნელად. ივა ხელმწიფემ

იშვილა ეს ამირანი და შვილებზე მეტი უყვარდა. ერთ თვეში ისეთი ვაჟკაცი გამოვიდა, რომ თავის ძმებს ყველას ერთად ჯობნიდა ვაჟკაცობაში. ასე მიდიოდნენ ყოველთვის ამირანი და თავისი ძმები სანდროდ და მარტო ნადირის ხორციით მიჰყავდათ სახლი.

ერთ დღეს, ნადირობის შემდეგ, ისვენებდნენ ამირანი და თავის ძმები. ასე ჰკითხა ამირანმა: „ჩემო ძმებო, რატომ იქნება ეს, ჩვენს მამას მარტო ერთი თვალი აქვს და მეორე არა, მაღლი გექნებათ და მითხარით, თუკი რამე იცით ამის შესახებ, რის ბრალი და მიზეზი იქნება.“ ბადრიმ უთხრა: „ერთ დღეს ჩალამ – კალამი შეეკითხა მამას ამ ამბავს, მაგრამ ისეთი ამბავი (დაუწია) დაუთია, იმის შემდეგ ვერ შეეკითხებივართ ამის შესახებ“.

აბა, მე ამირან ნულარ მრქმევი, თუ არ გავიგო მამისაგან, რაც რამ იქნება მისი თვალის შესახებ. ამას თუ ვერაფერს ვერ გავიგებთ, სირცხვილი დაგვემართება“. ამალამ ვახშაში შეჭამეს და უბრობა დაიწყო, მაშინ ამირანმა უთხრა თავის მამას: „ბაბა, მაღლი გექნება და ერთ საქმეს გკითხავ და, თუკი შეილად მიყურებ, ნუ გამიჯავრდები!“

- რისთვის უნდა გერჩუბო, მამის დღეო შენ, კითხვისთვის მე არავის წავგრზუბებივარ და შენ როგორ წავგრზუბები, ჩემ შვილებში ყველაზე საყვარელსა და იმელს?

- აბა, მამა, ყოველთვის მინდოდა ამის კითხვა, მაგრამ მორიდება მქონდა, რა მოგივიდა ერთ თვალს, კაცისგან თუ გაქვს დამართნილი, გკითხარი შენს შვილებს და რა იქნება იმისთანა, რომ შენს ცუდის მქნელს ვერ გადაუხდით ამ საქმეს. თუ არა და, როცა რომ არაფერი შეგვეძლება, თავს მაინც შევაკლავთ შენს ასე დამმზინჯებელს. ეს შენთვისაც არაა სახელი, რომ არ გაგვიმხელე შვილებს.

ეს როგორც კი ესმა ივა ხელმწიფეს, ძალიან გაჯავრდა, მაგრამ არაფერი უთხრა და ზურგი მარტო შეაქცია. ამირანმა უთხრა თავის მამას:

მამავ, ძალიან დამნაშავე ვარ ამ შეკითხვის გამო, მაგრამ, თუ არ მეტყვი შენი თვალის საქმეს, მე აქ დამდგომი არა ვარ და წავალ ჩემ სავალ – გასაქცევს. მართალია, რომ შენ

გამზარდე და ვაჟკაცი გამზადე, მაგრამ ესეც მართალია, რომ შენი შვილი არა ვარ. შენ რადგან რომ ასე იწყინე ჩემი შეკითხვა, მე ხვალვე ავდგები და წავალ ჩემს გზაზე. მართალი არის, მე ძალიან მეზარება კიდევ გაშორება, მაგრამ რა უნდა ვქნა, იქ არ გავჩერდები მე, სადაც სახლში საიდუმლოს ვინმე მიმაღავს და არავინ არ გამიმხელს რამეს.

მობრუნდა ივა ხელმწიფე და უთხრა:

მე შენ შვილებზე მეტად მიყვარხარ, და რისთვის უნდა გიმაღავდე რამეს, მაგრამ მედარდებით შენ და შენი ძმები, არ მოგივიდეთ რამე, როცა ჩემი თვალის ამბავს გაიამბობ.

- როცა რამე შეგვემთხვევა, მერე რა იქნება იმიტომ, და შენს საქმეს უნდა რომ ჩვენ დავეძებდეთ, თორემ სხვა ვის ნაღველი ექნება ჩვენი საქმის.

- ძალიან კარგი, მამის მზემან, ამაღამ დამაცალეთ, ხვალ დილას მოდით, ერთ საქმეს მიგიჩინთ, იმას თუ კი შეასრულებთ, მაშინ ყველაფერს გეტყვით ჩემს საქმეს.

მეორე დღეს დილით ივამ მოითხოვა შვილები და უთხრა: აბა, გასაქანი მაინც არ მომეცით არ მეთქვა და ამა და ამ ადგილას კალიას აქვს სამყოფი, იმის ზორცს და იქ კიდევ ერთი სკა ღვას, იმის თაფლს თუ მომიტანთ, მაშინ ვიამბობთ ჩემი თვალის საქმეს. თაფლი და კალია საჭმელად მინდა.

აღგნენ ეს ძმები და წავიდნენ ამათ საქებრად (საპოვნელად). ერთი წელი მოუნდათ გზაზე და ბოლოს მიაგნეს კალიას, მაგრამ კალია იმხელა იყო, რომ იმის მოძრევი არაფერი იყო მიწაზე. ამ კალიამ ძმები როგორც კი დაინახა, მაშინ გააქანა ფრთები, ისე ჩაჩხური დააწყებინა ფრთებს, რომ ქარმა ვისიპი, ბადრი და ჩალამ-კალამი ცხრა გორას იქით გადაყარა ბურტყლივით. ამირანმა მუხლებამდე დაასო წვივები და ამას ვერაფერი ვერ უქნა. კალია დაწყნარდა და ქარი გაჩერდა. მაშინ იძრო ამირანმა წელიდან დედის მუცლიდან მოყოლილი ვეფხვის კუდი და, სანამდი კალია ფრთებს დააჩაჩხურებდა, მანამდი ვეფხვის კულით ჯერ ერთი ფრთა მოსჭრა და შემდეგ მეორე. დარჩა კალია უფრთებოდ. იმის შემდეგ ამირანმა ამოიძრო ხმალი და ასო – ასოდ აქნა. ამ დროს ძმებიც მოვიდნენ, ცხრა გორას იქით რომ იყვნენ

გადაგდებული ქარით. ძმებმა კალია ასო — ასოდ აქნეს. იმის შემდეგ წავიდნენ ფუტკრის (სკის) საძებნელად. გაიხედეს და შორ — ნაშორს მინდორში დაინახეს სახლსავით რაღაცა. აქეიდან გამოდიოდნენ კაცებისხელა ფუტკრის ბუზები. ესენი ისე გაჟუოდნენ, ე. ი. ზუზუნებდნენ, რომ კაცს ერთი დღის სავალზე გამოაყრუებდნენ. ახლა ამირანმა უთხრა თავის ძმებს: „თქვენ რამენაირად კალიის მოკვლის ადგილამდე მიდით და იმისი ფრთები მოიტანეთ. იმით ყურები დავიცვათ, მაშინ გაგება არ გვექნება (ჟუილის). კიდევ გაბარებ, ბუზებთან იმის დროს ჩვენ ერთმანეთს ვერაფერს გავაგებინებთ, მაგრამ, როცა რამე გვინდოდეს, ხელეებით გავაგებინოთ ერთმანეთს. ჩალამ — კალამ, ბადრი და ვისიპ წავიდნენ კალიის ფრთების საძონელად. გამოსჭრეს ფრთებს ხმლით თხელი ფრთები, მოიტანეს ამირანთან და ამით ყურები დაიცვეს: წავიდნენ ფუტკრის სკასთან და დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ იქიდან ისეთი შეუტიეს კაცების ხელით ფუტკრებმა, რომ გაუჭირდათ ძმებს მათი მორევა. სამი ძმა ხმლებით ზოცავდნენ და ამირანი ვეფხვის კუდით. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მოერივნენ ძმები ბუზებს. გამოიღეს თაფლი (სარაჯისა) და დააწყვეს ერთ ადგილზე და დიდი „ზუგის“ (იგულისხმება დიდი ბორცვის) ხელა გამოვიდა. თაფლს ჭამა დაუწყეს და მაშინ ამირანმა სთქვა, რომ ცხადლივ ასე უნდოდა მამაჩვენს საჭმელად ეს თაფლი, რადგან ასეთი გემრიელია. იმის შემდეგ აჰკიდეს ამოდენა თაფლი „სარაჯი“ ერთ ბებერ კოჭლ ბუზს და მოვიდნენ ასე კალიასთან. ამისი ხორცი ააგეს ისრებზე და დაიწყეს ასე სვლა. სამ წელიწადს მოდიოდნენ და მიაღწიეს როგორც იყო თავიანთ მამა ივასთან და მოუტანეს კალიის ხორცი და თაფლი. ამათი მოტანა მეტად გაუხარდა თავიანთ მამას და სთქვა: „მადლიც აქვს დიდ ღმერთს, რომ ამისთანა შვილები გამიჩნდნენ. მამის მზემან, ახლა მეც გეტყვი ჩემი თვალის ამბავს და თქვენ დააკვირდით ჩემს ნაამბობს. ეს თაფლი და კალიის ხორცი ღვთისაგან მქონდა საჭმელად, მაგრამ საფისე ურად ღვემა წამართვა, მომერია და თვალიც იმან გამომიღო. ახლა იცოდეთ, რომ ეს ჩემი თვალი ურად ღვეს აქვს. თავის შვილს უღვეს ოქროს საინზედ, თეფშზე და, როცა უნდა, მაშინ ეთამაშება (ერთობა). ამ თვალის დაკარგვაც

იმის ბრალით მომივიდა. მას ჩემს საყვარლად ყოლა უნდოდა, მაგრამ მე თქვენს დედას ვერ ვუღალატე და მაშინ თავის მამას ტყუილები უამბო. გული მოაყვანინა ჩემზე და ეს საქმე მიყო. სარჩოც წამართვა და თვალიც გამომიღო. ახლა, რადგან ამათი მოტანა შეიძელით, ამის შემდეგ ღვთის იმედით იმედი მაქვს, რომ თვალსაც მომიტანთ, მაგრამ ძალიან გაგიჭირდებათ ამ საფისე დევის დაძლევა. მას გარშემო მცველად არტყია ჯერ გველემშაპის ჯარი, იმის მერე რკინის კაცები, მერე ძაღლები, იმის მერე თვითონ ამოსდის ყელში ელიას ალი. როცა კაცს ებრძვის, დოლაბი ქვა წინ უძღვის. ახლა ჩემი თქმული ჰქენით და ის თქვენ სანანებლად არ გაგიხდებათ. ბალხეთის მთაზე ერთი ჭაკი ვირი სძოვს და იმისი შარდი იშოვნეთ ერთი გულა. იმასთან ერთად კიდევ წაიღეთ თითო ხელთა ბამბა და ექვსი მსუქანი ვერძი. როცა ღმერთმა გიშველოთ და გველემშაპებს და რკინის კაცებს მოერიოთ, მაშინ ურად დევი მოვა თქვენს საბრძოლველად. წინ ელიას ალს წაიმძღვარებს და დოლაბის ქვას. თქვენ ძაღლებს ვერძები დაუყარეთ. ისინი ზორცს დაუწყებენ ჭამას, ელიას ალს ვირის შარდი მიასხით და ჩაქრება. დოლაბ ქვებს (წისქვილის) ბამბა დაუფინეთ ქვეშ და იმაზედ დაეცემიან. იმის შემდეგ რაც რომ შეგეძლოთ ურად დევის მორევა, ის როგორმე ქვეშ მოიგდეთ, მაგრამ ძალიან გაგიძნელებათ იმისი მორევა. როცა ღმერთმა გიშველოთ და მოერიოთ ამ დევს, მაშინ დაამინეთ და ათქმევინეთ, სადაც ჰქონდეს ჩემი თვალი“. ეს უთხრა თავის შვილებს და ივა ხელმწიფემ დალოცა თავისი შვილები და გაგზავნა თავისი თვალის საძებრად. ამათი მოშორების გამო საწყლად ატირდა. მეორე დღეს, ბევრიც გავეთენებოდეს, კარგ გუნებაზე აღგნენდა წავიდნენ ეს ძმები თვალის დასაბრუნებლად და თან წაიღეს სამი ხალთა (გულდურა) ბამბა და ექვსი დაკლული ვერძი. წავიდნენ, წავიდნენ და, როცა მიაწიეს ბალხეთის მთამდე, აქ ვირი ბალახობდა, ოთხი ყური და სამი თავი ესხა. კისერი იმხელა გრძელი ჰქონდა, რომ სამი მარხილის სიგრძის თოკი ვერ გასწვდებოდა. სამი მარხილი თივა ერთ ლუკმად ვერ ჰყოფნიდა. კუდზე ეყვანი ეკიდა და იმის ხმა სამი დღის სავალზე გაისმოდა. ეს ვირი ყოფილა ურად დევის. თავისი პატრონის ცუდ რამეს გა-

იგებდა, თურმე, მაშინ კუდს გაიქნევდა, ამ კუდის გაქანებისას ეჟვანი ხმას გამოსცემდა, თურმე, და ამით ურად ღვევი იგებდა, თურმე, მტრის მოსვლას საში დლით ადრე. ამ ვირმა ამირანის და თავისი ძმების მოსვლა გაიგო და უნდოდა ეჟვნის დაკვრა, მაგრამ ქრისტეს შეებრაღა თავისი ნათლული ამირანი და ვირს გაგება წაართვა. ამირანი და თავისი ძმები მიუპარნენ ვირს. მიუ-ახლოვდნენ ამას. მაშინ ამირანი წინ მოექცა ვირს და ვეფხვის კული აჩვენა. ვირს ისე შეეშინდა იმ კუდის, შიშით მოფსმა დაიწყო. ვისიპმა გუდა მიუშვირა და ფსლით გაავსო ეს გუდა. შემდეგ ვირმა ყოყინი დაიწყო და, თუ რამე ნათესავი და თავისი მსგავსი ვირი არსებობდა იმ არე-მარეზედ, ყველა იქ გაჩნდა. ამიტომაც იმისთანა ყოყინი გააბეს, რომ მაგალითი და გაგება არ იყო. ამირანი და თავისი ძმები კინაღამ გამოაყრუეს თავიანთი ყოყინით. ამან, დიდმა ვირმა, უთხრა ამათ, გაჩუმდითო, ჩვენი სიმარჯვე არააო დღეს. აქ მყოფი კაცები ამირანი და თავისი ძმები ურად ღვევის საღალატოდ მიდიან. დღეს ჩვენ პატრონ ურად ღვეს ჩვენ თავის საყარაულოდ ვყავდით და ჩვენთვის, შრომის გარდა, არაფერი ემეტებოდა. ახლა ცული ღრო მოუვიდა ამ ჩვენს პატრონს და ჩვენ ეგების რაიმე უღელი გადმოგველოს, ამისთვის ჩვენ და მე დაელოცოთ ესენიო. ღირსი არიან და მე, ჩემის მხრით, ასე დავლოცავდი: „რა საქმეზეც თქვენ მიდიხართ, იქიდან კარგ გუნებჯემც დაბრუნებულ იყოთ და დაბრუნდებით კიო, მაგრამ ამირანი!ო, შენი მომრევი არაფერი არ გამოჩენილიყო, სანამდე ქრისტეს თავსდება სამჯერ არ გატეხო. ახლა ამირანო, მაღლი გექნებათ და ეჟვანი გამოხსენით კუდს და დაამტკრიეთ, ამან ჩვენ გული გაგვიხეთქა ყოველთვის რაწკუნით. ამიერიდან ცოტა მყუდროება მექნებაო. ამირანმა ეჟვანი გამოხსნა და გადააგდო. დაადგა ფეხებით ეს ვირი და ნამტკრეკებად აქცია ეს ეჟვანი ისე, რომ ფქვილზე უფრო დააფშენია.

ამირანმა და მისმა ძმებმა ეს ვირები დატოვეს, დაიწყეს სვლა და მიდიან, მაგრამ გზა აებნათ და ვერსად ვერ აგნებდნენ, საითკენ წასავალი ჰქონდათ. მაშინ დაუჩოქა ამირანმა და შეევედრა ქრისტელმერთს, თავის ნათლიას: „მაღლი გექნება, ჩემო ნათლიავ, და საითმე კარები გამიღე, თორემ ვიღუპები. არ გეცოდება

შენი ნათლული? ასე მოფრინდა საიდანღაც თეთრი მტრედი. გაუძღვა ეს წინ ამ ძმებს და წაიყვანა ურად დევის ახლოს და იმის შემდეგ გაქრა. გაიხედეს ამ ძმებმა და შეხედეს იმ დევის სამოსახლოს, რომ სამ კეცად ერტყა გველეშაპები: „ჰატ, ვაგლახ ჩემო ძმებო, უთხრა ამირანმა, ახლა გემართებს თავის გამოცდა და სივაჟაკე! თქვენ, ჩემო ძმებო, თითო კეცად გველეშაპს თითოეულად დაუწყეთ ხოცვა, როცა გაგიჭირდებათ, მაშინ მე მოგეშველები“. ჩალამ – კალამმა, ვისიპმა და ბადრიმ დაუწყეს ამათ ხოცვა და სამ დღემდე ებრძოდნენ და ყველა ამოხოცეს, მაგრამ ისე დაიღალნენ, რომ მკვდარსავით დაეშვნენ მიწაზე. ახლა გავიდა მათთან ამირანი. მოამჯობინა, დააჯღინა და თვითონ დაუწყო რკინის კაცებს ხოცვა ხმლით. რკინის კაცები ქვამრგვალებით და ლახტებით ებრძვიან და მეტად დაშვრეს. გაუძნელდა ამირანს და ამ დროს გაახსენდა ვეფხვის კული. ეს იმიშველა და რკინის კაცები გაქრნენ თვალისდასანახავად იმიტომ, რომ ამ ვეფხვის კულის დანახვა ღვთისაგან აკრძალული აქვთ. ასე ეს კაცები დაიკარგნენ და მეტი ამათ არაფერი უშლიდათ ურად დევის ბრძოლას. მიუახლოვდნენ ამის სახლს, მაშინ გაიგო ურად დევმა და დაუქაქანა თავის გველეშაპებს, მაგრამ ესენი ამოხოცილები იყვნენ; დაუქაქანა თავის რკინის კაცებს და ესენი ყველა ლტოლვილი დახვდა; დაუქაქანა თავის ძაღლებს. ესენი გამოუცვივდნენ ამირანსა და თავის ძმებს, მაგრამ მანამდე, სანამ დაგლეჯდნენ, ჩალამ-კალამმა დაკლული ვერძები დაუყარა, ძაღლები ამათ დაესიენ ჭამას. ურად დევმა ესროლა დოლაბი ქვები და, სანამ ძმებს ამოწყვეტდა, მანამდე ბადრიმ ბამბა დაუფინა ქვეშ. ქვები ამაზე რბილად დაეცნენ და ვერაფერს გაჩდნენ. მაშინ ამოუშვა ყელიდან ელიას ალი და, სანამდე ამირანსა და მის ძმებს დაწვადა, მანამდე ვისიპმა ვირის ფსელი შეასხა და ს ელიას ელვა – სახმილი შეაქრო ამ ურად დევს. ახლა გამოხტა ეს დევი ასე გაჯავრებული და იმდენი წითელი თვალეები აქვს, რომ შიშს აგრძნობინებს. ამას დასძახა. ამირანს: „ჰატ, შე გლახა ამირანო, საით გამექცევი, დღეს დაგადგება შავი დღე!“ ამირანმა უპასუხა: „ჰატ, შე ცუდო ნაბილწარავ, თრევია, ნამხეცურა; იმას ერთმანეთს გავაგებინებთ, რომელს დაუდგება შავი დღე. ბევრი

ავი გიქნია ყველგან, მაგრამ იმას ყველაფერს ცუდად გამოგანელებინებ, ჩქარა დამიბრუნე ჩემი მამის თვალი, თორემ მართლაც ცუდი დღისა ხარ დღეს.“ „მამაშენს მეორე თვალსაც არ შევარჩენ, შენც იმის დღეს დაგაყენებ. ჯერ შენ შეგახრამუნებ და მერე შენს ძმებს ბუზსავით გადაყვლაპავ, სამუდამოდ ამოგლევე შენს გვარსა და მოგვარეს. ასე დაიწყო ბრძოლა ამირანმა და ურად დევმა. იბრძვიან ერთ კვირას და ბოლოს წააქცია ამირანმა ეს ნამხეცურა. დაადო მკერდზე ხმალი და უთხრა: „ჰა, შენ ნაბილწარო, როგორი დღე გიდგას ახლა, დამიბრუნე ჩემი მამის თვალი, თორემ ამოგიწელებ სულს“. დევმა უპასუხა: „აბა, ის თვალი ჩემს ქალიშვილს აქვს, მაგრამ იმის მორევნა მეტად ძნელია. თუ რომ მოერევი რამენაირად, მაშინ თვალს დაგებრუნებს, მაგრამ მას მარტო არ დასჯერდე. იმ თვალთან ერთად თავისი პატარა სახოციც მოგცეს, თორემ უიმიხოდ თვალი არ ჩაედგმება მამაშენს. იმას თვალს როცა ჩაუსვამ, მაშინ გამოუსვი ის სახოციც და კიდევ უკეთესად ჩაეყენება თავისი თვალი“. ეს ამბავი რომ გამოსძალა დევს ამირანმა, მაშინ იშიშვლა ხმალი და მოკლა ეს ნაბილწარი. იმის შემდეგ მონახა ის სადგომი, სადაც დევის ქალიშვილი ისვენებდა და ნახა, რომ ამ გოგოს საინზე უდევს თვალი და ერთობა. ეს თვალი ისეთნაირად ბზინავს, რომ თვალს ძლივს ასწრებს კაცი. ასე უცბად თვალი მოჰკრა ამირანს. საინი მაგიდაზედ დადგა, სტაცა ლახტს ხელი და დაუწყო ამირანს ბრძოლა. ისეთნაირად ებრძვის ეს ქალიშვილი ამირანს, რომ კინაღამ მოერია ეს საფისე ქალი. იბრძვიან ასე, იბრძვიან და, ბოლოს, როცა ამირანს ძალიან გასაჭირმა გაჰკრა, მაშინ გაახსენდა ვეფხვის კული, იშიშვილა ეს კული წელიდან. დაჰკრა ამ ქალიშვილს ფეხებზე და ორივე გადაუქცია. გოგო დაეცა. ამირანმა ხმალი დააბჯინა მკერდზე და უთხრა, „ფიცხლავ მომეცი ჩემი მამის თვალი, თორემ მოგსვლია დღე შავისაო. ქალიშვილმა უთხრა: „ქრისტეს თავსდება (მარჯვენა ხელი) მომეცი ისე, რომ ცოცხალს დამტოვებ და მაშინ მიგასწავლი, სადაც შენი მამის თვალი იქნება. ამირანმა მისცა ქრისტეს თავსდება. დევის შვილმა უთხრა: „ოქროს თასზედაო თვალი, ის არის შენი მამის თვალი, სანამდე მე სახოცს არ მოგცემ, მანამდე იმ თასიდან თვალს ვე-

რავინ ამოაცლის. ამ საინით თვალი სახლში წაიღეო. იქ ჯერ საინით დადგი თვალი. შემდეგ ჯერ საინს გაუსვი ქვეშიდან ეს სახოცი. თვალი რომ ამოშორდება, იმის შემდეგ ჩაუყენე შენს მამას, სახოცი გაჰკარი და უფრო უკეთესი შეენაცვლება. ესენი ყველაფერი უთხრა დევის ქალიშვილმა. მაშინ ამირანმა არ დახედა ქრისტეს თავსდებას და ქალიშვილი მოკლა. ერთი ქრისტეს თავსდების ფიცი მაშინ გატეხა. მერე ახლა შეამხანაგდნენ თვითონ ოთხი ძმები, ხელთ იქონიეს თავიანთი მამის თვალი და დაიწყეს შინ წასვლა. ძალიან დააგვიანდათ გზაზე და ოდესმე მიაწიეს სახლში. სახლს მიუახლოვდნენ, მაშინ გაიხედეს და ნახეს სახლი და ვერ იცნეს. შავად იყო შელებილი. ეს ძალიან გაუვირადათ. აქ შეხვდნენ ერთ თავიანთ სახლში მყოფს. ამას შეეკითხნენ: რა არისო, ან რატომ არისო თავიანთი სახლი შავად შემოსილი? ეს იმიტომაო, მამა თქვენს თქვენ მკედარი ეგონეთ, ძალიან დაგაგვიანდათ გზაზეო. ამირანი და თავისი ძმები შევიდნენ სახლში და შეხედეს, თავიანთი მამას იმდენი გამოუზრდია სამგლოვიარო წვერი, რომ დასაწოლად ეგო. შეილება გამობანეს, გაპარსეს, თვალი ჩაუდგეს. გაჰკრა ამირანმა სახოცი და უკეთესი თვალი დაუბრუნდა. რასაკვირველია, რომ ეს საქმე მეტად გაუხარდებოდა მათ მამას. შემოუძახა სახელმწიფოს. ჯერ შვილების სამხიარულო გადაიხადა, მერე თვალის დაბრუნების სამხიარულო გადაიხადა და ერთ წელიწადს არავინ არ დაშალა. ამდენ ხანს აქვთ ლხინი და სიხარული და კარგ გუნებაზე ყოფნა ივა ხელმწიფეს და თავის შვილებს. ივა ხელმწიფე ვერ ძლება თავისი შვილების ყურებით. ამირანს მთლად არსად არ უშვებს ხელიდან. კარგა ხანს იყვნენ ასე ივა ხელმწიფე და თავისი შვილები. ერთი ხნის შემდეგ ამირანს მოეწყინა ერთ ადგილას ყოფნა და ერთ დღეს უთხრა თავის მამას და ძმებს: „მეტად მეზარება თქვენი მოშორება, მაგრამ ბევრი ხანი დავყავი ერთ ადგილას და ვერ ვძლებ ასე. წავალ, საგმიროდ და თავის გამოსაცდელად. ცოცხალი თუ კი ვიქნები და დავრჩები, მერე ისევ დავბრუნდები, ჩემი ძმები თუ წამომყვებიან, იმასაც კი ვიზამ, არა და იმასაც.“ ივამ უთხრა, რომ შენ მართლ არ გავიშვებო ცალკე. შენი ძმები იახელი. გასაჭირის დროს ოთხი ჯობიაო ერთ კაცს. მე უთქვე-

ნოდ მეტად მომწყინდება, მაგრამ უარს ვერ გეტყვი წასვლაზე, მაგრამ მთლად არ დამივიწყოო მე და ზოგჯერ მინახულეო და შეიტყვეო ჩემი საქმე. დაკონა შეილები და გაუშვა ასე. დაიწყეს ამირანმა და მისმა ძმებმა სვლა. მიდიან, მიდიან და, სადაც ღვესა და გველემპას წააწყდებოდნენ, ყველგან ამოხოცავდნენ. ასე შეუსრულდათ ერთი წელი და ბევრი მავნე მოაშორეს ქვეყანას. ერთ ღღეს ერთ მთაზე ნადირობდნენ და დაინახეს, რომ მეორე გორაზე დიდი ქვის ქვეშიდან ასე გამოდის ორთქლი, რომ თითქოს მღვდლარე ქვაბია. ეპა, ჩვენ ვიყოთ წყეული, რომ არ გავიგოთ, რა უნდა იყოს ეს ორთქლი. წავიდნენ იმ გორაზე. მივიდნენ ქვასთან და დაინახეს, რომ ამ ქვის ძირიდან გამოდიოდა ორთქლი. მივიდა ამირანი ამ ქვის გასაგორად, მაგრამ ძვრა ვერ უქნა. იმის შემდეგ ყველამ მოჰკიდეს, მაგრამ ვერაფერი ვერ უქნეს. მაშინ ისრებით დაუწყეს დაშენა ამ ქვას და ხერული გაუკეთეს იმხელა, რომ კაცი შეეტეოდა, მაგრამ იქიდან იმისთანა ცხელმა გამოვლო, რომ ეს ძმები კინალამ დაწვეა. ჩალამ – კალამმა, ბადრიმ და ვისიპმა ვერ გაბედეს ამაში შესვლა. მაშინ ამირანი მივიდა, დაალობ ნაბადი, გამოიხვია და ასე შევიდა ხერელში. შიგ შევიდა, მაგრამ ნაბადი დაიწვა. შიგნით არ იყო სიცხე. დაუგლო ყური და ერთი კუთხიდან ტირილი და მოთქმა ესმოდა. გავიდა იქამდე და იქ ნახა სამი ქალიშვილი, ისე მოთქვამდნენ და ტიროდნენ, რომ იმათი სიბრალულით ცრემლები მოადგა. ამირანს შეხედეს, სული ასე მოითქვეს და ტირილი შეწყვიტეს. უთხრეს ამირანს, რომ რა ღმერთმა მოგიყვანა შენ აქ. მაღლი გექნება, დაბრუნდი უკანო, თორემ ამის ქვეშ ღვეს ძინავს და, თუ გამოიღვიძებს, მაშინვე გადაგყლაპავსო შენ. იმის დარდი თქვენ ნუ გექნებათო, მაგრამ მითხარით, ვინ ხართ და რისთვის ხართ ასე მწუნარეო. ჩვენ ვართ ორომ მეფის შვილები. ჩვენ მამის ჯავრი ჰქონდა ურად ღვეს. ის ყოველთვის ემუქრებოდა ჩვენს მამას. როდესაც ვერაფერი ვერ მოუხერხა, თავის ძმას ქეშეკ ღვეისათვის უთქვამს, ის მოგვეპარა ერთ ღღეს და ჩვენ მოგვიტაცა და აქ მოგვიყვანაო. ძილი მოუვიდა და ჩვენს წინ ხერელში ჩავიდა, რა ვიცით, სანამდე იძინებსო, შეხედე, რკინის ჯაჭვი უბიო აქედან და ქვევით ცეცხლი უნთიო. ჩაიხვდა ქვევით ამირანმა და

ღაინაზა ძირს დაძინებული დევი. გვერდით ცეცხლი ენთო და იქიდან ამოდიოდა ეს ორთქლი. ამირანმა უთხრა ქალიშვილებს: „აბა, ნუ გედარდებათ, ურად დევი მე მოვკალი და მის ძმას მის არაკს ვუზამ, მაგრამ თქვენ ერთი საქმე ჰქენით, ზემოდან დააფსით ცეცხლს თითო-თითომ და მაშინ იქნება ცეცხლი ჩანელდეს“. ამ გოგონებმა ასე ჰქნეს და ცეცხლი ცხადლივ შენელდა. ამირანი ჩაჰყვა ჯაჭვს და ჩავიდა ქეშეკ დევთან. ამას ეძინა მაგრად. მაშინ ამირანმა ხმლის წვერი უჩხვლიტა ქუსლებში და დევმა გამოიღვიძა. წამოხტა ზეზე დევი: „ჰაჰ, შე გლახა ამირანო, ჩემი ძმა ურად დევი მოჰკალი, მაგრამ დღეს შენც მასავით მოგკლავ“. შე ბინძურო და ფინთო, რომელიც მოგკლავთ ერთმანეთს, მას ჩვენ ერთმანეთს დავანახვებთ“. სტაცეს ერთმანეთს და ერთი კვირა იჭიდავეს და ერთმანეთს ვერც ერთი ერეოდნენ, ბოლო დროს ამირანი მოერია ვეფხვის კუდით, წააქცია დევი და რვა თავი მოსჭრა, მაშინ დევმა უთხრა: „ამირანო, ქრისტეს თავს დება (მარჯვენა ხელი) მომეცი, რომ არ მომკლავ და ერთ თავს შემარჩენ, მაშინ მე ამ ცეცხლის საქმეს (შესახებ) გეტყვი. ამირანმა მისცა ქრისტეს თავსდება. დევმა უთხრა: „თქვენი ცეცხლი არ ვარგა პურის საცხობად, აიტანე ეს ცეცხლი. ამის ანთება დაასწავლე ხალხს და იმის შემდეგ ყველას ეცოდინება პურის ცხობა. ამის წასაღებ სახოცს მე მოგცემ და მაშინ გზაზე არ გაგიქრება. მე დავრჩებიო აქ სამუდამოდ აქაურ მცველად“. ესა და ეს უთხრა და სახოცი მისცა.

მაშინ ამირანმა დაჰკრა დევს ხმალი და მეცხრე თავიც მოსჭრა. მეორე თავსდება აქ გატეხა ვაგლახად. ამირანმა ხელში დაიკავა ცეცხლი, ამოვიდა გოგობთან და გამოიყვანა ქვის გარეთ. აქ თავისი ძმები უცდიდნენ. ამათ მეტად დარდი ჰქონდათ ამირანისა. მაგრამ შიგ ვერ შედიოდნენ და რა უნდა ექნათ? ამირანმა ეს გოგობები თავის ძმებს მისცა ცოლებად და უთხრა: „ესენი ორომ მეფის შვილებია და საჩვენოდ გამოდგებიან“. მიდიან ასე აქედან. მიდიან, მიდიან სახლში და ერთ ადგილას ნახეს, რომ ერთ დედაბერს კალო ბავშვების თავით სავსე ჰქონდა, კვრზე უბია ხარები და ლეწავს. გადანტა აქამდე ამირანი, სტაცა დედაბერს, მოიწვინა ქვეშ, მოუჭირა ყელში და უთხრა: „შე სა-

ფისევ, რას სჩადიხარ, ვის სმენია ბავშვების თავების ლეწვა და რისთვის შეიხვედრე ამათი ცოლვა. ახლავე მითხარ, რად გინდა ესენი, თორემ ახლა აგიწელავ სულს“. დედაბერმა უთხრა, რომ ქრისტეს თავსდებას თუ მომცემ, რომ არ მომკლავ, მაშინ გეტყვი, არა და არაო. ამირანმა მისცა. მაშინ დედაბერმა უთხრა: ამ ბავშვების თავები ურად დევის ძმამ ქეშეკ ღვემა ჩამაბარაო გასალეწავად. შენ რომ ურად დევი მოჰკალი, იმისთვის უნდოდა, რომ თქვენ და თქვენი გვარი ამოეხოცეთ. ერთი კალო დაღეწილი მაქვს და იმის ბზე თქვენს მამას მივაყარეთ და ახლა გასულელებულია, რას სჩადის, არ იცის. ამ ბავშვების თავების ბზეს მეორეჯერ რომ მივაყრიდით, მაშინ თქვენ და თქვენი სახელმწიფო ყველა ქვად გადაიქცეოდით. ახლა თქვენი მამა გასულელებული დაგხვდებათ, მაგრამ მას იორდანიის წყალი გადაასხით და ის მაშინვე მომჯობინდება“. ეს თქვა დედაბერმა. მაშინ ამასაც მოსჭრა კისერი ამირანმა და მესამე თავსდები ახლალა გატეხა. ახლა ამირანმა უთხრა თავის ძმებს; თქვენ ცოლები გყავთ და უფრო შეებით მიდით სახლში. მე უფრო ჩქარა და უფრო მალე წავალ და მერე იქნება ჩვენს მამას ვუშველო, თქვენ გვიან მოდით. ჩემი დარდი ნუ გექნებათ“. ამირანი წინ წავიდა, გაუიარა იორდანიის წყარო, ამოისხა და წაიღო ასე შინ. შევიდა ეზოში და რას შეხედა: თავისი მამა ერთი მხრით ისურის დოლაბისმაგვარ ღიდ ქვებს კოშკის ზემოთ და მეორე მხრით ზურგს უშვერს და ისე იჭერს. დოლაბი ქვის ნაცემი თავი, მხრები და ზურგი ყველა სისხლით აქვს შეღებილი. ამირანმა დაინახა გასულელებული თავისი მამა და სიბრაღულით ცრემლები ჩამოცვინდა. გადახტა ამირანი თავის მამასთან. მიასხა იორდანიის წყალი და იმას მაშინვე გონი დაუბრუნდა. ამან თვალები დაიფშვნიტა და ჰკითხა ამირანს: „რა არის, რა დაემართა და შენი ძმები სად არიან?“ - „ძმები მალე მოვლენ, მამა, ნუ გედარდება“. ამასობაში ძმებიც მოვიდნენ და ცოლები თან ახლდათ. ამათ შეხედა ივა ხელმწიფემ, მაშინ სიხარულით კინალამ გასულელდა. ესენი შევიდნენ ყველანი სახლში და ამალამ კარგი ღამე გაათიეს. მეორე ღღეს შეტყაობინეს ორომ მეფეს და, როცა ესენი მოვიდნენ, ამათ ისეთი ქორწილი გამართეს, რომ მაგალითი არ იყო. არიან

ასე კარგ გუნებაზედა აქვთ, ლხინი და სიხარული. ამირანს ქრისტეს თავსდები გატეხილი აქვს და არ ეცხოვრება (არ უნდა იცხოვროს). ერთ ღღეს მინდორში იყო და ისე ერგენა უბრალო კაცისმაგვარად თავისი ნათლია ქრისტე და შეუბერა ამირანს და შეაგდო დიდი მალალი კლდის გამოქვაბულში. ამირანი იმაში დარჩა და დალოცვილიმც ვიყოთ.

მთქმელი ზაქარია გურჩიანი, ჭუბერი, 1944 წ.

ჩამწერი – გულგდანი;

მთარგმნელი – ალი დავითიანი

2. ამირანი

ერთ უდაბურ ტყეში, რომლის წვერები ცას სწვდებოდნენ, ამართული იყო წვრილი, მაგრამ ძლიერ მაღალი კლდე. ამ ტყის მახლობლად სცხოვრობდა ერთი მონადირე, რომელიც დროგამოშვებით ნადირობდა ხოლმე ამ ტყეში. ერთ დღეს, ბევრის სიარულის შემდეგ, მონადირე მივიდა ამ კლდის ძირას. კლდიდან რაღაც ხმა მოესმა, რომელიც ქალის კივილს ჰგავდა. ამ კივილმა მონადირის ყურადღება მიიქცია. ახედა კლდეს და ისეთი მაღალი აღმოჩნდა, რომ თვალი ვერ სწვდებოდა. ასულა მოინდომა კლდის წვერზე, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. მაშინვე შინ დაბრუნდა. შინ ჰყავდა ცოლი, ძლიერ ანჩხლი და, ამასთანავე, კოჭლი. ცოლს უთხრა ზვალისთვის საგზალი გამოაცხეო, და თვითონ მჭედელთან გასწია, რომელსაც ერთი გუდა სატეხი და ერთი რკინის ზედი შეუკვეთა (ზედს – კვეყოს ეძახიან რაჭაში, სვანურად „ყვამა“ ჰქვია). დილისთვის ცოლმა საგზალი მოუმზადა, მჭედელმა – სატეხი და ზედი. ადგა მონადირე და კლდისკენ წავიდა. მივიდა ძირში. მოსდგა და დაუწყო სატეხის მიჭედვა კლდეზე: რამდენ სატეხსაც მიაჭედებდა, იმდენს საფეხურს აკეთებდა და ზევით და ზევით იწევდა. როდესაც ერთი გუდა სატეხიც გამოელია და ზედიც გაუცვდა, კლდის თავზედ აღწია. კლდის თავზედ კარის მინაგვარი შესასვლელი ნახა; შევიდა, შიგნით გამოქვაბული იყო და ამ გამოქვაბულში დალი იწვა. დალი გასაოცარი სილამაზისა იყო, ოქროს ნაწნავები ჰქონდა. შეხედეს თუ არა დალმა და მონადირემ (მონადირეს სახელად „დარჯელანი“ ერქვა) ერთმანეთს, მაშინვე ერთმანეთი შეუყვარდათ; გადაეხვიენ ერთმანეთს და რამდენიმე ხანი უგრძობლად იყვნენ. ამ დღეს მონადირე აქ დარჩა, დალთან დაწვა. თუმცა დალი სიტყვით ერთად დაწოლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ სიყვარულმა სძლია და ვერაფერი გააწყო. მეორე დილას დალმა მონადირეს უთხრა დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ მონადირე არ დათანხმდა, მეორე დამესაც ერთად იყვნენ. ახლა კი დალმა უფრო მკაცრად ურჩია მონადირეს სახლში წასვლა. წადი შინ, ეუბნებოდა დალი, თორემ შენი ცოლი მეცარია (გულთმისანი). იგი

ყველა საღამოს მიჩვეულია შენს სახლში დაბრუნებას, რომ აღარ მიხვალ ამდენს ხანს, იფიქრებს რასმე, გამოყვება შენს კვალს, მოვა და რაიმე ხიფათს გადაგვკიდებს. შენც არ მომიკვდე, მიუგო მონადირემ, ჩემი ცოლი კოჭლია, სახლში ძლივს დაფორთხავს და აქ რა მოიყვანსო. ამ ღამესაც მონადირე დალთან დარჩა.

მონადირეს ცოლს მართლა უკვირდა, რომ მისი ქმარი, ეს შესამე დღე სახლში არ დაბრუნებულა. ორი ღამეც მოიცადა, მესამე დღისთვის კი დაიმზადა საგზალი, გამოუდგა ქმრის კვალს, რომელმაც კლდის ძირში მიიყვანა. აპყვა კლდეს, თავში ავიდა და შევიდა იმ გამოქვაბულში, სადაც მონადირე და დალი ერთად იწვნენ და ებინათ. მონადირის ცოლმა დალის ოქროს მაკრატელი მონახა, დაღს ოქროს ნაწნავეები წააჭრა, ნაწნავეები და მაკრატელი თან დაიკავა და დაბრუნდა სახლში. მეორე დილას მონადირეს და დაღს გამოეღვიძათ. დაღმა ასწია თავი, მჩალტეთ მოჩვენა, მოისვა ხელი, ნაწნავეები აღარ აქვს. ადგა უცებ მაკრატელის სანახავად, არსად იყო. შეწუხდა, მიუბრუნდა მონადირეს და უთხრა: ჩემი ცოლვა გქონდეს, ხომ გითხარი, რომ შენი ცოლი ამას გვიზამდა. ეხლა ჩემი სოცოცხლე აღარ ღირს, აიღე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე, რადგანაც მე შენს ხელში დავორსულდი და გამოიღე შვილი. ვაჟი თუ აღმოჩნდეს ჩემი შვილი, სახელად ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა ის დაარქვი. ჩემი შვილი „ჭაბუკი“ (გმირი) გამოვა. მას რომ ჩემს მუცელში დასცლოდა, ისეთი იქნებოდა, რომ თვით ღმერთს შეებებოდა, ეხლა კი ნაკლები იქნება; შენ მაინც ასრულე, რაც მე დაგობარო. როცა ჩემს მუცლიდან გამოიღო შვილი, სამი თვე დეკეულის ფაშეში შეინახე, შემდეგ სამი თვე — კუროს ფაშეში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს. შემდეგ აკვანში ჩააწვინე, აკვნიანათ წაიღე და იამანისა (კაცის სახელია) წყაროზედ დადგი. იქ გამოივლის მისი მომნათლავი და მონათლავს; შემდეგ ის ეტყვის ყველაფერს, რაც მისთვის საჭირო იქნება. მონადირე შეწუხდა, გაჭრაზე უარი სთქვა, მაგრამ დალი არ მოეშვა და ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო. ხელების კანკალით გაუჭრა დაღს მუცელი, რომლიდანაც გამოვარდა მზის მსგავსი ვაჟი. დაღის დაბარებული ყველა ას-

რულა, მიიტანა აკვნით იამანის წყაროზე და იქ დადგა, თვითონ კი სახლში დაბრუნდა. იამანის წყაროზე გამვლელ-გამომვლელი მიდიოდა, ხედავდნენ აკვანს, რომელშიაც ყმაწვილი იწვა და ეკითხებოდნენ: ვინ არის შენი დედ-მამა ან შენი მომნათლაჲვი? დედ-მამა არ ვიცი, ვინ არის, მომნათლაჲვი კი ჩემი ბატონი ანგელოზიაო, უპასუხებდა ყმაწვილი. ამ დროს ჩამოიარა ანგელოზმა, ჰკითხა ყმაწვილს ისევ, რასაც სხვები ეკითხებოდნენ. ყმაწვილმა იგივე პასუხი გასცა ანგელოზსა, რომელმაც სამჯერ მისცა კითხვა. მაშინ ანგელოზმა გააგებინა თავისი ვინაობა, მონათლა, სახელად „ამირანი“ დაარქვა, მისცა ხანგარი, დაუბარა: ეს პაიჭში შეინახე და, სანამ ძლიერ არ გასჭირებოდა, არსად ეხმარა. შემდეგ ანგელოზმა დალოცა ამირანი და უთხრა, რომ ქვეყანაზე შენი მომრევი არავინ იქნებაო და დასტოვა. წყაროზე იმანის მეწყლეები მივიდნენ, ამირანს, აკვანში მწოლიარეს, დაცინვა დაუწყეს. ამირანს ეს ეწყინა, ადგა აკვნიდამ, თავები ერთმანეთს მიურახუნა, წყლის ჭურჭლები დაუმტვრია და ისე გაუშვა დამცინავნი: იმანს უამბეს, რაც წყაროზე შეემთხვათ. იმანს ამ ამბავზე გული მოუვიდა, ადგა და თვითონ წავიდა წყაროზე. აქ მან ნახა აკვანში მწოლიარე ყმაწვილი, გაუხარდა, თქვა, ეს ჩემი შვილების უსუბისა და ბადრის ძმად გამოდგებაო; აიღო აკვნით ყმაწვილი და შინ მიიტანა. იმანის ცოლს გაუხარდა ყმაწვილის მოყვანა, უსუბისა და ბადრის დამრწვევად გამომადგებაო. დღეს არაფერი, მეორე დილას იამანის ცოლი ძროხების მოსაწველად წავიდა. უსიბი და ბადრი აკვანში ჩააწვინა, ამირანი შუაში ჩააჯინა. დაუბარა, აკვნები ერწია კარგათ, რომ მის შვილებს არ ეტირნათ და თუ, რასაც მე გეუბნები, - დაუმატა იმანის ცოლმა, - კარგათ არ აგისრულებია, ვაი შენს ყოფასო. როდესაც დედა შვილებს გასცილდა, გულმოსულმა ამირანმა უსუბის აკვანში სადგისი ნახა, აიღო და ერთი უსიბს სჩხვლიტა და მეორე ბადრს. ბავშვებმა ტირილი მორთეს. დედას გული მოუვიდა და დაუყვირა ამირანს: ყველაფერი გამიწყდეს, კარგათ თუ არ გირწევია ჩემი შვილები, არ მოვიდე და შავი დღე არ დაგაყენო. ამას ჩემს შვილებს შენ კი არა, დალის შვილი ამირანიც ვერ გაუბედავსო. ამირანმა დაბალის ხმით წაიდუღლუნა: ჰე! ეხლა არა ვარ, თორემ ისე კი

დღის შვილი ამირანიც ვარო. აჰანის ცოლმა რომ ეს გაიგონა, ძროხების წველას თავი დაანება, გახარებული მივარდა ამირანს და დაჰკოცნა; მაშინვე რძეში დაბანა და ქანთხის (რალაც წმინდა და სათუთი ქსოვილია) ნაჭერში გახვია. ამ დღის შემდეგ ისე უვლიდა ამირანსაც, როგორც თავის საკუთარ შვილებს. აჰანი და მისი ცოლი სიხარულით აღარ არიან, რომ ღმერთმა ამისთანა გამოუგზავნა მათს შვილებს: სამნივე ყმაწვილები წამოიზარდნენ; ჭაბუკობის (გმირობის) ჰასაკში მოვიდნენ. ყოველ ცისმარე დღეს გავლენ მინდვრად — ვისაც შეხვდებიან ზემოთ (აღმოსავლეთით) მიმავალს ან ქვემოთ (დასავლეთით), ყველას ლახავენ და ისე უშვებენ. გაღაზულები ახლოდამ ვერ უბედავენ და შორიდან კი შემოსძახებენ: თქვენ თუ კარგი ჭაბუკები ხართ და კარგი ჭაბუკობა იცით, ჩვენ კი ნუ გვლაზავთ, მამითქვენის, იამანის, თვალს რომ დაემართა, ის გაიგეთ. როდესაც ეს პირველად გაიგონეს, სამივე იამანის ცოლთან მიიქცნენ და სთხოვეს ეთქვა მათთვის, თუ რა დაემართა იამანის თვალს. დედა პირველად არ უმჟღავნებდა შვილებს იამანის თვალის ამბავს და პირველს დაკითხვაზე ასე მიუგო: იამანს ყვავილი სჭირდა და იმან გაუფუჭა თვალი, სხვა თქვენც არ მომიკვდეთ, იამანის თვალს არაფერი დამართოდესო. ორჯერ ამნაირი პასუხი მისცა დედამ და მესამედ კი რომ გამოეტეხათ იგი, ამირანმა, უსიბმა და ბადრიმ შემდეგი ხერხი იხმარეს: მინდვრიდან გულმოსულად დაბრუნებულებმა იამანის ცოლს უთხრეს, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები გამოაცხვეო სამივესთვის. დედა ყაბულს გახდა. როდესაც დედამ პურები ნაღვერდალში ჩაყარა, ამირანმა და უსუბიმ გამოიღეს ორი ცხელი პური, ერთი ერთ ძუძუზე მიადვეს იამანის ცოლს და მეორე — მეორეზე და უთხრეს: ან გვითხარი იამანის თვალის ამბავი ნამდვილად, ანდა ძუძუებს დაგწვავთო. მეტი ღონე აღარ იყო, იამანის ცოლმა, როგორც იყო საქმე, ისე მოუყვა. იამანის ერთი დევი ჩაემტერა, — დაიწყო ქალმა, — ბეგარა დაგვადვა. როდესაც უსიბი და ბადრი დაგვებადა, მოვიდა ეს დევი და ერთ-ერთი — ან უსიბი ან ბადრი ითხოვა; თუ ამათ ვერ შეეღვეითო, მაშინ იამანის მარჯვენა თვალი მინდაო. იამანმა შვილი ველარ გაიმეტა, მის მაგიერ თვალის მოთხრა არჩია და კიდევაც მისცა დეკსო.

შვილებმა და ამირანმა რომ ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე შე-
ულდნენ ღვეთან საბრძოლველად მომზადებას. იამანს სთხოვეს
რკინის შვილდ-ისარი ეშოვა მათთვის. იამანმა უპოვნა. გასინჯეს,
მოსწიეს. ამირანს ვერ გაუძლო და გაუტყდა. მაშინ ამირანმა
ცხრა ოყა იშოვა. თავისი ხელით წაიღო მჭედელთან და გააჭედ-
ვინა. მეორე ღღეს სამნივ წავიდნენ ღვეთან საბრძოლველად. ია-
რეს, იარეს, შორს მინდორში ერთს ღვეს შეხვდნენ; მას მშვენიე-
რი სავაშლე ადგილი აქვს და ვაშლის ხეების წვეშ ჯოგი უწევს.
ღვემა რომ ესენი დაინახა, შესძახა: კარგი ბიჭები მაშინ იქნებით,
თუ ჩემს ვაშლის ხეებს ერთს ვაშლს ჩამოაგდებინებთ და მეორეს
ესვრითო. უსიბი და ბადრი ბერს ეცადნენ, მაგრამ ერთი ვაშ-
ლიც ვერ ჩამოაგდებინეს; ესროლა ამირანმა თავისი შვილდ-ისა-
რი, ერთის მხრით ვაშლი სულ ჩამოყარა, მეორეს მხრით შეაყა-
რა. ღვემა მეორე უთხრა: თქვენ თუ კარგი ბიჭები ხართ, აბა
სცადეთ, თუ ჩემის ჯოგიდან ერთი ცხვარი ააყენოთ და მეორე
დაწვინოთ თქვენს ნებაზე. უსიბმა და ბადრიმ ვერც ერთი ვერ
შეიძლეს; ამირანმა კი ჯერ ააყენა მთელი ცხვრის ჯოგი და მერ-
მე ისე მაგრად დასცა მიწას, რომ კინაღამ მთელი ჯოგი ამოწ-
ყვიტა. ღვეს ამაზე გული მოუვიდა. მოსდვა ჯოხს ხელი, ამირა-
ნიც შიგ მოატანა და თავის სახლში შეყარა. კარები შეგნიღამ
გამოხურა, უსიბი და ბადრი გარეთ დატოვა. ვახშმად ღვემა ოთ-
ხი ცხვარი მოხარშა; ხორცს თვითონ სჭამდა, ძვლებს კი ზურგს
უკან კუთხეში ჰყრიდა, სადაც დაბმული ჰყავდა რკინის ჯაჭვით
თავისი და. დაწოლის დროს ღვემა თქვა, ამაღამის ვახშამში ეს
იყოს, ხვალ ჩემი საუზმე ამირანი იქნებაო და კიდევაც დაწვა.

როცა ღვემა დაიძინა, ამირანი ღვეის დაბმულ დასთან მივი-
და. სთხოვა რაიმე ხერხი მასწავლეო, რომ ღვეი მოკლათ. ღე-
ვის დამ უთხრა: ჩემს ძმას სხვა არაფერი მოჰკლავს, თუ არა
მისივე ხმალი, რომელიც ზეთში აქვს დალბობილი. ხმალი ისე
მაგრათ არის ჩადებული ზეთში, რომ მარტო შენ მისი ამოძრობა
არ შეგიძლია, მაგრამ ჩემს ძმას აქვს წემაში (ჯამბარა, თასმა
მსხვილად გრეხილი). ჯერ შენ ის წემაში მომიტანე, ერთი მისი
წვერი ხმალს მოაბი მაგრად, მეორე წვერზე მე მომაკიდინე ხე-
ლი, ორივე წამოვსწევთ და ხმალსაც ამოვიღებთ. როდესაც ხმა-

ლი ხელში გექნება, მიდი ჩემს ძმასთან, მაგრამ არამც და არამც არ დაჰკრა ხმალი, მხოლოდ დაადევი კისერზე და თვითონ მოსჭრის კისერსა. ამასთანავე, ღვეისა ღამ ქრისტე სთხოვა თავღებათ(ქრისტეე თასღვებ-ს იგივე მნიშვნელობა აქვს სვანეთში, როგორც პატიოსან სიტყვას. როგორც პატიოსანი კაცი პატიოსანს სიტყვას არ გადაუღვება, ისე სვანი - „ქრისტეე თავსღვებ“-ს) ამირანს, რომ, როცა ღვეს მოკლავდა, იგი აეშვა და არაფერი ევნო. ამირანმა მისცა ქრისტე თავღებათ, მონახა წემაში, მოაბა ხმაღს, მეორე წვერი ღვეის ღას მისცა ხელში. წამოსწიეს ორივემ ღა ღიღის გაჭირვებით ამოაძერეს ხმაღი ზეთიღან. ამოდრობის ღროს ხმაღმა ისეთი ხმა გამოიღო, რომ ღვეს გამოეღვიძა, მაგრამ ისეე ჩაეძინა. ამირანმა ხმაღი ღვეის კისერთან მიიღანა, დაღვა, ხმაღმა უქნეღლად დაუწყო კისერს ჭრა. შუამღის რომ დაღიდა მარტო მაშინ იგრძნო ღვემა, დაიწყო ფართხალი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ამნაირად ამირანმა ღვეი მოჰკლა. ღამ განთავისუფღება სთხოვა ამირანს. განთავისუფღების მაგიერ მან კისერი მოსჭრა ღა ამნაირად გასტეხა ქრისტეს თავღებობა.

ამის შემღვე ღვეის ყოფა-მოსახღობა ამირანს ღა მის ამხანაგებს ღარჩათ. რისაც წაღება შეიძღებოღა, წაიღეს, რისაც არა – ღასტოვეს ღა თვითონ გზად გასწიეს. იარეს იარეს ღა ერთ ნაძვნარში შევიღნენ. აქ ერთი კღღვა, თავში ღვეი ზის ღა მატყღს ართავს. ჩერიად (თითისტარად) ნაძვის ხე აქვს, ჯარაიღად – ღოღებ-შირა (წისქვიღის ქვა). ამ ღვეს წაეღო იმანის თვაღი. ღვემა რომ ამირანი ღა მისი ამხანაგები ღაინახა, დაუძახა: ვიღაც აქ საში ბუზი მოღიხართ, უკან დაბრუნღით, თორემ თქვენს რბიღსაც (ხორცს) შევეჭამ ღა ძვაღსაც დაეზრავო. ამირანმა მიუგო: შე ბიღწო, ჯერ სცადე შეჭმა ღა მერმე დაიქაღნეო! ღვეს გული მოუვიღა. რთვას თავი დაანება ღა კღღის ძირს ჩამოვიღა ამათთან საბრძოღვეღად. იბრძოღეს ღიღხანს შეიღღღისრით. ამირანი ერთს ისარს თავის წიღად ახვეღრებღა ღვეს ღა ორს უსიბიღსა ღა ბაღრის მაგიერ. ბოღღოს ორივე მხრით დაიღაღღნენ. ღვეი (ვარიანტი – გვეღემაპი) ამირანს მიუახღოღვა, გააღო პირი ღა გადაყღაპა. უსუბი ღა ბაღრი აქ მიატოვა, თვითონ თავის სახღში შევიღა. ეზოში შესეღღის ღროს ბაღრი ღვეს

დაეწია და კუდი მოსჭრა. დევს სახლში შესვლისთანავე მუცელი ეტკინა. ვაიმე დედავ, მუცელი მტკივა, ეუბნება დედას, მივარდება სვეტს, უხახუნებს, უნდა ამითი გაიქარვოს მუცლის ტკივილი. მაგრამ დედა რომ შვილის ამგვარ წვალებას ხედავს, ეკითხება, ხომ არავინ გინახავს დღესო? დევმა მიუგო, რომ სამი ბუზი ვნახე, ერთი კიდევაც ჩავეყლაპეო. ვაი შენს დედას, თუ სადმე დალის შვილი, ამირანი, გადაგეყლაპოსო.

ამასობაში ბადრი და უსიბი დევის სახლში სარკმელს მოსდგომიან და დევის ლაპარაკი ყველაფერი ესმით. ამათ შემოსდახეს ამირანს:

- ამირან ალამ ჩალამსა მუხლსა ჩავედვა ხანგარი:

ავს ალაგს დასძინებული (ხარ) დიდს მუცელს გველეშაპისა;

შენ რომ პაიჭში ხანგარი გაქვს გარჭობილი, ამოიღე და უცხუნე დევს გვერდებში აქეთ-იქით. ამირანმა ეს გაიგონა, თქვა თავის გულში: მართალი არ არის, ამაზე უარესი გაჭირვება როდის დამიდგებაო. ამოიძრო ხანგარი და უცხუნა ფერდებში დევს. დევმა ყვირილი მორთო: ოლონდ ნუ მომკლავ და გერჩიოს, პირიდან ამოგიშვებ, გერჩიოს, უკანიდამო. ამირანმა გაჯავრებით მიუგო: შე ბილწო, ან შენი ამორწყეული თავი რად მინდა ან და უკვნით გასვლაო. აბა, უთხრა დევმა, გამოიღე ძვალი გვერდისა და იქიდან გამოდიო. ამირანმა მთელი გვერდი ამოუღო და გამოვიდა; ერთი თვალი აკლდა. ეხლავე გამიკეთე თვალი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო, უთხრა ამირანმა. დევმა უთხრა: ცოტა დვიძლს მომჭერი, ცოტა ფილტვებს, მოისვი თვალის ადგილას და უკეთესი მოგებმება უწინდელზე. ამირანმა ბლომად დვიძლს მოსჭრა, ბლომად ფილტვებს, მოისვა თვალზე და მთელი თვალი დაუბრუნდა. შემდეგ დევმა სთხოვა, გვერდი ისევ გაეკეთებინა. ამირანმა გვერდის მაგიერ ხის ჩელტი მიუყენა. (ამირანს რომ ჩელტი არ მიეყენა, ქვეყანა დაილუპებოდა: როცა მზე ბნელდება – დევი (გველეშაპი) ყლაპავს. მზე ხის გვერდს მალე, სწვავს და ისევ გამოდის ქვეყნის სანათებლად. ასე ამბობს ხალხი). ამას რომ მორჩნენ, ამირანმა დევს იამანის თვალი მოსთხოვა. დევს შეეზარა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა; უჩვენა სახლის სვეტი (ბოძი) და უთხრა, რომ მაგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში – კოლოფი და იამა-

შია შენახული იამანის თვალიო. ამირანმა მონახა თვალი. დევი აქ მიატოვეს და თვითონ სახლში დაბრუნდნენ. იამანს თვალი შეუყენეს და რამდენიმე ხანი დაისვენეს აქ.

გავიდა ხანი. ამირანს ჭაბუკობა მოუნდა. იამანს სთხოვა, თავისი შვილები უსიბი და ბადრი სახლში დაეკაებებია, რადგან გაჭირვების დროს ივინი უფრო ხელს მიშლიან, მანამ მეხმარებიანო. უსიბმა და ბადრიმ რომ ეს გაიგეს, ძლიერ შეწუხდნენ, შეეხვეწნენ ამირანს, ივინიც წაყევანა საჭაბუკოდ: უშენოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიანო. დათანხმდა ამირანი და წავიდნენ საჭაბუკოდ. იარეს ბევრი. ერთს მინდორში სამი დევი შეხვდათ. მათ მოაძახეს, რა კარგი ჭაბუკები იქნებით, რომ ერთი თქვენთაგანი კეკლუცა კეისარის ქალიშვილის „ქეთუ“ ნათბიანს იშოვნიდესო. იმისი შერთვა ბევრმა ჭაბუკმა მოინდომა, მაგრამ ვერავინ შესძლოო. ამირანმა ჰკითხა, თუ სად არის ეს კეისარი ან ქალიშვილი ქეთუ სადა ჰყავს? დევებმა უჩვენეს კეკლუცას საკეისრო და უთხრეს, რომ ქალიშვილი ქეთუ ყავს კოშკში, რომელიც ცაზე ჩამოკიდებული ჯაჭვით. მიატოვეს დევები და გასწიეს კეკლუცას საკეისროსკენ. გზაზე ზღვას მიაღვინენ. ერთობ დიდი იყო და გასვლა არ შეეძლოთ. აქეთ ნახეს ერთი დევის ქალი. ამირანმა ჰკითხა დევს. ეგებ გზა იცოდეთ კეკლუცას საკეისროში? მან მიუგო, რომ სხვა გზა არსად არ არის და, თუ შემთხვევით, ზღვაზე მე წავიყვანთო. ამირანმა ქრისტე მისცა თავდებათ. ქალმა მოიჭრა ერთი ნაწნავი და ზღვაზე გადაეჭოლოკად. ამ ნაწნავზე გავიდნენ ჯერ უსიბ და ბადრი, შემდეგ ამირანი და ბოლოს დევი უნდა გამოსულიყო. შუა ზღვაში რომ მიაღწია, ჰკრა ამირანმა ხანგარი ნაწნავს და გაწყვიტა; დევი ზღვაში ჩავარდა. აქ ამირანი მეორედ გაუდგა ქრისტეს თავდებობას.

ხმელეთზე ბევრი იარეს. ერთს მინდორში ამირანი და მისი ამხანაგები შეხვდნენ კაცს, რომელსაც „ანდრეროები“ ერქვა სახელად. ანდრერობი ისეთი დიდი რამ იყო, რომ ცხრა უღელი ხარკამეჩი ება ურემს, რომელშიაც იწვა, აუარებელი ხალხი ეხმარებოდა, მაინც ძლივს მიქონდათ, ანდრერობი მიჰყავდათ დასამარხავათ, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სიმძიმის გამო საფლავამდე ვერავინ მიიტანდა და დაუმარხავი დარჩებოდა. ურმიდამ ანდრერობს

ერთი ფეხი გადმოვარდნოდა და მიწაზე მიათრევედა. მისი სიმძიმე გუთანვივით თხრილს სტოვებდა მიწაზე. ამდენს ხალხს არ შეეძლო ფეხი ურემშივე შეეღვა. ამირანმა რომ ყველა ეს ამბავი გაიგო, მოსდვა ანდრერობის ფეხს შვილდის „გოზა“ და ფეხი ურემში შეაგლო. ანდრერობს გაუკვირდა: ვინ გამოჩნდა ასეთი ღონიერი, რომ ჩემი ფეხი ასე ადვილად შემოაგლო ურემშიო. ხალხმა ამირანზე მიუშვირა ხელი. ანდრერობმა ამირანს ხელი სთხოვა, უკანასკნელს შეეშინდა, ვა თუ ამისთანა ღონიერმა კაცმა მაგრა მომიჭიროს და ხელი დამამტკრიოსო. აილო და ხელის მაგიერ ფიქალი ქვა (ჩერხა) მისცა. ანდერობმა მოუჭირა ფიქალს და წვენი გააშვებინა. ანდრერობმა კიდევ სთხოვა ამირანს ხელი მიეცა. მისცა ამირანმა. ანდრერობმა ქრისტე დააფიცა ამირანს, რომ მისი შვილი ეძმო და არასოდეს ეღალატა. ამირანმა ქრისტე დაუყენა თავდებად. ანდრერობი თავის გზაზე წაიღეს, მისი შვილი ამირანმა თან წაიყვანა, სადაც მიდიოდა. იარეხ ბევრი. ამირანს ძილი მოეკიდა და დაიძინა. იმის ძილში ანდრერობის შვილმა ორი ირემი (ვარიანტი: ორი მწვეარი მალაღის ღმერთისა) დაიჭირა ხელით და იქვე ჩამოჰკიდა ხის შტოზე. ამირანმა რომ გაიღვიძა, შეხედა ირემებს და იკითხა ამბავი. როგორც გაიგო, რომ ანდრერობის შვილს დაუჭერია, ეწყინა, ჯერ ყმაწვილია, ამას სჩადის, რომ დავაჟეკადება, მე მაჯობებსო, სთქვა და განიზრახა მოეკლა და კიდევაც აასრულა. ამნაირად ამირანმა გატეხა ქრისტეს თავდებაობა. მოკლული ანდრერობის შვილი აქ დატოვეს და თვითონ გასწიეს კეკლუცა კეისართან. იარეხ ბევრი და ბოლო დროს მივიდნენ იმ კოშკთან, რომელშიაც კეკლუცას ქალიშვილი ქეთუ იყო ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებული. ამირანმა უთხრა უსიბის: შეხტი, ეგებ ჯაჭვს მისწვდე და ხმლით ჩამოსწყვიტო. უსიბმა სინჯა, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარა. ისევე სინჯა ბადრიმაც, მაგრამ ამაოდ, ბოლოს თვითონ ახტა, მისწვდა ჯაჭვს, ჰკრა თავისი ხანგარი, გაწყვიტა და ცაზე ჩამოკიდებული კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. სამივე კოშკში შევიდნენ.

ამირანმა და ქეთუმ დანახვისთანავე გაგიჟებით შეიყვარეს ერთმანეთი. შეიტყო ქეთუს მამამ კეკლუცამ ეს ამბავი, შეჰყარა თავისი საკეისრო და სამკეცად შემოარტყა კოშკს. ამირანმა რომ

შემორტყმულს ჯარს შეხედა, ცუდ გუნებაზედ დადგა; უთხრა უსიბს, გასულიყო და ეომნა ჯართან. გავიდა უსიბი, ერთი კეცი ჯარი მოსწყვიტა, ბოლოს კეკლუცასთან მიაღწია; ამან სული შეუბერა უსიბს და მაშინვე დაახჩო. მეორედ გაგზავნა ბადრი; ამანაც ერთი წყობა ჯარი დახოცა, ბოლოს კეკლუცასთან მივიდა. კეკლუცამ შეუბერა სული და ეგეც დაახჩო. შეწუხდა ამირანი. თვითონ უნდა წასულიყო საომრად. მაშინ ქეთუმ შემდეგი ღარიგება მისცა ამირანს: მამაჩემს თავზე დოღებ-შირა ახურავს, რომელიც უკანიდამ ზედ კისერთან მობმულია ოქროს „განთხით“ (მარღვი). როდესაც მამაჩემთან მიხვიდე საბრძოლველად, ეცადე ეს განთხი როგორმე შეაჭრა, მაშინ ლოდებ-შირის სიმძიმე წინ წასძღვეს, თავს დააღუნინებს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰკარი ხანგარი და მაშინვე თავს მოსჭრიო. თუ არ ასე, სხვებრ მამაჩემს შენ ვერაფრით ვერ მოჰკლავ.

ამირანმა ქეთუს ღარიგება დაიმახსოვრა. გავიდა ჯარში, ერთი კეცი ჯარი, რომელიც უსიბსა და ბადრის გადაურჩა, დახოცა, ბოლოს კეკლუცასთან მივიდა. კეკლუცამ შეუბერა, ამირანი ჩოქებზე დაეცა. მარღათ მოიმართა ამირანმა, მოიქნია ხანგარი და კეკლუცას განთხი მოაჭრა. დოღაბ-შირამ წინ წასძღია. კისერი გამოუჩნდა, შეუბრუნა ამირანმა მეორედ ხანგარი, კრა კისერზე და თავი წააგდებინა. შემდეგ შევიდა კოშკში ქეთუსთან და მწუხარება დაიწყო, რომ უსიბი და ბადრი ორივე დახოცილები არიან, უიმათოდ ჩემი შინ წასვლა შეუძლებელია, რა უნდა უთხრა იმათ მოხუც დედ-მამას, რომ არც ერთ შვილს შინ არ მივუყვანო. ქეთუმ ჰკითხა: გამოიცნობ თუ ვერა იმათ დახოცილ კაცებშიო. ამირანმა-კიო, რადგანაც უსუბს ბეჭებშუა მზის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრის — მთვარის მსგავსიო. ჩერთენენ ამირანი და ქეთუ მკვდრებს, დაუწყეს ძებნა უსიბსა და ბადრის. როგორც იყო, ნახეს. ქეთუმ თავისი პირსახოცი გამონახა, წაუსვა ჯერ უსიბს, მერე ბადრს და ორივენი გაცოცხლდნენ. გაუხარდა ამირანს, რომ ქეთუ ცოლად იშოვა და უსიბი და ბადრი ცოცხალი მოჰყავს სახლში. მოსდევს ხელი კეკლუცას ქონებას, თან წამოიღეს და განარებულნი წამოვიდნენ იამანთან. იამანსაც ძლიერ გაუხარდა, რომ ამირანი და მისი შვილები მშვიდობით და

გამარჯვებით მოუვიდნენ სახლში. ამირანმა გადაჭრით უთხრა იმანს, რომ ამიერიდან მის შვილებს არსად წაიყვანს, რადგანაც ისინი ვერ უწვევენ ჭაბუკობას. ამირანი ამის შემდეგ ცალკე ჭაბუკობდა. მისი შემბმე და გამძლე არაფერი გაჩნდა ქვეყანაზე. ერთს დროს იქამდის მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი ველური ღორი გაუშვა და სამუ მუხა დატოვა. თავის სიცოცხლეში ამირანმა ღმერთს ბევრი აწყენინა, მაგალითად: სამჯერ უარყო ქრისტეს თავლებობა და სხვა. ამგვარის ქცევისათვის ღმერთმა დასაჯა იგი: შეაბა რკინის დიდი ჯაჭვი და რკინისავე პალოს მიაბა. ამირანთან დააბა ღმერთმა აგრეთვე ყურმა (ძალღის სახელია), რომელსაც ბევრი ღვთის საყვარელი ჯიხვი გაეწყვიტა. წლის განმავლობაში ამირანი და ყურმა ყოველ დღე სჭიმავდნენ რკინის ჯაჭვს და პალოს ზევით და ზევით სწევდნენ, იქამდის მიიყვანდნენ პალოს, რომ ესეც არის ამოძვრება მიწიდან, მაგრამ ამ დროს ღვთის განგებით ჩიტი მოფრინდება და პალოზე დაჯდება. გულმოსული ამირანი მოუქნევს ჩიტს რკინის კვეთს, ჩიტი აფრენას მოასწრებს, კვეთს პალოს მოხვდება და ისევ ძირამდის ჩაერჭობა. ასე იმეორებდა ყოველ წელს.

ყურმა ორბის ლეკვია. ორბს, სვანების სიტყვით, სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი ეყოლება ხოლმე. დედა ორბი ამ ლეკვს გამოჩეკვისთანავე აიყვანს ძლიერ მალლა, მალლიდან გამოუშვებს და მიწაზე დაახეთქებს, რომ კაცმა არ ჩაიგდოს ხელში და არ გაზარდოს. ხსენებული ყურმა ჩამოგდების დროს უშოვნია ერთს მონადირეს და კიდევაც გაუზრდია. მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს. ისეთი გამოდგა, თურმე, რომ ორს ნახტომზე ჯიხვს ეწეოდა, მესამე ხტომას სათაკილოდ სთვლიდა. რაკი ბევრი ჯიხვი გააწყალა, ამისთვის, როგორც ნათქვამია, ღმერთმა დააბა იგი ამირანთან. ამ ყურმაზე შემდეგი ლექსია დარჩენილი ხალხში, რომელშიაც სხვათა შორის გამოხატულია მისი პატრონის, მონადირის, გლოვა, როდესაც ყურმა დაჰკარგვია:

ყურშაო, ჩემო ყურშაო! გამქარვა (გამიქრა) გამიქრა,
შუა-ღამითა, ღამითა, ვაჟი თუ გეკადროს, გეკადროს.

ღვაჭარს (ვაჭარს) მიჰყავდე, მიჰყავდე! ვაჟი თუ გეკადროს, გეკადროს.

ქაჯმა მომპარა, მომპარა (მოგპარა)! ყურშას ყურ-ტუში,
ყურ-ტუში,

ოქროს გასხია, გასხია; ყურშას თვალები, თვალები,
თვარესა ჰგავდა, თვარესა; ყურშას ყოფილი, ყოფილი
(ყეფა),

რუხუნსა ჰგავდა ცისასა ყურშას ტოტები, ტოტები, კა-
ლოს ვედენი, ვედენი (ოდენა) ყურშას ნახტომი, ნახტომი,
დიდი მინდორი, მინდორი; ყურშას საჭმელი, საჭმელი
პურის ქაბაბი-ქაბაბი. ვაჟი თუ გეკადროს, გეკადროს
ქერი ნაბურჯი, ნაბურჯი! ყურშას სასმელი, სასმელი,
ღვინო ბადაგი, ბადაგი, ვაჟი თუ გეკადროს, გეკადროს,
ღვიარი წყალი (მღვრია). ყურშას ლოგინი-ლოგინი სა-
ბანბუმბული-ბუმბული, ვაჟი თუ გეკადროს, გეკადროს ბურ-
ღის ნაძომი-ნაძომი! ყურშაო ჩემო ყურშაო!

აღწა ლომი ხარ, ლომი ხარ, ჩაღმა კაკაფი, კაკაფი (კაკა-
ბი),

ხმელეთის ფალვანდი-ფალვანდი, გულვა (ზღვაში) კვალ-
მანდი, კვალმანდი (ხომალდი),
ჩემო ყურშაო, ყურშაო! ყურშა ვიტირე-ვიტირე,
ყურშა ვიგლოვე, ვიგლოვე, ერთ წელიწადს, ერთ წელი-
წადს.

*ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა თავისუფალმა სვანმა (ნიჟა-
რაძემ); „ივერია“, 1887. №212; „ვანური ზღაპრები“, 1893. ქუ-
თაისი (გვ. 59-72). ტექსტი დაბეჭდილია მ. ჩიქოვანის ნაშრომში
„მიჯაჭვეული ამირანი“, 1947, გვ. 355.*

3. ამირანი

აბა სულ კარგ რამეზე ყოფილიყოს მუსაიფი ამ სახლში. სადღაც არიან ერთი ცოლ-ქმარი და ქე არიან, აქვთ ძალიან ღარიბი მოსახლეობა. ერთი ხის სახლი უდგათ და ქონება არაფერი გააჩნიათ, ერთი მაკრატლის გარდა. ერთ დღეს ცოლმა უთხრა ქმარს: შე კაცო, ადექი და მაკრატელი წაიღე გასაყიდად, იქნება ისეთი ფასი აიღო, რომ ჩვენი მოსახლეობა წინ წავიდესო. ქმარმა დაუჯერა და წაიღო მაკრატელი გასაყიდად. მიდის ეს კაცუნა, მიდის და როგორღაც მივიდა ერთ დიდ მინდორში. ამ მინდორში ჩხუბობდნენ სამი დიდი დევი. ლაპარაკობენ რაღაც საქმეზე და შემდეგ დაავლებენ ხოლმე ხელს ერთმანეთს და თმის ნაგლეჯს ყრიან იქით-აქეთ. დაიღლებიან ცემა-ტყეპით და შინ დავლებიან და ლაპარაკს დაიწყებენ რაღაცაზე. ამას უყურებს ეს კაცი და უკვირს დევების საქმე. შევიდა დევებთან ეს კაცი და უთხრა: — კეთილ დღემც გვექნეთ, კარგს დევებს! — შენც სულ კარგი გექნეს, კარგო კაცო! — რატომ ჩხუბობთ, კარგო დევებო? რა გაქვთ ერთმანეთს შორის იმისთანა საქმე, რომ ერთმანეთს თმებს გლეჯთ? — ჰმ, კარგო კაცო, ჩვენ ვიყოფით (ვიყრებით), მაგრამ გაყოფაში ერთმანეთს ვერ ვურიგდებით და ამიტომ ვჩხუბობთ, თორემ ჩვენ ძმები ვართო და სადაო სხვა არაფერი გვაქვს. — მერე რა გაქვთ იმისთანა, რომ გაყოფას ვერ ახერხებთ? — მაინცდამაინც ბევრი არაფერი გვაქვს გასაყოფი, მაგრამ განაწილება მაინც გაგვიძნელებს. ჩვენ გვაქვს გასაყოფად: ერთი კიბე, მაღლიდან ძირს დასადები, მერე — ტაბაკი და ლანჩა. აი, ესენი გვაქვს. — აბა, ამათ მე ერთ წაშში გაგიყოფთ, ოღონდ მითხარი: რა სჩვევიათ ამათ, და რათ გინდათ ტაბაკი, კიბე და ლანჩა, ფენსაცმლის ძირი გამოსაკერებელი? ტაბაკი — სადაც კი დადგამ, რა საჭმელსაც მოიფიქრებ, ყველაფერი ისე ჩნდება, კიბე — რაც გინდა მაღალ კლდეს მიადგა, თავამდე აწვდება, ლანჩი — რაც ზღვაზე არ უნდა მიაყენო, მეორე მხარეზე გადაგიყვანს.

ამ კაცმა დევებს აარჩევია, რაც ყველას ურჩევნიათ, ისე, რომ ყველამ ტაბაკი აირჩია, შემდეგ — ლანჩა და ყველაზე ნაკლებ ღირსებიანად კიბე ჩათვალეს. კაცმა დევებს უთხრა: მე

მშვილდ-ისარს ვისკრი: ერთს აღმოსავლეთით (მზის ამოსავლისკენ), მეორეს მზის ჩასავლისკენ (დასავლეთისკენ) და მესამეს სამხრეთისკენ და ვინც მშვილდ-ისრის ჩხირს ყველაზე სწრაფად დააბრუნებს, მას ექნება ტაბაკი, შემდეგ – ლანჩა და ყველაზე უკანასკნელს – კიბე.

გაისროლა მშვილდ-ისარი და დევები წავიდნენ ბარბაცით ჩხირების უკან მოსატანად. დევები თვალდასანახად რომ დაიკარგნენ, ამ კაცმა დაავლო ხელი ტაბაკს, კიბესა და ლანჩას და წაიღო ტყეში. ტყეში დაიძალა და უყურებს დევების სიერს. ჯერ ერთი დევი მოვიდა (ოფლში გაწურული), შემდეგ – მეორე და შემდეგ – მესამე. დევებმა ერთიმეორეს-და შეხედეს. სტაცეს ხელი ერთმანეთს უვიცი ყვირილით და, როგორც კარგი „ძიძიბ“ (ზორცის მჭამელი სენი), ასე დაერიენ და დახოცეს ერთმანეთი. კაცმა ეს საგნები შინ წაიღო და მის ცხოვრებასაც კარგი შნო მიეცა.

ერთ დღეს ეს კაცი ადგა და წავიდა სასიარულოდ და როგორღაც შევიდა ერთ სოფელში. ამ სოფლის ყველა მცხოვრებს თითო თედო გამხმარი აქვს. მონადირეს გაუკვირდა ამათი საქმე და ჰკითხა ერთს: – რატომაა ეს, რომ თითო თედო ყველას გამხმარი გაქვთ ამ სოფელში? – რატომ და, აი, ამ კლდის თავში იღებს (აბამს) რაღაც ყოველ ცხრომის კვირას (მახა მიშლადლ) იმგვარ კივილს, რომ მისკენ რომელი თედოც გვექნება, ის ყველას შემოგვახმება ხოლმე. ამიტომ საცოდავებს ყველა ცხრომის კვირას მხოლოდ გამხმარი თედოლა გვაქვს იქეთკენ, კლდისკენ მიქცეული. – იმ მკივანას რომ ვინმე მოგაშორებდეთ, რაღა შეგიძლიათ მისი გულისთვის? – ჰმ, იმას ვილა უშველის, თორემ მაშინ თითო უღელ ხარს ყველა მიცემთ მოსახლის რიცხვზე. მონადირემ კიბე მიადგა კლდეს და ავიდა კლდეზე. კლდის თავზე ხერელში შევიდა. ამ ხერელში შეხედა ძალიან გასაკვირ რამეს: ოქროს ტახტზე სძინავს მზე-მთვარის უნახავ ქალიშვილს და ამ ქალიშვილს ასხია ოქროს ნაწნავეები. მონადირე ტახტქვეშ დაიძალა. ცოტა ხნის შემდეგ საიდანღაც მოვიდა ირმის უშობელი (დეკეული), თავისთავად დაიკლა, მოიხარშა და ტაბაკზე დაიდვა თავისით. ადგა ზეზე ეს ქალიშვილი და მიუჯდა ტაბაკს. ჭამის შემდეგ დაწვა და დაიძინა. მონადირე კაცი ზეზე ადგა და ეს ქა-

ლიშვილი ოქროს თმებით ტახტზე დააკრა. ცოტა ხნის შემდეგ სადგისი უჩხვლიტა ამ ქალიშვილს ქვემოდან. ქალიშვილმა იმისთანა დაიკვილა, რომ კლდეც კი შეინძრა. ქალიშვილი ეხვეწება: — ჰა, მადლი გექნეს, რაღაც ბედნიერი ბრძანდები. მომეჩვენე და, რასაც მეტყვი, იმას ვიზამ, ქალი იქნები, დები ვიქნებით, არა და, კაცი იქნები და შენ ძმა და მე და. არა, აშენებულო, ცოლქმრობის თანახმა თუ ხარ, მოგეჩვენები, არა და არა! ცოლქმრობის თანახმას ქალიშვილი არ არის.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაეძინა ქალიშვილს და მონადირე კაცმა ისევ სადგისი ჰკრა. პირვანდელივით აბღაულა. ქალიშვილმა ისევ ხვეწნა დაუწყო: — ჰა მადლი ქენი, რაღაც ბედნიერი ბრძანდები, დამენახვე და, რასაც მეტყვი, იმის მქნელი ვარ, ცოლქმრობის გარდა. არა! ცოლქმრობის თანახმა თუ არა ხარ, მაშინ მეც არა ვარ, თავის ჩვენების თანახმა. ნამეტანი შეწუხდა ქალიშვილი და დაეთანხმა საწყალი ცოლქმრობაზე. ახლა ეს კაციც გამოვიდა ტახტქვეშიდან და იმისთანა შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ იქით-აქეთ წაიქცნენ გულწასულები. ცოტა ხანს შემდეგ გონს მოვიდნენ და ამ დროის შემდეგ იყვნენ ამ ხერელში გახარებული თავის წმინდა და დაუვიწყარი სიყვარულით. ქალიშვილს რქმევია ყარანა. ცოტა ხანს შემდეგ ყარანი დაფეხმძიმა და მორჩენამდე ცოტა ხანილა იყო, როცა ყარანმა უთხრა თავის ქმარს. მადლი ქენი და ამ კვირაში ყარაულად დამადექი, თორემ შენი პირვანდელი ცოლი ირემ უშობელზე ზის, აბრეშუმის „სარხელი“ ხელში უჭირავს და ღამით, როცა დაგვეძინება, დამხვეს (დამგლეჯს ხანჯლით). ისე გააკეთოს ღმერთმა შენც, როგორც იმას ამაზე (კლდეზე) ამოსვლა, ანდა შენი დახვეა, შეუძლია. მას სიღარიბის გამო კაკლის ხეჭე და ნაცარი აქვს შესასვლიაჰავად და ჩვენ ცუდ საქმეს გვიზამს? მაინც არ დაუჯერა ყარანას მისმა ქმარმა. ერთ ღამეს, ორივეს რომ ეძინათ, ყარანის ქმარი გაადვიდა მისი ცოლის კვილმა. ყარანი, თურმე, მართლა დაუხვეია პირველ ცოლს. ყარანმა უთხრა ქმარს: შენ ჩემი ნათქვამი არ დაიჯერე, მაგრამ ეხლა მაინც უყურებ, რომ მე ვკვდები. მე მუცელში მყავს ვაჟი. იმას რომ დრომდე მოელწია, მისი მომრევი ქვეყანაზე არაფერი იქნებოდა, მაგრამ ახლა არ ჩანს, როგორ რა

დაემართება. შენ ჩემი ნათქვამი ყველაფერი შეასრულე და მაშინ ჩვენი ვაჟიშვილი ისეთი გამოვა, რომ მისი მომრევეი დედამიწაზე არავინ იქნება. ოღონდ ეგ მუცელი გამიპე და ბავშვი გამომიღე, შემდეგ ჩვილი ბავშვი გაახვიე (უხედნი) ბუღას ტყავში, ბუღას გული საწოვარად ჩაუდე პირში, ასე სამიგზის ჯვარედინზე და-დევი. ბავშვს (ჩვილს) გულზე წერილი დაადევი: „ამ ვაჟის სახე-ლი „ამირშ“, დალ-ყარანის შვილი. იესო ქრისტეს მონათლული, ამანის გაზრდილი და ბოლოს ამანის და მისი შვილების გამ-წყვეტი“.

ყარანის ქმარმა მისი ცოლის სიბრაღულით ვერ გაბედა მუცლის გაკვეთა და მუცელი თვითონ ყარანმა გაიკვეთა. ყარანი მოკვდა და ქმარმა დაძარხა. შემდეგ ბავშვს შემოახვია ბუღას ტყავი, საწოვარად პირში ჩაუდვა ბუღის გული, ყარანის თქმით – გულზე წერილი დაადვა და დატოვა სამ-გზა ჯვარედინზე. ყარანის ქმარი დაბრუნდა სახლში. სოფელს ჩამოუარა, თითო ხარი ყველას გადაახდევინა მკივანი დალის მოშორებისთვის და კარგი სახლობა გაიწყო (გაიკეთა). სამ-გზა ჯვარედინზე უპატრონოდ მიტოვებული ვაჟი ტირილით ყველაფერს იკლებდა. მისმა ტირილმა ყველაფერი შეაწუხა: მიწა, ხეები და ადამიანი. ცაზე ღმერთმა დაიწყო კითხვა: „რა საქმეა ეს ტირილი?“ როცა ღმერთი ნამეტანი შეწუხდა, ჩამოგზავნა ყორანი მიწაზე ამბის გამო-სარკვევად. ყორანი ჩამოვიდა მიწაზე, ერთი თვალი ქე გამოულო ჩვილს და დაბრუნდა ზევით ცაზე. ღმერთი შეეკითხა: რა ამბავია მიწაზე? არაფერი, ხალხი ნამეტანს ხმაურობს. მიდის დრო. ჩვილის ტირილი თანდათან უფრო აწუხებს ღმერთს, რაც დრო მიდის. ღმერთმა მეორედ ჩამოაგზავნა ყვავი. ყვავმა მეორე თვალიც გამოულო ჩვილს და დაბრუნდა ცაზე. ღმერთს ამანაც ყორანისე-ბური პასუხი მისცა. ერთხანს შემდეგ ღმერთი ძალიან შეწუხდა და მტრედი ჩამოაგზავნა მიწაზე. მტრედი ჩამოვიდა, ჩვილის გულმკერდზე წერილი ამოიკითხა და დაბრუნდა ზევით ღმერთთან და ეს ამბავი მოიტანა: სამი გზის ჯვარედინზე ძევს ისეთი ჩვილი (ბავშვი), რომ შესახედავად ცოცხაა, ირგვლივ ახვევია დაუკოდავი ბუღის ტყავი და ბუღას გული საწოვარად უდევს პირში. გულზე ადევს წერილი: „ამ ვაჟის სახელი ამირშ, დალ-

ყარანის შვილი, იესო ქრისტეს მონათლული, ამანის გაზრდილი და ბოლოს ამანის და მისი შვილების გამწყვეტი“. ვაჟს თვალები ორივე გამოღებული აქვს. აი, ეს ჩვილი ტირის დღე-ღამე უწყვეტლად და იმის ტირილია, ჩვენ რომ გვესმის და გვაწუხებს. ღმერთმა მტრედი დალოცა, ყორანს და ყვავს თითო მუგუზალი დაარტყა და დაწყველა: ყველას საძულველი იყოთ მუდამ და ნახშირივით შავიო.

ღმერთმა იესო ქრისტეს სამი ანგელოზი თან აახლა და ჩამოგზავნა ჩვილის მოსანათლაგად და გამზრდელისთვის ჩასაბარებლად. იესო ქრისტე ჩამოვიდა მიწაზე, მონათლა ჩვილი, ვაშლი შუაზე გაკვეთა და ეს თვალებად ჩაუსვა და მიაბარა იამანს აღსაზრდელად. იამანი ყოფილა ძალიან ჭკვიანი და ღვთისმორწმუნე კაცი. იამანს იესო ქრისტემ უთხრა, რომ ეს ვაჟია მისი აღსაზრდელი და ბოლოს მისი და მისი შვილების ამომწყვეტი. ქრისტემ ამანს მისცა ის ბარათი, რომელიც ამირანს გულზე ედვა. იამანს ყავდა სამი ვაჟი. უფროსს ერქვა უსუფი, მეორეს – ბადრი და უმცროსს – სეფეთარი. ეს ბავშვები და ამირანი ერთად იზრდებოდნენ. იმისთანა ხელმარჯვე ბავშვები იყვნენ, რომ მთელი სოფელი მობეზრებაზე ჰყავდათ მიმდგარი. წყალი მათ კარებზე მიდიოდა და, ვინც ოხაროს მოიტანდა წყლის წასაღებად, ყველას წელზე (ჭაჭებზე) ახეთქებდნენ და ზრიკას თავზე ამსხერვედნენ; ვინ ტაგანს მოიტანდა, მას თეძოზე ახლიდნენ. ეს ბავშვები წლის განმავლობაში რაც უნდა გაზრდილიყვნენ, იმას ერთ დღეში იზრდებოდნენ და, რამდენსაც იზრდებოდნენ, იმდენად მეტ ცუდს სჩადიოდნენ. სოფელს ძალიან მოეწყინა მათი ქცევისგან. ერთ დღეს ამირანმა იპოვა იამანის საწოლის სასთუმალქვეშ წერილი. ეს წერილი წაიკითხა, გული ძალიან გაუტყდა: რომ ეგ არის იამანის და მისი შვილების გამწყვეტი. ადგა და წავიდა თავის დასაკარგავად. გაეკიდნენ მისი ძმები, მაგრამ კვალსაც ვერ მიუსწრეს და იძულებული გახდნენ, შინ დაბრუნებულიყვნენ. სწორედ ნამეტანი მოიწყინეს იამანის შვილებმა უამირანოდ, მაგრამ რა უნდა ქნან. ერთ დღეს სანადიროდ წავიდნენ. ერთ გორაზე რაღაც თეთრად მბრწყინავი დაინახეს. მივიდნენ ამ გორაკთან და მეორე გორაკზე დადგა მბზინავი, - სღიეს, მაგრამ მანც ვე-

რაფერი საქმე ვერ გაარკვიეს, თუ რა იყო ეს მბზინავი. საღამოზე ერთი შველი მოკლეს და ისე წამოვიდნენ, სწორედ ძალიან გულგატეხილები. სახლში მამა შეეკითხათ: დღემდის ამდენი ნანადირევი მოგქონდათ ხოლმე და კარგ გუნებაზე ბრუნდებოდით ყოველთვის, დღეს რა მოხდა, რატომ გაგტეხიათ (გული), ანდა ნანადირევი როგორ მოიტანეთ ასე ცოტა? დღეს რაღაც ასეთი ცუდი მხარე შეგვექმნა და ამიტომ დავბრუნდით ასე გულგატეხილი. არ გამოუტყდნენ თავის მამას ნამდვილ ამბავში. მეორე დღეს გათენებადღე წავიდნენ ბავშვები სანადიროდ და ამ დღესაც წინა დღესავით დაემართათ. ახლა უკვე გამოუტყდნენ მამას: ასე და ასე ვნახეთ რაღაცაო და ვერ გავარკვიეთ, თუ რა იყო. ამანი მაშინვე მიხვდა, თუ რა იყო და უთხრა: ის, მამილო, ამირანია, მას თქვენ ენატრებით და იმიტომ გიყურებთ შორიდან, მაგრამ მას ასე დევნით ვერ დაიჭერთ. თუ მაინცდამაინც დაჭერა გინდათ, ხვალ წადით და, როცა ის დაინახოთ, მაშინ ჯერ ქვის სროლა მოაწყვეთ. თუ არ მოვიდეს, მერმე სიმღერა-ცეკვა მოაწყვეთ. თუ არც ასე მოვიდეს, ჭიდაობა მოაწყვეთ. ოღნავ ახლოს მოვა და შემდეგ პირპარსვა მოაწყვეთ. ასე მგონია მას ახლა წვერი უკვე გაზრდილი აქვს და შემოვა. როცა შემოვიდეს, თქვენ მზად გექნეთ ახალი ტყავის ქალამნები. ვიდრე ერთმა გაპარსოთ, მანამდე მეორემ ბანდულები გახადეთ და ტყავის მსხლეტი ქალამნები ჩააცვიოთ. როცა გაპარსავთ, მაშინ გადახტება გასაქცევად, მაგრამ რაც გინდ სამჯერ გადახტეს, სამჯერ ყველა წელზე შეახტით და იმას დაუსხლტება (ფეხი) და ვერ გაგექცევათ.

მეორე დღეს ძმებმა მართლა ისე ქნეს. დილას ადრე წავიდნენ სანადიროდ და თან წაიღეს ტყავის ახალი ქალამნები. როცა მივიდნენ ამირანის სამყოფ გორაკთან, ახლო დაჯდნენ და სიმღერა მოაწყვეს. ამირანი ერთ საძოვართან მთიდან მეორეზე გადმოხტა. შემდეგ ქვის სროლა მოაწყვეს, ამირანი იღებს ვეებერთელა, სახლისოდენა ქვებს და ერთი მთიდან მეორე მთას წვერებს ამტვრევს. მერმე ხტუნაობა დაიწყევს. მოლის ამირანი და ერთი მთიდან მეორეზე ხტება და მეორედან მესამეზე. ბოლოს მოაწყვეს პირისპარსვა. ამირანიც შემოვიდა და დაჯდა გასაპარსავად. უფროსმა ძმამ პირგაპარსვა დაუწყო და სხვებმა ბანდუ-

ლები გახადა და ტყავის მსხლეტი ქალაძნები ჩააცვა. გაპარსვის შემდეგ ამირანი გადახტა გასაქცევად, მაგრამ ყველა წელზე შემოახტნენ და სამი გადახტომის შემდეგ გააკავეს. სალამოს სიხარულით წავიდნენ სახლში, ამირანი, უსუბი, ბადრი და სეფეთარი. ყველაზე უფრო ამანს გაუხარდა შვილების და შვილის სამაგიეროს – ამირანის მშვიდობით შინ დაბრუნება. ამის შემდეგ უფრო დიდგულზე იყვნენ. ამირანს და მის ძმებს ცა ქუდათ ერვენებოდათ და მიწა – ქალაძნად. ადამიანი კოლოსოდენად არ მიაჩნიათ და თავის თავი კი ღმერთი ჰგონიათ. ხალხს სამყოფს არ აცლიან და ყველა თავის ფეხქვეშა ჰყავთ. ერთ დღეს ასე დაადასტურეს (გადაწყვიტეს), რომ უნდა წავიდნენ ქაჯებთან საომრად, თორემ სხვა ვინმე, ჩვენი სამაგიეროს გადამხდელი, არავინაა ქვეყანაზეო.

იამანმა ბევრი დაუშალა, მაგრამ, თავისი ნათქვამის გარდა, არავისი ისმინეს და მანც წავიდნენ ქაჯებთან საომრად. მიდიან, მიდიან და როგორღაც შევიდნენ ქაჯების სოფელში. აქ შევიდნენ ერთ მოსახლისას. არავინ არა ჩანს, ოღონდ ტაბაკი თავისთავად დაიდგა. ხელები აევსოთ და აპირებენ ჭამას, ამ დროს ამანიც შემოხტა ამომიშველებული დაშნით. ატ, თქვენ ძაღლებო, სადაურ ქაჯების მეომრად ვარგებულხართ, ახლა თქვენ ჭამთ და ქაჯები ჭამის დროს შეგბორკავენ. ახლავე, ამ წამში, ზე აღექით და გამოდით კარში! სად გამოვიდეთ, კარი არსაით ჩანს. იმას ნუ დაეძებთ, თქვენ დაშნები ამოიღეთ და გამომდიეთ უკან. იამანი ამოღებული დაშნით გაუძღვა და ასე გადაარჩინა თავისი შვილები. სახლში წასვლის შემდეგ ამანი ავად გახდა და სიკვდილისკენ დააპირა, მაშინ უთხრა თავის შვილებს: მამილო, ჩადით და ჩემი სახლის ქვემოთ ქვაა. იმაზე ვინც გადახტება, იმას ჩემს შვილდისარს და ხანგარს ვაჩუქებ! ძმები წავიდნენ, მაგრამ შუამდე ვერავინ ახტა, ამირანი ჯერ ერთ მხარზე გადახტა და შემდეგ მეორეზე. დაბრუნდნენ ზევით და იამანმა თავის იარაღები მისცა ამირანს და მოკვდა. ამანი დამარხეს მისმა შვილებმა. ამის შემდეგ ღვთისა და ადამიანის – ყველას ხელიდან გავიდნენ (ძმები) და მხოლოდ თავის თქმაზელა არიან, ცუდის გარდა, კარგს არაფერს აკეთებენ.

ერთ დღეს ერთმა მოხუცმა ქალმა ჩამოუარა სოფელს და უთხრა ყველას. ამ ბავშვებს ვინც მოგაშორებთ ამ სოფლიდან, რა შეგიძლიათ მისცეთ? სოფელმა იმედი უთხრა, რომ თითო უღელ ხარს ყველა აჩუქებდა. მეორე დღეს ბებერმა ხირკა აიღო და წაიღო წყლის მოსატანად. შემოხვდა ამირანი და ხირკა თავზე დაამსხვრია ბებერს. მაშინ ბებერმა ქალმა უთხრა: ბებიავე, შენ შენს ვაჟკაცობას რატომ აკადრებ მოხუცი ქალის ცემას? არ გეცოდები? ვაჟკაცობის გათქმა თუ გინდა, შენი ძმა ცამცუმი თორმეტი მთის იქით დაბორკილი ჰყავს ბაყბაყ-ღვეს სალოცავში და იგი დააბრუნე შინ. მაშინ კი მართლა ვაჟკაცი იქნები.

ამირანს ძალიან გული გაუტყდა და ისე დაბრუნდა სახლში. ძმებს არ უმხელდა ბებრის ნათქვამს და მარტო უნდოდა წასვლა, მაგრამ ძმები არ დადგნენ. მაშინ მათაც გამოუტყდა ყველაფერს, შეუდგნენ მომზადებას დევ ბაყბაყთან წასასვლელად. დაადგნენ გზას. მიდიან, მიდიან და როგორღაც შევიდნენ სოფელში, დაულამდათ და დარჩნენ ერთ მოსახლისას. სალამოს, პურისჭამისას, ბაგიდან ამირანს თორმეტთავიანმა (კისერა) დევმა დაუძახა: ამირან, ხაჭაპური მომიტეხე და შენ სადაც ხარ წამსვლელი, ის ხომ მე ვიცი და გზას გაჩვენებო. ამირანს ძალზე გაუკვირდა დევის ნათქვამი: ამან რა იცის, თუ სად წამსვლელი ვარო, და თავისი ხაჭაპურის ნახევარი მისცა დევს. დევმა ამირანის ხაჭაპურის ნახევარი ერთ ლუკმად ჩაყლაპა და უთხრა ამირანს: ეს კბილების წასაცხებადაც არ მეყო, კიდევ მომეც ხაჭაპური და ყველაფერს გეტყვიო. ამირანმა თავის ძმების პურები ყველა ჩუმად აიღო და მისცა დევს. ახლა თითქმის გაძლა დევი და დაუწყო ამირანს საუბარი. შენი ძმა გელათის სალოცავში (კუთხეში) ჰყავს გამომწვევდელი დევ ბაყბაყსაო. შენ ძალიან მარჯვე ჭაბუკი ხარ და ამხანაგებიც კარგი გახლავს, მაგრამ მასთან შესვლა ძალიან ძნელიაო. ბაყბაყ-ღვეს რომ კოშკი უდგას, იმას კარი არსაიდან არ აქვს, მაგრამ ყავრის სახურავიდან ჩასვლის მოხერხება კი შეიძლება. ბაყბაყ დევს სუფრა სულ მუდამ უდგასო, მისი ტახტი გვერდზე უწევს. ამ ტახტს სამი წმ. ილიას ალი აქვს: წითელი, თეთრი და შავი. იმათი მეშვეობით შიგ არავის უშვებს. თქვენ იქ მისვლამდე დააგროვეთ ერთი კუპრი ვი-

რის ფსელი და ერთი ვირის თავი, ერთი კუპრი ძაღლის ფსელი და ერთი ძაღლის თავი, ერთი კუპრი კატის ფსელი და ერთი კატის თავი. როცა კარებამდე ახვიდე, მაშინ ვირის თავი დაახეთქე ღვეის ტახტზე. ტახტი შხუილს დაიწყებს, მაგრამ ღვეი დაამშვიდებს და ვირის თავს დანის წვერით გადაუგდებს. შემდეგ ძაღლის თავი შეაგდეთ, იმისათვისაც ტახტი შხუილს დაიწყებს, მაგრამ დანის წვერით ძაღლის თავსაც გადაუგდებს და დაამშვიდებს. ბოლოს ამირანმა შეაგდოს კატის თავი და (ისე) დაახეთქოს ტახტზე, რომ ნახეთქები ღვეს მოხვდეს ტურნებში, მაშინ ღვეი მოუწოდებს (საჩხუბრად) თავის ტახს: „ა, გლახა ახა, გლახა ტახა ივარგე, თორემ საღდაცაა ამირანი მოვიდა“. ღვეის კერი თეთრი წმ. ელიას ალს გამოუშვებს. იმას ვირის ფსელი შეასხით, რკინის სამთითა დაარტყით და მოკვდება. შემდეგ გამოუშვებს წმ. ელიას წითელ ალს, მაგრამ იმას ძაღლის ფსელი მიასხით და რკინის სამთითი დაარტყით და მოკვდება. ბოლოს წმ. ელიას შავ ალს გამოუშვებს. იმას კატის ფსელი მიასხით და სამთითის დარტყმის შემდეგ მაშინვე მოკვდება და ტახსაც აძოუვა სულიო. ამ ტახის მოკვლისთანავე ღვეი ბაყბაყი თვითონ გამოხტება და ამირანს იხმობს ჭილაობაში. ასე ასწავლა ღვემა ამირანს.

მართლაც, ღვემა როგორც ასწავლა, ისე ქნეს ამირანმა და მისმა ძმებმა. დააგროვეს სოფელში ერთი წლის განმავლობაში რაც ესაჭიროებადათ ის და გაუღენენ გზას ღვე ბაყბაყისკენ. გზაზე ბევრი უბედურება გამოიარეს ღვეებთან და გველეშაპებთან ბრძოლაში. ბევრი სიარულის შემდეგ მიაღწიეს ბაყბაყის კოშკამდე.

ამირანი და მისი ძმები ზევით ავიდნენ ყავრის სახურავზე. ღვე ბაყბაყს მართლა უდგია ტახაკი და მისი ტახტი გვერდზე უწევს. აილო ამირანმა ვირის თავი და ღვეის ტახაკაზე დაარტყა. ტახტმა შხუილი დაიწყო, მაგრამ ღვემა დანის წვერით თავი გადაუგდო და უთხრა, ჭამეო. ტახტი დაამშვიდდა. ამირანმა ძაღლის თავი შეაგდო ღვეის ტახტზე. ტახტმა ისევ შხუილი დაიწყო, ღვემა ისევ დაამშვიდა და ძაღლის თავის გადაუგდო. მესამედ ამირანმა კატის თავი ისე გულმოსულად დაარტყა ტახტზე, რომ

ნახეთქები დევს მოხვდა პირში. ახლა დევსაც შეეშინდა და მოუწოდა თავის ტახს: „აუ, შე გლახა, ალბათ, ცბიერი ამირანი წაგვანყდა საიდანმე“. ტახმა ჯერ ელიას თეთრი ალი ესროლა, მაგრამ ვირის ფსელი შეასხეს, რკინის ორთითა დაარტყეს და მოკლეს. მესამედ ტახმა ესროლა წითელი გავარვარებული რკინა. ამას კატის ფსელი შეასხეს და ორთითა დაარტყეს. ყველა ამით დახოცვის შემდეგ ტახიც მოკვდა. ახლა დევი გამობტა და ამირანს სთხოვა ჭიდაობა: ამირან, მოდი ნელ-ნელა ვიჭიდაოთო. სტაცეს ერთმანეთს ხელი, მოიქნია ამირანმა და მუხლებამდე ჩააფლო მიწაში. მოიქნია დევმა და ამირანიც მუხლებამდე ჩააფლო. მეორედ ამირანმა კისრამდე ჩააფლო მიწაში და დაუწყო კისრების ჭრა. თერთმეტი კისერი მოსჭრა და დევმა ქრისტეს პირობა ჩამოართვა ამირანს: ამ ქრისტეს პირობას გაფიცებო, ერთი თავი შემარჩინეო ველსა და ტყეში სახეტილოდ და საცოლეს მიგასწავლიო. ამირანმა მისცა ხელი, რომ ერთ თავს არ მოგჭრიო. აბა, შენ ძალიან კარგი მარჯვე ბიჭი ხარო, მაგრამ შენი ვაჟაცობა ქე დაგჭირდებაო შენი ცოლის მოტაცებისას. შენ ძალიან ხლაფორთის მოყვარე ხარო, მაგრამ სახლაფორთოც მოგესწრება ეხლანდელ დროში. თორმეტ ზღვას იქითაა ერთი მზე-მთვარის უნახავი ქალბატონი, მისი სამყოფი კოშკი ციდან არის ჩამოკიდებული ოქროს ჯაჭვით და მასში შესვლა ძალზე ძნელია, მაგრამ იმის აღმოსაველეთით სახლობს ერთი მჭედელი დევი. ეს მჭედელი დევი უჭედავს დედოფალს ყოველდღე სამ ოქროს „ცეგ“-ს სათამაშოდ. შენც მიდიო იმ მჭედელთან, შენი თავი შეარკინეო და დედოფალთან ააყოლებინეო.

ამირანმა ეს ამბები კვლავ მოისმინა და დაარტყა დაშნა დევს და კისერი მოსჭრა. შემოუარეს კოშკს ირგვლივ. მაგრამ კარს ვერსაიდან ვერ პოულობენ. ამირანი ცამცუმმა დაიბარა შიგნიდან: ამირან, შენი მზის აღმოსაველეთით რომ კარის მოხაზულობა იგულო, იმაში მხარი ჰკარი მაგრად და კარი შემოიღება. ამირანმა მართლა ასე ქნა და კარი შეაღო. შევიდნენ და ცამცუმი აბრეშუმის ბალახებით ისე მაგრად იყო დაბორკილი, რომ ხმლები ყველამ მიალიეს, მაგრამ მაინც ვერ შეხსნეს ცამცუმი. შეატყო ცამცუმმა, რომ ვერ შეხსნიდნენ, მაღლობა უთხრა ძმებს და

სთხოვა: აწი დამაცალეთ, აქამდე დევ-ბაყბაყი ყოველდღე ფრჩხილებს მაჭრიდა, ახლა უკვე მკვდარია, გამეზრდება და ჩემითაც შევიხსნო.

ამირანსა და მის ძმებს ძალიან სწყინდათ ცამცუმის დატოვება, მაგრამ, აბა, რა ექნათ? დატოვეს კოშკში და გაემგზავრნენ ამირანის ცოლის მოსატაცებლად. ამირანი და მისი ძმები ზღვის კიდეზე დაიარებოდნენ. უცებ ზღვიდან გამოუვარდათ გველეშაპი და ამირანი გადაყლაპა. გაეკიდა უკან სუფეთარი და გველეშაპს კუდი მოსჭრა. ამირანის ძმებს ძალიან ეწყინათ და ხმამაღლა უყვიროდნენ ზღვაში: ამირანო, თამირმულო, ამირელ-თამირელ, ამირან-თამირან, ჩექმიდან დანა ამოიღეო! ეს ხმა ამირანს მოესმა და ჩექმის ყელიდან დანა მართლა ამოიღო და დაუწყო წყვეტა გველეშაპის წელებს. გველეშაპი ჩავიდა სახლში და თავის დედას დაუწყო ჩივილი: — დედილო, მუცლის გკრემით ვკვდები, რა ვქნა? — დედილო, დღეს ვინცობაა, ზომ არ გიჭამია რამე? — არაფერი. ერთი ბუზი გადავყლაპე ზღვის კიდეც, სხვა არაფერი. — ა-და-და-და, მადლი ქენი, აბა, და აქ სვეტზე აცოცდი, სამი ალმასის თვალი აქვს ჩასმული. ისინი შუბლში მიიხეთქე, თორემ შენი გამთელება ძნელი იქნება! გველეშაპი მიცოცავს სვეტზე, მაგრამ მაშინვე ძირს ვარდება. — რა ვქნა, დედილო, კუდი მოჭრილი მაქვს, ბუზის ჩაყლაპვისას მომჭრა ერთმა ბუზმა და ახლა ვეღარ მივცოცავ სვეტზე. — აბა, მადლი ქენი და, სადაც გადაყლაპე, იქ დასვი, თორემ შენ ცბიერი ამირანი გაქვს გადაყლაპული, და სადაცაა მოგკლავს. გველეშაპი ავიდა და ამირანი ზღვის კიდეზე დასვა. ამირანის ძმებს ძალიან გაუხარდათ ამირანის ხელახლა ამოყვანა და ისევ გაემგზავრნენ ქალის მოსატაცებლად. შევიდნენ ყამარის ქვეყანაში. აქ ამირანი მაშინვე მჭედელთან მივიდა და ძმები გარეთ დამალა. მჭედელს ეძინა და ამირანის შიგ შესვლისას გამოეღვიძა. ამირანმა ლაპარაკი დაუწყო. — მამილო, ეს ოქროს სათამაშოები (ცეგარა) რად გინდაო? — ო, მამა არ გეწოდებია და შენსას დღეს ჩემი აჯობებდაო, მაგრამ ახლა რა გიყო. ეს ცეგები დედოფალ ყამარის სათამაშოებია. გაჭედვის შემდეგ ნაწინავებს გადმოჰყოფს კოშკიდან, მათ შევაბამ და ზევით მიაქვსო. ამირანმა სთხოვა მჭედელ დეეს: — მამილო,

მოდის, მეც შემატნიე ერთ ცეგში, — შენ არ დაიწვები ცეგის ჭედვისას? — არა, მამა, სპილენძისა ვარ და არ მაწყენსო.

ღვეი არ ურჩევდა, მაგრამ ამირანი მაინც არ მოეშვა და ღვე-
მა მოაყოლა ერთ ცეგში. როცა ცეგები ნაწნავებით აჰქონდა ყმარს,
მძიმედ მოეჩვენა ერთი ცეგი, ველარ აჰქონდა ზევით, მაგრამ მაინც
არ დაანებეს თავი ქვემოდან ჩხვლეტას და აატანინეს ძალით. ყმარ-
მა თამაში დაიწყო კოშკზე ცეგებით. ჯერ ერთს აისვრის ცისკენ
და უკან ჩამოვარდნილს იჭერს და მერმე-მეორეს. ამირანი რომელ-
შიც იყო, ის ცეგი ორჯერ კი აისროლა ზევით და მესამედ ამირანი
გადმოხტა ცეგიდან. ყმარს გაუკვირდა და კინაღამ გაგიჟდა, მაგ-
რამ, როცა გული კარგად მისცეს ერთმანეთს, მაშინ იბგვარად შე-
უყვარდათ ერთიმეორე, რომ სიყვარულით იქით-აქეთ წაიქცნენ.
გონს რომ მოვიდნენ ქრისტეს პირობა დადევს, რომ ერთმანეთს არ
უღალატებდნენ თავის სიცოცხლეში და შეუდგნენ მზადებას ამირა-
ნის სახლში წასასვლელად.

მეორე ღღეს ამირანი და ყმარი დაიძრნენ რაშებით სახ-
ლისკენ და ამირანის ძმებიც თან ეახლნენ. მიდიან და საღამო
ჟამს ცამ მოღრუბლვა დაიწყო. — ამირან, თუ იცი, ცა რომ იღ-
რუბლება, რისი ბრალია? — შეეკითხა ყმარი. — რა იქნება რა
იქნება, მუდამ იღრუბლება და ამალამაც მოიღრუბლა, გარდა ამი-
სა არაფერი. — არა! ეს მამაჩემმა ჩემი მოტაცება გაიგო და
ჯარს აგროვებს. იმის ჯავრობით არის. — არა და, შენი დამ-
ტვრეული მამის ჯავრობა მოღრუბლავდა ცას? მიდიან, მიდიან
და მაგარი წვიმა მოვიდა. — ამირან, ეს წვიმა რა იქნება, თუ
იცი? — რა და ყოველთვის სჩვეოდა წვიმა და ამალამაც წვიმს. —
არა, ეს მამაჩემის ჯარი მოგვდევს და იმის ბზის (ვებიშ) ღვა-
რია. ამირანმა ესეც სასაცილოდ აიღო. ცოტა ხნის უკან ქუხილი
დაიწყო — ამირან, ეს ქუხილი რა იქნება, რას ატყობ? — რას
ვატყობ და, როგორც ყოველთვის, ისევე ქუხს ამალამაც, სხვას
არაფერს. არა! ეგ მამაჩემის ჯარის ფეხის ხმაა. ამირანმა ესეც
სასაცილოდ აიღო. ამ დროს დაბნელდა. — ამირან, ჩემი რაშის
ყურში სამართებლის პირშესასწორები ღვეს. ის აიღე და კარგ
ადგილას წააყირავ-წამოაყირავე და ზღუდიან-კოშკიანი სახლი
დაიდგმის.

ამირანმა ასეც ქნა და ზღუდიან-კოშკიანი სახლი დაიდგა მინდორში. შევიდნენ შიგ და დაბინავდნენ. მეორე დღეს გადმოიხვდა ყამარმა, სახლს თორმეტკეცი ლაშქარი შემორტყმია, შემობრუნდა გულგატეხილი და ამირანს უთხრა: — ამირან, ლაშქარი თორმეტორკეცადაა ჩვენს კოშკზე გარშემორტყმული და გაგვიჭირდება. ამირანმა არაფრად ჩათვალა ეს საქმე, წამოხტა ვირსპილდი და ლაშქარს დაუწყო წყვეტა. ერთი ორკეცი გამოლია და მოკლეს. ახლა სეფეთარი გავარდა და ერთი ორკეცი ამან დალია და თვითონაც საცოდავი მოკლეს. მერმე ბადრი ხტებოდა და ერთი ორკეცის გამოლევის შემდეგ იგიც მოკლეს. ბოლოს ამირანი ხტებოდა ყამარმა სტაცა ხელი და არ გაუშვა. — ამირან, ცოტა რამ სათქმელი მაქვს, ჯერ ნუ გადახტები, კი ვიცი რომ ყველას მოერევი, მაგრამ ბოლოს მამამჩემთან გვექნება ომი და მაშინ დაგეჭირდება ხერხი, მამჩემს დოლაბი — წისქვილის ქვა ქუდად ჰხურავს და ცხენის წვივები მუხლებიდან სვეტებად აქვს შემდგარი ნიკაპამდე. პირველად რომ დაინახო, უთხარი: „სიმამრო, მირტყი თქო“. იგიც ლაპარაკს დაიწყებს და ამ დროს გაართყი ბოძებს დაშნა და ბოძები გადაჭერი, მაშინ მას თავი ჩამოელუნება და კისერი მოსჭერი, თორემ სხვანაირად მას ვერ მოერევი.

ამირანი გადახტა კოშკიდან და დაუწყო ხალხს წყვეტა. ცოტა ხანს შემდეგ მივიდა სიმამრამდე. სიმამრს თავზე მართლა წისქვილის ქვა ქუდად ეხურა და მუხლებიდან ცხენის წვივები ედგა სვეტებად ნიკაპამდე. თავის დახრის შიშით ამირანმა უთხრა სიმამარს: — სიმამრო, აბა, დამართყი, პირველად არა, პირველად შენ დამართყიო. ამ ლაპარაკის დროს ამირანმა მოიქნია დაშნა და თავისი სიმამრის მუხლებს ზემო წვივები ფქვილისებრ აქცია. მაშინ სიმამარს კისერი დაეხარა და ამირანმა თავი მოსჭრა. ამირანმა ძმები მონახა და დამარხა. გულგატეხილი დაბრუნდა ზევით კოშკზე. საღამოს ამირანს უთხრა მისმა ცოლმა: — ამირან, ამაღამ ყარაულად თუ არ დამაყენე, მამჩემის სული ამოვა და დაგვხეთქავს. — შენი მამის სულს ხომ ქაჯები დახეთქავენ. ამირანმა არ დაუჯერა ცოლს და შუადამისას იგი ცოლის კვილმა გამოაღვიძა. ნახა, ცოლი მართლა გახეთქილი იყო. მას აქეთ ამირანი მარტოხელა დაიარებოდა ტყესა და ველზე.

ერთ დღეს ამირანმა გაუარა ერთ დევს ტყეში. ეს დევი მუშაობს სოჭზე, ხეს აძრობს ძირფესვიანად. ამირანმა ჰკითხა; — მამა, რად გინდა ეს სოჭი? — ესენი ბოსტნის ბოძებად მინდა. — მამა, მოდი და ამაღამ სახლში წამიყვანე. მე მარტო დავდივარ ყველგან და მწყინდება, ცოტას გავერთობი. — რატომაც არა, მაგრამ ჩემს ცოლს ჰყავს ერთი საყვარელი და მე ყოველდღე კარის საურდულეში მარჭობენ და თვითონ დილაძღე ერთმანეთს უწყანან. ის დევი შენც ხომ გადაგყლაპავს? — ნუ გეშინია, მამა, იმ დევს მე იმისთანა გუნებაზე გაუშვებ, რომ მიდღემჩი უკან არ დაბრუნდეს. დევი და ამირანი სახლში მივიდნენ. ამირანი დაიძალა და დევი შევიდა სახლში. ამირანმა ორი წვრილი ხე აიღო. წაუთალა წვერი კარგად და გადო ჭერზე. შუალამისას მივიდა დევი და შევიდა სახლში. მოშვლელმა აიღო დევი და ჩაარჭო საურდულეში და თვითონ მის ცოლს მიუწვა ბედნიერად. მაშინ ამირანმა ზევიდან რამდენიმეჯერ დაჰკრა წაღლი. დევს გაუკვირდა და ჰკითხა ქალს: — შე ქალო, რაღაც არაჩვეულებრივადაა რწყილები, როგორი ლოგინი დაგე ამაღამ? ცოტა ხანი გავიდა და კიდევ ჰკრა და ჰკრა ამირანმა. დევს უფრო გაუკვირდა და ქალს უთხრა: — ეს თვალთმაქცი ამირანი მოვიდაო, ალბათ, და ეს იქნებაო.

დევს ნამეტანი შეეშინდა. ამირანმა ჰკრა წელში ხე და დევიც, ქალიც და ტახტიც გაიარა და მიწაში ჩაასო წვერწათლილი ხე. წამოხტა დევი. ქალი დევიც, და ტახტიც ჩამოკიდული აქვს ისე დაიწყო დევმა ამირანის, წინ ამირანი უკან — დევი და მიდიან ასე გაქანებულები მინდორზე ზემოთკენ. მეორე დილას ამირანი გავიდა ერთ მინდორში. აქ ერთ დევს გუთანი ერთ ფეხზე აქვს მობმული და ხნავს. მეორე ფეხზე ფარცხი აქვს მობმული და ფარცხავს. ცერცვით სავსე გოდორი აკიდებული აქვს და ერთ მუჭა ცერცვს შეჭამს და მეორეს დათესავს. ამირანი დევის გოდორში ჩახტა და, როცა დევი ცერცვს ახრამუნებდა, ჩაჰყვა. ცოტა ხნის აქეთ მინდორში ამირანს გამოდევნებული დევიც შემოვიდა: — ამირანი შენ გყავს დამალული და დამიბრუნეო. თორემ „ენჩა-ნენჩა“-ს მაღლს ვფიცავ, შავ ღამეს დაგაყენებო. — მე არავინ მინახავს და დამაცალე, თორემ შავი ღამის დაყენებისა რა მოგახსენო, მართლა აბღაველებულს კი გაგიშვებო. დევი მა-

ინც არ ეშვება. მხვნელ-მთესველი ღვევი გაჯავრდა. ამოაძრო ერთი ვებერთელა სოჭი ძირიანად და დაუწყო ამ ხით ცემა ჭაჭებში და აბლავლებული ღვევი ქვემოთ გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ამირანმა იხმო მუცლიდან ღვევი: — მამა, ი..... — შე გასახეთქო, საიდან ჩალი ჩემს მუცელშიო? — მამა, მე არ შევსულვარ, მარა, საცოდავო, შენ ჩამაყოლე ცერცვის შესვლებისას და რა მექნა? — აბა, ახლა წინ გირჩევნია გამოსვლა თუ უკან? — არც უკან მინდა და არც წინა. კარგი სამყოფი მაქვს აქ. სინათლეში არავინ დაბაცლიდა და სიბნელეში მაინც ვიქნები. — ა, შე ცბიერო, ახლა უკადრისობ თუ არა, გარეთ გამოსვლა კი ძალიან გსურს, აბა, გვერდზე წნელის კარი მკიდია. ის გამოაგდე და გამოხვალ, ცამდე ამწვდენიაო. იმას კოშკებს შეუდგამდით როცა ცამდე ასვლის სურვილი გვექნებოდა ღმერთთან საომრად, მაგრამ ღმერთი დაგვინგრეულა და ძირს ჩამოგვაგდებდაო. მესამედ აგვიშვა ღმერთმა ცამდე და არჩევანი დაგვიდო. ვის რომელ მხარეზე გვირჩევენოდა ჩამოგდება. უფროსმა ძმამ შიშველ მხარეზე ირჩია და ღმერთმა მას უკან მოაყოლა ელიას ალი და გაანადგურა. საშუალო ძმამ — ტყისკენ ირჩია, მასაც მიაყოლა ელიას ალი და ისიც დაწვა. მე ზღვისაკენ ვირჩიე. ჩამაგდო ზღვაზე, გადმომაყოლა ილიას ალი და ეს გვერდი ზღვამ ვერ დამიფარა და ალმა ამომწვა და მაშინ წნელის კარი დავიკიდეო, უთხრა მხვნელ-მთესველმა ღვევმა. ახლა მაინც გასწი, თორემ მეორედ შავ ღამეს დაგაყენებო.

წავიდა ამირანი, დადის მარტოკა ველსა და ტყეში ღლე და ღამე. ერთ ღლეს გზაში ერთი კაცი შეხვდა. —ო, კეთილი ღლე გექნეს, ამირანს. მაღლი გექნეს და ამაღამ მოლი და შებექციე, მე მარტო ვარ და ძალიან მწყინდებაო. — კარგიო. ამირანს ძალიან გაუხარდა და წაჰყვა სახლში. მიუძღვის ეს კაცი და ერთ ადგილას კლდეგახეთქილში ჩაიყვანა. შევიდნენ და ამ კაცუნამ კლდეს „ტეხა, ტეხა“ უთხრა და კარი ერთმანეთს შეუერთდა. კაცი დევად იქცა. ამ ღლეს კლდეში შენატყუარი ბავშვებიც ჰყავს, აგრეთვე ერთი ვირი და ვერძი. შევიდნენ თუ არა, ღვევმა ერთ ბავშვს შამფური აძგერა, მორუჯა ცეცხლზე და ჩაყლაპა.

ცოტა ხნის შემდეგ დევს ჩაეძინა ბანდრზე. ამირანმა ჰკითხა ერთ ბავშვს: — რამდენ ხანს სჩვევია ძილი? — რამდენ ხანს და, ადამიანის ხორცნაჭამი ორ დღე-ღამეს არ იღვიძებს. ამირანს გაუხარდა და მაშინვე „როკელდი“ გაჭვდა რკინის. იმოდენა, რომ დევს თვალებში კარგად ჰქონდა. აბა, ბიჭო, ან მოკიდე ხელი ამ როკელდს, ანდა კვერი დამირტყი ზევიდან და მე დავიკავებ!

ბავშვს შეეშინდა და ხერელში შეხტა სირბილით. ამირანმა ცალი ხელი როკელდს მოჰკიდა, მეორე ხელით კი ზევიდან დაარტყა. როკელდი დევსა და ბანდრის შუა გასული მიწაში ჩაესო. წამოვარდა დევი და ტრიალებს ყვერბის ირგვლივ. ცოტა ხნის მერმე მოეწყინა და ისევ დაწვა ბანდრზე და დაიწყო წუხილი. ამირანმა დევის ვერძი სასწრაფოდ გაატყავა და მისი ტყავი ჩაიცივა, თავი თავზე დაიდგა და ისე დევს მიადგა და დასუნვა დაუწყო. დეემა დაუწყო ხელის დასმა და სიტყვაფერება, ვერძი ეგონა. ამირანმა უკან-უკან დაიწია და დაჰკრა თავი, დევი ერთხელ აკანკალდა და მალე სული განუტევა.

ახლა ამირანი და ერთი ვაჟი-ლა დარჩნენ ბნელ კლდეში, გასასვლელი არსად აქეთ. მათთან დარჩა დევის ვირი. ერთ დღეს კლდე ოდნავ გაიბზარა და ამირანს მოთქმა მოესმა: „დედისავ, დედისავ, ჩემო ამირანო“. ამირანს გაუკვირდა და გაჯავრებულად უპასუხა „მე დედისავ-ის დამძახებელი არავინ მყავს და ვინ ხარ შენ, ჩემი დედისათვის მთქმელი?“. ამირან, ამ გაბზარულში ხელი გამოყავი და გამოსასვლელს გასწავლიო. ამირანმა სიხარულით გაჰყო ხელი. ქალმა ხელში ხელი მოჰკიდა და ლაპარაკი დაუწყო. ამ ქრისტეს პირობას გაფიცებ, გამოდი, ცოლ-ქმარი ვიყოთ და გამოსასვლელს მე გასწავლიო. იქ ვირია დაბმული, მაზე პირუკულმა შევჯექი და ისეთი დაარტყი, რომ რბილმა ჭეკა გაადინოს, ძვალმა ტკაცუნო და მაშინ ვირი კლდეს წიხლს ჰკრავს და გააღებსო. ამირანი მართლაც ასე მოიქცა და ვირმა კლდე გაანგრია. ამირანი გამოვიდა და კარზე გლახა, ძლივს რომ დაეთრევა, კბილჩაცვენილი ქალ-დევი დაუხვდა. ჰკრა პანდური ამირანმა და გადაადგლო კლდეზე და დევის ქალი კისერმოტეხილი დაეცა კლდის ქვემო ქიმზე.

ამირანმა ვაჟი სახლში გაუშვა, თვითონ ისევ დაიწყო ტყე-
სა და ველზე ხეტიალი.

ერთ დღეს მინდორში ნართის ურმით აღმა ერთი მომაკვდა-
ვი ნართი მიჰქონდათ. ამ ნართს ფეხი ურმიდან ჩამოვარდნოდა
და ისეთს ხნავდა ეს ფეხი, რომ უმცროსი ნართები ვინც ჩავარ-
დებოდნენ ნახანავში, კისერმოტეხილს ამოიყვანდნენ ზევით. ფეხს
ყველა ნართი დაეხვია, მაგრამ ვერ დაუდევს კვლავ ურემზე. ამი-
რანი დაეწიათ და მოჰკიდა ფეხს მათრახის ტარი და ფეხი
ურემზე დაუდვა. ეს ნართი ყოფილა დევი მერაბი. მერაბს გაუკ-
ვირდა ფეხის ურემზე დაბრუნება და უთხრა ამირანს: აბა, ხელი
მომეციო. ამირანმა მდინარის მრგვალი ქვა მისცა ხელის მაგივ-
რად. დევმა რიყის ქვა ნამსხვრევებად აქცია, იმისთანა მოუჭირა
ხელები. ეს რა არის, მე ხელის მოცემა გითხარიო. მეორედ ამი-
რანმა ხელი გაუშვირა. დევმა იმისთანა მოუღირა, რომ ამირანს
ფრჩხილებში სისხლი მოაწვა. აბა, გაფიცებ ამ ქრისტეს პირო-
ბას, მინდვრის ქველა კიდეზე ორი პატარა ბავშვი მყავს, ისინი
არ დამიღუპო, იქნებ, ოდესმე შენც გამოგადგვს რამელო.

ამირანი ქვევითკენ წავიდა მინდვრის კიდეზე და იქ ნართის
ორი ბავშვი დაუხვდა. ამირანმა უამბო მათი მამის ნათქვამი და
ძმებად შეიფიცა. ეს ბავშვები ისე სწრაფად იზრდებოდნენ, რომ
ერთ კვირაში სოჭის ოღენა გახდნენ და ამირანი ნანადირევის
ხორციო-ლა ჰყავდათ. ერთ დღეს ამირანს ებინა. ამ დროს მინ-
დვრის ქვემოთ ორი დიდი ნართი მოდიოდა. უმცროსი ძმა ადგა,
მივიდა და ნართებს თავები ერთმანეთზე წაუხათქუნა და მთებზე
მიაყუდა იქით-აქეთ, თვითონ დაბრუნდა და ისევ ამირანს დაუჯდა
სასთუმალთან. ამირანს გამოეღვიძა და გაუკვირდა, მთებზე მიყუ-
დებული ნართები რომ დაინახა. — ვინ არიან ესენი, ანდა ვინ
მოკლა? — იკითხა ამირანმა. — ესენი ქვემოთკენ მოდიოდნენ და
შენი გაღვიძების შემეშინდა, გაველი მე და მოვკალი. ამირანს შე-
ეშინდა: — ეხლა ასე იქცევიან და, რომ გაიზრდებიან, მეც მომე-
რევიანო, და თავები ერთმანეთზე მიუხათქუნა და მკვდრები დად-
ვა მინდორში.

ამირანმა ისევ დაიწყო თავისებურად ხეტიალი ველსა და
ტყეებს შორის. მიწაზე არაფერი დატოვა სულდგმული: სამი

ბლუ კაცის, სამი ბრუციანი დვევის და სამი მუხის გარდა. ერთს დღეს მისი ნათლია იესო ქრისტე შემოხვდა და უთხრა ამირანს: აბა, სწორედ ვერავინ მოგერევას, მე და შენ შევებრძოლოთო. — რატომ არა, მე თანახმა ვარ, — მიუგო ამირანმა. ქრისტემ ჯოხი დაასო გზაში და უთხრა ამირანს: — აბა, ამ ჯოხს თუ ამოაძრობ, ჩემზე უფრო ღონიერი იქნებიო. ამირანმა მაშინვე ამოაძრო ჯოხი და იწყინა ასე სასაცილოდ ავდება. ქრისტემ ხელახლა დაასო ჯოხი და უბრძანა ფესვების მაგრად გადგმა. ამირანმა სცადა, მაგრამ ვეღარ ამოაძრო ჯოხი, დასცილდნენ და წავიდნენ თავ-თავის გზით.

ერთ დღეს ამირანს მინდორში ეძინა და ქაჯები შემოესიენ დასაბორკვად, მაგრამ რაშმა დაიჭიხვინა და გამოაღვიდა ამირანი. გაიხედა-გამოიხედა ამირანმა, ვერავინ დაინახა. მეორედ ისევ გამოაღვიდა რაშმა. ამირანმა მიმოიხედა, მაგრამ, რადგან ვერავინ ნახა, რაშს უთხრა: აწი არ გამომაღვიძო, თორემ კისერს მოგჭრიო. ქაჯები ისევ შემოეხვივნენ ამირანს. რაშმა ვერ მოითმინა და კვლავ გააღვიდა ამირანი.

ამირანმა მიმოიხედა, რაკი ვერავინ დაინახა, მოუქნია ხმალი რაშს და თავი მოსჭრა, მერმე ისევ დაიძინა. ქაჯებმა შებორკეს და ქრისტეს ჩანასობ ჯოხზე დააბეს. ამ დროს ყოფილა ერთი ყურჩი. იგი მთის ცხოველებს არსად არ ტოვებდაო. ქაჯებს ისიც ამირანთან დაუბამთ. ამირანს კვერი უჭირავს, თურმე, ხელში და, როცა ყორჩი და ამირანი ჯოხს ეს-ესაა ამოაძრობენ ხოლმე, მაშინ ჯოხზე ბოლოქანქალა ჯდება, ამირანი, თურმე, გაჯავრებული არტყამს კვერს და ისევ დაასობს პალოს. ამირანმა რომ აიწყვიტოს, მჭედლებს და ჭროლათვალებიან კაცებს არსად დატოვებსო. იქაური კარგი — აქ, აქაური ცუდი — იქ, და მათ მოსვლამდე ვყოფილიყავით!

ჩამწერი მაქსიმე ქალღანი, სოფ. ჭუბერი, ზ/სვანეთი, 1936 წ. თარგმნა მ. გუჯეჯიანმა. ტექსტი დაბეჭდილია მ. ჩიქოვანის ნაშრომში „მიჯაჭვეული ამირანი“, თბ., 1947, გვ. 363.

4. ამირანის ზღაპარი

დაგლოცოთ ღმერთმა! სცხოვრობდა ერთი მჭედელი კაცი. ერთხელ ამ მჭედელ კაცს მოესმა კლდიდან ისეთი კივილი, რომ ქვეყანასა სთხრიდა, ნელდ ხეებს ახმობდა და გამზმარს ნელლად აქცევდა. ამ კაცმა გადაწყვიტა გაეგო იმის ვინაობა, თუ ვის შეეძლო ასე ძლიერი კივილი. ამისათვის მან მოამზადა კლდეზე ასასვლელი იარაღები. გამოსჭვდა რკინის პირთხელები კლდეზე მისარჭობად, გააკეთებინა საგზალი და გაუდგა გზას. მალე მიადგა იმ კლდეს, საიდანაც კივილი მოესმა. დაიწყო რკინის პირთხელების ჩარჭობა კლდეში და ამრიგად აცოცდა ფრიალოზე. როცა კლდეს აპყვა უკვე იმ ადგილაძდე, სადაც კარის ადგილი შენიშნა, რკინის სატეხებიც გამოელა, მიადგა კარს, შეალო და შიგ შევიდა. მჭედელმა დაინახა ერთი მშვენიერი ქალი, რომელიც უმაღ შეუყვარდა და თვით ქალიც სიყვარულის გრძნობით განიმსჭვალა მჭედლისაძმი. ქალმა უამბო თავისი გასაჭირი, თუ რად ჰკიოდა იგი. მან უამბო სხვათა შორის, რომ მე მყავდაო ქმარი, რომელსაც ერქვა ამირანი. ის ერთხელ სანადიროდ წავიდა და იქიდან კი აღარ დაბრუნდაო. ეს ამირანი ისეთი ვაჟკაცი იყო, რომ მისი მძლეველი არავინ ვგულებოდა დედაძიწის ზურგზე. როცა მისი სიყვარული გაახსენდებოდა, მაშინ დაიწყებდა ასე ძლიერ კივილს. მჭედელი და ქალი, ერთმანეთის შეყვარებულნი, რამდენიმე ხანს ერთად იყენენ. მჭედელი ჯერჯერობით არ აპირებდა გამოქვაბულის დატოვებას. ქალმა უთხრა: დაბრუნდი სახლში, თორემა შენი ეშმაკი ცოლი მოგეძებნის და შესაძლოა იმან ჩემი ოქროს ნაწნაეები დაძინებულს მომაჭრას, მაშინ ჩემი სიცოცხლე განწირული იქნებაო. კაცმა არ ათხოვა ქალის მუდარას ყური, არ სურდა მოშორებოდა მშვენიერ ლამაზ ქნილებას და წასულიყო სახლში. კვლავ უზრუნველად დარჩა იმ დაძესაც იმ ქალთან.

მჭედლის ცოლი დიდად შეფიქრიანდა, როცა თავის დროზე მისი ქმარი არ დაბრუნდა და, როგორც ეშმაკი ქალი, გამოუდგა ქმრის ნაკვალევ გზას. დიაცი მიადგა იმ კლდეს, სადაც რკინის ნაჭრებით კიბე იყო გაკეთებული. აპყვა კიბეს და მიადგა გამოქვაბულის კარს. მჭედლის ცოლმა შეალო კარი, დაინახა, რომ მისი

ქმარი და ვილაც ოქროს ნაწნავებიანი ქალი წვანან ერთ ლოგინზე და ღრმა ძილს მისცემიან. ქალმა მიიხედ-მოიხედა აქეთ — იქით, მოსძებნა მაკრატელი, დასჭრა ოქროს ნაწნავები ქალს და ფეხაკრეფით გამობრუნდა სახლისაკენ. მეორე დღეს, როცა გამოეღვიძა ოქროსნაწნავებიან ქალს, თავი უფრო მსუბუქად ეჩვენა და, რა მოისვა ხელი, ნახა, მისთვის ოქროს ნაწნავები მოეჭრათ. ქალი ამ ამბით დიდად შეწუხდა და უთხრა მჭედელს: აწ მე სიცოცხლე აღარ მიწერია, გაჭერი ჩემი მუცელი და გამოიღე ბავშვი. თუ ბიჭი დაიბადოს, „ამირანი“ დაარქვი, თუ არა და, რაც გინდა, ისაო.

კაცს ძალიან ეხნელებოდა ამისთანა საქმის გაკეთება, მაგრამ, რადგან დარწმუნდა ქალის გადაწყვეტილების სიმტკიცეში, ქალს აკანკალებული ხელით გაუჭრა დანით მუცელი და გამოუღო ბავშვი. ქალმა, სხვათა შორის, ისიც უთხრა, რომ ბავშვი შეეხვია მოზვრის ტყავში და დაედვა იამანის წყაროზედ. ქალი გამოესალმა სიცოცხლეს, რაკი მჭედელმა თავისი მოვალეობა პირნათლად ასრულა. მოვიდა იამანი წყაროზე და რაღაც ბავშვის ტირილი შემოესმა, მიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და შეამჩნია, რომ მოზვრის ტყავში ბავშვია გამოხვეული. იამანს დიდათ გაეხარდა ასეთი ანგელოზისებური სილამაზის ბავშვის პოვნა და იფიქრა: ეს ჩემს შვილებს უსიბს და ბადრს ძმად გამოადგებაო და გააქანა სახლისაკენ. იქ ჩააბარა აღსაზრდელად თავის ცოლს, რომელიც, თავისი მხრით, ფიქრობდა, რომ ამ ბავშვს უსიბისა და ბადრის აკვნის მრწველად გამოიყენებდა. ამნაირად დაუწყეს აღზრდა ახლად მოყვანილ ბავშვს უსიბსა და ბადრთან ერთად. მაგრამ ქალი ბადრსა და უსიბს რძეს ასძევდა, ამირანი მხოლოდ შრატით იკვებებოდა. როცა ამირანი თავის წილ საჭმელს გაათავებდა, გამობტებოდა ხოლმე აკვნიდან, წაართმევდა უსიბს და ბადრს მათ დარჩენილ საჭმელს და შეჭამდა. ამგვარად წამოიზარდნენ ეს ბავშვები და ხშირად დადიოდნენ იამანის წყაროზე სათამაშოდ. წყაროზე თუ ვინცობაა წყლის მზიდველი ვინმე გამოჩნდებოდა, ჭურჭელს გაუტეხდნენ ხოლმე. როდესაც ერთი დედბერი მოვიდა იამანის წყაროსთან, ბავშვებმა ამ დედაბერსაც გაუტეხეს წყლის ჭურჭელი. დედაბერმა ვერ მოითმინა შეურაცხყოფა და დააყვედრა, რომ ჩემთან თქვენ რა საქმე გაქვთ, თქვენს

ბაბუას რომ ერთი თვალი აკლია, ის მონახეთო! სახლში რომ დაბრუნდნენ ყმაწვილები, შეეხვეწნენ იამანს, ეთქვა, თუ ვინ გამოულო მას თვალი. იამანმა უარი უთხრა ყმაწვილებს, ვერ გეტყვითო, რადგან პატარები ხართ და თვალის მოძებნა არ შეგიძლიათო, მაგრამ არაფრით არ მოეშენენ ყმაწვილები. იამანმა ნებით რომ არა თქვა, ძალა დაატანეს. იამანიც იძულებული გახდა, გაემულავნებინა ყმაწვილებისათვის მისი თვალის ამბავი. ჩემი ცოდვა მას ჰქონდეს, ვინც თქვენ ეს გაცნობათო, — უთხრა იამანმა ყმაწვილებს. — აბა, ასე წამსვლელად თქვენ ვერ გამოდგებით, უნდა გამოვცადო თითოეული თქვენგანი ღონეშიო. ვისაც ჩემი ჯაჭვიანი ნაბდის ხმარება შეგიძლიათ, ის მოახერხებს ჩემი თვალის ამომთხრელზე ჯავრი ამოიყაროსო, თქვა იამანმა და მიუთითა ჯაჭვიან ნაბაღზე. პირველად ჩააცვეს ჯაჭვიანი ნაბაღი უსიბს, მაგრამ ორი ნაბიჯიც ვერ გაიარა. შემდეგ ჩააცვეს ბადრს და ცოტაოდენი სიარული შეძლო. ბოლოს ჩაიცვა ამირანმა. ერთი გაიარ-გამოიარა და ნაგლეჯებად აქცია და გადაყარა აქეთ-იქით. აბა, წაეიდეთო, უთხრა ამირანმა უსიბს და ბადრს, მოვნახოთ ჩენი მამის თვალიო. არაო, უთხრა იამანმა, ჯერ ვერ გამოდგებით იქ წასასვლელად. აქ რომ ერთი წისქვილის ქვაა, იმას ჩემს ახალგაზრდობაში კოშკის ზემოთ გადავაგდებდი და მეორე მხრიდან კი ვიჭერდი, იქიდან გადმოვაგდებდი და აქედან კვლავ ვიჭერდიო. ყმაწვილებმა სცადეს ქვის გადაგდება კოშკის ზემოთ. ჯერ უსიბმა მოჰკიდა ხელი და მხოლოდ კოშკის შუამდე აისროლა. მერმე ბადრმა სტყორცნა და კოშკის თავამდე აგდებას ცოტაღა დააკლო. ამათ შემდეგ სტაცა ამირანმა ქვას ხელი, სწრაფად გადააგდო კოშკის ზემოთ და მეორე მხრიდან დაიჭირა, იქიდან კვლავ გამოისროლა და წინ მხრით დაიჭირა. ახლა მინც გვითხარი, ვინ გიქნა ასეთი მუხთალი საქმეო, — თქვა ამირანმა. იამანმა კვლავ თქვა, ასე წამსვლელად თქვენ არ გამოდგებითო. თვალი მე მომთხარა ცხრათავიანმა დევმა, რომელმაც მთხოვა ერთ-ერთი შეილი დამითმეო ან თვალი მიმეცა. მე ვერც ერთი შეილი ვერ გავიმეტე და თვალის მიცემა ვარჩიე. ეს დევი ჯდება ხოლმე „ჩუჩ კერტანზე“ და როცა რაიმე საფრთხე მოელის, ელია წინასწარმეტყველის ცეცხლს წინ წაიმძღვარებს, რომ

დაწვას მოწინააღმდეგე. თქვენ დაგჭირდებათ წაიღოთ სამი ცხენის გამხმარი თავი, ერთი საპალნე ვირის ფსელი და ერთი ცხენის საპალნე ქერი. თქვენ რომ მიხვალთ, დევი თავის სახლში იქნება და ნანადირევის წვით იქნება გართული. თქვენგან ერთ-ერთი უნდა აცოცდეს სახლის სახურავზე და იქიდან ცეცხლში ჩაუგდოს ცხენის გამხმარი თავი, ისე, რომ ცხელი ნაცარი თვალელებში შეეყაროს და მხედველობა დაუკარგოს. დანარჩენი ორი გარეთ უნდა დაუხვდეთ, ერთმა ვირის ფსელი მიასხას ელია წინასწარმეტყველის ცეცხლს და მით ჩააქროს, ხოლო მეორემ ქერი ჩაუყაროს ჩუჩკერტენას ხახაში და მაშინ ის თქვენ ვერაფერს დაგაკლებთო. მერმე უნდა გადახვიდეთ შეტევაზე და თუ აჯობებთ, ჩემს თვალსაც დამიბრუნებთ და იმ დევსაც გამოასალმებთ წუთისოფელსო.

ყოველივე იამანის ნათქვამის მიხედვით მოიმარაგეს და გაუდგინენ გზას, მიაღწიეს, როგორც იქნა, ცხრათავიანი დევის სახლამდე. ეს დევი ცეცხლთან იჯდა და თავის თითთა რაოდენობის ნანადირევი შამფურზე აქვს წამოცმული და წვავს. ამირანი დევის სახლის სახურავზე ავიდა და ესროლა გამხმარი ცხენის თავი პირდაპირ ცეცხლს, მაგრამ დევი ოდნავ არც კი განძრეულა, მიუხედავად იმისა, რომ ნაცრით გაესვარა წინ ტანი. ესროლა მეორეჯერ ამირანმა თავი და კვლავ არავითარი ჩამიჩუმი არ მოისმა სახლიდან. მესამეჯერ რომ ისროლა, ახლა იკადრა დევმა ადგომა. მოახტა ჩუჩკერტანს, ელია წინასწარმეტყველის ცეცხლი წინ წაიმძღვარა და გამოვარდა გარეთ. სახლის კარებს რომ გამოსცილდა დევი, უსიბი შიშის გამო აცახცახდა და გაიქცა. ბადრი არ დაბნეულა და მიასხა ვირის ფსელი ელია წინასწარმეტყველის ცეცხლს და ჩააქრო იგი, ასევე მიაყარა ერთი საპალნე ქერი ჩუჩკერტანს ხახაში და ისიც ჩააჩუმა. მერე ბადრი და დევი შეიბნენ საჭიდაოდ. ცხადია, დევმა მეტი ღონე გამოიჩინა და ბადრი ძალიან გაჭირვებაში ჩააგდო. ამასობაში ამირანს, რომელიც სახურავზე იყო, ჩაეძინა, თურმე, და ყოველგვარი ბრძოლა გამოეპარა დევისა და ბადრისა. როდესაც ბადრს ძალიან გაუჭირდა და წაქცევაზე იყო ერთი მაგრად დაიყვირა. ხმამ გამოაღვიძა ამირანი და იმ წუთშივე ეცა დევს. დევისა და ამირანის ჭიდაობა დიდხანს არ

გარძელებულა. დევი მალე დაამარცხა ამირანმა. რაკი დაინახა დევმა, მისი საქმე ცუდად იყო, ამირანს შეეხვეწა, ოღონდ მთლად ნულარ მომსაობ ისე, რომ ტყეში ბოღიალი არ შემეძლოს, და გარეშებთ იამანის თვალსაო. კარგი, უთხრა ამირანმა, მაჩვენე და სიცოხლეს შეგინარჩუნებო. დევმა მიუთითა ერთ ოქროს სვეტზე: აქ არის თქვენი იამანის თვალი მიჯაჭვული. აიღეთ ჩემი ცხვირსახოცი, ის თვალი და, როცა თვალი ჩაუდგათ, ცხვირსახოცი გაუსწავით თვალზე იამანს და სინათლე დაუბრუნდებაო. როგორც კი იამანის თვალი და ცხვირსახოცი ჩაიგდო ხელში, ამირანმა დევს მოუგრიხა კისერი და წუთისოფელს გამოასალმა.

გახარებულმა ძმებმა გამოსწიეს სახლისკენ, რომ კარგად შეასრულეს იამანის დავალება. გზაზე იქიდან და აქედან იმდენ ხანს დაყვეს, რომ სახლში იამანს ცეცხლი სრულიად ჩაქრობოდა და თვით იამანს იმხელა წვერი გაზრდია, რომ კოშკის თავიდან ძირამდე სვწდებოდა. ძმები სახლში დაბრუნდნენ თუ არა, იამანს თვალი ჩაუსვეს და, დევის ნათქვამის მიხედვით, ცხვირსახოცი გაუსვეს თვალზე. იამანს მხედველობა დაუბრუნდა. ახლა მხოლოდ ცეცხლი აკლდათ და ესლა აწუნებდათ. არსად ეგულებოდათ ცეცხლის ნატამალი, გარდა ერთი ადგილისა, სადაც სახლობდნენ ცხრა ძმანი. ამ ცხრა ძმაში ერთი კოჭლი ერია, თურმე. გადაწყვიტეს ამირანი წასულიყო ცეცხლის საშოვნელად. ამირანი გაემგზავრა ცეცხლის საშოვნელად და, რომ მიადგა ამ ცრა ძმის სახლ-კარს, შეჩერდა და დაუგლო ყური მათ მასლაათს. უმცროსმა, კოჭლმა ძმამ თქვა: ამ დროს რომ ვინმე გაბედავდეს და შემოხტებოდეს სახლში, თითოს ყველას გაგვარტყამდეს და ცეცხლს წაგვართმევდეს, რაღას უზამთო. ძმები ძლიერ აუხირდნენ კოჭლ ძმას და უთხრეს: შე გლახა, ვინ იქნება ისეთი მამაცი, რომელიც სახლში შემოხტეს, თითო-თითო გაგვარტყას და ცეცხლი გაიტაცოს?!

ეს რომ ამირანმა გაიგონა, შეხტა სახლში, თითო ყველას გაარტყა, გარდა კოჭლისა, აიღო ცეცხლი და გამოვიდა გარეთ. ამ ცხრა ძმას ჰყოლიათ ერთი დედაბერი, რომელსაც უთქვამს შვილებისათვის, ამაყენეთ საწოლიდან და მე ვეტყვი ამირანს მის საკადრის საყვედურსო. ძმებს დედაბერი იმავე წუთში აუყე-

ნებიანთ საწოლიდან და, როცა ამირანი თვალთაგან ეფარებოდა, დედაბერს მიუძახნია უკნიდან ამირანისთვის: „ნათობანი შეგყვარებოდესო“. ამირანმა ცეცხლი მიიტანა სახლში და უმაღლ ააგიზგიზა. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ცხოვრობდა ამირანი თავის ძმებთან, მაგრამ ვერ შეეგუა და გაყრა მონინდომა. მე არაფერს გთხოვთო წილად, უთხრა, თურმე, ამირანმა, გარდა ერთი მინდორისა. ეს მინდორი მომეცითო წილად, რომ მქონდეს, როგორც სასიმღერო ადგილიო. ძმებმა, რა თქმა უნდა, დიდი სამოვნებით დაუთმეს ამირანს მინდორი და ამის შემდეგ ამირანმა დაუბარა თავის ძმებს და იამანს: თუ ოდესმე რამე გაგიჭირდეთ და შეველა დაგჭირდეთ, მაშინ აიღეთ ქვები და აგორეთ გზის მიმართულებით მანამ, სანამ თქვენ მიერ გაგორებული ქვა უკან არ დაგიბრუნდეთო. როცა ქვა უკან დაგიბრუნდებათ, მაშინ ჩამოჰყევით ქვევით იმ ადგილას, საიდანაც ქვა მოვიდა და მეც მომძებნითო.

რამდენიმე ხნის შემდეგ უსიბი და ბადრი სანადიროდ წავიდნენ, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულან. იამანი დიდად შეაწუხა ამ გარემოებამ და, რადგან თვითონ უკვე მოხუცებული იყო და არ შეეძლო შვილები მოეძებნა, აიღო ქვა და დაუწყო გორება გამყოლი გზის მიმართულებით, რომ სადმე მიეგნო ამირანისთვის და შემწეობა ეთხოვა შვილების ძებნის საქმეში. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ერთი ქვა უკან დაუბრუნდა იამანს. იამანმა იფიქრა: აი მივაგენი ამირანის კვალსაო და ჩაჰყვა იმ ადგილას, საიდანაც ქვა ამოვარდა. იამანმა მალე მიაგნო ამირანს. ამირანი შეეკითხა: რა ამბავია, ცუდი ხომ არაფერი დაგემართათო. იამანმა აუხსნა საქმის მდგომარეობა, თუ როგორ წავიდნენ უსიბი და ბადრი სანადიროდ და იქიდან დაბრუნებას კი ამაოდ უცდიდა. იამანმა სთხოვა შემწეობა ამირანს, ძმებისთვის ძმური დახმარება აღმოეჩინა და გაეგო, სად იმყოფებოდნენ ისინი. ამირანმა უთხრა: ნულარაფრის გეშინია, მე წავალ, როგორმე მივაგნებ და მოვიყვანო. ამირანი გაემგზავრა უსიბისა და ბადრის საქმენად. ამ მგზავრობაში იგი მიაღდა ერთ მინდორს, სადაც დაინახა სამი გველეშაპი, რომელთაც შუაში მომწყვდეული ჰყავდათ უსიბი და ბადრი. ვერც ერთი მხარე შებრძოლებას ვერა ბედავდა. ამირანი

სწრაფად მიიჭრა. როცა ძმებმა მათ საშველად მისული ამირანი დაინახეს, იმედი მიეცათ, ახლა კი სიკვდილს გადავრჩებითო. სამივემ ითათბირა, თუ როგორ დაემარცხებინათ ეს სამი გველეშაპი. უსიბმა ასე გაანაწილა: წითელი—ამირანს, შავი — ბადრის და თეთრი — უსიბს. ძმები დაეთანხმნენ ამგვარ განაწილებას და დაიწყეს გაცხარებული ბრძოლა. ამირანი ჯერ ხმაღს დაარტყამდა შავსა და თეთრ გველეშაპებს და შემდეგ კი წითელს მოუბრუნდებოდა. ასეთ ბრძოლაში შავი და თეთრი გველეშაპი გამოესალმნენ სიცოცხლეს, დარჩა წითელი გველეშაპი ამირანის ხვედრი, ყველაზე უფრო მძვინვარი და საშიში არსება. ამირანს ბრძოლაში ხმალი შუაზე გაუტყდა. ამით ისარგებლა გველეშაპმა, სტაცა ხელი ამირანს, გადაყლაპა და გაექანა ჯოჯოხეთისკენ. ბადრმა თავისი ბასრი ხმალი დაჰკრა კულზე და მიაჭრა თორმეტარშინიანი კული. თანაც მიადახა ამირანს: — ამირან ჩალამ-კალამსა, მუხლზე იგდებდა ხანჯალსა, ამოღება და ჩაცემა დიდი გველეშაპისა! როცა წითელმა გველეშაპმა ჯოჯოხეთს მიაღწია, მივიდა თავის დედასთან და შესჩვილა: მუცელი ძალიან მტკივაო. დედამ მიუგო: ვაითუ ხმელეთზე ვილაც ამირანს აქებენ და ის გადაგიყლაპავს, კარგი მოსანელებელი არ გექნებაო. შემოეხვიე და აჰყევი სვეტს. გველეშაპი შემოეხვია სვეტს, მაგრამ, რადგან კული არა ჰქონდა, ვერ შეძლო აჰყოლოდა ზევით და ჩამოვარდა. მაშინ გველეშაპის დედამ ურჩია ამირანს: თუ მართლა ამირანი ხარ, გამოდი ან წინა მხრიდან, ან უკნიდანაო. ეს რომ ამირანმა გაიგონა, ძლიერ ეწყინა და დაუძახა მუცლიდან: აი თქვე ყურუმსალებო, წინას და უკნას მე გიჩვენებთო. ამოიძრო დანა მუხლიდან, რომელიც მას გაჭირვებისთვის ჰქონდა შენახული, აბგერა ფერდებში, გამოფატრა და გამოვიდა გარეთ. მიიხედა-მოიხედა ამირანმა და ნახა, რომ ჯოჯოხეთში იმყოფებოდა. ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა და, თუ უკან ვერ დაბრუნდებოდა, თავის მოკვლას აპირებდა. წავიდა ამირანი ერთ დედაბერთან და სთხოვა რაიმე საჭმელი მიეცა. კარგი, უპასუხა დედაბერმა, დამიცადე და გამოგიცხობ პურსაო. დედაბერმა აიღო გობით ფქვილი და ზედ დააჯდა. რას შევბიო, შეეკითხა ამირანი დედაბერს. რასაო და, უპასუხა დედაბერმა ჩვენს ქვეყანას ჰპატრონობს გველეშაპი. ის

წყალს არავის ანებებს, თუ ერთი კაცი მსხვერპლად არ შეეწირაო. ამირანმა სთხოვა დედაბერს ჭურჭელი და უთხრა: მე წავალ და მოვიტან წყალსა და იმ გველეშაპსაც მოვკლავო. წავიდა ამირანი წყაროსკენ. მართლაც წყაროს უზარმაზარი გველეშაპი ჰპატრონობდა. ამირანმა მოკლა გველეშაპი და წყალი წამოიღო. დედებერმა რაკი წყალი ნახა, მთლიანად დალია. ამირანი იძულებული შეიქმნა, ხელმეორედ დაბრუნებულიყო წყაროზე და კვლავ მოეტანა წყალი. ამის შემდეგ დედაბერმა გამოუცხო პური ამირანს და, რაკი დიდი ხანი იყო, არაფერი ეჭამა, მადიანად მიირთვა დედაბრისგან გამომცხვარი პური. ამის შემდეგ ამირანმა მოინდომა ხმელეთზე გამომზგავრებულიყო. უთხრა დედაბერს: ხომ არავის შეუძლია იმ ქვეყანაში ამიყვანოსო. რატომაც არაო, უპასუხა დედაბერმა. ერთ კლდეში ცხოვრობს უშველებელი არწივი, რომელსაც ჰყავს ბარტყები. ამ ბარტყებს უჭამდა ყოველთვის გველეშაპი, რომელიც შენ მოჰკალი. წადი იქ, შეეხვეწე მას და აგიყვანს იმ ქვეყანაშიო. არწივს ისეი ძლიერი ფრთები აქვს, რომ, როცა იგი ფრინავს, ახლომახლო საგნები მოძრაობაში მოჰყავს, მხოლოდ იმ არწივს თითოეული წრის შემობრუნებისას პირში უნდა ჩაუდო ერთი ულუფა ხორციო.

ამირანი წავიდა არწივთან შემწეობის სათხოვნელად. არწივს უკვე გაეგო, რომ არის ვიღაც ისეთი არსება, რომელმაც მოკლა გველეშაპი და მისი წიწილები გადაარჩინა. არწივი ამირანს მხიარულად მიეგება. ამირანმა აუხსნა თავისი სურვილი. არწივმა რა მოისმინა, უთხრა საქმე მეტად საძნელო არისო, მაგრამ, თუ შენ იმდენ საკვებს მიშოვი, რამდენიც მეყოფა ზედაქვეყანაში ასასვლელად, მე თანახმა ვარ შეგისრულო სურვილი, რადგან შენ გამიწიე ძვირფასი სამსახური, ჩემი ბარტყები გადაარჩინე ყოველდღიურ აწიოკებასო. ახლა დაგჭირდება იშოვო თორმეტი ულელი ხარკამეჩი და მისი შესაფერისი პური. მოისმინა თუ არა ამირანმა ეს დაპირება, გამოსწია ისევ დედაბრისკენ და სთხოვა, გამოენახა რაიმე ისეთის საშუალება, რომლითაც 12 ულელ ხარკამეჩს შეიძენდა. დედაბერმა უთხრა: შენი დაშსახურება აქაურებისათვის ფასდაუდებელია, შენთვის ხალხი არაფერს დაიშურებსო. ამირანს გაეხარა დედაბრის სიტყვა. მოიხმო ხალხი და აუხსნა მისი მდგო-

მარეობა და სთხოვა, მიეცათ ხარჯი არწივისთვის. ხალხმა მოისმინა თუ არა ამირანის თხოვნა, ერთხმად გადაწყვიტა შემწეობა აღმოეჩინათ. მეორე დღეს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი და მისი საყოფი პური მოუტანა ამირანს ხალხმა. ამირანმა ხალხს დიდი მადლობა გადაუხადა და შეუდგა მგზავრობისთვის თადარიგს. გააკეთა ერთი დიდი კალათი, შიგ ჩააწყო ხორავი და თვითონაც ზედ დაჯდა. არწივმა ეს კალათი ფრთებზე ზევიდან დაიდგა და გაუდგა თავის საფრენ გზას. როცა წრეს შემოუვლიდა არწივი, ამირანი ერთ ულუფა პურსა და ხორცს ჩაუდებდა პირში. ამგვარად მიფრინავდა არწივი ზემო ქვეყნისაკენ, მხოლოდ ორი წრელა დარჩა შემოსავლელი და საკვები შემოელიათ. არწივმა უთხრა ამირანს, უსაჭმელოდ არ შემიძლია ავფრინდე ზევით, უნდა დაებრუნდეთ. ამირანმა მოიჭრა ერთი ნაჭერი თავისი ხორცი და ჩაუდგა არწივს პირში. არწივს ეს უკანასკნელი ლუკმა ყველაზე გემრიელი ეჩვენა და ეს ორი ბოლო წრეც აიფრინა და ამოვიდა დედამიწაზე. როცა გადმოვიდა, არწივმა ერთი ფრთის ნაჭერი მისცა ამირანს და უთხრა: ეს მოისვი ჭრილობაზე და გაგიმთელდებაო. ამირანი ასეც მოიქცა და მოურჩა ჭრილობა. არწივი გამოემშვიდობა ამირანს და თავის გზას გაუდგა.

ამირანი წავიდა უცნობ, უდაბურ ადგილებში და მიადგა ერთ სახლს. იქ ნახა ერთი ეშმაკი ქალი, რომელსაც სახელად ნათობუანი ერქვა, თურმე. ამირანსა და ნათობუანს დანახვისთანავე ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ნათობუანის ძმა, უშველებელი დევი, სანადიროდ იყო წასული და საღამოს დაბრუნდა შინ. დევის სახლში მოსვლამდე ამირანმა და ნათობუანმა ცოლქმრობის პირობა დადეს. როცა ნათობუანის ძმა სახლში შემოვიდა, ქალმა ამირანი სავარცხლად აქცია და კედელში შეარჭო. დევმა უთხრა დას: ადამიანის სუნი მცემსო. ქალმა დაარწმუნა დევი, რომ აქ ადამიანი არც შეიძლებოდა მოსულიყო, რადგან ჩვენთან მოსვლას ვერავინ ბედავსო. ნავახშმევს დევის, დასაძინებლად მიწვა. როცაა დევი ღრმა ძილში შევიდა, ქალმა სავარცხელი ისევ ამირანად აქცია. ამირანმა და ნათობუანმა გადაწყვიტეს დევის მოკვლა. ამირანმა დევის ხმალი ამოიღო და დევს თავი მოჭრა, მაგრამ თავი ტანს ისევ მოება. ასე მეორეჯერაც მოჭრა, მაგ-

რამ ისევ მოება. ამ დროს მოფრინდა ერთი ჩიტი, რომელმაც ურჩია ამირანს მარილიანი წყალი დაესხა ჭრილობაზე და აღარ გამოებება თავიო. ამირანი და ნათობუანი ასეც მოიქცნენ. როცა დევს მესამეჯერ თავი მოსჭრეს, მარილიანი წყალი გადაასხეს. აჯობეს და დევს ძალითა და მოხერხებით, ამირანი და ნათობუანი გაუდგნენ გზას. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, მიადგნენ ერთ ზღვას. ამირანს არ შეეძლო ზღვაზე გადასვლა. ნათობუანს კი ხელში ეჭირა ისეთი შოლტი, რომლითაც შეიძლებოდა ზღვის ტალღების გაპობა და მეორე მხარეს მშვიდობიანად გასვლა. ამირანმა უთხრა ქალს: ჯერ შენ გადი, მერე შოლტი გადმომიგდეო. არა, უთხრა ქალმა, ჯერ შენ გადი და მერე მე გამოვალო. ამირანმა შოლტის ერთი დაკვრით გააპო ზღვა და გავიდა მეორე მხარეზე, მაგრამ შოლტი უკან აღარ გადმოუგდია. გაჯავრდა ქალი და პირდაპირ ზღვის ტალღებში შეცურდა, რათა მეორე მხარეს გასულიყო, მაგრამ ტალღებმა მალე ჩანთქქეს იგი. ამირანმა განაგრძო მგზავრობა. ამირანი შეხვდა ერთ მეცხვარეს, რომელსაც უზარმაზარი ხეები თითისტრად გამოუყენებია და წვრილი ტყვე კი სართავად. როცა მწყემსმა შეამჩნია, დაუძახა ამირანს: გამომიჩვეე ცხვრები აქეთო. ამირანმა ბევრი უყვირა და უბიძგა ცხვრებს, მაგრამ აღვილიდანაც ვერ დაძრა. მაშინ მწყემსმა თვითონ გასძახა ცხვრის ჯოგს „გრეტ გრუტ“, და ეს მთელი ჯოგიც გამოექანა, თვით ამირანიც შუაში მოიტანა და კლდის გამოქვაბულში შეიყვანა. რაკი მწყემსმა ნახა, რომ ცხვრის ჯოგი თავის სადგომში შევიდა, ჩაკეტა კარები. ამ გამოქვაბულში იდგა რკინის კიღობანი, საიდანაც ადამიანის კვნესა ისმოდა. ბოლოს ლაპარაკიც ამოესმა ამირანს. „შვილო, მე არ ვიყავი საკმარისი, რომ აქ მომკვდარიყავი და შენც რამ მოგიყვანაო!“ კიღობანში ამ ეშმაკ ქალს ჰყავდა დამწყვედული ამირანის მამა. ამირანს ღიღად გაეხარდა მამის პოვნა და მოახერხა მისი კიღობანიდან ამოყვანა. ითათბირეს, როგორ დაეღწიათ თავი ტყვეობისათვის და რა გზას დასდგომოდნენ. ამასობაში მწყემს (ქალს ჩაეძინა. ამირანმა და მისმა მამამ (როგორც ეს ვიცით წინა ნათქვამიდან) გადაწყვიტეს მწყემსი მოეკლათ. თქმა და შესრულება ერთი იყო. მაგრამ მწყემს ქალს რამდენჯერაც თავს მოსჭრიდნენ, იმავე წუთში

კვლავ გამოებმოდა. ამასობაში მოფრინდა ერთი ფრინველი და დაუძახა ამირანს: მარილიანი წყალი დაესხათ თავზე. ამ საშუალებამ გასჭრა, როგორც წინათ ერთხელ დევის მოკვლის დროს. თავმოკვეთილი მწყემსი გამოქვაბულის კარებში ჩადგა და გარეთ უშვებდა მხოლოდ იმ ცხვრებს, რომელთაც მატყლი ჰქონდათ, დანარჩენს პირდაპირ კლდეზე აგდებდა ხოლმე. დაინახეს თუ არა ასეთი ეშმაკობა ქალისა, მამამ და შვილმა სასწრაფოდ გააბყავეს ორი ცხვარი, გამოუხვივნენ ტყავებში და ცხვრის ჯოგს გაჰყვნენ. ქალმა ვერაფერი შეატყო, თუმცა დიდი გულმოდგინებით სინჯავდა ყოველ ცხვარს. როდესაც მამამ და შვილმა სამშვიდობის მიადწიეს, შვილმა სთხოვა მამას, მისთვის მიეცა ის ხმალი, რომელიც მას ძალიან მოსწონდა. მამა ამირანმა უარი უთხრა შვილს: ვერ მოგცემ ჩემს ხმალს, რადგან შენ მოღალატე ხარ და შესაძლოა ერთ დღეს მეც თავი მომკვეთო. გარდა ამ იარაღისა, სხვა იარაღი მე ვერაფერს დამაკლებსო. მაშინ შვილმა ამირანმა უთხრა: თუ ხმალს მომცემ, მე შენ არასოდეს მოგკლავ, როცა შეგხვდები, გამიცინე და მე მივხვდები, რომ შენ ჩემი მამა ხარო. მამა დარწმუნდა შვილის გულწრფელობაში და მალე ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. როცა ამის შემდეგ ამირანს მამა შეხვდებოდა, გაუცინებდა და ამირანიც თავისუფლად გაუშვებდა ხოლმე. ბოლოს მოსწყინდა ამირანს ასეთი თამაში და ერთ დღეს, როცა მამისი შეხვდა, მიუხედავად მამის გაცინებისა, მინც თავი მოჰკვეთა. ამირანს ქვეყანაზე მასზე მძლე არავინ ეგულებოდა, რადგან, ვინც მის მოპირდაპირედ მიაჩნდა, ზოგი ღალატით და ზოგი პირდაპირი ბრძოლით გამოასალმა წუთისოფელს.

ერთხელ ამირანმა გაიგო, რომ არის ვინმე ასლან გმირი, რომლის მჯობნი ქვეყანაზე არავინ მოიძებნება. ამირანი წავიდა მის საძებნელად და, როცა ასლან გმირთან მიაღწია, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს მას გმირობის არაფერი შეძლებოდა. ასლან გმირი დაინტერესდა ამ უცნობი პირით და შეეკითხა; გაგონილი გაქვს თუ არა ამირანის ამბავიო. ამირანმა მიუგო, როგორ არაო. მე მასთან ერთი წელიწადი მოსამსახურედ ვიყავიო. აბა, მითხარი, რა ჩვეულება ჰქონდა ამირანს? — შეეკითხა კვლავ ასლანი. ამირანმა უპასუხა: ამირანი იანვრის თვეში დაწვებოდა ზღვაზე,

თორმეტ საუენ შეშას ზედ დაიწყო და დაიძინებდა, მეორე დღეს გამოიღვიძებდა და აქეთ-იქეთ გადაყრიდა შეშას და მერე გამოვიდოდა. ასან გმირიც ასე მოიქცა, როგორც ამირანმა ეს მოგონილი ამბავი უამბო, ასლანი დაწვა ზღვაზე, თორმეტი საუენი შეშა ზედ დაიწყო, და დილით გამოიღვიძა თუ არა, შეშა გადაჰყარა და ზღვიდან გამოვიდა. ამირანს ძლიერ გაუკვირდა ეს. ახლა მეორედ მივიდა ასლან გმირი და ჰკითხა: კიდევ რა ზნე ჰქონდა ამირან გმირსაო? ამირანმა უფრო საძნელო საქმეზე დაიწყო ფიქრი. ამირანი თავის თავზე დიდ წიფლის ხეს დაირტყამდა ხოლმე და გახეთქავდა, მერე მკერდს მიუშვერდა და წიფლის ნაფოტები აქეთ-იქეთ ცვიოდნენო. ასლან გმირმა შეასრულა ეს საქმე. ამირანი განცვიფრდა. კვლავ შეეკითხა ასლან გმირი: კიდევ რა ჩვეულება ჰქონდაო? ამირანი მთელი დღე ხმაღს ლესავდა და მერე ტანზე ისობდა და მაინც ვერაფერს გრძნობდაო. ასლან გმირმა თქვა: ამას მეც ვიზამო. გამოართვა ამირანმა ასლან გმირს თავისი ხმალი და მთელი დღე ლესა და შემდეგ უკანვე მისცა. ასლან გმირმა მოისვა აქეთ-იქით ხმალი და მთლად დაიღაძრა ტანი ჭრილობებით. დაბოლოს გამოუტყდა ამირანი ასლან გმირს თავის ვინაობაში. ამ დროს ზეციდან ჩამოვიდნენ ანგელოზები. შებოჭეს ამირანი, წაიყვანეს ზეცაში და იქ დააბეს ჯაჭვით. ეს ჯაჭვი, თურმე, მიბმულია უშველებელ რკინის პალოზე, რომელიც ჩარჭობილია მიწაში, ხელში ამირანს ურო უკავია, რომ ჯაჭვი გაწყვიტოს. როცა ამირანი გაწყვეტაზე მიიყვანს ჯაჭვს, მოფრინდება ერთი ჩიტი, აგებინებს მჭედლებს, რომ ამირანი ჯაჭვს გლეჯსო და მჭედლებიც კვლავ ამრთელებენ ჯაჭვს.

*მთქმელი ომარ ონიანი, მცხ. ლენტეხის რაიონის
სოფ. სასაში, 1936 წ. ჩამწერი კონსტანტინე ბერიძე.
ტექსტი დაბეჭდილია მ. ჩიქოვანის ნაშრომში
„მიჯაჭვული ამირანი“, 1947 წ. გვ. 375.*

5. აჭედელი დარჯელანი

ამას კლდე ახლავს. ამაში არის მკივანი, ცხენს ფაშატს აგლებინებს, ქალს — ბავშვს, ცხვარს — ბატკანს. აქეთკენ (კლდეებზე) ასასვლელად გამოჭედა ჯაჭვები და ავიდა მასზე. აქ წევს დალი. წამოიკივლა და უკან — უკან დაიხია. „ეი, მასო კაცო, რისი ეშინია, მასო ადამიანის ნატრულობა აქვსო“ და შევიდა და მიუწვა.

- ეი, მჭედელო დარჯელანო, ისე არ დაგვემართოს, რომ შენი ცოლი აქ ამოვიდეს, თუ არა შემჭრის ოქროს თმებს!
- ის რა დაგვემართებს, შინ ძლივს დაბორიალობს.

ეს შემოეორსულა. ეს ამოვიდა, ამის ცოლი. მოაჭრა თმები და ადგა დილით.

მჭედელო დარჯელანო, ასე არ გეუბნებოდი, რომ შენი ცოლი ამოვიდოდა. ნაწნაეები მოუჭრია, ახლა მყოფად (რომ ვიცოცხლო) არ ვვარგვივარ ასე და ვაჟი მიღევეს (მყავს) შენი შვილი.

ახლა იმან გაჭრა და დაუკოდავი მოზვრის ტყავში შეახვია. დასვა სამგასაყარ გზაზე. აქეთკენ მოდიან. „ფუნს ბუასდიშ“

მეუფე სამყაროსი (მამალმერთი), „ჯგერაგ“ წმ. გიორგი და მაცხოვარი. წმ. გიორგი ეუბნება: „ბავშვის ტირილი, კენესა მესმის“. მაცხოვარი ეუბნება: „მეც მესმის, ჩვენ „ფუნსცახან“ — ბატონთან, მამალმერთთან ვერ გაეამხელთ!“ ჩამოვიდნენ ესენი და დაინახეს ის. გასინჯეს ეს. „ეს რაღაც ჩვენიანია, ჩვენი განაყოფი“ (იგულისხმება ღვთიური). აიღეს ეს და ჩაიტანეს იამანის წყაროზე, მონათლეს, სახელად უწოდეს ამირან და ერთმანეთს უთხრეს: „ყველას მომრევი ყოფილიყოს [სანამ შუახნობამდე მოვიდეს] და მაშინ კლდის წერა იყოს!“. ეს არ ქნა, არ გააკეთა მათმა უფროსმა. მაშინ მისმა უფროსმა თქვა: „ყველას მომრევი ყოფილიყოს, სანამ ქრისტეს თავდებობას საბჯერ არ გასტეხს. მაშინ ქაჯავეთის კარებში ყოფილიყოს შემსვლელი!“.

ახლა ეს დატოვეს და მოვიდნენ იამანის ვეზირები და მოიყვანეს ცხენი წყლის დასალეეინებლად და ნესტოებში აუვიდა ეს (წყალი) არ მისცა წყლის დაღვევის საშუალება და ვეზირები ავიდ-

ნენ ამანთან. ამანს უთხრეს: ე, ამან, ისეთი რაღაცა არის, რომ ცხენს წყალს, დასაღვეს (იგულისხმება ადგილი) არ ანებებს.

- „ე, ჩემო შვილებო, ჯიხვს სამწვადეები ჩამოაჭერით, ჩაიტანეთ, შედგით შესაწვავად, მაშინ ის გამოვა“.

ჩაიტანეს ამათ, შემოდგეს (იგულისხმება მწვადის დაწყობა შესაწვავად) და ახლა გამოვიდა. „ე, ნეტარი (ბედნიერი, დალოცვილი) ყოფილიყოს ჩვენი ბედი, ეს ძმად გვეყოლება“. ეს აიყვანეს სახლში და ამანს ძალიან გაეხარდა. ახლა ისინი ყველანი გაიზარდნენ. ერთ დღეს წავიდნენ წყლის მომტანებთან, ჭურჭელს წელსა და თავზე ამტკრევდნენ. აქეთკენ მოდის კოჭლი დედაბერი: „თქვენ, ვაჟებო, ჩემთან არაფერი გაქვს საძებარი, თქვენ თქვენი მამის თვალი მოძებნეთ!“ ძმებმა თავი დახარეს და შინ წავიდნენ. შევიდა ამირანი და ჰკითხა: „ბაბუა, რა მოგივიდა თვალზე?“ ამან დაშნა დაადრო და გამოეკიდა გარეთ. მეორეჯერ შემობრუნდა საკითხავად და ახლა უთხრა მისმა ბაბუამ:

- ე, მისი ცოდვა მას, მათიც, ვისაც ეს უთქვამს“. იგი (ე.ი. მჭედელი დარჯელანი) და დაყმიყიანი გადაკიდებული ვიყავით ერთიმეორეს, გარკვეულ ხნობამდე იგი ერეოდა და ახლა დაბერდა, მოერია და თქვენი თავი მთხოვა, ვერ მივეცი და თვალი ამოვიჭერი.

- ახლა, აბა, ბაბა, მივდივართ.

- აბა, ასე წამსვლელად არ ვარგინხართ.

- აბა, როგორ?

- როგორ და ჩვენს ციხეს დოლაბი ქვა აყუდია, თუ მას ერთი მხარით ააგდებთ და მეორე მხარეს თავზე დაიმტკრევთ, მაშინ ივარგებთ წამსვლელად.

აილო ამირანმა ეს, გადააგლო იქით და თავი მიუშვირა და დაიმტკრა.

- ბაბა, ვქენით, გავაკეთეთ.

- აბა, სამი თავი დაიკავეთ ვირის, სამი გუდა ვირის შარდი, იმას სამი კარი აქვს და მას, სამ კარს, თუ შეამტკრევთ და სუფრას თუ წააქცევთ, მაშინ თქვენი გამარჯვება არის, თუ არა და არაო.

მიდიან, შედიან ამის ეზოში, მიადგნენ კარს, ესროლეს ერთი თავი და შეანგრიეს, მეორე თავი ისროლეს და მეორე კარი შეანგრიეს. ახლა მესამე თავი ისროლეს და კარიც შეანგრიეს და სუფრაც წაუქციეს და ეს მოდის გარეთ, ელიას ალი წინ მოუძღვის. ეს ასხამს ვირის შარდს და ჩაუქრო ალი. მოვიდა დაყმეყიანი და დაეძგერა საჭიდაოდ. ამირანმა უცბად მოიგლო ქვეშ და ჭრის თავებს. ერთილა შერჩა:

- ეს შემარჩინე და, რაც გინდა, იმას გაგიკეთებ.

- არაფერი მინდა, მამაჩემი თვალის გარდა.

ახლა ამან უთხრა: ბევრი თვალი აქვსო მას, ყველაზე ღილი თვალი ურევია და ის არის მამაშენის თვალი.

ახლა ესეც მოჭრა და ისიც აიღო. უკვე მიდიან სახლში და ჩაუდგეს, უკეთესიც აქვს. უკვე ძალიან მოსწყინდა ამირანს და ავიდა დერეფანზე და მახეს აგებს. ახლა მოვიდა ჩიტი: - „ეი, მაი ესერ ტროკნი მეიჩმაჩ (პირობით ნიშნებით საუბარია, ზედწოდებებით, მათი ზუსტი თარგმნა შეუძლებელია), მიახლოებით კი ასეთია: რას „ტროკნი“ ხმასთანაა დაკავშირებული, „მეიჩმაჩ“ ზედწოდებაა ან სახელი.

- კეისრის ქალიშვილო, ეი, რას „ცვეცნი“ (ალბათ მეტიჩრობასთან, ქცევასთანაა დაკავშირებული) ზღვის ქეთბი ნათბიანივითო?

- ის რომელიმე თუ ვერ იხვედრეთ, მანამდე ნურც დამდგარხართ და ნურც დამჯდარხართ!

უკვე ამან თავი დახარა და ჩავიდა მის მამასთან, ასე მოუთხრო და მისმა მამამ გაგზავნა. წავიდა ახლა ეს ზღვის ქეთბი - ნათბიანთან. ეს ცოლად შეირთო და მოდიან ზღვის პირას. ამას ქვასანაყი გაახსენდა. ამირანს ეუბნება, უკან დაებრუნდებიო. ამირანი არ ბრუნდება. მისი ცოლი დაბრუნდა. აქ მისცა ქრისტეს თავდება და უცდის ამირანი, არსაიდან დაბრუნდა. მოსწყინდა ამირანს და სახლში წავიდა, მამამისმა უთხრა, რომ „რა გაუკეთებიაო“ და ამან უთხრა „მოვდივართო, ქვასანაყი დარჩა, დაბრუნდა, ვუცდიდი, არსაიდან დაბრუნდა და შინ წამოვედი“.

ახლა მისმა მამამ უმცროსი ძმები გაგზავნა. წავიდნენ ესენი ზღვაზე და ეს ზღვაში მოთქვამს. ამათ ვერ გამოიყვანეს და შინ დაბრუნდნენ. ახლა მათ მამამ უთხრა: „რა უქნიათ?“

- ისო ზღვაში მოთქვამს. - ახლა ამირანმა უთხრა:

- ბაბუა, გაგეყრები.

- და მერე რას გამიყოფ?

- რა და ბალხეთი მიწილაღე!

- მერე სხვა ძმებს რა ექნებათ? - აბა, სულ არაფერი მინდა. მოაჯდა ცხენს და წავიდა.

ამ გზაზე მოჰყავთ თორმეტი ულელი ხარ - კამეჩი და გმირი შიგნით უწევთ. დივო და გუა თავთან უსხედან. გმირს ფეხი გარეთ აქვს და იგი თორმეტი საყენის ნაღარს ტოვებს. ჩამოქვეითდა ამირანი რაშიდან და ფეხი შეაბრუნა და ახლა ამან უთხრა: „ის ამირანის ხელი იყო და ახლა მომეცი ხელი“ და მისცა. ახლა ამან უთხრა: „ერთი ქრისტეს თავდებობა გატეხილი გაქვს, შენ ჩემი დივო და გუა არ დამიობლო“. და ჩამოიყვან ესენი აქ და საღამომდე არიან ერთად.

ახლა იაზრა ამირანმა: „რად მჭირდება მე ამათი ხელი? ერთი მეორეს მიუხალა თავები და დატოვა ესენი ასე, თვითონ წავიდა და დაეძინა ძალიან გრძელ მინდორში. ახლა თუ რამე პირუტყვია, ყველა ირგვლივ შემოეხვია, რაშმა დაიფრუტუნა, იქით - აქეთ გაყარა და ამირანმა გაიღვიძა. ახლა ამირანმა თქვა: თუ მეორედ დაიფრუტუნებ, მაშინ ისე გადაგიჭერ შოლტს, რომ საქალამნე ტყავი აგძვრეს. ისევე დაიძინა ამირანმა და ისევე შემოერტყა პირუტყვი. ვერ მოითმინა რაშმა და ისევე დაიფრუტუნა. მეორედ გაიღვიძა ამირანმა. „ეი, შე გასახეთქო, როგორ მალეძებ? მოაჯდა ამას, გადაუჭირა მათრახი ყურებს შუა და სამი საქალამნე შოლტი ააძრო. რაშმა თავი დახარა და ქაჯავეთის კარებში შეიყვანა.

მოქმელი შ. პირველი. ჩამწერი ვ. თოფურია.

30. VII. 1926 წ.

დაბეჭდილია სვანური პროზაული ტექსტები. ტ. I, 1939 წ.

სვანური ტექსტი თარგმნა ო. ონიანი

6. მჭედელი დარჯელანი

ერთ დღეს მჭედელი დარჯელანი მარხილს მართავდა. ამას მის ზევით კლდიდან ისეთი კივილი მოესმა, მაკე ცხენს, ფურს, თხას, ცხვარს, ნაადრევად მუცელი ეშლებოდათ.

ამ დღეს არაფერი იღონა და მეორე დღეს, როცა ისევ მარხილს მართავდა და კიდევ ასეთი კივილი მოესმა, მჭედელმა დარჯელანმა ერთი ტვირთი სატეხი გამოჭედა და მივიდა ამ კლდის ძირას, საიდანაც კივილი ისმოდა. სატეხებით ფეხის დასადგამს იკეთებს და ასე ავიდა კლდეზე და ერთ ადგილას კარი გაეხსნა. შევიდა შიგ და იქ ოქროს ტახტზე დალი წვეს, ოქროს ნაწნაეები აქეთ – იქით ეფინა. ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ და მჭედელი დარჯელანი ზშირად დადიოდა ამ კლდეზე.

ერთ დღეს მჭედელ დარჯელანის ცოლმა დანახა ეს, საითკენაც მისი ქმარი წავიდა და თვითონაც უკან გაჰყვა. ავიდა ეს, მჭედელ დარჯელანის ცოლი, ამ კლდეზე და მიეპარა მჭედელს დარჯელანსა და დალს, ერთი ნაწნაეი შეაჭრა და გოდორში ჩადვა და წამოვიდა. დალმა რომ გაიღვიძა, ცალ მხრისკენ მძიმე ჰქონდა თავი და უთხრა მჭედელ დარჯელანს, რომ

მისი ცოლი გამოჰყოლია, ალბათ, და ერთი ნაწნაეი მოუჭრიაო.

იმასო არ შეუძლია სიარული, ფეხმძიმედ არისო და შინ ძლივსაა უთხრა მჭედელმა დარჯელანმა. დალმა უთხრა:

აბაო, იგი აწი, ზევით (იგულისხმება დედამიწაზე) მყოფად არ ვარგა. იგი ფეხმძიმეაა, გაჭრასო, მის ბავშვსო ერთი თვე უკლია და დაუკოდავი მოზვრის ტყავში შეახვიოსო და სამგასაყარ გზაზე დატოვოსო.

მჭედელ დარჯელანს ამის გაკეთება ძალიან უმძიმდა, მაგრამ დალმა იძალა, არ მოასვენა, და გასაკეთებელი გაუხდა. მჭედელმა დარჯელანმა დალი გაჭრა, ბავშვი ამოიყვანა მუცლიდან, დაუკოდავი მოზვრის ტყავში შეახვია და სამგასაყარზე დატოვა.

აქეთკან მოდიან „ჯგერაგ“ - წმ. წმინდა გიორგი, მიქ. მთავარანგელოზი და (სვანურად) „უჟ“ - ძილი. წმ. გიორგიმ თქვა, რომ

ბავშვის კვილი მომესმა რაღაც.

მასაც მოესმა, - მიქელ მთავარანგელოზმა თქვა.

ო, მასო ისედაც მძინარს ეძახიან, თუ არა და, ადრეც ესმოდაო, - თქვა ძილმა. ამათ მიაგნეს ამას, მოზურის ტყავს, გასინჯეს და შიგ ვაჟი იყო.

აბაო, ახლა ეს მონათლონ და რაღაც დაეკებდეთ.

მიქ. მთავარანგელოზმა თქვა:

სახელად ამირანი ვუწოდეთ და ყველას მომრევი ყოფილიყოს, მაგრამ, შუახნობამდე როცა მივიდეს, მაშინ კლდის წერა ყოფილიყოსო.

ესო არ ივარგებსო, - ძილმა თქვა, ამასო სახელად ამირანი ვუწოდოთ და, შუახნობამდე რომ მიაღწიოსო, მაშინ წყლის წერა გამხდარიყოსო.

ესეც არ ვარგა. აბაო, სახელად ამირანი ვუწოდოთ და ყველას მომრევი ყოფილიყოს, მაგრამ, როცა ქრისტეს თავდებობა სამჯერ გატეხოს, მაშინ მიწა გასკლომოდესო.

ასე იყოსო, აბა! - თქვა ყველამ. მონათლეს და ამირანი უწოდეს სახელად. წმ. გიორგიმ აკვანი გაუთალა. მიქ. მთავარანგელოზმა ხანჯალი აჩუქა, და ძილმა ძილი მისცა. აიღეს აკვანი და იამანის წყაროზე დადგეს. ერთ საღამოს ნადირობიდან დაბრუნებულმა იამანმა გამოიარა წყაროსთან და იპოვა ბავშვი, ხელში აიყვანა, პაჭიჭში ჩაისვა და შინ წამოიყვანა. სახლში ცოლი ფეხსაცმელსა და პაჭიჭებს ხდიდა და მოულოდნელად ბავშვი კალთაში ჩაუვარდა.

ო, ნეტარიო ჩემი ბედი, ესააო მისი ბედი, რომ იგი ვისიპსა და ბადრის აკვნის მრწევლად მეყოლება.

ერთ დღეს მჭედელი დარჯელანის ცოლი საქონლის ნაკელის გასატანად წავიდა, ბადრის და ვისიპის აკვნები ამირანს დაუდგა სარწევად. ამირანმა ამოიღო თავის ხანჯალი და უჩხელიტა ვისიპსა და ბადრის. ორივემ იკივლა.

კარგად დაარწიოსო, თორემ გამოვარო და ნიჩბით თავს გავეუხეთქავსო, – ამათ დედამ უთხრა.

ცოტაც დაიცადა და კიდევ უჩხვლიტა ხანჯალი. ამათ ისევ კივილი მორთეს, დედამ წყრომით მიმართა სასაქონლიდან:

ამასო მის ბავშვებს სადღაც რომ ამირანი არისო, ისიც ვერ გაუბედავდაო, თუ არა და თავადო როგორ უბედავსო ბადრის და ვისიპს ამასო?

- ოო, აქამდე ამირანოლა ვიყავიო, აბა, მაგრამ ახლა, ალბათ, არა ვარ.

ეს როგორც კი გაიგონა ამ ქალმა, ნიჩბი გვერდზე მოისროლა და სწრაფად გადმოხტა და გადაეხვია ამირანს საკოცნელად.

ნეტარიად მისი ბუდი, იგიო ბადრის და ვისიპისო მესამე ძმა იქნებაო!

ესენი, სამი ვაჟი, ყველა ერთად გაიზარდა და სათამაშოდ დადიოდნენ, თავიანთ ტოლებს ყველას ერეოდნენ, ჭილაობდნენ. ამათ მამას, იამანს, ერთი თვალი არ ჰქონდა. ერთ დღეს ამირანი თავის ძმებს შეეკითხა:

ჩემო ძმებო, ეს რა უნდა იყოს, რომ ჩვენს ბაბუას ერთი თვალი არ აქვს? რატომ არ ვეკითხებით და, თუ რამ საშველია, ვუშველოთ.

მადლი გექნება, არ ჰკითხო, რაიმე არ დაგეშართოს. იგი ძალიან ცუდი გულის კაცია – ვისიბმა და ბადრიმ უთხრეს.

სიკვდილი რომ მელოდეს, მაშინაც შევეკითხები, აბაო, ამალამ.

სალამოს როცა ამანი შინ დაბრუნდა, ამირანი შეეკითხა:

გეკითხები და არ წამეჩხუბო.

რასო, ბაბუას დღეს მას? – ამირანმა უთხრა.

რას და ცალი თვალი არ გიდგას და ამის გაგება მინდა, რისი ბრალი უნდა იყოს?

წამოიმართა ეს, ამანი, ჩაყლაპავდა კიდევ, მაგრამ მანამდე გული დაიმშვიდა რაღაცნაირად.

ოპო, მისი სიყვარული ძალიან ძვირად ღირებული ყოფილა, თუ არა მისთვის ამის თქმა არავის გაუბედავსო. ბაბუა, ძვირფასო, ეს რატომ გაბრაზებს, საშველი თუ აქვს, მაშინ ეგების ვუშველოთ რაზე, იმიტომ გეკითხები.

აბა, ბაბუას თქვენი სატკივარი, თუ ასე გულით გინდათ ამის გაგება, ახლა მოგიყვები. მე მქონდა ვალად დევისთვის შეშა. უნდა დამეღვა საჩენი (ხორავ) გროვა და რახან ვერ დავდგი თვალი ამოვიღე ვალში.

ძალიან ძლიერი იყო მერე იგი? — ჰკითხა ამირანმა.

იგი ისეთი ძლიერი იყო, რომ ჩვენი ციხე-კოშკის წინ რომ ღოღაბი ქვა დევს, იმას ციხის თავზე გადააგდებდა მეორე მხარეს და იქ დაიჭერდა.

გავიდნენ ესენი, ააგლო ვისიბმა და ციხის შუა ადგილას მიარტყა, ბადრიმ კი ქონგურებამდე, ამირანმა კი მეორე მხარეს გადააგლო და იქ დაიჭირა. შემოვიდნენ შინ და უამბეს ამანს:

ბაბუა, ესა და ეს ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შენ გვითხარი, კიდევ რას აკეთებდა, ეს გვითხარი!

რას და ჩვენს ციხეს მხარს გაკრავდა, აქეთა კუთხეს მეორე მხარისკენ გადაწევდა, იქითას კი აქეთ.

გავიდნენ ესენი გარეთ, ვისიბმა ძვრაც ვერ უყო, ბადრიმ კი ოღნავ შეუცვალა მიმართულება, ამირანმა გაკრა მხარი, აქეთა კუთხე მეორე მხარეს გადაწია, მეორე მხარის კი — აქეთ. შევიდნენ შინ და უთხრეს მათ ბაბუას.

კიდევ რას აკეთებდა, — ჰკითხრეს ამანს.

რას და ჩემს მშვილდ-ისარს მომართავდა, პირში ჩაიყრიდა და ისრის ნამტკრევებს ყელიდან ამოაბრუნებდა.

გავიდნენ ესენი გარეთ, სცადა ვისიბმა, მაგრამ ვერ მომართა მშვილდ-ისარი. ამირანმა პირში ისროლა და ნამტკრევი ამოყარა პირიდან. შევიდნენ შინ და უთხრეს ბაბუას.

— ბაბუა, შენ რაც ვითხარი, ის ყველაფერი გავაკეთეთ და კიდევ რას აკეთებდა, ის გვითხარი.

ოო, ბაბუას თქვენი ტკივილი, ამას და ამას ის ვერ აკეთებდა, მაგრამ ისე გამოგვადრეო და ახლა იმედი მაქვს, რომ იმის დამხვდურად ივარგებო. ახლა იმის საცხოვრებელსაც გასწავლით და იქით როგორ უნდა წაზვიდეთ, იმასაც გეტყვით. თქვენ დაიკავეთ, აბა, ახლა სამი კატის სამი თავი, ერთი გულა ვირის შარდი და ერთი ფუთი ფეტვი. ის დღისით ხარს წვავს სადილად და თქვენ კატის თავს შეგადებო. მაშინ იგი კერეტანზე შეჯდება და ელიას აღს გამოუშვებს, კერეტანს ფეტვი დაუყარეთ. ის მის ჭამას დაიწყებს და თქვენ ვინც მოერევით ერთმანეთს, ის იქნება...

ესენი მოემზადნენ იქ წასასვლელად და, ბაბუამ რაც უთხრა, ყველაფერი დაიკავეს.

მიდიან, მიდიან ესენი და მიაგნეს დევის სახლს. შეიხედეს შიგ და დევი ხარს წვავს სადილად. ესროლა ვისიბმა კატის თავი და ზღურბლს მოარტყა. ესროლა ამირანმა და თეძოზე მოარტყა. წამოხტა დევი, და კერეტანზე შემჯდარი ელიას აღს უშვებს, ისე გამოდის გარეთ. ვისიბმა და ბადრიმ ამას რომ თვალი მოჰკრეს, უცებ გაიქცნენ, სად წავიდნენ, ამირანმა ვერაფერი გაიგო.

ამირანმა ერთი გულა ვირის შარდი შეასხა და ელიას ალიც ჩააქრო. ფეტვი კერეტანს დაუყარა და თვითონ დევეს სტაცა ხელი და ჭიდაობდნენ და ამირანმა დევი ქვეშ მოიგდო. ამას თორმეტი თავი ჰქონდა და დაუწყო თავების ჭრა, და თერთმეტი თავი რომ მოჭრა, მაშინ დევემა ამირანს უთხრა.

— მთლიანად ჭაობში მოხეტიალედ ნუ მომსპობ და მისი ბაბუის თვალი ბოძზე მიჭედებული, აიღოსო და ჩაუდგასო, მაშინ მისი ხელსახოცი მოუსვასო და უკეთესად იქნებაო.

— აი, შე მხეცო, ამას ყველაფერს ვიზამ და შენც მოგკლავ.

ამირანმა დევეს ყველა თავი მოაჭრა და მოკლა.

დევის მოკვლის შემდეგ ბადრი და ვისიბი გამოვიდნენ ამირანთან. შევიდნენ სახლში, მოძებნეს მათი ბაბუის თვალი, ბოძს იყო მიჭედებული, გამოიღეს და, ამის გარდა, რასაც მოერივნენ,

ამოიღეს ღვეის ქონება და წამოიღეს შინ. თვალი ჩაუდგეს ბაბუას, მოავლეს ხელსახოცი და ამას როგორც ადრე ჰქონდა თვალი, ახლაც ისეთი თვალი გაუხდა. ამირანმა და მისმა ძმებმა ბევრი ხანი არ დააყოვნეს შინ და მალე წავიდნენ საჭაბუკოდ.

მიდიან და ერთ ღღეს გზაში სამი გველეშაპი შეხვდათ. ამირანმა უთხრა: გზიდან გადადექით!

— თქვენ გადადექით!

ამათ გზა არც ერთმა მხარემ არ დაუთმო და გველეშაპმა ამირანი გადაყლაპა.

გველეშაპები შინ რომ წავიდნენ, ერთი გველეშაპი, რომელმაც ამირანი გადაყლაპა, ავად გახდა და ისე გაიბერა, რომ სკდება. დელამისმა კითხვა დაუწყო და ჰკითხა:

ხომ არ უნახავს ვინმე?

არაუინო, სამი ბუზი შეგვხვდა და გზა არ დაგვითმეს და ერთიო გადაყლაპაო.

უი, ჩემი ცოდვა, ის ამირანოლა ღადის და, ალბათ, ის უნდა იყოსო.

ამის დედა ეკითხება და ეხვეწება — ვილაცა ბედნიერი ბრძანდებით, ან წინიდან გამობრძანდი, ან უკნიდანო.

გველეშაპმა რომ ამირანი გადაყლაპა, ვისიბი და ბადრი უკან დაედევნენ და სარკმლიდან უსმენენ კითხვებს. ვისიბმა ჩასძახა სარკმლიდან:

„ამირან, კალამ — ჩალამსა, ჰავ — ჰალავსა,

ბადრს, ვისიბსა მოკლე ხანჯარ ჩეგებსა.“

მაშინ გაახსენდა ამირანს, რომ მას ხანჯალი ება წელზე, დააძრო, გველეშაპს მუცელი გამოფატრა და გარეთ გამოვიდა. გარეთ გამოვიდა და აქ თავისი ძმები, ვისიბი და ბადრი, დაუხვდნენ და სიხარულისაგან ტირილი დაიწყეს. მოდიან ესენი და ერთ ადგილას საშრობზე ოთხი ჩიტი ღვას, სამი კაკლებს ჭამდა და ერთი ქვევით ყრიდა.

რატომ არ ჭამს და რატომ ყრის ქვევით, ძირს? — ჰკითხეს ჩიტებმა.

იმიტომ, რომ ზვალ ეს მოსახლე საშრობს არ დადგამს, წვიმა იქნებაო, მაშინ მას ექნება საჭმელი და მათ კი არა.

გაჩუმდესო, როგორ წრიპინებსო, ჰა ვინმეჩიანთ გოგონა! — უთხრა ერთმა.

როგორ ჩლიფინებს, ჰა, ქეთმათიანი გოგონა! — მეორემ უთხრა.

როგორ სლიკინებს, ჰა ზღვის გაღმელი გოგონა! — მესამემ უთხრა.

ვისიბი გულთმისანი იყო და გაეცინა. მოესმა, ჩიტების ლაპარაკი გაიგონა.

რა გაეცინაო? — ჰკითხა ამირანმა.

არაფერიო.

მე მოგიკვდე, თუ არ მითხრა, რა გაეცინაო!

რატომო და საშრობზე ოთხი ჩიტი ღვას, სამიო კენკავს კაკლებს, ერთი ქვევით ყრის.

რატომ ყრის დაბლა და რატომ არ კენკავს კაკლებს, — ეუბნებიან ჩიტები.

იმიტომ, რომ ზვალ ცუდი ამინდი იქნება და მოსახლე საშრობად არაფერს გამოიტანს, მაშინო მას ექნება საკენკი, მათ კი არაო. ერთ ჩიტს უთქვამსო, რომ როგორ წრიპინებსო, ჰა ვინმეჩიანთ გოგონა! მეორეს უთქვამსო, როგორ ჩლიფინებს, ჰა ქეთმათიანთ გოგონა! მესამემ უთხრა: როგორ სლიკინებსო, ჰა ზღვის გაღმელი გოგონა!

ისინიო (ე.ი. თვითონ) იყვნენ დაწყველილები, თუ არ წავიდნენ მათ სანახავად, რანი არიან ისინი, ასე კარგები! — თქვა ამირანმა.

მიდიან, მიდიან და მიაგნეს, ამას, ა' ვინმეჩიანთ გოგონას. ეს ციხის ქონგურიდან იხედება და ჰკითხა ამათ. სანამდე არიანო მომსველელი. — სანამდე და გასასამართლებლად. აბაო, ვისიბი მეყოლებათ: ვისიბსო არ გავასიძევებთო, — აბაო, ბადრი მეყოლება, ბადრისაც არ გავასიძევებთო. მაშინ შენ იქნები, მეყოლები. იგი კიო, თანახმაა. მაშინ ქრისტეს თავდებობა მომეცი, რომ მისგან

არსად წავიდეს და დაგაყენებო, მასთან დატოვებსო, თუ არა და არა. ამირანმა მისცა თავდებობა. ამ საღამოს იყვნენ, მეორე დღეს გაიქცა ამირანი, გაეპარა, არ დარჩა და თავდებობაც გაუტყდა, მიდიან, მიდიან და ქეთმათიან გოგონას მიაგნეს. ეს ციხის ქონ-გურიდან იხედება და ჰკითხა:

– სანამდე არიანო მომსვლელი?

– სანამო და გასიძევებამდე, – უთხრა ამირანმა.

– აბა, ვისიბი მე მეყოლებო. – ვისიბს არ ვასიძევებთ. მაშინ ბადრიო, არც ბადრის ვასიძევებთო. მაშინ შენ მეყოლებიო ქმრად. იგიო თანახმაა.

ესენი ავიდნენ ციხეზე და ქალიშვილმა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა, რომ მისგან არსად წავიღოდა. ამირანმა მისცა თავდებობა.

მეორე დღეს გამოსვლა უნდოდა ციხიდან. გამოიხედეს და ნახეს, რომ ამ ციხეს სამკეცად გარს არტყია, თუ რამ ქვეყანაზე ქვეწარმავალი იყო.

ხომ არ ყოფილხართ კიდევ, ჩემ გარდა, სადმე? – ჰკითხა ქალიშვილმა.

არაო, უპასუხეს ამათ.

აღბათო, კი, თუ არა ესაო, რაც გარს არტყია, მისი დის, ვინმანთან გოგონას, გამოგზავნილიაო.

გამოხტა ვისიბი და ორკეცი ქვეწარმავალი გაწყვიტა. ბოლოს თვითონაც ქვეშ მოიგდეს. გამოხტა ბადრი, ერთი კეცა გველებისა, რომელიც ციხეს გარს ერტყა, გაწყვიტა და თვითონაც ქვეშ მოჰყვა. გადმოხტა ამირანი, გველები სულ გაწყვიტა და თვითონაც გადარჩა. მოჰყვა ამირანი და გაწყვეტილი გველებისაგან გამოარჩია ბადრი და ვისიბი. ციხისაკენ აიხედა და შეეხვეწა ქალიშვილს:

მადლი გექნებაო, უშველოსო რამე, ამათი გამცოცხლებელი წამალი მისცესო. ქალიშვილი შეფიქრიანდა. მაგრამ ციხიდან სახოცი გადმოუგდო. ამირანმა მოუსვა სახოცი ბადრის და ვისიბს. ორივენი გამოცოცხლდნენ.

ახლა ამირანს ზღვის გაღმელ ქალიშვილთან წასვლა მოუნდა. ბადრიმ და ვისიბმა უთხრეს, რომ აბაო, თუ ცუდად არ ჩამოგვართმევ, ისინიო შინ გაუშვასო.

სახლშიო, სიამოვნებით, თუ მათ ურჩევნიათო. – უთხრა ამირანმა. ვისიბმა და ბადრიმ გადაკოცნეს ამირანი და შინ წავიდნენ. ამირანი გაუღვა გზას და ერთ მინდორში ჯარია და ამ ჯარში ერთი ისეთი მაღალია, რომ მთელ ჯარში ყველასაგან გამორჩეულია სიმაღლით. ამირანმა იკითხა ამ კაცზე და უთხრეს, რომ ესო ანდრერობის შვილი ჯინჯიქია. მივიდა ამირანი ამ კაცთან და ამან უცებ ჰკითხა: სად ყოფილხარო?

სად და ამირანთან, – ამირანმა უთხრა.

რა სჩვევიაო მერე ამირანს? (ან რა ჩვეულება აქვს)

რაო და თავის მშვილდ-ისარს მომართავსო და პირში ისვრის, ისრის ნამტვრევებს კი ყელიდან ამოაბრუნებსო.

ამან მომართა ამირანის მშვილდ-ისარი, პირში ისროლა და ისრების ნამტვრევები ამოყარა ყელიდან.

კიდევ რას აკეთებსო?

კიდევ რას აკეთებს და, რაც აქ კაცია, ამდენიო თუ ერთ თვე ზიდავენ ქვებს და დაყრიან ამირანის თეძოებზე, იმასო ყველას გვერდზე გადაყრის.

ამასო თვითონაც იზამს.

დააწყებინა ამ ხალხს ქვების ზიდავა და ერთი თვე, რაც რომ მოზიდეს, ყველაფერი ზედ დააყარეს ტანზე. სანამ ამას ყველაფერს განზედ გადაყრიდა, მანამდე ამირანმა უთხრა : „დაიცდისო, იგიო მის საცდელ ქვასაც დაიმატებსო“, აილო ამირანმა მისი საცდელი ქვა და თეძოებზე დაუმატა. ეს კაცი (ჯინჯიქი) ამ ქვას ვერ უძლებს და უთხრა, რომ

- ამოიღოსო, თუ არა, სული მისდის.

ოო, ვერ მოუტყუებია? აბა, ამირანი თვითონააო.

იგი მოუტყუებია, მაგრამ მის ბაბუა ანდრელობს ვერ მოატყუებსო.

იგიო დაწყევლილი იყოს, თუ არ წავიდეს იქ და არ ნახოს, ვინაა და რანაირია ეს ანდრელობი.

მიდის, მიდის ამირანი და ერთ ადგილას თორმეტი უღელი ხარია ჩაბმული მარხილს. აქ ანდრელობი წევს. ფეხი გარეთ აქვს გამოვარდნილი და ერთი მეტრი სიღრმის ნალარს ტოვებს.

- ვინ არისო ეს, ამაში რომ წევს? — ჰკითხა ამირანმა.

ესო ანდრელობია. ავად გამხდარა და სივდილის შეშინებია, თუ მოკვდებოდა, ვერავინ დააწვენდა (დადებდა) მარხილზე, შეშინებია, სიკვდილის შემდეგ დაუმარხავი არ დარჩენილიყო და ახლა თვითონ დაწვა მარხილზე და ცოცხლად იმარხავს თავს.

- ეს რა არის, რომ ფეხი მისთრევს?

ესო მას დარჩენია გარეთ და ვერავის ვერ აუწევიო, რომ ისევ მარხილზე დადოს.

ამირანმა იოლად დაუდვა ფეხი მარხილზე.

ვინ ყოფილა ესო, მისი ფეხის მსუბუქად ამწევი? — იკითხა ანდრელობმა.

ესო ამირანია. — ამირანმა მაჯა აჩვენოსო.

ამირანმა თეთრი ქვა აიღო და აჩვენა. ანდრელობმა მოუჭირა და მტვრად აქცია.

ეს არ ყოფილაო ამირანის მაჯა, აჩვენოსო, რა გასჭირვებია ასეთიო.

ამირანმა აჩვენა, გაუწოდა მაჯა. ანდრელობმა ხელი მოჰკიდა და უთრა „ეს ქრისტეს თავდებობა გატეხილი აქვს (იგულისხმება, რომ ერთჯერ გატეხილი აქვს). ამირან ერთი ბადიში დამრჩაო, ისო არ დამიობლოო! წავიდა ეს, ამირანი იმის საძებნელად და მოძებნა ანდრელობის ბადიში.

ერთ დღეს ერთ ბორცვზე ისხდნენ და ამირანს ჩაეძინა ამის მუხლებში. აქეთკენ სამი გველეშაპი წამოვიდა და ამ ჭაბუკმა ამათ თავი ერთიმეორეს მიახლევინა და კულებით ერთიმეორეზე გადააფსკვნა და ასე ჩამოჰკიდა ხეზე. გამოიღვიძა ამირანმა და ეს ჭაბუკი უგუნებოდა დახვდა.

რატომ ხარ უგუნებოდ ? – ჰკითხა ამირანმა. – არაფ-
რისო გამოო.

ხომ არავინ მოსულა აქეთ ? – არაო. სამი კნუტი მო-
ვიდა და თავები ერთი მეორეზე მივახლევიანე და ხეზე
ჩამოვკიდეო.

გაიხედა ამირანმა და, გველეშაპები რომ დაინახა, ეწყი-
ნა.

ამასო იგი გადაუყლაპია (იგულისხმება ერთ – ერთი
გველეშაპი). მის გასაზრდელ ჭაბუკს კი მოუკლავსო.
თუ აქედანვე მას ასეთი ძალა აქვს, რომ გაიზრდება,
მაშინ მას ვერ მოერევაო? ამირანმა უთხრა, ახლათ
მშვილდ-ისრობა გაემართოთო. გადი და დააგე.

ეს ჭაბუკი ნიშნის დასაგებად რომ მიდიოდა, ამირანმა
უკნიდან ისარი ესროლა და მოკლა.

ამირანს უკვე სამჯერ გაუტყდა ქრისტეს თავლებობა. მის
სადგომმა მიწამაც პირი უყო, ზემო და ქვემო ყველაფერი ერთი-
მეორეში აირია და ამირანიც თან ჩაიყოლა.

ჩამწერი. ი. გულბანი.

მთქმელი არაა დასახელებული, ჩანაწერი დაბეჭდილია:

- ა. შანიძე, ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები,
ტ. I. ბლსემური კილო, 1939 წ. გვ. 88.
სვანური ტექსტი თარგმნა ო. ონიანმა.*

7. ამირანი

დაგლოცოთ ღმერთმა. აქ არის ამირანი, რომელიც ყველაზე ძლიერია. დადის ეს და უნდა, რომ ვინმე ძლიერ კაცს, მის მეტოქეს შეხვდეს, უფრო მეტად დევებს ეძებს. მათ სადაც შეხვდება, ხოცავს. ნაძვები რომ არის, ესენიც გვანანო დევს და ამირანი ამათი სიძულვილით მათაც ძირიანად თხრიდა, შორს გადააგდებდა. ამ დროს ამირანი ძვალ — ხორციანად დაიკარა. ვერაინ ვერაფერი გაიგო. ამას ცოლი დარჩა ფეხშიძივე დიდ კლდეში.

ერთჯერ მოისმა კივილი. ხმელს ანელლებს და ნელს ახმობს ეს კივილი. ამას ჭალაში არის დიდი სოფელი. ამ კივილმა შეაწუხა მთელი სოფლის ხალხი. ამ სოფელში ცხოვრობს ერთი მჭედელი, რომელმაც გულში ჩაიდვა ამის გაგება, რა არის ან ვინ, ასე რომ კივის. ღამით ფარულად მიდის საკუთარ სამჭედლოში და სატეხებს ამზადებს, გააკეთა ბევრი. ცოლს არაფერი გააგებინა. არც სხვა ვინმეს. ერთ დღეს ეს სატეხები ჩაყარა გულში. რკინის პატარა ურო დაიკავა. შუალამისას მიადგა ამ კლდეს. ადის მალლა, სატეხებს ამაგრებს, მაგრამ ვერ მიამაგრა. მიაწვა ხელით და კარი გაიღო. ისეთი სინათლე გამოვიდა იმ კარებში, რომ საოცარი. თუ რამე არის ამაში, ყველაფერი ოქროსია. ამათი ელვარებითაა სინათლე. შევიდა მჭედელი შიგნით და საწოლზე ქალი დაინახა. ეს თვალტანადობით იყო კარგი, შეხედვას არაფერი სჯობდა. ამან რომ ლაპარაკი დაიწყო, მჭედლის გულმა მატება (ზრდა) დაიწყო. კარგი ოქროს ნაწნავეები აქვს. დიდხანს ესაუბრებოდა მჭედელი მას, მერე კი წასვლისას, ქალმა უთხრა:

ერთი სატეხიც კი არ დაგრჩეს, თუ არა მისი ცოლიო კუდიანია და იმ ერთი სატეხითაც ამოვა აქ. სხვა რომ არაფერი დამმართოს და მარტო ნაწნავე მომჭრას, იგი მოკვდებო.

მჭედელი ღამით ყოველთვის ადის ამ ქალთან. ის ყოფილა ამირანის ცოლი. კივილს მაშინ იწყებდა, როცა ამირანი ახსენდებოდა. ერთ საღამოს მჭედელს დარჩა სატეხი და ეს გაიგო მისმა ცოლმა. ავიდა კლდეებზე და ქალს ოქროს ნაწნავე მოაჭრა. ამირანის ცოლი სიკვდილის პირასაა მისული. მეორე საღამოს მჭე-

დელი ავიდა და ქალი მისიკვილებული დახვდა. ახლა ქალმა უთხრა მჭედელს. ახალი დაკლული კამეჩის ტყავი იშოვე. მჭედელი წავიდა კამეჩის ტყავის საძებნელად, საშონელად, იშოვა და მოვიდა. ქალმა აიღო ოქროს ჯაყვა და უთხრა მჭედელს: „ახლა შენ გამიჭერი მუცელი ოქროს ჯაყვით“. მჭედელი უარზეა, ენანება გასაჭრელად, მაგრამ ქალმა არ ქნა. — თვითონ კვდება და ესაა, მუცელშიო ვაჟი მყავს და იმას ნუ მოკლავენო. ვაჟი შეახვიე კამეჩის ტყავში, ჩააწვინე ოქროს აკვანში, მაგრად შეკარი, აიკიდოსო და იამანის წყაროზე დადგას, ამ აკვანს ამირანის ხმალი ჩამოჰკიდე.

ეს ყველაფერი გააკეთა მჭედელმა და ქალიც მოკვდა,

ახლა იამანი მოვიდა წყაროს სანახავად, ნახა ოქროს აკვანი. იამანს ეს გაუკვირდა. გასინჯა და აკვანში ბავში წვეს. წელს ზემოთ ოქროსია, წელს ქვემოთ — ვერცხლის. ეს იამანს ძალიან გაუხარდა. ამოიყვანა ბავში და ფეხსაცმლის ყელში ჩასვა და წამოვიდა შინ. მიუშვირა ფეხსაცმელი მის ცოლს გასახდელად. „იამან, შე კაცო, აქამდე არასოდეს გითქვამს ფეხსაცმლის გახდა. ახლა რა ამბავია“. ქმარმა ძალით გაახდევინა ფეხსაცმელი. ბავში კალთაში ჩაუვარდა ქალს. „მადლი ექნება ჩემ ღმერთს, ეს ბადრისა და ვისიბის აკვანის მარწველად მეყოლება“, — თქვა ქალმა.

ამ ბავშვს სახელად ამირანი უწოდეს. იგი ღამე წერთას იზრდება, დღე — ერთ მტკაველს. იგი გაზარდეს საკუთარ ვაჟებთან ერთად.

იამანი ყოფილა გმირი, მაგრამ დღეს მოხუცებულია. სანამ ახლგაზრდა იყო, იგი თორმეტთავიან დევს საჟენ შემას აზიდვინებდა და ეზოში დააწყობდა. როცა იამანი დაბერდა, მაშინ თორმეტთავიანი დევი მოერია. ახლა მას აქვს თორმეტი საჟენი შემადევისთვის მისატანი. ძალიან რომ დაბერდა, ვერ უზიდავდა. მოვიდა დევი და მარჯვენა თვალი გამოუღო იამანს.

ბადრი, ვისიბი და ამირანი გაიზარდნენ. სათამაშოდ წავიდნენ წყალზე. შეხვდათ მოხუცი ქალი. ამ ქალს ამირანმა ჭურჭელი დაუმტვრია. მაშინ ქალმა უსაყვედურა: „თქვენ თუ კარგი ბავშვები ხართ, თქვენ ბაბუას რომ თვალი არ აქვს, იმათ-

ზე იძიეთ შური.“ ბავშვები ასე წავიდნენ შინ. ამირანმა უთხრა თავის გამზრდელს:

გამომიცხვე კარგი ხატაპური.

გამზრდელმა გამოუცხო, მოუტანა და წინ დაუდო. ამირანმა ამას კანი ამოაცალა. თავის გამზრდელს მკერდზე მიადო და უთხრა:

სანამდე არ მეტყვი, ბაბუას თვალს რა დაემართა, მანამდე არ ამოვიღებ.

იმას გაუთავდეს დღე, ვინც თქვენ ეს გითხრათ, ბაბუათქვენს თორმეტთავიანმა დეემა გამოუღო თვალი, — უთხრა დედამ.

მოვიდა იამანი და ცოლს გაუწყრა:

რატომ უთქვიაო ბავშვებისათვის, ჯერო ესენი პატარები არიანო და არ შეუძლიათ დევთან ბრძოლა.

აბა, წაიყვანოსო და დევი ასწავლოსო, — სთხოვეს ბავშვებმა, მაგრამ იმას იამანი არ შეება. ჯერო ბავშვები არიანო და არ შეუძლიათო.

როცა მე შევატყობ, მაშინ გეტყვი იქ წასვლას, — უთხრა იამანმა.

კიდევ გაახსენდათ ბავშვებს და მაგრად გაუწყრნენ მათ ბაბუას. ყველაზე უფრო ამირანს ერქარება დევთან ბრძოლა, ძალიან ცუდად იქცევა.

იამანს ეზოში უდგას ციხე — კოშკი. მის კარზე მიყუდებულია დოლაბი ქვა.

- ამას მე და დევი ციხის თავზე გადავაგდებდით, — იამანმა თქვა, — და, როცა თქვენ ამას შეძლებთ, რომ დოლაბი ქვა ციხის თავზე გადაგდოთ, და მეორე მხარეს დაიჭიროთ, მაშინ ივარგებთ დევის წინააღმდეგ საბძროლველად.

შეუდგნენ ამ დოლაბი ქვის ციხის თავზე გადაგდებას. ჯერ ბადრიმ სტაცა ხელი დოლაბ ქვას, მარტო დაბლა საძირკველზე მოარტყა ციხეს. სტაცა ვისიბმა და შუა ციხემდე ააგდო. სტაცა ხელი ამირანმა და ციხის თავზე გადააგდო. მაგრამ იქით ვეღარ დაიჭირა. იამანმა უთხრა:

ჯერ დევთან ბრძოლა არ შეუძლიათო. ნახევარი წელიწადი დაითმინონო, მერე ისევ ვცდით.

ეს ნახევარი წელიწადი იამანს სანადიროდ დაჰყავდა თავისი გაზრდილები და ტყეებს ნადირს არ არჩენდნენ. გავიდა ეს ნახევარი წელი. ისევ მოუბრუნდნენ ციხეს. აიღო ბადრიმ დოლაბი ქვა, გადააგლო ციხის თავს ზევით, მაგრამ იქით ველარ დაიჭირა. ახლა ვისიბის ჯერია. ამან საძირკველს მარტო აუწია. ამირანმა აიღო დოლაბი ქვა. გადააგლო ციხის თავს ზევით, იქით დაიჭირა და აქეთ გამოიტანა ძირს დაუგდებლად. ახლა იამანს გაეზარდა.

მადლი და ღიღება ჩემ ღმერთს, დღეს თქვენ ვარგიხართ შურის მძიებლად. ახლა მარტო ეს არ კმარა. იქ რომ წახვალთ, თქვენ დაგჭირდებათ ერთი ვერძის თავი, ორი კატის თავი, ერთი გულა ადულებული წყალი, ერთი ტომარა მოხარშული ქერის მარცვალი. ეს ყველაფერი იშოვეს და გაემგზავრნენ შურის საძიებლად. იარაღი ბევრი აქეთ, თითოზე ყველას. ახლა იამანმა უთხრა:

მომზადებული ხომ ხართ წასასვლელად. მე არ შემძღლია იქამდე მოსვლა და აქედან გასწავლით დევის სამოსახლოს.

იამანი უყვება: დევსო ყავს ღიღი კერეტანი (იმაზე ჯდებაო). გარეთ გასვლისას ნაკვერჩხლებს ყელში იყრის და იმითი აფუჭებსო ხალხსო. ორი კარებთან დადგესო მარჯვედ, ტახს ქერი დაუყარეთ და ყელიდან რომ ალი ამოსდის, იმას ადულებული წყალი დაასხით; მესამე სარკმელთან გაჩერდეს და, ცეცხლზე, ნაკვერჩხლებზე ესროლონო კატის თავი. მეორედაც კატის თავი ესროლონო, შემდეგ ვირის თავით როგორმე მაგიდას ფეხი მოამტკრიონ.

ასე გაუდგნენ გზას ესენი. მიაღწიეს დევამდე. აქ ერთი მეორეს ეუბნებიან, თუ ვინ გაჩერდებოდა კარებთან და ვინ სარკმელთან. ბოლოს ამირანმა იძალა და ვისიბი და ბადრი კარებთან დააყენა. თვითონ კი ზევით ავიდა, რომ სხვენიდან ესროლა კატის თავი. დევი სუფრას იყო მიმჯდარი და ცეცხლი, ნაკვერჩხლები

მიყარა. ესროლა მეორედაც კატის თავი. სუფრას ფეხი მოამტვრია. დევმა თქვა:

მაღლობა ღმერთს, ღმერთმა ლუკმა გამომიგზავნა!

ახლა ამირანმა ვირის თავი ესროლა და დევს მკერდში მოარტყა. წამოხტა დევი. ნაკვერჩხლები ცეცხლიანად ყელში გადაუშვა. თვითონ კერატინზე შეჯდა და გარეთ გამოხტა. კარებთან დაუხვდნენ ბადრი და ვისიბი. კერატინს ქერი დაუყარეს. ცეცხლი შეაქრეს. ბადრიმ და დევმა ერთმანეთს სტაცეს ხელი. ბადრი და დევი ჭიდაობენ, თან ეძახის ამირანს: არიქა, უშველოსო, თუ არა დევი ერევაო! ბადრის ისეთი ხმა ჰქონდა, ცის კიდეზე ისმოდა. როდის იყო და, ამირანმაც გაიღვიძა. მანამდე გაუძლო ბადრიმ დევს. ამირანმა სტაცა ხელი დევს და თორმეტი თავი ერთბაშად მოაჭრა, წვრილ - წვრილად დაკეპა, ძვალი და ხორცი ცალკ - ცალკე გადაანაწილა, თორმეტი საყენი ძვალი გამოვიდა, თორმეტი - ხორცი. ეს რომ მოათავა, მაშინლა დაძებნა ძმები. ბადრიმ უთხრა ამირანს: ვისიბი გაიქცა, დევი რომ დაინახა. ბადრის უთხრა ამირანმა: ვისიბსო დაუძახოსო, იამანი დააფიცო, შეიძლება არ ჩახტეს ზღვაში, უთხარი, რომ დევი მოვკალით. ბადრის ხმა რომ გაიგონა ვისიბმა, მაშინ რაშს წინა ფეხები ჩადგმული ჰქონდა ზღვაში, მაგრამ უკან დაბრუნდა ვისიბი.

დევს შუა დარბაზში ოქროს სვეტი (ბოძი) ედგა, ადამიანის თვალებით სავსე. წამოიკიდეს ეს ბოძი მხარზე და წამოიღეს ბევრ სხვა ქონებასთან ერთად სახლში. იამანმა დიდი ღზინი გადაიხადა. მის თვალი ჩაუსვეს იამანს. მოუსვეს უკვდავების წყარო და გამთელდა. დადიან ძმები სანადიროდ. ამირან სულ არ აყენებს დევებს, ხოცავს. ერთ დღეს მინდორში შეხვდათ სამი გველეშაპი. ესენი ამირანმა დაყო: წითელი, ყველაზე დიდი - ამირანს, რუხი, შუათანა - ბადრის, შავი, უმცროსი ვისიბს. ბადრიმ თქვა: წითელიო მას, და რუხი ამირანს, შავი - ვისიბს. ლაპარაკი რომ დაამთავრეს თვითონ, ამირანი წავიდა წითელი გველეშაპისაკენ. ბადრი - რუხისაკენ, ვისიბი - შავი გველეშაპისაკენ.

ამირანი როგორც კი გავიდა, ჩაეძინა და მძინარე გადაყლაპა გველეშაპმა. ბადრიმ და ვისიბმა გაწყვიტეს თავიანთი წილი

(დასახოცი) გველეშაპი. წითელი გველეშაპი, რომელსაც ამირანი მუცელში ჰყავდა, გაიქცა. ბადრი და ვისიბი გამოეკიდნენ გველეშაპს. მაგრამ იგი ჩაძვრა მიწაში და მხოლოდ კუდის მოჭრა მოასწრეს ძმებმა. სადაც გველეშაპი ჩაძვრა, ძმებმა კარავი დაღვეს, ბადრიმ დაუძახა ამირანს.

ხანჯლით გაუსწორდესო გველეშაპს (სიტყვა სიტყვით კი ასეა: ხანჯალი ურტყასო გველეშაპს).

გველეშაპი ქვესკნელში ჩავიდა, იქ ამირანმა გაიღვიძა და ხანჯალი დაუსვა გველეშაპს. ამას მუცელი ასტიკვდა და ღეღამისს შესჩივლა.

- ღეღამისო, ზევით (ე.ი. ღეღამიწაზე) სამი ბუზია, ესენი ხომ არ ჩაგყვა, გავიდესო და ოქროს ბომს მოეხვიოსო და დაიღწევა, რაღაცა არის.

გავიდა იგი, მაგრამ კუდი რომ მოჭრილი ჰქონდა, ვერ მოეხვია ბომს და ძირს ჩამოვარდა. ღეღამისმა ლოცვა (შელოცვა) დაიწყო: თუ ამირანი ხარ, გამოდი ან წინ, ან უკან. ამირანმა უთხრა: — დამაბრუნეთ ზედა სამყაროში, თუ არა და ისე ვერ გამოვალ. იქო გამოვალ, საიდანაც მომესურვება.

ამათ დააფიცეს ამირანი, რომ არ მოკლას გველეშაპი და დააბრუნებენ ზედა სამყაროში. იქ ამირანმა გამოჭრა გველეშაპს მარჯვენა გვერდი და გამოვიდა იქიდან. გველეშაპს ჩაუღვეს ხის „ჩელტი“ (იგულისხმება წქნელებისაგან გაკეთებული) და ცოცხალი გაუშვეს.

ამირანს ეუცხბოა, ასე რომ დაემართა და დაშორდა, გაეყარა ბადრის და ვისიბს და წავიდა მისთვის. დადის ასე, მისებურად დახეტიალობს ტყეში. ვინც ძლიერი იქნება, ებრძოლება და ხოცავს მათ.

ამირანი იყო „ჯგერაგის“ - წმ. გიორგის — ნათლული. გამოეცხადა მისი ნათლია და მან საჩუქრად მისცა, რომ, სანამ სამჯერ არ დაარღვევს „ჯგერაგის“ წმ. გიორგის თავლებობას, ფიცს, მანამდე ამირანის მომრევი არაფერი იქნება.

მიადწია ამირანმა ერთ დიდ, ტრიალ მინდვრამდე. ეს მინდორი ცხვრებითაა სავსე. კლდის წვერზე ზის დევ-დედაბერი. დიდი ნაძვი სართავად აქვს, ღოლაბი ქვა — სარქმელად და

წვრილ ტყეს რთავს. ეს ამირანს არ დაუნახავს. ჩაერია ამირანი ცხვრის ჯოგს ხმლით, ჭრის თავებს, მაგრამ უცებ უმთელდებათ. ეს ეწყინა ამირანს, რომ ცხვარს ვერ ხოცავს. ღვევი კი უყურებს ამას და დაუცაცხანა მან ცხვრის ჯოგს და მთელი ჯოგი ქვაბში შევიდა, ამირანიც შეიყოლიეს. ღვემა ქვაბის კარები ამოქოლა, თვითონ შევიდა, ცეცხლი დაანთო და დაიძინა. ამირანი დადის სიბნელეში, ეძებს გარეთ გასასვლელს. ამ დროს მოესმა კვნესა. უკვირს ეს ამირანს. საიდან ესმის ეს კვნესა, იქით მიდის. უფრო და უფრო ესმის. ასე და დაეხშიანა:

- ვინ არისო, რომ კვნესის?

თვითონ ვინ არისო? — მან ჰკითხა.

მე ამირანი ვარ, შენ ვინა ხარ?

მეც ამირანი ვარ, რატომ გავხდით ასე უბედური, რომ ამ ღვევის წერა გავხდით ორივენი?! მოდი, აბა, და შეიძლება ამომიშვა, გამათავისუფლო.

ნახა ამირანმა და მხრებამდე მიწაშია ჩაფლული და რკინის ჯაჭვით დაბმულია.

სიკვდილით ვერ მოუკლავს „მეწრი ღვეს“ (იგულისხმება - უკეთური ღვევი). წინასწარ ორმო გაუთხრია და ჭიდაობის დროს ფეხი ორმოში ჩაცდენია და მხრებამდე დაუძარხავს.

მიადგა ამირანი და ამოიყვანა ორმოდან.

მისი მადლი და ღიღება ღმერთს, რომ მისი მპოვნელი შეიღი მოსვლია. ახლა ცოტა ფიჩხი იშოვე, ცეცხლი დაანთოსო ღვევის თავთან, სითბო რომ დაუვლის, არ გამოიღვიძებსო. ჩვენ მოსამზადებლად დრო გვექნებაო, მოგვეცემა. ამ ღვეს აქვს თხუთმეტი თავი, როგორი ხმალი აქვსო, გასწვდება კისერზე დააზომოს ხმალი.

წავიდა ამირანი, აიღო თავისი ხმალი, დააზომა კისერზე, მაგრამ შუამდეც ვერ მიაწვდინა.

ახლაო, მისი ხმალი გღაო კუთხესთან, აიღე ის, თუ მოერევი, — უთხრა უფროსმა ამირანმა.

წავიდა ამირანი, მოძებნა მამამისის ხმალი. ეს ორჯერ დიდია მის ხმალზე. ხმალს რომ იტყვი, ისაა ეს, — გულში თქვა.

სანამ დევს თავს მოაჭრიდე, მანამდე ცხვრები გაატყავო! — მამამ ურჩია.

უმცროსი ამირანი ცხვირში უყოფს ნეკა თითს, უკნიდან ურტყამს მუხლის თავს, ტყავი ხელში რჩება და ტიტველი ცხვარი ვარდება მისთვის, ე! ასე ესენი ბევრი გაატყავა. ეს უთხრა უფროს ამირანს (ანუ დიდ ამირანს):

- ახლა, რომ იცოდე შენ, — უფროსმა ამირანმა უთხრა უმცროს ამირანს, — თავს რომ მოჭრი, ცხვრები გარეთ დაიწყებენ დენას. ჩვენ ცხვრის ტყავები უნდა წამოვიცვათ. დევი კარებთან გაჩერდება. უთმოს დატოვებსო და თმთან გაუშვებსო, ჩვენც გავალთ. გარედან შემოსახელი გვექნება და მოვკლავთ ამ უწმინდურ დევს.

ასეც გააკეთეს. დევი მოკლეს და დიდ კლდეზე გადაადგეს. დადის ერთად მამა — შვილი. ნადირობენ და ძლომამდე აჭმევს მამამისს საჭმელს. ბოლოს მოსწყინდება მამამისთან სიარული და მიატოვა მამა.

- მამა, ხმალი გამიცვალე! — უთხრა უმცროსმა ამირანმა. — ვერ გაგიცვლი, მამისავ, შენ ყოფილხარ ცუდი გულის და, მეც რომ ამომიზეზდე, ჩემი ხმლით ცოტა სისხლიც რომ გამომედინოს, მაინც მოკვდები. ამის გარდა, არაფერი მომკლავს. ასე მაქვს ბოძებული ღვთისაგან.

ვერ მოიცილა უმცროსი ამირანი და მისაცემი გაუხდა ხმალი — გაცვალეს ხმლები. დადიან ესენი ცალ-ცალკე. არც ფიცი სწამს, არც არაფერი — უმცროს ამირანს.

უმცროს ამირანს შეხვდა მისი ნათლია „ჯგერავი“ — წმ. გიორგი. მიესალმნენ ერთმანეთს.

ნათლია, მეჭიდავე! — უთხრა ამირანმა.

მე ვერ დაგეჭიდები, — უპასუხა წმ. გიორგიმ.

ამირანი მაინც ჩააცივდა. „ჯგერავმა“ — წმ. გიორგიმ — ჯოხი დაასო — მოეჭიდოსო ამას, თუ ამოაძრობო. ეს არც კი ეძიმა ამირანს. სამჯერ დაასო წმ. გიორგიმ და სამჯერ ამოაძრო ამირანმა. ამირანი მაინც ეძალება, დაეჭიდოსო. რომ ვერ მოიშორა „ჯგერავმა“ — წმ. გიორგიმ — უთხრა: წამოდიო ჩემთან, მას

აქვსო რკინის კალო და იქ დაეჭიდებაო. წავიდნენ და მივიდნენ დიდი კლდის ძირას. კლდეები აქეთ – იქეთ გაიწია, შუაში დარჩა პატარა მინდორი. აქ წმ. გიორგიმ რკინის ჯაჭვით მიაბა. ხმალი მოშორებით დადო, ისე, რომ ამირანი ვერ სწვებოდა.

სასმელ – საჭმელი მუდმივად გქონდეს (რომ არ დაგაკლდეს)! – უთხრა წმ. გიორგიმ.

ამირანი ახლაც იქ არის დაბმული და დაგლოცოთ ღმერთმა.

მთქმელი, მებეცელი ბარამ ონიანი, ლენტეხის რაიონი.

23. VIII. 1958 წ. ჩამწერი ალექსანდრე ონიანი, სვანურო პროზაული ტექსტები, ტ. IV. ლაბხური კილს. სვანურიდან ტექსტები თარგმნა ო. ონიანმა.

8. ამირანი

არის ერთი კაცი. ჰქვია მას სამილანი. წავიდა ეს კაცი ერთ სოფელში. ამ სოფელში ვინც ცხოვრობს, ყველას ერთი მხარე გაქვავებული აქვს. სამილანმა ჰკითხა ამ სოფლის მცხოვრებლებს:

- რატომ გაქვთ ცალი მხარი გაქვავებული?

ჩვენს ზემოთ, ერთ კლდეში, ისე კივის რაღაც, რომ ამ სოფელში ყველას ასე გვემართება.

სამილანმა უთხრა ამ სოფლელებს.

გამიმზადეთ ყველაფერი საჭირო ნივთები, მე ავალ იმ კლდეზე და გავიგებ, რა კივის. სოფლელებმა გაუმზადეს ყველაფერი. წავიდა სამილანი და მიაღგა ამ კლდის ძირს. ერთი ლურსმანი კლდის ძირში ჩაარჭო, მეორე შუაში, ხოლო მესამე — კლდის წვერზე. იქ ნახა ერთი გამოქვაბული. გააღო გამოქვაბულის კარი და შიგ შევიდა. დაინახა შიგ, რომ ერთი ქალი წევს. ეს ქალი იყო დალი. დალს ეძინა. სამილანი შევიდა დალის საწოლქვეშ. ამ დალს ჰქონდა ოქროს ნაწნავები. დაიხვია სამილანმა მკლავზე დალის ნაწნავები. დალმა გაიღვიძა. წამოიწია დასაჯდომად, მარა თავი ვერ აიღო. დალმა უთხრა სამილანს:

- დამანებე ჩემი თმები და, რასაც მეტყვი, გინდა დამძობაზე გინდა ცოლქმრობაზე, იმას შეგისრულებ.

გაუშვა სამილანმა ქალს ხელი თმებზე. იმათ შეუყვარდათ ერთმანეთი. დაცოლქმარდნენ. დარჩა იმ ღამეს სამილანი დალთან გამოქვაბულში. მეორე დილას მოუნდა იმ სოფელში დაბრუნება. საიდანაც აქ ამოვიდა. დალმა წასვლისას დაარიგა სამილანი:

- შენ მიერ მიტყედილი ლურსმნები გამოაძრე, რადგან ჩემი და მესტავი, რომელიც ზღვაში ცხოვრობს, ის ამოვა ჩემთან და ნაწნავებს შემჭრის, მით უმეტეს, რომ გაიგებს, მე რომ შენთან ვიცხოვრე.

- ჩამოვიდა ეს კაცი, მაგრამ დაავიწყდა ლურსმნების გამოძრობა. დალი ორსული დარჩა. წამოვიდა დილას და და ავიდა დალთან, ნაწნავები მოჭრა და წაიღო.

ამ თმების შეჭრის შემდეგ დაღს ისე შესძულდა თავისი თავი, რომ გადაწყვიტა, თავი მოეკლა. სიკვდილის წინ დაწერა წერილი:

„მე მუცელში ბიჭი მყავს და მაგას, როცა დაიბადება, დაარქვით „ამირანი“. დაბადებისთანავე ეს ბიჭი სამი წლის ხარის ფაშვში გაახვიეთ. მერე, სადაც სამი გზა იყრება, და იქ იპოვის და გაზრდის ერთი კაცი, რომელსაც ქვია იამანი. როდესაც გაიზრდება, გასასიძებელია ბალხეთში. ეს ისეთი გაიზრდება, რომ სამ გახტომაზე ჯიხვს დაეწევა და დევ ბერჯანს დაამარცხებს.

დალი მოკვდა. ბავშვი დაიბადა. დალის დარიგებისამებრ სამილამა აიღო ბავშვი, გაახვია სამი წლის ხარის ფაშვში და მერე დაღო ბავშვი იქ, სადაც დაღმა უთხრა. დატოვა ბავშვი აქტირის ბავშვი. ყმაწვილის ტირილი გაიგონა ქრისტემ. მოვიდა ქრისტე, მონათლა ბავშვი და მიაბარა იამანს აღსაზრდელად. ამან აღზარდა. იამანს ჰყავდა სამი ბავშვი: ბადრი, ვისიპი, სეფედარ. ესენი ყველა არიან მონადირეები. მიდიან სანადიროდ და მოაქვთ ხორცი ნანადირევი. ერთ დღეს ამირანი გაექცა ამ ძმებს. ძმები წამოვიდნენ სახლში და მამას შეეკითხნენ, სად გაგვექცა ამირანი?

იამანმა სთქვა:

რადგან ამდენი ხანი გარეთ დაჰყო ამირანმა, ასე ადვილად ვეღარ დაიჭერთ. გადაჩვეული იქნება ადამიანებს. როცა წახვალთ მის დასაჭერად, წაიღეთ. საპარსი მასალა, ორი წყვილი ფეხსაცმელი, ერთი ღიდი, მეორე პატარა. ფეხი გაეზრდებოდა. წაიღეთ საკრავები, ჭუნირი და ჩანგი. მის სიხლოვეს გამართეთ საპარსი მასალა, დაუკარით საცეკვაო, იქვე მოაწყვეთ საცეკვაო მოედანი და ამით თანდათან მოიტყუეთ.

ძმები ასეც მოიქცნენ. ასე მოიტყუეს ამირანი. მოღის ამირანი, თანდათან უახლოვდება ამ თავის ძმებს. ძმებმა დაიჭირეს ამირანი და წამოიყვანეს სახლში. ადგა მეორე დღეს ამირანი და გავიდა საბანაოდ. როცა ბანაობდა, ამ დროს საიდანღაც მოვიდა ქაჯი და ფეხებს შუა გაუსხლტა. მიღის ქაჯი და მისდევს ამირანი. ამ დღენის დროს ამირანი მივიდა დევ ბერჯანის სახლში.

ქაჯი გაქრა, ხოლო ამირანი შინ დაბრუნდა. იამანი ეუბნება ამირანს:

იმ ქაჯის საძებნელად მარტო ნუ წახვალ. შენი ძმები გაიყოლე. ერთი საპალნე ვირის ფსელი წაიღეთ. იმ დღეის სახლში რომ ახვალთ, თავის ოთახში სუფრა ექნება გაშლილი. იმ სუფრაზე პირველად კატიის თავი ააგდეთ. ის შეანძრევს მაგიდას. მერე ააგდეთ ვირის თავი. იმ სუფრაზე ჭურჭელი სულ დაიშხერევა და დევი გარეთ გამოვა.

ძმები ასეც მოიქცნენ. დევი გარეთ გამოვიდა. დევმა და ამირანმა იჭიდავეს. ამირანმა დევი დასცა. ის დევი თორმეტთავიანი იყო და ყველა თავი წააჭრა. მეთორმეტეს რომ სჭრიდა, დევი შეეხვეწა, ეს მეთორმეტე თავი შემარჩინე და რაშს გაჩუქებო. ამირანმა უპასუხა:

- რაშიც ჩემი იქნება და შენც მოგკლავ!

ამირანმა მოკლა დევი, რაში წამოიყვანა და წამოვიდა თავის ძმებთან სახლში.

ეხლა წავიდა ამირანი ბალხეთში, სადაც უნდა გასიძღეს. ვინც უნდა მისთხოვდეს ამირანს, ის კოშკშია. კოშკს გარშემო თორმეტჯერ შემოხვეული ჰყავს გველეშაპი. როცა მივიდნენ ეს ძმები გველეშაპთან, ჯერ ერთი გადაყლაპა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე და ჩავიდა ქვესკნელში: გველეშაპს მუცელი ასტკივდა. ამირანი კი რაშზე იჯდა და დადიოდა გველეშაპის მუცელში. გველეშაპი ძალიან შეწუნდა და ეუბნება ამირანს.

- ისეთი დამარტყი შიგ მუცელში, რომ ზევით ამოხვიდეო. დაარტყა ამირანმა და ამივიდა ძმებთან ერთად გველეშაპის მუცლიდან. ამირანი ავიდა კოშკზე და შევიდა გოგოსთან. ამირანს და ამ გოგოს ერთმანეთი შეუყვარდათ. დათქვეს, რომ ცოლ-ქმარი გახდებოდნენ. გოგომ უთხრა: წასვლამდე მე შევალ მეორე ოთახში და ტანსაცმელს გამოვიცვლი. მაგიდაზე რომ ჭურჭელი აწყვიტა, იმას ხელი არ ახლოო. გოგო გავიდა მეორე ოთახში. ამირანმა იფიქრა, როგორც კი გოგო გავიდა: - რა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელის ხლება არ შეიძლებოდეს? - და თეფშს ხელი მოჰკიდა. როგორც კი თეფშს ხელი მოჰკიდა, თეფში ადგა, ამირანმა დაწია, მაგრამ თეფში ისევ აიწია. ამირანი გაბრაზდა და

დაარტყა თეფში ჭურჭელზე და სულ დაამსხვრია. გოგო გამოვიდა და შეასხდნენ რაშს. გოგოს პატრონმა მაშინვე გაიგო შვილის გაქცევა. მოდიან ესენი რაშით, მაგრამ უკან მოსდევს მთელი ხროვა ამისი ნათესაობა. მოასწრეს ერთ კოშკზე ასულა. როდესაც კოშკზე ავიდნენ, გოგოს მამამაც მოაღწია. გოგომ სთხოვა ამირანს:

- ძალიან გთხოვ, ამაღამ კარები არავის გაუღო!

მოვიდა გოგოს მამა და ეუბნება ამირანს, კარი გამიღეო! გოგო ეხვეწება: არ გაუღო კარებიო! გოგოს მამამ უთხრა: ლეჩაქი გეხუროს, თუ კარები არ გამიღო! ამირანს შერცხვა და კარი გააღო. გოგოს მამა რომ შემოვიდა კოშკში, ალი ამოუშვა პირიდან. გოგოს სახეში ეცა და მოკვდა. ამირანს ძმებთან ერთად მოსვლა მოუხდა სახლში. სახლში რომ მოვიდნენ, მეორე დღეს ამირანი ადგა და გამოვიდა საბანაოდ. იბანავა, გადაიცვა ტანსაცმელი და წავიდა სოფელში. ამ სოფელში, ერთ სახლში, თავყრილობა იყო. ამ თავყრილობაზე კამათობდნენ, ამირანი თუ მოერეოდა მათ ფულავან მერაბს. მერაბი დიდი ღმერთის მონათლული არისო, ხოლო ამირანი მარტო ქრისტე-ღმერთისო. ეს რომ გაიგონა ამირანმა, შინ დაღონებული დაბრუნდა და უამბო თავის აღმზრდელს ყოველივე. იამანმა უპასუხა:

შვილო, აბა, შენ როგორ მოერევი დიდი ღმერთის მონათლულ მერაბს!

იამანის სიტყვებზე დაღონდა ამირანი. ეს რომ აღმზრდელმა გაიგო, უთხრა:

- თუ ასე გინდა მერაბთან ჭიდაობა, მე გასწავლი, როგორ მოიქცე. ახალი მთვარის კვირადღეს ის ყოველთვის წევს და არ მუშაობს. შენ როდესაც მიხვალ, ის დაწოლილი იქნება და შენ გარედან დაუძახებ:

მერაბ, გამოდი, მეჭიდავე! ის არ გამოვა შენს დაძახებაზე. მაშინ შენ კიდევ დაუძახებ:

-ქალის ლეჩაქი თუ არ გხურავს, გამოდი, მეჭიდავე!

ამ დროს მერაბი ადგება და თავის ლოგინთან ჩამოკიდებულ ხმაღს აიღებს ასალესავად. ბარძაყზე მოისევამს, მაგრამ ამ დროს მას ბარძაყი გაეჭრება და ის შენთან დამარცხებული გა-

მოვა, წავიდა ამირანი და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც იამანმა უთხრა და მოკვდა მერაბი.

როდესაც მოასვენებდნენ მერაბს, მარტო ცალი მხარი ჩაღეს კუბოში და მეორეს ველარ მოერიენ. მაშინ მერაბმა დაიძახა.

- ამირანს უთხარით და ის ჩამდებს კუბოში!

მოვიდა ამირანი და ჩადვა მერაბი კუბოში. მერაბმა ხელი ჩამოართვა ამირანს და უთხრა.

- ჩემი ორი შვილი შენ გაზარდე! ამირანმაც პირობა მისცა, რომ მერაბს შვილებს გაუზრდიდა. წაიყვანა ამირანმა მერაბის ბავშვები სახლში.

ერთ დღეს ამირანმა ყმაწვილები მინდორში გაიყოლია. თვითონ წამოწვა, ბავშვები კი სასეირნოდ გაუშვა. ამ დროს ნორჩებმა ორი დევი დაინახეს, რომლებიც მინდორზე ჩამომსხდარიყვნენ და ტანსაცმელს ფერთხავდნენ. ადგნენ ბავშვები, მიეპარნენ, ერთი ერთს ამოუღვა, მეორე-მეორეს და დევეების თაგები ერთმანეთს შეახეთქეს. დევეები დაიხოცნენ. ბავშვები, მოვიდნენ და ჩაცუცქდნენ ამირანთან. ამირანს ეძინა და სიზმარს ხედავდა, ვითომდა ერთი ქალი ეუბნებოდა, რომ ბავშვებმა ორი დევი მოკლეს და, შე უბედურო, შენ რა გეშველებაო?!

ამირანმა გაიღვიძა და დაინახა, ყმაწვილები მასთან ჩამოსხდარიყვნენ. ბავშვებს რომ შეხედა, გაბრაზდა ამირანი, ადგა და აიღო ხმალი. შეუბერა ამ მერაბის ბავშვებს და ღრუბელსა და ღრუბელს შუა ჩააგდო. როდესაც ამირანმა ჩაისუნთქა, ბავშვები მიწაზე დაბრუნდნენ. აიღო ამირანმა ხმალი და ისინი დახოცა.

მთქმელი რადიმან ფუთის ასული, 55 წლის

წერა კითხვის მცირედ მცოდნე.

მესტიის რაიონი, სოფ. ლენჯერი.

ჩაიწერა მ. ბეჟიტაძემ.

03. 08. 1970 წ.

თსუფა №8300

9. ამირანიანი

იყო ერთი მშვენიერი დარეჯანიანი. ამის ახლოს კლდე იყო დიდი. ისმის კვილი. კლდეს ახლოს რაც რამ მაკეა, იმას უშლის მუცელს, ძროხა იქნება თუ ადამიანი. იფიქრა ამ მჭედელმა, - მოდი ერთი გევიგო, ვინ კივის ამ კლდეზეო. გააკეთა სატეხელი, რკინის ურო. მიადგა ამ კლდეს. გააკეთა საფეხურები და ევიდა კლდეზე. გამეიხედა ქალმა. გოუხარდა ამ ქალს. პირველად ეგონა მისი ქმარი. რომ მივიდა ახლოს, ხედავს, არ არის იმისი ქმარი, კითხა:

რა ამბავია, რომ კვიო.

ქმარი ღემეკარგა, ვეძებ, ვერ ვიპოვეო.

აი, იქით, აი აქეთ და გააწყვეს სიყვარული. იმან კითხა: ეგერ გამხმარი ცხენის თავი. დამიღვევი მუხლებში. რომ გამახსენდება ქმარი, ვიკვილებ და, რავარც მარწყვი, იქ გაგწყვეტო. ახლა მუცელში მყავს ამირანი, ოთხი თვე აკლია მოშუშებას, დაკალი კურო-კამბერი და იმის ფაშეში შეახვიე და მოაშუშეო. ამ კაცს ყავდა ცოლი და დარეჯანიანს გამეეკიდა და იმან მოჭრა თმა ქალს და მოკლა. დარეჯანიანმა ბავშვი იამანის წყაროზე დადო. იამანის წყაროზე დამთავრდა ოთხი თვე და გამეღვიძა ამირანს და დეიწყო:

ამირანსა ეძინება, იავ ნანინაო,

ეძინება იავ ნანა, იავ ნანინაო!

წყაროზე ვინც მიდიოდა, ესმოდა ეს სიმღერა და ჩერდება. ასე გაგზავნა იამანმა ერთი, ორი, სამი და არც ერთი არ მივიდა სახლში. მერე წვეიდა თვითონ იამანი. ამეილო ფაშვიდან, წეიყვანა სახლში და უთხრა ცოლს:

ეს არის ბადრის და უსუპის მესამე ძმაო. უვლიან, გუუჩინეს ძიძა. წამეიზარდა და ერევა ბადრის და უსუპის. ქალმა უთხრა იამანს: - ვინ მიეყვანე აგო, ბავშვებს მიხოცავსო.

იამანმა უთხრა: ეს უბრალო არ გეგონოს, ამირანიო. წამეიზარდა სამივე და ჰკითხეს ამ იამანს - ერთი თვალი აკლდა, და სად გაქვსო?

ვერ გეტყვითო, უთხრა ამ იამანმა და დაატანა ძალა ამ ამირანმა მითხარი, თვარა მოგკლავო.

რა ექნაო, ბაყბაყდევი გადამეკიდა, გადამეტერაო და მომერია, შვილის ბეგარა დამადევს, ბადრი და ვისიპი რომ მეყოლა, მაშინ მთხოვა შვილი. შვილი არ მივეცი და მარჯვენა თვალი მთხოვა და ის მივეცი.

აბა, უნდა წვევიდეთ ამ ღვეთან ჩვენ საბრძოლველად.

უთხრეს, წავიდეთო – ბადრი, ვისიპი და ამირანი.

ასე ვერ გაგიშვებო, იამანმა უთხრა, რომ მიხვალთ იმას გარეთ ვერ გამოიყვანთ, ერთი უნდა ახვიდეთ სახლის თავზე, ერთი კუპრი ვირის ფსელი აიტანოთ. მას ყავს ერთი ჩურკერტანი¹. იმას ექნება ირემი შამფურზე წამოცობილი. ესვრი და გამხმარ ცხენის თავს, მოხვდება. იტყვის:

- რწყილმა გაზაფხულმა წინ მიკბინაო.

ერთ ირემს შეჭამს. მეორე თავს რო ესვრი, მეორე ირემს შეჭამს და იტყვის:

რწყილმა გაზაფხულმა წინ მიკბინა.

ბადრის მისცეს ერთი კუპრი ვირის ფსელი და რო მოდის ჩურკერტანი, უნდა შეასხას, თორემ ყველას დაწვაეს. ვისიპი გაჩერდა კარებთან, ამირანი ავიდა სახლის თავზე. ღვეს სამი ირემი თითზე აქვს წამოცობილი. ესროლა ერთი თავში. მთარტყა ცხენს და თქვა:

რწყილმა გაზაფხულმა წინ მიკბინა.

ესროლა მესამედ და ისევ თქვა;

- რწყილმა გაზაფხულმა წინ მიკბინა.

დაუძახა ჩურკერტანს და შეჯდა. ამ ჩურკერტანმა შეყო ცეცხლში თავი და აიღო ელია. გამოვიდა გარეთ. ვისიპმა კუპრით ვირის ფსელი შეასხა. ბადრიმ ქერი დაუყარა ამ ღორს. ვისიპი შეშინდა და გაიქცა. დაეტაკნენ ერთმანეთს ღვეი და ბადრი. ამირანს ზევით ეძინა. გაიქცა ბადრი და დაუძახა ამირანს:

ამირან, ამირან, წამოდი, თორემ ღვეი მოერევა და წაგნიწყდება სული.

¹ ღორი

გამოიღვიდა ამირანმა. დაეტაკა ღვეს, ბადრი განზე გადააგ-
ლო, მოიქნია ღვეი და დაკრა ძირს ამირანმა.

ამირანმა ღვეი დასცა
მიწას გააყრევინა გრიალი.

ღვემა სთხოვა ამირანს:

ნუ მომკლავ და დაგიბრუნებ იამანის თვალს. ოქროს
სვეტზეა აკრული. წაუღეთ და გაუკეთეთ იამანს თვა-
ლი.

მიიხედ — მოიხედეს და ვისიპი აღარ ჰყავთ. მოიკიდა
გვერდებს ხელი ამირანმა და დაუძახა ვისიპს:

„ბადრიმ ვისიპს შეუყვია

იამანის ძესაო,

ღვენი ჩვენ მოვკალით პირცეცხლოვანნი,

შენი ნუ ჩაეჭრები ზღვასაო.“

წინა ფეხები ჩადგმული ჰქონდა ზღვაში და მოვიდა ვისიპი.
მოიყარეს სამივემ ერთად თავი. თუ რაიმე ჰქონდა ამ ღვეს ქონე-
ბა, წამოიღეს და იამანის თვალიც წამოიღეს. მოვიდნენ სახლში
და გაუკეთეს იამანს თვალი. დაჯდნენ და გადაიხადეს სიხარუ-
ლის ღვინი. შუა ჭამაზე რომ მივიდნენ, ამირანმა უთხრა იამანს:

მომეცით ჩემი წილი და მივდივარ მე!

თქვენ ვერ გაგყოფთ. თქვენ ძმები ხართ და უთქვენოდ
სიცოცხლე არ შეგვიძლიაო.

ამირანმა თქვა:

ჩემ ძმებს თუ რაიმე გოუჭირდეთო, წამოდი და დეიკავე
კეტი. სადაც ბევრი ხალხი დეინახო, წამოდი და დიდი
მორი დააგორე. ვინცხამ ნამტვრევები დააბრუნოს უკან,
ის მე ვიქნები და გიშველითო. წავიდა ამირანი.

ბალხეთ მინდორზე მოდის ამირანი და მოიმღერის. დოუძა-
ხა კლდიდან ღვემა მის შვილს:

ვიღაც მაყრულს მოიმღერის ბალხეთ მინდორზე. წადი,
შვილო, და დაიჭირე, ვახშმად გვექნებაო!

ჩამოხტა ღვეის შვილი, მივიდა ამირანთან და სტაცა ხელი.
სტაცა ამირანმა ფეხებში ხელი ღვეის შვილს, მოიქნია და შე-

მოკრა კლდეს. ხორცი რაც ჰქონდა, ჩამოყარა და ძვლები კლდეს მიეჩეხა. დევმა დაიძახა.

ვაიმე, შვილო, ეს ამირანი ყოფილაო!
ღვეის მამამ უთხრა:

- ამირან, ამირან, მე ვიცი შენი საცოლე. სამ ზღვას იქეთ მცხოვრები ნათობოვანი, ბოლო ჟამს დალატოვანი.

ამირანს ქონია შოლტი, რითაც ზღვაზე გადიოდა. რა მითხრა ამ მოხუცებულმა. წვევიდა ამის საძებრად. ზღვაზე გავიდა ამირანი და გააწყვეს ცოლქმრობა. ნათობოვანს ყავს სამი ძმა და ეს ძმები მოკლავენ ამირანს და უნდა უშველოს.

- უნდა დავხვეტო სახლი და ნაგავი, ჩემი ძმები რო მოვლენ, თავზე დავაყაროთ და მოუკიდოთ ცეცხლი.

შოუბერა ამირანს და გადააქცია ნემსად. მოვიდნენ ძმები და ივასშმეს. დაწვნენ. გამოიყვანა ამირანი, აიღო მისი ხმალი, არც ერთს არ გაწვდა კისერზე. ნათობოვანმა აიღო მამამისის ხმალი და დაადო კისერზე ძმებს. უთხრა ამირანს:

მე ვერ გავანძრევ და შენ გაანძრიეო!

მოკიდა ამირანმა ხელი, გაანძრია და სამივეს თავი მოჭრა. იფიქრა ამირანმა. ამას რომ გული მოუვა, მომკლავეს, მე რად მინდა ეს ცოლადო. წამოვიდა ამირანი და გამოეპარა იმას, წამოვიდა. ამ მნათობოვანმა დაიწყო ტირილი. იტირა, იტირა, იტირა და გადაიქცა კურკამეჩად, ჩახტა ზღვაში და გამოვიდა ხმელეთში და ეძებს ამირანს. ამირანს ბალხეთ მინდორში დასძინებია. ნახა ამან და ებრღვნა ამირანს და კლავს. ჩიტმა დაუძახა. ამირან კუროთა და ყვერებთანაო. მოკიდა ყვერებზე ხელი, წამოაქცია უშველებელი კამეჩი და მოჭრა თავი. მერე ერთი პირობა დაარღვია. ახლა ეძებს ამირანი, რომ ვინმე გამოძებნოს, რომ დაუწყოს ჩხუბი. ყველა ეუბნება, ასლან გმირი, ვირის შვილი, არის ღონიერიო. წვევიდა ამირანი. ნახა მისი ქალიშვილი და გაუწყო ცოლქმრობა. მაგრამ ასლან გმირი არავის არ მოუშობს სახლში. რომ დაწვა ასლან გმირი და ძინავს, მისმა ქალიშვილმა მოიყვანა და მოჭრა თავი. ეს ქალი თვითონ წამოიყვანა თან. მოვიდნენ ბალხეთის მინდორს. ამირანს ნაომარზე ძილი ჩვევია. დაწვა ამი-

რანი და დაიძინა თავისი ცოლის მუხლებზე. ცოლმა გაიხედა და დაინახა, რომ ორი გველეშაპი მოფრინავს. ამირანს მუხლები გამოაცალა და თავთან ჯირკები დაუწყო. აფრინდა და ეს ორივე გველეშაპი დაიჭირა. ჩამოიყვანა ძირს, გაუნასკვა კუდები ერთიმეორეზე და ჩამოკიდა ხეზე. აიღო ამირანის თავი და დეილო ისევ მუხლებზე. ამ დროს გაახსენდა მამამისი. დაიწყო ტირილი, ცრემლი დაეცა ამირანს ყბაზე და მოწვა ყბა. წამოხტა ამირანი და შეჰყვირა: - რა ამბავიაო?!

არაფერი, უპასუხა ცოლმა. ორი კატა მოფრინავდა და ისინი დავხოცე, ატლასის კაბა გამიხიეს და მიტომ დავიწყე ტირილი.

შეხედა ამირანმა და დაინახა, რომ ეს სადაური კატები, ამას ამირანი ვერც მოჰკლავდა. ამირანმა გაიფიქრა, ეს ქალი მე ხეირს არ დამაყრისო, მოიქნია ხმალი და მოჭრა კისერი. მეორე პირობა ამირანმა აქანე დაარღვია.

ბადრი და ვისიპი წასულები არიან სანადიროდ. აღარ შევიდნენ სახლში და წამოვიდა იამანი ამირანის საძებნელად. ერთ ადგილას ბევრი ხალხია. გადმოაგდო მორი კლდიდან, ნამტვრეკები დააბრუნა უკან და ჩამევიდა იამანი და შეეხვეწა: შენს ძმებს დაემართა რაღაცა და გთხოვ, რომ მოძიო.

რომელ მხარეზე წვევიდნენ - ჰკითხა ამირანმა.

წითელი კლდე რომ არის, იმ მხარეზე წავიდნენ.

ამირანმა უთხრა: - შენ აწი სახლში წადი. გასწია ამირანმა წითელი კლდისაკენ. ბადრისა და უსიპს დაკრეს კრუგი სამმა გველეშაპმა. ვერც გველეშაპებმა გაუბედეს, რომ შეეჭამათ და არიან ასე გაჩერებულები. ამ დროს მოვიდა ამირანი იქინე. გააღესვია ხმლები და უთხრა ამირანმა: წითელი უსიპს, შავი - ბადრის და თეთრი ამირანს. უარი უთხრა ბადრიმ. წითელი ამირანს, რადგან ყველაზე მწარეა, შავი ბადრის და თეთრი ყველაზე რბილია - უსიპს. გამოვიდნენ და დაიწყეს ჩხუბი. ამირანი რომ ერთს თავის გველეშაპს დაარტყამს, თითქოს იმათსას ურტყამს, არ მომიკლას ძმებო. დახოცეს ეს გველეშაპები, მაგრამ ამირანი რომელ გველეშაპსაც ერხუბებოდა, იმან მოიგონა სიკვდილი. ნამარზე ამირანმა ძილი იცის. დაიძინა ამირანმა, წამოხტა წი-

თელი გველეშაპი და გადაყლაპა ამირანი და გაიქცა. წამოხტა უსიპი და, სანამ გველეშაპი გაიქცეოდა, 12 არშინზე კუდი მოაჭრა. რა ქნან ახლა. ბადრის ისეთი ხმა აქვს, რომ 3 ღლის სავალზე მიდის. ბადრიმ დაუძახა: ამირან, ამირან, დიდმა გველეშაპმა გადაგყლაპა, მუხლებზე გეგება ხანჯალი, ამოიღე და გასჭერი დიდი გველეშაპი. გამოელვიდა ამირანს, დაიწყო მოძრაობა მუცელში. გველეშაპმა უთხრა დედას: დედაო, რაღაც მუცელი მტკივაო. დედამ უთხრა: რომ ქვეყანა ამირანმა შეაწუხა და, ალბათ, შენ ის გადაყლაპეო. წადი და ოქროს სვეტი რომ არის, იქ მოჭყლიტეო. გავიდა ეს გველეშაპი სვეტთან და კუდი რომ არ ჰქონდა, უკანვე ჩამოვარდა. ამ დროს ამირანმა გვერდი გამოუღო, უწინ მზე და მთვარე გამოუშვა, მერე ხალხი და ბოლოს თვითონ. ამირანს უნდა ზედა ქვეყანაში ამოსვლა, სადაც დაპატრონებულები იყვნენ გველეშაპები, სუყველა მოკლა და იხსნა ხალხი. ზედა ქვეყანაში აგიყვანს ფარშმაგი. წავიდა ფარშმაგთან. ის სახლში არ დახვდა. მის შვილებთან მისულან გველეშაპები და მათი შეჭმა უნდათ. შვილები წვიან. ამირანმა დახოცა ეს გველეშაპები. ბავშვებს მოუარა. ბავშვებმა ამირანი დამალეს. მოვიდა ზედა ქვეყნიდან ფარშმაგი და დაინახა დახოცილი გველეშაპები. შვილებს უთხრა: მითხარით, ვინ გამიკეთა ეს სიკეთეო. შვილებმა უთხრეს: გაჩვენებთ, თუ ხელს არ შეახებთო. გამოიყვანეს ამირანი და აჩვენეს. რა გინდა, საჩუქრად მითხარიო!

საჩუქარი არ მინდა არაფერი, ოღონდ ზედა ქვეყანაში ამიყვანეო. გააკეთე დიდი ჩელტი, იმაზე დაყარე საქონლის ხორცი, რამდენჯერაც შემობრუნდები, იმდენჯერ თითო ნაჭერი მომეციო. წამოვიდა ამირანი და გააკეთა დიდი ჩელტი, შუაში ხერელი გაუკეთა, რომ ჩაუდოს ხორცი, წავიდა მის გაჭირვებისგან ხსნილ სოფელში და ზოგს ხარი გამოართვა, ზოგს — ძროხა და მოუყარა ჯოგს თავი. დაყარა ზევით და თვითონაც ზედ დაჯდა. მოვიდა ფარშმაგი, გაშალა ფრთები და ზედ შეისვა ამირანი, რამდენჯერაც შემობრუნდებოდა ფარშმაგი, იმდენჯერ თითო ნაჭერ ხორცს აწვდის, შემოელია მაშინ, როცა ერთი შემობრუნებალა აკლდა. არიქა, ჩქარა გადმოაგდე ხორცი, თვარა ტყუილუბრალოდ ჩაივლის ჩენი მუშაობაო. რა ქნას ამირანმა. მოიჭ-

რა ფეხის კუნთი და ამოაგლო კიდევაც ზედა ქვეყანაში. მაგრამ ამირანი ველარ დაღვა ფეხზე: ფარშმაგმა უთხრა, რა მოვივიდლო? რა და ხორცი შემომელია და ფეხიდან მოვიჭერიო. ფარშმაგმა უთხრა: — რა გემოიანი ყოფილა ადამიანის ხორციო. წამოვიდა და მოუსვა ფრთა და მოურჩინა ფეხი. დახვდნენ ბადრი და უსიპი იქანე. მოვიდნენ იამანთან. იამანი სულ გზას უყურებდა, წვერი იმხელა მოსვლოდა, რომ მის წვერზე საქონელი დაიბმებოდა. თმა და წვერი მოპარსეს იამანს. დაჯდნენ ერთად. ამირანმა უთხრა: მე ჩემი წილი მომეცითო. არაფერი არ მინდა თქვენი, ბალხეთის მინდვრის გარდაო. დაიარება ამირანი, ერთ გორაზე დევი ზის. თავისი ჯოგი კი მინდვრად ყავს გაშვებული. დევმა დაუძახა ამირანს: გაჩერდი, თორემ დაგამწყვდევთ. ამას ერთი შვებოდა და აგერ მყავს დამწყვდეულიო. ახლა უფრო მეტი ცხვრების ხოცვა დაიწყო ამირანმა. დევმა დაიძახა: რ, რ...რ უცებ შეიყვანეს ამირანი გამოქვაბულში. გარედან კი კარები ჩაუკეტეს. დევიც შიგ შეჰყვა. ამირანმა კენესა დაიწყო, რომ დევი შემჭამსო. გაიგონა იმან, ვინც კიღობანში ყავს დამწყვდეული და დაუძახა, ვინ ხარ, რომ კენესიხარო? მე ვარ ამირანი. თურმე კიღობანში მამამისი ყოფილა. ვაი, შვილო, რა დავაშავეთ ისეთი, რომ ორივენი დევის წერა შევიქმენითო. არიქა, შვილო, გავგლიჯოთ კიღობანი. გაგლიჯეს კიღობანი და წამოვიდნენ. დაკლეს ცხვრები, ჩაიცივეს ცხვრის ტყავები. ამოიღო ამირანმა ხმალი და ვერაფრით ვერ გაუსვა დევს. მერე მამამისმა ამოიღო ხმალი და მოჭრა თავი დევს. წამოვარდა დევი და გამოაღო კარები. ხელით ფათურობს, რომ ამირანი და მისი მამა მოძებნოს, მაგრამ ბალხიანი იყო. ამირანი და მამამისი გამოეპარნენ. დევო, ჩვენ უკვე გამოვედით, შემდეგ შემობრუნდა დევი უკან და გადმოვარდა გორიდან და მოკვდა. დაიარებიან მამა-შვილი ერთად. ამირანმა უთხრა მამას: — მამაჩემო, გამიცვალე ხმალი, ნამეტარი ავი ხარ, შვილო, და მე, ამ ხმლის მეტი, არაფერი მერევაო, მეშინია, რომ არ მომკლაო. ზომ არ გადარეულხარ, მამაჩემო, ვის მოუკლავს შვილს მამა, რომ მე მოგკლაო?! მამამ მისცა შვილს ხმალი. — რითი გავიგოთ, რომ ჩვენ მამა და შვილი ვართ? — რითი და, როგორც კი შემხვდები, მაშინვე გამიცინე და ამით მივხვდები, რომ მამა ხარ ჩემიო. ერ-

თხელ შეხვდნენ ერთმანეთს. გაუცინეს ერთმანეთს და დაშორდნენ, მეორეთაც და, მესამეთ რომ შეხვდნენ, ამირანმა თქვა: რას მიცინის ეს მოხუცი კაციო და მოუქნია ხმალი და მოსჭრა თავი. ამირანმა აქ დაარღვია მესამე პირობა. ამირანს ბალხეთის მინდორში ბინავს. წამოვიდა ღმერთი შეიყვანა კავკასიის უდიდეს გამოქვაბულში და დააბეს ჯაჭვით. თან მოუბეს თავისი ყურმა.

ჭირი-იქა, ლხინი-აქა,
ქატო-იქა, ფქვილი-აქა.

*მთქმელი სტეფანე ონიანი,
მცხ. ლენტეხის რაიონი, - ს. სასაშში.
ჩამწერნი ქს. სიხარულიძე, მ. ბეჟიტაძე, მ. ბაკურაძე
21-22, VII 1970
თსუფა 8048. №8051.*

10. ამირამ

იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს ერქვა ივა და ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ერთს ერქვა ვისიბი, მეორეს ბადრი და მესამეს ჩალამ-კალამი. ძმები ძალზე სახელგანთქმულები იყვნენ ახალგაზრდობისას; დევები ძირიან-ფესვიანად ამოწყვიტეს და მხოლოდ ჯიხვისა და არჩვის ხორციით იკვებებოდნენ. ქვეყანა მათ აქებს.

ერთ დღეს ისინი სანადიროდ წავიდნენ. უღელტეხილზე (ზეკარზე) დაინახეს დახვეული ხარის ტყავი. ეს ტყავი ხან აღმოსავლეთისაკენ იხრება, ხან დასავლეთისაკენ, ხან ჩრდილოეთისაკენ, ხან სამხრეთისაკენ, ზოგჯერ ისე სწრაფად ტრიალებს, რომ კაცი თვალს ძლივს მოაველებს. ამათ მოუნდათ ტყავის დაჭერა, მაგრამ ამან ნიაქარივით დაიწყო ტირალი. ბადრიმ თქვა: — მშვილდ-ისარი ვესროლოთ, ტყავი რომ მიწაზე დაეკვრას, თუ რამ ცოცხალი არის ამ ტყავში, მოვკლავთო.

დაუწყეს ისრების ტყორცნა, დაუზოგავად ესვრიან, რაც შეუძლიათ, მაგრამ ისრებს ტყავი უკან უბრუნებს, სიახლოვესაც არ იკარებს. ასეთ გარჯაში იყვნენ მთელი დღე, დილიდან საღამომდე, საღამოს ფეხნაცემი და ხელცარიელი დაბრუნდნენ შინ. ამდამ სახლში არაფერი გაამხილეს, ხმაგაკმედილები სხედან. მეორე დღეს ისევ დაბრუნდნენ ტყავის საძებნელად. ტყავი დაყუნბული დევს ერთ მზიან ადგილას, მიეპარნენ, — დავიჭიროთო, — ცოტალა უკლიათ ტყავამდე, ისეთი ხტუნვა და ფრენა დაიწყო, რომ ახლოს არ გაიკარა. ასე უვლიან სამი დღე უწყვეტად, მაგრამ, გასაჭირის მეტი, არაფერი გადახდათ.

მესამე დღეს გულგატეხილები დაბრუნდნენ შინ და ხმაგაკმედილები დასხდნენ კერასთან. ივა მამა შეეკითხა: — რა ამბავიაო, რატომ არიანო ასეთ ცუდ გუნებაზე, ან რატომ ვერაფერი მოუნადირებიათო ამ კვირას?

შვილებმა ყველაფერი დაწვრილებით უამბეს მამას; როგორ ნახეს ტყავი, როგორ უნდოდათ მისი დაჭერა, მაგრამ ტყავის დაჭერა ვერ ხერხდება, არც ისრებს იკარებს ახლოს.

ივამ უთხრა: აბაო, ის ანგელოზის შვილია და ქვეყანაზე იმიტომაც დასმული, რომ ადამიანად გარდაიქმნასო. მას ასე ადვილად

ვერ დაიჭერთ. მე როგორც გეტყვი, ისე გააკეთეთ და ამას ჩვენ იღბლად ვაქცევთ. სადაც ეს ტყავი დევს, იმ მთის ძირას ერთი წყარო მოედინება. იმას ჰქვია იორდანეს წყალი. უწინ ამ წყაროსთან ჩადით, ხელში დაიჭორეთ ეს აბრეშუმის ბადე და ჩადგით წყაროს ნაპირას. ეს ბადე მე ჩემმა ნათლია ქრისტე ღმერთმა მიბოძა და მისი ძალაც ზედ ანათლია. ამ ბადის ჩადგმის შემდეგ თქვენ სამი მხრიდან მოუარეთ ტყავს, და როგორმე მოახერხეთ, რომ ბადისაკენ გაგზავნოთ, ბადეში გაებას, მაშინ, სანამ იორდანეს წყლით არ გაიჟღინთოს, მანამდე ხელი არ ახლოთ, თუ არა გადმოხტება და დაგამარცხებთ. წყალი დასხით, მაშინ დაყურდება ტყავი, ამოიღეთ და შინ მოიტანეთ, მაგრამ შინ მოსვლამდე არაფრით არ გახსნათ, თუ არა ცუდად წაგვივა საქმე. ამ ძმებმა მართლაც ასე გააკეთეს, როგორც ივა მამამ დაარიგა. სალამოს დაიჭირეს, იორდანეს წყალი დაასხეს, დახვეული ხარის ტყავი დამშვიდდა, დაყურდა და შინ წამოიღეს, მაგრამ ისე მძიმე იყო, რომ სამმა გმირმა ძლივს მოიტანა შინ. ივა მამამ ღმერთს დიდება უთხრა, კარფანჯარა გადაკეტა: გახსნა ტყავი და აქედან ლამპარივით მანათობელი ვაჟი გადმოხტა (გადმოიშვა). ამან კარფანჯრებისკენ დაიწყო გაწევა, მაგრამ, რახან ისწინი გადაკეტილი დახვდა, ჭერისკენ დაიწყო ფრენა და ასე განუწყვეტლივ ფრენდა მთელი დღე და ღამე. მეორე დღეს ჩამოვიდა და კერასთან დადგა. ივამ თავი დაუხარა, ღმერთს დიდება უთხრა და ასე ქრისტე ღმერთი მობრძანდა. მონათლა ეს ბავშვი, ამირანი უწოდა, შემდეგ სახლი დალოცა და წაბრძანდა. ივა ხელმწიფემ და მისმა შვილებმა დიდება უთხრეს ქრისტე ღმერთს და მის გაბრძანების შემდეგ გავიდნენ ამირანთან, კოცნა, ფერება და თამაში მოუნდათ, მაგრამ ამან დააყენა ესენი და უთხრა: 'იგიო ხარის ტყავში დამბრუნებელი არის. სამი დღე და ღამე უნდა იყოსო მასში. კარგად დასვენების შემდეგ გამოვაო და მათთან მარტო იქნება.

ივა ხელმწიფემ და მისმა შვილებმა მართლაც ასე გააკეთეს. სამი დღე-ღამის შემდეგ ტყავიდან გამოვიდა და ისეთი შეხედულია, მშვენიერი, რომ შესახედავადაა ცოდვა. გადაეხვია ამ ბავშვებს საკოცნელად. ივა ხელმწიფემ შვილად იფიცა ამირანი და საკუთარ შვილებზე მეტად უყვარს: ერთ თვეში ოცი წლის ახალგაზრდა ვაჟს დაემსგავსა. სანადიროდ დაჰყვება თავის ძმებს და ყოველდღე ნანადირევი ხორცი აქვს მათ სახლეულობას.

ერთ დღეს, ნადირობიდან დაბრუნებისას, დასასვენებლად დასხდნენ. ამირანმა ჰკითხა თავის ძმებს: — რა არისო, მათ მამას მართო ერთი თვალი რატომ უდგას? რა დაემართა მეორე თვალს, რამ წაუხდინა, რამ წაართვა? თუ რამ იციან ამაზე, ნუ დაუმალავენ, უხრანო.

ბადრიმ უპასუხა: — ერთ დღესაო ჩალამკალამმა ჰკითხა ამაზე ბაბუას, მაგრამ ისეთი დღე დაუთევია, რომ მის შემდეგ ვერავის ვერ გაუბედავს კითხვა.

— აბაო ამირმი ნუ მრქმევია, ეს საქმე თუ ვერ გავიგე!

ამაღამ ერთიმეორეს დაუახლოვდნენ, საუბარი გააბეს ათასგვარ საქმეზე, დასასრულს, დაწოლის ღროს, ამირანი შეეხვეწა მის ბაბუას: — ბაბა, მადლი გექნება და, თუ მე შვილად მიგაჩნვიარ, ერთ საქმეს გეკითხები და არ გამიწყრე!

რატომ გაგიწყურები, ბაბუას დღე შენ მოგეცეს, კითხვისათვის მე არავის ვეჩხუბები და შენ რატომ წაგეჩხუბები, შვილებში ყველაზე სარწმუნოსა და იმედს?

— აბა, ბაბუა, აქამდეც მინდოდა ამის კითხვა, მაგრამ რიდი მქონდა. რა დაგემართა ცალ თვალზე? კაცისგანაა თუ სხვა რამისგან დაგემართა? თუ კაცისგანაა, მაშინ გვითხარი შენს შვილებს და სამაგიეროს გადაუხდით შენს ასეთ მდგომარეობაში ჩამყენებელს, არა და თავს არანაირად არ დავზოგავთ და ხევის წინაშე (იგულისხმება თემი, ფართო გაგებით, საზოგადოება) სირცხვილიანი არ დავრჩებით.

ეს მოისმინა ივა ხელმწიფემ, ძალიან განრისხდა, მაგრამ არაფერი შეიტყო, მართო ზურგი შეაქცია შვილებს.

ამირანმა უთხრა: — მე დამნაშავე ვარ ამის კითხვისათვის, მაგრამ თუ შენი თვალის ამბავს არ გამიმჟღავნებ, არ გლომებია ჩემი თავი შვილად და მე ხვალ უნდა გაეუდგე ჩემს გზას, აქ დამრჩენი არა ვარ. მართალია, შენ გამზარდე და თქვენი დაშორება ძალიან გამიჭირდება, ძნელი იქნება ჩემსთვის, მაგრამ ესეც სწორია, რომ შენ ჩემი ნამდვილი მამა არა ხარ.

მაშინ შემობრუნდა შვილებისაკენ ივა და უთხრა: — ამირანო, შენი ფასი მე არაფერი მაბადია, ჩემს ღვიძლ შვილებს შენ მირჩენი ხარ, დასამალავი არ მექნება, მაგრამ გიფრთხილდებით (ვშიშობ), არაფერი დავმართოთ ჩემი თვალის გამო.

—ამაზე მშვიდად იყავი, თუ შენ გამო რამე მოგვივა, იმის გამო სირცხვილს არ ვნახავთ, მაგრამ უყურადღებობის გამო ყველგან სირცხვილიანი უნდა ვიყოთ, ქუდის დახურვა არ უნდა შეგვეძლოს. (იგულისხმება, რომ ქუდის დახურვა არ უნდა შეგვეკცხვისო).

— კარგი, ბაბუსა, ამაღამ მაცალეთ (მადროვეთ), ხვალ ერთ საქმეს დაგავალებთ და, თუ შეასრულებთ. ეჰე, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გეტყვი.

მეორე დღეს ივა ხელმწიფემ იხმო თავისი შვილები სავაზი-როდ და უთხრა: რახან არაფრით მომასვენეთ, მაშინ თორმეტი მთის იქით ერთი კალია ბინადრობს და მეორე სკა დგას. კალიას ხორცსა და თაფლს თუ შემომიტანთ აქ, ეჰე, გაგიმჟღავნებთ ჩემი თვალის ამბავს.

მეორე დღეს გაუდგნენ ძმები გზას სანადიროდ. მიდიან, მიდიან და ერთი წლის შემდეგ დიდის ვაი—ვაგლახით ძლივს მიადწიეს კალიას საბინადრო ქვეყანამდე, მაგრამ კალია იმდენად უსაშველოდ დიდი იყო, რომ არ ითქმის. ამათ თვალი ჰკიდა თუ არა, ფრთა შეარხია და ისეთი ქარბუქი ატეხა, რომ ვისიბი, ბადრი და ჩალამკალამი აიყვანა და ცხრა მთას იქით გადატყორცნა. ამირანი მუხლებამდე ჩაეფლო (იგულისხმება, რომ მაგრად დააწვა დედამიწას) და ამას არაფერი დაემართა. კალიამ ფრთები დაკეცა, მაშინ მიეჭრა ამირანი, დაადრო დედის მუცლიდან გამოყოლილი ვეფხვის კუდი და, სანამ ფრთების ხელახლა შერხევასა და ქარბუქის ატეხას დაიწყებდა, მანამდე ჯერ ერთი ფრთა შეაჭრა, მერე მეორე, შემდეგ დაშნა დაადრო და კალია ასო-ასოდ აქნა. მანამდე, როგორც იქნა, მისმა ძმებმაც მოადწიეს ცრა მთის იქიდან. ახლა წავიდნენ სკის საქებნელად. მიდიან, მიდიან და რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთ მინდორში დაინახეს სახლისოდენა სკა. იქიდან, გამოდიოდნენ საქონლის სიდიდის ფუტკარი, ისეთი ზუზუნი გაჰქონდა, რომ ერთი დღის სავალზე ისმოდა მათი ხმა და ახლოს მისვლამდე ადამიანს დააყრუებდა. ამირანმა მის ძმებს მოკლულ კალიასთან დაბრუნება დაავალა: —ფრთებს ყურებში დასაცობი მოაჭერით და არ დაყრუვდებითო.

ჩალამკალამი, ბადრი და ვისიბი მართლაც გავიდნენ კალიამდე. ფრთების ნაჭრებით დაიგმანეს ყურები და ამირანსაც მოუტანეს ყურების დასაგმანი. ამირანმა უთხრა: — ყურების დაგმანის შემდეგ

ლაპარაკით ვერაფერს გავაგებინებთ ერთმანეთს, ამიტომ ხელებით შევატყობინოთ ერთიმეორის ამბავიო.

წავიდნენ ასე და დაიწყეს ომი. სახლისოდენა სკიდან მსხვილფეხა საქონლის სიდიდის ფუტკარი გამოდიოდა და დიდ გასაჭირში აგლებდნენ ძმებს. ამირანი ვეფხვის კუღით ხოცავდა, მისი ძმები თავიანთი დაშნებით და ბოლოს დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა მოერიდნენ ფუტკრები ამოჟლიტეს და ფიჭა მინდორში დადგეს გროვა-გროვად. იგემეს დაღლილ-დაქანცულებმა, უკეთეს რა იგემებდნენ, საღამოს აპკიდეს ფრთებდაჭრილ ფუტკარს ის ფიჭა, თვითონ კალიას ხორცი აიკიდეს და სამი წლის შემდეგ ძლივს მოიტანეს შინ.

ბაბუა ივას ძალიან გაუხარდა თავისი შვილების მშვიდობიანად დაბრუნება. ძალიან დიდი ღზინი გადაიხადა. ღზინის შემდეგ შვილები სავაზიროდ იხმო და ძალიან დიდი სიხარულით ამცნო, რომ ასეთი სახელოვანი შვილები დაებადა. ახლავ ამცნობს მისი თვალის ამბავს:

— ეს თაფლი და ამ კალიას ხორცი ჩემი საჭმელი იყო, მაგრამ ბაყბაყ დევის გასათხოვარმა ქალმა, ფისი მის დაბადებას დაესხას, საყვარლად დადგომა მომინდომა. ის მე არ ვქენი. მან, თურმე, მამამისი გაახელა: მეო მისთვის ასეთი და ასეთი სირცხვილი დამიმართია, მე თუ რაიმე ცუდ ნიშანს არ დამიტოვებს, ეჭვ, თავს კლდეს მივახლი და სამყოფ-სადგომს ცუდად, საარაკოდ დავტოვებო!

ამდენი დასმენა — გახელების შემდეგ ბაყბაყ დევმა ჯერ თაფლი და კალია წამართვა, მერე ჩემი მტრობა დაიწყო. ნადირობისას მარტო ჩვენ ორი შევხვდით ერთმანეთს, მომერია, თვალი გამომიღო, მის ქალიშვილს მიუტანა და იგი უდევს ახლო ოქროს თეფშზე. როცა მოწყენილობა მოუვლიდა, სათამაშოდ იღებდა, თურმე, ის არაფრის მსგავსი!

ბაყბაყ დევის დაძლევა ასე ადვილი არ გეგონოთ. სახლსა და ციხეს ირგვლივ ურტყია: ჯერ გველემაძის, მერე რკინის ჯარისკაცების და ძალიან ახლოს გაავებული ძაღლების ჯარი. იმის გარდა, ბაყბაყ დევს ყელიდან ელიას ალი ამოსდის და ბრძოლის დროს ალს ასხამს მოწინააღმდეგეს, წინ დოღაბის ქვა მიუძღვის ბრძოლის დროს, მოწინააღმდეგეს ნაფლეთებად აქცევს იმით, მაგრამ თქვენ ხერხი უნდა იხმართ, თუ იმის მორევა გინდათ, ეჭვ, აი, რა უნდა გააკეთოთ:

თითო შეკვრა ბაზბა წაიღეთ, თითო დაკლული ცხვარი წაიღეთ, და, ამის გარდა, საჭიროა ერთი გუდა ვირის შარდი... გახვალთ, ჯერ გველემაჰების ჯარი უნდა ამოწვევით, მერე რკინის კაცების ჯარი, შემდეგ ძაღლები მოგეჭვრებიან, მაშინ ცხვრები დაუყარეთ და ისინი ხორცის ჭამას დაიწყებენ, თქვენ კი ბაყბაყ დევს დაესიეთ. დევს წინ ელიას ალი მოუძღვის, თქვენ ვირის შარდს შეასხამთ და იგი ჩაუქრობს ალს. დოლაბ ქვას ბაზბის კონები დაუყენეთ და ბოლოს ისიც გაჩერდება. მაშინ დევს სტაცეთ ხელი და დაიგდეთ ქვეშ—რაც შეგეძლოთ არ დაზოგოთ. როცა დაიგდებთ, ხანჯალი ყელზე დააბჯინეთ და ათქმევინეთ, თუ სად აქვს შენახული ჩემი თვალი იმას.

ეს აუწყა და ძმები სამზადისს შეუდგნენ. აიკიდეს თითო შეკვრა ბაზბა, თითო დაკლული ცხვარი, ერთი გუდა ვირის შარდი და მიდიან, მიდიან, მაგრამ მხარი მოექცათ. ისეთ უდაბურ ტყეში მოხვდნენ, რომ მარტო ცისკენ სახეღია, საით უნდა წავიდნენ, ვერაფრით გებულდობენ. ამირანმა დაიჩოქა მისი ნათლია ქრისტეს სახვეწრად: — მაღლი ექნება და შეიცოდოსო მისი ნათლული, არ დატოვოსო ამ უდაბურ ტყეში უსაქმოდ დასაღუპავად.

ნათლისგან ხმა მოესმა: — ქრისტეს თავდებობას გაუფრთხილდესო გასატენხავად, თუ არა, სამჯერ გატეხის შემდეგო მასაც არაფერი შეეძლება. ახლა ამას გამოჰყვესო, — და მისმა ნათლიამ მტრული გამოგზავნა გზის მაჩვენებლად. მიუძღვის ის მტრული ძმებს წინ. მიჰყვნენ ესენი. მიდიან, მიდიან და რამდენიმე ხნის შემდეგ დაიღია უდაბური ტყე და დიდი ვაკე ადგილი გამოჩნდა. აქ მტრული გაქრა და გამოჩნდა ბაყბაყ დევის სახლ-კარი მივიდნენ ახლოს და გამოჩნდა ირგვლივ გარშემორტყმული გველემაჰების ჯარი. ამირანმა უთხრა თავის ძმებს. ახლა მათ უნდა ივარგონ, ივაჟკაცონ. შეებით თქვენნი ხანჯლებით და, თუ გასაჭირი დაუდგათ, იგიო მათ გვერდით დადგება.

ეკვეთნენ ისინი გველემაჰს საში ღღე და ღაბე განუწყვეტლამ. ზოცავენ და ბოლოს ამოწვევითეს, მაგრამ ისე დაიქანცნენ, რომ თვითონაც დაცვივდნენ მიწაზე. მივიდა ამირანი მოასულიერა, გაამრთელა და თვითონ რკინის კაცებს მიეჭრა. ებრძვის, ებრძვის რკინის კაცებს, მაგრამ რკინა არანაირ იარაღს არ იკარებს ახლოს და გაუჭირდა ამირანს, ყველაზე უარესად ჰქონდა საქმე, ისევ გაახსენდა მისი

ვეფხვის კუდი, დაადრო და ამის დანახვაზე რკინის კაცები გაქრნენ, თურმე, აკრძალული ჰქონიათ მისი დანახვა.

ახლა მიდიან, მიდიან და მივიდნენ ბაყბაყ დევთან ახლოს. გაიგო თუ არა ამირანისა და მისი ძმების მოსვლა, გველეშაპებს მოუწოდა, მაგრამ ისინი ამოწყვეტილი იყვნენ. რკინის კაცებს შეუძახა, ესენიც ამოწყვეტილია, ძაღლებს შეუძახა. ესენი მიეჭრნენ, მაგრამ ჩალამკალამმა დაკლული ცხვრების ხორცი დაუყარა და მათ თავი დაანებეს, ხორცს მიეტანენ. დევი კინაღამ გაგიჟდა ამათი ჯავრით და ამირანს უთხრა: — რახან უამისოდ არ დადექი, ახლაო კარგ ღლეს დაყრის.

ამირანმა უპასუხა: — მისი ბაბუას თვალი დაუბრუნოს, თუ არადა მოსვლიაო შავი ღლე.

დევმა უპასუხა: — მისი ბაბუას თვალს დაუბრუნებს კი არა, მასაცო ამოუყრის თვალებს, მერე შეახრამუნებს მას და მის ძმებსაც კალიებივითო. იმასაც არ დასჯერდება და მის ბაბუას მეორე თვალსაც ამოაცლის და მის ქალიშვილს მოუტანს სათამაშოდ, სამყოფ სადგომსაცო ამოუწყვეტს და ნაცარტუტად უქცევსო.

— ამას ერთიმეორეს ვანახებთ, — მიუგო ამირანმა და ერთიმეორეს სტაცეს ხელი. ჭიდაობენ, ჭიდაობენ, ნგრევა — მტვრევაა ირგვლივ მთელი ღლე. ბოლოს ამირანმა სარმა გამოსდო დევეს ისე დაანარცხა მიწაზე, რომ ცამ და მიწამ ქანაობა დაიწყო. ამირანმა კედელთან მიაყუდა ბაყბაყ დევი: — უთხრასო, მისი ბაბუას თვალი სად დევსო, თუ არადა მოსვლია უკანასკნელი ღლე!

დევმა მიასწავლა მისი ბაბუას თვალი: — ისო მის ქალიშვილს უდევს ოქროს თეფშზე, მაგრამ მისი ქალიშვილის მორევა გაუჭირდებაო. თუ როგორმე წაართვას, ეპე, მის შესახვევი სახოციც მოიტანოსო, თუ არა უიმისოდ უსარგებლოაო მისთვის. სახოცი თეფშს გამოუსვასო ქვევიდან და თვალიო მხოლოდ მაშინ მოშორდება თეფშს. შემდეგ ჩაუდგასო ბაბუამისს და გარედან სახოცი მოუსვასო, თვალი ძველებურად დაუბრუნდება.

ეს გაათავა და ამირანმა დაადრო ხანჯალი და თავი მოსჭრა.

მიდიან, მიდიან და მივიდნენ დევის ქალიშვილთან. ამ ქალს მართლაც ოქროს თეფშზე ედო თვალი და ეთამაშებოდა პატარა ბავშვივით. ისე ანათებდა თვალი, რომ ირგვლივ ანთებული ლამპარევით

ანათებდა. დაინახა ამ ქალმა მასთან მოსული ამირანი, წამოუხტა, მისი დაშნა ხელთ იგდო და ძალიან დიდი საგონებელში ჩააგდო ამირანი, მაგრამ ბოლოს გასაჭირის უამს გაახსენდა ვეფხვის კუდი, დააძრო საქმრიდან, მთარტყა ფეხებში და ძვლები დაეფშვნა და უზარმაზარი სოჭივით დაეცა ამირანის წინ.

ამირანმა ხანჯალი დააბჯინა ყელზე და უბრძანა: ამ წამსვე მისცეს მისი ბაბუას თვალი, თუ არა და მოსვლია უკანასკნელი დღეო!

ქალიშვილმა უპასუხა ქრისტეს თავდებობა მისცესო, რომ არ მოკლავს, თუ არა კრინტის დამძვრელი არა ვარო. მოკლასო, მკვდარს კი ვერაფერს ათქმევინებსო, თვითონაც ხომ ნახავსო.

ამირანს რა უნდა ექნა და მისცა ქრისტეს თავდებობა. ქალიშვილმა უთხრა: — ამა და ამ ადგილას არის სახოცი და ოქროს თეფშით მისი ბაბუას თვალი.

ეს ყველაფერი მოისმინა, მაშინ ამირანმა ხანჯალი კრა დევის ქალიშვილს და სული ამოართვა, მაგრამ ამირანს ქრისტეს თავდებობა გაუტყდა. მერე აიღო მათი ბაბუას თვალი და სახოცი და დაადგნენ გზას სახლისკენ. მიდიან, მიდიან და სამი წლის შემდეგ ძლივს მოაღწიეს. მოვიდნენ და ნახეს თავიანთი სახლ-კარი და ყველაფერი შავადაა მოსილი, გაუკვირდა: — რა იქნებაო? სახლში ცუდი რამ არ მომხდარიყო?

ეზოში მათი მოსამსახურეები დახვდნენ და ამათ ჰკითხეს: — რა ამბავიაო, რატომ არისო სახლ-კარი შავებში?

— იმიტომ, რომ მათ მამასო ეგონა, ისინი დაღუპული იყვნენო, რასან ამდენ ხანს შინ ვერ დაბრუნდით.

შევიდნენ ისინი შინ, დაინახა ივა ბაბუამ და კინალამ გაგიჟდა სიხარულისაგან. ივა ხელმწიფეს ისე მოუშვია წვერი, რომ ქვეშაგებლის მაგიერ გამოადგებოდა საწოლად. შეილებმა დაბანეს, გაპარსეს, კარგად მოუარეს, თვალი ჩაუდგეს, გარედან სახოცი მოუსვეს და აღრეულზე უკეთესად იხედებოდა.

ივა ხელმწიფემ მთელი თავისი სახელმწიფო დაპატიჟა. ჯერ შეილების მშვიდობიანად მოსვლა ილხინა მთელი ნახევარი წელიწადი. სუფრის დაშლის უფლება არავის მისცა, შემდეგ კი მისი თვალის დაბრუნების ღხინი გადაიხადა. ნახევარი წელიწადი ამას მოუწდა და

დაშორების უფლება ახლაც არავის მისცა. არიან ასეთ მხიარულებაში ივა ხელმწიფე და მისი შვილები.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლხინი დამთავრდა, ამირანს მოსწყინდა ასეთი ყოფა და მის ბაბუას უთხრა: ახლა მან წასასვლელად უნდა იჩქაროს და არ დაუშალოსო. შვილებს თუ დამანებებ, მადლობელი იქნებაო, თუ არა და მარტო თვითონაც არ დაიკარგება ქვეყანაზე.

ივა ხელმწიფეს არ გაუხარდა ამის თქმა, მაგრამ რა უნდა ექნა. გაუშვა ამირანი და მისი ძმები სახეუტილოდ. გზისთვის და იარაღისათვის რაც საჭირო იყო, არაფერი დააკლო, ყოველნაირად მომზადებული გაუშვა. წასვლისას შეეხვეწა: — ერთიმეორის დარდი გქონდეთ, და არც იგი დაივიწყონო, დროდადრო სახლის ამბავიც გაიგონო, მადლი ექნებათო.

წავიდნენ ესენი ასე, მიდიან და მიდიან. ადამიანის მაენეს: დევს, გველეშაპს, ქაჯსა და ამგვარს რასაც მოიხელთებენ, ყოველნაირად სპობენ, ცოცხალს არაფრით ტოვებენ.

ერთ დღეს ძმები საჯიხვეზე ნადირობენ, მაგრამ ბევრი ვერაფერი მონადირეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, მზის ჩასვლისას, დაინახეს, რომ ერთ მაღალ უღელტეხილზე (ზეკარზე) ორთქლი მოედინებოდა. ამირანმა თქვა: — ისინი იყვნენ დაწყევლილები, ამ ორთქლის საქმე არ გავიგოთო.

მიდიან მიდიან და მეორე შუადღეს ავიდნენ ამ უღელტეხილზე. აქ ერთი მიწას შეზრდილი ქვაა, მისი ხვრელებიდან ბოლქვებად მოედინება ისე ცხელი ორთქლი, რომ ახლოს მისასვლელი არსაიდან აქვს, ყველა მხრიდან მოუარეს ამ ქვას, ყველა მხრიდან ათვალიერეს, მაგრამ შიგნით შესასვლელი ვერსაიდან უნახეს. მოეჭიდნენ გადასაბრუნებლად, რაც ძალ-ღონე ჰქონდათ, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოუთხარეს, ქვემოთ კაცის შესასვლელი კარი გამოჭრეს. ისეთმა აღმა იფეთქა ამ კარიდან, რომ კინალამ ყველა გადაბუგა და გადაწვა იქაურობა. შიგნით შესვლას ვერაფერ ბედავს. მოვიდა ამირანი, გარედან სველი ნაბადი შემოიხვია და ჩახტა ამ ქვის ქვეშ. ნაბადი დაიწვა, ტანის დაწვამდე მეორე კუთხეში გასვლა მოასწრო. აქ ქალების მოთქმა, ტირილი მოისმა, გაუკვირდა.

— რა იქნებაო? — გაიხუდა მეორე კუთხისკენ, აქ სამი ქალიშვილი წევს. ხან ერთი მოთქვამს, ხან მეორე, ხან მესამე. ამირანი დაი-

ნახეს, შეწყვიტეს ტირილი და უთხრეს: – რატომ მოსულაო აქ, თავი მოსძულეხარ?

ამირანმა უთხრა: – რა ამბავიაო, ვინ მოუელნა ამგვარი საშინოება საბრალოებსო?

– როგორო ვინ, ბაყბაყ დევის ძმას მოუტაციაო ისინი, გზაში დაღლილა, აქ შემოუყვანიაო ისინი და თვითონ ქვემოთ წვეს დასასვენებლად.

ამირანმა მართლაც ჩაიხედა ქვევით ორმოსკენ და დევი წვეს მიწაზე, გვერდით ცეცხლი უნთია და აქედან მოდის ასე ძლიერი გლი-ას ალი.

ამირანი შეეკითხა ქალიშვილებს: – თვითონ ვინ არიანო?

ამათ უპასუხეს: – ისინიო ამა და ამ ხელმწიფის შვილები არიანო.

ამირანი ჩახტა ამაში, გააღვიძა დევი, სტაცეს ხელი ერთიმეორეს ჭიდაობენ, ჭიდაობენ, ერთი კვირა ზევით, ქვევით უწყვეტად ჭიდაობენ, მაგრამ დაძლევიტ ვერც ერთი ვერ სძლევს. გაჭირვების უამს დააძრო ამირანმა ვეფხვის კული, მობრტყა წვივებზე და გადაუშტურია. ჯერ ერთი თავი მოაჭრა, მერე მეორე და მერე მესამე... მერვე და მეცხრე თავების მოჭრამდე დევმა ქრისტეს თავდებობა მიაცემინა და უთხრა: – ეს თავი არ მოჭრასო და იგიო ცეცხლს მისცემს მარადუამულადო. ამ ცეცხლით პურსა და სხვა საჭმელს მოამზადებს და ადამიანის საქმე ათასი წლით წინ წავაო.

ცეცხლი ამ ჭურჭელში ჩადევი და არ გაგიქრებაო.

ესა და ეს ყველაფერი უთხრა დევმა ამირანს, მაშინ დააძრო ამირანმა მისი დაშნა და დევს მეცხრე თავიც მოჭრა. მეორედ აქ გაუტყდა ამირანს ქრისტეს თავდებობა. აქედან ამოვიდა, ქალიშვილებიც ამოიყვანა, ცეცხლი ხელში დაიჭირა თავისი ჭურჭლით და აქ მისმა ძმებმა, სინარულისაგან რა ექნათ, არ იცოდნენ. ამირანი ცოცხალი არ ეგონათ და მან კი სამი ადამიანი (ქალიშვილები) ამოიყვანა დევის ტყვეობიდან.

ამირანმა უთხრა თავის ძმებს: – ესენიო ამა და ამ ხელმწიფის შვილები არიან, ყოველნაირად მათი ტოლები არიან და ცოლებად ითხოვონო.

ამათ კიდევ ძალიან გაუხარდათ ამის თქმა, ისე, ლამაზები იყვნენ ქალიშვილები. უფროსმა უფროსი ითხოვა ცოლად, საშუალომ – საშუალო, უმცროსმა კი – უმცროსი მოდიან მხიარულები, მოდიან და ერთ ადგილას ერთ შავ დედაბერს კალო აქვს მოფენილი ბავშვის თავებით. კვერში უბია უღელი ხარი, თვითონ ზედ ზის და სიმღერ-სიმღერით ლეწავს. მიეჭრა ამირანი და – როგორო ბავშვების თავებს ლეწავ, შავო ბებრუხუნაო?! – სტაცა ხელი თმებში, ყელზე ხანჯალი დააბჯინა: – ახლავე მითხარი, რა ამბავია, თუ არა მოსვლია უკანასკნელი დღე!.

დედაბერმა ამირანი ქრისტეს თავდებობის მიცემაზე დაითანხმა, რომ არ მოკლავდა, ყველაფერსო იტყვი.

დედაბერმა უთხრა: – ამ ბავშვის თავებით ბაყბაყ დევის ძმას, ქეშეკ დევს, მიუცია გასალეწვად. მასო ძმა მოუკლას, მაგრამ ქეშეკ დევსო მისი ბაბუა ივას სახელმწიფო განალეწად (ნანგრევებად) უქცევიაო, მასო ბაყბაყდევის სახლ-კარი ამოუწყვეტია. ამიტომ ქეშეკ დევსო მისი ბაბუას ამოწყვეტა ჩაუდვია გულში. ერთი კალო უკვე გალენილი აქვს, მისი ბზე ბაბუასათვის მიუყრიათ (იგულისხმება ეზოში დაყრა) და ის ახლა გაგიჟებულია – რას აკეთებს, აღარ იცის. თუ ამ ბავშვების განალეწ ბზეს მეორედ მივაყრით (ე.ი. ეზოში), თქვენ და თქვენ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანები ყველა ქვად იქცევით. ახლა თქვენი ბაბუა გაგიჟებული დაგზვდებათ, მაგრამ იმას იორდანეს წყალი მიასხურეთ და უცებ მორჩება.

ეს ყველაფერი დაამთავრა დედაბერმა (იგულისხმება ლაპარაკი) და ამირანმა ამასაც თავი მოსჭრა. მესამე თავდებობა აქ გაუტყდა ამირანს. ამირანმა უთხრა თავის ძმებს: თქვენ ცოლებიანად მოდიხართ, თამაშითა და სვენებ-სვენებით წამოღით, მე წინ წაგიძღვებით, სახლში ადრე (უწინ) მივალ, მოვემზადებით ყოველნაირად, ჩვენს ბაბუასაც მოვარჩენ და მოვაჯანსაღებ.

კარგი იქნება, მაგრამ მართო რომ მიდიხარ გვედარდები, თორემ სხვა არაფერიო, – უპასუხეს ძმებმა და ამირანი ადრე გაუშვეს.

– ჩემი დარდი ნუ გაქვთ, თქვენ ფრთხილად და სვენებ-სვენებით წამოღით.

ამირანი გაემზადა, წავიდა იორდანეს წყალზე, აავსო ჭურჭელი, წამოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოვიდა სახლში, მაგრამ აქ

ყველაფერი არეული დახვდა. მისი ბაბუა წიქვილის დოლაბს ციხის ერთი მხრიდან აგდებს და მეორე მხარეს ქვეშ ხელს უხვედრებს და იმით იჭერს. ყველაფერი დამტკერეული აქვს საბრალოს, ტანსაცმელიც შემოფლეთილი აქვს, საშინელი შესახედავი იყო. მიეპარა ამირანი, მიახსურა იორდანეს წყალი და მისმა ბაბუამ თვალები მოიფშვინიტა. ოჰ, რამდენი ხანი მძინებია!

ამირანმა ყველაფერი გაარკვია, რაც დაუმართია ქეშექ დევს მისთვის და მისი სახელმწიფოსათვის. უთხრა, თუ როგორ მოერია ქეშექ დევს, ამის და ამის ხელმწიფის შეილები როგორც წაართვა და ახლა სახლის დალაგებას შეუდგნენ. კარგად გაასუფთავეს ყველაფერი. ივა ხელმწიფე დაბანა, გაპარსა, ჩააცვა როგორც ხელმწიფეს შეშვენოდა, და უთხრა რომ: — ახლათ საქორწილოდ უნდა მოემზადონო. მის ძმებსო საცოლეები მოჰყავთ, სამივეს.

ივა ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა ყველაფერი ეს. მთელი სახელმწიფო დაპატიჟა, ისეთი ქორწილი გადაიხადა, რომ უკეთესი არც კი გაუგონია ვინმეს ამ ქვეყანაზე.

ამირანი, მისი ძმები და რძლები მზე და მთვარესავით ანათებენ. პურმარილივით შეწყობილები არიან ერთიმეორესთან. აქ დაპატიჟეს ო რ ო მ მ ე ფ ე ქ ა ლ ი შეილთა მამა. იგი სიხარულისაგან ცას სწვდება. აქ ქორწილის დამთავრების შემდეგ ყველა თავის სახელმწიფოში დაპატიჟა. აქაც კარგი დრო გაატარეს. ამ სახელმწიფოში თუ ვინმე იყო გმირი მოჭიდავე, ყველამ გამოცადა თავისი ძალა ამირანთან, მაგრამ ამირანმა ყველას ქელი მოადრეკინა. ბოლოს მესამე სახელმწიფოს ხელმწიფის შეილები და გმირები მოვიდნენ აქ. ამ ხელმწიფეს ჰყავს ერთი მოჭიდავე. მისი მოძრევი ჯერ არ დაბადებულა. ამირანს მოუწოდეს, რომ დაჭიდებოდა მას. ამირანს არ სიამოვნებდა ყველასთან ჭიდაობა და კინალამ უარი უთხრა, მაგრამ ეს გმირი გამოვიდა, დადგა მინდორში და ამირანის მოსულას დაელოდა. მერე თქვა.

— ამირანს აქამდე კარგი ვაჟყავს არ შეხვედრია და ამიტომ დიდ გულზეა, მაგრამ იგიო ჭკუას ასწავლის.

მაშინ გამოვიდა ამირანი და დადგა მინდორში, გამოიქცა მოჭიდავე თავისი იარაღით და ეცა ამირანს და, ვისაც ამისი ჭიდაობა უნახავს, ყველა ფიქრობდა, რომ მტკრად აქცევედა ამირანს, მაგრამ

ძერაც ვერ უყო, ძალიან კი ეძგერა მეორედ, მესამედ მიუბრუნდა ამირანს, მაგრამ ვერც ახლა დააკლო რამე. გაბრაზდა და მახვილით დაუწყო ცემა ამირანს თავზე, ბეჭებზე. ამირანი მხოლოდ ახლა გაბრაზდა ადამიანზე, ხელი მკლავში სტაცა, აიტაცა ზევით და ისეთის ძალით დაანარცხა ღელამიწაზე, რომ ნაფლეთები აქეთიქით დაცვივდა.

ამირანს აქ ცოლად დაუსვენს ერთი ხელმწიფის ასული ყამარი, გაზაფხულივით აყვავებული, შემოდგომასავით სავსე, მზესავით მანათობელი. მეორე მსგავსი არ მოიძებნებოდა ამდენ ქალიშვილში. ამასაც ქორწილი გადაუხადეს. არიან ასე ღიღხანს. ამირანს, მის ძმებს, ბაბუას, რძლებს არაფერი აკლიათ, ჩიტის რძეც კი აქვს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მოსწყინდა ამგვარი ცხოვრება ამირანს და ხეტიალი დაიწყო. სახელგანთქმული მოჭიდვე, გმირი თუ სადმე იყო, ყველას ეჭიდებოდა და, უნდოდა თუ არა, ყველა ხელში აკვდებოდა, მისი მოძრევი აღარ დაიბადა.

ერთ დღეს მათ წინ ჩამოიარა მისმა ნათლია ქრისტემ. ამირანი წინ დაუხვდა და შეეხვეწა: — მიწაზე მყოფი ვერავინ მერევა და ერთი იგი დაეჭიდოსო.

ქრისტემ უპასუხა: — აქო სირცხვილია, ვერ დაეჭიდება, გვერდზე გავიდნენ აბაო.

მიდიან, მიდიან და ავიდნენ კლდის წვერზე, დაგაკებულ ადგილთან გაჩერდნენ და აქ უთხრა ნათლიამ: ამ ჯოხს ჩავასობ კლდეში, თუ ამოაძრობ, დაგეჭიდებიო.

— კარგო, — უპასუხა ამირანმა.

დაასო ჯოხი, მოეჭიდა ამას ამირანი, წევს, ეჯაჯგურება ამირანი და რამდენიმე ხნის შემდეგ ამოაძრო. მეორედ დაასო და ამირანმა ისევ ამოაძრო. ნათლიას უთხრა: — რას ეთამაშობებო? თუ ეჭიდება, დაეჭიდოს, თუ არა და დაანებოს თავიო!

ნათლიამ უპასუხა: — ერთიც ვსინჯოთ და შემდეგ, როგორც ურჩევნოდეს, ისე გააკეთოსო.

ჩაასო ეს ჯოხი კლდეში და: — მთელ ქვეყანას გაედგა მისი ფესვებიო!

ჯოხმა მართლაც მთელ ქვეყანაზე გაიდგა ფესვები. ეწევა ამირანი, ეწევა, მაგრამ ძერა ვერსაით უყო. მთელი წელიწადი ირგვლივ

ამოდრავებს ამოსაძრობად, თითქოსდა ცოტა უკლია, მაგრამ ამ დროს ჯოხის თავზე ერთი ჩიტი დასვა მისმა ნათლიამ, ამირანს დიდი ურო მისცა ხელში, მოუქნია ჩიტს, ჩიტი აფრინდა, ურო ჯოხს დაეცა და თავის ადგილას დავიდა. ნათლიამ მიაბა ამირანი ჯოხზე და დარაჯად ყურმა დაუყენა. ყურმა ამირანის საბმელ – საკიდებელს ლოკავს, გაწყვეტამდე მიჰყავს, ამ დროს დიდ ხუთშაბათს მჭედელთა ნახელავი ამის გასამთელებლად იქცევა და საკიდელიც მთელდება...

ამბობენ, რომ ამირანმა არ აიშვას, თუ არა მჭედელსა და ცის-ფერთვალებას აღარ დატოვებს ქვეყანაზე.

*მოქმელი მერაბ მურზას ძე ქაღდანი,
მესტიის რაიონი,
სოფ. ლაწომბაში, II. VIII. 1949 წ.
სვანურიდან ტექსტი თარგმნა ო.ონიანმა
დაბეჭდილია: სვანური პროზაული ტექ-
სტები, ბალსქვემური კილო, II. 1957.
გვ. 256. შედგენლები: ალ. დავეითიანი,
მ. ქაღდანი, ვ. თოფარია.*

11. ამირანი – „ამირვი“

აბა, დაგლოცოთ ღმერთმა და აქ იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ერქვა ივა. მას ჰყავდა სამი შვილი: ჩალამკალამი, ბადრი და ვისპი. ეს სამი ძმანი დიდი გმირები იყვნენ და ხშირად ეომებოდნენ დევებს. ბევრი დევი ჰყავდათ დახოცილი და მათი გმირობის სახელი განთქმული იყო ერთ დღეს ეს სამი ძმა წავიდა სანადიროდ ერთ გორაზე ნახეს, რომ ხარის ტყავი – დახვეული – კოტრიალებს ხანაღმა და ხან – დაღმა. ისე სწრაფად, რომ კაცი თვალს ძლივს და მოჰკრავს. ძმებს გაუკვირდათ ეს, მივიდნენ ახლოს და უნდოდათ დაეჭირათ. ისე სწრაფად კოტრიალებდა მარბენალი ტყავი, რომ ვერ ახერხებდნენ დაჭერას. ჩალამკალამმა უთხრა ძმებს: – მოდით, მშვილდ-ისარი ვესროლოთ, იქნებ ან მიწაზე მივაკრათ, ანდა, თუ ცოცხალი არსებაა, მოვკლათო! მართლაც ასე მოიქცნენ და დაუშინეს მშვილდ-ისრები, მაგრამ, ისარი რომ ტყავს მოხვდებოდა, უკანვე გადმოვარდებოდა და ტყავს ვერაფერს აკლებდა. მთელ დღეს სდიეს ამნაირად ტყავს, მაგრამ ვერაფერი უქნეს და ვერ დაიჭირეს. საღამოს დაბრუნდნენ შინ ხელცარიელი.

ამაღამ შინ არაფერი გაამხილეს და მეორე დღეს კვლავ წავიდნენ იმავე გორაზე, სადაც წინადღეს ნახეს აკოტრიალებული ტყავი. იქ ისევ ნახეს ეს ტყავი, ერთ ადგილას გაჩერებული, და ახლოს რომ მივიდნენ და უნდოდათ ხელი ეტაცნათ, ტყავმა კვლავ დაიწყო სწრაფად კოტრიალი ხან აღმა, ხან – დაღმა. მთელი სამი დღე სდიეს ძმებმა ამ ტყავს და, რომ ვერაფერი მოუხერხეს, ძლიერ დამწუხრებულნი დაბრუნდნენ შინ საღამოზე. ამაღამ ჰკითხა მათ მამამ: „რა იყო, შვილებო, მთელი სამი დღე შინ ცარიელი ბრუნდებით და ძლიერ დამწუხრებულნი ხართ?“ შვილებმა მოახსენეს ხელმწიფეს, თუ რა ნახეს. ივამ გაიცინა და თქვა: „შვილებო, მე ღვთის ნათლული ვარ და ვიცი, რა არის ეს ტყავი. ამაში ანგელოზის შვილია შეხვეული, რომელიც მიწაზეა დადებული, რომ ქვეყანაზე კაცად იქნეს. იმას ასე ადვილად ვერ დაიჭირავთ. მე რომ გეტყვით, ისე მოიქეცით და შეიძლება იღბალმა მოგხედოთ და როგორმე ხელში ჩაგივარდეთ, იმ მთის ძირში, სადაც ის ტყავი კოტრიალებს, გამოდის წყარო, რომელსაც „იორდანეს“ წყალი ჰქვია. ჯერ ჩადით ამ წყაროზე, წაიღეთ ეს აბრე-

შუმის ბაღე, რომელიც მე ჩემმა ნათლიამ მაჩუქა და დააგეთ ამ წყაროს პირზე. შემდეგ თქვენ სამი მხრიდან შემოუარეთ და გცადეთ, როგორმე იმ წყარომდე მიიყვანოთ. როდესაც ბაღეში გაებმება ეს ტყავი, ის ბაღეს ვერ გახვეს და თქვენ დაიჭერთ, მაგრამ მანამდე ხელი არ ახლოთ, სანამ ამ ტყავს „იორდანის“ წყაროს წყალს არ გადაასხამთ. შემდეგ კი დამშვიდდება. თქვენ სანამ შინ არ მოიტანთ ამ ტყავს, არ გახსნათ, თორემ ის ბავშვი გაფრინდება. შემდეგ მე გეტყვით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ. მეორე ღლეს ძმები ასე მოიქცნენ, როგორც მამამ დაარიგა, და მართლაც სადამოზე ბევრი წვალების შემდეგ დაიჭირეს ბაღით ეს ტყავი, გადაასხეს იორდანეს წყაროს წყალი, აიღეს ბაღინად და შინ წამოიღეს მაგრამ ისე მძიმე იყო, რომ სამმა გმირმა ძმამ ერთად ძლივს მოათრია შინამდე. როდესაც ტყავი მამას მიართვეს, მან ჯერ კარ-ფანჯარა გამოკეტა, შემდეგ გახსნა ტყავი და იქიდან ამოხტა ბავშვი, რომელიც ლამპარივით ანათებდა, ხელად ფანჯარას ეცა, მაგრამ, დაკეტილი რომ დახვდა, ეცა კარს. იქაც რომ ვერაფერს გახდა, დაიწყო მტრედით ტრიალი ჭერზე. იტრიალა მთელი ღამე და ალიონზე დაღალული დადგა იატაკზე, თავდაღუნული. მეფე ივამ ილოცა ღმერთი. ამ დროს მაღლიდან (ჩამოფრინდა) ქრისტე და მონათლა ბავშვი, რომელსაც დაარქვა „ამირე“. შემდეგ დალოცა ეს ოჯახი და გაქრა. ივა მეფემ და მისმა შვილებმა ღმერთს მაღლობა შესწირეს და მივიდნენ ბავშვთან, რათა ალერსი დაეწყოთ, მაგრამ ბავშვმა უთხრა „ისევ გამახვიეთ ტყავში, სამი ღლე მამყოფეთ ისე, რომ შიგ გამოვშუშდები, გამოვალ სამი ღლის შემდეგ და მერე თქვენი ვიქნები“.

ივა და მისი შვილები მართლაც ასე მოიქცნენ და სამი ღლის შემდეგ ტყავიდან მშვენიერი ვაჟკაცი გამოვიდა და გადაეხვია მათ.

ივა მეფემ იშვილა ამირევი და საკუთარ შვილებზე მეტად უყვარდა. ამირევი ერთ თვეში ისეთი ღონიერი ვაჟკაცი შეიქმნა, რომ მის უფროს სამივე ძმას ერთად სჯობნიდა ვაჟკაცობაში. ამნაირად დავაჟკაცებული ამირევი ძმებთან ერთად დადიოდა სანადიროდ და ნადირის ხორციით კვებავდა ოჯახს.

ერთ ღლეს, როდესაც ოთხი ძმა ნადირობის შემდეგ ისვენებდა, ამირემა ჰკითხა ძმებს.

– ძმებო, ჩვენს მამა ივას მხოლოდ ცალი თვალი აქვს, მეორე თვალი აკლია, თუ იცით, მითხარით, რისი მიზეზი უნდა იყოს?

– ბადრიმ უპასუხა: ჩალამკალამმა მისცა ერთ დღეს მამას ასეთი შეპკითხვა, მაგრამ ისეთი დღე დააყენა, მას შემდეგ ვეღარ გაგვიბედავს ამის შესახებ კითხვა.

– მაშ, – მე ამირვი არ ვყოფილვარ, თუ არ ვათქმევინო მამას, თუ რა დაემართა და რისთვის დაკარგა თვალი, – თქვა ამირვმა საღამოზე, როდესაც შინ მივიდნენ, ძმებმა ვახშმის გათავების შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი. ამირვმა ჰკითხა ივას, „მამავ, ნუ გამიწყრები და ერთ შეკითხვაზე პასუხი გამეცი, თუ გიყვარდე!“ – რა გინდა, შვილო, რატომ უნდა მეწყინოს შენგან რაიმე? – აბა, მამაჩემო, კარგა ხანია მინდოდა მეკითხა, თუ რა დაგემართა ცალ თვალზე, მაგრამ მეხათრებოდა, ვაითუ ეწყინოს მეთქი, თან ვფიქრობ: თუ კაცისგან სჭირს, რატომ არ გვეტყვის შვილებს, რომ მაგიერი სისხლი ავიღოთ მისგან, ან გვარისგან.

ეს რომ მოისმინა ივამ, მეფემ ძალიან განრისხდა, ოღონდ ხმა არ ამოუღია და ზურგი შეაქცია შვილებს.

ამირვმა უთხრა: – ღამნაშავე ვარ, მამავ, რომ გაწყენინე, მაგრამ, თუ არ მეტყვი შენი თვალის ამბავს, მე აქ აღარ გაჩერდები. მართალია, გამზარდე და კაცად გამომიყვანე, მაგრამ შენი შვილი არა ვარ, ეს კი ვიცით, თუ ასე გეწყინა ჩემი სიტყვები, ხვალიდან გადავიკარგები და წავალ ჩემთვის. მართალია, დამენანება თქვენი და ძმების მოშორება, მაგრამ არ მინდა იქ ყოფნა, სადაც საერთოდ საიდუმლოებით მოცული საქმე ჩემთვის დაფარულია.

ივა მეფე მიუბრუნდა და უთხრა: – შვილებზე უფრო მიყვარხარ და რა უნდა დაგიმალო, მაგრამ მეშინია, როდესაც ჩემი თვალის ამბავს გაიგებთ, არა გევნოთ რა შენ და შენს ძმებს.

– თუ გვევნო, რა ვუყოთ, განა შვილები მამის საქმეს არ უნდა ეძებდნენ.

– კარგი, შვილებო, ამაღამ მაცალეთ და ხვალ დილით მოდით. ერთ საქმეს დაგავალებთ, თუ იმას გააკეთებთ, მაშინ გეტყვით ჩემი თვალის ამბავს.

მეორე დღეს მეფე ივამ მოიხმო შვილები და უთხრა: „თუ იშოვით ამა და ამ ადგილას რომ კალია არის, იმის ზორცს და იმავე ადგი-

ლას ერთი ძირი სკა არის და იმის თაფლს მომიტანთ საჭმელად, მაშინ გეტყვით ჩემი თვალის ამბავსო. ამირვი და მისი ძმები გაუდგნენ გზას. იარეს, ირეს და ერთი დღის შემდეგ მივიდნენ ერთ ადგილას. აქ იყო ერთი კალია, მაგრამ მისი მომრევი არავინ იყო. მან რომ მიახლოებული ოთხი ძმა დაინახა, ერთი შეარხნია ფრთები და ამით ისეთი ქარი დააყენა, რომ ბადრი, ვისიბი და ჩალამკალამი ბუმბულივით აიტაცა მაღლა და შორს, ცხრა მთას იქით, გადატყორცნა. ამირვმა კი მუხლებამდე ჩაასო ფეხები მიწაში და ამის გამო ქარმა ვერაფერი ავნო. როდესაც კალია დაწყნარდა და ქარი ჩადგა, მან გამოიღო წელზე მობმული ვეფხვის კუდი, რომელიც დედის მუცლიდან ჰქონდა გამოყოლილი და ეცა კალიას. სანამ ეს კალია ფრთებს ამოძრავებდა, მოუქნია ეს ვეფხვის კუდი და ჯერ ერთი ფრთა მოაჭრა და მერე – მეორე. დარჩა მთისოდენა კალია უფრთოდ ამირვმა იძრო ხმალი და თავი მოჰკვეთა კალიას. ამასობაში ძმებმაც მოაღწიეს, ცხრა მთას იქით რომ იყვნენ გადასროლილნი. ძმებმა აქნეს კალია და დაწყვეს ზვინებად. ახლა წავიდნენ სკის საძებრად, გაიხედეს და ნახეს, რომ ერთი უზარმაზარი მთისოდენა შენობა დგას და იქიდან გამოდიან ხუთი კაცი სოდენა ფუტკრები, რომელთა ბზუილი ერთი დღის სავალზე კაცს დააყრუებდა. ამირვმა უთხრა ძმებს „წადით და მოიტანეთ კალიის ფრთის ნაწილები, იმით ჩვენ ყურები ავიკრათ – და სმენას მით დავიზშობთ, მერე მივიდეთ სკასთან და ბრძოლა დაუწყეთ. მხოლოდ იცოდეთ შემდეგი: ჩვენ ერთიმეორეს ხმას ვერ გავაგებინებთ, მაგრამ ხელებით და თვალებით ვანიშნოთ ერთმანეთს, თუ როგორ მოვიქცეთ თაფლის შეძენის დროს. ჩალამკალამი, ბადრი და ვისიბი წავიდნენ, მოიტანეს კალიის მაგარი ნაწილები, აიფარეს ყურებზე და თავი დაიყრუეს. ამნაირად მიადგნენ ამ სკის ახლო მდებარე ადგილს და მოინდომეს თაფლის შონა, მაგრამ გამოუვარდათ სკიდან ფუტკრის ლაშქარი და დაუწყოს ბრძოლა ამ ოთხ ძმას. ჩალამკალამმა დაიძახა: „ჰარიქა, ძმებო, ხმლები ვიშიშვლოთ და თავს ვუშველოთ!“ მაგრამ თვითონვე მიხვდა, რომ მისი ძმები მის ხმას ვერ გაიგონებდნენ და პირველი შევარდა ფუტკრების გუნდში. მას მიჰყვნენ ძმები და დაუწყეს ულეტა. ამირვი ვეფხვის კუდით სულ მუსრს ავალებდა, ბევრი ბრძოლის შემდეგ გააქციეს ფუტკრები და ეცნენ სკას, ამოიღეს თაფლი და ისიც ზვინებად დააწყვეს. ამოდენა ბრძოლის შემდეგ ძმებმა დაისვენ-

ნეს. ჭამეს თაფლი და თქვეს: „მართალი ყოფილა მამაჩვენი, რომ თაფლი მოგვთხოვა, განა ასეთი ტკბილი რამე ოდესმე გვიჭამია?!“

ძმებმა აიკიდეს დატყვევებული ფუტკრის სკის თაფლი და მივიდნენ კალიას დაწყობილ ხორცთან, წამოაგეს ისრებზე, გაიდვეს ბეჭებზე და სამი წლის გავლის შემდეგ მივიდნენ მამა ივა მეფესთან და მიუტანეს კალიის ხორცი და თაფლი.

მამამ გაიხარა, რომ შვილებმა მოუტანეს კალია და თაფლი და თქვა: „მადლობა ღმერთს, შვილებო, ღმერთმა ჩემს საზრდოდ კალია და თაფლი გააჩინა და იმით ვიკვებებოდი, მაგრამ წყეულმა ურადღევმა ამიკრძალა ასეთებით კვება, მომერია, ცალი თვალი ამომიღო და წაიღოაწი იცოდეთ, შვილებო, რომ ჩემი თვალი ურადღევს აქვს და ეს თვალი მის ქალიშვილს აქვს თასზე დადებული და, როდესაც მოუნდება თამაშობა, ამ თვალს ათამაშებს. ამ თვალის ამოთხრაც მისი ბრალის, რადგან ის მე ახალგაზრდობაში გამიარშიყდა და, რადგან მე თქვენს დედას ვერ ვუღალატებდი – მისი მამა დევი გააქეზა ჩემზე და ეს საქმე აქნევინა. ახლა, რასან ჩემი საზრდოდ მომიტანეთ და ასეთის მოტანა შეძელით, იმედი მაქვს, რომ თვალსაც მომიტანთ, მაგრამ ძლიერ გაგიჭირდებათ დევის მორევა. მას გარშემო მცველად ჰყავს გველეშაპთა ლაშქარი, შემდეგ რკინის კაცების ჯარი, ხოლო იმ წყეულს თავის უკანასკნელ საფრად აქვს წმინდა ელიას ალი, რომელსაც ყელიდან უშვებს, წისქვილის დოლაბებს დიდ მანძილზე სტყორცნის და ალს უშვებს. ასე უხვდება მასთან სამტროდ მოსულს, ამასთან, მისი მწვეარ-მეძებრებიც ახალმოსულ სხვა კაცს დაგლეჯენ ლუკმა-ლუკმად. თქვენ იცით, წახვალთ ჩემი თვალის საძებნელად, მაგრამ ამ დროს ჩემი რჩევა გაიგონეთ და მოიქეცით ასე: ბალხეთის საძოვარზე რომ ვირი ბალახობს, ეცადეთ, რამენაირად მისი შარდი იშოვოთ ერთი გუდა, გუდასთან ერთად წაიღეთ თითო ტვირთი ბამბა და სამი დაკლული ცხვარი. თუ ღმერთმა გაგიმარჯვებ და გველეშაპთა და რკინის კაცთა წრე გაარღვიეთ, მაშინ თვით ურადღევი გამოგიხტებათ. წინ წმინდა ელიას ალი ექნება წამძღვარებული, იმ ალში მისახით ვირის შარდი და გააქრობს; დოლაბების სროლა რომ დაგიწყოთ, ბამბა შეაგებეთ და ის დააკავეთ, მწვეარ-მეძებრებს ცხვარი გადაუგდეთ, ისინი ხორცის ჭამას დაიწყებენ და ამ დროს ეცადეთ ურადღევის დამორჩილება, რომლის მორევაც ძალიან ძნელია. თუ ღმერთი შეგეწი-

ათ და იმას მოერიოთ, მაშინ აიძულეთ, რომ გითხრათ, თუ რა გზით შეგიძლიათ იმისგან მიიღოთ ჩემი თვალი. ეს რომ უთხრა ივა მეფემ შვილებს, დალოცა და გაისტუმრა ისინი თვალის მოსაძებნად და დასაბრუნებლად.

მეორე დღეს, ღმერთმა ბევრი დღე გაუთენოს, ადგნენ ძმები და გაუდგნენ გზას, თან წაიღეს თითო ტვირთი ბაგბა და სამი დაკლული ცხვარი. იარეს, იარეს და მიაღწიეს იმ მთამდე, სადაც ივა მეფის მიერ ნაჩვენები ვირი ბალახობდა. ძმების მიახლოებისთანავე ვირმა ისეთი ყროყინი ატეხა, რომ ციდან ვარსკლავებმა დაიწყო ცვენა, მაშინ ადგა „ამირვმა“, გამოიღო ვეფხვის კული და აჩვენა ვირს. ამ ვირს ისე შეეშინდა, რომ შიშით მოშარდვა დაიწყო. ამ დროს ვისიპმა მიიბრინა მასთან და გულა მიუშვირა შარდვის დროს და გაავსო შარდით. ვირი კი ვეფხვის კულის შიშით ცხრა მთას იქით გადაიხვეწა.

ძმებმა იარეს, იარეს და გზა დაებნათ, არ იცოდნენ, თუ სად წასულიყვნენ. მაშინ დაიჩოქა ამირვიმ და შესთხოვა თავის ნათლიას: „ჩემო ნათლია ქრისტე, გვიშველე რაიმე და გზის მაჩვენებელი სანიშნობელი მოგეცი რაიმე, თორემ ხომ ხელავ გზას ვერსად ვიგნებთ მე და ჩემი ძმები“. ამ სიტყვის გათავებისთანავე ცაზე გამოჩნდა თეთრი მტრედი, რომელიც გამოუშვა ქრისტემ გზის მაჩვენებლად. ძმები გაჰყვნენ ამ მტრედს და ბოლოს მიაღწიეს ურად დევის სამყოფ ადგილამდე და მტრედიც გაქრა. გაიხედეს ძმებმა და შეხედეს, რომ მალლობზე ციხე გალავნიანი დიდი შენობაა და გარშემო სამ წყებად გველეშაპთა ლაშქარი არტყია მცველად – აბა, ძმებო, მოვიდა ჩენი გამოცდის დღე, ვანახვოთ ყველას, თუ რა ვაჟაკები ჰყავს ივა მეფეს. თქვენ, ჩალამკალამ, ვისიბ და ბადრი, დაუწყეთ ომი გველეშაპებს თითოეულმა თითო წყებას, თუ გაგიჭირდებათ, მე მოგეშველებით, შემდეგ ჯერი ჩემი იქნება, – უთხრა ძმებს ამირვმა. ძმები ეცნენ გველეშაპთა წყებას და შეიქმნა საშინელი სისხლის ღერა. სამი დღე და ღამე იბრძოდნენ შეუწყვეტლივ და კიდევაც მოსპეს გველეშაპები, მაგრამ მკვდრებით დაეყარნენ მიწაზე დაღლილობის გამო. სამივე ძმა ამირვმა მოასულიერა, დაასვენა, თვითონ კი ეცა რკინის კაცებს და დაუწყო ხმლითა და ლახტით ომი, მაგრამ ამათ ვერაფერს აკლებდა, რადგან რკინის იყვნენ. თვითონ კი ამირვს ლოდებითა და ლახტებით სცემდნენ. ბოლოს გაუჭირდა ამირვს, ამოიღო ვეფხვის კული და ამით და-

ერია რკინის კაცებს. ამის დანახვაზე რკინის ლაშქარი წამსვე გაუჩინარდა, რადგან შელოცვილ ვეფხვის კუდთან ვერაფერს გახდებოდნენ და ამჯობინეს მთლიანად გადაკარგვა. ამირანმა დაისვენა. ამასობაში მისი ძმებიც წამოდგნენ. ვისიბმა შარდით სავსე გულა დაიკავა ხელში, ბადრიმ ბაბა და ჩალამკალამმა კი — დაკლული ცხვრები, წინ ამირანი გაუძღვა, ეცნენ გალავნის კარებს და შეანგრიეს. ეს გაიგო თუ არა, გამოვარდა ურად დევი და დაიძახა: „ჰარიქა, ჩემო მწვეარ-მეძებრებო, სადა ხართ?“ გამოცვიდნენ მწვეარ-მეძებრები, მაგრამ, სანამ მივიდოდნენ ძმებთან, ჩალამკალამმა დაკლული ცხვრები შეაგება და მათ დაუწყევს ჭამა. — აბა, ჩემო დოლაბები, ახლა თქვენი დროა — დაიძახა ურად დევმა. ახლა აფრინდნენ ცაში დოლაბები. შემდეგ ძირს დაემყვინენ და უნდა დასცემოდნენ ძმებს, მაგრამ ბადრიმ ბაბა დააფინა. ძირს, დოლაბები იმაზე დაეცნენ და დაწყნარდნენ. ახლა თვითონ ურად დევმა ინება გამოსვლა, წინ ერთი დღიური ყანის სიგრძეზე უძლოდა წმინდა ელიას ალი. ეს ალი რომ ძმებს მიუახლოვდა, ვისიბმა შეასხა მთელი გულა ვირის შარდი და ჩააქრო ალი. ამირვი ეცა ურად დევს და დაუწყო ბრძოლა. მათი საშინელი ბრძოლისაგან დედამიწა იძროდა. ბოლოს იძალა ამირვმა, მოიქნია დევი და დაანარცხა ძირს. ამ დევს სამი თავი ჰქონდა და ცხრა ხელი. ორი თავი და რვა ხელი რომ მოსჭრა, ამირვმა დაუძახა ურად დევს: — აბა, შე ბილწო, მამაჩემის თვალი დამიბრუნე, თორემ მთლად მოგათავებ. დევმა უპასუხა: — თვალი ჩემს ქალიშვილს აქვს. ის ცხრაკლიტულშია ახლა და იმის მორევა გაგიჭირდებათ. მაგრამ ერთ ჩემს თავს როცა მომჭრით, ის დაიჭირეთ ხელში, მოსდევით ჩემს ქალიშვილს ფეხში და გამოსწიეთ, მხოლოდ მაშინ წაიქცევა და თასიც გაუვარდება ხელიდან. ამის შემდეგ მას ძალა წაერთმევა და, რაც გინდათ, ის უყავით, ამასთანავე, იმასაც გეტყვი, თუ როგორ უნდა ჩაუსვა თვალი ივა მეფეს“. ამირანმა მესამე თავი და მეცხრე ხელიც მოჭრა ურად დევს და მოკლა. ამის შემდეგ მივიდა ცხრაკლიტულის ოთახთან, შეამტვრია კარები და შიგ დაინახა თვალების მომჭრელი სილამაზის ქალი, რომელსაც ხელში ოქროს თასი ეჭირა და ზედ თვალი იყო დადებული, ისერიგად ანათებდა, რომ მზის სინათლეს ჩრდილად აქცევდა და ქალმა რომ ამირვი დაინახა, სტაცა ოთახის კუთხეში მდგარ ჟღარუნა ლახტს ხელი, ლახტმა ისეთი დაიჟღარუნა, რომ შენობამ ზანზარი დაიწყო, უნდოდა

დაერტყა ამირვისთვის და კიდევაც მოკლავდა მას, მაგრამ მანამდე ამირმა ღვეის თავი გამოსდო უცებ ცალ ფეხში, გამოსწია და ღვეის ქალი წაიქცა, თასი ხელიდან გაუვარდა: ამირვი ეცა წაქცეულს, სტაცა ყელში ხელი და შეჰყვირა: „მითხარი, თვალი როგორ უნდა ჩაუყენო მამაჩემს, თორემ მოგკლავ!“ ქალმა ქვევიდან უპასუხა: „თუ ქრისტეს თავსდებას მომცემ, რომ ცოცხალს დამტოვებ, გეტყვი, თუ არ და არა“. ამირმა მისცა ქრისტეს თავსდებად მარჯვენა ხელი. ღვეის ქალიშვილმა უთხრა: „ჯიბიდან ცხვირსახოცი ამომიღე, თვალი შიგ გაახვიე, რომ მიიტან შინ, თვალი ჩაუსვი მამაშენს. შემდეგ ეს ცხვირსახოცი მოუსვი იმ თვალზე და გამთელდება“. ამირმა გასტეხა ქრისტეს თავდებობდა და მოკლა ურად ღვეის ქალიშვილი. შემდეგ მოუყარა თავი ამ ღვეის ძვირფას ნივთებს, წამოიკიდეს ძმებმა, თან თვალიც წამოიღეს და მოვიდნენ შინ. ამასობაში სამი წელი და სამი კვირა გასული იყო. ივა მეფეს მკვდარი ეგონა შვილები და თავისი ციხე – გალაგანი შავი ძაძებით შემოსა, თურმე. ძმებმა ძლივს იცნეს სახლი და ჰკითხეს შემხვედრ კაცს, თუ რას ნიშნავს ეს შავი ფერი, ჩვენს ციხე – გალაგანს რომ მაქვს. მან უპასუხა, რომ ასე და ასე ივა მეფეს თქვენ უკვე მკვდარი ეგონეთ და გლოვის ნიშნად შემოსა თქვენმა მამამ თქვენი ციხე-გალაგანიო. ძმებმა გაიხარეს, რომ მამა ცოცხალი ყოფილა და მივიდნენ მასთან, მაგრამ ძლივს იცნეს მწუხარების ნიშნად თმა გაეზარდა და მიწაზე დაათრევდა. ძმებმა გაპარსეს, განბანეს მამა, შემდეგ ამირმა თვალი ჩაუსვა, მოუსვა ცხვირსახოცი და გაუმთელა თვალი. ივა მეფემ სიხარულის ნიშნად გამართა წვეულება და ერთი წლის განმავლობაში მუდამდე ქეიფი ჰქონდათ. ერთ დღეს ამირმა უთხრა მამას და ძმებს: „მე მომწყინდა ერთ ადგილას ყოფნა, უნდა წავიდე საგმირო საქმეებზე, თუ ძმები გამოწყებიან, ხომ კარგი, თუ არა და მე მაინც წავალ და, თუ მშვიდობა იქნება, მოვუბრუნდები, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ“. მამამ უთხრა: „მართლაც გამიჭირდება უთქვენობა“, მაგრამ იმედი მაქვს, მშვიდობით მოხვალთ, მარტო ვერ გაგიშვებ, რადგან შვილებში, ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ. ძმებიც თან გაიყოლიე. ოთხივე ერთმანეთს უფრო გამოადგებით. ღმერთმა მშვიდობით მანახოს თქვენი თავი და ერთს კი დაგავალებ, ბევრს ნუ დაიგვიანებთ და დროზე მოხვიდეთ ჩემს სანახავად, ვინ იცის, იქნებ, გამიჭირდეს რამე და მაშინ რაღა მეშველება, ყოველ შემ-

თხვევაში, აი, ჩემს ოქროს ბეჭედს გაგატანთ, თუ ამ ბეჭედმა ფერი წითლად შეიცვალოს, მაშინ რაღაც მიჭირს და უსათუოდ დაბრუნდით შინ“. ამის შემდეგ მან დალოცა შეილები, გამოეთხოვა მათ და შინ დარჩა. ძმებმა კი ახსენეს ღმერთი და გაუდგნენ გზას, რომ ჩაედინათ ახალი გმირობა ხალხის შემწეობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძმებმა იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ წყაროსთან. ამ წყაროს ისეთი ოხშივარი ასდიოდა, შორიდან უზარმაზარი საკირეს კვამლი ეგონებოდა კაცს. ამირვი და მისი ძმები რომ მიუახლოვდნენ ამ ოხშივარს, უცებ შემოესმათ გულამოსკენილი ტირილი. გაჰყვნენ ამ ტირილის ხმას, მივიდნენ ერთ დიდ ქვასთან, დააყურეს და ამ ქვის ქვეშიდან ისმოდა ტირილი. ამირვმა მოჰკიდა ხელი ამ ქვას და უნდოდა გადაეგდო, მაგრამ ძვრა ვერ უყო. შეწუხდა ძალზე, მაგრამ რას იზამდა. უთხრა ძმებს, ისინიც მოხმარებოდნენ. დაესივნენ ოთხივენი ამ ქვას, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს. ტირილი კი კვლავ ისმოდა. ამირვმა შემოუარა ამ ქვას ირგვლივ და ერთ ადგილას ამ ქვას და მიწას შუა ხერელი შეამჩნია. მან და მისმა ძმებმა ისრებით თხრა დაუწყეს მიწას და ხერელი ისე გაადიდეს, რომ კაცი შეეტეოდა შიგ. მაგრამ ამ ხერელიდან ისეთი სიციხე ამოდიოდა, რომ ძმებმა ოციოდე ნაბიჯზე დაიხიეს უკან, კინალამ დაწვა ცეცხლმა. დაიწყეს თათბირი, თუ როგორ შესულიყვნენ ამ ხერელში და გაეგოთ, თუ რა ხდებოდა ქვის ქვეშ. პირველმა ჩალამკალამმა შეიხვია თავი და სცადა ხერელში შესვლა, მაგრამ კინალამ დაიწვა და ყვირილით უკან გამობრუნდა. ასე მოიქცნენ ბადრი, ვისიბი, მაგრამ ვერც მათ შეძლეს შესვლა. ბოლოს „ამირვი მუხლებზე დაჩოქილი შეევედრა თავის ნათლიას, რომ ეშველა მისთვის. მართალია, ქრისტე ნაწყენი იყო ნათლულზე, რადგან ერთხელ გატეხა მისი თავდებობა, მაგრამ ამჟამად აპატია და ციდან გამოუგდო სველი ნაბადი, ამირვი გაეხვია ამ ნაბადში და შეძვრა ხერელში, შესვლით შევიდა, მაგრამ სიციხემ ნაბადი დაუწვა, შიგ შესვლის შემდეგ შიგ აღარ ცხელოდა. გაიხედა, ნახა კუთხეში დამჯდარი სამი ქალიშვილი, რომლებიც ძალზე ტიროდნენ. ამირვი შეეკითხა მათ: „ვინ ხართ ან რა გატირებთ?“ ქალიშვილებმა შეწყვიტეს ტირილი და ერთმა მათგანმა თქვა: „მადლობა ღმერთს, რომ ადამიანი ვნახეთ, მაგრამ აქ რა გინდა, შე უბედურო?“ ამირვმა უპასუხა: „ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ,

მე აქ არაფრის არ მეშინია, მხოლოდ თქვენ მითხარით, ვინა ხართ ან რამ მოგიყვანათ აქ?“

– ჩვენ ორომ მეფის შვილები ვართ, მას ბეგარა ემართა ურა მეფისა და იმან წაართვა ჩვენი თავი, იმან ამ მურდალს, ამ ქეშაკ დევს მიგვცა. ეს ურად დევის ძმაა და ცხრათაუიანია. ჩვენ რომ მოგიყვანა, ძალით მოერიდა, აგერ ხომ ხედავ, ამ ქვიდან ძირს ჯაჭვია ჩაშავებული მის ბინამდე, ამ ჯაჭვს ჩაჰყვა და ჩავიდა, არ ვიცით, რამდენ ხანს იძინებს და ჩვენ რა მოგველის, შენ კი გთხოვთ, წახვიდე აქედან, თორემ, თუ გნახა, უსათუოდ შეგჭამს“, – თქვენ ნუ გეშინიათ, – უთხრა ამირვმა, – ქეშეკ დევის ძმა მე მოვკალი და ამასაც იმ დღეს დავაყენებ, მხოლოდ ერთი რამე ქენით: – აგერ რომ ხვეული ჩადის ჯაჭვთან, სათითაოდ ჩაშარდეთ ამაში და, იქნებ, ცეცხლი შეანელოს. ქალიშვილები მართლაც ასე მოიქცნენ და ორთქლის დენა თითქმის შეწყდა. სიცხემ ცოტა იკლო. ამირვი მოეჭიდა ჯაჭვს და ჩაჰყვა. იარა კარგა ხანს და ბოლოს გამოქვაბულში ჩახტა. იქ, კუთხეში, მცირე ცეცხლი ენთო და იქიდან იყო, როცა ასეთი სიცხე და ორთქლი ამოდიოდა ხევით მიწაზე. მეორე კუთხეში დევს ეძინა.“ ამირვმა ხმლის წვერი უჩხვლიტა ქეშეკ დევს და გამოაღვიდა წამოხტა დევი და დაიყვირა: „შენ, ალბათ, ჩემი ძმის მკვლელი ამირვი ხარ, თორემ სხვა ვერავინ შეძლებდა ჩემთან ჩამოსვლას, გაგიშვებ, როგორც გეკადრება“ და ეცა. – „ჰაიტი, შე ბილწო დევი, რაც შენს ძმას ვუქენი, შენ უარესს დაგმართებ, ბევრი ადამიანის ცოდვა გადევს კისერზე და ყველას გაზღვევინებ, შე მყრალო.“ ისე მძლავრად დაეტაკნენ ერთმანეთს, რომ ქვაბის კუთხეში დანთებულმა ცეცხლმა ცეკვა დაიწყო – სამი დღე და ღამე იბრძოდნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ სძლევდა, ბოლოს ამირვს გახსენდა ვეფხვის კული და გამოიღო ის, ცალი ხელით შემოჰკრა დევს ფეხებში და დაუჟეჟა, დევმა სიმწრისაგან იყვირა და ძირს დაეცა. ამირვმა იძრო დაშნა და რვა თავი მოსწყვიტა, ამ დროს ცეცხლმა დაიძახა. „ქეშაკ დევი, სთხოვე ამირვს სიცოცხლე და ჩემს თავს შეჰპირდი.“ ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა. „ამირვი გააკვირვა ცეცხლის ლაპარაკმა. ქეშეკ დევმა უთხრა: „ამირვი, თუ სიცოცხლის მაჩუქებ და ქრისტეს თავდებობის ხელს მომცემ, ცეცხლის ამავეს გეტყვი“ – კიო, – უპასუხა ამირვმა. „აბა, მომეცი ხელიო“, ამირვმა მისცა ხელი. დევმა უთხრა: „რადგან ქრისტე დაიყენე თავდებად, ბჯერა შენი, თქვენში რომ ცეც-

ხლია, იმით პური ვერ ცხვება და იძულებული ხართ ხარშოთ, აი, აგერ, რომ ცეცხლი ანთია, ამის ნაკვერჩხალს რომ წაიღებ და ცეცხლს დაანთებ, ყველგან გატკრციალდება და პურის ცხობასაც შეჩრვევა ხალხი. შენს მეტს არავის გავატან ამას და აქ დავრჩები მის ყარაულად სამუდამოდ“. ამირვმა ეს რომ გაიგონა და გაიგო ცეცხლის ამბავი, დევი მოკლა, წამოიღო ცეცხლი და ამოვიდა ქალიშვილებთან. ისინი გახარებულნი დახვდნენ ზევით. მან უბრძანა ქალიშვილებს, კვლავ ჩაშარდათ ცეცხლის მასწორ, რომ გაეკროთ სამუდამოდ ცეცხლი. ისინიც ასე მოიქცნენ და ჩააქრეს ცეცხლი. ამის შემდეგ ერთქლის დენაც შეწყდა და სიცხეც დანელდა. ამირვმა გამოიყვანა სამივე ქალიშვილი, მიიყვანა ძმებთან, გაამწკრივა და უთხრა: „ძმებო, ეს სამი ქალიშვილი დიდებული ორომ მეფის შვილებია და საკდრისია თქვენთვის. აირჩიეთ უფროს უმცროსობის მიხედვით და ღმერთმა შეგაბეროთ“. ძმებს ძლიერ მოეწონათ ქალიშვილები და სიამოვნებით გაინაწილეს. ამის შემდეგ გაუდგნენ გზას შინისკენ. ჩალამკალამმა, რომელსაც ივა მეფის მოცემული ბეჭედი ჰქონდა ჩაბარებული, გახსნა ეს, ამოიღო უბიდან, დახედა და ნახა, რომ ბეჭედს წითელი ფერი მისცემოდა: „ვაი, მამას დაემართა რაღაც, ბეჭედი გაწითლებულაო“, – წამოიმახა მან. ამირვმა თქვა – „თქვენ ქალებიანი ხართ და ჩქარა ვერ ივლით, მე წავალ წინასწარ მარტო, უფრო ჩქარა და ცეცხლსაც წავიღებ; თქვენ დამშვიდებულად წამოდით, ჩემი რძლები არ შეწუხდნენ გზაში. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, მე არაფერი მიჭირს“. ამის შემდეგ გაუდგა გზას სასწრაფოდ. იარა, იარა და სალამო ხანს ნახა, რომ ერთ მინდორში კალოა გაკეთებული, კალო ბავშვების თავებითაა სავსე, ერთ დედაბერს კევრში დევები შეუბამს და ლეწავს ამ თავებს ამირვს გაუკვირდა ეს ამბავი და კიდევაც შეეზიზღა. სასწრაფოდ მიიჭრა დედაბერთან, სტაცა თმებში ხელი, წააქცია და შებორკა. შემდეგ დევები გამოუშვა კალოდან სტაცა თავებში ხელი, მიარტყა ერთმანეთზე და გაუჭეჭყა. მივიდა დედაბერთან და შეჰყვირა: „შე კუდიანო, ბოროტო, რა ამბავია, რომ ამდენი ბავშვის თავი მოგიგროვებია და ჭირნახულივით ლეწავ?“ დედაბერმა უპასუხა: „თუ ქრისტეს თავდებობის ხელს მომცემ, რომ არ მომკლავ, გეტყვი, თუ არა და, რადგან მაინც მომკლავ, რაზე გითხრა“. ამირვმა მისცა ქრისტეს თავდებად ხელი და დედაბერმა უთხრა: „ეს ბავშვები შარშან ურად დევმა მოაგროვა ჩვენ

სახელმწიფოში და დაგვახოცვინა, მას სადღაც გაეგონა, რომ დაიბადა ამირვი და ის მოკლავს მას, იმის იმედით, რომ ამ ბავშვებში ამირვი გაერეოდა და მოკვდებოდა და მე, როგორც ამ საქმის მოხელეს, დამავალა, ბავშვების თავები გამელეწა კალოზე, შემდეგ ამათი ბზე მიმეტანა ივა მეფის სახლის ეზოში ჩუმად და იქ ჩუმად დამეზნია. ნაწილი ამ ბზისა უკვე გავატანე ჩემს თანაშემწემწეთ, ათ კულიან დედაბერს, და დააბნიეს მართლაც იმის ეზოში ასეთი ბზე ნაწილი კი, რომელსაც ამ თავებიდან მივიღებდით, კვლავ უნდა მიგვეტანა იქ და მაშინ ის, ივა მეფე, თავის ძირითა და ფესვით ამოწყდებოდა. ამჟამად ივა მეფე შეშლილია და ამტკრევს ყველაფერს სახლში“.

— შე ცოდვით სავსე კულიანო, ივა მეფე ჩემი მამაა და მე ამირვი ვარ. ახლავე მითხარი, რა უშველის ჩემს მამას, თორემ არ მივხედავ თავდებობას და ლუკმა-ლუკმად გაქცევ. დედაბერმა მიუგო: „იორდანეს წყაროს წყალი გადაასხი მამაშენს და მორჩება“. ამის თქმა რომ გაათავა კულიანმა, ამირვმა მოუგრიხა კისერი და მიახრჩო იქვე და დააგლო დეკებთან. ერთი მკვდარი დევის თავმა ამოაყრანტალა: „სამჯერ ქრისტეს თავდებობის გამტეხი ამ დედაბერთან ერთად მოხვდება ქვაბში“. ამირვი მიხვდა, რომ მართლაც სამჯერ გატეხა ფიცი, რომელიც არ უნდა ჩაედინა, მაგრამ რას იზამდა. მიატოვა ეს ადგილი და წავიდა იორდანეს წყაროსთან, რომელიც მან იცოდა, აავსო ჭურჭელი ამ წყაროს წყლით და წამოიღო შინ. ეზოში შემოსვლისთანავე ნახა, რომ ივა მეფე ნახევრად შიშველი დოლაბებს ისვრის კოშკის თავზე. ასროლის შემდეგ გაიქცევა მეორე გვერდზე და მალლიდან წამოსულ დოლაბს ზურგს უშვერს და იჭერს. ამირვს ძლიერ შეებრალა მამა, გაიქცა მასთან, ამოიღო იორდანეს წყლით სავსე ჭურჭელი და გადაასხა მამას თავზე. ივა მეფე წამსვე განიკურნა, მოისვა თვალებზე ხელი და გონს მოსულმა, იცნო რა შვილი, მივარდა მასთან, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. შემდეგ თავზე დაიხვდა, და რა ნახა, რომ ტიტველი იყო, გაუკვირდა და ჰკითხა ამირვს: „შვილო, ეს რა ამბავია ჩემს თავზე, ან შენ მარტო რატომ მოხვედი და ძმები თან არ გახლავს?“ ამირვი მოუყვა მამას ყველაფერს და შეიყვანა შინ, ჩააცვა, გაპარსა და დაასვენა. შემდეგ დაუძახა მოსამსახურეებს, დაფქვევინა ხორბალი და გამოაცხობინა პური, თვითონ კი მოტანილი ნაკვერჩხ-

ლისაგან ცეცხლი დაანთო და ამნაირად პური გამოცხვა. მას შემდეგ გახშირდა პურის ცხობა.

მეორე დღეს ძმები მოვიდნენ თავიანთი ცოლებით. ამათი მოსვლის შემდეგ გამართეს ქორწილი და ლხინი ცალკე ქალების მოყვანისა და ცალკე მამის მორჩენის გამო. ორომ მეფესაც შეატყობინეს შეილები ნახვა. ისიც მოვიდა და კვლავ გამართეს ლხინი.

გავიდა რამდენიმე ხანი და ამირემა კვლავ აიჩემა საგმიროდ წასვლა. მას მოსწყინდა ერთ ადგილას ყოფნა და უნდოდა კვლავ სიკეთე მოეტანა კაცობრიობისათვის. ამიტომ ის გამოეთხოვა მამას, ძმებს, რძლებს და მარტოდმარტო გაუდგა გზას. ბევრი დევი და გველეშაპი დახოცა, ბევრი ადამიანი გადაარჩინა დევებისაგან ტანჯუ-წვალებას და კაცმა ისწავლა პურის ცხობა და ცეცხლის ხმარება. ქრისტესაც ებრალებოდა თავისი ნათლული და ხელს უწყობდა, თუმცა სწყინდა კი, რომ სამჯერ შეარცხვინა მისი სახელი. ამნაირად „ამირვი შრომობდა და იბრძოდა კაცობრიობისათვის, მაგრამ სამჯერ თავდებობის ფიცის გატეხა მოუხდა. ის ნამეტანი გაამაყდა და მოინდომა თვით მის ნათლია ქრისტესაც შეეჯიბრებოდა ღონეში. ეს რომ ქრისტემ შეიტყო, ერთ დღეს, როდესაც ამირვი მინდორში ხის ქვეშ ისვენებდა, გამოეცხადა მოხუცი კაცის სახით და სალამი მისცა. ამირემა უპასუხა: „გამეცალე აქედან, ხომ ხედავ, ვისვენებ, მე შენთვის არ მცალია“. „შე კაცო! ცუდი არაფერი მიკადრებია შენთვის. სალამის მეტი, და რად გაგაჯავრა ამან?“ „იქეთ გამეცალე ჩქარა, თორემ აგერ ჩვენს ზევით გამოქვაბულს ხომ ხედავ, შეგიბერავ ერთს და იმ გამოქვაბულში შეგიძახებ, რომ იქ შიმშილით მოკვდე“.

— აბა, თუ ასეა, ვნახოთო, — უთხრა ქრისტემ, მოჰკიდა ხელი ამირვს, აიყვანა ბავშვივით და შეაგლო კლდის გამოქვაბულში, გადასახა ჯვარი და ისეთი მალალი ნაპრალი გაჩნდა ამ გამოქვაბულის ქვევით, რომ ადამიანი კი არა, ფრინველებიც ვერ მიაღწევდნენ იქამდე და დატოვა შიგ.

ამირვს ამ გამოქვაბულში დახვდა თორმეტი კუდიანი დედაბერი, რომელნიც ერთი კლდის მხრივ იყვნენ მიბმულნი რკინის ჯაჭვით, ხოლო თვით ამირვი კი მეორე მხარეს მიეჯაჭვათ. მას შემდეგ ეს კუდიანები და ამირვი, თუკი ფრჩხილებს მიაწვდნენ ერთმანეთს, კორტნიან გულმკერდზე. ხან კუდიანებს ეზრდება ფრჩხილები, ხან

ამირვს, როდესაც ქალები ხუთშაბათობით და შაბათობით იჭრიან ფრჩხილებს, კუდიანებს ემატება ფრჩხილები და მაშინ უფრო ძლიერად ჰკორტნიან ამირვს, ხოლო როდესაც მამაკაცები ორშაბათობით და კვირაობით მოიჭრიან ფრჩხილებს, ის ამირვს ემატება და ახლა ის კორტნის კუდიანებს.

სანამ ეს თვალით არ დავინახოთ, მანამდის ჩვენ არაფერი გვეტკინოს და ყველა ღმერთმა დაგვლოცოს.

*1944 წლის სექტემბერში ამ ზღაპარს ჭუბერში მომიყვა და-
ლიში მცხოვრები ზაქარია გურჩიანი.*

*დროგამოშვებით მოყოლას, მოუნდა სამი ღამე. სანამ
არ დაამთავრა, არც მე მოვეშვი.*

სერგო გულუჯანი

*ტექსტი ინახება ი. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ის-
ტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.*

ამქვეყნად არის ღმერთების მჯიღილი დალ დარეჯან. მოსულა ერთ სოფელში, მაშინ იქ დაუთვალეირებია და ყველაფერი შავი ყოფილა სულდგმული და მიწა—ზე, ახლა უკითხავს, რატომ ხართ ასეთი ფერისო და იმათ უპასუხნიათ, აქ არ გაჩერდეს, თორემ შენც ასე მოგივაო.

მე, აბა დაღალული ვარ, ვერსად ვერ წავალ და ამაღამ აქ დავრჩებიო. ახლა შუალამისას აქ (რომ) დიდი კლდეა, აქედან ძლიერი კივილი მოესმა. ახლა ადგა თვითონ დალ დარეჯთან, გაჭედა რკინის ურო და სოლები. შეუბერა ამათ და ცამდე ააგდო მალლა და ჩამობრუნებულს შუბლი მიუშვირა და პირი დაეჩლუნგათ ამაზე. ახლა მოვიდა თვითონ ნემსები მარტო გაჭედა, ამათ შეუბერა და ისევ ცამდე ააგდო, ჩამონაბრუნებს ისევ შუბლი მიუშვირა და დაერჭვენ ზედ. ახლა დაიწყო თხრა ამ კლდეზე თხრის და აღის ზევით და ზევით. ერთ ადგილას პატარა კარი აქვს და შევიდა ამაში. შიგნით ოქროს ტახტი დგას და ქალიშვილი წევს ამაზე. ნაწნავები ოქროთი აქვს შეღებილი და ოქროს ტაშტი უდგას წინ, ჩაყოფილი აქვს იმაში.

დალ დარეჯანს შეეშინდა და ტახტის ქვეშ შევიდა. შევიდა ამაში და ნაწნავები გადმოუვარდა ამ ქალიშვილს. მოვიდა თვითონ და ისევ შეუბრუნა შიგ ტაშტში. იმ დროს ქალიშვილს გამოეღვიძა და მიიხედ—მოიხედა, მაგრამ ვერაფერს შეხედა და საწოლს ისევ დაუბრუნდა. ეს ნაწნავები ასევე სამჯერ გადმოუვარდა ტაშტს გარეთ და იმდენჯერ დალ დარეჯანმა შეუბრუნა შიგ. მესამეჯერ გამოიხედა რადგან ვერაფერს შეხედა, მაშინ, ვინცა ხარ, გამოდიო დასანახავად. მე არავისი მავნე არ ვარო. მაშინ დაენახა დალ დარეჯან და ისე შეუყვარდა ეს დალ დარეჯანი რომ იმ წამსუ დაცოლქმარდნენ. ახლა ქალიშვილმა უთხრა და ხვალაო ვინც შემოიძახოს, გარეთ არ გაიხედოო. რატომო, ჰკითხა დალ დარეჯანმა და ქალიშვილმა უპასუხა: იმიტომო და მამაჩემი სულ ორეული, ნაწნავს მომაძრობს და, როცა შემობრუნდები, მე სულმობრძავი დაგიხვდებიო.

ახლა დალ დარეჯანმა, ისეღამც დაგცლოდეს, მე რკინის უროთი და სოლით ძლივს ამოვედი, იმაზე მამაშენი ვერ ამომყვესო...

არა და ამაღამ დაწვენი ერთად. დაწვენი ერთად და შუალამისას მოუვიდა დაკვირების დრო და დაღ დარეჯანს, დამარცხდებიო, მიტომ საწოლს ქვეშ შეგზავნა. კივილი რომ მოიხადა, ისევ ამოაბრუნა საწოლზე. გათენდა და თვითონ რომ უთხრა, ასე დაიძახა ვიღაცამ გარედან. წამოხტა ეს დაღ დარეჯან და ქალიშვილმა სტაცა ხელი და არ გაუშვა. ისევ მეორედ დაუძახა გარედან და ისევ არ გაუშვა. მესამედ რომ დაუძახეს და ვერ მოასწრო ქალიშვილმა ხელის ტაცება და გაიხედა დაღ დარეჯანმა და არა ჩანდა რა გარეთ. შემობრუნდა და ნაწნავი მომძვრალი დაუხვდა და მომაკვდავია ეს ქალი, უთხრა ამან დაღ დარეჯანს: დანა გალესე და მუცელი გაშიჭერი, შიგნით ჭაბუკი მიდევსო მუცელში ... შუბლზე მზე და მთვარე უნათებსო. ის გამომიღე და დაუკოდავი ბუღას ტყავში გახვიეო და ბუღას გული საწოვრად ჩაუდვეი პირშიო. დაღ დარეჯანს ეზარება მუცლის გაჭრა და დანას გალესვის ნაცვლად უფრო აჩლუნგებს. ქალიშვილმა შეამჩნია და თამაშობა კი არა და ჩქარა გალესე დანა, ჩვილი არ გააფუჭოო. ახლა გალესა და გაუჭრა მუცელი. გამოუღო შვილი და შუბლზე მზე-მთვარე ანათებს. ბუღას გული საწოვად ჩასჩარა. ტყავი გამოხვია და უღრან ტყეში შეაგდო; დატოვა აქ ეს. ასე მოდიან აქ ქრისტე და თავისი ვეზირები და ბავშვის ტირილი მოესმათ. მოესმათ და ქრისტემ ყვავი გაგზავნა, გაიგეიბავშვის ტირილი არ იყოსო. წავიდა ყვავი და დაბრუნდა, არაფერი გაიგო ისე. ჰკითხა ქრისტემ. რა იყო ტირილი — არაფერიო — შენი ბედის მაძლარი ჩხიკვები ჟღავიანო, იმის მეტი. ისევ ტირილი მოესმათ და მტრედი გაგზავნა ახლა, წავიდა მტრედი, მიდის და მიდის და შევიდა ამასთან. ნახა ჩვილი, რა ფორმაზე წვეს და რა არის იგი. გამობრუნდა და მოვიდა მტრედი ქრისტესთან. ჰკითხა ქრისტემ. რა იყო, მტრედო, ჩემსა მზესა? მტრედმა უთხრა. რაო და, შენმა მზემ, შენ შვილადაც ცოდვაა, ისეთი ჩვილი წვეს ტყეში, ბუღას ტყავი გამოხვეული აქვს, გული საწოვად უდევს პირში და შუბლზე მზე-მთვარე ანათებსო.

ახლა ყვავს უთხრა ამან, ამ ქრისტემ, გამოდიო ჩემთან, ჩემსა მზესა. ყვავი მოვიდა და იძრო მოკიდებული მუგუზალი ამან, ამ ქრისტემ, და ყვავს დაარტყა ზურგზე. უთხრა მტრედს, მომიყვანე ჩვილი ჩემთანო. წავიდნენ ესენი — ეს მტრედი და თავისი ამხანაგები და ჩვილი მოუყვანეს და მოვნათლოთო ჩვილი და ვინ რას არქმევს და ვინ

რას. ჩვილმა უთხრა, თქვენი დარქმეული მე რად მინდა, მე ჩემს თავს ამირანს ვარქმევო. დაარქვეს ეს და გაუშვეს. გაუშვეს და გელათის მთაზე წავიდა ეს ჩვილი. აქ ნადირობის დროს წააწყდნენ ბაბა იამანის შვილები და დილიდან სალამომდი მისდევენ და ვერ დაიჭირეს. სალამოს ბაბა იამანს ერთი პატარა კურდღელი მოუტანეს. მეორე დღეს ისევ მისდევენ და სალამოს ისევ ერთი პატარა კურდღელი მოუტანეს. ახლა ბაბა იამანს გაუკვირდა. ყოველ დამ მარტო ერთი კურდღელი რატომ მოგაქვთ. აქამდე კლდეს ნადირს არ არჩენდითო. ახლა ამათ უპასუხეს. იმის¹ თანას შეეხვდი² გელათის მთაზე, შუბლზე მზე-მთვარე ანათებს, იმის ღვენის გამო სანადიროდ ვერ მოვიცალეთო.

ახლა ბაბა (ბაბუა) გულთმისანი არის და შვილებს უთხრა, თავი დაიმაღლეთ, იმას დაანებეთ თავიო. იმის დაჭერისგან მოგებას ვერაფერს გამოიტანთო. მაგრამ შვილებმა, იმას თუ არ დავიჭერთ, არ მოვეშვებითო. ამ ძმებში ყველაზე უფროსს ბადრი ჰქვია, მეორეს – სეფეთარი, მესამეს კი – ვირსპილი. ახლა ამ ბავშვებმა (შვილებმა), რადგან დაუჭერლად არ მოვეშვებითო, მაშინ ბაბა იამანმა უთხრა. უამრავი საგზალი წაიღეთ, ვეება კაცი გაიყოლიეთ, სათამაშო ყველაფერი გამართეთ, სადაც დაინახოთო ის. იქ მაინც თუ არ შემოვიდეს, მაშინ თქვენ სამმა ძმამ საპარსავი გამართეთ, მაშინ თქვენთან შემოვაო... თქვენ სტაცეთ ხელი და ძმად შეიფიცეთო. მამამ როგორც უთხრა, ისე მოიქცენ ძმებიც. წავიდნენ და, რა დროსაც დაინახეს ამირანი, მაშინ გააწყვეს ყველა ფორმის სათამაშო და სიმღერა, მაგრამ არ შემოვიდა. ბოლოს თვითონ სამმა ძმამ საპარსავი გააწყვეს და შემოხტა მაშინ. სტაცეს ხელი და მეოთხე ძმად შემოიფიცეს. სალამოს სახლში მოიყვანეს. ამალამ არიან სახლში. ხვალ ეს ოთხი ძმა ყველა ისევ სანადიროდ წავიდნენ. ერთ ადგილას გამოხტა კურდღელი და ამირანის მუხლებ ქვეშ გადახტა. ახლა ისე იუკადრისა, ეს არავის დამართნიაო, ის დაგვემართაო და დაუწყეს ღვენა და ერთ მინდორში ეკლესია დგას, კურდღელი ამის სარკმელში შეხტა. მოვიდნენ თვითონ ეკლესიასთან, დასტრიალებენ გარშემო და კარი არსაიდან აქვს. გამობრუნდენ ახლა და მოვიდნენ სახლში ცარიელი. ჰკითხა ბაბა იამანმა, რატომ არაფერი მოიტანეთო. ამათ უპასუხეს ამას: ერთმა კურდღელმა ასე გვიქნაო ჩვენ. ახლა ბაბამ უთხრა: აჰ, თავი დაანებეთო მას. იქიდან არაფერი კარგი არ გამოვაო, მაგრამ თვითონ შვილებმა იმის დაუ-

ჭერლად არ დავდგებითო. ახლა ბაბამ უთხრა, მაინც თუ არ გაჩერდები, მაშინ სამი გუდა სახედრის შარდი წაიღეთ და ამირანს ხაჭაპური გამოუცხვეთო, რაში ხელთ დაიკავეთ და, ეკლესიამდე რომ მიალწით, იმ დროს ამირანს ხაჭაპური შეაჭამეთ და რაშზე დააჯინეთო. ეკლესიის გარშემო სამჯერ რომ შემოიაროს, მაშინ მათრახი გადაჰკრასო რაშს. ის მაშინ ტორს დაჰკრავსო ეკლესიის კედელს და კარი გამოენგრევა. იმაში შეხვალთ და, კურდღელი თუკი იქნება, რაც მოგესურვებათ, იმას უზამთო.

– სამი გუდა შარდი რად გვინდაო? – ჰკითხა ბაბას ამირანმა.

– რაო და დევი სჩვევიათო იმ ეკლესიას, იმას სამი ელიას ალი მოუძღვისო წინ. იმას ვერაფერი ვერ დამრიტავს, სახედრის შარდის გარდა, შემდეგ დევი და თქვენ იბრძოლებთო. ბაბამ როგორც უთხრა, ასე მოამზადეს შარდი, ხაჭაპური, რაში და წავიდნენ. მოაწიეს ამ ეკლესიამდე, აქ ხაჭაპური შეაჭამეს ამირანს და რაშზე შესვეს. სამჯერ გარშემო შემოუარა და მათრახი გადაჰკრა ამირანმა რაშს. რაშმა ტორი დაჰკრა ეკლესიას და კარი გამოეჭრა და შევიდა ამაში... ერთი კუბო დგას, იმის გარდა, არაფერი. კუბოს თავთან და ფეხებთან ყურულდა და ბეროლდ (საგანგებო ჭურჭლებიაო) დგას. ესენი დევის ჩოჩორით სავსეა. ახლა ამირანმა თქვა, სახურავი ავხადოთო კუბოს. ახლა ბადრიმ უწყინა, რად გვინდა ამის სახურავის აღებაო, მაგრამ ამირანმა არ ქნა და აულო სახურავი და მკვდარს მკერდზე წერილი ადევს. აილო ეს ამირანმა და დაუწყო კითხვა. კითხულობს: ჰაო, ვაგლახ ამირანო, რა მოხდაო, ერთ ღამეს რომ ვერ მიყარაულეო, მე დევი მამინძურებს თავთან და ფეხებთან. მე ვარ მამაშენი სოლანი, ახლა ამირანმა თქვა, დავაყარაულეო ამაღამ და, რასაც ღმერთი შემამთხვეს, შემამთხვევსო!

ცოტა დრო გავიდა და მინდრის ბოლოს გამოჩნდა დევი, ისეთი დაიყვირა, რომ მიწა აძაგდაგდა. ამოვიდა მათთან და სამი ელიას ალი მოუძღვის წინ და ამას სამი გუდა ვირის შარდი შეახვედრეს და შეაშრიტეს. თვითონ მათ ერთმანეთს სტაცეს. სცემენ დევეს ოთხი ძმები და ერთი ხნის შემდეგ ქვეშ მოიგდეს. თორმეტი ჰქონდა კისერი, ჭრის ამას ამირანი და ერთი კისერი უკლია, მაშინ დევემ უთხრა: ეს არ მომჭრა და რაღაცას გეტყვი მეო. ბადრიმ უთხრა, მოსჭერი ესეც

არაფერ სასიკეთოს არ გეტყვის შენო. ამირანმა უთხრა, რა განედ-
ვლება, იჩერჩეტოსო ამან. ახლა დევმა უთხრა, ცისქვეშეთში დევთა
ბატონი მინასწავლა (დაასახელა), იმან დაიტრაბახაო თქვენთან
ბრძოლა. ეს გამოუცხადა და კისერი კიდეც მოსჭრა. ამაღამ შინ დაბ-
რუნდნენ და ბაბა იამანს უამბეს, რომ დევის საბრძოლველად (საომ-
რად) მიუდივართო.

ბაბა იამანმა იწყინა დევის საომრად წასვლა, სახლში იყავი-
თო. იმის საომრად ბევრია წასული, მაგრამ მშვიდობით არავინ დაბ-
რუნებულაო. ამირანმა მაინც გადაწყვიტა, წაუსვლელიობა არა ქნა.
ახლა ბაბა იამანმა, მაინც თუ არ დგებითო, მაშინ სამი გულა დაიკავეთ,
სამი ზოდი ქონი, სახედრის (ვირის) თავი, ძაღლის თავი, ნეზვისა და
კატის თავები. ესენიო, დევი სუფრას რომ უჯდეს ეკლესიაში, მიაღე-
ქითო, ჯერ კატის თავი ესროლეთ და სუფრაზე დაარტყითო, შემდეგ
ნეზვის, მერე სახედრის და ბოლოს ძაღლის, მანამდე ადგომას არ
იკადრებსო, მაშინ კი ადგება და წინ სამ ელიას ალს მოიძღვანს, იმას
სამი გულა სახედრის შარდი მიახვედრეთ, მაშინ თვითონ გამოვაო, სა-
მი ებრძოლეთ და ერთმა ქონი უყარეთ ფეხებში, თუ ფეხი მაზე დადგა,
მაშინ თქვენი გამარჯვება იქნებაო. ძმები გამოეწყვენ და წავიდნენ და
მოაწიეს დევთან. შეიხელა ვირსამა სარკმელში და შიშით გადმოვარ-
და, შეიხელა სეფეთარმა და უარესად ეს შეშინდა, ასე შეეშინდა ბად-
რისაჲ. ჰოი, თქვე ბუშებო (ზოგი გაგებით ქართ. ბუში) — უთხრა ამი-
რანმა. ასე ვერ დაესხმითო. შეიხელა ამირანმა და მომეცითო კატის
თავი. მისცეს და დევის სტოლზე დასცა. დევმა დანის წვერი მოსდო
ამას და თქვა: „ანქესთა ისგე, ანქეს მიშგვა“, საღაურმა ბუზებმა და-
იტრაბახესო ჩემი შებრძოლება და თავი ჩამოაგდო სტოლიდან. ისევ
მისცეს მეორე თავი და ისევ სტოლზე დასცა, ისევ ასე უთხრა დევმა
და ისევ ჩამოაგდო, ისევ მისცეს მესამე თავი და ისევ სტოლზე დასცა.
ისევ ასე უთხრა და ისევ ჩამოაგდო. ახლა მისცეს ძაღლის თავი და
ისევ სტოლზე დასცა ამირანმა. ისევ მოსდო დანის წვერი, ისევ ასე
უთხრა და შამოხტა. ელიას ალი უძღვის და ამას სამი გულა შარდი
შეასხეს და მან ეს შეიშრიტა. თვითონ ერთმანეთს სტაცეს. სამი ძმები
და დევი ომობენ და მეოთხე ქონს უყრის. მოახვედრა დევმა ქონზე ფე-
ხი და გადაბრუნდა. თორმეტი აქვს თავი და სჭრის ამირანი, ერთიღა
თავი აქვს დარჩენილი, იმის გარდა, ყველა მოჭრილი აქვს. მაშინ დევ-

მა უთხრა; ეს არ მომჭრა და საცოლეს მიგასწავლიო. ბადრიმა დაუჩქარა: ამოსტყერი, არაფერ მოსაწონს არ მიგვასწავლის ჩვენო. ამირანმა უპასუხა, აბა, მითხარიო და დევმა უთხრა და ბერჯიანის ქალიშვილს ნათები ჰქვია, იმისთანა არსად არისო. ის გყავლეს ცოლად და თავი არ მომჭრაო. ამირანმა მოსჭრა იმ წამს.

დაბრუნდნენ უკან და სახლში მოვიდნენ. უამბეს ბაბას და ამირანის ცოლის მოსაყვანად წამსვლელი ვართო, მაგრამ ბაბამ კინალამ თავი მოიკლა (დაიწვა), იქ ბევრმა დააპირა, მაგრამ მშვიდობით არაფერ დაბრუნებულაო და ოჯახი არ ამოგდოთო, მაგრამ ამირანმა არაფრით არ ქნა წაუსვლელიობა. ადგენ მეორე დღეს და წავიდნენ; მოდიან გზაზე და შეხვდნენ ოთხი გველეშაპი. უთხრა ამირანმა ძმებს, შევუტითო გველეშაპებს. ბადრი თავის მამასავით გულთმისანი (გულთ მეცარია) და უთხრა ამირანს, აღარ შევუტითო, ესენი ჩენი მკვნიბელი არ არიანო, მაგრამ ამირანმა არ ქნა თავდაუსხმელობა, მაშინ ბადრიმ უთხრა, აბა ყველაზე უფროსი მე ვარ და მე შევუტევო, მერე სეფეთარი, მერე ვირსა შეუტევს, ბოლოს შენ ყველაზე უმცროსი ხარ და შენ შეუტეო. ყველაზე პატარა გველეშაპი მურტყვია, სხვები კი არა.

ბადრმა ყველაზე დიდს თავი (კისური) მოსჭრა. იმის შემდეგს სეფეთარმა მოსჭრა. იმის შემდეგს ვირსაჰმა მოსჭრა, ყველაზე უმცროსს, ამირანი ის იყო თავს მოსჭრისო, ისე კლაპო, გადაყლაპა და სირბილი დაიწყო, უკან ბადრი მისდევს და მისი ძმები. მიწის ხვრელში შეუსწრებსო, ისე დაჰკრა ბადრიმ და კუდი მოსჭრა.

გველეშაპი შევიდა თავის დედასთან, შესჩვილა, მუცელი მჭრისო. მერე რა დაგემართაო, დედის მზესა? რაო და ოთხი პატარა ბუზები შეგვხვდნენ გზაზე, სამ ჩემ დებს კისრები (თავები) მოსჭრეს და მეოთხე მე გადამეყლაპაო. დედამისმა ასწავლა, ბოსს შემოეხვიე (შეეგრიხე) და შეგასკდება, მუცელში გიდევს ისაო. ახლა თვითონ უთხრა, როგორ შევეგრიხო, ეშმაკმა ბადრმა კუდი მომჭრაო... ახლჲ შესძახა მუცელში ამირანს თავისმა გადამყლაპველმა, გვერდში ჩელტის კარი მკიღია, ის გამომათაღე, გამოდიო, თორემ კკედებიო, დაჰკრა ამირანმა დაშნა შიგნიდან, ჩელტის კარი ჩამოჭრა, მაგრამ ადამიანის ფერი არ ადევს. ახლა უთხრა ამირანმა, რად მინდა ასე გამობრუნება, ადამიანის ფერი არ მადევსო. გველეშაპმა უთხრა, ცოტა გულს მომჭერი, ცოტა ღვიძლს, ცოტა ფილტვს, წაისვი და, როგორც ყო-

ველთვის, ასეთი ფერი გექნებაო. ამათ გამოჭრა, წაიცხო და, როგორც ყოველთვის, ისეთი ფერი დაუბრუნდა. დაჰკრა მას და თავი მოსჭრა, თვითონ გამოვიდა კარში. თავისი ძმები გარეთ უცდიან. შე კაცო, რატომ გვართმეო სულს, დარღით კინაღამ მოკვდიტო. ამირანმა უთხრა: მე არაფერი მიჭირს, სადაც ვიქნებო. გასწიეს ისევ, სადაც ქალიშვილია, აქეთკენ. მოაწიეს ერთ სოფელში და აქ ღვას დიდი კოშკი. ამის გალანგიდან იხედება ერთი ქალიშვილი. ეს იქნებაო ჩემი საცოლე. — თქვა ამირანმა. ავიდნენ კოშკზე, არაფერი ჩანს ზევით, გალანგზე შკატული, იმის გარდა. გავალოთო ეს შაკუტლი! — თქვა ამირანმა. გააღეს და კვერცხი დევს ამაში. გატეხეს ეს და ამაში არის ეს ქალიშვილი. ახლა ბადრმა თქვა: ეს იქნებაო შენი ცოლიო. ამირანმა იუკადრისა: მე ქათმის შვილი შემადლოეთო. განაწყენებული მიდის, მაგრამ ისევ უკან დააბრუნეს და დაცოლქმარდნენ. ჩამოვიდნენ კოშკიდან და გზას დაადგნენ. ცამ ძალზე მოღურბლება დაიწყო. ამ ქალიშვილს ნათებ ჰქვია. ამან უთხრა ამირანს. რატომ იღრუბლებო? რატომო და ყოველთვის იღურბლებოდა და იმიტომო, უპასუხა ამირანმა. დაიწყო ძალზე გრგვინვა და ჭექა—ქუხილი, რისთვისააო? ისევ ჰკითხა თავისმა ცოლმა. რატომო და ყოველთვის ქუხდა და ჭექდაო. ქალმა მიუგო, იმიტომ კი არ არისო და მამაჩემი ბერჯიანი ასე გაჯავრებულაო თქვენზე ჩემი გათხოვების გამო, იმიტომ არისო. დაიწყო იმისთანა წვიმა, რომ ასე ასხამს. — რატომ წვიმსო? — ჰკითხა ამ ქალიშვილმა: რატომო და ყოველთვის ასე წვიმდა და იმიტომო.

იმიტომ კი არაო და ქალიშვილმა უპასუხა, რამდენიც წვიმა ვარდება, იმდენი კაცი მოჰყავსო მამაჩემს თქვენ მღევარად.

მოდინა გზაზე და დასანახავზე გამოჩნდა ეს მათი მღევარ კაცი ყველა ქალიშვილმა უთხრა ამირანს: თავსდება მომეცი, რომ არ მიმაცდურებო. მისცა თავსდების (ხელი). არ გიმაცდურებო (გილალატებო). ქალიშვილმა ნიგვზის ნაჭუჭით ზეთი მისცა, ეს უკან გაუხედავად მხარიდან გადაღვარეო. გადაღვარა მხარიდან და იმოღენა სრული წყალი მოდის, რომ იმაში თევზი ვერ გასცურავს და ზედ ფრინველი. მოდგნენ მათი მღევარი კაცი ყველა, დაიწყეს წყლის გახიღვა და ამასობაში თვითონ ბევრად შორს წავიდნენ: თავსდები მომეცი ხელახლა, რომ არ მიმაცდურებო, უთხრა ამირანს. მისცა თავსდების ხელი, რომ არ იმაცდურებდა. ახლა სავარცხელი მისცა, ეს უკან არ

გაიხედო, ასე გადააგდო. გადააგდო და უტეხი (ურანნი) ტყე გაჩნდა. წყალზე ზომ გამოვიდნენ ამათმა ეს ტყე ამოჩენეს და დასაწევად მოუახლოვდნენ. ახლა ქალიშვილმა პირმოსაწყობი სალესი მისცა, ესაო აწიე, დააყენე, მერე განით დააწვინეო. ამირანი ასე მოიქცა და აქ გალაენიანი კოშკი სახლი დაიდგა. ავიდნენ ამ კოშკზე და მათი მღვევარი გარშემო შემოერტყა ამ კოშკს. ამირანმა უთხრა ახლა; ჩვენი საქმე ცუდად არისო, ძმებო. პირველად ვირსპი გადახტესო და ჭრასო ესენი. გადახტი ვირსპი და საორკეცი გაჭრა. გავიდა ბერჯიანთან და ამ ბერჯიანმა კისერი (თავი) მოსჭრა. გახტა სეფეთარი, ოთხი ორკეცი ამან გაჭრა, მოასწრო ბერჯიანთან და ბერჯიანმა კისერი მოსჭრა ამასც. გახტა ბადრი, ხუთი ორკეცი ამან გაჭრა (დახოცა) და ბოლოს ბერჯიანმა კისერი მოსჭრა. ახლა თავისმა ცოლმა უთხრა ამირანს: ზევიდან გადავძახებ მამა ბერჯიანს, მაშინ ეს ამოიხედავსო. მას თავზე დოლაბის ქვა ადგასო, მუხლებიდან დოლაბის ქვამდე ოქროს კოჭები (რიკები) უდგას, ისინი წაიქცევიანო დაშნას (რომ) დაჰკრავ, მაშინო.

გადახტა ამირანი ახლა და ექვსი ორკეცი ხალხი დაჭრა (დაანაკუნა), ბერჯიანს (რომ) უახლოვდებოდა, მაშინ ქალიშვილმა გამოსძახა კოშკიდან დაბლა: აიხედა და მაშინ დაშნა დაჰკრა რიკ-კოჭებზე და კისერი მოეჭრა (ამირანი ამობრუნდა ქალიშვილთან) და იამანის ოჯახი ამოწყდა. ასე ახლა ქალიშვილმა დააბარა: ხვალ ვინც დაგიძახოს, კარში არსად გაიხედო. დაიძახა მეორე დღეს ვილაცამ, ჩამოხტა ამირანი, ქალიშვილმა სტაცა ხელი და არ გაუშვა. — რატომ არ მიშვებო? — რატომო და მამაჩემი გაორებული სულნი იყო და, სანამღი შემობრუნდები, მანამღე მე თხლეშილად ქცეულს დაგახვედრებსო.

აქ, აი, დაუძახა მეორედ, ისევ წამოხტა ეს და ქალიშვილმა ისევ არ გაუშვა. მესამედ დაუძახა ისევ და გავიდა ამირანი. გარეთ არავინ იყო. შემობრუნდა და ქალიშვილი მართლა დათხლეშილი დახვდა. მოვიდა ახლა ამირანი და ქალიშვილი და თავისი ძმები ერთმანეთთან დაასაფლავა, თვითონ მოღის გამალებული და ორი დევები ერთმანეთს ასხედან, ამას წააწყდა. ახტა ამათი სახლის სახურავზე და აქედან დევებს საქოლავ ქვებს უშენს და ძელებს ზურგებზე. ზედა დევმა სთქვა, რაგვარი რწყილები მქებენო. ქველამ უპასუხა, რა რწყილებია, ეშმაკი (მაბგერალი?) ამირანი საქოლავებსა და ძელებს

გვარტყამსო ზურგებზე. ახტა ახლა ეს დევი და დაუწყო დევნა ამირანს... ერთი დევი ხნავს, მას ამირანი კალთაში შეუხტა. ამ დევს ერთ ფეხზე სახენელი რკინა (სახნისი) აქვს მოცემული, მეორეზე ფარცნი აბია, კალთაში ცერცვი უდევს, ერთს მიათესავს და მეორეს პირში იგდებს. ამირანის მღვეარ დევს დასულივლა მთესველმა დევმა და დააშინა. მხენელი დევი კოჭლია და თვალიც არ აქვს. ჰკითხა ამირანმა, ცალთვალა ბრმა რად ხარო და კოჭლი? იმგვარად იუკიდრისა, რომ დაპბერა ამირანს და ცამდე ისროლა (ააგლო), მაგრამ მოინანა, ჩემი ნაშვილეგია, ხელი მიუშვირა და იმაზე დაისვა. ეხლა უამბო დევმა, რაზეა ცალთვალა და სძლია ის: სამნი ვიყავით და დიდ ღმერთს ვექიშპებოდითო. გაჯავრდაო დიდი ღმერთი და ჩვენ ერთი ტყეში გავექეცით, მეორე — კლდეში და მე კი — ზღვაშიო. გადმოანთხიარ ციდან ელიას ალი (ხელაიშ მელამ). ისინი დაწვა, მე კი ზღვიდან თვალი ფეხი ამომიჩანდა, ისინი გამომწვანო...

ამირანი ისევ მოდის გზაზე, წააწყდა სისხლის მდინარეს, მოჰყვება ამას და ერთი დევი გზაში წევს, ამას გამოსდის შუბლში. ახლა ამ დევმა უთხრა. ჩემი და და მე ნაჩხუბარი ვართო, იმის მოსვლამდე მიყარაულე და გამომადვიძე, როცა ის მოვიდეს, იმ ღროს და შენ განზე გასწი ჩქარაო, დაუყარაულა აქ ამას და ცოტალა ხანი გავიდა და მოვიდა ეს დევი. ამირანი უჯიკავება, მაგრამ ვერ გამოადვიძა. მაშინ თავისი დაშნა იშიშვლა (იძრო) და ის დაჰკრა თავში, გამოადვიძა და თვითონ გაშორდა ჩქარა. მიდის, მიდის და ერთ ადგილას მინდორში დაისვენა და აქ მოაქვთ თავისი საყარაულო დევი ურმით, ფეხი გადმოდებული აქვს და მისწას ასე ღრმად ხნავს. ახლა ამირანმა სტაცა ფეხს და ურემში ჩაუდო. ახლა დევმა (სთქვა), ვინ იყოო ჩემი ფეხის ურემში ჩამდები — ვინ იყო და მე ვიყავიო, ამირანი. — ხელი მომეციო, რაღაცა სათქმელი მაქვს აბაო. — ხელს ვერაო და ქვა მიუშვირა, მოუჭირა ქვას და ფქვილად აქცია. — მაღლი ჰქენ (გექნებაო), ხელი მომეციო. მარჯვენა ხელი ვერ გაიმეტა და მარცხენა მიუშვირა მოუჭირა ხელს და სისხლი მოადინა (მოახეთქა) ფრჩხილებში. ამა თავსდებობის მაღლსა, სამ ჩემ ქალიშვილებს (გოგონებს) თვალი დაადევი და რაში რომ მყავს, იმას, რაც რამე არ უნდა იყოს, ყურებ შუა მათრახი არ დაჰკრა, თორემ შენი საქმე გათავებულაო.

ასე გაშორდნენ (ერთმანეთს) დევი და ამირანი და ამირანი დევის სახლში წავიდა. აქ დახვდა სამი ქალიშვილები დევისა. ამირანს ჩვევად (მანკად) ჰქონდა ძილი. ერთ დღეს ეს ქალიშვილები (გოგოები) ადგნენ და წავიდნენ სადღაც და სამი დევეები შეხვდნენ მინდორში. ქალიშვილებმა ამათ თავები ერთმანეთს დაურახუნეს, მოკლეს და დატოვეს. ერთ გოგოს ხელთათმანი გაეხა და ტირილი მორთო. ამისი ცრემლი ამირანს ლოყებზე მოესხა და გამოეღვიძა და გოგოს ჰკითხა, ამ შინ დაბრუნებულს. — რატომ ტირიო? — რატომო და ხელთათმანი დაძებნაო. ამიტომ არაფერი, კიდევ გავაკეთებთო. ამათ (გოგოებმა) უთხრეს: სამი ბუხები მოდიოდნენო მინდორზე, შენი დარდი შეგვექმნა და თავები ერთმანეთს დაეურახუნეთო. ახლა ამირანმა უთხრა გოგოებს, მანახვეთო. გოგოებმა ჩაიყვანეს ამ დევეებთან... ანახვეს. ახლა ჩაუფიქრდა ამირანი: ამათ ასე უქნესო ამ გოგოებმა, მე თუ სადმე გავაჯავრებ ასევე მიზამენო ... დაერია და კისრები (თავები) მოსჭრა. თვითონ ერთ თვეს (ერთ მთვარის განახლებას) სძინავს მარტო. შეუჩნდენ ქაჯები და რაშმა დაიჭიხვინა. ადგა ამირანი და გაიხედა, მაგრამ არაფერი ჩანს. მეორედ ისევ შეუჩნდენ ეს ქაჯები და დაიჭიხვინა რაშმა, ადგა გაიხედ—გამოიხედა, მაგრამ ვერაფერს შეხედა, თვითონ ისევ დაწვა, მესამედ ისევ შეუჩნდენ ქაჯები და ისევ და ისევ დაიჭიხვინა რაშმა. ადგა ამირანი, გაიხედ—გამოიხედა და ისევ არაფერი ჩანს, ისევ შემოვიდა და რაშს სამჯერ დაჰკრა ყურებს შუა. რაშმა დაიფიცა, მე აწი ხმა თუ ამოვიღეო. ისევ დაესიენ ქაჯები. ამოთხარეს გარშემო სახლი და რაში და ამირანი წაიყვანეს ბნელ ხევში.

სანამ ისინი არ ვნახოთ, მანაძლი ვიცოცხლოთ (ვიყოთ).

*ჩამაწერინა თემრა ვიბლიანის ძე ვიბლიანმა:
36 წ., წერა-კითხვის მკოდნე სოფ. კიჩხულდაში.
ვთარგმნე ადავითიანმა*

13. ამირანის ზღაპარი

არის მჭედელი კაცი. ამას ჰქვია ბაბა ბერეჯან. წავიდა ერთ სოფელში და აქ ცალი თვალი გაფუჭებული აქვს ყველას.

– რა არის, კარგო სოფელო, ჰკითხა. ასეთი კარგი ხალხი ხართ, თითო თვალი რისთვის გაქვთ გაფუჭებული?

– რისთვის, კარგო კაცო. და ჩვენს ზემოთ კლდეში კივილს გამოსცემს რაღაცა, იმ დროს დილას დაბადებულს საღამოს გაფუჭებული აქვს თვალი, საღამოს დაბადებულს კი დილას.

– ამას ვინც გიშველით, რა იმედი? – უთხრა ბაბა ბერეჯანმა.

– ამას ვინც გეიშველის, იმას სოფლის ნახევარს მივსცემთ!

ახლა ამ სოფელს გასცილდა. მივიდა მეორე სოფელში. ამით ერთი მხარე ყველას გამხმარი აქვთ. ჰკითხა ბაბა ბერეჯანმა.

– რა არის, კარგო სოფელო, რატომ დაგმართნიათ ეს, სხვაგვარად კარგი ხალხი ხართ?!

– რა არის, კარგო კაცო, და ჩვენს ზემოთ, კლდეში, რაღაცა რომ დაიკვილებს, მაშინ ასე გვემართება!

– ამას ვინც გიშველით, რა იმედი? სოფლის ნახევარს მისცემენ. ამის იმედი უთხრეს. წავიდა მესამე სოფელში. აქ თითო თვალზე გაფუჭებული აქვთ და ერთი მხარე გამხმარი აქვს ყველას.

– რა არის, კარგო სოფელო, კარგი ხალხი ხართ. რატომ გჭირთ ასე, – ჰკითხა ბაბა ბერეჯანმა.

– რატომ, კარგო კაცო, და ჩვენს ზემოთ, კლდეში, რაღაც რომ დაიკვილებს, მაშინ ასე დაგვემართება.

– ამას ვინც გიშველის, რა იმედი? ისევ უთხრეს ბაბა ბერეჯანს:

– რა იმედი და სოფლის ნახევარს მოგცემთ, ის!

ახლა სთხოვა ბაბა ბერეჯანმა სამ სოფელს, თორმეტი ურეში რკინა მომიგროვეთო. სამმა სოფელმა მოუგროვეს და ეს ყველა ლურსმნად გაჭედა. მოსდგა ძირში კლდეს. აკრავს კლდეს

ლურსმანს, მიდის და ავიდა ამ კლდეზე. ზედა თავში სამი ლურსმანი დააკლდა. ჩამობრუნდა, სამი ლურსმანი გამოაძრო ძირს და ზედა თავში დაასო. შევიდა გამოქვაბულში და აქ წვეს ისეთი ქალიშვილი, რომ ოქროს ნაწნავები ასხია.

— აჰ, შე კაცო, რა გინდოდა აქ შენ?¹

— მე მოვედიო საკითხავად. სამი სოფლის გამოგზავნილია. უამბო, სამ სოფელს ასე სჭირთ, ასე სჭირთო და რატომ ჰკივიო შენ? ქალიშვილი ეუბნება ბაბა ბერეჯიანს, მე კარგი ქმარი მყავდა და იმას ეტანება დევიო. როცა დევი იმის ამოთხრას შეუდგება, მაშინ მე კივილს ვიწყებ და დევი თავს ანებებს, სოფელს კი ასე ემართებაო.

— ამას მე რომ გამოვასწორობ, იმისთვის რა იმედს მადლეო?

— მაშინ გერჩიოს, ცოლქმრობა. არა და ძმობადობაო.

ახლა დააბარა ბაბა ბერეჯიანმა: შენ არ დაიკვილოო! მცველად დადგა ბაბა ბერეჯიანი, მშვილდ-ისარი დაიკავა. შუალამისას მოვიდა დევი — ესროლა მშვილდ-ისარი, — ეს დევი მოკლა და ეს ქალიშვილი და ბაბა ბერეჯიანი დაცოლქმარდნენ.

ახლა ამან უთხრა, ამ ქალიშვილმა: — მადლი გექნება, მოშალე შენი ამონავალი კვალი, თორემ შენს ცოლს სული გარებულნი აქვს და ამოვაო. ბაბა ბერეჯიანმა არ ქნა, ჩემ ამონავალზე ჩიტი ვერ ამოვაო.

ესენი ამდამ ერთად დაწვნენ...ბაბა ბერეჯიანის ცოლი მართლა ამოვიდა ნავალზე და ამ ქალს ოქროს დალალები მოსჭრა. დილას გაიღვიძეს და — ოჰ, ჩემი ცოდვა გქონდეს, ნათქვამი რომ არ ქენი, ახლა მე საშენო აწი არ ვარო. მოიტანე მაკრატელი, მე ჭაბუკი მყავს მუცელში და გამჭერიო.

— მე არ შემიძლია შენი გაჭრაო და არ გაჭრა. მაშინ გამოატანინა მაკრატელი და თავისი ხელით თავისი მუცელი გაიჭრა. აქედან გამოვიდა ჭაბუკი ვაჟი. ამან წერილი დაწერა, ქალმა. „ეს ჭაბუკი — მოსანათლავი ქრისტესი, მისი გამზრდელი — ამა-

¹ ზუსტად: აჰ, იგი, კაცო, რა უნდოდა ამაზე მას მიმართვა მესამე პირისადმი პირველი რის მნიშვნელობით (ა.დ).

ნი, სახელი – ამირანი”. ამის წერილი დაწერა, მოზერის ტყავს შეახვიეო ჭაბუკი. ეს წერილი ჩაატანე და უღრან ტყეში შეაგდე, უთხრა ქალმა და ეს ასე ქნა ბაბა ბერეჯანმა...ვაჟი უღრან ტყეში შეაგლო.

ერთ დღეს მოდიან აქ ქრისტე და მისი ამხანაგები. აქედან (ტყიდან) რაღაც ბავშვის ხმა მოესმათ. გაგზავნეს ყვავი, წავიდა ყვავი და თვალები გამოუღო და ვაჟმა მეტი ჭყავილი მორთო, არაფერი არისო ეს. მეორედ გაგზავნა ჩხიკვი. შეხედა, რაც იყო მას, და ჩხიკვმა გაჭრა ვაჟი და სანაკელო გამოუღო. არაფერიო უთხრა დიდ ღმერთს ჩხიკვმა, შენი წყალობით ჭყავის, ახლა მტრედი გაგზავნა.

– მტრედო, მართალო, შენ გამიგე, თორემ ამათ ვერაფერი გამიგეს, – უთხრა დიდმა ღმერთმა. წავიდა მტრედი და აქ ამგვარი სანახაობა დახვდა. ეს ქრისტეს უაბბო მტრედმა. ქრისტემ ხელები დაიბანა. ის მისცა მტრედს და ამით მობანე თვალებიო. ჩაიტანა მტრედმა ქრისტეს ხელების ნაბანი, დაასხა და გამოძთელდა. ამ ბავშვს მოზერის ტყავი ახვევია, ამას წერილი აქვს დატანებული და აწერია. „ქრისტეს მოსანათლავი, სახელად – ამირანი, გასაზრდელი – ამანის“.

ქრისტემ ბავშვი გასაზრდელად ამანს მიაბარა; აქ ის იბდენს იზრდება, რომ მტკაველს დილას და წყრთას საღამოს. აქ ის დავაჟკაცდა და ერთ დღეს რუზე პირს იბანდა. აიხედა ზევით და ყორანს რაღაცა თეთრი მოაქვს და ეს ჩამოუვარდა ამას.

ამანის შვილებს ჰქვიათ: ვისპილდ, საფეთარი და ბადრილდ. ახლა ამირანმა უთხრა ძმებს, ამანის შვილებს, გავიგოთო, რაც დაუგდია ყორანს ჩვენს ქვემოდ ტყეში. ამათ უარი უთხრეს, ჩვენ არ შევიტყობთ, არ გვესაჭიროებაო. ამირანს გულმა არ მოუთმინა. თვითონ წავიდა და გაიგო. დახვდა ყურჩ-შავარდნის შვილის ლეკვი. ამოიყვანა ეს სახლში და კარგი ძაღლი დადგა. გაიყოლებენ სანადიროდ და ეს ძაღლი მოუყვანს ნანადირევს ხელში.

ერთ დღეს ამირანი პირს იბანს და კურდღელმა გაურბინა ბარკლებსშუა. წინ კურდღელი, უკან ამირანი და მივიდა გელა-

თის ეკლესიაში. კურდღელი სარკმელში გაექცა, ვაი ჩემი ცოდვა, შენს საფეთქლებს რომ ხელი ვერ მოვკიდებო.

— ჩემი საფეთქლები შენ რად გინდა და რას უზამო, იმის ნაცვლად შენი მამა სამსლანი გელათის ეკლესიაში ბაგაზე დევს უბია. იმას დაეძიე, კარგი ამირანი თუ ხარო.

ამირანი გამობრუნდა ცუდ გუნებაზე, სახლში დაბრუნდა და ჰკითხა ამანს, რა არის ეს და უამბო ამანმა.

— მაღლი გექნება და თავი გაანებო ამ საქმეს. ამირანმა მაინც არ ქნა და მაინც წასვლა უნდა. ეხლა უთხრა ამანმა ამირანს დევის მძლეველი არაფერი მოიპოვება, მასთან არ წახვიდო. ამირანი მაინც მიდის ახლა ამანმა უთხრა; აბა, მაინც თუ არ ჩერდები, კატის თავი წაილე, ძაღლის თავი წაილე, სახედრის თავი და ერთი გულა სახედრის შარდი; პირველად ძაღლის თავი ესროლე სარკმელში, ის მაგიდას უზის, იმაზე მოხვდება და დევი დანას მოსდებს თავს და უკან გამოისვრის სარკმელშიო და ის შენ არ მოიხვედრო, აიცილინეთ. ასე კატის თავის ესროლე, შემდეგ სახედრის თავი. სახედრის თავი მაგიდაზე დაასკლება, მაშინ დევი გაჯავრდება. შეაჯდება რაშს, დატოვებს ეკლესიას, კარს გაუკეთებს და გამოხტება გარეთ. წინ ელიას გენიას გამოიძღვანს, მას სახედრის შარდი მიასხი და ის ჩააქრობსო.

ახლა წავიდა ეს ამირანი, ესენი ყველაფერი ხელთ იქონია და წაიყვანა ძმები გელეთის ეკლესიაში. მოაწიეს ეკლესიამდე: ამირანმა ესროლა ძაღლის თავი სარკმელში. მოსდო დევმა დანის წვერი. უკან ესროლა ამირანს, მაგრამ ამირანმა აიცილინა. ესროლა კატის შემდეგ სახედრის თავი და ეს დაასკდა მაგიდაზე. ახლა წამოხტა დევი, რაშს შეაჯდა, დააძგერა და კედელს კარი გაუკეთა. დევს წინ მიუძღვის ელიას გენია. ამირანმა შარდი დაახვედრა და დევს ელიას გენია შეაქრა. ახლა დევმა ჭიდაობა სთხოვა ერთმანეთს სტაცეს ხელი და ჭიდაობენ.

ვირსპილდს შეეშინდა და ხეზე ავიდა. ამირანმა დევი წააქცია. ამას ცხრა თავი აბია და ამით მოსაჭრელს დაეძებეს. ამ დროს ამირანს დასჭყვილა ხიდან ვირსპილდმა და გაახსენა. „ჰე, ამირანო, კალამჩალამი—მეფსაი, შენი ხანჯალი რა უყავი?

ახლა გაახსენდა ამირანს, იშიშვლა ხანჯალი და რვა თავი მოსჭრა. დევმა უთხრა: ველისა და ტყის სარახუნებლად ერთი თავი შემატოვე და იმისთანას გეტყვი, რომ სიმდიდრით აივსო.

– ჰე, მოსჭერი, არ შეატოვო, უთხრა ვირსპილდმა და ლაჰკრა და ეს მეცხრე თავიც მოსჭრა.

(ზღაპარი გააგრძელა გულიზარ ბექსოლთანის ასულმა 11 წლის. მეოთხე კლასის მოწაფემ).

ახლა მოკლულ დევს ლოლები დაადევს, ზედ ქვები და ხეები დააყარეს. ბაბა ბერეჯანა დაბმულია, ის ამოხსნეს და წაიყვანეს.

ამის შემდეგ ამირანმა თავისი ამხანაგები დატოვა და თვითონ წავიდა...სახლში არ დაბრუნდა. იმის მერე ის მისი სამი ძმა წავიდნენ საძებნელად, ყველგან დაეძებდნენ და ვერ იპოვეს. სამი ძმები შინ დაბრუნდნენ და ჯარი წაიყვანეს საძებნელად ჯარი რომ მიდიოდა, მაშინ მათმა მამამ იამანმა უთხრა ჯარს: ჯერ საფერხულო საცეკვაო გამართეთო, იმის მერე – ჭიდაობა, იმის მერე – პარსაობა, მაშინ, ეგების, შემოვიდეს თქვენთანო. გაუდგა ჯარი და ერთ გორაზე შეხედეს ამირანს. წავიდა ჯარი იმ გორამდე და ამირანი მეორე გორაზე გადასული იყო. მეორე გორაზე გავიდნენ და ამირანი მიიწეოდა იქით გორიდან გორაზე. ახლა ამ ჯარმა გააწყო საფერხულო და საცეკვაო ...უფრო უკეთესად ამირანი მღერის და ცეკვავს მეორე გორაზე. გამართეს ჭიდაობა და უფრო უკეთესად ამირანი ეჭიდავება სოჭებს, სტაცებს, წააქცევს და ავლებს. ბოლოს გააწყვეს პარსაობა და ამირანი უნებურად შემოხტა მათთან. პირველად მოშორებით დგებოდა, ახლო არ ეკარებოდა, შემდეგ თავისმა ძმა ვირსპილდმა შემოიტიყუა ცალკე და შემდეგ ვირსპილთან ერთად ჯარს შეუერთდა. ჯარში თავისი ძმები იცნო და გადაკოცნა. ცოტა ხნის შემდეგ კარგად შეეწყო თავისი ძმების ამხანაგებს. გაპარსეს, შემდეგ სახლში მოიყვანეს. სახლში იყო სამ დღეს. შემდეგ გაუდგა გზას. მიდიოდა, მიდიოდა და მივიდა ერთ დღეის სახლში. სახლში მარტო ქალი იყო; შევიდა და დღეის ცოლს სოჭი იგი ჩერიად ჰქონდა, დოლაბი ქვა კვირისთავად რატომ გაქვსო ამხელა ჩერია და კვი-

რისთავი? მაშინ დევის ცოლმა უთხრა. მარტო ეს იშოვნებაო ჩვენში. შემდეგ დევის ცოლმა უთხრა ამირანს, წადი, თორემ ჩემი ქმარი მოვა და მოგკლავსო. ამირანი არ წავიდა და საღამოსკენ მოვიდა დევი და მოიტანა ჯიხვი და ჯირკი.

მოხუცის მეფე ხორგუანის თქმით:

— ან ჯირკი დახეთქე — დააპე, თუ არა ჯიხვი გაატყავე, უთხრა დევმა ამირანს. მაშინ ამირანმა უპასუხა: მე ჯიხვები გამიტყავებია, თორემ ჯირკები არ დამიპიაო. ახლა ამირანმა ჯიხვი გაატყავა და დევმა იგი ჯირკი გააპო. ჯიხვი ამირანმა ქვაბში ჩააგო მოსახარშავად. მოიხარშა და ახლა ხორცი მე მქონდეს, ძვალე კი შენო, უთხრა დევმა.

— არა, შენმა მზემამო, ხორცი მე და ძვალე შენ, სუნია დევოო.

ჭამს ამირანი ხორცს და ძვალს დევს უდებს. დევი გაჯავრდა და სადილის შემდეგ უთხრა გნძლა და ბგნძლაო (ვიჭილაოთო).

— წამო, აბაო, უპასუხა ამირანმა ცხრათავიან დევს. ჭილაობენ და დევი იგი ამირანს მიწაში კოჭებამდი ფლავს. ამირანი იქნეს და წვივის თავამდი ფლავს. ერთი ხნის მერე წააქცია ამირანმა და რვა თავი მოსჭრა.

— ერთი თავი არ მომჭრა და, რა წყალობას მოისურვებ, იმას გიზამო.

ამირანმა გამოართვა დევს ძალა და შემდეგ მეცხრე კისერიც მოსჭრა. თვითონ ავიდა სახლის ზედა სართულზე და დევის ცოლთან (რომ) იყო ერთი ვაჟკაცი, ამას გაუძარტა მტრობა. მოვიდა ამირანი და ზედა სართულის ერთი ღირე დაატეხა ზურგზე ამ ვაჟკაცს. ახლა ყვირილი დაიწყო ამ ვაჟკაცმა და აუღვენა ზედა სართულზე ამირანს. იგი სართულის ფანჯარაში გადახტა. ისევ გაეკიდა ის ვაჟკაცი ფანჯარაში. ამირანმა ჩაიბრინა და ერთი დევი (რომ) თესავდა, ერთ მუჭს შელოფავდა და მეორეს მიათესავდა, ამას უთხრა: „მაღლი გექნება და შემოფარე, თორემ მკლავსო, (რომ) მომდევს ის კაცი. ამ დევმა ამირანი შეიფარა კალთაში. ჩამოვიდა ის მდევარი კაცი და მთესველმა უთხრა: ახლო ნურსად მომეკარო, თორემ მოგკლავო. იმ კაცმა პირი იბრუ-

ნა და წავიდა. ახლა ამ დევმა ერთი მუჭი შეყლაპა და ამირანი ჩაჰყვა მუცელში. ამირანმა უთხრა: მუცლიდან ამომაბრუნე, არადა ღვიძლ-ფილტვს ჩამოგაწყვეტო. შეეშინდა იმ დევს და უთხრა, საიდან დაგაბრუნო, თორემო... ისევ უთხრა ამირანმა, ამომაბრუნე, თორემ შიგანს მთლად ჩამოგაგლეჯო. — აბა, წინიდან გირჩენია თუ კანიდანო. ეს იუკადრისა ამირანმა: უკანიდან შენ შეგშენისო, სუნიავ. — აბა, მარცხენა გვერდი ხვევრდის მაქვსო და ჩელტი მკიღია სამჯოხიანი, იქ გამოგიყვანო. უთხრა ახლა ამირანმა, ეს გვერდი საიდან გაქვს ასეო. ამან უპასუხა, გაჩუმდი თორემ თორმეტ მთას იქით გადაგაგდებო. უთხრა კიდევ მეორედ და ამოისუნთქა ამ დევმა და ამირანი თორმეტ მთას იქით გადააგდო. შემოისუნთქა და შემოიბრუნა ისევ. იმის შემდეგ წავიდა ამირანი. მიდიოდა ერთ ხიდზე და ხიდს გაღმა ერთი დედაბერი, ძაძები რომ ეცვა, მოთქვამდა: დედის, დედისაი ჩემი ამირანი, საღ დამეკარგეო. ამირანს თავისი დედა ეგონა და დედა, რისთვის მოსთქვამ, მე ვარ ამირანიო.

ახლა დაკოცნეს ერთმანეთი და ამაღამ მესტუმრეო, — უთხრა დედაბერმა.

რა მიზეზი (იქნება), რისთვის არაო, — თქვა ამირანმა. წავიდნენ და ერთ კლდის ძირს მიაღდნენ. ამას კარი აქვს პატარა. გააღო დედაბერმა, შეიყვანა და კარები ბაწრით შეკრა ისე, რომ უკან გამოსასვლელი არ ჰქონდა. აქ დედაბერმა საცმლები გაიხადა და დევი ყოფილა ცალთვალისანი წეც.¹

— ახლა დაგიდგა შავი ღლე! — უთხრა ამ დევმა. აქ ყველაფრის ჯოგი უბია. ახლა დაიწყეს იმათ გარშემო ერთმანეთის დევნა: ეცი ვერ დაეწია ამირანს. მაშინ გავარვარებულ შამფურზე ხარი ააგო, შეწვა და შეჭამა, მეტი ღონე მექნებაო, იმიტომ. ახლა გამძღარს დევნა კი არა და დაეძინა. მოვიდა ამირანი, გაახურა შამფური და დაამგერა საღ თვალში და მეორე მხარეზე გაუყარა. მისდევს ეს დევი, შამფური შესობილი აქვს, მისდევს

¹ ჰეც ეწოდება უბოროტეს დევს, ცალი თვალი მუზღზე აქვს, დაეხეტება მარტო. ყვირის და ჩვეულებრივი დევები შიშით ემალებიან (ხალხური).

ამირანს გარშემო ყველგან და მაინც ვერ დაიჭირა. აბა, დღეს ჯოგს უშვებ, ოქროს ვაცის გარდა, და ამირანს არ გავუშვებ და მაშინ მაინც ხომ დავიჭერო. ახლა მოვიდა ამირანი. ეს ოქროს ვაცი დაკლა და ტყავი გადმოიფარა ზემოდან. უშვებს დევი ჯოგს ბარკლებს ქვეშ, ხელით სინჯავს, ამირანი გაერევა თუ არაო. ბოლოს იგი ამირანი წავიდა და დეემა ხელის გასობით გაიგო.

—აჰაა, ეშმაკ ამირანო, სად წამიხვალ და ამირანი გავიდა ტყავქვეშ. დევს ტყავი ხელებში შემორჩა...

*ჩაწერილი აღი დავეითიანი
მთქმელი და ჩაწერის თარიღი არაა მითითებული.*

14. ამირანი

აბა კარგის და მოყოლა იყოს და არიან დალ დარეჯანი და მისი მოახლე. ახლა ამის ეზოში სინაფი—ვაშლი დგას და აქამდე მივიდა ეს მოახლე. ამ სინაფზე ავიდა გველი. მოკრიფა და ჭამა. გოგო უწყრება; არ მოკრიფო, თორემ დიდ ღმერთს სწყინსო. ახლა მოვიდა გველი და ამ გოგოსაც ჩამოუგდო, ჭამე, როგორი გემოს იყოსო. ორი სინაფი ჩამოუგდო. ამ გოგომ შეიტანა სინაფი და დალ დარეჯანს აჭამა. ამ დროს დიდი ღმერთი მოვიდა, დიდება მიუვიდა და გველი (რომ ხეზე ასულია), იმას შეხედა, ჩამოდიო, ვინ მოგცა ამაზე ასვლის ნება, არა—და როგორი გემოს გეჩვენა სინაფი, ან კიდევ, შენ გარდა, ჭამა ვინმემო?

— გოგოს ჩამოუგდეთ მე!

ახლა გოგოს შეეკითხა დიდი ღმერთი; ვინ შეჭამაო სინაფი? დალ დარეჯანს მივუტანე და იმან შეჭამაო, მე ვუწყრებოდი გველს, მაგრამ არ მკითხა და ზედ ავიდაო. მუცლის ნახეხს მიწაზე ტოვებდე და მუცლით დახობავდეთ, მიაწყევლა გველს დიდმა ღმერთმა.

წავიდა დიდი ღმერთი, დიდება მიუვიდა და ესენი დატოვა აქ. გველს იმის შემდეგ ფეხები მოაკლდა და მუცლით ხობვა შემორჩა. დალ დარეჯანი დაორსულდა და, როცა მშობიარობის დრო მოუვიდა, მაშინ დაწერა წერილი თავისი ხელით თავის მკერდზე. დაარიგა ეს გოგო, თავისი მიახლე, რომ მოვიმშობიარო, იმ დროს ჩვილი დაუკოდავ ბუღას ტყავში შეახვიე და შეაგდე დიდ უტეხ ტყეშიო.

ახლა ეს, ეს დალ დარეჯანი, ჩვეულებრივად მოლოგინდა. გოგო—მოახლე დაიხმარა და გამოიღო ჩვილი მუცლიდან. გოგომ დაუკოდავი ბუღას ტყავს შეახვია, გამოკრა გარედან და დალ დარეჯანი მოკვდა. ეს გოგო მოვიდა და გამოსხეული და გამოკრული დიდ უტეხ ტყეში შეაგდო. იქ დატოვა და თვითონ სახლში დაბრუნდა. ეს, ჩვილი, ისე ტირის, ისე ჟღავის, რომ მთლად მიწა—მცენარეს ებეზრება. ქრისტე და მისი მოწმეები მოდიან. მოდიან, მაგრამ ამის ჟღავილით სიამე არ აქვთ, ისე მობეზრებული არიან. მოვიდა ახლა ეს ქრისტე და ყვაივი გაგზავნა, გამიგე, ჩემსა მზესა, რა უნდა იყოსო ეს ჟღავილი. წავიდა ეს ყვაივი გასაგებად და მონახა ტყეში. გახსნა და ჩვილი ეხვია და წერილი. მოვიდა ყვაივი და წერილი წაიკითხა. ამ წერილს ეწერა, ეს ვა-

ყო გასაზრდელი იამანისანების, მოსანათლავე ქრისტესი, დასარქმევი ამირანი და ბოლოს კი იამანისანების ამომგდები. ეს აწერია წერილზე.

მოვიდა ეს ყვავი და ვაჟს თვალი გამოუღო და შეჭამა. ისევ გამოხვია და კიდევ დიდ უტებ ტყეში შეაგლო. გამოიქროლა ყვაჟმა და ისევ გაჰყვა ქრისტეს და მის ამხანაგებს. შეეკითხა ქრისტე.

— რა ამბავია, ყვაჟო, ჩემსა მზესა.

— არაფერი, შენმან მზემან, ბელის გამაძლარი ჭყავის და ჟღავის ყველა, იმის გარდა. ახლა მიდიან, მიდიან ესენი და კიდევ უფრო ჟღავილი ჯმით, გაბეზრებულია ქრისტე.

— ჰე, მადლი გექნება, ყორანო, ყვაჟმა ვერაფერი გამოგო, შენ წადი და გამოგე! წავიდა ყორანი და მონახა დიდ უტებ ტყეში, გახსნა ამანაც და ტყავს ჩვილი ახვევია და წერილი. წაიკითხა ამანაც წერილი და ასევე ეწერა. მეორე თვალი ყორანმა გამოუღო და შეჭამა, ჩვილი ისევ გამოხვია და უარეს დიდ უტებ ტყეში ამან შეაგლო. მობრუნდა ქრისტესთან შეეკითხა ქრისტე, რა იყო, ყორანო, ჩემსა მზესა.

— არაფერი, შენმა მზემ, ბელის გამაძლარს ჟღავილ-ჭყავილი აქეთ, იმის მეტი! ახლა მთლად ისე ტირის, ისე, რომ ცა და ქვეყანა გაბეზრებულია. ქრისტეს ისე მოსწყინდა ეს ურიაშული, რომ თავსა და ბოლოს ვერსაით იმართავს.

— ჰე, მადლი გექნება, მტრედო მართალო, შენ გამეგზავნე, თორემ გლახა ყვაჟმა და ყორანმა ვერაფერი გამოგეს.

წავიდა ახლა მტრედი, იპონა ამანაც დიდ უტებ ტყეში. გახსნა და ეს ჩვილი ახვევია და წერილი კუროს ტყავს. წაიკითხა ამან, ამ მტრედმა, წერილი, ისევ გამოხვია და კარგ ადგილას დადო. მოვიდა ეს მტრედი ქრისტესთან.

— ჰე, მტრედო, მართალო, რა არის ჩემსა მზესა, შენ მაინც გამაგებინებ?

— ეჰ, რა არ იქნება, ქრისტე, შენმა მზემ, ამისთანა ცოდვა მთლად არაა მომხდარი საუკუნეში. კუროს ტყავს ახვევია ჩვილი და წერილი. ჩვილსა მას თვალები გამოღებულნი აქვს და წერილს აწერია, რომ გასაზრდელი იამანისანთი, მოსანათლავე ქრისტესი, დასარქმევი ამირანი, ბოლოს იამანისანების ამომგდებო. მოვიდა ახლა

ქრისტე და ყვავს მუგუზალი დაარტყა, შენს დღეში ცალკე ცხოვრება გეწეროსო!

ქრისტემ მოუხვია და დაბრუნდა ჩვილთან და მონახა დიდ უტებს ტყეში. აქ გახსნა და ჩვილი უფრო მეტი შეეცოდა. სინაფი ვაშლი ამოიღო ჯიბიდან, შუაში გახლიჩა, ერთ-ერთ თვალზე მიაღო და მეორე-მეორე თვალზე, ჰო, უთხრა, და ჩვილს თვალები როგორც მანამდე, ისე გაუკეთდა; მონათლა და ამირანი დაარტყა. სადაც იამანისანები სახლობენ; იქ წაიყვანეს და იამანისანებს მიაბარეს გასაზრდელად. იამანისანებმა ეს გაზარდეს. ოთხი ჰყავთ ამათ შვილები.

— ძმები და მეხუთე ძმა ეს არის. მათი ყველასი მამა იამანი. ამათ, ამ იამანისანთ ძმებს, ერთი ყველაზე უფროსი ძმა ჰყავთ დაკარგული.

ამირანი და თავისი ძმები ყველანი გაიზარდნენ და სათიბად წასვლა დაიწყეს. ერთ დღეს რაღაცას შეხედეს. დილიდან საღამოს სახლში ასე უთიბავად დაბრუნდნენ. სახლში მოვიდნენ და ცულ გუნებაზე არიან ამაღამ ყველა. შეეკითხა მათი მამა: რის ცულ გუნებაზე ხართო, მამის მზესა, რამდენი მოთიბეთო დღეს?

— ჰე, მამავ, რას მოვთიბავდითო, იმისთანას შევხედეთ რაღაცას, რომ ტყუილა წაგვივიდა.

— ხვალ, რაც არ უნდა იქნეს, იმის საძებრად დავბრუნდებითო.

წავიდნენ მეორე დღეს და მაშინვე ისევ ეს დაინახეს. მისდევნენ ახლა ამას, ერთ გორაზე თვითონ მიდიან და მეორემდე ის გაიწევა. ასე დღეს დღე ისე გაუვიდათ, რომ ვერ დაუკავშირდნენ. დაბრუნდნენ სახლში. მთლად უარეს გუნებაზე ამაღამ არიან და არ ლაპარაკობენ ისე სხედან პირუთქმელად. ბოლოს გაუტყდნენ.

— ჰე, მამავ, რატომ არ ვიქნებით ცულ გუნებაზე, იმისთანა არის რაღაცა, რომ ერთ გორაზე ჩვენ მივდივართ და მეორემდე თვითონ მიიღწევა და ვერ ვუკავშირდებით.

— ჰე, თქვენი მამის მზეს. ეს თქვენი ძმა მერაბია, დევ რომ უბია სადღაც, იმას დაინახავდით. იმას, მამის მზემ, თქვენ ვერ დაუკავშირდებით და გაანებეთ თავი მის დევნას. ახლა ამირანმა უთხრა თავის მამა იამანს.

— ჰაი, მამავ, ცოდვად დაგხვედროდეს, რომ ჩვენი ძმა დევს ჰყავს დაჭერილი და ის არ გაამხილევ. ჰე, მე ფუი მეთქვას, მას თუ არ

დაუკავშირდი და სახლში თუ არ დავაბრუნე, ისე გავჩერდე ამის შემდეგ.

— აბა, მამის მზემ, მაინც არ ჩერდებით, მაშინ სათიბში ჭიანურის წაიღეთ. იმას ახლა გლოვის წვერი ექნება. მოწყენილი იქნება და გამპარსავი არავინ ეყოლება. თიბვით გული რომ მოიჯეროთ, მაშინ ჭიანურის დაკვრა გააწყვეთ, მერე ფანდურის დაკვრა, მერე სიმღერა და საცეკვაო, მერე ჭილაობა—თამაშობა გააწყვეთ, ბოლო დროს საპარსაო გამართეთ, იგი თანდათან მოგიახლოვდებათ, თუ თქვენი ძმა არის.

მეორე დღეს წავიდნენ და წაიღეს ესენი ყველა. ჯერ ჭიანურის დაკვრა გამართეს, მერე სიმღერა გააწყვეს, მერე საცეკვაო, მერე საჭილაო გამართეს. ეს მათი ძმა თანდათან ახლო და ახლო მოდის. ბოლოს, საპარსაო რომ გააწყვეს, შემოხტა მათი ძმა მერაბ და მათთან გაადინა ბათქანი. ძალიან ესიამოვნათ ერთმანეთი. ეს ამდამ სახლში მოიყვანეს. გაპარსეს გლოვის წვერი, ისე ძალიან გაუხარდათ თავის ღელასა და მამას. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ დაეკარგათ.

ახლა ეს ინტერესად მოუვიდა ამირანს და არ დგება იმის საძებრად წაუსვლელად. უთხრა მისმა მამამ, რომ ის ღვეს უბილო ეკლესიაში.

— მაინცდამაინც თუ არ დგებით წაუსვლელად, მაშინ საბი გულა სახედრის შარდი წაიღეთ, ერთი სახედრის თავი, მეორე ძაღლის თავი, მესამე კატის თავი, თორმეტი ლურსმანი და ჩაქუჩი. იმას, ღვეს, ტახნი რომ ჰყავს, ის ელიას ალს გამოიღენს შუბლზე, იმ დროს, როცა ერთს მოიღენს და ერთ გულა შარდს შეასხამთ და შეაჭრობს, მეორეს მოიღენს და მეორეს შეასხამთ, მესამეს და მესამეს მიასხამთ. სარკმელამდი ასვლის დროს ლურსმნებს მიაკრავთ და ივლით თანდათან ზევით. სარკმელში პირველად კატის თავი ესროლეთ. იმის შემდეგ — ძაღლისა, მერე — სახედრის.

— ეს ყველა დააბარა მათმა მამამ და მოავროვეს ყველაფერი. ერთმანეთს შეუამხანაგდნენ ვირსპილდი, სეფეთარ, ბადრილდი და ამირანი წავიდნენ და მოადგნენ ეკლესიას და კარი არსაიდან აქვს, ერთი სარკმელი აქვს, იმის გარდა. ამაზე ლურსმნებს აკრავს ამირანი და ადის სარკმელამდი. თორმეტი ლურსმანი მიაკრა და სარკმელს მიაღ-

წია, სამი გულა-ტიკი აკიდებული აქვს, სახედრის, ძაღლის და კატის თავები ყველა აკიდებული აქვს ესენი.

— ეკლესიაში დევი უზის მაგიდას. ერთი კათხა—სასმისი ღვინო უდგას მაგიდაზე, ერთი სამწყალობნო (კვერი) უდევს, კათხა—სასმისს შესვამს და ისევ ევსება, სამწყალობნო პურის კვერს მოსტეხავს და ისევ უმთელდება. ტახი გვერდით უწევს. მოვიდა (ახლა) ამირანი და კატის თავი ესროლა და სუფრის ფეხს მოარტყა. ტახი წამოხტა და გაბრაზებით გაწევა დაიწყო და დევმა უთხრა ტახს.

— დაწევი უთ, ფლავი უთ ჭამე. ეს უთ ქაჯი უთ ამირანია, მაგრამ ერთმანეთს უთ შევხვდებით.

— ესროლა ამირანმა ძაღლის თავი, დაარტყა მაგიდას და კინაღამ წააქცია. წამოხტა ტახი და ელიას ალი გამოიღინა, ამით დაეწვა-ვო, ისე ამირანმა ერთი გულა-კუპრი სახედრის შარდი მიასხა და ელიას ალი შეაქრო ახლა კიდევ სახედრის თავი ესროლა და ეს სუფრა მთლად წაუქცია.

— ჰაა, ვაგლახ უთ, ტახო, ახლა უთ ივარგე, ძაღლი უთ გექნება. ელიას უთ ალით დაწვი.“

ახლა ტახმა ელიას ალი წამოიღინა. ამირანმა სახედრის შარდი ჯერ ერთი გულა მიასხა, მერე მეორე და შეაქრო(ახლა). ტახი მოკვდა და დევმა თქვა — ოითა ბაბაია. რა უთ მიქენი, ქაჯო ამირანო!

— ჰაა, სუნია დევო, როგორი დღე გადგას, შავ დღეს დაგაყენებ დღეს, ან ჩემი ძმა დამიბრუნე და, თუ არა და, ერთმანეთს შევაკვდებით!

განრისხდა ახლა დევი და ირგვლივ ტრიალებს ეკლესიაში ჯერ ერთ კუთხეს ამგერებს ჩოქს, მერე მეორეს. მარჯვენა კუთხეში კარი გაიღო. გამოვიდა და კარი ისევ კელლად იქცა.

— ჰე, ვაგლახ, ძმებო, მე დაღალული ვარ კედელზე ნაცოცები და პირველად თქვენ ეჭიდავეთ! სტაცეს ერთმანეთს დევმა და ვირსპილდმა და ვირსპილდს ცოტალა დაუგვიანა და სძლია ახლა ბადრილმა სტაცა. დევი ამას ისევე მოერიო. ახლა სეფეთარმა სტაცა, ამა-საც ცოტა დაუგვიანა და ისევ სძლია. ახლა სტაცეს დევმა და ამირანმა ერთმანეთს. ჯერ ერთი იქნევს და მერე მეორე. დევი მოიქნევს და კოჭამდე ფლავს ამირანს. ამირანი იქნევს და მუხლებამდი ფლავს დევს. ჭიდაობენ, ჭიდაობენ ძალიან მაგრად და ერთი ხნის შემდეგ დე-

ვი დასცა ამირანმა. იძრო დაშნა და სჭრის კისრებს. თორმეტ კისრიან ღვეს. თერთმეტი მოსჭრა და ერთი დარჩენილი აქვს. ახლა ღვემა — მაღლი უთ გექნება, ამირანო, ეს იყოს, არ მომჭრა და შენს უთ ძმას დაგიბრუნებ!

— ჰე, სუნია, ღვეო, როგორ დამიბრუნებ. კარი არსაიდან აქვს ეკლესიას და გაღება დამასწავლე! იმას უთ დაგასწავლი: სამჯერ უთ შემოუარე ეკლესიას გარშემო, იმდენჯერ უთ ჩოქი უთ ჰკარი მარჯვენა უთ კუთხეში, გარშემო შემოვლისას ასე უთ იძახე: „...ერგე ბურგე, ფუსდუკ ჩაყთჳრ, შუბლსახელოვანი“, მაშინ უთ კარი გაიღება, შენი უთ ძმა კუთხეში დაბმული უთ არის და იმას უთ ამოუშვებ.

— აბა იმასაც ისე ვიზამ, შენც მოგჭრი კისერს/ეს დაისწავლა ღვეისგან და კისერი მოსჭრა. ეს ღვეი ასო—ასო აქნა და გადაყარა იქით—აქეთ. მოდის ეკლესიის გარშემო და ლაპარაკობს: „ერგე ბურგე. ფუსდუკ ჩაყთჳრ, შუბლსახელოვანი“, კარი გამიღე, შე ბედნიერო“, — ასე იძახის და ჩოქს ამკერებს მარჯვენა კუთხეში და კარი გაიღო... შევიდნენ ყველა—ამირანი და მისი ძმები, სუფრა წამოაყენეს, კათხ—ხის სასმისი მაგიდაზე დადგეს, სამწყალობნო პურის კვერი აიღეს, მაგიდაზე დადგეს და შემოუსხდნენ მაგიდას. ეს თავიანთი ძმა მერაბი, კუთხეში ჯაჭვით (რომ) ება, ამოუშვეს და (სუფრაზე) შემოიხვეს. კათხ—სასმისს შესვამენ და შეივსება. სამწყალობნო კვერას ჰკებენ და ნაკბერი გამოეზრდება. სუფრობა რომ მოათავეს, დაისვენეს, (მაშინ) უთხრა ამირანმა ძმებს, ახლა წავიდეთო სახლში. რომ დაბმული იყო მერაბი, ეს არ მიჰყვება, რა გვინდაო სახლში, ვიყოთო აქ ყველა ერთად. სახლში კი სამხიარულო გადაიხადეს.

— ერთ ღღეს ძმები სათიბავად წავიდნენ. ეს მერაბი სახლში დატოვეს საჭმლის მომამზადებლად. ამ ღღოს, ამოვიდა ღვეი მიწის ხერელიდან და, ამ მერაბს რაც საჭმელი გამომცხვარი ჰქონდა, ყველა შეჭამა, მერაბი უწყრება, მაგრამ ღვეი ელაპარაკება, დამაცალეო, თორემ ნაცარსაც ამოვლავაო, ნახშირსაც შევჭამო და შენც გადაგყლაპაო. ახლა შეეშინდა საბრალოს და ვერაფერი უთხრა და თავი დაანება, მოშორდა.

ეს ძმები დღეის დღე უცდიან ხარჯს და არ მოუვიდათ. მოვიდნენ სალამოს სახლში და მერაბს ეჩხუბენ. ხარჯი არ მოგვიტანე და ერთი რია—რია აუტეხეს. მერაბმა განუმარტა, დევმა ყველაფერი შეჭამა და რა მომეტანაო. (ახლა) ასეა ამაღამ და მეორე დღეს ვირსპილდი დატოვეს სახლის მცველად, შენ მაინც მოგვიტანეო ხარჯი, თორემ შავ დღეს დაგაყენებო, უთხრა ამირანმა. წავიდნენ მეორე დღესაც და ამ დროს ისევ დევი მოვიდა და დამზადებული ყველა ისევ შემოაჭამა. საბრალო ეს ვირსპილდი უარს ეუბნება, მაგრამ ძალღად არ ჩააგდო. უცდიან ძმები ხარჯს, ისევ არ მიუვიდათ და უკვირთ. მოვიდნენ სალამოს სახლში და უარესი ფათერაკი ამას აუტეხეს. ამან ისევ განუმარტა, დევმა ყველა შემოაჭამა და მეც კინალამ დამგლიჯაო. მესამე დღეს ბადრილდი დატოვეს მცველად და თვითონ ისევ წავიდნენ სათიბად. ამანაც გაამზადა საჭმელი, ხორცი და სხვა. ამ დროს დევი ისევ მოვიდა და ყველაფერი შემოაჭამა. უცდიან ძმები და ისევ არ მოუვიდათ საჭმელი და მოვიდნენ სალამოს. სიმშვილით იხოცებიან. ძალიან ეჩხუბენ, ყოველდღე უჭმელად ვთიბავთო. ამაღამ ასეა კიდევ მეოთხე დღეს სეფეთარი დატოვეს მოხარჯედ, მაგრამ დევმა მანამდელსავით ჩაიდინა: ჰმ! ესენი ამაღამ კიდევ უარესი მშიერი დაბრუნდნენ. ახლა ამირანმა უთხრა. ხვალ თქვენ წადით სათიბვად და სახლს მე დავიცავო. წავიდნენ ძმები და ამირანი დარჩა სახლის მცველად. ახლა მოამზადა ხარჯი ყველაფერი. დევი მოვიდა და ამირანი არ უშვებს.

— შენ უთ შეგეკითხები?... ხარჯს შეგვჭამ, შემდეგ შენ შეგვჭამ და ნახშირს და ნაცარსაც ამოვლოფავო. შემართა ამირანმა შევილდისარი და დევს ჰკრა. დევი ჩავარდა ქვესკნელში და ისეთი მტვრევა—ბრაგვანი გაადინა, რომ მეორესობა შეიქმნა და ამოისმა ზესკნელში. ახლა მოვიდნენ ძმები სახლში და უამბო ამირანმა, დევი მოვკალი და რა უნდა ყოფილიყო ეს მტვრევა—ბრაგუნის, გავიგოთ და ჩავიდეთო. ჯერ ერთ ძმას მოაბეს თოკები და ჩაუშვეს, მაგრამ ის ვერ ჩავიდა, ჰა, ამომაბრუნეშ. ახლა მეორე ძმა ჩაგზავნეს და ვერ ჩავიდა. ვაი, დედა—დედა, ვიწვიო და ამომაბრუნეთ. ახლა — მესამე, მერე — მეოთხე, მაგრამ ესენიც ამოსაბრუნებელი შეიქმნენ. ბოლოს ამირანს მოაბეს თოკები და ჩაუშვეს, რაგვარი ვაი არ ვთქვა, არ ამომაბრუნოთო, დააბარა.

ჩაუშვეს ამირანი და უძახის ზევით, ჩამიშვით და ჩამიშვითო და უკვე ჩავიდა ქვესკნელში. აქ ერთ დედაბერთან შევიდა, ჰე, ვაგლახ,

დელაბერო, ხარჯი გამიმზადეო, თორემ ზესკნელიდან მოვედი და სიმ-
შილით ვკედებიო. მოვიდა დელაბერი, პატარა ჯამურა აიღო, შიგ ჩა-
აფსა და ზელას შეუღვა. ჰკითხა ამირანმა, რას შერები დელაბერო.

— აბა, რა ვქნა, ბებიის მზესა, წყალი არ მოდის. ყველაფერი
გაშრა. — რატომ გაშრაო მერე, დელაბერო, — რატომო და იმგვარი
ჩამოვარდაო ზესკნელიდან რალაცა, რომ წყალი ყველა ქვეშ მოექცა
და წვეთი არავის აქვსო.

— წყალს ვინც ამოუშვებს, რა იმედი იქნებაო?

— რაო და კეისარი თავისი ქონების ნახევარს მისცემსო.

მოვიდა ახლა ამირანი, მონახა დევი, დაუწყო ჭრა და თორმეტ
გელა მთას იქით გადაყარა და წყალი ამოუშვა. ჰე! ახლა კეისარისა-
ნებს ისე გაუხარდათ, რომ კეისარი, სახელმწიფოს ნახევარს აძლევს.
ეს ამირანმა არ ინდომა. სამი ვერძი სთხოვა და ესენი კეისარმა მისცა.
მოდის ახლა.

— რა გჭირსო, ორბო, ჰკითხა ამირანმა და ორბმა უპასუხა,
რაო და წყლის წყურვილით ვიხრჩობი და წიწილებიც მეხრჩობიანო.

— ვინც წყალს დაგალევინებს, რა იმედს მისცემ, ზესკნელში
აიყვან კიო?

— შევეცდები და კარგი საგ ზლიანი თუ ვიქნებით, კი ავალთო.

ორბმა სამი ვერძი და ამირანი ყველა შეისვა. მოდიან ახლა
ზესკნელში. ასაბრუნებელი თოკები მისმა ძმებმა აიბრუნეს და ორ-
ბით ასასვლელი იმიტომ შეექნა ახლა. ჰე, თანდათან როგორც მიდიან,
ისე ორბი უფრო დაიმშა და ჰაი, ვაგლახ, ამირანო, ახლა რამე სანაყ-
როვნო მომიგდე, თორემ ვვარდებითო, სიმშილით. ამირანმა ვერძი მი-
უგდო, კიდევ წვეთი ავიდნენ, კიდევ სთხოვა და მეორე ვერძი ახლა მი-
უგდო. ჰმ, ახლა მიუგდო. ახლა თითქმის უკვე ეს არის ამოდიან, ცო-
ტალა უკლიათ და მესამე ვერძი ახლა მიუგდო, ახლა თითქმის უკვე
მოაღწიეს, მოვიდა ახლა ამირანი, ბარკალს მოიჭრა და საბრალომ ის
მიუგდო. ახლა ესაა, მისვლაზე არიან და ჰე. ვაგლახ, ამირანო, რამე
სანაყროვნო, თორემ ახლა ვვარდებითო. ამირანმა მსწრაფლ მოიჭრა
მეორე ბარკალს და ისევ მიუგდო.

— ჰა, ამირანო, ბოლოს მონაგდებნი ცუდი გემოსი მჭკვენა.

შემოტრიალდა ორბი გარშემო და ზედ ზესკნელზე გაჩერ-
დნენ.

– ჰე, ვაგლახ, ამირანო, ახლა ჩამოდი, თორემ არ შემიძლიაო.

– ჰმ! ჩამოსვლა არ შემიძლიაო.

– რატომ არ შეგიძლიაო?

რატომ და ჯერ ერთ ბარკალს მოგიჭერი, მერე მეორეს, ის გაჭამეო.

ახლა, საბრალომ, ჩამოაგორა თავი ორბის ზურგიდან, როგორც იყო. გაუსვა ამ ორბმა ფრთები და ამირანი, როგორც ყოველთვის იყო, ისე გამოამთელა. ახლა ამირანმა ორბს და ამას საგზალი უშოვნა ქვესკნელამდე და ჩაუშვა უკან.

ჰმ! ახლა ამირანს დიდი ჟინი აქვს თავისი ძმებისა. მოვიდა ახლა და, ცუდ არაკად, ისე გაჯავრებულია, რომ არც ჭროდა თვალებიანს ტოვებს, არც წითელთმიანს. ახლა ეს გაიგო დიდმა ღმერთმა. დიდება მიუვიდა, განრისხდა ამირანის მიმართ, მე კარგ–სიკეთეს არ ვაკლებ და თვითონ კი ხელიდან მთლად წამივიდა ტყიურადო...

ახლა გაიგო ეს ხელმწიფემ და ამირანის დასაღალატებლად ჯარი გამოუშვა და შემოერტყენ თორმეტ სამორკეცად. ახლა ამირანი თავის ძმებს შეურიგდა და ჰყავს თან და ამათ, ამ ძმებს, გადასძახა; ჰა, ვაგლახ ძმებო, ახლა ეს არის ვლალატიანდებო. შეებრძოლა ერთი ძმა... ერთი ორკეცი მთლად ამოხოცა და თვითონაც, უფროსი ძმა მერაბი, მოკლეს, მაშინ მეორე ძმა შეენაცვლა, იმანაც ამოხოცა მეორე ორკეცი და თვითონაც მოკლეს. ახლა სხვა ძმებიც დაერიენ და თითომ თითომ ორკეცი ჯარი დახოცეს და თვითონაც შეაკვლნენ. ამით ამოწყლნენ ახლა იამანის შვილები (როგორც დარეჯანმა წიგნით უანდერძა. ჰმ, ახლა, რაც დარჩენილია ჯარი, ამას შეუტია ამირანმა და ეს ლაშქარი, რაც დარჩენილი იყო, ყველა ამოხოცა.

ახლა გაითქვა, ამირანის მომრევი არაფერი არ არისო და ერთი მებრძოლი მხეც–ღვეი არისო სადღაც დიდ კლდეში და მოვიდა დიდი ღმერთი. ჩაჯინებული მხეცღვეი და ამირანი მიუშვა ერთმეორესთან (ჩაგონებით) ჰე, ახლა მხეც–ღვეს დაემებს ამირანი და მხეც–ღვეი ამირანს ეძებს. ერთმანეთს დაემებენ, დამუქრებული არიან.

მიღის ამირანი, მიღის მხეც–ღვეის საძებნელად. აქედან მხეც–ღვეი დაემებს ყველგან, ახლა ერთმანეთს შეხვდნენ.

– ჰა, კარგი დღე გქონოდეს ბიძას, საით მიდიხარ, ბიძავ, და? – ეკითხება ამირანი.

— საით უთ და ქაჯე უთ ამირანს უთ ვეძებ, ჩემი უთ დაძღვევა დაუტრებახეხია! ახლა ამირანმა გული წაუხალისა და უთხრა, ამირანი შენ თვითონ მოგერევაო.

— იგი უთ დაუტრებახეხია უთ ჩემი მორევა, მაგრამ ერთმანეთს უთ შევეხვდებით, მაშინ ერთმანეთს უთ ვანახვებ.

— აბა, იმის დამძღვევად თუ გამოდგები, იმაძმე შევატყობ!

— რით უთ შეატყობ და?

— რითი და, დიდი კლდე მიასწავლა, ამის ძირში შენ დაწექიო. კლდეს დაგანგრევ და, შენ თუ გადაწევ, მაშინ ამირანის დამძღვევად გამოდგებიო...

— ჰმ, ახლა მოვიდა ამირანი და ავიდა კლდის თხემზე. ჰკრა ამ კლდეს ქუსლი და დევს ეს კლდე ზედ დაანგრია. ჰკრა თათები დევმა და ეს კლდე მეორე მხარეზე გადაწია. მაშინ ამირანმა უთხრა, მართლა ვარგებულხარო ამირანის დამძღვევად, მაგრამ ერთ სათქმელს გეტყვიო კიდევ. — რა იქნებაო და? — რაო და ერთი ტბა მეგულებაო, დიდი უსახისი. ამ ტბაში ჩაჯდები და ტბა ყინულად (რომ) გადაიქცევა, მაშინ შეანჯღრევ—შემოანჯღრევ და ყინულს იქით—აქეთ თუ გადაყრი, ამირანი ვერ მოგერევაო მაშინ. მოვიდა ეს დევი და შუაში დაჯდა და ამირანმა ეს დიდი ზღვისოდენა ტბა ყინვად გადააქცია. შეინჯღრა დევი და ეს ყველა ისევ იქით—აქეთ გადაყარა. ჰაჰ, რა სალაპარაკოა, ყველას მომრეველ ნავარგებხარო. ახლა დევმა უთხრა: — როგორც უთ ჩანს, შენ უთ ხარ ქაჯი უთ ამირანი!

— მე ვარო ამირანი, — უთხრა ამირანმა, გერჩიოს დაძმობა გვექონდეს, არა და მტრობა, რომელი უთ გერჩის.

ვერც ერთმა ვერ ამოირჩიეს ვერც ძმობა და ვერც მტრობა. ერთმანეთს შეუამხანაგდნენ დევი და ამირანი და, ესენი რომ არ ჩადიან, ეს ქვეყანაზე არაფერია. ამირანი ქალს ხმას არ აღებინებს ახლა მოუმიზეხეს ერთმანეთს დევმა და ამირანმა, ჩხუბობენ და ერთმანეთს სტაცეს. ჯერ ერთი მოიქნეს, მერე მეორე, ერთმანეთს ვერც ერთი ვერ ერევა. ახლა მოვიდა დიდი ღმერთი და, რადგან ღმერთი და ადამიანი ყველა მოაბეზრეს მხეც-დევმა და ამირანმა, დააბა იალბუზის სვეტში.

ერთმანეთთან ცოტა უკლიათ დევსა და ამირანს, ეტორებიან ერთმანეთს და კინაღამ, თორემ ნეკების ფრჩხილებს აკარებენ ერთმანეთს. ახლა დიდმა ღმერთმა დაუდგინა; ოთხშაბათ—პარასკევს ფრჩხი-

ლებს ვინც იჭრიდეს, ის ამირანს ემატებოდესო. დევს დაუდგინა, რომ ხუთშაბათ–სამშაბათს ვინც იჭრიდეს, ის დევს ემატებოდესო.

დატოვა ახლა აქ დიდმა ღმერთმა. არიან აქ მეტად გულგატეხილები. ახლა ერთი მონადირე კაცი წააწყდა ამათ. ესიამოვნა ამირანს ამის ნახვა და ეკითხება ყველაფერს. – ჰე, კარგო კაცი, ქალის ხმა სახლის ქვემო სართულიდან ზემო სართულში თუ ამოისმის? – ოჰ, როგორ არ ამოისმის, ყველგან ქალის ხმაა მოდებულიო, ყველგან ქალის ხმა ჭექსო.

– ჰა. ვაი ჩემი ბედი, საბრალო, ჩემი ადამიანი, ქალი გასვლია ხელიდან, ტყიურადო. სხვა იქაური კარგი ყველა – აქ და აქაური ცუდი ყველა – საიქიოში.

*თარგმნა სევანურიდან ა.დავითიანმა.
მთქმელი და ჩაწერის თარიღი არაა მითითებული.*

15. ამირანი

სადღაც არის ერთ სოფელი. ეს სოფელი ყოველ კვირაში სხვადასხვა ფერის იყო: შავი, წითელი, ყვითელი. ერთხელ ამ სოფელში მოვიდა ერთი მჭედელი. ეს შეეკითხა სოფელს: — რატომ ხართ ასე სხვა ფერის?

— რატომო და ჩვენს ზევით კლდეში რაღაცა კივისო. ის როცა დაიკივლებს, მაშინ სოფელიც ფერს იცვლისო. — აბა, მე წავალო იქ. ამ მჭედელმა ვეების ლურსმანი გაჭედა. აღიოდა კლდეზე. ააღწია ათი წლის შემდეგ, კლდეში აქ ქალი იწვა, ოქროს ნაწნავები ჰქონდა. ამ ქალს ეძინა და მჭედელი მიუწვა. ეს ქალი დალ—კლდის ქალი იყო. გამოიღვიძა და გაუკვირდა, შენ რა გინდაო ჩემთან. ცოტა ხნის შემდეგ დანა მისცა, შე ქაჯო. გამჭერიო და მუცლიდან გამოიყვანო ვაჟს, ამ ვაჟს თხის ტყავი გამოხვიეო, სამ გზასაყარში დადევო. სახელად ამირანი დაარქვიო. მომრევი იმისა ნურაეინ იყოს და მომნათელელი ნოე იყოსო.

მჭედელმა პირველად გაჭრის უარი უთხრა, მაგრამ შემდეგ დალმა დააშინა და გაჭრა. აქედან ვაჟი გამოვიდა, როგორც დალმა უთხრა, ასე ყველაფერი შეასრულა მჭედელმა. ამ ბავშვმა გზაში ტირილი დაიწყო და ამ ტირილმა ყველას თავი მოაბეზრა. ნოესაც ესმა ტირილი და იმან უთხრა ყორანს, ჩადიო და გაიგეო. ჩავიდა ეს ყორანი და ბავშვს ერთი თვალი გამოუღო და ამობრუნდა.რა იყო, შეეკითხა ნოე.

— რაო, შენი ჭირი შემეყაროს და შენი წყალობითო ყველა თამაშობს და მღერის. მაინც ისე ისმოდა ტირილი. ნოემ მაშინ ყვავი გაგზავნა და შენ მაინც გაიგე, რა ამბავიაო! ამან ბავშვს მეორე თვალი გამოუღო, და ნოეს უთხრა, არაფერიო, შენი ჭირი მომსვლოდეს. ყველა თამაშობს და მღერის შენი წყალობითო. ტირილი მაინც არ შეწყდა. მაშინ ნოემ მტრედი გაგზავნა. მტრედმა ნახა ეს და ტირილი დაიწყო სიბრაღულით და ამობრუნდა ნოესთან.

— რა ამბავიაო, მტრედო? — ჰმ, რა არ იქნებაო, ბავშვი ღვესო სამ საყარ გზაში. ერთი თვალი ყორანს გამოუღიაო, მეორე ყვავს და. ახვევიაო თხის ტყავი, ის ტირისო, აი, ასე.

მაშინ ნოემ ყვავი და ყორანი დაწყევლა, ადამიანის საჭმელად ნურსად ვარგებულხართო, სამუდამოდ დაწყვევლილი იყოთო და ყველაფრის თქვენ გეშინოდეთო.

მტრედს ნოემ რაღაცა ბალახი მისცა, ეს თვალზე გამოუსვიო ბავშვს და, როგორც შეხვეულია, ისე ამომიყვანეთ. მტრედმა ყველაფერი ისე შეასრულა, ნოემ წერილი, რომელიც ტყავში ჩატნეული იყო, დაღ—კლდის ქალის დარიგებით მჭედლის ნაწერი, ის წაიკითხა. ეს ბავშვი მონათლა, სახელად ამირანი დაარქვა, კარგად გაზარდა.

ეს ბავშვი გაზრდის დროს ყოველდღე მტკაველს მატულობდა. ამ ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი: ბადრი, სეფედარი და ვისიპი. ეს ამირანი ქალებს ყოველ საღამოს ოხარებს ზურგზე ახეთქავდა. ერთ ღამეს ერთმა დედაბერმა უთხრა; მე რას მაქნევინებო, შენი მამა ბაბა ბერჯიანი დევბერჯიანს უბიანო, იმას ერთს დილას სცემს და მეორეს საღამოს და იმას ეძებო. ახლა ამირანი ცუდ გუნებაზე დადგა. მოვიდა სახლში და ნოეს უთხრა, მე ვისი შვილი ვარ, მითხარიო. ნოემ არ გაურკვია. აბა, მე წავალო და ახლა ნოემ უთხრა: ცოდვა ჰქონოდეს — ვინც ეს გითხრაო. ჩემს შვილებს ვერ გავუშვებო. მაშინ ამირანმა თქვა: ჰმ, უშენშვილებოდ მივლიანო. ახლა ნოემ დაარიგა: ჰეო, აბა, მაინც თუ არ დგებიო, წადი იმას, დევბერჯიანს, ახალ კვირა დღეებში იარაღის ხელის მოკიდება არ შეუძლია და უარს გეტყვისო ჭიდაობის, მაშინ შენ ასე უთხარიო.

— ქალის ლენაქი დაგეზუროს, თუ არ დამეჭიდლო! ჰმ, იმას როცა მოერევი, მაშინ შენი მამა დაბმული ჰყავს, ის გამოუშვიო. წავიდა ეს ამირანი, მონახა დევ ბერეუიანი და უთხრა, დამეჭიდეთ. მე დღეს იარაღის შეხება აკრძალული მაქვს, სხვა დროს მოდიო —, ქალის ლენაქი დაგეზუროს, თუ არ გამოხვიდეთო.

მაშინ გაბრაზდა, სტაცეს ხელი ერთმანეთს, ამირანმა ქვეშ მოიგდო. ათი თავი ჰქონდა, ათივე მოჭრა. შემდეგ მის ბაბუასთან გავიდა ამირანი, ბაბუამ იცნო მისი შვილი, ამირანმა უთხრა: ბაბუა, რატომ უზიხარ დევს აქ? რატომ და დედამისის დაწყევლის გამო. აქვს რაიმე სათქმელი ამას. მაშინ უთხრა: ერთი რაში ყავს, ოღონდ თავდებობა მომეცი, რომ ის რაში ყურებშუპ, არაფერი დაარტყას. მისცა ამის თავდებობა. ეს რაში ცა—ღრუბელს შუა დახტის. ბაბუამ რაში აჩუქა და ამირანმა წაიყვანა. ერთ ადგილას დაეძინა. ძილის დროს შე-

მოესიენ მწვეარ—მეძებრები. რაშმა დაიფრუტუნა და გააღვიძა. გაიხე-
და ამირანმა და ვერავენ დაინახა. მეორედაც შემოესიენ. აწიო არ გა-
მოაღვიძოს, თუ არა, ყურებშუა დაგარტამ. მესამედაც შემოესიენ და
რაშმა გააღვიძა. გაბრაზდა ამირანი და ყურებშუა დაარტყა. როცა მე-
ოთხედ შემოესიენ, რაშმა არაფერი უთხრა. ამირანი დააბეს რკინის
საკიდელით: ის მწვეარ—მეძებრები ღვევი ბერეჟიანის ყოფილა. ამირა-
ნი ახლაც ასე აბია იქ, იქაური კარგი — აქ და აქაური ცუდი — იქ.

*რიდა ნ. ჯამბელანი,
ს. მაზერი, 1954 წ.
ჩამწერი ალი დავითიანი*

ამირანი ყოფილა ... ცოლ-ქმარს ჰყოლიათ ვიბრი და ბადრი — მათი შვილები. ახლა გზაზე მიდიან ესენი, ცოლ-ქმარი და სამ გზა საყარზე ბავშვი იპოვნეს. ახლა შემოიყვანეს სახლში და მტკაველს დღისით იზრდება და წრთას ღამით. ეს გმირი შეიქნა, იქამდი მივიდა. ამას თვალი არ აქვს. იმას, იმ იმით მამას.

ერთ დღეს ბავშვები თამაშობენ და ამირანი ერევა ყველას.

— ჩვენი მორევის ნაცვლად შენი მამის თვალს ეძიეო!

შემოვიდა ახლა ამირანი და ღელა, „ზაჭაპური გამომიცხვეო“.

— რად გინდა, დედის დღეო, ყველაფერი ასე გვიყრიაო.

— მაინც ახალი ზაჭაპური მინდაო.

— ახლა გამოუცხო დედამ ზაჭაპური.

— დედა, ახლა მუხლზე დამიჯდინე!

— დიდი იქნები მუხლზე დასაჯდენად!

მაშინ ახადა ზაჭაპურს, დედას მკერდის ფოლაქები გაუხსნა და ძუძუებს გამოგიწვა, ჩემი მამის თვალს რა მოუვიდა, მითხარი თორემო!

ღვეის ბეგარა გვემართა, დედის დღეო, და მისთვის მისაცემი შეგვექნაო.

— აბა, როგორ ემჯობინებაო წასვლა?

— ჰმ, დედის დღეო, ამ კარზე ღოლაბი ქვა გვიდგას, ეს სამჯერ გადააგდე კოშკს ზემოთ და იმ მხრით, რომ დაიჭირო, მაშინ ღვეის მემორად ივარგებ, თუ არადა და არაო,

ამირანმა ქნა ეს ყველაფერი.

ახლა მოემზადა ეს ამირანი. ვიბრო და ბადრი თან იახლა და წავიდნენ. მინდორში შეხვდნენ ღვეის მეჯოგეს და ამას ჰკითხა ამირანმა, ეს თეთრი სახლი ვისი არისო?

— ესაა ღვეის:

— კარ-ფანჯარა საიდან აქვსო? საიდან და კარი ქვემოდანო და ფანჯრები ზემო მხარეში, შევიდნენ ამაში. ახლა სანადიროდ ეთრევა ეს გლაზა დევი. მოვიდა და კითხულობს. ვინ იქნებაო ამ ჩემ სახლში.

— შემოდო, მოესმა სახლიდან, შემოვიდა.

როგორც თბება, ისე მატულობს, აი ეგ დევი. ახლა აიშალნენ და დევმა უთხრა: მე კბა, ამირანის გარდა, არავისი მეშინიაო.

— ამირანი მე ვარ, აბაო.

ახლა შეუტიეს ერთმანეთს და გადაყლაპა აი ეს ამირანი ამ დევმა. ამას ამ ამირანს დევის მუცელში მახვილი ლეკვერთხში ურჭვია. ახლა დევს მუცელი ასტკივდა, ზევით ჭერს ეცემა და ქვევით მიწას ეხეთქება და დედამ ჰკითხა, რა გჭირსო?

— რა და სამი ბუზი შემხვდა, ერთი გადაყლაპე და ორი გაშექცაო.

— უი, დედაისი, ის ამირანი იქნებოდაო!

ახლა ფანჯარაში (სახვრელეშიც) უძახოდნენ ვიბრი და ბადრი; — ამირან, კალამჩალამ დევის მუცელში ხარ, მახვილი იგი აძგერე და გამოხტი გარეთო. ახლა აძგერა და გამოხტა ამირანი და მისმა ძმებმა შეუტიეს ამ დევს, თავი მოსჭრეს, მოადგა ამირანი და დევის ქონება ყველაფერი თავის ძმებს დაუტოვა.

დევს გოგო ჰყავს და ამირანმა დევის ასული ითხოვა ცოლად, მიჰყავს ეს ცოლი ზღვაზე და უთხრა თავის ცოლს, აბა თმა გადაადევრო ზღვაზე. ქალმა გადაადო ზღვაზე თმა და ზღვა გაიყინა. ახლა მე გავალო ამ თმაზე და გავიდა მეორე მხარეზე...

— მე არ გამიყვანო ამირან? — შეეკითხა ცოლი, — არ გაგიყვანო. დევის შვილს ამირანი წაიყვანსო? იძრო მახვილი, გაჭრა ეს თმა და ქალი შეატოვა მეორე მხარეს ქალი შეტრიალდა მარცხნით, დაწყევლა ამირანი, ნურც მიწას მიჰკარებიხარ, ნურც ცასა, წყეულიმც ხარო, ქაჯისა და ავის ბედისა ყოფილიყოსო, და მან, ამირანმა, რომ არ გაიყვანა, თავი დაახეთქა ქვას.

ამირანის მძლე არაფერია, ღვთის გარდა... ახლა მანუა ამირანი ... ერთხელ შეხვდა ქრისტეს, მის ნათლიას და ამირანმა უთხრა ნათლიას; მეჭიდავეო. მაშინ ქრისტემ უთხრა, რომ ნათლია არსად დასჭიდავებიაო ნათლულს.

— მაინც მეჭიდავეო. მაშინ ამან, ამ ქრისტემ, ჯოხი დაასო, იმ ჯოხის ფესვები ცით დაფარულ ქვეშ ყველგან გასწვდა. ამირანს უთხრა ქრისტემ, ამას თუკი ამოაძრობ, მაშინ ვარგხარო ჩემ მოჭიდავედ, არადა არაო.

მაშინ ამირან დაეჭვიდა ამას და ვერ ამოაძრო და ქრისტე ღმერთი მოვიდა და შეაბა ამ ჯოხს და იმის შემდეგ ასეა მიბმული. ექაჩაება ამირანი ამას, ამ ჯოხს, სწევს ზევით, მაგრამ ვერ აძრობს. ანძრევს ამას და ამ დროს მოფრინდება პატარა ჩიტი თოხისტარა და დააჯდება ჯოხზე. ამას რომ ამირანი შეხედავს, ჩიტს ჯავრით უროს მოუქნევს. თოხისტარა გაფრინდება და ურო დაეცემა ჯოხზე და ჯოხი ისევ ჩაბრუნდება თავის დანასობამდი.

*აღი დავითიანის კოლექტიიდან.
მთქმელი და ჩამწერი არაა დასახელებული.*

ერთ სოფელში ცხოვრობს მონადირე ცალთვალა ჯამანი თავისი ცოლ-შვილით. შვილებს ჰქვიათ ბადრი და უსუპი. მჭედელი ჯამანი მონადირეცაა. დაღის ყოველდღე და ას-ასი ნანადირევი მოაქვს.

ერთ დღესაც სანადიროდ წასულმა ჯიხვი გააგორა, წამოიკიდა ზურგზე, გამოეშურა სახლისაკენ. სოფელს რომ მოუახლოვდა, მთელი მეზობლობა ნახა შეყრილი. სოფელში სულ ასი კომლია. სოფელი ჩიოდა თავის გასაჭირს: — წელიწადი ერთია, ჩვენი უბედურება კი უამრავი. მთელი წლის განმავლობაში ვერ იგებს ვერც თხა, ვერც ღორი, ვერც ძროხა, ვეღარც ქალები აჩენენ შვილებს, ყველასა და ყველაფერს შორდება ნაყოფი.

ვინ არის ჩვენ შორის გულადი და კეთილი ადამიანი, ჩვენი გაჭირვების მშველელი რომ იყოს. იქ უნდა წავიდეს მჭედელი დარჯელანი — გადაწყვიტა სოფელმა და თითო-თითო ძროხა შეუგროვეს მხსნელს.

დარჯელანი გაუდგა გზას. თან წაიღო საჭირო იარაღები. კლდეს რომ მიადგა, ამოიღო დიდი და გრძელი ლურსმნები, არჭობს კლდეში, აკეთებს საფეხურებს და მიიწევს მაღლა. ბოლოს მიადგა ერთ გამოქვაბულს. აქ, დიდება მის სახელს, დაბრძანებულია დალი.

— რატომ მოხვედი, რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა.

— რა და, უნდა გავიგო სოფლის გასაჭირის მიზეზი და ვუშველო ხალხს, რატომაა, ყველა ცოცხალ არსებას ნაყოფი რომ შორდება.

— იმიტომ, რომ ჩემთან მოდის დევი, „ჩამიწვინეო“, მაძალებს, რასაც მე არ ვკადრულობ, დევი მაინც დაჟინებით მთხოვს, მაშინ მე 3-ჯერ ზედიზედ უსაშველოდ ვკივი, დევს ამით უფსკრულში ვაგდებ, ვიშორებ თავიდან. სწორედ ჩემი კივილების გამოა თქვენი გასაჭირი.

დალი და მჭედელი დარჯელანი ერთად დაწვნენ. დაღს ოქროს ნაწნავები აქვს, რომლებიც დაწოლის წინ ფანჯარაში გაღაპკიდა, მაგრამ ისიც გაახსენდა:

— ნაწნავები გარეთ არ უნდა დაეტოვო, იმიტომ, რომ შენი ცოლი თამარი ეშმაკია (გტეფ). შეიძლება შენს გზას ამოჰყვეს და ნაწნავები შემჭრას.

გათენდა. ღალმა აწია თავი, ემჩატა და აღმოხდა:

— მორჩა ჩემი ცხოვრება. მე უკვე მკვდარი ვარ!

— გამჭერი მე ცოცხლად შუაზე, — უთხრა დარჯელანს.

— მეყოლება ვაჟი, რომელიც მხოლოდ 6 თვის იქნება, ჩემს შვილს რომ ჩემსავით მუცელში გასრულებოდა 9 თვე, ქუყენის მომრევი იქნებოდა.

— ბიჭი ჩაიყვანე, გაახვიე 3 წლის მოზერის ტყავში და დადევი მონადირე ჯამანის წყაროზე.

ვერ იმეტებდა დარჯელანი. ბოლოს გაბედა. გაჭრა. ამოიღო ანგელოზის სახის ყმაწვილი. დალი მოკვდა, მჭედელმა მისი ყველა ნათქვამი შეასრულა.

ერთხელაც ჯამანის წყაროზე ჩამოიარეს, დიდება მათ სახელს, დიდმა ღმერთმა, წმინდა გიორგიმ და იესო ქრისტემ.

პირველად ქრისტემ გაიგონა ბავშვის ტირილი, მაგრამ ვერაფერი თქვა, მერე — წმინდა გიორგიმ, ვერც იმან ამოიღო ხმა. დიდმა ღმერთმა გაიგონა და იკითხა:

— რა არის, თითქოს ბავშვის კენესა და ტირილი მესმის?

— მეც გავიგონე, მეც გავიგონეო! — იყო პასუხი, მაგრამ შენთან თქმა ვერ გავბუდეთ. (იმდენად დიდია ზომა ღმერთთ).

— აბა გადით, ნახეთ, გასინჯეთ და მოიტანეთ!

ტყავში გახვეული ბავშვი რომ ნახეს, თქვა დიდმა ღმერთმა:

— ამას მე დავარქმევ ამირანს.

— იყოს მარადიული, (იკა ლპ დლი მერდე) — ქრისტემ.

— ამის მომრევი არავინ იყოს, — დაანათლა, წმინდა გიორგიმ — ვიდრე 3-ჯერ არ გატეხავს ხელს (თასღატებს), მერე კი ქაჯ-ეშმაკებსაც უჯიჯგნიათ. ეს დაანათლეს ღმერთებმა და დააბრუნეს ამირანი ისევ ძველ ადგილას.

მოსაღამოვდა. ჯამანი ბრუნდება ნადირობიდან. წყაროზე ის ყოველთვის შეისვენებდა და წყალს სვამდა ხოლმე.

ბავშვის ტირილი რომ გაიგონა, მოსინჯა ადგილი, აიყვანა, ბიჭი რომ ნახა, სიხარულით ცას ეწია.

— ნეტავი ჩემს აწინდელ ბედსო, ეს იქნება მესამე ძმა ჩემი, ბადრისა და უსუპისაო.

სახლში ცოლმა დაბანა ბავშვი, გახვია შალ-ბამბეულში, დააწვინა.

ზრდიან ამირანს. სხვა რომ თვეობით იზრდებოდა, იმდენს დღეში იმატებდა მომავალი გმირი.

იმისთანა დადგა, რომ ამისი მომრევი არაყინაა ქვეყნად. აქლებული ჰყავს მთელი სოფელი.

ერთხელაც თავის ტოლებში მოთამაშე ამირანმა ვედრო დაუშსხვრია იქვე ჩამოვლილ მოხუც დედაბერს, რომელმაც უსაყვედურა, მე კი ნუ მცემ, მამაშენი ჯამანის თვალი მოძებნე და ვაჟკაციც მაშინ იქნებო!

დაბრუნდა ამირანი შინ მოღუშული. ჰკითხა მამას:

— მითხარი სწრაფად, რა უყავი თვალი, რა დაგემართა?

— ჩემი ცოდვა მიეცეს შენთვის ამის მთქმელს.

მე თორმეტთავიანი დევისთვის მმართველა 12 საუენი შეშის მოჭრა-დამზადება. რომ არ შევასრულე, თვალი ამომიგლო და აღარ დამიბრუნა.

თქვა ამირანმა: — მე წავალ მამის თვალის მოსაძებნად. მაშინ ჩვენც გაგყვებით, — უთხრეს ვისიბმა და ბადრიმ.

— თქვენ არსად წამსველადაც არ ვარგიხართ, ვიდრე არ გამოგცდით, არ გაგიშვებთ.

მე მიდგას ერთი კოშკი. თუ დოლაბს ისვრით კოშკის სიმაღლეზე და მეორე მხრიდან დაიჭერთ, მაშინ ვარგიხართ წამსვლელებად.

ბადრიმ დოლაბი ვერც ააცილა მიწას.

ვისიბმა მუხლამდე ძლივს აწია.

ამირანმა მხრებამდე აწია, მაგრამ ვერ ისროლა.

დაბრუნდნენ მამასთან.

— ტყუილია, ვიდრე არ ისვრით, ვერსად ვერ წახვალთ!

მთელი სამი დღე გაატარეს ვარჯიშში ზედიზედ.

ბოლოს გადაწყდა ამირანის წასვლა.

– ასე ხელცარიელი წასვლა არ ეგების. – უთხრა მამამ.

– აილე ვირი, გამოლადრე ყელი, მოსჭერი თავი, გაპარსე და თან დაიკავე.

გვჭირდება კიდევ ერთი ტიკი ვირის შარდი, ერთი ფუთი მარილი, კატის და ძაღლის თავები.

ყველაფერი ეს დაგვჭირდება დევთან.

წავიდა ამირანი. გაჰყვნენ ძმებიც.

ამირანი თეთრ ტაიჭზეა ამხედრებული.

ბური იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ დევის კარს. დევი ზის, გალადებული და მზიარული უკრავს ფანდურს და მღერის.

პირველად კატის თავი ესროლეს. დევმა ჩაიღიმილა, მიაბრუნ-მოაბრუნა თავი, ცოტა გაუკვირდასავით. მერე ძაღლის და ვირის თავები ესროლეს.

წამოხტა დევი, ხელათვე ელიას ალი აიკიდა სახეზე, განსაკუთრებით შუბლზე (ეს ალი დევს თან აქვს), მოახტა კერეტანს (რამს).

ამის მნახველმა უსუპმა და ბადრიმ გასაქცევი ადგილი ძლივს მონახეს, ამირანი არ დაიბნა. სწრაფად დაუყარა მარილი, კერეტანი მარილს დეწაფა, ჭამს და ჭამს, დევი ჩამოხტა და პირდაპირ მოდის ამირანისკენ, ელიას ალი წინ მოუძღვის. ამ დროს შეასხა ამირანმა ვირის შარდი, მთელი ტიკი.

ეტაკნენ ერთმანეთს. დიდხანს, დიდხანს ჭიდაობდნენ. ბოლოს წამოაქცია ამირანმა. მოაჭრა 11 თავი, შეეხვეწა დევი: – გეხვეწები, გემუდარები, ეს ერთი თავი დამიტოვე.

– ან დამიბრუნე მამის თვალი, ანდა ამასაც წაგაჭრიო!

– წინიდან დაგიბრუნო თუ უკნიდან?

– შე მართლა დევო, – შეუძახა ამირანმა, შენ უკნიდან განავალს გამოაყოლებო, წინიდან ამონაღებს, მე ის რად მინდა! მითხარი მართალი!

– ჩემს ოქროს სახლს აქვს შუაში ოქროს სვეტი, სვეტს აქვს ოქროს კოლოფი, მაგაში პატარა კოლოფებია, კოლოფებში ერთი ოთხკუთხედია, რომელშიც არის აბრეშუმში გახვეული მამაშენის თვალი. მიუტან, ჩაუყენებ.

დაბრუნდა ამირანი სახლში, ჩაუყენა, მამას პირვანდელზე უკეთესი მხედველობა აღუდგა.

გავიდა დრო. ამირანი კიდევ უფრო გაძლიერდა, ისე, რომ მთელ დელამიწას ძრავს.

— სახლში ვერ გავჩერდები. წავალ სადმე, განაცხადა ერთ დღეს. ეხვეწება დედ-მამა:

— მამა გენაცვალოს, გაგიშვებ, მაგრამ სახლი არ დაივიწყო, ისევ დაბრუნდი, არ მოგვატყუო, ჩამოართვა ხელი (თახდუჭებ) — არ გატეხო, იცოდე!

ამირანი წავიდა თეთრი რაშით. შევიდა ერთ უდაბურ ხევში. აქ ჩხუბობს ორი დევი — თეთრი და შავი. ამირანი ხან ერთს უძახის, ხან მეორეს:

— „თეთრო დევი, შავი გჯობნის“, ან

— „შავო დევი, თეთრი გჯობნის“ და ასე შეაკლა ერთმანეთს.

განაგრძო გზა. იარა, იარა. მინდორში გაჩერდა სადღაც, ესმის რაღაც გრგვინვა. ცოტა გაიარა, მიადგა ოქროს სახლს. შევიდა, რას ხედავს: დევის ქალი ზის და დარდალს (არყის გამოსახდელ ქვაბს აგორებს წალმა-უკულმა.

„— იმ ესერ იდჷვჷლ“, რას შვრებიო.

— რძეს ვადულებო, შენ კიდევ რა გინდა, გტაცებ ხელს ფეხებში, თავს ქვაბში ჩაგაყოფინებ, თუ მოვინდომეო.

— გეხვეწები, ცოლად წაგიყვან, ოღონდ ამას ნუ მიზამო. დევ ქალს ამირანი მოეწონა და შეუყვარდა კიდევ.

გავიდა ხანი. ამირანმა გადაწყვიტა წასვლა. წაიყვანა ცოლიც. შუა გზაზე რომ გავიდნენ, ცოლმა ჰკითხა:

— დაგავიწყდა რაღაცა?

— რა?

— ჩემი საჩუქარი, საჭმელი ფილთაქვა.

— მე უკან გავბრუნდები ფილთაქვის მოსატანად და ისევ მოვალ შენთან.

— დევმა ქალმა ხელი ჩამოართვა, რომ არ მოეტყუებინა.

ამირანი წავიდა. დევმა უცადა, უცადა, რომ არ მოვიდა, დაწყველა და გაბრუნდა უკან.

ამირანი მიდის. გრუხუნნი გაიგონა. მიმოიხედა. რას ხედავს, მოდის დევების ჯარი.

კუბოში ჩაწვენილი ჰყავთ ერთი დევი, სახელად ჰანდლახ, კუბოზე ხელი უკიდია ათას ორ კაცს, მაგრამ გასაჭირი აქვთ, ამ დევს — ჰანდლახს — ცალი ფეხი ვერა და ვერ ჩაადგმევინეს კუბოში. ეს ცალი ფეხი მიწაში ჭრის 12 საუენის სიღრმის თხრილს.

— ამირანმა შეაჩერა, ჰკითხა მიზეზი, რას ერჩითო?!

— რატომ და ჯერე მისი ოჯახი ამოწყვეტა, ახლა კაცებს, სოფლელებს, მეზობლებს დაუწყო ჭამა. ამიტომ შევიპყართ და გვინდა ცოცხლადვე დაემარხოთ.

დევმა ხმაზე იცნო ამირანი და ხელი სთხოვა. ამირანმა ქვა მისცა. დევმა გაარჩია.

— ეს არ არის შენი ხელი. ნამდვილი ხელი მაჩვენე. მეორედ ამირანმა წაბლის ნაჭერი ჩაუდო ხელში. დევმა წვენი გააღინა. დაჟინებით მოსთხოვა ხელი ამირანს.

რა იქნება, იქნებო და მისცა ხელი.

(— ალა უნყს ისგუ ში ლი) — ეს შენი ხელიაო — ჰანდლახმა აი რა სთხოვა ამირანს:

— მე ობლებად დამრჩნენ შვილები: მგრზალ და გუალ. ისინი გაიზარდე!

ასე დაშორდნენ. ჰანდლახი წაიყვანეს, ამირანი კი თავის გზას გაუდგა.

ამირანს დიდხანს ძილი სჩვეოდა, განსაკუთრებით, როცა დაღლილი იყო.

ერთი დღე-ღამე სძინავს, მეორე ნადირობს. ერთხელაც, ამირანს რომ ღრმა ძილით ეძინა, მის შესაჭმელად მოვიდა ორი გუელეშაპი.

ჰანდლახის ბიჭებმა მგრზალმა და გუალმა ნახეს, შეიპყრეს და გაგუდეს.

მერე მთელ ტყეში რაც კი ხეები იდგა, კენწეროებით გადააბეს. მერე გუელეშაპებს გადაუფსკვნეს კულები ერთმანეთზე და ჩამოჰკიდეს ხეთა კენწეროებზე.

ამასობაში ამირანმა გაიღვიძა. მიმოიხედა, გაუკვირდა. ჰკითხა, რა არის ეს, ყველაფერი რომ ერთმანეთზეა გადაბმული?

— რა და, შენ რომ გეძინა, აქ ორი კნუტი მოვიდა. ჩვენ გავგუდეთ. კულებით გადავებით და ჩამოვკიდეთო.

ჩაფიქრდა ამირანი. ესენი ახლა ასეთები არიან, რომ გაიზრდებიან, რას მიზამენო. მოჰკიდა ხელი და ორივეს თავები გაუხეთქა.

მესამედ აქ გატეხა მიცემული ხელი და სიტყვა ამირანმა.

I მამასთან, შინ დაბრუნებაზე.

II დევის ქალთან.

III ჰანდლაბთან შვილების გამოზრდაზე.

კვლავ მოგდა ამირანი ცხენზე, იმ თავის თეთრ რაშზე. წავიდა. ბევრი იარა. მერე ტყეში შევიდა და წაინადირა.

ჯიხვი მოკლა, გაატყავა, ცეცხლი დაანთო, შეწვა, მიირთვა და ღრმა ძილით დაიძინა, რაში გვერდით უღვას იქვე.

მოვიდა ქაჯების გუნდი, შემოეხვიენ ამირანს, უნდა შეიპყრონ, ისე რაში იწყებს ფრუტუნს, ეცოდება პატრონი.

ამირანი იღვიძებს, ქაჯები ილევიან, ქრებიან მყისვე. რაშს კი ეკითხება, ტყულა რატომ გაამღვიძეო?!

ასე გამეორდა 3-ჯერ. მეოთხედ გაღვიძებულმა ამირანმა მათრახი გადაჰკრა რაშს და ყური ჩამოათალა.

რაშმა დაწყევლა, აწი მართლა არ გაგაღვიძებო, რაც არ უნდა მოხდესო.

არ გასულა ბევრი ხანი, კვლავ მოვიდნენ ქაჯები, შემოეხვიენ ამირანს, წაიყვანეს ქაჯეთის ქვეყანაში.

დააბეს და იმ დღიდან არის დაბმული.

*დალ-სვანეთი,
სოფ. ომარიშლა,
მთქმელი მ. გულბანი, 53 წლისა*

ნადრობას ძველად მეტი ფასი, სახელი და დიდება ჰქონდა, ვიდრე ახლა. ნადრობა ახალგაზრდა ვაჟების საქმეა. შინ მუშაობა კი ცოლებისა და ხანში შესული მამაკაცებისა.

მონადირე კაცი სანადიროდ მალულად მიდის. ქალს საგზალს მოამზადებინებს, მაგრამ რისთვის უნდა ეს საგზალი, იმას ვერც ქალი შეეკითხება და არც კაცთაგანს გაუტყდება. ასე მალულად – ჩუმად გაუვლის ამხანაგს და გამთენიისთვის სოფლიდან გასულები უნდა იყვნენ. სოფლის მაცხოვრებელთაგან წინ არავენ უნდა შეხვდეს.

სანადიროდ ყოველ სულდგმულზე თავ-თავის დროზე სჩვევიათ სიარული. ჯიხვი და არჩვი მარიამობის თვეში არიან ყველაზე მსუქნები, მონადირეებიც უფრო მეტად ამ დროს დადიან მათზე სანადიროდ. დათვს შემოდგომით, ახალთოვლობაზე დასდევენ, შურთხზე კვირიკობის თვეში, მთის ქათამს, თოვლის დადნობიდან კაი ხნის შემდეგ. კვერნასა და მელას ზამთრობით.

ჯიხვები საჯიხვეში, ანუ კლდოვან არეალში ბინადრობენ. ველისა და ტყის გასაყოფად გაზაფხულზე „დვიდობის“ დროს მარტო მოდიან ან ქვემოთ. ზამთრობით „კლდისანების“ (ე.ი. ჯიხვების) საკვები კლდის ქუჩის გარდა არაფერია. საჯიხვეში არჩვების სამყოფ-სადგომი გამოქვაბულებია. ღამით ამ გამოქვაბულებში არიან, დღისით კი გარეთ გამოდიან საბალახოდ. კლდისანები ისე არიან შეჩვეული კლდეებს, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე ფრინველივით გადაფრინდებიან. ჯიხვები ამ დროს რქებს იმარჯვებენ (იყენებენ) კლდეზე გადახტომისას. კლდისანები განმარტოებით იშვიათად დადიან. ბევრი შეეტყუება ერთიმეორეს და ერთად გადიან საბალახოდ. დასასვენებლად და სველი მონაკვეთის სალოკავად.

კლდისანებს დიდი სიფრთხილე სჩვევიათ. დასვენებისა თუ ბალახის ძოვის დროს ერთი მცველად უდგათ. მცველი კარგ დასაზვერ ადგილს პოულობს და ყველა მხარეს არა

მარტო სინჯავს და ზვერავს, არამედ ყნოსვითაც ყნოსავს. თუ რაიმე მანე დაინახა, ან იყნოსა, ხტუნვას იწყებს და სხვებთან ერთად გარბის ფათურაკის გასარიდებლად. გაფრთხილებული კლდისანები ჯერ ქვემოთ ან გვერდზე გადახტებიან, შემდეგ ზემოთ აუყვებიან, სანამ მწვერვალებამდე არ აღწევენ, მანამდე არ გაჩერდებიან.

სადაც „კლდისანები“ არიან იქ შურთხებიც არიან ყველგან. შურთხები მონადირეებს დიდ ვნებას აყენებენ. შურთხები დაინახავენ თუ არა მონადირეს, ცივ-ცივ ხტუნვას იწყებენ და კლდისანები ხვდებიან, რომ მათი მანეა სადღაც.

„კლდისანებს“ მონადირეები შორიდან უთვალთვალებენ, სინჯავენ, თუ დაინახავენ „მაღლიანებს“ (ასეთი სახელი აქვთ შერქმეული მონადირეებს ჯიხვებისა და არჩვებისათვის, იწყებენ, მიპარავს. მიპარვისას – უღელტეხილებს ეფარებიან და, თუ ბევრნი არიან, ზოგი ერთი მხრიდან მიდის და ნაწილი მეორე მხრიდან. აფსათს ეხვეწებიან, რომ ერთი უკეთესთანაგანი მოანადირებინოს და შინ ხელმოცარული არ გაუშვას. ეპარებიან იმ მხრიდან, საიდანაც ქარია, რომ სუნი არ იკრან „მაღლიანებმა“. მიპარვის შემდეგ, მონადირეები თუ ახლოს არიან, ერთიმეორეს ასწავლის, თუ რომელმა, რომელ ჯიხვს, არჩვს უნდა ესროლოს და კიდევაც ესვრიან. თუ შორს არიან მონადირეები, სროლის შემდეგ ერთი-მეორეს გასძახებენ: რას ატყობ, „ნაპოლ“, მოიკარგე რამე?

თუ რომელიმეს მოკარგული აქვს, ასე გაეპასუხება: ერთიო აგერაა „დაბრძანებული“ და მეორეს მსუბუქად ნაკრავი მარტო ეტყობა, ნავალზე სისველესო (ე.ი. სისხლს) ტოვებს არა და როგორ მოვიძიოთ ისე (იმნაირად).

ბოლოს მონადირეები თავიანთი „მოკარგულებით“ (ნანადირევით) ერთიმეორესთან მიდიან და ნანადირევსაც ერთად აგროვებენ. თოფებსა და მუჯუროებს (ჯოხი, ბოლოში რკინის საფარი აქვს მოცმული ოთხკუთხიანი) და სხვა იარაღებს მარჯვე, ხელსაყრელ ადგილთან მიაყუდებენ და თვითონ „მოკარგულების“ (ნანადირევის) გატყავებას შეუდგებიან. ხორცს

აქნიან, ტყავს გარდენ ისე შემოახვევენ, რომ წამოსაკიდად ივარგოს, გულღვიძლს ამოარიდებენ და შესაწვავად გაამზადებენ. ძიკვს (თავი) შიგნით მოათავსებენ და ასე მიაქვთ შინ.

გასაჭირის ჟამს „კლდისანებს“ ერთიმეორის მხარდაჭერა სჩვევიათ. თუ მათი ამხანაგი დაიჭრა, დიდი ჯიხვები მიესევნიან იქიდან და აქედან და ზოგი რქით, ზოგი თავით ეხმარება, უბიძგებს დაჭრილს, რომ სიარული შეუმსუბუქონ და რალაც-ნაირად სამშვიდობოდლე მიიყვანონ. არჩევს „ჭერსკნარს“ მონადირეები „ცხეკიშარს“ ტყისანებს უწოდებენ. ესენი ტყეებშიც არიან, მაგრამ მხოლოდ ყველაზე კლდოვანში. აქ მგლების საშიშროება ნაკლებია.

მონადირეებისათვის „ტყისანები“ ძნელი მოსახელთებელია, მაგრამ ცალკეულმა მონადირეებმა იციან „ტყისანების“ ადგილსამყოფელი. ამათი ყველაზე კარგი მოსახელთებელია „ლალკოლ“ (სალოკი) (კლდის ერთ მონაკვეთთან სისველეა, ნაწვეთი. აქვს მარილის გემო. აქ უთენია მოდიან ჯიხვები, ამიტომ მონადირეები წინასწარ აკეთებენ სადარაჯო ადგილს).

„კლდისანებისა“ და „ტყისანების“ თავს ვინც ხელთ იღებს, ყველა შუბლში კოცნის. მის გამომგზავნს ელოცება: „ბეწვის სიმრავლე ჰყოლოდესო.

უფროს ჯიხვს, ანუ დიდს „ნეღმდ“ ჰქვია, ორწლიანს „მულემირ“ და მასზე უმცროს „ფეთ“. დედალ ჯიხვს „აკიცრა“ ჰქვია.

დათვზე სანადიროდ უმეტესად შემოდგომით მიდიან ახალგაზრდები. დათვები ამ დროს დასაწოლად მიდიან და მონადირეებიც ამათ კვალს ადგებიან და სანამ დაეწევიან, სანამ გასანაყოფიერებელ ადგილთან არ აღმოჩნდებიან, მანამდე სდევენ.

დათვი ძალიან ჭკვიანია, სანამ თავის ბუნაგამდე მივა, ახლომანლოში კვალის ასარევად, ჯერ ერთ ხეზე შევა და იქიდან მეორეზე ხტება, მერე კი მესამეზე და ასე ხეებზე მარტო გადის ბუნაგში (საბუეში) გამოუცდელი მონადირე ვერ ხვდება ამას და ხელცარიელი ბრუნდება შინ.

დაჭრილი დათვი ჯერ გარბის, მერე უკან ბრუნდება და მისსივე ნაკვალევს გვერდით, ზემოთ, მარჯვე, ხელსაყრელ ადგილას იმალება. იცის, რომ მონადირე მის ნაკვალევს მისდევს. როცა მიაღწევს მისთვის მარჯვე ადგილამდე, დაცხრება. ჩვენს მტერს ამ დროს თუ ხანჯლით არ ივაჟკაცებს, ან ხერხს არ მიმართავს, ვერავინ გადაურჩება. თუ იარაღს ვერაფრით ვერ მოიხმარ, ყველაზე კარგია თავის მომკვდარუნება, პირდაპირი თარგმნით სულის მოპარვა (ე.ი. სუნთქვა უნდა შეწყვიტოს). მაშინ დათვი ყურს მიუშვერს ადამიანს: სუნთქავს თუ არაო, თუ მკვდრად ჩათვლის, ხის ნაგლეჯებს მიაყრის ზედ და მიდის. სამი დღის შემდეგ ბრუნდება უკან.

ძალიან საშიშია კბილმტკივანი დათვი. არაკად არის დარჩენილი: კბილ მტკივან დათვს უთქვამს: მისი დის შვილი არ შეხვედროდეს, სხვას კი დასაგლეჯად არ დავზოგავო.

დათვი ბევრია სვანეთში და ზარალსაც ბევრს აყენებს ხალხს. სულდგმულს გლეჯს, ზოგჯერ ფუტკარსაც ანადგურებს. სკიდან თაფლს იპარავს, ყანაში სიმიინდს ანადგურებს.

დათვი ზამთრობით თავის ბუნაგში წვება და გაზაფხულზე მარტო გამოდის გარეთ. ზამთრობით თავის თათებს ლოკავს და ისე არის. ბუნაგიდან ახალგამოსულს ფეხები სტკივა და ძლივს დადის.

ძველად დათვის ხორცს არავენ ჭამდა, ახლა ყველა ჭამს. დათვის ხორცი ღორის ხორცს ჰგავს, ღორებივით სიმსუქნე სჩვევიათ. მისი ქონით საპონს აკეთებენ. დათვის ტყავებს ან კედელს აკრავენ, ან ფეხქვეშ იდებენ. დათვის ნაღველს ახმობენ და მუცლის ტკივილისას იყენებენ. ტყის ბინადართა მოსაკარგად ზამთრობით დადიან. მათ დაჭერას დიდი გარჯა და ხერხი უნდა. ერთი, რომ ეს ტყიური (ტყის ბინადარი) ბევრს დადის, მეორესა, რომ ხის წვერომდე ადის და მეორე ხეზე გადხტება. ამიტომაა, რომ მათ იშვიათად დასდევენ. ამის გამო მონადირეები წყალს პატრონობენ და ტყის სამუშაოებს იწყებენ ახლო-მახლოში ხეებს ჯვრებს უკეთებენ. ამიტომ სხვას არ აქვთ უფლება ამ ადგილებში მოსვლისა.

ტყეში სამუშაოს შესრულებისას მონადირეები წყალზე ძელის ხიდებს გასდებენ. ჭოკებზე ხაფანგებს დებენ, ხაფანგზე კი ნადირის მოსატყუებლად დებენ მძორს, უფრო ფრინველის ხორცს. მონადირეები ამ წყლის ახლოს ფაცხას აშენებენ და ერთი თვე, ზოგჯერ კი უფრო მეტ ხანსაც შინ არ მოდიან, მარტო იქ არიან. საჭმელს სახლიდან ეზიდებიან. ბევრ ადგილას ხაფანგებს ტყის ბინადარი ცხოველები გაებმებიან. მათ გამოხსნიან და ხაფანგებს ხელახლა დაადებენ.

ტყის ბინადრებს ძველთაგანვე დიდი ფასი ედო. ახლაც ასე დაფასებული. ძველად ქართლში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა ამგვარ ქალაქებში მიჰქონდათ გასაყიდად კვერნას ან მელას ტყავები. იქიდან კი ოჯახის წევრთა სამოსი მოჰქონდათ. ახლა მონკავშირი ყიდულობს.

მონადირეები ასე დასდევენ მგლებს, მელებს. მათ ზოგჯერ საწამლავეთ (ტრიხინა) წამლავენ. როცა მგელს დაიჭერენ, გაატყავებენ, ტყავს ჯოხს გაუყრიან, მცხარ^{სე} გადაიდებენ და ასე შემოუვლიან მთელს სოფელს. მოსახლისაგან ფქვილს იღებენ იმის ჯილდოდ, რომ მგელი მოკლა. ამის გარდა ყველა მადლობას სწირავს და ლოცავს: თმის სიმრავლეს დაგეჭიროს.

ძველად სოფელ ჭუბერის ადგილას და ჭუბერიდან დალაძდე დომბა, ირემი, გარეული ღორი ყველგან ყოფილა. ახლა ისინი სვანეთში უკვე გაწყვეტილია.

მთქმელი მიხეილ აჩის ძე ცინდელიანი, ჩამწერი მ. ქალდანი. მესტიის რაიონი სოფ. ლარილარში (ჭუბერი) 5. VIII.1946 წ. დაბეჭდილია სვანური პროზაული ტექსტების მეორე ტომში „ბალსქვემოური კილო“ გვ. 234. შემდგენლები ა. დავითიანი, მ. ქალდანი, ვ. თოფურია. საქ. სსრ. აკად. გამოც. თბ. 1957 წ. ტექსტი სვანურიდან თარგმნა ოთარ ონიანმა

ღვიდილანთ ბიბუს გარეთ მყოფი ჰყოლია მოკეთედ. გადიოდა სანადიროდ და სადგომში დალი ესტუმრებოდა. გაბრუნებისას კი არიგებდა:

„ნაპოლ“, აბა, დილით ადრე ადგესო. „ლალოკაჟო“ (სალოკავზე) მოდიანო და იქ წავიდელო.

შენთან არ იკადრება და შესალოცი ჰქონია და ყველი ბლომად. გარეთ მყოფს უთქვამს: ცოტა მოუჭრასო. მისი და მშობიარობსო.

ყველი მოუტანა და შესალოციც. მოდიოდა, ისევ დაურიგებია მაშინ: ზვალ ადრე ადგესო და დიდ „გორგოდაი“ (დიდ, რქებდაგრეხილი, დალის მიერ რალაც ნიშანდასმული ჯიხვი) მისთვის დაულოციო.

მეორე დღეს იმას დასძინებია და დააგვიანდა. ახლა დალი მისულა და „

ბიბუ, რას აკეთებსო, ჯოგი არის „ლალოკაზე“ (სალოკავზე).

ბიბუ ამდგარა, სენაკიდან გაუხეღია და ჯოგი ყოფილა „ლალოკაზე“ (სალოკავზე). თოფი უსვრია და ერთი დიდი „გორგოდაი“ მოუკარგავს. ჯოგი ზევით გაემართა, მაშინ ერთი კიდეც ესროლა და მოკლა. დალი ისევ შემობრუნებულა მასთან და: როგორი მგზავრობა ჰქონიაო?

- იგი ჰყავდესო მშვიდობიანად, მისი წყალობა არის ეს?

ბიბუ ბარკალს უჭრიდალა— - მასო ამდენი არ უნდა, ბეჭი უბოძოსო.

ბეჭი მიუცია. დალს უთქვამს: დიდი ჯიხვის გვერდსო „ლელოლ“, ანუ მადლი ადგასო, აქვო და ქვაბში ჩადგამდე გაასუფთავოსო და ძვალი ხელში დაიკავოსო. გვერდის ნეკნს კორძები აქვს და იგი ქვაბში ჩადგამდე გამოარჩიოსო.

იმ დალს ბევრის მოსანადირებელი „ლელოლი“ მიუცია. ამას სახლში არ ამხელდა და ეს ლელოლი „ღვიდიშერების“ ვაჟებს დარჩათ და კარგი მონადირეები ყოფილან.

მთქმელი ტერო კვისტოს ასული გოშუანი, მცხ. მესტიის რაიონი, სოფ. გული. 13. VIII. 1955 წ. ჩამწერი ვ. თოფურია.

დაბეჭდილია: სვანური პროზაული ტექსტები ტ. II.

ბალსქვემოური კილო. შემდგენელები: ა. დავითიანი, საქ. სსრ. აკად. გამომცემლობა. თბ. 1957 წ.

მ. ქალდანი, ვ. თოფურია. ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა.

მონადირე ვეკვა

ბერეიანთ წეკვა მონადირე კაცი იყო. მისნაირი მონადირე კაცი არავინ მოსულა არც ძველად და არც ახლა.

ოთარაანთ ბექერბის ცხუმარში წვეულება ჰქონია და დაპატიჟებული ყოფილა წეკვაც. ბექერბის მონადირეები ერთად შეუკრებია. ზემოურებიც მჭიდროდ დასვა და ქვემოურებიც. ბექერბის უთქვამს: არც ერთს არჩვის თავი არ მოუტანია („ნათხვიარემიშ“ - ნანადირევს ნიშნავს და არა აუცილებლად არჩვის თავს. რასაკვირველია, აქ იგულისხმება ჯიხვის თავიც, ალბათ უფრო მეტად). არ სცხვენიათო? ხმა არ ამოუღია არავის. მაშინ წეკვას უთქვამს: „აბა, ცოტა საგზალი მოუშადონ, ცოტა არაყიც და ხვალ აქ მოგისწრებთ, ვიქნები“ (იგულისხმება ნანადირევი). მაშინ ბექერბის უთქვამს: „აბაო, წეკვა, თუ ამას იზამ, ეჰე, ცამეტი ძროხიდან ორს ამოგარჩევენებთ, თუ არა ნაცემს გაგიშვებთო“. საგზალი მიუციათ. რა გაუჭირდებოდათ, და თოფი ვილაცის და წასულა ცხუმარის ტყით. მეორე დღეს ამდგარა ბექერბი და ხელ-პირს იბანს თურმე, წეკვას ორი ჯიხვის თავი მოურთმევია კარებში. ეს ძალიან გახარებია ბექერბს და ძალიან დიდი პატივი უცია წეკვასთვის. სადამოს მართლა ამოარჩევინა ორი ძროხა.

ასე, ერთხელ წეკვა სანადიროდ ყოფილა ტყეში. კლდეს გაუდგა და კლდის „ტელაფუი“ (დერეფანივით გამოწეული კლდოვანი ნაწილი) საბი ქალი მსხდარა. ფიქრს მიეცა, შეშინებულა, რა იქნებაო ამ პატარა ტყის მონაკვეთში. სამივე რთავს. ახლა წეკვას ულოცია: „უშველოსო ღმერთმა. მე არავის მავნე არა ვარ. არც ვიქნები“ და გვერდი აუარა ამათ. გასულა იქით და მაღალი კაცი შეხვედრია. ისევ ულოცავს: უშველესო ღმერთმა! ამას უთქვამს: „ნუ ეშინიაო. იქითო არჩვს მოკლავ და მარჯვენა თირკმელში რაც ნახო, ისე კარგად ში-

ნახოსო“ აქედან გასულა. მართლა არჩვი დაუნახავს. დაუმიზ-
ნებია და მოუკლავს. უცბად ამისთვის დაუწყია ძებნა და თირ-
კმელში კვერცხივით მრგვადიოქრო უპოვია. ის მართო მას
ჰქონია, სხვას არავის ანახვებდა და დაბერდა, მანჰქჲ კი ხელ-
მოცარული არ დაბრუნებულა ნდრობიდან. მისი სიკვდილის
შემდეგ თათსავს ჰქონია, მის შვილს, მაგრამ გაფუჭებულა
(ე.ი. ძალა დაუკარგავს) ვილაცას უნახავს.

*მთქმელი შერმეთ ჭკადუა, მცხ. მესტიის რ-ნი,
სოფ. ლახამულა, 10.VIII. 1951 წ. სვანური ქრესტომათია
ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალღანმა და ზ. ჭუმბური-
ძემ*

*ჩამწერი არ არის მითითებული
ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა*

მიწვევა – შალღეღლი ბეგა

1.

ძველად ბეგარეღებს ჰყოლიათ ბეგა.

ერთხელ ბეგა თიბავდა და გველს მოეღო ცელს და ენა გარეთ დარჩა. ბეგამ სატკაცუნებელი მოჭრა და ერთი მხრივ, გველს მიაბჯინა ენაზე, მეორე მხარეზე ბ ბუა ბევას ჰქონდა ყურათან მიბჯენილი. გველმა მისი გამამთეღებელი ბალახი ასწავლა ბევას და გველი გადარჩენიღა. მას მერე ჯვერის სახე დაებღა ბაბუა ბევას და ირგვლის ყვეღაფრის ლაპარაკს ხვღებოღა.

2.

ზორგეთი ჰქვია ერთ მინდორს ჩვენს იქით. ბაბუა ბეგა თიბავდა ზორგეთში. გუგუღს უთქვამს: - ბეგა არაყი დამაღეღინე.

ბევას უპასუხებია: არ აქვსო მას არაყი,

მასო სახლში ცარიელი დოქი უღვას, იგიო მისი სახრაჯო ჰურების ქვემოთ დევს.

ბაბუა ბეგამ კათხიდან გადმოუსხა არაყი და „ჯირკუი“, მოჭრიღ ხეზე დაუღვა. შემოვიღა გუგუღი და დღღია.

კარგა ხნის შემღევ სვანთა ლაშქარი (მაშვეღი) საომრად წავიღა უსურმანების წინააღმღევ. იქითობას თითო კაცს თოთო ქვა აუღია და „ჭიქრი“ სწორხეღაპირიან სათიბში დაუღვიათ. შინ ვინც ცოცხალი დაბრუნღებოღა, თითო ქვას აიღებღა და წყალში ჩააღღებღა. რამღენი ქვაც დარჩებოღა, იმღენი მეომარი იქნებოღა დაღუღული (აქ ის აზრია ჩაღღებული, რომ უთვღღავი რაოღენობის მეომარია წასუღი ომში).

ამ ომში ბაბუა ბევა მარტო გადარჩენილა და ისიც გაჭირვებაში ჩაეარდა. ახლა გუგული შემოსულა მასთან და: რომელი ხისკენაც მე მივდიოდე, შენც იქით მომყვებოდე უკანო.

დაღამდა და ბევამ ხის ქვეშ დაიძინა. ხეზე კი გუგულმა, მეორე ღლეს ბევას გაუღვიძია ზორგეთის მინდორში, მსხლის ქვეშ, სადაც გუგულს არაყი დააღვინა.

3.

ერთხელ ბაბუა ბევა ბეროში წაუყვანიათ ქორწილში. გათენებულა და მეორე ღლეს ბევა გარეთ გამოსულა ხელ-პირის დასაბანად. ასე ჩიტს მიუმართავს, უთქვამს: - ბევა, მისი სახლი წუხელ დამწვარაო, იგი კი ქორწილშია აქ!

უცებ შემოსულა შინ, მისალმებია ხალხს და: სახლი დაწვია და შინ უნდა დაბრუნდეო. მოსულა ქვემოთ და დახშიანებია ხალხს: მაგიდა გადაურჩენიათ თუ ვერა, მაგიდა? მაგიდა - კიო.

რახან მაგიდა გადაურჩენიათ, დარდი ნურაფრის ექნებათო. რამდენსაც დასდებდა ხორცს, იმდენი იღვა ყოველთვის.

ამ მაგიდაზე ხორცი არასოდეს ილეოდა, სახორცე მაგიდად ჰქონდათ და რამდენსაც დასდებდნენ, იმდენი ემატებოდა.

*მთქმელი ვარლამ მუდარის ძე ჩხვიმიანი,
მცხ. მესტიის რაიონი, სოფ. ფალელი.
22. VIII - 1956. დაბეჭდილია: სვანური
პროზაული ტექსტები ტ. II. ბალსქვემოური კილო.
საქ. სსრ გამომცემლობა თბ., 1957 წ.
გვ. 197. ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა.*

ლაჰამულელი ბევა

1.

მარტო ბევა ჰყავდა დედამისს და ცელს ხელს ჰკიდებდა, იქამდე მისული ახალგაზრდა ყოფილა. ერთ დღეს სათიბზე წასასვლელად გაემზადა და დედამისს გამზადებული საგზალი მიუცია. ბევა ხიდამდე ჩასულა. დაბლიდან რალაცას უთქვამს: „ბევა, საყვარელო, საჭმელი მაჭამე“. ბევას ჩაუდგია საჭმელი ხიდის საძირკველში და თავად მთელი დღეს მშვიერი თიბავდა, სალამოს კი თავის დედასთან არაფერი გაუმხელია.

მეორე დღეს მიდიოდა საგზლით და წყლიდან მოესმა: „ბევა, საყვარელო, საჭმელი მაჭამე“. ბევას ისევ ჩაუდგია თავისი საჭმელი და თვითონ დიდიდან სალამომდე მშვიერი თიბავდა. დედამისს კი ისევ არ გაუტყდა.

მესამე დღეს ისევ მოსმა და მესამე პური ისევ ჩაუდო. მაშინ წლიდან რალაცას უთქვამს, - ბევა, რახან მისი ნათქვანი შეუსრულებია, მანაც სთხოვოსო, რაც უნდა (ურჩევნია) იმას ავისრულებსო.

ზევიდან ბევამ უპასუხა: რახან ამგვარ წყალობას ჰპირდება, ფრინველთა და მიწაზე სულდგმულის ენა მასწავლეო.

ბევა, ნამეტანი მოითხოვეო, ვერ შეგისრულებო მაგას. იმის მაგიერ სხვა რამ მოისურვე.

სხვაო არაფერი უნდა უკმაყოფილება გამოხატა ბევამ.

აბაო, გცოდნოდეს ფრინველის ენა და ყოველი სულდგმულის ენა, მაგრამ თუ სადმე გაამჟღავნოს მისი ნათქვამი, იმ დღეს მომკვდარიყოსო.

- ასე ხმა შეწყდა..და ბევა წასულა სათიბად-

შუადღისას გულალმა წამოწვა მინდორში და ზევით ცას აკვირდებოდა. ცაზე ორი შავი ფრინველი მოფრინვდა და უკანა ეუბნებოდა წინას:

დელა, ქვევით მინდორში ადამიანი წევს, ჩავალ, თვალებს ამოუღებ და შენ დამიცადეო.

არ ჩაზვიდე, დელის თვალის სინათლევ, თუ არა, ადამიანი ეშმაკიანო და თუ დაგიჭერსო, რა გეშველება.

ბევას ესმის ყვაების ლაპარაკი და როდესაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაშინ ბევამ თვალები დახუჭა. ყვავი ჩამოეშვა და ბევას ფეხებთან დადგა, დაინახა და ძილი შეატყო, მაშინ მუცელზე აუყვა ზევით თვალებისაკენ. ბევამ სტაცა ხელი და დაიჭირა.

დელა, ადამიანსო დაუჭერია, უშველოსო რა, მიაძახა ქვევიდან.

ხომ უთქვამსო, რომ ადამიანი ეშმაკია. ახლა თუ ისევ ადამიანი იზამს მადლს, თუ არა მისი შეველა აღარ შეუძლია, ზევიდან დაეხმინა დაჭრილ ყვავს.

ბევამ გაუშვა და ყვავი გახარებული წავიდა დედამისთან.

2.

ბბევამ სახელი გაითქვა სოფელში სიკარგით. დიდ დაპატარა ყველა მადლიერი ჰყავდა. უფროსებს ყველას შვილად მიაჩნდა, თანატოლებს ძმად და თვითონაც ყველასთვის კარგის მკეთებელი იყო.

ერთხელ ბევა სანადიროდ წასულა და ჯიხვთა ჯოგს წასწყდომია. ბევა ახლოს მიეპარა ჯიხვებს. გული უგრძობდა, რომ იარაღს არ იხმარდა. ჯიხვები გაუფრთხილებლად იყვნენ თავიანთ ნებაზე და კლდის სვეტებიდან შურთხები დაფრინადნენ ზევიდან ერთიმეორეზე მიყოლებით. ერთმა შურთხმა უთხრა მეორეს: უყურებ, აფსათის ჯოგი თავის ნებაზე დამშვიდებული, ზევითკი დათვი არის და რას უზამს, ზევით ავლენ და დაჯლეგსო.

შურთხი შურთხს ელაპარაკება, ბევას კი ყველაფერი ესმის, მაგრამ საშველი არსაიდან აქვს. გამაგრებული კლდეებში შესასვლელი არსიდან არაა და დათვსაც ვერ ხედავს.

თოფს ისვრის და ჯიხვებმა არეულობა იციან. გააქცევს და დათვს ჩაუვარდებიან პირში. არის ასე ბევა და ცოტა ხნის შემდეგ ჯიხვებიც წამოდგნენ. ერთი წყება გაიზმორა, მეორე წყება კი ერთიმეორეს გაერქინა და ასე მშვიდობიანად აუყვნენ აღმართს. დათვმა წინამძღოლი დიდი ჯიხვი აუშვა და მის მიმყოლს დაებგერა. ამის მნახველმა ჯიხვებმა თავს უშველეს, გაიქცნენ. დათვი და ჯიხვი ერთად გადმოვარდნენ კლდიდან. ქვევით დათვი წამოდგა. ბევა აქ არის, ადამიანის სუნი იკრა, დაიდრიალა და გაიქცა.

ბევა მივიდა ჯიხვთან და სიბრაღულის გამო ტირილი დაიწყო. აცოცლა კლდეზე, რქები მოძებნა და ჩამოიტანა ჯიხვთან. აქ ჯიხვი გაატყავა და ხორცი შეზიდა გამოქვაბულში. ამალამ აქ არის, შებინდებისას ორი ცხუმარელი მოვიდა, მონადირეები. ესენი ხელმოცარულები არიან, არაფერი მოუნადირებიათ. ბევას ჯიხვს რახან შეხედეს, მიულოცეს მონადირული წესით... თმის სიმრავლეს გქონდესო, გენადიროს. მონადირეებმა არ იციან, რომ ჯიხვი მოკლული არაა, არც ბევამ არ გაამხილა, რომ თოფი არ გაუსვრია.

არიან ამალამ და აქვთ ლაპარაკი. ბევა ნატრობს, რომ ცხუმელალებმა არ ინადირონ, ეშინია ჯიხვის ჯოგს არ წააწყდნენ. უფროსია ცხუმარელი. ამას უთხრა: თუ არ იქნება იქნება (ე.ი. ვერ ინადირებთ) ამ ჯიხვს სამად გავყოფთ და წავალთ შინ. სექტემბრის ჯიხვი სამ კაცს გვეყოფა ტვირთად. ცხუმარელებმა მადლობა უთხრეს: ისინიო სანადიროდ აღარ წავლენ.

ბევა და მისი ამხანაგები მეორე დღეს მოდიოდნენ ნადირობიდან. უკვე ამ დროს ჯიხვთა ჯოგი კლდეზე ერთიმეორეს მიყოლებით მიდიოდა მზის ჩასვლისას. ცხუმალელებმა შურის თვალი მიაყოლეს, დადევნება დააპირეს, მაგრამ უფროსის ნათქვამს ვერ გადავიდოდნენ, სანამდ ჯიხვთა ჯოგი თვალს არ მიეფარა, უყურებდნენ თავიანთი სადგომიდან. გზასაყართან ცხუმალელები თავიანთ გზას გაუდგნენ, და ბევა შინ დაბრუნდა. სოფელს რა წესიც ჰქონდა, ისე ბევასაც უნდა ეწილადა ნანადი-

რევი სოფლისათვის, მაგრამ იარაღის ამსხმელი კაცი არ დაუხვდა შინ და ხორცი საკვამურთან ჩამოჰკიდა.

ბევამ ჰკითხა დედამისს: სოფლის კაცებს რა დაემართათ, სად წავიდნენო?

დედამისმა უამბო: სოფელი სალაშქროდ წავიდა უსურმანების წინააღმდეგ და სიტყვა დაუტოვებიათ: „ბევა ნულარ წამოვაო, შინ იყოსო და რაც ჩვენთვის იქნება ნალაშქრევიდან, ის იქნება მისთვისაც.“

ბევამ იწყინა ეს და დედას უთხრა: იგიო მიდის და საგზალი გამოუცხოსო!

დედამ სამი ხაჭაპური გამოუცხო. ჩაიდვა ჩანთაში, მოიკიდა და წავიდა. ხვამლამდე მივიდა და აქ გზაზე გველი წევს უზარმაზარი: „ბევა, საყვარელო, საჭმელი მაჭამე! – და გველმა პირი დააღო. ბევამ ერთი ხაჭაპური დადვა. ამოდის თავარარაზე და აქ გზაში დიდი გველი წევს. ამანაც დააღო პირი და უთხრა: ბევა საყვარელო, საჭმელი აჭამოსო. ბევამ მეორე პური ამას დაუდვა. მოდის და ლაშხრაშისკენ შესახვევი არის მურხვიშისკენ, აქ გველი წევს გზაზე და ამანაც უთხრა: ბევა საყვარელო. ბევამ მესამე ხაჭაპური ამოიღო და ამ გველს დაუდვა. თვითონ კი უსაგზლოდ დარჩა.

მოდის ბევა ტვიბით და წიფლის ხის ქვეშ დაისვენა. წიფლის ხეს ჩხიკვი დაადგა და მეორე ჩხიკვს გასძახა: ლახამულელთა ლაშქარი მოდის, იმდენი სულდგმული მოჰყავთ, რომ მიწა იძვრის, მაგრამ ერთი კოჭლი, დავარდნილი დერაზე (იგულისხმება კლდეებიდან ჩამოწოლილი თოვლის ზევი თავისი ნაშალით, მიწით და ქვით) იმიტომ არ მოყავთო. მისი ფასი მთელი ჯოგი არ არის, იმასო „ლედი“ უდევს მუცელში.

ბევა ადგა და წავიდა. ასე გზა და ველი ვერ იტევს იმ სიმრავლის ჯოგი მოჰყავთ მის სოფლებს.

ბევა, მასო რა უნდაო აქეთკენ? მისი წილი მათ მოჰყავთო და ამოარჩევენებენო.

ბევამ მაღლობა უთხრა და კითხა: უკან ხომ არაფერი დაგრჩენიათო?

სოფლელებმა უთხრეს: კარგი ყველა მშვიდობიანად მოგვყავს, მაგრამ ერთი კოჭლი დაგვრჩა ყინულზე, მაგრამო იგი წამოსაყვანად არ ვარგაო.

ბევამ უპასუხა: აბაო, იმასო იგი მოიყვანსო და სხვა წილი აღარ უნდაო.

ეს სოფლელებს სასაცილოდ არ ეყოთ, მაგრამ რახან ბევა თავის სიტყვაზე იდგა, დათანხმდნენ: აბა, კარგიო. წავი-დესო მესტავთან, ისო მას ჰყავდეს, წილს იმის გარეშეც მოგ-ცემთ.

ბევას კარგი სახლობა ყველგან ყველამ გაიგო. ეს მეს-ტავის (პირობითადაა ნათქვამი, ვითომ მესტავი – კუდიანი) ბეჭის გამოა, რომ შინ ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჰქონდა. მომსვლელი ულევად მოსდიოდა, გაღებული ხარჯი ორმაგად უნაზღაურდებოდა. ბევა დაოჯახდა და სოფელი ხელის გუ-ლით ატარებდა. ცოლიც ფეხმძიმედ ჰყავდა.

ერთ დღეს მისი ცოლი წირვაზე გაიყოლა და ცხენზე შესვა, თვითონ წინ მიუძღვის. უკან ჩოჩორი მიჰყვება.

დედისავ, იგი მაკეა და ორსული ქალი ზედა ზის. იგი კი დაღლილია. ეჭე, იყოსო, აღარ მოუცდისო.

ბევამ გაიგონა ეს და სიცილის ბუშტი გაუსკდა.

- რატომ იცინისო, ჰკითხა მისმა ცოლმა ცხენიდან.

ბევა რას გაუტყდებოდა: არაფრ^{ის}ს გამოო, ისე გამისკდა სიცილის ბუშტი.

აქ ქალმა არ დაჯერა და საშველი არ მისცა: უთხრა-სო, თუ არა წირვაზე არ გაჰყვება და ცხენიდან ჩამოსვლა დააპირა. რახან საშველი არსაით ჰქონდა, ბევამ უთხრა – კარგიო, აბა წირვიდან რომ დავბრუნდებით, მაშინ გეტყვიო.

დაბრუნდნენ წირვიდან და ცხენიდან ჩამოვიდა. ქალმა დაუწყო ბევას – ჰა, თუ შეგიძია მითხარი ახლა, რატომ გაუ-ცინია ისე.

რახანო არ მეშვები, გეტყვიო. ჯერ სატირალი გაამზა-დე და მერე გეტყვი.

დაიწყო ქალმა და სატირალს რაც სჭირდებოდა ყველაფერი მოამზადა. ახლა სატირალი ხვალ უნდა გადაინადოს ცოლმა და ბევა დილით გაუტყდება ფრინველის და სულდგმულის ენის ცოდნას.

ამდამ ერთად დაწვნენ ბევა და მისი ცოლი. ძილით არცერთს არ ეძინება. ქალს იმის სიხარულით, რო გაუხსნელს გახსნის (დაუდგენელს) მისი ქმრისაგან, საბრალო ბევას კი იმიტო რომ ხვალ იგი გაუტეხელის გამტეხი (ფიცის) იქნება და მოკვდება.

მიდის ღამე და კატა ისე საშინლად ღნავის და გამწარებული სახლს უვლის ირგვლივ. ეს მამალმა იწყინა და კატას უთხრა: დაგვაყანე ამდამ, რა უფროსი ღმერთი გაგიწყრა, რატომ არ გვაძინებო, რას ჟღავი, გაჩუმდი!

ჰა, შე მართლა გლახა მამალო, ხვალო მათ კარგ ბევას მისი ცოლი გაუტეხელს (ფიცს) ატეხინებს და ბევა მოკვდებაო. იმას დავეტირო და იმიტომ ვჟღავი, მიუგო კატამ.

ოხ, ბევას ყველა კარგ კაცზე უკეთეს კაცად ვცნობ და არაფერი სცოდნია. მეო თორმეტი ცოლი მყავს. დილით ისინი ჩემი ნებართვის გარეშე ვერაფერს, უკითხავად ძერასაც კი ვერ იზამენ. ბევასო მარტო ერთი ქალი უზის, მაგასაც ვერ პატრონობსო? რახან ქალი ასე ჩააცივდა, დილით ადრე გავიდექს ტყეში, კარგი წკენი მოჭრას, გაიყვანოსო მოურჯულებელი ცოლი გარეთ, დაიგდოს ქვეშ, იმდენი ურტყას, რომ გაუტეხელის გატხევა კი არა და სულს ძლივს იბრუნებდესო.

ბევამ ეს ყველაფერი გაიგონა და კარგ ხასიათზე დადგა, დილით ადრე ადგა და ქალი რახან კიდევ ჩააცივდა, უთხრა: კარგიო, აბა, გავიდა ტყეში და შემობრუნდა. მანამდე შენ ყველაფერი გაამზადე და გეტყვიო ყველაფერს.

ტყიდან რომ დაბრუნდა, ქალი სიხარულისაგან სად არის, არ იცის, არკვევს ახლა, რაც გულში ჩარჩა, იმას. ბე-

ვამ ასე გაიყვანა გარეთ სათქმელად და აქ ხელი სტაცა. და-
იგლო ქვეშ და დაიწყო წკენით ცემა. ურტყამს და ურტყამს
და ქალი ეხვეწება – მადლი გექნება, ბევა, ოღონდ არ მომ-
კლა და აღარასდროს ხსენებითაც არ გიხსენებ არაფერს.

3.

ერთხელ ბევამ მოინდომა: კარგი სახლობა აქვს ვო-
თარს და მონახულებსო. წაიყვანა თეთრი ხარი და წავიდა
ფარში. აქ ოთარი კარგად დახვდა და ამალამ სმა-ჭამა აქვთ
ბლომად. დილით ბევა წყაროსთან მოვიდა ხელპირის დასაბა-
ნად და ჩხიკვები დაადგნენ ხეზე და ერთიმეორე მოიკითხეს.
ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ცხიკვმა უთხრა მეორე ჩხიკვს:
მეო ლახამულადან მოვდივარ. ბევა ოთარაანთ სალში სვამს
და ჭამს, მისი სახლის ალი წუხელ ცას სწვდებოდაო.

ეს გაიგონა ბევამ და გულგატეხილი დაბრუნდა მასპინ-
ძელთან და მოეშადა შინ წასასვლელად. ეს ოთარს გაუკვირ-
და და არ უშეებს: რატომ ჩქარობო. საჩუქარზე საჩუქარს
მოგცემო. მაგრამ ბევა არ შვრება: წუხელიო სახლის დამეწვა.

ბევა ვის უთქვამსო, ასე უთენია არავინ მოსულაო!
ჩხიკვს უთქვამსო, კინალამ წამოცდა ბევას და წავიდა. ქვენა-
შის ხეობიდან გახვდა და მისი სახლის შუა ნწილის ქვემოთ
ჩამყტლარია.

სუფრა თუ გადაურჩენიათ, თუ არაო? – მიაძახა ბევამ
და – წაურთმევიათო? კიო.

რახან ეს უპასუხეს, ქუდი აწია ზევით და თქვა: დიდე-
ბა მისვლოდეს, „ჯგერაგს“ (წმ გიორგის) ლახამულისას, უკვე
სახლის გამო აღარ დარღობს.

*მთქმელი ჯაჯა ხიბრაშელის ასული კვანჭიანი,
მცხ. მესტიის რაიონი, სოფ. ლახამულა.
VIII – 1953. ჩამწერი ქალი დავითიანი.
დაბეჭდილია: სვანური პროზაული ტექსტები ტ. II.
ქვემოური კილო. 1957 წ. გვ. 311.
ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა.*

ძველად ერთ ღროს ოთარშერები წასულან აფხაზეთის მთებში მსხვილი და წვრილი სულდგმულის წასართმევად. ბევრი გლეხი გაიყოლეს და ერთი ბევა ჩხვიმიანი ახლდათ ფარიდან. იგი, ბევა ჩხვიმიანი ფალედში ცხოვრობდა და ჩიტების ენა ესმოდა. მიდიან ამაღამ ტყეში დაბინავდნენ. და ერთ ჩიტს უთქვამს მეორე ჩიტისათვის: ნეტავი იმას, ვინც ამ წიფლის ხისგან საფეხა მრგვალ მაგიდას და სკამ-ლოგინს გააკეთებს. ეს თურმე მოესმა ბევას. მოვიდა ამ ამ წიფლის ხისგან სამფეხა მაგიდა და სკამ-ლოგინი გამოთალა და აქ შეანახა. აქითობას გამოივლის და შინ წამოიღებს. მისი ამხანაგები ეუბნებიან თურმე: შე კაცო, რათ უნდა ასე შორი მანძილიდან სამფეხა მაგიდისა და სკამ-ლოგინის ტარება. შინ ვერ გამოთლიდი? ბევას უპასუხებია — ამგვარი კარგი აღნაგობის წიფელი არააო მათთან. ეს წიფელი ძალიან კარგია და მოსწონები-აო. მერე რა უჭირსო, თუ აქედან წაიღებსო.

მეორე დღეს ადგნენ და წავიდნენ აფხაზეთის მთებისაკენ. აქ თურმე ძალიან ბევრი სულდგმულთა ჯოგი წაართვეს, ცხენისაც და თხისაც და ცხვრის ჯოგები და დაიწყეს უკან დაბრუნება. გაუარეს გაპობილ წიფლის ხეს. აქ ბევამ მაგიდა და სკამი აიღო, მოიკიდა და მოდის. ცხენების ჯოგს თურმე კოჭლი ჩოჩორი ახლავს და გზაზე დაიღალა. მისმა დედამ დაუფრუტუნა უკან მყოფს: გამოიარაე, რას რჩები უკანო. ჩოჩორმა უპასუხა: „ამ ჯოგის ბედ-იღბალი მას აწევს ჭაჭებზე და დაღლილიაო. მათ რა უჭირთო, რა დაღლითო. ჭაჭებზე არაფერი გადევთ და ცარიელი მოდიხართო.“

ძროხების ჯოგს თურმე კოჭლი ხბო ახლავთ, ცხვრისა და თხის ჯოგსაც კოჭლი ბატკანი, თხა. ესენიც დაიღალნენ. მათი დედები ეძახიან: რას მოსვლიათ მარტო მათ, ჩქარა გადმოაბიჯეთ, ჩვენთან იარეთ, თუ არა და დარჩებით და ნადირი დაგგლეჯთ. მათო მთელი ამ ჯობის ბედ-იღბალი ჭაჭებზე

აწევთ, ჰკიდიათ და დაღლილანო. მათ კი რაუჭირთ ნეტა, მსუბუქად მოდიხართო, ლაღად და რატომ დაიღლებოდნენო.

ამათი და ჩოჩორის საუბარი ესმოდა ბევას და თვალი ჰკიდა ჩოჩორს, ხბოს და ბატკანს. ოთარაანთი და თვითონ ამხანაგები გადმოვიდნენ თურმე სვანეთში და ჯოგი ბევას გაანაწილებინეს. ამას უთქვამს თურმე. „იგიო გაანაწილებს ჯოგს, მაგრამ მისთვის არანაირ წილს არ აიღებს, იმიტომ რომ ძალიან ბევრი სიკეთე ახსოვსო ოთარაანებიდან, ბევრჯერ დახმარებიათო და ამათგანო წილს არ ავიღებ. თუ გაიმეტებენო, იგი კოჭლ ჩოჩორს, კოჭლ ხბოს და კოჭლს ბატკანს დასჯერდება.“ ამას მარტო არ სჯერდებიან ოთარაანები და კიდევ უმატებენ, აძლევენ, მაგრამ ეს ბევამ არ გააკეთა. ჯოგი ყველას დაუნაწილა და თვითონ ეს ჩოჩორი, ხბო, ბატკანი მარტო ერგო. ესენი, სამფეხა მაგიდა და საწოლსკამი მარტო წაიღო შინ. გავიდა ხანი, ეს ჩოჩორი, ხბო და ბატკანი ისე გამრავლდა, რომ ჯოგის ტევა არ არის და ძალიან გამდიდრდა. ისე, რომ სვანეთში იმაზე მდიდარი არავინ ყოფილა. სიმდიდრე, სიკეთე ისე ღულდა და გადმოღულდა, რომ ყოველ საღამოს მისთვის და სტუმრისათვის საკლავს კლავდა. მისი სიკეთე და სიმდიდრე განთქმული ყოფილა როგორც სვანეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ერთხელ თურმე მესტიაში მოვიდა სტუმრად თავის მოძმე ხერგიანებთან. ხერგიანებიც კარგი მოსახლე ყოფილა. მაგრამ ბევასთან რას მოვიდოდნენ ისინი, სხვებსაც არ შეეძლოთ მასთან გატოლება. იმ საღამოს ხერგიანები ძალიან კარგად დაუხვდნენ ამას. მეორე ღღეს თურმე ხელ-პირს იბანს გარეთ. ასე ჩხიკვმა დაიწყო ლაპარაკი. ბევამ ხელ-პირი დაიბანა და უთხრა თავის ძმობილებს: „წუხელ თურმე მის სახლს ცეცხლი წაკიდებია და დამწვარა, ესო უთქვამს მისთვის ახლა ჩხიკვს. ამ დროს მაცნებებიც მოვიდნენ იქიდან და აუწყეს სახლის დაწვა. ბევამ კითხა თურმე: სამფეხა მაგიდა, სკამ-საწოლიც დაიწვა, თუ არა? „ისინი არაო“. აბა, დიდება მისვლოდეს ღმერთს, ამის გამო არაფერი მიჭირს.

მართლაც მას შემდეგ კიდევ უკეთესი სახლობა ჰქონდა აღ-
რინდელთან შედარებით.

*მთქმელი მესტიელი ალექსი ჯაფარიძე.
ჩამწერი მ. ქაღდანი. დაბეჭდილია:
„სვანური ენის ქრესტომათია“. შემდგენელები
და გამომცემლები: ა. შანიძე, მ. ქაღდანი,
ზ. ჭუმბურიძე. თსუ გამომცემლობა.
თბ., 1978 წ. ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა.*

ლითხვიარ (ნადირობა)

სანადიროდ წასვლისას მთვარესაც არჩევენ. ყოველთვის არ ვარგაო ნადირობა. ბედნიერ დღეებად ცნობენ: ორშაბათი, სამშაბათი და ხუთშაბათი. პარასკევი და ოთხშაბათი კვიმატიანი დღეები არისო. ოთხშაბათსა და პარასკევს მოჭრილ ხეს ჭიალუა უჩნდება და მალე ლპება. არც მგზავრობა ვარგა ოთხშაბათს და პარასკევს. განსაკუთრებით „ცინცხლობის“ დროს. „ცინცხლობას“ ვეუბნებით ახალი მთვარის გამოსვლას (ცვლას). სანამ რვა-ცხრა დღისა არ იქნება მთვარე, მანამდე „ცინცხლობას“ ვამბობთ და „ცინცხლობისას“ ნაქნარი (ნამოქმედარი, გაკეთებული) საქმე არაფრად ვარგაო. ყველაფერი კვიმატიანი არის და ამ ცინცხლობისას არც ნადირობენ. როცა შებრუნდება მთვარე, მაშინ არისო ბედნიერი და ხელმომართალი ნაქნარ-ნათქვამი. ორშაბათსა და ხუთშაბათს ცეცხლის გაცემაც ძალიან ეზარებათ სახლიდან. „ხელი (ე.ი. მადლი) გადაჰყვებაო“ და ამიტომ ეზარებათ ცეცხლის გაცემა ორშაბათსა და ხუთშაბათს.

* * *

ზოგიერთ არჩვს ოთხი ყური აქესო და ოთხყურიან არჩვს თვალი აქესო. თვალი ან გულღვიძლში იცის, ან მაჭიკშიო. ვინცო არჩვის თვალს იშოვის მონადირე, იმასო „ნათხვიარე“ (იგულისხმება არა მხოლოდ არჩვი, არამედ ჯიხვიც - ო. ონიანი) არჩვი ყოველთვის მრავლად ეძლევა, სადაც არ უნდა წავიდეს სანადიროდ. ოთხყურა არჩვის ტყავი ვისაც ექნება და მოისხამს ნადირობისას, იმასო არჩვები არ გაურბიანო.

ლაშხეთში ყოფილათ ერთი მონადირე კაცი და მას ჰქონიაო ოთხყურა არჩვის ტყავი და სადაც კი წავიდოდა სანადიროდ და რომელ არეალსაც მიაღებოდა, ტყუილა ნაბიჯს

არ დგამდნენ არც არჩევები და ბევრს კლავდა. ვინცო ბედნიერი იქნება მონადირე, ისეთი იხვედრებს ოთხყურიან და თვლიან არჩვს მოსანადირებლად. მისი დამხმარე არისო „ყერ-ანგელოზი, ბერშიშვლიში და გოგბედნიერი.

ლაშხეთის ზემო მიდამოს ჰქვია გელუ. იქ არისო ისეთი წიფლის ხე, რომ იმხელა წიფლის ხე ცის ქვეშეთში არ არის და იმას უწოდებენ მონადირეები „ბერ წიფიშს“. როცა სანადიროდ გადიან იმ არეალში მოსიარულე მონადირეები, ყოველთვის ევედრებიან ნადირობაში გამარჯვებას იმ წიფლის ხეს, „ბერ წიფლისს“ და ტოვებენ მასზე ტაბლებს და მარილის ნატეხს, ან სანთელს და მარილის ნატეხს და უკმევენ იქვე, წიფლის ქვეშ, ნადირობაში შემწე ანგელოზს, ეს „ბერ წიფლის ხე“, ახლაც არისო გელუში.

გარდაცვლილი მონადირის სული ყოველთვის ტრალეებს სანადირო ადგილებში და კარგი მონადირე როცა მოკლავსო არჩვს, მტაცებელს რომ დაუტოვებს მის წილ შიგნეულობას, მერე მისთვის შეიწვავსო გულ-ღვიძლს მწვადად და ცოტა ხნით წვადს გადადებს გვერდზე და უცხონებსო („ჟი ლოქ ხოფანე) გარდაცვლილ მონადირეთა სულებს.

მთქმელი არღევან ონიანი, მცხოვრები ლენტეხის რაიონი, სოფ. სასაში 24. IX. 1971 წ. ჩამწერი მ. ქალღანი. დაბეჭდილია:

სვანური პროზაული ტექსტები, ტ. IV, გვ. 18. ლაშხური კილო.

ტექსტები შეკრიბეს არსენა ონიანმა, მაქსიმე ქალღანმა და ალექსანდრე ონიანმა. რედაქცია გაუკეთეს მაქსიმე ქალღანმა და ალექსანდრე ონიანმა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979 წ.

ტექსტი სვანურიდან თარგმნა ოთარ ონიანმა

ჯამახერსა

სად არის ერთი (ობოლი) ბავშვი. მონათლეს და ჯამახერსა უწოდეს. [ერთხელ] დადამ აიღო მისი ქმრის სანადირო იარაღები და გადასცა ამ ბავშვს [და უთხრა]: ჯერო მხოლოდ ცამეტი წლისაა იგიო. სანამ თერამეტი წლის არ შესრულდება, მანამდე მხოლოდ ამათ მარტო ჰკიდოს თვალი, მერე კი იღბალს ეწვეაო. სიარულს (=ნადირობას) დაიწყებს. ორჯერ გაბრუნდებო, კარგი მგზავრობა ექნებაო. მესამედ არ გაიკვიროს, რაც არ უნდა ნახოსო.

გაიღვიძა და ორჯერ გავიდა სანადიროდ და კარგი მგზავრობა ჰქონდა. მესამედ გავიდა და ორი არჩვი მოიკარგა. დაბრუნდა საკუთარ ბინაში და დაუღამდა. აქ მიაღმა საკუთარ ბინას და შიგნიდან ლაპარაკი მოესმის, ასე შევიდა ფაცხაში და არავინ დახვდა შინ.

ჯამახერსას საპირწამლეში კვარი ჰქონდა ჩაჩრილი. აანთო და ამაღამ აქ არის. გათენდა მერე დღე და ადგა. დააპირა სასიარულოდ (=სანადიროდ) წასვლა და კარებთან კაცი შეხვდა. ამან „დილა მშვიდობისა“ უთხრა: სამი დღეო იაროს სანადიროდ და თუ რამე გაიგონოსო, არაფერი გაუკვირდესო. ორი დღე გავიდა, მესამედ კლდეში დაუღამდა და დაეძინა. გაიღვიძა და სადაც იწვა, იქ კი არა, არამედ კარგ ბინაში გაიღვიძა. გაიხვდა და საწოლზე წევს გასათხოვარი ქალიშვილი და ის ელაპარაკება — მის ბედზე იგი ორჯერ არის გამოღვიძებული. ახლა სანადიროდ გავიდესო და თუ შესაბრალისი (საცოდავი) ხმა მოგესმს, იქითკენ გავიდესო.

მეორე დღეს გავიდა სანადიროდ. არჩვი მოიკარგა. მოკლული ეგონა და მაინც მიდის ეს სულდგმული. მისდევს, მისდევს და მიაღმა კლდის ნაპრალს (ჩასასვლელი აქვს). აქ არჩვი დაინახა „ჩულეტყარე ლი“ „გაბედნიერებულია“. ხელის მოკიდება დააპირა, მაგრამ ამ დროს (ისე) კლდიდან ჩივილი მოესმა. არჩვს თავი დაანება, თოფი მოიმარჯვა და ხმისკენ გაემართა. შევიდა შიგ და კლდეში დალი მშობიარობს. გადმოსულია საწოლიდან და კლდეს არის მოჭიდებული, მშველელი

არავინ ჰყავს. ამას რომ შეხედა, მაშინვე შეშინდა და მობრუნდა. ამან კი აქედან მიაწვდინა, - ჰა, კარგო ჭაბუკო. რატომ ტოვებსო? მასო უპატრონობის (უსაშველობის) გამო აქვსო ასე, კვდებაო, უკან დაბრუნდესო, სირცხვილი არ აქვსო.

ახლა გაახსენდა დანაბარები, შებრუნდა და საწოლზე დააწვინა დალი. დალმა უთხრა: ერთი მაგრად დაიყვიროსო. კაცის ხმა კარგიაო, შვება არისო.

ახლა ჯამახერსა მიდის და დალმა უთხრა: რაც არ უნდა იყოსო, ტანსაცმლიდან რაღაცა დატოვოსო.

გაიძრო პერანგი, თვითონ უყურებს, ისე ეს პერანგი მოარგო, ჩააცვა დალმა თავის შვილს.

შეხედა დალმა ამის მშვილდ-ისარს და - ესო, მის დედას ნახული აქვს. თვითონო განზე გადადგეს და ეს მშვილდ-სარი აქ დატოვოსო.

ერთი ორი ნაბიჯი გადადგა და შემობრუნდა და ჯიხვის „ჯუღუ“ (=ძვალი) წამოცმული (მობმული) დაუხვდა მშვილდ-ისარზე.

არჩვი გააატყავა, მობრუნდა ბინისკენ და შევიდა ბინაში და არავინ დახვედრია ახლა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ერთი მონადირე და ლაპარაკობენ. ჯამახერსამ ჰკითხა: რა ჰქვიაო მას. - მასო ნაჰაჯი ჰქვიაო.

ჯამახერსამ უთხრა და: მასო იმდენი ამხანაგი ახლავს ამაღამო, რომ მათი ვიწროდ ყოფნა ელითო.

ნაჰაჯმა გაიკვირვა, შეიცხადა და წავიდა.

ცოტა ხანი მარტოა გასული და აქ შემოვიდა ერთი ქალი. ამან მოუმზადა ბარგი და ჯუღვი - ძვალი დაინახა, მაშინ სიცილის ბუშტი გაუსკდა და უთხრა: - მასო, ესა და ეს საჩუქარი აქვს და, სანამ იქნება, მანამდე ნადირობაში ბედი და ილბალი ექნება. ახლა მას ესტუმრება და იმას უშველისო.

ასე აქ შემოვიდა ახალგაზრდა ვაჟი. დაიწყეს საუბარი და სტუმარმა უამბო: - მისთვისო მოხუც ქალს უსაყვედურია, რომ მისი ორი ძმა დევს დაუშავებია, დაულუპავსო. და იქ ივაჟკაცე, ივარგეო.

ამას ნანადირევის გულ-ღვიძლი შესაწავად უღევს და ასე კარებს ვიღაცამ დაურახუნა. გააღეს კარები და ღვევი.

ჰა, ცუდო მონადირე, ცოტა ღვიძლი უწილადოსო, თუ არა შიმშილით კვდებო.

ახლა ეს ბავშვი წამოხტა, წამოფრინდა და ღვიძლი მიაწოდა ღვეს. ღვემა გადაყლაპა ეს ბავშვი და ახლა ჯამახერსას ეუბნება: კიდევ მიაწოდოსო ღვიძლი.

ამან დააძრო დანა და ამით მიაწოდა გულ-ღვიძლის ნაჭერი. ღვემა თავი გადააქნია და უარი უთხრა: ამითო არ გამოართმევს, ხელით მიაწოდოსო.

ხელით არ მიაწოდა და ერთიმეორეს სტაცეს ხელი, ჭიდაობენ და სძლია ჯამახერსამ. ახლა დააძრო დანა აღ ამ თორმეტთავიან ღვეს ჭრის კისერზე თავებს. ერთი მარტო უკლია და შეევეღრა ღვევი: არ მოჭრასო და რასაც ეტყვის, ყველაფერს შეასრულებსო.

ჯამახერსამ უთხრა: - რაც რამ ადამიანი დაუღუპავსო, ყველა გამოზრუნოსო.

- აბაო, ჩელტის კარები გამოაღოს ილლიიდან და იქ არიანო მისი ძმები.

აქედან სამი კაცი მარტო კი არა, თორმეტი კაცი გამოვიდა ღვევისაგან დაღუპული. მათ შორის მისი ორი ძმაც გამოვიდა, ეს თავიც მოაჭრა ღვეს. ჯამახერსა შინ წავიდა, სახლში და კარგი ცხოვრებითიცხოვრა.

სანამღე ის ვნახოთ, მანამღე ვიყოთ.

მთქმელი, ვლადიმერ ბათირის ძე წულუკიანი.

მცხ. მესტიის რაიონი სოფ. ლუპაში. ჩამწერი:

მ. ქალღანი, 19. VIII. 1956 წ. დაბეჭდილია:

სვანური პროზაული ტექსტები. ტ. II.

ბალსქვემოური კილო. გამომცემლები:

ა დავითიანი, მ. ქალღანი, ვ. თოფურია.

1957 წ. გვ. 210. ტექსტი სვანურიდან

მონადირე და დალის ნახვა

ყოფილა ერთი მონადირე. სახელად ჰქვია მას რავაზი. წასულა სანადიროდ. ცხრა მთასა და ზეკარს გადასულა და აქ დაუღამდა. რახან დაუღამდა, წიფლის ხის ქვეშ ცეცხლი დაუნთია. მთელი ღამე იქ ყოფილა. ერთ მაღალ მთიდან (ზეკარიდან) ხმა მოესმა, რომ მისი „სტუმარიც გამოიყოლოს და თვითონაც მოვიდესო“. აქ წიფლის ხე გასკდა (გაიხსნა). აქედან დალი გადმოვიდა. რავაზს უთხრა, რომ: „ე, რავაზ, წავიდეთ!“. რავაზმა უთხრა ამას, დაღს: „საითა გვაქვს წასასვლელი?“ „მის ამხანაგებს დაუძახიათ და იქითა გვაქვს წასასვლელი, მიპატიუებულები ვართ ქორწილში. ჩემი ფეხის ნაღამზე ფეხს დგამდე. იქ პირველი კათხით დავლოცავ მეფესა და დედოფალს, შემდეგ მეორე კათხით იქ მყოფთ დავლოცავ, მესამე კათხით ყველას სადღეგრძელოს დავლევ. შენ ჩემნაირად ადღეგრძელე, შემდეგ ავღებები და მივიღივართ ჩვენს ნაკვალევზე.“

ესენი გავიდნენ ქორწილში და მერე დაბრუნდნენ. რავაზი დაწვა და დალი წიფლის ხეში შევიდა. მეორე დღეს არჩევით სავეს იყო მთა, რავაზი შინისკენ მოდის უკან. ცხრა მთა (ზეკარი) უკან გამოსავლელი აქვს. რვა მთა (ზეკარი) გამოვლო და არჩევს თოფი არ ესროლა. მეცხრე მთაზე გადმოვიდა, მაშინ თოფი გამოიღო ბუდიდან და სროლა დაიწყო. ცხრა ჯიხვი მოკლა, ცხრავე ჯიხვს მარჯვენა ყური მოაჭრა. ესენი ყაბალახში შეახვია. შინ წამოიღო, ცოლთან და ძმასთან შემოიტანა ეს ყურები. მისმა ცოლმა უთხრა: „იგიო, ცუდი კაცი, ხორცი დაუტოვებია, და ყურები მოუტანია!“ გაალო მისმა ცოლმა სკივრი, ამოიღო სკივრიდან მათრახი, გადაუჭირა რავაზს, მის ქმარს და „ვირადო ქცეულიყავ“ - ეს უთხრა. მაშინ იგი ვირად იქცა.

მთელს სოფელს ის დაყავს საბუშაოდ. მისი ცოლი და ძმა ერთად არიან და ერთად წვანან ცოლ-ქმრის გვარად. შემდეგ ეს ყვირილს იწყებდა ძალიან. ცნობიერება ჰქონდა, რო-

გორც ადამიანს, კაცს. მაშინ მოსწყინდა მის ცოლს და მისმა ძმამ გადაუჭირა კიდევ მათრაზი. იხვად აქცია. ის, რაეაზის ცოლის და კუდიანი იყო და შეატყო, რომ რაეაზს ამას უკეთებდნენ. მოვიდა აქ მისი და, ამოიღო სკივრიდან მათრაზი, დაარტყა იხვს: „რაეაზად ქცეულიყავ“. ისევე, როგორც იყო წინ რაეაზი, გადაიქცა. მაშინ მათრაზი რაეაზს გადასცა ხელში: „ახლა რაც გირჩევნოდეს, ის უქენი!“. ორივეს მოარტყა, ორივე ვირად აქცია (დედალ მამალ ვირად) ერთად ცხოვრება არ მოუშალა. სოფელში ყველას ატანდა სამუშაოდ, ვინც სცემდა, მათ არ ეუბნება უარს, ვინც არა - არ ათხოვებს სამუშაოდ.

მთქმელი რატთან რატიანი. მცხ. მესტიის რაიონი, სოფ. ლახირი.

ჩამწერი ა. შანიძე 10. VIII. 1921. დაბეჭდილია: სვანური პროზაული ტექსტები ტ. I. ბალსზეემოური კილო.

გვ. 377. ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა.

დალი და ვობურ დადა

არის სამი ძმა. ამათ ჰყავთ ძალიან შეძლებული დედ-მამა. იმდენად შეძლებული, რომ ქონება — ცა, მიწა, საქონელი და სხვა ყველაფერი ბლომად ჰყავთ და აქეთ. შვილების კარგად გაზრდისთვის არაფერს ზოგავენ. დედ-მამა დაეხოცათ. სიკვდილის წინ შვილებს დაუტოვეს ამბავი (სიტყვა), რომ მათი ამავი ახსოვდეთ, რაც მკვდირისთვის აღსასრულებელი წესია, შეასრულონ. „ტეტა დიარ“ დასამარხი და „კათტაბაჯ“ („ტეტა“ ნაცარია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება მიცვალებულისათვის განკუთვნილი რიტუალური პური და „კათტაბაჯ“. „კათ“ კრებულის აღმნიშვნელია. „კათტაბაჯ“ ჭირის დღეზე დასაპატიჟებელი ხალხი, ქელები). შვილებმა არაფერი დაზოგეს, რაც რამ ქონება ებადათ, ყველაფერი დედ-მამის დასაფლავებას „ტეტა დიარსა“ და „კათტაბაჯს“ მოახმარეს. ძმებს არაფერი დარჩათ: არც სახლი, არც მიწა და არც საქონელი. ძალიან დაღარიბდნენ და უნდა წავიდნენ სადმე დასასახლებლად. უკვე უფროსი ძმის ნათქვამზე თავი ანებეს აქაურ სახლობას და წავიდნენ შორეულ ქვეყანაში. აქ ერთ მონადირეს წააწყდნენ და ერთი ბალი ნახეს. შევიდნენ ამაში. ბალში მოხუცი ბაბუა თოხნიდა. ამ ბაბას შეეხვეწნენ ძმები:

შეგვიერთე ჩვენ, ძმები სამოსახლოდ. სამი ძმა მონადირეა. — რასაც მოვინადირებთ, ერთად მოსახმარი იქნება (საერთო).

სამი დღის შემდეგ წავიდა უფროსი ძმა სანადიროდ. ძმებს წინასწარ ჰქონდათ ნათქვამი, რომ თუ სანადიროდ წავალთ, იმ დამეს გარეთ არ დავრჩებით. თუ ვინმე გარეთ დარჩა, იმას რაღაც დაემართა. უფროსი ძმა მიადგა დიდ კლდეს, მიაკვირდა და დაინახა ჯიხვი. ჯიხვს რამოდენიმეჯერ ესროლა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ჯიხვი გადახტა. კლდის კარები გაიღო, ჯიხვი შევიდა ამაში. მონადირე დაედევნა. ამ დროს მონადირეს შორიდან მოესმა კივილი: აიხედა კლდის თავზე, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მკვიანი არის კლდის დალი. ამ

კლდეში დაღს ჰყავს ჯიხვთა ფარა, ჯოგი. მონადირეს თვალი ჰკიდა დაღმა და კლდის თავიდან ლოდი ესროლა და მონადირე დაამარცხა. ამალამ ეს შინ რას დაბრუნდებოდა? შინ ძმების ტირიან: უფროს ძმას რაღაც დაემართა.

მეორე დღეს წავიდა შუათანა ძმა. ესეც ამ კლდეს მიადგა, ჯიხვი დაინახა. ამანაც ესროლა რამდენიმეჯერ, მაგრამ ვერ მონადირა. ჯიხვს კლდის კარები გაეღო და შევიდა. დაედევნა მონადირე, მაგრამ დაღმა ამასაც ლოდი ესროლა და დაამარცხა. შინ უმცროსი ძმა ელის ძმებს, მაგრამ არსაიდან მოვიდნენ.

მესამე დღეს თვითონ წავიდა უფროსი ძმების საძებრად, რომელ კლდისაკენაც მის ძმები წავიდნენ, ის კლდე დაინახა. კლდე ჯიხვი ადგას. ესროლა რამდენიმეჯერ, მაგრამ ვერ მონადირა. ჯიხვს კლდის კარი გაეღო და ამაში შეხტა. ბოლოს მონადირემ თქვა: „მე ვიყო დაწყველილი, თუ არ შევყვებ“. ეს კლდის დაღმა გაიგო და კივილი დაიწყო. ეს მონადირემ გაიგონა. მონადირე კლდის კარს მოეფარა. კლდის დაღმა ქვემოთ ჩამოიხედა, მაგრამ რაიმე მანვე ვერ დაინახა და თქვა: „უნდა ვნახო ჩემი ჯიხვის ჯოგი“. კლდის დაღმა კარები გააღო. მონადირე კარებსაა ატუხული. კლდის დაღს თვალი ჰკიდა და ნაწნავს ხელი უტაცა, ჩაიკრა მკერდში და აკოცა ახლა მონადირემ სთხოვა:

ჩემი ძმები შენ დაგიღუპია, გეხვეწები, უკან დამიბრუნეო.

იმათ მე უკან დაგიბრუნებ. ჩვენ გავაბათ ცოლ-ქმრობა. ჩემთვის ეს არავის გაუბეღია. ბევრი ადამიანი დამიმარცხებია (დამიღუპავს). შენ ყოფილხარ შეძლებული, მოხერხებული მონადირე და ამიტომ მინდინარ ქმრად.

დაღმა უთხრა მონადირეს: “შენ მჯილი დამკარ ბეჭებ-შუა, მე დავიკივლებ და შენ ძმებს ცოცხლებს დავიყენებ წინ”.

მონადირემ მჯილი დაკრა, დაღმა დაიკივლა და ძმები წინ ცოცხლები დაუყენა. უფროსი ძმები შინ გაგზავნა, უმ-

ცროსი დარჩა აქ, კლდის დაღმან. დაღს ქმრის მუხლებზე დაეძინა. ქმარი ცოლის თქმებს ეთამაშება და ხელში მოყვა სამი გასაღები. ქმარმა ცოლს თავი გვერდზე გადაუწია და თვითონ წავიდა კარის გასაღებად. ამ დროს დაღმა გაიღვიძა. თავის ქმარს ზურგიდან ხელი სტაცა და კარების გაღება არ დაანება. მეორედაც დაეძინა დაღს ქმრის მუხლებში. ქმარი ჩუმაღ გაუსხლტა და კარები გააღო. დაღმა ეს გვიან მარტო გაიგო. დაკეტილი სახლიდან, რომელიც ქმარმა გააღო, ერთი ჩიტი გამოხტა. გარედან ქალის საცვალი ეკიდა. აიღო და შორეულ ქვეყანაში გააქროლა. ეს დაღს ეწყინა. ტირილით ცრემლს ვერ იშრობს იმიტომ, რომ „ამის შემდეგ მისი არსებობა (ცხოვრება) აღარაა უკვე.“

ჩიტს ეს საცვალი ჩამოუვარდა იმ ადგილას, რომელ ადგილასაც გროვდება ყველა ქვეყნის სახელმწიფოს ხალხი და ხელმწიფეები. ხალხი ყველა ამ საცვალს ათვალიერებს. რახან ხელმწიფემ ეს დაინახა, დაიტრაბახა, რომ „ჩემი ხელმწიფობა არ მინდა მანამ, სანამ ამ საცვლის ჩამცმელ ქალს არ მომიყვანს ვინმე“.

ხელმწიფეს ყავს ერთი ვეზირი, სახელად ჰქვია ვობურ დაღა. დაღამ ხელმწიფეს აღუთქვა, რომ ამ ქალს ის მოუყვანსო აქ. იგიო ჭურში ჩააგღონ, ერთი ბოთლი ბანგი მისცენ, გარედან კარგად დაგმანეთ, დაფარეთ და ზღვაში შემადგეთ. ხელმწიფემ ეს ყველაფერი გააკეთა. ზღვამ დაღა შორს წაიყვანა, შორეულ ადგილას იმ კლდეს დაეძგერა, რომელ ადგილსაც საცვლის პატრონი ქალი სახლობდა. ვობურ დაღა ჭურიდან გამოვიდა და ცოლ-ქმრის კარებს მიადგა უთხრა: „მათხოვარი ვარ, მაღლყ გექნება, შინ შემიშვით“. ამათ დაღა შინ შეიყვანეს. დაღას ბანგი ხელთ აქვს. ქალის ქმარს დააღვივნა. ქმარი უკან წაიქცა დაბანგული. კლდის დაღმა მისი ქმარი კარში გამოიყვანა. დასვა მაგიდასთან. თირკმელებზე მის ქმარს დააწერა: ეს საქმე შენ ვობურ დაღამ დაგმართა. ოქროს ბეჭედს სასთუმალქვეშ გიტოვებ. მე დაღას მიყვავარ შორეულ

ქვეყანაში. სამ ზელიწადს არც ვინმეს ველაპარაკები, ვერც ვინმე გამაცინებს.

ვობურ დადამ დალის ხელმწიფეს მოუყვანა. ხელმწიფეს ასეთი არაფერი გახარებია.

ამ ხელმწიფეს მეორე ვეზირი ყავს. ეს ვეზირი ხელმწიფესგან დაორსულდა. ვეზირმა იმშობიარა და ვაჟი დაებადა. ეს ხელმწიფეს ეწყინა. შვილი რკინის კავზე მოაბევირა და ზღვაში შეაჟღებინა. ზღვამ ბავშვი არ მოკლა, არ ჩაძირა და შორს წაიყვანა. ეს იქ გამორიყა, რომელიც იმ კლდეს ადგა, სადაც კლდის დალის ქმარია დაბანგული. ბავშვმა რკინის კავი ამოგლიჯა. გვერდით დაადგა ჯიხვთა ჯოგი. ერთი ჯიხვი ამას ხელავს. ჯიხვი გავიდა ბავშვთან და ტუბუ მოაწოვა. ბავშვს ყოველთვის აწოვებს. ასე ჯიხვებთან კაი ხანობამდე მოიზარდა და ჯიხვებთან ერთად დადის. ჯოგი საღამოს შინ შედის. ბავშვმა დაბანგული კაცი დაინახა მაგიდასთან. ხელი შეახო და გაიღვიძა, ბავშვს შეეშინდა და გვერდზე გავიდა. ამას მან შეხედა და საკუთარ თავს უთხრა: „მე ვიყო დაწყველილი, თუ არ მოვიშინაურო, გარეთ კარში რძის წყარო მოედინება. ამას ორი რაში ჰყავს, შეაჯღნენ და წავიდნენ ხელმწიფის ქვეყანაში, რომელიც ხელმწიფესთანაც თავისი ცოლი, კლდის დალი არის. ქალიშვილი ხელმწიფესთან უკვე სამი წლის არი. ამ სამი წლის განმავლობაში არ გაუღიმია და არც ვინმეს დალაპარაკებია.

დალის ქმარი ხელმწიფის კარს მიადგა, თავისი ცოლი დაინახა და ბეჭედი სარკმლიდან შეუგდო. ცოლმა მაგრად გაიცინა. ამის სიცილი ხელმწიფეს გაუხარდა. ხელმწიფემ ამ საღამოს დანიშნა დალთანჯვარის წერა. ბევრი ხალხი დააატყა. გზაზე მიდიოდნენ ჯვრის დასაწერად, ამ დროს უწინდელი ქმარი შეაჯდა თავის რაშს, ხალხს ზემოთ გადაუქროლა, მისი ცოლი, კლდის დალი, შეისვა რაშზე და გააქროლა შინ.

გარკვეული დროის შემდეგ ხელმწიფემ კვლავ გაგზავნა მისი ვობურ დადა. უნდა რომ უკან დაიბრუნოს თავისი კლდის დალი. მეორედაც მიადგა კარს კლდის დალს და მის ქმარს

და უთხრა „მათხოვარი ვარო, მაღლი გექნებათ და შემიშვით. ცოლ-ქმარმა ხელი სტაცა ვობურ დადას. შებორკეს და ზღვაში შეაგდეს.

ამის შემდეგ ცოლ-ქმარმა კარგად მოაწყვეს ცხოვრება და დღეგრძელი იყავით.

*მთქმელი ად. შუკუანი.
მცხ. მესტიის რაიონი, სოფ. ლენ-
ჯერი, 30. 12. 1937 წ. ჩამწერი
მიხეილ ჩართოლანი. დაბეჭდილია:
სვანური პროზაული ტექსტები,
ბალსზემური კილო. ტექსტი შეკ-
რიბეს და გამოსცეს ა. შანიძემ, ვ.
თოფურიამ. ტექსტი სვანურიდან
თარგმნა ო. ონიანმა.*

a) ბეთქილ

ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდავო!

ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

ბაილ, მულან-მუჟალი იკრიბება,

ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

შესდგომიან ლენტეხის ფერხულს,

ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

გამომხტარა თეთრი შუნი,

ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

გაურბენია ბეთქის ლაჯებში, -

ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

ეგ ბეთქის წერა იქნება!

ბაილ ილბა, ილბა ბაილ.

ამის გამკიდე ვინ იქნება?

ამის გამკიდე ბეთქი იქნება.

ბეთქილი ბანდულებს იბანდავს,

მისდევს მის ნაკვალევს;

წინ ნავალი გაკვალული ექნება,

უკან მოხედე მის ნავალს,

მისი ნავალი აღარ ჩანს.

ეგ ბეთქის წერა იქნება.

შესულა შავ კლდეში,

დიოფალ დალის სამყოფში.

გამარჯობა („კაი დღე“) დიოფალ დალს!

როგორი კაი დღეც გექნება,

იმას მე შენ გასწავლი!

რად უღალატე ჩემს პირობას?

ჩემი მონაცემი მძივი რა უყავ?

ის საწოლის სასთუმალში დამრჩა.

როგორი საწოლის სასთუმალშიც დაგრჩა,

ისე (კარგად) მე შენ დაგაბრუნებ!

დიოფალი დალი გამქრალა („დაჰკარგვია“),
ბეთქილი კლდეს შერჩენია:
მარჯვენა ხელის მოსაკიდი შერჩა,
მარცხენა ფეხის დასადგმელი შერჩა.
ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდავო!
„როგორი დაბრუნება მექნება მე?
ჩემს ტოლებს უამბეთ:
„ბეთქილს ნუ დაივიწყებთ!“
დედაჩემს უამბეთ:
თავის ნაცნობ ხაჭაპურს და ჭიშდვარს
დღე და ღამე მიდებდეს სულის მოსახსენებლად;
ცემს ცოლს უამბეთ:
ჩემს თავს სხვა არვინ ირჩიოს!“
ბეთქილი კლდეზე გადმოვარდება,
ძირს ტოლები აიღებენ.

მთქმელი თენგის დადუშქელიანი, მცხ. მესტიის რაიონი
სოფ. მაზურში, 06.11.1923 წ. ჩამწერი ა. შანიძე

ბ) ბეთქანი

ბეთქანი ჯიხვზე ნადირობისას გადმოვარდნილა.
თოთანიდან შუნი მოღის,
ბეთქანი კალოს ლეწავს,
თავმოყრილია მულახის კრებული.
აგერ ზემოთ შუნი მოღის.
ვინც ამას მოკლავს,
მუუალ-მულახი ჯილდოს მისცემს!
ამას ბეთქანი მოკლავს!
გამხტარა კალოდან,
შესულა თოფ-იარაღისათვის (თავის სახლში).
დედა ჩემო, რასა იქმ („შვრებოდი!)?

ღელა ჩემო, შუნი მომივიდა,
ჩემი თოფი და იარაღი მინდა!
იმას ბეთქანი უკან გაეკიდა.

მანმადე ღელას არ მოუკვდე!
წუხელ ცუდი სიზმარი მესიზმრა:
სამი კბილი ამოვარდნილი მქონდა.

მანამ ღელა არ მომიკვდეს („მომკვლომოდეს“):
ღღეს ნადირობას ვერ დავიშლი!
წინ შუნი, უკან ბეთქანი,
წინ გზები შარად ექნება,
უკან გზები (მო)ეშლება.
გასდგომია გზას.

მისი ცოდვა ნუმც დალევია
თამარს, მის რძალს:

„უწმინდური გამგზავნა სანადიროდ!“

შესულა თოთანში,

თოთანის ჭიუხში,

წინ შუნი, უკან ბეთქანი,

საბრალო ბეთქანი, საცოდავი ბეთქანი!

მამაჩემს უამბეთ:

შუნის ტვინს მიღებდეს სულის მოსახსენებლად;

ღელაჩემს უამბეთ:

ხაჭაპურ-ჭიმღვარს მიღებდეს სულის მოსახსენებლად;

ჩემს ცოლს უამბეთ:

წითლად შეიღებოს ლეჩაქი!

საბრალო ბეთქან, საცოდავო ბეთქან!

თქვენი მწვერების წკმუტუნი

ისმის რაჭა ლერხუმამდე,

თქვენი მწვერების წკმუტუნი

ქვემოთ ისმის ეცერ-ლახაბულამდე.

„საცოდავი ბეთქანი მაშინ ვიქნები,

როცა მუჟაღელები ბატონებად მეყოლებიან!

ზოგს მოაქვს თოკის ტვირთები,

ზოგს მოაქვს ქერის ტვირთები.
ქვემოდღან კიბეებს მიღვამენ,
ციხე ზევით იწევა;
ზემოთ თოკებს მაწვდიან,
ძირს ქერებს მიგებენ,
ციხე ძირს იწევა.
საბრალო ყურშავ, რა ვქნათ?“
თავისი ყურშა დაუკლავს,
მისი ხორცი შეუჭამია,
გადმომხტარა ციხიდან?!

მთქმელი ივანე ხაჭვალი, მცხ. მესტიის რაიონი
სოფ. უშგული, (ყიზიანელი) 14. VII. 1927 წ.
ჩამწერი ვ. თოფურია

ე) მეთქი

ო საბრალო, მეთქი საცოდავო!
შედგომია ლენტეხის ფერხულს,
შავ ეშმაკს გაურბენია ლაჯებში.
ო საბრალო, მეთქი საცოდავო!
ლენტეხის ფერხული დაშლილა.
„ამაზე თქვენ ნუ ღარდობთ:
ამას მეთქი გაეკიდება!“
ო საბრალო, მეთქი საცოდავო!
მეთქის კუთხვა მხარზე გაუღვია,
მისღვეს ამის კვალს.
შავი ეშმაკი შუნად ქცეულა,
თეთრს შუნს მისღვეს მეთქი,
ასძლოლია საჯიხვეში.

წინ საურმე გზები მიუძღვის,
უკან ლაკვრამის კლდეები („სვეტები“) მიჰყვება.
უნებლიეთ ასულა ლაკვრამის წვერზე,
თეთრი შუნი (ისევ) ეშმაკად იქცა.
ო, საბრალო, მეთქი საბრალო!
ზედ შერჩენია ლაკვრამის წვერზე,
შერჩენია მარჯვენა ხელით („მკლავით“),
შერჩენია მარცხენა ფეხით („ლაჯით“).
ო, საბრალო, მეთქი საცოდავო!
მეთქი ლაკვრაშიდან ვარდება.

დილას ცისკრის ვარსკვლავი ამოდის,
მონადირე კაცს თვალი არ მოჰკრა!
კაი მგზავრობა მონადირეს!
მეთქიმ მიაძახა ლაკვრამის წვერიდან.
სულ კაი მეთქის გექნეს!

მონადირემ დაბლიდან მიუგო.

მონადირევ, უამბე ჩემ სახლეულთ:

მეთქი ლაკვრაშიდან ვარდება,
შერჩენილია მარჯვენა ხელით,
შერჩენილია მარცხენა ფეხით!

უამბე მამაჩემს:

რანგი და ღვინო ბლომად მიკურთხოს;

უამბე დედაჩემს:

ხაჭაპური და ჭიშღვარი ბლომად მიკურთხოს;

უამბე ჩემს ძმებს:

თმა-წვრი დიდად დაიყენონ (მოუშვან);

უამბე ჩემს დებს:

თმები ბლომად მოიჭრან;

უამბე ჩემს ცოლს:

ბავშვები ობლობაში კარგად გამოზარდოს;

უამბე ჩემს საყვარლებს:

ჩემმა საყვარლებმა ჩუმ-ჩუმად დამიტირონ;

უამბე ჩემს ტოლებს:

ჩემმა ტოლებმა საკაცით წამიღონ,
აღმართში კენესით ამიტანონ,
ვაკეზე ზარი მითხრან!
ო, საბრალო მეთქი საცოდავო!
მეთქი ლაკვრაშიდან ვარდება:
ზემთ ყორანი დაგყრანტალებს,
თითქოს მეთქის თვალი უნდა;
ძირს დათვი გიტრიალებს,
თითქოს მეთქის ხორცი უნდა.
ო, საბრალო მეთქი საბრალო,
მეთქი ლაკვრაშიდან ვარდება.

ასემც ქრისტეს დაუულოცივართ
აქ მყოფი ხალხი!

მთქმელი არაა მითითებული ჩამწერი ა. შანიძე
სოფ. თავრარში (ჩუბე-ხევში) 15.09.1927 წ.

ღუნჩაანთ უფროსი და დალი

ღუნჩანები ხეშკილში სახლობდნენ და მათნაირი მდი-
დარი მოსახლე შარვანებიც ვერ იყვნენ. ყველაფრის ჯოგი
ჰყავდათ. ქვაბები და წყლის საზიდი ჭურჭელი სპილენძისა
ჰქონდათ და საკუთარი სალოცავიც ედგათ. ისეთი ძლიერი და
დიდებული მაცხოვრებლები ყოფილან. ამ მოსახლეს თუალიც
ჰქონიათ. თვალი რომელიც სახლში არის დაბრძანებული, ის
მოსახლე ყველა საქმეში წინ არის წაწეული, ყოველთვის და
ყველაფერში მხარმარჯვნივ ტრიალებს. ისეთი ბედნიერი ყოფი-
ლა ოჯახის ყოველი წევრი, რომ ავადაც კი არავინ გამხდარა.
ამათ სახლში ერთი კაცი ჰყავდათ ისეთი მონადირე, რომ თუ
დილით გავიდოდა სანადიროდ, სალამოს ჯიხვი თუ არა, არჩვი

მინც მონადირეებული ჰყავდა. ხორცი მოყირჭებული ჰქონდა უკვე ოჯახის ყველა წევრს. ეს მონადირე ისეთი ხელმარჯვე და კარგი კაცი ყოფილა, რომ დაჭერილი და მერე გაზრდილი ჯიხვები და არჩვები ჰყოლია.

ამ მნადირეს დალი ჰყვარებია. ამ დალის ნაჩუქარი ყოფილა თვალი და ამიტომ ჰქონდათ ასეთი მდიდარი ცხოვრება.

ერთ დღეს მონადირე თურმე ლაშვარდალების კლდისკენ წასულა სანადიროდ. მიეპარა თურმე თეთრ ჯიხვს. თოფი მომართული ჰქონია. ამ დროს ვილაცამ ხელი მოჰკიდა. მობრუნდა უკან და ისეთი ლამაზი გოგო დაინახა, რომ კინალამ კლდეზე გადავარდა სიყვარულის გამო. სიტყვის თქმაც კი ვერ შეძლო. მაშინ ქალიშვილმა უთხრა თურმე, რომ „იგი არისო დალი“. მის სიყვარული ჩავარდნია გულში და ჩავსიყვარულდეთო“. ეს კაციც ძალიან კარგი შესახედი ყოფილა. ამან უპასუხა, რომ „მისი ჭირი მისვლოდესო“ როგორ იკადრებს მისნაირ უწმინდურ კაცს ასეთი ანგელოზი“. „იმის დარდი მას ნუ აქვსო, მაგრამ ერთი საქმე არისო. მათი სიყვარული არავინ უნდა გაიგოსო. თუ არა, მასო მაშინ ცუდად წაუვა საქმე. თუ რამე დაგემართება, ისო საკუთარ თავს დააბრალოსო და არა მასო“. „კი, მისი ჭირი მისვლოდესო, მაგრამ მასო ცოლი ჰყავს და რა უნდა ქნასო, თუწრა მასთან რა მოაწყენსო და რა აჯობებსო მასთან ცხოვრებასო“. „ცოლთან არაფერი წამოგცდეს აწი და არც უთხრაო“.

იგიო მას თვალს მისცემს, სახლში როცა მიხვალო, სახლეულობას უთხარი. ესო „ჯგერავს“ წმ. გიორგის მოუცი-აო. ყველაფერი კარგად გექნებათ, წაგივათ, მისთვის თითქოს ცოლთან წოლა აუკრძალავს. სახლეულობა დაუჯერებსო და მერე არაფერი იქნება“.

ეს კაცი დათანხმდა და ასე ჩასიყვარულდნენ. ამაღამ ერთად დაწვნენ დალის გამოქვაბულში. აქ ისეთი სახლეულობა აქვს დალს, რომ დანახვა მაღლია. აქ ქვაბში სამი დღე დაღამე იყო დალთან და მეოთხე დღეს წავიდა შინ. სახლეულობა კერას უზის ნაცარგამოქეპილი, ისე არიან

დადარდიანებული. ამალამ სამხიარულო გადაიხადეს და კარგად მყოფობა აქვთ. სტუმრები გაივდნენ და ამან უთხრა თავის სახლეულობას: მისთვის წმ. გიორგის ეს თვალი მოუცია. ამოიღო, მთელი სახლი გაანათა, მაგრამ ერთი საქმე უთქვამს: ამის შემდეგ შენ ცოლთან მწოლად არ ვარგიხარ და ბერივით უნდა იყოსო, იცხოვროსო, სანამ წმ. გიორგი არ მისცემს უფლებას, მანამდე.

ეს თვალი თავის ცოლს ჩააბარა შესანახად და ამანაც სკივრში შეინახა. ქმარმა გააფრთხილა სახლეულობა, რომ „არსად გაამხილონ ამ თვალის შენახვა თუ არა, ამოვწყდებით“. თვითონ მარტო გაიკეთა საწოლი და ასე არიან. ამ თვალის მოტანის შემდეგ, ისე გამდიდრდა ეს მოსახლე, რომ სიმდიდრეს თავი და ბოლო არ უჩანს. ამ კაცს, როგორც კი დალის სიყვარული მოუვლის, სანადიროდ წასვლას მოიმიზეზებს და ყველაფერი კარგად აქვთ, მაგრამ საბრალო ქალს, ალბათ, უქმროდ მოსწყინდა და ამის ცოლი ძალიან ცუდ გულზეა. მასაც უნდა ქმართან წოლა, თუ არა სხვა არაფერი აკლია. კარგი ბედი აქვს, ჩაცმული კარგადაა. სახლეულობაც ბედნიერეად, კარგად გრძნობს თავს. მაგრამ თვითონ „მოწყრილშალ“ – (შურისმაძიებელივითაა) სახლში. იშვიათად თუ მოუვლის ღიმილი, თუ არა უკვე აღარაფრის დადი აქვს.

ერთ დღეს ეს კაცი კიდევ წავიდა დალის სანახავად. ისე უვლიდა ამას დალი, რომ რაც ხანი მიდიოდა, სიკეთეში შედიოდა და ახალგაზრდავდებოდა. ამასაც, თუ ერთი ან ორი დღე დაუყოვნებოდა, დააკვიანდებოდა დალის უნახავად, გული საგულეში აღარ ედო. თუ შინ არის, ღამე გადის გარეთ და მხოლოდ დალის სადგომისკენ იხედება. სახლეულობას მლოცველი ჰგონია.

ერთხელ მისი ცოლი ფარულად გაჰყვა და მიხვდა, რომელ ქვაბშიც შევიდა მისი ქმარი. ამალამ უკან დაბრუნდა ეს ქალი და სახლეულობას ყველაფერი აუწყა: მის ქმარს ალბათ დალი უყვარსო და ამალამ ქვაბში დადისო“. ჯალაბს ძა-

ლიან გაუკვირდათ. არ დაიჯერეს: „შე ქალო, მონადირე კაცმა ყოველთვის იცის ღამის გასათევი ქვაბი და იმაში ექნება სადგომიო. თუ არა ვინ დალი და რა საქმეო“. ამას ქალი არ შვრება. მეორე ღღეს ამ მონადირემ ჯიხვი მოიტანა შინ. მაშინ შემოესია მთელი ჯალაბი იქიდან და აქედან: „სად დაღიხარო, რისთვის იღებ ცოლის ცოდვას თავზეო, არა სცხვენიაო?“. „თქვე ხალხო, რას შერჩით, ხომ უთქვამს და მას ამის გარდა არაფერი აქვს სათქმელი“.

იმდენი ეჩინინეს, რომ ათქმევინეს, თუ როგორ ყოფილა საქმე მასა და დაღს შორის. ეს თქმულიც კი არ ჰქონდა ბოლომდე, რომ გასკდა სახლი და ყველაფერი ერთიმეორეში აიღრია. თურმე თვალი გამომხტარა სკივრიდან და შესულა დაღთან. ეს სახლეულობა მთლად ამოწყდა. სიმდიდრე კი სოფელმა დაინაწილა იქით და აქით.

*მთქმელი დავით გულუდანი. მცხ. მესტიის რაიონი
სოფ. ლენჯარი. 15. II. 1943 წ. ჩამწერი: მ. ქალღანი.
დაბეჭდილია: სვანური ენის ქრესტომათია,
თბ., 1978 წ. გვ. 78. ტექსტი შეკრიბეს და
გამოსცეს ა. შანიძემ, მ. ქალღანმა და ზ. ჭუმბურიძემ.
ტექსტი სვანურიდან თარგმნა ო. ონიანმა.*

ბები მარგიანი და დალი

ჩემი მეგობარი იყო გეგი მარგიანი. ცნობილი მონადირე. გეგი მარგიანს ჰყვარობდა დალი. „თავს არ ვაკადრებდიო“ ამბობდა გეგი, თორემ რამდენსაც ვთხოვდი, იმდენ ნადირს მაძლევდა ისო“.

შეჰყავდა დალის თავის კლდეში და იქ უდებდა პირობას, რომ არ გაემხილა გეგის მასთან ურთიერთობა. იმ ნადირს, რომელიც გეგის არ უნდა მოეკლა, ჰქონდა გარკვეული ნიშანი. ეს იყო ნიშანი დალისა და გეგის უნდა დაეცვა ყოველთვის. ნადირს რომ მოკლავდა, შესწირავდა დალს მის გულ-ღვიძლს. საერთოდ, ასე ხდებოდა: ჩამოკვლიდნენ სამონადირეო ადგილებს, სადაც საერთოდ ნადირობა სწარმოებდა სვანეთში და გულ-ღვიძლს ადგილის დედას – კოჯა დალს სწირავდნენ. პირველად მას ახსენებდნენ. სხვა ღვთაებას არავის. მხოლოდ სანადირო ადგილს და გარეულ მწყემსს დალს“.

გეგის, როგორც ეტყობა თავი ვერ შეუკავებია და უღალატია დალისთვის. ერთ დღეს დალი შეხვდა და უთხრა: შენ ჩემთან დადებული პირობა არ შეასრულე და შენი სიკეთე დღეის იქით აღარ იქნება. ამის შემდეგ მოუვლინა ავადმყოფობა, უცნაური კანკალი და ნადირობა აუკრძალა.

ჩაწერილია ელ. ვირსალაძის მიერ 1951 წელს. მთქმელი: მესტიის რაიონის, სოფ. ლახირის მცხოვრები ბესარიონ იოსელიანი. იხ. ფოლკ. არქ. №34382 ტექსტი დაბეჭდილია: ელ. ვირსალაძე, „ქართული სამონადირეო ეპოსი“. 1964 წ. გვ. 217-218.

დალი

ყოფილა ბექა გულბანი, წმინდა კაცი ზეგანიდან (იფარის მიდამოებიდან). როდესაც სანადიროდ მიდიოდა, 2-3 ნანადირევით მოდიოდა. თურმე ყოველ ღამე დალი მობრძანდებოდა მის ოთახში და მასთან იყო. ყველა ნათესავი აძალებდა ცოლის შერთვას, მაგრამ ცოლი არ ითხოვა, რადგანაც, სანამდე იგი დალს შეიყვარებდა, მანამდე უნდა ეთქვა, რომ ცოლი მინდაო. რაკი მანამდე არ უთხრა, აღარ ჰქონდა ნება არც ცოლის შერთვის, არც სხვა ქალთან ცხოვრების. წინასწარ რასაც გაუტყდებოდა დალს და ეტყოდა, ნებას რთავდა, მაგრამ მერე არც ცოლის თხოვნის ნება მისცა და არც სხვა ქალის შეყვარების. ღრმად მხუცდა ბექაი. როცა კვდებოდა, ჭირისუფალი დაითხოვა და უთხრა: მარტო დამტოვეთ. როდესაც გარდაიცვალა, მოვიდა მისი შეყვარებული დალი. ცხედარი გაბანა, შემოსა, სამი დიდი სანთელი აუნთო ფეხებთან, დაიტირა და დატოვა ასე.

ჩაწერილია ელ. ვირსალაძის მიერ II, VIII 1951 წ. ჰადიშში (ზემო სვანეთი). მთქმელი აბესალომ (ათსულ) ბურთაზბეგის ძე ავალიანი. 90 წ. იხ. ფ. არქ. №34359
ტექსტი დაბეჭდილია: ელ. ვირსალაძე, „ქართული სამონადირეო ეპოსი“. 1964 წ. გვ. 214

მონადირე და დალი

მონადირეს ერქვა ალმასგილ – ბეჩოელი ყოფილა. ის ნადირობდა მაგრად. დედამისი ეკითხებოდა ყოველთვის – რა არისო, რომ შენსავით არავინ ნადირობსო?

შენ მოუარე შენს თავს, არაფერი გეკითხება. ეს ჩემი საქმე არისო. მერე ამხანავს უთხრა ალმასგილმა: დედაჩემი ასე მელაპარაკება, აღარ მასვენებსო. აგრე სიცოცხლე აღარ შემიძლიაო, ისეთ მღვომარეობაში ვარო.

ამხანაგმა ურჩია: თუ ასეა, გარეთ გამოდი მინდროში, იქ დაიძინე და იქიდან გამომიარეო.

დაუჯერა ამხანაგს და დაწვა ერთ ადგილას მინდორში. თავის საბარგე ხურჯინი თავქვეშ დაიდო. გამოვიდა შუა ღამეს დედამისი, ეძია, ეძია და მონახა მისი შვილი. ხედავს, რომ წევს და სძინავს. გადმოიღო ეს ხურჯინი დედამისმა და გახსნა: ჩალაგებული ყოფილა ხურჯინში „ბერდენკის“ ვაზნები. გადმოაწყო ეს ვაზნები. ეს იყო მონინდომა უკან ჩაწყობა, მაგრამ ვერ ჩაატია ნახევარიც. ნახევარი გარეთ დაურჩა. დილით გაელვიდა მონადირეს. ნახა ეს მდგომარეობა. უამბო ამხანაგს.

მეორე ღამეც ასე მოიქცა. გამოიცივალა ადგილი და მინდორში დაიძინა. მონახა დედამ. ისევ დაინტერესდა, გახსნა ხურჯინი, ყოფილა ხურჯინში რალაც თავსაფარი. რომ გაშალა მთელს მინდორს ფარავდა, რომ დაკეცა, ვერ ჩაეტია და ნახევარი გარეთ დარჩა.

მეორე დილით ესეც უამბო ამხანაგს. ბოლოს ასე გადაწყვიტა, უთხრა ამხანაგს: მე ამ მიმართულებით წავალ. შენ იმითიო. დაენიშნოთ ესა და ეს დრო. თუ ამ დრომდე ჩემი ვერაფერი გაიგო, მომძებნეო.

გავიდა ხანი და შემოესმა ამ ამხანაგს მძლავრი კივილი. მივიდა და ნახა, რომ ზვავმა გაიტანა ალმასგილი. ამის (ალმაგილის) წივილ-კივილზე მოიყარეს თავი დალებმა.

ერთმა დალმა თქვა: ამას ამხანაგი ჰყავს და ის მოძებნის, ამა და ამ ადგილას არის ზვავით დაფარულიო.

როგორც კი გაიგო დალების ლაპარაკიდან (ამხანაგმა), სადაც იყო ჩამარხული, სასწრაფოდ ამოიყვანა მკვდარი.

მეორე დღეს მოიყვანა ხალხი გარდაცვლილთან. თვითონ სანადიროდ გაბრუნდა. ესმის ისევ დალების საუბარი: ერთმა დალმა სთხოვა მეორეს – მარილი თუ გაქვს, ერთი მუჭა მარილი მომეციო.

მეორემ ასე უპასუხა: სამშაბათ – ხუთშაბათის წესის დამრღვევი ვიყო, თუ მქონდესო. თქვენს გამო არც ჩვენ გვაქვსო.

კიდეც თქვა ერთმა დალმა: რა ეშველება ამ მკვდარსო?

მეორემ უპასუხა: მაგას მე წავალ, ჩავაცმევ და მე მოვუვლი. იმას დედის მოვლა არ შეეფერება.

კი მაგრამ, როგორ მოახერხებო? თორემ ჩვენც წამოგყვებოდითო. ადგილზე ვიტირებდითო. მეორემ უთხრა:

ამას ისეთი ამხანაგი ჰყავსო, რომ ის მოახერხებსო. ერთ დროს, გასვენების წინ ერთდროულად ყველას გაიყვანს გარეთ. აღმასგილის გულისთვის თითო სეფისკვერს დაურიგებს და თითო ჭიქა არაყს დააღვეინებსო.

ეს მოისმინა ამხანაგმა ყველაფერი. მივიდა იმ ღამეს სახლში და ცოლს უთხრა: ხვალ სამი ზექა არაყი უნდა ვიყიდო და იმდენი პური უნდა გამოვაცხოთ, რომ ყველას ეყოსო, ჩემი ამხანაგის საპატივსაცემოდ.

ცოლმა უთანაგრძნო და მართლაც ასე გააკეთა. იმდენი ღონე იხმარა, რომ მთელი ხალხი გარეთ გაიყვანა კალოზე და არავინ დატოვა სახლში. ამ დროს შევიდნენ დალები სამი ფანჯრიდან. მიცვალებული მარტოა სახლში. დალმა ქეც იტირა, ქეც გახადა ტანისამოსი და თავის ჩააცვა ყველაფერი. მხოლოდ უკანასკნელად ერთ წულას რომ აცმევდა, ერთი ქუსლი ჰქონდა ამოწეული. იმ დროს დედამ გამოაჩინა თავი და გაქრნენ დალები. ეს წულა ქუსლამოწეული დარჩა.

ამხანაგმა გარეთ რომ წესი შეასრულა, შევიდა ხალხი და ხედავს, რომ ცვლილებაა ამ მკვდარში და სხვანაირი სინათლეა მის გარშემო. ის წულა კაცმა ვერ ჩააცვა. ამხანაგმა კი უთხრა: ამის ცოდვა სიცოცხლეში ნუ გამოელევა იმას, ვინა ბრალიც არი და დარჩა ეს სამარადისოთ.

*ჩაწერილია ელ. ვირსალაძის მიერ წ.
მთქმელი მესტიის რაიონის სოფ. მულახის მცხ.
ქურდიანი ვასილ ლეონის ძე. 60 წ. წ. კ. არ იცის.*

იხ. ფოლკ. არქ. №34366 ტექსტი დაბეჭდილია:
ელ. ვირსლაძე, „ქართული სამონადირეო ეპოსი“.
1964 წ. გვ. 214-216

მონადირე ჩორლა

ა
მონადირე ჩორლა მიდი-მოდის,
ასე შემოუვლია მულაც-მუჟალი,
ამხანაგი ვერ უშოვნია,
უკან თურმე საყლა გაიყოლე,
შენი კუთხვა მხარზე დაგიღვია,
საგზალ წაიღე სამი ხაჭაპური.
სანამ გზას გაუდგებოდე,
ცხრა კლდეს გადასულხარ,
არაფრის კვალი („ფეხის დანადგამი“) არ გინახავს,
მეთათე კლდემდე გასულხარ.

ჩაგიდხედავს შიდა ხევეში:
ჯიხვითა და არჩვით სავსეა.
შენი კუთხვა მხარზე გადმოგიღია,
სანამ სროლას შეუდგებოდი,
ასო ოცი უკვე მოგიკლავს,
ჯიხვი და არჩვი ყველა შერეულად.

ერთი კოჭლი თხა დაგრჩა,
დაკოჭლობს, ცოდვილობს,
მიულწევია დალის კლდემდე,
მისდგომია დალის გამოქვაბულს.

დალები კარში გამოსცვენინან,
ამბავი მოუვიდათ მეტად საწყენი:
„ჯიხვი და არჩვი ყველა დაუხოცავს
იმ სისხლისმსმელ ჩორლას!“

გამოსცვენია დალის ლაშქარი, -

ჩორლა, თურმე ჯიხვებს ატყავებ,
შეგკრეს მაგრა-მაგრად,
ჩამოუკიდინარ დიდ კლდეზე
მარცხენა მკლავით, მარცხენა წვივით.

იქ ჩორლას მოთქმა
მყარ ქვასაც ცრემლს დაადენდა,
იქ საყლას წკმუილი
ტყის ფოთოლსა(ც) კი არხევდა.

„აბა, ჩემი საყლავე,
წადი შენ ჩემ ძმებთან:
თოფი და იარაღი არ დატოვონ,
ჩემი ძვალი შინ წაიღონ!“

სანამ გაუდგებოდა გზას (ძალღი),
ცხრა კლდეს გადასულა,
წკმუილი არ შეუწყვეტია.

სახლის ახლო მისულხარ,
გასახელი შეგექნა ციხისკენ:
გაიხედე, მარჯვნივ მოხუცი კაცი მოდის,
შეგხვედრია წინ.

საყლავე ჩემო, სად მიდინარ?
შენი პატრონი სადა გყავს?

პატრონი ჩემი სადა მყავს,
დიდ კლდეზე მაგრად ჰკიდია!

საყლავე ჩემო, ნუ გეშინია,
იმის მიზეზი დალები იქნებიან,
დალები ჩემი ხელქვეით არიან!
საყლა წინ, წმ. გიორგი უკან,
მიულწევით დალის კლდემდე.
ერთი დალი ცალკე არის,
მეძაობას აბრალებენ:

ჩორლას სიყვარულს.

შეუსლან ამაში,
დალი ცხარე („მაგარ“) ცრმელებს აფრქვევს.

წმ. გიორგი ამას შეეკითხა:

- დალებს ყველაზე უფრო რა აშინებს?

რა აშინებს (და) მეძავი ქალის ფეხის ნაღვამზე
მამაკაცის აქ მოყვანა!

ამას თუ კი ეტყვი,

ჩორლას აქ მოგიყვანენ.

წმ. გიორგი თვითონ დალებთან წავა,

შეერია დალთ ლაშქარს:

თქვე დალებო, რას უშვრებით
ღვთისმოყვარე ჩორლას?

თუ გერჩიოთ, გამოგიშვიათ,

თუ არა და არჩევანს მოგცემთ:

მეძავ ქალის ფეხის ნაღვამზე

ფეხის დამდგმელს აქ მოგიყვანთ,

თუ არა და ჩორლა გამომიშვით!

უფალო ჩვენო, რას გვაქნევენებთ?

ერი კოჭლი თხა დაგვიტოვა

იმ მონადირე ჩორლამ!

შენს ნაბრძანებს ჩვენ ვერ წავუვალოთ,

დაგვებრუნებინოს ჩორლა შენთვის!

გასულან გამოსაშვებად:

ჩორლა დაბლა ჩაგიყვანიათ,

მარჯვენა მხარი მოგიტეხიათ:

„კოჭლ თხას არ მოგიკლავ!“

ჩორლა ჩემო, ჯიხვი აიკიდე!

ჯიხვს ვეღარ, მხარი მოტეხილი მაქვს.

ჩორლა, მაინც თავი სცადე!

ჩორლამ აქ თავი სცადა,

ჯიხვი აიკიდა ძალიან სწრაფად:

მხარი უკეთესი შეექნება.

სანამ გაუდგებოდით გზას,

თეთრ კლდეზე გადასულხართ,

მოსულა წვიმა-სეტყვა.

„ჩორლა ჩემო, უკან მიიხედე!“

ჩორლა უკან იხედება.

ო, საბრალო დალთ ლაშქარო,
მეწყერსა და ნიაღვარს მიჰქონით თურმე!
ერთი დალი წინ მიფრინავს,
ერთ ნაბიჯზე სახლის სიმაღლეს ხტება,
ცოტა ხანში დაეწევა.

- უფალო წმ. გიორგი, მაპატივე,
ამას ჩემთვის სიკეთე უქნია,
ბევრი გაცივებული გაუთბია,
ბევრი მშიერი გაუძღია.
გვედრები, ჩემო უფალო,
ეს დალი არ დავახრჩოთ!

- ჩორლა ჩემო, არ დავახრჩობთ,
სადაც მოჰკვდე, იქ მოკვდეს.
თქვენი შთამომავლობა მილიონი იყოს!
გასდგომინარ გზას,
სახლის ახლო მისულხართ,
უფალმა წმ. გიორგიმ ჩორლას უთხრა:

ჩორლა ჩემო, არ მცალია:

ქველა ქვეყანაში

თეთრი ყვავილი მობრძანებულა.

იქ ერთი ქალი მეგულება:

როგორც შენ, ჩემო ჩორლა,

სანთელ-საკმეველი ბევრი უკმევია,

ერთი ბიჭი იმასა ჰყავს;

წინ წავიდნენ შავი ქაჯები

სულის წასაყვანად თავიანთ უფალთან;

დღეს მტრედი მომადგა კარს,

ცრემლებს ჰყრიდა ცხელ-ცხელად:

„უფალო წმ. გიორგი, ქვევიდან მოვდივარ:

ქაჯები ბიჭს სულს ართმევენ!“.

მტრედი იმ წამსვე მე უკან დამიბრუნებია:

„ქალს უთხარი ჩემგან იმედი:
შენს ვაჟს მე გაგიცოცხლებ!“
ქაჯებს რკინის მათრახს დავჰკრავ,
ახლა ჩორლა, იქ ვიჩქარი!
შენ რა გინდა, ჩემო ჩორლა:
კვირაში წვრილი არჩვი
უხვად და უნანებლად,
თუ დღეში ჯიხვის თავი?

უფალო ჩემო, ნუ გამიწყრები:
დღეში – ჯიხვის თავი!
აქ ესენი ერთმანეთს შორდებიან:
წმ. გიორგი ქვემოთ, ქვედა ხევში,
ჩორლა – თავის სახლში.
აქ ჩორლას ქალი დაუხვდა,
ქალი დაუხვდა ძლიერ მეძავი.
წინ შეხვდა კლდის დაღს,
კლდის დაღს სული ამოხდომია.
„შე მეძავო ცოლო ჩემო,
(რად) არ გერჩია ცოცხლად ყოფნა!“
ჩორლას აქ სული ამოხდომია.

*მთქმელი შონია შერვაშიძე, ცხ. მესტიის რ-ნი
(სოფ. ოკაი) ჭოლაშვილი (გულახი) 8. VIII. 1927 წ.
ჩამწერი ვ. თოფურია*

ბ

ბარბი მონადირე ჩორლა

ჩვენი კარგი მონადირე ჩორლა
სანადიროდ ემზადება,
ამახანავი არავინ ჰყავდა,

შავი ყორანა (ძაღლი) უკან მისდევდა.

გასდგომია გზას,

სანადიროდ თეთრი კლდე სჩვევია;

გასულა თეთრ კლდეზე,

აქ არაფერი ჰშოვებია.

გაბრუნებულა დალის წანისკენ,

მიჰპარვია ჯიხვე(ებ)ის ფარას,

სროლა აუტეხნია, ერთი რჩეული,

ერთი რჩეული ჯიხვი მოგიკლავს.

მეორე უცბად შეუნაცვლა,

მეორე მოგიკლავს კიდევ;

მესამე კვლავ შეუნაცვლა,

მესამეც კიდევ მოუკლავს.

სანამ მეოთხეს გაიმეორებდა,

მანმადე დალებმა შებორკეს,

შეუტოვებიათ კლდეზე

მარჯვენა ხელითა და მარცხენა ფეხით.

ჩორლა საბრალო, ჩორლა საცოდავო,

ნეტაი სად დარჩება შენი ძვალი!

აფსუს (შენი) თოფი და იარაღი,

თოფი და იარაღი ჟანგის შესაჭმელად!

უკან გაჰქცევია თვალი,

ყორანა უკან მომწკპუროდა.

„საცოდავო ყორანა, არ შეგიძლია?

შინ წადი (და) ჩემს ძმებს,

ჩემს ძმებს უამბე:

ხევ-ხევ ამოვლენ,

თოფსა და იარაღს არ დაკარგავენ,

ჩემს ძვალსაც შინ წაასვენებენ!“ („წაიღებენ!“)

ცოტა უკლია შინამდე,

უფალი გირგი შემოხვდა:

ყორანა, შენ საით მიდიხარო?

როგორ თუ საით, ჩემი ჩორლა,

ჩემი ჩორლა კლდეს შეპრჩა!
მის ძმებს ზევით ვიახლებ,
ჩორლას ძვალს შინ წამოიღებენ,
თოფსა და იარაღს არ დაკარგავენ.

უფალი გიორგი თვით მობრძანდება,
ყორანა ჩორლასთან გააბრუნა:

„ჩემ მოსვლამდე გაჰმარდეს!

ხევ-ხევ ამოვალ,

დალებთან მოლაპარაკებას გავმართავ! („მოციქულობას“

უფალი გიორგი ზევით აბრძანდა [„დავუწყებ“]).

დალებთან მოლაპარაკება გამართა („მოციქულობა დაუწყო“):

„ჩორლა გამომიშვით“ („გამომიშვან“)

ეს დალებმა გაიკვირვეს.

მეორედ კვლავ მოციქული დაუბრუნა:

ერჩიოთ და გამომიშვან,

თუ არა და ჩორლასო

სამი ათასი ჯიხვი მოუკლავს,

წვრილი არჩვი უთვალავია,

იმ დღესვე (სულ) ფეხზე დამიყენონ, -

რომელიც ერჩიოთ, ის მიქნან!

- ჩვენ ამდენს საიდან მოვიყვანთ?

ჩორლამ სამი თხალა დაგვიტოვა!

ჩორლას გამოვუშვებთო,

(მაგრამ ნიშნად) მარჯვენა მხარს მოვსტეხთ!

ჩორლა გამოუშვეს,

მარჯვენა მხარი მოსტეხეს.

უფალი გიორგი ქვევით უცდის,

ჩორლა ძლივს მოდის,

ჩორლა ჩემო, როგორა ხარ?

როგორ ვიქნები, ბეჩავი?

ან ამას ვინ იფიქრებდა,

თუ მე ცოცხალი დავრჩებოდი?

მარჯვენა მხარი მომტეხეს.

ჩამოდი ჩემთან,
სამ ჯიხვს ერთმანეთზე მიგიბამ,
თუ ამას მხარზე აიკიდებ,
მაშინ ნადირობაში ხელი არ შეგეშლება.

სამი ჯიხვი ერთმანეთს შუბა,
ეს ჩორლას აჰკიდა.

ახლა მე წინ წაგიძღვები,
თუ ქედზე ავალთა,
მაშინ ნადირობაში ხელი არ შეგეშლება.
გასდგომიან გზას,

ცოტა უკლიათ ქედამდე:
„ჩორლა ჩემო, უკუ მიიხედე,
ერთ სეირს ახლავე გაჩვენებ!“

ჩორლამ უკან გაიხედა,
ხევ-ხევ სეტყვა მოდის თურმე.
მეწყერსა და ნიაღვარს ყველაფერი მიჰქონდა,
დალები მეწყერსა და ნიაღვარს გაურიდა.

„შენი მხარის მოტეხვისთვის
ეს დალებს ჰქონდეთ!

ჩორლა, ჩემთვის ბევრი გიმსახურია:

თორმეტი ცხენის საპალნე

მარტო სანთელ-საკმეველი დაგიხარჯავს, -

იმ ნამსახურს არ დაგიკარგავ,

ახლა ნატვრასაც მოგცემ:

დღეში (თითო) ჯიხვი გქონდეს,

წერილი არჩვი უარუთქმელად გქონდეს!

სანამ გინდოდეს, ასე იყავ,

როცა შენ სიკვდილი გერჩიოს,

მანამ ეს ნატვრა გქონდეს;

როცა ის ირჩიოს,

მაშინ (იყავ) ჩვენთან მყოფი, -

ეს ნატვრა შენთვის მომეცეს!

ეს ღმერთმა დაგლოცოთ!

მთქმელი ღავით მარგიანი, მცვხ. მესტიის რ-ნი
სოფ. მულახი. მუჟალელი. 30. VIII. 1936 წ. ჩამწერი მ. გუ-
ჯეჯიანი.

ც

ქალა

კარგი ქალა წასულა,
წასულა სანადიროდ,
მიჰპარვია ჯიხვის ფარას,
ერთი თოფის სროლაზე
ხუთი ჯიხვი მოგიკლავს.
ეს ღაღებს გაუგიათ.

„ქალას ას ეარ გავუშვებთ:
მარცხენა ფეხს გადაუცდენთ,
მარჯვენა მბარძაყს მოვამტვრევთ,
ახალგაკეთებული ბანდულის წვერით
ოქროს საკიდზე დაკიდებთ!

„ეს მართლაც ასე მიყვეს:
გადამიცდინეს მარცხენა ფეხი.
მარჯვენა ბარძაყი მომტეხესო“
ქალას ყურშა კარგა მისდევს.

„საბრალო ყურშა, შინ წადი,
ღელაჩემს ასე უთხარ:
ჩემს ძვლებს ნუ ეძებს,
ხაჭაპურ-შიჭღვარს მიღებდეს სულის მოსახსენებლად!“
მიდის, მიდის, ყურშა მიდის,
ყურშას წმ. გიორგი წინ შემოხვდა.

საბრალო ყურშა, სად მიდიხარ?

როგორ თუ სად, ქალა გადმოვარდა ჭიუხიდან,
დედამისს ვაცნობებ.

- ჩემს ქალას არ გადმოვადებდა,
თუ დალები არ უღალატებდნენ?
ყურმა წმ. გიორგიმ გააბრუნა.

მიდის, მიდის, წმ. გიორგი მიდის,
სადაც ქალა უკუღმა ჰკიდია,
უკუღმა ჰკიდია ოქროს საკიდზე.

წმ. გიორგიმ სახოცი მოუსვა,
ქალა უფრო მშვენიერი გახდა („გამოიბრუნა“).

წინ წმ. გიორგი, უკან ქალა,
დარბოდნენ ჭიუხის წვერზე,
წაწყდნენ ოქროს კარავსო.

წმ. გიორგის აქვს ოქროს კომბალი,
დაურახუნა ოქროს კარავს,
გამოიხელა სამმა დაღმა.

საბრალო დალებო, რა ჩაგიდენიათ?
ჩემი ქალა რად გადმოვადეთ?

სამყოფ-სადგომს დაგილევთ,
თქვენს ჭიუხს ტრამალად ვაქცევ!

- შენს მადლს, უფალო გიორგი,
საყოფ-სადგომს ნუ დაგვილევ!

რა უნდა გვექნა, უფალო გიორგი:

ყოველ ახალ კვირის თავზე
თოფის კვამლში გაგვხვევდა ხოლმე.

საყოფ სადგომს (თუ) არ დაგვილევ,
შენს ქალას საჩუქარს მივსცემთ:

(ყოველი) სექტემბრის დამდევს მსხვილ ჯიხვებს,

წვრილი არჩევები უღეუად ჰქონდეს

მისი გვარის ყველა მონადირეს.

ასე დალოცვილი(ყოს) ერთად ყოფნა!

მთქმელი ბექა გასვიანი, მცხ. მესტიის რ-ნი

C

მონადირე პაცი

ო, ბედნიერო მონადირე!
სანადიროდ მიდიხარ ბნელ ხევში,
მხარზე გედვა კუთხვა თოფი,
წინ შემოგხვდა გარეწარი მგელი,
მგელს ჩვილი (ბავშვი) კბილებში აქვს.

- მგელო, ჩვილი მე მომეცი!
უსიკვდილოდ ვერავის მივსცემ!
შენი სიკვდილი ადვილი საქმეა.

ჭახანი გაადენინა თავის კუთხვას,
მგელს ჩვილი უნებლიედ დაუვარდა,
მონადირემ აიღო, კალთაში გაიხვია,
თაქვე გაუდგა მინდორს.
მინდურის ძირას კლდეებიდან
სიმწრის მოთქმა მოესმა.

რა გარეულ-ბედნიერი ბრძანდებიო?
რა დაგმართია, ვისზე მოსთქვამო?

- მე ვარ კლდის დალიო,
წუხელ სამრელოში ვიყავიო („ყოფილაო“),
მგელმა ჩვილი მომპარაო („მოუპარავსო“).
მაღლით სავსეე, კარგო მონადირეე,
ის მგელი (ხომ არ) გინახავსო?

- ის მგელი მე მოკვალაო.
დალმა სიცილის ხმა დასცა,
ჩამოაწოდა ოქროს ნაწნავი,
ჩვილი კლდეებზე აიყვანა,
მერმე ჩამოაწოდა არყის წნელი,
მონადირე კლდეებზე აიყვანა,

შეურია ჯიხვის ბალანს.

სალამოს აფსათი მობრძანდება:

„დედავ, ადამიანის სუნი დისო!“

დალმა აფსათს უამბო:

წუხელ სამრელოში ვიყავიო („ყოფილაო“)

მგელმა ჩვილი მომპარაო („მოუპარავსო“).

ის მონადირეს მოუკლავსო,

ჩვილი მე დამიბრუნაო („ჩვილი მისთვის დაუბრუნებიაო“).

- რა იქნა ის მონადირეო?

დალმა ნადირის ბალანი გასწი-გამოსწია,

მონადირე აფსათთან გამოიყვანა.

ყოველგვარ წყალობას რა გირჩევნიაო?

ყველაფერს ჯიხვის ბეჭი მირჩევნიაო.

რაკი ასე გიყოჩალებიაო,

ვალად მეღვას სექტემბრის ჯიხვები.

ჩამწერი ლახამულელი ალი დავითიანი, 1939 წ.

დალი კლდეში მშობიარობს

დალი კლდეში მშობიარობს,

მშობიარობს თეთრ კლდეში.

„შენი შვილი გადაგვარდნია,

გადაგვარდნია კლდეს იქით“.

ქვევით მგელი უდარაჯებს,

ქვევით მგელს პირი დაუვლია,

გააქროლა მინდორს ქვემოთ.

თურმე ქედ-ქედ მონადირე მოდის,

მონადირე მეფისა მოდის,

მონადირე მეფისამ თვალი მოჰკრა;

ქედ-ქედ მოდის თურმე მონადირე,

მინდვრით მგელი მოდიოდა.

დაუდარაჯა მონადირე მეფისამ,

მონადირე მეფისამ საალაგე ადგილზე
თოფი მოარტყა შუბლში,
დალის შვილი დააგდებინა,
დალის შვილი აიყვანა,
მგელის ტყავი წელზე ამოიჩარა.

დალი კლდეში მოსთქვამს,
უფრო (კი) კლდეები მოსთქვამენ;
მონადირე მეფისა შემოსულა,
შემოსულა თეთრი კლდის ძირში.

დედა ჩემო, ნაწნავი ჩამოუშეი:
ისემც შენ გაქვს დედის მადლი,
დედის მთქმელი მე არავინ მყავს, -
დედის მთქმელი ნადირმა მომტაცა:
მე ვარ შენი შვილი!
შენი მშველელი ვინაა? („ვინ იქნება?“)
ჩემი მშველელი - მონადირე მეფისა.
სამ არჩევანს ამას მივსცემთ:

ერჩიოს და ყოველდღე
შუნს მივსცემთ:

ის თუ არა და სექტემბერში
ცხრა ცალ ჯიხვს მივსცემთ;
ის თუ არა და ჩემთან წოლა.
შენთან წოლას მე ვერ გაკადრებ,
ცხრა ცალი ჯიხვი მომეცი!

გამოუყვანია ცხრა ცალი ჯიხვი.
ერთი ოქროს რქიანი გაურია.
მონადირემ ოქროს რქიანს დაუმიზნა,
იმან ტყვია არ მიიკარა,
მონადირეს შეუბრუნა შუბლში,
მონადირე მეფისა ააგორია.

მთქმელი დავით მარგიანი, მცხ. მესტიის რ-ნი
სოფ. მუქალი (60 წლისა) 27. VII. 1936 წ.
ჩამწერი მერი გუჯეჯიანი

ბ

დალი

„დედავ, გენაცვა, საგზალი გამომიცხვე:
არჩვ-ჯიხვი მომენატრა“.

ამრიგ უცხოებს დედა საგზალს
მონადირეს, თავის საყვარელ შვილს.

„დილით ადრე ავსულვარ,
ავსულვარ მთაზე,

საუზმის ალებას ვაპირებ(დი),
(რომ) ერთი გაჭირვების კივილი მომესმა, -
ეს მე არად ჩავაგდე.

მეორე კივილი კვლავ მომესმა.

„მე წყეული ვიყო, თუ არ გავიგო,
რა უნდა იყოს ეს კივილი!“

ზევით ავიხედე – თეთრი კლდეა:

დალი კლდეში მშობიარობს,
ძირს მგელი უდარაჯებს“.

დალს შვილი კლდეზე გადმოვარდნია,
ის მგელს გაუქროლებია.

მონადირე კლდის ძირას მივიდა,

შეელაპარაკა ზევით დალს:

დიდება მოგივიდეს, ვინც ბრანდები,
მიბრძანე, ძალიან მინდა!

მე ვარ კლდის დალი,
ჩემი შვილი მგელმა წამართვა!

ამისთვის ნუ შეწუხდები:

ცბიერ მგელს მე გავეკიდები.

მგელი ქედ-ქედ ჩქარა მიდიოდა,

დალის შვილი პირში ეჭირა.
ერთ ქედზე ვივარაუდე,
მეორე ქედზე ჩუმად მივწევი,
გრიალი გაედინა ჩემს თოფს,
მგელს პირი ღია დარჩენია,
დალის შვილი დავატოვებინე;
მხარზე შევისვი და ისე მივგვარე („წავუდე“)
დედამისს – კლდის დალს.

„დედა ჩემო, ნაწნავი გადმომიგდე!“
დალმა კლდიდან გადმოიხედა,
კლდის ძირას შვილი ნახა.
გადმოუგდო ოქროს ნაწნავი,
თავისი შვილი აიყვანა.

ჩემი სალოცავი შეეწიოს
შენს მშველელ მონადირეს!
შე მონადირევ, რაც აჯა გინლოდეს,
ის აჯა მე მთხოვე:
გერჩიოს და – ჩემი დედობა,
გერჩიოს და – დობა-სიყვარული!
იმის ღიდება მოგსვლოდეს,
მე იმას ვერ გაადრებ!

არა და მოგცემ სექტემბრის თავზე
სამმტკაველა (რქიან) რვა ჯიხვს,
დეკემბრის თავში შეიდ ჯიხვს,
წვრილ არჩვს ყოველ კვირაში.
იცოცხლე მარად,

შენი გვარისა ყველა მონადირე (იქნება),
მარჯვენა მხარში მე ამოუდგები! („მხრით მე ვეახლები!“)

მთქმელი ბაიზრუყვ ზვინთელანი,

მცხ. მესტიის რ-ნი

სოფ. ლატალა, 1982 წ. ჩამწერი ბესარიონი ნიჟარაძე

თეთრი მანგური

სვანეთის საქებო თეთრო მანგურ,
ყოფა-ცხოვრება კარგი გქონია:
სანიავებელი წვირმში გქონია,
სრავალი (პურის საშრობი) იფარში გაქვს,
კალო კალაში გქონია,
სანნავი ლახამულაში გაქვს თურმე,
სათიბი შხარაში გაქვს;
საფოცხრად თურმე მდევები გეწვევიან,
მოსამკალად თურმე დალები გეხმარებიან;
კიდობნებად ვეებერთელა ქვაბები გიდგას,
მარანი ქვევრებით სავსე გაქვს,
(ქვევრებში) ღვინო იმერეთისა გიდგას,
პური გაქვს, ო, ყირიმისა.

ასე გასდგომიხარ გზას,
წასულხარ ჯიხვზე სანადიროდ,
დაგლამებია თორმე, გამოქვაბულში
დაგინთია დიდი ცეცხლი,
ჯიხვის მწვადი შეგიწვავს,
ამ ღროს დალი გსტუმრებია.

- თეთრო მანგურ, მშვიდობით მომიხვე
რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?

დამიღამდა, აბა რა შექნა?

წასვლა-დაბრუნებას ცუდს გიზამდი,
მაგრამ ამისთანა ადამიანი მენანები.

აბა, როგორ არის ჩემი საქმე?

ამას მანგური ეკითხება.

ასე მე ვერ გაგიშვებ,

საყვარლად თუ არ გამირიდლები.

მე სიამოვნებით გაგირიგდები,
მაგრამ ცოლი და შვილი მყავს.
იმათ ამით არა დაუშავდებათ რა,
მაგრამ არსად გაამჟღავნო;
როცა ღიღი გაჭირვება დაგადგეს („მოგივიდეს“)
მაშინ ჩემი სახელი ახსენე,
გვერდში მდგომად გამოგადგები,
ჯიხვსა და არჩვს არ დაგიძვირებ.
ამდამ ერთად წვებიან,
ლხინი და სიამოვნება ბლომად ექნებათ:
მეორე დილას დგებიან,
მანგური შინ მოდის.
ო, წყეული სავეები
შემოგსევნიან იქით-აქედან,
ისარი და ხანგარი აურევიათ,
დაგიწყეს ცემა-ჩეხა.
„ცემა-ჩეხას მე გასწავლი!“
უშიშელია თავისი ხმალი,
რვა-ცხრა მოუკლავს,
რვა-ცხრა, გლან, მას დაჰკრეს.
მუხლი მოუყრია თეთრ მანგერს:
„აბა, დალო, სადა მყავხარ?
მე სავეები მკლავენ!“
გამომხტარა ჭიუხიდან
დალი, მანგურის საყვარელი,
იფნის შტო ხელთ ჰქონია,
დარევია სავებს,
მომბედ ერთიც არ დაუტოვებია,
მანგურს ერთი ფრთა მოუსვა,
ჭრილობები მოურჩენია,
ჯანსაღი („გამრთელებული“) შინ გაუშვა.

*მოქმელი თაისავ უდესიანი, მესტიის რაიონი
სოფ. ლენჯერი, ჩამწერი სიბი გულედანი, 1939 წ.*

ПРОБЛЕМА КУЛЬТУРНОГО ГЕРОЯ В ГРУЗИНСКОМ ФОЛЬКЛОРЕ

резюме

В грузинском фольклоре проблема культурного героя до настоящего времени не становилась предметом специального исследования. Высказаны лишь отдельные соображения, согласно которым Амирани представляет собой тип культурного героя, похитившего небесную деву, красавицу Камар, что приравнивается в научной литературе к факту похищения огня. Подобная интерпретация похищения Камар заняла особое место в истории исследования текста «Амираниани».

Внимание грузинских и зарубежных исследователей привлекли данные древнегреческих писателей и мыслителей, согласно которым Прометей был прикован к скалам Кавказских гор. Следует также отметить, что сюжет о прикованном герое существовал в Грузии еще до появления мифа о Прометее. Поэтому можно полагать, что греки заимствовали этот сюжет именно в Грузии, на Кавказе. Почти все исследователи образа Амирани придерживаются данной точки зрения и только в исследованиях последних лет это предположение ставится под сомнение. Однако в работах ряда авторов речь идет только о прикованном герое, а не о том, что он принес людям огонь. Исходя из этого, требуется определенная коррекция положений В.С.Миллера, Н.Эмина и других исследователей, искавших прототип Прометея в эпосах об Артавазде, Шидаре, Мхери и Амирани. Следует отметить, что пока нет материала, на основании которого можно было бы говорить об Амирани как о культурном герое. С этой точки зрения исключение составляют

только варианты и мотивы сванского фольклора, которые до сих пор не становились предметом специального исследования, хотя и отличаются тематической новизной и архаичностью.

В работах грузинских фольклористов не обращается должного внимания на важнейшие эпизоды и мотивы «Амираниани», в которых говорится о том, что Амирани похищает огонь у хтонических сил и обучает людей добыванию огня.

В работе представлена попытка исследования сванских вариантов «Амираниани», в частности Калданского, Гурчианского и Гуледанского вариантов, представляющих собой весьма оригинальные тексты и сравнения отдельных эпизодов из названных вариантов, в значительной степени отличающихся друг от друга. На основе данных текстов могут быть по-новому поставлены и осмыслены проблемы, связанные с изучаемым памятником.

Методологической основой работы послужило положение, выдвинутое известным исследователем героического эпоса и поэтики мифа Е.М.Мелетинского, согласно которому «...культурный герой древнейший образ фольклора. Более архаичными можно считать лишь старуху-прародительницу, а также тотемных предков двойной зверино-человеческой природы».

В работе также исследуется сущность культурного героя, его генезис, его отношение к окружающей среде.

Культурный герой является человеком, а не богом или сыном Божиим. Вместе с тем он обязательно обучает людей добыванию огня, создает для людей различные предметы культуры, приносит людям культурные растения. Он предписывает также правила поведения людей, свадебные ритуалы, новые традиции. Культурный герой считается продолжателем рода человеческого, он вступает в единоборство с небожителями, утверждает новые жизненные порядки. Характерны для него также ловкость, находчивость, хитрость. Он учит людей обрабатывать землю, охотиться, объезжать лошадей, заниматься ремеслом, строить дома, обучает их грамоте и т.д.

В сванских вариантах Амирани наделен самыми важными качествами, характерными для культурного героя. В Калданском,

Гурчианском и Гуледанском вариантах ничего не сказано о детстве и воспитании Бадри, Висипи и Чалам-Калами, детей царя Ивы, являющегося новым персонажем «Амираниани». Повествование начинается с сообщения о том, что братья были превосходными охотниками, уничтожившими злые силы и заслужившими любовь и доверие народа. В отличие от традиционных версий, описание жизни братьев начинается с конца. В сванских вариантах отмечается, что они были достойными воинами, совершившими много героических поступков и полностью уничтожившими злые силы, но какие трудности им пришлось преодолеть в раннем возрасте, об этом ничего не сообщается. Поэтому мы знаем лишь результаты их добрых деяний.

Весьма оригинальна и характеристика героев. Согласно традиционным вариантам, Амирани был подобен черной туче, он обладал силой двенадцати пар быков и буйволов и отличался необычайной ловкостью и силой. Висипи обычно сравнивался с укрепленным со всех сторон хрустальным замком. Бадри был красив, как женщина, и обладал прекрасным голосом.

В исследуемых нами сванских вариантах мы не находим подобной характеристики героев. Каждый герой прекрасен благодаря своим деяниям и каждый из них отличается яркой индивидуальностью.

